აღნიშნული კვლევითი პროექტის მიზანია მაღალი წინაღობის ფუძეშრეებზე, მაღალხარისხოვანი GaN მყარი ხსნარების ფირების მიღება დაბალტემპერატურული ($T \le 600^0C$) პროცესებით. ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის GaN-ის ფირის მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფენის და მასთან შეთავსებულ დასაფენი ნივთიერების კრისტალურ ორიენტაციას. ამიტომ აუცილებელია, რომ: 1)კრისტალური სიმეტრიის ჯგუფები იყოს მსგავსი;2) მესრის პარამეტრების მნიშვნელობების სხვაობები არ უნდა აღემატებოდეს 6-12 პროცენტს და 3) ელემენტარული უჯრედის მოცულობები არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან 12-25 პროცენტზე მეტად, ან უნდა იყოს ერთმანეთის ჯერადი. ამიტომ საფენად შეირჩა საფირონი (Al_2O_3), ზედაპირული ორიენტაციით [0001], რომელიც ქიმიურად იწმინდებოდა და თავსდებოდა ვაკუუმურ დანადგარში სადებზე, რომელსაც შეეძლო ბრუნვა ვერტიკალური ღერძის გარშემო. დანადგარში წნევის $\sim 10^{-6}$მმ.ვც.სვ. მიღწევის შემდეგ, ხდებოდა სუფთა არგონის და აზოტის შეშვება$\sim 10^{-3}$მმ.ვც.სვ. წნევამდე, ედებოდა სამიზნეზე უარყოფითი ძაბვა, რომელზეც დადებული იყო Ga (99,998% სისუფთავის). დანადგარის ხუფის ქვეშ წნევა შეადგენდა $\sim 10^{-3}$მმ.ვც.სვ, დაფენის ტემპერატურა იცვლებდა $(450 \div 630)^0C$ ინტერვალში, სამიზნეზე ძაბვა U=–250ვ, დენი I≈210ა და გალიუმი გაიფრქვეოდა 5÷6 წუთი. ნარჩენი და შეშვებული გაზის წნევების მაკონტროლებელი იყო მას–სპექტრომეტრი SRS RGA200. ასეთი ტექნოლოგიით მიღებული GaN–ის სისქე იყო 0,05მკმ.

ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ტექნოლოგიური პროცესების ჩვენს მიერ შერჩეული ოპტიმალური პირობებით გაზრდილი ნიტრიდების ფირების კრისტალიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული **იფგ**–ს რეჟიმებზე. კრისტალიზების თვალსაზრისით შერჩეულ იქნა ოპტიმალური რეჟიმები, რომლებიც, ასევე ოპტომალური აღმოჩნდა მინარეული

ატომების აქტივაციისთვის, შემდეგი მნიშვნელობებით: 1) სიმძლავრის სიმკვრივე – 90 ვტ./სმ^2; 2) იმპულსის ხანგრძლივობა – 5–დან 10 წმ–მდე საჭიროების მიხედვით; 3) იმპულსების რაოდენობა – 3 (1+1+1) ან 5 (1+1+1+1+1) საჭიროების მიხედვით და 4) ნიმუშის მაქსიმალური ტემპერატურა გამოწვის პროცესში არა უმეტეს 700^{0}C. **იფგ** ტარდება ჰალოგენური ნათურების საშუალებით, მაგრამ მათთან ერთად, ნიმუში ნათდებოდა ულტრაიისფერი სხივით (ვერცხლისწყლის ნათურა LMP-400), რამაც დადებითი როლი ითამაშა ხარისხიანი ფირების ფორმირებაში.

ჩატარდა მიღებული GaN ფირების რენტგენო–სტრუქტურული ანალიზი, გაიზომა მისი შთანთქმისა და არეკვლის სპექტრები, გამოსვლის მუშაობა, სიმქრქალე. მიღებულ ფირებზე ჩატარდა კონცენტრაციის, ჰოლის ძვრადობის, გამტარებლობის ტიპის, X-სხივების ფოტოელექტრული სპექტროსკოპიული (XPS) გაზომვები და მასკანიორებელ ელექტრომიკროსკოპზე (SEM) ზედაპირული ქიმიური შედგენილობა. ბოლო ორი გაზომვები ჩატარდა ანკარაში – ბილკენტის უნივერსიტეტში, „ნანოტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში“.

მიღებული შედეგებიდან კეთდება დასკვნა, რომ შემუშავებული, გალიუმის დაბალტემპერატურული რეაქტიული მაგნეტრონული გაფრქვევით, არგონისა და აზოტის არეში, ფორმირებული GaN–ის ფირები შეიძლება გამოყენებულ იქნან სხვადასხვა დანიშნულების სენსორებად ულტარიისფერ სპექტრულ არეში.

1.2.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
2.	მაგნეტრონული გაფრქვევით მემრისტორის ორშრიანი აქტ–იური ფენის მიღება და კვლევა; ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრნიკა	3.01.2018. – 31.12.2020.	ა.ბიბილაშვილი–ხელმძღვანელი; ლ.ჯიბუტი – ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება და ელექ–ტრული პარამეტრების გაზომ–ვები; ზ.ჯიბუტი, რ.კობაიძე–ოპტიკური პარამეტრების გაზო–მვები;

ინტეგრალური მიკრო და ნანო ხელსაწყოს ელემენტების შექმნის ერთ–ერთი პერსპექტიული მიმართულებაა, დაბალტემპერატურულ მეთოდით ფორმირებული, გარდამავალ მეტალთა ოქსიდების გამოყენება მათ აქტიურ უბნებში. მათი ფორმირების დაბალტემპერატურული ტექნოლოგიაა გარდამავალ მეტალთა მაგნეტრონილი გაფრქვევა არგონისა და ჟანგბადის შემცველ პლაზმაში. ნანოხელსაწყოს ელემენტად კი – გამოყენებულია უაღრესად პერსპექტიული მახსოვრობის ხელსაწყო –*მემრისტორი,* რომლის აქტიურ შრეში ფორმირდება *ორფენიანი სხვადასხვა გარდამავალმეტალთა ოქსიდები.* დაფენილ იქნა გარდამავალ მეტალთა Zr-ის; Hf-ის; Ti-ის ოქსიდების ორი ფენები სხვადასხვა თანმიმდევრობით Si-HfO_2-ZrO_2; Si-ZrO_2-HfO_2; Si-ZrO_2-TiO_2; Si-HfO_2-TiO_2 და Si- TiO_2-HfO_2. <u>*პირველად მოხდა*</u> საერთოდ – მემრისტორის აქტიური შრის ოქსიდების გამოწვის პროცესების ჩატარება. მიღებული ორშრიანი ოქსიდების სტრუქტურების გამოწვები ჩავატარეთ 1) <u>*თერმულად*</u> ღუმელში 500^{0}C ტემპერატურაზე, 15 წუთის განმავლობაში, აზოტის არეში და 2) <u>*იმპულსურ–ფოტონირი დასხივებით*</u> ***(იფდ)*** 1წმ–ის განმავლობაში 70 ვტ/სმ^2 სიმძლავრის სიმკვრივით და 0,5წმ+0,5წმ 50ვტ/სმ^2 სიმძლავრის სიმკვრივით. მათზე შექმნილი მეტალ–ოქსიდ–ნახევარგამტარ (მონ)–სტრუქტურის ვოლტ–ფარადული მახასიათებლების გაზომვების შედარებიდან დადგინდა, რომ უკეთესია საფენი–

ZrO_2-HfO_2 წყობა და მათი გამოწვა **იფდ** 70 ვტ/სმ^2 სიმძლავრის სიმკვრივით 1წმ–ის განმავლობაში. გაიზომა და შედარდა, ყველა წყვილი ოქსიდებისთვის ვოლტ–ფარადული (C-V) და შესაბამისი $\left(\frac{dC}{dV}(V)\right)$ მახასიათებლები, გამოწვამდე და გამოწვების შემდეგ. ასევე აიგო ოქსიდის ორშრიანი ფენის *X-სხივების ფოტოელექტრული სპექტროსკოპიის (XPS) მრუდები* გარეგანი ზემოქმედების გარეშე და იმპულსურ–ფოტონური გამოწვების შემდეგ (გაზომვები ჩატარდა – გრანადის უნივერსიტეტში, ესპანეთი). მემრისტორის ვოლტ–ამპერულმა გაზომვებმა მოგვცეს, რომ **იფდ–** ით გამოწვამდე Si-W-ZrO_2-HfO_2-Mo-Al აქვს $R_{დახ}/R_{ღია}=1{,}4\cdot10^{-5}$ და გამოწვის შემდეგ $R_{დახ}/R_{ღია}=2{,}3\cdot10^{-6}$, ასევე ჰისტერეზის გაშლა ორდინატის (დენის) მიმართ აბცისთა ღერძზე 1,5 ვ ძაბვაზე გაშლილია 2,5–ჯერ. ეს შედეგი კარგ თანხვედრაშია (ზოგჯერ უკეთესიც) სხვა მკვლევარების მიერ მიღებულ შედეგებთან.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	A. Bibilashvili, Z. Kushitashvili	Properties of TiO_2/TiO_X Active Layers and Fabrication Resistive Switching Device; DOI:10.1142/S0219581X19400854 www.worldscientific.com	International Journal of Nan-oscience,Vol.18, Nos,3 &4 (2019) 1940085,	World Scientific Publishing Com	4
განხილულია დაბალტემპერატურული მაგნეტრონული გაფრქვევის მეთოდით ტიტანის სრული (TiO_2) და არასრული (TiO_x) ოქსიდების, ერთ პროცესში, მიღების ტექნოლოგიის თა–ვისებურებანი. TiO_2–ის ფორმირებისას ხდება Ti (99,998%) სამიზნის ბომბარდირება Ar:O_2=2:8 შემადგენლობით ვაკუუმში ~$2\cdot10^{-2}$მმ.ვც.სვ. წნევაზე, 4÷5 წთ–ის განმავლობაში, შემდეგ ვაკუ–უმის დარღვევის გარეშე ჟანგბადის პარციალური წნევა ეცემა 2÷3 –ჯერ და მიმდინარეობს ოქსიდის მიღება ~6÷7წთ. ისე, რომ ოქსიდის საერთო სისქემ არ გადააჭარბოს 50ნმ–ს, რაც ცდებიდან დადგინდდა. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ოქსიდია საფენთან კონტაქტში, მიღებული მემრისტორის ვოლტ–ამპერულ მახასიათებელზე შემოწერება სხვადსხვა მიმარ–თულების ჰისტერეზისი. მოყვანილია ფიზიკური მოდელი, რომელიც ხსნის ამ მოვლენას.					
2.	A. Bibilashvili, Z. Kushitashvili	Radiation Effect on the Parameters of Fild Transistor With Shottky Barier on GaAs; doi:10.1088/1755-1315/362/1/012070	Earth and Environmental Sciece **362** (2019) 012071	IOP Conf.Series	6
მოცემულია ეპიტაქსიურ GaAs–ზე შექმნილი ნორმალურად ღია (ნღ) და ნორმალურად ჩაკეტილ (ნჩ) შოტკის ბარიერიან ველის ტრანზისტორზე ელექტრონული და γ–რადიაციის მოქმედების შედეგები. ნღ და ნჩ ველის ტრანზისტორები მიღებულ იქნა ერთ საფენზე ($N_{დონ}$= =$2\cdot10^{17}$სმ$^{-3}$), ერთ ტექნოლოგიურ პროცესში, რომელზეც აღებულია პატენტი ჩვენს ლაბორა–ტორიაში. ელექტრონებით დასხივება ხდებოდა 4მევ ენერგიით, $2{,}5\cdot10^{12}$ელ/სმ^2·წმ ინტენსიო–ბით. მაქსიმალური ინტეგრალური დოზა იყო ф=10^{15}ელ/სმ^2, ხოლო γ–რადიაციის წყარო იყო ^{60}Co. დასხივება ხდებოდა ოთახის ტემპერატურაზე, ინტენსიობით I=$5\cdot10^3$ რენტ/წმ და მაქ–სიმალური დოზა შეადგანდა D=10^5 გრეი. შედეგად ნაჩვენებია, რომ რადიაციულად უფრო					

მდგრადია *ნორმალურად ჩაკეტილი* ტრანზისტორი, ვიდრე ნღ.

3.	Z. Kushitashvili A. Bibilashvili, V. Borisenko	C-V Characterization and Electric Parameters of ZrO2 Received by UV Stimulated Plasma Anodizing; doi:10.1088/175-51315/362/1/ /012070	Earth and Environmental Sciece **362** (2019) 012070	IOPConf.Series;	8
განხილულია დაბალტემპერატურული, ულტრაიისფერი დასხივების თანმხლები სტიმულირებული, პლაზმური ანოდირებით გარდამავალ მეტალ – ცირკონიუმის ოქსიდის მიღება. p– ტიპის Si–ზე, ვაკუუმში ~10^{-6}მმ.ვც.სვ. წნევაზე, დაეფინა Zr 99,998% სისუფთავით, რის შემდეგ მიღებული სტრუქტურა მოთავსდა პლაზმური ანოდირების დანადგარში. მას–ში, Ar:O_2=2:8 შეშვების შემდეგ ~10^{-2}მმ.ვც.სვ. წნევაზე, 5ვტ სიმძლავრის უი ნათურის ჩართვის შემდეგ წარიმართა პლაზმური ანოდირების პროცესი: სხვადასხვა ტემპერატურაზე (T) და ფორმირების დენის სიმკვრივეზე ($I_ფ$). მიღებულ იქნა Si-ZrO_2-Al სტრუქტურები და გაიზომა C-V მახასიათებლები: სხვადასხვა f სიხშირეებზე, სხვადასხვა $I_ფ$–თვის და tgδ(f). განისაზღვრა ძირითადი პარამეტრები: მუხტი ოქსიდში, გამყოფ საზღვარზე მუხტი და მდგომარეობათა სიმკვრივე, დიელექტრიკული მუდმივა, ოქსიდის სისქე. განსაზღრულია ტექნოლოგიური ოპტიმალური პირობები, ფორმირებული ოქსიდის პარამეტრებთან დამოკიდებულებაში.					

4.	Z. Jibuti, A. Bibilashvili, L. Jibuti, N.Dolodze.	The Experimental Proof of Non-Thermal Nature of the Mechanism of Pulse-Photon Annealing in Semiconductor Materials; doi:10.1088/17551315/362/1/ /012077	Earth and Environmental Sciece **362** (2019) 012077	IOPConf.Series;	6
ნაშრომში შესწავლილია იონური იმპლანტაციით ამორფიზირებული GaAs–ის რეკრისტალი–ზაციის პროცესი განხორციელებული იმპუსური ლაზერული ზემოქმედებით. ეს პროცესი ხორციელდება 77K და 300K ტემპერატურებზე. ნაჩვენება ლაზერული რეკრისტალიზაციის პროცესის ათერმიულობა. მისი ეფექტურობა განისაზღვრება, არა ლაზერული ზემოქმედების თანსდევი კრისტალის გახურების ტემპერატურით, არამედ ფოტონების შთანთქმის შედეგად გენერირებული ელექტრონ–ხვრელის (ანტიდამაკავშირებელი ნაწილაკი) კონცენტრაციით. პროცესს ახასიათებს ადიტიურობა და განსაზღვრული კრიტიკული კონცენტრაცია, რომლის სიდიდე განისაზღვრება ნახევარგამტარული მასალის გვარობით.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	A. Bibilashvili, Z. Kushitashvili	C-V Characterization and Electric Parameters of ZrO2 Received by UV Stimulated Plasma Anodizing ISBN 978-9941-462-97-9	Applied Electromagnetic Engineering for Magnetic, Superconucting, Multifunctional and Nanomaterials, japmed'11, Batumi, Georgia, 16-19 July 2019, P4(86),
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2.	L. Jibuti	Study of Resistive Switching Effect Si-W-ZrO_2-HfO_2-Mo-Al Nanostructure	International School and Work-shopon Two-Dimensional Cry-stals and Photonics, 2DCP 2019, Tbilisi, Georgia, September 09-14, 2019, p.41
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	A. Bibilashvili, Z. Kushitashvili	Properties of TiO_2/TiO_X Active Layers and Fabrication Resis-tive Switching Device,	International Conference Nanomeeting -2019, 21-24 may 2019, Minsk, Belarus, P-3,13
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2.	L. Jibuti, N. Dolidze, Z. Jibuti, V. Mordkovich.	The Athermal Melting Of Superficial Layers Of Semiconductors By Using Of Nanisecond Laser Influence,	International Conference Nanomeeting -2019, 21-24 may 2019, Minsk, Belarus, P-3,19
ნაშრომში შემოთავაზებულია ნახევარგამტარულ მასალებში იმპულსურ ლაზერული ზემოქმე–დებით, რადიაციული და სტრუქტურული დეფექტების გამოწვის, რეკრისტალიზაციის, დიფუ–ზიის დაბალტემპერატურული იონიზაციის მექანიზმები. ეს მექანიზმი ეყრდნობიან კონცეპციას, რომ იმპულსურ ფოტონური ზემოქმედებისას ნახევარგამტარულ მასალებში სინათლის შთანთქ–მის შედეგად განხორციელებული ატომების იონიზაცია განაპირობებს არა მხოლოდ ლოკალურად ატომებს შორის ქიმიური ბმების გაწყვეტას, არამედ წარმოიქმნება ანტიდამაკავშირებელი ელექტ–რონ–ხვრელის წყვილები, რომლებიც ასუსტებენ ქიმიურ კავშირებს მთელ კრისტალში. Ge, Si და GaAs – ის მაგალითზე შეფასებულია ანტიდამაკავშირებელი კვაზიწაწილაკების იმ კრიტიკული კონცენტრაციის სიდიდეები, რომლის მიღწევისას ადგილი ექნება „ცივ“ დნობას, შემდგომი რეკრ–ისტალიზაციით. მოყვანილია აღნიშნული თეორიული მოდელის ექსპერიმენტული დადასტურე–ბა, სადაც Si–სა და GaAs –ში იმპულსური ლაზერული ზემოქმედების შედეგად პირდაპირ დაიმ–ზირება მასალების დნობის პროცესი ტემპერატურებზე, რომელთა სიდიდე გაცილებით ნაკლებია ამ მასალების თერმიული დნობის ტემპერატურაზე.			
3.	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili	Radiation Effect on the Parameters of Fild Transistor With Shottky Barier on GaAs	5th World Multidisciplinari Earth Scie-nes Symposium, 9-13 September, 2019- prage (Czech Republic), p.228, www.mess-earth.org
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
4.	Z. Kushitashvili, A.Bibilashvili, V. Borisenko	C-V Characterization and Electric Parameters of ZrO2 Received by UV Stimulated Plasma Anodizing	5th World Multidisciplinari Earth Scie-nes Symposium, 9-13 September, 2019- prage (Czech Republic), p.227, www.mess-earth.org
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
	Z. Jibuti,	The Experimental Proof of Non-Thermal	5th World Multidisciplinari Earth

5.	A. Bibilashvili, L. Jibuti, N.Dolodze.	Nature of the Mechan-ism of Pulse-Photon Annealing in Semiconductor Materials	Scie-nes Symposium, 9-13 September, 2019- prage (Czech Republic), p.229, www.mess-earth.org
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დამატება

პატენტები

№	ავტორი/ ავტორები	პატენტის სათაური,	პრიორიტეტი პატენტზე	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ა. ბიბილაშვილი, მ. ტიგიშვილი, რ. მელქაძე, ნ. გაფიშვილი, ზ. ჯიბუტი, ნ. დოლიძე, ნ.ხუჭუა	ინტეგრალური ორდიაპა-ზონიანი ულტრაიისფერი და ინფრაწითელი ფოტო–დეტექტორის შექმნის მეთოდი	პატენტი **AP 2019 15077 ,** საქართველო,	დადებითი გადაწყვეტი–ლება – **7057/129–11–2019**	17
2.	ზ. ჯიბუტი, ა. ბიბილაშვილი, ლ. ჯიბუტი, რ. მელქაძე.	სასარგებლო მოდელი ოპტიკური მოწყობილობა „პოლიქრომატორი ოპტიკური ფილტრებით“	განაცხადი პატენტზე **AU 2019 15217,** საქართველო	შეტანილია 12/11/2019	22

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ფიზიკის დეპარტამენტი, რადიოფიზიკის და ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ასოც. პროფესორი ოლეგ ხარშილაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	გეოკოსმოსურ სივრცეში ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის რიცხვითი მოდელირება ; მულტიმასშტაბური სოლიტონებისა და გრიგალური სტრუტურების არაწრფივი დინამიკის ანალიზი და რიცხვითი მოდელირების მეთოდების დამუშავება: სიგნალების სტატისტიკური ანალიზის არაწრფივი დინამიკის მეთოდების	2018-2020	ოლეგ ხარშილაძე

	დამუშავება		

კვლევის გეგმის ფარგლებში ტურბულენტური პროცესების არაწრფივი დინამიკის კუთხით მნიშვნელოვანია ტურბულენტური მოძრაობის მახასათებელი ელემენტების-გრიგალური სტრუქტურების გენერირების და ურთიერთქმედებების გამოკვლევა. წინა ეტაპზე შესწავლილია სოლიტონური და გრიგალური ტიპის მრავალგანზომილებიანი არაწრფივი მულტიმასშტაბური ტალღური სტრუქტურების ფორმირება კომპლექსურ გარმოში (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, იონოსფერული და მაგნიტოსფერული პლაზმური გარემო), სტრუქტურების დაჯახებადი და არადაჯახებადი ურთიერთქმედების დინამიკა, მიღებულია პრობლემის კვლევის თეორიული და რიცხვითი მოდელები. ნაჩვენებია, რომ განხილულ გარემოში გენერირდებიან არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები მონოპოლური ტიპის, ან გრიგალური ჯაჭვი არაერთგვაროვანი ლოკალური ქარის ფონზე, რაც დამოკიდებულია წანაცვლებითი დინების სიჩქარის სახეზე. ასეთი გრიგალების აკუმულაციას შეუძლია განაპირობოს გარემოს ძლიერი ტურბულენტური მდგომარეობა. ჩატარებულია რიცხვითი სიმულაციები და შესწავლილია სოლიტონური ტიპის მულტიმასშტაბური სტრუქტურების ურთიერთქმედება კომპლექსურ გარემოებთან, რომელიც აღიწერება დინამიკური არაწრფივი შროდინგერის ტიპის განტოლებათა კლასით დისპერსიული და დისიპაციური ეფექტების გაათვალისწინებით.

ჩატარებულ კვლევებში გამოყენებულია გრიგალური სტრუქტურების მოდელირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური მეთოდი. ეს სტრუქტურები აღიწერებიან გრიგალის გადატანის 2-განზომილებიანი განტოლებით და დენის ფუნქციისთვის პუასონის განტოლებით ნაჩვენებია კონტურული დინამიკის მეთოდის არსი, რომელიც ემყარება დინების წარმოდგენაზე სასრულო მუდმივი დაგრიგალებიის არეების სისტემად. ნაშრომში შემუშავებულია კონტურული დინამიკის მეთოდის მოდიფიკაცია, რომელიც ამცირებს თვლის შეცდომებს, რაც დაკავშირებულია გრიგალური სტრუქტურების აღწერასთან. წარმოდგენილია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების მაგალითები გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედების დინამიკის შესწავლის შესახებ, მათი შედარებითი პოზიციონირების სხვადასხვა კონფიგურაციისთვის, დაგრიგალების ნიშნების და დაგრიგალების სასრული არეების საზღვრებს შორის მანძილის მიხედვით. წარმოდგენილია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები ჩატარებული მოდიფიცირებული CD მეთოდის საფუძველზე, გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედების დინამიკის შესწავლისთვის. განხილულია გრიგალების ურთიერთგანლაგების სხვადასხვა კონფიგურაცია, დაგრიგალების სხვადასხვა ნიშნები და გრიგალური არეების საზღვრებს შორის დაშორებები. მოცემულია ატმოსფეროში და პლაზმში ნამდვილი გრიგალური სისტემების და პროცესების მოდელირების შედეგების მაგალითები.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ არაწრფივი მეთოდებით სიგნალების სტატისტიკური ანალიზი იძლევა პროცესის მდგრადობის და ფაზური გადასვლების-ბიფურკაციების საკმარის მახასიათებლებს და შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვა რთული ბუნების

ფიზიკური პროცესების ანალიზისთვის. მიმდინარე ეტაპზე მეტი ყურადღება დაეთმო რთული სიგნალების ფრაქტალური და მულტიფრაქტალური ანალიზის საკითხებს. სპექტრალური მეთოდების ჯგუფში შედის თანამედროვე ვეივლეტ-ანალიზი, რომლის კარგად აწყობილი ინსტრუმენტი მოცემულია ოპერაციულ-მათემატიკური სიტემა მატლაბში.

გრიგალების უეთიეთქმედების შესწავლისთვის წინა ეტაპზე განხილულია კონტურული დინამიკის მეთოდის ალგორითმი და შედგენილია შესაბამისი კოდი. ამ ეტაპზე შევადგინეთ კონტურული დინამიკის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტი. როგორც ტესტირებებმა აჩვენა შემცირდა თვლის შედეგად დაგროვილი ცდომილებები. შესწავლილია მრავალგანზომილებიანი არაწრფივი მულტიმასშტაბური სოლიტონური ტიპისა და ტალღური სტრუქტურების ფორმირება კომპლექსურ გარმოში (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, იონოსფერული და მაგნიტოსფერული პლაზმური გარემო), სტრუქტურების დაჯახებადი და არადაჯახებადი ურთიერთქმედების დინამიკა, ჩატარებულია რიცხვითი სიმულაციები და შესწავლილია სოლიტონური ტიპის მულტიმასშტაბური სტრუქტურების ურთიერთქმედება კომპლექსურ გარემოებთან, რომელიც აღიწერება დინამიკური არაწრფივი შროდინგერის ტიპის განტოლებათა კლასით დისპერსიული და დისიპაციური ეფექტების გაათვალისწინებით. შესწავლილია შროდინგერის ოპტიკური სოლტონების ურთირთქმედება და გავრცელება არასტაციონალურ და არაერთგვაროვან არაწრფივივ გარემოში.

1.2.

№	**დასრულებული**პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითიპროექტისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	„სუბკრიტიკული მაგნეტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობის ანიზოტროპული ბუნება პლაზმის გლუვ წანაცვლებით დინებებში“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზიკური მეცნიერებები: სითხე-აირებისა და პლაზმის ფიზიკა, პროექტი FR17-107	2017-2020	**გ. მამაცაშვილი** (ხელმძღვანელი) გ. ჩაგელიშვილი (მთავარი შემსრულებელი) ო. ხარშილაძე (კოორდინატორი)
ამ პროექტში 2019 წლის ბოლოსთვის გამოვიკვლიეთ სამგანზომილებიანი წრფივი შეშფოთებები კუმშვად კეპლერულ დინებებში ვერტიკალური მაგნიტური ველით -- სიმკვრივის ტალღებსი გენერაციას. საწყის ეტაპზე გავაკეთეთ ძირითადი მაგნეტოჰიდროდინამიკური განტოლებების წრფივი ანალიზი, რაც მდგომარეობს: ძირითადი განტოლებების გაწრფივებაში, ცვლადების ფურიე გარდაქმნაში, შედეგად მიღებული წრფივი განტოლებების წარმოდგენაში საკუთარ ცვლადებში, დისპერსიული თანაფარდობის მიღებაში და ამის საფუძველზე სისტემაში არსებული ძირითადი მოდების კლასიფიკაციაში. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ასეთ დამაგნიტებულ, კუმშვად არაერთგვაროვან წანაცვლებით კეპლერულ დინებაში არსებობს შეშფოთებების სამი ძირითადი მოდა: კუმშვადი/აკუსტიკური, ანუ სიმკვრივის ტალღების მოდა (სწრაფი მაგნიტოაკუსტიკური მოდა), ინერციული ოსცილაციების მოდა მოდიფიცირებული მაგნიტური ველით, და მაგნიტური მოდა, რომელიც ავლენს მაგნეტობრუნვით არამდგრადობას. შემდეგ შევასრულეთ რიცხვითი გამოთვლები. ამ სამი მოდისთვის ცალ-ცალკე მოვახდინეთ ევოლუციის განტოლებების ინტეგრირება და ამ მოდების ამპლიტუდების დროზე დამოკიდებულების გრაფიკების აგება. ვაჩვენეთ ახალი ეფექტის არსებობა -- კუმშვადი აკუსტიკური/სიმკვრივის ტალღების და მაგნიტური მოდის წრფივი ბმა, რომელიც გამოწვეულია დინების წანაცვლებით მბრუნავ კეპლერულ მჰდ წანაცვლებით დინებაში ვერტიკალური მაგნიტური ველით (ე.ი., დამაგნიტებული ასტროფიზიკური დისკი). ეს ბმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასეთ დინებებში, რადგან წარმოშობილ სიმკვრივის ტალღებს შეუძლიათ ასტროფიზიკურ დისკებში კუთხური მომენტის გადატანის გაძლიერება, ასევე პლანეტების ფორმირების პორცესის დაჩქარება და პლანეტების საშენი მასალის -- პლანეტეზიმალების -- მიგრაციის შენელება, რაც მნიშვნელოვანია პლანეტების წარმოშობისთვის. მეხუთე საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი გვაქვს გავარკვევთ პარამეტრთა რეჟიმებს და ტალღურ-რიცხვებს, რომელთათვისაც ესეთი ბმა ყველაზე ეფექტურია. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ წინა შრომებში განხილული იყო სიმკვრივის ტალღების აღგზნება გრიგალური მოდით დამაგნიტებულ კეპლერულ დისკებში, მაგრამ, მაგნიტური ველის სპეციფიური კონფიგურაციის (მაგნიტური ველის საშუალოდ ნულის ტოლი ნაკადი) გამო, მაგნიტური მოდა, სავარაუდოდ, უფრო სუსტი იყო ვიდრე გრიგალური. ჩვენს შემთხვევაში არანულოვანი ვერტიკალური მაგნიტური ველის არსებობისას, მაგნიტური მოდა განიცდის გრიგალურ მოდაზე ძლიერ ზრდას მაგნეტობრუნვითი არამდგრადობის გამო და ასრულებს ძირითად როლს დისკის ევოლუციაში და მის ტურბულიზაციაში.			
2	„მულტიმასშტაბური სოლიტონებისა და	2017-2020	**ო. ხარშილაძე**

	გრიგალური სტრუტტურების არაწრფივი დინამიკა რთულ უწყვეტ გარემოში”. შოთა რუთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, No. FR17_252 საბუნებისმეტყველო 1.1 მათემატიკა; 1.3 ფიზიკური მეცნიერებანი; პროექტი FR17-252		(ხელმძღვანელი) ჯ. როგავა (შემსრულებელი) კ.შანშიაშვილი (შემსრულებელი) ხ. ჩარგაზია (კოორდინატორი)

გრანტის მიმდინარე ეტაპის გეგმით განხილულია კადომცევ-ფეტვიაშვილის განტოლებით აღწერილი 2D და 3D სოლიტონებისა და არაწრფივი ტალღური სტრუქტურების და მათი დინამიკის თეორიული და რიცხვითი შესწავლის შედეგები. ასევე განხილულია 3-DNLS განტოლების ამონახსნთა კლასი და აგრეთვე ეილერის ტიპის განტოლებებით აღწერილი გრიგალური სისტემები. განიხილება განზოგადებები (სხვადასხვა რთული ფიზიკური გარემოსთვის), მაღალი დონის დისპერსიული შესწორებების, დაშლის, არასტაბილუროობისა და ტალღური ველების სტოქასტური რხევების შემთხვევებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეორიის გამოყენებებს თანამედროვე ფიზიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის პლაზმის ფიზიკაში, ჰიდროდინამიკასა და ზედა ატმოსფეროს ფიზიკაში.

შესწავლილია სოლიტონური და გრიგალური ტიპის მრავალგანზომილებიანი არაწრფივი მულტიმასშტაბური სოლიტონური ტიპისა და ტალღური სტრუქტურების ფორმირება კომპლექსურ გარემოში (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, იონოსფერული და მაგნიტოსფერული პლაზმური გარემო), სტრუქტურების დაჯახებადი და არადაჯახებადი ურთიერთქმედების დინამიკა, მიღებულია პრობლემის კვლევის თეორიული და რიცხვითი მოდელები. ნაჩვენებია, რომ არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური ტიპის, ან გრიგალური ჯაჭვი არაერთგვაროვანი ლოკალური ქარის ფონზე, რაც დამოკიდებულია წანაცვლებითი დინების სიჩქარის სახეზე. ასეთი გრიგალების აკუმულაციას შეუძლია განაპირობოს გარემოს ძლიერი ტურბულენტური მდგომარეობა. ჩატარებულია რიცხვითი სიმულაციები და შესწავლილია სოლიტონური ტიპის მულტიმასშტაბური სტრუქტურების ურთიერთქმედება კომპლექსურ გარემოებთან, რომელიც აღიწერება დინამიკური არაწრფივი შროდინგერის ტიპის განტოლებათა კლასით დისპერსიული და დისიპაციური ეფექტების გაათვალისწინებით.

ნაშრომში ანალიზური და რიცხვითი მიდგომების საფუძველზე შესწავლილია განზოგადებული არაწრფივი შრედინგერის განტოლების მრავალგანზომილებიანი სოლიტონის მსგავსი ამონახსნების ურთიერთქმედების სტაბილურობა და დინამიკა. ასეთი ამონახსნები აღწერენ ტალღებს პლაზმაში, ბოჭკოვან და პლანარულ ოპტიკურ ტალღგამტარებში საშუალებით, სადაც გათვალისწინებულია გარემოს არაერთგვაროვნება და არასტაციონარობა. მიღებულია ორ და სამგანზომილებიანი ამონახსნების სტაბილურობის საკმარისი პირობები. ნაჩვენებია, რომ თუნდაც უმარტივესი 1-განზომილებიანი შემთხვევაში GNLS განტოლებას შეიძლება ჰქონდეს სოლიტონის და ბრიზერის ტიპების სტაბილური და კვაზი-სტაბილური ამონახსნები, ასევე არასტაბილური ამონახსნები, რომლებიც დროში განიცდის დისპერსიას და იშლება სივრცეში. მიღებული შედეგები შეიძლება სასარგებლო იყოს პლაზმური ფიზიკის, არაწრფივი ოპტიკის და ფიზიკის სხვა მრავალრიცხოვან სფეროებში.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებულიკვლევითიპროექტის2019 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულე ნაზე)				

4.4. სტატიებიდიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3	Chargazia K., Kharshiladze O., Kvaratskhelia D., Zimbardo G., Sorriso-Valvo L.,	Linear evolution of IGW structures in the ionospheri plasma at interaction with shear flows	*Bulletin of TICMI (2019) 23(1) 67-75*	თბილისი, საქართველო	8
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) წარმოდგენილია დაბალი სიხშირის (LF) შიდა გრავიტაციული ტალღების (IGW) გაძლიერების თეორიული მოდელი. გამოყენებული მეთოდი ემყარება არაერთგვაროვან ნაკადების ფენომენებზე ჰიდროდინამიკური ამოცანების შედეგების					

განზოგადებას. 1990-იან წლებში გაცნობიერებული იყო, რომ სპექტრალურად სტაბილური მოდები არამდგრადი ხდება არაერთგვაროვანი ნაკადების რეჟიმებში. ანუ, ნაკადების მოდალური ანალიზის დროს მიღებული ხაზოვანი ოპერატორები არაა შეუღლებული და შესაბამისი მოდები არაორთოგონალურია. არაორდინალურობა იწვევს შეშფოთებების ხაზოვან ტრანზიენტულ ზრდას შეშფოთებების მოდალური კავშირით, რაც იწვევს LF IG ტალღების გენერაციას და ნაკადის ამოძრავებას, რომელიც ამოძრავებს იონოსფერულ პლაზმას და ხელს უწყობს უფრო მაღალი სიხშირის რხევების წარმოქმნას. ტრანზიენტული ზრდა არსებითად აღემატება სისტემის კლასიკური დისიპაციური ჩაჭერილი-ნაწილაკების არამდგრადობით გამოწვეულ ზრდას სისტემაში.

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათა ური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		ISBN		
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	Sorriso-Valvo L., De Vita G., Fraternale F., Pezzi O., Kharshiladze O., Vasconez C.	Sign singularity of the local energy transfer in space plasma turbulence DOI: 10.3389/fphy.2019.00093	*Frontiers in Physics (2019) 7(JULY)*		12

სუსტად დაჯახებით კოსმოსურ პლაზმაში ტურბულენტური კასკადი უზრუნველყოფს ენერგიის დიდი ნაწილის დისიპაციას, რომელიც იშლება მცირე მასშტაბებში სხვადასხვა კინეტიკური პროცესებით. ამგვარი დისიდენტური მექანიზმების მახასიათებლების გაცნობიერება მოითხოვს ფლუქტუაციური მექანიზმების ზუსტ ცოდნას, რომლითაც ენერგია გადაეცემა მცირე მასშტაბებს, რადგან სხვადასხვა დაშლის პროცესები სხვადასხვა ხასიათის ფლუქტუაციებით არის გამოწვეული. ამ ნაშრომში სხვადასხვა ენერგეტიკული არხის მასშტაბების თვისებები ფასდება მაშტაბური სკეილინგური თვისებების შესწავლით და სტრუქტურებიის ტოპოლოგიით მაგნიტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობისთვის მესამე რიგის მომენტის სკეილინგის შესახებ კანონის საფუძველზე. კერძოდ, ნიშანი-სინგულარობის ანალიზის მეთოდს ვიყენებთ ალტერნატიული პოზიტიურ-უარყოფითი ენერგიის ნაკადების სკალირების თვისებების შესამოწმებლად, ამრიგად, ინფორმაციას ვიღებთ ამგვარი ნაკადად სტრუქტურირებული და ტოპოლოგიურად სხვადასხვა ტიპის ფლუქტუაციებიდან. ჩატარებული მონაცემთა ანალიზის შედეგები აჩვენებს ნაკადის ურთულეს გეომეტრიულ ხასიათს და ის, რომ ნაკადების ლოკალურ ენერგეტიკასთან და კროს-ჰელისითის ჯვარედინი ჰელსიფიკაციასთან ენერგიის არაწრფივ გადაცემას აქვთ მსგავსი მასშტაბების (სკეილინგური) თვისებები. დავასკვნით, რომ გრიგალური სტრუქტურები ავლენენ ალფენის ფლუქტუაციების მსგავს ფრაქტალურ თვისებებს.

2	R. Chanishvuli, G. Chagelishvili, M.Kalashnik,	Rigid boundary of shear flows as the source of secondary perturbations – a case of Eady baroclinic waves in	(გაგზავნილი დასაბეჭდად Phys. Rev. Fluids -ში)	USA	15

	O. Chkhetiani, O. Kharshiladze	geophysical flows with vertical shear of velocity.			
გამოკვლეულია ხისტი საზღვრის გავლენის ფიზიკური არსი შეშფოთებების წრფივ დინამიკაზე ნახევრად უსასრულო ნაკადში სტრატიფიცირებულ მბრუნავ სითხეში სიჩქარის ვერტიკალური წანაცვლებით. ნაჩვენებია,რომ ტალღური და გრიგალური შეშფოთებების დინამიკურ განტოლებებში ხისტი საზღვარი შეიძლება შეიცვალოს ლოკალიზებული წყაროებით z =0 დონეზე, რომლებიც თამაშობენ მეორადი შეშფოთებების როლს. საზღვრის, როგორც მეორადი შეშფოთებების ქმედება, ხორციელდება ოპტიკაში ჰიუგენსის პრინციპის მსგავსად სინათლის არაკვლისას/ გარდატეხისას ორი სხვადასხვა ოპტიკური სისქის გარემოთა საზღვარზე . თუმცა მეორადი შეშფოთებების ფორმა ოპტიკაში და განხილულ სისტემაში განსხვავდება ერთმანეთისგან. განხილული ღია რთული სისტემის ხისტი საზღვარი, როგორც გარეშე წყარო განაპირობებს სასაზღვრო პირობების შესრულებას: გრიგალური შეშფოთებების განულებას საზღვარზე და ტალღური შეშფოთების ზრდას. ჩვეულებრივ ტალღური შემადგენელის ენერგიის ზრდას ტრანზიენტული ხასიათი აქვს, მაგრამ რეზონანსის დროს ის ხდება დროის კვადრატის პროპორციული.					
3	Belashov V., Kharshiladze O., Rogava J.	Simulation of interaction of vortex structures	Xplore Digital Library // 2019 Russian Open Conference on Radio Wave Propagation (RWP), Kazan, Russia, July 1–6, 2019, Kazan Federal University. Proceedings.	USA, IEEE, Date Added to IEEE Xplore: 26 August 2019. Electronic ISBN: 978-1-7281-2075-1. USB ISBN: 978-1-7281-2074-4.	pp. 519-522.
წარმოდგენილია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები ჩატარებული მოდიფიცირებული CD მეთოდის საფუძველზე, გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედების დინამიკის შესწავლისთვის. განხილულია გრიგალების ურთიერთგანლაგების სხვადასხვა კონფიგურაცია, დაგრიგალების სხვადასხვა ნიშნები და გრიგალური არეების საზღვრებს შორის დაშორებები. მოცემულია ატმოსფეროში და პლაზმში ნამდვილი გრიგალური სისტემების და პროცესების მოდელირების შედეგების მაგალითები.					

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების

	მომხსენებლები		დროდაადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	Belashov V.Yu., Kharshiladze O. A.	Numerical study of evolution and collisional interaction of the GNLS solitons in nonstationary and non-uniform media / 5th Intern. Conf. on Physics.	London, UK, Oct. 14-15, 2019.
2	Kharshiladze O. A., Belashov V.Yu.	The BK system: stability and interaction dynamics of the GKP and GNLS solitons / 5th Intern. Conf. on Physics.	London, UK, Oct. 14-15, 2019.

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ნახევარგამტართა ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა

ხელმძღვანელის ჩათვლით

ინსტიტუტის დირექტორი		- შოთა მირიანაშვილი
დირექტორის მოადგილე		- თენგიზ ქამუშაძე
ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის განყოფილება		
1.	თენგიზ ქამუშაძე	- განყოფილების გამგე
2.	ანზორ ბერძენიშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	ქეთევან ედილაშვილი	- მეცნ. თანამშრომელი
4.	ზურაბ რაზმაძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
5.	რუსუდან შალამბერიძე	- მეცნ. თანამშრომელი
მომავალის მასალათა მიღების და კვლევის განყოფილება		
1.	მაია შერვაშიძე	- განყოფილების გამგე
2.	თამაზ ბუთხუზი	- მთავარი მეცნ. თანამშრომელი
3.	ეკა კეკელიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
4.	ლია ტრაპაიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
$A^{IV} - B^{VI}$ ნახევარგამტართა კვლევის განყოფილება		
1.	ომარ დავარაშვილი	- განყოფილების უფროსი
2.	მეგი ენუქაშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	ლარისა ბიჩკოვა	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
ფოტოენერგეტიკის განყოფილება		
1.	ვასილ შველიძე	- განყოფილების გამგე
2.	ჯანო ბურჯანაძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	მიხეილ ელიზბარაშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
4.	ჟორა გაბრიჭიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი

1. სამეცნიერო და სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტების დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების დასახელებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	JnxGa1-xAs-რადიაციულად მდგრადი ეპიტაქსიალური ფენების მიღება კონ-ცენტრაციათა (x) ფართო ინტერვალში და მათი ელექტრო-ფიზიკური თვისება-თა გამოკვლევა. ნახევარგამტართა ფიზიკა, $A^{III}B^{V}$-ტიპის ნაერთები	2018-2020 წლები	თ. ქამუშაძე - პროექტის ხელმძღ. ა. ბერძენიშვილი, ზ. რაზმაძე - ტექნოლოგიური პროცესის მართვა, ქ. ედილაშვილი და რ. შალამბერიძე ფენათა პა-რამეტრების კვლევა

თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები მჭიდრო კავშირშია ახალი თაობის ნახევარგამტარული მასალებისათვის წაყენებული ამოცანების გადაწყვეტასთან. ამ ამოცანებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მასალების რადიაციისადმი მედეგობის გაზრდა.

ჩერნობილის, ფუკუშიამას და სხვა ბირთვული ენერგიის წარმოებისა და მოხმარების ობიექტებზე მომხდარი ავარიების შედეგების მონიტორინგისას წამოჭრილმა პრობლემებმა ცალსახად განსაზღვრეს მეცნიერთა ინტერესი ასეთი მასალებისადმი.

მაღალი ენერგიის ბირთვული ნაწილაკების დაჯახებები ნახევარგამტარის კრისტალურ მესერთან იწვევენ ამ უკანასკნელში სხვადასხვა ტიპის რადიაციული დეფექტების გაჩენას, რომელთა სრული, არა თუ რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი აღწერაც ხშირად შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი გახდა საკითხისადმი ახალი მიდგომა, რათა შევამციროთ რადიაციული დეფექტებით გამოწვეული ეფექტები.

InAs-InP მყარ ხსნარში ჩვენს მიერ ადრე აღმოჩენილი რადიაციული აქცეპტორების და დონორების ურთუერთკომპენსაციის მოვლენა საფუძვლად დაედო რადიაციისადმი მედეგი ნახევარგამტარული მასალების მიღების ახალ ტექნოლოგიას.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ რადიაციისადმი იმუნიტეტი უნდა გააჩნდეს InAs და III-V ტიპის სხვა ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებსაც. სწორედ ასეთი მყარი სხნარების მიღება და კვლევა არის სამეცნიერო პროექტის 2019 წლის ეტაპის მიზანი.

გეგმის შესაბამისად განხორიცელდა შემდეგი სამუშაოები:

ა) ჩოხრალსკის მეთოდით ნახევარგამტარული მონოკრისტალების სხმულების მისაღები დანადგარის C984N1/8-ის (სურათი 1) აღდგენის შემდეგ ჩატარდა სამუშაოები იმის დასადგენად თუ რა პირობებში შევძლებდით მასში აქროლადკომპონენტიანი (As, P) ნახევარგამტარების გაზრდას. დადგინა, რომ ეს შესაძლებელია ფლუსად B_2O_3-ის გამოყენების შემთხვევაში კამერაში ინერტული აირის (ნეონის) 1 ატმ. წნევის პირობებში.

ჩატარდა სამკომპონენტიანი მყარი ხსნარის მიღების რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესი. სურათ 2-ზე ნაჩვენებია ჩვენს დანადგარზე მიღებული InAs-GaAs-ის სხმული;

ბ) შემოწმდა ჩვენს მიერ მოდერნიზებული თხევადფაზური ეპიტაქსიის დანადგარის (სურ. 3) ქმედითუნარიანობა. დადგინდა ღუმელში იზოტემპერატურული პლატოს ადგილმდებარეობა და მისი სიგრძე. ჩატარდა რამდენიმე საკონტროლო ეპიტაქსიური

პროცესი;

გ) შემოწმდა ნახევარგამტართა ელექტროფიზიკური პარამეტრების გამზომი ხელსაწყოს JK7811/CJ-ის მდგომარეობა, ჩატარდა რამდენიმე საკონტროლო გაზომვა.

როგორც იყო აღნიშნული, 2019 წლის კვლევების უმთავრესი ამოცანა იყო $Jn_xGa_{1-x}As$-ის მონოკრისტალური თხელი ფენების მიღება, თხევად ფაზური ეპიტაქსიის მეთოდით, კონცენტრაციათა (x) ფართო ინტერვალში, ასევე მათი ელექტრო-ფიზიკური თვისებების გამოკვლევა, მათ ბაზაზე რადიაციულად მდგრადი სტრუქტურების, მათ შორის მაგნიტური ველის ჰოლის სენსორების, p-n გადასასვლელების და შოტკის ბარიერების შექმნის მიზნით.

ეპიტაქსიურ ფენათა ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების მაღალი სიზუსტით გაზომვებისათვის საფენად ვიყენებდით ნახევრადიზოლირებული გალიუმის არსენიდს (მაღალომიანი მასალა) საფენებს, ვინაიდან დაბალომიანი საფენის შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, ეპიტაქსიურ ფენაში გამავალი დენის ნაწილობრივი დაშუნტვა.

აღნიშნულის გამო ჰოლის მაგნიტური ველის სენოსორისათვისაც ეპიტაქსიურ ფენას ვზრდიდით მაღალომიან საფენზე.

დაბალომიანი p-ტიპის CaAs-ის საფენი გამოყენებული იყო მასზე (p-n) n-ტიპის ეპიტაქსიური ფენის გასაზრდელად.

წარმატებული პროცესის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო $nJn_xGa_{1-x}As$-pGaAs დიოდის მიღება!

ანალოგიურად, დაბალომიან n-ტიპის საფენზე $nJn_xGa_{1-x}As$-pGaAs-ის ეპიტაქსიური ფენის გაზრდით კვლავ $nJn_xGa_{1-x}As$-pGaAs დიოდს ვღებულობთ.


შოტკის ბარიერისათვის კი n-ტიპის საფენზე n-ტიპის, ხოლო p-ტიპის საფენზე, p-ტიპის ეპიტაქსიური ფენების გაზრდა უნდა მოხდეს.

ეპიტაქსიურ ფენათა მიღება ხდებოდა კლასიკური თხევადი ფაზური ეპიტაქსიის ტექნოლოგიით.

საჭირო პარამეტრების მქონე ეპიტაქსიური ფენების მისაღებად, ჩვენს მიერ, ჩატარდა რიგი ექსპერიმენტი, რის შედეგად დადგინდა: ნადნობის შემადგენელი ელემენტების წონითი თანაფარდობები, რომლებიც ექსპერიმენტის პროცესში იხვეწებოდა,

ეპიტაქსიური ფირების ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების (კუთრი წინაღობა; დენის მატარებელთა კონცენტრაცია და ძვრადობა) იზომებოდა ვაწ-დერ-პაუს მეთოდით, ჩვენს მიერ აწყობილ დანადგარზე.

რაც შეეხება გაზრდილ ფენათა გამტარებლობის ტიპს - ვიყენებდით ცხელი ზონდის მეთოდს.



სურ. 1. ნახევარგამტართა მონოკრისტალური სხმულების მისაღები დანადგარი C984N1/2 (ჩოხრალსკის მეთოდი)



სურ. 2. ჩოხრალსკის სტანდარტულ დანადგარზე ჩვენს მიერ გაზრდილი InAs-CaAs მონოკრისტალური სხმული



სურ. 3. თხევადფაზური ეპიტაქსიის ჩვენ მიერ აწყობილი დანადგარი

4. ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა საქართველოში
4.5. სტატიები JSSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, JSSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ ტომი	გამოცემის ადგილი, გამომც.	გვ. რაოდ.
1. 2. 3. 4.	ნ. კეკელიძე ბ. კვირკველია ე. ხუციშვილი თ. ქამუშაძე	ზოგიერთი რადიაციული დეფექტის დახასიათება III-V ნახევარგამტარულ შენაერთებში JSSN-0132-1447	საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის “მოამბე” ტ.13, №2	თბილისი, “მოამბე” 2019 წ.	

ა ნ ო ტ ა ც ი ა

შესწავლილია ჩქარი ნეიტრონებით, მაღალი ენერგიის (50MeV) ელექტრონებით და 3 MeV და 7,5 MeV ენერგიების ელექტრონებით დასხივების ეფექტი n-ტიპის InAs-ის ელექტრულ და ოპტიკურ თვისებებზე. ასევე გამოკვლეულ იქნა ჩქარი ნეიტრონებით დასხივების ზეგავლენა n-ტიპის InP_xAs_{1-x} მყარ ხსნარებზე. დეტალურმა კვლევებმა დაადსტურა InAs-ის უნიკალური რადიაციული თვისებები. დასხივების პირობების, ტემპერატურის და კრისტალების გაზრდის მეთოდისგან და ლეგირების ($1\cdot10^{16}$სმ$^{-3}\div10^{19}$სმ$^{-3}$) ტიპის და ხარისხების დამოუკიდებლად, InAs-ის კრისტალებში ძირითადად წარმოიქმნება რადიაციული დონორები. დადგენილია, რომ InAs-ით მდიდარ InP_xAs_{1-x} მყარი ხსნარები ინარჩუნებენ InAs-ის ნიმუშების ძირითად ელექტრულ და ოპტიკურ თვისებებს. განხილულია რადიაციული პროცესები და დეფექტთწარმოქმნის მექანიზმები InAs-ში და InP_xAs_{1-x} მყარ ხსნარებში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია წერტილოვანი და სხვა ტიპის დეფექტების როლი InP_xAs_{1-x} მყარი სხნარების შემადგენლობის და საწყისი მალეგირებელი მინარევების შერჩევით შესაძლებელია რადიაციულად მდგრადი ელექტრული და ოპტიკური მასალის მიღება.

. ბეჭდვითი პუბლიკაციის გამოცემა უცხოეთში
5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOJ ან JSSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ ტომი	გამოცემის ადგილი, გამომც.	გვ. რაოდ.
1. 2. 3. 4. 5.	ნ. კეკელიძე ე. ხუციშვილი თ. ქამუშაძე წ. ქობულაშვილი ზ. ჩუბინიშვილი	JnCaAs-ის მოცულობითი კრისტალების მიღება პირ-დაპირი შენადნობით DOJ:http://dx.doi.org/10.17628/ecb.	ევროპული ქიმიური ბიულეტენი ტ.8, №6	2019 წ.	188-192

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

$In_{1-x}Ga_xAs$ სამმაგი უწყვეტი ხსნარები გვაძლევენ საშუალებას გადავჭრათ თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნოლოგიების, როგორიცაა მიკრო-, ოპტოელექტრონიკის და ნანოტექნოლოგიის მრავალი პრობლემა. ამ პრობლემების წარმატებული გადაწყვეტილებისთვის საჭიროა მათი მიღება მოცულობითი ფორმით. $In_{1-x}Ga_xAs$ მყარი ხსნარების კომპონენტების უწყვეტი ხსნადობა როგორც მყარ, ისე თხევად მდგომარეობაში გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ ისინი

როგორც (GaAs) და (InAs) 1-x კომპოენენტების ფსევდო ბინარული შენადნობების სისტემა. ეს გვაძლევს საშუალებას ვაწარმოოთ $In_{1-x}Ga_xAs$ მყარი ხსნარები სტაბილური ქიმიური შემადგენლობით InAs და GaAs ნაერთების პირდაპირი შედნობით. დნობის პირობების ზედმიწევნის შერჩევამ მოგვცა საშუალება მიგვეღო $In_{1-x}Ga_xAs$ მყარი ხსნარები InAs-ით მდიდარ სისტემის კუთხეში მონოკრისტალების სხმულების სახით კომპონენტების თანაბარი გადანაწილებით.

6. სამეცნიერო ფორუმებში მუშაობის მონაწილეობა

6.1. საქართველოში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება"

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2. 3. 4. 5. 6.	ლ. მწარიაშვილი ე. თულაშვილი მ. ჩხეიძე ი. ამბოკაძე ბ. კვირკველია ქ. ქამუშაძე	"ნიადაგური რადონის კვლევა" თბილისისა და ქართლის არტეზიულ აუზებში	სტუ, თბილისი, საქართველო, 2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ჩატარებულია ნიადაგური რადონის კვლევა თბილისისა და ქართლის არტეზიულ აუზებში. დადგენილია, რომ ნიადაგური რადონის შემცველობა თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად მაღალია ქართლის აუზთან შედარებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რადგან თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების სისტემა უფრო სუსტადაა განვითარებული ქართლის აუზთან შედარებით, ამიტომ ამ წყლებით გამოწვეული ნიადაგური რადონის მიგრაცია ნიადაგის სიღრმისკენ აქ უფრო შემსუბუქებულია.

	თბილისის საერთაშორისო კონფერენციაზე გატანილი იყო მეორე მოხსენებაც		
1.	თ. ქამუშაძე	“სხვადასხვა სახის ნიადაგის რადიოაქტიურობა საქართველოს დედაქალაქ თბილისის ტერიტორიაზე	სტუ, თბილისი, საქართველო, 2019
2.	ე. თულაშვილი		
3.	ბ. თუთბერიძე		
4.	მ. ახალკაციშვილი		
5.	ლ. მწარიაშვილი		

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია თბილისის ტერიტორიის სხვადასხვა ტიპის ნიადაგის რადიოაქტიურობის კვლევის შედეგები. გამოკვლეულია 65 ნიმუში. მათში იდენტიფიცირებულია 22 რადიონუკლიდი: Th-232-ის ოჯახის 6 რადიონუკლიდი, U-235-ის-6, აგრეთვე K-40, Cs-137 და Be-7. დადგენილია კორელაცია რადიონუკლიდების კონცენტრაციების ცვლილებასა და ტერიტორიის ტექტონურ სტრუქტურას შორის.

№	**გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტების დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების დასახელებით**	**პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**	**პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**
2	მზის ბატარეების მაღალტექნოლოგიური ZnMnTeO/ZnMnTe მასალის მიღება და კვლევა - ნახევარგამტართა ფიზიკა (ფართოზონიანი ნახევარგამტარები)		თ. ბუთხუზი - პროექტის ხელმძღვანელი, მ. შარვაშიძე, ნ. გაფიშვილი, ე. კეკელიძე, ლ. ტრაპაიძე, რსკე - მეთოდით ZnMnTeO - მიღება და ელექტრო-ოპტიკური თვისებების გამოკვლევა

2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

თანამედროვე ოპტოელექტრონული ინდუსტრია დაფუძნებულია ვიწროზონიან ნახევარგამტარებზე, ვინაიდან არსებული ტექნოლოგიები, ამ ეტაპზე არაფექტურად მართავენ ფართოზონიან ნახევარგამტართა თვისებებს.

დღეის მდგომარეობით მზის ბატარეების ყველაზე მაღალი მარგო ქმედების კოეფიციენტი (მქკ) 31% მიღწეულია მულტიშენაერთების მზის ბატარეებში.

თეორიული გათვლებით დადასტურებულია, რომ $A^{III}B^{IV}$ ფართოზონიან ნახევარგამტართა გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მქკ მნიშვნელოვანი გაზრდა (მიჯრით 69%-მდე), რაც ვერ ხერხდება, პირველ რიგში კი ტექნოლოგიური სირთულეების გამო.

მრავალდონიანი აკრძალული ზონის მქონე ZnMnTeO წარმატებით აკმაყოფილებს მაღალი მქკ მქონე მასალაზე წაყენებულ მოთხოვნებს!

ZnMnTeO მასალის მიღება შესაძლებელია ZnMnTe O^+ იონების ჩანერგვით.

ZnMnTe:O სისტემის შთანთქმის ზოლი მოიცავს (0,73; 1,83 და 2,56 ევ) მზის გამოსხივების სპექტრის ვრცელ უბანს, რაც უზრუნველყოფს ამ მასალისაგან, მაღალი მქკ-ის ფოტოგალავნური ხელსაწყოების მიღებას.

ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ x-ის გაზრდა დაახლოებით 0,02-მდე ZnMnTeO-ში გამოიწვევს ზონის გაზრდას E^+ და E^- შორის 1 ევ-მდე და მარგო ქმედების კოეფიციენტ 56% იქნება.

ამრიგად, ძირითადი პრობლემა ZnMnTeO სტრუქტურაში ჟანგბადის კონცენტრაციის გაზრდაში მდგომარეობს.

ჟანგბადით იმპლანტირებული ZnMnTe-ზე ბაზაზე მზის ბატარეების მიღება პრობლემას წარმოადგენს. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ლეგირებული მასალის კრისტალში შეკავებაში მდგომარეობს. ამ პრობლემის გადაჭრა წერტილოვანი პულსური ლაზერით ხდება, რაც ამ მასალის ZnMnTe:O მაღალთვითღირებულებას განაპირობებს. ამიტომ აუცილებელია შემუშავებულ იქნას მეთოდი, რომელიც ჩაანაცვლებს წერტილოვანი პულსური ლაზერისა და ჟანგბადის იმპლანტაციას. შემუშავებული მეთოდი ZnMnTeO ნიმუშში ჟანგბადის კონცენტრაციის კონტროლის პრობლემას გადაჭრის.

ფართოზონიანი ნახევარგამტარების თვისებების ეფექტური მართვის მიზნით ახალი რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის მეთოდი იქნა შემუშავებული. მნიშვნელოვანი განსხვავება რსკე-სა და სხვა ცნობილ მეთოდებს შორის არის შემდეგი: შემუშავებულ ტექნოლოგიაში საფენად (ბაზად) გამოიყენება იგივე ნახევარგამტარული კრისტალი, რომლის ოპტოელექტრული თვისებების რეგულირებაც უნდა მოხდეს.

რსკე საშუალებას გვაძლევს ვარეგულიროთ დეფექტთწარმოქმნის მექანიზმები ფართოზონიან ნახევარგამტარებში და ვმართოთ ნიმუშების ელექტრო-ოპტიკური თვისებები.

რსკე მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ ასევე ZnO კვაზიეპიტაქსიური ფენები II-VI შენაერთების ბაზაზე. განსხვავება რსკე-სა და ცნობილ გაზო-ფაზურ ეპიტაქსიას შორის ისაა, რომ ახალი ფენების წარმოქმნისას, არალითონური კომპონენტი ჟანგბადი დიფუნდირდება გაზური ფაზიდან და ლითონური კომპონენტი ექსტრაგირდება ბაზური კრისტალიდან. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება-ბაზური კრისტალი მოთავსებულია რეაქტორის მაქსიმალური ტემპერატურის არეში. ჟანგბადის რადიკალთა კონცენტრაცია არის დაახლოვებით $_0 \approx 10^{14}$-5_x10^{15}სმ$^{-3}$.

რსკე მეთოდს აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა: ფიქსირებულ ჟანგბადის კონცენტრაციისას შესაძლებელია ვარეგულიროთ ბაზური კრისტალიდან თუთიის ექსტრაგირება ტემპერატურის ვარირების მეშვეობით. რსკე მეთოდით Au-ZnO-ZnS-In სისტემაზე ცისფერი შუქმნათი დიოდი იქნა მიღებული. რსკე მეთოდით ZnO–ს ბაზაზე ულტრა მონოკრისტალური და ულტრამაღალი ხარისხის ZnO-ს ფენები იქნა მიღებული. აღნიშნული ფენების ფოტოლუმინესცენციის სპექტრში დამზერილ იქნა A, B და C თავისუფალი ექსიტონური გამოსხივება, რომელთა დაფიქსირებაც გამოწვეულია კრისტალში პოლარიტონის არსებობასთან.

აღნიშნული შედეგები ადასტურებს რსკე-ს მიმდინარეობისას ფენების წარმოქმნის წარმოდგენილ მექანიზმს.

რსკე-ს აღნიშნული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცხადია, რომ რსკე ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია ZnMnTe ბაზაზე ZnMnTeO მიღება. ახალი ფენების წარმოქნისას ჟანგბადის დიფუზია მოხდება გაზური ფაზიდან და კომპონენტები: Zn, Mn და Te ექსტარგირებული იქნებიან ბაზური კრისტალიდან.

გამოვიკვლიეთ ZnMnTe-ზე მზის გამოსხივების სიმულატორის და სხივების შედეგები. ტესტირებამ აჩვენა, რომ დასხივება ZnMnTe-ის ნიმუშში ძაბვის წარმოქმნას არ იწვევს. ZnMnTe-ის ნიმუში მოთავსებულ იქნა რსკე ტექნოლოგიურ დანადგარში და ჩატარდა რსკე თერმოდამუშავება.

ცდები ჩატარდა $Zn_{0,88}Mn_{0,12}Te$; $Zn_{0,86}Mn_{0,14}Te$ და $Zn_{0,84}Mn_{0,16}Te$ ბაზების გამოყენებით. ტესტირების შედეგად ნაჩვენები იქნა, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით $Zn_{0,86}Mn_{0,14}Te$-ის

ბაზაზე მივიღეთ საუკეთესო თვისებების მქონე ZnMnTeO-ს საფენები. ZnMnTe/ZnMnTeO ნიმუშები მიღებულია რსკე მეთოდის სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით:

2 ნიმუში მივიღეთ T=300^{0}C-ზე (3 სთ. და 4 სთ.) რსკე თერმოდამუშავებით.


2 ნიმუში მივიღეთ T=350^{0}C (3 სთ. და 4 სთ.) რსკე თერმოდამუშავებით.

რსკე თერმოდამუშავებისას p-ტიპის ZnMTe და n-ტიპის ZnMnTeO ფენებს შორის წარმოიქმნება იზოლატორული ფენა.

გამოკვლეულ იქნა რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTeO ფენები. გაზომილ იქნა ფოტოგამტარობა მზის გამოსხივების სიმულატორის (ქსენონის ნათურით 150ვ) გამოყენებით. გაზომვები წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T-300 K).

ნიმუშის ნომერი	ZnMnTeO ნიმუშის ზომა (სმ)	დისტანცია (სმ)	ძაბვა (ვოლტი)	ფოტოდენი დასხივებამდე (მკა)	ფოტოდენი დასხივების შემდეგ (მკა)
1.	0,5x0,5	20	5	50	65
2.	0,5x0,5	20	5	20	30
3.	0,5x0,5	20	5	5	20
4.	0,5x0,5	20	5	15	35

რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO (ნიმუში 4) I-V დამოკიდებულება იქნა გამოკვლეული.



n-ტიპის ZnMnTeO (მიღებული რსკე მეთოდით) და p-ტიპის ZnMnTe-ის ბნელი I-V მახასიათებელი

გაზომვები (ნიმუში მივიღეთ T=300^{0}C 4 სთ. რსკე თერმოდამუშავებით) წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T-300K).

ელექტრული კვლევების შედეგები არის მუდმივი 3 წლის მანძილზე.

რსკე მეთოდის მიმდინარეობისას იქმნება p-i-n გადასასვლელი ZnMnTe/ZnMnTeO ბაზაზე. შედეგმა ცხადჰყო, რომ რსკე მეთოდს შეუძლია მზის ბატარეების ალტერნატიული მასალების მიღების პრობლემა წარმატებით გადაჭრას.

ტესტირებამ აჩვენა, რომ რსკე ტექნოლოგიური დანადგარის სხვადასხვა გამოყენებით შესაძლოა ვარეგულიროთ ჟანგბადის კონცენტრაცია მიღებულ ZnMnTe/ZnMnTeO ნიმუშებში. ამრიგად, ZnMnTeO-ს მიღების ეს ახალი შემოთავაზებული ვერსია გამორიცხავს პულსური ლაზერით გამოწვასა და ჟანგბადით იმპლანტაციის გამოყენებას. რსკე-ს მეთოდის დემონსტრირებული შესაძლებლობები ქმნის ბაზას II-VI ნახევარგამტარებით მზის ბატარეების ალტერნატიული მასალების შესაქმნელად.

ამრიგად, რსკე მეთოდის გამოყენებით გადაიჭრება ZnMnTeO-ს ბაზაზე მზის ბატარეების მასალების წარმოების ზემოხსენებული პრობლემა.

ამ პროექტის შესრულება საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის ელექტრო-ოპტიკური მახასიათებლები.

რსკე მეთოდის გამოყენება ZnMnTeO-ს მომავლის მასალიდან მზის ბატარეების წარმოებისთვის აქტიურად გამოყენებად მასალად აქცევს, რისთვისაც აუცილებელია:

1. დავნერგოთ ახალი და მაღალეფექტური რსკე ტექნოლოგიური მეთოდი, რომელიც მზის ბატარეების ალტერნატიული მასალების ZnMnTe/ZnMnTeO სერიული წარმოების საშუალებას მოგვცემს;

2. მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოვახდინოთ რსკე ტექნოლოგიური დანადგარის მოდერნიზება და ZnMnTe/ZnMnTeO მასალების გამოყენებით გავზარდოთ მზის ბატარეების სიმძლავრის მარგი ქმედების კოეფიციენტი (56%-63%).

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები ადასტურებს რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის მეთოდის უნიკალურობასა და ინოვაციურობას ფართოზონიანი ნახევარგამტარების ბაზაზე მზის ბატარეების ინოვაციური მასალის მიღების თვალსაზრისით.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტების დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების დასახელებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
3	$A^{IV}B^{VI}$ ტიპის ნახევარგამტართა მყარი ხსნარების დაძაბული ნანოფენების მიღება და მათი ფიზიკური თვისებების გამოკვლევა (მე2-ეტაპი) მეცნ. დარგი - ნახევარგამტართა ფიზიკა; ვიწრო-ზონიანი ნახევარგამტარები	2018-2020	ო. დავარაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, მ. ენუქაშვილი და ლ. ბიჩკოვა დაძაბული ნანოფენების მიღება და მათი ფიზიკურ თვისებათა გამოკვლევა

2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ტყვია-სელენიდის დაძაბული მონოკრისტალური ნანოფენების ფორმირების ექსპერიმენტალური შედეგები. ცხელი კედლით, მოლეკულური ეპიტაქსიის მოდიფიცირებული მეთოდის გამოყენებისას.

ფენათა ზრდის ორეტაპიანი პროცესის აღმოჩენასთან ერთად დადგინდა, რომ დაძაბულობის რელაქსაციას, ძირითადში, ადგილი აქვს ფენათა ზრდის მქონე ეტაპზე.

ფენათა სისქის და ზრდის სიჩქარის შემცირება არსებით გავლენას ახდენს მესერის პარამეტრის დეფორმაციის ზრდაზე.

100-200 ნმ სისქმის ფენებისათვის ფენათა ზრდის სიჩქარის გაზრდასთან ერთად, დეფორმაციის ანომალური თავისებურება განპირობებულია არასტექიომეტრიული დეფექტების ღირებულების გაჩენით, ქაოტურად განაწილებულ და მნიშვნელოვანწილად გაზრდილ დისლოკაციათა გარშემო, რომლებიც ეფექტურად ამუხრუჭებენ მათ.

ზეკრიტიკულ სტრუქტურათა რეალიზაციის პროცეს თან სდევს აკრძალული ზონის და ფენებში უარყოფითი წნევების მნიშვნელოვანი ზრდა.

გამოკვლევის შედეგები იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ $A^{IV}B^{VI}$ ნახევარგამტართა მყარი ხსნარების ნანოფენებში დაძაბულობის ორი და უფრო მეტი წლის დროით, შენარჩუნების შემთხვევაში, ისახება განსაკუთრებული შესაძლებლობები

თანმიმდევრულად და მიზანდასახულად ვმართოთ მათი ელექტროფიზიკური თვისებები და განვახორციელოთ ინოვაციური გადაწყობები ახალი თაობის ნახევარგამტარულ ხელსაწყოთა შექმნის მიმართულებით!

ტყვია-სელენიდების მდგრადი ზეკრიტიკული ფენების ფორმირება კი შესაძლებელია მათი ლეგირებით დაბალი რადიუსის მქონე მინარევებით და ფენათა ზრდის სიჩქარის შერჩევით.

ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა ფენებში დრეკადი დეფორმაციის მნიშვნელოვანი გაზრდა და მაღალი "უარყოფითი" წნევების მიღება.

ექსპერიმენტები ამ მიმართულებით გრძელდება.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოთი რეალიზაციას გარკვეულწილად ხელი შეუშალა გაჭიანურებულმა სარემონტო სამუშაოებმა და პროექტში დაკავებულ მეცნიერთა (ო. დავარაშვილი და მ. ენუქაშვილი) მძიმე ავადმყოფობამ!

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტების დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების დასახელებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
4	მევენახეობა-მეღვინეობაში ტრადიცი-ულად გამოყენებული შხამქიმიკატების ჩანაცვლება ოზონირებული წყლით და წყალბადის ზეჟანგით (სოფლის მეურნეობა - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება	2018-2020	ვ. შველიძე - პროექტის ხელმძღვანელი, ჟ. გაბრიჭიძე - საველე ექსპერი-მენტის კოორდინატორი; ჯ. ბურჯანაძე და მ. ელიზბარაშვილი - ოზონგე-ნერატორების კონსტრუირება

2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ა ნ ო ტ ა ც ი ა

დიდი ხანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის კულტურები გადაყვანილია ოზონირებული წყლით და წყალბადის ზეჟანგით დამუშავებაზე (შეწამვლა), ანუ თანამედროვე პესტიციდებისა და შხამქიმიკატების ნაცვლად სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ფართოდ იყენებენ: "ოზონირებულ წყალს" და წყალბადის ზეჟანგის დაბალი კონცენტრაციის ხსნარს, რომლებიც გარდა იმისა, რომ ბევრჯერ ეფექტურია პესტიციდებზე, არიან ეკოლოგიურად სუფთა საშუალებები.

გასულ წელს, ჩვენი, ინსტიტუტის მიერ დამზადებული ოზონოგენერატორებით ჩატარებულ იქნა საველე ინსტიტუტის ვაზის დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ. ოზონირებული წყლით ვაზი დამუშავდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითში სამ ლოკაციაზე, კერძოდ: არჩილ გუნიავას, ამირან ვეფხვაძისა და ბონდო შუკაკიძის ვენახებში. ასევე, ლაგოდეხში ფერმერ თენგიზ გენაშვილისა და ყვარელში ფერმერ მერაბ ბუზალაძის ვენახებში.

ფერმერთა აღიარებით მათ გასულ წლის სეზონზე ვაზი 6-8-ჯერ დაამუშავეს ოზონირებული წყლით და ყველა ლოკაციაზე უკეთესი შედეგი იქნა ნაჩვენები, ვიდრე პესტიციდებით შეწამვლის დროს.

აღნიშნულ ლოკაციებზე მიმდინარე წლის სეზონზედაც გაგრძელდა ექსპერიმენტი, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად, საექსპერიმენტო ფართობი ყველა ლოკაციაზე რამოდენიმეჯერ

გაზარდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერებს საშუალება არ გვაქვს (ვართ უშტატო, ანუ უხელფასო პენსიონერები) ადგილზე ჩავიდეთ და დავაკვირდეთ ექსპერიმენტის მიმდინარეობას, ფერმერთა აღიარებით კი ოზონირებულმა წყალმა ისევ უკეთ დაიცვა ვაზი, ვიდრე ტრადიციულმა შხამქიმიკატებმა.

მიმდინარე წელს უკვე არსებულს დაემატა რამდენიმე ახალი ლოკაცია, კერძოდ: ამბროლაურის მინიციპალიტეტიდან ბესო გოცირიძემ (მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ჩაატარა გამოცდა. კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ლამისყანიდან დავით სოლოღაშვილი, ანდრო ბარნოვი და რეზო აბრამიშვილი გორის მუნიციპალიტეტიდან, დავით საღინაძე და გიორგი გასვიანი ლეჩხუმიდან. შოთა გაბრიჭიძე ჭიათურიდან.

ყველა ფერმერი აღნიშნავს, რომ ოზონირებული წყლით ვაზის შეწამვლა, დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ გაცილებით ეფექტურია, ვიდრე, პესტიციდები, ამავე დროს იძლევა დიდ ეკონომიას, რადგან ერთხელ შეძენილი ოზონო-გენერატორით წლობით შეიძლება უფასოდ შეწამლო ვაზი.

ჩვენი დაკვირვებით ქართველ გლეხს უჭირს, როგორც ოზონო-გენერატორის შეძენა, ისე მისი მოხმარება, რადგან გენერატორის სამუშაოდ ელექტრო ენერგიაა საჭირო, ამიტომ მიმდინარე წელს, ჩვენს მევენახეებს ოზონირებული წყლის პარალელურად შევთავაზეთ წყალბადის ზეჟანგის დაბალ კონცენტრირებული ხსნარით ვაზის შეწამვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებას ფართოდ გამოეხმაურა მომხმარებელი. კერძოდ: მიმდინარე წელს ფართომასშტაბიანი გამოცდა ჩატარდა ქვეყნის 50-ზე მეტ ლოკაციაზე და ექსპერიმენტმა მოიცვა 40 ჰექტარზე მეტი ვენახი. კერძოდ: ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კაკაბეთიდან ემზარ ასურაშვილმა და თემურ მეურნიშვილმა. სოფ. თოხლიაურიდან ემზარ ტაბიძემ და მისმა სამმა მეზობელმა, ასევე რამდენიმე ჰექტარი ვენახი დაამუშავა ფერმერმა რეზო ვაშაყმაძემ. ბოლნისის მუნიციპალიტეტში არჩილ გუნიავამ, დავით გაბრიჭიძემ და ვანო კილაძემ. ვაჟა ოთარაშვილმა კასპის მუნიციპალიტეტიდან. ასევე, ათეულობით მეურნემ ახმეტის, თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებიდან. ნუგზარ ბერძენიშვილმა, მამა დიმიტრიმ და ეროსი ჩუმაშვილმა თბილისიდან. სამ ლოკაციაზე ექსპერიმენტი ჩატარდა ქუთაისშიც.

მიმდინარე წელს რამდენიმე სტატია იქნა გამოქვეყნებული ჟურნალ “აგრარულ საქართველო”-ში, სადაც გაშუქებული იყო ინფორმაცია, როგორც ოზონირებული წყლით, ისე წყალბადის ზეჟანგით სასოფლო სამურნეო კულტურების დამუშავების მეთოდი და დოზები, ასევე, ეს ინფორმაცია რამდენიმეჯერ გავიდა ტელევიზიით და რადიოთი, რის შედეგადაც გაგვიჩნდა ათობით ჩვენთვის უცნობი მიმდევარი (ფერმერი, რომელიც ჩაერთო ჩვენ ექსპერიმენტში).

იმ ინფორმაციით, რომელსაც ადგილიდან ჩვენს ფართომასშტაბიან ექსპერიმენტში მონაწილენი გვაწვდიან, მომავალ წელს მათი მეზობლების სახით ახალი ტექნოლოგიით დაინტერესებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, ამიტომ ვფიქრობთ, ექსპერიმენტში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი, მომავალ წელს ბევრჯერ მეტი იქნება.

მევენახეობა-მეღვინეობაში ოზონირებული წყლის გარდა, დიდი გამოყენება აქვს ოზონაირს, კერძოდ: ის საუკეთესო მადეზინფიცირებელი საშუალებაა, ანუ დაახლოებით 12-ჯერ უფრო ეფექტურია ქლორზე და გოგირდზე, ამიტომ მისი ფართომასშტაბიანი გამოყენება მეღვინეობაში დიდი ეკონომია და დიდი ეკოლოგიაცაა.

გასულ და მიმდინარე წელს ქვეყნის რამდენიმე ლოკაციაზე ჩატარდა ექსპერიმენტი ამ მიმართულებით: ბოლნისში 1,5 ტონა ყურძნის წვენი დადუღების წინ, ნაცვლად გოგირდისა დავამუშავეთ ოზონ-აირით, რომლის მიზანი იყო ვენახიდან ყურძენს შემოყოლილ დაავადებათა კერძოდ: ძმრის ბაქტერიების ინჰიბირება. შედეგად დადუღებულ მაჭარში მქროლავი მჟავეების უმნიშვნელო რაოდენობაც კი აღარ დაფიქსირდა!

აღსანიშნავია, რომ ტკბილის დუღილი მიწისქვეშა სარდაფში დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობდა და როცა მაჭარში ჯერ კიდევ იყო 2%-მდე შაქარი, დუღილი შეწყდა და მაჭარმა დაწმენდა დაიწყო. ჩვენ, მაჭარი დავაოზონირეთ იმ იმედით, რომ ოზონი, მაჭარში ჟანგბადს შეიტანდა, ჟანგბადი კი დუღილის ბაქტერიებს გააქტიურებდა და მაჭარი დუღილს გააგრძელებდა. ჩვენი ვარაუდი გამართლდა. მაჭარმა ორი დღის შემდეგ დუღილი გააგრძელდა და ბოლომდე დაიდუღა. ორი ასეთივე შემთხვევა გვქონდა ზესტაფონში ამირან ვეფხვაძესთან, რომლის ღვინოში მქროლავმა მჟავეებმა მატება დაიწყო, ღვინის დაოზონირების შემდეგ შემოწმებამ დაადასტურა, რომ მქროლავი მჟავეების მომატება, არა მარტო შეჩერდა, არამედ ნორმაზე დაბლა დავიდა.

ჩვენს პუბლიკაციებში, ასევე რადიოთი და ტელევიზიით მევენახეობა-მეღვინეობაში დაკავებულ ფერმერებს ვურჩევთ ყოველგვარი სადეზინფექციო სამუშაოები (მათ შორის ქვევრის) ჩაატარონ ოზონირებული წყლითა და აირით ან წყალბადის ზეჟანგის (1-2) %-იანი ხსნარით და ხმარებიდან ამოიღონ დღემდე გამოყენებული გოგირდი და ქლორი.

როგორც აღინიშნა, მევენახეობაში ორი წელია მიმდინარეობს ვაზის ახალი საშუალებებით დამუშავება. მომავალ წელს მესამე გადამწყვეტი წელი იქნება, რის შემდეგაც ქვეყნის მასშტაბით უნდა გავცეთ რეკომენდაცია მევენახეობა-მეღვინეობაში ოზონისა და წყალბადის ზეჟანგის გამოყენების შესახებ, ამიტომ აუცილებელია მომავალ წელს მოგვეცეს საშუალება ადგილზე დავაკვირდეთ ექსპერიმენტის მიმდინარეობას.

მიმდინარე საანგარიშო წელს ინსტიტუტის ფოტოენერგეტიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მომზადდა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს (საქპატენტს) ოთხი საპატენტო პროექტი, რომელთა რეგისტრაციის ნომრები არის:

1. პროექტი - “კვამლის ნატურალური კონდესატის წარმოების ახალი ხერხი” რეგისტრაციის №AP 2019 15219;
2. პროექტი - “ქვევრის ახალი ფორმა (გაბრაული ფორმის ქვევრი”) რეგისტრაციის №AP 2019 15211;
3. პროექტი - “ნერგის ფესვების სარწყავი იარაღი” რეგისტრაციის №AP 2019 15212;
4. პროექტი - “დიდი ზომის ქვევრების ყალიბში დამზადების ახალი ხერხი” რეგისტრაციის №AP 2019 15232/1.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინდივიდუალურ მეწარმეთა დონეზე ოზონირებული წყლის ფართომასშტაბიან გამოყენებას ხელს უშლის წყალხსნარში ოზონის კონცენტრაციის არამდგრადობა (ერთი საათის შემდეგ მისი კონცენტრაცია წყალში ნახევრდება).

ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ბევრი ქვეყანა მილიონებს ხარჯავს, მაგრამ კონკრეტული შედეგი არ ჩანს.

ჩვენს ინსტიტუტში ეს პრობლემა პრაქტიკულად გადაწყვეტილია, მაგრამ მის დაპატენტებაზე დროებით თავს ვიკავებთ, რადგან ოზონის კონცენტრაციას წყალზე არაპირდაპირი მეთოდებით ვახდენთ, თანამედროვე გამზომი აპარატურის არ ქონის გამო!

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო გამზომი და ტექნოლოგიური აპარატურა, ცალკეული გამონაკლისების გარდა, თსუ-ში წლებია არ განახლებულა!

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. ბელა კვირკველია. ინსტიტუტის დირექტორი. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ მკვლევარი
2. ერემია თულაშვილი. დირექტორის მოადგილე, ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ მკვლევარი
3. გიორგი კეკელიძე. დირექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობის და თანამშრომლობის საკითხებში, უფროსი მეცნიერ მკვლევარი
4. ზაურ ბერიშვილი. ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი
5. მანანა ჩხაიძე. ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
6. ლელა მწარიაშვილი. ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი
7. თამარ ქემაშვილი. ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების ტექნიკური მუშაკი
8. დავით კეკელიძე. რადიაციული ფიზიკის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ მკვლევარი
9. ზაურ კვინიკაძე. რადიაციული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი
10. ელზა ხუციშვილი. რადიაციული ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი
11. ზაზა ტყეშელაშვილი. რადიაციული ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
12. ანზორ ვეფხვაძე. რადიაციული ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
13. ზინაიდა დავითაია. რადიაციული ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
14. ირინა ამბოკაძე. რადიაციული ფიზიკის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი
15. დავით სუმბაძე. რადიაციული ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
16. გულსუნდა ცოტაძე. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
17. ნანა მაჭარაძე. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი
18. ნანა ხიხაძე. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი
19. ნინო ბეკოშვილი. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი
20. მარიამ ელიზბარაშვილი. ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ მკვლევარი
21. კახაბერ ბილაშვილი. ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი
22. გია ქაჯაია. ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ მკვლევარი

23. ლალი ახალბედაშვილი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ მკვლევარი
24. მარინე ალაპიშვილი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
25. იზა დავითულიანი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ მკვლევარი
26. ციალა სარიშვილი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი
27. ზურაბ ჩუბინიშვილი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების მეცნიერ მკვლევარი.

---

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„ნიადაგის და ქანების რადიოაქტივობა ქალაქ თბილისის რეგიონში და მოსახლეობისათვის რადიოლოგიური რისკი“ • 1 - საბუნებისმეტყველო o დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები • 7 - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; 7.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. საგრანტო ხელშეკრულება #217628	2016-2019 წწ.	ე. თულაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი; თ. ჯახუტაშვილი - ჯგუფის ხელმძღვანელი; ბ. თუთბერიძე - ჯგუფის ხელმძღვანელი; მ. ახალკაციშვილი - ძირითადი შემსრულებელი; ლ. მწარიაშვილი - ძირითადი შემსრულებელი.

2019 წლის განმავლობაში შესრულდა პროექტის შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

- შესრულდა დიღმის სინკლინისა და მცხეთის ანტიკლინის არეალში მე-13 - მე-15 ექსპედიციებში აღებული ნიმუშების რადიოაქტივობის კვლევის შედეგების ძირითადი თავისებურებების და კანონზომიერებების დადგენა და სრული ანალიზი;
- შედგენილია და სისტემატიზირებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ნიმუშების აღების საკონტროლო პუნქტების სრული სია (დადგენილია მათი გეოგრაფიული კოორდინატები და პირობითი აღნიშვნები, აღებული ნიმუშების ტიპები და ა.შ.);
- შედგენილია და სისტემატიზირებულია ცხრილის სახით ნიმუშების ტიპების მიხედვით რადიოაქტივობის ძირითადი პარამეტრები - რადიონუკლიდების შედგენილობა და მათი აქტივობის კონცენტრაცია;
- შედგენილია და სისტემატიზირებულია ცხრილის სახით ნიმუშების ტიპების მიხედვით ძირითადი რადიოლოგიური პარამეტრები - რადიუმის ეკვივალენტური აქტივობა, შთანთქმული გარე გამა გამოსხივების სიმძლავრე, წლიური გარე ეფექტური დოზა, წლიური გონადალური დოზა, საშიშროების გარე ინდექსი.
- ქ. თბილისის ტერიტორიაზე აღებული ნიადაგის ნიმუშების კვლევის სრული ანალიზის საფუძველზე გაფორმდა (გეგმით გათვალისწინებული) და დასაბეჭდად გაიგზავნა პუბლიკაცია (მიღებულია და ელოდება გამოცემას);

• მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა და გაკეთდა ორი მოხსენება კონფერენციებზე.			
2	პროექტი YS-2016-74. საქართველოს საბადოებიდან მოპოვებული დარიშხანის გამოყენება 3-5 ნახევარგამტარული ნაერთების მისაღებად. • ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ფიზიკური მეცნიერებები	2016-2019წწ	ნოდარ კეკელიძე -მენტორი ბელა კვირკველია-პროექტის მიმღები
2019 წლის 17-18 იანვარს პროექტის ფარგლებში კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები წარდგენილ იქნა სამეცნიერო ღონისძიებაზე. კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციაზე გამოყენებით რადიაციულ ფიზიკასა და ასტროფიზიკურ პლაზმაში ICARPAP 2019: International Conference on Advanced Radiation Physics and Astrophysical Plasmas. წაკითხულ იქნა მოხსენება რადიაციული ეფექტები და დეფექტები InAs, InP შენაერთებსა და მათ InPxAs1-x ხსნარებში. მიღებულია საერთაშორისო კვლევით კონფერენციაზე დასწრების და პრეზენტაციის სერტიფიკატი. ავტორთა ჯგუფის - ნ.კეკელიძე, ბ.კვირკველია, ე.ხუციშვილი, თ.ქამუშაძე, დ.კეკელიძე, რ.კობაიძე, ზ.ჩუბინიშვილი, ნ.ქობულაშვილი, გ.კეკელიძე მიერ მომზადებული მასალები დაიბეჭდა კონფერენციის თეზისების კრებულში - irc International Research Conference Proceedings, Roma Italy Jan 17-18, 2019. Part V. გვერდები 582-586. პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის - ნ.კეკელიძე, ბ.კვირკველია, ე.ხუციშვილი, დ.კეკელიძე, ზ.ჩუბინიშვილი, გ.კეკელიძე და სხვ. ავტორობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“-ში გამოქვეყნდა სტატია „ზოგიერთი რადიაციული დეფექტის დახასიათება III-V ნახევარგამტარულ შენაერთებში.			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/	სტატიის სათა-ური,	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
1	B. Tutberidze, E. Tulashvili, M. Akhalkatsishvili, L. Mtsariashvili, M. Chkhaidze, I.Ambokadze.	Cesium-137 in the soils in the territory of Tbilisi City (Georgia)	Annals of Agrarian Science	მიღებული, ელოდება გამოცემას	5
მოცემულ სამუშაოში მოყვანილია საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ზოგიერთი რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ნიადაგში ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137-ის შედგენილობის კვლევების შედეგები. აღებული და შესწავლილი იყო ნიადაგის 56 ნიმუში. რადიონუკლიდის Cs-137-ის აქტივობის კონცენტრაცია შესწავლილ ნიმუშებში იცვლებოდა 0.19-დან 118-მდე Bq/kg (საშუალო მნიშვნელობა - 18.7 Bq/kg). შესწავლილია ცეზიუმ-137-ის განაწილების ზოგიერთი თვისება, კერძოდ, ნიადაგის ტიპისა და აღების ლოკაციის მიხედვით.					
2	N. Kekelidze, E. Khutsishvili, T.Qamushadze, N. Kobulashvili, Z. Chubinishvili	Producing of s bulk crystals by direct fusion. DOI: 10.17628/ecb.2019.8.188-192	European Chemical Bulletin, vol. 8(#6), 188-192	Budapest, Hungary უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	5
3	E. Khutsishvili , T. Qamushadze, N. Kobulashvili, Z. Chubinishvili, N. Kekelidze	X-ray phase analysis of impurities in silicon crystals made from metallurgical silicon with directional crystallization. DOI: 10.17628/ecb.2019.8.85-87	European Chemical Bulletin, vol. 8(#3), 85-87, 2019	Budapest, Hungary უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	3
4	*Z. Chubinishvili, R. Kobaidze, E. Khutsishvili, N. Kekelidze*	Numerical calculations of impurity scattering mobility in semiconductors. DOI: 10.17628/ecb.2019.8.19-22	European Chemical Bulletin. vol. 8, #1, 19-22, 2019	Budapest, Hungary უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	4
5	R. Kobaidze, E. Khutsishvili, Z. Chubinishvili, G.Kekelidze	Computation of chemical potential and Fermi- Dirac integrals applied to study the transport phenomena of	European Chemical Bulletin, vol. 8, #9, 307-	Budapest, Hungary უნგრეთის	6

		semiconductors DOI: 10.17628/ecb.2019.8.307-312	312, 2019	მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ლ.ახალბედაშვილი, შ.სიდამონიძე, გ.მაისურაძე, ს.ჯალაღანია	ჩამდინარე წყლების გაწმენდის სორბციული მეთოდები, შესაბამისი ადსორბენტების შერჩევა და აქტივაცია ISSN 1512-0686	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ.19, №1	თბილისი „უნივერსალი“	5 გვ.

წყლის გაწმენდის ყველა ცნობილი მეთოდებიდან სორბციული პროცესი ყველაზე ეფექტურია, კარგად მართვადი და ავტომატიზირებულია დაბალი ფასის, დიზაინის და ექსპლუატაციის სიმარტივის, ტოქსიკური დამაბინძურებლების მიმართ ინერტულობის გამო.

საწარმოო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა სორბენტები, რომლებიც იყოფიან ნახშირბადივან და მინერალურ ადსორბენტებად. პირველს მიეკუთვნებიან აქტიური ნახშირები, ტორფი და სხვა მასალები, რომლებიც მიიღებიან ძირითადად სხვადასხვა ორგანული მასალების გადამუშავებისას, მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან სილიკაგელები, ალუმოგელები, ცეოლითები. ფორიანი სტრუქტურის გაზრდის და რეგულირებისათვის, ზედაპირის ქიმიური ბუნების ცვლილებისათვის არსებობს სორბენტების ქიმიური და ფიზიკური მოდიფიცირების ეფექტური მეთოდების მთელი რიგი. ჩამდინარე წყლების მძიმე მეტალებისგან გაწმენდის პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს მივყევართ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი მინერალები (მათ შორის მოდიფიცირებული) შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ გაწმენდის სისტემებში.

2	N. Kekelidze, B. Kvirkvelia, E. Khutsishvili, T. Qamushadze, D. Kekelidze, R. Kobaidze, Z. Chubinishvili,	Characteristics of some Radiation Defects of 3-5 Semiconductor Compounds. ISSN - 0132 - 1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 13, no. 2, პპ.28-33. 2019	Tbilisi. Georgia	6

	G. Kekelidze, N.Qobulashvili				

შესწავლილია ჩქარი ნეიტრონებით, მაღალი ენერგიის (50MeV) ელექტრონებით და 3MeV და 7,5MeV ენერგიების ელექტრონებით დასხივების ეფექტი n-ტიპის InAs-ის ელექტრულ და ოპტიკურ თვისებებზე. ასევე გამოკვლეულია ჩქარი ნეიტრონებით დასხივების ზეგავლენა n-ტიპის InPxAs1-x მყარ ხსნარებზე. დეტალურმა კვლევებმა დაადასტურა InAs-ის უნიკალური რადიაციული თვისებები. დასხივების პირობების, ტემპერატურის და კრისტალების გაზრდის მეთოდისგან და ლეგირების ($1\cdot10^{16}$სმ-3÷10^{19}სმ$^{-3}$) ტიპის და ხარისხისგან დამოუკიდებლად, InAs-ის კრისტალებში ძირითადად წარმოიქმნება რადიაციული დონორები. დადგენილია, რომ InAs-ით მდიდარ InP_xAs_{1-x} მყარი ხსნარები ინარჩუნებენ InAs-ის ნიმუშების ძირითად ელექტრულ და ოპტიკურ თვისებებს. განხილულია რადიაციული პროცესები და დეფექტთწარმოქმნის მექანიზმები InAs-ში და InP_xAs_{1-x} მყარ ხსნარებში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია წერტილოვანი და სხვა ტიპის დეფექტების როლი. InP_xAs_{1-x} მყარი სხნარების შემადგენლობის და საწყისი მალეგირებელი მინარევების შერჩევით შესაძლებელია რადიაციულად მდგრადი ელექტრული და ოპტიკური მასალის მიღება.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1	N. Kekelidze, T. Jakhutashvili, B. Tutberidze, E. Tulashvili, M. Akhalkatsishvili, L. Mtsariashvili, M. Chkhaidze, I.Ambokadze.	Radionuclides: Properties, Behavior and Potential Health Effects	აშშ, Nova Science Publishers, Inc.	25

მოცემული კვლევის მიზანი იყო ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების განაწილების კვლევა ქანების ნიმუშებში აღმოსავლეთ საქართველოს ორ რეგიონში - მცხეთა-მთიანეთში და შიდა ქართლში. ეს რეგიონები, რომლებიც განლაგებულია ტრანსკავკასიურ მთათაშორის ტერიტორიაზე და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, ხასიათდება რთული გეოლოგიური სტრუქტურით, ხოლო ნიადაგებისა და ქანების რადიოაქტივობა პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. სხვადასხვა ტიპის ქანების 47 ნიმუში ~, მათ შორის მაგმური, დანალექი და მეტამორფული, იყო შესწავლილი გამა-სპექტრომეტრული მეთოდის გამოყენებით. 21-მდე ბუნებრივი რადიონუკლიდი და ერთი ტექნოგენური რადიონუკლიდი Cs-137 იყო იდენტიფიცირებული ამ ნიმუშებში. Th-232 ოჯახის რადიონუკლიდების საშუალო აქტივობის კონცენტრაცია იცვლებოდა 0.39-დან 67.0-მდე Bq/kg, U-238 ოჯახის - მინიმალური დეტექტირებადი აქტივობიდან 93.5-მდე Bq/kg, U-235 ოჯახის - 0.072-დან 4.30-მდე Bq/kg. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა K-40-თვის - 1263 Bq/kg. ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137 აქტივობა დაფიქსირდა რამდენიმე ნიმუშში დიაპაზონში 0.12-დან 6.30-მდე Bq/kg. რადიონუკლიდების განაწილების ზოგიერთი თვისება იყო შესწავლილი, კერძოდ, ქანების ტიპის, ტექტონიკური ზონისა და ასაკის მიხედვით. რადიონუკლიდების აქტივობის რამდენიმე შეფარდება, მათ შორის U-238/U-235, U-238/Th-232, Ra-226/U-238, Pb-210/Ra-226, იყო განხილული, და ჩატარდა შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Л.Ахалбедашвили Г.Тодрадзе, Р.Кваташидзе, Н.Лория, Н.Джанашвили, С.Джалагания	К возможности применения модифицированнь форм клиноптилол очистке воздуха от сернистого газа, **ISSN 3162-2364**	Science of Europe, v.2, NO 45	Praha, Czech Republic Editorial office: Křižíkova 384/101 Karlín, 186 00 Praha	5 გვ.

სამუშაოში წარმოდგენილია მონაცემები SO_2 -ის ადსორბციის შესწავლის შესახებ მოდიფიცირებულ კლინოპთილოლიტზე თემამის საბადოდან, დამუშავებულ სხვადასხვა მეთოდებით. დადგინდა, რომ ადსორბციული მახასიათებლების შეცვლის განმსაზღვრელი ფაქტორია დეალუმინირება, რომელსაც ადგილი აქვს მჟავური დამუშავების დროს. დადგენილია დეალუმინირების ხარისხის დამოკიდებულება მოდიფიკაციის სახეობაზე:

მჟავის კონცენტრაცია, ტემპერატურა, თანაფარდობა სითხე : ადსორბენტი, დამუშავების დრო. SO_2-ის ადსორბციისას დამუშავებული კლინოპთილოლიტის მაქსიმალური ტევადობა მიიღწევა ნიმუშზე 28%-იანი დეალუმინირების ხარისხით და ტოლია 75.8 მგ/გ. დეალუმინირების ხარისხის შემდგომი გაზრდისას ტევადობა მცირდება. ეს ფაქტი აგრეთვე დამოკიდებულია ადსორბციული ცენტრების შემცირებასთან და სტრუქტურის ნაწილობრივ დარღვევასთან. ადსორბციის სითბოს გაანგარიშებული მნიშვნელობა (34 კჯ/მოლ) მიუთითებს SO_2 -ის ადსორბციის ქიმიურ ბუნებაზე.					
2	N. Kekelidze, B. Kvirkvelia, E. Khutsishvili, T. Qamushadze, D. Kekelidze, R. Kobaidze, Z. Chubinishvili, N.Qobulashvili, G. Kekelidze	"Radiation Effects and Defects in InAs, InP Compounds and Their Solid Solutions InP_xAs_{1-x}"	World Academy of Science, Engineering and Technology. International Journal of Physical and Mathematical Sciences. Vol:13, No:1, pp.13-18. 2019	Brussels. Belgium ISSN:1307-6892 Impact Factory 3,5 ISNI:0000000091950263	5
InAs, InP და მათი მყარი InP_xAs_{1-x} ხსნარების საფუძველზე, შემუშავდა ტექნოლოგიები და შეიქმნა მასალები, რომლებშიც ელექტრონების კონცენტრაცია, ოპტიკური და თერმოელექტრული თვისებები არ იცვლება სწრაფი ნეიტრონების $\Phi=2\cdot10^{18}$ ნ/სმ^2 ნაკადით დასხივების, მაღალი ენერგიის ელექტრონებით (50MeV, $\Phi=6\cdot10^{17}$ ნ/სმ^2) და 3MeV ელექტრონების $\Phi=3\cdot10^{18}$e/cm^2 ნაკადით დასხივების შედეგად. გადაწყვეტილია ასეთი მასალის მიღების პრობლემა, რომლის დროსაც ხისტი დასხივების პირობებში ელექტრონების კონცენტრაცია კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ეს მასალა ხასიათდება მაღალი თერმული სტაბილურობით T=700°C-მდე. გაანალიზებულია დეფექტების წარმოქმნის რთული პროცესი და ნაჩვენებია, რომ მძიმე დასხივების მიუხედავად, მიღებული მასალების არსებითი თვისებები ძირითადად განისაზღვრება წერტილოვანი ტიპის დეფექტებით.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. თულაშვილი, ნ. კეკელიძე, ზ. თუთბერიძე, მ. ახალკაციშვილი, ლ. მწარიაშვილი, მ. ჩხაიძე	ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე თელეთის ანტიკლინისა და მამადავითის ანტიკლინის ქანების რადიონუკლიდური შედგენილობა	თსუ-ს მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, თბილისი

2	ლ. მწარიაშვილი, ე. თულაშვილი, ნ. კეკელიძე, გ. გოდერძიშვილი	რადონი ბუნებრივ წყლებში ქ. თბილისის არეალში	თსუ-ს მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, თბილისი
3	E. Tulashvili, B. Tutberidze, M. Akhalkatsishvili, L. Mtsariashvili, M. Chkhaidze, B. Kvirkvelia, T. Kamushadze, I. Ambokadze	Radioactivity of the soils of different types in the territory of the capital of Georgia – Tbilisi City.	სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“, 11-12 ნოემბერი, თბილისი
4	ლ. მწარიაშვილი, ე. თულაშვილი, მ. ჩხაიძე, ი. ამბოკაძე, ბ. კვირკველია, თ. ქამუშაძე, მ. მეცხვარიშვილი	ნიადაგური რადონის კვლევა თბილისის და ქართლის არტეზიულ აუზებში	სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“, 11-12 ნოემბერი, თბილისი
5	N. Gagniashvili, S. Jalaghania, N. Janashvili, L. Akhalbedashvili, R. Kvatashidze, G. Todradze, N. Loria	The Modified Natural Zeolites in Ion exchange. Adsorption of Some Heavy Metals	ივლისი, 2019, ბათუმი
6	ჯალაღანია ს.მ., მაისურაძე გ.ი., ცოტაძე გ., ხუციშვილი ე., ახალბედაშვილი ლ.გ.	დახურული შენობების შიდა ჰაერის ეკოლოგიური მდგომარეობა	11-12ნოემბერი, 2019, თბილისი
7	Джанашвили Н., Ахалбедашвили Л.Г., Лория Н.В., Тодрадзе Г.А.	Изучение возможности очистки мышьяковых отходов посредство природных материалов	11-12ნოემბერი, 2019, თბილისი
8	გაგნიაშვილი ნ.,ახალბედაშვილი ლ.,ლორია ნ.,თოდრაძე გ., კვატაშიძე რ.	მძიმე მეტალების ეკოლოგიურ გამძლეობა, ტოქსიკურობა და ბიოაკუმულაციის უნარი	11-12ნოემბერი, 2019, თბილისი

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Kekelidze, B. Kvirkvelia, E. Khutsishvili, T. Qamushadze, D. Kekelidze, R. Kobaidze, Z. Chubinishvili, N. Qobulashvili, G. Kekelidze	Radiation Effects and Defects in InAs, InP Compounds and Their Solid Solutions InPxAs1-x	17-18 January. 2019, Roma, Italy
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ელიზბარ ნადარაია (კათედრის გამგე), ომარ ფურთუხია, ბესარიონ დოჭვირი, მალხაზ შაშიაშვილი, პეტრე ბაბილუა, ზაზა ხეჩინაშვილი, _

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ო.ფურთუხია	ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები (მეექვსე გამოცემა), ISBN 978-9941-13-817-1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	562 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სახელძღვანელოში სრულად და საფუძლიანად არის გადმოცემული თანამედროვე ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხები. თითოეულ თემას წამძღვარებული აქვს აუცილებველი თეორიული მასალა, შემდეგ მოყვანილია მრავალი საილუსტრაციო და სამოტივაციო მაგალითი ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან, განხილულია მათი გადაწყვეტის მეთოდები და ხერხები. ასევე მოყვანილია ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. სახელმძღვანელოს დართული აქვს ძირითადი და მნიშვნელოვანი ალბათური განაწილების ცხრილები, EXCEL -ის სტატისტიკური ფუნქციების აღწერა და უკანასკნელ პერიოდში თსუ-ში შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე მოტანილი			

ბილეთების ნიმუშები. სახელმძღვანელო შედგენილია თსუ-ში ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**O. Purtukhia**, Z. Zerakidze	Consistent Criteria for Hypotheses Testing, DOI 10.1007/s11253-019-01663-2	Ukrainian Mathematical Journal, September 2019, Volume 71, Issue 4, pp 554–571	New York, Publishing House Springer	18 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შერჩევის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე (სასრული ან უსასრულო რაოდენობა) ურთიერთგამომრიცხავი ჰიპოთეზა თეორიული განაწილების შესახებ, რომელთაგან ერთს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. რამდენიმე ჰიპოთეზიდან ერთი ამორჩევის ამოცანა წყდება სტატისტიკური კრიტერიუმის აგებით. დასკვნები განაწილების შესახებ, როგორც წესი, შეიცავენ გარკვეულ შეცდომებს. სუსტად და ძლიერად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურები შემოღებულ იქნა სკოროხოდის მიერ. მათემატიკური სტატისტიკის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შემოწმების დროს ხშირად ჩნდება ორთოგონალური ან სუსტად განცალებადი ალბათურ ზომათა ოჯახიდან ძლიერად განცალებადი ოჯახზე გადასვლის პრობლემა. 1981 წელს, ე.წ. *ZFC* თეორიაში, სკოროხოდმა დაამტკიცა, რომ თუ კონტინიუმის ჰიპოთეზა სამართლიანია, მაშინ ნებისმიერი კონტინუალური, სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა, ძლიერად განცალებადია. *ZF* თეორიაში კი ზერაკიძემ აჩვენა, რომ ნებისმიერი თვლადი, ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია და რომ ბორელის სუსტად განაცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა, რომლის კარდინალურობა არ აღემატება კონტინიუმს, ძლიერად განცალებადია *ZFC & MA* თეორიაში. მანვე შემოიღო და შეისწავლა ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები. მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია ისეთი სტატისტიკური სტრუქტურები, რომლებიც უშვებენ ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმებს. მიღებულია ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V. Jaoshvili, B. Mamporia, **O. Purtukhia**	Stochastic Integral Representation of Poisson Functionals with an Explicit Form of the Integrand. ISSN = {1512-0066}	ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები, ტომი 33 (2019)	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4 გვერდი
2	B. Mamporia, **O. Purtukhia**	Banach space valued functionals of the Wiener process. ISSN = {1512-0066}	ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები, ტომი 33 (2019)	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4 გვერდი
3	**O. Purtukhia,** Z. Zerakidze	On Consistent Criteria of Hypotheses Testing for Non-separable Complete Metric Space. ISSN = {1512-0082}	Bulletin of TICMI (Tbilisi International Centre of mathematics and Informatics), Volume 23, No. 2, 2019	Tbilisi University Press	12 გვერდი
4	**დოჭვირი ბ.,** ტყემალაძე გ., მახაშვილი ქ.	ეპიდემიის დეტერმინისტული მოდელის შესახებ. ISSN-1512-0287	საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ტომი 89, 2019, გვ. 119-121	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის გამომცემლობა	3 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა, რომ მარტინგალური წარმოდგენის თეორემები (გირსანოვის ზომის შეცვლის თეორემასთან ერთად) მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ფინანსურ მათემატიკაში. კერძოდ, სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში მონაწილე ინტეგრანდის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ევროპული ოფციონების მაჰეჯირებელი სტრატეგიების აგება. კლარკის მიერ ვინერის ფუნქციონალებისათვის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულის მიღების შემდეგ, მრავალი ავტორი ცდილობდა დაედგინა ინტეგრანდის ცხადი სახე და შესაბამისი შედეგები მიღებულ იქნა გარკვეული აზრით გლუვი ფუნქციონალების შემთხვევაში. კონსტრუქციული ინტეგრალური წარმოდგენა დაფუძნებულია მალივენის (სტოქასტური) წარმოებულის ცნებაზე და

ვინერის შემთხვევაში ის ცნობილია, როგორც კლარკ-ოკონეს ფორმულა (ოკონე, 1984), ხოლო ე.წ. ნორმალური მარტინგალის შემთხვევაში -- კლარკ-ჰაუსმან-ოკონეს ფორმულა (მა, პროტერი, მარტინი, 1998). ჩვენ (ფურთუხია, 2003) შემოვიღეთ $D^{M}_{\sim,1}$, $1<\sim<2$ სივრცე და განვაზოგადეთ კლარკ-ჰაუსმან-ოკონეს ფორმულა ფუნქციონალებისთვის ამ კლასიდან. ჩვენს მიერ (ფურთუხია, ჯაოშვილი2005-2008) შემოთავაზებულ იქნა ახალი მიდგომა პუასონის ფუნქციონალების სტოქასტური წარმოებულის განმარტებისთვის და დადგენილ იქნა ინტეგრალური წარმოდგენის ინტეგრანდის ცხადი სახე. ამ ნაშრომში კი დადგენილი იქნა კლარკ-ჰაუსმან-ოკონეს ფორმულაში მონაწილე ინტეგრანდის საძიებელი უფრო მოხერხებული და პრაქტიკული ფორმა პუასონის N პროცესის ფუნქციონალებისათვის. კერძოდ, ზემოაღნიშნულ ინტეგრანდის პირობით მათემატიკურ ლოდინში $\pm$-ალგებრა $\Im^N_{t-}=\pm(\bigcup_{s<t}\Im^N_s)$ შესაძლებელია შეიცვალოს უფრო ბუნებრივი $\pm$-ალგებრით $\Im^N_t=\pm\{N_s, 0\le s\le t\}$, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ პუასონის პროცესის კარგად ცნობილი თვისებები.

2. ჩვენ შევისწავლით ერთგანზომილებიანი ვინერის პროცესის ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე ფუნქციონალების იტოს სტოქასტური ინტეგრალით წარმოდგენის საკითხს. ადრე (2018) განვიხილეთ ეს ამოცანა იმ შემთხვევისთვის, როცა ვინერის პროცესს და ფუნქციონალს ვინერის პროცესიდან ჰქონდათ ერთობლივი გაუსის განაწილება. ეს ამოცანა გარკვეული აზრით იტოს სტოქასტური ინტეგრალის არსებობის ამოცანის შებრუნებული ამოცანაა: აქ ჩვენ გვაქვს სტოქასტური ინტეგრალი როგორც შემთხვევითი ელემენტი და ამოცანაა ვიპოვოთ ინტეგრანდი, როგორც ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე არაწინმსწრები შემთხვევითი პროცესი. ჩვენ განვსაზღვრავთ ფართო კლასის არაწინმსწრები პროცესებისთვის განზოგადოებული სტოქასტური ინტეგრალის ცნებას და ინტეგრანდი პროცესის არსებობის ამოცანა დაგვყავს განზოგადოებული შემთხვევითი ელემენტის დაშლადობის ამოცანაზე.

3. შემთხვევითი პროცესების სტატისტიკა გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში (მაგალითად, თეორიულ ფიზიკაში, გენეტიკაში, ეკონომიკაში, რადიო ფიზიკაში, ...). შემთხვევითი პროცესების, როგორც რეალური მოვლენების მოდელების გამოყენებისას, ჩნდება პროცესის სავარაუდო მახასიათებლების განსაზღვრის საკითხი. ამ მახასიათებლების დასადგენად გამოყენებული უნდა იქნას სტატისტიკური მეთოდები. ზოგჯერ ჩვენ შეზღუდული ვართ მხოლოდ ერთი დაკვირვებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მოვახერხოთ ავთენტურად განსაზღვროთ უცნობი განაწილების პარამეტრების მნიშვნელობები ან საიმედოდ შევარჩიოთ ერთი ჰიპოთეზა განაწილების სახის შესახებ კონკურენტი ჰიპოთეზების უსასრულო რაოდენობიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს პარამეტრის ძალდებული შეფასება ან ჰიპოთეზის შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი. ეს ნაშრომი ეძღვნება ჰიპოთეზის შემოწმების ძალდებული კრიტერიუმის არსებობისა და მათი პოვნის მეთოდების პრობლემატიკას. ნაშრომში ჩვენ განვსაზღვრავთ ჰიპოთეზების შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმებს განცალებადი არასეპარაბელური სრული მეტრიკული სივრცისთვის, ისე, რომ ნებისმიერი სახის შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია მოცემული კრიტერიუმისთვის. მოყვანილია ასეთი კრიტერიუმების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

4. აგებულია გარკვეული ეპიდემიის ინფიცირებულ და არაინფიცირებულ ინდივიდთა რაოდენობის აღმწერი დროზე დამოკიდებული დეტერმინისტული მოდელები. ეს მოდელები მიღებულია ეპიდემიის გავრცელების ალბათური მოდელის გასაშუალოებით და ფაქტობრივად წარმოადგენს ინფიცირებულ და არაინფიცირებულ ინდივიდთა რაოდენობის საპროგნოზო განტოლებებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Babilua P., Nadaraya È.	On a homogeneity test based on kernel estimators for the distribution density 10.1007/s11253-019-01660-5	*Ukraïn. Mat. Zh.* **71** (2019), no. 4, 443--454.	Ukraine	12
2	Babilua P., Nadaraya È.	On a homogeneity criterion based on quadratic deviations between kernel estimates for the distribution density in $p \geq 2$ independent samples. 10.1137/S0040585X97T989234	*Theory Probab. Appl.* **63** (2019), no. 4, 532--544	USA	23

3	**O. Purtukhia**, Z. Zerakidze	Consistent Criteria for Hypotheses Testing, DOI 10.1007/s11253-019-01663-2	Ukrainian Mathematical Journal, September 2019, Volume 71, Issue 4, pp 554–571	New York, Publishing House Springer	18 გვერდი
4	**Z. Khechinashvili**, K. Makhashvili, G. Tkemaladze	On the Autoregression Model of a Multimolecular Chemical Reaction. ISSN 2229-5518	International Journal of Scientific & Engineering Research Volume 10, Issue 10, October-2019.	IJSER in Research & Publication.	3

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აგებულია ერთგვაროვნების კრიტერიუმი დაფუძნებული განაწილების სიმკვრივის არაპარამეტრულ გულოვან შეფასებაზე. შესწავლილია აგებული კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე და ძალდებულობა.

2. აგებულია ერთგვაროვნების კრიტერიუმი დაფუძნებული განაწილების სიმკვრივის არაპარამეტრულ გულოვან შეფასებაზე. ნაპოვნია აგებული კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე პიტმანის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

3. შერჩევის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე (სასრული ან უსასრულო რაოდენობა) ურთიერთგამომრიცხავი ჰიპოთეზა თეორიული განაწილების შესახებ, რომელთაგან ერთს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. რამდენიმე ჰიპოთეზიდან ერთი ამორჩევის ამოცანა წყდება სტატისტიკური კრიტერიუმის აგებით. დასკვნები განაწილების შესახებ, როგორც წესი, შეიცავენ გარკვეულ შეცდომებს. სუსტად და ძლიერად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურები შემოღებულ იქნა სკოროხოდის მიერ. მათემატიკური სტატისტიკის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შემოწმების დროს ხშირად ჩნდება ორთოგონალური ან სუსტად განცალებადი ალბათურ ზომათა ოჯახიდან ძლიერად განცალებადი ოჯახზე გადასვლის პრობლემა. 1981 წელს, ე.წ. *ZFC* თეორიაში, სკოროხოდმა დაამტკიცა, რომ თუ კონტინიუმის ჰიპოთეზა სამართლიანია, მაშინ ნებისმიერი კონტინუალური, სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა, ძლიერად განცალებადია. *ZF* თეორიაში კი ზერაკიძემ აჩვენა, რომ ნებისმიერი თვლადი, ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია და რომ ბორელის სუსტად განაცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა, რომლის კარდინალურობა არ აღემატება კონტინიუმს, ძლიერად განცალებადია *ZFC & MA* თეორიაში. მანვე შემოიღო და შეისწავლა ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები. მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია ისეთი სტატისტიკური სტრუქტურები, რომლებიც უშვებენ ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმებს. მიღებულია ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

4. ქიმიური რეაქციების კინეტიკა შეისწავლის რეაქციის სიჩქარეს. მათემატიკური თეორია დაკავშირებულია დეტერმინისტული და ალბათური მოდელების აგებასთან, რომლებიც აღწერენ ქიმიურ პროცესებს. ეს მოდელები გამოიყენება რეაქციის კინეტიკის შესწავლისთვის. დეტერმინისტული მოდელები აიგება დიფერენციალურ-ინტეგრალური განტოლებების გამოყენებით, ალბათურ მოდელში რეაქციის რეაგენტის ანუ პროდუქტის მოლეკულათა რაოდენობა არის შემთხვევითი სიდიდე და პრობლემა მდგომარეობს მისი განაწილების და რიცხვითი მახასიათებლების პოვნაში. ჩვენს მიერ შესწავლილია მულტიმოლეკულური ქიმიური რეაქციის მოდელი რამოდენიმე რეაგენტით, რომელიც დაიყვანება უნიმოლეცულურ ქიმიურ რეაქციაზე. რეაქციის პროდუქტის პროცესისთვის

განხილულია პირველი რიგის ავტორეგრესიული მოდელი. შეფასებულია რეგრესიის პარამეტრები და გამოთვლილია რეაქციის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია	On the limit distribution of integral square deviation of Walverton—Vagner type estimate	11-15 თებერვალი, 2019, თბილისი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
2	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია	On some goodness-of-fit tests on Walverton—Vagner type estimate	11-15 თებერვალი, 2019, თბილისი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Gheonjian Lev,** Paatashvili Tamar.	Luni-Solar tidal synchronization example as a model approach for thy study of geophysical and	Astronomy & Astrophysics (Caucasus), International Scientific	Samtskhe-Javakheti University Press ISSN 2449-2493	pp. 47-67

		biological phenomena correlation with astronomical cycles ISSN 2449-2493	Journal, V4, 2019.		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რელაქსაციური ოსცილატორების სინქრონიზაციის მოდელი განხილულია სხვადასხვა გეოფიზიკური და ბიოლოგიური მოვლენების ასტრონომიულ ციკლებთან კორელაციის ასახსნელად. ყოველი ასეთი მოვლენისათვის გადამწყვეტია იმ ფიზიკური ცვლადის იდენტიფიცირება, რომელიც განაპირობებს ურთიერთქმედებას და რომელსაც გააჩნია უნარი შეცვალოს თავისი ფაზა და სინქრონიზირებული აღმოჩნდეს გარე ციკლურ მოვლენასთან. გაცილებით უფრო რთულია ურთიერთქმედების სისტემა, რომელშიც ხდება რელაქსატორების სინქრონიზირება, ანუ მოვლენების, რომლებიც აგროვებენ ენერგიას სხვადასხვა დროის განმავლობაში, აღწევენ კრიტიკულ მდგომარეობას, განიმუხტებიან და კვლავ უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას. ასეთებია - მიწისძვრები, ზვავები, ადამიანის სხვადასხვა ავადმყოფობის გართულება-გამწვავება, აგრესიის გამომჟღავნება. ასეთი მოვლენები უეცრად იჩენენ თავს, როდესაც მათთვის დამახასიათებელი დატვირთვის პარამეტრი აღწევს კრიტიკულ ზღვარს. ასეთი ქცევა დამახასიათებელია თვითორგანიზებადი კრიტიკულობის მოვლენისათვის და ნაშრომში ნაჩვენებია რომ დაგროვებული ენერგიის განმუხტვის სინქრონიზირება შესაძლებელია გარე პერიოდული ფაქტორით. რელაქსაციური მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ განმუხტვის მომენტების დროებით მწკვრივებში ჩნდება „ნაპრალები“ - ინტერვალები, რომლებშიც განმუხტვები არ ხდება. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ამ დროითი ნაპრალების სიგანე დამოკიდებულია რელაქსატორის მიერ ენერგიის დაგროვების სიჩქარეზე. მძლავრი რელაქსატორები, რომლებიც ნელა აგროვებენ ენერგიას უფრო ხანგრძლივი ნაპრალებით ხასიათდებიან, და პირიქით - სწრაფი რელაქსატორები უფრო მოკლე ვიწრო ნაპრალებით ან მოდულაციით, რომელიც ჩნდება განმუხტვის მომენტების განაწილებაში. ასეთი განაწილებების ანალიზით შესაძლებელია ასტრონომიული პერიოდულობების, როგორც გლობალური სინქრონიზატორების აღმოჩენა. რელაქსატორების სინქრონიზაციის მოვლენა ნაჩვენებია ლაბორატორულ ექსპერიმენტში. მიდგომა და სინქრონიზაციის მოდელი გამოყენებულია კავკასიის M>6.0 მძლავრი მიწისძვრების ანალიზისათვის. გამოვლენილია მიმოქცევითი სინქრონიზაციის მოვლენა მიმოქცევის ისეთი კომპონენტებით, რომლებსაც გააცნიათ მკაფიო ასტრონომიული შინაარსი - დედამიწის, მთვარის და მზის ურთიერთმდებარეობა და მათი ორბიტალური მოძრაობა. განხილული ლაბორატორული მოდელი და მიწისძვრების მიმოქცევითი სინქრონიზაციის მოდელი შემოთავაზებულია როგორც მიდგომა სხვა ტიპის თვითორგანიზებადი მოვლენების რელაქსატორების სინქრონიზაციის კვლევისათვის.

2	**Gheonjian Lev, Paatashvili Tamar, Oragvelidze Mariam, Tsotskolauri Pavle.**	**Tbilisi State University Extremely Low Frequency Radiation Research Net (ELFTSU Net)**	Proceedings of International Scientific Conference Natural Disasters in Georgia: Monitoring, Prevention, Mitigation, Tbilisi, December 12-14, 2019.	www.press.tsu.edu.ge	pp.163-166

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შექმნილია ახალი ინსტრუმენტი ექსტრემალურად დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ***(ELF, 300–3000 Hz)*** დასაკვირვებლად მოვლენებში, რომლებიც ასოციირებულია სეისმიური აქტიურობის წყაროებთან. მკვეთრად გაუმჯობესებულია ხელსაწყოს კონსტრუქცია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა აბასთუმნის ასტროფიზიკულ ობსერვატორიაში და იძლეოდა მიწისძვლერის ელექტრომაგნიტური წინამორბედების რეგისტრირების საშუალებას. ნაჩვენებია დაკვირვების სიხშირის შერჩევის უპირატესობა იონოსფეროს კრიტიკული სიხშირის ქვემოდ. მსგავს ხელსაწყოთა მკვრივი ქსელის ორგანიზება კავკასიის რეგიონში იძლევა საშუალებას დავაკვირდეთ ტექტონიკური რღვევების მდგომარეობას. ასეთუ მიდგომით კავკასიის მიწისძვრები შეისწავლება როგორც რღვევების თვითორგანიზებადი კრიტიკულობის მოვლენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტრემალურად დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების დაკვირვებითი ქსელი – Tbilisi State University Extremely Low Frequency Radiation Research Net (ELFTSU Net), არის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სპეციალობის სტუდენტური პროექტი. სტუდენტურმა ექსპედიციამ განახორციელა გაზომვები ქსელის პირველი სადგურების სავარაუდო ადგილებში. საინტერესო აღმოჩნდა ამ დაკვირვებების შედარება თბილისის დაბალსიხშირიან ელექტრომაგნიტურ ფონთან. ქსელის ორგანიზების განხორციელებისათვის შემუშავებულია სადგურის მოდულური კონსტრუქცია, რომელიც იძლევა სხვადასხვა კონფიგურაციის სადგურების შექმნის საშუალებას. კონფიგურაციები განსხვავდებიან უწყვეტი ავტონომიური მუშაობის რესურსით, გამაძლიერებლების მახასიათებლებით და ინფორმაციის შენახვა-გადაცემა-ანალიზის მიდგომით. სადაზვერვა-საექსპედიციო სადგური გამარტივებულ კონფიგურაციას იყენებს და ერთი კვირის მუშაობის კვების რესურსს იყენებს. ქსელის გაგურის მუშაობა ერთ წლიან რესურსს ითვალისწინებს მზის მინი ელექტროსადგურის გამოყენებით. მას შეუძლია დააგროვოს და გადასცეს მონაცემები, მკვეთრად გაუმჯობესებულია ელექტრონიკის საკუთარი ხმაურების მაჩვენებლები.

.

3	Oragvelidze Mariam, **Gheonjian Lev,** Paatashvili Tamar.	Laboratory Model of Self-organized Criticality Parametric Modulation and the Results for Application in Seismology	Proceedings of International Scientific Conference Natural Disasters in Georgia: Monitoring, Prevention, Mitigation, Tbilisi, December 12-14, 2019.	www.press.tsu.edu.ge	pp.54-57

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი წარმოადგენს თვითორგანიზებადი კრიტიკულობის მოვლენის სინქრონიზაციის ლაბორატორიულ მოდელს. ამ მოდელს ეყრდნომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტრემალურად დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების მონიტორინგის ქსელი - *Tbilisi State University ELF network for Caucasus and Anatolian-Iranian Plateau tectonic faults system*. მოდელზე ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია თვითორგანიზებადი კრიტიკულობის მოვლენების სინქრონიზირება და მათსი მონაწილე რელაქსატორების განმუხტვის დროითი ინტერვალების პროგნოზირება. ასეთი ქცევა დამახასიათებელია კავკასიის სეისმიურობისათვის და ტექტონიკური რღვევების სისტემის თვითორგანიზებისათვის. სინქრონიზირება ხდება მყარი დედამიწის მიმოქცევითი მოვლენებით და ამ მომოქცევების ქცევას უნდა იყენებდეს და ითვალისწინებდეს მომავალი დაკვირვებითი ქსელი მონაცემების დამუშავებისას და ინტერპრეტირებისას.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**T.A. Gavasheli** G.I. Mamniashvili **Z.G. Shermadini** T.I. Zedginidze T.G.Petriashvili T.O. Gegeckori M.V. Janjalia	Investigation of the pinning and mobility of domain walls in cobalt micro- and nanowires by the nuclear spin echo method under the additional influence of a magnetic video pulse https://doi.org/10.1016/j.jmmm.2019.166310 ISSN: 0304-8853	**Journal of Magnetism and Magnetic Materials (2019)** Received Date:15 November 2019Accepted Date:12 December 2019	2019 Published by Elsevier B.V	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ელექტროლიზური დაფენის ტექნოლოგიის გამოყენებით სინთეზირებული მაგნიტური კობალტის მიკრომავების დომენური კედლის დინამიკა შესწავლილია ^{59}Co ბირთვის მაგნიტური რეზონანსის ექოს მეთოდით. ^{59}Co ბირთვები განთავსებულია კობალტის FCC ფაზის დომენის ცენტრებში, დამატებითი მაგნიტური ვიდეო პულსის გავლენის ქვეშ. გაზომილი ექო სიგნალის ინტენსივობის დამოკიდებულება მაგნიტური ვიდეო იმპულსის ამპლიტუდაზე საშუალებას იძლევა შეფასდეს მიკრო და ნანოზომის მაფებში დომენის კედლების პინინგი და მობილურობა, ანისოტროპიის ეფექტი ნიმუშის ბრუნვის დროს, რომელიც შეიცავს ტრანსვერსიულად პოლარიზებულ მაგნიტურ ველს. ეს კი თავის მხრივ ველში მოძრავი დომენური კედლის ტიპის დადგენა შესაძლებლობას იძლევა.

კვლევები მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის & უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის მიერ (SRNSFG & STCU) დაფინანსებული მიზნობრივი გრანტით # STCU2017-31.

2	G.I. Mamniashvili, T.O. Gegechkori, **T.A. Gavasheli**	**The impact of a low-frequency magnetic field on the properties of the main and additional echo signals in manganese ferrite** https://doi.org/10.1063/1.5111309	**Low Temperature Physics 45, 795 (2019);** https://aip.scitation.org/doi/full/10.1063/1.5111309	Published Online: 23 July 2019, т. 45, № 7, с. 928–937	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ექსპერიმენტულად გამოკვლეულ იქნა ჰელიუმის ტემპერატურის პირობებში MnxFe2 - xO4 სისტემაში დამატებითი ექო სიგნალის ფორმირების თვისებები, რომელთა მექანიზმი განსხვავდება კლასიკური ხანის მექანიზმისგან. აღმოჩნდა, რომ MnxFe2 - xO4 სისტემაში, დამატებითი ექოს მაქსიმალური ინტენსივობა შეესაბამება ფერიტს, რომელიც ხასიათდება მინიმალური მაგნიტოკრისტალური ანისოტროპიით.

მაგნიტური ველის დაბალსიხშირული ზემოქმედების მეთოდის გამოყენებამ განაპირობა მანგანუმის ფერიტში ძირითადი და დამატებითი ექო სიგნალების ცვლილების კორელაციის

ეფექტის აღმოჩენა, რაც მიუთითებს მათ შიდასტრუქტურულ წარმოშობაზე, რაც ეწინააღმდეგება მანგანუმის ფერიტში NMR სპექტრის კარგად ცნობილ ინტერპრეტაციებს. აღმოჩენილი ეფექტი შეიძლება განპირობებული იყოს დაბალი სიხშირის მაგნიტური ველის გავლენით დომენური კედლის გადაადგილების პროცესით იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც შეესაბამება მის ცენტრში განსაზღვრული პოტენციალის მინიმუმს.

კვლევები მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის & უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის მიერ (SRNSFG & STCU) დაფინანსებული მიზნობრივი გრანტით # STCU2017-31.

3.	Jimsher Aneli1, **Tsisana Gavasheli**, Tatiana Gegechkori, Grigor Mamniashvili	**SELF-ASSEMBLY PROCESSES OF THE MAGNETIC POLYMER NANOCOMPOSITES IN MAGNETIC FIELDS** https://doi.org/10.23939/	**CHEMISTRY & CHEMICAL TECHNOLOGY**	Vol. 13, No. 2, pp. 185–189	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ექსპერიმენტულად გამოკვლეულ იქნა თვითორგანიზების პროცესები ნახშირბადის საფუძველზე შექმნილ მაგნიტურ პოლიმერულ ნანოკომპოზიტებში, რომლებიც კობალტის ნანოკლასტერებით დოპირებული. ნანოკომპოზიტები სინთეზირებულ იქნა უნიკალური CVD- ს მეთოდით, რომელიც ავტორების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიაა და ეფუძნება კომბინირებული პირობებში მაგნიტური ველის ეფექტს და გათბობის ეფექტს. ამ პროცესებისას ადგილი აქვს მაგნიტური ნანონაწილაკების დიფუზიას, რაც სტიმულირდება გარე მაგნიტური ველით და გახურების ერთობლივი მოქმედებითსტაბილური ერთობლივი. მიღებულ მაგნიტურ პოლიმერულ ნანოკომპოზიტებს აქვთ კარგი ელექტრული და ადგეზიური თვისებები და პერსპექტივა პრაქტიკული გამოყენებისათვის მაგნიტოელექტრონიკაში.განხორციელებული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზი და ამ სინთეზის საფუძველზე შექმნილი თვითაღმდგენი მაგნიტური პოლიმერული ნანოკომპოზიტური ნიმუშების მაგნიტომეტრული და ბმრ შესწავლა. მიზნის მისაღწევად მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზის პროცესისათვის განვითარდა ფერომაგნიტური კლასტერებით დოპირებული მაგნიტური ნახშირბადის ნანონაწილაკების სინთეზირების ტექნოლოგია, რომელიც აერთიანებს ეთანოლის ორთქლის პიროლიზის მეთოდს და ორთქლის ქიმიური დალექვის მეთოდს. განხორციელდა კლასტერული ნანოფხვნილების მიღება და მიღებული ნანოფხვნილების მაგნიტური და სტრუქტურული შესწავლა. პოლიმერულ კომპოზიტებში ნანონაწილაკების თვითორგანიზების გამოკვლევისთვის საჭიროა ნანონაწილაკების დიფუზიის პროცესების გაგება. როგორც ცნობილია, ნანონაწილაკები ჩვეულებრივ კომპოზიტებში, პოლიმერული ნანოკომპოზიტებისაგან (პნკ) განსხვავებით, არსებითად უმოძრაონი არიან, განსაკუთრებით გამინების ტემპერატურის (Tg) ზემოდ. გარდა ამისა, ნანონაწილაკების დიფუზიური პროცესების ცოდნა მნიშვნელოვანია თვითაღმდგენი მასალების განვითარებისათვის და დანაფარებისათვის, სადაც ნანონაწილაკები მიგრირებენ სხვადასხვა დეფექტური ადგილებისკენ. კობალტის მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებულ ნახშირბადის ნანონაწილაკების დიფუზიური პროცესების შესასწავლად დამზადდა პოლიმერული ნიმუშების სერიები. შესწავლილ იქნა C+Co ნანონაწილაკების დიფუზიის პროცესი სუფთა

ფირთან გამყოფი ზედაპირის გავლით სხვადასხვა ზემოქმედებისას: ტემპერატურის, მუდმივი მაგნიტური ველის, ცვლადი მაგნიტური ველის და მათი კომბინაციებისთვის, რის ხარჯზეც მოხდა დამზადებული ნიმუშების თვისებების მიხედვით დახარისხება თვითაღდგენის პროცესის გათვალისწინებით. გამოირკვა, რომ ნანონაწილეკების საუკეთესო დიფუზია და კომპოზიტის ფირის საუკეთესო ადგეზია მიიღება ტემპერატურის, მუდმივი და მაგნიტური ველების კომბინირებული ზემოქმედებისას. პოლიმერული კომპოზიტურ ნიუმუშს აქვს კარგი ელექტრული და ადგეზიური თვისებები და წარმოადგენს პერსპექტიულ მასალას პოტენციური პრაქტიკული გამოყენებისათვის.

4.	**Gavasheli T.,** Mamniashvili G., Nadareishvili M., Zedginidze T.	**Electroless technology for production of cobalt magnetic and photocatalytic nanopowders and nanowires**	**TechConnect Briefs** ISBN: 978-0-9988782-8-7	Journal: TechConnect Briefs Volume: TechConnect Briefs 2019 Published: June 17, 2019 Pages: 42 – 45	4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ამ შრომაში Co ნანონაწილაკები და ნანოძაფები ასევე TiO_2 მიკრო და ნანოფხვნილი, რომელიც დაფარულია Co ნანოკლასტერებით, მიღებულია ორიგინალური ქიმიური დაფენის მეთოდით. Co ნანოკლასტერების მაგნეტიზმი ნანონაწილაკებში და ნანოძაფებში , ასევე TiO_2 მარცლების ზედაპირებზე შესწავლილია რეზონანსული მაგნიტომეტრიის და ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდებით. ოპტიკური სპექტროსკოპიით შესწავლამ აჩვენა, რომ Co ნანოკლასტერებით დაფარული TiO_2 სინათლის შთანთქმის ინტენსივობა საგრძნობლად იზრდებაიმ შემთხვევასთან შედარებით, როცა TiO_2 არ შეიცავს Co ნანოკლასტერებს. TiO_2 / Co მაგნიტური თვისებები შესწავლილია ეპრ სპექტროსკოპიის მეთოდით. ექსპერიმენტულად ნაჩვენებია რომ გარდამავალი მეტალების ნანოკლასეტებით დოპირება საგრძნობლად ზრდის ფოტოკატალიზის ეფექტურობას.

5.	L. Kvinikadze, **G. Ghvedashvili,** A. Kukulava, T. Gogua, T. Tsitlanadze, **T. Gavasheli**	**THE ADMINISTRATIVE CHALLENGES OF POLICY MAKING FOR ESTIMATION OF FACULTY PERFORMANCE ACCOUNTABILITY** ISBN: 978-84-09-14755-7 ISSN: 2340-1095 doi: 10.21125/iceri.2019.0221	**ICERI2019 Proceedings** 12th annual International Conference of Education, Research and Innovation Dates: 11-13 November, 2019 Location: Seville, Spain	**2019** Pages 702-712	10 Pages 702-712

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დღესდღეობით, გლობალიზაცია ყველა სფეროში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონკურენტუნარიანობას, რაც შემდგომში გამოიწვევს შესაბამისი ინდიკატორების საჭიროებას კონკრეტული მიღწევების გაზომვისა და შედარების მიზნით. ამ თვალსაზრისით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების) წარმომადგენლები მოტივირებულნი არიან შეცვალონ თავიანი პოლიტიკა თანამედროვე პროცესებზე სწაფი რეაგირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგების სისტემებს თავისთავად აქვთ სადავო თვალსაზრისები, მსოფლიო უნივერსიტეტები, განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით, პატივს მიაგებენ ზოგად ტენდენციას, რადგან საერთაშორისო შედარების მეტრიკა განსაზღვრავს ამგვარი ორგანიზაციების რეპუტაციას და მიმზიდველობას.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აკადემიური საქმიანობის სისტემატურმა ანალიზმა გამოავლინა გარკვეული სფეროები, რომელთაც მხარდაჭერა და განახლება სჭირდებათ. იმის გამო, რომ უნივერსიტეტის პროფესორს აქვს სამმხრივი მისია: ასწავლოს, განახორციელოს კვლევა და საზოგადოებას გაუწიოს მომსახურება, თსუ-ს ესაჭიროება განსაზღვროს პროპორციული დატვირთვა კონკრეტული პროფესორის თანამდებობისათვის, ანაზღაურების მიღების და უნივერსიტეტის მოლოდინების გამართლების მიზნით.

თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების (DSR & D) და იურიდიული დეპარტამენტმა მჭიდრო თანამშრომლობით და ერთობლივი ძალისხმევით, შეიმუშავეს სამეცნიერო საქმიანობის მინიმალური მოთხოვნები, რომლის თანახმად, პერსონალმა უნდა შექმნას მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციები და ინტენსიურად მიიღოს მონაწილეობა დაფინანსებულ პროექტებში. საერთო შედეგები იმოქმედებს მთელი ინსტიტუტის პოზიციების გაუმჯობესებაზე. დადგენილია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტების კლასიფიკაცია, თითოეული პროდუქტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით. წლის ბოლოსთვის, პროფესორის შესაბამისი თანამდებობის მქონე პირმა უნდა დააგროვოს სავალდებულო 100 ქულა სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კატალოგიდან, რომელიც შესაბამისობაშია სპეციფიკურ თანამდებობასთან. ფაკულტეტებს შორის ინფორმირებულობამ უკვე აჩვენა პოზიტიური ტენდენცია კვლევის ინტერნაციონალიზაციისაკენ.

კვლევა თვისობრივია და მოიცავს ორგანიზაციული სტრუქტურების შედარებას, დაკვირვებას და ანალიზს თსუ-ს, გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სპეერის (გერმანია) და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) მიმართ. ჩატარებული კვლევის პროცედურები გულისხმობს მასპინძელი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და დისკუსიების დროს მიღებული ინფორმაციის და გამოცდილების დამუშავებას და ონლაინ და გამოქვეყნებული მასალების ანალიზს.

მიმდინარე სტატიაში ნათქვამია, რომ კვლევის შედეგების მტკიცებულებების გამოყენება უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ზოგადად, პრაქტიკაში სწავლების შეფასების კომპონენტი.

6.	**D. Kakulia,**	**Modeling of Soil's Cavity EM Response"**		**2019**	3

	G. Ghvedashvili, L. Shoshiashvili		**Proceedings of 2019 XXIVth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory, DIPED,**	**Pages 157-159.**	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში მოცემულია კომპიუტერული მოდელირების შედეგები დამხმარე წყაროების მეთოდის საფუძველზე. განხილულია ნიადაგში სიღრუის EM- ის გამოძახილი, ფართო სიხშირულ დიაპაზონში, ნიადაგის ელექტრული გამტარობის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. კვლევა დაკავშირებულია EM ზემოქმედებით ქვეით საწინააღმდეგო პლასტიკური ნაღმების გამოვლენის შესაძლებლობების დადგენასთან.

7.	G. Kajaia, K. Tavzarashvili, **G. Ghvedashvili.**	**Shelled Plasmonic Nanostructures”**	**Proceedings of 2019 XXIVth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory, DIPED,**	**2019 Pages 181-184**	3

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პლაზმური სტრუქტურები დიდ ინტერესს იწვევს, მისი განსაკუთრებული თვისებებით ტალღის სიგრძეზე მცირე მანძლებზე. ისინი მიმზიდველია სხვადასხვა აპლიკაციისთვის, როგორიცაა სენსორები, ახლომდებარე მიკროსკოპიისავის, გაძლიერებული რამანის სპექტროსკოპია და ა.შ. ოპტიკური სიხშირეების დროს, მეტალები მოქმედებენ როგორც დიელექტრიკები უარყოფითი გამტარიანობით, კარგავენ გამტარობას და ხდებიან დისპერსიული და მგრძნობიარე. პლაზმური სტრუქტურები არის დისპერსიული მასალები, რომელთაც აქვთ რთული სიხშირული გამოძახილი, ამიტომ უფრო მოსახერხებელია ელექტრომაგნიტური პროცესების სიმულაცია რიცხვითი მეთოდების გამოყენებით. ამ სტატიაში დამხმარე წყაროების მეთოდი წარმოდგენილია, როგორც სიმულაციისათვის რიცხვითი ტექნიკა. MAS არის ელექტრომაგნიტური ველების სიხშირის დომენის გამხსნელი, რომელსაც ნაკლები კომპიუტერული რესურსი სჭირდება, ვიდრე სხვა ციფრული მეთოდებს.

8	S Holenstein, J Stahl, **Z Shermadini,** G Simutis, V Grinenko, DA Chareev, R Khasanov, J-C Orain, A Amato,	Extended Magnetic Dome Induced by Low Pressures in Superconducting F eSe1–xSx	**Phys. Rev. Lett.** 123, **147001** DOI:https://doi.org/10.1103/Phys RevLett.123.147001	2019	10

	H-H Klauss, E Morenzoni, D Johrendt, H Luetkens	DOI:https://doi.org/10.1103/PhysRevLett.123.147001			
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მიუონის სპინის სპექტროსკოპიის და დამაგნიტების გაზომვების მეთოდებით გამოვიკვლიეთ Fe 1+ δ Se 1− x S x ზეგამტარების სერია ზემაღალი წნევის ქვეშ. 0.6 გპა წნევაზე ზემოთ მოცემულ ნიმუშებში ვხვდებით ზეგამტარული მდგომეარეობის მიკროსკოპულ თანაარსებობას მაგნიტურ მოწესრიგებასთან. მაგნიტიზმი ატომური მასშტაბის დონეზე კონკურენციას უწევს ზეგამტარობას, რაც იწვევს კრიტიკული ტემპერატურის მინიმუმამდე და მაქსიმუმადე ცვლილებას. კრიტიკული ტემპერატურის მაქსიმუმი ემთხვევა მაგნიტური მოწესრიგების დასაწყის ფაზურ დიაგრამაზე. შესწავლილ იქნა ნიმუშების სერია და აგებულ იქნა ფაზური დიაგრამა ზეგამტარობის და მაგნეტიზმის თანაარსებობის შესახებ.					
9	Ola Kenji Forslund, Daniel Andreica, Yasmine Sassa, Hiroshi Nozaki, Izumi Umegaki, Elisabetta Nocerino, Viktor Jonsson, Oscar Tjernberg, Zurab Guguchia, **Zurab Shermadini,** Rustem Khasanov, Masahiko Isobe, Hidenori Takagi, Yutaka Ueda, Jun Sugiyama, Martin Månsson	Magnetic phase diagram of $K_2Cr_8O_{16}$ clarified by high-pressure muon spin spectroscopy DOI: https://doi.org/10.1038/s41598-018-37844-5	*Scientific Reports* volume **9**, Article number: 1141 (2019) DOI: https://doi.org/10.1038/s41598-018-37844-5	2019	10
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) K2Cr8O16 ნაერთი მიეკუთვნება კვაზი-1D ნაერთების სერიას, რომლებიც სტაბილიზირებულია მაღალი წნევის სინთეზის საშუალებით. ამ შრომაში აღწერილა მიუონის სპინის სპექტროსკოპიის მეთოდით და ზემაღალი წნევის პირობებში გამოკვლეული ნიმუშები. მოუონის სპექტროსკოპია (μ + SR) საშუალებას იძლევა გაიზომოს ნიმუშები ნამდვილ ნულოვან მაგნიტურ ველში და შედეგად ნათელი მოეფინოს ნივთიერების ზოგიერთ მიკროსკოპულ თვისებებს. ამ კვლევით უფრო დაზუსტებული ფაზური დიაგრამა იქნა აგებული და გაფართოვდა წნევის ფაზაც. ნიმუშებმა აჩვენეს კრიტიკული ფაზური გადასვლა 12 კილობარზე ფერომაგნიტური იზოლატორიდან ანტიფერომაგნიტურ იზოლატორზე. მოცემული კვლევა მიუთითებს ასევე კვანტური კრიტიუკული წერტილის არსებობის შესაძლებლობას მიახლოებით 33 კილობარის მახლობლად, სადაც მაგნიტური მოწესრიგება მოსალოდნელია სრულიად ჩაიხშოს 0 კელვინზეც კი.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ც. გავაშელი**	**“მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადის ნანონაწილაკების ველში თვითორგანიზების მაგნიტომეტრული და ბმრ შესწავლა”** http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5abfb6c1965Gavasheli__abstract_(GEO)_2019.pdf	2019, 11-15 თებერვალი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
2.	**ლ. გეონჯიანი**	**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტრემალურად დაბალი სიხშირის გამოსხივების კვლევითი ქსელი (ELFTSU Net): პროექტის STEM საგანმანათლებლო მიდგომის ასპექტები“** http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5499915c993Lev_Gheonjian_Geo.pdf	2019, 11-15 თებერვალი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
3.	**ლ. შოშიაშვილი**	**„GeoTex ქარ თული ენის მხარდამჭერი პაკეტის განვითარება“** http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5f0d7fbbb2danot_shoshiashvili_geo.pdf	2019, 11-15 თებერვალი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და

			საბუნებისმეტყველო მეცნიერებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
4.	**დ. კაკულია**	**„მიწის ზედაპირს ქვეშ ობიექტების დეტექტირება ელექტრომაგნიტური სენსორებით“** http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5f23ad65768dkakulia_2019_geo.pdf	2019, 11-15 თებერვალი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში http://conference.ens-2019.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Tsisana Gavasheli**	**Electroless Technology for Production of Cobalt Magnetic and Photocatalytic Nanopowders and Nanowires** https://techconnectworld.com/World2019/search.html?action=search&q=Gavasheli	2019 TechConnect World Innovation Conference & Expo June 17-19, 2019 Hynes Convention Center Boston, Massachusetts, U.S.A.
2.	**Tsisana Gavasheli**	**Technology for fabrication of polymer magnetic nanocomposites possessing good conductivity, self-healing and adhesion properties** http://emnmeeting.org/2019-carbon-nanostructures/	EMN (Energy /Materials /Nanotechnology) Roma Meeting on Carbon Nanostructures 2019 May 13 to 17, 2019 in Roma, Italy
3.	**Giorgi Ghvedashvili**	**EAC Institutional Representation Orientation**	2019 ABET July Commission Meetings

			17-20.07.2019
4.	**Giorgi Ghvedashvili** **Tsisana Gavasheli**	**2019 ABET Symposium: Generation Cyber; ABET Advanced Program Assessment Workshop (APAW)**	2019 ABET Symposium: Generation Cyber; ABET Advanced Program Assessment Workshop (APAW) 10-13.04.2019 Omni Dallas Hotel 555 Lamar St., Dallas, TX USA
5	Ivane Darsavelidze, **David Kakulia**	**Modeling of soil's cavity EM response**	2019 XXIVth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED) Lviv, Ukraine September 11-13, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
გეოლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. **თუთბერიძე ბეჟანი,** პროფესორი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი
2. ლორთქიფანიძე დავით, პროფესორი;
3. აქიმიძე კარლო, ასოცირებული პროფესორი;
4. ქუთელია გურამი, ასოცირებული პროფესორი;
5. ლებანიძე ზურაბი, ასოცირებული პროფესორი;
6. ახალკაციშვილი მარიამი, ასისტენტ პროფესორი;
7. ქოიავა კახა, ასისტენტ პროფესორი;

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანურ წარმონაქმნებში პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესები *(ასპინძის რაიონი)* *გეოლოგია, პეტროლოგია,*	*2014-2020წწ*	*პროფესორი* ***გეჟან თუთბერიძე*** *ხელმძღვანელი, შემსრულებელი* *ასისტენტ პროფესორი* ***მარიამ ახალკაციშვილი*** *შემსრულებელი* *ჯუმბერ ღუღუნიშვილი* *სტუდენტი*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საველე სამუშაოები ასპინძის რეგიონში გამოვლინებულ ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანურ წარმონაქმნებში პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესების შესწავლის მიზნით. ამ ეტაპზე მოპოვებული მასალის ნაწილი დამუშავებულია, ნაწილი- ლაბორატორიული შესწავლის პროცესშია.			
	„სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის შესწავლა და პრაქტიკული მნიშვნელობის საბადოების პერსპექტივების განსაზღვრა ალაზანგაღმა კახეთის რეგიონში“. *გეოლოგია, პეტროლოგია*	*2014-2020 წწ*	*ასოცირებული პროფესორი,* ***კარლო აქიმიძე,*** *ხელმძღვანელი, შემსრულებელი* *სტუდენტი: გ.მოლაშხია*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები თემაზე: „სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების ნედლეულის შესწავლა და პრაქტიკული მნიშვნელობის საბადოების პერსპექტივების განსაზღვრა ალაზანგაღმა კახეთის რეგიონში“. *მიმდინარე წელს საველე სამუშაოები შესრულდა - ქვაჩადალის ადრეიურული გაზალტური ლავური კომპლექსის, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულისსაბადოს (მდ.ალაზნის ზემო წელი) ჩრდილო დასავლეთ ფლანგზე, სადაც მდ. ლამაზურის აუზში პირველად დაფიქსირდა ლავური კომპლექსის არსებობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის მარაგი და შესაბამისად ქვაჩადალის საბადოს ექსპლოატაციაში შესვლის შესაძლებლობა.* *ლამაზურის აუზში აღებული ლაბორატორიული და კამერალური კვლევისათვის საჭირო ქვა-მასალის დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს.*			

	ფილტრაციული მოვლენების (პროცესების) შესწავლა ჟინვალისა და სიონის წყალსაცავების მაგალითზე.	*2017-2019წწ*	*ასოც. პროფესორი* ***გურამ ქუთელია*** *(ხელმძღვანელი),* *შემსრულებლები:* *ნარგიზა აბუთიძე, ლაბორანტი;* *ნონა ლურსმანაშვილი, ლაბორანტი;* *ელენე გოდერძიშვილი, სტუდენტი*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
მიმდინარე წელს კვლევის მიზანი იყო გეოფიზიკური მეთოდებით ფილტრაციული პროცესების შესწავლა სიონის წყალსაცავის კაშხლისა და მიმდებარე ტერიტორიებზე. *კაშხლის ტერიტორიაზე ბუნებრივი ელექტრული ველის მშვიდი განაწილება მიუთითებს, რომ წყალსაცავის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირას წყლის დონის მინიმალური ნიშნულის დროს ფილტრაციას პრაქტიკულად ადგილი არ აქვს. რაც შეეხება მარჯვენა ნაპირზე არსებულ ელექტრული ველის ანომალიას, ის ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს შემოვლითი ფილტრაციით, ანუ მდ. იორის ძველი კალაპოტის ფილტრატებით.*			
	კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ცარცული ნალექების სედიმენტოლოგიური და პალეოიქნოლოგიური კვლევა *გეოლოგია, პალეონტოლოგია*	*2014-2021 წწ*	*ასოცირებული პროფესორი* ***ზურაბ ლებანიძე*** *ხელმძღვანელი, შემსრულებელი;* *სტუდენტი* *ვალერი გუჩუკური*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
მდინარე არაგვის აუზის მეზოზოური ნალექების იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევა *2019 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მდ. არაგვის აუზის ცარცული ნალექების რამდენიმე ჭრილი სედიმენტოლოგიური კვლევის და მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით.* *საკვლევი ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის სამხრული ფერდის ნაოჭა ზონის ჟინვალი- გომბორის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის და შოვი-ფასანაურის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის სამხრეთ ნაწილის ფარგლებში.* *ე. ვარსიმაშვილის (2000) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით საკვლევ ობიექტზე ქვედაცარცულის არასრული ჭრილია წარმოდგენილი და ზოგადად შემდეგნაირად გამოიყურება: უძველესი წარმონაქმნია გრაუვაკურ–ალევრიტული ფასანაურის წყება, რომელიც სამ ქვეწყებად ნაწილდება: ქვედა – 100–300 მ სიმძლავრის, აგებული არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაჰოტრივული), შუა –ქვედაბარემული, წარმოდგენილი არგილიტების შუაშრეების შემცველი სქელშრეებრივი არკოზულ–კვარციანი ქვიშაქვებით (სიმძლავრე 90–250 მ) და ზედა– აგებული 80–130 მ სიმძლავრის არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაბარემული). ფასანაურის წყებას აგრძელებს აპტური ასაკის თეთრახევის წყება, რომელიც აგებულია შავი და ნაცრისფერი არგილიტებისა და ქარსიან–პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვების მორიგეობით (სიმძლავრე 220–250 მ). ქვედაცარცულის ჭრილი სრულდება ალბური პავლეურის წყების ფერადი არგილიტებით, ნაცრისფერი მერგელებით და ქვიშიანი კირქვებით. ზედა ჰორიზონტებში ჩნდება ვულკანოგენურ–დანალექი წარმონაქმნები (სიმძლავრე 250–300 მ).* *აღნიშნული ნალექები წარმოადგენენ ერთიან ფლიშურ ფორმაციას, რომელშიც განირჩევა გრაუვაკურ–ალევრიტული და კლასტურ–კირქვიანი ტიპები. გრაუვაკურ–ალევრიტულ ტიპში გამოიყოფა ქვიშაქვა–არგილიტიანი (ნორმული ფლიში – ჰოტრივული), ქვიშაქვიანი (ქვედაბარემული) და არგილიტიანი (ზედაბარემულ–აპტური) სახესხვაობები, ხოლო კლასტურ–კირქვიანი ტიპი (ალბური) მიეკუთვნება მერგელიან–არგილიტიან სახესხვაობას.*			

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილია მდ. არაგვის (სონდისხევი - ფასანაური) და ფშავის არაგვის ჭრილებში. იქნოფაუნის შემცველია გარემული "ფასანაურის" და "აპტური" თეთრახევის წყებების ქანები. ქვედაცარცულ ნალექებში წინასწარი განსაზღვრით დადგენილი იქნოკომპლექსი: Chondrites intricatus (Brongniart), Ch. targionii (Brongniart), , Glockerichnus glockeri (Książkiewicz), Helminthopsis isp., Megagrapton isp., Nereites missurensis, Nereites isp., Oph. rudis (Książkiewicz), Phycosiphon insertum Fischer-Ooster, Phycosiphon isp., Planolites isp, Polykampton isp., Scolicia strozzii (Savi & Meneghini), Thalassinoides isp., Trichichnus linearis Frey, - ღრმა ზღვის Nereites-ის იქნოფაციესისთვის არის დამახასიათებელი.

საქართველოს გეოლოგიური რუკის (ადამია, 2004) მიხედვით საკვლევი ტერიტორია ჰოტრივულ-ალბურში წარმოადგენდა ტერიგენული ტურბიდიტური ნალექდაგროვების წყალღრმა აუზს, რაც იქნოკომპლექსის შემადგენლობის ანალიზითაც დასტურდება.

ა. ცაგარელის (1954), ნ. მრევლიშვილის (1997), მრევლიშვილის და სხვ.(2011) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით საკვლევ რაიონში ზედაცარცული ფლიშური ნალექების ჭრილი ზოგადად შემდეგნაირად გამოიყურება: უძველესი წარმონაქმნია უკუღმართის წყება, რომელიც თანხმობით აგრძელებს ქვედაცარცული (ალბური) ასაკის პავლეურის (ნავთისხევის) წყებას და აგებულია კონგლომერატებით, ტუფქვიშაქვებით, პოლიმიქტური ქვიშაქვებით, მერგელოვანი ფიქლებით და მერგელებით. წყება მოიცავს ქვედა სენომანს და შუა სენომანის ქვედა ნაწილს. სტრატიგრაფიულად ზევით თანხმობით განლაგებული ანანურის წყება სამად ნაწილდება: ქვედა ნაწილი წარმოდგენილია 4-45 მ სიმძლავრის გაკაჟებული ფიქლების, ქვიშაქვების და გრაველიტების დასტით, რომელიც შუა სენომანის ზედა ნაწილს და ზედა სენომანს შეესატყვისება. დამახასიათებელი შავი სილიციტები წყების შუა ნაწილშია წარმოდგენილი (4-55 მ), რომლებიც მათზე განლაგებულ გაკაჟებული კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების დასტასთან (6-35 მ) ერთად ქვედა ტურონულს მიეკუთვნება. ანანურის წყებას თანხმობით აგრძელებს 40 მ-მდე სიმძლავრის ზედატურონული მარგალიტისკლდის წყება, რომელიც აგებულია დამახასიათებელი წითელი და ვარდისფერი შეფერილობის კირქვების, მერგელების და გრაველიტების მორიგეობით. ზევით მას თანდათანობით ცვლის მოყვითალო-თეთრი ფერის ლითოგრაფიული კირქვებისა და მერგელების მორიგეობა - ეშმაკისხევის წყება. წყება ხასიათდება ცვალებადი სიმძლავრით (30-350 მ) და კონიაკურ- სანტონურად თარიღდება. კარბონატულია კამპანური ნალექებიც - მარცვლოვანი კირქვების და ფერადი (მწვანე და წითელი) მერგელების მორიგეობა (25-40 მ), რომელსაც ჯორჭის წყების სახელით აღწერენ. ზედა ცარცულის ჭრილი მთავრდება მაასტრიხტული ასაკის საბუეს წყებით, რომელიც უთანხმოდ არის განლაგებული ჯორჭის წყების ქანებზე ან უფრო ძველ ნალექებზე. წყება აგებულია კირქვებით, ქვიშიანი კირქვებით, კარბონატული ქვიშაქვებით, მიკროკონგლომერატებით და ბრექჩიებით. სისქე 25-200 მ.

აღნიშნული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, ქვედაცარცულ ნალექებთან ერთად შეადგენენ კავკასიონის რკალსუკანა აუზის აღმოსავლეთ ნაწილის - აღმოსავლეთ (ჭიაური- დიბრარის) ფლიშური აუზის - ერთიან კარბონატულ-კლასტურ ფლიშურ ფორმაციას.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილია მდ. არაგვის ხეობაში - ჯახა-ციხისძირი და არანისი-პავლეურის ჭრილებში. იქნოფაუნის შემცველია კამპანური "ჯორჭის" და მაასტრიხტული "საბუეს" წყებების ქანები. ზედაცარცულ ნალექებში ჩვენს მიერ წინასწარი განსაზღვრით დადგენილი იქნოკომპლექსი: Chondrites intricatus (Brongniart), Ch. targionii (Brongniart), Ch. affinis (Brongniart), Halopoa imbricata Torell, Helminthopsis isp., Megagrapton isp., Nereites irregularis (Schafh., 1851), Ophiomorpha annulata (Książkiewicz), Oph. rudis (Książkiewicz), Planolites isp, Protopaleodictyon isp., Scolicia strozzii (Savi & Meneghini), Spirorhaphe isp.,Thalassinoides isp., Trichichnus linearis Frey, (?) Tubulichnium rectus, Zoophycos isp. - ღრმა ზღვის Nereites-ის იქნოფაციესზე მიუთითებს.

სანტონ-მაასტრიხტულის ფაციესების და პალეოგეოგრაფიის რუკის (ცაგარელი, 1954, ნახ. 33) მიხედვით ჟინვალი-გომბორის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის ჩრდილო ნაწილი წარმოადგენდა ტურბიდიტური ნალექდაგროვების წყალღრმა აუზს, რაც იქნოკომპლექსის შემადგენლობის ანალიზითაც დასტურდება.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	აჭარა-თრიალეთის ნაოჭაშეცოცებითი სარტყელის (საქართველო) პალეოცენ-ქვედა ეოცენური ნალექების იქნოლოგია და სედიმენტოლოგია *გეოლოგია, FR-18-3765*	2019-2022	***ზურაბ ლებანიძე*** *- სამეცნიერო ხელმძღვანელი* *სოფიო ხუციშვილი - პროექტის კოორდინატორი* *კობა ლობჟანიძე - ძირითადი პერსონალი* ***კახა ქოიავა*** *- ძირითადი პერსონალი* *ნინო ხუნდაძე - ძირითადი პერსონალი* *თამარ ბერიძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი* *ნინო კობახიძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი* *დავით მაქაძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
პროექტის ფარგლებში ჩვენი კვლევის მიზნებია: *) აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ფარგლებში პალეოცენ-ქვედაეოცენური ნამარხი ნაკვალევების ახალი ადგილსაპოვებლების გამოვლენა;* *) ნამარხი ნაკვალევების განსაზღვრა, აღწერა, კლასიფიკაცია;* *) ნამარხი ნაკვალევების შემცველი წყებების ფაციესური/სედიმენტოლოგიური ანალიზი;* *) ადგილსაპოვებლების ფარგლებში ნალექდაგროვების გარემოს ინტერპრეტაცია;* *) არსებული და ახლადმოპოვებული მონაცემების შეჯერების გზით პალეოცენ-ქვედაეოცენური დროისათვის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ნალექდაგროვების გარემოს აღდგენა.* *პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში კომბინირებული იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევებისათვის საფუძვლის ჩაყრა და ფუნდამენტური სამეცნიერო ბაზის შექმნა სამომავლო კვლევებისათვის, იქნოლოგიის, როგორც გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი თანამედროვე და საჭირო*			

დარგის პოპულარიზაცია აკადემიურ გეოლოგიურ წრეებში და წარმოებაში ჩართულ გეოლოგებს შორის. ამგვარი კვლევა უდავოდ ახალ მიდგომას წარმოადგენს ქართულ გეოლოგიაში და ფასდაუდებელი შედეგი ექნება, როგორც ფუნდამენტური კვლევების, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით. *პროექტის პირველ ეტაპზე (2019 წელი) ჩატარდა მოსამზადებელი და სარეკოგნოსცირო გეოლოგიური სამუშაოები ბორჯომის რაიონში. დეტალური სედიმენტოლოგიურ-იქნოლოგიური კვლევა განხორციელდა რამდენიმე ლოკაციაზე (არდაგანი 1, 2, 3, დაბისხევი, რველი). მოხდა დიდი რაოდენობის ბიოგენური და სედიმენტაციური სტრუქტურების, ლითოფაციესების და მათთან დაკავშირებული ნამარხი ნაკვალევების იქნოკომპლექსების გამოვლენა, აღებულია ქვიური მასალა პეტროგრაფიული, იქნოლოგიური და ლაბორატორიული შესწავლისთვის. მზადდება სედიმენტოლოგიური ჭრილები და სამუშაო რაიონის ციფრული გეოლოგიური რუკა*			
	თორიუმი - მომავლის ენერგია: მისი მადანგამოვლინებებისა და ფორმირების გეოლოგიური ფაქტორების კვლევა საქართველოში	2019-2022	*ა.ოქროსცვარიძე* ***კ. აქიმიძე*** *დ. გლუაშვილი* *ს. გოგოლაძე*
პროექტის ფარგლებში საველე გეოლოგიური სამუშაოები დავიწყეთ ზოგადგეოლოგიური-მიმოხილვითი მარშრუტებით კახეთის რეგიონში. დეტალური კვლევისთვის გამოიყო ქვედა-შუა იურული სტორის წყება-კატაკლაზირებული და ჰიდროთერმულად ინტენსიურად შეცვლილი, უხეშკლასური ვულკანურ- დანალექი კომპლექსი, სადაც ჩვენი ძველი მონაცემებით უკვე გვქონდა დამაიმედებელი შედეგები თორიუმზე.დეტალური შესწავლა- დასინჯვითი სამუშაოები ჩატარდასტორის კომპლექსის სრულ გადაკვეთაზე. როგორც მდინარის მარჯვენა ფერდზესაავტომობილე გზის გასწვრივ, გელიას ხევიდან-ჩრდილოეთით სტორის ხიდამდე; ისე მდინარის მარცხენა ფერდზე-გვირაბში, რომელიც ამჟამად გაყავთ ენერგეტიკოსებს - გელიას ხევიდან - სამხრეთითეშმაკის ხევის სათავეებამდე. და ენერგეტიკოსებმა ჩვენ საშუალება მოგვცეს გვირაბის უკვე დამთავრებულ ნაწილში კომპლექსის უწყვეტი გეოლოგიური დაკვირვება და დასინჯვა გვეწარმოებია; რისთვისაც მათ დიდი მადლობა. *აღებული ქვიური მასალა ამჟამად მუშავდება.*			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ნიადაგის და ქანების რადიოაქტივობა ქალაქ თბილისის რეგიონში და მოსახლეობის დასხივება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	*2016-2019წწ*	*ხელმძღვანელი* *ე.თულაშვილი* *შემსრულებლები:* ***გ.თუთბერიძე*** *თ.ჯახუტაშვილი* *ლ.მწარიაშვილი* ***მ.ახალკაციშვილი***

	217628		

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2019 წლის განმავლობაში შესრულდა პროექტის შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

- *შესრულდა დიღმის სინკლინისა და მცხეთის ანტიკლინის არეალში მე-13 - მე-15 ექსპედიციებში აღებული ნიმუშების რადიოაქტივობის კვლევის შედეგების ძირითადი თავისებურებების და კანონზომიერებების დადგენა და სრული ანალიზი;*
- *შედგენილია და სისტემატიზირებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ნიმუშების აღების საკონტროლო პუნქტების სრული სია (დადგენილია მათი გეოგრაფიული კოორდინატები და პირობითი აღნიშვნები, აღებული ნიმუშების ტიპები და ა.შ.);*
- *შედგენილია და სისტემატიზირებულია ცხრილის სახით ნიმუშების ტიპების მიხედვით რადიოაქტივობის ძირითადი პარამეტრები - რადიონუკლიდების შედგენილობა და მათი აქტივობის კონცენტრაცია;*
- *შედგენილია და სისტემატიზირებულია ცხრილის სახით ნიმუშების ტიპების მიხედვით ძირითადი რადიოლოგიური პარამეტრები - რადიუმის ეკვივალენტური აქტივობა, შთანთქმული გარე გამა გამოსხივების სიმძლავრე, წლიური გარე ეფექტური დოზა, წლიური გონადალური დოზა, საშიშროების გარე ინდექსი.*
- *ქ. თბილისის ტერიტორიაზე აღებული ნიადაგის ნიმუშების კვლევის სრული ანალიზის საფუძველზე გაფორმდა (გეგმით გათვალისწინებული) და დასაბეჭდად გაიგზავნა პუბლიკაცია (მიღებულია დასაბეჭდად);*

მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა და გაკეთდა ორი მოხსენება კონფერენციებზე.

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება,	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN		
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	***Tutberidze B., Akimidze K., Akhalkatsishvili M., Kutelia G.***	*New Data on the Composition of Late Cretaceous Magmatic Body of the River Iori* *ISSN - 0132 - 1447* *http://science.org.ge/bnas/vol-13-1.html*	*Bulletin Georgian National Academy of sciences, vol.13, no.1*	*Tbilisi*	*pp.80-86*
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
ჩვენი კვლევის ობიექტია მდ. იორის დინების შუა წელში გამოვლენილი გვიანცარცული ასაკის მაგმური სხეული; წინა მკვლევარების მიერ პეტროგრაფიული შესწავლისა და ქიმიური ანალიზის მონაცემების საფუძველზე სხეულის ამგები ქანები ტეშენიტებად იქნა განსაზღვრული. მაგმური სხეული წარმოადგენს შრეძარღვს, განლაგებულს ზედაცარცული ასაკის ანანურის წყების ფლიშური ნალექებით აგებულ ბოკონის სინკლინის ორივე ფრთაში. შრეძარღვები ქმნის ორ სხეულს, რომლებიც ზუსტად იმეორებენ შემცველი წყების წოლის ელემენტებს. ნაშრომში წარმოდგენილია მდ.იორის შუა წელში გამოვლენილი გვიანცარცული ასაკის მაგმური სხეულის ამგები ქანების კომპლექსური კვლევის ახალი მონაცემები. დეტალური მინერალოგიურ-პეტროლოგიური, სტრუქტურულ-ტექსტურული და პეტროქიმიური კვლევის საფუძველზე მაგმური სხეულის აგებულებაში, ტეშენიტებთან ერთად, პირველადაა გამოყოფილი ტუტე ლამპროფირები: კამპტონიტები, ტერალითები და ტეფრიტები. მაგმური სხეულის ქანებში მინერალური ნივთიერების შემცველობა განისაზღვრა მიკროსკოპიული კვლევებით. მთავარი ქანმაშენი მინერალებია: ფუძე პლაგიოკლაზი (ლაბრადორი), ნეფელინი, პიროქსენები, ტუტე ამფიბოლი (ბარკევიკიტი); მცირე რაოდენობით მონაწილეობენ: ოლივინი, K-ფელდშპატი. მეორადი მინერალებია: სერპენტინ-იდინგსიტი, თიხის მინერალები, ცეოლითები (ნატროლითი, ლომონტიტი), კალციტი, ბიოტიტი. აპატიტი არის მთავარი მნიშვნელოვანი აქცესორი მინერალი. დისკრიმინაციულ დიაგრამაზე შრეძარღვის ქანების ქიმიური შედგენილობის ამსახველი ფიგურული წერტილები განლაგებულია ტუტე ქანების- ტეფრიტებისა და ბაზანიტების ველებში.				

2	*MakadzeM.* ***Tutberidze B.*** ***Akhalkatsishvili M.*** *Kobakhidze N.* *Makadze D.*	*New Species of the Fossil Flora in the Tuffs of the Goderdzi Suite (Goderdzi Pass Area)* *ISSN - 0132 – 1447* *http://science.org.ge/bnas/vol-13-3.html*	*Bulletin Georgian National Academy of sciences, vol.13, no.3*	*Tbilisi*	*pp.103-108*
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
სტატიაში განხილულია მიო-პლიოცენურ გოდერძის წყების ტუფოგენურ ქვეწყებაში, საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური დაცულობისა და სახეობრივი სხვადასხვაგვარობით წარმოდგენილი ნამარხი ფლორისტული კომპლექსის რიგი ახალი ადგილსამყოფელი, აქ მოპოვებული ნამარხი ფლორის ნაშთების განსაზღვის შედეგები და მათი მნიშვნელობა პალეოკლიმატური რეჟიმის რეკონსტრუქციისათვის. ნამარხი ფლორის აღწერა ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკის განყოფილებაში. დადგინდა, რომ 12 აღწერილი ნამარხი ფლორის ნიმუშებიდან მხოლოდ Lauraceae-ს წარმომადგენლებია აღწერილი, დანარჩენი დღემდე ცნობილი არ იყო. გოდერძის წყების ტუფოგენურ ქვეწყებაში ნამარხი ფლორის ახალი ადგილსამყოფლების აღმოჩენით და ახალი სახესხვაობების აღწერით შეიძლება ითქვას, რომ გოდერძის მიოცენური ნამარხი ფლორის შესწავლის კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო.					
3	***Tutberidze B.*** *Tulashvili E.* ***Akhalkatsishvili M.*** *Mtsariashvili L* *Chkhaidze M.* *Ambokadze I.*	*Cesium-137 in the soils in the territory of Tbilisi City (Georgia)* */მიღებულია დასაბეჭდად/*	*Journal Annals of Agrarian Science;*		*5*
ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
მოცემულ სამუშაოში მოყვანილია საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ზოგიერთი რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ნიადაგში ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137-ის შედგენილობის კვლევების შედეგები. აღებული და შესწავლილი იყონიადაგის 56 ნიმუში. რადიონუკლიდის Cs-137-ის აქტივობის კონცენტრაცია შესწავლილ ნიმუშებში იცვლებოდა 0.19-დან 118-მდე Bq/kg (საშუალო მნიშვნელობა - 18.7 Bq/kg). შესწავლილია ცეზიუმ-137-ის განაწილების ზოგიერთი თვისება, კერძოდ, ნიადაგის ტიპისა და აღების ლოკაციის მიხედვით.					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება,	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN		
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*N. Kekelidze,* *T. Jakhutashvili,* ***B. Tutberidze,*** *E. Tulashvili,* ***M. Akhalkatsishvili***, *L. Mtsariashvili,* *M. Chkhaidze,* I.Ambokadze.	*Radionuclides: Properties, Behavior and Potential Health Effects*	*Nova Science Publishers, Inc.*	25
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
მოცემული კვლევის მიზანი იყო ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების განაწილების კვლევა ქანების ნიმუშებში აღმოსავლეთ საქართველოს ორ რეგიონში - მცხეთა-მთიანეთში და შიდა ქართლში. ეს რეგიონები, რომლებიც განლაგებულია ტრანსკავკასიურ მთათაშორის ტერიტორიაზე და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, ხასიათდება რთული გეოლოგიური სტრუქტურით, ხოლო ნიადაგებისა და ქანების რადიოაქტივობა პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. სხვადასხვა ტიპის ქანების 47 ნიმუში ˜, მათ შორის მაგმური, დანალექი და მეტამორფული, იყო შესწავლილი გამა-სპექტრომეტრული მეთოდის გამოყენებით. 21-მდე ბუნებრივი რადიონუკლიდი და ერთი ტექნოგენური რადიონუკლიდი Cs-137 იყო იდენტიფიცირებული ამ ნიმუშებში. Th-232 ოჯახის რადიონუკლიდების საშუალო აქტივობის კონცენტრაცია იცვლებოდა 0.39-დან 67.0-მდე Bq/kg, U-238 ოჯახის - მინიმალური დეტექტირებადი აქტივობიდან 93.5-მდე Bq/kg,U-235ოჯახის - 0.072-დან 4.30-მდე Bq/kg. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა K-40-თვის - 1263 Bq/kg. ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137 აქტივობა დაფიქსირდა რამდენიმე ნიმუშში დიაპაზონში 0.12-დან 6.30-მდე Bq/kg. რადიონუკლიდების განაწილების ზოგიერთი თვისება იყო შესწავლილი, კერძოდ, ქანების ტიპის, ტექტონიკური ზონისა და ასაკის მიხედვით. რადიონუკლიდების აქტივობის რამდენიმე შეფარდება, მათ შორის U-238/U-235, U-238/Th-232, Ra-226/U-238, Pb-210/Ra-226, იყო განხილული, და ჩატარდა შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.			

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	*E. Tulashvili,* ***B. Tutberidze,*** ***M. Akhalkatsishvili,*** *L. Mtsariashvili,* *M. Chkhaidze,* *B. Kvirkvelia,* *T. Kamushadze,* *I. Ambokadze*	*Radioactivity of the soils of different types in the territory of the capital of Georgia – Tbilisi City.*	*11-12 ნოემბერი, თბილისი საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“* *https://gtu.ge/News/12667/*
2	***გ.თუთბერიძე,*** ***მ.ახალკაციშვილი***	*ჯავახეთის ზეგნის ვულკანური რელიეფის ფორმირების ძირითადი ფაქტორები*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში* *http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c6d6add04488mariamakhalkatsishvili-GEO.pdf*
3	***გ.თუთბერიძე*** ***კ. აქიმიძე,*** ***მ. ახალკაციშვილი*** ***გ. ქუთელია***	*მდ. ივრის ხეობის გვიანცარცული მაგმური სხეულის ქანების პეტროლოგიური კვლევის მონაცემები*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში* *http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c59623947ea9bezjantutberidze-Geo.pdf*
4	*ე.თულაშვილი* *ნ.კეკელიძე* ***გ.თუთბერიძე*** ***მ.ახალკაციშვილი*** *ლ.მწარიაშვილი* *მ.ჩხეიძე*	*ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე თელეთის ანტიკლინისა და მამადავითის ანტიკლინის ქანების რადიონუკლიდური შედგენილობა*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში* *http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c612e1c9f8a0Eremia-Tulashvili-GEO.pdf*
5	***კ.აქიმიძე*** *გ. ნონიაშვილი*	*კავკასიონის მთავარი ქედის ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონის აალენ- ბაიოსური გაზალტური ვულკანიზმი ალაზანგალმა კახეთის მაგალითზე*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში* *http://conference.ens-2019.tsu.ge/lecture/view/1320*

6	*კ.აქიმიძე*	*კავკასიონის მთავარი ქედის ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონის ქვედა-შუა იურული ვულკანიზმი ალაზანგაღმა კახეთის მაგალითზე.*	*29-30 მაისი 2019, თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. მე-5საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა”*
7	***ზ.ლებანიძე*** *გ.ჭანკვეტაძე* *თ.ბერიძე* *ს.ხუციშვილი*	*მდინარე არაგვის აუზის ზედაცარცული ნალექების იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევა : წინასწარი შედეგები*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2019.tsu.ge/lecture/view/1253*
8	***გ. ქუთელია*** *ე.საყვარელიძე*	*სითბური ველი აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონის დანალექ საფარში და გაზური ჰიდრატების შემცველობა გურიის როფში*	*11-15 თებერვალი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2019.tsu.ge/lecture/view/1282*

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	*M.Makadze* *B.Tutberidze* *M.Akhalkatsishvili* *D.Makadze*	*Pencil-jointed clays from the Javakheti Volcanic Highland: mineralogy, petrogeochemistry and formation mechanisms, South Georgia*	*10-13 September* *Rome, Italy* *IAS meeting of sedimentology* *http://iasroma2019.org/wp-content/uploads/2019/10/Third-Circular-word-file-TOT2-new-compressed.pdf*

ცნობილია, რომ ვულკანიზმი ძირითადად გავლენას ახდენს არა მხოლოდ ვულკანური რეგიონის ფარგლებში არსებული გარემოს ფორმირებაზე და ტრანსფორმაციაზე, არამედ მისი გავლენა ასეულობით და ათასეული კილომეტრის მოშორებითაც კი შეიმჩნევა. პირველ რიგში ვულკანიზმის გავლენა არსებულ გარემოზე და ეკოსისტემაზე ყველაზე მკაფიოა მისი მექანიკური, თერმული და ქიმიური ზემოქმედებით ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე. გარემოზე მსგავსი ზემოქმედების კვალი კარგად ფიქსირდება სამხრეთ საქართველოს ვულკანური არეალის ფარგლებში, სადაც გამოიყოფა პოსტკოლიზიური კონტინენტური ვულკანიზმის სამი ძირითადი ფაზა: 1.გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენური (გოდერძის ფორმაცია); 2. გვიანპლიოცენურ-ადრეპლეისტოცენური (ახალქალაქის ფორმაცია) და 3. გვიან პლეისტოცენური, რომლებიც ვულკანური ქანების მჟავიანობის თითქმის სრულ სპექტრს მოიცავენ

გაზალტიდან-რიოლითამდე და პეტრო-გეოქიმიური თავისებურებებით ნორმულ-კირტუტე შედგენილობას პასუხობს (სუპრა-სუბდუქციური ტიპი). ვულკანიზმის ბიოტურ გარემოზე მცენარეები /ცხოველები ზემოქმედების მაგალითები საკვლევ რაიონში საკმაოდ მრავლადაა (განამარხებული მცენარეების და ცხოველების ნაშთები), მათთან ერთად, ყურადღებას იპყრობს ვულკანიზმის გავლენა ბიოტურ გარემოზე. დმანისის პლატოს, წალკის პლატოს და ჯავახეთის ვულკანური ზეგნის ფარგლებში, კვლევისათვის შეირჩა უბნები, სადაც პოსტკოლიზიური (გვიანმიოცენ-გვიანპლეისტოცენი) ვულკანიზმის გავლენით, ბიოტური გარემოს ტრანსფორმაციის მაგალითები ყველაზე კარგად ფიქსირდება და ლიტერატურულ წყაროებში პირომეტამორფიზმის სახელწოდებითაა მოხსენიებული. საკვლევ არეალში ტერიგენულ-დანალექ და პიროკლასტურ ნალექებზე შედარებით ახალგაზრდა, მასიური ლავური ნაკადის ტემპერატურული ზემოქმედება, ქვეშმდებარე ქანებში სვეტისებური განწევრების ჩამოყალიბებას იწვევს. მსგავსი პროცესი მეტ-ნაკლებადაა შესწავლილი ინდოეთის (DVP) და ამერიკის ტერიტორიაზე, სადაც მკვლევარები ბაზალტებს შორის არსებულ წითელ ბოლუსებში (Red bole) განვითარებულ სვეტისებურ განწევრებებს აღწერენ. *ყველაზე კარგად სვეტისებური განწევრება დმანისის და თრიალეთის გაშიშვლებებში ვლინდება, სადაც სვეტების სიგრძე 10 სმ-მდე აღწევს, დიამეტრში კი 0,5-სმ არ აღემატება. განწევრება შედარებით სუსტად შესამჩნევია მდ. მტკვრის ხეობაში, ხერთვისის მიმდებარედ, სადაც სვეტისებური განწევრება განვითარებულია გვიანმიოცენ-ადრეპლიოცენურ გოდერძის წყების პიროკლასტურ ქანებში, მათზე გვიანპლიოცენ-ადრეპლეისტოცენური ახალქალაქის ფორმაციის ლავების ზედდების და პირო-მეტამორფიზმის შედეგად.* *დმანისის ტერიტორიაზე, თიხების სვეტისებური განწევრება მის გადამხურავ დოლერიტულ (სრულკრისტალური, ოფიტური ბაზალტი) ნაკადს და მათ შორის განვითარებულ ცხელ კონტაქტს უკავშირდება. თრიალეთის ტერიტორიაზე ხრამის კრისტაურ მასივზე განლაგებული ტერიგენულ-დანალექ ქანებში არსებული სვეტისებური განწევრება მათ გადამფარავ ანდეზიბაზალტების კონტაქტთანაა დაკავშირებული.* *საველე სამუშაოების დროს ჩატარდა ფიზიკური ვულკანოლოგიური სამუშაოები დეტალური გეოლოგიური ჭრილების შედგენით. შესრულდა ველზე აღებული მასალის პეტროგრაფიული (მიკროსკოპული), გეოქიმიური (ICP-MS, XRF) და რენდგენოსტრუქტურული (XRD) კვლევა, რომელმაც საშუალება მოგვცა შეცვლილ ზონებში პეტროგენული კომპონენტების (Major element geochemistry) და იშვიათ მიწაელემენტების განაწილების კანონზომიერებები შეგვესწავლა. მიღებული შედეგების გაანალიზებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა დანალექ და პიროკლასტურ ნალექებში სვეტისებური განწევრების წარმოქმნის ფიზიკურ-ქიმიური პირობები დამექანიზმი.*			
2	*N.GagnidZe* *A.Okrostsvaridze* *K.Akimidze* *S. Gogoladze*	*Thorium – Future Energy: Investigation of its Occurrences in Georgia, the Caucasus*	*18-23 august* *Barselona, Spain.* *Goldschmid 2019 conference* *https://goldschmidtabstracts.info/2019/1064.pdf*
3	***ზ. ლებანიძე,*** *თ. ბერიძე,* *ნ. კობახიძე,* *ს. ხუციშვილი,* *რ. ჩაგელიშვილი,* ***კ. ქოიავა,*** *ნ. ხუნდაძე,* *ა. უხმან*	*Trace fossils in Paleocene-Lower Eocene deep-sea sediments ("Borjomi Flysh") of the Achara-Trialeti Fold-Thrust Belt*	*10-13 September* *Rome, Italy* *IAS meeting of sedimentology* *http://iasroma2019.org/wp-content/uploads/2019/10/Third-Circular-word-file-TOT2-new-compressed.pdf*
აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი მდებარეობს მცირე კავკასიონის ოროგენის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში და დაკავშირებულია არაბეთის და ევრაზიის ფილების კონვერგენციასთან. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან ქ. თბილისამდე (სიგრძე 360 კმ, ხოლო სიგანე 60-45 კმ), სადაც იძირება მტკვრის ფორლანდის ახალგაზრდა ნალექების ქვეშ დასავლეთით კი, გეოფიზიკური მონაცემებით, გაიდევნება აღმოსავლეთ შავი ზღვის აუზის ფარგლებში. გვიან კაინოზოურ დროში, არაბეთის და ევრაზიის ფილების კოლიზიის შედეგად ადგილი ჰქონდა			

	ცარცულ-პალეოგენური ასაკის აჭარა-თრიალეთის რკალსუკანა ჭიმვითი აუზის ინვერსიას [1]. აუზი წარმოადგენდა დიდი სიმძლავრის, მარჩხიდან ღრმამდე, ზღვიური ნალექების აკუმულაციის არეს, სადაც პალეოცენ-ქვედა ეოცენი ძირითადად წარმოდგენილია ტურბიდიტებით, შუა ეოცენი - ვულკანოკლასტური ნალექებითა და ვულკანიტებით, ხოლო ზედა ეოცენი - კვლავ ტურბიდიტებით, სადაც აღმავალ ჭრილში ხდება მასალის გამსხვილება და შესაბამისად ტურბიდიტების ბუნება იცვლება დისტალურიდან პროქსიმალურისკენ [2]. *ბორჯომის წყება განედური ზოლის სახით გაშიშვლებულია სარტყელის ცენტრალური ნაწილის ანტიკლინურ სტრუქტურებში. ნამარხი ნაკვალევები დადგენილია წყების გამოსავლების უკიდურეს დასავლეთ (ბორჯომი) და აღმოსავლეთ (ნიჩბისი) ნაწილებში.* *ბორჯომის რაიონში ბორჯომის წყება თანხმობით აგრძელებს დანიურ-მონსურ კარბონატულ ნალექებს და შედგება ხუთი ქვეწყებისგან, რომლებიც შეესაბამებიან ხუთ წევრს, ქვევიდან ზევით: 1) ქვედა მერგელოვან-ქვიშიან-კარბონატული (shaly member) წევრი (სიმძლავრე 650-700 მ); 2) ქვიშაქვიანი (sandy-rich) წევრი, consisiting of sandy packages* *separated by shaly intercalations (სიმძლავრე 100-130 მ); 3) შუა shaly member (სიმძლავრე 180-200 მ); 4) ვულკანოგენ-დანალექი ე.წ. "ლაქებრივი" ქვიშაქვიანი წევრი, წარმოდგენილი ტუფოგენური და ტერიგენული ალევრო-პსამიტური ქანების მორიგეობით (სიმძლავრე 130-150 მ) და 5) ზედა shaly member (სიმძლავრე 150-180 მ). პირველი სამი წევრის ასაკი პალეოცენურია (თანეტური), ბოლო ორის კი - ქვედაეოცენური (იპრული).* *ნამარხი ნაკვალევები დადგენილია დასახლება არდაგანთან, ქვედა shaly member-ის ზედა ნაწილში, ქვიშაქვების, არგილიტების და მერგელების რიტმულ მორიგეობაში. იქნოფაუნა წარმოდგენილია მხოლოდ პოსტდეპოზიციური ფორმებით, რომლებიც შემდეგ იქნოგვარებს მიეკუთვნებიან: Avetoichnus, Chondrites, Dreginozoum, Nereites, Phycosiphon, Planolites, Scolicia (Sc. isp.), Trichichnus და Zoophycos.* *თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში 900-1100 მ სიმძლავრის ბორჯომის წყების ფლიშური ნალექები წარმოდგენილი არიან კარბონატული კვარც-გრაუვაკური ქვიშაქვების, მერგელების და კარბონატული თიხების მორიგეობით. გარდა ამისა, ქვიშაქვები დაჯგუფებულია 30-50 მ სიმძლავრის დასტებად.* *იქნოფაუნის ადგილსაპოვებელი მდებარეობს სოფ. ქვემო ნიჩბისის სამხრეთ პერიფერიაზე. ნამარხი ნაკვალევების შემცველია 50 მ-მდე სიმძლავრის თხელ- და იშვიათად საშუალოშრეებრივი, კვარც-გრაუვაკული, წვრილ- და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვების დასტა, რომელიც ხილული უთანხმოების გარეშე აგრძელებს ფაუნისტურად დათარიღებულ დანიურ კარბონატულ ნალექებს.* *ნიჩბისის იქნოკომპლექსში პრედეპოზიციური ასოციაცია წარმოდგენილია იქნოგვარებით: Belocosmorhaphe, Helminthopsis, Helminthorhaphe, Megagrapton, Paleodictyon, Scolicia (Sc. strozzii), Spirophycus, Spirorhaphe და Urohelminthoida. პოსტდეპოზიციური კი - Avetoichnus, Chondrites, Gyrophillites, Ophiomorpha, Phycosiphon, Phymatoderma, Planolites, Polykampton, Rotundusichnium, Scolicia (Sc. prisca, Sc. isp.), Taenidium, Trichichnus და Zoophycos. ალოქტონური Teredolites გვხვდება მერქნის ფრაგმენტებში.* *ორივე იქნოკომპლექსი ტიპიურია ღრმა ზღვის Nereites-ის იქნოფაციესისთვის. ვფიქრობთ, ბორჯომის იქნოფაუნა მიეკუთვნება Nereites-ის სუბიქნოფაციესს, რომელიც დამახასიათებელია შლამით მდიდარი დისტალური ფლიშისთვის. ნიჩბისის იქნოფაუნაში გრაფოგლიპტიდების დიდი წილი კი მიუთითებს დეპოზიციური აუზის სხვადასხვა ნაწილებში დალექილი თხელშრეებრივი ქვიშიანი ტურბიდიტებისთვის დამახასიათებელ Paleodictyon-ის სუბიქნოფაციესზე (3).სავარაუდოდ, ბორჯომის ტურბიდიტები ყალიბდებოდნენ აუზის დაბლობზე ან ქვედა ფერდობზე მცირე გამოტანის კონუსების ან იზოლირებული ენების გარე, ნიჩბისის ტურბიდიტები კი - შიდა კიდეებთან.* *ამრიგად, იქნოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ აჭარა-თრიალეთის რიფტი პალეოცენ-ქვედაეოცენურ დროში წარმოადგენდა ტურბიდიტული ნალექდაგროვების ღრმაწყლიან აუზს.*		
4	*ნ. კობახიძე,* **ზ. ლებანიძე,** *თ.ბერიძე,* *დ. მაქაძე,* *კ. ლობჟანიძე,* *ა. უხმან*	*New data on Upper Eocene deep-sea trace fossils in the Lisi Anticline, Georgia*	*10-13 September* *Rome, Italy* *IAS meeting of sedimentology* *http://iasroma2019.org/wp-content/uploads/2019/10/Third-Circular-word-file-TOT2-new-*

			compressed.pdf

ლისის ანტიკლინი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის აღმოსავლეთ სეგმენტში. ანტიკლინის ღერძი მიმართულია განედურად, მისი სიგრძე არ აღემატება 20 კმ-ს, სიგანე კი ოლიგოცენის საგების კონტურზე აღწევს 4 კმ-ს. ნაოჭის თაღი განიერია და დამრეცი, მთელს მიმართებაზე აგებულია ზედაეოცენური ნალექებით, ფრთებში კი განვითარებულია ოლიგოცენური ნალექები. ნაოჭის ჩრდილო ფრთა დაქანებულია ჩრდილოეთით 70-50° -ით, სამხრეთი ფრთა კი - სამხრეთით 35-40° -ით.

ზედაეოცენური იქნოფაუნის ადგილსამყოფელი დადგენილია თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 5კმ-ში, სოფ. ლისის მიდამოებში და დაკავშირებულია ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილთან, რომელიც აგებულია თბილისის ნუმულიტებიანი წყების (სიმძლავრე 1000 მ-მდე) თიხის ფენებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეების შემცველი ქვიშაქვების, თიხიანი ქვიშაქვებისა და ფიქლებრივი თიხების მორიგეობით. შეიცავს ზედაეოცენურ ნუმულიტებს, მცენარეულ ნაშთებს.

ნამარხი ნაკვალევები აღმოჩენილ იქნა ავტორთა ჯგუფის მიერ (Beridze et. al, 2015, 2016), რომლებმაც გამოყვეს ბათიალური Nereites-ის, შელფურ და ბათიალურ ზონებს შორის გარდამავალი Zoophycos-ის და დაბალ-ოქსიგენური გარემოს მაჩვენებელი Chondrites-ის ფაციესის დამახასიათებელი ფორმები.

2018 წლის საველე სამუშაოების დროს ჩვენს მიერ მოხდა ცნობილი ადგილსამყოფელის დამატებითი შესწავლა, გარდა ამისა სტრატიგრაფიულად 25-30 მ-ით ზევით, ჩვენს მიერ დადგენილ იქნა მრავალფეროვანი ნამარხი ნაკვალევები.

დღეისათვის ლისის ნამარხი ნაკვალევების სრული სია შემდეგნაირად გამოიყურება: ქვედა იქნოკომპლექსი - Avetoichnus luisae, Chondrites affinis, Ch. intricatus, Ch. targionii, Cladichnus isp., Nereites irregularis, Ophiomorpha annulata, Oph. rudis, Planolites isp., Taenidium isp., Thalassinoides isp., Zoophycos isp.; ზედა იქნოკომპლექსი - Chondrites intricatus, Helicolithus isp., Helminthopsis isp., Helminthorhaphe flexuosa, H. Japonica, Megagrapton irregulare, Megagrapton isp., Nereites irregularis, Paleodictyon strozzii, Planolites isp., Protopaleodictyon isp., Spirorhaphe isp., Urohelmintoida isp..

ორივე იქნოკომპლექსი ტიპიურია ღრმა ზღვის Nereites-ის იქნოფაციესისთვის. ვფიქრობთ, ქვედა მიეკუთვნება Nereites-ის სუბიქნოფაციესს, რომელიც დამახასიათებელია შლამით მდიდარი დისტალური ფლიშისთვის. ზედა იქნოკომპლექსში გრაფოგლიპტიდების დიდი წილი კი მიუთითებს თხელშრეებრივი ქვიშიანი ტურბიდიტებისთვის დამახასიათებელ Paleodictyon-ის სუბიქნოფაციესზე.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

გეოგრაფიის დეპარტამენტი; ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. ხელმძღვანელი ზურაბ სეფერთელაძე /კათედრის გამგე/; 2. ასოც. პროფ. ლამზირა ლაღიძე; 3. ასისტ. პროფ. ეთერ დავითაია; 4..ასისტ. პროფ. თამარ ალექსიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	კოდი		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Giorgi Khomasuridze, Lamzira Lagidze	Actual Problems of Geography, ISBN 978-9941-13-885-0	Tbilisi, www.press.tsu.edu.ge	91-95

კლიმატის ცვლილების გავლენა ქალაქ თბილისის ტემპერატურულ რეჟიმზე

ქალაქ თბილისის კლიმატის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას: მდებარეობა ზღვის დონიდან, ირგვლივ განლაგებული ქედების ექსპოზიცია, თბილისის ქვაბულის ტერასული აგებულება, ჰიდროქსელი, მცენარეული საფარი და სხვა. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება, მწვანე საფარის მასიური გაჩეხვა და მათ ადგილას მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა, სტიქიური ნაგავსაყრელები და სხვა მავნე გავლენას ახდენს ქალაქის კლიმატზე.

საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მიერ საქართველოსათვის მოწოდებულ მეორე ეროვნულ შეტყობინებაში (საქართველოს ეროვნული ანგარიში 1999, 2006, 2016) კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები მოცემულია ორ პერიოდში - 1955-1970 და 1990-2005 წლებში. დასავლეთ საქართველოში პირველიდან მეორე პერიოდამდე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0.2°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი შემცირდა 27 მმ-ით; აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0.3°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი გაიზარდა 41 მმ-ით.

დედაქალაქში განსაკუთრებით მწვავედ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები. აქ ქვეფენილი ზედაპირი წარმოდგენილია ძირითადად ხელოვნური ლანშაფტით. ქალაქის ჰაერი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ქიმიურ

ნივთიერებებს, რომლებიც წარმოიშობა ავტომანქანების გამონაბოლქვის, საწვავის წვის, საწარმოს ღუმელებში ნახშირის და სხვა მასალების წვის შედეგად. ჰაერში დიდია ბაქტერიების, მტვრის, აეროზოლების რაოდენობა, რომლებიც წარმოადგენენ კონდენსაციის ბირთვებს.
კვლევისთვის გამოვიყენეთ მდინარე ვერეს ხეობაში არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მონაცემები. დაკვირვების მონაცემებით საშუალო წლიური ტემპერატურის (1965-2017 წწ) და ნალექების წლიური ჯამების (1966-2017) მსვლელობისას, წრფივი აპროქსიმაციის ტრენდით აღინიშნა საშუალო წლიური ტემპერატურისა და ნალექების წლიური ჯამების ცვალებადობა: საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 12.0°C÷13.2°C-მდე, ხოლო ნალექების წლიური ჯამებმა 480 მმ-დან 500 მმ-მდე. ე.ი. 50 წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 1.2°C-ით, ხოლო ნალექების წლიურმა ჯამებმა 20 მმ-ით.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Zurab Seperteladze, Eter Davitaia, Tamar Aleksidze, Nino Rukhadze	Anthropogenic Modification of Georgian Natural Landscapes and Sustainable Development of Environment ISSN 978-9941-13-885-0	Scientific Conference-Actual Problems of Geography. Dedicated to Prof. Davit Uklebas 100th anniversary	Tbilisi, TSU	4
2	Zurab Seperteladze, Eter Davitaia, Giorgi Gaprindashvili, Tamar Aleksidze, Nino Rukhadze	Agro-landscape Zoning Of Achara-Guria Region ISBN 978-9941-13-868-3	Actual Problems of Landscape Sciences: Environment, Society, Politics	Tbilisi, TSU	6
1 – ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ბუნებრივ კომპლექსებზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად სახეშეცვლილი კომპლექსები, უმეტეს შემთხვევაში გადიან მოდიფიკაციის რამდენიმე სტადიას. თუ რა დონემდე იცვლებიან ისინი, ტაქსონომიური გაგებით, ჯერ კიდევ სადავოა. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს,

რომ ბუნებრივი ლანდშაფტების ცვლილება და შესაბამისად, ანთროპოგენური ლანდშაფტების წარმოქმნა ხდება ელემენტარული ლანდშაფტის (ფაციის) და მიკროლანდშაფტის (უროჩიშჩეს) დონეზე. არის მოსაზრებაც, რომ ლანდშაფტების ცვლილებას ადგილი აქვს ტაქსონომიურ ერთეულთა სხვა საფეხურზეც და, არა მარტო ელემენტარული და მიკროლანდშაფტები ექცევიან ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ, არამედ უფრო მაღალი რანგის ტაქსონომიური ერთეულები – სახეებიც, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ლანდშაფტის ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეულის ხასიათი და მისი ფიზიოლოგიური ,,სახე", გარდა ზონალური და აზონალური ფაქტორებისა, ძირითადად განსაზღვრულია ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით და პროცესებით, ეს უკანასკნელი კი, ადვილად ემორჩილება ხელოვნურ რეგულირებას.

სწორედ ამ მიზეზით, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს ა. რიაბჩიკოვი, არცთუ იშვიათად, ერთი და იგივე ბუნებრივი ლანდშაფტის ფარგლებში წარმოიქმნება რამდენიმე, სხადასხვა გენეტური რიგის ანთროპოგენური ლანდშაფტი. რაც შეეხება ლანდშაფტის უფრო მაღალ რანგს - კლასი-ტიპი-ქვეტიპი, მათი სახეცვლილება უფრო ძნელად ექვემდებარება ანთროპოგენურ ფაქტორს. ვიზიარებთ რა, ამ მოსაზრებას ავღნიშნავთ, რომ სანამ არ მოხდება ადამიანის მიერ, ლანდშაფტწარმომქმნელი ძირითადი, ორგანიზაციული ფაქტორების ძირეული შეცვლა, მანამ იარსებებს ზემოაღნიშნული რანგის კომპლექსები ბუნებრივი სახით, თუმცა აქვე ავღნიშნავთ, რომ ანთროპოგენური ლანდშაფტის რანგში, ფაციისა და უროჩიშჩეს დონეზე, შესაძლებელია მოდიფიცირებულ იქნას ტერიკონები, მიწაყრილები, ყორღანები, გვათაგროვები (სამთო-სამრეწველო რეგიონებსა და მდინარისპირეთში).

ლანდშაფტის ცალკეული კომპონენტის ენერგეტიკული მახასიათებლების, ტრანსფორმაციის დონისა და ხარისხის, დაჭუჭყიანების კოეფიციენტის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოს ტრანსფორმირებული ლანდშაფტების 4 სიმაღლითი ზონა:

I - ზონა, მაღალი ტრანსფორმაციის დონით, სადაც ჯამური დაბინძურების მაჩვენებელი (კოეფიციენტი) შეადგენს 15-20 და აქ დაბინძურება აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმას 15-20-ჯერ (მასში ერთიანდება ძირითადად, მსხვილი სამრეწველო ცენტრების და აქტიური მაგისტრალების მიდამოები, 5-10 კმ რადიუსით (საქართველოს ტერიტორიის 5-6%);

II- ზონა, საშუალოზე მაღალი ტრანსფორმაციის ხარისხით, ჯამური დაბინძურების მაჩვენებელი (კოეფიციენტი) შეადგენს - 5-15 და აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმას 5-15-ჯერ (მასში ძირითადად ერთიანდება საქართველოს მთათაშორისი ბარის ტერიტორია, პირველი ზონის გამოკლებით - (საქართველოს ტერიტორიის 40-42%);

III - ზონა, ტრანსფორმაციის საშუალო დონით, დაბინძურების კოეფიციენტი შეადგენს 2-5 და 2-5-ჯერ აღემატება ზდნ-ს. ამ ზონაში ექცევა დაბალი და საშუალო მთის ლანდშფტები, ზ.დ. 800-2000 მ სიმაღლის ფარგლებში (საქართველოს ტერიტორიის 30-32%);

IV- ზონა, მინიმალური ტრანსფორმაციის დონით, სადაც ჯამური დაბინძურების მაჩვენებელი (კოეფიციენტი) არ აღემატება 1-ს, ფაქტიურად ეკოლოგიურად სუფთა, მოიცავს საქართველოს მაღალი მთის ლანდშაფტებს (საქართველოს ტერიტორიის 15-20%).

2 – ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბუნებაში ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის ფიზიკურ-გეოგრაფიული შეფასება საკმაოდ რთულია მოცანაა, ვინაიდან, ის მოითხოვს ერთდროულად, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას. ამ ფაქტორთა მახასიათებლები კი სხვადასხვა განზომილებებისა და საკმაოდ დიდი დიაპაზონისანი არიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია

ისეთი მრავალფაქტორული მეთოდის გამოყენება, რომელიც მოგვცემს მკვეთრად განსხვავებული დიდი რაოდენობისა და დიაპაზონის მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას. მულტიფაქტორული მიდგომა ბუნებრივია, არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი მეთოდით, რადგან ბუნებრივი გარემო ერთი მთლიანი ორგანიზმია შემადგენელი კომპონენტების , მოვლენებისა და პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირებით. აღნიშნული მიდგომით, მსგავსი გეოგრაფიული იბიექტების ძირითადი მახასიათებლებლების შეფასება მოვახდინეთ შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რითაც შესაძლებელი გახდა რეგიონის ცალკეული მონაკვეთების კლასიფიკაცია (ტიპიზაცია) და ექსპერიმენტული ნაკვეთების გამოყოფა. ანალიზური მეთოდის მეშვეობით მოხერხდა ძირითადი აგროკლიმატური და გეოგრაფიული მახასიათებლების რანჟირება-შეფასება, ხოლო სინთეზური მეთოდით _ მიღებული შედეგების შეჯერება და კომპლექსური რუკის შედგენა. მოდელირების მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ფეიხოას ცალკეული ჯიშების ყინვაგამძლეობის უნარი (კლიმატის ხელოვნური მოდელირების ლაბორატორიაში ტემპერატურის თანდათანობითი დაწევის პირობებში). კომპიუტერული პროგრამებით განხორციელდა გეოინფორმაციული ბაზის (GIS) შექმნა და გეოაგროსისტემების კარტოგრაფირება. კერძოდ, ფეიხოს ნარგავების გარცელების ზონის შესაბამისი ეკოსისტემების დასადგენად შედგენილ იქნა მსხვილმასშტაბიანი ეკოსისტემათა რუკა და გეოსაინფორმაციო სისტემა. „ფეიხოას ზონის“ შესაბამისი ტყის ეკოსისტემების გამოვლენა, ტყიანობის ხასიათის და ეკოსისტემათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მათი ინდიკატორული ხასიათის დადგენა. შედგენილი რუკის კარტომეტრიულ-გეოინფორმაციული ანალიზის შედეგად შედგა ცხრილი, რომელიც ტყის ეკოსისტემათა ტიპებს, მათს მიერ დაკავებულ ფართობებს და საკვლევ ზონაში მათი ხვედრითი წილის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა.

ასევე შემუშავდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირების მეთოდიკა. ფეიხოას (Feixoa seliowiana) კულტურის მინერალოგიური და მორფომეტრიული ანალიზის (ბიომეტრიული მაჩვენებლები, ზრდის დასასრული და დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, ყინვაგამძლეობა და სხვ.) საფუძველზე მოხდა მისი რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიის სამეურნეო ათვისებისათვის ოპტიმალური ბუნებრივი გარემოს შეფასება მრავალფაქტორული მეთოდით. აქცენტი ძირითადად გაკეთდა გეომორფოლოგიურ (რელიეფის დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია)და აგროკლიმატურ (აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ჰიდროთერმული კოეფიციენტი, ტემპერატურული რეჟიმი, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და სხვ.) ფაქტორებზე. ჩატარებული ზონირების შედეგად გამოვლინდა ოპტიმალური ფეიხოას კულტურის გავრცელებისათვის აგრორესურსული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრული საფეხურები და აგროეკოსისტემები.

ფეიხოს ნარგავების გარცელების ზონის შესაბამისი ეკოსისტემების დასადგენად შედგენილ იქნა მსხვილმასშტაბიანი ეკოსისტემათა რუკა და გეოსაინფორმაციო სისტემა. „ფეიხოას ზონის“ შესაბამისი ტყის ეკოსისტემების გამოვლენა, ტყიანობის ხასიათის და ეკოსისტემათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მათი ინდიკატორული ხასიათის დადგენა. შედგენილი რუკის კარტომეტრიულ-გეოინფორმაციული ანალიზის შედეგად შედგა ცხრილი, რომელიც ტყის ეკოსისტემათა ტიპებს, მათს მიერ დაკავებულ ფართობებს და საკვლევი ზონაში მათი ხვედრითი წილის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა.

ჩატარებული ექსპერიმენტულ–მორფოლოგიური კვლევებისა და ფიზიკურ–გეოგრაფიული ზონირების მიხედვით მიღებულ იქნა გარკვეული შედეგები:

1.ლანდშაფტური–მრავალფაქტორული მეთოდის გამოყენებთ ჩატარდა ზოგიერთ ციტრუსოვან

კულტურათა გავრცელების ოპტიმალური ბუნებრივი პირობების შერჩევა–შეფასება და რანჟირება 2. ჩატარდა ფეიხოას (FEIGOA Sellowiana) სელექციური ჯიშების მორფოლოგიური ანალიზი სხვადასხვა მორფომეტრიული მაჩვენებლების (ბიომეტრიული, პირველი და მეორე ზრდის დასაწყისი - დასასრული, ყვავილობის დასაწყისი-დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, ნაყოფის მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობა, დეგუსტაციური შეფასება, ნაყოფის შენახვისუნარიანობა, ყინვაგამძლეობა და სხვ.) მიხედვით. 3.მულტიფაქტორული მიდგომით განხორციელდა აჭარის რეგიონის სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირება; 4. ფეიხოს ნარგავების გარცელების ზონის შესაბამისი ეკოსისტემების დასადგენად შედგენილ იქნა მსხვილმასშტაბიანი ეკოსისტემათა რუკა და გეოსაინფორმაციო სისტემა. „ფეიხოას ზონის“ შესაბამისი ტყის ეკოსისტემების გამოვლენა, ტყიანობის ხასიათის და ეკოსისტემათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მათი ინდიკატორული ხასიათის დადგენა. შედგენილი რუკის კარტომეტრიულ-გეოინფორმაციული ანალიზის შედეგად შედგა ცხრილი, რომელიც ტყის ეკოსისტემათა ტიპებს, მათს მიერ დაკავებულ ფართობებს და საკვლევი ზონაში მათი ხვედრითი წილის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი /ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი /ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, L. Lagidze, V. Trapaidze, N. Motsonelidze	Measures of Flood Risk Mitigation in Downstream of River Rioni https://doi.org/ 10.5593/sgem2019 /3.1	Conference proceedings of 19th International Multidisplinary Scientific Geoconference SGEM 2019, vol. 19, Water Resources, Forest, Marine and Ocean Ecosystems	SGEM 2019, Resources, Forest, Marine and Ocean ecosystems, Issue 3.1 Albena, Bulgaria	355-362
2	L. Lagidze, L. Matchavariani, D. Svanadze, G. Khomasuridze	"Influence of mete-eorological factors on ecological conditions of the atmosphere in Tbilisi, Georgia"	Journal of Enviromen-tal Biology. Special Issue "Environment and Ecology." Volume 41 (2020)	India, Triveni Enterprises Thomson Reuters Impact Factor: **0.697**	იბეჭდება 2020 წლის I კვარტალში

1. გასული საუკუნის ბოლოდან, პლანეტაზე გააქტიურებულმა გლობალურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაართულა ადამიანის უსაფრთხო ყოფის პირობები. საქართველოსთვის დამახასიათებელ საშიშ ბუნებრივ მოვლენებს (12 ტიპი) შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წყალმოვარდნებსა და წყალდიდობებს უჭირავთ, რომლებსაც, როგორც წესი დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოაქვთ.

საქართველოს ტერიტორიაზე წყალდიდობა-წყალმოვარდნები თითქმის ყველა მდინარისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორის განსაკუთრებით მაღალი რისკით გამოირჩევა მდ. რიონის აუზის მთიანი და მაღალმთიანი ზონა. მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების თანახმად, 1995 წლამდე წყალმოვარდნების საშუალო განმეორებადობა 5-6 წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდა. შემდგომ პერიოდში კი - ეს მაჩვენებელი შესამჩნევად გაიზარდა. მონაცემების ანალიზი უჩვენებს, რომ წყალდიდობა-წყალმოვარდნები, რომლებმაც ერთდროულად მოიცვა ქვეყნის რამდენიმე რეგიონი, საშუალოდ 15-20 წელიწადში ერთხელ მეორდება. აღნიშნულიდან გამომდინარე დიდი მასშტაბის წყალდიდობა-წყალმოვარდნების მოხდენის ალბათობა საქართველის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის მდ. რიონის აუზში 5-6 %-ს შეადგენს. არსებული მეთოდიკით ასეთი ალბათობა 4 ქულით ფასდება და "მაღალის" კატეგორიას განეკუთვნება.

ჩვენს მიერ, 1987 და 1997 წლებში მდ. რიონის ქვედა წელში მომხდარი წყალდიდობა-წყალმოვარდნების საფუძველზე შესწავლილ იყო დატბორვის არის რაოდენობრივი მახასიათებლები. ასევე განისაზღვრა მდინარე რიონის სხვადასხვა განმეორებადობის ხარჯების დროს ქ. ფოთის დატბორვის შესაძლებლობა. დადგინდა, რომ აღნიშნული სცენარის განვითარების შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ დაიტბოროს რამდენიმე ასეული კვ. Კმ. ფართობი, განადგურდეს მათზე განთავსებული ათეულ ათასობით ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, დაინგრეს ან დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ასობით საცხოვრებელი სახლი, ათობით კაპიტალური ხიდი, რამდენიმე ასეული კილომეტრი საავტომობილო და სარკინიგზო გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა საკომუნიკაციო ნაგებობები, დაიხოცოს ათასობით სული პირუტყვი, აღინიშნოს ადამიანთა მსხვერპლიც. შესაძლებელია, წყალდიდობა-წყალმოვარდნამ რამდენიმე ასეული ოჯახის იძულებითი მიგრაცია გამოიწვიოს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ისედაც მწირ ბიუჯეტს.

ზემოაღნიშნული გარემოება განაპირობებს მდ. რიონის ქვემო წელის კლიმატის მიმდინარე ცვლილებების მიმართ ადაპტაციის წინამდებარე პროექტის დაუყოვნებლივ შემუშავებას.
წყალმოვარდნის რისკის შერბილება/შემცირების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა პრევენციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც კორექტირებულ იქნება ჰიდრავლიკური მოდელირების საფუძველზე, ლაბორატორიულ პირობებში.

2. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და ეკოსისტემაზე. კლიმატის ცვლილე-ბასთან ერთად გახშირდა და გაძლირდა ამინდის ექსტრემალური მოვლენები. ზოგიერთი ამ მოვლენის ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია გლობალური კლიმატური სისტემის ცვლილებებთან. სტატიაში ქალაქ თბილისისათვის, შეფასებულია და გაანალიზებულია, აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ძირითადათ გაპირობებულია,გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეორო-ლოგიური ფაქტორებით (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია), რომ-ლებიც განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და შესაბამისად ქალაქის მიკროკლიმატის ცვლილებას. კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, ქალაქ თბილისისათვის გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის მასალები, სადაც დაკვირვება წარმოებს ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე და ასევე ავტომატურ რეჟიმში იზომება აეროზოლების და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები. წარმოდგენილია ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ თბილისისათვის. კვლევისათვის გამოყენებულია სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი. კვლევებმა აჩვენა, რომ თბილისის მასშტაბით, ძირითადი დამაბინძურებლები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM2,5 და PM10 (ყოველთვიური და წლიური) კონცენტრაციები, უმეტეს შემთხვაში აჭარბებენ ზდკ-ს. განსაკუთრები მნივნელოვანია აზოტის ოქსიდები და მიწისპირა ოზონი, რომელთა საშუალო წლიური კონცენტრაციები 1.4-1.8 ჯერ აჭარბებს ზდკ-ს, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღსაღნიშნავია ის გარემოება, რომ თბილისში ბოლო 5 წლის (2013-2017) განმავლობაში ტყვიის საშუალოწლიური კონცენტრაციების შემცირების ტენდენცია აღინიშნება.
დადგენილია, სხვადასხვა დამაბინძურებლების კავშირი მეტეოროლოგიურ პირობებთან და გამოვლენილია ატმოსფეროს დაბინძურებისათვის ხელშემწყობი სონოპტიკური პროცესები. აღსაღნიშნავია ის გარემოება, რომ თბილისში ბოლო 5 წლის (2013-2017) განმავლობაში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციების შემცირების ტენდენცია აღინიშნება. კლიმატის ცვლილების გამოვლინებებს ხშირად ახასიათებს კომმპლექსური ხასიათი აქვთ, რაც განსაკუთრებით ართულებს მათ შორის მიზეზ შედეგობრივი კავშირების დადგენას და მოითხოვს პოლიტიკურ ხედვას და ადაპტაციის ღონისძიებების სწორად განსაზღვრას.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზურაბ სეფერთელაძე,	საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტების ანთროპოგენური მოდიფიკაცია და გარემოს	5-6 ნოემბერი, 2019

	ეთერ დავითაია	მდგრადი განვითარება *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	თბილისი
2	Zurab Seperteladze, Eter Davitaia, Giorgi Gaprindashvili, Tamar Aleksidze, Nino Rukhadze	Agro-landscape Zoning Of Achara-Guria Region	12 September, 2019, Tbilisi, Georgia
3	ზურაბ სეფერთელაძე , ნინო რუხაძე	აჭარის ბარის ზონის ბუნებათსარგებლობა და გარემოს მდგრადი განვითარება *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	14 თებერვალი, 2019, თბილისი http://conference.ens-2019.tsu.ge/
4	ეთერ დავითაია	რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა და გარემოს ეკოლოგიური პრობლემები *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	14 თებერვალი, 2019, თბილისი http://conference.ens-2019.tsu.ge/
5	თამარ ალექსიძე	აჭარის ბარის ზონის ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია და მდგრადი განვითარება *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	14 თებერვალი, 2019 თბილისი http://conference.ens-2019.tsu.ge/
6	ლ. ლაღიძე, ლ. მაჭავარიანი, ნ. წივწივაძე, ნ. მოწონელიძე, ნ.პაიჭაძე	კლიმატის ცვლილების გავლენა ექსტრემალური ტემპერატურების რეჟიმზე (სამცხე- ჯავახეთის მაგალითზე)“ *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	11-15 თებერვალი, 2019 თბილისი http://conference.ens-2019.tsu.ge/
7	ნ. წივწივაძე, ლ. ლაღიძე, გ. ბრეგვაძე, ნ.მოწონელიძე, ნ. პაიჭაძე, გ. ივანოვი	„ქ. თბილისში წყლის ღირებულების და ტარიფის განსაზღვრის პრობლემა“ *მე-7 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*	11-15 თებერვალი, 2019 თბილისი http://conference.ens-2019.tsu.ge/
8	გ. ხომასურიძე, ლ. ლაღიძე	„კლიმატის ცვლილების გავლენა ქალაქ თბილისის ტემპერატურულ რეჟიმზე“ სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები“	5-6 დეკემბერი, 2019 თბილისი www.press.tsu.edu.ge

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ვრცელი ანოტაცია

გარემოზე ადამიანის ზემოქმედება და ურთიერთქმედების ნორმალიზაცია უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოვლენებისა და პროცესების ერთიანი სისტემის იმგვარ შეთანაწყობას, რომელიც არ დაარღვევს არსებულ ეკოლოგიურ წონასწორობას. მდგრადი განვითარებით შესაძლებელია

ბუნებრივი ლანდშაფტების სტაბილურობის, ფუნქციონირების, რესურსდამზოგავი მექანიზმების (ტექნოლოგიების) მიღწევა, საბოლოოდ კი, მომსახურებისა და მართვის გარემოს შექმნა.

საკვლევ რეგიონში ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედება არსებითად განპირობებულია რეკრეაციული, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საქმიანობასთან. დასახელებული (სელიტებური) ტერიტორიების ინტენსიურ ათვისებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, აბრაზია, წყალდიდობა) გააქტიურება. აჭარის ზღვისპირა რაიონებში (ქობულეთი, ხელვაცაური) სოფლის დასახლებები მეტწილად გორაკ-ბორცვებზეა განლაგებული თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით და ინფრასტრუქტურით. ტერიტორიების ათვისებამ გამოიწვია გორაკ-ბორცვების ფერდობების ბუნებრივი მცენარეულობის აგროკულტურებით ჩანაცვლება, საცხოვრებელ ადგილამდე მისასვლელი გზების გაყვანამ (ხშირ შემთხვევაში ამგები ქანებისა და ნიადაგ-გრუნტის გაუთვალისწინებით) ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანა, დაირღვა ადგილის სტაბილურობა და მდგრადობა, დაიმეწყრა გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, საშიშროება დაემუქრა ათეულობით სახცოვრებელ სახლს, საჭირო გახდა ფერდობების რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით გამაგრება, უარეს შემთხვევაში კი დაზარალებულთა ადგილსამყოფელის იძულებით შეცვლა

უშუალოდ სანაპირო ზოლში მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის მდ. ჭოროხზე კაშხლების მშენებლობით გამოწვეული (სოფ. ადლია მონაკვეთი) ნატანის შემცირება და ინერტული მასალის უკონტროლო ექსპლოატაცია პლაჟის ზონიდან.

მდგრადი განვითარების და გარემოზე ზემოქმედების შეფასებით შესაძლებელია:

- ადამიანის საარსებო სივრცის (გარემოს) გაუმჯობესება;
- ეკოსისტემური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა

3 ანოტაცია

გარემოზე ადამიანის ზემოქმედება და ურთიერთქმედების ნორმალიზაცია უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოვლენებისა და პროცესების ერთიანი სისტემის იმგვარ შეთანაწყობას, რომელიც არ დაარღვევს არსებულ ეკოლოგიურ წონასწორობას. მდგრადი განვითარებით შესაძლებელია ბუნებრივი ლანდშაფტების სტაბილურობის, ფუნქციონირების, რესურსდამზოგავი მექანიზმების (ტექნოლოგიების) მიღწევა, საბოლოოდ კი, მომსახურებისა და მართვის გარემოს შექმნა. საკვლევ რეგიონში ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედება არსებითად განპირობებულია რეკრეაციული, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საქმიანობასთან. დასახლებული (სელიტებური) ტერიტორიების ინტენსიურ ათვისებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, აბრაზია, წყალდიდობა) გააქტიურება. აჭარის ზღვისპირა რაიონებში (ქობულეთი, ხელვაჩაური) სოფლის დასახლებები მეტწილად გორაკ-ბორცვებზეა განლაგებული თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით და ინფრასტრუქტურით. ტერიტორიების ათვისებამ გამოიწვია გორაკ-ბორცვების ფერდობების ბუნებრივი მცენარეულობის აგროკულტურებით ჩანაცვლება, საცხოვრებელ ადგილამდე მისასვლელი გზების გაყვანამ (ხშირ შემთხვევაში ამგები ქანებისა და ნიადაგ-გრუნტის გაუთვალისწინებით) ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანა, დაირღვა ადგილის სტაბილურობა და მდგრადობა, დაიმეწყრა გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, საშიშროება დაემუქრა ათეულობით სახცოვრებელ სახლს, საჭირო გახდა ფერდობების რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით გამაგრება, უარეს შემთხვევაში კი დაზარალებულთა ადგილსამყოფელის იძულებით შეცვლა უშუალოდ სანაპირო ზოლში მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის მდ. ჭოროხზე კაშხლების მშენებლობით გამოწვეული (სოფ. ადლია მონაკვეთი) ნატანის შემცირება და ინერტული მასალის უკონტროლო ექსპლოატაცია პლაჟის ზონიდან. მდგრადი განვითარების და გარემოზე ზემოქმედების შეფასებით შესაძლებელია: - ადამიანის საარსებო სივრცის (გარემოს) გაუმჯობესება;

- ეკოსისტემური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება; - კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა.

4. ვრცელი ანოტაცია

გამომდინარე იქიდან, რომ ლანდშაფტმცოდნეობა ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი პრაქტიკულ-გამოყენებითი, კონსტრუქციული მიმართულებაა, მას დიდი გამოყენება აქვს ბუნებათსარგებლობის ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება.

ამ უკანასკნელ პერიოდში უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა (ლანდშაფტურმა) კვლევებმა, ტურიზმისა და დასვენების ორგანიზაციის მიზნით, ამ მხრივ, გეოგრაფიული მეცნიერების ახალი მიმართულებაც კი შეიქმნა _ რეკრეაციული გეოგრაფია, რომლის კვლევის ობიექტია რეკრეაციული სისტემები მჭიდროდ ურთიერთმოქმედ ქვესისტემებით.

ბუნებრივია, პრობლემის აქტუალობა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს წელიწადში, საშუალოდ 100-120 დღე გამოთავისუფლებული აქვს და მისი რაოდენობა (თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში) თანდათან იზრდება. ამასთან ერთად დღითიდღე მატულობს (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში) დისკომფორტული პირობები როგორიცაა სატრანსპორტო ხმაური, ჰაერის დაჭუჭყიანება, ინფორმაციის სიუხვე და სხვ. ყოველივე ეს უბიძგებს ადამიანს მყუდროება და სიმშვიდე (დროებით მაინც) ეძებოს ბუნების წიაღში. აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მშობლიურ გარემოსთან, ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ეთნოგრაფიულ ობიექტებთან მუდმივი სიახლოვე და ურთიერთობა ადამიანს (განსაკუთრებით ახალგაზრდას) უღვიძებს პატრიოტიზმის გრძნობას, უყალიბებს პიროვნებას დადებით მორალურ თვისებებს და ა.შ.

დასვენების ობიექტების არაორგანიზებული კონცენტრაცია, თავის მხრივ იწვევს ბუნებრივი კომპლექსების გადატვირთვას რეკრეანტთა ჭარბი რაოდენობით, რომელიც ხშირად იმ ზომამდე იზრდება, რომ იწვევს ბტკ-ს რღვევას ეკოციდის დონეზე და ზოგჯერ მის სრულ განადგურებასაც კი (გეოციდი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მეცნიერულ დონეზე დაფუძნებული დასვენების სწორი ორგანიზაცია, რაშიც უპირველეს ყოვლისა, ფიზიკო-გეოგრაფის (ლანდშაფტმცოდნის) უშუალო მონაწილეობაა აუცილებელი. იმდენად, რამდენადაც როგორც ავღნიშნეთ, რეკრეაციული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ბუნებრივი გარემოა (ძირითადად ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის ობიექტი) ამ მიზნით აუცილებელია:

1) სარეკრეაციო ობიექტის ბუნებრივი პირობების შეფასება (როგორც კომპონენტური, ისე კომპლექსური) რეკრეაციული მიზნით, ანუ ბუნებრივი გარემოს რეკრეაციული ხელსაყრელობის (კომფორტულობის) ხარისხის განსაზღვრა.

2) ბუნებრივი კომპლექსების რეკრეანტთა დატვირთვის მიმართ მდგრადობის (მასზე ზემოქმედების ოპტიმალური ნორმის) ხარისხის დადგენა, ბტკ-ს კეთილსასურველი თვისებების შენარჩუნების მიზნით.

3) ბუნებრივი კომპლექსების რეკრეაციული ზონირება, მ.შ. იმ ბტკ-ბის გამოვლენა, რომელიც ნაკლებ ან თითქმის გამოუსადეგარია ლანდშაფტურ-რეკრეაციული საჭიროებისათვის.

ბუნებრივი ლანდშაფტების რეკრეაციული შეფასების ძირითადი კომპონენტია ბუნებრივი პირობების კომფორტულობა, მათი უნიკალურობა და თვალწარმტაცობა. ლანდშაფტის შემადგენელი კომპონენტებიდან უპირატესი როლი ენიჭება: რელიეფის პეტროგენულ ფორმებს, კლიმატურ პირობებს, ჰიდროგრაფიული ქსელის თავისებურებებს, მინერალურ წყლებს, ბუნებრივ და კულტურულ მცენარეთა ცალკეულ სახეობებს და სხვ.

ტერიტორიის რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა ორიენტირებულია რესურსების არა ერთ, არამედ რამდენიმე სახეზე. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიყოს რეკრეაციული ბუნე-

ბათსარგებლობის შემდეგი სახეები:

1. სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა – კლიმატურ-ბალნეო და ბალნეო-კლიმატური (ტალახით და მინერალური წყლებით მკურნალობა);

2. გამაჯანსაღებელი მკურნალობა (საცურაო-პლაჟური, გასასეირნებელი);

3. სპორტული (სპორტული ტურიზმი, ალპინიზმი, თევზაობა, ნადირობა და სხვ.);

4. შემეცნებითი ტურიზმი (ისტორიული ადგილები, ტურისტული მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში);

5. მებაღეობა და სააგარაკო ნაკვეთების დამუშავება და სხვ.

გარემოს რეკრეაციულ შეფასებაში ერთ-ერთი საპასუხისმგებლო და რთული ეტაპია იმ ფაქტორების შერჩევა, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ბტკ-ის მიმზიდველობაზე. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა მოთხოვნას უყენებს რეკრეანტი ბუნებას დასვენების პერიოდში. ამას კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს რეკრეანტის ასაკი, განათლება, კულტურის დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ტერიტორიის დიფერენციაცია (ზონირება) ბტკ-ის მიმზიდველობის ზუსტი რაოდენობრივი კრიტერიუმების საფუძველზე. კერძოდ, სად განლაგდეს წყნარი დასვენების ობიექტები, სპორტული კომპლექსები, საბანაო-სათევზაო ადგილები და ა.შ.

ბუნებრივ-რეკრეაციული ზონირების პირველ ეტაპზე, შესაძლებელი და საკმარისია მხოლოდ რეკრეანტთა ინტეგრალური მოთხოვნილებების გათვალისწინება და, შესაბამისად, ბტკ-ის მიმზიდველობისა და ცალკეული ღირებულების ზოგადი შეფასება. ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, უნდა შემოვიფარგლოთ გარემოს მხოლოდ იმ კანონზომიერებების შეფასებით, რომელიც მას რეკრეანტთა დიდი ნაწილისათვის ხელსაყრელსა და მიმზიდველს ხდის. ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს: ბტკ-ის ესთეტიკური ხარისხი, მისადგომლობა, წყლით (განსაკუთრებით სასმელი) უზრუნველყოფა, ფაქტორთა მრავალფეროვნება (მრავალმხრივი გამოყენების მიზნით) და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ტერიტორიის ლანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების დონის შესაფასებლად გამოყენებულ იქნეს ლანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების ინდექსი (ი. ვედენინი, ნ. მირონჩენკო, 1999):

$$i = \frac{П_М}{К_Х П_П},$$

სადაც, I – ტერიტორიის ლანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების ინდექსია, $П_м$ – ტურისტული ობიექტების სიმჭიდროვე მოცემულ ბტკ-ში, K – ბუნებრივი პირობების რეკრეაციული ვარგისიანობის კოეფიციენტი, $П_п$ – მოსახლეობის სიმჭიდროვე მოცემულ ბტკ-ში.

აღნიშნული დამოკიდებულებისა და I-ური ინდექსის "წონის" მიხედვით, შესაძლებელია ტერიტორიის რეკრეაციული ბონიტირება და ბტკ-ის ლანდშაფტურ-რეკრეაციული გამოყენების კატეგორიების დადგენა, სათანადო კოეფიციენტებით (K): 1. ძალზე ხელსაყრელი (კოეფიციენტი – 4), 2. ხელსაყრელი (კოეფიციენტი – 3), 3. შედარებით ხელსაყრელი (კოეფიციენტი – 2), 4. ნაკლებ ან თითქმის არახელსაყრელი (კოეფიციენტი – 1). ასევე, შესაძლებელია გამოიყოს ბტკ-ების რეკრეაციული ტევადობის 3 ტიპი: მაღალი, საშუალო და დაბალი ტევადობის.

ვრცელი ანოტაცია -5

აჭარის შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე ვაკე-დაბლობებისა და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთებზე არარაციონალური (მტაცებლური) ექსპლოატაციის შედეგად განადგურდა ველური ბუნების უნიკალური სახეობები – კოლხური ტყე, მარადმწვანე ქვეტყითა და ლიანებით. მისი ადგილი დაიკავა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებმა, ხეხილის ბაღებმა ვენახებმა, ბაღჩეულ-ბოსტნეულმა კულტურებმა. სწორედ სამეურნეო საქმიანობა გახდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ბუნებირვი გარემოს ანთროპოგენური ტრანსფორმაცია გამოიწვია.

ჩვენი კვლევის ობიექტს აჭარის ზღვისპირა – ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების 500-600 მ-მდე ჰიფსომეტრიული ზონა წარმოადგენდა. აღნიშნულ ზონაში 500 მ სიმაღლემდე ტყეებისა

და ბუჩქნარების ფართობი შესაბამისად 763 და 1215 ჰა-ს შეადგენს. ბოლო წლებში ბუჩქნარების ფართობი გაიზარდა ჩაის პლანტაციების გაპარტახების გამო. 90-იან წლებში კატასტროფულად შემცირდა ჩაის, მნიშვნელოვნად კი ციტრუსოვანთა პლანტაციები. დღეისათვის აჭარის ზღვისპირა რაიონებში ციტრუსოვანთა ახალი პერსპექტიული ჯიშების გაშენება ხდება ყოველწლიურად 30-35 ჰა-მდე ტერიტორიაზე.

აჭარის რეგიონში ბუნებრივი გარემოზე სამეურნეო ზემოქმედების შედეგად (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, რეკრეაცია და ტურიზმი) ფართო მასშტაბები შეიძინა ისეთმა სტიქიურმა პროცესებმა, როგორიცაა: წყალდიდობა, მეწყერი, ეროზია, ქარიშხლები, რომელთა წარმოშობა განვითარება სულ უფრო მწვავე და არარეგულირებად ხასიათს იძენს.

– საკვლევ რეგიონში ფაქტობრივად სრულად ტრანსფორმირებულია სანაპირო ზოლი-გონიო-კვარიათი, ბათუმი-მახინჯაურის, ჩაქვი-ციხისძირის და ქობულეთის (ფიჭვნარი) მონაკვეთები;

– მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა ვაკე-დაბლობის მიმდებარე გორაკ-ბორცვიანმა მთისწინეთებმა.

მდგრადი განვითარებით არის შესაძლებელი ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ისეთი შერწყმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ წონასწორობას.

6. ანოტაცია

კლიმატის ცვლილების გავლენა ატმოსფეროს სხვადასხვა პარამეტრებზე (კერძოდ ექსტრემალურ ტემპერატურების რეჟიმზე) განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გამოირჩევიან რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. ამ მხრივ გამორჩეულია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი სამცხე-ჯავახეთი, რომლის კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდება სხვა რეგიონების კლიმატური პირობებისაგან რაც ძირითადათ ადგილობრივი ფაქტორებითა გამოწვეული, რომლებიც გაპირობებულია რთულ რელიეფური პირობებით, რადიაციული რეჟიმითა და ცირკულაციით. ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად რეგიონის ტემპერატურული რეჟიმი დიდი კონტრასტით ხასიათდება.როგორც ყველა მთიანი ქვეყნისათვის, ამ რეგიონის ტემპერატურული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა. ტემპერატურის გრადიენტი ზამთარში შედარებით ნაკლებია, რაც ამ პერიოდში განვითარებული ტემპერატურული ინვერსიის შედეგია, ხოლო ზაფხულში შედარებით მაღალი.

კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კვლევისათვის გამოყენებულია მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი. დადგენილია, ექსტრემალური ტემპერატურების (მაქსიმალური, მინიმალური) ცვლილების დინამიკა 40 წლიანი პერიოდისათვის, შემდეგი მეტეოროლოგიური სადგურებისათვის: ახალქალაქი, ახალციხე, ბაკურიანი, წალკა, ფარავანი, გოდერძის უღელტეხილი, ბორჯომი.

კვლევის შედეგად დადგინდა ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილებები, 10 წლიანი პერიოდების მიხედვით. მთლიან პერიოდში მაქსიმალური ტემპერატურა გაიზარდა 0.92°C, ხოლო მინიმალური ტემპერატურა 0.74°C-ით.

სამცხე-ჯავახეთის მეტეოროლოგიური დაკვირვებების კვლევის შედეგები, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე, 40 წლიან პერიოდში აღინიშნა ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილებები განხილული 10 წლიანი პერიოდების განმავლობაში. კერძოდ, აღინიშნა დათბობა აცივების შემთხვევები.

7. ანოტაცია

წყლის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება და მუშაობა. დედამიწაზე ბევრი ადგილია, სადაც ამ რესურსის ნაკლებობას განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი მდინარე და მტკნარი წყლის მრავალი ბუნებრივი თუ ხელოვნური წყალსაცავი არსებობს, ჯერ კიდევ

აუცილებელია ამ ძვირადღირებული სითხის გადარჩენა/შენარჩუნება, რისთვისაც შემოღებულია წყლის ტარიფი.

წყლისა და ჩამდინარე კომუნალური წყლების ტარიფები განკუთვნილია წყლის დამუშავების, წყლის შენახვის, მომხმარებლისათვის მიწოდების, ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის ხარჯების და ა.შ. დასაფარავად. წყლისთვის გადახდილი ფასი განსხვავდება წყლის ტარიფებისაგან. უკანასკნელნი განსხვავდებიან მათი სტრუქტურის, ქვეყნების, ქალაქების დონისა და ზოგჯერ მომხმარებელთა კატეგორიების შესაბამისად. ამასთანავე ფართოდ განსხვავდება ტარიფების რეგულირების მექანიზმებიც. ისინი შეიძლება გაწეულ ხარჯებზე ნაკლები იყოს, ხარჯების ანაზღაურების გარეშე ან წინასწარ გათვლილი ანაზღაურების დონეზე, როგორც ეს მრავალ განვითარებად ქვეყნაში ხდება, რაც ხშირად ტექნიკური მომსახურების დაბალი დონის შენარჩუნებას იწვევს და მოითხოვს მნიშვნელოვან სუბსიდიებს ინვესტირებისა და ოპერირებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში წყალი და, ნაკლებად, ჩამდინარე კომუნალური წყლების ტარიფები, როგორც წესი, ახლოსაა ერთმანეთთან და/ან ანაზღაურების დონეზე, ზოგჯერ კი მოგების საშუალებასაც კი იძლევა.

ტარიფების დასადგენად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური მოსაზრებები. ტარიფის სტრუქტურა და დონეები ზოგიერთ შემთხვევაში ისე დგინდება, რომ გავლენა არ მოახდინოს ღარიბ მომხმარებელზე. წყლის ფასების ზრდის გადავადება ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებებით ძირითადად არჩევნების წინ ხდება.

წყლის ტარიფები უნდა იყოს მარტივად გასაგები მომხმარებლებისათვის. ეს ყოველთვის ადვილი არ არის ისეთი უფრო რთული ტიპის ტარიფების შემთხვევაში, როგორიცაა მზარდი ბლოკ-ტარიფები და ტარიფები, რომლებიც განსხვავდებიან სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს შორის. მოხმარების ტარიფები, რომლებიც ქვეყანაში კომუნალური გადასახადებს ითვალისწინებს, უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ ძვირი და გაუმჭვირვალეა, რაც, თავის მხრივ, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობისა და პატიოსნების ეჭვს იწვევს. ჩვენ ვეცადეთ დაგვედგინა სასმელი წყლის ტარიფისა და რეალური ღირებულების ოდენობა, მაგრამ წყალმომარაგების ხარჯების შესახებ ინფორმაციის გაუმჭვირვალობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა პრობლემის შესახებ რაიმე სწორი დასკვნის გაკეთება.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	L. Lagidze	The role of atmospheric processes in air pollution (Tbilisi, Georgia)	25-26.112019 Dubai,UAE https;//climatechange. averconferences.com/
2	N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, L. Lagidze, V. Trapaidze, N. Motsonelidze	Measures of Flood Risk Mitigation in Downstream of River Rioni	30 June - 6 July, 2019, Albena, Bulgaria www.sgem.org
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა (გეოგრაფის დეპარტამენტი)

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
დალი ნიკოლაიშვილი - კათედრის გამგე, პროფესორი
თენგიზ გორდეზიანი - ასოც. პროფესორი
ცეცილია დონაძე - ასისტ. პროფესორი
გორგი დვალაშვილი - ასისტ. პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერერთობლივადშესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის ელექტრონული კარტოგრაფიული ფონდის სრულყოფა-ანოტირება და „საქართველოს საზოგადო რუკის“ (1931-1932 წწ.) ანალიზი და ელსაძიებლის შედგენა, თსუ	1.04-1.10.2019.	▪ ნიკოლაიშვილი დალი - ხელ.-კონსულტანტი ▪ ბობოხიძე თამთა - ხელ.-მენე-ჯერი ▪ დავითაშვილი გიორგი ▪ ვახტანგიშვილი გიორგი

			▪ ნიკოლეიშვილი სალომე ▪ ტეფნაძე თამარ ▪ შეროზია ანი

ელექტრონული კარტოგრაფიული ფონდის არსებობა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოში. ის გამიზნულია მეცნიერებათა ფართო სპექტრისათვის – დარგობრივი, თუ კომპლექსური, საბუნებისმეტყველო, თუ საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის, და რა თქმა უნდა, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიისათვის. ასევე უმნიშვნელოვანესია მისი როლი სასწავლო პროცესში. ასეთ რესურსებზე წვდომა არსებითია სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, ვინაიდან ეხმარება სტუდენტებს მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია კარტოგრაფიული წყაროების შესახებ.

თსუ გეოგრაფიის დეპარტმენტის კარტოგრაფიულ ფონდში დაცულია მრავალი უნიკალური რუკა, მათ შორის არის XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის I ნახევრის რუკები - ე.წ. „ვერსტოვკები“, რომლებიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობა. ამ ძველ რუკებზე მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტია დატანილი (მთები, დასახლებული პუნქტები, დროებითი სადგომები და სხვ.), მოცემულია ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიც. რუკაზე დატანილი მრავალი ობიექტი დღეს აღარ არსებობს, შეცვლილია მათი სახელწოდება, აგრეთვე შეცვლილია სახელმწიფო საზღვრის კონტური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ერთ-ერთი ასეთია ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს საზოგადო რუკა“ (1931-1932 წწ.). ამიტომ მათი შესწავლა მრავალი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი და ღირებული -გეოგრაფებისათვის, ისტორიკოსებისათვის, დემოგრაფებისათვის, ტოპონიმიის მკვლევართათვის და ა.შ.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის ელექტრონული კარტოგრაფიული ფონდის სრულყოფა-ანოტირება და „საქართველოს საზოგადო რუკის“ გეოგრაფიული ელსაძიებელი.

2	გურჯაანის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების გეოგრაფიული კვლევა, თსუ	1.04-1.09.2019.	• დვალაშვილი გიორგი - ხელმძღვანელი.-კონსულტანტი • ჯაფოშვილი მარიამი - ხელ.-მენეჯერი • მოდებაძე დემეტრე • თაბაგარი სალომე • ჩიტიშვილი მერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2017 და 2018 წლებში დაფინანსებული სტუდენტური პროექტების „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ძეგლების გეოეკოლოგიური კვლევის“ და „საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევის“ წარმატებით განხორციელების შემდეგ, რომლის შედეგად გამოიცა წიგნი „„ჭიათურის მუნიციპალიტეტი“ (გამომცემლობა „თსუ“, გვ.84, თბ., 2017, ISBN 978-9941-13-649-8) და „საჩხერის მუნიციპალიტეტი“ (გამომცემლობა ,,თსუ“ გვ. 105, თბ.2018, ISBN 978-9941-13-797-6) აქტუალური გახდა სხვა რეგიონის კვლევა, ამჯერად შერჩეულ იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტი. მიღებული შედეგების ფონზე გურჯაანის მერიაში მოხდა შეხვედრა, სადაც დაიგეგმა ახალი პროექტის ,,გურჯაანის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების გეოგრაფიული კვლევის“ განხორციელება. გურჯაანის მუნიციპალიტეტს აქვს დიდი ტურისტული პოტენციალი, რომელიც სრულად ჯერ არ არის ათვისებული.

საკმაოდ პოპულარულია ტურისტებისთვის საექსკურსიო მარშრუტები სხვადასხვა სახლ-მუზეუმის მიმართულებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვიზიტორებს შორის ცოტაა უცხოელი ტურისტები არასაკმარისი ცნობადობის გამო. ყველაზე პერსპექტიული არის ბუნებრივი და ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნაობების შეფასება ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგება ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნაობების აღრიცხვისა და პასპორტიზაციის საკითხი ცალკეული დასახლებული პუნქტის მიხედვით, შემდეგ კი მათი დაცვისა და მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენება. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მოხდეს ღირსშესანიშნავი ადგილების ადგილზე შესწავლა და მათი პასპორტიზაცია ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით.

კვლევის მთავარი მიზანი იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნავი ძეგლების აღრიცხვა და შეფასება - მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლა და პოტენციალის გამორკვევა: ტურისტულ-რეკრეაციული, აგრარული, სამკურნალო,

სპორტული, კულტურულ-ისტორიული, არქეოლოგიური და სხვ.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით (გეოგრაფია, ისტორია, ტოპონიმიკა) #HE-18-448	26.07.2018 - 26.07.2021	▪ დალი ნიკოლაიშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, გეოგრაფი, გის-სპეციალისტი (**კათედრის გამგე**); ▪ დავით სართანია - კოორდინატორი, ეთნოლოგი; ▪ დარეჯან კირთაძე - ტოპონიმიკის სპეციალისტი; ▪ ავთანდილ უჯმაჯურიძე - ისტორიკოსი; ▪ ვაჟა ტრაპაიძე - გეოგრაფი; ▪ მანანა კვეტენაძე -კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი (**კათედრის დოქტორანტი**); ▪ თედო გორგოძე კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი (**კათედრის დოქტორანტი**); ▪ მარიკა ჯიქია - თურქოლოგი (თსუ პროფესორი, თურქოლოგიის კათედრის გამგე).

ისტორიული კარტოგრაფია, როგორც კარტოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის მიჯნაზე განვითარე ბადი დისციპლინა, მიზნად ისახავს ისტორიული რუკებისა და ატლასების შედგენას, მათი შექმნის მეთოდების დამუშავებას, რუკებზე მოცემული ობიექტების ტერიტორიული განაწილების თავისებურებების ანალიზს. თუმცა ისტორიული კარტოგრაფია საქართველოში ნაკლებად განვითარებულ დისციპლინად შეიძლება მივიჩნიოთ. შედარებით უფრო განვითარებულია ისტორიული კარტოგრაფიის ერთი მიმართულება - პოლიტიკური ვითარების რეტროსპექტიული სურათის შექმნა. მრავალი ათეული წელია საქართველოში იქმნება სასწავლო, სამეცნიერო თუ საცნობარო-სამიმოხილვითი დანიშნულების ისტორიული რუკები, რომლებიც უმთავრესად ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსისაა, ასახავენ რა მხოლოდ პოლიტიკურ ვითარებას წარსულში- საქართველოსა და მიმდებარე ქვეყნების ტერიტორიებს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ფაქტობრივად არ მოგვეპოვება საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიების ისტორიულ-ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-დემოგრაფიული, ისტორიულ-ეკონომიკური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული და სხვა სახის ისტორიული რუკები. შესაბამისად არც მათი შექმნის მეთოდებია სათანადოდ შემუშავებული.

პროექტის მთავარი იდეა ემსახურება სწორედ ამ ხარვეზის ამოვსებას. კვლევა წარიმართება სხვადასხვა დისციპლინების მიჯნაზე დაგის-ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევა ძირითადად დაემყარება ისტორიულ წყაროებს - ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ შედგენილ

მოსახლეობის აღწერის ძველ დავთრებს (შემდგომში „ძველი დავთრები“). ესენია:

- 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“- თარგმნილი თურქულიდან ქართულად ნ. შენგელიას მიერ, გამოიცა 2016 წელს;
- 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“- თარგმნილი თურქულიდან ქართულად ს. ჯიქიას მიერ, გამოიცა 1941 წელს;
- 1694-1732 წლების „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“ - თარგმნილი თურქულიდან ქართულად ც. აბულაძის მიერ, გამოიცა 1979 წელს;
- „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ - თარგმნილი თურქულიდან ქართულად ზ. შაშიკაძესა და მ.მახარაძის მიერ, გამოიცა 2011 წელს;
- „ჩილდირის ვილაიეთი სმოკლე (იჯმალ) დავთარი“ - თარგმნილი თურქულიდან ქართულად მ. მახარაძისა და ნ.შენგელიას მიერ, გამოიცა 2008 წელს;
- 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ - თარგმნილი თურქულიდან ქართულად ს. ჯიქიასადან. შენგელიას მიერ, გამოიცა 1941 წელს (საკვლევ ტერიტორიაში შესული მხოლოდ ნაწილი).

დოკუმენტები ასახავს იმ პერიოდს, როც ასამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამხრეთი ნაწილი შედიოდა ოსმალეთის შემადგენლობაში ცალკეული ვილაიეთების (პროვინციების) სახელით. ამ ტერიტორიის ნაწილი დღეს შემოდის საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი), მეორე ნაწილიკი - თურქეთშია (არტაანი, კლარჯეთი, კოლა, ლაზეთი, ტაო, ოლთისი, შავშეთი).

აღნიშნული „ძველი დავთრები“ დღემდე არავის უკვლევია გეოგრაფიულ-კარტომეტრიული თვალსაზრისით. წარმოდგენილი პროექტის უნიკალურობა/უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ორიენტირებულია უმთავრესად „ძველი დავთრების“ რეტროსპექტიულ კარტოგრაფირებასა და გეოგრაფიულ-კარტომეტრიულ ანალიზზე.

ამჟამად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- შედგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანი კარტოგრაფიული საფუძველი;
- მოძიებული და გაანალიზებულია სათანადო, მ.შ. კარტოგრაფიული წყაროები;
- დაწყებულია გეოგრაფიულ ობიექტების იდენტიფიკაცია და დახასიათება;
- შედგენილია ცალკეული თემატური რუკები.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპი სძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
1	ხვანჭკარის გავრცელების ზონაში ბიომრავალფეროვნების აღდგენა, დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), GEO/SGP/OP6/Y4/CORE/BD/19/04	01.07.2019 – 30.06.2021	▪ *თენგიზ გორდეზიანი* - კოორ-დინატორი (თსუ ასოც. პროფ.) ▪ *ნოდარ ელიზბარაშვილი* - კონსულტანტი ლანდშაფტმცოდნე (თსუ პროფესორი) ▪ *ლალი გოგინავა* - კონსულტანტი აგრონომი (აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი) ▪ *თედო გორგოძე* - გის ექსპერტი (თსუ დოქტორანტი) ▪ *გოჩა გუძუაძე* - ტოპოგრაფი (თსუ დოქტორანტი) ▪ *ირმა კოტეტიშვილი* - ბუღალტერი
პროექტის შესრულება დაიწყო 2019 წლის 1 ივლისს. პროექტის წამყვან კომპონენტს წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხვანჭკარის გავრცელების ზონაში ბიომრავალფეროვნების აღდგენის მიზნით, რაჭაში, პირველი სანერგე მეურნეობის მოწყობა. სანერგეს მიზანია წაბლის, სოჭისა და კაკლის ნერგების გამოყვანა და გარემოსდაცვითი კუთხით მათი გამოყენება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებითა და კონსულტაციით შერჩეულ იქნა 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად. ამ ნაკვეთზე აღებულ იქნა 2 ფრაქცია ნიადაგის სინჯი 30 სმ-ის სიღრმიდან და 60 სმ-ის სიღრმიდან. ჩატარებულ იქნა ამ სინჯების ლაბორატორიული ანალიზი მომავალი სანერგესათვის ნიადაგის ვარგისიანობის დადგენის მიზნით. მსხვილმასშტაბში (1 : 50,000) შედგენილ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გეგმარებითი ლანდშაფტური რუკა. ჩატარდა მომავალი სანერგეს ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა და შედგენილ იქნა საკადასტრო ნახაზი. მიმდინარე პროცესია სანერგისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროცედურა 2 წლის ვადით. დეკემბრის ბოლოს იგეგმება ამბროლაურის საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისა და პედაგოგიური კოლექტივისათვის 2 ლექციის ჩატარება ბიომრავალფეროვნების პრობლემატიკასთან დაკავშირებით.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებულიკვლევითიპროექტის2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დვალაშვილი გ. გოგიშვილი მ.	სამტრედიის მუნიციპალიტეტი ISBN 978-9941-26-565-5	უნივერსალი, თბილისი. 2019	182
ნაშრომში განხილულია მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები, დახასიათებულია 1 ქალაქი, 1 დაბა და მუნიციპალიტეტში არსებული ტერიტორიულ მართვის ორგანოში გაერთიანებული საინტერესო გეოგრაფიული პირობებით და კულტურული მემკვიდრებით გამორჩეული 48 სოფელი, ყველა ამ დასახლებულ პუნქტში საინტერესო და მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მდებარეობს. ყოველივე ეს კი, მთლიანობაში წარმოადგენს მდიდარ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს. წიგნი ილუსტრირებულია მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტის შესაბამისი ფოტოსურათებით. განხილულია - სოფლების სახელწოდების წარმოშობის სხვადასხვა ვერსია, ტრადიცია, თქმულება, ლეგენდა, სოფელში გავრცელებული გვარები, გეოგრაფიული ადგილების (მდინარეები, ტბები, მინდვრები, მთები, ხეობები) დახასიათება, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეებისა და სახლ-მუზეუმების როგორც ისტორიული წარსული, აგრეთვე თანამედროვე მდგომარეობა. წიგნში განხილულია დასახლებული პუნქტების გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც, თავიანთი მოღვაწეობით სახელი გაუთქვეს როგორც ქალაქს, სოფელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტს, აგრეთვე, დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან ათასზე მეტი გამოჩენილი პროვნება იქნა შერჩეული, წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე ღირსეული ადამიანი ვერ მოხვდა, წიგნის თემის სპეციფიკის გამო. მკითხველის მიერ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები, ამ მიმართულებით, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული შემდგომ კვლევებში. დასახლებულ პუნქტებში შესაძლებელია რამდენიმე საინტერესო ტურისტული მარშრუტის მოწყობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიულ-არქტიტექტურული ძეგლების გეოგრაფიული შეფასების საფუძველზე. სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები კარგ პირობას ქმნის ამ რეგიონში ტურიზმის მოყვარულთათვის.				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ. ნიკოლაიშვი-ლი, დ. სართანია	თორის ანთროპონიმები 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“	ქართველური ონომასტიკა, X		7 გვ.
„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შედგენილია 1728 წელს ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ მათ მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარკვეულ ტერიტორიისათვის. 2009 წელს გამოვიდა მისი თარგმანი, ოსმალურიდან თარგმნეს და გამოსცეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. დავთრის მიხედვით თორი მოიცავს 2 ნაჰიეს: პეტრესა და გუჯარეთის, სადაც დასახელებულია 57 სოფელი, მათზე გაწერილი გადასახადები, კომლთა რაოდენობა, სოფლის ადმინისტრაციული მიკუთ-ვნებულობა, ოჯახის უფროსების სახელები მამის სახელების მითითებით და სხვ. ანთროპონიმების კვლევა გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის ეროვნულ-კონფესიურ სტრუქტურაზე და ხშირად ქართული სუბსტრატის გამოვლენის საშუალებაცაა. ჩვენი კვლევის ობიექ-ტად ამჯერად იქცა კომლთა უფროსების სახელები – ქართველებსა და ქრისტიანებში გავრცელებულ სახელთა წარმოჩენით.კალენდარული პირების სახელების შედარებამ „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღნუსხულ სახელებთან დაგვანახა, რომ ქართულის გარდა, გვხვდებოდა ებრაული, ბერძ-ნული და სხვა წარმოშობის სახელები. ამასთან დადგინდა, რომ არაკალენდარული სახელები უფრო მეტი სიხშირით გვხვდებოდა ორივე ნაჰიეში, ვიდრე კალენდარული. ამის მიზეზები კი მხარის ისტო-რიულ განვითარებაში შეიძლება ვეძიოთ. XVI საუკუნეში საქართველოს ეს მხარე ოსმალეთმა დაიპყრო, შემდგომ პერიოდში იგი ქართლის სამეფომ დაიბრუნა, თუმცა ოსმალური გავლენა გარკვეულწილად მაინც იქნებოდა შენარჩუნებული, თუნდაც ანთროპონიმების დონეზე.				
2	D. Sartania, D. Nikolaishvili, A. Ujmajuridze	About some Georgian toponyms in historical Meskheti(as per the old Turkish registers)	ACTUAL PROBLEMS OF GEOGRAPHY 07-08 NOVEMBER	2019, თბილისი	5 გვ.
მესხეთი მხარეა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თვალსაზ-რისით დღეს იგი მოიცავს სამცხე-ჯავახეთსა და აჭარას (საქართველოს ფარგლებში) და თურქეთში მდებარე მის ისტორიულ ტერიტორიებს: შავშეთს, ტაოს, კლარჯეთს, ერუშეთს, კოლას, არტაანს, ლაზეთს და სხვ. მოიცავს მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელის აუზს, აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს. ალექსნადრე ფრონელი წერდა, რომ მესხეთში აღარ არის შემორჩენილი *„წარსულის აჩრდილი და ნატამალი“*. დროთა მანძილზე კიდევ უფრო შეიცვალა				

ვითარება და ის, რაც ამ ერთიან ქართულ მიწაზე ქართული იყო, თანდათან დაკნინდა. ამას ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიის (შემდეგში საბჭოთა კავშირის) ფარგლებში ქვეყნის მოქცევამ, რომლის დროსაც რუსიფიკაციის პროცესი გაძლიერებით მიმდინარეობდა - ადგილობრივთა სხვაგან გადასახლება, თავისუფალ მიწებზე უცხოტომელების (რუსი სექტანტების და სომხების) დასახლება, დასახლებებისათვის სახელების შეცვლა და სხვ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ქართული სუბსტრატის გამოვლენა ტოპონიმიაში, ქართულ სულიერ და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ტოპონიმთა ნაწილი ოდესღაც ქრისტიანობის ამ მხარეში გავრცელების უტყუარი დასტურია: ზაქარწმინდა, ზედაწმინდა, სტეფანწმინდა, წმინდა-ელია და სხვ. მრავლად გვხვდება ქართული სიტყვებიდან წარმომდგარი ტოპონიმებიც, ისევე როგორც ეს საქართველოს თანამედროვე ტერიტორიისათვისაა დამახასიათებელი. გვხვდება შემდეგ ქართულ სიტყვებთან დაკავშირებული ტოპონიმებიც: ხევი (გუნდუსხევი), თეთრისხევი, სამზიოსხევი, ჭობისხევი, წისქვილისხევი, წყალი (იდისწყალი, სევრისწყალი, ჩრდილის წყალი, ჯაყისწყალი), ტბა (ტბეთი) და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ის ტოპონიმები, რომლებიც წარმოქმნილია ქართული მაწარმოებელი სუფიქსებით (ეთ, ნი, თა, ათ): აკამეთი, გუდანეთი, ერუშეთი, კლარჯეთი, მაჩუეთი, ნორბეთი, ტბეთი, ტებათი, შავშეთი და ა.შ.

ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მრავალი ქართული ტოპონიმია აღრიცხული ძველ თურქულ დავთრებში (XVI-XVIII სს). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ტოპონიმების კვლევა, რომლებიც დღეს საქრთველოს მიღმა, თურქეთშია მოქცეული. დავთრების კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ზოგიერთი ტოპონიმი ზუსტად ამავე სახელწოდებით გვხვდება თანამედროვე საქართველოშიც. მაგალითად, აგარა, ატენი, მერე, სტეფანწმინდა და სხვ. ეს ფაქტი ორ ძირითად გარემოებაზე მიგვანიშნებს: მესხეთის და საერთოდ, წარსულში საქართველოს ერთ მთლიან სხეულად არსებობაზე და ქართული მოსახლეობის შესაძლო შიგა მიგრაციულ პროცესებზე ამ ერთიანი სხეულის ფარგლებში.

3	**Двалашвили Г. Б.** Табагари С.У., Джафошвили М.Н., Читишвили М.М.	Проблемы и перспективы развития регионального туризма, на примере Кахетинского региона (Грузия).	Материалы X всероссийской научно-практической конференции	15 января 2019 года, г. Самара	

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობების კონტრასტულობა და ლანდშაფტური მდებარეობის მაღალი კოეფიციენტი ჩვენს ქვეყანაში ბუნების უნიკალური ძეგლების სიმრავლეს და მრავალფეროვნებას განაპირობებს. ბუნების ძეგლია ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნი, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები; ასევე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ჩანჩქერი, ტბა, ტყის კორომი, იშვიათ მცენარეთა და ცხოველთა სამკვიდრო ადგილი და ერთი ხეც კი (მაგალითად, 1800-წლოვანი უთხოვარი ბაწარის ნაკრძალში). თითოეულ ძეგლს სამეცნიერო, ისტორიული, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო თუ ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებული დაცვა სჭირდება.

საქართველოს ერთ-ერთი სიანტერესო რეგიონის - კახეთის ბუნების საინტერესო ძეგლებია აღშანიშნავი. მათგან ალაზნის ჭალებს პირველს მიენიჭა ბუნების ძეგლის სტატუსი. ეს ობიექტები მნიშვნელობითა და უნიკალურობით წარმოდგენილი ობიექტები ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. გარდა ამისა, საქართველოს ბუნება, მიუხედავად მკვლევართა მრავალწლიანი მოღვაწეობისა, ჯერ კიდევ ბევრ გამოუკვლევ ბუნების ქმნილებას მალავს; მათი მოძიება, შესწავლა, კეთილმოწყობა და ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა გაზრდის ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და მიმზიდველს გახდის საქართველოს ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის; ამასთან, უზრუნველყოფს ობიექტთა დაცვასა და პირველქმნილი სახით შენარჩუნებას.

4	**Гордезиани Т.,** Лаошвили З., Горгодзе Т., Гудзуадзе Г.,	Методика геоинформационного картографирования перспективного	Медоды непрерывного географического образования и	2019 г. г. Харьков	8 стр.

		туристического-рекреационного комплекса (на примере Шаорского водохранилища и её окрестностей)	картографии, №6		

მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კარტოგრაფიის დინამიკური და მზარდი მიმართულების - გეოინფორმაციული კარტოგრაფიების განვითარებას. ამ მიმართულებით საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. ამ პერიოდიდან საქრთველოს სინამდვილეში შექმნილ იქნა რიგი თემატური და მრავალპროფილიანი გეოინფორმაციული სისტემები, შეიქმნა საქართველოს რამდენიმე რეგიონის გეოინფორმაციული ატლასი.

ამჟამად საქართველოში სხვა პრიორიტეტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებას. ეს მიმართულება კი წარმოუდგენელია მაღალი სიზუსტითა და თანამედროვე გეოინფორმაციული ტექნოლოგიებით შედგენილი რუკებისა და სხვა კარტოგრაფიული გამოსახულებების გარეშე.

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს ერთ-ერთი პერსპექტიული ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტის - შაორის წყალსაცავისა და მისი შემოგარენის გეოინფორმაციული კარტოგრაფირემის მეთოდიკა. ნაშრომში განხორციელებულია ობიექტის შეფასებითი ტურისტულ-რეკრეაციული ანალიზი გეოგრაფიული კუთხით. ნაშრომის შედეგს წარმოადგენს, თემატური შინაარსის მინი-ატლასი და გეოინფორმაციული სისტემა, რომელსაც მომავალში გარკვეული მნიშვნელობა ექნება ამ ეგზოტიკური ობიექტის რეკრეაციული მიმართულებით განვითარების კუთხით, რომელიც უკვე საკმაოდ მაღალი ინტენსივობით არის დაწყებული.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-	გამოცემის ადგილი,	გვერდებისრაოდენობა

		წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამომცემლობა	
1				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nikolaishvili D. A., Sherozia A., Nikoleishvili S., Tepnadze T	General Map of Georgia by Alexander Javakhishvili – the Complex Analysis	International Journal of Scientific Researsh, vol. VIII, Issue: VIII, August – 2019.	ISSN 2277-8179	3 გვ.
სტატიაში განხილულია 1931-1932 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ გამოცემული „საქართველოს საზოგადო რუკა (მასშტაბი 1:200,000)“. რუკაზე ასახულია სახელმწიფოს საზღვრები, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, დასახლებული პუნქტები (კომლთა რაოდენობის მითითებით), ინფრასტრუქტურა (გზები, საწარმოები და სხვ.), კულტურის ძეგლები და სხვ. ამიტომ იგი პირველწყაროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისათვის. კვლევის შედეგად დადგენილია სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტების ცვლილებები თანამედროვე პერიოდთან შედარებით და გამოვლენილია ამ ობიექტების ტერიტორიული განაწილების ზოგიერთი თავისებურება. დადგინდა სახელმწიფო საზღვრისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ცვლილებები. საქართველოს ტერიტორიის ამსახველი არაერთი ძველი რუკაა შემორჩენილი, რომლებიც დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. ეს ითქმის XX საუკუნის I ნახევარში შექმნილ რუკებზეც. 1990-იან წლებამდე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება ფაქტობრივად ამის რეალურ საფუძველს არ იძლეოდა. ალექსანდრე ჯავახიშვილის „საქართველოს საზოგადო რუკის” კვლევა, ერთეული გამონაკლისების გარდა, ფაქტობრივად დღემდე არ განხორციელებულა, მიუხედავად იმისა, რომ რუკაზე სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად ღირებული ინფორმაციაა დატანილი (გეოგრაფების, დემოგრაფების, კარტოგრაფების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ტოპონიმიკის სპეციალისტებისათვის). იგი ასახავს 1930-იანი წლების დროინდელ ვითარებას: სახელმწიფოს ტერიტორიასა და საზღვრებს, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობას, დასახლებული პუნქტების სიხშირეს, მოსახლეობის რაოდენობას (ცალკეულ შემთხვევაში კომლთა რაოდენობასა და მოსახლეობის სიმჭიდროვეს), ინფრასტრუქტურას (გზები, საწარმოები და სხვ.), კულტურის ძეგლები, ტოპონიმებსა და სხვ. გარდა ამისა, რუკა იძლევა ინფორმაციას იმდროინდელი ტყისა და მყინვარული საფარის შესახებ და გვაძლევს მისი თანამედროვე მდგომარეობასთან შედარების შესაძლებლობას. რუკა უაღრესად მნიშვნელოვნია ტოპონიმიკური თვალსაზრისითაც. საბჭოთა პერიოდში მრავალ ტოპონიმს შეეცვალა სახელი. მრავალი მათგანი მივიწყებასაც მიეცა. ამიტომ რუკის ტოპონიმია საუკეთესო წყაროა გეოგრაფიული სახელწოდებების რეტროსპექტივისა და დინამიკის შესწავლისათვის.					
2	Tolordava R., Laoshvili Z., Nikolaishvili D.	The modern ecological state of the border between Georgia and Armenia	Longterm Environemnt observations: experience, problems andperspectivs.	ლვოვი, უკრაინა	გვ. 149-150

			Proceedings of the Interabtional workshop		

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ სადემარკაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად ორ ათეულ წელზე მეტია ვერ ხერხდება ამ მეტად საშური საელმწიფო მნიშვნელობის საქმის დამთავრება. ასე მაგალითად, ბოლო მონაცემებით სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის დონეზე სხვადასხვა მონაცემებით შეთანხმებულია დაახლოებით საზღვრის 65-71%. არადა, გაურკვევლობის გამო სადავო მონაკვეთებზე ეკოლოგიური თვალსაზრისით არანაირი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არ ტარდება. ინფორმაციის წყაროს მხოლოდ სატელიტური სურათები წარმოადგენს, რაც სრულყოფილი ანალიზისთვის არ არის საკმარისი. შესაბამისად, ეს ტერიტორიები მოკლენულია სახელმწიფის მხრიდან რაიმე პრევენციულ ღონისძიებებს, რაც რამდენადმე გამოასწორებდა გართულებულ ეკოლოგიურ ვითარებას.

წინამდებარე ნაშრომი საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ზოლის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისა და მეცნიერულ ანალიზის გზით პრობლემური მონაკვეთებისა და სიტუაციების გამოვლენას ისახავს მიზნად, რამაც გამოჯნვის პროცესში სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას უნდა შეუწყოს ხელი. საზღვარი გატარებული უნდა იქნეს პირველ რიგში ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების (სიმაღლითი ნიშნულების, წყალგამყოფების, ჰიდროგრაფიული ობიექტების და სხვ.) გათვალისწინებით. რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესები, რაც სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს ლეგიტიმაციის ფარგლებში აღადგინონ სენსიტიურ მონაკვეთებზე დარღვეული გეოეკოლოგიური წონასწორობა.

საქართველოსა და სომხეთის მდებარეობა კავკასიის ურთულესი გეოპოლიტიკური ცვლილებების არეალში ყოველთვის განსაზღვრავდა ამ ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტების განსაკუთრებულ ყურადღებას საერთო სასაზღვრო სივრცის მიმართ. მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ტერიტორიების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს სოციალურ-ეკონომიკური ძვრებთან ერთად გეოეკოლოგიური გართულებებიც ახლდა თან.

კარტოგრაფიული წყაროების (ტოპოგრაფიული რუკები და სატელიტური სურათები) ანალიზი მიუთითებს რომ საქართველო-სომხეთისსაზღვრი, როგორც ადმინისტრაციული,დელიმიტაცია-დემარკაციის საერთაშორისო წესების დაცვის გარეშე, ხშირ შემთხვევაში ადგილმდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს გაუთვალისწინებლად იყო გატარებული, რაც ხშირად სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური დაძაბულობის კერების ჩასახვას იწვევს. დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესების დასრულება სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს ლეგიტიმაციის ფარგლებში აღადგინონ სენსიტიურ მონაკვეთებზე დარღვეული გეოეკოლოგიური წონასწორობა.

3	**Gordeziani T., Nikolaishvili D.,** Gagoshvili M.	Landscape research and mapping of landscape state dynamics in Georgia.	Longterm Environemnt observations: experience, problems andperspectivs. Proceedings of the Interabtional workshop	ლვოვი, უკრაინა	გვ. 117-119

სტატიაში განხილულია საქართველოში ჩატარებული ლანდშაფტური კვლევები და ლანდშაფტთა დინამიკის კარტოგრაფირება. წარმოდგენილია ლანდშაფტთა კვლევები სტაციონარულ, ნახევრადსტაციონარულ და ექსპედიციურ პირობებში. ლანდშაფტყის სტრუქტურისა და ფუნქციონირების კვლევა საქართველოში დაიწყო მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარზე ნ. ბერუჩაშვილის ინიციატივითა და, უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, მისი უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელობით. ეს კვლევები აქტიურად დაიწყო 1965 წლიდან და გაგრძელდა 1980-იან წლებამდე.

1979 წელს ნ. ბერუჩაშვილის ავტორობით შედგენილ იქნა კავკასიის ლანდშაფტური რუკა ლანდშაფტთა გვარების დონეზე 1:1000 000 მასშტაბში. ამავე პერიოდში გამოიცა კრებულები და მონოგრაფიები. 1990 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ვისშაია შკოლამ“ გამოსცა ნ. ბერუჩაშვილის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ლანდშაფტის გეოფიზიკა“, რომელსაც დღესაც სამაგიდო

სახელმძღვანელოდ იყენებენ პოსტსაბჭოთა უნივერსიტეტებში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში წარმატებით ინერგება ლანდშაფტთა მდგომარეობების კარტოგრაფირების მეთოდიკა, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ნ. ბერუჩაშვილია. ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებში მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება ლანდშაფტთა ზონირება და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის რუკათა შედგენა. ამ სამუშაოების შედეგად დაინერგა ე.წ. „სემაფორული“ კარტოგრაფირების მეთოდიკა, რომლის სათავეებთან ისევ ნ. ბერუჩაშვილი დგას. ამ პერიოდში დაიბეჭდა რიგი სტატიები, კრებულები და მონოგრაფიები.					
4	Dali Nikolaishvili, Davit Sartania, Roin Malakmadze, Manana Kvetenadze	Vine culture in Meskheti in old Turkish registers	Annals of Agrarian Science (ISSN: 1512-1887)	Elsevier – Dutch publishing and analytics company	10 გვ. იბეჭდება
სტატიაში განხილულია ვაზის გავრცელების არეალები მესხეთში, რომელიც მოიცავს არა მარტო მესხეთის იმ ნაწილს, რომელიც თანამედროვე საქართველოშია, არამედ მის მიღმა დარჩენილი ტერიტორიებსაც - მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის შუა და ზემო წელის აუზებს. კვლევისას გამოყენებულია ოსმალეთის ბატონობისას შექმნილიმოსახლეობის აღწერის რამდენიმე დავთარი, რომლებიც შედგენილია ფისკალური მიზნით და შეიცავს მეტად ღირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცნობებს ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიის ნაწილის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ მესხეთის სოფლების მხოლოდ მცირე ნაწილში იყო გავრცელებული ვაზი, თუმცა ჯერ კიდევ ოსმალების გაბატონებამდე იგი ერთ-ერთი წამყვანი კულტურა უნდა ყოფილიყო. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ძველი თურქული დავთრები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ვენახები ძალზე მიმოფანტულია მთელი ვილაიეთის ტერიტორიაზე და გვხვდებოდა ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულ ნაჰიეებსა და თითო-ოროლა სოფელში. სწორედ ეს მიმოფანტულობა უნდა მივიჩნიოთ იმის უტყუარ დასტურად, რომ ოდესღაც აქ მევენახეობა დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. იმ სოფლების უმეტესობა, სადაც გავრცელებული იყო ვენახი, თანამედროვე საქართველოს ფარგლებშია დღეს მოქცეული(სამცხე-ჯავახეთი, აჭარა), თუმცა უმეტეს მათგანში მევენახეობა დღეს აქ საერთოდ არ არის განვითარებული. ნიშანდობლივია, რომ ვაზი გავრცელებული ყოფილა გაცილებით სამხრეთითაც - მდ. ჭოროხის ზემო წელში, მდინარეების, ოლთისისწყლის, ბანისწყლის, ბარდუსისწყლის აუზებში (ამჟამად თურქეთში).					
5	**Tsetsilia Donadze,** George gafrindaSvili, **Tengis Gordeziani**, **George Dvalashvili**, Teona Tigisvili, Tinatin Nanobashvili.	Dinamics of landslaide and gravitational events in Georgea end risk factors of their development (Bazed of exampleof Imereti).	Actual problems of landscape Sciences: Enviroment, Society, Politics. International Multidisciplinari conference. Proceedings.	Tbilisi, Georgia. September 9-13, 2019.	P.153-157
საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მთიან რეგიონებს შორის ბუნებრივი კატასტროფების განვითარების სიხშირის მხრივ, მოწყვლადობის და კატასტროფების მიერ მიყენებული ზარალის მხრივ, როგორ მოსახლეობაზე, ასევე ეკონომიკაზე. ამჟამად, საქართველოში დაახლოებით 53 ათასი მეწყრული სხეული, 3000 ეროზიული ღვარცოფული მდინარე, 5000 მეტი ზვავისადმი მიდრეკილი ტერიტორია და 1500 აბრაზიული ზონაა დარეგისტრირებული. საერთო ჯამში, მთელი ქვეყნის ტერიტორიის 70% და დაახლოებით 3000 დასახლებული პუნქტი, ბუნებრივი კატასტროფების რისკის ქვეშ იმყოფება. ყველაზე დამანგრეველი და საშიშ ბუნებრივი კატასტროფა საქართველოში მეწყრულ-გრავიტაციული პროცესებია. ეს პროცესები შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ კლიმატო-გეომორფოლოგიურ ზონაში და გამოიწვიოს ფართო მასშტაბის დაზიანება. მიმდინარე ათწლელებში, მეწყრულ-გრავიტაციული პოცესების გააქტიურება სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებილი, ასე მაგალითად: მაღალი ინტენსივობის მიწისძვრები კავკასიის რეგიონში; გაზრდილი ანთროპოგენური ზემოქმედება გეოეკოლოგიურ გრემოზე და მათი ბალანსის დარღვევა, რაღა თქმა უნდა, გლობალური კლიმატცვლილების გამო გაზრდილი მეტეოროლოგიუ-					

	რი მოვლენები (უხვნალექიანობა, ტენიანობა, ან ხანგრძლივი გვალვები).				
6	Nodar Elizbarashvili, **Giorgi Dvalashvili**, Nino Sulkhanishvili	International Journal of Geoheritage and Parks	Selection principles and focuses of landscape planning ofprotected areas	2019	33-44

საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. აქ შვიდ ათეულზე მეტი ბუნებრივი ლანდშაფტის ტიპია წარმოდგენილი, დაწყებული ნოტიოსუბტროპიკული ან სემიარიდული ნათელიტყეებით, დამთავრებული ჭარბტენიანი და ნივალური ლანდშაფტებით. ამგვარი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპიკული და ზომიერი სარტყლის მიჯნაზე), გაუყინავი შავი ზღვის გავლენა, გეოგრაფიული ფაქტორების და თავისებურებების სიმაღლებრივი განაწილება (ზღვის დონიდან 5200 მეტრამდე) და ტერიტორიის სამეურნეო გამოყენების რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია.

საქართველო მსოფლიოში ასევე გამოირჩევა „პირველადი“ ანუ ბუნებრივი ლანდშაფტის მაღალი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 17 პროცენტს მოიცავს. ბუნებრივი გარემო ხელუხლებელი სახით გვხვდება როგორც დაცულ და ჭარბტენიან ტერიტორიებზე, ისე საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის პირობებში.

საქართველო ფართობის (70 ათასკმ^2-მდე) და მოსახლეობის (3.7 მლნ კაცი) მიხედვით, თითქმის შუა, 25-ე ადგილზე აევროპაში. აქ წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი რელიეფის ყველა ფორმა, კლიმატის რამდენიმე ტიპი (ნოტიო სუბტროპიკული, მშრალი სუბტროპიკული, არიდული, სემიარიდული და სემიჰუმიდური), მცენარეულობის და ნიადაგების რამდენიმე ათეული ტიპი. უდიდეს იეკოლოგიური რესურსია ტყეები, რომლითაც დაფარულია ქვეყნის ტერიტორიის 2/5. საქართველოში გვხვდება 15 ათასზე მეტი სახეობის მცენარე, რომელთაგან. მათგან 4 ათასზე მეტი თესლოვანი, 75 გვიმრისებური და 2600 წყალმცენარეა. მცენარეულობის 6.0 პროცენტი (ანუ 900-მდესახეობა) ენდემური და რელიქტურია. ანალოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა ცხოველთა სამყაროც, რომელთა შორის 100-ზემეტი სახეობის ძუძუმწოვარი და 300-ზე მეტიფრინველია. ცოცხალი სამყაროს სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმის და ბიომრავალფეროვნების მიხედვით, საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის, რაც მკაფიოდ ადასტურებს მისი ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნება სა და განუმეორებლობას.

	შარაშენიძე მ. **გორდეზიანი თ.**	მევენახეობის შეფასებითი გეოინფორმაციული კარტოგრაფირება (კახეთის რეგიონის მაგალითზე)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	2019	223-227

სტატიის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს კახეთის რეგიონში (საკვლევ რეგიონში) ვენახები გავრცელების შეფასებითი რუკა (დანართი 3). ეს კარტოგრაფიული ნაწარმოები წარმოადგენს *კარტოდიაგრამის ტიპის რუკას*, სადაც საფუძვლად გამოყენებულია ადმინისტრაციული ბადე მუნიციპალიტეტების დონეზე. რუკაზე მუნიციპალური ცენტრის აღმნიშვნელ პუნსონთან მიმაგრებულია ორ-სკალიანი სვეტოვანი დიაგრამა, რომლის აბსცისთა ღერძის ზედა სკალაზე დატანილია ის პარამეტრები და ფაქტორები, რომლების განსაზღვრავენ კონკრეტული ტერიტორიის ვარგისიანიბის ხარისხს ვაზის კულტურის გაშენებისათვის. სვეტოვანი დიაგრამის ამ ნაწილის საშუალებით დგინდება ტერიტორიის პოტენციალური ვარგისიანობა მევენახეობისათვის, განსაზღვრული, ერთის მხრივ სავეგეტაციო პერიოდის (მარტი-ოქტომბერი) საშუალო დადებითი ტემპერატურებით და მეორეს მხრივ, დადებითი აბსოლუტური ტემპერატურებით. სვეტოვანი დიაგრამის აბსცისთა ღერძის ქვედა სკალით დგინდება ტერიტორიის პოტენციალური ვარგისიანობა მევენახეობისათვის, განსაზღვრული, ერთის მხრივ სავეგეტაციო პერიოდის (მარტი-ოქტომბერი) საშუალო უარყოფითი ტემპერატურებით და მეორეს მხრივ, უარყოფითი აბსოლუტური ტემპერატურებით. ფერადი ფინის ხერხით რუკაზე ასახულია კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მევენახეობის შეფასება ვაზის კულტური პერსპექტიული გავრცელების არეალების დადგენის მიზნით. რუკის შინაარსის ეს ნაწილი ასახულია 3-ბალიანი

სკალით

კახეთის რეგიონის მევენახეობის ზონის შეფასებითი რუკის სივრცულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა რეგიონის ტერიტორიების კლასიფიცირება მევენახეობის განვითარების რეპრეზენტაციულობის მიხედვით: 1) გურჯაანის, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები - 3 ბალი. ფაქტორები: აღმოსავლური და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციების დომინირებით; ყავისფერი ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 800-1000 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 7^0-9^0; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 17^0-19^0. 2) ახმეტის, სიღნაღის, საგარეჯოს და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები - 2 ბალი. ფაქტორები: სამხრეთ-დასავლური და დასავლური ექსპოზიციების დომინირებით; ალუვიური მჟავე ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 600-800 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 6^0-7^0; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 16^0-17^0. 3) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - 1 ბალი. ფაქტორები: ჩრდილო-დასავლური და ჩრდილოეთის ექსპოზიციების დომინირებით; ბიცობი ხირხატიანი ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 400-600 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 4^0-6^0; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 15^0-16^0.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. ნიკოლაიშვილი	ზოგიერთი სიახლე ანდრია ბენა-შვილის მოღვაწეობიდან:ახალი სარქივო მასალების კვალდაკვალ	თბილისი, თსუ

ანდრია ბენაშვილის შესახებ არაერთგან დაიწერა და ითქვა, თუმცა მისი მოღვაწეობის შესახებ მაინც ბევრი რამ არ არის ცნობილი. საარქივო ფონდებში კი მრავალი რამ არის დავანებული, რაც ამ დიდი ადამიანის მიერ განვლილ გზას –სამეცნიეროს, ლიტერატურულს, სამხედრო თუ საზოგადოებრივს, უკეთ წარმოგვიჩენდა. ჩვენს მიერ მიკვლეული რიგი საარქივო დოკუმენტებიც ამის უტყუარი დასტურია.

1919 წლით დათარიღებული ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება“, თუმცა საარქივო ფონდებში მიკვლეული ახალი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ დებულება ანდრია ბენაშვილსაც შეუდგენია. 1920 წელს საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრებამ მიიღო „კანონი საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსების შესახებ“. თუ კანონის ტექსტს შევადარებთ ზემოთ დასახელებულ ორივე დოკუმენტს, დავრწმუნდებით, რომ ნორმატიული დოკუმენტის ტექსტი ეკუთვნის ანდრია ბენაშვილს.

ანდრია ბენაშვილი, ივნე ჯავახიშვილთან ერთად, ჩართული იყო „განსაკუთრებულ ჯავის მაზრის დაწესებისა და ამ მაზრაში საეროზო დაწესებულებათა შემოღების საკითხის გასარკვევად დაარსებულ საუწყებათათა შორისო კომისაში“, რომელსაც უნდა განეხილა ოსთა დელეგაციის მოთხოვნა ახალი ადმინისტრაციული ერთეულის – ჯავის მაზრის შექმნის თაობაზე. იმდენად დიდი იყო ამ ორი ადამიანის ავტორიტეტი, რომ კომისიამ, რომელსც ხელმძღვანელობდა გრიგოლ გველესიანი, გადაწყვიტა მთავრობის წინაშე მოხსენება წარედგინა სწორედ მათი მოსაზრებების საფუძველზე. არარის გამორიცხული, რომ ამ საკითხის იმ დროს შეფერხება სწორედ მათი დამსახურება იყო.

ანდრია ბენაშვილის იღვწოდა გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებისათვის. ცნობილია, რომ ამავე მიზნით იღვწოდა ალექსანდრე ჯავახიშვილიც, რომელმაც თავის მიზანს მიაღწია და რომლის უპირველესი მიზანი იყო ისეთი სამეცნიერო დაწესებულების შექმნა, სადაც განხორციელდებოდა ბუნებისა და მოსახლეობის სისტემური, კომპლექსური კვლევა. მისგან განსხვავებით, სხვა ხედვა ჰქონდა ანდრია ბენაშვილს. ჯერ ერთი, გეოგრაფიის ინსტიტუტს იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ მოიაზრებდა. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი – გეოგრაფიის ინსტიტუტის უპირველესი დანიშნულება უნდა ყოფილიყო საქართველოს მთელი ტერიტორიის კადასტრული აგეგმვა მსხვილ მასშტაბში და ქართულენოვანი ზოგადგეოგრაფიული რუკების გამოცემა.

2	დ. ნიკოლაიშვილი	პარიზში 1935-1936 წელს გამოცე-	საქართველოს გეოგრაფიული

		მული „ძველი საქართველოს ანუ გორგიის რუკის“ შესახებ	საზოგადოება, 19.XII.2019
რუკა შედგენილია სვიმონ ციციშვილის მიერ ემიგრაციაში ყოფნისას. იგი იყო ინჟინერ-ნავთობგეოლოგი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. 1939 წელს პარიზში ავტორმა რუკა უსახსოვრა თამარ და აკაკი პაპავებს “ნიშნად მათ მიერ სამშობლოს წარსულის სიყვარულისა”. ამჟამად რუკა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. რუკაზე დატანილია ეკლესიები, მონასტრები, ციხეე-სიმაგრეები, კოშკები, ქალაქები, დაბა-სოფლები, მეფეთა და მთავართა სასახლეები და განსასვენებლები, გზები, ძველი საქართველოს საზღვრები და სხვ. რუკას თან ახლავს ქართველ მეფე-მთავართა და კათალიკოს-პატრიარქების გენეალოგია.			
3	D. Nikolaishvili, D. Sartania, A. Ujmajuridze, M. Kvetenadze	Vine - One of the Important agriculture in Gurdjistan governorate (XVI c.)	International conference, Georgian Wine and Vine – Traditions and Scientific Challenges, 10-12 May, 2019
გურჯისტანის ვილაიეთი XVI საუკუნეში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელიც უმთავრესად მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო წელს, აგრეთვე მდ. ოლთისისწყლისა და მისი მარჯვენა აუზის მდინარეების – ბარდუსისწყლის, ბანისწყლის აუზების გარკვეულ ნაწილს (სამცხე-ჯავახეთი და ისტორიული საქართველოს ნაწილი: არტაანი, კოლა, ოლთისი, ფანაკი, ფოცხოვი, ჩრდილი). კვლევის მიზანია ვაზის რეტროსპექტიული სურათის შექმნა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ფისკალური მიზნით შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით. კვლევა დაფუძნებულია აღნიშნული დავთრის სტატისტიკურ ანალიზს, მონაცემთა დახარისხება-კლასიფიკაციას, გის-ის მონაცემთა ბაზისა და თემატურ რუკათა სერიის შექმნას, ვაზის ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენას. რეტროსპექტიული სურათის შექმნა შესაძლებელი გახდა დავთარში მოცემული 2 საკვანძო ასპექტის მიხედვით: 1) მონაცემები ვენახების არსებობის შესახებ ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში; 2) გადასახადის ოდენობა შირაზე (ტკბილი წვენი, უმთავრესად ყურძნის). დავთრის ანალიზის საფუძველზე დადგინა, რომ გურჯისტანის ვილაიეთში ვაზი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურა იყო, შესაბამისად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მევენახეობა-მეღვინეობის აქ ფართოდ განვითარებაზე, მეორე მხრივ, კი – ქრისტიანი მოსახლეობის არსებობაზე (მიუხედავად ოსმალური ბატონობის პერიოდისა). ყველაზე მეტი ვენახი გავრცელებული ყოფილა ახალციხის ლივაში (100-ზე მეტი სავენახე ნაკვეთი), აგრეთვე ჩილდირის და სხვა ლივებში. განსაკუთრებით საინტერესოა ჯავახეთისა და ისტორიული საქართველოს სხვა ადგილებში ვაზის არსებობა, სადაც დღეს ეს აგროკულტურა საერთოდ აღარ მოჰყავთ, რაზეც დიდი გავლენა იქონია როგორც ისტორიულმა პროცესებმა, ისე ბუნებრივმა გარემომ.			
4	D. Sartania, D. Nikolaishvili, A. Ujmajuridze	About some Georgian toponyms in historical Meskheti(as per the old Turkish registers)	ACTUAL PROBLEMS OF GEOGRAPHY, 07-08 NOVEMBER 2019 - თბილისი
5	დონაძე ც.	მზის სისტემის რიგი ციური სხეულების მორფოლოგიურ-მორფომეტრიული ანალიზი შედარება-აღწერილობის მეთოდის გამოყენებით	თსუ საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 8-13 თებერვ. 2019.
ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით დედამიწის მოსახლეობამ პირველ მილიარდს 1820 წ. მიაღწია; სულ რაღაც 135 წელიწადში კი - 5 მილიარდს, დღევანდელი აღწერით დაახლოებით 7,7 მილიარდია; ასეთი სწრაფი ზრდის ფონზე თავს იჩენსპ რობლემათა რიგი, რომელთა შორის განსაკუთრებით მწვავეა განსახლება და რესურსებით უზრუნველყოფა. განვითარების ნოოსფეროს ეტაპზე მყოფი გეოგრაფიული გარსის საზღვრების გაფართოება ამ პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთისაშულებაა, ხოლო იარაღი - ახალი ტექნოლოგიები, ასევე ახლად შექმნილი მეცნიერული დარგი „აღწერილობითი პლანეტოლოგია“. გადმოცემულია (ნასას, ბიბისის, დისქავერის და სხვადასხვა საშულებით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით), შედარება - აღწერილობის მეთოდის გამოყენების საშუალებით წარმოებული დედამიწასთან მთვარის, შიდა პლანეტების, ასევე გიგანტი პლანეტების ზოგიერთი თანამგზავრის მორფოლოგიურ-მორ-			

ფომეტრიული ანალიზი, რის, შედეგადაც დადგინდა მათ შორის არსებული რამდენიმე მსგავსება - განსხვავება. ჭეშმარიტებაა, თუ ადამიანის რულად შეიცნობს ჩვენს პლანეტას, მასთან შედარება-აღწერილობის მეთოდით შეუძლია შეიცნიოს მთელი სამყარო, რადგან დედამიწა პატარა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მოდელია დროსა და სივრცეში მუდმივი და უსასრულო მატერიალური, თუ არამატერიალური სხეულისა, რომელსაც კოსმოსი ეწოდება. თუ ადამიანი სრულად შეიცნობს ჩვენს პლანეტას, მაშინ მასთან შედარება-აღწერილობის მეთოდით შეუძლია შეიცნიოს მთელი სამყარო, რადგან დედამიწა პატარა, მაგრამ უზუსტესი მოდელია იმ დროსა და სივრცეში მუდმივი და უსასრულო მატერიალური, თუ არამატერიალური სხეულისა, რომელსაც კოსმოსი ეწოდება. ა. აინშტაინის ფარდობითობის თეორიის თანახმად კი სამყაროში ყველაფერი შეფარდებითი ადამიანების მიერ საგანი და მოვლენა ურთიერთ შედარებით შეიცნობა. აღნიშნული მეთოდით დგინდება მათ შორის არსებული მსგავსება–განსხვავებანი; ახალი დარგის „შედარებითი პლანეტოლოგიის“ ჩამოყალიბების და განვითარების კვალდაკვალ, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისათვის დიდი პერსპექტივები იშლება შევისწავლით რა მზის სისტემის პლანეტებს და სხვა ციურ სხეულებს, შესაძლებელია პასუხი გაეცეს დედამიწაზე მიმდინარე პროცესების გენეზისის და თავისებურებების შესახებ არსებულ კითხვებს; ეს კი საბოლოო ჯამში, დაგვეხმარება ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტაში; ამ რაკურსით ჩვენ ყველაზე პერსპექტიულად დედამიწის ჯგუფის პლანეტების: მარსის, ვენერას, მერკურის და ჩვენი თანამგზავრის მთვარის შესწავლა მიგვაჩნია.

6	დვალაშვილი გ.	საქართველოს ოროგრაფიული ერთეულები მუნიციპალიტეტების მიხედვით	თსუ საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 8-13 თებერვ. 2019.

საქართველოს ოროგრაფიული ერთეულების კვლევის დროს, მოხდა რელიეფის ფორმების (ქედები, მაღლობები, ქვაბულები, ხეობები და სხვ.) შეფასება ცალკეული მუნიციპალიტეტების, აგრეთვე სამხარეო ერთეულების მიხედვით. ქედების, ზეგნების, დაბლობების, ხეობებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების აღწერისას განისაზღვრა ადგილმდგომარეობა, ზომები (სიგრძე, ფართობი, სიმაღლე, სიღრმე და სხვ.), ზედაპირის ფორმები და ფერდობები მათი დახრილობით. სხვადასხვა საქმიანობების დროს, მათ შორის საწარმოო, საგზაო და სხვა პროექტირების დროს აუცილებელია ოროგრაფიულად საფუძვლიანად შესწავლილი იქნას მოცემული ტერიტორია.

ოროგრაფიული ერთეულების კვლევისას დაზუსტდა სხვადასხვა მუნუციპალიტეტის, აგრეთვე სამხარეო რეგიონების უმაღლესი და უმდაბლესი წერტილები, ცალკეულ ოროგრაფიულ ერთეულებზე გამავალი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები, მოხდა რამდენიმე მწვერვალის აბსოლიტური სიმაღლის დაზუსტება, ბოლო პერიოდში სახელმინჭებული მწვერვალების ზუსტი კოორდინატების დაზუსტება. განისაზღვრა ცალკეულ მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული პუნქტების სიმაღლე ზღვის დონიდან, აგრეთვე შეფარდებითი სიმაღლეები. მოპოვებული მასალები გამოიყენება მუნიციპალიტეტების საცნობარო ბროშურებში, აგრეთვე ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირებისას. ოროგრაფიული სახელწოდებები დაზუსტებულია საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის გათვალისწინებით, ხშირად ოროგრაფიულ ერთეულებს რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ, სახელწოდება განხილულია ყველაზე სრულყოფილი ვერსიის მიხედვით.

7	შარაშენიძე მ., გორდეზიანი თ.	მევენახეობის შეფასებითი გეოინფორმაციული კარტოგრაფირება (კახეთის რეგიონის მაგალითზე)	2019 წ., 9-12 მაისი, თბილისი
8	გორდეზიანი თ.	ცნება დროის მასშტაბის შესახებ და მისი კავშირი სივრცისა და შინაარსის მასშტაბებთან	თსუ საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 8-13 თებერვალი, 2019.

ამჟამად კარტოგრაფიის თეორიაში ცნობილია სამი სახის მასშტაბი; 1) სივრცის მასშტაბი, რომელიც ფუნქციონირებს მასშტაბიდან მასშტაბზე გადასვლისას და ვლინდება აბსტრაჰირების ხარისხის სახით; 2) განზოგადების მასშტაბი, რომეციც ასევე მასშტაბიდან მასშტაბზე გადასვლისას ფუნქციონირებს და ვლინდება განზოგადების ხარისხის სახით; 3) დროის მასშტაბი, რომელიც ამჟამად კვლევის პროცესშია და ვლინდება, მოვლენათა დინამიკის ასახვის პროცესში. დროის მასშტაბი განიმარტება, როგორც დროის ხშირი სკალიდან გაიშვიათებულ სკალაზე გადასვლის ლოგიკური ფორმა. მას რამდენიმე დეფინიცია გააჩნია.

განსაკუთრებით საინტერესოა დროის მასშტაბის საკითხის კვლევა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დღე-ღამურ მდგომარეობათა (ე. წ. სტექსების) კარტოგრაფირების პროცესში. იგი პირდაპირ კავშირშია სივრცისა და შინაარსის მასშტაბებთან. დროის მაშტაბის შემტხვევაში წინა პლანზე გამოდის დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა, რომლის საბოლოო შედეგსაც წარმოადგენს ერთი კონკრეტული რუკა, რომელიც ასახავ ერთი კონკრეტული მოვლენის დინამიკას დროის გარკვეული მონაკვეთისათვის (1 თვე, სეზონები, 1 წელიწადი).

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დროდა ადგილი
1	რ. თოლორდავა, დ. ნიკოლაიშვილი	The modern ecological state of the border between Georgia and Armenia	10-14 მაისი. 2019 ლვოვი (უკრაინა)
2	თ. გორდეზიანი	Landscape research and mapping of landscape state dynamics in Georgia	10-14 მაისი. 2019 ლვოვი (უკრაინა)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

2019 წლის 15-26 ნოემბერს კათედრის ასოცირებული პროფესორი, თენგიზ გორდეზიანი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხარკოვის ვ. კარაზინის სახ. ეროვნულ უნივერსიტეტებს შორის, მიმდინარე წლის აპრილში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მიწვეულ იქნა ლექციების ციკლის წასაკითხად ხარკოვის უნივერსიტეტის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, რეკრეაციისა და ტურიზმის ფაკულტეტზე. ლექციები წაკითხულ იქნა შემდეგი დისციპლინების მიმართულებით: ა) კარტოგრაფიის თეორია (6 ლექცია); ბ) ლანდშაფტის გეოფიზიკა (2 ლექცია); გ) გარემოს მდგომარეობათა კარტოგრაფირება (6 ლექცია); დ) ლანდშაფტური კარტოგრაფია (6 ლექცია).

სამუშაო ვიზიტის მეორე ნაწილი სამეცნიერო ხასიათს ატარებდა. ლექციების ციკლის შემდეგ ფიზიკური გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის კათედრაზე გაიმართა სამეცნიერო ღონისძიება „მრგვალი მაგიდა“, სადაც ორივე მხარის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ისეთ საკითხემზე, როგორებიცაა: 1) ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული პროექტების მომზადება და თანამშრომლობა; 2) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. შემოთავაზებულ იქნა ხარკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიურ პერიოდულ ჟურნალში თანამშრომლობის წინადადება, რაც მიღებულ იქნა ქართული მხარის მიერ; 3) გაიმართა დისკუსია თანამედროვე კარტოგრაფიის რიგი საინტერესო და პერსპექტიული საკითხების ირგვლივ; 4) მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლა.

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათ ფაკულტეტი,
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი ლია მაჭავარიანი (კათედრის გამგე), ასოცირებული პროფესორი ბესიკ კალანდაძე; კათედრასთან არსებული ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეოგრაფიის სასწავლო ლაბორატორიის თანამშრომლები: გულნარა აფციაური (უფროსი ლაბორანტი), ელენე ნიკოლაიშვილი (ლაბორანტი), იამზე შელია (ლაბორანტი).

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	"გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა" (FR-18-009) მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი 1.5.11 ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები	2019-2022	ლია მაჭავარიანი (ხელმძღვანელი); ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი); გიორგი მეტრეველი (მკვლევარი).
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები: - მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი წყალსაცავების შესახებ მოძიებულ იქნა სამეცნიერო-ეკონომიკური ინფორმაცია და შეიქმნა შესაბამისი საინფორმაციო ბაზა; - ნატურული ექსპერიმენტისათვის შეირჩა ახალი და განახლა ძველი კვეთები, რომლებიც წინა პროექტის (AR/220/9-120/14) მიმდინარეობისას მცირე ხელოვნური საგუბარების სახით შეიქმნა მდინარეებზე ვერე, რუ, რუჭულა; - კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მიზნით, ტრაფარეტის სახით განისაზღვრა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების ინდიკატორები და პარამეტრები; - შეიქმნა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მეთოდი; - კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მეთოდის შექმნის შედეგად, განისაზღვრა გავლენის ქვეშ მოქცეული ტერიტორიის ფართობი და კლიმატური ელემენტების (ტემპერატურა, ქარი, ნალექები) სავარაუდო ცვალებადობა; - შექმნა ტრენინგ-პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთათვის და დაიგეგმა ტრენინგ-კურსის ჩატარება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; - კლიმატზე საქართველოს წყალსაცავების ზემოქმედების ამსახველი რუკისათვის შეიქმნა შესაბამისი მონაცემებთა ბაზა; - მომზადდა და გამოიცა საერთაშორისო პუბლიკაცია.			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის

	დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	წლები	როლის მითითებით)
1	გარდაბნის მუნიციპალიტეტში ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესება თესლბრუნვისა და კულტურათა მონაცვლეობის დანერგვის გზით. მიმართულება: გარემოს დაცვა; დონორები და შემსრულებლები: GEF, UN, REC CAUCASUS, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	2018-2020	ბ.კალანდაძე (ექსპერტი)
2	ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი მიწის მდგრადი მართვის გზით მოწყვლადი თემებისათვის საქართველოში. მიმართულება: გარემოს დაცვა, დონორები და შემსრულებლები: GEF, UN, REC CAUCASUS, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	2019-2023	ბ.კალანდაძე (ექსპერტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. სახნავი მიწის პროდუქტიულობის უზრუნველყოფა და ნიადაგის ნაყოფიერების დეგრადაციის შეჩერება ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. თესლბრუნვებისა და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული წესის დანერგვა, ალტერნატიული კულტურების (პარკოსნები) ჩართვა, წინაპირობაა იმისა, რომ მოხდეს ნიადაგის სხვადასხვა მინერალებით გამდიდრება და გაიზარდოს ნიადაგების ნაყოფიერება მათი შემდგომი მდგრადი ეკოლოგიური მართვისათვის. პარკოსან კულტურებს შეუძლიათ ფესვზე არსებული კოჟრის ბაქტერიების წყალობით ჰაერში არსებული თავისუფალი აზოტი გარდაქმნას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმად და დააგროვოს ნიადაგში. ასევე პარკოსანი კულტურების მძლავრ ფუნჯთა ფესვთა სისტემას შეუძლია გააფხვიეროს ნიადაგების სტრუქტურა, გაამდიდროს ნიადაგის ფორები ჰაერითა და წყლით, შეამციროს მცენარეთა დამახასიათებელი მავნებელ-დაავადებათა რიცხოვნობა და შესაბამისად ხელი შეუწყოს მოსავლიანობის სტაბილურ და მდგრად მატებას. გარდაბნის მუნიციპალიტეტში გარდა მემცენარეობისა მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცხოველეობის საკვები ბაზისათვის მყარი საფუძვლის შექმნა. ამასთან საკვებწარმოების თესლბრუნვების სქემების დანერგვა ასევე ხელს შეუწყობს საძოვრების შემდგომ მდგრად მართვას. კულტურათა მორიგეობა ხელს უწყობს სტრუქტურული ნიადაგის ჩამოყალიბებას, ნიადაგში ჰაერის კარგად შეღწევას და ტენის ადვილად გამოყენებას. აღნიშნულის მიღწევა მნიშვნელოვნად განპირობებულია მრავალწლოვანი მარცვლოვნებისა და პარკოსნების ნარევების თესვით. ბალახების ხანგრძლივობა თესლბრუნვაში დამოკიდებულია თესლბრუნვის ხასიათზე და ბუნებრივ პირობებზე. ასეთი ღონისძიებების დანერგვის შედეგად ფერმერი გარდა იმისა, რომ ნიადაგების ნაყოფიერებას გაცილებით აუმჯობესებს, ასევე იგი ნაკლებად იყენებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. შედეგად იღებს ეკონომიკურ სარგებელს და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. პროექტმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში უნდა მოახდინოს სხვადასხვა თემის ადგილობრივი ფერმერების წახალისება იმისათვის, რომ მოახდინონ ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და შექმნან მემცენარეობისა და საკვების წარმოების მდგრადი ბაზა. პროექტის მიზანია თესლბრუნვებისა და კულტურთა მონაცვლეობის როტაციულმა სისტემამ მოიცვას გარდაბნის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის მოსახლეობის 50 ჰა ფართობი ტერიტორია.			

2. საქართველოს კლიმატური პირობები და ნიადაგის მრავალფეროვნება ხელსაყრელია და ხელშემწყობია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება, რომელიც დაიწყო 1990-იან წლებიდან, ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის ვარდნის მიზეზია, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია მიწის რესურსების არამდგრადი გამოყენებით. განსაკუთრებით, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი განიცდის მიწის დეგრადაციას, როგორიცაა – მონო კულტურის გავრცელება, დამლაშება და ქარისმიერი ეროზია. ისინი ძირითადად გამოწვეულია არაადექვატური კულტივაციით (მაგ: ჭარბი ძოვება, მონო კულტურის გავრცელება, ლანდშაფტური სტრუქტურის და მუდმივი ნიადაგის საფარის ნაკლებობა, არასათანადო ირიგაცია), რაც მწვავდება კლიმატური შედეგებით, როგორიცაა შემცირებული ნალექიანობა, გაზრდილია ქარიანი დღეების რაოდენობა და სიჩქარე – შედეგად, ამ მიწების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის გამოუსადეგარია. მიწის მდგრადი მართვის პილოტური ღონისძიებების განხორციელების მიზანია ნიადაგის დეგრადაციის ფართომასშტაბიანი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არის მიწის დეგრადაციის ძირითადი ფაქტორი და ზიანს აყენებს სასოფლო სამეურნეო წარმოებას. 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო მონოკულტურების მოყვანა, როგორც მარცვლოვნებში ისე ბოსტნეულ კულტურებში და რომელიც დღესაც გრძელდება. მოსახლეობა ფაქტიურად აღარ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს და აღარც იყენებს ნიადაგის ნაყოფიერების სხვადასხვა აპრობირებულ მეთოდებს, როგორიცაა მრავალწლიანი თესლბრუნვები, კულტურათა მონაცვლეობა, ნაკვეთების როტაცია, შეთესვითი კულტურები და სხვა. მოსახლეობამ იპოვა მარტივი გამოსავალი და მასიურად დაიწყეს სახნავ-სათესი ფართობების სათიბებად და საძოვრებად გადაქცევა. გარდა ამისა პრაქტიკაში გავრცელებულია მონოკულტურის მოვლა-მოყვანა, რაც აღრმავებს ნიადაგების დეგრადაციის უარყოფით პროცესებს (ნიადაგების დატკეპვნა, გადაძოვება, გაუდაბნოება, დამლაშება, ეროზია).

ამიტომაც იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ნიადაგების ბუნებრივი ნაყოფიერება და გავზარდოთ მისი მდგრადობა აუცილებელია ფერმერებმა პრაქტიკაში დანერგონ მრავალწლიანი თესლბრუნვები და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული სისტემა. ეს მეთოდი ადგილობრივ ფერმერებს დაეხმარება ნიადაგების ნაყოფიერების შემდგომ მდგრად მართვაში. პროექტი ფერმერებს დაეხმარება რათა მათ შეიძინონ საჭირო უნარ-ჩვევები და დანერგონ თავიანთ მეურნეობებში. ამისათვის პროექტი საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში განახორციელებს თესლბრუნვათა სისტემების დანერგვას (რეგიონისთვის დამახასიათებელი კულტურათა მონაწილეობით თესლბრუნვების სქემების შერჩევა, მრავალწლიანი და ერთწლიანი პარკოსანი კულტურების ჩართვა, კონდიციური სათესლე მასალის შეძენა-დარიგება, ნიადაგების ნაოფიერების პირველადი ამაღლება) და მათ სწორ მართვას. ასეთი ღონისძიებების დანერგვის შედეგად ფერმერი ხელს უწყობს ნიადაგების ქარისმიერი ეროზიის შემცირებას, რაც ასე აქტუალურია აღმოსავლეთ საქართველოსთვის. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიებები გაცილებით აუმჯობესებს ნიადაგების ნაყოფიერებას, ასევე იგი ნაკლებად იყენებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. შედეგად იღებს ეკონომიკურ სარგებელს და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ჭიათურის მანგანუმის საბადოს გავლენა ნიადაგებზე – შეფასებითი ანალიზი. მიმართულება: გარემოს დაცვა, დონორები და შემსრულებლები: NDI, ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“.	2019	ბ.კალანდაძე (ექსპერტი)
2	POPcont – Gesundheitliche Risiken POP-belasteter Böden im Südkaukasus: Monitoring und Minderung. მიმართულება: გარემოს დაცვა; დონორი: BMBF (Germany).	2017-2019	ბ. კალანდაძე (კოორდინატორი) ცოტნე სულაშვილი (მაგისტრანტი)

3	შესაძლებლობების განვითარება პარტნიორობის საფუძველზე განხორციელებული პროექტების საშუალებით – ატლას-ფლას. მიმართულება: გარემოს დაცვა; დონორი: BMBF (Germany)	2017-19	ა. დიტმანი (ხელმძღვანელი); ნ. ბოლაშვილი (კოორდინატორი); ზ. კალანდაძე (ექსპერტი); ლ. კინგი (ექსპერტი).

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დღეს საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო რთულ პირობებში აღმოჩნდა ჩვენი გარემო და ბუნებრივი რესურსები. მოსახლეობა, კომერციული თუ სამთავრობო უწყებები ყველაფერს მაქსიმალურად იყენებენ ბუნებისგან, ხოლო სანაცვლოდ მისი რეკულტივაციისათვის ნაკლებად ან საერთოდ არ ზრუნავენ და ასეთი მიდგომის ფონზე ანთროპოგენულმა ფაქტორებმა მზარდი ხასიათი მიიღო, რაც უკვე თავს გვახსენებს სხვადასხვა კატასტროფული მოვლენებით. ამ ფაქტორებს თან ერთვის სხვადასხვა კომპანიებისა და საწარმოების მხრიდან გარემოს დაბინძურება, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს.

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“, - ნათქვამია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში. კონსტიტუციის ეს დებულება ქმნის გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და ბუნებრივი რესურსების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი, მინერალური რესურსები, ბიომრავალფეროვნება) დაცვის საფუძველს. ტექნოგენური რელიეფის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამთომოპოვებით ტრანსფორმირებული რელიეფი. ტექნოგენური ზემოქმედება, სხვა სახის ანთროპოგენური ფაქტორისაგან განსხვავებით იწვევს რელიეფის დიდი ნაწილის სრულ ტრანსფორმაციას. ამის ტიპიური მაგალითია ჭიათურის მანგანუმის საბადოს მოპოვების არეალი, სადაც რელიეფი განიცდის ძირეულ ცვლილებას ნიადაგურ-მცენარეული საფარის სრული განადგურებით. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად იცვლება რელიეფის სახე, რომლის ტრანსფორმაციის პერიოდი ემთხვევა სამრეწველო ეპოქის საწყის ეტაპს. ნიადაგების დაცვის კანონის მიხედვით (მუხლი 4, პუნქტი გ.) ნებისმიერი წიაღისეულის ღია კარიერული მეთოდით მოპოვების დაწყებამდე, კარიერის ზედაპირზე და მიმდებარე ტერიტორიებზე, რომლებსაც მადნის მოპოვებით დაზიანება ემუქრება, ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და სპეციალურად შერჩეულ ადგილებზე დასაწყობდეს. პლატოზე, კერძოდ კი მანგანუმის მადნის კარიერების განლაგების ადგილებში, ძირითადად განვითარებულია მცირე სისქის ხირხატიანი, კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

ჭიათურის პლატოზე ამჟამად მოქმედი კარიერებიდან აღებული ნიადაგისა და გრუნტის ერთიანი ფხვიერი მასა, ძირითადად იყრება უსისტემოდ, კარიერებთან უშუალოდ მიმდებარე, სხვადასხვა კუთხით დახრილ ფერდობებზე. ამ მასით ფერდობების ზედაპირის დაფარვის ადგილებზე, ნიადაგსაფარი და მასზედ განვითარებული მცენარეულობა აბსოლუტურად ნადგურდება.

აღნიშნულთან ერთად, ატმოსფერული ნალექებით წარმოქმნილი ზედაპირული ნაკადების მოქმედებით ფხვიერი ნაშალი მასა განიცდის ჩამორეცხვას, რაც თავსხმა წვიმების დროს ქმნის "ტექნოგენური" ღვარცოფების წარმოქმნის საშიშროებას. ცალკეულ შემთხვევებში, ასეთ ფერდობებზე ხელოვნურად დაყრილი დიდი მოცულობის ფხვიერი ნაყარი მასა, ხშირი წვიმებით გაწყლოვანების პირობებში ხელს უწყობს თანამედროვე ზედაპირული ან ძველი სტაბილურ მდგომარეობაში მყოფი მეწყრების წარმოქმნა-განვითარებას. გარდა ამისა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა ნიადაგების და განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაბინძურება მძიმე მეტალებით, მათ შორის მანგანუმით. მძიმე მდგომარეობაა ე. წ. „ჩამქრალ“, მიტოვებულ კარიერებზე, სადაც რეკულტივაცია არ ჩატარებულა, ან ჩაუტარდათ ნაწილობრივ რაც პირდაპირ რისკს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. სამთო წარმოების შედეგად დეგრადირებული ნიადაგებისა და საერთოდ დეგრადირებული ლანდშაფტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღნიშნულ კვლევის ფარგლებში შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც აუცილებელი იქნება ჯორჯიან მანგანეზისთვის შესაბამისი საპარლამენტო და მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

2. პროექტის ძირითადი მიზანია, ჩატარდეს ექსპერიმენტალური კვლევა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოსა და აზერბაიჯანის სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებზე არსებულ (POP) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების, (OCP) ქლორორგანულ პესტიციდების აღმოჩენასა და მათ მიერ დაბინძურებული მიდამოების შემდგომ აღდგენაზე. ნიადაგის მდგრად დაცვასთან ასოცირებული, სანიტარული ღონისძიებების განხორციელება, მოიცავს თანამშრომლობის ახალ მიდგომებს. პოსტ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, როგორიცაა აზერბაიჯანი და საქართველო, ძირითადი კვლევის მიზანია, ადამიანის

ჯანმრთელობისათვის სახიფათო რისკები, რომლებიც განპირობებულია საკვებ პროდუქტში (POP) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებისა, და (OCP) ქლორორგანულ პესტიციდების გავლენით, რითაც გაჯერებულია და დაბინძურებულია ამ ქვეყნების, სასოფლო სამეურნეო ნიადაგის მასშტაბური ნაწილი. განსაკუთრებით დაბინძურებული ე.წ. ცხელი წერტილები აღმოჩენილ იქნა იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც პესტიციდების შემნახველი და გამავრცელებელი პუნქტები იყო. გარემოში დამაბინძურებელი შენაერთების მდგრადობა არის ძალიან ძლიერი, მათ აქვთ განსაკუთრებული თვისება დიდხანს დარჩნენ ნიადაგში. ამის გამო არ არსებობს მარტივი მეთოდი, რომელიც გონივრული დროის განმავლობაში მოახდენდა ნიადაგში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის შემცირებას. დაგეგმილი ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის მეცნიერული მიზანი არის საპილოტო კვლევა – POP სკრინინგ მეთოდის განვითარება და მოხმარება, სივრცითი აღმოჩენები. ფიტორემედიაციის მეთოდი დაგვეხმარება სამხრეთ კავკასიის რეგიონში POP-დაბინძურებული სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებს ჩავუტაროთ მდგრადი აღდგენითი სამუშაოები.

მაღალი კონცენტრაციის რაიონებში, არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო ზეგავლენის რისკები, რასაც დაბინძურებული გარემო იწვევს. ზოგიერთ შემთხვევაში OCP დაბინძურება ხასიათდება როგორც კანცეროგენული და უკავშირდება, ნეიროდეგენერაციულ დაავადებებს. ამ დარგის მეცნიერები გვირჩევენ ყურადღება სასოფლო სამეურნეო რაიონებზე გავამახვილოთ. სპეციალური დაზვერვითი კვლევითი მონიტორიგნი უნდა ჩატარდეს ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიცაა ყოფილი საწარმოო ობიექტები და აგროქიმიკატების გამავრცელებელი ცენტრები. ეს პრობლემა არის სერიოზული პრობლემა, დეგრადირებული ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი აღდგენის პროცესები ძალიან ნელია და მოითხოვს ანაერობულ და აერობულ პირობებში მონაცვლეობას. ნიადაგების ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება მიიღწეს ნიადაგზე აგროქიმიკატების ინტენსიური გამოყენების შემცირებით რასაც ნიადაგის აღდგენა მოჰყვება. რესტრუქტურიზაციის ღონისძიებები შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

- დაცვა (დაბინძურება რჩება ნიადაგში, კავშირი და მიგრაცია აკრძალულია)
- დაბინძურების ლიკვიდაცია და შემცირება (მაგ. ბურღვის და მოცილების მეთოდით)
- დაბინძურების შემცირება, ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური მეთოდების მეშვეობით. უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ რეაბილიტაციის მდგრად პროცესებსა და მათ კომპლექსურ შეფასებას.
- რესურსების შენახვა და ბიოლოგიური პროცესების გამოყენება დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობების შესამცირებლად (მაგ: in-situ ზომები, ეყრდნობა მიკრობული დეგრადაციის სტიმულირების მეთოდებს ან მეთოდს მცენარეებით, დამაბინძურებლების რაოდენობის შემცირებისთვის).

შემდგომი კვლევა დაეფუძნება ბიოლოგიურ - ფიტორემედიაციის მეთოდს წინასწარ შერჩეული მცენარეების აქტიური ჩართვით.

3. პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა საქართველოს გეოგრაფიული ატლასი ინგლისურ ენაზე. 2018 წლის ფრაკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხდა ახალი ატლასის პრეზენტაცია, სადაც დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

პროექტის ფარგლებში ასევე მიმდინარეობს საქართველოში გეოპარკების შექმნისათვის ტერიტორიების შერჩევა. ამისათვის საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე წინასწარ მომზადდა გეოპარკების შერჩევის კრიტერიუმები, რომლ;ის მიხედვითაც მოხდება საქართველოში მათი ადგილმდებარეობის შერჩევა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ბაზაზე.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი, ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი, ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი, ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი / ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lia Matchavariani (Editor)	The Soils of Georgia (Editor Lia Matchavariani). Word Soils Book Series. DOI: 10.1007/978-3-030-18509-1 ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook) https://www.springer.com/gp/book/9783030185084#otherversion=9783030185091	Switzerland, Springer	179 p.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

მონოგრაფია “საქართველოს ნიადაგები” (“The Soils of Georgia”) გამოქვეყნდა გამომცემლობა Springer-ის მიერ "მსოფლიოს ნიადაგების" წიგნების სერიის (The World Soils Book Series) ფარგლებში, რომლის მიზანია კონკრეტული ქვეყნების ნიადაგების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემცველი წიგნების გამოცემა. წიგნში მოცემულია ვრცელი მიმოხილვა საქართველოს ნიადაგების შესახებ და მოიცავს ეროვნული კლასიფიკაციის სისტემატიზაციას FAO-WBR სისტემის საფუძვლეზე. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები განსაზღვრავენ მრავალფეროვან ნიადაგურ ლანდშაფტს და ფართო ნიადაგურ სპექტრს. “საქართველოს ნიადაგები” იძლევა მრავალმხრივ მიმოხილვას ქვეყნის რთული და გამორჩეული ნიადაგური საფარის შესახებ. წიგნში წარმოჩენილია ნიადაგების მრავალფეროვნება და სივრცობრივი განაწილება. ცალკეულ თავებში მიმოხილულია: ნიადაგების შესწავლილობის ისტორია საქართველოში; ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორების (ქანი, კლიმატი, რელიეფი, ორგანიზმები და სხვ.) როლი; ქვეყნის ბუნებრივი გარემოს პირობები, რაც ნიადაგების მრავალფეროვნებას განაპირობებს; ნიადაგების ფიზიკური, ქიმიური და მორფოლოგიური (მაკრო-, მიკრო-) მახასიათებლები და სხვადასხვა ასპექტები; ასევე მათი თანამედროვე დიაგნოსტიკა და მიკროპედოლოგიურ კვლევებზე დაყდნობით, ნიადაგური პროცესების დიაგნოსტიკა და ა.შ. ბოლო თავებში გამახვილებულია ყურადღება ნიადაგების დეგრადაციაზე (ეროზია, დაბინძურება) და მიწათსარგებლობის მართვაზე ქვეყანაში. წიგნი ილუსტრირებულია მრავალი ფერადი ფოტოთი, რუკით, გრაფიკით და სხვ. “საქართველოს ნიადაგები” განკუთვნილია, ნიადაგმცოდნეობის, გეოგრაფიისა და სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი / ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები (თავი წიგნში)

№	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lia Matchavariani, Besik Kalandadze	History of Soil Survey. Chapter 2 in book: “The Soils of Georgia” (Editor Lia Matchavariani). ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook)	Switzerland, Springer	7-18
2	Lia Matchavariani	Soil-Forming Factors. Chapter 3 in book: “The Soils of Georgia” (Editor Lia Matchavariani). ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook)	Switzerland, Springer	19-50
3	Lia Matchavariani	Soil Processes. Chapter 4 in book: “The Soils of Georgia” (Editor Lia Matchavariani). ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook)	Switzerland, Springer	51-66
4	Lia Matchavariani, Besik Kalandadze	Soil Distribution and Properties. Chapter 5 in book: “The Soils of Georgia” (Editor Lia Matchavariani). ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook)	Switzerland, Springer	67-124
5	Besik Kalandadze, Lia Matchavariani	Soil Pollution. Chapter 8 in book: “The Soils of Georgia” (Editor Lia Matchavariani). ISBN 978-3-030-18508-4; ISBN 978-3-030-18509-1 (eBook)	Switzerland, Springer	153-179
6	Tielidze L., Trapaidze V., Matchavariani L., Wheate R.	Climate, Hydrography and Soils of Georgia. Chapter 2 in book “Geomorphology of Georgia”, Geography of the Physical Environment https://doi.org/10.1007/978-3-319-77764-1_2	Switzerland, Springer	15-34
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
1. მონოგრაფიის "საქართველოს ნიადაგები" მეორე თავი "ნიადაგის კვლევის ისტორია" მოიცავს ნიადა-				

გების შესწავლის ისტორიას საქართველოში, დაწყებული ვახუშტი ბაგრატიონიდან (XVIII ს.), რომელმაც ქვეყანა ჰიფსომეტრიის, კლიმატისა და მცენარეული საფარის ცვალებადობის შესაბამისად, ხუთ ბოტანიკურ სასოფლო-სამეურნეო ზონად დაყო, რომლებიც ვერტიკალურ ნიადაგურ ზონებს წარმოადგენენ სხვადასხვა ნაყოფიერებით. ასევე სულხან-საბა ორბელიანი (XVIII ს.), რომლის ლექსიკონში მრავლადაა აღნიშნული ნიადაგების მთელი რიგი ნიშნებისა და თვისებების ამსახველი ტერმინები. მოგვიანებით (XIX ს.), მარშრუტული წესის გამოყენებით, ვ. დოკუჩაევმა შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ნიადაგები (სანაპირო ზონა, მთისწინები, მთის რეგიონები). ამ მოგზაურობის შემდგომ, მან ნიადაგების ვერტიკალური გავრცელების კანონზომიერება დაადგინა. ქრონოლოგიურადაა მიმოხილული მთელი რიგი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო შრომა, რომლებიც ნიადაგმცოდნეობას და ქართული ნიადაგების შესწავლას ეხება. განხილულია ზოგიერთი მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფის კვლევის შედეგები, ასევე სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო მიმართულებები ნიადაგების კლასიფიკაციისა და გენეზისის, აგროქიმიისა და ფიზიკური თვისებების, მინერალური და ორგანული სასუქების, ეროზიასთან ბრძოლის, ნიადაგების დაბინძურების, კარტირებისა და სხვა სფეროებში.

2. მონოგრაფიის "საქართველოს ნიადაგები" მესამე თავში "ნიადაგის მაფორმირებელი ფაქტორები" განხილულია ყველა ძირითადი ბუნებრივი ფაქტორი, რომლებიც ნიადაგწარმოქმნაზე ახდენენ გავლენას, როგორიცაა: დედაქანი, კლიმატი, რელიეფი, ცოცხალი ორგანიზმები და დრო. ადამიანის მნიშვნელოვანი ზემოქმედების შედეგად, ადამიანიც ზპგჯერ ნიადაგწარმოქმნის სპეციფიკურ ფაქტორად განიხილება. თითოეული ფაქტორის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, მოცემულია მათი აღწერილობა საქართველოსთან მიმართებაში. კერძოდ, გეოლოგიური სტრუქტურა, ოროგრაფიული მაჩვენებლები, კლიმატური თავისებურებები (ნიადაგის კლიმატის ჩათვლით), მცენარეულობის სპეციფიკურობა და ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტური ნაირსახეობა, დროის ფაქტორის მნიშვნელობა და რელიქტური ნიშან-თვისებები საქართველოს ნიადაგებში და სხვ.

3. მონოგრაფიის "საქართველოს ნიადაგები" მეოთხე თავში "ნიადაგური პროცესები" მოცემულია საქართველოს ნიადაგებში ძირითადი პროცესების მიკრომორფოლოგიური დიაგნოსტირება, ტიპიზაცია და შეფასება: ჰუმიფიკაცია, არგილიზაცია, გალებება, გაეწრება, ლესივაჟი, გარკინიანება, გაკარბონატება. ჰუმიფიკაციის შემთხვევაში, ყველა ძირითად ნიადაგურ ჯგუფში განსაზღვრულია ორგანული ნივთიერების მორფოტიპები; გამოყოფილია ხუთი ჯგუფი: raw; raw-moder / moder-raw; moder; moder-mull / mull-moder; mull. არგილიზაციის პროცესი დიაგნოსტირდება როგორც გამოფიტვა ადგილზე (in situ) და გათიხიანები ინტენსიურობიდან გამომდინარე, გამოყოფილია სამი ძირითადი კლასი: ინტენსიური, საშუალო და სუსტი გათიხიანება. ლესივაჟი დიაგნოსტორდება ოპტიკურად ორიენტირებული თიხის ნაღვენთების არსებობით ტრანზიტულ ფორებში და ვლინდება: თიხოვანი ნაღვენთების, ქვიშიანი ნაღვენთებისა და კომპლექსური ნაღვენთების საქხით ფორებისა და მინერალური მარცვლების კედლებზე. გალებების პროცესის მადიაგნოსტირებელ ნიშანს წარმოადგენს რკინის ჰიდროჟანგების კონტრასტული განაწილება ნიადაგურ მასაში, რომელიც დაჯგუფებულია ინტენსიურობის ხარისხის მიხედვით ძლიერ, საშუალო და სუსტ გალებებად. გარკინიანების პროცესი, უპირატესად ჰუმიდური ზონის ტენიან ადგილებში მიმდინარეობს. გამოიყოფა ორი ძირითადი ფორმა: კონკრეციული და პლაზმური, რაც პროცესის ინტენსიურობის მიხედვით ჯგუფდება. გაკარბონატება დიაგნოსტირდება კარბონატების გენეტიკურ-მორფოლოგიური ჯგუფებითა და კალციტის კრისტალების ზომებით. ისინი იყოფა კონკრეციულ და პლაზმურ ჯგუფებად; ინტენსიურობის მხრივ კი: ძლიერ, საშუალო და სუსტ კირქვებად.

4. მონოგრაფიის "საქართველოს ნიადაგები" მეხუთე თავში "ნიადაგების გავრცელება და თვისებები" განხილულია საქართველოს შემდეგი ნიადაგური კლასები, რომლებიც WRB-ჯგუფებს შეესაბამება: Leptosols Umbric, Cambisols Dystric, Rendzinas, Leptosols Molic, Chernozems, Vertisols, Cambisols Chromic, Kastanozems, Solonetz Humic, Nitisols Ferralic, Acrisols Haplic, Luvisols Albic, Gleysols, Fluvisols. აღწერილია თითოეული ნიადაგური ჯგუფის შესწავლილობა, გავრცელება და ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ: მდებარეობა, ნიადაგწარმოქმნელი პირობები, პროფილის აგებულება, მაკრო- და მიკრომორფოლოგიური მახასიათებლები, მორფოქიმიური თვისებები, ზოგიერთი ქიმიური მონაცემები, აგროფიზიკური მახასიათებლები და სხვ. საილუსტრაციო მასალა ასახავს ნიადაგის გავრცელების სქემატურ რუკას, არეალის ლანდშაფტურ პირობებს, პროფილის მორფოლოგიას, აგროქიმიურ მახასიათებლებს და სხვ.

5. მონოგრაფიის "საქართველოს ნიადაგები" მერვე თავში "ნიადაგის დაბინძურება" შეფასებულია ნიადა-

გები, რომლებიც დაბინძურებულია წყლისა და ჰაერისგან სამრეწველო ზემოქმედების, ასევე ხელოვნურად გამოყენებული პესტიციდებისა და/ან მინერალური სასუქების გამოყენების გამო. ტოქსიკური ნივთიერებები, მათ შორის მძიმე ლითონები, უკიდურესად არაზხელსაყრელ ზემოქმედებას ახდენენ ცოცხალ ორგანიზმებზე. ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახეობას შორის, სასრგებლო წიაღისეულია მოპოვება დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს, რაც ყველგან აუარესებს ნიადაგის აგროფიზიკურ თვისებებს და გეოეკოლოგიურ მდგომარეობას. განხილულია ძირითადი ეკოლოგიური კატასტროფების ზონები საქართველოში, რომლებიც უკავშირდება სამთო-მოპოვებით მრეწველობას – ბოლნისის მეტალორგანული პროვინცია (ქვემო ქართლის რეგიონი) და ჭიათურა-ზესტაფონის მანგანუმის პროვინცია (იმერეთი). გარდა ამისა, განხილულია ნიადაგებისა და წყლის დაბინძურება პესტიციდებით (ქლორორგანული შენაერთები) ყოფილი ქიმიური საწყობების მახლობლად.
6. მონოგრაფიის „საქართველოს გეომორფოლოგია“ პირველ თავში „საქართველოს კლიმატი, ჰიდროლოგია და ნიადაგები“ დეტალურადაა აღწერილი საქართველოს კლიმატური რეგიონები, როგორიცაა დასავლეთი და აღმოსავლეთი კავკასიონი, კოლხეთის დაბლობი, იმერეთის მაღლობი, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეები, საგურამო-გომბორის მაღლობი, ივრის მაღლობი, ალაზნის ველი, მთიანი აჭარა-გურია, თრიალეთი, მესხეთი და ჯავახეთის მთიანეთი. ქვეთავებში აღწერილია ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები. დახასიათებულია ასევე საქართველოს მტკნარი წყლის რესურსები: მდინარეები, ტბები, მყინვარები, ჭაობები, წყალსაცავები, მიწისქვეშა წყლები. თავის ბოლო ქვეთავი ეძღვნება საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგური საფარის მიმოხილვას, მათი გავრცელების კანონზომიერებას, ძირითადი ნიადაგური ტიპების მორფო-ქიმიურ შეფასებას და სხვ.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Metreveli G., Matchavariani L., Gulashvili Z.	Method for Hydrological Parameters Definition of Silting Prism & Equilibrium Bed in Water Reservoirs. ISSN 1314-2704, ISBN 978-619-7408-81-2	Proceedings of the 19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2019. “Water Resources, Forest, Marine & Ocean Ecosystems –Hydrology and Water Resources”, vol. 19, Issue 3.1	SGEM, Bulgaria	363-368
2	Avkopashvili M., Gongadze A., Matchavariani L., Avkopashvili G., Avkopashvili I.	Soil, Air and Water Pollution by Manganese Industry in Imereti Region, Georgia. ISSN 1314-2704, ISBN 978-619-7408-82-9	Proceedings of the 19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2019. “Water Resources, Forest, Marine & Ocean Ecosystems – Soils”, vol. 19, Issue 3.2	SGEM, Bulgaria	417-424
3	T. Theissen, J. Aurbacher, D. Bedoshvili, P. Felix-Henningsen, T. Hanauer, S. Hüller, B. Kalandadze, I. Ute Leonhäuser, A. Magiera, A. Otte,	Modelling Environmental and Socio-Economic Resources at the Landscape Level – Potentials for Sustainable Land Use in the Georgian Greater Caucasus” DOI.ORG/10.1016	Journal of Environmental Management. Vol. 232	Elsevier	310-320

	R. Shavgulidze, G. Tedoradze, R. Waldhardt				
4	A. Kikava, M. Mgeladze, B. Kalandadze, G. Dvalashvili, M. Ananidze	Some Peculiarities of Transformation of Soil-Forming Rocks in Interior Mountainous Adjara, West Georgia. ISBN 978-619-7408-47-8	Proceedings of the 19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2019, “Geology”, vol. 18, Issue 5.2	SGEM, Bulgaria	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კლიმატის მიმდინარე ცვალებადობა, დემოგრაფიული პრობლემები და მტკნარი წყლის მარაგის უთანაბრო ტერიტორიული და სეზონური განაწილება იწვევს წყალსაცავების ქსელის მკვეთრ გაფართოვებას. შესაბამისად იზრდება ამ პროცესთან დაკავშირებული ნეგატივები: სავარგულების და ინფრასტრუქტურის დატბორვა, ზემოქმედება კლიმატზე, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შეცვლა და მეწყრული პროცესების გააქტიურება და მოსახლეობის უსაფრთხოების რისკების მატება. მიმდინარე პერიოდამდე მათი გამოკვლევა და გათვალისწინება წყალსაცავების პროექტირების დროს, არ ხდებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ შემოუსაზღვრელი ხდებოდა ის არე, სადაც წყალსაცავის და მისი მოსილვის პრიზმის გავლენა გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე დროის მიხედვით მზარდია, წყალსაცავის არსებობის ბოლო ფაზაში კი კრიტიკულ დონეს აღწევდა. ასეთი მეთოდის შექმნის რაციონალური მიმართულებაა ბუნებრივ (რეალურ) გარემოში ნაკადის სიჩქარეს (V), ნატანის დიამეტრს (d) და კალაპოტის დახრილობას (I) შორის არსებული ემპირიული კავშირების გაკვლევა და არსებული საანგარიშო გამოსახულებების კორექტირება. ამ გამოსახულებათა უმეტესობა მიღებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგების საფუძველზე, რის გამოც კოეფიციენტები და კალაპოტის ჰიდრომახასიათებლები, რომლებიც მათში გამოიყენება, შეუთავსებელ ცდომილებებს იძლევა. ამ გარემოებების გამო აუცილებელია მათი კორექტირება უშუალოდ მდინარეებზე და მოქმედ წყალსაცავებზე შესრულებული საკონტროლო გაზომვებით. ამ მიზნით, სხვადასხვა ტიპის მდინარეებზე, ცვალებადი წყლიანობის პირობებში შესრულდა გაზომვათა სერიები. მათი შედეგებით შესაძლებელი გახდა მოქმედი წყალსაცავების მასილვის პრიზმზე განვითარეული წონასწორული კალაპოტის დახრილობის საანგარიშო გამოსახულების შექმნა და დაკალიბრება, ნატურული ექსპერიმენტებით და წყალსაცავის შენაკადზე ჩატარებული გაზომვათა შედეგების გამოყენებით.

2. გარემოს დაბინძურება მანგანუმით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს იმერეთის რეგიონისთვის. დაბინძურების წყაროს წარმოადგენს საბადო, სადაც მანგანუმს მოიპოვებენ და ქარხანა, სადაც მადნის გადამუშავება ხდება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მანგანუმისა და სხვა ლითონების კონცენტრაციის შესწავლა ნიადაგში, ჰაერში და წყალში. კვლევის ობიექტიდან აღებულ ნიმუშებში MCP-MC გამოყენებით, იდენტიფიცირებული იყო ქიმიური ელემენტები. ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მანგანუმის კონცენტრაცია სცილდება ზღვრულად დასაშვებ ნორმას როგორც ნიადაგში, ისე ჰაერსა და წყალში. უნდა აღინიშნოს, რომ მანგანუმის მადნის გადამამუშავებელი ქარხანა უფრო დამაზიანებელია გარემოსათვის, ვიდრე კარიერის ჭრილი. ეს იმით აიხსნება, რომ მადნის გადამუშავებისას გამოიყენება მოძველებული მეთოდი და მეთოდიკა, რასაც ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა განაპირობებდა. ნალექების მეშვეობით მავნე ნაწილაკები ნიადაგში შეიწოვება და აბინძურებს მას. სამრეწველო წყლები მდინარეში ყვირილაში ჩაედინება და ასევე აბინძურებს. ეს იმით დასტურდება, რომ ფეროშენადნობ ქარხანასთან მდინარის ჩავლის შედეგად, მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია მდინარეში ბევრად აღემატება ნიმუშებს, რომლებიც ქარხნამდეა აღებული.

3. მთის რეგიონები მოიცავს დედამიწის ხმელეთის ზედაპირის ერთ მეოთხედს და მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ამავე დროს დაუცველია ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. მიწის არასწორად გამოყენების შედეგად გამოწვეული ცვლილებები იწვევს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ლანდშაფტის სერიოზულ ცვლილებებს, როგორიცაა ნიადაგის პროდუქტიულობის დაცემა და სახეობების შემცირება. ყაზბეგის რეგიონში – საქართველოს ცენტრალურ დიდ კავკასიონზე, ეს გარდაქმნები კიდევ უფრო მეტია და შესაძლებელია გამოიწვიოს ლანდშაფტის სტრუქტურის ცვლილება და მოსახლეობის მარგინალიზაცია. შემუშავდა მიწის ოპტიმალურად გამოყენების სცენარები, რომლებიც აკმაყოფილებენ Agenda 2030 განვითარების მიზნებს მდგრადი სოფლის მეურნეობის უზრუნველსაყოფად მთის ეკოსისტემების განვითარებაში და მათ

კონსერვაციას.
4. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ შიგამთიან აჭარაში ნიადაგწარმომქმნელი ქანები მაგმური ინტრუზიული, ძლიერი დანაპრალების მქონე ანდეზიტებისა და ანდეზიტო-ბაზალტების ელუვიებია, რომლებიც მდინარე აჭარისწყლის კალაპოტის ორივე მხარეს განლაგებულ ჩრდილოეთ ფერდობებზე ძირითად მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმებით იფიტებიან. სამხრეთ ფერდობებზე, ასევე შიგამთიანი აჭარის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ქანები ალიტურ-სიალიტური და ფერალიტიზაცია-რუბეფიკაციის მიმართულებით ქიმიურ ტრანსფორმაციას ექვემდებარებიან; შიგამთიან აჭარაში ქანების გამოფიტვის თავისებურებები ნიადაგების გეოგრაფიას და გენეზისთან კორელაციურ კავშირს ამჟღავნებს, კერძოდ ა) კეროზრივად ირღვევა გავრცელების ვერტიკალური ზონალობის კანონი და აქ არსებული Cambisols Chromic და Acrisols Halpic ნიადაგები ქმნიან სერიებს; ბ) შიგამთიანი აჭარის მთატყის ზონაში, Cambisols Chromic ნიადაგების გავრცელების არეალში კეროზრივად, ერთდროულად მიმდინარეობს, როგორც Cambisols Chromic soils ისე Red color soils წარმოქმნა, რომლის მორფოლოგიური ძირითადი ნიშნები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია იგი გამოიყოს დამოუკიდებელ ნიადაგურ ტაქსონად სახელწოდებით Nitisols Ferralic-Cambisols Chromic ნიადაგი.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლია მაჭავარიანი, გიორგი მეტრეველი, ზაზა გულაშვილი	გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასება	11-15 თებერვალი, თბილისი, თსუ, მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
2	ბესიკ კალანდაძე	ნიადაგის დეგრადაცია – გამოწვევები საქართველოსთვის	11-15 თებერვალი, თბილისი, თსუ, მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
3	ლამზირა ლაღიძე, ლია მაჭავარიანი, ნოდარ წივწივაძე, ნინო პაიჭაძე	კლიმატის ცვლილების გავლენა ექსტრემალური ტემპერატურების რეჟიმზე (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)	11-15 თებერვალი, თბილისი, თსუ, მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
1. აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია თსუ საიტზე: http://conference.ens-2019.tsu.ge/lecture/view/1169 http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c48b4e848791L.Matchavariani_geo-2019.pdf http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c48b4f469d65L.Matchavariani_eng-2019.pdf			
2. აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია თსუ საიტზე: http://conference.ens-2019.tsu.ge/page/search http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c51acbe21001Soil_Degradation_–_Challenges_for_Georgia-PDF.pdf			
3. აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია თსუ საიტზე: http://conference.ens-2019.tsu.ge/lecture/view/1379 http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5d582b22b58Lamzira-Lagidze-GEO.pdf http://conference.ens-2019.tsu.ge/uploads/5c5d5846b5a21Lamzira-Lagidze-ENG.pdf			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Lia Matchavariani https://climatechange.averconferences.com/speakers/ https://climatechange.averconferences.com/scientific-program/	Method to evaluate the impact of the water reservoir on the climate	International Conference on Climate Change, November 25-26, Dubai, UAE
2	Giorgi Metreveli, Lia Matchavariani, Zaza Gulashvili	Method for Hydrological Parameters Definition of Silting Prism and Equilibrium Bed in Water Reservoirs	19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM-2019, Section: Hydrology and Water Resources, Albena, Bulgaria, 30 June – 6 July
3	Marika Avkopashvili, Alexander Gongadze, Lia Matchavariani, Guranda Avkopashvili, Irakli Avkopashvili	Soil, Water and air Pollution by Manganese Industry in the Imereti Region, Georgia	19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM-2019, Section: Soil, Albena, Bulgaria, 30 June – 6 July
4	Lia Matchavariani Giorgi Metreveli, Zaza Gulashvili	Integrate Management of Water Reservoirs Problems	Eurasian RISK2019 Conference, 22-24 May, Baku, Azerbaijan
5	A. Kikava, M. Mgeladze, B. Kalandadze, G. Dvalashvili, M. Ananidze	Some Peculiarities of Transformation of Soil-Forming Rocks in Interior Mountainous Adjara, West Georgia.	19th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM-2019, Section: Soil, Albena, Bulgaria, 30 June – 6 July
6	Besik Kalandadze	Bodendegradation – Herausforde-rungen für Georgien	30.04-7.05.19 Giessen, Germany
7	Besik Kalandadze	Making Geoparks in Georgia	International Workshop – 18-21.07.19
8	Besik Kalandadze	Field studies and further development of Adjara region (Georgia): alternative methods and strategies	12-18.06.19 Saarland University, Germany

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების ინსტრუმენტებია მისი ატმოსფეროსთან უშუალოდ შეხების ზედაპირი და ფართობები, რომლებიც მისი წყლით ირწყვება ანდა ინფილტრირებული წყლებით ტენიანდება. ამის გამო წყალსაცავის ზემოქმედების ტიპსა და სიძლიერეს განსაზღვრავს მისი მორფომეტრია, რეგულირების ტიპი, დონეთა რეჟიმი და მიმდებარე ტერიტორიის გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური მაჩვენებლები. სტაციონარული და საველე კვლევების მიხედვით წყალსაცავის გავლენა კლიმატზე, განსაკუთრებით მის კომფორტულ პარამეტრებზე დადებითია იმ შემთხვევაში, თუ ის არასაკმარისი დატენიანების ზონაში მდებარეობს, და პირიქით, უარყოფითია თუკი ჭარბი ტენიანობის ზონაშია მოქცეული. ამასთანავე, ის აძლიერებს ქარს, როდესაც წლის ცივ სეზონებში ყინულით იფარება. გარდა ამისა, მრავალი სხვა ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორი განსაზღვრავს წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების თავისებურებებს, რომლის შესაფასებლად ყველაზე ზუსტია ე.წ. „გრძელი რიგების“ მეთოდი, რომელიც მეტეოროლოგიურ ელემენტებზე (ტემპერატურა, ქარი, ნალექები და სხვ.) ოპერირებს სტაციონარული დაკვირვებების მონაცემებით შექმნილი „გრძელი რიგებით“. ეს ის დროისმიერი სტატისტიკური რიგია, რომელიც სტატისტიკურად საკმარისი ხანგრძლივობის ორი პერიოდისაგან შედგება. აქედან, პირველი – წყალსაცავის შექმნამდე, ხოლო მეორე – წყალსაცავის არსებობის დროს შესრულებულ დაკვირვებებს მოიცავს. $\{ti\}i = 1n = \{ti\}t = 1k, \{tk + 1\}t = k + 1n, n = 1,2,..k, k + 1,..n$
თუ ასეთი მონაცემები არ არსებობს, ან მათი რიგი „სტატისტიკურად მოკლეა“, გამოიყენება „ანალოგიის“ მეთოდი. ასეთი ანალოგი-წყალსაცავი შეირჩევა გარემო პირობების მსგავსების მიხედვით. ის უნდა მდებარეობდეს პროექტირებადი წყალსაცავის ზონაში – მსგავს გარემო პირობებში და უნდა არსებობდეს მის სანაპირო ზონაში შესრულებულ დაკვირვებათა საკმარისი რაოდენობა. მესამე შემთხვევაა, როცა წყალსაცავზე დაკვირვებები არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში პროექტირებადი წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების შეფასება შესაძლებელია შემდეგი ზოგადი დებულებების გამოყენებით: წყალსაცავი აგრილებს და ატენიანებს კლიმატს, თუ ის არასაკმარისი ატმოსფერული ნალექების და თბილი კლიმატის

არეშია შექმნილი და პირიქით, მაღალი ტენიანობის და ტემპერატურის ტერიტორიებზე მისი გავლენით კლიმატის კომფორტული პარამეტრები უარესდება მისი ზედაპირის ფართობის სიდიდის პროპორციულად. ამასთან, ასეთი ცვლილებები მაქსიმალურია სანაპიროს 200-300 მ სიგანის ზოლში, მნიშვნელოვანია 400-500 მ-დე, ხოლო უფრო მოშორებით მისი გავლენა პრაქტიკულად აღარ შეიმჩნევა. მისი გავლენა სიმაღლის მიხედვით დამოკიდებულია შემომსაზღვრელ რელიეფზე და სარკის პარამეტრებზე. არსებული იშვიათი გაზომვების თანახმად მთის წყალსაცავებზე, რომლებიც შემოსაზღვრულია მაღალი (1000 მ-მდე) და დიდი დახრილობის მთის კალთებითა. წყალსაცავის გავლენა და ტენის კონდენსაციის დონე (ჰორიზონტი) საშუალოდ 500-700 მ სიმაღლემდე აღწევს.

2. კლიმატის მიმდინარე ცვალებადობა, დემოგრაფიული პრობლემები და მტკნარი წყლის მარაგის უთანაბრო ტერიტორიული და სეზონური განაწილება იწვევს წყალსაცავების ქსელის მკვეთრ გაფართოებას. შესაბამისად იზრდება ამ პროცესთან დაკავშირებული ნეგატივები: სავარგულების და ინფრასტრუქტურის დატბორვა, ზემოქმედება კლიმატზე, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შეცვლა და მეწყრული პროცესების გააქტიურება და მოსახლეობის უსაფრთხოების რისკების მატება. მიმდინარე პერიოდამდე მათი გამოკვლევა და გათვალისწინება წყალსაცავების პროექტირების დროს, არ ხდებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ შემოუსაზღვრელი ხდებოდა ის არე, სადაც წყალსაცავის და მისი მოსილვის პრიზმის გავლენა გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე დროის მიხედვით მზარდია, წყალსაცავის არსებობის ბოლო ფაზაში კი კრიტიკულ დონეს აღწევდა. ასეთი მეთოდის შექმნის რაციონალური მიმართულებაა ბუნებრივ (რეალურ) გარემოში ნაკადის სიჩქარეს (V), ნატანის დიამეტრს (d) და კალაპოტის დახრილობას (I) შორის არსებული ემპირიული კავშირების გაკვლევა და არსებული საანგარიშო გამოსახულებების კორექტირება. ამ გამოსახულებათა უმეტესობა მიღებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგების საფუძველზე, რის გამოც კოეფიციენტები და კალაპოტის ჰიდრომახასიათებლები, რომლებიც მათში გამოიყენება, შეუთავსებელ ცდომილებებს იძლევა. ამ გარემოებების გამო აუცილებელია მათი კორექტირება უშუალოდ მდინარეებზე და მოქმედ წყალსაცავებზე შესრულებული საკონტროლო გაზომვებით. ამ მიზნით, სხვადასხვა ტიპის მდინარეებზე, ცვალებადი წყლიანობის პირობებში შესრულდა გაზომვათა სერიები. მათი შედეგებით შესაძლებელი გახდა მოქმედი წყალსაცავების მასილვის პრიზმაზე განვითარეული წონასწორული კალაპოტის დახრილობის საანგარიშო გამოსახულების შექმნა და დაკალიბრება, ნატურული ექსპერიმენტებით და წყალსაცავის შენაკადზე ჩატარებული გაზომვათა შედეგების გამოყენებით.

3. მანგანუმით გარემოს დაბინძურება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს იმერეთის რეგიონისთვის. დაბინძურების წყაროს წარმოადგენს საბადო, სადაც მანგანუმს მოიპოვებენ და ქარხანა, სადაც მადნის გადამუშავება ხდება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მანგანუმისა და სხვა ლითონების კონცენტრაციის შესწავლა ნიადაგში, ჰაერში და წყალში. კვლევის ობიექტიდან აღებულ ნიმუშებში MCP-MC გამოყენებით, იდენტიფიცირებული იყო ქიმიური ელემენტები. ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მანგანუმის კონცენტრაცია სცილდება ზღვრულად დასაშვებ ნორმას როგორც ნიადაგში, ისე ჰაერსა და წყალში. უნდა აღინიშნოს, რომ მანგანუმის მადნის გადამამუშავებელი ქარხანა უფრო დამაზიანებელია გარემოსათვის, ვიდრე კარიერის ჭრილი. ეს იმით აიხსნება, რომ მადნის გადამუშავებისას გამოიყენება მოძველებული მეთოდი და მეთოდიკა, რასაც ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა განაპირობებდა. ნალექების მეშვეობით მავნე ნაწილაკები ნიადაგში შეიწოვება და აბინძურებს მას. სამრეწველო წყლები მდინარეში ყვირილაში ჩაედინება და ასევე აბინძურებს. ეს იმით დასტურდება, რომ ფეროშენადნობ ქარხანასთან მდინარის ჩავლის შედეგად, მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია მდინარეში ბევრად აღემატება ნიმუშებს, რომლებიც ქარხნამდეა აღებული.

4. აბსტრაქტების წიგნი განთავსებულია საიტზე (გვ. 97):
https://eurasianrisk2020.ge/uploads/RISK-2019/ABSTRACT%20BOOK%20EURASIAN%20RISK-2019.pdf

5. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ შიგამთიან აჭარაში ნიადაგწარმომქმნელი ქანები მაგმური ინტრუზიული, ძლიერი დანაპრალების მქონე ანდეზიტებისა და ანდეზიტო-ბაზალტების ელუვიებია, რომლებიც მდინარე აჭარისწყლის კალაპოტის ორივე მხარეს განლაგებულ ჩრდილოეთ ფერდობებზე ძირითად მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმებით იფიტებიან. სამხრეთ ფერდობებზე, ასევე შიგამთიანი აჭარის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ქანები ალიტურ-სიალიტური და ფერალიტიზაცია-რუბეფიკაციის მიმართულებით ქიმიურ ტრანსფორმაციას ექვემდებარებიან; შიგამთიან აჭარაში ქანების გამოფიტვის თავისებურებები ნიადაგების გეოგრაფიას და გენეზისთან კორელაციურ კავშირს

ამჟღავნებს, კერძოდ ა) კეროზრივად ირღვევა გავრცელების ვერტიკალური ზონალობის კანონი და აქ არსებული Cambisols Chromic და Acrisols Halpic ნიადაგები ქმნიან სერიებს; ბ) შიგამთიანი აჭარის მთა-ტყის ზონაში, Cambisols Chromic ნიადაგების გავრცელების არეალში კეროზრივად, ერთდროულად მიმდინარეობს, როგორც Cambisols Chromic soils ისე Red color soils წარმოქმნა, რომლის მორფოლოგიური ძირითადი ნიშნები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია იგი გამოიყოს დამოუკიდებელ ნიადაგურ ტაქსონად სახელწოდებით Nitisols Ferralic-Cambisols Chromic ნიადაგი.
6. ნიადაგების დეგრადაცია არის უარყოფითი პროცესი, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვილ ორგანულ ნივთიერებებს ჰუმუსს, რის შედეგადაც ნიადაგი განიცდის ნაყოფიერების დაკარ-გვას, დეგრადაციას და მისი ეკონომიკური მაჩვენებლები დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმე-დების შედეგად. მიწის დეგრადაცია არის პროცესი, რომლის შედეგადაც ქვეითდება და/ან სრულიად იკარგება მიწის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობა და ტყის აღწარმოების უნარი. მიწის დეგრადაცია თანდათანობით ძლიერდება და უფრო დიდ ფართობს მოიცავს მსოფლიოს მასშტაბით. არსებული მონაცემების მიხედვით სახნავ-სათესი ფართობების 20%, ტყეების 30% და საძოვრების 10% განიცდის სხვადასხვა ხარისხით დეგრადაციას. მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 2.6 მილიარდი ადამიანი განიცდის მიწის დეგრადაციით და გაუდაბ-ნოებით გამოწვეულ პრობლემებს, რაც მოიცავს ხმელეთის ზედაპირის 33%-ს. დედამიწაზე არსებული მიწის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი ან არაპროდუქტიულია. (იხ.ცხრ.), რაც ჯამში შეადგენს 18 მლნ კმ2-ს, რომელიც მოიცავს ისეთ ტერიტორიებს, როგორიცაა საჰარას უდაბნო (7.7 მლნ კმ2). სხვა ფართობები მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, სადაც მკაცრი კლიმატური პირობების და ციცაბო ფერდობების გამო მათი გამოყენება შეზღუდულია. საბოლოოდ გამოყენებადი მიწების ფართობი შედეგენს დაახლოებით 120 მლნ კმ2-ს, რაც დედამიწის ზედაპირის ¼-ზე ნაკლებია.
7. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოში გეოპარკების შექმნისათვის ტერიტორიების შერჩევა. ამისათვის საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე წინასწარ მომზადდა გეოპარკების შერჩევის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდება საქართველოში მათი ადგილმდებარეობის შერჩევა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ბაზაზე. ამჯამად გეოპარკების შექმნის პროცესი რეგიონალურ დონეზეა აყვანილი. ამიტომაც ამ პროგრამაში ჩართულნი არიან აზერბაიჯანისა და სასომხეთის სამეცნიერო წრეები. წელს ზაფხულში ჩატარებული ვორკშოპიც ამას ემსახურებოდა.
8. მრავალწლიანი დაკვირვებები ზედაპირული წყლების ხარისხის დინამიკაზე მიუთითებს წყლის ობიექტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ექსტრემალური მაღალი შემცველობის შემთხვევების რიცხვის ზრდას. უკანასკნელ პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცევა ზედაპირული წყლის ობიექ-ტების ეკოლოგიური მდგომარეობის საკითხებს, ზედაპირულ წყალსატევებსა და წყალდენაზე ტექნოგე-ნური ზემოქმედების დონის შეფასებას, ტექნოგენური წარმოშობის პოლუტანტების გამოვლენას. ზედაპი-რული წყლების ხარისხის, მათი ეკოლოგიური მდგომარეობის და დაცვის მონიტორინგი ქვეყანაში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ამასთან არ არის შემუშავებული მათი დაბინძურების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედაპირული წყლების ეკოქიმიური გამოკ-ვლევა, ბუნებრივი და ტექნოგენური დაბინძურების წყაროების განსაზღვრა, მათი წილი ჯამურ დაბინძუ-რებაში წარმოადგენს აუცილებელ და აქტუალურ ამოცანას, რამდენადაც ისინი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე რეკრეაციული მიზნებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის იდეალურ პირობებს სასმელი წყლის მარაგის სტაბილურობისა და სისუფთავისათვის. სასმელად ვარგისი მტკნარი წყლის რეზერვები ერთის მხრივ არათანაბრადაა გადანაწილებული მთელ მსოფლიოში, მეორეს მხრივ, წყლის რესურსები სულ უფრო მცირდება და ამიტომ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის მოფრთხილებას – რაციონალურად გამოყენებას და დაბინძურებისაგან დაცვას. წყალი წარმოადგენს იმ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს მდგრადი განვითარების საზღვრებს. აჭარაში - მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაედინება მდინარეები – ჩაქვისწყალი (სიგრძე 25,2 კმ, აუზის ფართობი 176 კმ^2, წლიური ხარჯი შესართავთან 10,2 მ^3/წმ.) და ყოროლისწყალი (სიგრძე 13,8 კმ, აუზის ფართობი 48,6 კმ^2, წლიური ხარჯია 2,2 მ^3/წმ), რომლის წყლებიც გამოიყენება ქ. ბათუმის წყალმომარაგებისათვის და უერთდებიან შავი ზღვის სანაპირო ზოლს. მდინარე ყოროლისწყლის კაშხალისა და წყალმიმღები

ნაგებობის ზემოთ, სანიტრული ზონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე მთის ტერიტორია, ათეული წლების განმავლობაში სათანადოდ არ იყო დაცული. სანიტარულ ზონაში აკრძალული ქმედებისაგან ადგილი ჰქონდა, როგორც ხე-ტყის გაჩეხვის, გზების გაყვანის, ყანა-ბოსტნების მოწყობის, ასევე მოსახლეობის დასახლების ფაქტებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მათ მფლობელობაში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთებში მოსავლიანობის გაზრდის მიზნით იყენებს სხვადასხვა მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს. მოწყობილი აქვთ საპირფარეშოები კანალიზაციის გარეშე, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვისათვის – საქონლის სადგომები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

კათედრის გამგე პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი

აკადემიური პერსონალი:

- ასოც. პროფ. გიორგი მელაძე
- ასოც. პროფ. რობერტ მაღლაკელიძე
- ასოც. პროფ. მარიამ ელიზბარაშვილი

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზრდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე დასაქმებამდე გადასვლის პროცესში, შედარებითი ანალიზი საქართველოში, აზერბაიჯანში და ტაჯიკეთში	ფოლკსვაგენის ფონდი.	პროფ. მიჰაელ გებელი ეკ. დოქტორი ირინა ბადურაშვილი	ი.ბადურაშვილი, გ.მელაძე, ნ.კობახიძე, რ.ნადირაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

,,ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევის - „შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზრდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში“ მიხედვით, მიმდინარე ეტაპზე განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა საქართველოს მასშტაბით, 18-35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი პროცესის შესწავლა როგორიცაა განათლების დასრულების შემდეგ შრომით ბაზარზე ინტეგრაცია. პროექტის მთავარ ინოვაციას წარმოადგენს ახალგაზრდებში აღნიშნული გადასვლის პროცესის შესწავლა ცხოვრების კურსის მიდგომით „life course perspective”, რომელიც გულისხმობს პრობლების შესწავლას ადამიანების ცხოვრების სტრუქტურული, სოციალური თუ კულტურული კონტექსტით. პროექტის მიმდინარე ეტაპზე, მიკრო-მაკრო თეორიულ მოდელზე დაყრდნობით შევისწავლეთ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს, რომლის წინაშეც დგანან ახალგაზრდები განათლების დასრულებიდან შრომით

ბაზარზე გადასვლის პროცესში. მიმდინარე პროექტი ხორციელდება სამ ქვეყანაში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში. კვლევის საბოლოო ეტაპზე სამი ქვეყნისგან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდება შედარებითი ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხვა 2000 რესპონდენტი და კვლევამ საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.				
2	ტრანსდისციპლინური კვლევის იმპლემენტაცია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში.	ავსტრიის პარტნიორობის პროგრამა - უმაღლესი განათლების განვითარების სფეროში	დოქტორი, ანდრეას მუჰარი დოქტორი, ქრისტიან ბაუმგარტნერი, პროფ. იოსებ სალუქვაძე	ნ.ელიზბარაშვილი, ი.ხელაშვილი, ნ.პავლიაშვილი, ი.იაშვილი, გ.მელაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) საერთაშორისო პროექტი (ავსტრია, საქართველო, სომხეთი) – APPEAR – Transdisciplinary for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region" პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 საველე სკოლა-სემინარი დაბა ერევანში და დაბა წაღვერში. მომზადდა შესაბამისი სასწავლო მასალა და სილაბუსი, გაიწერა ინტერდისციპლინური საველე პრაქტიკის მეთოდოლოგია და მომზადდა შესაბამისი კითხვარი. პროექტის ფარგლებში მაგისტრატურის ერთმა სტუდენტმა მოამზადა მოხსენება და სტატია: წაღვერის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პოტენციალი ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, რომლითაც წარდგება ევროპის ახალგაზრდა მეცნიერთა ფორუმზე ავსტრიაში (ვენა, 2019 წელი).				
3	ლენტეხი - მესტიას, საჩხერე - ონის, ბაღდათი - აბასთუმნის პროექტირებადი საავტომობილო გზის გარემოზე ზემოქმედების შეფასება	(უცხოური საწარმოს ფილიალი - Institute IGH, Croatia)	ნ.ელიზბარაშვილი	საკონსულტაციო ჯგუფი
გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი შეფასება მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობის ედეგი შეიძლება გახდეს. **ზემოქმედების მრავალფეროვნება უკავშირდება** როგორც ბუნებ-ივ მოვლენებსა და პროცესებს, ისე ადამიანის საქმიანობის შედეგებს. გარემოზე ზემოქმედება რეგულირდება **საქართველოს კანონმდებლობით,** რაც გარკვე-				

ელწილად აიოლებს ამგვარ საქმიანობას. თუმცა, ზემოქმედების მრავალფეროვნება, მისი ივრცესა და დროში ცვლილების მაღალი ხარისხი, კვლევის ოსტატობას და შეფასების მაღალ საიმედოობას მოითხოვს. თანამედროვე სამყაროში, გარემოზე ზემოქმედების ძირითადი „წყარო“ ადამიანია. სწორედ ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ზრდის საზოგადოების ივის იმ საფრთხეს, რასაც გამოუსწორებელი და სიცოცხლისთვის რისკის შემცველი შედეებიც კი შეიძლება მოჰყვეს. ცივილიზებული მსოფლიო ამგვარ საქმიანობას როგორც სელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით არეგულირებს. გარემოე ზემოქმედების შეფასებაში საზოგადოების ჩართულობა მისი ეფექტური რეგულირების ნიშვნელოვანი გარანტიაა.

საქართველოს კანონმდებლობის მიზედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების **ძირიადი მიზანია:**

დამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურული და მატერიალური ვასეულობების დაცვა;

ახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესეის გათვალისწინება.

ამავე კანონმდებლობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება გულისხმობს დაგეგმილი **საქმიანობის შესწავლის და გარემოს ელემენტების** კვლევის პროცედურას. სწორედ მისი ეშველობით ხორციელდება საქმიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის შეფაება გარემოს შემადგენელ კომპონენტებზე, ლანდშაფტზე და ეკოსისტემებზე, ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაზე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება **საჯარო განხილვის საგანია.** საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში. ამგვარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას; მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლებათ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობა; ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

4	მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა	ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტი-SCOPES, Bern University, Switzerland, Georgia, Armenia	პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი	ნ.ელიზბარაშვილი, გ.მელაძე,

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გამოიცა პროექტის შესაბამისი სახელმძღვანელო:

ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი მელაძე, ჰეინო მეესენი, აშოტ ხოეციანი, თომას კოლერი.

მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2018, - 304 გვ. სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცემა პირველად, განხილულია: მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლები, პრინციპები და მეთოდოლოგია, მთიანი რეგიონების ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი, მსოფლიოს მთიანი ტერიტორიების სპეციფიკა და საკანონმდებლო რეგულაციები, გლობალური პრობლემების რეგიონული სახესხვაობანი, მსოფლიოს ცალკეული რეგიონების, კავკასიის და საქართველოს მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები; მდგრადი განვითარების საველე კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და ანალოგიური თემატიკით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

პროექტის მიხედვით თსუ ლანდშაფტური დაგეგმარების მაგისტრატურის სტუდენტებისთვის დამუშავდა სილაბუსი და ჩაერთო სასწავლო პროცესში ახალი საგანი: მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება. მომზადდა და გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელო.

2018 წელს ჩატარდა 2 საველე პრაქტიკა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 ქვეყნის ორ ათეულზე მეტმა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა, რომლის შედეგების მიხედვით მომზადებულ იქნა მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითრების საველე კვლევის მეთოდოლოგია.

5	ტრანსდისციპლინური კვლევის იმპლემენტაცია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში. სოციალური გეოგრაფია. ავსტრიის პარტნიორობის პროგრამა - უმაღლესი განათლების განვითარების სფეროში	1.07.2017 – 20.06.2020	ი.სალუქვაძე (ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი), ა.მუჰარი (ავსტრიული ჯგუფის ხელმძღვანელი)	სტუდენტური ჯგუფების - საკვლევ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების გამოკვლევის - ხელმძღვანელები ნ.ელიზბარაშვილი, ი.ხელაშვილი, მ.ხოხობაია, ნ.პავლიაშვილი, გ.მელაძე

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 10-21 ივლისს მოეწყო საველე კვლევა დაბა წაღვერში, და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ დასახლებებში - ბაკურიანი, კიმოთესუბანი, მზეთამზე, დაბა, პატარა ცემი.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტები. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა - სტუდენტური საკვლევი ჯგუფების მიერ, აღნიშნულ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და არსებული პრობლემების გამოკვლევა, მათი ანალიზი და ყოველდღიური პრეზენტაციები.

საკვლევ არეალში გამოკითხული იქნა 80-ზე მეტი რესპონდენტი, მოეწყო შეხვედრა აღნიშნულ სფეროს რეგიონის ხელმძღვანელობასთან, ადგილობრივი კერძო სასტუმროების მფლობელებთან.

მოსმენილ იქნა ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ქრისტიან მაურერის

პრეზენტაცია თემაზე - ტურისტული გამოცდილების დიზაინი. აგრეთვე. პროფესორ, ანდრეას მუჰარის პრეზენტაცია თემაზე - სისტემური ანალიზი.
სტუდენტური ჯგუფები ყოველდღიურად გადიოდნენ საკვლევ არეალზე, ატარებდნენ სოციოლოგიურ გამოკითხვას წინასწარ დამუშავებული კითხვარით, ამუშავებდნენ მოპოვებულ მასალებს და წარმოადგენდნენ პრეზენტაციების სახით.
საველე გამოკვლევის დასკვნით დღეს დაბა წაღვერის კლუბში მოეწყო პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანები და მოსახლობა.

3.2. დასრულებული პროექტები

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	„შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში“. ეკონომიკა. ფოლკსვაგენის ფონდი. გერმანია	1.07.2015 – 30.06.2018	მ.გებელი და ი.ბადურაშვილი პროექტის ხელმძღვანელები. გ.მელაძე, ნ.კობახიძე, რ.ნადირაძე - პროექტის ძირითადი შემსრულებლები

პროექტი - „შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში“, შესრულდა საქართველოს მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ 2015-2018 წლებში. კვლევის მიზანს წარმოადგენს, ახალგაზრდების ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი პროცესის შესწავლა, როგორიცაა - განათლების დასრულების შემდეგ, შრომით ბაზარზე ინტეგრაცია. სოციოლოგიურმა გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე - საქართველოში არსებული 11 ადმინისტრაციულ რეგიონში (გარდა თბილისისა) შეიქმნა 2 სტრატა: სოფლის და ქალაქის. თბილისში არის ერთი სტრატა. სულ საქართველო დაიყო 21 სტრატად. ინტერვიუერების მიერ, სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე გამოკითხულ იქნა 18-35 წლის ასაკის 2000 რესპონდენტი.

შერჩევის დიზაინი გულისხმობდა მრავალსაფეხურიან კლასტერულ შერჩევას, სტრატიფიკაციის გამოყენებით. შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის სააღწერო უბნების ბაზა.
ქალაქებში კლასტერების ფორმირება განხორციელდა სააღწერო უბნების საფუძველზე. კერძოდ, ქალაქის ყველა ის სააღწერო უბანი, რომელშიც 30 ოჯახისაგან შედგებოდა განისაზღვრა, როგორც

ცალკე კლასტერი. თუ სააღწერო უბანში 30 ოჯახზე ნაკლები ცხოვრობდა, ისინი გაერთიანებულ იქნა ერთ კლასტერში მეზობელ სააღწერო უბანთან.
სოფლის დასახლებებში ყოველი სოფელი განიხილება ცალკე კლასტერად. თუ სოფელში 30 ოჯახზე ნაკლები ცხოვრობდა იგი გაერთიანდა ერთ კლასტერში მის მეზობელ სოფელთან.

გამოკვლევის შედეგების გაანალიზებამ, საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა, კერძოდ:
-თანამედროვე გლობალიზაციის ფონზე, საქართველოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება დასავლური ღირებულებების თანდათანობით დამკვიდრების პროცესი. თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული დაბრკოლებები, რაც დასავლურ და პოსტ-საბჭოთა კულტურებს შორის დაპირისპირებებში გამოიხატება. ეს უკანასკნელი საქართველოს - განვითარებულ სამყაროსთან ურთიერთობების, მნიშვნელოვანი დროის მანძილზე იზოლირებითაა განპირობებული.
-რაც უფრო მაღალია ახალგაზრდებში განათლების დონე, მით უფრო ნაკლები დრო სჭირდებათ მათ სამუშაოს მოსაძებნად და მით უფრო ნაკლებად მიმართავენ ნაცნობების დახმარების პრაქტიკას.
-საქართველოში მნიშვნელოვანია მათი წილი, ვინც სამსახურის დასაწყებად ნაცნობებს მიმართავს დახმარებისათვის.
-რესპონდენტების პასუხების მიხედვით, სამსახურის მოძებნის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო არასაკმარისი სამუშაო ადგილები შრომით ბაზარზე
-ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილებზე დასაქმების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შრომის დაბალი ანაზღაურება.
-შრომის ბაზრის მოთხოვნილება და განათლების სისტემა შეუსაბამობაშია. დასაქმების პრობლემის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი, სამუშაოს მაძიებელთა არასათანადო კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმია.
-განათლების დასრულების შემდეგ - პირველი სამსახურის მოსაძებნად ქალები საშუალოდ 19 თვეს ხარჯავენ, ხოლო მამაკაცები უფრო ნაკლებს - 15 თვეს.
-აღსანიშნავია, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებისთვის პრობლემატურია გარკვეული პროფესიების დეფიციტი. დამსაქმებლები ვერ ახერხებენ მათთვის საჭირო პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიებას. ქვეყანაში აქტუალურია ის გარემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები არ მზადდება. შესაბამისად მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

პროექტის საბოლოო ანგარიშში ასევე გაანალიზებულია საქართველოს განათლების სისტემის, ქორწინებისა და ოჯახის რიგი თანამედროვე პრობლემები.

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
	ქართულ-ნორვეგიული პარტნიორობა კლიმატის	2017-30.08.2019	იონქი გაუ, პროექტის - კოორდინატორი ნორვეგიიდან,

	ტელეკონექციებსა და პროგნოზში, Norwegian Center for International Cooperation in Education, SIU, CPEA-ST-2016/10059, კლიმატის ცვლილება		მარიამ ელიზბარაშვილი - პროექტის კოორდინატორი საქართველოდან, ტორი ფურევიკი - მონაწილე, ნოელ კინლისაიდი - მონაწილე, კვამსტო ნილს განერი - მონაწილე, სუ ლინგლინგი - მონაწილე, რომან მაისურაძე - მონაწილე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის 2018 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

კვლევაში გამოყენებულია CMIP5-ის (Coupled Model Intercomparizon Project 5th phase) 10 მოდელის 36 სცენარი. CMIP5 არის IPCC -ს (the Intergovernmental Panel on Climate Change) (Fifth Assessment Report) AR5-ის ARC8.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს სათბური აირების გამოფრქვევის უმაღლეს რაოდენობის არსებობას, ასევე მოსახლეობის რაოდენობის მაღალი სიჩქარით ზრდას და ენერგიის მაღალ მოთხოვნილებას კლიმატური ცვლილების პოლიტიკის არსებობის გარეშე. CMIP ხელს უწყობს სტანდარტულ მოდელირებულ სიმულაციებს: 1. განავითაროს რამდენად რეალურია მოდელი ახლო წარსულისათვის. 2. აწარმოოს მომავლის კლიმატური მოდელი დროის 2 მასშტაბით, ახლო მომავლის - 2035 და შორეული - 2100 წლამდე და მეტი. 3. დააზუსტოს ზოგერთი ფაქტი, რომელიც პასუხისმგებელია განსხვავებებზე მოდელის პროექტებში, შემცველობის რაოდენობით ზოგიერთი საკვანძო უკუკავშირისა, როგორებიცაა ღრუბელი და ნახშირორჟანგის ციკლი. არსებულ კვლევაში გამოყენებულია CMIP5-ის ექსპერიმენტული დიზაინის გრძელვადიანი სიმულაციები 2005-2100 წლებისათვის.

1971-2000 წლებისათვის დათვლილია საშუალო წლიური და საშუალო სეზონური ტემპერატურები საქართველოში არსებული დაკვირვებების მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე გლობალური კლიმატური მოდელების შედეგები თითოეული სცენარსათვის და მათი საშუალოები თითოეული მოდელისათვის. შედარებულია დაკვირვების ტემპერატურის ცვლილების ტრენდები საშუალო წლიურ და საშუალო სეზონურ ტემპერატურის ცვლილების მოდელის მონაცემებთან და ასევე ტემპერატურული სხვაობები მოდელის მონაცემებსა და დაკვირვებას შორის ისტორიული და მომავალი პერიოდისათვის. მოცემულია კორელაცია დაკვირვების საშუალო წლიურ და საშუალო სეზონურ ტემპერატურებსა და მოდელების შესაბამის მონაცემებს შორის 1971-2000 წლებისათვის. ასევე მოდელების საშუალო მნიშვნელობა საშუალო წლიური და საშუალო სეზონური მონაცენებისათვის. მომავლის 2071-2100 წწ ტემპერატურის განსაზღვრისათვის კი მოცემულია CMIP5-ის ARC8.5-ის სურათი 10 მოდელის 36 სცენარის მიხედვით. თითოეული მოდელისათვის დათვლილია საშუალო მნიშვნელობა სცენრების საშუალოს გამოყვანისგზით და ასევე 10 მოდელის 36 სცენარის საშუალო ტემპერატურული მაჩვენებელი წლიური და სეზონური ტემპერატურები საქართველოსათვის.
პროექტის ფარგლებში თსუ-ს დოქტორანტები: ნანო გოგია და თეა ერაძე 2018 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში ორ ორი თვით მივლინებით იმყოფებოდნენ ნანსენის ცემტრში და ბერგენის უნივერსიტეტში სადაც ეცნობოდნენ და მუშაობდნენ გლობალურ კლიმატურ მოდელებზე.

4. 2. სახელმძღვანელოები

№1	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ელიზბარაშვილი, ჰ.მეესენი, ა.ხოეციანი, გ.მელაძე, თ.კოლერი	მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა. ISBN 978-9941-9560-7-2	თბილისი, ,,დანი“	304

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად, არნახულ მასშტაბებს მიაღწია ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად შეიცვალა დედამიწის იერსახე და ადამიანთა საცხოვრებელი გარემო. თუ მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის დედამიწაზე 1 მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობდა, 2018 წლისთვის მისმა რაოდენობამ 7.5 მილიარდს გადააჭარბა. მედიცინის განვითარება, ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიღწევები, ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა და ინფორმაციის გლობალური „ხელმისაწვდომობა“ მსოფლიო მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. აღნიშულის ერთ-ერთ დადასტურებას სიცოცხლის ხანგრძლივობის საყოველთაო ზრდა წარმოადგენს, რაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, უკანასკნელი 2 საუკუნის მანძილზე საშუალოდ 2-ჯერ გაიზარდა.

ასევე მასშტაბური და გლობალურია ეკოლოგიური პრობლემების ზრდის ტენდენციები, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ერთის მხრივ, ყოველწლიურად იზრდება ტყიანი ტერიტორიების და ნაყოფიერი ნიაგების დეგრადაციით „გამორჩეული“ ტერიტორიები, გაუდაბნოების და გაუდაბურების მასშტაბები, მეორეს მხრივ კი, მცირდება ჭარბტენიანი და მყინვარებით დაფარული ტერიტორიები, მტკნარი წყლის და მსოფლიო ოკეანის ბიოლოგიური რესურსები, ლითონური და სათბობ – ენერგეტიკული წიაღისეული, თვალსაჩინოო ხდება ატმოსფეროს და წყლების დაბინძურება, ურბანიზაციის უარყოფითი პროცესები და სხვ.

კიდევ უფრო რთულადაა ვითარება მთიან რეგიონებში. ისინი განსაკუთრებული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გარემოთი გამოირჩევიან. მსოფლიოს მთიანი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ცნობილია მკაცრი კლიმატური პირობებით, მიწის რესურსების სიმწირით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურით, დაბალი შემოსავლებით და განვითარების უპერსპექტივობით. თუმცა არის ადგილები (ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა), სადაც მთებში მცხოვრები მოსახლეობა თავს კომფორტულად გრძნობს, რადგან აქ მიმზიდველი სოციალურ -ეკონომიკური გარემოა შექმნილი.

ადამიანი მთებში ათასობით წლის მანძილზე ცხოვრობს და საქმიანობს, ქმნის ბუნებისა და საზოგადოების თანაცხოვრების განუმეორებელ ფორმებს, კულტურასა და ჩვეულებებს. მთები ჯერ კიდევ გამოირჩევა ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოთი, მტკნარი წყლის უდიდესი რესურსებით, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, კულტურული და ბუნებრივი მცენარეულობის ენდემური სახეობებით, სოფლის მეურნეობის, არქიტექტურის, ეთნოკულტურის განუმეორებელი და საინტერესო ფორმებით. მიუხედავად ასეთი მიმზიდველობისა, მთიანი ტერიტორიების უდიდეს ნაწილში მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში და თითქმის სრულ იზოლაციაში ცხოვრობს. ფართო მასშტაბებს მიაღწია მიგრაციულმა პროცესებმა, რის გამოც არა ერთ მთიან რეგიონს გაუდაბურება ემუქრება.

ამგვარ ვითარებაში, თანამედროვე მსოფლიოში დღის წესრიგში აქტიურად დადგა მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობებისთვის ხელსაყრელი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს ფორმირებას. ამგვარი განვითარების მიღწევა მხოლოდ განათლებული, ჯანსაღი და მოტივირებული საზოგადოების პრეროგატივაა, რომლის ფორმირებაში არსებითი როლი ინტერდისციპლინურ და სისტემურ

მეცნიერებებს ეკუთვნის.

N2	ავტორთა კოლექტივი. რედ. ი.იაშვილი	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია, 2019 წ. (პირველი გამოცემა)		
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია (სახელმძღვანელო), განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: თავი 1. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ბუნებრივი რესურსები (ავტორი **ნ.ელიზბარაშვილი)**. თვი 2. საქართველოს ტერიტორიის ფორმირება და თანამედროვე ადმინისტრაციულ–ტერიტორიული მოწყობა (ავტორები: ზ.დავითაშვილი, დ.სიჭინავა). თავი 3. საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია (ავტორები: ი.სალუქვაძე, გ.გოგსაძე,ვ.ლორთქიფანიძე, ა.სახვაძე, **გ. მელაძე).** თავი 4. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია (ავტორები: თ.დოლბაია, გ.კვინიკაძე, რ.თევზაძე, ი.ხელაშვილი, ი.იაშვილი, ნ,პავლიაშვილი). თავი 5. საქართველოს განვითარების მთავარი პრობლემები და გამოწვევები (ავტორები რ.გაჩეჩილაძე, გ.ცაგარელი, ვ. მელიქიძე, ი.იაშვილი, **გ. მელაძე).**				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Elizbarashvili N., Dvalashvili G., Sulkhanishvili N., Elizbarashvili R. (2019).	Selection Principles and Focuses of Landscape Planning of Protected Areas. In: International Journal of Geoheritage and Parks.	#6, pp. 144-157.		14
2	N.Elizbarashvili. (2019).. -	GEOGRAPHICAL INDICATORS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT. В сб.: ГЕОГРАФИЧЕСКИЕ ОСНОВЫ И ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ПРИНЦИПЫ РЕГИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ ПРИРОДОПОЛЬЗОВАНИЯ Материалы	IRKUTSK, RUSSIA. C. 1027-1032.		5

		Международной научно-практической конференции, посвященной памяти чл.-корр. РАН А.Н. Антипова			
3	Nodar Elizbarashvili, Davit Sidamonidze, Nana Deisadze. (2019)	Methodological approach for land transport research and its importance for Georgia's spatial arrangement. Journal of Human Geography. vol.26, pp.5-12			7
4	N Elizbarashvili, G Meladze, M Yeghyan, R Elizbarashvili. (2019).	Geographical indicators of sustainable development and assessment of the impact on the environment. IOP Conf. Series: Earth and Environmental Science, Vol. 381, N.1			6

მდგრადი განვითარების ინდიკატორებად მიჩნეულია ის მაჩვენებლები, რომელთა მეშვეობით **ფასდება და რომლებიც წარმოაჩენენ** როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების დონეს და განვითარების ტენდენციებს. ამგვარი მაჩვენებლების ანალიზის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვაგვარი გეოგრაფიული გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების თავისებურებათა პროგნოზირება, მდგრადი განვითარების შედეგების შეფასება.

მდგრადი განვითარების ინდიკატორების შედგენის და განსაზღვრის არაერთი მაგალითია ცნობილი, რომელთა აქტიური განხილვა გაეროს 1992 წლის რიოს კონფერენციის შემდეგ დაიწყო. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა მდგრადი განვითარების **სოციალურ ინდიკატორად** განიხილავს ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსს, რომელიც მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (დაბადების მომენტისთვის), ზრდასრული მოსახლეობის განათლების დონე და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით. მდგრადი განვითარების ინდიკატორების **კლასიფიკაცია** შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომის (სისტემური, კომპლექსური, მიზნობრივი) და ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკის (ხედვის) საფუძველზე. საკლასიფიკაციო ერთეულები შესაძლებელია უკავშირდებოდეს:

ქვეყნის განვითარების დონეს და მდგომარეობას (რომელიც ახასიათებს საზოგადოებრივი საქმიანობის პროცესებს, ეფექტურობას, უსაფრთხოებას, ქმედების თავისუფლებას, პასუხისმგებლობას და შედეგებს), დაგეგმარების და მართვის პერსპექტივებს (რომელიც ახასიათებს რეაგირების და პროგნოზირების შესაძლებლობას).

მდგრადი განვითარების ინდიკატორები შეიძლება იყოს როგორც **რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი.** რაოდენობრივი ინდიკატორების მეშვეობით ფასდება კონკრეტულ საფრთხეზე სისტემის რეაგირების სიჩქარის თანაფარდობა მისი გავრცელების სიჩქარესთან. მაგალითად, მხოლოდ ეკონომიკური განვითარება ან ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლების

ზრდა ვერ ასახავს სოციალურ ან ეკოლოგიურ საფრთხეებს. იგი მაშინ ხდება ეფექტური, როცა შედარების მეშვეობით წარმოჩინდება დასაქმების, გარემოს დაცვაზე განკუთვნილი ხარჯების, რესურსების გამოყენების მასშტაბების და სხვა ეკოლოგიური პრობლემატიკის პრევენციაზე გამოყოფილი სახსრების მოცულობა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო რაოდენობაში.

მდგრადი განვითარების **ეროვნული ინდიკატორები** სასურველია ეფუძნებოდეს საერთაშორისო გამოცდილებას, მეთოდოლოგიას და სპეციფიკას. ამგვარი მიდგომა წარმატებული (ეფექტური) შედარებითი ანალიზის წინაპირობაა. განსხვავება შესაძლებელია წარმოჩინდეს იმგვარ ინდიკატორებში, რომლების ახასიათებს ადგილობრივ ეთნოკულტურას (შეხედულებათა ფასეულობებს), ეთნიკურ და ისტორიულ ფასეულობებს, სამართლებრივ ტრადიციებს, მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციფიკას და ა.შ.

4.5. სტატიები /საქართველოში/

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარება შავი ზღვის აუზში. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, ტურიზმი. ევროკაშირი. სოზოპოლის მუნიციპალიტეტი, ბულგარეთი	2,08,2018 – 1,07,2020	გ.გავარდაშვილი (ხელმძღვანელი). თ.სუპატაშვილი (პროექტის მენეჯერი) გ.მელაძე (ტურიზმის ექსპერტი). ნ.გავარდაშვილი (ტურიზმის ეასპერტი).

პროექტის ფარგლებში 11-12 მაისს თბილისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიაც მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე პროექტში ჩართული მახარეების წარმომადგენლები: უკრაინიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, თურქეთიდან, ადგილობრივი ექსპერტები. განხილული იქნა რეგიონში კულტურული ტურიზმის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

პროექტის ფარგლებში 17-18 სექტემბერს, ქალაქ იზმაილში (უკრაინა), გაიმართა სემინარი თემაზე - „მდგრადი ტურიზმი შავი ზღვის აუზში". აღნიშნულ სემინარზე წარვადგინე მოხსენება - „ტურიზმის ეკონომიკა და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოში".

პროექტის ფარგლებში 17-18 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა პროექტის მონაწილეთა სამუშაო შეხვედრა. განხილულ იქნა ვებ-პლატფორმის შექმნის საკითხები და სოციოლოგიური გამოკვლევის კითხვარი, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას აღნიშნული

პლატფორმის შესაქმნელად.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ტრანსდისციპლინური კვლევის იმპლემენტაცია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში. სოციალური გეოგრაფია. ავსტრიის პარტნიორობის პროგრამა - უმაღლესი განათლების განვითარების სფეროში	1.07.2017 – 20.06.2020	ჯგუფის ხელმძღვანელი), ა.მუჰარი (ავსტრიული ჯგუფის ხელმძღვანელი). ი.სალუქვაძე (ქართული ჯგუფის ხეკმძღვანელი). სტუდენტური ჯგუფების - საკვლევ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების გამოკვლევის - ხელმძღვანელები ნ.ელიზბარაშვილი, ი.ხელაშვილი, მ.ხოხობაია, ნ.პავლიაშვილი, გ.მელაძე

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 10-21 ივლისს მოეწყო საველე კვლევა დაბა სტეფანწმინდაშიში.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების მაგისტრანტებინტები. აგრეთვე ბოკუს (ავსტრია) უნივერსიტეტის მაგისტრანტები. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა - საკვლევი ჯგუფების მიერ, აღნიშნულ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და არსებული პრობლემების გამოკვლევა, მათი ანალიზი და ყოველდღიური პრეზენტაციები.

საკვლევ არეალში გამოკითხული იქნა 100-მდე რესპონდენტი (როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსული ტურისტები)., მოეწყო შეხვედრა აღნიშნულ სფეროს რეგიონის ხელმძღვანელობასთან, ადგილობრივი კერძო სასტუმროების მფლობელებთან.

მაგისტრანტებისათვის ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ქრისტიან მაურერის მიე რწაკიტხულ იქნა ლექცია.

სტუდენტური ჯგუფები ყოველდღიურად გადიოდნენ საკვლევ არეალზე, ატარებდნენ სოციოლოგიურ გამოკითხვას წინასწარ დამუშავებული კითხვარით, ამუშავებდნენ მოპოვებულ მასალებს და წარმოადგენდნენ პრეზენტაციების სახით.

საველე გამოკვლევის დასკვნით დღეს, დაბა სტეფანწმინდის კლუბში მოეწყო პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ტურიზმის სფეროში დასაქმებული სპეციალისტები და მოსახლეობა.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Meladze G.	Actual Problems of Geography. Dedicated to Prof. Davit Ukleba's 100th anniversary. ISBN 978-9941-13-885-0	Tbilisi, TSU	5

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში მცხოვრები ფერტილური ასაკის ქალების შობადობის პოტენციალის შესაძლო მაქსიმუმის დადგენა, თუკი მათთვის დამახასიათებელი იქნებოდა ჰუტერიტების სექტის (ანაბაპტიზმის რელიგიური მიმდინარეობა) მსგავსი შობადობის მაჩვენებლები. აღნიშნული სექტის წარმომადგენლებს ახასიათებთ შეუზღუდავი შობადობა, რაც შობადობის მაღალ მაჩვენებლებს განაპირობებს. ასევე, თუ რამდენად ხდება არსებული პოტენციალის რეალიზება.

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულია მეცნიერებაში აპრობირებული, ამერიკელი დემოგრაფის ენსლი კოულის - საერთო შობადობის, ქორწინებითი შობადობის, ქორწინების გარეშე შობადობის და საქორწინო სტრუქტურის ინდექსები.

კვლევა ეყრდნობა 1959, 1970, 1979, 1989 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემებს.

დადგენილია, რომ 1959-2014 წწ. პერმანენტულად კლებულობდა ქორწინებითი შობადობის

ინდექსების მნიშვნელობები. დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფაქტი დაფიქსირდა ქორწინების გარეშე შობადობის ინდექსების შემთხვევაში. ქორწინებაში მყოფი ქალები, თავიანთი შესაძლო მაქსიმუმის – დაახლოებით, მხოლოდ მეხუთედის რეალიზებას ახდენდნენ.
მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის (2014 წ.) შედეგებზე დაყრდნობით, დადგენილია კოულის ინდექსების მნიშვნელობები საქართველოში განსახლების ფორმების მიხედვით.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მელაძე გ. კობახიძე ნ.	ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები ზრდასრულობის ასაკში გადასვლის კონტექსტში ISSN 0130-7061. Index 76127	,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2(731) 2019	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	14
წარმოდგენილი კვლევა, სახელწოდებით „შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში“, ხორციელდება 2015-2018 წლებში და მოიცავს 18-35 წლის ასაკის მოსახლეობას. კვლევის მიზანს წარმოადგენს, ახალგაზრდების ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი პროცესის შესწავლა, როგორიცაა - განათლების დასრულების შემდეგ, შრომით ბაზარზე ინტეგრაცია. პროექტის მთავარ ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ, ახალგაზრდებში აღნიშნული გადასვლის პროცესის შესწავლა-ანალიზი ცხოვრების კურსის პერსპექტივის („life cource perspective”) მიდგომით, რომელიც გულისხმობს თუ როგორ ვითარდება და იცვლება ადამიანი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების შესაბამისად სტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. სტატიაში განხილულია კვლევის ერთ-ერთი მიმართულება, კერძოდ შესწავლილია ის შესაძლებლობები და შეზღუდვები, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები საქართველოში, განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში. პარალელურად განხილულია ის გლობალური პროცესები, რომელშიაც უწევთ სოციალიზაცია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ახალგაზრდებს და რომლის ნიშნებიც გამოჩნდა ჩვენს რეალობაში.				

კვლევითი პროექტი დაფინანსებულია ,,ფოლკსვაგენის" ფონდის მიერ და ის ხორციელდება სამ ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რომელმაც საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა, გამოიკითხვა 2,000 რესპონდენტი. ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, შესწავლილია თუ როგორ აფასებენ ახალგაზრდები იმ სიტუაციას, რომელშიაც იმყოფებიან და როგორ უმკლავდებიან იმ პრობლემებს, რომელთაც ისინი აწყდებიან განათლების დასრულების შემდეგ შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მელაძე გ.	Problems of Statistical Accounting of External Migration in Georgia ISSN 2449-2523	,,მიგრაცია" N9	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	18

სტატისტიკური სამსახურებისათვის მიგრაციული პროცესების აღრიცხვა, ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს. გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად, უკიდურესად გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 1990-2000 წწ. მშპ-სა და მიგრაციულ სალდოს შორის გაანგარიშებულმა პირსონის კორელაციის კოეფიციენტმა, მაღალი კორელაციური დამოკიდებულება აჩვენა (0.833), რაც ნიშნავს, რომ ემიგრაციის მიზეზებს შორის - წარმოების დაცემისა და შემოსავლების კლების შედეგად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, უმნიშვნელოვანესი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან, უმაგალითო მასშტაბის უკონტროლო ემიგრაციული პროცესები წარმოიშვა. მიგრაციული სამსახურების მოშლის პირობებში არ ხდებოდა მიგრანტთა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი სტატისტიკური აღრიცხვა. არსებული მდგომარეობის შედეგად, შეუძლებელი იყო ქვეყნის მოსახლეობის რეალური რაოდენობის დადგენა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სპეციალისტები იძულებულნი იყვნენ ალტერნატიული წყაროებითა და საკუთარი გაანგარიშებებით ესარგებლათ.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შემდგომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, მოახდინა დემოგრაფიული სტატისტიკის ამსახველი მასალების კორექტირება. მიუხედავად ამისა, 2014 წლის მოსახლეობის აღწერამ მნიშვნელოვანი შეუსაბამობები დააფიქსირა. აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა კვლავ მოახდინა არსებული დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალების გადაანგარიშება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი გაანგარიშებითი ხასიათისაა, ისინი უფრო რეალურად ასახავენ როგორც მიგრაციის სფეროში ასევე ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიული მდგომარეობას.

უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიგრაციის ტრადიციულ კოეფიციენტებთან ერთად გაანგარიშებულია მიგრაციული ბრუნვის, მიგრაციის ეფექტურობის კოეფიციენტები. ირიბი მეთოდის გამოყენებით დადგენილია მიგრაციული სალდოს მნიშვნელობები საქართველოს რეგიონებში 2002-2014 წლების პერიოდისათვის.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Badurashvili I. Kobakhidze N. Nadiradze R. Nadareishvili M. Meladze G.	Methodological Report o n TEW- CCA Youth Transition Su rveys in Azerbaijan, Geor gia and Tajikistan : https://www.researchga te.net/publication/33116 2168	University of Bamberg.Germany	15
ნაშრომში დეტალურადაა განხილული ,,ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ 2015-2019 წწ. დაფინანსებული პროექტის ,,შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზრდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე დასაქმებამდე გადასვლის პროცესში, შედარებითი ანალიზი საქართველოში, აზერბაიჯანში და ტაჯიკეთში“ ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიური საკითხები. აღნიშნული გამოკვლევა საქართველოში ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,მოსახლეობის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა“ (ჩვენი მონაწილეობით). გამოკვლევა ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით, იგი მოიცავდა 18-35 წლის ასაკის, ორივე სქესის 2000 რესპონდენტს.				

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1	Badurashvili I. Gebel M. Kobakhidze N. Meladze g. Nadiradze R..	Descriptive analyses of youth transitions in Georgia TEW-CCA Working Paper No. 4.2 : https://www.researchgate.net/publication/336275350	University of Bamberg.Germany	67

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Elizbarashvili N. Meladze G. Yeghian M. Elizbarashvili R.	Geographical Indicators of Sustainable Development and Assessment of Impact on the Environment doi:10.1088/1755-1315/381/1/012022	Geographical Foundations and Ecological Principles of the Regional Policy of Nature Management	Irkutsk, Russia	5

მდგრადი განვითარების ინდიკატორები იმ მაჩვენებლებს წარმოადგენენ რომელთაც იყენებენ ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების ტენდენციების დონის გამოსახატავად. აღნიშნული ინდიკატორების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია, გეოგრაფიული გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური თავისებურებების პროგნოზირება.

დღესდღეობით, მდგრადი განვითარების მაჩვენებლების განსაზღვრის მრავალი მაგალითი არსებობს, რომლებიც აქტიურად განიხილებოდა ჯერ კიდევ რიო დე ჟანეიროს 1992 წლის კონფერენციის დროიდან. მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების სოციალური ინდიკატორის პროგრამის ფარგლებში - ჰუმანური განვითარების ინდექსი, რომელიც შეიცავს ისეთ მაჩვენებლებს როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მოზრდილი მოსახლეობის განათლების დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გაანგარიშებით. ამჟამად გეოგრაფიული (ეკოლოგიური) მდგრადი განვითარების მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან: მიწის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, მცენარეებისა და ცხოველების, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადაციის დონე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ეკოლოგიური პოლიტიკის და ლანდშაფტური დაგეგმარების რეალიზაციის მასშტაბები.

ეროვნული ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების

რეალიზაციის შედეგები. მდგრადი განვითარების გეოგრაფიული მაჩვენებლებისა და გარემოზე მისი ზემოქმედების გავლენის შეფასებისას უმნიშვნელოვანესია მეცნიერების ჩართულობა ეკოლოგიური პრობლემების შესწავლისა და გამოკვლევების შედეგების რეალიზაციის საკითხებში, ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების დონე და მისი ინფორმირებულობა აღნიშნულ სფეროში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Badurashvili I. Kobakhidze N. Meladze G. Nadiradze R.	The institutional context of th e transition from education to work in Georgia. https://www.researchgate.net/ publication/333103162	TEW-CCA Working Paper No. 2.3. Bamberg: TE W-CCA Project	University of Bamberg. Germany	37

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა პროექტის - ,,შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზრდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე დასაქმებამდე გადასვლის პროცესში, შედარებითი ანალიზი საქართველოში, აზერბაიჯანში და ტაჯიკეთში“ - ფარგლებში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევას, რომელიც დაფინანსებული იყო ,,ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ 2015-2019 წწ.

ნაშრომში შედგება შესავლისაგან სამი თავისაგან და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი - ,,განათლების სისტემა“, შედგება ხუთი ქვეთავისაგან.

პირველ ქვეთავში მოცემულია საქართველოში განათლების სისტემის მიმოხილვა და მისი სტრუქტურა. მეორე თავში დახასიათებულის სკოლამდელი განათლება და მისი მდგომარეობა. ამ უკანასკნელის ინსტიტუციონალური პირობები მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მშობლებისათვის, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ მცირეწლოვან ბავშვებზე ინსტიტუციონალური ზრუნვის შესაძლებლობებს. მესამე ქვეთავი მოიცავს მსჯელობას ზოგადი განათლების ძირითადი ისეთი მახასიათებლების შესახებ, როგორიცაა დაწყებითი და საშუალო განათლება. მეოთხე ქვეთავში განხილულია პროფესიული განათლების საკითხები საქართველოში. მეხუთე ქვეთავი ეძღვნება უმაღლეს განათლებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ნაწილი - ,,შრომის ბაზრის სისტემა“ შედგება ოთხი ქვეთავისაგან, რომლებშიაც განხილულია დასაქმების და უმუშევრობის საკითხები. ასევე ქართული საზოგადოებისათვის მეტად აქტუალური შრომითი მიგრაციის საკითხები. დასკვნით ქვეთავში საქართველოში დასაქმების დაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა.

თავი - ,,კეთილდღეობის რეჟიმი“ მოიცავს რვა ქვეთავს, რომლებშიაც განხილულია საკითხთა ფართო სპექტრი: შრომის ბაზრისპოლიტიკა, უმუშევრების დაძრვევა,ღარიბი ოჯახებისათვის სოციალური დახმარებები, მმინიმალური ხელფასი, რელიგიისა და გენდერული როლის შესახებ. ბოლო ქვეთავში მიმოხილულია საოჯახო პოლიტიკის საკითხები საქართველოში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მელაძე გ.	ეპიდემიოლოგიური გადასვლა საქართველოში	11-15 თებერვალი

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენას სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სტაგნაცია წარმოადგენს, რომელიც 50 წელზე მეტია გრძელდება. საქსტატის მონაცემებით 1960-2016 წწ. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებში მხოლოდ 0.1 წლით გაიზარდა, ხოლო ქალებში 1.4 წლით და 2016 წელს შესაბამისად 69.2 და 77.2 წელი შეადგინა. დროის იგივე მონაკვეთში ევროკავშირის ქვეყნებში იგივე პარამეტრმა მამაკაცებში 11.3 ხოლო ქალებში 11.4 წლით მოიმატა და 2016 წელს შესაბამისად 78.0 და 83.4 წელის ტოლი იყო. აღნიშნულ წელს საქართველოში მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 8.8 ხოლო ქალების 6.2 წლით ნაკლები იყო ევროკავშირის ქვეყნებზე.

დაფიქსირებული ფაქტის უმთავრესი მიზეზები ეპიდემიოლოგიური გადასვლის განსხვავებული სცენარით განვითარებაში უნდა ვეძიოთ. 1960-იანი წლების შუა პერიოდში საქართველო და დასავლეთ ევროპის ქვეყნები აღნიშნული გადასვლის მეორე ეტაპს მიუახლოვდნენ, რომელიც მოკვდაობის გამომწვევი მიზეზების რადიკალურად განსხვავებული სტრუქტურით ხასიათდებოდა და დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დროის მოთხოვნის შესაბამისად შეძლეს არსებული სტრატეგიის მოდერნიზება, რასაც შედეგად ბავშვთა მოკვდაობის საგრძნობი შემცირება, გარდაცვალებათა დიდი ნაწილის მაღალ ასაკებში გადანაცვლება და მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მატება მოჰყვა შედეგად. არსებული პრობლემა საქართველოში ვერ იქნა გადაჭრილი, რის შედეგადაც პირველი ეპიდემიოლოგიური გადასვლა დაუსრულებელი აღმოჩნდა.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული სიტუაციიდან და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სფეროში უახლოეს 5-10 წელიწადში რადიკალური პოზიტიური ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Elizbarashvili N. Meladze G. Yeghian M. Elizbarashvili R	Geographical Indicators of Sustainable Development and Assessment of Impact on the Environment	23-27 September, 2019 Irkutsk, Russia
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ashot Khoetsyan, Heino Meessen, Nodar Elizbarashvili, Tigran Babayan, Susana Khachatryan, Thomas Kohler	Study cource on sustainable mountain development and resource governance in the Caucasus region. **Textbook**.	Erevan, (in Armenian and English)	268

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	. Elizbarashvili N.	Landscape-ecological Basis of Landscape Planning. В сб.: Материалы Международной научной конференции: ЛАНДШАФТНАЯ ГЕОГРАФИЯ В XXI ВЕКЕ. Под редакцией Е.А. Позаченюк.		Издательство: «Издательство Типография «Ариал»(Симферополь), с. 79-84	6
2	Elizbarashvili N.	Main concepts and Problems of Sustainable Development Mountainous Regions (On the example of the Caucasus). In proceeding: International Scientific and Practical Conference «REGION – 2018: Optimal Development Strategy».		- Kharkiv, Ukraine, pp. 215-221.	7

1. ბუნებრივ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ტერიტორიულ კომპლექსთა სტრუქტურისა და ფუნქციონირების სივრცე-დროითი თავისებურებების კვლევა თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, შედარებთ ახალგაზრდა სამეცნიერო მიმართულებაა. იგი XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა საქართველოში, მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარზე. კონცეფცია, რომელიც ბუნებრივ ლანდშაფტთა სივრცე-დროითი ორგანიზაციის შესწავლის, ანალიზისა და პროგნოზის საშუალებას იძლეოდა, საკმაოდ მალე გახდა პოპულარული და სწრაფად გავრცელდა როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამეცნიერო მიმართულება შემუშავებულ იქნა მთიანი რეგიონებისა და ხელთუქმნელი ლანდშაფტებისათვის, იგი წარმატებით იქნა აპრობირებული ვაკისა და ანთროპოგენული ზემოქმედებით ტრანსფორმირებული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებისთვის.

აღსანიშნავია სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის თეორიული კონცეფციის ქართულ გეოგრაფიულ სკოლაში განვითარების რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპი (პერიოდი).

1965-1970 წლებში დაფუძნდა და აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტთან არსებულმა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა სტაციონარმა. იგი ერთადერთი იყო

და არის კავკასიაში. სტაციონარი (მუდმივმოქმედი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი) განთავსებულ იქნა ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის (ქვედა, შუა, მაღალი) დომინირებულ ლანდშაფტთა რამდენიმე სახე. მისი ამგვარი მდებარეობა, გარდა ლანდშაფტური მრავაფეროვნების შესწავლისა, ბუნებრივი, აგრარული და სელიტებური (სოციალურ-ეკონომიკური) ტერიტორიული კომპლექსების შედარებითი ანალიზის საუკეთესო წინაპირობა გახდა. მარტყოფის სტაციონარზე სამეცნიერო-ექსპერიმენტალური კვლევა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი მიმართულების – ლანდშაფტთა გეოფიზიკის გზით წარიმართა.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მარტყოფის სტაციონარზე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესწავლა დაიწყო. ექსპერიმენტალურ, სისტემატიკურ და ემპირიულ გამოკვლევათა მნიშვნელოვანმა მოცულობამ საფუძველი ჩაუყარა ტერიტორიულ კომპლექსთა ვერტიკალური სტრუქტურისა და ფუნქციონირების (მზის ენერგიის ტრანსფორმაცია, ბიოგეოციკლი, ტენბურნვა) ლანდშაფტურ-გეოფიზიკურ შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის უკვე იყო გარკვეული გამოცდილება მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის უნივერსტეტებში აღნიშნულ მახასიათებელთა სტატიკური შესწავლის თვალსაზრისით, მარტყოფის სტაციონარზე შესრულებული სამუშაოები ლანდშაფტის ფუნქციონირების დინამიკური თავისებურებების ანალიზის საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, ლანდშაფტის, როგორც რთული სისტემური წარმონაქმნის, სტრუქტურულ-ფუნქციური თვისებების შესწავლა მომიჯნავე გეოგრაფიული დისციპლინების (მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია, ბიოცენოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, ეკოლოგია და სხვ.) სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებასა და კოორდინაციას მოითხოვდა, რაც წარმატებით განხორციელდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსთა სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის თეორიული კონცეფცია, რომელიც აპრობირებულ იქნა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოთა წამყვან სამეცნიერო ცენტრებში და არაერთი სამეცნიერო ექსპედიციის პირობებში. თეორიული კონცეფცია განიხილავდა ლანდშაფტის ყველა საკლასიფიკაციო ერთეულს, რომელთა შესწავლა ხორციელდებოდა ლანდშაფტური კვლევის ძირითადი მეთოდების (საველე, ნახევრადსტაციონალური, სტაციონალური, აეროვიზუალური, კოსმოსური ფოტოინფორმაციის დეშიფრირება) გამოყენებით. ამავე პერიოდში შეიქმნა კავკასიის ლანდშაფტური რუკა (1:1000000 მასშტაბში), რომელიც საბაზისოა რეგიონალური და გამოყენებითი ხასიათის გეოგრაფიული გამოკვლევებისთვის.

თეორიული კონცეფციის სივრცითი ჭრილი ლანდშაფტის ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური სტრუქტურის სისტემურ შესწავლას ითვალისწინებს, დროითი ჭრილი კი დღე-ღამური, სეზონური და წლიური მდგომარეობის დინამიური თვისებების გამოვლენას. ამგვარი მიდგომა აადვილებს ლანდშაფტმცოდნეობაში ისეთი პრობლემური საკითხების გარკვევას, როგორიცაა ტერიტორიული კომპლექსთა დინამიკა, ბუნებრივი რეჟიმი, ეთოლოგია და სხვ.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის შეგროვდა უზარმაზარი ემპირიული მასალა მთიანი ტერიტორიების (კავკასია, ცენტრალური აზია, ცენტრალური ევროპა, ბაიკალისპირეთი, კარპატები და სხვ.) ლანდშაფტთა სივრცე-დროითი თავისებურებების შესახებ, დაისახა და გამოიკვეთა გეოსისტემათა რადიომეტრულ, ლანდშაფტურ-გეოქიმიურ, პოლიგონურ გამოკვლევათა, გეოინფორმაციულ სისტემათა შექმნის აუცილებლობა, შეიქმნა პირველი ვიდეოკარტოგრაფიული ფილმი. ემპირიული მასალის დიდმა მოცულობამ და ფართო დიაპაზონმა რეალური პირობები შეუქმნა ლანდშაფტთა ყოვლისმომცველ კადასტრს (პასპორტიზაციას), რაც უმნიშვნელოვანესი საფუძველია ლანდშაფტთა ეკოლოგიური შესწავლის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის საქმეში (ნახ. 1.5).

გეოგრაფიულ გამოკვლევებში პერსონალური კომპიუტერების დანერგვამ გეოგრაფიული ინფორმაციის კონსტრუქციულ-გამოყენებითი მიმართულება გააძლიერა. ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა საქართველოსა და კავკასიის გეოინფორმაციული

სისტემები, რომლებმაც გეოგრაფიის დარგობრივი დისციპლინების კოორდინაციასა და კომპლექსურ ანალიზს შეუწყო ხელი. გეოინფორმაციული სისტემების საშუალებით ხორციელდებოდა და ხორციელდება ოპერატიული გეოგრაფიული პროგნოზი, რაც მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების საწინდარია. გასული საუკუნის ბოლოს სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ვითარდება ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მიმართულება.

ამრიგად, სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის თეორიული კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოში განხორციელდა, რაც გარკვეული კანონზომიერებით იყო განპირობებული: სივრცე-დროითი აზროვნება მხოლოდ ლანდშაფტური მრავალფეროვნების (მთიანი ტერიტორიების) არსებობის შემთხვევაში და შესაბამისი მატერიალური თუ სამეცნიერო პოტენციალის ქონის პირობებში შეიძლებოდა განვითარებულიყო. ქართული გეოგრაფიული სკოლის მიღწევებმა ჯეროვანი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში და იგი მთიანი ტერიტორიების ბუნებათსარგებლობის სამეცნიერო შესწავლის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქნა აღიარებული.

2. კავკასიის ბუნებრივი გარემოს და საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების თავისებურებანი **რთული, მრავალმხრივი და საინტერესო** პროცესია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საბჭოთა პერიოდი, როდესაც ერთის მხრივ - შეჩერდა ეთნიკური დაპირისპირებები და ტერიტორიული პრეტენზიები, მეორეს მხრივ კი კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებელი განვითარების და მათი ეროვნული ინტერესების გატარების საშუალება. ამ პერიოდში იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა, ვითარდებოდა მრეწველობა და ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და კულტურა, თუმცა სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, მოთხოვნები და ინიციატივები, საგარეო და რეგიონული ვაჭრობა, საერთაშორისო სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები და სხვ. კავკასიის სახელმწიფოების მეურნეობა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული ნედლეულის და წარმოებული პროდუქციის გადანაწილებით.

კავკასიის რეგიონის ეკონომიკა **ორიენტირებული** იყო როგორც ენერგეტიკულ, ისე სოფლის მეურნეობის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და საკურორტო მეურნეობის უპირატეს განვითარებაზე. საბჭოთა პერიოდის დასასრულისთვის მიღწეული იყო წარმოების და ცხოვრების დონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები, რაც გარკვეული პერიოდის მანძილზე (საბჭოთა სისტემის შეცვლის შემდეგ), მოსახლეობის შემოსავლების და მეურნეობის შენარჩუნების გარკვეულ წინაპირობას წარმოადგენდა. ამგვარი ვითარება სწრაფად შეიცვალა კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რასაც ეთნიკური დაპირისპირება, სამხედრო კონფლიქტები, პირველადი მოხმარების პროდუქციის მკვეთრი შემცირება, საწარმოო კავშირების შეწყვეტა, მრეწველობის სრული დეგრადაცია და იმპორტზე დამოკიდებულების მასშტაბური ზრდა მოჰყვა.

ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა, რომელმაც დაკარგა გასაღების ბაზრები და წარმოებული პროდუქციის კვების მრეწველობაში გადამუშავების საშუალება. გადაიკეტა ძირითადი სატრანსპორტო არტერიები, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბუნებრივი რესურსების დატაცება, მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია, სოციალური სიდუხჭირე, ინფლაცია და სხვა მსგავსი პროცესები, რამაც მკვეთრად შეამცირა რეგიონის **მდგრადი განვითარების პერსპექტივები.** მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოდან შეიმჩნეოდა გარკვეული წინსვლა მეურნეობი ცალკეული დარგების განვითარებაში, რაც დაუკავშირდა მათი საწარმოო სპეციალიზაციის ცვლას და ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, გამოირჩევა ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებით, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, კავკასიის ქვეყნები ნელი ტემპებით ვითარდება და პრობლემები ექმნება მდგრადი განვითარების პრინციპების დროულ რეალიზაციას.

რეგიონის ქვეყნების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გარკვეული **ისტორიული პრობლემატიკით** ხასიათდება. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთისთვის პრობლემად რჩება მცირემიწიანობა და ენერგეტიკული რესურსების არქონა, ჩრდილოეთ კავკასიისთვის - ეთნოკულტურული სიჭრელე, აზერბაიჯანისთვის - წყლის რესურსების დეფიციტი და ა.შ. ამავე დროს, საქართველო გამოირჩევა ტყის და წყლის რესურსებით, სომხეთი - სასარგებლო წიაღისეულით, აზერბაიჯანი - ნავთობისა და გაზის მარაგებით, ჩრდილოეთი კავკასია კი ყველა ზემოთაღნიშნული სიკეთეებით და ნაყოფიერი მიწის რესურსებით.

კავკასიის ხელსაყრელი **სატრანსპორტო-გეოგრაფიული** მდებარეობა წარმოაჩენს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას როგორც რეგიონის, ისე ახლო და შორეული მეზობლებისთვის. იგი დიდ პოტენციალს ქმნის სარკინიგზო, მილსადენი, საავიაციო, საზღვაო და საავტომობილო გადაზიდვებისთვის. თუმცა არის ტრანსპორტის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებიც: მთიანი რელიეფის მაღალი ხვედრითი წილი, კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი მოვლენების და პროცესების მასშტაბები, შეიაღაღებული კონფლიქტების განახლების მაღალი ალბათობა, საკომუნიკაციო სისტემების განვითარების არასასურველი დონე და სხვ.

კავკასიაში, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის 2%-ზე იყო წარმოდგენილი, **იწარმოებოდა სოფლის მეურნეობის** პროდუქციის 1/5. აქ იქმნებოდა ჩაისა და ციტრუსების მთლიანი მოსავალი, მარცლეულისა და ბამბის არსებითი ნაწილი, ყურძნის, ტექნიკური კულტურების და ხილის არაერთი სახეობის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. სოფლის მეურნეობის ამგვარი სპეციალიზაცია დადებითად აისახა კვების მრეწველობის განვითარებაზე, თუმცა პოსტსაბჭოთა პერიოდში დეფიციტი შეიქმნა მთელი რიგი პირველადი მოთხოვნილების კვების პროდუქტებზე (ბრინჯი, შაქარი, კარტოფილი, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქცია და სხვ.).

არსებითად შეიცვალა **საგარეო ვაჭრობის** მასშტაბები და გეოგრაფია. თუ საბჭოთა პერიოდში იგი ძირითადად საერთო ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა, ამჟამად ძირითად სავაჭრო პარტნიორად რუსეთი და მეზობელი ქვეყნები რჩება. შეიმჩნევა ვაჭრობის მოცულობის ზრდის ტენდენცია შავი ზღვის აუზის, ამერიკის და აზიის ქვეყნების მომართულებითაც.

საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად იყო უზრუნველყოფილი **მოსახლეობის სოციალური** სტაბილურობა, განსაკუთრებით დასაქმების, განათლებისა და ჯანრთელობის დაცვის, მინიმალური კომუნალური გადასახადებისა და იაფი ტრანსპორტის მხრივ. მთელ ქვეყანაში არ არსებობდა სოციალურად დაუცველთა ფენა. პოსტსაბჭოთა პერიოდში გაჩნდა ღარიბ-ღატაკთა, სოციალურად დაუცველთა, უმუშევართა და დროებით დასაქმებულთა, საბანკო დავალიანების მქონეთა და უბინაოდ დარჩენილთა ფენა. მოსახლეობაში მაღალია დაუცველობის განცდა, რაც ხელს უშლის სოციალურ სტაბილურობას და შრომით მიგრაციას. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მთიან ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლება, რამაც მთის სოფლების მასიური დაცლა განაპირობა. მამჟამად კავკასიის სახელმწიფოების მიერ სოციალურ დახმარებათა მოცულობა ქვეყნების ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.მელაძე	საქართველოს	გეოგრაფიული		

		თანამედროვე დემოგრაფიული პორტრეტი (საქსტატის გადაანგარიშებული მონაცემების მიხედვით). ISSN 2587-5450	საზოგადოების შრომების ახალი სერია (# 1).	მიღებულია დასაბეჭდად	12

მოსახლეობის აღწარმოების პროცესების, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების ანალიზის, მისი აწმყოსა და მომავლის განსაზღვრა, შეუძლებელია რეალური დემოგრაფიულ-სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის გარეშე. 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული ცნობილ მოვლენებს, ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და დემოგრაფიული ვითარების გაუარესება მოჰყვა შედეგად. პრაქტიკულად მოიშალა ან მნიშვნელოვნად გაუარესდა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქცირება. არსებულმა ვითარებამ სტატისტიკური სამსახურების მუშაობაშიაც ჰპოვა ადექვატური ასახვა. ცალკეული სპეციალისტები ჯერ კიდევ 1990-იან წლებში აყენებდნენ ეჭქვეშ ოფიციალურად გამოქვეყნებული დემოგრაფიულ-სტსტისტიკური ინფორმაციის უტყუარობას. 2002 წლის აღწერის შემდგომ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის (2009 წლიდან ,,საქსტატი“) მიერ მოხდა 1992-2001 წლების პერიოდის დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემების გადაანგარიშება-შეფასება. მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა - სპეციალისტთა შეფასებით პრობლემა ვერ იქნა აღმოფხვრილი. 2014 წლის აღწერის შედეგების დამუშავების შემდეგ, ამ უკანასკნელს - 2002 წლის აღწერის და 2002-2014 წლის მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობები დაფიქსირდა, რაც გაურკვევლობას იწვევდა არა მხოლოდ სპეციალისტთა შორის. შექმნილი მდგომარეობის გამო, საქსტატმა კვლავ მოახდინა დემოგრაფიულ სტატისტიკური მონაცემების გადაანგარიშება-შეფასება 1993-2013 წლების პერიოდზე. მიუხედავად იმისა, რომ ახლად წარმოდგენილი დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემები სპეციალისტებს შორის რიგ შემთხვევებში გარკვეულ კითხვებს აჩენენ, ისინი - არსებულ მონაცემებთან შედარებით, უკეთესად ასახავენ საქართველოს უახლოეს წარსულში მიმდინარე დემოგრაფიულ ტენდენციებს.

1	E. Maglakelidze, I. Badurashvili, G. Meladze, R.Nadiradze, N.Kobakhidze.	Patterns of religiosity and modernization in Georgia - rural urban dimensions	,,Annals of Argagian Science”	მიღებულია დასაბეჭდად	9

სტატიის მიზანია განისაზღვროს სეკულარიზმის ტენდენციები საქართველოში. წარმოდგენილ ნაშრომში სეკულარიზაცია განხილულია ორ დონეზე: 1. ინდივიდუალური რელიგიური რწმენები და ჩვეულებები; 2. სეპარაცია ეკლესიასა და სამოქალაქო სექტორს შორის.

ათწლეულების მანძილზე სოციოლოგებს შორის არსებობდა აზრი, რომ ქალაქის რაციონალური და ლიბერალური ხასიათიდან გამომდინარე, რელიგიურობის ხარისხი და მაშასადამე სეკულარიზმის დონე დაეცემოდა. გამოკვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით აღმოჩნდა, რომ რელიგიურობის ხარისხი საქალაქო დასახლებებში საგრძნობლად მაღალია, სასოფლო დასახლებებთან შედარებით,

რელიგიურობის ხარისხის გასაზომად გამოყენებულ იქნა ს.ჰუბერის მიერ დამუშავებული ,,The Centrality of Religiosity Scale“ (CRS) მოდელი, რომელიც ხუთი ძირითადი - საზოგადოებრივი პრაქტიკა, კერძო პრაქტიკა, რელიგიური გამოცდილება, იდეოლოგია და ინტელექტუალური განზომილებისაგან შედგება. აღნიშნული განზომილებანი საშუალებას იძლევიან უფრო სრულად აღიწეროს ადამიანის რელიგიური ცხოვრება.

გამოკვლევისათვის გამოყენებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის მრავალსაფეხურიანი

სტრატიფიცირებული პროცედურა. კვლევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მასალები. შემთხვევითი შერჩევისათვის, სტანდარტიზირებული - რელიგიურ პრობლემებთან დაკავშირებული კითხვარის მეშვეობით, ინტერვიუერები იმყოფებოდნენ 2000 შინამეურნეობაში მთელი საქართველოს მასშტაბით. ყოველი შინამეურნეობიდან გამოკითხულ იქნა ერთი რესპონდენტი. გამოკვლევის შედეგების მიხედვით ქალაქისა და სოფლის ჭრილში ჩატარებულმა ანალიზმა, საგრძნობი განსხვავებანი გვიჩვენა ყველა რელიგიური განზომილების მიხედვით (გარდა კერძო პრაქტიკისა). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს დედაქალაქ - თბილისში შედარებით მაღალია რელიგიურობის დონე.					
1	გ.მელაძე, ნ.კობახიძე	ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები ზრდასრულობის ასაკში გადასვლის კონტექსტში.	ინტერდისციპლინური ჟურნალი: გარემო და საზოგადოება	მიღებულია დასაბეჭდად	17
წარმოდგენილი კვლევა, სახელწოდებით „შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში“, ხორციელდება 2015-2018 წლებში და მოიცავს 18-35 წლის ასაკის მოსახლეობას. კვლევის მიზანს წარმოადგენს, ახალგაზრდების ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი პროცესის შესწავლა, როგორიცაა - განათლების დასრულების შემდეგ, შრომით ბაზარზე ინტეგრაცია. პროექტის მთავარ ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ, ახალგაზრდებში აღნიშნული გადასვლის პროცესის შესწავლა-ანალიზი ცხოვრების კურსის პერსპექტივის („life course perspective”) მიდგომით, რომელიც გულისხმობს თუ როგორ ვითარდება და იცვლება ადამიანი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების შესაბამისად სტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. სტატიაში განხილულია კვლევის ერთ-ერთი მიმართულება, კერძოდ შესწავლილია ის შესაძლებლობები და შეზღუდვები, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები საქართველოში, განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში. პარალელურად განხილულია ის გლობალური პროცესები, რომელშიაც უწევთ სოციალიზაცია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ახალგაზრდებს და რომლის ნიშნებიც გამოჩნდა ჩვენს რეალობაში. კვლევითი პროექტი დაფინანსებულია ,,ფოლკსვაგენის” ფონდის მიერ და ის ხორციელდება სამ ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რომელმაც საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა, გამოიკითხვა 2,000 რესპონდენტი. ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, შესწავლილია თუ როგორ აფასებენ ახალგაზრდები იმ სიტუაციას, რომელშიაც იმყოფებიან და როგორ უმკლავდებიან იმ პრობლემებს, რომელთაც ისინი აწყდებიან განათლების დასრულების შემდეგ შრომით ბაზარზე გადასვლის პროცესში.					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.მელაძე, გ.ხომერიკი	National Atlas of Georgia (**3 რუკა:** 1.Map of Birth Rate;		

		2.Map of Death Rate; 3.Map of Natural Increase. ISBN 978-3-515-12057-9 (print) ISBN 978-3-515-12183-8 (Ebook)	Stuttgart. Franz Steiner Verlag	3

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს ეროვნულ ატლასში დასტამბული სამი რუკა, მოიცავს მონაცემებს შობადობის კოეფიციენტების, მოკვდაობის კოეფიციენტებისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების შესახებ ქვეყნის მუნიციპალიტეტების მიხედვით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Mariam Elizbarashvili Tamar Khardziani Roman Maisuradze Marika Tatishvili	Mountain environment and population in Georgia: case study of Upper Svaneti DOI:10.1080/13504509.2017.1417182	International Journal of Sustainable Development and World Ecology Vol.25, Issue 4, pp.362-370, 2018	Taylor&Francis ბრიტანეთი	9 გვ
	E.Sh. Elizbarashvili **M.E.Elizbarashvili** SH.E.Elizbarashvili N.B.Kutaladze N.Z.Chelidze V.E.Gorgisheli	Tropical Nights in Georgia DOI: 10.3103/S1068373918090091	Russian Meteorology and Hydrology, Vol. 43, Issue 9, pp. 625-631, 2018	USA, Springer	7 გვ
	Mariam Elizbarashvili Giorgi Chartolani Tamar Khardziani	Variations and trends of heating and cooling degree-days in Georgia for 1961–1990 year period, https://doi.org/10.1016/j.aasci.2018.03.004	Annals of Agrarian Science, Volume 16, Issue 2, pp.152-159		8 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. მთის ეკოსისტემებს უდიდესი როლი გააჩნია გლობალური თუ რეგიონალური განვითარებისათვის, ვინაიდან მთიანი რეგიონები წარმოადგენს სასმელი წყლის, ბიომრავალფეროვნების და ჰიდროენერგეტიკის დიდ წყაროს. მთის ეკოსისიტემები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი განვითარებისათვის, სიღარიბის დაძლევის და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისათვის. ამგვარად, მთიანირეგიონების მდგრადი განვითარება მსოფლიო პრიორიტეტია. საქართველო წარმოადგენს ისეთი ქვეყნის კლასიკურ მაგალითს, სადაც მთიანი რეგიონები ქვეყნის მნიშნელოვან ნაწილს მოიცავს, ამისი ნათელი მაგალითია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის 70%-ზე მეტი სწორედ მთის ლანდშაფტებს უკავიათ, რაც განაპირობებს მთიანი რეგიონების წვლილსა და მნიშვნელობას ქვეყნის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მოსახლეობის მოთხოვნილების უშუალო გათვალისწინება განვითარების გეგმის შედგენისას. კვლევის მიზანი იყო საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მთიანი რეგიონის - მესტიის მუნიციპალიტეტის, ზემო სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა/წარმოჩენა ეკოლოგიური პრობლემების მიმართ რეგიონის განვითარების კონტექსტში. მესტიის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი უმსხვილესი მუნიციპალიტეტია, რომლის მოსახლეობა შედარებით მცირეა

თავისი ტერიტორიის გათვალისწინებით. ტურისტული თვალსაზრისით რეგიონში ხდება სწრაფი განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაფართოება. მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა. გამოკვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებულია SPSS პაკეტი. დადგინდა მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემები. პრობლემების სივრცითი განაწილების თავისებურების შესწავლის მიზნით შედგა შესაბამისი რუკები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით და მოსახლეობის მოსაზრებები გაანალიზდა მათი საარსებო გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით. მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის, ასევე მსოფლიოსათვის როგორც ერთერთი მაგალითი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთ დამოკიდებულებისა.

2. გამოკვლეულია ტროპიკული ღამეების გეოგრაფია, სტატისტიკური სტრუქტურა, ინტენსივობა, ხანგძლივობა და დინამიკა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის საბაზისო პერიოდისათვის შედგენილია ტროპიკული ღამეების გეოინფორმაციული რუკა. დადგენილია მათი დადგომის პერიოდები, სხვსდასხვა გგრადაციების განმეორადობა, მრავალწლიური ცვლილების კანონზომიერებები.

3. ენერგიის რაციონალური გამოყენება და ენერგიის მოხმარების ეკოლოგიური პრობლემების მართვა გადამწყვეტია ხარჯების შემცირებისათვის და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებელის მიღებისათვის. გათბობისა და გაგრილების გრადუს დღეები ასახავს იმ ენერგიას, რაც საჭიროა შენობის გათბობის ან გაგრილებისათვის კომფორტულ ტემპერატურამდე, იმის გათვალისწინებით რამდენად ცივა თუ ცხელა შენობის გარეთ. გათბობის გრადუს დღეების (HDDs) გამოთვლისას, ბაზურ ტემპერატურას აკლებენ ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურას და მხედველობაში იღებენ მხოლოდ დადებით მნიშვნელობებს. ბაზურ ტემპერატურად განიხილება ის გარე ტემპერატურა, რომელზე უფრო მაღალი ტემპერატურისას არ არსებობს არავითარი აუცილებლობა შენობის გათბობისა. გაგრილების გრადუს დღეების (CDDs) გამოთვლისას მხედველობაში იღებენ ბაზურ ტემპერატურაზე უფრო მაღალ ტემპერატურებს. ამ დროს, ბაზურ ტემპერატურად განიხილება ის ტემპერატურა, რომელზე უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შენობა არ საჭიროებს გაგრილებას. საქართველოს მეტეოროლოგიური სადგურების ყოველდღიური ტემპერატურის მონაცემების საფუძველზე ჩვენ გამოვთვალეთ ყოველთვიური და წლიური მნიშვნელობები გაგრილების და გათბობის გრადუს დღეებისა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (1961-1990 წწ.) მიერ განსაზღვრული საბაზისო პერიოდისათვის, და შევისწავლეთ ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველწლიური გაგრილებისა და გათბობის გრადუს დღეების ცვლილებები და მათი ტერიტორიული განაწილების გეოგრაფიული თავისებურებები. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხების უკეთ მართვაში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ნიკოლაიშვილი დ., გორდეზიანი თ., **მაღლაკელიძე რ.,**	საქართველოს ლანდშაფტების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარტოგრაფირება ISBN 978-54473-	საერთაშორისო ლანდშაფტური კონფერენციის მასალები (Proceedings) მიძღვნილი	**ვორონეჟი.** /რუსულ ენაზე/	გვ.125-127. (3 გვ.)

	მ.კუბეცია.	0191-0; UDK 911.52 ; BBK 26.82	პროფესორ ფ. მილკოვის 100 წლისადმი. ვორონეჟი. 14-17 მაისი,2018. ტომი 1,		
2	სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., **მაღლაკელიძე რ.,** თოლორდავა რ.	სტატია **„სკოპუსის"** სტატუსის საერთაშორისო, უცხოურ, საკონფერენციო მასალებში (Proceedings) ინტერკარტო/ინტერ-გის 24 .	ხერთვისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კულტურული ლანდშაფტის აგეგმვა-კარტოგრაფირება /სტატა მიღებულია, ინტერკარტო/ინტერ-გის 24, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ და იბეჭდება კონფერენციის მოხსენებათა კრებულში.	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. **ქ. ბონი** /ინგლისურ ენაზე/.	6 გვ.

1.სტატიაში განხილულია თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა - ლანდშაფტების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დადგენა და მათი ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება-კარტოგრაფირება. კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების კომპლექსურ შეფასებას ეყრდნობა.

2.სტატიაში განხილულია ხერთვისის ისტორიულ-ეთინოგრაფიული კულტურული ლანდშაფტის შესწავლის და მომავალი განვითარების საკითხები**.** კულტურული ლანდშაფტის შესწავლა, მისი აგეგმვა, კარტოგრაფირება აქტუალურია ორი ძირითადი თვალსაზრისით: ა) ისტორიულ რეტროსპექტიული კარტოგრაფირება და ბ) მიღებული შედეგების ტერიტორიულ დაგეგმარებაში გამოყენება, როგორც ტრადიციული ბუნებათ-სარგებლობის ეფექტური მართვის მოდელი.

ეს კულტურული ლანდშაფტი მოიცავს ისტორიულ ძეგლს, ულამაზეს ხერთვისის ციხეს, ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გნლაგებულ არაერთ ისტორიული მემკვიდრეობის ბუნებრივ და კულტურულ ელემენტს.

დღეს მივიწყებული, კულტურული ლანდშაფტი შეუძლება აღდგეს, პირვანდელი იერსახის და ფუნქციონალური დანიშნულების შეუნარჩუნებით, სახლები რეტროს სტილში გარემონტდეს სატუმროდ და კულტურული ლანდშაფტი შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც შესანიშნავი ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი.

1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ელიზბარაშვილი მოხსენება თსუ საფაკულტეტო კონფერენციაზე –	გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლების და მეცნიერების თავისებურებანი და ტენდენციები	
2	ნ.ელიზბარაშვილი - National workshop on the implementation of the European Landscape Convention in Georgia. Interministerial Round-Table: Integration of the landscape into policies.	ლანდშაფტური დეგეგმარების შედეგები და თანამშრომლობის პერსპექტივები საქართველოში.	
3	ნ. ელიზბარაშვილი - საერთაშორისო ვორკშოპი - დუისბურგის (გერმანია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის პერსპექტივები.	კავკასიის და საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი და მრავალფეროვნება	
4	ნ.ელიზბარაშვილი - ვორკშოპი - კავკასიის ეკორეგიონის კონსერვაციის გეგმის განახლება (ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა ეროვნული სამუშაო შეხვედრა (WWF, KFW, German Cooperation, TJS). მოხსენება -	კავკასიის ტრანსასაზღვრო ლანდშაფტები და პრიორიტეტები	
5	ნ.ელიზბარაშვილი - საერთაშორისო ვორკშოპი - კავკასიის რეგიონში ბუნებრივ კატასტროფებსა და კლიმატის ცვლილებაზე მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის რეგიონული დიალოგის და თანამშრომლობის განვითარებისა და	ბუნებრივი კატასტროფების გეოგრაფიული თავისებურებანი და მისი სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	

	დაგეგმვისათვის (Sustainable Caucasus, Switzerland Cooperation Found).		
6	ნ.ელიზბარაშვილი - National Experts Workshop, თბილისი (WWF, KFW, TJS, German Cooperation) - Revision and Verifying of Key Biodiversity Areas (KBAs) for Georgia ECP	საქართველოს ეკოლოგიური კორიდორების გეოგრაფიული თავისებურებანი და დაგეგმარება	2018 წლის 2-3 აგვისტო - მოხსენება:
7	ნ.ელიზბარაშვილი , გ. მელაძე -საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი): VIII International scientific-technical conference “The modern problems of water management, environmental protection, architecture and construction”.	მდგრადი განვითარების შეფასების ეკოლოგიური და ლანდშაფტური ინდიკატორები	2018 წლის ნოემბერი - მოხსენება -
8			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**მაღლაკელიძე რ.**	პერცეფცია როგორც ლანდშაფტის მეხუთე განზომილება და მისი მნიშვნელობა კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის და მომსახურების საქმეში (თბილისის მაგალითზე)	თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, მეექვსე საფაკულტეტო კონფერენცია /12 02.2018 წელი/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.მელაძე	თბილისის მოსახლეობის პროგნოზი (2015-2030 წწ.)	12-15 თებერვალი, 2018. http://conference.ens-2018.tsu.ge/uploads/5a65b1ede4227Giorgi_Meladze-Geo.pdf http://conference.ens-2018.tsu.ge/uploads/5a65b20435dd1Giorgi_Meladze-Eng.pdf
1 2 3 4	კ.ბილაშვილი, ვ.მელიქიძე, ვ.ტრაპაიძე, გ.მელაძე	„ლურჯი ზრდა“ - საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური განვითარებისათვის (გამოწვევები	12-15 თებერვალი, 2018. http://conference.ens-2018.tsu.ge/uploads/5a609bb71bbbcKakhaber-Bilashvili-GEO.pdf http://conference.ens-2018.tsu.ge/uploads/5a609c155152eKakhaber-Bilashvili-ENG.pdf

		საქართველოსთვის)	

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1	E. Sh.Elizbarashvili, M..E. Elizbarashvili, Sh..E. Elizbarashvili, N.B.Kutaladze, N.M.Gogiya	Russian Meteorology and Hydrology, Vol. 44, No. 2, pp. 145–151	**DOI:** 10.3103/S1068373919020080

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
2	E.Sh.Elizbarashvili, M.E.Elizbarashvili, Sh.E.Elizbarashvili, M.G.Pipia, N.Z.Chelidze	European Geographical Studies, 6(1), pp. pp. 50–60	DOI: 10.13187/egs.2019.1.50
3	E.Elizbarashvili,M.Elizbarashvili, M. Tatishvili, S. Elizbarashvili,N. Chelidze	Annals of Agrarian Science, Vol 17, No2, pp. 197-203	ISSN 1512-1887
4	ელიზბარაშვილი მ., ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი შ.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი კატასტროფები საქართველოში: მონიტორინგი, პრევენცია, შედეგებისშერბილება“, შრომები. გვ. 76-79	ISBN 978-9941-13-899-7

3. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1			

4. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1			

5. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	Norwegian Center for International Cooperation in Education, SIU, ნორვეგია	CPEA-ST-2016/10059,	იონქი გაუ, პროექტის -კოორდინატორი ნორვეგიიდან, მარიამ ელიზბარაშვილი - პროექტის კოორდინატორი	Georgian-Norwegian partnership in climate teleconnection and prediction (GeoNor). ქართულ-ნორვეგიული პარტნიორობა	05.01.2017-30.08.2019

			საქართველოდან, ტორი ფურევიკი - მონაწილე, ნოელ კინლისაიდი - მონაწილე, კვამსტო ნილს განერი - მონაწილე, სუ ლინგლინგი - მონაწილე, რომან მაისურაძე - მონაწილე	კლიმატის ტელეკონექციებსა და პროგნოზში,	
2	Research and Innovation of Romania, Institute of Atomic Physics (IFA), რუმინეთი	IMPCLIM	იულიან ჰოლობაცა - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - თანახელმძღვანელი, ლევან ტიელიძე - მკვლევარი, გიორგი გაფრინდაშვილი - მკვლევარი, თამარ ხუნწელია - მკვლევარი, ზურაბ რიკაძე - მკვლევარი, დანიელ გერმანი - მკვლევარი. ოლიმპიო ტრაინერ - მკვლევარი, მირცა ალექსე - მკვლევარი, კინგა ივანა - მკვლევარი, იონელა ჯეორჯიანა გავრილა - მკვლევარი	Impact of climate change on glaciers and associated risks in the Georgian Caucasus	01.03.2019-31.12.2020
3	Sofia University Scientific Fund, ბულგარეთი	-	ნინა ნიკოლოვა - ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - მკვლევარი.	Urban Heat Island in Bulgaria - Causes and Tendencies	06.05.2019 - 06.05.2020

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	საგრანტო ხელშეკრულება № MG-ISE-18-370	პროექტის ხელმძღვანელი-მარიამ ელიზბარაშვილი პროექტის კოორდინატორი - თამარ ხარძიანი ძირითადი პერსონალი - რომან მაისურაძე	ლანდშაფტური მეცნიერებების აქტუალური პრობლემები: გარემო, საზოგადოება, პოლიტიკა	29.10.2018-30.09.2019

		სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - დალი ნიკოლაიშვილი სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - ელიზბარ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - გორგი ლომინაძე სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - ნინო ჩიხრაძე - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - გიორგი ჩართოლანი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი		
2	საგრანტო ხელშეკრულება № scr/3/6/2018	პროექტის ხელმძღვანელი: ნინო მთიულიშვილი მეცნიერ-კონსულტანტი: მარიამ ელიზბარაშვილი ასისტენტი: გიორგი ჩართოლანი	კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება	17.09.2018 - 29.03.2019

7. სხვა შედეგები:

7.1. **პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში**

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	M.Elizbarashvili, E.Elizbarashvili, T.Gurgenidze, T.Urushadze	Actual Problems of Geography. 5-6 ნოემბერი, თბილისი, საქართველო	ISBN 978-9941-13-885-0
2	Elizbarashvili M.E., Elizbarashvili E.Sh, Elizbarashvili Sh. E.	International Scientific Conference „Natural Disasters in Georgia: Monitoring, Prevention, Mitigation“,12-14 დეკემბერი, თბილისი, საქართველო	ISBN 978-9941-13-899-7
3	მარიამ ელიზბარაშვილი	ლანდშაფტური მეცნიერებების აქტუალური პრობლემები: გარემო საზოგადოება, პოლიტიკა. 9-13 სექტემბერი, თბილისი, საქართველო	ISBN 978-9941-13-868-3

7.2. პუბლიკაცია ეროვნული კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1			

7.3. **წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემისსაერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1			

7.4. **წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) სამეცნიერო ერთეულის დასახელება (პერსონალური შემადგენლობისა და ხელმძღვანელის მითითებით):

1.პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	დამთავრების წლები	(თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ლანდშაფტური მეცნიერებების აქტუალური პრობლემები: გარემო, საზოგადოება, პოლიტიკა. საგრანტო ხელშეკრულება № MG-ISE-18-370 სამეცნიერო მიმართულება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი.	29.10.2018-30.09.2019	პროექტის ხელმძღვანელი-მარიამ ელიზბარაშვილი პროექტის კოორდინატორი - თამარ ხარძიანი ძირითადი პერსონალი - რომან მაისურაძე სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - დალი ნიკოლაიშვილი სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - ელიზბარ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - გიორგი ლომინაძე სამეცნიერო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - ნინო ჩიხრაძე -საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ძირითადი პერსონალი - გიორგი ჩართოლანი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
2	კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება საგრანტო ხელშეკრულება № scr/3/6/2018 სამეცნიერო მიმართულება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი.	17.09.2018 - 29.03.2019	პროექტის ხელმძღვანელი: ნინო მთიულიშვილი მეცნიერ-კონსულტანტი: მარიამ ელიზბარაშვილი ასისტენტი: გიორგი ჩართოლანი

სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული სამუშაოები და მიღებული შედეგები.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მულტიდისციპლინური კომბინირებული ღონისძიების – "ლანდშაფტური მეცნიერებების აქტუალური პრობლემები: გარემო, საზოგადოება, პოლიტიკა" ჩატარებამ (კონფერენცია და სეზონური სკოლა) ხელი შეუწყო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, ახალგაზრდა მკვლევარების წარმოჩენას და მათ პროფესიულ ზრდას. კერძოდ, კონფერენციაზე გამოვლინდნენ საუკეთესო ახალგაზრდა მომხსენებლები, ხოლო სეზონური სკოლის ფარგლებში მოხდა ახალგაზრდა მკვლევარების წარმოჩენა, მათი დაინტერესება ლანდშაფტური კვლევებით და მათი კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში ჩართვის მიზნით. შეიქმნა ღონისძიების ვებ-გვერდი https://aplr.tsu.ge/index.html, სადაც განთავსდა: კონფერენციის შრომათა კრებული, კონფერენციის მოხსენებათა აბსტრაქტები, სეზონური სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციების პრეზენტაციები, ღონისძიების პროგრამა და ღონისძიების ამსახველი ფოტომასალა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 100-მდე წარმომადგენელი 12 ქვეყნიდან: საქართველო, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, რუსეთი და სომხეთი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოჩნდა ახალი პერსპექტივები: • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჰალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის უნივერსიტეტს შორის (გერმანია) ფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი; • უცხოელი მეცნიერები დაინტერესდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტეტთან შემდგომი თანამშრომლობით Erasmus + პროგრამის ფარგლებში და იგეგმება განაცხადების მომზადება აკადემიური პერსონალის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების გაცვლის მიზნით; • შეიქმნა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი და დაიგეგმა ერთობლივი საგრანტო პროექტის მომზადება უცხოელ მეცნიერებთან ერთად სხვადასხვა ფონდებში წარსადგენად რაც თანამშრომლობას გააძლიერებს ლანდშაფტური კვლევების ამასთანავე მოხდა სეზონურ სკოლაში, კონფერენციასა და პროექტში ჩართული ახალგაზრდების ინტერესების გაცნობა და შერჩევა მომავალ პროექტში ჩასართავად. ამგვარად, პროექტში მიღებული გამოცდილების გამოყენება მოხდება ქართულ და უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების თვალსაზრისით.
პროექტის "კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება" ფარგებში აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები შემდეგ თემებზე: მდგრადი განვითარება, კლიმატის ცვლილება, ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენები, კლიმატის ცვლილების ინდექსები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა. მოსწავლლებს გავაცანით მსოფლიოს კლიმატური ზონები და ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგიით საველე კვლევისა და კარტოგრაფირების წარმოების ხერხები, გვქონდა საველე გასვლა სოფ. მარტყოფის შემოგარენში სადაც ჩატარდა საველე სემინარი ლანდშაფტურ და კლიმატურ მრავალფეროვნების თემაზე. ველზე მოსწავლეები ასევე გაეცნენ გეორაფიული ობიექტის კოორდინატების განსაზღვრას GPS-ის გამოყენებით, შემდგომ GPS-ით განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატების დატანას გეოინფორმაციულ სისტემაში შედენილ რუკაზე. გვქონდა ვიზიტი ქ.თბილისის ვაშლიჯვრის მეტეოსადგურში, სადაც მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა მეტეოროლოგიური მახასიათებლების გაზომვაში, გაეცნენ მეტეოროლოგიური სადგურის მოწყობისა და მეტეოროლოგიური ხელსაწყოების მუშაობის პრინციპებს. კლიმატის ცვლილების და ინდექსაციის ექსპერტთა ჯგუფის ვებგვერდზე http://etccdi.pacificclimate.org/data.shtml არსებული მონაცემების საფუძველზე შევისწავლეთ ტროპიკული ღამეების განაწილება ქვეყნების მიხედვით. კვლევისათვის შევარჩიეთ 1971-2000 წწ. პერიოდი, ვინაიდან ქვეყნების უმრავლესობისათვის ამ პერიოდზე არსებობს ტროპიკული ღამეების შესახებ მონაცემები. შერჩეულ პერიოდში თითოეული ქვეყნისათვის იდენტიფიცირება მოვახდინეთ იმ წლების, როცა აღირიცხა ტროპიკული ღამეების მაქსიმალური რაოდენობა, ასევე გამოვითვალეთ ტროპიკული ღამეების საშუალო მნიშვნელობები შერჩეული პერიოდისათვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქვეყნების იდენტიფიკაცია სადაც ტიპიურია ტროპიკული ღამეები, მრავლადაა ტროპიკული ღამეები, ცოტაა ტროპიკული ღამეები, იშვიათია ტროპიკული ღამეები, საერთოდ არ აღინიშნება ტროპიკული ღამეები.

მკაფიოდ წარმოჩინდა ტროპიკული ღამეების განაწილების გეოგრაფიული თავისებურებანი. მართლაც, ეკვატორის სიახლოვეს, ტროპიკული სარტყლის მთელ რიგ ქვეყნებში აღინიშნება ტროპიკული ღამეების რაოდენობის მაქსიმუმი. სეიშელში არის 365 ტროპიკული ღამე წელიწადში, ასევე ბენინში, ტრინიდადსა და ტობაგოში, ბარბადოსში, პანამაში, ნიკარაგუაში, ბელიზში ტროპიკული ღამეების საშუალო რიცხვი 1971-2000წწ. პერიოდისათვის 300-ს აღემატება, ხოლო ნიდერლანდებში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ირლანდიასა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებში ტროპიკული ღამეები საერთოდ არ აღირიცხება. საქართველოში ტროპიკული ღამეების საშუალო მნიშვნელობა აღნიშნულ პერიოდში 29-ს უტოლდება და იგი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც შედარებით ცოტაა ტროპიკული ღამეები, თუმცა მაინც აღინიშნება.

საქართველოს ტერიტორიისათვის გამოთვლილ იქნა ტროპიკული ღამეების ცვლილების სიჩქარეები და შედგა მათი განაწილების რუკა GIS-ების გამოყენებით. ტროპიკული ღამეების ყველაზე მნიშვნელოვანი სიჩქარეები 1991-2013 წწ. პერიოდისათვის აღინიშნება შავიზღვისპირეთში _ ფოთში დეკადური სიჩქარე აღწევს 6-დღე-ღამეს/10 წელიწადში, ხოლო სამხრეთით, ბათუმსა და ქობულეთში _ 5-დღე-ღამეს/10 წელიწადში. სენაკში ტროპიკული ღამეების ცვლილების სიჩქარე უახლოვდება ქობულეთსა და ბათუმში ტროპიკული ღამეების ცვლილების სიჩქარეებს და უტოლდება 4,6 დღე-ღამეს/10 წელიწადში. კოლხეთის დაბლობის შიდა ნაწილში - ქუთაისში სიჩქარე რამდენადმე მცირდება და უტოლდება 2,7 დღე-ღამეს დეკადაში. თბილისში, გარდაბანსა და ბოლნისში ტროპიკული ღამეების ცვლილების სიჩქარე შეადგენს 1,2-2,3 დღე-ღამეს დეკადაში, თელავში 2,2-ს ახმეტაში _ 3,3-ს, ხოლო დედოფლისწყაროში -1,5-ს.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის საფუძველზე მომზადდა და გამოიცა, ბუკლეტი, პოსტერი, ჩატარდა პროექტის შედეგების საბოლოო პრეზენტაცია, სკოლაში დაარსდა კლუბი - მდგრადი განვითარება, შემუშავდა კლუბის ლოგო, პროექტში მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ბლოგზე https://geocodna.wordpress.com/ და ასევე კლუბი - მდგრადი განვითარების facebook ჯგუფში განთავსდა პროექტის შედეგების ამსახველი მასალა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Impact of climate change on glaciers and associated risks in the Georgian Caucasus, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი, IMPCLIM, Research and Innovation of Romania, Institute of Atomic Physics (IFA), რუმინეთი	01.03.2019-31.12.2020	იულიან ჰოლობაცა სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი თანახელმძღვანელი, ლევან ტიელიძე მკვლევარი, გიორგი გაფრინდაშვილი მკვლევარი, თამარ ხუნწელია მკვლევარი, ზურაბ რიკაძე მკვლევარი, დანიელ გერმანი მკვლევარი. ოლიმპიო ტრაინერ მკვლევარი, მირცა ალექსე მკვლევარი, კინგა ივანა მკვლევარი, იონელა ჯეორჯიანა გავრილა მკვლევარი

2	Urban Heat Island in Bulgaria - Causes and Tendencies, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება, Sofia University Scientific Fund, ბულგარეთი	06.05.2019 - 06.05.2020	ნინა ნიკოლოვა - ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - მკვლევარი.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. უშბის, შხარას და ჭალაადის მყივარებზე ჩატარდა საველე ექსპედიციები, დენდრო კვლევებისათვის შეირჩა ადგილები და შეგროვნა ნიმუშები, მიმდინარეობს საველე კვლევების შედეგად მიღებული მასალის დამუშავება და მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებისა და თანამგზავრული მონაცემების ანალიზი. 2. ქალაქ სოფიაში "სითბოს კუნძულის" შესწავლისათვის შეირჩა ქალაქში მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის საინტერესო ადგილები, შეძენილ და დამონტაჟებული იქნა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები.			

3.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Georgian-Norwegian partnership in climate teleconnection and prediction (GeoNor). ქართულ-ნორვეგიული პარტნიორობა კლიმატის ტელეკონექციებსა და პროგნოზში, Norwegian Center for International Cooperation in Education, SIU, CPEA-ST-2016/10059, კლიმატის ცვლილება	05.01.2017-30.06.2019	იონქი გაუ, პროექტის - კოორდინატორი ნორვეგიიდან, მარიამ ელიზბარაშვილი - პროექტის კოორდინატორი საქართველოდან, ტორი ფურევიკი - მონაწილე, ნოელ კინლისაიდი - მონაწილე, კვამსტო ნილს განერი - მონაწილე, სუ ლინგლინგი - მონაწილე, რომან მაისურაძე - მონაწილე
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
კვლევაში გამოყენებულია CMIP5-ის (Coupled Model Intercomparizon Project 5th phase) 10 მოდელის 36 სცენარი. CMIP5 არის IPCC -ს (the Intergovernmental Panel on Climate Change) (Fifth Assessment Report) AR5-ის ARC8.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს სათბური აირების გამოფრქვევის უმაღლეს რაოდენობის არსებობას, ასევე მოსახლეობის რაოდენობის მაღალი სიჩქარით ზრდას და ენერგიის მაღალ მოთხოვნილებას კლიმატური ცვლილების პოლიტიკის არსებობის გარეშე. CMIP ხელს უწყობს სტანდარტულ მოდელირებულ			

სიმულაციებს: 1. განავითაროს რამდენად რეალურია მოდელი ახლო წარსულისათვის. 2. აწარმოოს მომავლის კლიმატური მოდელი დროის 2 მასშტაბით, ახლო მომავლის - 2035 და შორეული - 2100 წლამდე და მეტი. 3. დააზუსტოს ზოგერთი ფაქტი, რომელიც პასუხისმგებელია განსხვავებებზე მოდელის პროექტებში, შემცველობის რაოდენობით ზოგიერთი საკვანძო უკუკავშირისა, როგორებიცაა ღრუბელი და ნახშირორჟანგის ციკლი. არსებულ კვლევაში გამოყენებულია CMIP5-ის ექსპერიმენტული დიზაინის გრძელვადიანი სიმულაციები 2005-2100 წლებისათვის.

1971-2000 წლებისათვის დათვლილია საშუალო წლიური და საშუალო სეზონური ტემპერატურები საქართველოში არსებული დაკვირვებების მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე გლობალური კლიმატური მოდელების შედეგები თითოეული სცენარისათვის და მათი საშუალოები თითოეული მოდელისათვის. შედარებულია დაკვირვების ტემპერატურის ცვლილების ტრენდები საშუალო წლიურ და საშუალო სეზონურ ტემპერატურის ცვლილების მოდელის მონაცემებთან და ასევე ტემპერატურული სხვაობები მოდელის მონაცემებსა და დაკვირვებას შორის ისტორიული და მომავალი პერიოდისათვის. მოცემულია კორელაცია დაკვირვების საშუალო წლიურ და საშუალო სეზონურ ტემპერატურებსა და მოდელების შესაბამის მონაცემებს შორის 1971-2000 წლებისათვის. ასევე მოდელების საშუალო მნიშვნელობა საშუალო წლიური და საშუალო სეზონური მონაცენებისათვის. მომავლის 2071-2100 წწ ტემპერატურის განსაზღვრისათვის კი მოცემულია CMIP5-ის ARC8.5-ის სურათი 10 მოდელის 36 სცენარის მიხედვით. თითოეული მოდელისათვის დათვლილია საშუალო მნიშვნელობა სცენრების საშუალოს გამოყვანისგზით და ასევე 10 მოდელის 36 სცენარის საშუალო ტემპერატურული მაჩვენებელი წლიური და სეზონური ტემპერატურები საქართველოსათვის.

დათვლილი იქნა:

- თითოეული სცენარის მიხედვით სეზონური და წლიური საშუალო ტემპერატურის მნიშვნელობა.
- მოდელების საშუალო მნიშვნელობა სეზონური და წლიური საშუალო ტემპერატურებისა.
- კორელაცის კოეფიციენტები დაკვირვების მონაცემებსა და მოდელის მონაცემებს შორის თითოეული მოდელისათვის.
- კორელაცის კოეფიციენტები დაკვირვების მონაცემებსა და ყველა მოდელის საშუალოსათვის.
- ტემპერატურული სხვაობები დაკვირვების მონაცემებსა და მოდელის მონაცემებს შორის წარსულისათვის.
- ტემპერატურული სხვაობები დავკირვებისა და future modeled data შორის.

შევადარეთ RCP8.5 და RCP4.5 ერთმანეთს, თუ რა შედეგს იძლევა განსხვავებული სათბური აირების შემცველი სცენარები საქართველოს ტერიტორიისათვის და რომელი უფრო ახლოსაა დაკვირვების შედეგებთან.

- Historical modeled სეზონური და წლიური საშუალო ტემპერატურა შედარებული იქნა დაკვირვების საშუალო ტემპარატურის შედეგებთან 6 სადგურისათვის
- ტრენდების მნიშვნელობები დაკვირვებისა და აღნიშნული სცენარების მიხედვით სეზონური და წლიური საშუალო ტემპერაურისათვის.
- მოდელირებული მომავლის საშუალო ტემპერატურა 2071-2100წწ RCP8.5 და RCP4.5 -ის შესაბამისად.
- სეზონური და წლიური საშუალო ტემპერატურების სხვაობა მოდელირებულ წარსულსა და დაკვირვების შედეგებს შორის.
- მოდელირებული მომავლის ტემპერატურების სხვაობა RCP8.5 და RCP4.5-ის შედეგებს შორის.
- მოდელირებული მომავლისა და წარსული დაკვირვების ტემპერატურების სხვაობა, თუ რამდენი გრადუსით არის მოსალოდნელი ტემპერატურის ცვლილება 1971-2000 წლის საშუალო სეზონური და საშუალო წლიური ტემპერატურისა 2071-2100 წლების შესაბამის ტემპერატურებთან შედარებით აღნიშნული 6 მეტეოროლოგიური სადგურისათვის.

პროექტის ფარგლებში თსუ-ს დოქტორანტები: ნანო გოგია და თეა ერაძე 2018 წლის გაზაფხულის და 2019 წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში ორ ორი თვით მივლინებით იმყოფებოდნენ ნანსენის ცემტრში და ბერგენის უნივერსიტეტში სადაც ეცნობოდნენ და მუშაობდნენ გლობალურ კლიმატურ მოდელებზე.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

			ნომერი/ტომი		
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Elizbarashvili, M.Elizbarashvili, M.Tatishvili, S.Elizbarashvili, N.Chelidze	Possible Impact of Global Warming on the Shifting of Soil Boundaries in Mountains (Trialeti Range Eastern Part Case Study) ISSN 1512-1887	Annals of Agrarian Science, Vol 17, No2, pp. 197 – 203	Tbilisi	6

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Sh.Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili, N.B. Kutaladze, N.M.Gogiya	Characteristics of Frost Days in the Mountain Regions of Georgia DOI: 10.3103/S1068373919020080	Russian Meteorology and Hydrology, 2019, Vol. 44, No. 2, pp. 145–151	USA	6
2	E. Sh.Elizbarashvili M.E. Elizbarashvili , Sh.E. Elizbarashvili M.G.Pipia , N.Z. Chelidze	Catastrophic Precipitation in Georgia DOI: 10.13187/egs.2019.1.50	European Geographical Studies, 6(1), 2019, pp. pp. 50–60	Slovakia	10

1. განსაკუთრებით ცივი ზამთრების პირობებში ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში ეცემა მინუს 20-25 გრადუსამდე, კავკასიონის და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მთიან და მაღალმთიან რაიონებში -მინუს 30-42გრადუსამდე. ასეთი ყინვის პირობებში ზიანდება მეტალის კონსტრუქციის მექანიზმების დეტალები, მანქანა-ტრაქტორები და ა.შ. ძლიერი ყინვის დროს საქართველოს მაღალმთიან რაიონებში იზღუდება ადამიანის ღია ცის ქვეშ ყოფნის პირობები, ხოლო როდესაც ტემპერატურა ეცემა მინუს 30 გრადუსამდე ირღვევა სისხლის მიმოქცევა და იწყება სხეულის ღია ნაწილების ჰიპოთერმია, რა დროსაც შესაძლებელია მოყინვა.
ძლიერი ყინვები საქართველოს ტერიტორიაზე განპირობებულია ცივი არქტიკული ჰაერის მასების მძლავრი შემოჭრით დასავლეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ყინვის ინტენსივნობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიეფის ფორმა, ადგილის სიმაღლე და დაცულობა.
25 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემებით 1936-2013 წლების პერიოდისათვის გამოკვლეულია ყინვების და ყინვიანი დღეების გეოგრაფია, სტატისტიკური სტრუქტურა,

ინტენსივობა, ხანგრძლივობა და დინამიკა საქართველოს მთიან რაიონებში. კავკასიონოს მაღალმთიან რაიონებში ყინვიანი დღეები გრძელდება ოქტომბრიდან აპრილი-მაისის ჩათვლით, 2500მ ზე მაღლა კი გრძელდება სექტემბრიდან ივნისამდე. ზამთრის თვეებში ყველა დღე ყინვიანია. 3-4 კმ სიმაღლეებზე ყინვიან დღეთა წლიური რიცხვი 150-200 დღეა. ზონის ქვედა საზღვართან ყინვების საშუალო უწყვეტი ხანგრძლივობა 5 დღეღამეა, თუმცა ის შეიძლება გაგრძელდეს 2 თვის განმავლობაში. 3000მ - ზე მაღლა ყინვები შეიძლება გაგრძელდეს 5-6 თვის განმავლობაში. კავკასიონის საშუალო მთის ზონაში და სამხრეთ-საქართველოს მთიანეთზე ყინვიანი დღეები ძირითადად ყალიბდება ნოემბერ-მარტში და მათი საშუალო წლიური მნიშვნელობა შეადგენს 50-90 დღეს, ხოლო ყინვის უწყვეტი ხანგრძლივობა შეადგენს 4-5 დღეღამეს, თუმცა ის შეიძლება გაგრზელდეს 2 თვის განმავლობაში.

დაბალმთიან ზონაში ყინვიანი დღეები აღინიშნება დეკემბრიდან მარტის ჩათვლით და შეადგენს დაახლოებით 20 დღეს, ხოლო ყინვების საშუალო უწყვეტი ხანგრძლივობა მერყეობს 2-3 დღეღამიდან ერთ თვემდე. ადგილის სიმაღლის წვლილი ყინვიან დღეთა რიცხვის ცვლილებაში 96-100%-ს შეადგენს, ხოლო ამ ცვლილების ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100მ-ზე დაახლოებით 7 დღეა.

1936-2013 წლების განმავლობაში ყინვიან დღეთა რიცხვის მრავალწლიური ცვლილების ტრენდი უმნიშვნელოა, ცვლილების სიჩქარე ძირითადად უარყოფითია და არ აღემატება 1-1.5 დღეღამეს დეკადაში. ინტენსიური გლობალური დათბობის პირობებში სიჩქარე აღწევს 3 დღეღამეს, ცალკეულ შემთხვევებში კი 15 დღეღამეს დეკადის განმავლობაში.

2. კატასტროფული ნალექების ზოგადად მიღებული განმარტება არ არსებობს. ბუნებრივი კატასტროფის ერთერთი განმარტების თანახმად ის არის „საშიში მოვლენა, რომელიც ქმნის ხიფათს ადამიანების ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის, იწვევს ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ნგრევას და ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს“. ამრიგად, კატასტროფულ ნალექებს შეიძლება მივაკუთვნოთ ექსტრემალურად ინტენსიური ნალექები, აგრეთვე რამოდენიმე დღეღამის განმავლობაში მოსული მნიშვნელოვანი ნალექები, რომლებიც იწვევს წყალდიდობას, წყალმოვარდნას, ღვარცოფს, ზვავს და სხვა სტიქიურ მოვლენას, და მთლიანობაში ქმნის საგანგებო სიტუაციას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი. ამრიგად, ატმოსფერული ნალექების კატასტროფულ ხასიათზე შეიძლება ვიმსჯელოთ მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ შემოტანილი კლიმატური ინდექსების მიხედვით. ესენია დღეთა რიცხვი ნალექებით 50მმ და მეტი, მაქსიმალური დღეღმური და მაქსიმალური 5 დღეღამის ნალექების ჯამები.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით განსაკუთრებული კატასტროფული ნალექები ინტენსივობით 38მმ/წთ დარეგისტრირებულია ქ.ბარსტეში (გვადელუპა, 21.11.1970წ). ბაგიოში (ფილიპინები, 1911წ) ერთ დღეღამეში დაფიქსირდა 1168მმ, ხოლო 4 დღის განმავლობაში 2233მმ ნალექი. ფლორიდის შტატში (აშშ, 1947წ) ნალექების სახით დღეღამეში მოვიდა 12 მილიარდი ტონა წყალი. საქართველოს ტერიტორიაზე, და მთლიანად კავკასიაში, ნალექების უდიდესი ინტენსივობა დაფიქსირებულია ფოთში 24.09.1916 წელს (6.4.მმ/წთ), ხოლო უდიდესი დღეღამური ნალექები ჯუკვეთში-350.

20-ზე მეტი მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემების გამოყენებით გამოკვლეულია დღეთა რიცხვი ნალექებით 50მმ და მეტი, მაქსიმალური დღეღმური და მაქსიმალური 5 დღეღამის ნალექების ჯამები, მოსვლის პერიოდი, ალბათობა და ინტენსივობა საქართველოს ტერიტორიაზე. ჩატარებულია ინტენსიური ნალექების კლასიფიკაცია. შეფასებულია ექსტრემალური ნალექების მრავალწლიური ტრენდები, გამოვლენილია სტატისტიკური განსხვავებანი მახასიათებლებს შორის სხვადასხვა დროითი ინტერვალების განმავლობაში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

2. შავი ზღვის ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზი 2014-2020"-ის საგრანტო პროექტი „შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" ფარგლებში გათვალისწინებულია /შემდეგი სამუშაოების შესრულება: მყარ ნარჩენებზე და ჩამდინარე წყლებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება შავი ზღვის რეგიონებში; შავი ზღვის არსებული მდგომარეობის შესწავლა სამიზნე ტერიტორიაზე და მყარი ნარჩენებით მის დაბინძურებაზე; სამიზნე ტერიტორიების ნარჩენების მონიტორინგი; საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ბაზის) გამოყენება ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესაფასებლად; ასევე წყლის ნაკადის და ნარჩენების გავრცელების მოდელის შემუშავება და საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის ფარგლებში ნარჩენების (მარინლიტერის) შემცირების ღონისძიებების შემუშავება

3. პროექტი დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბრიდან და გრძელდება 3 წლის განმავლობაში, პროექტის ძირითადი მიზანია ბურგასის ხედვის დოკუმენტზე დაფუძნებული SRIA-ს ოპერატიული სამოქმედო გეგმების განვითარების ხელშეწყობა. შავ ზღვას აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი და ფართო პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. აღნიშნული რესურსების გამოყენებას ევროკავშირი ხელს უწყობს ერთობლივი კვლევების განვითარებით, ინოვაციური საგზაო რუკისა და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებით. ამ კონტექსტში იქნა შემუშავებული ე.წ. „ბურგასის ხედვის დოკუმენტი", რომელიც ამოქმედდა 2018 წელს და მასში წარმოდგენილია საერთო მიდგომები 2030 წლისათვის პროდუქტიული, ჯანმრთელი, რეზისტენტული, მდგრადი და ღირებული შავი ზღვისათვის. დოკუმენტი მხარდაჭრილია შავი ზღვის ქვეყნების მინისტერიალის დეკლარაციით. ასევე, შავი ზღვის ლურჯი ზრდის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებულია სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA), რომელიც გამოყოფს შავი ზღვის ოთხ ძირითად გამოწვევას, ესენია: ცოდნა შავი ზღვის შესახებ, შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა-ლურჯი ზრდა, ერთობლივი საკვანძო ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობა და საწარმოო ძალების გაძლიერება.

4. პროექტის განხორციელების პერიოდია 2019-2021 წწ და იგი წარმოადგენს ჰარმონიულ გაგრძელებას იმ კვლევების რაც მიმდინარეობდა თსუ-ში პროექტების EMBLAS-1 და EMBLAS-2 სახით. EMBLAS-Plus მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროეტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ღრმა ნაწილის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. კერძოდ გაგრძელდება საზღვაო მყარი ნარჩენების მონიტორინგი ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებზე (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე ოთხი ძირითადი მდინარის რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მიმდინარე წელს ჩატარდა ორი საზღვაო ექსპედიცია, ამჟამად მიმდინარეობს მასალების დამუშავება, მიღებული შედეგები განთავსდება პროექტის ვებ გვერდზე და აისახება სამეცნიერო ანგარიშებში.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
1	EMODnet Data Ingestion, EASME/EMFF/2015/1.3.1.3/SI 2.727770,	2016-2019	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვაჟა ტრაპაიძე ირაკლი პაპაშვილი, თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი, ვახტანგ გვახარია, ნინო მაჩიტაძე, ნინო გელაშვილი
2	EMODnet -3, EASME/EMFF/2016/1.3.1.2/lot 4 N° SI2.749773,	2016-2019	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვახტანგ გვახარია, ნინო მაჩიტაძე, ნინო გელაშვილი, ვაჟა ტრაპაიძე. თორნიკე რაზმაძე

1. პროექტის მიმდინარეობდა 2016-2019 წწ. პროექტის ძირითადი მიზანი იყო ევროპული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის და ლურჯი ეკონომიკის საზღვაო კომპონენტის შესაბამისად ზღვის წყლების, სედიმენტებისა და ბიოტას მონიტორინგი; ახალი საზღვაო მონაცემების მოძიება და მათ მფლობელებთან სათანადო მარკეტინგული და მეთოდური სამუშაოს ჩატარება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. პროეტის ფარგლებში შეიქმნა პოტენციურ სტეიქჰოლდერების ნუსხა და შემუშავდა სპეციალური ინტერფეისი, რომლის საშუალებით ოკეანოგრაფიული მონაცემების მფლობელი შეძლებს თავად შეიყვანოს მონაცემები ევროპულ ბაზებში მათი შემდგომი განკარგვის საკუთარი პირობების მითითებით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ https://www.emodnet-ingestion.eu/
2. საზღვაო დაკვირვებათა და მონაცემთა ევროპული ქსელი (EMODnet) შეიქმნა ევროგაერთიანების ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკის მხარდასაჭერად. იგი , პერიოდულად, მონაწილეობს ევროგართიანების მიერ გამოცხადებული ტენდერებში, რომელიც ეხება ზღვის გარემოსადმი მიძღვნილ საკითხებს. კერძოდ, ზემოთ მითითებული პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის მიერ ტენდერში მოგებულ ლოტს, რომელიც ზღვის ქიმიას ეხება. პროექტის მიზნები ემთხვევა პროექტ „სიდატაქლაუდ“-ის (იხ. ზემოთ - „SeaDataCloud“) მიზნებს და ინტეგრირებულია მის ძირითად ამოცანებთან, რომელიც მდგომარეობს საქართველოში არსებული საზღვაო ქიმიური მონაცების მოძიება, მიღებული სტანდარტების შესაბამისად ფორმატიზება და ევროპულ ბაზებში განთავსება. საქართველოდან, კონსორციუმში მონაწილეობას იღებს, ასევე, გარემოს ეროვნული სააგენტო. დეტალური ინფორმაცია იხილეთ: **http://www.emodnet.eu/**

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		ISBN		
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაჩიტაძე ნ.ო., გვახარია ვ.გ., გელაშვილი, გაფრინდაშვილი ნ.გ. პაპაშვილი ი.გ.	გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება. შრომათა კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ISBN 978/9941-2009-0	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი (მიღებულია დასაბეჭდად)	**5**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ფოთის ნავსადგურის არსებობის 150 წლის განმავლობაში არაერთხელ განხორციელდა ნავსადგურის დამცავი მოლების რეკონსტრუქცია და ადგილი შეიცვალა ნავსადგურის შემოსასვლელმა. ნავსადგურიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დამცავი მოლის მშენებლობამ შესაძლებელი გახადა პორტის ექსტენციური განვითარება და ჩრდილოეთ ნაწილში „ახალი პორტის“ მშენებლობა. აღნიშნული აკვატორია კარგად არის დაცული ზღვის ღელვისგან, თუმცა დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, და ჩრდილოეთის მიმართულების ზღვის ღელვების დროს ტრანსფორმირებული და დეფორმირებული ტალღა, პორტის კარიბჭის გავლით, შემცირებული ენერგიით შემოდის და დინებების მიერ ტრანსპორტირებული ფსკერული ნატანი აკვატორიის შიგნით ნაწილდება. აკუმულაციური პროცესების გამო აუცილებელი ხდება შემოსასვლელი არხისა და ნავსადგურის შიდა აკვატორიის ფსკერდასაღრმავებელი სამუშაოების ჩატარება. ნაშრომის მიზანია საკვლევ აკვატორიაში აკუმულირებული ფსკერული ნალექების ლითონებით დაბინძურების ხარისხის შეფასება. ეს საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ამოღებული მყარი მასალის უსაფრთხო განთავსების შესაძლებლობის განხილვასთან. ამ მიზნით ჩატარდა გრანულომეტრიული ფრაქციების და ლითონების შემცველობისა და განაწილების კვლევა ნავსადგურის ნალექების სიღრმულ ფენებში, რაც განხორციელდა პირველად.

საკვლევი ნიმუშები მოპოვებულია ბურღვითი მეთოდით. ამისათვის გამოყენებული იყო საბურღი მოწყობილობა. წინასწარ შერჩეულ 18 წერტილში, ნიმუშები ამოღებულია კერნების სახით, ფსკერის ზედაპირიდან სიღრმეში, 12 მ-მდე. ამოღებული კერნიდან საკვლევი სინჯების აღებულია 2 მ-იანი ინტერვალით. სულ 77 ნიმუშში შესწავლილია გრანულომეტრიული ფრაქციები და განსაზღვრულია Cu, Zn, Ni, Cr, As, Pb. სინჯების დამუშავება და ანალიზი ჩატარებულია სკფ „გამა“-ს აკრედიტებულ

ლაბორატორიაში, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. გრანულომეტრიული ანალიზი ჩატარებულია საცრული მეთოდით. ლითონების ანალიზისათვის გამოყენებულია ატომურ-აბსორბციული და სპექტროფოტომეტრული მეთოდები.

დაბინძურების ხარისხის შესაფასებლად გამოთვლილია გეოაკუმულაციის ინდექსი Igeo და დაბინძურების ფაქტორი Cf. შეფასების ინდექსებს საფუძვლად უდევს გამოკვლეული ელემენტების ფაქტობრივი კონცენტრაციის შედარება ფონურ მახასიათებლებთან. ფონურად აღებულია ლითონების ლითოლოგიური ფონური კონცენტრაცია თიხნარი დანალექი ქანებისათვის

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. გაფრინდაშვილი ნ. მაჩიტაძე, ვ· გ გვახარია, ი. პაპაშვილი, გ. ყავლაშვილი	ფოთის წყალქვეშა კანიონის დეფორმაციის ხასიათის შეფასება. ISSN 1512-0686	საქართველოს ქიმიური ჟურნალი. Vol.18. #1. 2018.	თბილისი, საქართველო	გვ. 217-228

2	ნ. გაფრინდაშვილი ი. პაპაშვილი, ნ. მაჩიტაძე, ნ. გელაშვილი ვ· გ გვახარია	ბათუმი-გონიოს სანაპირო ზოლის ლითო-მორფო-დინამიკური მდგომარეობის შეფასება. ISSN 1512-0686	საქართველოს ქიმიური ჟურნალი. Vol.18. #1. 2018.	თბილისი, საქართველო	გვ. 223-228.
3	ნ. მაჩიტაძე, ნ. გაფრინდაშვილი ლ. ზაზაძე ნ. გელაშვილი ვ· გ გვახარია,	შავი ზღვის საქართველოს პლაჟებზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეფასება ISSN 1512-0686	საქართველოს ქიმიური ჟურნალი. Vol.18. #1. 2018	თბილისი, საქართველო	გვ. 211-2016.
4	მ.ალავერდაშვილი, გ.გრიგოლია, გ. ბრეგვაძე.	,,მდინარე ენგურის, ს. ხაიშთან, ცალკეული თვეების დონეების ცვალებადობის შეფასება“.	ტომი # 126	სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული (იბეჭდება)	4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფოთის კანიონის ცვლილებების ხასიათის, მისი მოძრაობის დინამიკის და განვითარების ბუნების შესწავლის მიზნით, 2009 და 2017 წლებში ჩატარებულია კანიონის ბათიმეტრიული აგეგმვითი სამუშაოები, რომელთა შედეგების საფუძველზე შექმნილია დეფორმაციული რუკა.

დადგენილია კანიონის აკვატორიაში შეტანილი მასალის აკუმულაციის და წარეცხვის პირობები და მოცულობები, ნაჩვენებია, რომ განვლილ 8 წელიწადში წარეცხვების ტემპმა შეადგინა საშუალოდ 0.5-0.6 მ/წელ-ში. მაქსიმუმით 1.0-1.1 მ/წელ. კანიონში განთავსებული მასალის ქიმიური შემადგენლობა არ წარმოადგენს საფრთხეს წყალქვეშა ეკოსისტემებისთვის. ბათიმეტრიული რუკების ანალიზის და წყალქვეშა დაკვირვებების საფუძველზე დადგენილია, რომ კანიონის სათავე სტაბილურია და არ არის გამოვლენილი ეროზიული პროცესები. კანიონის სათავის ჩრდილოეთ ფერდზე არსებული ღარტაფის მკვეთრად უარყოფითი დეფორმაციები არ წარმოადგენს საფრთხეს ფოთის ნავსადგურის დასავლეთის მოლისთვის, რადგან მისი საწყისი დაშორებულია მოლისაგან დაახლოებით 500-600 მეტრით. ღარტაფის შემდგომი განვითარება მოლის მიმართულებით არ არის მოსალოდნელი.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზონის, მათ შორის საქართველოს ნაპირების, ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს მდინარეების მიერ ზღვაში შემოტანილი ნაშალი მასალა. წყალქვეშა და წყალზედა პლაჟების ფორმირებაში მონაწილე მყარი ნატანის ფორმირება ხორციელდება მდინარეთა აუზებში ფიზიკური და ქიმიური გამოფიტვის ხარჯზე. ნატანის ნაპირგასწვრივ განაწილებაზე ზემოქმედებს ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორები (მდინარეების დარეგულირება, საზღვაო პორტების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, ინერტული მასალის მოპოვება პლაჟებიდან და მდინარეებიდან). შესწავლილია სანაპიროს 13-კილომეტრიანი მონაკვეთი მდ. ჭოროხის დელტის გასწვრივ, აღწერილია იქ არსებული ინფრასტრუქტურა. სანაპირო ზონის აგეგმვის მინაცემებზე დაყრდნობით შესასებულია აკრეციის (ნაპირის წინ წაწევის) და წარეცხვის მასშტაბები. დადგენილია, რომ წარეცხვების ხარჯზე სანაპიროს კონფიგურაცია თანდათანობით შეიცვლება, რაც მისი უკან დახევით გამოიხატება. სანაპიროს გამაგრება მყარი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით (ლოდებით, რკინა-ბეტონის ნაგებობებით და სხვა) არაეფექტურია. საკვლევი რეგიონის სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად საჭიროა არსებული ნატანის

დეფიციტის შევსების პლაჟწარმომქნელი ნატანის ხელოვნური ჩაყრებით შერჩეულ ადგილებში.
ავტორთა ჯგუფის მიერ 2015-2018 წწ საქართველოში პირველად ჩატარდა ზღვის გარემოს მონიტორინგი (პლაჟებზე, მდინარეებზე, ზღვის ზედაპირზე), აპრობირებულია მონიტორინგის ევროპული მეთოდოლოგია, შექმნილია მონიტორინგის ადაპტირებული მეთოდიკა და ნარჩენების კატეგორიზების ფოტოსახელმძღვანელო ქართულ ენაზე. მონიტორინგისათვის შეირჩა 3 პლაჟი: ურეკის, ქობულეთის და სარფის მონაკვეთები. სამივე მონაკვეთზე სულ ჩატარებულია 7 დაკვირვება. შერჩეული პლაჟების დაბინძურების ბუნების და ხარისხის შეფასებისას, ქობულეთის ჩრდილო პერიფერიის მონაკვეთი მიჩნეულია, როგორც ფონური. პლაჟებზე ნარჩენები ორი ძირითადი გზით ხვდება: გამორიყულია ზღვიდან ტალღისცემის შედეგად, ან დატოვებულია პლაჟებზე ვიზიტორების მიერ. აღწერილია ნარჩენების შემადგენლობა და წარმოდგენილია მათი პროცენტული წილი. ნაჩვენებია, რომ ნარჩენების ძირითად ნაწილს შეადგენს პლასტიკური მასალა, ჩატარებულია პლასტიკური ნარჩენების კატეგორიზება.
მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (მსნ) გადამუშავება ბაზარზე მოთხოვნად პროდუქტებად, წარმოადგენს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, პერსპექტიულ მეთოდს გენერირებული და განთავსებული ნარჩენების საერთო რაოდენობის შესამცირებლად. ერთ-ერთ ყველაზე უფრო ქმედით საშუალებას წარმოადგენს მსნ ორგანული კომპონენტის გაზიფიკაცია და მეთანოლად გადამუშავება. სამრეწველო გადამუშავების გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს გადასამუშავებელი მსნ შემადგენლობა და გამოყენებული ნაერთების კათალიტური აქტივობა. წარმოდგენილი კვლევის ძირითადი სიახლეა მურა ნახშირის გამომშრალი შლამის და მსნ ორგანული კომპონენტის ნარევის კომპლექსური უტილიზაციის კვლევა, ლითონური (Ni-Al), კარბონატული (ნატრიუმის და კალიუმის კარბონატები) და ჰიდროქსიდური (კალციუმის ჰიდროქსიდი) კატალიზატორების ექსპერიმენტული შესწავლა, მათი ერთობლივი გამოყენების ოპტიმალური მეთოდიკის შესამუშავებლად და KPUOP-1 საპილოტე დანადგარის გამოყენებით მეთანოლის შემდგომი სინთეზისთვის სატესტე ნარევების გაზიფიკაციის პროცესში კატალიზატორების სინერგიული მოქმედების შესაძლებლობის შესაფასებლად. კომერციულად მისაწვდომი გაზ-გენერატორის AKSA AMG1500 გამოყენებით ჩატარდა ელექტრული სიმძლავრის გენერაციის ტესტირება და პროცესის წარმადობის შეფასება. ტესტირების და შეფასების შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკვლეული შემადგენლობის წინასწარ სეპარირებული მსნ და მურა ნახშირის შლამის ნარევების გამოყენებამ შეიძლება გაზარდოს გაზიფიკაციის და მეთანოლის მიღების პროცესების წარმადობა 20-25%-ით. კალციუმის ჰიდროქსიდის ნატრიუმის და კალიუმის კარბონატებთან ნარევი (30%/49%/21%) მნიშვნელოვნად უფრო ეფექტური აღმოჩნდა ნატრიუმის და კალიუმის კარბონატების ნარევთან (70%/30%) ან რენეის ნიკელის კატალიზატორთან შედარებით. საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება კატალიზატორების ოპტიმალური სინერგეტიკული შემადგენლობების დასადგენად.
სტატიაში მოყვანილია მდინარე ენგურის ს. ხაიშთან ცალკეული თვეების დონეების ცვალებადობის შესახებ, სადაც დაკვირვების საწყის ეტაპზე წყლის დონის მონაცემები საკმაოდ დაბალია და გამოწვეულია წყალმოვარდნებით, რის გამოც დარღვეულია პროცესის ერთგვაროვნება. ამასთანავე ტრენდის შეფასების საკითხი თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალური გახდა, რადგან ძალზედ მნიშვნელოვანია ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების სიდიდეთა ცვალებადობის დინამიკის შესწავლა, მათზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პირობებში.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		სტანდარტული კოდი ISBN		
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემი სადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*Davit Svanadze, Vazha Trapaidz, Giorgi Bregvadze, Irakli Megrelidze*	Spatial and time dynamics of glaciers following the Little Ice Age on the southern slope of the Caucasioni (in print)	Annals of Agrarian Science, Vol 17, #2		157-164
2	N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, L. Lagidze, V. Trapaidze, N. Motsonelidze	Measures of Flood Risk Mitigation in Downstream of River Rioni https://doi.org/ 10.5593/sgem2019 /3.1	Conference proceedings of 19th International Multidisplinary Scientific Geoconference SGEM 2019, vol. 19, Water Resources, Forest, Marine and Ocean Ecosystems	SGEM 2019, Resources, Forest, Marine and Ocean ecosystems, Issue 3.1 Albena, Bulgaria	355-362

1. სტატიაში განხილულია ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობის ზოგიერთი მყინვარის დეგრადაციის მასშტაბი და სივრცე-დროითი ანალიზი, მცირე გამყინვარების შემდგომ თანამედროვე პერიოდამდე, ახლო მანძილის დისტანციური ზონდირების მეთოდოლოგიით, მისი გამოყენების შესაძლებლობები და უპირატესობები აეროსურათების დეშიფრირების და კარტომეტრიის ტრადიციულ მეთოდოლოგიასთან მიმართებით. კვლევისას გამოვიყენეთ სხვადასხვა პერიოდის ისტორიული და ტოპოგრაფიული რუკები, საარქივო აეროფოტოგადაღების, დისტანციური ზონდირების ისტორიული მასალები და 2017 წელს უპილოტო საფრენი აპარატით (Phantom 4pro) გადაღებული უახლესი ორთოფოტო გამოსახულებები. კვლევა ტრადიციულთან ერთად ეყრდნობა მეთოდოლოგიურ სიახლეს, რაც უპილოტო საფრენი აპარატით (UAV) მყინვარების აეროგადაღებაში, ციფრული სამგანზომილებიანი ე.წ „წერტილოვანი ღრუბელი“ მოდელის შექმნაში და მისი გამოყენებით სხვადასხვა გლაციო-გეომორფოლოგიური პარამეტრების გეოსაინფორმაციო სისტემებით (Pix4D, Global Mapper, ArcGIS) გაანგარიშებაში მდგომარეობს. დეტალურად განხილულია მაღალმთიანი რელიეფის პირობებში მყინვარების უპილოტო საფრენი აპარატით აეროგადაღების შესაძლებლობები და ხელკისშემშლელი ფაქტორები. დადგინდა, რომ მყინვარებმა განიცადეს მნიშვნელოვანი შემცირება მცირე გამყინვარების შემდგომ და მათი უკანდახევის მაჩვენებლები დამოკიდებულია კონკრეტული მყინვარების ტიპებზე და გეოგრაფიულ ფაქტორებზე. დინამიკის ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევი პერიოდისათვის უკანდახევის რიცხვითი მაჩვენებლები კარგად ასახავენ მყინვარების რეალურ უკანდახევას და საკმაოდ დიდ დიაპაზონში ცვალობადობენ 0.8 – 4.2 კმ.
2. გასული საუკუნის ბოლოდან, პლანეტაზე გააქტიურებულმა გლობალურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაართულა ადამიანის უსაფრთხო ყოფის პირობები. საქართველოსთვის დამახასიათებელ საშიშ ბუნებრივ მოვლენებს (12 ტიპი) შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წყალმოვარდნებსა და წყალდიდობებს უჭირავთ, რომლებსაც, როგორც წესი დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოაქვთ. საქართველოს ტერიტორიაზე წყალდიდობა-წყალმოვარდნები თითქმის ყველა მდინარისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორის განსაკუთრებით მაღალი რისკით გამოირჩევა მდ. რიონის აუზის მთიანი და მაღალმთიანი ზონა. მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების თანახმად, 1995 წლამდე წყალმოვარდნების საშუალო განმეორებადობა 5-6 წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდა. შემდგომ პერიოდში კი - ეს მაჩვენებელი შესამჩნევად გაიზარდა. მონაცემების ანალიზი უჩვენებს, რომ წყალდიდობა-წყალმოვარდნები, რომლებმაც ერთდროულად მოიცვა ქვეყნის რამდენიმე რეგიონი, საშუალოდ 15-20 წელიწადში ერთხელ მეორდება. აღნიშნულიდან გამომდინარე დიდი მასშტაბის წყალდიდობა-წყალმოვარდნების მოხდენის ალბათობა საქართველის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის მდ. რიონის აუზში 5-6 %-ს შეადგენს. არსებული მეთოდიკით ასეთი ალბათობა 4 ქულით ფასდება და “მაღალის” კატეგორიას განეკუთვნება.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
ბ 1	დავით კერესელიძე, ვაჟა ტრაპაიძე, გიორგი ბრეგვაძე	სალექარის ძირითადი ზომების განსაზღვრა	მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2019, 11-15 თებერვალი, http://conference.ens-2019.tsu.ge
	კახაბერ ბილაშვილი, *ვაჟა ტრაპაიძე,* *ვახტანგ გვახარია,* *ნინო მაჩიტაძე,* ნინო გელაშვილი	შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება (პროექტი ემბლასი, ფაზა 2)	მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2019, 11-15 თებერვალი, http://conference.ens-2019.tsu.ge
2	*ვაჟა ტრაპაიძე,* *დავით კერესელიძე,* *კახაბერ ბილაშვილი,* *გიორგი ბრეგვაძე,* *ირაკლი მეგრელიძე*	წყლის რესურსების კასკადური რეგულირების ჰიდროლოგიური საფუძვლები საქართველოში	მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2019, 11-15 თებერვალი, http://conference.ens-2019.tsu.ge/
3	გიორგი ბრეგვაძე, ვაჟა ტრაპაიძე	წყალდიდობების და წყალმოვარდნების ტენდენციები საქართველოსა და მსოფლიოში	მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2019, 11-15 თებერვალი, http://conference.ens-2019.tsu.ge/
4	ნოდარ წივწივაძე, ლამზირა ლაღიძე, გიორგი ბრეგვაძე, ნარგიზი მოწონელიძე, ნინო პაიჭაძე, გიორგი ივანოვი	ქ. თბილისში წყლის ღირებულებისა და ტარიფის განსაზღვრის პრობლემა	მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2019, 11-15 თებერვალი, http://conference.ens-2019.tsu.ge/
5	მ. ალავერდაშვილი, გ.გრიგოლია, გ.ბრეგვაძე	,,მდინარე ენგურის (ხაიში) ცალკეული თვეების წლიური მაქსიმალური ხარჯებისა და დონეების ცვალებადობის (ტრენდი) შეფასება.“	სამეცნიერო კონფერენციის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები თბილისი, 2019
6	ნ. მაჩიტაძე	ლითონების შემცველობა და განაწილება ფოთის ჩრდილოეთი ნავსადგრის აკვატორიის	პროფ. ვ. ერისთავის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო

		ფსკერული ნალექების სიღრმულ ფენებში. (ავტორები: **მაჩიტაძე ნ.ო., გვახარია ვ.გ., გელაშვილი,** გაფრინდაშვილი ნ.გ. პაპაშვილი ი.გ.).	ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“ . საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 19 – 20 ოქტომბერი, 2019წ. თეზისები გვ. 145
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2	**მაჩიტაძე ნ.ო.**		

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	N. Tsivtsivadze, G. Bregvadze, L. Lagidze, V. Trapaidze, N. Motsonelidze	Measures of Flood Risk Mitigation in Downstream of River Rioni	30 June - 6 July, 2019, Albena, Bulgaria www.sgem.org
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

N. Machitadze Marine Litter & Microplastic in the Black Sea EMBLAS-Plus Workshop. July 26-27, 2019

წარმოდგენილი იყო 2018 წ. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, გრაფიკული მასალის სახით მიწოდებული იყო დაკვირვების სტატისტიკური მინაცემები, ასევე წარდგენილი იყო 2019 წელს დაგეგმილი მონიტორინგის გეგმა.

2019 წლის 31 დეკემბერს ფოთში, პროექტ „EMBLAS+” ფარგლებში, სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში ჩატრადა შავი ზღვის საერთოშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ. ფოთის მერიის და საკრებულოს, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის, სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამას“, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსისტეტის წარმომდენლებმა, ასევე სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა. შეხვედრაზე განხილული იყო შავი ზღვის თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა, კერძოდ შავი ზღვის ჰიდროგრაფიული დაკვირვების ანალიზი, სამეცნიერო კვლევების და განათლების მნიშვნელობა შავი ზღვის გარემოს დაცვაში, ბიზნესის განვითარების გავლენა შავი ზღვის გარემოზე, დაცული ტერიტორიების როლი გარემოს შენარჩუნებაში და სხვა.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
_____ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი__

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
*____ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის“ ინსტიტუტი_*

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1) წამლის გადამტანი ნანონაწილაკების კვლევის განყოფილება
განყოფილების გამგე ბიოლოგიის დოქტორი მარიამ ხვედელიძე

№	გვარი, სახელი	სამეცნიერო წოდება	თანამდებობა	ძირითადი ფუნქციები	თსუ-ს II კორპუსი, სამუშაო ოთახების №	
1	2	3	4	5	6	
1.	ხვედელიძე მარიამი	ბიოლოგიის დოქტორი, ასისტ.პროფესორი	განყოფ.გამგე, უფროსი მეცნიერ მკვლევარი	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი	მე-2 კორპ. 329, 325	
2.	შენგელაია ალექსანდრე	ფიზ.მათ.მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	სხვადასხვა წარმომავლობის ნანონაწილაკების და ნანოტექნოლოგიების ინფორმაციული უზრუნველყოფა და პრაქტიკული დამზადება	მე-2 კორპ. 319	
3.	შეყილაძე ეკა	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ლიპოსომების და PLGA ნანონაწილაკების სტაბილობის განმსაზღვრელი ექსპერიმენტები	მე-2 კორპ. 330	
4	ქოჩორაძე გივი	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	გრანტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათ წარდგენაში ხელის შეწყობა	მე-2 კორპ. 329	
5	მძინარაშვილი მარიამი	დოქტორანტი	მეცნიერ მკვლევარი	ნანონაწილაკების და ანტიმიკრობული აგენტების კომპლექსების კვლევა	მე-11 კორპ. 525	
6	ლომაძე ელენე	დოქტორანტი	მეცნიერ მკვლევარი	ბაქტერიების და ფაგების გამრავლების სამუშაოებში მონაწილეობა.	მე-2 კორპ. 330, მე-11 კორპ. 525	
7	ტრაპაიძე ანა	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ნანონაწილაკების კვლევების შედეგების ანალიზი	მე-2 კორ. 325, 330, 329	

2) ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების კვლევების განყოფილება

განყოფილების გამგე - ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. თამაზ მძინარაშვილი

№	გვარი, სახელი	სამეცნიერო წოდება	თანამდებობა	ძირითადი ფუნქციები	თსუ-ს მე-2 და მე-11 კორპუსებში, სამუშაო ოთახების №	
1	მძინარაშვილი თამაზი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	განყოფ. გამგე, დირექტორი	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი	მე-2 კორპ. 329, მე-11 კორპ. 525	
2	შენგელია ნინო	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ბაქტერიების და ფაგების გამრავლების სამუშაოებში მონაწილეობა	მე-11 კორპ. 525, მე-2 კორპ. 325	
3	ტაბიძე ვიქტორია	ბიოფიზიკის მაგისტრი	მეცნიერ მკვლევარი	შესასწავლი ბაქტერიების და ფაგების შესახებ ინფორმაციის შეგროვება	მე-2 კორპ. 329	
4	თურქაძე ნინო	დოქტორანტი	მეცნიერ მკვლევარი	ბაქტერიების და ფაგების გამრავლების სამუშაოებში მონაწილეობა.	მე-2 კორპ. 330, მე-11 კორპ. 525	
5	პაპუკაშვილი ირინე	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ბაქტერიების და ფაგების გამრავლების სამუშაოებში მონაწილეობა. ტურბიდიმეტრული ექსპერიმენტები	მე-2 კორპ. 330, მე-11 მე-2 კორპ. 525	
6	ბოჭორიშვილი ვალერი	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	კვლევების ანალიზი კომპიუტერული მხარდაჭერით	მე-2 კორპ. 329	
7	კუკუტარია ლევანი	ფიზიკის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	კვლევების მოდელირება, თერმოდინამიკური ანალიზი	მე-2 კორპ. 329, 330	
8	ათანელაშვილი ილია	დოქტორანტი	მეცნიერ მკვლევარი	ექსპერიმენტების დაგეგმვა და მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების მომზადება დასაბეჭდათ	მე-2 კორპ. 329, 330	

3) ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის კვლევების განყოფილება

განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, ემერეტუსი პროფესორი ედუარდ ჩიკვაიძე.

№	გვარი, სახელი	სამეცნიერო წოდება	თანამდებობა	ძირითადი ფუნქციები	თსუ-ს II კორპუსი, სამუშაო ოთახების №	
1	ედუარდ ჩიკვაიძე	ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, ემერეტუს პროფესორი	განყოფ. გამგე, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი	მე-2 კორპ. 142	
2	გოგოლაძე თემური	ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ანტიოქსიდანტური აქტივობის მეთოდიკის დამუშავება და მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი	მე-2 კორპ. 142,145	
3	ტოპეშაშვილი მაია	დოქტორანტი	მეცნიერ მკვლევარი	ეპრ მეთოდით ანტროპოლოგიური დათარიღება	მე-2 კორპ. 142,145	
4	გოგიჩაიშვილი სალომე	მაგისტრანტი	ტექნიკური მუშაკი	საკვლევი ნიმუშების მომზადება	მე-2 კორპ. 142, 145, 329	
5	თამარ სანიკიძე	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	უფროსი მეცნიერ მკვლევარი	ანტიოქსიდანტური ფარმაკოლოგიური კვლევები. თავისუფალი რადიკალების ეპრ მეთოდით გადაღებული სპექტრების ანალიზი	მე-2 კორპ. 142, 145, 329	

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2 ❯ წამლის გადამტანი კალციუმის შემცველი ლიპოსომების მომზადება ახალი ნანოტექნოლოგით;	3 დაიწყო 2017-დან და გრძელდება დღემდე	❯ ხვედელიძე მარიამი-განყოფ.გამგე, უფროსი მეცნიერ მკვლევარი ❯ მძინარაშვილი თამაზი - ინსტიტუტის დირექტორი, პროექტის მენეჯერი ❯ შენგელაია ალექსანდრე -

			პროექტის მენეჯერი, დარგში არსებული კვლევების ანალიზი. ❱ შეყილაძე ეკა - ჩართულია ექსპერიმენტულ კვლევებში ❱ ქოჩორაძე გივი მენეჯერი ევროპულ გრანტებში მონაწილეობაზე ❱ ჭეიშვილი ლევანი- ჩართულია ექსპერიმენტულ კვლევებში, მონაწილეობს პუბლიკაციების წერაში. ❱ მძინარაშვილი მარიამი- ექსპერიმენტებში მონაწილეობა ❱ ლომაძე ელენე - ექსპერიმენტებში მონაწილეობა ❱ ტრაპაიძე ანა - ექსპერიმენტებში მიღებულკი შედეგების ანალიზში მონაწილეობა
2.	მიკრობების ქცევის ბიოფიზიკური კვლევები ❱ მიკრობული ბიოფილმების წარმოქნის ფიზიკური საფუძვლები. ❱ ბაქტერიების წამლის მიმართ რეზისტენტობის კვლევები.	კვლევები მიმდინარეობს ამჟამად	თ.მძინარაშვილი ❱ ვ.ტაბიძე - მიღებული ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი. ❱ ბოჭორიშვილი ვალერი ექსპერიმენტული შედეგების დამუშავება. ❱ კუკუტარია ლევანი არის გარანტორი, რომ ექსპერიმენტული ხესაწყოები აკმაყოფილებს ყველა საიმედო გაზომვის კრიტერიუმებს ❱ პაპუკაშვილი ირინე მიკრობიოლოგიური კვლევების წარმართვა და მასში მონაწილეობა
3.	ანტიოქსიდანტების გამოყენების პერსპექტივები.	კვლევები მიმდინარეობს ამჟამად	ედუარდ ჩიკვაიძე ❱ ტოპეშაშვილი მაია - ჩართულია ეპრ კვლევებში. ❱ თამარ სანიკიძე - ეპრ კვლევებში მონაწილეობა

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას კალციუმის მოლეკულების/ნაწილაკების შემცველი კომპლექსური ნანონაწილაკები, რომელსაც მივაწოდებთ ძვლის პრობლემიან პაციენტს (ოსტეოპოროზი, მოტეხილობა) მხოლოდ კალციუმ დეფიციტურ ადგილებში. ასეთი ნანონაწილაკები საშუალებას მოგვცემს მოტეხილობის ან ოსტეოპოროზის დროს კალციუმ დეფიციტურ ძვლებთან იყოს კალციუმის შემცველი მოლეკულები/ნაწილაკები მაღალი კონცენტრაციით. აღვნიშნავთ, რომ ორგანიზმში შეტანილი კალციუმის პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ ნანონაწილაკების სტრუქტურაშია არ გაიფანტება მთელ ორგანიზმში და იგი იქნება მხოლოდ კალციუმდეფიციტურ ადგილას (ე.ი. კალციუმის ორგანიზმში ჯამური რაოდენობა არ არის დიდი) და გასათვალისწინებელია ისიც, რომ კალციუმი, რომელიც შედის ნანონაწილაკების

სტრუქტურაში ვერ გამოიწვევს უარყოფით ეფექტებს, ვინაიდან განსხვავებით თავისუფალი კალციუმის პრეპარატისგან ნანონაწილაკში მოთავსებული კალციუმის პრეპარატი ვერ შეაღწევს ერითროციტის შიგნით და არ მოხდება სისხლში თრომბების წარმოქმნა.

პროექტით გათვალისწინებულია კალციუმიანი ნანონაწილაკების დამზადება გლიცერინში (ცნობილია, რომ გლიცერინის გამოყენებით ხდება კანის გავლით სხვადასხვა წამლების შეტანა ორგანიზმში), რომელიც დაეხმარება კალციუმიან ნანონაწილაკებს გადალახოს კანის ეპიდერმისი, რაც გაზრდის კალციუმის პრეპარატის კონცენტრაციას დაზიანებულ ძვალთან. პროექტში ნანონაწილაკების დასამზადებლად გამოვიყენებთ ორგანიზმისთვის ბიოთავსებადი და ადვილად ბიოდეგრადირებად ნანონაწილაკებს, მაგალითად, ლიპოსომებს (დიპალმიტოილ ფოსფატის ლიპიდებისგან - DPPC, DPPA, DMPC), ან უსაფრთხო პოლიმერული ბუნების პოლი ლაქტიდ-კო-გლიკოლის მჟავას - PLGA. ნანონაწილაკებში მოვათავსებთ სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ კალციუმის შემცველი მოლეკულებს (კალციგლუკონატი, ჰიდროფობული კალციუმის ფტორიდი CaF2, კარბონატი CaCO3, სულფატი CaSO4, ორთოფოსფატი Ca3(PO4)2, ოქსალატი CaC2O4). ასევე გამოვიყენებთ მცირე ნანოზომებამდე დაფქვილ ქათმის კვერცხის ნაჭუჭს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმს, რომელსაც ძვალი ადვილად აითვისებს. დათვლილი იქნება თუ რამდენი კალციუმის მოლეკულა/ნაწილაკი იქნება მოთავსებული ერთ ნანონაწილაკში, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს კომპლექსური ნანონაწილაკების ის კონცენტრაცია, რომელიც საკმარისი იქნება კალციუმ დეფიციტური უბნების კალციუმით მომარაგებისათვის.

კალციუმის შემცველი მოლეკულების მიერ კანის ეპიდერმისის გადალახვა განსაზღვრება ჩვეთან შექმნილი მოწყობილობით, რომელსაც აქვს ორსექციანი სინჯარა და ისინი ერთმანეთისგან გამოყოფილია ღორის კანით (ერთ სექციაში სუსპენზიაა მოთავსებული, მეორეში - დისტირირებული წყალი). თუ კომპლექსური ნანონაწილაკები გადალახავს კანს და შეერევა დისტირილებულ წყალს იგი გახდება დენის გამტარი, რასაც დააფიქსირებს სინჯარაზე დამონტაჟებული ფოტოდიოდის ნათება.

პროექტში მიღებული დადებითი შედეგით მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული ძვლის აღდგენის/რეაბილიტაციის დრო და მკურნალობა იქნება ეფექტური.

უცხოელ პარტნიორებთან ერთად ჩვენი ინსტიტუტი მონაწილეობს ახალი სახის ანტიოქსიდანტების შექმნასა და მათი მოქმედების მექანიზმების გარკვევაში. ლაპარაკია გლუკოზა, როგორ ახალი ფუნქციის (ანტიოქსიდანტური) მატარებელი (იბეჭდება სტატია ჯურნალ Antioxidant -იპაქტ ფაქტორი 4.5).

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	დამთავრების წლები	(თითოეულის როლის მითითებით)
1	2 COST #CA16112 HORIZON2020	3 2016-2021	4 თამაზ მძინარაშვილი - მონაწილე საქართველოდან პროექტის მენეჯმენტ კომიტეტის წევრი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

ჯანსაღი დაბერების პროცესის მნიშვნელობა აშკარად ხდება მაშინ, როდესაც
(ა) თაობა 50+ უკვე აქვს დაახლოებით ერთი მესამედი მოსახლეობის წილი ევროპის მასშტაბით, აშკარა რეგიონული ვარიაციით,
(ბ) ეს წილი სავარაუდოდ კიდევ უფრო გაზრდის მომავალში
გ) ხანდაზმულ ასაკში სიცოცხლისუნარიანობა არა მხოლოდ სიცოცხლის ხარისხის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, არამედ *მონაწილეობისა* და *პროდუქტიულობის გასაღრმავებლად* .
თემა "კვების და მოძველებული" ბევრ სხვადასხვა ასპექტს გააჩნია და მრავალ გამოწვევას უქმნის, რაც უზრუნველყოფს მრავალი კვლევითი თემებისა და ქსელების ნაყოფიერ ნიადაგს. მათ შორის, **"NutRedOx" ქსელი ყურადღებას გაამახვილებს კვების რეაქციის აქტიური ნაერთების გავლენას საკვებიზე ჯანსაღი დაბერების, კონტროლის ძირითად ასაკთან დაკავშირებული დაავადებების კონტექსტში.**

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2 3	***E.Shekiladze, T.Mdzinarashvili, M.Khvedelidze***	***„Calorimertic study the stability of DPPC liposomes and C and E vitamins complexes***	***Experimental and Clinical medicine Vol.2,***		3
1 2 3	***Papukashvili I, Lomadze E, Mdzinarashvili T.***	***The Action of Bacteriophages and -Lactam Antibiotic on P. aeruginosa Biofilm Formation***	***Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 10***		7
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	***Tamaz Mdzinarashvili, Mariam Khvedelidze, Eka Shekiladze, Aljoscha Koenneke, Marc Schneider***	***Stability of various PLGA and lipid nanoparticles in temperature and in time and new technology for the preparation of liposomes for anticancer and antibiotic loading.***	***Journal of Thermal Analysis and Calorimetry. 2019.***		11
1 2 3 4	***T.Mdzinarashvili, M.Khvedelidze, E.Shekiladze, R.Machaidze***	***Novel technology for the fast production of complex nanoliposomes***	***Journal of Biological Physics and Chemistry, Vol.16/4***		5
	Andriy Cherkas 1,*, Serhii Holota 2,3, Tamaz Mdzinarashvili 4, Rosita Gabbianelli 5 and Neven Zarkovic 6	***Glucose as a Major Antioxidant: When, What for and Why It Fails?***	***Antioxidants doi:10.20944/preprints201912.0165.v1***		18
2ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3 4	***Mdzinarashvili T. 1,*** ***Khvedelidze M. 1,*** ***Shekiladze E. 1*** ***Lomadze E. 1****	***Using Nanoparticles as Gene Carrier (vectors) in Cell†***	***Luxemburg,*** ***March 25 - 27, 2019***
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტმენტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი, ბ.მ.დ, ნანული დორეული - ხელმძღვანელი, ფიზიოლოგიის კათედრის გამგე; ბ.აკად. დ., ასოცირებული პროფესორი მაგდა ალანია; ბ.აკად.დ, ასისტ. პროფესორი ბუციკო ჩხარტიშვილი; პედაგოგი მანანა ჩიქოვანი; ბ.აკად. დ. ეკატერინე მითაიშვილი; ბ. აკად. დ. როზა ბუკია; ბ.მ.აკად.დ. ხათუნა ფარქოსაძე, ბ.მ.დ. ბესარიონ ფარცვანია; ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ბ.აკად.დოქ., ივანე კობაიძე, ლაბორანტები ბ.მ.აკად.დ. მელიცა სვანიძე, სადოქტორო პროგრამა დოქტორანტები: ცირა კაპანაძე, მარიამ ქურასბედიანი, ქეთევან ჩუბინიძე. მაგისტრი-გია ქუთელია, ლაბორანტი, დამხმარე პერსონალი - ანი ჭახნაკია.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების ანტიეპილეფსიური პოტენციის შესწავლა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში	დაწყება (19.12.2017) დამთავრება (19.12.2020)	პროფ. ნანული დორეული - პროექტის ხელმძღვანელი, მარიამ ქურასბედიანი- დოქტორანტი, პროექტის კოორდინატორი. მანანა ჩიქოვანი, როზა ბუკია, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, გია ქუთელია, ქეთევან ჩუბინიძე - ძირითადი პერსონალი, ანი ჭამხნაკია- დამხმარე პერსონალი -IT სპეციალისტი, ლაბორანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2019 წელს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით კვლევები 2 ეტაპად მიმდინარეობდა და ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები შემდეგია:

კვლევის პირველი ეტაპი მიზნად ისახავდა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში (კაინის მჟავას ეპილეფსიის სტატუსი (კმ-ეს)) ქვერცეტინისა და ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური-ნანონაწილაკების (ქმნნ) ადმინისტრაციის ეფექტების შედარებას. კმ-ეს ცხოველური მოდელების მისაღებად განხორციელდა კაინის მჟავას (12-15მგ/კგ) ერთჯერადი ინტრაპერიტონეალური ინექცია ორივე სქესის თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებში წონით 100-120გრ. შემდგომ ქცევით ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ის ვირთაგვები, რომელშიც კაინის მჟავას ინექციით გამოვლინდა ეპილეფსიური სტატუსისთვის დამახასიათებელი ყველა ქცევითი კორელატი (რასინის შკალის მიხედვით). ქცევითი ექსპერიმენტებისთვის მომზადდა ცხოველთა შემდეგი ჯგუფები: 1. (კმ-ეს)+ფიზიოლოგიური ხსნარი; 1. (კმ-ეს)+ქვერცეტინი; 3. (კმ-ეს)+ქმნნ.

კეტამინით ანესთეზირებულ და სტერეოტაქსულ აპარატში ფიქსირებულ კმ-ეს-ით ვირთაგვებში ნივთიერებათა ინექცია განხორციელდა 3-ჯერ (დღეში ერთხელ, დღეგამოშვებით) კუდის ვენაში. მესამე ჯგუფის ვირთაგვებში ქმნნ-ის ინექცია ხორციელდებოდა გარე სტატიკური მაგნიტური ველის (1ტესლა) ტემპორალური წილის პროექციაში უნილატერალური (მარჯვენა) ექსპოზიციით ან მის გარეშე. ერთჯერადი

ინექციისთვის გამოვიყენეთ ქვერცეტინი (SIGMA) 25მგ/კგ დოზით (გახსნილი 300მკლ DMSO-ში) და ქმნნ (იგივე დოზით ქვერცეტინი დაკავშირებული რკინაშემცველ მნნ-თან Iron oxide (II,III)MNN – SIGMA).

ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით მომზადებული ვირთაგვების ქცევითი მახასიათებლები შევაფასეთ ღია ველისა და T-ლაბირინთის ტესტებში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ კაინის მჟავა იწვევს ქცევითი მახასიათებლების სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს, მათ შორის დასწავლის მაჩვენებლების გაუარესებას. ქვერცეტინის სისტემური შეყვანა არაეფექტური იყო ეპილეფსიის სტატუსით გამოწვეულ მეხსიერების დარღვევასთან მიმართებაში. ქვერცეტინ-დაკავშირებული მნნ-ის ინექციის შემთხვევაში აღინიშნა დადებითი დინამიკა, თუმცა დასწავლის ტესტში სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილება სწორი რეაქციების რაოდენობაში აღინიშნა მხოლოდ ქმნნ-ის გარე მაგნიტური ველის ექსპოზიციის ფონზე ინექციისას, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მაგნიტური ველი ახდენს ქმნნ-ის ექსპოზიციის ლოკუსისკენ გადაადგილების მართვას. ამ მოსაზრებას წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მორფოლოგიური ექსპერიმენტების შედეგებიც ამყარებს, სადაც აღინიშნა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობის მომატება გარე მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს. იმისათვის რომ შეგვეფასებინა კმ-ეს-ით ვირთაგვებში ქმნნ-ის ტვინის სტრუქტურებში გადანაწილება გარე მაგნიტური ველის ექსპოზიციის ფონზე და შეგვედარებინა ქვერცეტინის ეფექტებისათვის, საანგარიშო პერიოდის მე-3- მე-6 თვეების განმავლობაში განხორციელდა მორფოლოგიურ ექსპერიმენტები. სადაც შევისწავლეთ ქვერცეტინის ან ქმნნ-ის სისტემური (კუდის ვენა) ინექციით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებები კმ-ეს-ით ვირთაგვებში. მორფოლოგიური ექსპერიმენტისთვის ქმნნ-ის ადმინისტრაცია ხდებოდა ჰიპოკამპის დონეზე მაგნიტური ველის წარდგენიდან 30წთ-ის, ხოლო ტვინის ექსტირპაცია - 80-120წთ-ის შემდეგ. რკინაშემცველი ჩანართების გამოვლენის მორფოლოგიური კვლევის მეთოდიკა დაწვრილებით აღწერილია წინა საანგარიშო მოხსენებაში. რკინაშემცველი ჩანართები ითვლებოდა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში, დაკბილულ ფასციასა და ახალ ქერქში. ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტური ველის უნილატერალური ექსპოზიციისას რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა შეესაბამება მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს, ამასთან კმ-ეს-ის და საკონტროლო ვირთაგვების მონაცემების შედარებამ გამოავლინა, რომ ეპილეფსიის სტატუსის მქონე ვირთაგვების ჰიპოკამპსა და ქერქში კრინაშემცველი ჩანართების რაოდენობა საკონტროლო ვირთაგვებთან მიმართებაში გაზრდილია, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ეპილეფსიის ფონზე ჰემატოენცეფალური ბარიერის განვლადობის გაზრდით.

მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ დამუშავებას პროგრამა PRIZM -ის საშუალებით. მიღებული მონაცემები შევადარეთ საკონტროლო ვირთაგვების მაგნიტური ველის ექსპოზიციისა და მაგნიტური ნანონაწილაკების (მნნ) ინექციით გამოწვეულ ქცევით ეფექტებს. ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტური ველი, ისევე როგორც მნნ დამოუკიდებლად (ქვერცეტინის გარეშე) არ იწვევს ცვლილებებს როგორც საკონტროლო, ისე კმ-ეს-ით ცხოველებში. გარემაგნიტური ველით მართული ქმნნ - საკონტროლო ვირთაგვებში აადვილებს დასწავლას, ხოლო კმ-ეს-ით ვირთაგვებში იწვევს ეპილეფსიით განპირობებული მეხსიერების დარღვევის კორექციას. ქვერცეტინი ან ქმნნ მაგნიტური ველის გარეშე აადვილებს საკონტროლო ვირთაგვებში დასწავლა, მაგრამ არაეფექტური აღმოჩნდა კმ-ეს-ით განპირობებულ მეხსიერების დარღვევასთან მიმართებაში.

კვლევის მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა in vivo ელექტროფიზიოლოგიური მეთოდის გამოყენებით შეგვესწავლა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველების როგორც ფონური ნეირონული აქტივობა, ისე ინტრაჰიპოკამპური ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული პასუხები მარჯვენა და მარცხენა ჰიპოკამპის შესაბამის ველებში და აღნიშნულ აქტივობაზე შეგვეფასებინა ქვერცეტინისა და ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების (ქმნნ) ეფექტები. სისტემურად შეყვანილი მაგნიტური ნანონაწილაკებისა და მასთან დაკავშირებული ქვერცეტინის მიმართული გადაადგილებისთვის გამოვიყენეთ გარე სტატიკური მაგნიტური ველი (გსმვ), რომლის ექსპოზიცია ხორციელდებოდა უნილატერალურად ტემპორალური წილის პროექციაზე. აღნიშნული ზემოქმედების ეფექტურობის შეფასებისთვის გამოვიყენეთ მორფოლოგიური კვლევა, რათა დაგვედგინა არსებობდა თუ არა კორელაცია რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობასა და მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსს შორის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ექსპერიმენტები: განისაზღვრა საკონტროლო ვირთაგვების ჰიპოკამპის ველებში ფონური და ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული ნეირონული აქტივობის ელექტროფიზიოლოგიური მახასიათებლები. კერძოდ, ფონურ აქტივობაში ვაფასებდით ამპლიტუდურ და სიხშიროვან მაჩვენებლებს, ხოლო გამოწვეულ პასუხებში კი - ამპლიტუდას და წყვილადი გაადვილების პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულ მახასიათებლებზე შევისწავლეთ სისტემურად (კუდის ვენაში ინექცია) შეყვანილი ქვერცეტინის (SIGMA, 25მგ/კგ, გახსნილი 300მკლ DMSO-ში) ეფექტები. მიღებული მონაცემების

ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემურად შეყვანილი ქვერცეტინი არ იწვევს ფონური აქტივობის სტატისტიკურად სარწმუნო ცლილებებს როგორც მარჯვენა ისე მარცხენა მხარის ჰიპოკამპში. ქვერცეტინს ასევე არ ჰქონდა გავლენა ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული ველის პოტენციალების ამპლიტუდურ მაჩვენებელსა და წყვილადი გაადვილების პროცენტულ მაჩვენებელზე.

ექსპერიმენტების შემდგომ სერიაში შევისწავლიდით ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების (ქ-მნნ) (ქვერცეტინი იგივე დოზით დაკავშირებული რკინაშემცველ მნნ-თან Iron oxide (II,III)MNN – SIGMA) ეფექტებს ჰიპოკამპის ფონურ და გამოწვეულ პასუხებზე. ვირთაგვებში ქმნნ-ის ინექცია ხორციელდებოდა გარე სტატიკური მაგნიტური ველის (1ტესლა) ტემპორალური წილის პროექციაში უნილატერალური (მარჯვენა) ექსპოზიცით. წინა ექსპერიმენტებით ჩვენს მიერ ნაჩვენები იყო, რომ აღნიშნული სიძლიერის მაგნიტური ველი არ იწვევს ვირთაგვებში ქცევითი მახასიათებლების ცვლილებას. ელექტროფიზიოლოგიური კვლევების მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა, რომ ცალკე მაგნიტური ველი არ ცვლის ნეირონული აქტივობის ამპლიტუდურ/სიხშიროვან მაჩვენებლებს როგორც მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს, ისე კონტრალატერალურად, ამისგან განსხვავებით, ქ-მნნ იწვევს სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს ორივე მხარის ჰიპოკამპში: ამცირებს განმუხტვების ამპლიტუდას და ზრდის განმუხტვების რაოდენობას. მარჯვენა და მარცხენა ჰიპოკამპში ქ-მნნ-ით გამოწვეული ცვლილებების სიძლიერის ურთიერთშედარებამ კი აჩვენა, რომ მათ შორის არაა სარწმუნო სხვაობა.

საანგარიშო პერიოდის მე-3-მე-6 თვე დაეთმო მორფოლოგიური ექსპერიმენტისთვის მასალის მომზადებასა და სხვადასხვა ჯგუფის (საკონტროლო ვირთაგვები და კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით ვირთაგვები (კმ-ეს)) საექსპერიმენტო ცხოველების ჰიპოკამპში რკინაშემცველი ნანონაწილაკების ვიზუალიზაციასა და ჰიპოკამპის სტრუქტურის ჰისტოლოგიურ შეფასებას. კეტამინით ანესთეზირებულ და სტერეოტაქსულ აპარატში ფიქსირებულ საკონტროლო/კმ-ეს ვირთაგვებში ქ-მნნ-ის ადმინისტრაცია ხდებოდა ტემპორალური წილის პროექციაზე მაგნიტური ველის წარდგენიდან 30წთ-ის, ხოლო ტვინის ექსტირპაცია - 120წთ-ის შემდეგ. ანათლებში მორფოლოგიური ცვლილებების შეფასებისათვის გამოვიყენეთ სტანდარტული მორფოლოგიური კვლევის მეთოდები: მოხდა ანათლების შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით (ბიომერის მეთოდი)/კრეზილ ვიოლეტით(ნისლის მეთოდი), რკინაშემცველი ჩანართების გამოვლენის მორფოლოგიური კვლევის მეთოდიკა დაწვრილებით აღწერილია წინა საანგარიშო მოხსენებაში. ზოგადმა მორფოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ კმ-ეს იწვევს ჰიპოკამპის სტრუქტურის დაზიანებას, განსაკუთრებით CA1 ველში. ცვლილებები გამოიხატებოდა უჯრედების შეჭმუხვნასა და ჰიპერქრომიაში, ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნა ნეირონთა განლაგებაში დარღვევა/დეზორიენტაცია და ნეირონთა კვდომით განპირობებული ლოკალური სიცარიელეები. აღნიშნულ ცვლილებეი არ იყო დამახასიათებელი ქ-მნნ-ის ინექციით ცხოველების ჰიპოკამპის ანათლებისათვის. რაც შეეხება რკინაშემცველ ჩანართებს სხვადასხვა ჯგუფის ცხოველების ტვინში: შევისწავლეთ მათი რაოდენობა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში, დაკბილულ ფასციასა და ახალ ქერქში როგორც საკონტროლო, ისე კმ-ეს ვირთაგვების თავის ტვინის ანათლებში. ანალიზმა აჩვენა, რომ საკონტროლო ვირთაგვებში მაგნიტური ველის უნილატერალური ექსპოზიციისას ქ-მნნ-ის ადმინისტრაციიდან 2სთ-ის შემდეგ რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა შეესაბამება მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს როგორც საკონტროლო, ისე კმ-ეს-ით ვირთაგვებში. საკონტროლო და კმ-ეს-ით ვირთაგვების მონაცემების შედარებამ გამოავლინა, რომ ეპილეფსიის სტატუსის მქონე ვირთაგვების ჰიპოკამპსა და ქერქში კრინაშემცველი ჩანართების რაოდენობა საკონტროლო ვირთაგვებთან მიმართებაში გაზრდილია. რკინაშემცველი ჩანართები არ აღინიშნებოდა ორივე ჯგუფის ცხოველების დაკბილულ ფასციაში. მაგნიტური ველის მარჯვენა მხარეს ექსპოზიციისას კმ-ეს რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობას CA1 ველში ზრდიდა 5-ჯერ, კონტრალატერალურ მხარეს 2,5-ჯერ, CA3 ველში იფსილატერალურად 2.4-ჯერ, კონტრალატერალურად - 13-ჯერ. ქერქში დაახლოებით 2-ჯერ ორივე მხარეს. მაგნიტური ველის მარცხენა მხარეს ექსპოზიციისას კი აღინიშნა შემდეგი ცვლილებები: CA1 ველში იფსილატერალურად ჩანართები გაიზარდა 4.5-ჯერ, კონტრალატერალურ მხარეს 4.2-ჯერ, CA3 ველში იფსილატერალურად 2.4-ჯერ, კონტრალატერალურად - 13-ჯერ. ქერქში დაახლოებით 2-ჯერ ორივე მხარეს. აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსი ზოგადად ზრდის რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობას საკონტროლო ცხოველებთან შედარებით, რაც განპირობებული უნდა იყოს ეპილეფსიის ფონზე ჰემატოენცეფალური ბარიერის განვლადობის გაზრდით.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ქურასბედიანი, მანანა ჩიქოვანი, თამარ ქიმერიძე, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, როზა ბუკია, ნანული დორეული	ბიომედიცინის სერია. საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების საერთაშორისო ყრილობა მასალები 2019, #3-4, ტომი 45. ISBN-0321-1665	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. თბილისი, 2019	4 (353-357გვ.)
2	ნინო ჩიქობავა, გურამ ბექაია, ნანა დორეული	ბიომედიცინის სერია. საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების საერთაშორისო ყრილობა მასალები 2019, #3-4, ტომი 45. ISBN-0321-1665	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. თბილისი, 2019	4 (453-454გვ.)
3	ცირა კაპანაძე, მარიამ ქურასბედიანი, გია ქუთელია,	„ნეიროგლიის ფუნქციები“	თბილისი, საქართველო, 2019	1

	მანანაჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, ნანული დორეული	საერთაშორისო კონფერენცია, თეზისები https://www.neurogliatbilisi.com/abstracts		
4	ნ.დორეული, მ. ქურასბედიანი, მ. ჩიქოვანი, თ. ქიმერიძე, ბ. ჩხარტიშვილი, ბ.ფარცვანია	მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი და ახალგაზრდა მეცნიერთა სკოლა „ტვინი და ნეიროპლასტიკურობა: სტრუქტურული და მოლეკულური ასპექტები“, 2019. ISBN:978-9941-8-1256-9	ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, 2019	1
5	ნ.დორეული, მ. ქურასბედიანი, მ. ჩიქოვანი, თ. ფეიქრიშვილი, ბ. ჩხარტიშვილი, რ.უკია	მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი და ახალგაზრდა მეცნიერთა სკოლა „ტვინი და ნეიროპლასტიკურობა: სტრუქტურული და მოლეკულური ასპექტები“, 2019. ISBN:978-9941-8-1256-9	ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, 2019	1

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკი (ქ-მნნ) თრგუნავს კაინატით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ განმუხტვებს ჰიპოკამპში და იწვევს მეხსიერების დარღვევის კორექციას ვირთაგვებში**

ნეიროდეგენერაციული დარღვევების მკურნალობაში ყურადღება ეთმობა ფლავონოიდებს- მცენარეული წარმოშობის ანტიოქსიდანტებს, რომელთაც ახასიათებთ ანტიალერგიული, ანტისიმსიმნური ნეიროპროტექტორული მოქმედება. მრავალფეროვანი ბიოლოგიური ეფექტების მიუხედავად, მაგ. ქვერცეტინის კლინიკაში გამოყენება შეზღუდულია ცუდი ბიოშეღწევადობის გამო. ნანონაწილაკებს აქვთ უნარი დაიკავშირონ აღნიშნული პრეპარატი და მემბრანული ბარიერების გავლით განახორციელონ კონკრეტულ ლოკუსებზე ზემოქმედება. მაგნიტური ნანონაწილაკების გადაადგილების მართვა შესაძლებელია გარე სტატიკური მაგნიტური ველით, რომელსაც ახასიათებს კარგი ბიოშეღწევადობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვერცეტინისა და ქ-მნნ-ის ეფექტების განსაზღვრა ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში კაინის მჟავას (კმ) ინტრაჰიპოკამპური აპლიკაციით გენერირებულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე და ქცევით ექსპერიმენტებში კმ-ის ეპილეფსიური სტატუსით (კმ-ეს) განპირობებულ მეხსიერების დარღვევაზე.

ცდები განხორციელდა ზრდასრულ 10-12 კვირის თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებზე. კეტამინით ანესთეზირებულ და სტერეოტაქსულ აპარატში ფიქსირებულ ვირთაგვებში აღვრიცხავდით კმ-ის ინტრაჰიპოკამპური ინექციით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობას და ვაფასებდით ქვერცეტინის/ქ-მნნ-ის წინასწარი სისტემური ადმინისტრაციის (კუდის ვენაში ინექცია) ეფექტებს ეპილეფტიფორმული აქტივობის ხანგრძლივობასა და გენერაციის სიხშირეზე. ქვერცეტინის/ქ-მნნ-ის ეფექტები ასევე შეფასდა კმ-ეს-ით განპირობებულ ქცევით დარღვევებზე ღია ველსა და T-ლაბირინთში. ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის რეგისტრაცია და ანალიზი მიმდინარეობდა კომპიუტერული პროგრამით Chart 5.5, მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება კი განხორციელდა PRIZM პროგრამით.

ელექტროფიზიოლოგიურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ქ-მნნ გარე სტატიკური მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს ამცირებს სუმარული ნეირონული აქტივობის ამპლიტუდას და იწვევს განმუხტვების რაოდენობის გაზრდას ფონური აქტივობის მაჩვენებლებთან მიმართებაში. მაგნიტური ველის ექსპოზიციის ფონზე ქ-მნნ-ის წინასწარი სისტემური ადმინისტრაცია იწვევს კმ-ით გენერირებული ეპილეფტიფორმული განმუხტვების როგორც ხანგრძლივობის, ისე სიხშიროვანი მაჩვენებლების შემცირებას. ქვერცეტინი დამოუკიდებლად ამცირებს ეპილეფტიფორმული განმუხტვების ხანრგძლივობას, თუმცა სტატისტიკურად

სარწმუნოდ ზრდის განმუხტვების სიხშირეს. ქცევითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მაგნიტური ველი, ისევე როგორც მაგნიტური ნანონაწილაკები (ქვერცეტინის გარეშე) არ იწვევს ცვლილებებს დასწავლის მაჩვენებლებში. გარე მაგნიტური ველით მართული ქ-მნნ საკონტროლო ვირთაგვებში აადვილებს დასწავლას, ხოლო კმ-ეს-ით ვირთაგვებში იწვევს ეპილეფსიით განპირობებული მეხსიერების დარღვევის კორექციას. ქვერცეტინი ან ქ-მნნ მაგნიტური ველის გარეშე აადვილებს დასწავლას საკონტროლო ვირთაგვებში, მაგრამ კმ-ეს-ით განპირობებული მეხსიერების დარღვევასთან მიმართებაში აღმოჩნდა არაეფექტური.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვერცეტინის მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირება და გარე მაგნიტური ველით ქ-მნნ-ის მართვა ზრდის ქვერცეტინის ეფექტურობას ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეული დარღვევების წინააღმდეგ.

კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის FR17_629 ფარგლებში.

2. ჰიპერჰომოცისტეინემიის პირობებში არტერიოლების კონტრაქტილობის ცვლილების შესაძლო მექანიზმი

დღეს უკვე ეჭვსგარეშეა, რომ ჰომოცისტეინის მეტაბოლიზმის მნიშვნელოვანი თანდაყოლილი დარღვევა პაციენტებში გულის კორონალურ სისხლძარღვთა დაზიანებას იწვევს. მრავალი კვლევის მიუხედავად, ამ დაზიანების განვითარების მექანიზმი დღემდე უცნობია. ამდენად აღნიშნული საკითხის შესწავლა ძალზედ მნიშვნელოვანია. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიკროსისხლძარღვები განიცდიან გავლენას ჰიპერჰომოცისტეინემიის პირობებში. კერძოდ, ჩვენს ექსპერიმენტებში აღნიშნული დიეტით განპირობებული ჰომოცისტეინის კონცენტრაციის მატება კორელირებს აცეტილქოლინით გამოწვეულ დილატაციის შემცირებასთან. ეს ცვლილება, სავარაუდოთ უნდა უკავშირდებოდეს აზოტის ოქსიდით განპირობებული არტერიული ვაზომოტორული რეაქციების მოშლას და წარმადგენს მნიშვნელოვან ადრეულ ეტაპს ჰიპერჰომოცისტეინემიასთან დაკავშირებული ვასკულური დაავადებების განვითარებაში. გამომდინარე აღნიშნული შედეგებიდან, ჩაითვალა მიზანშეწონილად იგივე ექსპერიმენტული მიდგომით შეგვესწავლა ზემოაღნიშნული პროცესები ნორადრენალინთან და ჰისტამინთან კავშირში.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა გაგვერკვია, როგორ იცვლება საკონტროლო და ჰიპერჰომოცისტეინემიანი ცხოველების არტერიოლების ნორმალური და დეენდოთელიზებული სეგმენტების კონტრაქტილობა ნორადრენალინსა და ჰისტამინზე ნორმასა და აზოტის ოქსიდის სინთაზების ინჰიბიციის პირობებში.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დიეტით განპირობებული ჰომოცისტეინის კონცენტრაციის მატება ასოცირებს ნორადრენალინით გამოწვეული კონსტრიქციის გაძლიერებასა და აცეტილქოლინით გამოწვეული დილატაციის შემცირებასთან. ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს აზოტის ოქსიდით განპირობებული არტერიული ვაზომოტორული რეაქციების მოშლას და წარმოადგენს მნიშვნელოვან ადრეულ ეტაპს ჰიპერჰომოცისტეინემიასთან დაკავშირებული ვასკულარული დაავადების განვითარებაში.

3. ორექსინ-ა გალვენა კაინის მჟავას ტემპორალური წილის ეპილეფსიის მოდელით განპირობებულ ელექტროფიზიოლოგიურ ცვლილებებზე

ნეიროპეპტიდი ორექსინი/ჰიპოკრეტინი ნაჩვენებია, რომ მონაწილეობს მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის კოორდინაცია/რეგულაციაში. მისი მოქმედების კომპლექსურობა დაკავშირებულია ორექსინერგული ნეირონების მრავალმხრივ პროექციებთან. ორექსინერგული რეცეპტორების წარმომადგენლობა ჰიპოკამპში მიუთითებს იმაზე, რომ ორექსინერგული სისტემა შესაძლოა მონაწილეობდეს ჰიპოკამპთან შეჭიდული ფუნქციების კონტროლში. ორექსინის ანტიეპილეფსიურ და პრო-კონვულსურ შესაძლებლობებზეა მსჯელობა სხვადასხვა ექსპერიმენტული მიდგომით ან ეპილეფსიის სხვადასხვა ცხოველურ მოდელებზე მიღებული მონაცემების ანალიზისას. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ასეთი განსხვავებული მონაცემები მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი კვლევების განხორციელება, რადგან ორექსინერგული სისტემა წარმოადგენს საიმედო სამიზნეს ეპილეფსიასთან დაკავშირებული დისფუნქციების სამკურნალოდ.

In vivo ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტები განხორციელდა რათა შეგვესწავლა ორექსინია (ა და ბ) ინტრაცერებროვენტრიკულური აპლიკაციების გავლენა ჰიპოკამპის ფონურ ნეირონულ აქტივობასა და გამოწვეულ ველის პოტენციალებზე. CA1/CA3 ველების ბიპოლარული ინტრაჰიპოკამპური ერთხელობრივი და წყვილადი ელექტრული სტიმულაცია ხორციელდებოდა ველური ტიპის საკონტროლო და კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით ვირთაგვებში. ჩვენმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ორექსინი -ა CA1 ველში ამცირებს ფონური აქტივობის ამპლიტუდურ მაჩვენებლებს და ზრდის განმუხტვების სიხშირეს, არ აღინიშნა ცვლილებები CA3 ველში. ცვლილებები CA1 ველში ამავდროულად იწვევდა პასუხების ხანგრძლივობის შემცირებას. CA1-ში ერთხელობრივი გამოწვეული პასუხების ამპლიტუდა იზრდებოდა ორექსინი -ა ადმინისტრაციის შემდეგ, ორექსინი-ბ იყო არაეფექტური, რაც ორექსინერგული პირველი ტიპის რეცეპტორების მონაწილეობაზე მიუთითებს. ორექსინ-ა-ს არ ჰქონდა გავლენა წყვილად გაადვილებაზე, რაც მის პოსტსინაფსურ ეფექტებზე მეტყველებს. კაინის მჟავას ეპილეფსიის მოდელით გამოწვეული ცვლილებები ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში განსხვავებულია და ამასთან ის ცვლის ორექსინის ეფექტებს ამ ველებში. განიხილება სავარაუდო მექანიზმები.

4. ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების გავლენა ეპილეფსიით განპირობებულ მეხსიერების დარღვევაზე ვირთაგვებში

კვლევის მესამე ეტაპი მიზნად ისახავდა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში (კაინის მჟავას ეპილეფსიის სტატუსი (კმ-ეს)) ქვერცეტინისა და ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური-ნანონაწილაკების (ქმნნ) ადმინისტრაციის ეფექტების შედარებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ექსპერიმენტები, რომლებიც თანმიმდევრულად განხორციელდა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდის 1-4 თვე მიმდინარეობდა ეპილეფსიური სტატუსის მქონე ვირთაგვებში ქვერცეტინის ან ქმნნ-ის ინექციით ქცევითი მახასიათებლების შესწავლა და ურთიერთ შედარება.

კმ-ეს ცხოველური მოდელების მისაღებად განხორციელდა კაინის მჟავას (12-15მგ/კგ) ერთჯერადი ინტრაპერიტონეალური ინექცია ორივე სქესის თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებში წონით 100-120გრ. შემდგომ ქცევით ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ის ვირთაგვები, რომელშიც კაინის მჟავას ინექციით გამოვლინდა ეპილეფსიური სტატუსისთვის დამახასიათებელი ყველა ქცევითი კორელატი (რასინის შკალის მიხედვით)(სურ.1), რაც ვლინდებოდა საფეხურებრივად შემდეგში: 1. აბსენსის-მსგავსი უმოძრაობა; 2. სახის ავტომატიზმი - გადაჭარბებული ზედა ტუჩის მოძრაობა, რასაც ხშირად თან ახლდა მომატებული ნერწყვის გამოყოფა, ასევე „სველი ძაღლის“ ბერტყვის ქცევა; 3. რხევა სახის კუნთების ავტომატიზმითა და წინა კიდურების კლონუსით; განმეორებადი რხევებით და კიდურების კლუნუსითა და ვარდნით, წონასწორობის რეფლექსების მოშლით და 5. გენერალიზებული ტონურ-კლონური შეტევები ლატერალური ვარდნებით ან შეხტომებით და გენერალიზებული კონვულსიებით.

ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების ეპილეფსიის მოდელზე გავლენის შესასწავლად ქცევითი ექსპერიმენტებისთვის მომზადდა ცხოველთა შემდეგი ჯგუფები: 1. (კმ-ეს)+ფიზიოლოგიური ხსნარი; 1. (კმ-ეს)+ქვერცეტინი; 3. (კმ-ეს)+ქმნნ.

კეტამინით ანესთეზირებულ და სტერეოტაქსულ აპარატში ფიქსირებულ კმ-ეს-ით ვირთაგვებში ნივთიერებათა ინექცია განხორციელდა 3-ჯერ (დღეში ერთხელ, დღეგამოშვებით) კუდის ვენაში. მესამე ჯგუფის ვირთაგვებში ქმნნ-ის ინექცია ხორციელდებოდა გარე სტატიკური მაგნიტური ველის (1ტესლა) ტემპორალური წილის პროექციაში უნილატერალური (მარჯვენა) ექსპოზიციით ან მის გარეშე. ერთჯერადი ინექციისთვის გამოვიყენეთ ქვერცეტინი (SIGMA) 25მგ/კგ დოზით (გახსნილი 300მკლ DMSO-ში) და ქმნნ (იგივე დოზით ქვერცეტინი დაკავშირებული რკინაშემცველ მნნ-თან. ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით მომზადებული ვირთაგვების ქცევითი მახასიათებლები შევაფასეთ ღია ველისა და T-ლაბირინთის ტესტებში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ კაინის მჟავა იწვევს ქცევითი მახასიათებლების სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს, მათ შორის დასწავლის მაჩვენებლების გაუარესებას.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვერცეტინის სისტემური შეყვანა არაეფექტური იყო ეპილეფსიის სტატუსით გამოწვეულ მეხსიერების დარღვევასთან მიმართებაში. ქვერცეტინ-დაკავშირებული მნნ-ის ინექციის შემთხვევაში აღინიშნა დადებითი დინამიკა (სურ.3, მეოთხე ჰისტოგრამა), თუმცა დასწავლის ტესტში სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილება სწორი რეაქციების რაოდენობაში აღინიშნა მხოლოდ ქმნნ-ის გარე მაგნიტური ველის ექსპოზიციის ფონზე ინექციისას (სურ.3, მეხუთე ჰისტოგრამა), რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მაგნიტური ველი ახდენს ქმნნ-ის ექსპოზიციის ლოკუსისკენ გადაადგილების მართვას. ამ მოსაზრებას წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მორფოლოგიური

ექსპერიმენტების შედეგებიც ამყარებს, სადაც აღინიშნა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობის მომატება გარე მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს.
შრომა შესრულებულია შოთა რუსთაველის ფონდისFR17-629 მხარდაჭერით.

5. ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების მიმართული გადაადგილება იწვევს კაინატით გამოწვეული ეპილეფტიფორმული განმუხტვების შეკავებას

ნეიროდეგენერაციულ დაავადებაათა შორის ეპილეფსია თავის ტვინის ყველაზე გავრცელებული ქრონიკული პათოლოგიაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პერიოდულად განმეორებადი კრუნჩხვები. ეპილეფსია უმეტეს შემთხვევაში მართვადია მედიკამენტოზური მიდგომით, თუმცა 30%-ზე მეტია განუკურნებელი ეპილეფსიის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია მრავალი ახალი თაობის ანტიეპილეფსიური პრეპარატი, რომელთა გვერდითი არასასურველი ეფექტები ნაკლებადაა გამოხატული, დღეისათვის ანტიეპილეფსიური პრეპარატების გამოყენებისას კეთდება მითითებები მათი სიფრთხილით მიღებასთან დაკავშირებით. უკანასკნელ წლებში მეცნიერთა მხრიდან დიდია ინტერესი მცენარეული წარმოშობის ფლავონოიდებისა და სხვა პოლიფენოლების მიმართ მათი ნეიროპროტექტორული აქტივობის გამო. ფენოლური ნაერთების უდიდესი წილით არიან წარმოდგენილნი ფარმაკოლოგიურ ინდუსტრიაში დღეს არსებულ მცენარეული წარმოშობის პრეპარატებს შორის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრეპარატების 60% მცენარეულია, ნათელი ხდება ფენოლების როლი სხვადასხვა გენეზის დაავადებების მკურნალობაში. მათდამი ინტერესი დიდია ტწე-ის და მასთან დაკავშირებული კოგნიტური და ფსიქიკური დარღვევების მკურნალობის თანამედროვე მიდგომების შემუშავებისას.

ანტიოქსიდანტური სტატუსიდან გამომდინარე ფლავონოიდების ეპილეფსიით გამოწვეული რეაქტიული ჟანგბადისა და პათოლოგიური NO-ს შემბოჭველები არიან, ამავდროულად აქვთ უნარი ეპილეფსიით გამოწვეულ კოგნიტურ დისფუნქციაზე იმოქმედონ მაკორეგირებლად, ამასთან ანტიეპილეფსიური პრეპარატებისგან განსხვავებით, მათ არ აქვთ გვერდითი არასასურველი ეფექტები. ფლავონოიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ქვერცეტინი. ცნობილია ქვერცეტინის მრავალი ფარმაკოლოგიური ეფექტი: ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ანტისიმსიმნური. თუმცა, კლინიკაში მისი გამოყენება ნაკლებად ხდება რამოდენიმე მიზეზის გამო: ის შეიცავს თავისუფალი ფენოლის ჰიდროქსილის ჯგუფებს, რომელნიც ადვილად იჟანგებიან. ამასთან, ქვერცეტინი წყალში ცუდად ხსნადია, ასევე ცუდად იხსნება ცხიმშიც, ამიტომ ის ცუდი ბიოშეღწევადობით ხასიათდება.

ასეთი პრობლემების თავიდან ასაცილებლად უკანასკნელ ტექნოლოგიურ მიღწევად გვევლინება ნანონაწილაკები. ნაჩვენებია, რომ ნანონაწილაკები უკავშირდებიან რა წამლებს, შეუძლიათ მათი სტაბილურობის გაზრდა, რითიც ამცირებენ წამლების კონტაქტს გარემოსთან მათი ტრანსპორტირების დროს. ძალზედ მნიშვნელოვანია ნანონაწილაკ - დაკავშირებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გადაადგილების მართვა, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა გზას გაივლის ეს ნივთიერება ორგანიზმში სისტემური შეყვანის შემდეგ, რადგან ნივთიერებათა დაკავშირება შეიძლება მრავალ დონეზე განხორციელდეს მათი დაკავშირების ლოკუსების მრავალფეროვნების შესაბამისად.

ჩვენი კველევის მიზანს შეადგენდა ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების ანტიეპილეფსიური პოტენციის შესწავლა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში. კონკრეტული ამოცანები კი შემდეგი იყო: ქვერცეტინის მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირება და მათი ეფექტების შეფასება ჰიპოკამპის CA1 ველის ნეირონულ აქტივობაზე; კაინის მჟავას უნილატერალური ინტრაჰიპოკამპური ინექციით (ჰიპოკამპის CA3 ველში) ეპილეპტიფორმული განმუხტვების გენერაცია და მისი მახასიათებლების შესწავლა; ქვერცეტინ-დაკავშირებული მნნ-ის სისტემური ადმინისტრირების ეფექტების შეფასება კაინის მჟავით გენერირებულ ეპილეფსიურ განმუხტვებზე მაგნიტური ველის ჰიპოკამპის პროექციაზე უნილატერალური ექსპოზიციის პირობებში.

კეტამინით ანესთეზირებულ ვირთაგვებში (180-200გრ) სტერეოტაქსულად ხდებოდა მეტალის ელექტროდების ინტრაჰიპოკამპური ჩანერგვა შესაბამისი კოორდინატების გამოყენებით (The rat brain in stereotaxic coordinates. G. Paxinos and Ch. Watson 1982). გამოვიყენეთ In-vivo ელექტროფიზიოლოგიური მიდგომა. რეგისტრაციის/ინექციისა და სტიმულაციისთვის კოორდინატები იყო: CA3: AP-3.8; L-4.2, H-4მმ ქემიტროდით კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური ინექციისთვის, CA1: AP-3.8, L-2.8, H-2.8მმ კონსტანტანის მეტალის ტრიპოლარული ელექტროდები ბიპოლარული სტიმულაციისა და უნიპოლარული რეგისტრაციისთვის. ბიპოლარული სტიმულაცია-5-10ვ, სწორკუთხა იმპულსები ხანგრძლივობა 0.2-0.3მსეკ. წყვილადი გაღიზიანება - იმპულსებსშორის ინტერვალი 30მსეკ. ჩანერგვა ხდებოდა ბილატერალურად,

ელექტროდების ფიქსაცია ხდებოდა ქალას ძვლებზე კბილის ცემენტით. რეგისტრაცია/ანალიზი - chart5.5, statistics- PRIZM. კაინის მჟავა - 1მკლ X 5, (12მგრ კმ :1.6 მლ ფიზიოლოგიური) 1მკლ სააპლიკაციო ხსნარი შეიცავს 7.5მკგ კაინის მჟავას. მაგნიტური ველი - 1ტესლა სიძლიერის უნილატერალურად 1სთ-ის განმავლობაში, ქვერცეტინი (SIGMA) - 25მგ:300მკლ DMSO. Iron oxide (II,III) magnetic nanoparticles solution SIGMA. განხორციელდა ექსპერიმენტები ქვერცეტინის მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირების მიზნით. ცდებში გამოვიყენეთ რკინაშემცველი მაგნიტური ნანონაწილაკი 30ნმ დიამეტრის (Sigma, N747408 Fe(II,III) ოქსიდის წყალხსნარი) და ქვერცეტინი (Sigma, Q4951). ქვერცეტინი იხსნება მხოლოდ ორგანულ გამხსნელებში, ჩვენ ცდებში გამოვიენეთ DMSO.

წყალში გახსნილი რკინაშემცველი ნანონაწილაკისა და DMSO-ში გახსნილი ქვერცეტინის ურთიერთდაკავშირება განხორციელდა ქვემოთ მოცემული პროცესების გათვალისწინებით:

1. ურთიერთშევადარეთ ნანონაწილაკისა და ქვერცეტინის მოლეკულის ზომები, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ ჩვენს მიერ გამოყენებულ რკინაშემცველ ნანონაწილაკზე თავისუფლადაა შესაძლებელი 100 ქვერცეტინის მოლეკულის დაკავშირება.

2. ქვერცეტინის საექსპოზიციო დოზად შეირჩა 25მგ/კგ. აქედან გამომდინარე განისაზღვრა სააპლიკაციო ქვერცეტინის მოლეკულათა რაოდენობა. ქვერცეტინის მოლეკულური წონაა 302.2გრ, და ის 6.02 X1023 (ავოგადროს რიცხვი) მოლეკულას შეიცავს. შესაბამისად, 25მგ შეიცავს 49X1018 ქვერცეტინის მოლეკულას, რომლის დასაკავშირებლად 100-ჯერ ნაკლები ნანონაწილაკის მოლეკულაა საჭირო. Fe3O4 –ის მოლეკულური წონაა 231.52გრ. და 1მგ ეს ნივთიერება, რომელიც 1მლ წყალშია გახსნილი 2.6X1018 მოლეკულას წარმოადგენს. ექსპერიმენტით გათვალისწინებული რაოდენობის ქვერცეტინის მოლეკულების დასაკავშირებლად საჭირო 49X1016 ნანონაწილაკი კი შესაბამისად 180მკლ მნნ-იან ხსნარშია წარმოდგენილი. ამ გათვლებზე დაყრდნობით განისაზღვრა ნანონაწილაკებისა და ქვერცეტინის თანაფარდობა, თუმცა დამატებითი პრობლემები წამოჭრა იმან, რომ ქვერცეტინი წყალში არ იხსნება. საბოლოოდ მრავალჯერადი ტესტირებით შეირჩა საინექციო ხსნარის სასურველი პროპორცია: ვირთაგვების წონიდან გამომდინარე (დაახლოებით 180 გრ). საინექციო ხსნარი შეიცავდა 54მკლ. ქვერცეტინს საბაზისო ხსნარიდან (300მკლ DMSO-ში გახსნილი 25მგრ ქვერცეტინი), 34მკლ რკინის ნანონაწილაკიან ხსნარს (1მგ/1მლ) და სრული გახსნისათვის ვამატებდით 45მკლ DMSO-ს. 54mkl quercetin solution(4.5mg quercetin) + 34mkl ironnanoparticles + 45mklDMSO - კუდის ვენაში ინექცია 30წთ-იანი მაგნიტური ველის უნილატერალური ექსპოზიციის შემდეგ. ფასდებოდა 2 წმ-იანი მონაკვეთები - 2მვ-ზე მეტი ამპლიტუდის პასუხების რაოდენობა და ამპლიტუდის გასაშუალებული მნიშვნელობი, აღირიცხებოდა ინტრაჰიპოკამპური გაღიზიანებით გამოწვეული ერთხელობრივი და წყვილადი პასუხები.

მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ქ-მნნ ან გარე სტატიკური მაგნიტური ველი არ ცვლის ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის ამპლიტუდურ და სიხშიროვან მაჩვენებლებს, თუმცა ქ-მნნ-ის სისტემური შეყვანა ჰიპოკამპის პროექციაზე გარე მაგიტური ველის ადმინისტრაციის ფონზე სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური ინექციით გამოწვეულ განმეორებადი ეპილეფტიფორმული განმუხტვების სიხშირეს და ამპლიტუდას. ასეთი ეფექტი არ ჰქონდა იზოლირებულად ქვერცეტინს.

შრომა შესრულებულია შოთა რუსთაველის ფონდისFR17-629 მხარდაჭერით.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, მანანა ჩიქოვანი, როზა ბუკია, ბესარიონ ფარცვანია	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების(ქმნნ) გავლენა ჰიპოკამპის CA1 ველში კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური ინექციით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე	11-15 თებერვალი, 2019წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში; http://conference.ens-2019.tsu.ge/
2	ბუციკო ჩხარტიშვილი, თამარ ქიმერიძე, მარიამ ქურასბედიანი, ნანული დორეული	მაგნიტური ველით მართული ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების (ქმნნ) გავლენა ვირთაგვების ქცევით მახასიათებლებზე	11-15 თებერვალი, 2019წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. http://conference.ens-2019.tsu.ge/
3	თამარი ფეიქრიშვილი, მარიამ ქურასბედიანი. როზა ბუკია, ნანული დორეული	ქვერცეტინ-დაკავშირებული რკინაშემცველი-ნანონაწილაკების გამოვლენა ჰიპოკამპში მაგნიტური ველის უნილატერალური ექსპოზიციის პირობებში	11-15 თებერვალი, 2019წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. http://conference.ens-2019.tsu.ge/
4	თამარ ქიმერიძე, მარიამ ქურასბედიანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, ნანული დორეული	ქვერცეტინ-დაკავშირებული კრინაშემცველი-ნანონაწილაკების ქცევითი ეფექტების შესწავლა ვირთაგვებში	11-15 თებერვალი, 2019წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. http://conference.ens-2019.tsu.ge/
5	მაგდა ალანია	ტბორულას ცენტრალური ნერვული სისტემის კვებითი ნეირონების ელექტრულ	11-15 თებერვალი, 2019წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო

		აქტივობაში მიმდინარე დამახასიათებელი ცვლილებები სიმაძღრის მდგომარეობის შექმნისას	მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. http://conference.ens-2019.tsu.ge/
6	მაგდა ალანია	კვებითი ნეირონული ცენტრების დახასიათება უხერხემლოთა ორი ტიპის რგოლოვანი ჭიების და წურბელების წარმომადგენლებში	26-28 სექტემბერი, 2019 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი' საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნეიროგლიის ფუნქციები".
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, მანანა ჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, როზა ბუკია, ქეთევან ჩუბინიძე, ბესარიონ ფარცვანია	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების გავლენა კაინატით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე ჰიპოკამპის CA1 ველში ვირთაგვებში	NeuroFrance 2019, 20-24 May, 2019 Marseille, France http://www.professionalabstracts.com/nf2019/iplanner/
2	მაგდა ალანია	კვებით აქტივობასთან დაკავშირებული ნერვული სტრუქტურებისა და ნერვული ელემენტების თავისებურებანი Lophotrochozoa-ს წარმომადგენლებში	13-17 აგვისტო, 2019წ. ტიჰანი, უნგრეთი; უხერხემლოთა ნეირომეცნიერების პირველი სიმპოზიუმი; ორგანიზატორი: უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიური კვლევების ცენტრის ბალატონის ლიმნოლოგიური ინსტიტუტის ექსპერიმენტული ზოოლოგიის დეპარტამენტი და მისი პარტნიორი pcongress.hu https://pcongress.hu/Congress/tudomanyos_program/86/?lang=en
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიომრავალფეროვნების კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი
პროფ. არნოლდ გეგეჭკორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
1. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი

2. ასისტ. პროფესორი- ზელიმხან კერესელძე

3. მოწვეული პედაგოგი - ბ.მ.დ. მარინე ბოკერია

4. უფრ. ლაბორანტი - მაია ჩუბინიძე

5. ლაბორანტი - ნანა ბარნაველი

6. ლაბორანტი - ქეთევან ოდიკაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Arnold Gegechkori	Biomes of the Caucasus: comprehensive review	Nova Science Publishers", Inc. USA., (Agreement, 2019)	508pp.
მონოგრაფიაში კავკასიის ორგანული სამყაროს თაობაზე პირველი ინტერდისციპლინური ნაშრომი გამოქვეყნდა დაახლოებით 100 წლის წინათ, ცნობილი მეცნიერის გუსტავ რადეს მიერ. აშშ-ში გამოსაცემი ჩემი მონოგრაფია წარმაოდგენს მეორე ასეთ შემთხვევას გ. რადეს შემდეგ. ცხადია, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში კავკასიის ბუნებამ (ფლორა-ფაუნა) ძირითადად ადამიანის ანუ ანთროპოგენური ზემოქმედებთ განიცადა ძირეული ცვლილება. მსგავსი პროცესი არ შეეხო მხოლოდ დიდი კავაკსიონის სამანქანო გზებით მიუდგომელ მაღალმთიან რეგიონებს. მონოგრაფია ინტერდისციპლინური კუთხით ასახავს კავკასიის რეგიონის (440 000 კვადრატული კილომეტრი) ორგანული სამყაროს				

როაბას, მისი გეოგრაფიული ზონების ანუ ბიოლოგიის ენაზე ბიომების რაობას. გაკეთებულია ცალკეული ბიომის ფლორა-ფაუნის დეტალური ანალიზი და რაც მთავარია, ახსნილია მოცემულ ბიომთა ცოცხალი ორგანიზმების, განსაკუთრებით ენდემებისა და ენდემებისა-რელიქტების რაობა თანამედროვე პირობებში. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რა სხვადასხვა იშვიათ სახეობებს, ცხოველთა და მცენარეთა ასეთი საკვანძო სახეობები დაწვრილებით არის აღწერილი ქოროლოგიის სიმაღლებრივი სარტყლიანობის და ზოგადად პალეონტოლოგიის გათვალისწინებითაც. ნათქვამი ეხება კავკასიის უდაბნოებსა დ ნახევრად უდაბნოებს, არიდულ ნათელ ტყეებს, სტეპებს, მთის ქსეროფიტებს, ფართოფოთლოვან ზაფხულმწვანე ტყეებს, ტაიგის ტიპის წიწვოვან ტყეებს, სუბალპურ და ალპურ სარტყლებს და მათ შორის გარდამავალ ეკოტონებს. პირველად არის მოცემული სრულყოფილი დიფერენციაცია კავკასიის უდაბნოების, კერძოდ, გრუნტის თავისებურებების მიხედვით. მონოგრაფიაში აქცენტი არის გაკეთებული ასევე დღევანდელ ბიომებზე ანთროპოგენული დატვირთვის თაობაზე, კერძოდ, მომთაბარე მეცხოველეობის ზეგავლენაზზე, როგორც მაღალმთიან ჰაბიტატებში, ისე ზამთრის საძოვრებზე; პირიქით; ცალკე განიხილება მომთაბარე მეფუტკრეობის საკითხი, როგორც მაღალმთიანეთში ყვავილოვან მცენარეთა დამატებით დამტვერვის საშუალება. ყველა თავს ახლავს შემაჯამებელი დასკვნები და დაბოლოს, ზოგადი ხასიათის დასკვნა. ეს უკანასკნელი მოიცავს გარდა ზემოთ ნახსენები საკთხებისა კავკასიის ორგანული სამყაროს ევოლუციური ტენდენციების ფორმირებისა და ეკოლოგიის საკითხებს. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული (200-ზე მეტი ფოტო). ეს საილუსტრაციო მასალა ასახავს ცალკეულ ლანდშაფტურ ერთეულებს, მათში გამოყოფილ ჰაბიტატებს, ამ უკანასკნელში წარმოდგენილ მცენარეთა და ცხოველთა უნიკალურ სახეობებს. ეს ფერადი ილუსტრაციები, რიგ შემთხვევაში პირველად არის გადაღებული ავტორის მიერ და ამდენად ფრიად ამდიდრებს მონოგრაფიას ვიზუალურადაც. მონოგრაფიას ახლავს ტოტალური ნუსხა ლათინური ტერმინებისა და წიგნში გამოყენებული კავკასიელი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, რომელბიც გატანილია ნაშრომის ბოლოს როგორც დამოუკიდებელი ნუსხა.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Arnold Gegechkori	The Most Incredible Refugial Areas in the Caucasus Ecoregion – Colchis and Hyrcania https://aplr.tsu.ge/Proceedings.pdf	International Multidisciplinary Conference. Proceedings Actual Problems of Landscape Sciences: Environment, Society Politics.	TSU, I. Chavchavadze ave. Tbilisi, Georgia; 2019წ.	pp.46-50
1. The Caucasus consist of about 6,300 species of vascular plants, from which 1,600 are endemic to the region. Endemism and range disjunction patterns in the Caucasus caused by Miocene Alpine Himalayan orogenesis and, therefore, Afro-Eurasian plates tectonic movements have been crucial in encouraging of intensive split of continental blocks, hence speciation and formation extant (paleo) endemism and disjunct distribution patterns except other regions obviously is represented in the two refugial centers of the Caucasus Ecoregion – Colchis and Hyrcania. The next stage of the crucial abiotic event is strongly linked to major glaciations arisen in Pleistocene, which in Colchis unlike the Hyrcania caused the profound changes within the thermophilic biochore of this refugium. Among others, Tertiary Relict Taxa (TRT) concentrated in the Caucasus Ecoregion should be considerably mentioned in the ‘Colchis Triangle’ and Hyrcania. Present relict endemics, being restricted within refugial areas are the key to understand of past biotas. The most striking feature of Colchis forest is its evergreen and deciduous understory, harbouring Miocene-Pliocene relict remnants. The Hyrcanian refugium is incomparable with its climax hardwood overstory, which is preserved since Mid-Tertiary period. Relict communities of vegetations of two refugia of Euxine-Hyrcanian Province are correspondingly attract the complex of fauna of the same autoecology					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არნოლდ გეგეჭკორი	დიდტანიან წიწვოვანთა სახეობების განსახლებისა და ადაპტაციების გამოვლინებები დიდი კავკასიონის კირქვიანი მასივების (სამეგრელო, დას. საქართველო) სუბალპურ სარტყელში Patterns of dispersion and adaptations of large coniferous woody species in treeline ecotone of the limestone area of the Greater Caucasus (within the border of Samegrelo, West Georgia)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში, XI კორპუსი. 2019წ. 11-15 თებერვალი
2	ზელიმახან კერესელიძე	აღმოსავლეთ საქართველოს ორი სხვადასხვა ტიპის წყალსატევის ზოოპლანქტონის თვისობრივი და რაოდენობრივი სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები **Quantitive and qualitive peculiarities of the zooplankton and its formation in the East Georgia**	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მეშვიდე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში, XI კორპუსი. 2019წ. 11-15 თებერვალი
3			

1. დაკვირვებებს ვაწარმოებდი 2010-იან წლებში დიდ კავკასიონზე, კერძოდ სამეგრელოში, ოხაჩქუეს კირქვიან მასივებში (ზ.დ. 2000-2300მ).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნაძვისა (*Picea orientalis*) და სოჭის (*Abies nordmanniana*) ზ.დ. ექსტრემალურ სიმაღლესთან შეგუების ანატომიური და ბიოლოგიური ხასიათის თავისებურებები („ქცევები“). მსგავს დაკვირვებას დიდი კავკასიონის კირქვიანებში პირველად ჰქონდა ადგილი.

ნაძვი ხემცენარეებიდან ოხაჩქუეს სუბალპურ სარტყელში დომინანტია. განსხვავებით უთხოვრისაგან, რომელიც სუბალპების კირქვიან ეკოტონში (ხვამლი) ნიადაგზე გართხმულ, მჭიდრო ბუჩქნარად იზრდება, ნაძვი ქონდარა (1.5-6მ) სიმაღლის, ფრიად მეჩხერი პოპულაციით არის წარმოდგენილი და ქმნის საკუთარ მიკროჰაბიტატებს.

მაღალმთის მკაცრ კლიმატურ პირობებთან ნაძვის ადაპტაციის სტრატეგიული გამოვლენა მდგომარეობს ამ ხემცენარის ნიადაგისკენ დაშვებულ ტოტებში, სადაც ქვედა ტოტები სუბსტრატს მჭიდროდ ეხება. ნაძვის მსგავსი ჰაბიტუსი ფრიად განსხვავებულია მთის უფრო ქვედა სარტყელში გავრცელებული ნაძვნარისაგან, სადაც დედატოტები ნიადაგიდან, პირიქით, მნიშვნელოვნად არის დაშორებული. მაღალმთის ხემცენარე ასეთი გზით საახალწლო ნაძვის მსგავს, პირამიდულ ფორმას იღებს. მსგავსი არქიტექტონიკით ხემცენარეს საშუალება ეძლევა ნიადაგისკენ დააცუროს თოვლის დიდი მასა. ამ გზით მცენარე თავიდან იცილებს ზამთარში მაღალმთის უხვი თოვლის სიმძიმით გამოწვეულ დესტრუქციულ ქმედებას (ე.წ. „თოვლით გამოწვეული სტრესის გრადიენტი“). ოხაჩქუეს კირქვიანებში ნაძვის ჯუჯა ფორმა (დვორფიზმი), სიმეჩხრე, პირამიდული არქიტექტონიკა მაღალმთიანეთში თანამედროვე, ჰოლოცენის დროს ამ ხემცენარის მაღალ მთაში განსახლებასა და სხვა მერქნიან მცენარეებთან შედარებით სელექცირ უპირატესობაზეს მიუთითებს.

რაც შეეხება რეპროდუქციულ სტრატეგიას, აღმოსავლური ნაძვი სუბალპურ-ალპურ სარტყელთა გარემოში ვეგეტატიურად მრავლდება. მაღალმთის ნაძვის ხის კლონური პოპულაციები აშკარად ჯაბნის მთის საშუალო და უფრო მაღალი სარტყლის ნაძვის შეკრული კორომის თესლის გზით გამრავლებას.

აღმოსავლური ნაძვისგან განსხვავებით, სოჭი (*A. nordmanniana*) მაღალმთაში წარმოდგენილია მაღალი ტანის, ხშირი ხეებისაგან შემდგარი ტყისგან, რომელთა შორის გამოირჩევიან დიდი სიმაღლის (30-35მმ) ხე-ემერჯენტები.

დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ სუბალპურ/ალპურ ეკოტონში სოჭი ვერ უწევს კონკურენციას ნაძვს და აქა-იქ იზრდება მხოლოდ კირქვიანთა სათანადო ნიშებში (მაგალითად, კარსტების ძაბრისებრ ორმოებში), სადაც მიუხედავად დვორფიზმისა (6-10მ) ინარჩუნებს სწორ ღეროს.

2. სიონისა და კუმისის წყალსაცავები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მდებარეობით, ზომით, გრუნტის ხასიათითა და ფორმით, ჰიდროლოგიური და ჰიდროქიმიური რეჟიმით. ამიტომ ზოოპლანქტონის თვისობრივი შემადგნელობის ფორმირება ამ ორ წყალსატევში ერთგვარი ტავისებურებით ხასიათდება: სიონის წყალსაცავში ჯერ გაიზარდა სახეობების რიცხვი და მერე მკვეთრად შემცირდა; საბოლოოდ გაბატონდა ფილტრატორები. ასეთი ცვლილებეი წყლის დონისა და აბიოტური და ბიოტური ფაქტორების მკვეთრი ცვლილებითაა განპირობებული. კუმისის

წყალსაცავში სახეობების რიცხვი ფორმირების პერიოდში უფრო მკვეთრად შემცირდა და საბოლოოდ მტაცებლები გაბატონდნენ. შემორჩნენ ევრიჰალინური ფორმები. ეს ცვლილებები ძირითადად წყლის მარილიანობისა და ბიოტური ფაქტორების ცვლილებებთანაა დაკავშირებული.
წყალსაცავებში ზოოპლანქტონის რაოდენობრივი სტრუქტურა წლის მანძილზე მკვეთრი ცვლილებებით ხასიათდება, რასაც განაპირობებბენ: წყლის ჰიდრობიოლოგიური რეჟიმი, ბიოტური ფაქტოერბი (კვებითი ურთიერთდამოკიდებულება).

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Arnold Gegechkori	Patterns of dispersions and adaptations of large shade-tolerant coniferous species in treeline ecotone of the limestone area of the Greater Caucasus (within the border of West Georgia)	2nd International Conference on Water Saving and Plant Production Strategies. Constraints and Implications For Sustainable Agriculture. Department of Botany Government College University Faisalabad, Pakistan. 26-28 March, 2019
2	Arnold Gegechkori	Distribution patterns and adaptations of large shade-tolerant coniferous species in the treeline ecotone of the limestone area of the Greater Caucasus (within the border of West Georgia)	1st International Conference. Advances and Perspectives of Biodiversity Research and Conservation in Georgia. Tbilisi, Georgia. 20-22 May. 2019,
3	Arnold Gegechkori	The Most Incredible Refugial Areas in the Caucasus Ecoregion – Colchis and Hyrcania	International Multidisciplinary Conference. Actual Problems of Landscape Sciences: Environment, Society Politics. Assembly Hall, TSU, I Building, 2nd floor, 1, I. Chavchavadze ave. Tbilisi, Georgia; September 9-12, 2019
4	Arnold Gegechkori	Interpreting of Circum-Euxinian (Russian Black-Sea to Turkey) disjunctive distribution of sub-Mediterranean pseudomaquis plant community	4th Edition of Global Conference on Plant Science and Molecular Biology. London, UK. September 19-21

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

- **2019 წელს ბიომრავალფეროვნების კათედრაზე მომზადებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომი**

ბიოლოგიის დეპარტამენტი
1. **ხელმძღვანელი** - არნოლდ გეგეჭკორი
სტუდენტი - თამარ თოლორდავა
თემის დასახელება: თბილისის მიდამოების ეფემერული ფლორა
The ephemeral flora of the Tbilisi (Georgia) environment

- 2019 წელს წარმატებით განხორციელდა ზაფხულის სასწავლო-საველე პრაქტიკა ბიომრავალფეროვნებაში ბიოლოგიის (I და IIIკურსი), ეკოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სტუდენტებისათვის.
- 2019 წელს განხორციელდა სამეცნიერო ექსპედიცია, საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტურ ერთეულში კათედრაზე არსებული სამეცნიერო თემატიკის და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესასრულებლად

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, გენეტიკის კათედრა.

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა

G სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- თეიმურაზ ლეჟავა - კათედრის გამგე, სრული პროფესორი, ბმდ;
- თინათინ ჯოხაძე - ასოცირებული პროფესორი, ბმდ.
- მაია გაიოზიშვილი - ასისტენტ-პროფესორი, ბდ.
- ნიკოლოზ ბარათაშვილი - ლაბორატორიის გამგე, ბდ.
- თამარ ბუაძე, ლაბორანტი, ბდ;
- მარინე მენაბდე, ლაბორანტი, ბდ;
- თამარ სიგუა, ლაბორანტი, დოქტორანტი.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ქართულ პოპულაციაში გლუტათიონ S-ტრანსფერაზას M1 და T1 გენების პოლიმორფიზმის კავშირის დადგენა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით გამოწვეულ ჰეპატოტოქსიკურობასთან/**DI-2016-39.** 1. ფუნდამენტური მედიცინა (ადამიანის გენეტიკა)	17/11/2016-17/11/2019	**ალექსანდრე ლეჟავა**-სამეცნიერო ხელმძღვანელი **თამარ ბუაძე**-პროექტის ხელმძღვანელი **თეიმურაზ ლეჟავა**-კოორდინატორი **თინათინ ჯოხაძე**-ძირითადი პერსონალი **მაია გაიოზიშვილი**-ძირითადი პერსონალი **თამარ სიგუა**-ძირითადი პერსონალი

	2. სამედიცინო ბიოტექნოლოგია (დნმ-ის, ცილებისა და ფერმენტების იდენტიფიცირების პროცესში ჩართული ტექნოლოგიები და მათი ზემოქმედება დაავადების გამოვლინებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, გენური დიაგნოსტიკა და თერაპიული ინტერვენცია (ფარმაკოგენეტიკა, გენური თერაპია); 3. ჯანმრთელობის მეცნიერებანი (ინფექციური დაავადებები)		

საგრანტო პროექტის მეორე საანგარიშო პერიოდის (17/11/2017-17/11/2018) პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს პოპულაციის ინდივიდებში (50 ინდივიდი) გლუტათიონ S–ტრანსფერაზას (GST) გენების (GSTT1 და GSTM1) პოლიმორფიზმის სიხშირის დადგენა დნმ-ის იზოთერმული ამპლიფიკაციის მეთოდით, ინსტრუმენტ Ese-Quant Tube scanner-ის გამოყენებით.

აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, მოხდა საკვლევ ინდივიდებთან გასაუბრება და მათგან ინფორმირებული თანხმობის მიღება. საკვლევი მასალის შეგროვება (ნიმუშების აღება) და გლუტათიონ S–ტრანსფერაზას (GST) გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა.

გლუტათიონ S–ტრანსფერაზა (GST) ასრულებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს მრავალი ხელოვნურად წარმოებული ნაერთის, მათ შორის წამლების (ანტისიმსივნური პრეპარატების ჩათვლით) II ფაზის ბიოტრანსფორმაციასა და დეტოქსიკაციაში. ადამიანის ციტოზოლის GST-ები არიან პოლიმორფულები და ახასიათებთ ეთნო-დამოკიდებულება, დაკავშირებული სხვადასხვა სახის დაავადებასთან.

GSTT1 და GSTM1 ნულოვანი ფენოტიპების ფართო პოპულაციური ვარიაბელობა მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია, როგორიცაა: თითოეული პოპულაციის განვითარების განსხვავებული ისტორია, ცხოვრების წესით განპირობებული გადარჩევა, ტოქსინებისადმი განსხვავებული მგრძნობელობა და განწყობა გარკვეული დაავადებების მიმართ.

კვლევებში გამოიყენებოდა შემდეგი პრაიმერები:

GSTM1 ველური ტიპის ალელის პრაიმერების ნაკრები

GSTM1 TP	5'-GACAACCATATGAATTCTGGATTGTAGC-3'
GSTM1 FP	5'-ACCTTCTACCCTCAGAAGGTGACATTTTGGAGAACCAGAC-3'
GSTM1 BP	5'-CAGCTGGGCATGATCTG-3'
GSTM1 OP1	5'-GTTTTGTGGGTGGCAGGTGG-3'
GSTM1 OP2	5'-CCCAAATCCAAACTCTGTCA-3'

GSTT1 ველური ტიპის ალელის პრაიმერების ნაკრები

GSTT1 TP	5'-TTTGCACACACACTAGTTGCTGAAGTCCTGCT-3'
GSTT1 FP	5'-ACCTTCTGTACCCTCAGAAGGTGCAGCATCTGATTTGGGGAC-3'
GSTT1 BP	5'-GCCATAGCCCGGTGT-3'
GSTT1 OP1	5'-CAGGTGAACCCACTAGGCAG-3'
GSTT1 OP2	5'-TGGATGGTTGTGAGGGCAGG-3'

რეაქციის ნარევი შეიცავდა 2,9 μM FP და 2,9 μM TP, 1.5 μM BP, 0.36 μM OP1 და 0.36 μM OP2 პრაიმერებს; 1.4 mM dNTP- ებს, 5% დიმეთილსულფოქსიდს, 20 mM Tris-HCl (pH 8.0), 10 mM KCl, 10 mM (NH4)2SO4, 8 mM MgSO4, 0.1% Tween 20, 1/100,000 გაწზავების SYBR Green I, 6 ერთეულ Bst დნმ-პოლიმერაზას და სისხლის სპეციალურად მომზადებულ ნიმუშს.

რეაქციის ხარისხის კონტროლისათვის გამოიყენებოდა ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის SmartAmp-2 კიტი, რომლის პრაიმერებიც იყო შემდეგი:

TP - 5'-CACCGCAGCATGTTCCGCACCCAGCAGTTTG-3'

FP – 5'-CACCTTCACCCTCAGAAGGTGACCTGGCAGCCAGGAACG-3'

BP – 5'-ACAGATTTTGGGCT-3'

OP1 - 5'-GACCGTCGCTTGGTGCAC-3'

OP2 - 5'-CCTCCTTCTGCATGGTAT-3'

აღმოსავლეთ საქართველოს პოპულაციის ინდივიდებში (50 ინდივიდი) GST გენების პოლიმორფიზმის (GSTT1 და GSTM1) შესწავლისას, ინდივიდთა 74%-ში გამოვლინდა GSTT1 და GSTM1 დადებითი გენოტიპები, ხოლო 26%-ში აღინიშნა ამ გენების (GSTT1 და GSTM1) ერთ-ერთი ნულოვანი ვარიანტი. აქედან, GSTT1(-) დაფიქსირდა ინდივიდთა 24%-ში, ხოლო GSTM1 (-) ინდივიდთა 2%-ს აღმოაჩნდა. ასევე აღსანიშნავია რომ არცერთ ინდივიდში არ იყო დაფიქსირებული ორმაგი ნულოვანი ვარიანტი (GSTT1(-), GST1(-)).

მოცემული საანგარიშო პერიოდის მეორე ეტაპზე მოხდა დასავლეთ საქართველოს პოპულაციის ინდივიდებში (50 ინდივიდი) გლუტათიონ S–ტრანსფერაზას (GST) გენების (GSTT1 და GSTM1) პოლიმორფიზმის სიხშირის დადგენა იგივე მეთოდით. დასავლეთ საქართველოს პოპულაციის ინდივიდებში (50 ინდივიდი) GST გენების პოლიმორფიზმის (GSTT1 და GSTM1) შესწავლისას, ინდივიდთა 84%-ში გამოვლინდა GSTT1 და GSTM1 დადებითი გენოტიპები, შემთხვევათა 10%-ში დაფიქსირდა GSTT1(-) გენის ნულოვანი ვარიანტი. GSTM1(-) გენის ნულოვანი ვარიანტი საერთოდ არ დაფიქსირებულა. ასევე აღსანიშნავია, რომ ორმაგი ნულოვანი ვარიანტი (GSTT1(-), GST1(-) დაფიქსირდა შემთხვევათა 6%-ში.

მეორე საანგარიშო პერიოდის მესამე ეტაპზე დაგეგმილი იყო ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა ლიმფოციტურ კულტურებში გენომის არასტაბილურობის განსაზღვრა. გენომის სტაბილურობის დონის ერთ-ერთ ინდიკატორად ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ქრომოსომათა სტრუქტურული და რაოდენობრივი დარღვევების მაჩვენებელი და მისი ცვალებადობა. როგორც შედეგების ანალიზით გაირკვა, ტუბერკულოზით დაავადებულ ყველა ინდივიდში გამოვლინდა ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევების მაღალი დონე - აბერაციების შემცველ უჯრედთა ინდივიდუალური მაჩვენებელი დაავადებულებში სტატისტიკურად სარწმუნოდ აღემატებოდა ანალოგიურ მაჩვენებელს ჯანმრთელ ინდივიდთა საკონტროლო ჯგუფისათვის. აბერანტულ უჯრედთა საშუალო ჯამური მაჩვენებელი პაციენტებისათვის უტოლდებოდა 6.6±1,1%-ს და საკონტროლო ჯგუფისათვის - 1.7±0.5%. ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევების სპექტრი ძირითადად წარმოდგენილი იყო ერთეული და წყვილი ფრაგმენტების ან მიკროფრაგმენტების სახით.

ქრომოსომათა აბერაციების ანალიზის პარალელურად ხდებოდა იმ უჯრედთა აღრიცხვა, რომლებიც შეიცავდნენ ქრომოსომებს ცენტრომეროს ნაადრევი დაცილებით (ცნდ). ცენტრომეროს ნაადრევი დაცილების ფენომენმა, რომელიც მეტაფაზის სტადიაზე ვლინდება, შეიძლება განაპირობოს მიტოზში ქრომატიდთა არათანაბარი სეგრეგაცია და ქრომოსომათა რაოდენობრივი დარღვევების - ანეუპლოიდიის მიზეზად იქცეს. ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტის ინტაქტური კულტურებისათვის დაფიქსირდა ცნდ-ს შემცველ უჯრედთა სარწმუნოდ მაღალი სიხშირე (საშუალო ჯამური მაჩვენებელი დაავადებულებისათვის შეადგენდა 4.6±0.9%-ს; კონტროლში - 0.3±0.2%). ამ ფონზე, მოულოდნელი აღმოჩნდა ქრომოსომათა რაოდენობრივი დარღვევების - ანეუპლოიდიის ანალიზის შედეგები. დაავადებულთა ინტაქტურ კულტურებში მკურნალობამდე ქრომოსომათა ანეუპლოიდური რაოდენობის შემცველ უჯრედთა პროცენტულმა შემცველობამ საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით, კლების ტენდენცია გამოავლინა (ჯამური საშუალო მაჩვენებელი დაავადებულებისათვის - 4.0±1.9; საკონტროლო ჯგუფში - 6.0±0.9). შედეგებიდან გამომდინარე, ტუბერკულოზით დაავადებულ ინდივიდთა უჯრედები ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევებისა და სომატური რეკომბინაციის მაღალი დონით ხასიათდებიან, რაც გენომის მოდიფიკაციური ცვალებადობით არის განპირობებული.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, GST გენების (GSTT1 და GSTM1) ორმაგი ნულოვანი ვარიანტების ანტიტუბერკულოზური წამლებით გამოწვეულ ჰეპატოტოქსიკურობასთან კავშირის დადგენის მიზნით, შესწავლილ იქნა GST გენების (GSTT1 და GSTM1) პოლიმორფიზმი ქართული პოპულაციის ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ინდივიდებში. კვლევის შედეგად ინდივიდთა 79 % -ში გამოვლინდა GSTT1(+)/GSTM1(+) გენების დადებითი გენოტიპები, 15%-ში აღინიშნა GSTT1(-) გენის ნულოვანი ვარიანტი, GSTM1(-) გენის ნულოვანი ვარიანტი კი დაფიქსირდა დაავადებულთა 18%-ში. ხოლო ორმაგი ნულოვანი გენოტიპი ინდივიდთა 12%-ში (GSTT1(-)/GSTM1(-) აღმოჩნდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორმაგი ნულოვანი გენოტიპი (GSTT1(-)/GSTM1(-) დაფიქსირდა (20%) მხოლოდ ტუბერკულოზით დაავადებულ იმ ინდივიდებში, რომელთაც აღენიშნებოდათ ღვიძლის ფუნქციური სინჯებში ცვლილებები. ხოლო იმ ინდივიდებში, რომელთაც ჰქონდათ ღვიძლის ფუნქციური სინჯები ნორმაში, GST გენების ორმაგი ნულოვანი გენოტიპი (GSTT1(-)/ GSTM1(-) არ დაფიქსირებულა.

ჩვენი შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ GSTT1/GSTM1 ორმაგი ნულოვანი გენოტიპი ქართულ პოპულაციაში დაკავშირებულია წამლებით გამოწვეულ ჰეპატოტოქსიკურობასთან.

ტუნისის პოპულაციაში ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ კარბამაზეპინით გამოწვეული ჰეპატოტოქსიურობა უფრო მაღალი იყო იმ ინდივიდებში, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ GSTM1(-) ან GSTT1/GSTM1 ორმაგ ნულოვანი გენოტიპი. ჩვენი კვლევებით მიხედვით, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ჰეპატოტოქსიკურობა უფრო მაღალი იყო GSTT1/GSTM1 ორმაგი ნულოვანი გენოტიპის შემთხვევაში, თუმცა ჰეპატოტოქსიკურობა ასევე დაფიქსირდა GSTM1(-) გენოტიპის შემთავევაშიც.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა კავშირი GSTM1 და GSTT1 გენების ნულოვან გენოტიპებსა და წამლით გამოწვეულ ღვიძლის დაზიანებას შორის ქართული პოპულაციის ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ინდივიდებში, რომლებიც იტარებდნენ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობას იზონიაზიდის, რიფამპიცინისა და პირაზინამიდის გამოყენებით. აღნიშნული კვლევა საქართველოში ჩატარდა პირველად და წარმოადგენს სიახლეს ჩვენი პოპულაციისათვის. ასევე არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი პერსონალიზებული მედიცინის განვითარების მხრივ, ჩვენს ქვეყანაში.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ქართული სუბპოპულაციები ხასიათდებიან GSTT1 და GSTM1 გენების ორმაგი ნულოვანი ვარიანტების განსხვავებული სიხშირეებით - დასავლეთ საქართველოს პოპულაციისათვის დამახასიათებელია GSTT1/GSTM1 ორმაგი ნულოვანი ვარიანტების არსებობა (3%), აღმოსავლეთის პოპულაციაში GSTT1/GSTM1 ორმაგი ნულოვანი არ გამოვლენილა. ზოგადად ქართული პოპულაციაში GSTT1/GSTM1 გენების ორმაგი ნულოვანი და GSTT1 გენის ნულოვანი ვარიანტების სიხშირე (3%; 14%) მსგავსებას ავლენს ევროპულ პოპულაციებთან, GSTM1 გენის ნულოვანი ვარიანტის მიხედვით კი (6%) ვლინდება პოპულაციური ინდივიდუალობა.

2. ქართული პოპულაციის ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ინდივიდებში, რომლებიც იტარებდნენ ანტიტუბერკულოზური პრეპარატების საშუალებებით მკურნალობას, დადასტურდა კავშირი GSTM1 და GSTT1 გენების ორმაგ ნულოვან გენოტიპსა და მედიკამენტებით გამოწვეულ ჰეპატოტოქსიურობას შორის.

3. ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ინდივიდები ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევებისა და სომატური რეკომბინაციის მაღალი დონით ხასიათდებიან, რაც გენომის მოდიფიკაციური ცვალებადობით არის განპირობებული.

სამომავლო რეკომენდაციები:

ფილტვის ტუპერკულოზით დაავადებული ინდივიდებისათვის, რომლებიც იწყებენ მკურნალობას ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებით, რეკომენდირებულია GSTM1 და GSTT1 გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა, რათა ნულოვანი გენოტიპის აღმოჩენის შემთხვევაში, წინასწარ მოხდეს გარკვეული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა ღვიძლის წამლისმიერი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯოხაძეთ., ბუაძე თ., გაიოზიშვილი მ., ქირია ნ., ხუჯაძე ი., ლეჟავა თ.	GSTT1 და GSTM1 გენების პოლიმორფული ვარიანტების სიხშირე ქართული პოპულაციის ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში	Georgian medical News. მირებულია დასაბეჭდად	თსსუ, თბილისი, საქართველო	

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Teimuraz Lezhava, Tamar Buadze, Tinatin Jokhadze, Jamlet Monaselidze, Maia Gaiozishvili, Ketevan Rubanovi, Nana Kiria	Normalization of Epigenetic Change in the Genome by Peptid Bioregulator (Ala– Glu– Asp–Gly) in Pulmonary Tuberculosis. DOI: 10.1007/s10989-018-9699-4	International Journal of Peptide Research and Therapeutics. Volume 25, Issue 2, pp 555–563.	Springer Media	9

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ინგა ხუჯაძე, თამარ ბუაძე, თინათინ ჯოხაძე, თამარ სიგუა	GST გენის პოლიმორფული ალელების (GSTT1 და GSTM1) სიხშირე ქართულ პოპულაციაში	მედიკოსთა ტრადიციული 45-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია „ბაკურიანი 2019“, ბაკურიანი, საქართველო
2	თ. ჯოხაძე, მ.გაიოზიშვილი, თ.ბუაძე, თ.სიგუა, ნ.ბარათაშვილი, თ.ლეჟავა	მეტალთა იონებისა და პეპტიდურ ბიორეგულატორ ეპიტალონის მამოდიფიცირებელი გავლენის შესწავლა მიტომიცინის კლასტოგენურ ეფექტზე	საფაკულტეტო კონფერენცია, თსუ, თბილისი, 2019
3	ნინო ჩიღვინაძე (დოქტორანტი)	Study of variability of p53, orb genes and ribosomal cistrons activity during colon cancer	Human Genome and Health 2019 Second International Conference in Georgia. Tbilisi, 2019
4	ნანო მიქაია (დოქტორანტი)	გენეტიკური მახასიათებლები ფილტვის კიბოს დროს	Human Genome and Health 2019 Second International Conference in Georgia. Tbilisi, 2019

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ ბუაძე	Normalization of Genome instability in Pulmonary Tuberculosis	Rome, Italy, 2019

2	მაია გაიოზიშვილი	Glutathione S-transferase M1 and T1 Genes polymorphism assotiation with antituberculosis Drug-induced Hepatotoxicity in Georgian population	Rome, Italy, 2019
3	თეიმურაზ ლეჟავა	Change in "Aging" Heterochromatin by peptide bioregulators	Stockholm, Sweden, 2019
4	თეიმურაზ ლეჟავა	ეპიგენეტიკური მოდიფიკაციები პეპტიდური ბიორეგულატორების ზემოქმედებისას „დაბერებულ“ ჰეტეროქრომატინზე	Gothenburg, Sweden, 2019

ჯილდო

2019 წელს პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა, გერონტოლოგთა და გერიატრთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის რეგიონულ კონგრესზე (IAGG-ER), რომელიც გაიმართა გოტენბერგში, შვედეთში, დასახელდა ევროპის საუკეთესო მეცნიერად ფუნდამენტურ გერონტოლოგიაში და გადაეცა ჯილდო და მედალი.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ხელმძღვანელი - პროფესორი ნინო ფორაქიშვილი

პერსონალი:

ნუნუ მიცკევიჩი, ასოცირებული პროფესორი;

ნინო გაჩეჩილაძე, ასოცირებული პროფესორი;

ნინო ჭიკაძე, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე;

ქეთევან სიჭინავა, მასწავლებელი

თამარ ცერცვაძე;, ლაბორატი, გამდინარე ციტომეტრიის მთავარი ტექნოლოგი

მაია ხარიბეგაშვილი, ლაბორანტი-მიკრობიოლოგი

---

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერერთობლივადშესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2019 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის ჯილდო, ი. ბერიტაშვილის სახელობის სტიპენტია	2019-2020წელი	ი.ბერიტაშვილის სტიპენტიის სტიპენტიანტუ, საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი თამარ ცერცვაძე
1	ახალგაზრდა მეცნიერთა 2018 წლის კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის-YS-18-042 ,,ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის დროს CD180 რეცეპტორის ექსპრესიის ქრომოსომულ აბერაციებთან კორელაციის პროგნოსტიკული მნიშვნელობა”	2018-2020 წწ	ახალგაზრდა მეცნიერი, პროექტის ხელმძღვანელი - თამარ ცერცვაძე ახალგაზრდა მეცნიერის მენტორი- პროფესორი ნინო ფორაქიშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
2	2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-18-238),,ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის სიმსივნური მიკროგარემო და მისი გავლენა უჯრედულ სასიგნალო გზებზე”.	2018-2021წწ	დოქტორანტი- ანი ბილანიშვილი დისერტაციის ხელმძღვანელი- ნინო ფორაქიშვილი თანახელმძღვანელი- თამარ ცერცვაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

აღნიშნული სადისერტაციო კვლევის მთავარი მიზანია ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (ქლლ) სიმსივნური მიკროგარემოს გავლენის შესწავლა ქლლ უჯრედების სასიგნალო გზებზე მათი სამკურნალო მოდულაციის მიდგომების შემუშავების მიზნით.

ჩვენი ამოცანაა პირველად დავადგინოთ ინტერლეიკინ–4–ის (ილ–4) გავლენა CD180(RP105) ექსპრესიაზე, CD180-ით გაშუალებულ უჯრედშიდა სასიგნალო გზებზე და უჯრედების პროგრამირებულ კვდომაზე–აპოპტოზზე. კვლევა ტარდება ქლლ ჰეტეროგენულ ჯგუფებში, განსაზღვრულ პროგნოსტიკული მარკერების ექსპრესიასა და ქრომოსომული აბერაციების მიხედვით. ქლლ მიკროგარემოს ამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის ურთიერთქმედების დადგენა მოგვცემს საშუალებას ვიმსჯელოთ მათ მნიშვნელობაზე ქლლ პროგნოზს, პროგრესირების, სტრატიფიკაციის და პერსონალური თერაპიის მიდგომების შემუშავებაზე. მიღებული შედეგები, რომელსაც კვლევის მიზნის განხორციელებისა და

თითოეული ამოცანის ეტაპობრივი შესრულების შემდეგ მივიღებთ, იქნება ღირებული სიახლე როგორც ფუნდამენტური მეცნიერებისთვის, ისე ონკოჰემატოლოგიისათვის.

დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ქლლ უჯრედების ფენოტიპური დახასიათება და კლინიკური მახასიათებლების შეკრება
2. ილ-4 გავლენის შეფასება CD180 ექსპრესიაზე ქლლ უჯრედებზე
3. ქლლ უჯრედების CD180-გაშუალებული სასიგნალო კატეგორიებად დაყოფა
4. ილ–4–ის გავლენის შეფასება CD180–ით გაშუალებულ უჯრედშიდა სასიგნალო გზებზე
5. CD180–ით გაშუალებული აპოპტოზის და ილ–4–ით მისი მოდულაციის შესწავლა
6. ილ–4–ის გავლენის შეფასება განსაზღვრული პროგნოსტიკული მარკერების ექსპრესიასა და ქრომოსომული აბერაციების მიხედვით;
7. ილ-4-ს ეფექტის CD180 ფუნქციაზე ქლლ უჯრედებში და მისი შესაძლო თერაპიული/სტრატიფიკაციური მნიშვნელობის დადგენა.

მიღებული შედეგების საფუძველზე გამოტანული იქნება დასკვნები ილ-4-ის მიერ CD180-ის ექსპრესიასა და ფუნქციაზე ზეგავლენის შესახებ. დადგენილი იქნება სიმსივნური მიკროგარემოს ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის კოოპერირების ან ერთმანეთის მოდულირების თაობაზე. მიღებულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ექნება ქლლ იმუნოთერაპიის, მიმდინარეობის პროგნოზირების და სტრატიფიკაციისთვის.

კვლევის განხორციელება დაიწყო კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხების გადაჭრით. გასათვალისწინებელი იყო ეთიკური საკითხები კვლევის მასალის (პეროფერიული სისხლი) მოპოვების პროცესში. ამ მიზნით, შესაბამის სტრუქტურებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ მომზადდა სააპლიკაციო დოკუმენტაცია კვლევის განხორციელებაზე სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის მოსაპოვებლად. კვლევა სააპლიკაციო დოკუმენტებთან ერთად წარედგინა სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეთიკის კომისიას. განსაზღვრული პროცედურების გავლით კვლევამ დაუბრკოლებლად მიიღო თანხმობა აღნიშნული კომისიისგან.

შესაბამისად, კვლევა ხორციელდება ანონიმურობის პრინციპების, ეთიკური ნორმების სრული დაცვით და მხოლოდ პაციენტთა ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტის მიღების შემდეგ.

სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტი ხორციელდება პროექტის გეგმა–გრაფიკით დასახული ამოცანების მიხედვით. კერძოდ, კვლევაში ვიყენებთ თბილისის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის ჰემატოლოგიური კლინიკის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ქლლ-ით დაავადებულთა პერიფერიულ სისხლს. ხორციელდება ქლლ დიაგნოზის დაზუსტება იმუნოფენოტიპირების საფუძველზე: CD19+CD5+CD23+. ამავდროულად, კონფიდენციალობის დაცვით გროვდება ხელმისაწვდომი კლინიკური მახასიათებლები: დაავადების სტადია, ლეიკოციტების, თრომბოციტების რიცხვი, ჰემოგლობინის დონე პაციენტის სისხლში.

დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ ხდება ქლლ უჯრედების ფენოტიპირება კვლევასთან უშუალოდ დაკავშირებული და პროგნოზული მნიშვნელობის მქონე მარკერების პანელით, რომელიც მოიცავს: CD180, IgM, IgD, CD38, ZAP70. ქლლ უჯრედები იყოფა კატეგორიებად აღნიშნული მარკერების ექსპრესიის მიხედვით. ხდება CD180 ექსპრესიის შესწავლა გამდინარე ციტომეტრიის საშუალებით, ინტერლეიკინ–4–ით სტიმულაციის პირობებში.

ამასთანავე შევისწავლით ილ-4 ეფექტს CD180-ის ექსპრესიის დონეზე. ამ გავლენის დადგენა საშუალებას გვაძლევს CD180-ის ექსპრესიის პროფილის ანალიზისა in vivo მიახლოვებულ პირობებში, სადაც მიკროგარემოს ეს ორი ფაქტორი ახლოს ურთიერთქმედებს. CD180 ექსპრესიის დონეს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უჯრედშიდა სიგნალის გადაცემისთვის.

ამასთანავე, ხორციელდება ქლლ უჯრედების CD180-გაშუალებული სასიგნალო კატეგორიებად დაყოფა. ქლლ უჯრედების კატეგორიზაცია ხდება მათი სასიგნალო გზების სპეციფიკის მიხედვით. CD180-ის მონოკლონური ანტისხეულებით (მკა) შებოჭვის საპასუხოდ შემოწმდა AKT და p38MAPK პროტეინ კინაზების ფოსფორილირების დონე, რაც საშუალებას გვაძლევს დავყოთ პაციენტები ძირითად ქვეჯგუფებად: AKT მორეაგირე, p38MAPK-მორეაგირე, ორმაგმორეაგირე და არამორეაგირე.

CD180–ით გაშუალებული უჯრედშიდა სასიგნალო გზებისა და ილ–4–ით მისი მოდულაციის შესასწავლად ექსპერიმენტები გაგრძელდება კვლევის მომდევნო ეტაპებზეც. რაც საბოლოოდ გამოყენებული იქნება ქლლ უჯრედების მიკროგარემოს კომპონენტების ურთიერთკოოპერირების საკითხის შეფასებაში.			
3	2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-19-2646) „ანტიგენწარმდგენი უჯრედებსა და ეფექტორული T ლიმფოციტებზე ეპიგენეტიკური მოდიფიკაციის გავლენა პროსტატის სიმსივნის ექსპერიმენტულ მოდელში”.	2019-2022 წწ.	დოქტორანტი- ნინო მაისურაძე დისერტაციის ხელმძღვანელი- ნუნუ მიცკევიჩი თანახელმძღვანელი- გიორგი გურული

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი სადისერტაციო კვლევის მიზანია პროსტატის სიმსიბნურ თერაპიასთან ასოცირებული პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, კერძოდ პროსტატის კიბოს ანტისიმსივნური იმუნური პასუხის ეპიგენეტიკური მოდულაციის ახალი სტრატეგიის შემუშავება, პროსტატის კიბო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმსივნეა. მას შემდეგ რაც სიმსივნური პროცესი გასცდება პროსტატის საზღვრებს კიბოს განკურნება შეუძლებელი ხდება. ამ ეტაპზე პროსტატის კიბოს ერთადერთ ეფექტურ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ჰორმონული თერაპია, რომლის ძირითადი პრინციპები არ შეცვლილა, რაც განპირობებულია უფრო ეფექტური მკურნალობის სტრატეგიის არარსებობით. თუ პროსტატის სიმსივნე გახდება რეზისტენტული ანდროგენულ დეპრივაციაზე, მკურნალობის დღესდღეობით არსებული საშუალებებიდან არცერთი არ იძლევა დროში მდგრად ძლიერ თერაპიულ ეფექტს.

პროსტატის კიბოს ანტისიმსივნური იმუნური პასუხის ეპიგენეტიკური მოდულაციის ახალი სტრატეგიის ეფექტური კომბინაციური თერაპიის შემუშავება, მოიცავს ეპიგენეტიკური მოდიფიკატორის (5-AzaC), იმუნური მოდულატორის (ენდოთელიუმის B რეცეპტორის ინჰიბიტორები) და უჯრედული თერაპიის კომბინაციას. თერაპიის ეფექტურობის შეფასება სიმსივნის ზრდისა და იმუნოკომპეტენტური უჯრედების მოქმედების შესაძლო მექანიზმების გაანალიზებით ხდება.

კვლევის მიზნის მისაღწევად შემუშავებულია პროექტის შესრულების გეგმა-გრაფიკი და ექსპერიმენტული ნაწილის შესასრულებლად დასახულია შემდეგი ამოცანების შესრულება: პროსტატის კიბოს უჯრედებზე, T ლიმფოციტებსა და დენდრიტულ უჯრედებზე 5-აზაციტიდინის (5-AzaC) და ETB რეცეპტორების ინჰიბიტორის (BQ-788) ეპიგენეტიკური და იმუნომოდულატორული ეფექტის დადგენა ex vivo და in vivo. 5-AzaC-ის, BQ-788 და უჯრედული თერაპიის ანტისიმსივნური ეფექტურობის შეფასება in vivo და იმუნოკომპეტენტური უჯრედების განსახლების მონიშვნა და მონიტორინგი.

ამ ეტაპზე პროექტი საწყისს ეტაპზეა, მიმდინარეობს თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიება და სახარჯი მასალისა და ექსპერიმენტული ცხოველების შესყიდვის პროცესი. პროექტის კვლევითი ნაწილის

შედეგები მოხსენებული იქნება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, მომზადდება და გამოქვეყნდება სამეცნიერო პუბლიკაცია. პროექტის ფარგლებში მომზადებული სადოქტორო ნაშრომი გაფორმდება მოქმედი დებულების შესაბამისად და წარდგენილი იქნება სადისერტაციო საბჭოზე დასაცავად.

4	2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-19-1247) „Vδ1 და Vδ2 T უჯრედების ფენოტიპური თავისებურებები, თოლლ-მსგავსი რეცეპტორების ექსპრესია და ფუნქცია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პირებში."	2019-2022 წწ.	დოქტორანტი- თეკლე ყალიჩავა დისერტაციის ხელმძღვანელი- ნინა ფორაქიშვილი თანახელმძღვანელი- ნუნუ მიცკევიჩი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტუბერკულოზი მსოფლიო ჯანდაცვის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. საქართველო მიეკუთვნება ტუბერკულოზის მაღალი სიხშირის მქონე ქვეყანების რიცხვს. 2016 წელს ქვეყანაში ტუბერკულოზის სულ 3332 შემთხვევა (100 000 კაცზე 89,6 შემთხვევა) დარეგისტრირდა პენიტენციალური სექტორის ჩათვლით. მათგან 2 465 ახალი შემთხვევა იყო (100 000კაცზე 66.3შემთხვევა). მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი (MDR-TB) აღირიცხა ახალი შემთხვევების 11%-სა და წარსულში ნამკურნალებ შემთხვევათა 31%.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ტუბერკულოზის ინციდენტობისა და სიკვდილობის შემცირების მიმართულებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ტუბერკულოზი კვლავ სახელდება ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლებში წამყვან მიზეზად განვითარებად ქყეყნებში. საქართველოში, ტუბერკულოზის საგანგაშო სიხშირის გამო MDR-ის მაღალი წილით, *Mycobacterium tuberculosis* იმუნური რეაქციის შესწავლას შესაძლო იმუნოთერაპიის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულ სანდო და რელევანტურ კვლევებს შეუძლია გააუმჯობესოს ტუბერკულოზის კონტროლი. ბოლო წლებში სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეაფასეს მსოფლიოში არსებული სავალალო მდგომარეობა და დასახეს პრიორიტეტები, რათა მომავალ ათწლეულში შემცირებული და თავიდან აცილებული იქნას ტუბერკულოზის პანდემია. ყველაზე ფოკუსირებად თემას წარმოადგენს მკურნალობა და პრევენცია მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის. მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია გადაიჭრას ეს საკითხი არის სხვადასხვა.

ტუბერკულოზი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება, რაც მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას განაპირობებს. დაავადება უმეტესად ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე გადადებით და უპირატესად ჰაერ-წვეთოვანი გზით. შემთხვევათა დაახლოებით 90%-ში მისი გამომწვევია *Mycobacterium tuberculosis*, ხოლო დაახლოებით 10%-ში *Mycobacterium bovis.*

კვლევის მიზნს წარმოადგენს შევისწავლოთ ტუბერკულოზის ინფექციის ზეგავლენა γδ T უჯრედების ქვეპოპულაციებზე. *Mycobacterium tuberculosis* ინფექციის ამოცნობაში ჩართულია იმუნური კომპონენტები, ამ მხრივ, ბოლო წლებში ყურადღების ცენტრში მოექცა γδ T უჯრედები მათი მნიშვნელობის გამო, ამ მიკროორგანიზმების მეთვალყურეობასა და/ან რეზისტენტულობაში. თოლლ მსგავსი რეცეპტორების ლიგირება γδ T უჯრედებზე ჩართულია მათ აქტივაციის პროფილში და მიკობაქტერია აექსპრესირებს

ლიგანდებს TLR-ებისათვის. პროექტის ფარგლებში ასევე შესწავლილი იქნება TLR2-ის, TLR4 და CD180/RP105-ის ექსპრესია.

γδT უჯრედები წარმოადგენენ T ლიმფოციტების შედარებით პატარა ქვეპოპულაციას. T უჯრედების ეს პოპულაცია პერიფერიული T უჯრედების საერთო რაოდენობის 1-დან 10%-ია. γδT უჯრედებს აქვთ უნარი შეიცნონ ფართო სპექტრის ანტიგენები მთავარი ჰისტოშეთავსების კომპლექსის(MHC)მოლეკულების წარდგენის გარეშე. პირდაპირ უტევენ სამიზნე უჯრედებს უშუალოდ ციტოტოქსიური აქტიურობით ან არაპირდაპირ იმუნური უჯრედების გააქტიურების გზით. γδ T უჯრედების ფუნქციური პასუხები გამოწვეულია სტრესის ანტიგენების შეცნობით, რომელიც იწვევს ციტოკინების პროდუქციას და არეგულირებს პათოგენის გაუვნებელყოფას, ანთებას და ქსოვილის ჰომეოსტაზს სტრესის საპასუხოდ. თუმცა γδ T უჯრედების პარამეტრები და ფუნქციური მახასიათებლები ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი და მნიშვნელოვანია ამ უჯრედების შესახებ ცოდნის გაღრმავება. Vδ2 T უჯრედები წარმოადგენენ სისხლის γδ T უჯრედების უმრავლესობას, დაახლოებით 70% აექსპრესირებს T უჯრედული რეცეპტორის *Vδ2* ჯაჭვს და 30% *Vδ1*-ს. *ისინი ყოველთვის ასოცირებულნი არიან* Vγ9 ჯაჭვთან და უჯრედები, რომლებიც *Vδ2*-ს აექსპრესირებენ გამოიცნობენ მცირე ზომის ფოსფოლიპიდურ ანტიგენებს (PAg). ასევე ადრეულმა კვლევებმა აჩვენა რომ Vγ9Vδ2 T უჯრედები ძლიერად აქტივირდებიან სხვადასხვა მიკროორგანიზმების(*Mycobacterium tuberculosis)* და პარაზიტების(*Plasmodium falciparum)* მიერ.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია *γδT* უჯრედების ქვეტიპების ფენოტიპური თავისებურებების დახასიათება და თოლლ-მსგავსი რეცეპტორების ექსპრესიისა და ფუნქციის შესწავლა ფილტვის აქტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვგეგმავთ შემდეგი ამოცანების შესრულებას:

ამოცანა *1.* Vδ1 დაVδ2 T უჯრედების რაოდენობის განსაზღვრა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტების პერიფერიულ სისხლში. საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენს ჯანმრთელ პირთა პერიფერიული სისხლი. ჩვენს სამიზნეს Vδ2 T უჯრედების პოპულაცია წარმოადგენს, ვინაიდან კვლევებით ნაჩვენებია რომ, უჯრედების ეს პოპულაცია ძლიერად აქტივირდებიან სხვადასხვა მიკროორგანიზმების მიერ.

ამოცანა 2. Vδ1 დაVδ2 T უჯრედების აქტივაციის, ექსპანსიის, განსახლების დადგენა და მეხსიერების Vδ1 და Vδ2T უჯრედების განსაზღვრა ფენოტიპური ანალიზით.

ყურადღებას გავამახვილებთ Vδ2-ქვეტიპის გააქტიურებაზე აქტივაციის მარკერი CD69-ის გამოყენებით და ასევე ქემოკინის რეცეპტორების CCR5 და CXCR3 გამოყენებით. ეს კვლევა საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ

Vδ1 და Vδ2 T უჯრედების აქტივაციის დონე, ექსპანსია და გადაადგილება აქტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში. T უჯრედების პოპულაციაში შეიძლება გამოიყოს მეხსიერების ქვეპოპულაციები, რომლებიც განისაზღვრება ორი მარკერის, CD27 დაCD45RA ექსპრესიით. გარდა ამისა γδ T უჯრედები CD27 და CD45RA მარკერის ექსპრესიის მიხედვით იყოფიან 4 სუბპოპულაციად: გულუბრყვილო(CD27+CD45+), ცენტრალური მეხსიერების(CD27+CD45-), ეფექტორული მეხსიერების(CD27-CD45-) და ტერმინალურად დიფრენცირებულ T უჯრედებად(CD27-CD45+). მოზრდილებში, დაახლოებით 90% Vγ9Vδ2 T უჯრედებს აქვთ მეხსიერების ფენოტიპი. ეფექტორული მეხსიერების Vγ9Vδ2 Tუჯრედები წარმოადგენენ სწრაფად ხელმისაწვდომ დეპოს სენსიბილიზირებული Vγ9Vδ2 T უჯრედების, რომლებსაც შეუძლიათ მიგრირება პერიფერიულ ქსოვილებში, სადაც ისინი საბოლოოდ დიფერენცირდებიან CD27–CD45RA+უჯრედებად, წარმოქმნიან ციტოკინებს და ახდენენ შემოჭრილი მიკრობული პათოგენის ელიმინაციას. თუმცა დაავადების ზეგავლენა ამ ქვეპოპულაციაზე უჯრედული პოპულაციის შიგნით ცნობილი არ არის.

ამოცანა 3. თოლლ-მსგავსი რეცეპტორების(TLR) ექსპრესია Vδ1 და Vδ2T უჯრედებზე.

ეს ამოცანა საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის γδ T უჯრედებსა და მიკობაქტერიას შორის არსებული ურთიერთქმედების შესახებ. როგორც ცნობილია მიკობაქტერია აექსპრესირებს ლიგანდებს TLR2-ისათვის და TLR2-ის ლიგირება γδ T უჯრედებზე ჩართულია მათ აქტივაციაში. არსებობს ინფორმაციაTLR2-ის პოტენციური როლის შესახებ γδ T უჯრედების აქტივაციაში და ნაჩვენებია, რომ პერიფერიული სისხლი დან გამოყოფილ უჯრედებზე ამ რეცეპტორების ბლოკირება, ხელს უშლის*BCG*-ის მიერ γδ T უჯრედების გააქტიურებას. ნაჩვენებია, რომ TLR2-ისა და TLR4-ით გადაცემულ სიგნალებს შორის კოოპერაცია, კრიტიკულ როლს თამაშობს *Mtb*-ით გამოწვეულ მაკროფაგების აპოპტოზში და TLR4-ით

გადაცემულ სიგნალს მნიშვნელოვანი როლი აქვს უჯრედისა პოპტოზით და ნეკროზით სიკვდილებს შორის ბალანსის დაცვაში. რადგან დადასტურებულია, რომ γδT უჯრედები ასევე აექსპრესირებენ TLR4, ჩვენ ვაპირებთ შევისწავლოთ TLR2-ის, TLR4 და CD180/RP105-ის ექსპრესიას. γδ T უჯრედების სტიმულაცია ლიპოპოლისაქარიდებით(LPS), რომელიც წარმოადგენს ლიგანდს TLR4-ის ზრდის მათ პროლიფერაციას, IFN-γ გამომუშავებას და ციტოტოქსიკურ პოტენციალს.

ამ ეტაპზე პროექტი საწყის ეტაპზეა, მიმდინარეობს თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიება და დასრულდა პროექტის შესაბამისი რეაქტივების შესყიდვა(გაწერილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად) და იწყება ექსპერიმენტული ნაწილის შესრულება. პროექტის კვლევითი ნაწილის შედეგები მოხსენებული იქნება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, მომზადდება და გამოქვეყნდება სამეცნიერო პუბლიკაცია. პროექტის ფარგლებში მომზადებული სადოქტორო ნაშრომი გაფორმდება მოქმედი დებულების შესაბამისად და წარდგენილი იქნება სადისერტაციო საბჭოზე დასაცავად.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ანტი-აქგ ბუნებრივი ანტისხეულების შეფასება გინეკოლოგიური სიმსივნეების მქონე პაციენტებში.FR 218024	2016-2019წ.	ნინო ფორაქიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განხორციელებული პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ აღმოგვეჩინა და დაგვეხასიათებინა ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის (აქგ) და მისი სუბერთეულების საწინააღმდეგო ბუნებრივი აუტოანტისხეულები ქალის რეპროდუქციული სისტემის ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებდა სამი ძირითადი ამოცანის შესრულებას:

1. ქალის რეპროდუქციული ორგანოების კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტების შრატში აქგ მთლიანი ჰორმონის და აქგβ ჯაჭვის დონეების შეფასება;

2. ანტი-აქგαβ, ანტი-აქგβ და ანტი-აქგβ კარბოქსი ტერმინალური პეპტიდი (აქგβკტპ) ბუნებრივი ანტისხეულების აღმოჩენა და დახასიათება ქალის რეპროდუქციული ორგანოების კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში .

3. აქგ ბუნებრივი ანტისხეულების დონესა და დაავადების სტადიასა და პროგრესირებას შორის შესაძლო ურთიერთკავშირის დადგენა

პროექტის განხორციელებას შევუდექით დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან არსებული სამედიცინო ეთიკის კომისისგან ნებართვის მიღებით. რის შემდეგაც დავიწყეთ პროექტის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულება. პირველი ამოცანით გათვალისწინებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ საკვერცხის ადენოკარცინომის და საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე ავადმყოფების სისხლში აქგ-ს და აქგ ბეტას მაღალი დონეებია, განსხვავებით კეთილთვისებიანი გინეკოლოგიური სიმსივნეების მქონე პაციენტებისაგან. საკვერცხის კისტის და საშვილოსნოს ფიბრომიომის მქონე ავადმყოფის სისხლში შესაძლოა ზოგიერთ, იშვიათ შემთხვევაში დააფიქსირდეს როგორც აქგ-ს, ასევე აქგ- ბეტას გარკვეული დონე, თუმცა თუ ეს მაჩვენებელი არ აღემატება 5ნგ/მლ-ში სიმსივნის ავთვისებიანობაზე ვერ ვისაუბრებთ. აქგ-სა მის სუბერთეულებთან დაკავშირების მქონე ანტისხეულების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების დამუშავების და გაანალიზების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ საკვერცხის კისტის მქონე ავადმყოფები გამოირჩევიან დანარჩენი საკვლევი ჯგუფებისაგან მათ სისხლში აქგ-სა და მის სუბერთეულებთან დაკავშირების უნარის მქონე ანტისხეულების გარკვეული, დონორებთან და სხვა საკვლევ ჯგუფებთან შედარებით მაღალი დონით. ჩვენ შევისწავლეთ საკვერცხის კისტის მქონე 36 ავადმყოფის სისხლის შრატი და მიღებული შედეგების მიხედვით ბუნებრივი, IgG კლასის აუტოანტისხეულები, რომლებიც კარგად უკავშირდებიან აქგαβ ჰეტეროდიმერს აღმოჩნდა შემთხვევათა 78%-ში ($p<0.0001$, საშუალო ოპტიკური სიმკვრივე (ო.ს.) 1:50 განზავებაზე იყო – 0.34216±0.189899), რომლებიც უკავშირდებიან აქგβ-ს შემთხვევათა 61%-ში ($p=0.0001$, საშუალო ო.ს. 1:50 განზავებაზე იყო 0.429182±0.214614), რომლებიც უკავშირდებიან აქგα-ს შემთხვევათა 78%-ში ($p<0.0001$, საშუალო ო.ს. 1: 50 განზავებაზე იყო 0.41725±0.200384), რომლებიც უკავშირდებიან აქგβ - კარბოქსი ტერმინალურ პეპტიდს (აქგβკტპ) შემთხვევათა 69%-ში ($p<0.0001$, საშუალო ო.ს. 1:50 განზავებაზე იყო 0.5126 ±0.350849) და რომლებიც უკავშირდებიან ბეტა ჯაჭვის ცენტრალურ ფრაგმენტს (აქგβცფ) შემთხვევათა 83%-ში ($p<0.0001$, ო.ს. 1:50 განზავებაზე ოყო 0.391367±0.097786). ამას გარდა საინტერესოა, რომ 18 პაციენტის შრატი უკავშირდებოდა ყველა სატესტო ანტიგენს, 4 შრატი უკავშირდებოდა 4 სატესტო ანტიგენს, 5 შრატი - 3 სატესტო ანტიგენს და მხოლოდ ერთი შრატი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ორ სატესტო ანტიგენს უკავშირდებოდა. შრატებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი, რომელიც 5 სატესტო ანტიგენიდან, მხოლოდ ერთ რომელიმეს დაუკავშირდებოდა.

აღმოჩენილი IgG, ბუნებრივი აუტოანტისხეულების შემდგომი, იმ კუთხით შესწავლის შედეგად, თუ როგორია კლასის შიგნით ქვეკლასებს შორის გადანაწილება, მიღებული შედეგების ანალიზით გაირკვა, რომ საკვერცხის კისტით დაავადებულთა უმეტესობის სისხლში არის აქგ-სთან და მის სუბერთეულებთან დაკავშირების უნარის მქონე, ბუნებრივად გაჩენილი IgG ანტისხეულების გარკვეული დონე და ამ

ანტისხეულების უმეტესობა IgG2 ქვეკლასს მიეკუთვნება. შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალო ოპტიკური სიმკვრივე შრატში არსებული IgG2 ქვეკლასის აუტოანტისხეულების აქგαβ-სთან დაკავშირებისას იყო 0.252888±0.099656, აქგβ-სთან დაკავშირებისას - 0.293045±0.187829, აქგα-სთან დაკავშირებისას 0.236625±0.079578, აქგβკტპ-სთან დაკავშირებისას 0.314708±0.154222 და აქგβცფ-სთან დაკავშირებისას 0.152583±0.032702. გამოკვლეულ შრატებში ასევე აღმოჩნდა IgG3 იზოტიპის აუტოანტისხეულების გარკვეული დონეები. კერძოდ, გამოკვლეული 12 ნიმუშიდან აქგαβ-სთან დაკავშირების უნარის მქონე IgG3 იზოტიპის ანტისხეულები აღმოჩნდა 7 ნიმუშში, საშუალო ოპტიკური სიმკვრივით - 0.1256±0.0301 ($p<0.0001$), აქგβ-სთან დაკავშირების უნარის მქონე - 2 ნიმუშში, საშუალო ოპტიკური სიმკვრივე - 0.11225±0.00375 ($p=0.1419$), აქგβკტპ-სთან 7 ნიმუშში, ო.ს. = 0.235429±0.137386 ($p<0.0001$) და აქგβცფ-სთან 4 ნიმუშში, ო.ს. = 0.123125±0.01291 ($p<0.0001$). IgG3 იზოტიპის აუტოანტისხეულები, რომლებიც აქგα-ს უკავშირდებიან ჩვენს მიერ შესწავლილ შრატებში არ აღმოჩნდა. ამასთან ერთად, ზოგიერთ საკვლევ შრატში დაფიქსირდა IgG4 იზოტიპის ანტისხეულები, შემთხვევათა უმეტესობაში, ეს იყო აქგβცფ-თან დაკავშირების უნარის მქონე აუტოანტისხეულები. რაც შეხება IgG1 იზოტიპის ანტისხეულებს, არცერთ საკვლევ შრატში, არც ერთი სატესტო ანტიგენის მიმართ ტესტირებისას ამ იზოტიპის გამოვლენის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

აღმოჩენილი ბუნებრივი აუტოანტისხეულების ფუნქციური ეფექტურობის შესაფასებლსდ ჩვენ შევისწავლეთ მათი საკვლევ ანტიგენებთან, აქგ-სთან და მის სუბერთეულებთან დაკავშირების აფინობა. ამ ექსპერიმუნტული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ აქგ-სა და მის სუბერთეულებთან დაკავშირების უნარის მქონე, ბუნებრივად გაჩენილი აუტოანტისხეულების დაკავშირების აფინობა მაღალია. იმისათვის რომ ამ ანტისხეულების დაკავშირება აქგαβ-სთან, აქგβ-სთან ან აქგβკტპ-სთან დაითრგუნოს 50%-ით 0,5M-1M კონცენტრაციის ამონიუმის თიოციანიტის ხსნარია საჭირო. საინტერესოა, რომ ეს ანტისხეულები სამივე სატესტო ანტიგენს ერთნაირი აფინობით უკავშირდებიან.

პროექტის შესრულების პროცესში მიღებული შედეგების ფართო, საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით მომზადდა ორი სტატია, რომლებიც წარდგენილია საერთაშორისო ჟურნალში -Georgian Medical News - გამოსაქვეყნებლად. ასევე, ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული შედეგები მოხსენებულ იქნა ორ საერთაშორისო კონფერენციაზე.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

	ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო გრანტი როექტზე - „ენტეროპათოგენური E.coli-ს მიმართ ფართო სპექტრის ბაქტერიოფაგის გამოყოფა და სურსათის დეკონტამინაციური ეფექტის შესწავლა სამოდელო ცდებში“	2019-2019	გრანტიორები - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა “ბიოლოგიის“ მაგისტრანტების - ფიქრია ქათამაძის, ეკატერინე იაძის, ანანო ღამბაშიძე რეკომენდატორი-ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დოქტორი **თამარ ცერცვაძე**
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაცი ო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ჭიკაძე, მ. თევზაძე, ნ. გაჩეჩილაძე, თ. ცერცვაძე, მ. ჯანელიძე, ნ. ფორაქიშვილი	Naturally-occurring autoantibodies against human chorionic gonadotropin (hCG) and its subunits in patients with benign ovarian tumours	01-05 ივნისი, 2019წ. ლისაბონი, პორტუგალია
2	ნ. ჭიკაძე, მ. თევზაძე, თ. ცერცვაძე ნ. გაჩეჩილაძე, , მ. ჯანელიძე, ნ. ფორაქიშვილი	Distribution of naturally-occurring IgG isotypes to hCG and its subunits in patients with ovarian cyst.	21-23 ნოემბერი, 2019წ პარიზი, საფრანგეთი
3	ნ. მიცკევიჩი, თ. ცერცვაძე, ქ, მაჭავარიანი	The role of gamma delta T cells in immunopathogenesis of respiratory allergies	01-05 ივნისი, 2019წ. ლისაბონი, პორტუგალია
	Nina Porakishvili (Primary Presenter), Sergey Krysov,2 Emanuela Volpi, Uzma Sayed,3 Kristina Zaitseva, Ketki Vispute, Tamar Tsertsvadze, Ani Bilanishvili,Nunu Mitskevich, Amit Nathwani,Nicholas Chiorazzi, Peter Lydyard,	Patterns of CD180 expression and function in the peripheral blood and lymph nodes of patients with Chronic Lymphocytic Leukaemia (CLL).	20-23 სექტემბერი 2019 წელი, ედინბურგი, შოტლანდია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
__ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
_მორფოლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

_პროფ. დიანა ძიძიგური (კათედრის გამგე), ასოც.პროფესორი ეკატერინე ბაკურაძე, ასოც. პროფესორი ირინა მოდებაძე, ასისტ. პროფესორი ელენე თავდიშვილი, ასისტ. პროფესორი ლევან რუსიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**ვირთაგვას პანკრეასიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის გავლენა პანკრეასის GAD-დადებითი უჯრედების რაოდენობაზე (ბიოლოგია, მორფოლოგიის მიმართულება)** 2	208-2021წწ.	პროფ. დ.ძიძიგური პროფ.ი.მოდებაძე, სამეც. ხელმძღვანელი, ეკატერინე ბაკურაძე, შემსრულებელი, ლევან რუსიშვილი, შემსრულებელი ნინო ბედინეიშვილი ლაბორანტი
ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების რეგულაციაში წამყვანი როლი ენიჭებათ ცილებს, რომელთა ფუნქციის მოშლამ შესაძლოა სხვადასხვა დარღვევები გამოიწვიოს. დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია უჯრედების გამრავლების			

რეგულაციაში მონაწილე ცილოვანი კომპლექსების იდენტიფიცირება და მათი თერაპიული მიზნით გამოყენება. ცილოვანი კომპლექსების იდენტიფიცირება ხორციელდება არამხოლოდ ცალკეულ ბიოლოგიური სახეობებიდან, არამედ სხვადასხვა ქსოვილებიდან.

ნაჩვენებია, რომ ზრდასრული თეთრი ვირთაგვების კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედები შეიცავს თერმოსტაბილური ცილების კომპლექსს (თცკ). აღნიშნული კომპლექსის კომპონენტებს, როგორც ადრე სხვა ორგანოების შემთხვევაში (თირკმელი, გული, ტვინი, ღვიძლი და სხვა) იყო ნაჩვენები, გააჩნიათ ტრანსკრიპციის პროცესის დათრგუნვის გზით უჯრედების გამრავლების ინჰიბირების უნარი (Giorgobiani N et al. 2005). ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ თავის ტვინის ქსოვილში თცკ-ს დამთრგუნველი ზემოქმედების დროს კონტროლთან შედარებით, აღინიშნება მიტოზურ ციკლში უჯრედების შესვლის დაჩქარება. ჰიპოკამპში პროლიფერაციული აქტიურობის გაზრდა შესაძლოა განპირობა გლუტამატით პროლიფერაციის კასკადური აქტივაციის ინიცირებამ. ამ მოსაზრებას ადასტურებს GAD - პოზიტიური უჯრედების რაოდენობრივი მატება(Dzidziguri et al. 2018).

GAD, როგორც ცნობილია, არის ფერმენტი, რომელიც აკატალიზებს მაინჰიბირებელი ნეიროტრანსმიტერის (GABA) წარმოქმნას გლუტამინის მჟავადან. ეს ფერმენტი ექსპრესირდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და პანკრეასის კუნძულების, ძირითადად β-უჯრედებში. (Shi Yuguang et al. 2000; Kyung Soo Kim et al. 2002; Matthias Braun et al. 2004). პანკრეასში GABA მონაწილეობს ინსულინის სეკრეციის რეგულაციაში (Annette Reetz et al., 1991; Matthias Braun et al. 2004; Ernest Adeghate, Abdulsamad Ponery 2003).

ცნობილია, რომ I ტიპის დიაბეტისათვის დამახასიათებელია ავტოანტიგენების და ავტოანტისხეულების არსებობა. ერთერთი მნიშვნელოვანი აუტოანტიგენი, რომლის ექსპრესიის მოდულირება დაკავშირებულია აუტოიმუნური დიაბეტის განვითარებასთან, არის GAD (Annette Reetz et al., 1991; Shi Yuguang et al. 2000, Harald von Boehmer and Adelaida Sarukhan, 1999; Isobel K. Franklin and Claes B. Wollheim 2004; Simon A. Hinke. 2007; Matthias Braun et al. 2004).

პანკრეასის ენდოკრინული ნაწილის ბეტა უჯრედების დაზიანებას თან სდევს GAD-ის სეკრეცია უჯრედგარე სივრცეში, რაც თავის მხრივ ააქტივებს მაკროფაგებს და T-უჯრედებს, და იწვევს დაავადების განვითარებას (Harald von Boehmer and Adelaida Sarukhan, 1999; Isobel K. Franklin and Claes B. Wollheim 2004; Simon A. Hinke. 2007; Matthias Braun et al. 2004).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო შეგვესწავლა პანკრეასიდან მიღებული თცკ-ს, როგორც მაინჰიბირებელი ფაქტორის, ზემოქმედება მთავარი აუტოანტიგენის GAD-დადებითი უჯრედების რაოდენობაზე.


სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა GAD -დადებითი უჯრედების რაოდენობის ცვლილებაზე ენდოგენური თცკ-ს მოქმედების შესწავლა.

მასალა და მეთოდები. კვლევისათვის გამოყენებული იყო ზრდასრული (150-170გ) და მზარდი (8-10გ) თეთრი არახაზოვანი ვირთაგვების პანკრეასის ქსოვილი. პანკრეასის თცკ-ს მისაღებად გამოყენებული იყო ცილების სპირტული ექსტრაქციის მეთოდი. ქსოვილში β-უჯრედების რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო იმუნოჰისტოქიმიური შეღებვის მეთოდი ანტი-GAD ანტისხეულების მეშვეობით.


მასალის ფიქსაცია ხდებოდა Na/K ფოსფატურ ბუფერზე დამზადებულ ფორმალდეჰიდის 4%-იან ხსნარში.

შედეგი. პანკრეასის თცკ-ს ლიოფილიზირებული ფხვნილიდან დავამზადეთ ცილის 0.2%-იანი ხსნარი და ინტრაპერიტონიალურად შევუყვანეთ მოზარდ ვირთაგვებში (200მკგ/100მკლ) და მასალას ვიღებდით ინექციიდან სამ საათში. გამოვლინდა, რომ აღნიშნული თცკ მოზარდი ვირთაგვას პანკრეასის ენდოკრინულ ნაწილში იწვევს GAD-დადებთი უჯრედების რაოდენობის შემცირებას (20 %-ით).

დასკვნა. ეგზოგენურად შეყვანილი თეთრი ზრდასრული ვირთაგვას პანკრეასის ენდოგენური ცილოვანი კომპლექსით ჰომოლოგიური უჯრედების გამრავლების დათრგუნვა ინიცირებს მოზარდი ვირთაგვას პანკრეასის ენდოკრინულ ნაწილში GAD-დადებთი უჯრედების რაოდენობის შემცირებას, რითაც აიხსნება ციკლში შესული უჯრედების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.



სურათი1. პანკრეასის თცკ-ს გავლენა მოზარდი ვირთაგვას პანკრეასის ენდოკრინული ნაწილის GAD-დადებთ უჯრედების რაოდენობაზე ($p<0,05$).



სურათი 2. მოზარდი ვირთაგვას პანკრეასის ქსოვილი. ენდოკრინულ ნაწილში ისრებით მითითებულია GAD-დადებთ უჯრედები (იმუნოჰისტოქიმია შეღებვა GAD საწინააღმდეგო ანტისხეულებით, ჰემატოქსილინი. X90).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Annette Reetz, Michele Solimena, Michela Matteoli, Franco Folli2, Kohji Takei, Pietro De Camilli. GABA and pancreatic f-cells: colocalization of glutamic acid decarboxylase (GAD) and GABA with synaptic-like microvesicles suggests their role in GABA storage and secretion. The EMBO Journal vol. 10 no. 5 pp. 1 275 - 1284, 1991.

2. Dzidziguri Diana, Irina Modebadze, Ekaterine Bakuradze, Giorgi Mosidze, Manana Berulava. Properties of the thermostable protein complex of rat brain inhibiting the cell proliferation. Cell J *(Yakhteh),* **2018**, Volume 19(4), Serial Number: 76, 552-558.

3. Ernest Adeghate, Abdulsamad Ponery. Pancreatic peptides, neuropeptides and neurotransmitters in diabetes mellitus: a review. Int J Diabetes & Metabolism (2003) 11: 1-6.

4. Giorgobiani N, Dzidziguri D, Rukhadze M, Rusishvili L, Tumanishvili G. Possible role of endogenous growth inhibitors in regeneration of organs: searching for new approaches. Cell Biol Int. 2005; 29(12): 1047-1049.

5. Kyung Soo Kim, Yup Kang, Sung E. Choi, Ju Hee Kim, Hyeon Man Kim, Beichen Sun, Hee-Sook Jun, and Ji-Won Yoon. Modulation of Glucocorticoid-Induced GAD Expression in Pancreatic -Cells by Transcriptional Activation of the GAD67 Promoter and Its Possible Effect on the Development of Diabetes DIABETES, 2002, 51:2764:2772.

6. Harald von Boehmer and Adelaida Sarukhan. GAD, a Single Autoantigen for Diabetes. IMMUNOLOGY: *Science* 14 May 1999: Vol. 284. no. 5417, pp. 1135 – 1137.

7. Isobel K. Franklin and Claes B. Wollheim. GABA in the Endocrine Pancreas: Its Putative Role as an Islet Cell Paracrine-signaling Molecule. The Journal of General Physiology, 2004, Volume 123, 185–190.

8. Matthias Braun, Anna Wendt, Bryndis Birnir, Jonas Broman, Lena Eliasson,Juris Galvanovskis, Jesper Gromada, Hindrik Mulder, Patrik Rorsman. Regulated Exocytosis of

GABA-containing Synaptic-like Microvesicles in Pancreatic b-cells. The Journal of General Physiology. The Rockefeller University Press. Volume 123 March 2004, 191–204.
9. Simon A. Hinke. Finding GAD: Early Detection of ß-Cell Injury. Endocrinology 2007 148: 4568-4571.
10. Shi, Yuguang, Jamil Kanaani, Virginie Menard-Rose, Yan Hui Ma, Pi-Yun Chang, Douglas Hanahan, Allan Tobin, Gerold Grodsky, and Steinunn Baekkeskov. Increased expression of GAD65 and GABA in pancreatic Increased expression of GAD65 and GABA in pancreatic b-cells impairs first-phase insulin secretion. Am J Physiol Endocrinol Metab. 279: E684–E694, 2000.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**ფუნქციურ პოლიმერზე იმობილიზირებული ზრდის შემაკავებელი ენდოგენური ფაქტორის ორგანიზმში შეყვანის შესაძლებლობის ექსპერიმენტული დასაბუთება (ბიოლოგია, მორფოლოგიის მიმართულება)** 2	2017-2019წწ.	პროფ. დ.ძიძიგური **(სამეც. ხელმძღვანელი)**, პროფ. ო.მუკბანიანი, პროფ.ი.მოდებაძე, ეკატერინე ბაკურაძე, ე.მარქარაშვილი შემსრულებელი, სტუდენტები: მამუკა კორძაძე, გ.ბაზერაშვილი, ვ.გუნია შემსრულებლები

1.პოლიმერული სისტემების სამკურნალო პრეპარატების ორგანიზმში შესაყვანად გამოყენებას დიდიხნის ისტორია გააჩნია. ამ სისტემების გამოყენების მიზანია დროსა და სივრცეში სამკურნალო საშუალებების ორგანიზმში ტრანსპორტის კონტროლის მიღწევა. უძველესი დროიდან იყენებდნენ ბუნებრივ პოლიმერებს. თანამედროვე ეტაპზე დაიწყო მათი ნაწილობრივი ჩანაცვლება სინთეზური პოლიმერებით, რომელთა მახასიათებლები ხშირ შემთხვევაში აღემატება ბუნებრივი პოლიმერების შესაბამისი მახასიათებლების მაჩვენებლებს. შემუშავებულია ასევე, ე.წ. ფუნქციური პოლიმერები. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება, როგორც ბუნებრივ, ასევე სინთეზურ პოლიმერებთან მიმართებაში.
ფუნქციური პოლიმერული სისტემების გამოყენებით შესაძლებელი გახდა პრეპარატის დოზირების ფორმის ფარმაცევტული ფუნქციის ცვლილება და სამკურნალო საშუალების მიწოდების მართვა. კერძოდ, შეიძლება პრეპარატის ორგანიზმში შეღწევადობის დროის და მოქმედების ლოკალურ ადგილის დადგენა. პოლივინილის სპირტი,{(C2H4O)x თეთრი, იშვიათად მოყვითალო ან კრემის ფერის მყარი პოლიმერი}), რომელიც გამოიყენება

ბოჭკოების, აპკების მისაღებად, წებოს შემასქელებელად. სპეციალური მარკის პოლივინილის სპირტი გამოიყენება ფარმაციაში წამლების დასამზადებლად.
ფარმაცევტულ წარმოებაში პოლიმერები ფართოდ გამოიყენება, როგორც სამკურნალო ნივთიერებები საფარი. ეს საფარი მრავალრიცხოვან ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, სპობს არასასიამოვნო გემოს, იცავს ტენისა და ჰაერისაგან, ახდენს წამლის ხსნარში გადასვლის ხანგრძლივობის რეგულაციას. პრაქტიკაში საფარი ხშირად ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს, მაგრამ მათ შორის ძირითადია სამკურნალო ნივთიერების სტაბილიზაცია.
პოლივინილის სპირტის სამომხმარებლო თვისებები განისაზღვრება მისი არატოქსიკურობით და მდგრადობით ორგანული გამხსნელების, ცხიმების, ბენზინის და სხვა ნახშირწყალბადების მიმართ. ის მდგრადია აგრეთვე განზავებული მჟავეებისა და ტუტეების მიმართ. პოლივინილის სპირტის ერთადერთი გამხსნელია წყალი. პოლიმერის ეს უკანასკნელი თვისება შეიძლება გამოყენებული იქნეს წყალშიხსნადი სამკურნალო პრეპარატების ტრანსპორტირებისთვის, როგორც ორგანიზმის შიგნით, ასევე, მის ზედაპირულად გამოხატული პათოლოგიების სამკურნალოდ. მაგალითად, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულ პათოლოგია სისხლძრღვთა კეთილთვისებიანი სიმსივნე - ჰემანგიომა, რომლის შეხვედრის სიხშირე კავკასიელ ბავშვთა პოპულაციაში 10-12%-ს შეადგენს.
არსებობს ჰემანგიომების მკურნალობის არაერთი მეთოდი, როგორებიცაა: ლაზერული თერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია და ქირურგიული მკურნალობა. თითოეულ ამ მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. ასე მაგალითად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პოპულარულია ჰემანგიომის ქსოვილის ეთანოლით დამუშავება, რომლის გამოყენების მიზანშეწონილობა ჩვილ ბავშვებში, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში დავის საგანია. სწორედ ჰემანგიომის გავრცელების სიხშირისა და მკურნალობის გართულების გამო, ძალიან მნიშვნელოვანია დიაგნოსტირებისა და განსაკუთრებით თერაპიული მიდგომების ახალი გზების ძიება. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ენდოთელური უჯრედების ზრდის მაინჰიბირებელი ფაქტორები. ერთ-ერთი ასეთი ბუნების ფაქტორი იდენტიფიცირებულია ძუძუმწოვრების თითქმის ყველა კლასის წარმომადგენლების უჯრედებში. ფაქტორი განეკუთვნება თერმოსტაბილური ცილების ჯგუფს. თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის (თცკ) დაბალმოლეკულური ქვეფრაქცია (12-17 კდ) კალმოდულინი არის კომპლექსის აქტიური საწყისი.

2.კვლევის მიზნი, ობიექტი, მეთოდოლოგია და ამოცანები

რაც შეეხება სხვა კულტურების დაზიანებას, გამოკვლეულ იქნა სიმინდის, ვაშლის, ბუშმალას, მსხლის, ხურმისა და ატმის კულტურები. ივნისიდან დაიწყო ბუშმალასა და ვაშლის დაზიანება, თუმცა განსაკუთრებული ზიანი მიადგა ბუშმალას. ამ ხეხილზე ყველაზე მეტი იყო მავნებილს დაჭერები, ხოლო რაც შეეხება ნაყოფს, ივნისის ბოლოსთვის ნაყოფი სრულად განადგურდა მავნებლის მიერ. ვაშლის ნაყოფზე ასევეაღინიშნებოდა მავნებლის ნაკბენები, რამაც მისი ხარისხის დაქვეითება გამოიწვია. მსხალი აზიური ფაროსანას ”საყვარელი” მასპინძელი მცენარეა. აქ დამაგრებულ ხაფანგში ყველაზე მეტი დაჭერები ივლისის განმავლობაში აღინიშნა, თითო ნაყოფზე 30-მდე ნაკბენით. მავნებლის რაოდენობა ატამზე ნაკლებია. ხაფანგში მხოლოდ მცირე რაოდენობით იმაგოები აღინიშნა, კვერცხის დადების ფაქტები არ აღინიშნა ვიზუალური დაკვირვებით. მავნებლის აქტიურობა ხურმაზე მოგვიანებით დაიწყო ნაყოფის გამოტანასთან ერთად, ოქტომბრისთვის დაზიანების რაოდენობა მომატებული იყო. რაც შეეხება სიმინდს, ყანაში დაკვირვებები ჩატარდა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით. მავნებლის რაოდენობა მინიმალური იყო და აღინიშნებოდა მხოლოდ შეწამლული ბადეების სიახლოვეს, სადაც ფერომონები იყო განთავსებული. სიმინდის მარცვლის ხარისხზე მავნებელს არ უმოქმედია.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში მოხდა ასევე სხვადასხვა ტიპის ხაფანგების ეფექტურობის შეფასება სენაკში, 200ჰა ფართობის მქონე თხილის ბაღის პერიმეტრზე. მოხდა ე.წ. ”თავშესაფარი ხაფანგების” და კომპანია ტრესეს ძველი და ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგების ეფექტურობის შედარება დაჭერების მხრივ. მონიტორინგი ტარდებოდა მაისიდან სექტემბრის ბოლომდე. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი დაჭერებით გამოირჩეოდა ”თავშესაფარი” ხაფანგები, ეფექტურობით მეორე ადგილზე იყო ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგები, ხოლო მესამე ადგილზე - ძველი დიზაინის მქონე წებოვანი ხაფანგები. მიუხედავად მეტი ეფექტურობისა, ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგების გამოყენება მეტად მოუხერხებელია. დიდი წებოვანების გამო ხაფანგები დამაგრების პროცესში ეკრობა ხელებზე, რაც მას მოუხერხებელს ხდის.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	"აღმოსავლეთ ევროპაში აგრო-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესება/Ag-Lab გამოყენებითი ბიომეცნიერებები *აგრო, კვება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვით ბიოტექნოლოგიები 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP ევროკავშირი/ერასმუს პლუსი	15.10.2017 – 15.10.2020	ნინო ინასარიძე - ხელმძღვანელი; ნინო არჩვაძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი; ნუნუ -მიცკევიჩი, ინდუსტრიასთან ურთიერთობის კოორდინატორი; ზურაბ ქუჩუკაშვილი - ლაბ. და კურიკულუმის კოორდინატორი; ელენე ჩერქეზია - აკადემიური კოორდინატორი; დიანა ძიძიგური -კონსულტანტი პროგრამის განახლების მიმართულებით; ნანული დორეული - კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.

2019 წელს გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების მონაწილეობით გაგრძელდა თსუ-ში მიმდინარე, „ERASMUS+"-ის 2017 წლის საგრანტო კონკურსში *"უმაღლესი განათლება - საერთაშორისო რესურსების გაძლიერება"* გამარჯვებული პროექტის - "აღმოსავლეთ ევროპაში აგრობი-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესება/Ag-Lab" - „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/" (# 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP) 2017-2978 / 001-001) განხორციელება. ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE) პროექტის კოორდინატორია ლუბლიანას უნივერსიტეტი (სლოვენია). პროექტში ჩართულია ევროპული უნივერსიტეტები, პროექტის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს უნივერსიტეტები და პარტნიორი ლაბორატორიები.

პროექტის მიზანია აგრარული და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესება იმ ქვეყნების სპეციალისტების მომზადება/გადამზადების გზით, რომლებიც ახლახანს გახდნენ ევროკავშირის ასოცირებული წევრები. პროექტი უკავშირდება სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ევროკავშირის კანონმდებლობითა და სტანდარტებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისი ლაბორატორიული კონტროლის გზით.

- საანგარიშო წელს პროექტის ფარგლებში მოხდა გამოყენებითი ბიომეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებისა და მოდულების განახლება;
- შემუშავდა უწყვეტი განათლების მიმართულებით დიპლომის შემდგომი სასერტიფიკაციო კურსები;
- გაგრძელდა აკადემიური პერსონალის გადამზადება ტრეინინგებში მონაწილეობის გზით (2018 წელი: ლიონი (საფრანგეთი); ტერამო (იტალია); კიევი, ლვოვი (უკრაინა));

⦁ განახლდა ლაბორატორიული რესურსები; მიმდინარეობს სასწავლო რესურსების განახლება; ⦁ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ლაბორატორიებთან თანამშრომლობის გზით მომზადდა სწავლებისა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების სტრატეგია; ⦁ განხორციელდა სტუდენტების საერთაშორისო მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ლაბორატორიებთან და კვლევით ინსტიტუტებთან; ⦁ 2020 წელს დაგეგმილია პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების მობილობა თსუ-ში. პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებაზე ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ინიცირებას პროექტში ჩართული ევროპული უნივერსიტეტების მონაწილეობით.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო არჩვაძე** სულხან ცაგარელი	ჰიპოკამპის ფუნქციური ჰეტეროგენურობის კვლევა აქტიური განრიდების თავდაცვითი ქცევის ფორმირებაში	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია 2019 მე-2 საერთაშორისო კონფერენციის მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა ISBN 978-9941-13-837-9	გვ. 30-32
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Bochorishvili Aleksandre, Dzneladze Andro, Hanna Milad, Archvadze Nino, Botchorishvili George	Combination treatment with low intensity extracorporeal shock waves and PDE5 inhibitors for vasculogenic erectile dysfunction: a comparative study DOI: https://doi.org/10.1016/S1569-9056(19)35018-3	European Urology Supplements 18 (12), 2019	© 2019 European Association of Urology. Published by Elsevier B.V. Printed by Henry Ling Ltd, Dorchester, Dorset, UK	e3621–e3645

ნაშრომში შესწავლილია ახალი, ტრადიციული (PDE5I გამოყენება) განსხვავებული მეთოდის ეფექტურობა ერექციული დისფუნქციის მკურნალობისას. PDE5I-ის გამოყენება ამგვარი ანამნეზისას რეკომენდირებული სტრატეგიაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის ნაკლებად ეფექტურია. დაბალი სიხშირის ტალღებით მკურნალობა (Li-ESWT) მოიაზრება როგორც მკურნალობის ახალი, დამაიმედებელი ალტერნატივა, რომლის ეფექტურობის კვლევაც მედიკოსების ინტერესის საგანია. ჩატარებული კვლევებით შედარდა უნიმოდალური (PDE5I - ვარდენაფილი) და კომბინაციური თერაპიის (ვარდენაფილი+ Li-ESWT) ეფექტურობა სუსტი და საშუალო სიმძიმის ერექციული დისფუნქციის მქონე პაციენტებში. მკურნალობა განხორციელდა დაბალი სიხშირის (4 Hz) 0.10 - 0.30 mJ/mm სიმკვრივის ტალღებით. სასქესო ასოში არტერიული სისხლის მდინარება (PBFV) ისაზღვრებოდა ულტრაბგერითი კვლევისას დოპლერით, ასევე დგინდებოდა ერექციული ფუნქციის საერთაშორისო ინდექსი (IIEF-5) და ერექციული სიმყარის მაჩვენებელი (EHS). კვლევები ჩატარდა მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობის დასრულებისთანავე, 6 თვის და 9 თვის შემდეგ. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა მხოლოდ დაბალი სიხშირის ტალღებით მკურნალობის ან PDE5I-თან მისი კომბინირების სტატისტიკურად სარწმუნო, მაქსიმალური და სტაბილური ეფექტურობა მკურნალობიდან 6 თვის შემდეგ, მაშინ როცა მკურნალობის დასრულების დროისათვის PDE5I მონოთერაპიით მიღწეული ეფექტურობა EHS და IIEF-5 მაჩვენებლებში 3 თვის შემდეგ

კვლავ საგრძნობლად მცირდება, ხოლო მონოთერაპიული მკურნალობის პერიოდის განმავლობაში არტერიული სისხლის მდინარება (PBFV) უცვლელი რჩება.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Bochorishvili Aleksandre, Dzneladze Andro, Hanna Milad, Archvadze Nino, **Botchorishvili George**	Combination treatment with low intensity extracorporeal shock waves and PDE5 inhibitors for vasculogenic erectile dysfunction: a comparative study	The First Georgian UrologicalAssociation (GUA) – Caucasus/CentralAsia (CCA) Urological Meeting Dedicated to the memory of Prof. Laurent Managadze 4-5 October, 2019, Tbilisi
2	**ნინო არჩვაძე** სულხან ცაგარელი	ჰიპოკამპის ფუნქციური ჰეტეროგენურობის კვლევა აქტიური განრიდების თავდაცვითი ქცევის ფორმირებაში	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია 2019 მე-2 საერთაშორისო სკოლა - კონფერენცია, 1-5 აპრილი, 2019 თბილისი,
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამეცნიერო ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არის ორი მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირება. ***ეკონომიკის მიმართულება*** აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. თეორიული ეკონომიკის კათედრა;
2. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;
3. მიკროეკონომიკის კათედრა;
4. მაკროეკონომიკის კათედრა;
5. ეკონომეტრიკის კათედრა;
6. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;
7. საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა;
2. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა;
3. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;
4. მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრა;
5. გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;
6. მარკეტინგის კათედრა;
7. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;
8. ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა.

ფაკულტეტის შემადგენლობაშია _ ***„საერთაშორისო საწარმოთა მართვა“*** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ***ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით*** (აკრედიტებული), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ***ლუმიერის ლიონ 2 (საფრანგეთი)*** უნივერსიტეტის ***ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმში ორმაგი ხარისხით*** (აკრედიტებული).

თითოეული ორიენტირებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი პროექტების დამუშავებასა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაშია – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა Master's Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET). ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა Bachelor's Degree Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს პარტნიორობას უწევენ ბერლინის (გერმანია), პოტსდამის (გერმანია), ბრანდერბურგის (გერმანია), იენის (გერმანია), პირეუსის (საბერძნეთი), მიუნხენის (გერმანია), ლილის (საფრანგეთი), ლიონის (საფრანგეთი) უნივერსიტეტები. მათთან დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს:

- ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამუშავებას;
- გაცვლითი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებას;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებობს ***სამეცნიერო კვლევითი ერთეულები:***

1. ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
2. ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
3. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
4. ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;
5. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
6. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
7. მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
8. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
9. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა“;
10. ტურიზმის კვლევითი ცენტრი;
11. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: **თეორიული ეკონომიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ელგუჯა მექვაბიშვილი	ანაბრები, ბანკები და „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“ საქართველოში ISSN 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი, 2019, No. 1	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 16-35; სტატიისგვერდების რაოდენობაა: 13 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში განხილულია პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის საქართველოში ახალი ტიპის საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის მიერ საბჭოთა პერიოდში შემნახველ სალაროებში შეტანილი თანხების (მოსახლეობის ანაბრების) „გაუჩინარების“ საკითხები.

აღნიშნულია, რომ იმჟამინდელი ხელისუფლების წაყრუებით და შესაძლოა ჩუმი მხარდაჭერითაც მოხდა, მოხდა ანაბრების კონცენტრაცია საზოგადოების მცირე ჯგუფის ხელში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი-გაღარიბდა და გაღატაკდა. აღნიშნული პროცესი შედარებულია XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ინგლისში განხორციელებულ პროცესთან, რომელიც „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების“ სახელწოდებით აღწერილია კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველ ტომში.

ე.წ. კაპიტალის თავდაპირველმა დაგროვებამ საქართველოში სათავე დაუდო საზოგადოების მკვეთრ სოციალურ დიფერენციაციას, რომელიც შემდგომ პერიოდში სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა.

2	ელგუჯა მექვაბიშვილი	სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში ISSN2449-2396	გლობალიზა-ცია და ბიზნესი, No. 8	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 23-35; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 13 გვ.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომში დასაბუთებულია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მნიშვნელობა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების თვალსაზრისით. დახასიათებულია აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებსა და ეკონომიკური თეორიის მიმართულებებში. აღნიშნულია, რომ გლობალიზაციის პროცესმა განაპირობა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის აზრით, გლობალიზაცია განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმუმამდე შემცირებას და მისი ფუნქციების ზესახელმწიფო სტრუქტურებისათვის გადაცემას. სტატიის ავტორის აზრით, მსგავსი მოსაზრებები მცდარია და არ ჩეესაბამება რეალობას. გლობალიზაციის ეპოქაში ხდება არა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის დაკნინება, არამედ მოდიფიკაცია. ეს უკანასკნელი გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად იქცევა ეროვნული ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და გლობალურ ეკონომიკაში ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი ჩართვა.				

4.6 . სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური,	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ელგუჯა მექვაბიშვილი	ეკონომიკური მეტაფორები, რომლებსაც საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ (კომენტარი პროფ. ჯონ. ფ. ტომერის სტატიაზე: მეტაფორები აშშ-ის ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად: უხილავი და ხილული ხელის ეკონომიკური	ეკონომიკა და ბიზნესი, 2019, No 4,	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 30-34 სტატიისგვერდების რაოდენობაა: 5 გვ.

		სტადიების ჰუმანისტური ხელის სტადიად გარდაქმნა			
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) კომენტარი ეძღვნება ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, პროფ. ჯ.ტომერის სტატიის შეფასებას. აღნიშნულია, რომ ეს არის ორიგინალური თეორიულ-მეთოდოლოგიური შინაარსის ნაშრომი, რომელშიაც ეკონომიკური მეტაფორების („უჩინარი ხელი“, „ეკონომიკური ადამიანი“) გამოყენებით დახასიათებულია აშშ-ის ეკონომიკის განვითარების ისტორიული ეტაპები და გაკეთებულია პროგნოზი იმის შესახებ, მომავალში თუ რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს პროცესები ეკონომიკის გლობალიზაციისა და ჰუმანიზაციის გამოწვევების გათვალისწინებით.					

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ელგუჯა მექვაბიშვილი	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	13 სექტემბერი, 2019 წელი ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია თეორიული ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთკავშირი. ერთმანეთისგან გამიჯნულია „ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა“ და „პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის“ ცნებები. აღნიშნულია, რომ თეორიული ეკონომიკა არის ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის მეთოდოლოგიური საფუძველი, ამ უკანასკნელის ცხოვრებაში რეალიზება კი ხორციელდება პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით. ავტორის აზრით, საქართველოში მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზია ის, რომ არ ხდებოდა (ხდება) თეორიული ეკონომიკის თანამედროვე მოწინავე გამოცდილების გათვალისწინება. სჭარბობს ე.წ. „ცდა-შეცდომის“ მეთოდი და ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს უცხოური მეთოდების მექანიკურ კოპირებას ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები- ბროშურა

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ვლადიმერ პაპავა, ვახტანგ ჭარაია, გოჩა ცოფურაშვილი	რას მისცემს საქართველოს მარიხუანის ეკონომიკა? What Will the Marijuana Economy Give to Georgia? ISSN 1512-4835 ISBN 978-9941-8-0959-0	თბილისი, რონდელის ფონდი	ქართული - 21 გვ. ინგლისური - 18 გვ. სულ - 39 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

დღეისათვის დაგროვებული საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოში საექსპორტოდ გათვალისწინებული სამედიცინო დანიშნულების მარიხუანის წარმოებას ქვეყნისეკონომიკისათვის გარკვეული დადებითი შედეგები ექნება. კერძოდ, 5-წლიანი ციკლის (რადგანაც შესაბამისი ლიცენზია 5 წელზეაგათვლილი) განმავლობაში 1 ჰა ფართობის მქონე 10 კომპანია 667მილიონი ლარის მოგებას მიიღებს. 0,5 ჰა ფართობის მქონე 10 კომპანია კი 5 წლის განმავლობაში ჯამურად დაახლოებით 306 მილიონი ლარის მოგებას მიიღებს. მაშასადამე, 20 პოტენციური კომპანიის მიერ მისაღები მოგება 5 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ,ჯამში 973 მილიონ ლარამდე უნდა იყოს. ბუნებრივია, რომ უფრომეტი კომპანიისა და მეტი ფართობების გამოყოფის შემთხვევაში,მისაღები მოგების ოდენობაც შესაბამისად გაიზრდება. თუმცა, თუგავითვალისწინებთ დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას, რომელიც2016 წელს მსოფლიოში მარიხუანის ყველაზე დიდი ექსპორტიორიიყო 2,1 ტონით, მაშინ საქართველოსთვის მოყვანილი ჩვენი გათვლები აშკარად ზედმეტად „ოპტიმისტურია“.

მოსალოდნელი მოგების შედარებით შთამბეჭდავ ოდენობასთან ბევრად უფრო მოკრძალებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტისპოტენციური შემოსავლები, რაც განპირობებულია საქართველოშიდღეს არსებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სასოფლოსამეურნეო წარმოებასა და ექსპორტზე. მარიხუანის წარმოებაზესაგადასახადო წნეხის გაზრდა კი ამ პროდუქტს კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე აშკარად შეუმცირებს.

იმავე ზედმეტად „ოპტიმისტური“ პირობითი მაგალითისათვის, როცა ბაზარზე გვეყოლება 1 ჰა ფართობის 10 და ასევე 0,5ჰა ფართობის 10 კომპანია (ანუ სულ 20 კომპანია), მაშინ პროექტისგანხორციელების პირველ წელს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზრდება53 261 000 ლარით, ხოლო მომდევნო ოთხ წელიწადში, წლიურად 60 862 800 ლარით. ეს კი, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისკანონპროექტის თანახმად, ბიუჯეტს (რომელიც 13 090 მილიარდილარია) მხოლოდ 0,41 პროცენტით გაზრდის.

არანაკლებ საყურადღებოა ის პარამეტრიც, თუ რამდენად შემცირდება საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, რომელიც 2017 წელს 5,2 მილიარდ ამერიკულ დოლარს

აღემატებოდა. რადგანაც მარიხუანის განხილული პირობითი მაგალითის შემთხვევაში ჯამში ადგილი ექნება 12 ტონა პროდუქციისექსპორტს, მისი ჯამური ღირებულება 120 000 000 აშშ დოლარიიქნება. მაშასადამე, საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2,3 პროცენტით.

მართალია, სამედიცინო მარიხუანის ექსპორტს გარკვეულიდოზით პოზიტიური გავლენა ექნება საქართველოს ეროვნულივალუტის სტაბილურობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ იკვეთებარაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა. კერძოდ, მოყვანილი პირობითიმაგალითის შემთხვევაში, 2018 წლის 30 სექტემბრის მონაცემებისშესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისორეზერვებთან მიმართებაში უცხოური ვალუტის შემოდინება ამრეზერვების მხოლოდ 3,8 პროცენტი იქნება.

პრაქტიკულად, არც დასაქმება გაიზრდება მნიშვნელოვნად.კერძოდ, განხილული პირობითი მაგალითის შემთხვევაში, სულშესაძლებელია 1700 ადამიანი დასაქმდეს, რაც მთლიანი დასაქმების0,1 პროცენტი, ხოლო დაქირავებით დასაქმებულების მხოლოდ 0,19პროცენტი იქნება. იმავდროულად, უმუშევრობის მაჩვენებელი 0,1პროცენტული პუნქტით, ანუ 12,0 პროცენტამდე შემცირდება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გატანით მიღებულ ეკონომიკურ ზრდას ეკონომისტები „კუდში მიმდევარ ზრდას“ უწოდებენ და ის სამართლიანადაა მიჩნეული ეკონომიკურ ჩამორჩენილობის ხელშემწყობად. ჩვენნაირი ქვეყნისთვის კი ეკონომიკის

სწორი განვითარება მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისდა ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზეაშესაძლებელი.

როგორც ცნობილია, სამედიცინო მარიხუანის წარმოებისტექნოლოგიური ნორმების სრული დაცვა ითვალისწინებს თრობისკომპონენტის მაქსიმალურ შემცირებას. იმავდროულად ნაკლებ სავარაუდოა, რომ განვითარების დღევანდელ დონეზე საქართველოში შესაძლებელი გახდეს ამ ტექნოლოგიის სრული დაცვის უზრუნველყოფა.

ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, სამართალდამცავ ორგანოებს, განსაკუთრებით იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დეკრიმინალიზებული აქვს, არ შესწევთ უნარი აკრძალონ ნარკოტიკების არალეგალურ ბაზარზე მათი მიწოდება. ხოლომარიხუანის პლანტაციების თუნდაც მხოლოდ საექსპორტო მიზნითგაშენების შემთხვევაში, საქართველოში გაიზრდება ნარკოტიკებისარალეგალურ ბაზარზე მიწოდების პოტენციური შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოშიმარიხუანის ეკონომიკის შექმნა და განვითარება ჩვენი სახელმწიფოსთვის და მთლიანად ქვეყნისთვის (გარდა ამ ბიზნესით დაკავებულთათვის) დიდ დადებით შედეგებს ვერ იძლევა, ხოლო დამატებით რეალურ საფრთხეებს კი, ქართული სახელმწიფოს განვითარების არსებული დონის გათვალისწინებით, ნამდვილად ქმნის.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ვლადიმერ პაპავა	სტატიის სათაურია: „მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ კრებულის სახელწოდებაა: თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI ISSN 1987-6904	თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	კრებულის გვერდების რაოდენობაა: 435 გვ.; სტატიის გვერდებია: 38-53; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 16 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მაღალტექნოლოგიური წარმოება ძირითადად ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებშია თავმოყრილი (არანაკლებ 91,02 პროცენტი).

მოცემული ქვეყნებიდან ამ ტექნოლოგიების ექსპორტისშესახებ მსოფლიო ბანკის მონაცემების საფუძველზე შეიძლებაგაკეთდეს დასკვნა, რომლის თანახმადაც, იმის მტკიცებათითქოს მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის წევრობა საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ მასში გაწევრიანებულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მოხდეს მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ევროკავშირისთვის დამახასიათებელია მაღალტექნოლოგიური წარმოების არათანაბარი ტერიტორიული განფენილობა.

იმისათვის, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების მიერ წარმატებით იქნეს ათვისებული მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარების პოტენციალი, აუცილებელიაკაპიტალის დაგროვების ტემპების ზრდა, რაც, განსაკუთრებითსაწყის ეტაპზე, მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეულიეკონომიკის “ტრადიციული” დარგების შემდგომი განვითარებისხარჯზე. ამ გზით შესაძლებელი გახდება არსებითად გაიზარდოს ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების მთლიანშიგა პროდუქტში კვლევებსა და ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების ხვედრი წილი.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირისპოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იყოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამ მიზნით, მთელი ძალისხმევისკონცენტრირება უნდა მოხდეს თანამედროვე

სამეცნიეროკვლევითი და საძიებო-საკონსტრუქტორო სამუშაოების განმახორციელებელი პროფესიონალი კადრების მომზადებაზე. მაღალტექნოლოგიური წარმოების ვენჩურული დაფინანსებისთვის დამატებითი წყაროების მობილიზების მიზნითცალკე ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი ძალისხმევა. მთლიანად ევროკავშირის და, არა მარტო, მისი თუნდაცპოსტკომუნისტური წევრი ქვეყნების შემდგომ განვითარებასუდიდეს სტიმულს მისცემს მაღალტექნოლოგიური ინოვაციურიპროდუქტების ევროკავშირის მასშტაბით ერთიანი ბაზრის შექმნა.				
2	ვლადიმერ პაპავა, თამარ თაფლაძე	სტატიის სათაურია: О барьере ретроэкономики в развитии «зелёной экономики» (რეტროეკონომიკის ბარიერის შესახებ „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში) კრებულის სახელწოდებაა: ინსტიტუტის 75 და ჟურნალ “ეკონომისტის” 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული “‘მწვანე ეკონომიკის’ ფორმირების თანამედროვე პრობლემები” (21-22 ივნისი, 2019) ISBN 978-9941-13-854-6	თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	კრებულის გვერდების რაოდენობაა: 628 გვ.; სტატიის გვერდებია: 84-87; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 4 გვ.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) სტატიაში გაანალიზებულია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პირობებში „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების პრობლემა. მოძველებული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში გამოიყენება. ნებისმიერი საწარმოს მიერ მათი გამოყენება ქმნის ილუზიას, რომ ესა თუ ის ბიზნესი არის წარმატებული. საერთაშორისო კონკურენციაა დონეზე კი, ნათელია, რომ ამ რეტროეკონომიკურ საწარმოებს არ აქვთ წარმატების მიღწევის რაიმე შანსი. რეტროეკონომიკის				

ეფექტების დასაძლევად სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ეკისრება.				
3	ვლადიმერ პაპავა, ვახტანგ ჭარაია	სტატიის სათაურია: On the Measurement of Imflation and the Complex Inflation Targeting (ინფალციის გაზომვისა ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების შესახებ) კრებულის სახელწოდებაა: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 1-2 ნოემბერი, 2019 ISBN 978-9941-13-890-4	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	კრებულის გვერდების რაოდენობაა: 563 გვ.; სტატიის გვერდებია: 326-329; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 4 გვ.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) გაანალიზებულია ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, რომელიც, სამწუხაროდ, მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმას, რომ ინფლაციის თარგეთირება უსუსურია იმპორტირებულ ინფლაციასთან მიმართებაში. ეს პრობლემა იმპორტდამოკუდებული ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მწვავეა. შეთავაზებულია იმფლაციის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ქვეყნის შიგა ბაზარზე იმპორტის ფასებს, რომელთა ფორმირებაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს. შეთავაზებულია ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი, როცა მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივი მაჩვენებლებია ინფლაცია და იმფლაცია.				

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ვლადიმერ	ერთისაკვანძოეკონომიკური	ეკონომიკა და	თბილისი,	სტატიის

	პაპავა, ავთანდილ სილაგაძე	ტერმინის – “Gross Domestic Product”-ისქართულისახელწოდების შესახებ ISSN 1587-5426	ბიზნესი, ტომი XI, No. 1	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვერდებია: 180-182; სტატიისგვერდების რაოდენობაა: 3 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ამა თუ იმ ქართული ტერმინის დადგენისას, აუცილებელია დავეყრდნოთ ქართული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე სალიტერატურო ენას. ამის გათვალისწინებით, ინგლისური ტერმინის – „Gross Domestic Product”-ისარსებასზედმიწევნითასახავს „მთლიანი სამამულო პროდუქტი“. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ისევე როგორც ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში, ინგლისური ტერმინის – „Gross Domestic Product“შესატყვის ქართულ თარგმანად დამკვიდრებულია ტერმინი – „მთლიანი შიდა პროდუქტი“ და/ან – „მთლიანი შიგა პროდუქტი“.

XX საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში, როცა ქართული პოლიტიკური ელიტისათვის უმთავრესი უცხო ენა იყო რუსული, ქართულ ენაში ტერმინი – „მთლიანი შიდა პროდუქტი“, დამკვიდრდა რუსული ენის ზეგავლენით, რადგანაც „Gross Domestic Product“ რუსულად თარგმნილია, როგორც «Валовый Внутренний Продукт». დადგადრო, როცა ყოველმხრივ გამართლებულია, რომ ქართულ ენაში შესაბამისი ადგილი დაიმკვიდროს ტერმინმა – „მთლიანი სამამულო პროდუქტი“.

2	ვლადიმერ პაპავა	On the Prospects for the Use of High Technologies in the European Union’s Post-Communist Countries (ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივების შესახებ) ISSN 0132-1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე), Vol. 13, No. 2	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	სტატიის გვერდებია: 135-141; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 7 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში განხილულია ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დონისგან საკმაოდ შორსაა. გაკეთებულია დასკვნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანება სულაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ამა თუ იმ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება განვითარდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა თავად გამოიჩინონ ძალისხმევა, რათა გაატარონ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნისა და განვითარების, “კვლევისა და განვითარების” სისტემის პრიორიტეტულად დაფინანსების ხელშეწყობაზე.

3	ვლადიმერ პაპავა, ვახტანგ ჭარაია	ინფლაცია და მისი მოდიფიკაციები (ტერმინოლოგიური ასპექტის შესახებ) Inflation and its Modifications (On the Terminological Aspect) ISSN 1587-5426	ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, No. 2	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	ქართულენოვანი: 224 -228 გვ., სულ 5 გვ. ინგლისურენოვანი: 221-224 გვ. სულ 9 გვ.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ინფლაციის ტრადიციული მაჩვენებელი, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი განვითარებად ქვეყნებში. ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფი არ ასახავს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის პრობლემებს. აგრარული ინფლაცია, ანუ აგფლაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. სტატიაში შემოთავაზებულია მანფლაციის სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ფასების ცვლილებას მედიკამენტებზე, კომუნალურ მომსახურებასა და საკვებ პროდუქტებზე. იმ ქვეყნებისთვის, სადაც იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, აშკარაა, რომ აუცილებელია ფასების ცვლილება გაანგარიშებულ იქნეს იმპორტული საქონლისა და მომსახურების მიმართ (იმფლაცია).					
4	ვლადიმერ პაპავა ავთანდილ სილაგაძე	როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი”Gross Domestic Product” ISSN2449-2396	გლობალიზაცია და ბიზნესი, No.7	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 203-204; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 2 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში ინგლისური ტერმინის”Gross Domestic Product” ქართულად ითარგმანება, როგორც ”მთლიანი შიდა პროდუქტი” და/ან “მთლიანი შიგა პროდუქტი“. ინგლისური ტერმინის ამგვარი თარგმნა არ არის ზუსტი, რადგანაც ეს თარგმანი განხორციელებეულია არა ინგლისური, არამედ რუსული ენიდან. ეს უზუსტობა მოგვიანებით გამოასწორა ამ სტატიის ერთ-ერთმა თანაატორმა, რომელმაც მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოს, კრუგმანის, ობსტფელდის და მელიტცის ”საერთაშორისო ეკონომიკის” ქართულითარგმანისრედაქტირებისასტერმინი”Gross Domestic Product”თარგმნა, როგორც ”მთლიანი სამამულო პროდუქტი”.					
5	ვლადიმერ პაპავა	რატომ არ იმართება სახელმწიფო ისე, როგორც კომპანია? (ზოგიერთი მოსაზრება პოლ კრუგმანის სტატიაზე – „სახელმწიფო არ არის კომპანია“) ISSN 1587-5426	ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, No. 3	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 24-25; სტატიისგვერდების რაოდენობაა: 2 გვ.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

ორ ათეულ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკაში, პროფესორმა პოლ კრუგმანმა გამოაქვეყნა სტატია დამაინტრიგებელი სათაურით – „სახელმწიფო არ არის კომპანია“, სადაც დეტალურადაა გამახვილებული ყურადღება იმ პრინციპულ განსხვავებაზე სახელმწიფოსა და კომპანიას შორის, რომლის მიხედვითაც პირველი – დახურული სისტემაა, ხოლო მეორე – ღია. ამ სტატიაში განხილულია არაერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა პრინციპული განსხვავებაა ეკონომისტის აზროვნების სტილსა და მენეჯერის აზროვნების სტილს შორის.

სახელმწიფოს მმართველთათვის ამოსავალია საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, სტაბილური ეკონომიკური განვითარების, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა. რაც შეეხება კომპანიას, მისთვის განმსაზღვრელია მოგების ან /და თავად კომპანიის ღირებულების ზრდა. სწორედ ესაა სახელმწიფოსა და კომპანიის მიზნებსა და წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმებს შორის პრინციპული განსხვავება.

6	ვლადიმერ პაპავა	ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება) ISSN2449-2396	გლობალიზა-ცია და ბიზნესი, No.8	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტ ის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 7-22; სტატიის გვერდების რაოდენობაა: 16 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

არც თუ იშვიათად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ხელშემშლელ ფაქტორად მისი პოლიტიზაცია აღიქმება. სინამდვილეში ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ამდენად „ეკონომიკის პოლიტიზაციის“ თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელიც კი არის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, როცა „ეკონომიკის პოლიტიზაციის“ განმაპირობებელი არის ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არ ემყარება ეკონომიკური მეცნიერების მიერ მიღწევებს. თუ ეკონომიკური პოლიტიკა არა მარტო დაცილებულია ეკონომიკურ მეცნიერებას, არამედ, ცალკეული შემთხვევებში, ეწინააღმდეგება კიდეც მის ელემენტარულ დებულებებს, მაშინ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკასთან მიმართებაში გატარებულ ამაგვარ პოლიტიკას „არაეკენომიკური პოლიტიკა“ უნდა ეწოდოს. „არაეკენომიკური პოლიტიკის“ გამომწვევ მიზეზთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავად ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მცდარი შეხედულებები, მთავრობის ეკონომიკური გუნდის არაპროფესიონალიზმი, და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ეროვნული მთავრობებისადმი მიცემული მცდარი რეკომენდაციები. პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება იძლევა არაერთ თვალსაჩინო მაგალითს, როცა შესაბამის მთავრობათა მიერ გატარებულ იქნა „არაეკონომიკური პოლიტიკა“, რაც საკმაოდ მძიმე შედეგებით აისახა ქვეყნის განვითარებაზე. წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად კი გატარებულ იქნა ისეთი ეკონომიკური რეფორმები, რომლთა შედეგადაც გასული საუკუნის 90-ან წლებში დაძლეულ იქნა ჰიპერინფლაცია, მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გატარებულ იქნა ფულის რეფორმა, რის შედეგადაც შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისი რეფორმები სრულად ეფუძნებოდა ეკონომიკურ მეცნიერებას. უმთავრესი პრობლემა არის ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკურ მეცნიერებასთან დაახლოება, რისი მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლები იქნებიან მაღალპროფესიონალი ეკონომისტები.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ვლადიმერ პაპავა ვახტანგ ჭარაია	On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia), О комплексном инфляционном таргетировании и модифицированных показателяхинфляции (на примере Грузии) (ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების და ინფლაციის მოდფიცირებული მაჩვენებლების შესახებ (საქართველოს გამოცდილება)) DOI: 10.26794/2587-5671-2019-23-3-16-34	Finance: Theory and Practice, Финансы: теория и практика (ფინანსები: თეორია და პრაქტიკა), Vol 23, No 3	მოსკოვი, რუსეთი, რუსეთის ფინანსური აკადემია	ინგლისურენოვანი: 16 -34 გვ., სულ 19 გვ. რუსულენოვანი: 16-34 გვ., სულ 17 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია ინფლაციური თარგეთირების რეჟიმი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანასი გამოიყენება როგორც ცენტრალური ბანკების მონეტარული ინსტრუმენტი.ამ რეჟიმის გამოყენების ბოლო 25 წლის გამოცდილების შესწავლა მის არაერთ ნაკლოვანებას ნათელყოფს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მას, რომ ინფლაციის თარგეთირება უძლურია ინფლაციის იმპორტის შემთხვევაში. ეს პრობლემა იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში განსაკუთრებული სიმწვავით დგება. სტატიაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის უუნაროობა ზეგავლენა იქონიოს ინფლაციის იმპორტზე განზოგადებულია ინფლაციის იმ შემთხვევისთვის, რომელიც წარმოების დანახარჯების ზრდითაა გამოწვეული.

განსახილველი პრობლემა ნაშრომში პოსტკომუნისტური საქართველოს (სადაც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი 2009 წლიდან გამოიყენება) და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მაგალითზეა შესწავლილი.

გაანალიზებულია ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები, ისეთები, როგორიცაა აგფლაცია, მანფლაცია და იმფლაცია. ნაჩვენებია, რომ პირველი ორი ასახავს ფასების დინამიკას

სურსათზე, ასევე სამედიციო მომსახურებასა და ძირითად მედიკამენტებზე, კომუნალური მომსახურების ძირითად სახეობებზე. რაც შეეხება იმფლაციას, ეს მაჩვენებელი ასახავს იმპორტის ფასების დინამიკას შიგა ბაზარზე, რაზეც დიდი გავლენა აქვს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს.

აგფლაციისა და მანფლაციის მაჩვენებლები, ინფლაციის ტრდაციციულ მაჩვენებელთან ერთად, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში მთავრობათათვის მნიშვლელოვან მაკროეკონომიკურ ინდიკატორებად უნდა იქცნენ.

სტატიაში შემოთავაზებულია მონეტარული პოლიტიკის ახალი მიდგომა, რომელსაც დავარქვით ინფლაციის კომლექსური თარგეთირება. ამ შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივი მაჩვენებლები იქნება ინფლაცია და იმფლაციაც. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს, მას უნდა დაეკისროს იმფლაციის ფაქტობრივი დონის რეგულირების ფუნქცია.

2	ვლადიმერ პაპავა	The Central Caucaso-Asian Countries and the Prospects of Accession to the Eurasian Economic Union, О перспективах вступления стран Центральной Кавказии в Евразийский экономический союз (ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ცანტრალური კავკაზიის ქვეყნმების შესვლის პერსპექტივის შესახებ) ISSN 1404-6091 (Print) ISSN 2002-3839 (Online)	Central Asia and the Caucasus (English Edition), Central Asia and the Caucasus (Russian Edition) (ცენტრალური აზია და კავკასია) Vol. 20, Iss. 2	ლულეა, შვედეთი, საგამომცემლო სახლი CA&C Press AB	ინგლისურენოვანი: 16 -23 გვ., სულ 8 გვ. რუსულენოვანი: 17-25 გვ., სულ 9 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში შესწავლილია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გაფართოების საკითხი პოსტსაბჭოთა სივრცის იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებიც ქმნიან ცენტრალური კავკაზიის გეოპოლიტიკურ რეგიონს. ამ რეგიონის სამი ქვეყანა - სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი უკვე არიან ამ კავშირის წევრი-სახელმწიფოები. ღია რჩება საკითხი ამ კავშირში ცენტრალური

კავკაზიის სხვა სახელმწიფოების - აზერბაიჯანის, თურქმენეთის, საქართველოს, ტაჯიკეთის და უზბეკეთის გაწევრიანების შესახებ.

განხილულია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ძირითადი ინტეგრაციული ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც რუსეთის ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მისაღები საბაჟო შემოსავლების კავშირის სხვა წევრების სასარგებლოდ გადანაწილებას ეფუძვნება.

რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ისა და სხა ქვეყნების მიერ მიღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, და ამ სანქციების საწინააღმდეგოდ მოსკოვის მიერ მიღებულმა კონტრსანქციებმა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაართულა. სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც შეძლება განხილულ იქნენ, როგორც მომავალში ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესაძლო წევრები, ამ კავშირის მიმზიდველობა სანქციებისა და კონტრსანქციების პირობებში საგრძნობლად შემცირებულია. თანაც ცენტრალური კავკაზიის ისეთი ქვეყნებისთვის (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და უზბეკეთი), რომელთაც აქვთ საკუთარი ნავთობისა გაზის მნიშვნელოვანი რესურსები რუსეთის ნავთობისა და გაზის ექსპორტისაგან მისაღები საბაჟო შემოსავლების გადანაწილების ეკონომიკური მექანიზმები არ არის საკმარისი სტიმული ამ ქვეყნების მოცემულ კავშირში გასაწევრიანებლად.

რაც შეეხება ცენტრალური კავკაზიის ორ ქვეყანას - საქართველოსა და ტაჯიკეთს, ისინი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში წევრობას განსხვავებულად აღიქვამენ. კერძოდ, საქართველოსთვის პროინციპიალური მნიშვნელობა აქვს ევროპულ ორიენტაციას, რომლმაც უკვე ფორმალური ხასიათიც კი მიიღო, როცა 2014 წელს ცელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, და რომელიც ძალაში 2016 წელს შევიდა. ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ხელშეკრულება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ.

ტაჯიკეთისთვის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესაძლო გაწევრიანებას არ აქვს რაიმე პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა, თუმცა ზემოხსენებული სანქციები და კონტრსანქციები ქმნიან გარკვეულ ბარიერს, რათა ამ ქვეყანას მოუნდეს მოცემულ კავშირში გაწევრიანება. მიუხედავად ამისა ცენტრალური კავკაზიის ყველა ქვეყნიდან, რომლებიც ჯერ არ არიან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრები ყველაზე მაღალი ალბათობით ამ კავშირში შესაძლოა სწორედ ტაჯიკეთი გაწევრიანდეს.

3	ვლადიმერ პაპავა	On the Non-Economic Policy and the Post-Communist Experience of Georgia (არაეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება) DOI: 10.13187/es.2019.2.143	European Journal of Economic Studies (ეკონომიკური კვლევების ევროპული ჟურნალი) Vol. 8, No. 2	ბრატისლავა, სლოვაკეთის რესპუბლიკა საგამომცემლო სახლი Academic Publishing House Researcher s.r.o.	სტატიის გვერდებია: 143-151; სტატიისგვერდების რაოდენობაა: 9გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ეკონომიკური პოლიტიკა საჯარო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ის უნდა ემყარებოდეს

ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. თუ ეკონომიკური პოლიტიკა არა მარტო დაცილებულია ეკონომიკურ მეცნიერებას, არამედ, ცალკეული შემთხვევებში, ეწინააღმდეგება კიდეც მის ელემენტარულ დებულებებს, მაშინ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკასთან მიმართებაში გატარებული ამაგვარი პოლიტიკა „არაეკენომიკური პოლიტიკაა“. მის გამომწვევ მიზეზთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთავრობის ეკონომიკური გუნდის არაპროფესიონალიზმი, თავად ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მცდარი შეხედულებები, და ეკონომიკური მეცნიერების ჩამორჩენა რეალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისადმი.სტატიაში მოცემულია არაეკენომიკური პოლიტიკის ტიპოლოგია. პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება გვაძლევს არაეკონომიკური პოლიტიკის არაერთ თვალსაჩინო მაგალითს. წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად XX საუკუნის 90-ან წლებში დაძლეულ იქნა ჰიპერინფლაცია, მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გატარებულ იქნა ფულის რეფორმა და შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა - ლარი. ეს რეფორმები დაეყრდნო ეკონომიკურ მეცნიერებას. უმთავრესი პრობლემა არის ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკურ მეცნიერებასთან დაახლოება, რაც მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას მაღალპროფესიონალი ეკონომისტების მიერ.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ვლადიმერ პაპავა, თამარ თაფლაძე	О барьере ретроэкономики в развитии «зелёной экономики» (რეტროეკონომიკის ბარიერის შესახებ „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში)	21-22 ივნისი, 2019 წელი თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
2	ვლადიმერ პაპავა	ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება)	13სექტემბერი, 2019 წელი ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	ვლადიმერ პაპავა, ვახტანგ ჭარაია	On the Measurement of Imflation and the Complex Inflation Targeting (ინფალციის გაზომვისა ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების შესახებ)	1-2 ნოემბერი, 2019 წელი თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	PMI Impact (Interdependence between illegal trade in tobacco and corruption money laundering and organized crime პროექტის დამფინანსებელი ევროკავშირი		01 მარტი 2019-31 დეკემბერი 2019	თეიმურაზ ბერიძე(კონსულტანტი), ლია ძებისაური (ექსპერტი) გიორგი ღაღანიძე (ხელმძღვანელი)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტში მონაწილე ქვეყნები - ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, სერბია, უკრაინა. უკანონო თამბაქოს ბრუნვის, კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ორგანიზებული დანაშაულის კავშირის შეფასების საფუძველზე მომზადებული იქნება გრძელვადიანი სტრატეგია და რეკომენდაციები ზემოთქმულ პრობლემატიკაზე, რაც ხელსშეუწყობს აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის გაზიარებას აღნიშნულ პრობლემატიკაზე. არსებული გამოკვლევით ხელი შეეწყობა საზოგადოებასა, სამთავრობო სტრუქტურებსა, მეცნიერებსა და ბიზნესის წარმომადგენლების შორის კოოპერაციას.				

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	პროფ. თეიმურაზ ბერიძე	გარდამავალი პერიოდი ეკონომიკაში (საქართველოს გამოცდილება)	კოლექტიური მონოგრაფია რუმინეთში	2019 წელი იბეჭდება	
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	პროფ.თეიმურაზ ბერიძე	რეგიონული ეკონომიკის	2019 წელი აპრილი, ქალაქი

2	პროფ. თეიმურაზ ბერიძე	ეფექტიანობა (პ პოლიტეკონომიური ასპექტი) თამბაქოთი უკანონო ვაჭრობა საქართველოში და მისი კავშირი კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან ორგანიზებულ დანაშაულთან	დნეპრი, საფინანსო და საბაჟო აკადემია (უკრაინა) 2019 წელი მაისი, ლიტვა, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) 1) გახსნილია რეგიონული ეკონომიკის ორერთიანი ფუნქცია: საკუთრივ წვლილის შეტანა რეგიონის ამოცანების გადაწყვეტაში; 2) შესაბამის წვლილის შეტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მთლიანად. 2) გაანალიზებილი ჩრდილოვანი ეკონომიკის ასპექტები საქართველოში, ჩატარებულია შედარებითი ანალიზი პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან.			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც. ა) რეცენზია პროფესორ გია მალაშხიას მონოგრაფიაზე; ბ) რეცენზია სტატიაზე - „Some Problems of food safety in respect of food production and consumption characteristics in Georgia;
2019 წლიდან ვარ არჩეული ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის და კრიმინოლოგიის აკადემიის წევრად.
1994 წლიდან ვარ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	***Atanelishvili,T.*** (C./A.-2)	*Economic Doctrines: The Origins. Nova science publishers.*	New York, 2019.	151
This book presents research in the old era about the individual elements of economic doctrines that form the basis of the formation of economic science. The aim of the first chapter is to consider the most important economic views (State economic function, budget model, statistics, ownership, etc.) in the ancient epoch (Egypt, Iraq, China, India, etc.). The second chapter deals with the most prominent economic considerations (economics, labor division, money, goods, property, management, etc.) of the famous representatives of the ancient epoch (Ancient Greece, Old Rome), although they did not specifically research economic issues (especially in ancient Greece). The third chapter reveals "mature" economic considerations formed in Western Europe, Kievan Rus', Georgia, Russia, Tunisia etc.) that have finally laid the foundation for economics as a science. *წიგნში გამოკვლეულია ეკონომიკური დოქტრინების ცალკეული ელემენტები დაწყებული*			

უძველესი ეპოქიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას. პირველ თავში განხილულია უძველეს ეპოქაში (ეგვიპტე, ერაყი, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.) მეტად მნიშნელოვანი ეკონომიკური მოსაზრებები (სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, ბიუჯეტის მოდელის, სტატისტიკის, საკუთრების და ა.შ. შესახებ). მეორე თავში გამოკვლეულია ანტიკურ ეპოქაში (ძველი საბერძნეთი, ძველი რომი) გამოთქმული ფრიად საყურადღებო ეკონომიკური შეხედულებები (ეკონომიკის, პოლიტიკის, შრომის დანაწილების, გაცვლის, ფულისა და მისი ფუნქციების, საქონლის, საკუთრების, თავისუფლების, აგრარული რეფორმის,ქვეყნის მართვის მოდელის შესახებ და სხვ.). მესამე თავი ეძღვნება ეკონომიკური აზროვნების განვითარების ევოლუციას დასავლეთ ევროპაში, , კიევის რუსეთში, საქართველოში, რუსეთში, ტუნისში და ა.შ.), რომლებმაც მყარი საფუძველი დაუდო ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებას.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*Atanelishvili, T., Zubiashvili,T.*	*SOME ASPECTS OF THE GEORGIA-CIS TRADE RELATIONS*	*J.Ecoforum 8(2):7(2019).* *https://www.researchgate.net/publication/333676153_*	*Romania, Bucharest* *USA*	
2	*Atanelishvili, T. Silagadze,A.*	*GEORGIA-CIS TRADE RELATIONS: THE PROBLEMS OF THE RUSSIAN MARKET*	*International Journal of Arts and Sciences (IJAS)*	*(ბეჭდვაში), 2019*	
ნაშრომში გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ)-ს ევოლუცია და მასში რუსეთის დომინანტობა; საქართველოს ევროპული კურსის, ორმხრივი ეკონომიკური კავშირების დიდმნიშვნელობა; რუსეთთან პოლიტიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობები და სხვ.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	*Atanelishvili,T.*	*GEORGIA-CIS TRADE RELATIONS: THE PROBLEMS OF THE RUSSIAN MARKET*	*University of Malta (Valletta), 03-04/2019 https://malta2019.sched.com*

ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ინგა ბალარჯიშვილი	„პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ შეუსრულებლობის შესახებ ISSN 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი, 2019, No. 3	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	სტატიის გვერდებია: 40-57; სტატიისგვერდების რაოდენობაა: 18 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ეკონომიკური ინსტიტუტები და ქცევის მოდელები ენდოგენური ცვლადებია და წარმოადგენს აშკარა თუ არააშკარა შეთანხმების (კონტრაქტული პროცესის), ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტების კოლექტიური მოქმედებების შედეგს. აქედან გამომდინარეობს კითხვა: რა პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს პარეტო-ეფექტიანი პოლიტიკური შეთანხმება საზოგადოებრივ აგენტებს შორის ეკონომიკურ იინსტიტუტების შექმნის შესახებ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესრულებადია თუ არა „პოლიტიკური ქოუზის თეორემა“, რომელიც ვარაუდობს ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების თავისუფალ და ნებაყოფლობით გაცვლას და შედეგად - ეფექტიან ინსტიტუტებს.

როგორც ქოუზის „საწყისი“ თეორემის შემთხვევაში, ამგვარი კოლექტიური მოქმედებების (უფლებამოსილებების გაცვლის) საფუძველია კოლექტიური სარგებლიანობის, ანუ საზოგადოებრივი დოვლათის ზრდა. ეს ნაზრდი შეიძლება განაწილდეს საზოგადოების წევრებს შორის და გაზარდოს მათი ინდივიდუალური სარგებლიანობა ან მოახდინოს ეკონომიკური და პოლიტიკური „დაზარალებულების“ კომპენსირება. ამგვარად, ცვლილებები ინსტიტუტებში და ქცევის მოდელებში, როგორ ცპარეტო-გაუმჯობესება, საერთო ინტერესია. ეს კი ნიშნავს, რომ ეფექტიანი წესების შექმნა, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით, კონცეპტუალურად შესაძლებელია.

თამაშთა თეორიის ტერმინებში ეს ნიშნავს, რომ არსებობს კოოპერაციული თამაშის შესაძლებლობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ აგენტებს შორის, როდესაც მხარეთა ერთობლივი მოქმედებებით შეიძლება შეიქმნას ინსტიტუტი, რომლის შედეგი იქნება საერთო მოგება (რომელ მაჩვენებლებში გამოიხატება ეს მოგება, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს).

ანალიზი გულისხმობს გარკვეული წანამძღვრების არსებობას, კერძოდ: -არსებობს რაღაც არაეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურა (საკუთრების უფლებები, შემოსავლების განაწილება და სხვ.); - არსებობს უფრო ეფექტიანი ინსტიტუციურიმოდელი (პარეტო-გაუმჯობესება); - არ არსებობს რაიმე პრინციპული დაბრკოლება მოცემული ინსტიტუციური მოდელის პოლიტიკური პროექტის სახით წარდგენისთვის; - მხარეები (პოლიტიკოსები, აქტივების მესაკუთრეები, მეცნიერები და ა.შ.) ფლობენ საკმარის კვალიფიკაციას და გამოცდილებას იმისათვის, რომ შექმნან ახალი ინსტიტუციური მოდელი.

რატომ არ მოქმედებენ ერთობლივად ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტები ინსტიტუციური სტრუქტურის გაუმჯობესებისა და საერთო მოგების მისაღებად? რა უშლის ხელს „ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას პოლიტიკაში?

ინსტიტუციური სტრუქტურის ცვლილებისთვის საზოგადოებრივი აგენტების მიერ გაღებული ხარჯები, ანუ „პოლიტიკურ იქოუზის თეორემის“ რეალიზაციის დაბრკოლებები შემდეგია:

• პოლიტიკური ტრანსაქციური ხარჯები: უფლებამოსილებათა ოპტიმალური განაწილების ძიების ხარჯები; მოლაპარაკებათა წარმართვის ხარჯები; სისტემის ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციის ცვლილების ხარჯები; „გადასვლის ხარჯები“ (წესების შეცვლა მოითხოვს ხარჯებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თამაშის ყველა მონაწილისთვის) და ა.შ. ამ ხარჯების არარსებობის შემთხვევაში, „თამაშის წესების“ ოპტიმალური ნაკრები ჩამოყალიბდებოდა ყველგან და ყოველთვის, რადგან ნებისმიერი „მოძველებული“ ინსტიტუტის შეცვლა ახლით, უფრო ეფექტიანით, არაფერი „ეღირებოდა“;

• ეფექტიანი წესების შექმნისთვის მოტივაციის არარსებობა. მხარეებს (ყოველ შემთხვევაში, ერთ მხარეს მაინც) შეიძლება არ აინტერესებდეს საერთო მოგება, რამდენადაც არსებობს კერძო მოგების მიღების ალტერნატიული გზები (ეკონომიკური და პოლიტიკურ ირენტა). მისი წყაროა ასიმეტრია ძალაუფლების განაწილებაში. რენტის წყაროდ შეიძლება გადაიქცეს ინფორმაციის ასიმეტრიაც.

• ინსტიტუციური ცვლილებები „კრეატიული ნგრევაა“. ინსტიტუტების ეფექტიანობის ზრდას შეიძლება მოჰყვეს შემოსავლის, ძალაუფლების, საკუთრებაში პოზიციის დაკარგვა ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტების მიერ. ეს იწვევს პოტენციური „წაგებულების“ წინააღმდეგობას ინსტიტუციური ცვლილებებისადმი;

• მხარეებს შორის ნდობის პრობლემა. ეს ნიშნავს რწმენის არარსებობას, რომ საზოგადოების სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია დადებითად იმოქმედებს სარგებლიანობის ინდივიდუალურ ფუნქციაზე;

• სანდო დაპირებების (ვალდებულებების) პრობლემა. არ არსებობს საზოგადოებრივი შემოსავლის ნაზრდის რომელიმე მხარის სასარგებლოდ განაწილების „სანდო“ მექანიზმები. მსჯელობაა ვალდებულებების შესრულების იძულებითი მექანიზმის (მესამე მხარის) არარსებობაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენადაც არ არსებობს მიღებული სარგებლიანობის გადანაწილების გარანტია, არ არსებობს ინსტიტუტების სრულყოფის სტიმულებიც;

• პრეფერენციების პრობლემა. ძალაუფლება მისი მფლობელისთვის არამხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევის (მაგალითად, რენტული შემოსავლების მიღების) საშუალებაა. ის „დოვლათია“ თავისთავად და, ამიტომ, შეიძლება საბოლოო მიზანიც იყოს;

• ინსტიტუციურ ცვლილებათა „დროითი ჰორიზონტი“. განსხვავება დროში ინსტიტუციური ცვლილებების ხარჯებსა და ამცვლილებებიდან მიღებულ სარგებლობას შორის, ასუსტებს მოტივაციას ინსტიტუციური ცვლილებებისადმი, რომელიც ეფექტს გრძელვადიან პერიოდში იძლევა.

ამგვარად, პოლიტიკური „ქოუზის თეორემის“ მიხედვით, ადამიანებს ყოველთვის შეუძლიათ მოლაპარაკება და უფლებამოსილებათა გაცვლა, მაგრამ მოცემულ შეზღუდვათა ერთობლიობის შედეგად, რომელთაგან ბევრი გადაულახავი ხასიათისაა, ქოუზის თეორემა პოლიტიკაში არ სრულდება. ე.ი. ყოველთვის რჩება ხელიდან გაშვებული ალტერნატიული ინსტიტუციური შესაძლებლობები. რაციონალურ, მაქსიმიზირებად ქცევას არ შეუძლია გადალახოს ყველა დანახარჯი, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი ინსტიტუტების შექმნისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუტები, პოლიტიკური ქოუზის თეორემა, რწმენა, სოციალური კონფლიქტი, ტრანსაქციური ხარჯები, ვალდებულებების პრობლემა.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი რევაზ გველესიანი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
ასისტენტ პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი
ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

პროფესორი რევაზ გველესიანი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მიზნობრივი პროექტი „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N6795/01-50-09) **ეკონომიკა; ეკონომიკური პოლიტიკა**	2019 წელი, 01.04-01.12	**პროფ. რევაზ გველესიანი** - (პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარ-ანალიტიკოსი); **ასოც. პროფ. ირინა გოგორიშვილი** - (მკვლევარი); **ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი** (მკვლევარი); **ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი** (მკვლევარი) **ასისტ. პროფ. ლალი ხურცია** (მკვლევარი); **ასისტ. პროფ. გიორგი გაფრინდაშვილი** - (მკვლევარი); **დოქტორანტი ნანა ცერცვაძე** (მონაწილე); **დოქტორანტი სალომე კობახიძე** (მონაწილე)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული			

მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესის მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებასა და ევოლუციაზე, რაც სოციუმში მათი როლისა და ადგილის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალტევადობასთან არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ციფრული ეკონომიკის ფორმირების ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს განვითარებული და დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ღია ეკონომიკებზე და დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან იგი განვითარების პროცესის პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და შემოქმედებით ადამიანზე ფოკუსირდება (და არა მთელ ადამიანთა საზოგადოებაზე). ციფრულ ბიზნესში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების ათვისება (დანერგვა) ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს, როგორც საწარმოებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ასეთი პროცესებია: ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმსა და ა. შ. წინააღმდეგობებს. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლების თვალსაზრისით არა მარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი სიახლეთა ძიების საფუძველზე ყოველდღიურ ზრდასა და განვითარებაშია.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ჩვენი აზროვნების პოსტმოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს, როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები (შესაბამისად, მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის (ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესებია, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებელის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის - ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალური სარგებელის მიღებაზე გადაიტანონ. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად წინ უსწრებს საწარმოთა შესაძლებლობებს - ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საწარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დაკონკრეტებას, განსაზღვრას და ზოგ შემთხვევაში რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რაც მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში გვხვდება და ვასწავლით კიდეც, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში

შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადაწყვეტილებებს. სპეციალისტები, მეწარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად იცვლება საყოველთაო გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალზე მოკლე პერიოდში ელვის სისწრაფით წარიმართება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრულობის პირობებში ადაპტირებისათვის ბიზნესსაზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართულებათა შეცვლა უხდებათ, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების (ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

შედეგები

- გამოვლენილია ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილების შესწავლისა და კვლევის საფუძველზე საქართველოში მისი დანერგვის შესაძლებლობები;
- საქართველოში პროგრამული მომსახურებისა და პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა გამოცდილების არსენალის გამდიდრება ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების ანალიზის მეშვეობით;
- შემუშავებულია ციფრული ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარების სტრატეგია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, მზადდება კოლექტიური მონოგრაფია.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდია მეცნიერთათვის, ეკონომიკა, გერმანია (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი)	2020 წლის 01.05-31.07	პროფ. რევაზ გველესიანი - პროექტის ავტორი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გველესიანი	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები.	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ.49-55

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი - ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის ფორმა

ძირითადი ღირებულებები (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი) ყოველთვის საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ეფუძნება. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარებისა და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის ეკონომიკური განვითარების არსებული დონე აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს. საზოგადოების ძირითადი ღირებულებები ხშირად კონფლიქტებით სავსე დემოკრატიული პროცესების შედეგად წარმოიქმნება. ამასთან, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ-პლიტიკური მიზნების დაკონკრეტებას (იდენტურობის, ჰარმონიის, ნეიტრალიტეტის, კონფლიქტის და ურთიერთგამორიცხვის მიმართულებით), სწორედ მაშინ იწყება პრობლემები, სიტუაცია უკიდურესად რთულდება და წარმოიქმნება ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები. აღნიშნული კონფლიქტების პრევენცია სამართლებრივ-საკანონმდებლო ველის ინსტრუმენტებით მოკლევადიან პერიოდში დროებითი დადებითი ეფექტებით ხასიათდება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ძალზე გართულდეს და ანტაგონისტური ხასიათი მიიღოს. ეს პროცესი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რისკების პრევენციის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ცხადია, მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებას ძალუძს გაიღოს ძვირადღირებული რესურსები თანმიმევრული, გრძელვადიანი და ფრთხილი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	რ. გველესიანი	ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და მათ განსახორციელებლად მიღებული გადაწყვეტილებების თავსებადობის პრობლემა ISSN: 2449-2396	ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ N7,	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი“	გვ.32-38.
2	რ. გველესიანი	ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებთან შესაბამისობის პრობლემა ISSN: 1987-5789 ESSN: 2587-5426	ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი,“ ტომი XI, №3	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ.27-39

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები თავიანთი ლოგიკური სტრუქტურით მეტად კომლექსურია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულების გამო. ყველა გადაწყვეტილება მოიცავს რაიმე განუსაზღვრელობას. გარკვეული ან განუსაზღვრელია არის თუ არა სწორად გაანალიზებული ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია და განხილული ქმედებების მოსალოდნელი შედეგები. გადაწყვეტილებების ლოგიკური სტრუქტურა გადაწყვეტილების მიღების თეორიის ობიექტია. სწორედ ეს თეორია გვეხმარება ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პრობლემების შეფასებასა და დაძლევაში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	R. Gvelesiani	The problem of making optimal decisions on the implementation of economic policy objectives, ISBN:978-609-8239-66-9	The ACAVENT, Vienna School of International Studies	Vienna, Austria https://www.icbmeconf.org/june-2019-vienna/	
2	R. Gvelesiani	Formation of the Innovative Entrepreneurship Culture: Cpabilities and Problems ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 1, 2020 (მიღებულია გამოსაქვეყნებლად)	Sttefan cel mare university of Suceava, Romania	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპტიმიზაცია - მაქსიმალური შედეგის მიღწევა - მხოლოდ მკაცრი რაციონალურობის საფუძველზეა შესაძლებელი. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქმედების დროს გასათვალისწინებელია ის მიღწევები, რომლებიც შედეგების სახით წინასწარ არის მოცემული. მეორე მხრივ კი, საჭიროა შეფასების ფუნქცია გამოვიყენოთ. იგი საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა შედეგი მათი მახასიათებლების მიხედვით შევაფასოთ და მოქმედებები სასურველი წესრიგის ფარგლებში მოვაქციოთ.
შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების მიღების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელი ვარიანტის გამოყენებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ. გადაწყვეტილების მომზადების წესის ცოდნა უკიდურესად ფრაგმენტულია. იგი დროში არასტაბილურია. ეს ნიშნავს, რომ ინსტრუმენტების მნიშვნელობის (ღირებულების) შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია. რაც შეეხება ინსტრუმენტთა გამოყენებას, ისიც არასრულყოფილადაა შეფასებული.

ინოვაციური სამეწარმეო კულტურის ფორმირების შესაძლებლობები და მათი გამოყენების ხელოვნება

მეწარმეობის კულტურის სერიოზულად მზარდი „პრობლემათა ველი“ ხშირად არ შეიცნობა

ან იგნორირდება კიდეც. ასეთ შემთხვევაში სტრატეგიას აღიარებენ რელევანტურად და რესურსების ფოკუსირებას მასზე ახდენენ. ბარიერები, შინაგანი კონფლიქტები, წარუმატებელი ან დამარცხებული სტრატეგია და ბაზარზე უარი არის ყოველივე ამის შედეგი. მეწარმეობის კულტურა უკიდურესად მგრძნობიარე პარამეტრია. მისი ფორმირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება და გატარება, რომლებმაც განსაკუთრებით კულტურის არსის ასპექტი უნდა გაითვალისწინონ. ამან კი მხოლოდ კულტურის მიმართ მგრძნობიარე მენეჯმენტში შეიძლება ჰპოვოს ასახვა.
მეწარმეობის დაწყების სრულიად განსხვავებული წესი, კერძოდ, კომპონენტებისაგან კომპანიის დაფუძნება, ინოვაციურ სამეწარმეო კულტურაზე მიუთითებს. სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა მისი წარმატების წინაპირობაა. ციფრულ მეწარმეობაში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ვინაიდან ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზე კეთდება, ეს სამეწარმეო კულტურის დიგიტალიზაციის პრობლემების დაძლევას მეტად აქტუალურს ხდის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. გველესიანი	ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან შესაბამისობის პრობლემა	2019 წლის 13 სექტემბერი, ბათუმი, საქართველო
2	რ. გველესიანი	ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი - ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის ფორმა	2019 წლის 1-2 ნოემბერი, თბილისი, საქართველო
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	R. Gvelesiani	The problem of making optimal decisions on the implementation of economic policy objectives	21-23 June 2019 Vienna, Austria
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და მასთან არსებული **ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი** პროფ. **რევაზ გველესიანის** ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

- ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);
- ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გიუნტერ ფალტინი);
- ცუკუბას (იაპონია) უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა-რივანო);
- პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);
- მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტთან (წარმომადგენელი პროფესორი უვე ჰალბახი).
- რომის, საპიენზას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);
- მისკოლცის (უნგრეთი) უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);
- საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ფონ ნოსტიტზი);
- პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს: **ა)**ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; **ბ)**საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმების ორგანიზებას; **გ)**ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადებას; **დ)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების ინტენსიური კურსის წაკითხვას; **ე)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას; **ვ)**დოქტორანტების ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათი სადისერტაციო ნაშრომების ერთობლივ რეცენზირებას.

I. პროფ. რევაზ გველესიანის ხელმძღვანელობით 2019 წელს სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა ერთმა დოქტორანტმა გ. ბრეგაძემ, ხოლო დაცისათვის მზადაა დოქტორანტ ი. ასლანიშვილის სადისერტაციო ნაშრომი. ამჟამად პროფ. რ. გველესიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს 14 დოქტორანტს (გ. ადეიშვილი, ი. ასლანიშვილი, უ. გოგიშვილი, ს. კობახიძე, გ. კოკაია, ტ. ლომია, თ. მიქიაშვილი, ნ. ნადიბაიძე, ვ. სამნიაშვილი, ნ. სუმბაძე, ს. ჩიტაძე, ნ. ცერცვაძე, ა. ხიზანიშვილი, ვ. ხიხაძე).

II. ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებმა პროფესიული პრაქტიკა გაიარეს ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის 1–31 მაისს.

ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტისდა სახელებამეცნიერებისდარგის ადასამეცნიერომიმართულები სმითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2019 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული**პროექტისდას ახელებამეცნიერებისდარგისა დასამეცნიერომიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი პროექტი „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N:6795/01-50-09) **ეკონომიკა** **ეკონომიკური პოლიტიკა**	**2019 წელი 01.04-01.12**	**პროფ. რევაზ გველესიანი,** (ხელმძღვანელი) **ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი,** (მკვლევარი, კოორდინატორი) **ასოც. პროფ. ირინა გოგორიშვილი,** (მკვლევარი) **ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი,** (მკვლევარი) **ასისტ. პროფ. ლალი ხურცია,** (მკვლევარი) **ასისტ. პროფ. გიორგი გაფრინდაშვილი** (მკვლევარი) **დოქტორანტი სალომე კობახიძე** (მონაწილე) **დოქტორანტი ნანა ცერცვაძე** (მონაწილე) 4
თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესის მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებასა და ევოლუციაზე, რაც სოციუმში მათი როლისა და ადგილის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს			

სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალტევადობასთან არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ციფრული ეკონომიკის ფორმირების ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს განვითარებული და დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ღია ეკონომიკებზე და დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან იგი განვითარების პროცესის პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და შემოქმედებით ადამიანზე ფოკუსირდება (და არა მთელ ადამიანთა საზოგადოებაზე). ციფრულ ბიზნესში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების ათვისება (დანერგვა) ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს, როგორც საწარმოებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ასეთი პროცესებია: ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმსა და ა. შ. წინააღმდეგობებს. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლების თვალსაზრისით არა მარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი სიახლეთა ძიების საფუძველზე ყოველდღიურ ზრდასა და განვითარებაშია.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ჩვენი აზროვნების პოსტმოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს, როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები (შესაბამისად, მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის (ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესებია, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებელის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის - ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალური სარგებელის მიღებაზე გადაიტანონ. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად წინ უსწრებს საწარმოთა შესაძლებლობებს - ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საწარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დაკონკრეტებას, განსაზღვრას და ზოგ შემთხვევაში რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რაც მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში გვხვდება და ვასწავლით კიდეც, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადაწყვეტილებებს. სპეციალისტები, მეწარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად იცვლება საყოველთაო

გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალზე მოკლე პერიოდში ელვის სისწრაფით წარიმართება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრულობის პირობებში ადაპტირებისათვის ბიზნესსაზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართულებათა შეცვლა უხდებათ, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების (ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

შედეგები

- გამოვლენილია ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილების შესწავლისა და კვლევის საფუძველზე საქართველოში მისი დანერგვის შესაძლებლობები;
- საქართველოში პროგრამული მომსახურებისა და პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა გამოცდილების არსენალის გამდიდრება ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების ანალიზის მეშვეობით;
- შემუშავებულია ციფრული ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარების სტრატეგია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, მზადდება კოლექტიური მონოგრაფია.

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**გ. ერქომაიშვილი**	**რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა- ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა** ISBN 978-9941-26-458-0	**თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“**	**170 გვ.**

ნაშრომში გადმოცემულია მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე; დამწყებ მეწარმეთა ეკონომიკურად რაციონალური ქცევის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში; ეროვნული კონკურენტული უპირატესობების მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა; სოციალური პასუხისმგებლობა - სოციალური მეწარმეობის განვითარების აუცილებელი წანამძღვარი; სოციალური პასუხისმგებლობა - მეწარმეობისადმი ახლებური მიდგომის საფუძველი; სოციალური მეწარმეობის თავისებურებები და მისი განხორციელების შესაძლებლობები

საქართველოში.

მეწარმეობის განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მეწარმეთა ფენის და კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურების ფორმირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რამდენადაც, მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტიაა. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, შესაბამისად, აუცილებელია რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც გულისხმობს, დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, არსებული საშუალებები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელია. მას მართავს მხოლოდ ბაზარი და კანონი. მეწარმე იკმაყოფილებს არა მარტო ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, არამედ იგი გარდამქმნელად მოქმედებს ეკონომიკური ცხოვრების პირობებზე და ცდილობს ეს უკანასკნელი ისეთნაირად წარმართოს, რომელშიც მას ახალი მოთხოვნები და ინტერესები გაუჩნდება. ამგვარად, მეწარმე ისწრაფვის რა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, ამავე დროს ახდენს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც.

საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტის "საშუალო ფენის" წარმოქმნას. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საქართველოში დღითიდღე პოპულარული ხდება ტერმინი სტარტაპი. საქართველოში სტარტაპად ხშირად მოიაზრებენ დამწყებ მეწარმეებს. დამწყები მეწარმეები ის ეკონომიკური სუბიექტებია, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსაც კი. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მათი წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში ძალიან დიდია. სტარტაპ კომპანიები ცდილობენ ისეთი პროდუქტის შექმნას, რომლის ანალოგიც ან ბაზარზე საერთოდ არ არის, ან გვთავაზობენ არსებულ პროდუქტს სხვა გზით. სტარტაპ კომპანიები ემსახურებიან პროგრესს, რადგან ქმნიან რაღაც ახალს.

სტარტაპებს გააჩნიათ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ფუნქცია. ეკონომიკური კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ინოვაციური პოტენციალი, ამიტომ, რიგ ქვეყნებს გააჩნიათ ინოვაციური პოლიტიკა, რაც გულისხმობს ცენტრების, ხშირად ინკუბატორების დაარსებას. ისინი ხელს უწყობენ მცირე და საშუალო მეწარმეობას, ქმნიან პირობებს კონკურენტუნარიანი ფირმების ფუნქციონირებისათვის, ვენჩურულ კაპიტალის ფონდებს, გასწევენ საკონსულტაციო მომსახურებებს და სხვ.

რაც შეეხება სტარტაპების სოციალურ როლს, მეწარმეების ფენის არსებობა ქვეყანაში ამაღლებს სოციალურ ფონს. ჩნდება მეტი მოთხოვნა განათლებაზე. მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში

სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სულ უფრო პოპულარული ხდება სოციალური მეწარმეობა. დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ გადასვლის ტენდენციას. სოციალური მეწარმეობის იდეა მსოფლიო მასშტაბით მკვიდრდება. წინა პლანზე წამოიწია ბიზნესის სოციალურმა პასუხისმგებლობამ, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიები ცდილობენ თავის საქმიანობაში სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინონ და საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ბიზნესმეწარმეებმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს სწორედ ის მძლავრი იარაღი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას.

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	გ. ერქომაიშვილი	ციფრული ეკონომიკა - ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ინსტრუმენტი ISSN 1987-5789 ESSN 2587 -5426	ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, N2	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9 გვ.
2	გ. ერქომაიშვილი	მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში	საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	10 გვ.

		ISBN 978-9941-13-854-6			

ანოტაცია

1. სტატია ეხება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე უდიდეს ტექნოლოგიურ ძვრებს. ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების დანერგვამ დასაბამი მისცა უპრეცენდენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს.სულ უფრო იზრდება ციფრული ტექნოლოგიების როლი ქვეყნის პროდუქტიულობისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში. დღეს ის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი საოცრად მაღალია და ის ეკონომიკური განვითარების მთავარი ინსტრუმენტია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ სტრატეგიად უნდა იქცეს ქვეყნის დაჩქარებული ინტეგრირება გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა უნდა მოხდეს ყველა შესაძლო სექტორში, სხვაგვარად ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი გახდება. უნდა ამაღლდეს ციფრული სამეწარმეო კულტურა და ის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად იქცეს.

საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია: ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ციფრული ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. დღეისათვის ერთობ დაბალია ტექნოლოგიების ზრდისა და ათვისების პროცესი; სახელმწიფომ, ბიზნესსა და სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით უნდა შექმნას ციფრული გარემოს განვითარებისა და რეგულირების საკანონმდებლო ბაზა, ხელი შეუწყოს ინტერნეტკომპანიების წარმოქმნას და ინტერნეტბაზრის სტიმულირებას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამაღლდეს ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა; ყურადღება უნდა გამახვილდეს შემეცნებითი პრობლემების გადაჭრის უნარებზე; უახლესი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებისათვის ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები; უნდა მოხდეს ერთიან ციფრულ ბაზარში ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, საფუძველს დაუდებს ახალი სტარტაპებისა და ლაბორატორიების შექმნას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

2. ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია მწვანე ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა, შეფასებულია გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები საქართველოში.

XXI საუკუნეში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს გარემოს დაცვის პრობლემა წარმოადგენს. რაც უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკის ზეწოლა დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე, მცირდება ტყის ფართობები მთელ მსოფლიოში, იზრდება გაუდაბნოებული ტერიტორიების ფართობი, ზოგ ადგილას წყლის დონე დაბლა იწევს, მდინარეები შრება, იცვლება კლიმატი, იზრდება რადიოაქტიური ნარჩენების და ნაგავსაყრელების რაოდენობა, ხმაური და სხვ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს გარემოს დაცვასა და მისი ინტენსიური გამოყენების შემცირებას, გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებით დასახული მიზნის მიღწევას, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოვლენას. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების

ეფექტიანი განხორციელება მხოლოდ წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი. საქართველოს მთავრობა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მწვანე ეკონომიკას განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნებრივი რესურსების არაეფექტურ გამოყენებას, ნარჩენების წარმოქმნას, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს, წყლის ობიექტებში გაუწმენდავი წყლის ჩაშვებებს. მწვანე ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს კომპანიების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ამასთანავე, გამოიწვევს ცხოვრების დონის გარემოსდაცვითი ხარისხის ამაღლებას, ეკოსისტემებისა და ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებას და ახალი ბიზნესშესაძლებლობების გაჩენას. ამდენად ამდენად იგი მდგადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია: წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახლის (მათ შორის ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა; გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია), ასევე ევროკავშირის 85/337/E დირექტივასთან; საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყევეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე; ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოსაყალიბებლად. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის შენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

1	**G. Erkomaishvili**, E. Kharaishvili, M. Chavleishvili	Economic Policy of Achieving National Competitive Advantage Online ISSN : 1307-6892	World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:13, No:10, 2019	Rome, Italy	7 გვ.
2	E. Kharaishvili, **G.Erkomaishvili**, M. Chavleishvili	Trends of Agri-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia Online ISSN : 1307-6892	World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:13, No:1, 2019	Istanbul, Turkey	8 გვ.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.ერქომაიშვილი	მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები“ (21-22 ივნისი, 2019).

2 3	გ.ერქომაიშვილი გ.ერქომაიშვილი	ტურიზმის და ველნეს ინდუსტრიის პოლიტიკა საქართველოში ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის სტრატეგია საქართველოში	II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები“ . ბათუმი, 13 სექტემბერი, 2019 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები თანამედროვე პირობებში“. ბათუმი, 16 დეკემბრი, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**G.Erkomaishvili**, E. Kharaishvili, M. Chavleishvili	Economic Policy of Achieving National Competitive Advantage	ICBEMM 2019: 21th International Conference on Business, Economics, Management and Marketing, Rome, Italy, October 17-18, 2019
2	E.Kharaishvili, **G. Erkomaishvili**, M. Chavleishvili	Trends of Agri-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia	ICBEEM 2019:International Conference on Business, Economics,Management and Marketing. Istanbul, Turkey, January 30-31, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა	2019-2019	პროფ. რევაზ გველესიანი, ხელმძღვანელი. შემსრულებლები: ასოც. პროფ. ირინა გოგორიშვილი ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი ასისტ. პროფ. ლალი ხურცია ასისტ. პროფ. გიორგი გაფრინდაშვილი დოქტორანტი ნანა ცერცვაძე და დოქტორანტი სალომე კობახიძე.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის მიზანს წარმოადგენდა: ეკონომიკის ციფრიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა გაანალიზება და ციფრიზაციის პროცესებთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა დაძლევის რეკომენდაციათა შემუშავება.

ნაშრომის შესრულების პროცესში გამოყენებული იყო: ლოგიკური ანალიზის, შედარებისა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების მეთოდები. **კვლევა დაეფუძნა:** ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებებსა და ნაშრომებს, აგრეთვე საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მასალებს. საგრანტო პროექტის შესრულებისას სერიოზულ **პრობლემას წარმოადგენდა** საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ მასალის მოპოვება და გაანალიზება.

თანამედროვე სამეცნიერო - ტექნიკური პროცესები პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის გარეშე, ციფრული ტექნოლოგიების ჩათვლით. ეს ტექნოლოგიები შესაძლებელს გახდის უმოკლეს ვადებში მოვახდინოთ მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხის რეალიზაცია. სწორედ სისწრაფე და უნივერსალურობა აძლევს IT ტექნოლოგიებს პოპულარობას თანამედროვე მეცნიერებისა და მრეწველობის დარგებში. სამომავლოდ, ელექტრონული ბანკინგის ტექნოლოგიების დანერგვა და ნივთების ინტერნეტი საშუალებას მოგვცემს სრულად გადავიდეთ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ციფრიზაციაზე. რაც საშუალება მოგვცემს, ერთ მოწყობილობაში მოხერხებულად შევათავსოთ ადამიანისთვის აუცილებელი ნივთების მრავალი ფუნქციური შესაძლებლობები. საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა რეალურად მნიშვნელოვნად ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას. დარგები, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიას ინტენსიურად იყენებენ, ორჯერ უფრო სწრაფად ვითარდება ვიდრე საშუალოდ სხვა დარგები. ტრადიციული ტიპის მომსახურების ნაცვლად ინტერნეტის საშუალებით მომხმარებელთა მომსახურება ბანკებს საშუალებას აძლევს თითქმის 10-ჯერ შეამცირონ თავიანთი შრომითი

დანახარჯები. ბოლო დროს, ძირითადად, ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების წყალობით, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევის სფეროში(საავიაციო-კოსმოსური დარგის ჩათლით). შრომითი ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე გადასვლა ხორციელდება:

- ამოცანების განაწილების ავტომატური სისტემების გამოყენებით;
- საწარმოს მართვა რესურსების ეფექტურად განაწილების გათვალისწინებით;
- ელექტრონული აღრიცხვისა და დოკუმენტების ბრუნვით;
- აგრეთვე წარმოებისა და გარემოს მონიტორინგის სისტემებით; და
- მენეჯერული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში მხარდაჭერის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

საბოლოოდ ყოველივე ეს ქმნის თვისებრივი ცვლილებების განხორციელების საფუძველს არსებული ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისთვის(რაც ციფრიზაციის დაქვემდებარებულ მიზანს წარმოადგენს).

თანამედროვე მკვლევარები და ექსპერტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას, მათ შორის: ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება; ბლოკჩეინი(პროგრამათა ბლოკების ჯაჭვი) და კრიპტოვალუტა; დიდი მონაცემები; ტელემედიცინა; დამატებული და ვირტუალური რეალობა; ჩატ-ბოტები და ვირტუალური დამხმარეები; მობილურობა და კიბერუსაფრთხოება; ნივთების ინტერნეტი; კომპიუტერული ხედვა; და ნეიროქსელები. ნაშრომში დახასიათებულია აღნიშნულ ტექნოლოგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში.

ნაშრომში მოცემულია ციფრიზაციის გლობალური და ეროვნული პოლიტიკების ანალიზი. საქართველოში ციფრიზაციის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და წარმატებული გატარება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული განათლების სისტემის მორგებაზე ახალი გამოწვევებიადმი. ამ მხრივ დიდი იმედია ცხადია ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ამოქმედება საქართველოს ბოლო სამეფოს ტერიტორიაზე- იმერეთში. ამ ახალი აკადემიური სივრცის შექმნამ მთლიანად უნდა შეცვალოს განათლების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინა გოგორიშვილი	ციფრული ეკონომიკის წარმატებული განვითარების სტრატეგია საქართველოში	მეორე ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია. ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების თანამედროვე გამოწვევები. 13 სექტემბერი 2019. ბათუმი.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	ირინა გოგორიშვილი	Business Systems Laboratory - 6 th International Symposium BORDERS WITHOUT BORDERS: SYSTEMIC FRAMEWORKS AND THEIR APPLICATIONS FOR SUSTAINABLE WELL-BEING IN THE GLOBAL ERA January 21-23, 2019 University of Pavia Pavia, Italy State Economic Policy for Regulating Digital Economy in Small Countries State Economic Policy for Regulating Digital Economy in Small Countries	Business Systems Laboratory - 6th International Symposium BORDERS WITHOUT BORDERS: SYSTEMIC FRAMEWORKS AND THEIR APPLICATIONS FOR SUSTAINABLE WELL-BEING IN THE GLOBAL ERA January 21-23, 2019,University of Pavia, Pavia, Italy.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი პროექტი „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N:6795/01-50-09)	**2019 წელი 01.04-01.12**	ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი მკვლევარი

თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესის მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებასა და ევოლუციაზე, რაც სოციუმში მათი როლისა და ადგილის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალტევადობასთან არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ციფრული ეკონომიკის ფორმირების ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს განვითარებული და დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ღია ეკონომიკებზე და დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან იგი განვითარების პროცესის პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და შემოქმედებით ადამიანზე ფოკუსირდება (და არა მთელ ადამიანთა საზოგადოებაზე). ციფრულ ბიზნესში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების ათვისება (დანერგვა) ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს, როგორც საწარმოებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ასეთი პროცესებია: ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმსა და ა. შ. წინააღმდეგობებს. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლების თვალსაზრისით არა მარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი სიახლეთა ძიების საფუძველზე ყოველდღიურ ზრდასა და განვითარებაშია.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ჩვენი აზროვნების პოსტმოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს, როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები (შესაბამისად, მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის (ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესებია, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებელის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის - ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალური სარგებელის მიღებაზე გადაიტანონ. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად წინ უსწრებს საწარმოთა შესაძლებლობებს - ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს

საწარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დაკონკრეტებას, განსაზღვრას და ზოგ შემთხვევაში რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რაც მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში გვხვდება და ვასწავლით კიდეც, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადაწყვეტილებებს. სპეციალისტები, მეწარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად იცვლება საყოველთაო გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალზე მოკლე პერიოდში ელვის სისწრაფით წარიმართება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრულობის პირობებში ადაპტირებისათვის ბიზნესსაზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართულებათა შეცვლა უხდებათ, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების (ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

შედეგები

- გამოვლენილია ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილების შესწავლისა და კვლევის საფუძველზე საქართველოში მისი დანერგვის შესაძლებლობები;
- საქართველოში პროგრამული მომსახურებისა და პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა გამოცდილების არსენალის გამდიდრება ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების ანალიზის მეშვეობით;
- შემუშავებულია ციფრული ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარების სტრატეგია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, მზადდება კოლექტიური მონოგრაფია.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lekashvili, E.	Management on Innovations in Georgian Higher Educational Institutions: Key Problems with teaching Economic Science. http://doi.org/10.21272/mmi.2019.1-23.	Marketing and Management of Innovations. Issue 1, 2019, ISSN 2227-6718 (on-line), ISSN 2218-4511 (print), UDC	Ukraine, http://mmi.fem.sumdu.edu.ua/en/journals/2019/1; (Science impact Factor: 1,28. http://scienceimpactfactor.com/?p=979. 02.04.2019)	pp.281-293

			378.147:33		
2	Lekashvili, E., Mamaladze, L.	Crypto Currency – A New Challenge for the Economy of Georgia DOI: http://dx.doi.org/10.12775/CJFA.2018.022	.Copernican Journal of Finance and Accounting (2018, volume 7, issue 4).87-97. ISSN 2300-1240 (print); ISSN 2300-3065 (online) (Acceded: 27.05.2019.	https://apcz.umk.pl/czasopisma/index.php/CJFA/article/view/CJFA.2018.022	pp.87-97;
3	*Lekashvili Eka.*	*Current issues of new economic policy* https://www.bsfucon.org/.	*International Scientific and Practical Internet Conference Business Strategy: Futurological Challenges, November 20-22, 2019,*	*Kyiv.* КНЕУ, 2019. 495. ISBN 978–966–926–310–0; УДК 005.21:001.18]:004.773.7.	*, pp.19-24*

1. ეკონომიკური მეცნიერებების სწავლების პროცესი უნდა ემსახურებოდეს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წარმატებულ საქმიანობას როგორც ეკონომიკური თეორიის, ასევე პრაქტიკული ეკონომიკის სფეროებში.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში საუნივერისტეტო საგანმანათლებლო სივრცეში მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის სწავლება ჩაანაცვლა ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა თეორიამ, რომლისთვისაც ქვეყანაში და უნივერსიტეტებში გაბატონებული პოზიციის დაკავებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა მრავალი გარე და შიდა ფაქტორებით იყო განპირობებული. თუმცა რეალურად კვლავ მივიღეთ მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკური აზროვნების ცალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს და გამორიცხავს სამეცნიერო აზროვნების პლურალიზმს და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. თანამედროვე პირობებში ,,ლესეფერ“ დოქტრინის მოქმედება სახელმწიფო რეგულირების თეორიის გარეშე სინამდვილეს მოწყვეტილი აბსტრაქციაა (გ.თოდუა, 2004).

საქართველოს უნივერსიტეტებში ეკონომიკური მეცნიერებების სწავლების გამოწვევებს შორის მნიშვნელოვანია ,,ეკონომიკის ისტორიის“ სასწავლო კურსის საკითხი. ეკონომიკის უმაღლესი სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია ,,ეკონომიკის ისტორიის“ კურსი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ეკონომიკის პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციაზე და ცოდნის ხარისხზე. შეუძლებელია ეკონომიკური პროცესების განვითარების მეცნიერული შესწავლა სამეურნეო ტრადიციების და კულტურულ-

ისტორიული ყოფის თანმიმდევრული ცოდნის და გენეტიკურ-ისტორიული ანალიზის გარეშე.

გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში თავი იჩინა ახალმა გამოწვევებმა ეკონომიკური მეცნიერებების სწავლების გამოწვევებში. შორის მნიშვნელოვანია სწავლების ინტერდისციპლინური მიდგომების და მეთოდების დანერგვის საკითხი. საინფორმაციო ეპოქის პირობებში მნიშვნელოვანია განხორციელდეს ეკონომიკის პროგრამების მოდერნიზება ისეთი სახით, რომლის კურსდამთავრებულებიც შეძლებენ ელექტრონული მმართველობის პროცესში ჩართვას. რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, აღნიშნული მიმართულების განვითარება ხელს შეუწყობს ელექტრონული დემოკრატიის პროცესების დაჩქარებას და გამჭირვალეს გახდის მმართველობით პროცესებს. სასურველია, ეკონომიკის სასწავლო პროგრამების მოდერნიზება ისეთი სასწავლო კურსებით, როგორებიცაა ,,ბიზნეს პროცესების რეინჟირინგი ელექტრონული მმართველობისთვის“, ,,გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები ტერიტორიული მმართველობისთვის“, ,,ელექტრონული მმართველობითი გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემები“ და ა.შ.

2. თანამედროვე მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში მკვეთრად იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, რამაც მოითხოვა საქონლისა და მომსახურების გაცვლის ინოვაციური საშუალებების საჭიროება, რომელიც კრიპტოგრაფიული ვალუტის სახით შეიქმნა. კრიპტოგრაფიული ვალუტის მიზანია ნებისმიერი მარეგულირებელი ინსტიტუტისგან აბსოლუტურ8ი დამოუკიდებელობის პირობებში მომხმარებელისთვის მაქსიმალურად გაემარტივებინა ტრანზაქციის განხორციელება. ვირტუალური ვალუტის ჩამოყალიბებამ და მისმა მზარდმა პოპულარობამ ახალი გამოწვევები შეუქმნა ცენტრალურ ბანკებს სავალუტო პოლიტიკის რეგულირების კუთხით, მათ შორის საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ნაშრომის მიზანია ვირტუალური ფულის რეგულირების საკითხზე საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მოქმედების შემზღუდველი ფაქტორების გამოკვლევა, აგრეთვე, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით კრიპტოგრაფიული ვალუტის შექმნისა და ფუნქციონირების სქემის, გადახდების განხორციელების თავისებურებების შესწავლა, დადებითი და უარყოფითი მხარეების სისტემატიზაცია და იმ გამოწვევების განხილვა, რაც მისი ზედამხედველობის მხრივ იქმნება ოფიციალური უწყებების მხრიდან კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო.

3. საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებამ ვერ უზრუნველყო წარმატებული ეკონომიკური ტრანსფორმაცია და განვითარება. საჭიროა განვითარების განვლილი გზის ფუნდამენტური გადააზრება, რაც გულისხმობს განვითარებისკენ მიმართული ახალი ტიპის კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება-გატარებას.

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა, რომელიც ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის ამოცანებს, მათი მიღწევის რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებს და კვლევის მოსალოდნელ შედეგებს განსაზღვრავს. ამასთან, მოცემულია კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობები.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

			ნომერი/ტომი		
1	ეკა ლეკაშვილი	*ციფრული ეკონომიკა: მეცნიერებისა და პოლიტიკის გამოწვევები ISSN1987-5789; ESSN 2587-5426*	*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“. ტომი XII, N 4, 2019*	თბილისი	20

ნაშრომში წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის პრობლემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიული კვლევას. გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის შედეგების სისტემატიზაცია გვიჩვენებს იმ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების სიმრავლეს, რომელთა არსებობა და წარმოშობა უფრო მეტ წიგნიერ მზაობას მოითხოვს თანამედროვე მოქალაქისგან და ხელისუფლებისგან. ნეგატიური ეფექტები დაკავშირებულია მთელ რიგ გაურკვევლობებთან, რაც გაართულებს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევას და გატარებას.

ამასთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული ეკონომიკის გამოწვევების ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტების მოსაძიებლად, მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება. საჭიროა კვლევების დივერსიფიკაცია როგორც ახალი ეკონომიკური მოდელის შესწავლის, ასევე მოდელის შიგნით ცალკეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევის კუთხით.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკა ლეკაშვილი	*ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიულ - მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემატიზაცია. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და*	*გათუმი. გვ. 72-73. 13.09.2019. ISBN987-9941-462-99-3*

		პოლიტიკის ურთიერთქმედების თანამედროვე გამოწვევები.	
2	*ეკა ლეკაშვილი. ვეკო დოდაშვილი.*	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები	*IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".* გვ. 248 – 253. *1-2 ნოემბერი, 2019.* https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	*Lekashvili Eka, Dodashvili Veko*	*Professional Development Challenges and Opportunities of the Georgian Cultural Heritage Guides,*	*IMC Art & Science 2019: Innovative Methodologies: International Art & Science Conference, 11 April, 2019, University of Zagrebi, Croatia, pp.60-62.*
2	ლეკაშვილი ეკა, მამალაძე ლელა,	,,კრიპტოგრაფიული ვალუტა, როგორც სავალუტო პოლიტიკის გამოწვევა: საქართველოს მაგალითი“ (‘’Monetary policy's crypto currency challenge: the case of Georgia“).	ბიზნეს სისტემების ლაბორატორიის (Business Systems Laboratiry – BSLab) მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი „საზღვრები საზღვრების გარეშე: სისტემური ჩარჩო და მისი გამოყენება მდგრადი კეთილდღეობისთვის გლობალურ ეპოქაში“ (6th Business Systems Laboratory International Symposium 6th BUSINESS SYSTEMS LABORATORY INTERNATIONAL SYMPOSIUM BORDERS WITHOUT BORDERS: *Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era* http://www.bslab-symposium.net/Pavia-2019/BSLAB-Symposium-Pavia-2019.htm*), 21-23.01 2019,*

			პავიის უნივერსიტეტი(იტალია).
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი ლალი ხურცია

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლალი ხურცია, გიორგი გაფრინდაშვილი ლალი ხურცია ლალი ხურცია, ვანო ცერცვაძე	განათლრბა, როგორც დასაქმებისა და შრომის ფაქტორი, 2449-2396 თამბაქოს მოხმარების რეგულირებისა და პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში 2449-2396 განათლების პოლიტიკა და პლაგიატის სისტემის ეფექტურობა საქართველოში 2449-2396	გლობალიზაცია და ბიზნესი #6 გლობალიზაცია და ბიზნესი # გლობალიზაცია და ბიზნესი #	თბილისი თბილისი თბილისი	9
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლალი ხურცია	თამბაქოს მოხმარების	ბათუმის სახელმწიფო

2	ლალი ხურცია ვანო ცერცვაძე, ლალი ხურცია Vano TSERTSVADZE, Lali KHURTSIA	რეგულირებისა და პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში განათლების პოლიტიკა და პლაგიატის სისტემის ეფექტურობა საქართველოში ფსიქიატრიული სერვისების ეფექტურობის შეფასება საქართველოში Challenges in Georgian Drugpolicy	უნივერსიტეტი, 2019, 13 სექტემბერი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, 13 სექტემბერი აბრეშუმის გზის მე-14 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ გლობალიზაცია: ტენდენციები და პერსპექტივები“ სექტემბერი, 2019 5th International Conference on Social Researches and Behavioral Sciences, October 11-12, 2019 Tbilisi
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ- პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მიზნობრივი პროექტი „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N6795/01-50-09) **ეკონომიკა; ეკონომიკური პოლიტიკა**	2019 წელი, 01.04-01.12	**პროფ. რევაზ გველესიანი** - (პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარ-ანალიტიკოსი); **ასოც. პროფ. ირინა გოგორიშვილი** - (მკვლევარი); **ასოც. პროფ. გულნაზ ერქომაიშვილი** (მკვლევარი); **ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი** (მკვლევარი) **ასისტ. პროფ. ლალი ხურცია** (მკვლევარი); **ასისტ. პროფ. გიორგი გაფრინდაშვილი** - (მკვლევარი); **დოქტორანტი ნანა ცერცვაძე** (მონაწილე); **დოქტორანტი სალომე კობახიძე** (მონაწილე)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესის მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებასა და ევოლუციაზე, რაც სოციუმში მათი როლისა და ადგილის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალტევადობასთან არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ციფრული ეკონომიკის ფორმირების ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს განვითარებული და დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ღია ეკონომიკებზე და დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან იგი განვითარების პროცესის პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და შემოქმედებით ადამიანზე ფოკუსირდება (და არა მთელ ადამიანთა საზოგადოებაზე). ციფრულ ბიზნესში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების ათვისება (დანერგვა) ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს, როგორც საწარმოებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ასეთი პროცესებია: ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმსა და ა. შ. წინააღმდეგობებს. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლების თვალსაზრისით არა მარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი სიახლეთა ძიების საფუძველზე ყოველდღიურ ზრდასა და განვითარებაშია.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ჩვენი აზროვნების პოსტმოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს, როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები (შესაბამისად, მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის (ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესებია, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებელის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის - ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალური სარგებელის მიღებაზე გადაიტანონ. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად წინ უსწრებს

საწარმოთა შესაძლებლობებს - ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საწარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დაკონკრეტებას, განსაზღვრას და ზოგ შემთხვევაში რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რაც მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში გვხვდება და ვასწავლით კიდეც, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადაწყვეტილებებს. სპეციალისტები, მეწარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად იცვლება საყოველთაო გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალზე მოკლე პერიოდში ელვის სისწრაფით წარიმართება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრულობის პირობებში ადაპტირებისათვის ბიზნესსაზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართულებათა შეცვლა უხდებათ, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების (ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

შედეგები

- გამოვლენილია ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილების შესწავლისა და კვლევის საფუძველზე საქართველოში მისი დანერგვის შესაძლებლობები;
- საქართველოში პროგრამული მომსახურებისა და პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა გამოცდილების არსენალის გამდიდრება ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების ანალიზის მეშვეობით;
- შემუშავებულია ციფრული ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარების სტრატეგია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, მზადდება კოლექტიური მონოგრაფია.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლალი ხურცია, **გიორგი გაფრინდაშვილი**	განათლრბა, როგორც დასაქმებისა და შრომის ფაქტორი ISSN: 2449-2396	ჟურნ. „გლობალიზიაცია და ბიზნესი“ N6,	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი“	გვ.165-169.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალურ	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენო

		ი საიდენტიფი კაციო კოდი DOI ან ISSN	ნომერი/ტომი		ბა
1	G. Gaprindashvili	THE RESULTS OF STATE PROCUREMEN T REFORMS IN GEORGIA , ISBN:978-609-8239-66-9	The ACAVENT, Vienna School of International Studies	Vienna, Austria https://www.icbmeconf.org/june-2019-vienna/ https://pdfs.semanticscholar.org/ee94/9c402773a32836feea624f5b7123e1c3d7e4.pdf?_ga=2.193439341.1142695948.1577180548-1178554055.1569225720	213-225
2	G. Gaprindashvili	State Procurement Aspects in Georgia ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 1, 2020 (მიღებულია გამოსაქვეყნებლ დ)	Sttefan cel mare university of Suceava, Romania	

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	G. Gaprindashvili	THE RESULTS OF STATE PROCUREMENT REFORMS IN GEORGIA	21-23 June 2019 Vienna, Austria
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მიკროეკონომიკის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის / კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	**E. Kharaishvili**, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili,	Trends of Agro-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia, Duplicate	International Journal of Economics and Management Engineering, Vol:13, No:1, 2019.	https://waset.org/abstracts/100502 51	
2	**E.Kharaishvili** B.Gechbaia Z.Mushkudiani	Тенденції виробництва агропродовольчих товарів та експортно-інноваційної маркетингової стратегії в Грузії	Jurnal „Ekonomika. Ekologia. Socium, (3) 2019.	**https://www.ees-journal.com/index.php/journal/article/view/107**	

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. **აგროსასურსათო წარმოების ტენდენციები და ექსპორტის სტიმულირების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში**

ანოტაცია

1. ნაშრომიშეფასებულია საქართველოს ტრადიციული სფეროს სოფლის მეურნეობის ბუნებრივი და რესურსული პოტენციალი. დადგინდა, რომ ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ეკონომიკისსხვასექტორებთანშედარებით, დარგის განვითარების ტემპი დაბალია. ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი დაბალია; საშუალოდ, სურსათის იმპორტი ექსპორტთან შედარებით 4-ჯერ მეტია და ქვეყანა ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშედგას. შესწავლილიასურსათის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების ტენდენციები და მიღებულია დასკვნა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში, იზრდება პროდუქტის ზრდის ტენდენციის შესაბამისად, აგრო-სასურსათო პროდუქტების ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები იზრდება.

სტატია ასაბუთებს საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირებას სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ მხრივ, შეფასებულია ორი ალტერნატიული სტრატეგია: 1. ექსპორტის სტიმულირება; 2. იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიები. დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი ტენდენციები შეინიშნება საქართველოს აგრო-სასურსათო სექტორში; კერძოდ, პროდუქტიულობა დაბალია; იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მოცულობას. ითვლება, რომ ექსპორტის ზრდა საშუალებას მისცემს საქართველოს გადალახოს ადგილობრივი ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები და გაზარდოს კონკურენტუნარიანობა. ამ მიზნების მისაღწევად შემოთავაზებულია ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა საშუალებები - ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკა, სავაჭრო ბარიერების ოპტიმიზაცია, გაცვლითი კურსების ეფექტური მართვა, ექსპორტის კრედიტინგი, ექსპორტის დაზღვევა, სპეციალური ფინანსური სერვისების შეთავაზება და ა.შ.

2. **ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციები და ექსპორტის ინოვაციური მარკეტინგული სტრატეგიები საქართველოში**

ანოტაცია

ნაშრომში შეფასებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციები, გაანალიზებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, დადგენილია, რომ მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა დარგის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგების შესაბამის მაჩვენებლებს და სურსათის იმპორტი საშუალოდ 4-ჯერ აღმატება ექსპორტს, შესაბამისად საქართველო აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

ნაშრომში შესწავლილია სასურსათო თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორში ბოლო წლებში გამოიკვეთა წარმოების ზრდის ტენდენცია, თუმცა, იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს.

აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე საერთაშორისო ვაჭრობის პოზიტიური გავლენის დასაბუთებით შეფასებულია ექსპორტის სტიმულირებისა და იმპორტის ჩანაცვლების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. ბიბლიოგრაფიული კვლევისა და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით გამოვლენილია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. მიჩნეულია, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია საქართველოს ადგილობრივი ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობების დაძლევის შესაძლებლობას მისცემს და პროდუქტიულობის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. ამ მიზნების მისაღწევად შემოთავაზებულია შესაბამისი მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება: ექსპორტის სუბსიდირება; ექსპორტის დაკრედიტება; სავაჭრო ბარიერების ოპტიმიზაცია; გაცვლითი კურსების ეფექტიანი მართვა; ექსპორტის დაზღვევა; სპეციალური ფინანსური სერვისების შეთავაზება და სხვა.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**ხარაიშვილი ე.**	მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების

		გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით	თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 21-22 ივნისი, 2019.
2	**ხარაიშვილი ე.,** ნაცვლიშვილი ი., ზვიადაძე ე.	ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულიტებელი პოლიტიკა,	ბათუმი, 2019.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით

ანოტაცია

სტატიაში შეფასებულია ეკონომიკური განვითარებისა და ფუნქციონირების მოსალოდნელი ცვლილებები მოსახლეობის მხრიდან შეზღუდულ რესურსებზე გაზრდილი მოხმარების პირობებში. საერთო სარგებლობის რესურსების გადაჭარბებულად გამოყენების ფონზე დასაბუთებულია მწვანე ეკონომიკის როლი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ეკონომიკურ ზრდაში. თეორიული და ემპირიული მაგალითების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები, მათგან განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული გარემოზე სიღარიბისა და სიმდიდრის ზეგავლენის პირობების შესწავლა.

ნაშრომში შეფასებულია განვითარებად ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის ზრდაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში რესურსების არაეფექტიანი გამოყენების დონე ჯერ კიდევ მაღალია, ძირითადი აქცენტი რესურსით სარგებლობაზე და არა მის წარმოებაზეა გადატანილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში.

საერთოსარგებლობაშიარსებულ რესურსებზეხელმისაწვდომობისრეგულირების მთავარ ბერკეტად მიჩნეულია სამთავრობო რეგულაციები, ასევე, სახელმწიფოთაშორისიხელშეკრულებები, განსაკუთრებით აქტუალურია ზოგიერთ თავისუფლადხელმისაწვდომრესურსზეკერძოსაკუთრებისდაშვება.

სტატიაში დადგენილია ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც გარემოს დაცვის პრობლემებს ქმნიან. დასაბუთებულია, რომ კერძოსაკუთრებისუფლებაუზრუნველყოფს გარემოსეფექტიან დაცვას, ხელს შეუწყობსბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას.რესურსებზე საკუთრების უფლებებს შორის ერთ-ერთი ფუნდამენტურ საკითხად მიჩნეულია მიწაზე საკუთრების ფორმების შეთანაწყობა. დადგენილია, რომ მიწისსაკუთრებისადასარგებლობისსფეროშიბევრიპრობლემაარაეფექტიანი მართვით არის გამოწვეული. საკუთრებისადასარგებლობისსისტემის რეორგანიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობა ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზად არის განხილული.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების გადაჭრის გზების შესახებ საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით.

2. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა

ანოტაცია

სტატიაში დასაბუთებულია სასურსათო ბაზრების განვითარების მნიშვნელობა

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში. დადასტურებულია, რომ სურსათზე მოთხოვნის ტენდენცია ზრდადია და თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ სასურსათო ბაზრების განვითარება რჩება.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები, შესწავლილია ამ ბაზრებზე არსებული თანამედროვე გამოწვევები. ჩატარებულია საქართველოსა და ესპანეთის სასურსათო ბაზრების შედარებითი ანალიზი.

სტატიაში შეფასებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ზრდის დადებითი ტენდენციებიაზერბაიჯანის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, უზბეკეთის, ირანისა და ესპანეთის სასურსათო ბაზრებზე, ასევე, გამოვლენილია უარყოფითი ტენდენციები ერაყის, იტალის, გერმანიის, ანგოლის, საუდის არაბეთის, სომხეთისა და ჩეხეთის სასურსათო ბაზრებზე. ექსპორტის **დადებითი და უარყოფითი ტენდენციების შეფასების საფუძველზე განსაზღვრულია სასურსათო ბაზრებზე პროდუქტების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.**

,,ზეგავლენა-გადაუდებლობის" მატრიცით გამოვლენილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორები, ,,პრიორიტეტების სქემით" დადგენილია აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები: სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობაზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის უზრუნველყოფა; ბაზრების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება; პრიორიტეტული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამების შემუშავება; სასურსათო ბაზრების შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა; ევროპისა და სხვა სასურსათო ბაზრის სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია; ბაზრების დიზაინის განვითარების მექანიზმების ამუშავება და სხვ.

ექსპორტისგეოგრაფიულიორიენტაციის შესაბამისად განხილულია სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე. გაკეთებულია დასკვნა, რომ ზოგადად ევროპის სასურსათო ბაზარი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ამ ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ასეთივე ტენდენცია არ აღინიშნება. სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე ქართული პროდუქტების წილებისა და ექსპორტის ზრდის ტემპების შესწავლით დადგენილია ამ ცვლადებს შორის დადებითი კორელაცია, მაგრამ აღნიშნული გარემოება არასაკმარისად არის მიჩნეული ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური ზემოქმედებისათვის. გაკეთებულია დასკვნა, რომ **ექსპორტის სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია,**ერთი მხრივ, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია ტრადიციულ, მაგრამ მზარდ სასურსათო ბაზრებზე, მეორე მხრივ, საექსპორტო ბაზრების გეოგრაფიული არეალის გაფართოება.

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**EterKharaishvili,**Tamar Lazariashvili. IaNatsvlishvili	GLOBAL EXPERIENCE OF BIO PRODUCT MARKET AND ITS CHALLENGES IN GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE WELL-BEING	Business Systems Laboratory - 6thInternational Symposium BORDERS WITHOUT BORDERS: SYSTEMIC FRAMEWORKS AND THEIR APPLICATIONS FOR SUSTAINABLE WELL-BEING IN THE GLOBAL ERA. University of Pavia, Italy, January 21-22, 2019.

2	**EterKharaishvili,** Tamar Lazariashvili. IaNatsvlishvili	Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia)	Business Systems Laboratory - 6thInternational Symposium BORDERS WITHOUT BORDERS: SYSTEMIC FRAMEWORKS AND THEIR APPLICATIONS FOR SUSTAINABLE WELL-BEING IN THE GLOBAL ERA University of Pavia, ItalyJanuary 21-22, 2019.
3	**Kharaishvili E.,**Erkomaishvili G., Chavleishvili M.	Trends of Agro-food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia	ICBEMM 2019: 21st International Conference on Business, Economics, Management and Marketing. Istanbul, Turkey, January 30 - 31, 2019.https://waset.org/conference/2019/01/istanbul/program
4	Damenia N., **Kharaishvili E.,**Sagareishvili N., SagareiSvili M.	Womens Employment Issues in Georgia and Solutions Based on European Experience	international research conference proceedings, 2019 Rome Italy.
5	**Kharaishvili E.,**B.Gechbaia Mamulashvili G., Goletiani K.	Current challenges of grocery market and key directions of development of agriculture in Georgia	International conference ,,Economic Scince for Rural Development", 2019.
	Kharaishvili E.,Erkomaishvili G., Chavleishvili M.	Economic Policy of Achieving National Competitive Advantage	ICESS 2019 : 21st International Conference on Economic and Social Sciences, October, 2019, Rome. https://panel.waset.org/abstracts/106505
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს,თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დიპლომი და პრემია

სალექციოკურსმა „მენეჯერულიეკონომიკა" (ავტორები: ***ე. ხარაიშვილი,****მ. ჩავლეიშვილი, ნ, დამენია, ც. მიქატაძე) დაიმსახურა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო - აგრარულ დარგში 2018 წლის საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისთვის, 2019.*

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

1. **სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:**

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.	Vesperi, W. &Gagnidze, I.	Kybernetes (published in July) Vol. No. ahead-of-print Emerald Publishing Limited	Rethinking the university system: Toward the entrepreneurial university (The case of Italy) https://doi.org/10.1108/K-12-2018-0662 2018 Impact Factor: **1.381*** 5-year Impact Factor (2018): **1.231*** CiteScore 2018: **1.71** CiteScoreTracker 2019: **2.04**
ნაშრომში განხილულია სამეწარმეო უნივერსიტეტების მოდელი 25 ქვეყნის მაგალითზე. დასაბუთებულია, რომ სამეწარმეო უნივერსიტეტები პირდაპირ გავლენას ახდენენ მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე. იტალიელი თანაავტორის მიერ გამოყენებულია 3 საჯარო და ღია წვდომის მონაცემთა ბაზა საუნივერსიტეტო სპინ-ოფების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და ინკუბატორების შესახებ იტალიაში.			

შენიშვნა: „სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში“ არ არის მითითებული აკადემიური პერსონალის ფორმაში. მე მაქვს ასეთი სტატია, ამიტომ დავამატე.

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი	სტატიისსათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

					ბა
1	გაგნიძე, ი.	მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია - უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/470 ISSN 1987-5789; ESSN 2587-5426	„ეკონომიკადაბიზნესი“, ტომი XI, #3, 2019	თბილისი, თსუ	20
მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ცენტრები მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოლოდინში ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით სწრაფ ტემპებს პროგნოზირებენ. ვარაუდობენ, რომ სამუშაოთა გარკვეულ ნაწილს ჩაანაცვლებს ხელოვნური ინტელექტი. ასევე, მოსალოდნელია სრულიად ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა. ხოლო იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც მომავალშიც დარჩება, უნარ-ჩვევების განახლება განსაკუთრებით აქტუალური იქნება. უდავოა, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში „ამინდსა“ და ტენდენციებს ვერ განსაზღვრავს, მითუმეტეს რთულია ზემოაღწერილ პირობებში განვითარების სწორი ვექტორის შერჩევა. ამ ფონზე, ვფიქრობთ, სხვა შესაძლებლობებთან კომბინაციაში უნდა განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ინკლუზიურ ზრდასა და არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოებაზე იქნება აქცენტირებული. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სიახლეების დანერგვა, საერთაშორისო ბაზრებზე ახალი ნიშის მოპოვება და რეგიონში ეკონომიკური ლიდერობა, ვფიქრობთ, აუცილებელია საქართველოს რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებში გაჩნდესსივრცეები „ცოდნის სამკუთხედისა“ და „სამმაგი სპირალის“ მოდელების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ასეთია სამეწარმეო უნივერსიტეტები, რომლებსაც აქვთ ბიზნესინკუბატორები, ფაბ ლაბები, სპინ-ოფები, ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისები, საპატენტო და სალიცენზიო ოფისები, საკონსულტაციო და სატრენინგო ცენტრები და სხვა ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი იდეების კომერციალიზაციას, ცხოვრების მანძილზე სწავლების პროცესს (LLL), დისტანციურ სწავლებას, ინტერნეტკურსების ორგანიზებასა და სხვა. ვფიქრობთ, ასეთ უნივერსიტეტებთან მუდმივი კავშირი ბიზნესს მინიმალური დანაკარგებით შეაძლებინებს გარდაუვალ ცვლილებებთან ადაპტაციას.საკვლევ საკითხებს გავაანალიზებთ უცხოეთის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე.				
2	გაგნიძე, ი.	საუნივერსიტეტო ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების როლი საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაში	გლობალიზაცია და ბიზნესი	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი	
მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ცენტრები IV და V ინდუსტრიული რევოლუციების მოლოდინში ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით სწრაფ ტემპებს პროგნოზირებენ. უდავოა, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში „ამინდსა“ და ტენდენციებს ვერ განსაზღვრავს, მითუმეტეს რთულია ზემოაღწერილ პირობებში განვითარების სწორი ვექტორის შერჩევა.					

ამ ფონზე, ვფიქრობთ, აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ინკლუზიურ ზრდასა და არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოებაზე იქნება აქცენტირებული.

იმისთვის, რომ შევძლოთ სიახლეების დანერგვა, საერთაშორისო ბაზრებზე ახალი ნიშის მოპოვება და რეგიონში ეკონომიკური ლიდერობა, ვფიქრობთ, აუცილებელია ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების შექმნა საქართველოს რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებში. აღნიშნული საკითხის გაანალიზებას მოვახდენთ უცხოეთის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე და განვიხილავთ ისეთი ქვეყნების გამოცდილებას, როგორიცაა: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ აფრიკა და სხვა.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	გაგნიძე, ი.	უნივერსიტეტებში ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისების ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება	ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 13 სექტემბერი
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			
2	გაგნიძე, ი.	ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით.	თბილისი, თსუ, 1-2 ნოემბერი
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1.	Gagnidze,I. and Dominici, G.	Effectiveness of an Entrepreneurial Universities and Spin-offs: Experiences and Challenges	21-23 January, University of Pavia, Pavia, Italy
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			

2.	Gogorishvili, I., Gagnidze, I., Papachashvili, N.	Innovative Approaches in Higher Education System	21-23 January, University of Pavia, Pavia, Italy
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			
3.	Гагнидзе,И.	ТеорииМотивациивСовременномМенеджментеиПритчиНового Завета	Минск, Беларус,Минскаядуховнаяакадемия, 26-28 Января
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			
4.	Gagnidze,I.	Entrepreneurial University – core system for the innovativedevelopment of Economy	Academy of Dramatic Art, University of Zagreb, Zagreb, Croatia,9 – 11 April
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			
5	Gagnidze,I.	Future challenges and the problems of development of the Circular Economy Business models	KNEU, Kyiv, Ukraine, 20-22 November (Onlain)
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ეთერ ხარაიშვილი, ია ნაცვლიშვილი, ეკატერინე ზვიადაძე	ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა ISBN 978-9941-462-99-3	II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები“, პროგრამა და მოხსენებების რეზიუმეები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი	2 გვერდი გვ. 26-27

			უნივერსიტეტი, ბათუმი. 13 სექტემბერი, 2019წ.		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეთერ ხარაიშვილი, ია ნაცვლიშვილი, ეკატერინე ზვიადაძე. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები“, პროგრამა და მოხსენებების რეზიუმეები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი. 13 სექტემბერი, 2019წ. გვ. 26-27. ISBN 978-9941-462-99-3

ანოტაცია

სტატიაში დასაბუთებულია სასურსათო ბაზრების განვითარების მნიშვნელობა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში. დადასტურებულია, რომ სურსათზე მოთხოვნის ტენდენცია ზრდადია და თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ სასურსათო ბაზრების განვითარება რჩება. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები, შესწავლილია ამ ბაზრებზე არსებული თანამედროვე გამოწვევები. ჩატარებულია საქართველოსა და ესპანეთის სასურსათო ბაზრების შედარებითი ანალიზი. სტატიაში შეფასებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ზრდის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, განსაზღვრულია სასურსათო ბაზრებზე პროდუქტების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

,,ზეგავლენა-გადაუდებლობის“ მატრიცით გამოვლენილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორები, ,,პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. ექსპორტის გეოგრაფიული ორიენტაციის შესაბამისად განხილულია სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე. გაკეთებულია დასკვნა, რომ ზოგადად ევროპის სასურსათო ბაზარი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ამ ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ასეთივე ტენდენცია არ აღინიშნება. სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე ქართული პროდუქტების წილებისა და ექსპორტის ზრდის ტემპების შესწავლით დადგენილია ამ ცვლადებს შორის დადებითი კორელაცია, მაგრამ აღნიშნული გარემოება არასაკმარისად არის მიჩნეული ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური ზემოქმედებისათვის. გაკეთებულია დასკვნა, რომ ექსპორტის სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია ტრადიციულ, მაგრამ მზარდ სასურსათო ბაზრებზე, მეორე მხრივ, საექსპორტო ბაზრების გეოგრაფიული არეალის გაფართოება.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	Eter Kharaishvili, Tamar Lazariashvili, Ia Natsvlishvili	GLOBAL EXPERIENCE OF BIO PRODUCT MARKET AND ITS CHALLENGES IN GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE WELL-BEING. ISBN 9788890824272	BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. *6th Business Systems Laboratory International Symposium. UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA- January 21-23, 2019. BOOK OF ABSTRACTS.*	Italy Business System Laboratory	3 pages Ab.52 pp. 197-199
2	Eter Kharaishvili, Tamar Lazariashvili, Ia Natsvlishvili	*Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia)* ISBN 9788890824272	BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. *6th Business Systems Laboratory International Symposium. UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA- January 21-23, 2019. BOOK OF ABSTRACTS.*	Italy Business System Laboratory	3 pages Ab.53 pp. 200-202
3	Natsvlishvili Ia	ALTERNATIVE APPROACHES FOR RESEARCH ASSESSMENT STRATEGIES IN THE BUSINESS OF HIGHER EDUCATION ISBN 978–966–926–310–0	BUSINESS STRATEGY: FUTUROLOGICAL CHALLENGES. Proceedings. International Scientific and Practical Internet Conference. Kyiv. November 20-22,	Kyiv, Ukraine SHEI "Kyiv National Economic University named after Vadym Hetman"	7 pages pp.451-457

			2019		
4	Natsvlishvili I., Kharaishvili E.	CHALLENGES OF RE-CONNECTING ENTREPRENEURSHIP AND BUSINESS EDUCATION AT UNIVERSITIES (EVIDENCE FROM GEORGIA). ISBN: 978-84-09-12031-4. ISSN: 2340-1117 Depósito Legal: V-1702-2019	EDULEARN19 Proceedings. 11th International Conference on Education and New Learning Technologies. July 1st-3rd, 2019 — Palma, Mallorca, Spain. Edited by L. Gómez Chova, A. López Martínez, I. Candel Torres	Spain. IATED Academy. Published by IATED Academy iated.org	10 pages. pp. 2012-2021
5	Kharaishvili E., Natsvlishvili I.	IMPACT OF INTERNATIONAL EDUCATIONAL MIGRATION IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION OF HIGHER EDUCATION (CASE OF GEORGIA). EDULEARN19 ISBN: 978-84-09-12031-4. ISSN: 2340-1117 Depósito Legal: V-1702-2019	Proceedings. 11th International Conference on Education and New Learning Technologies. July 1st-3rd, 2019 — Palma, Mallorca, Spain. Edited by L. Gómez Chova, A. López Martínez, I. Candel Torres	Spain. IATED Academy. Published by IATED Academy iated.org	10 pages. pp. 2057-2066

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეთერ ხარაიშვილი, თამარ ლაზარიაშვილი, ია ნაცვლიშვილი ბიო-პროდუქტების ბაზრის გლობალური გამოცდილება და მისი გამოწვევები საქართველოში მდგრადი კეთილდღეობის კონტექსტში

Eter Kharaishvili, Tamar Lazariashvili, Ia Natsvlishvili, GLOBAL EXPERIENCE OF BIO PRODUCT MARKET AND ITS CHALLENGES IN GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE WELL-BEING. BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for

sustainable well-being in the global era. *6th Business Systems Laboratory International Symposium. UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA- January 21-23, 2019. BOOK OF ABSTRACTS.* ISBN 9788890824272. Ab.52 pp. 197-199

ანოტაცია

სტატიის მიზანს წარმოადგენდა ბიოპროდუქტების გლობალური ბაზრის ანალიზი, საქართველოში ბიოპროდუქტების ბაზრის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გამოვლენა. განსაზღვრულია მოსახლეობის ის დონე, რომელიც დაინტერესებულია ბიოპროდუქტებით და გამოვლენილია ამ ინტერესის ზრდის ტენდენცია. სტატიაში ასევე გაანალიზებულია ბიოპროდუქტების ბაზარზე კონკურენტულობის დონე. გამოკვეთილია ბიოპროდუქციის ძირითადი მიმწოდებლები და მომხმარებლები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ორგანული პროდუქციის ყველაზე დიდი მოხმარება მდიდარ ქვეყნებში აღინიშნება. ექპერტთა შეფასებით ბიოპრუდუქტების ბაზარი არის ერთერთი ყველაზე უფრო სწრაფად მზარდი და დინამიური ბაზარი. მიღებულია, რომ 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში ტექნოლოგიების 40 პროცეტი იქნება ეკოლოგიური. შესაბამისად, კომპანიებმა და მომხმარებლებმა უნდა გააქტიურონ ძალისხმევა ამ მიმართულებით. სტატიაში გაანალიზებულია ბიოპროდუქტების წარმოებისა და შესაბამისი ბაზრის ევროპული მოდელის მიღწევები და გამოწვევები. სამაგიდო კვლევისა და შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით განსაზღვრულია ბიოპროდუქტების წარმოების შესაძლებლობები საქარათველოში. საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ მოთხოვნებს, თუმცა, საქართველოს ბიოპროდუქტების ბაზარზე შეიმჩნევა მომხმარებელთა ფენის ჩამოყალიბება, რომელიც ჯანსაღი კვების მომხრეა და მზადაა გადაიხადოს განსხვავებული ფასიც. ბიოპროდუქტების ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ბიოპროდუქტების წარმოებაში არსებული პრობლემების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეთერ ხარაიშვილი, თამარ ლაზარიაშვილი, ია ნაცვლიშვილი

აგროტურიზმი მომიჯნავე დარგების ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი კეთილდღეობისთვის (საქართველოს მაგალითი)

Eter Kharaishvili, Tamar Lazariashvili, Ia Natsvlishvili, Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia). BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. *6th Business Systems Laboratory International Symposium. UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA- January 21-23, 2019. BOOK OF ABSTRACTS.* ISBN 9788890824272. Ab.53 pp. 200-202

ანოტაცია

4.	მიქიაშვილი ნ., გიორგობიანი მ.	2449-2396 Regulation of Public Procurement as an Opportunity to Increase the Gross Domestic Product	თანამედროვე ტენდენციები გლობალიზაცია და ბიზნესი, N6, International Journal of Multidisciplinary Thought(IJMT), Volume 7, No. 2. CD-ROM ISSN: 2156-6992 UniversityPublications.net, pp.381-389 http://www.universitypublications.net/ijmt/0702/html/P8RS69.xml http://www.universitypublications.net/ijmt/0702/index.html.	თბილისი, საქართველო საუნივერსიტეტო საგამომცემლო ქსელი, აშშ	გვ.6 გვ.8

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. გლობალიზაციის პროცესი ეროვნული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების საკითხების ახლებლურ გააზრებას მოითხოვს. ეროვნული უსაფრთხოება რაც უფრო მაღალ დონეზეა დაცული, მით უფრო მეტადაა ქვეყანა დამოუკიდებელი. ტერიტორიული საზღვრების ფორმალური დაცვა და პოლიტიკური დეკლარაციები საკმარისი აღარაა, მთავარია თანამედროვე რთულ მსოფლიო სისტემაში ისეთი ადგილის დამკვიდრება, როცა გლობალური ზეგავლების შეკავება ან ტრანსფორმაცია იქნება შესაძლებელი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებს გარკვეული უპირატესობაც კი აქვთ ამ მიმართულებით, რადგან მათ მეტად გამოდით მობილური და მოქნილი პოლიტიკის გატარება, თუ ხელისუფლება ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული.

ეროვნული უსაფრთსოება რამდენიმე მდგენელისგან შედგება. ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეკოლოგიური, ეთნიკური და ა.შ. უსაფრთხოება. გასული საუკუნის ბოლოდან სულ უფრო აქტუალური ხდება ციფრული და პროგრამული უსაფრთხოების საკითხები, ასევე ისიც, თუ რამდენად სწრაფად და ადეკვატურად ნერგავს ესა თუ ის სახელმწიფო ციფრულ და პროგრამულ სიახლეებს. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ამა თუ იმ მდგენელის განხილვა შეუძლებელია მისი ეკონომიკური ასპექტის გათვალისწინების გარეშე. სასურველია, ეკონომიკამ ქმედუნარიანობა გამოავლინოს იმისდა მიუხედავად, რა სახისა და ზომისაა შიგა თუ გარე საფრთხეები. ცხადია, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხერხდება.

ქვეყნის ციფრული უსაფრთხოება ნიშნავს ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების

უზრუნველმყოფი პირობების შექმნას, სხვადასხვა სახის საშიშროებების (ინფორმაციის გაჟონვა, პირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო სისტემების დაცვა და მისთ.) თავიდან აცილება, ან უკიდურეს შემთხვევაში, დამდგარი უარყოფითი შედეგების მინიმალური დანაკარგებით ლიკვიდაცია.

ზოგადად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს ყველა სახის უსაფრთხოება და შემუშავდეს ქვეყნის განვითარების პოლიტიკა. ამ მიმართულებითაა განსახილველი ქსელური ეკონომიკა და „ღრუბელის“ სისტემებიც.

საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით განხორციელებულმა ნაბიჯებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას, ტექნოლოგიური პარკის ჩამოყალიბებას, ბიზნესის დაწყების გაილოებას და სხვა პოზიტიურ ცვლილებებს. მსგავსი პროცესებისთვის ხელშეწყობა სამომავლოდ კიდევ მეტ შესაძლებლობებს მისცემს მცირე ღია ეკონომიკის ქვეყანას განავითაროს ეკონომიკა და გლობალიზაციის საფრთხეებს დაუპირისპიროს გააზრებული, ეროვნულ იტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

2. გლობალიზაციის პირობებში შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილება მცირე ზომის განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევაა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მიგრაციის ეკონომიკურ ასპექტებზე, ასევე მობილური და კვალიფიციური შრომის ბაზრის ფორმირებისა თუ მისი განვითარებისთვის ხელშეწყობაზე. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ შრომის ბაზარზე რაციონალური, სისტემური და მიზანმიმართული ზემოქმედებით შესაძლებელია გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების შემცირება, ოღონდ იგი უნდა იყოს ადეკვატური და დროული, რათა რეგიონული და გლობალური მდგომარეობის გაჯანსაღებასაც გამოიწვიოს.

გლობალური პროცესების განვითარება მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებს სირთულეების წინაშე აყენებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციური სამუშაო ძალის მკვეთრად შემცირებასა და აქტიური სამუშაო ძალის გადინებას უკავშირდება. შრომითი რესურსების მართვა მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამიტომ ფასდაუდებელია შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების სტრატეგიული ხედვა. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური ზრდა და განვითარება ავტომატურად სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, ხარისხიანი შრომის პირობებს, შემოსავლების თანაბარ განაწილებას, იძულებითი გადაადგილების აღმოფხვრას.

მიგრაციული პროცესები უპირატესად დარეგულირდება შრომის ბაზრის სრულყოფით, დასაქმების ზრდითა და პიროვნული უნარ-ჩვევების უწყეტი განვითარებით. მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ხელშეწყობა და კერძო სექტორის წახალისება იქნება უპრიანი, რადგან საბაზრო სტიმულებს მეტად განავითარებს.რეგიონული განვითარების სტიმულირებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს არა მარტო სეზონური, არამედ ხანგრძლივი პერიოდით დასაქმება. კვალიფიციური მუშახელზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა უნდა ხდებოდეს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე ეკონომიკის ყველა სექტორში. ამ მიმართულებით დაწყებული ქმედებები იმდენად უნდა გაფართოვდეს, რომ საქართველოს შრომის ბაზარი რაც შეიძლება მოკლე ხანში ახალი თვისებრიობის წინაშე დადგეს.

მიგრირების პროცესს კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე დაბალანსებული მოთხოვნის ზრდა შეამცირებს, მეტი ენერგია დაიხარჯება ეროვნული ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, არაკვალიფიციური შრომის გადინებაც იკლებს, რადგან მოიმატებს სამუშაო ადგილების რიცხვი და მეტი გასაქანი ექნება არაკვალიფიციური შრომის კვალიფიციურ შრომად გარდაქმნას.შრომის ბაზარზე რაციონალური და მიზანმიმართული ზემოქმედებით გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები შემცირდება, ოღონდ ზემოქმედება უნდა იყოს ადეკვატური და დროული, რომ რეგიონული და გლობალური მდგომარეობის გაჯანსაღებასაც შეუწყოს ხელი.

3. თანამედროვე ეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება წარმოუდგენელია ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების სინთეზის შედეგად წარმოშობილი, შედარებით ახალგაზრდა მეცნიერების, ეკონომეტრიკის, გარეშე. იგი, როგორც მეოცე საუკუნის პირმშო, მთელი ასწლოვანი არსებობის პერიოდში იმტკიცებდა პოზიციებს და აფართოებდა კვლევის არეალს. ეკონომეტრიკული მეთოდები და მოდელები იყენებენ რა ძლიერ ინსტრუმენტებს, სწავლობენ ეკონომიკას მის ყოველ დონეზე. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სპეციალური გამოყენებითი პროგრამების განვითარებამ ახალი შესაძლებლობები გამოავლინა ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების სრულყოფის მიმართულებით. ეკონომეტრიკული მეთოდებისა და გამოყენებითი ეკონომიკის მნიშვნელობა ბოლო ოცდაათწლეულში სწორედ იმიტომაც გაიზარდა, რომ ხელმისაწვდომი გახდა პროფესიულ ფონეზე დამუშავებული მონაცემები და ამაღლდა გამოთვლითი ტექნიკის მწარმოებლურობა. თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებას სულ უფრო მეტად სჭირდება სრული და სარწმუნო სტატისტიკური შედეგების (დასკვნების) დროულად ფლობა, რაც უდავოდ შესაძლებელია ეკონომეტრიკული ტექნიკის გამოყენებით.

ტრადიციული ეკონომეტრიკული ანალიზი კლასიკურ მეთოდებს ეყრდნობა, რომლებიც რეალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისთვის უმეტესად ვარგისი აღარაა. ისინი ეკონომეტრიკული მეცნიერების ბაზისს წარმოადგენენ და საფუძველს უქმნიან თანამედროვე ეკონომეტრიკას, რომელიც ეკონომიკური თვალთახედვით ახალი მიდგომების დამუშავებას ცდილობს. აღნიშნულის გამოვლინება ისაა, რომ ერთიანი ეკონომერტიკული თეორია ძველ დროებასთან შედარებით შენარჩურებული არაა. თანდათან განისაზღვრა და განისაზღვრება კონკრეტული დარგები, რომლებიც საჭიროებენ კვლევის კონკრეტულ მეთოდებს. შესაბამისად, ეკონომეტრიკის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაფართოვდება. ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომეტრიკული მეთოდების რამდენიმე მიმართულება. ასევე, ეკონომეტრიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, თანამედროვე ეკონომეტრიკის თავისებურებები და შესაძლებლობები. ეკონომეტრიკულ მეთოდთა სიმრავლე მრავალრიცხოვანია. მათი სანდოობა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ძირითადი დაშვებების სარწმუნოობაზე, ამიტომ კონკრეტული მეთოდის არჩევა კვლევის მიზნის გათვალისწინებას, სერიოზულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს საჭიროებს. სანაცვლოდ, იზრდება კვალიფიციური, ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, მთლიანად ეკონომიკური სისტემისა თუ მისი შემადგენელი ნაწილის (ნაწილების) შესწავლისა და გაანალიზების უნარი.

4. მაკროეკონომიკური რეგულირება მნიშვნელოვანი ბერკეტია ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. იგი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს, რომელთა გააქტიურება ან პასიურ რეჟიმში გადასვლა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონესა და მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებზე. განვითარებადი, მაგრამ მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციაზე დაფუძნებული განვითარება. ინოვაციური პროცესების სტუმულირების ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვების ისეთი მართვა, რომელიც ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის, ორგანიზაციული მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს. საქართველოში ამ მიმართულებებით განხორციელებული ცვლილებები, მიღწეული შედეგები და დასახული პერსპექტივები საინტერესო უნდა იყოს იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან.ნაშრომში ერთი მხრივ განხილულია თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ფინანსური თუ სამართლებრივი ხელშეწყობა კონკრეტული მცირე ეკონომიკის ქვეყნის (ქვეყნების) განვითარებაზე, მეორე მხრივ კი კონკურენტული გარემოს არსებობა-არარსებობა რამდენად შეიძლება განსაზღვრავდეს ეკონომიკურ ზრდას.სახელმწიფო სტრუქტურების ხელშეწყობაში უპირატესად იგულისხმება სახელმწიფო შესყიდვების მართვა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირება, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება.

ნაშრომის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სტიმულირების დასაბუთება, რაც ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქციის დამატებითი ზრდის საფუძველი უნდა იყოს.
არსებული მდგომარეობის გააანალიზებით გამოიკვეთა, რომ აქცენტი დასასმელია ქართულ, საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე და არა უცხოური საქონლის შემომტან ქართულ ფირმებზე.მიზანშეწონილია საქართველოს საჯარო უწყებების წახალისება, ქართული ნაწარმით მოამარაგონ დაქვემდებარებული დაწესებულები. მითუმეტეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მსგავსი გამოცდილება ჰქონდა.შესამუშავებელია ადგილობრივი სტანდარტები და რეგულაციები, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში უცხოური ფირმების შემოსვლას გარკვეულწილად შეზღუდავენ. მთავრობის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებასა და შესაბამისად მისი კონკურენტუნარიანობის მსოფლიო მასშტაბით ამაღლებაზე.მნიშვნელოვნია კონკურენტუნარიანობის ამაღლების განხილვა განვითარებული ეკონომიკისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შედარების გზით. რამდენად არის იმის პერსპექტივა, რომ 21-ე საუკუნის შუა პერიოდში განვითარებადი ეკონომიკა რამდენიმე ათწლედში განვითარებულ ეკონომიკად გარდაიქმნას.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მიქიაშვილი ნ.	გლობალიზაციის ეპოქაში მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების შრომის ბაზრის ზოგიერთი თავისებურება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშირისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები 2018 წელი, 6-7 ივლისი ISBN 978-9941-13-690-0 UDC (uak) 338(47+57)33(479.22)(063) p – 645
2	მიქიაშვილი ნ.	ემპირიული ეკონომიკა და ეკონომიკის განვითარება	
3	მიქიაშვილი ნ.	მაკროეკონომიკული მოდელირება და ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების ზოგიერთი ასპექტი - აბსტრაქტი Macroeconometric Modeling and Some Aspects of Evaluation of Economic Policy– Abstract	I ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკური მეცნიერების

			კრიზისი და ახალიპარადიგმების ძიება, 14 სექტემბერი, თბილისი ISSN 2449-2396 გლობალიზაცია და ბიზნესი, N6, თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი, გვ.105-110 აბრეშუმის გზის მე-13 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მსოფლიოში და ახალი გამოწვევები", 23-24 მაისი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მაკროეკონომეტრიკული მოდელირება გამოიყენება ეკონომიკური სიტუაციის ანალიზისთვის, პროგნოზირებისთვის, მნიშვნელოვანია მესამე მიმართულებაც, რომელიც თეორიულ წინაპირობების მიხედვით იმიტაციური მოდელის აგებასა და მის შესწავლას გულისხმობს შემდგომი პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.მაკროეკონომიკური მოდელისა თუ მოდელთა ჯგუფის შემუშავება განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვისაა აქტუალური და ღირებული, რომლებიც ეკონომიკურად განვითარებადნი არიან. ასეთ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მაკროეკონომიკური მოდელირების საშუალებით გამარტივებულია სიღრმისეული ეკონომიკური ანალიზი, ისევე როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზირება.

მთავრობათა მიერ გატარებული პოლიტიკის სავარაუდო შედეგების დაკონკრეტება და ანალიზი საკმაოდ ამცირებს უარყოფით გამოვლინებებს. მაკროეკონომიკური მოდელების რამდენიმე ნაირსახეობაა, რაც საშუალებას იძლევა კონკრეტული ქვეყნის განვითარების დონისა და გრძელვადიან პერსპექტივაში მისაღწევი მიზნის (კერძოდ, ეკონომიკური ზრდის) მიხედვით მოხდეს მოდელის კონკრეტული ფორმის შერჩევა. მაკროეკონომიკურ მოდელთა ერთ-ერთ ჯგუფში მთლიანი შიგა პროდუქტი ეგზოგენურ ცვლადად განიხილება, ხოლო საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში მიღწეული ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარება ხდება ნავარაუდევ სცენართან. მაკროეკონომიკური მოდელის ძირითადი განტოლებები საბაზრო მოთხოვნას ეფუძნება. მოდელთა სხვა ჯგუფში, რომელიც კეინზიანურ მიდგომას ეყრდნობა, მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი ენდოგენურად განისაზღვრება, რაოდენობრივ ეგზოგენურ ცვლადებად კი მოიაზრებიან: საბოლოო მოთხოვნა, ფასები, კრედიტი და ფული, სამთავრობო დანახარჯები და საგადასამხდელო ბალანსი.

საბოლოო შედეგის განსაზღვრის კუთხით მაკროეკონომიკური მოდელირების საშუალებით მიიღწევა როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული მიზნები. მაგალითად, ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ვალის (როგორც საშინაო, ასევე საგარეო) მდგრადობის კვლევა,რასაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მუდმივი ეკონომიკური ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს. ასევე არანაკლებ საჭირბოროტოა მოდელირების საშუალებით ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი და ოპტიმლური სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ნაშრომში საქართველოს მაგალითზე გაანალიზებულია მაკროეკონომიკური მოდელის აგებისა და გამოყენების თავისებურებები. ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური ანალიზის საშუალებით შეფასებულია ძირითადი პარამეტრები.

ფაქტობრივად, ქვეყნები აგებენ მაკროეკონომიკურ მოდელებს იმისთვის, რომ შეიმუშაონ გრძელვადიანი განვითრების გეგმები და ამასთანავე შეაფასონ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები.მაკროეკონომიკური მოდელირების საშუალებით მიღწევადია ეკონომიკური სისტემის რაციონალურად მართვა. მსგავსი მოდელები განსაკუთრებულად ანგარიშგასაწევია მცირე და საშუალო ზომის ეკონომიკის ქვეყნებისთვის, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მიღწევას შემჭიდროებულ ვადებსა და შეზღუდული რესურსული უზრუნველყოფით ცდილობენ. ამ მხრივ საყურადღებოა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შეჯერება და კონკრეტულ მაკროეკონომიკურ გარემოსთან ადაპტაცია.

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მიქიაშვილი ნ. სეთურიძე რ.	გლობალიზაცია, ქსელური ეკონომიკა და მცირე ეკონომიკის უსაფრთხოება (საქართველოს მაგალითი) The Globalization, Network Economy and the Security of small economies (Case of Georgia)	მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, 12 აპრილი, 2018 მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფაკულტეტი, კაუნასი, ლიტვა
2	მიქიაშვილი ნ., გიორგობიანი მ.	სახელმწიფო შესყიდვების რეგულაცია, როგორც მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის საფუძველი Regulation of Public Procurement as an Opportunity to Increase the Gross Domestic Product	*ჟურნალი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი* (20), 2018, კაუნასი. ISSN 2029-1701, ISSN 2335-2035 (Online), გვ.182-191 https://www.mruni.eu/lt/universitetas/fakultetai/viesojo_saugumo/moksline_veikla/leidiniai/ საერთაშორისო კონფერენცია აკადემიურ დისციპლინებში,18-21 ივნისი, 2018 *International Conference for Academic Disciplines* FIAP Jean Monnet, 30 rue Cabanis, 75014 Paris, France
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი ლია თოთლაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტისდა სახელებამეცნიერებისდარგის ადასამეცნიერომიმართულები სმითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში **მეცნიერების დარგი:** ეკონომიკა **სამეცნიერომიმართულები** - ეკონომიკური თეორია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, სექტორული ეკონომიკა **3. პროექტის ხანგრძლივობა:** 2015-2021 წწ. **ლია თოთლაძე, თამარ თაფლაძე** **დამოკიდებულება ადამიანისეულ კაპიტალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ევროკავშირის ქვეყნებში** ანოტაცია ნაშრომი ეძღვნება ადამიანისეული კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულების როგორც თეორიული კონცეფციების ანალიზს, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე. მასში განხილულია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის მეთოდოლოგიური ასპექტები: სხვადასხვა მეთოდოლოგიურ საფუძველზე გაანგარიშებადი მაჩვენებლები. ხაზგასმულია არხები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანისეული კაპიტალი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენისშეფასების რაოდენობრივ ასპექტებს ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული ფუნდამენტური და ემპირიული კვლევების შედეგების საფუძველზე.		

1.2.

№	**დასრულებული**პროექტისდას ახელებამეცნიერებისდარგისა დასამეცნიერომიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითიპროექტისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)			

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ლ. თოთლაძე მ. ხუსკივაძე	„ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში“	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2019. ISBN 978-9941-13-854-6
2	ლ. თოთლაძე მ. ხუსკივაძე	„ადამიან-კაპიტალი და მისი გაზომვის მიდგომები“	თსუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”. თბილისი, 1-2 ნოემბერი, 2019. ISBN 978-9941-13-890-4
3	L.Totladze T. Tapladze M. Khuskivadze	*Modeling of Impact of Human Capital on Economic Growth.*	საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ კონფერცია „საქართველოსა და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, თბილისი, 2019.
4	ლ. თოთლაძე	„ადამიანისეული კაპიტალის შეფასების საკითხისათვის“	II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები“, ბათუმი, 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

მონაწილეობა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილ *ERASMUS +*პროგრამაში - მობილობა დიმიტრი ცენოვის ეკონომიკის აკადემიაში (ბულგარეთი) – 2019 წლის აპრილი.

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა***

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი სიმონ გელაშვილი***

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი სიმონ გელაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი მაია მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალაძე
ასისტენტ-პროფ. ზამირა შონია
ასისტენტ-პროფ. მაია გიორგობიანი

პროფესორი სიმონ გელაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	**საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა** **(დემოგრაფია, მოსახლეობის სტატისტიკა)**	**აპრილი 2019 – დეკემბერი 2019**	**ძირითადი შემსრულებელი**

ანოტაცია

პროექტის მიზანია სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის, ე. ი. დემოგრაფიული პროცესებისადმი მათი შეხედულებებისა და შეფასებების შესწავლა. პროექტს საფუძვლად უდევს დ. უზნაძის განწყობის თეორია და დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგია.

პროექტის განხორციელების პროცესში გადაწყვეტილი იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სტუდენტი ახალგაზრდობის განწყობის შესწავლა რეპროდუქტიული (შვილოსნობის მიმართ);

2. სტუდენტების განწყობის შესწავლა თვითშენახვითი (ჯანმრთლობის მოვლის) მიმართულებით;

3. სტუდენტი ახალგაზრდობის ქორწინებითი განწყობის შესწავლა;

4. სტუდენტი ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის შესწავლა.

პროექტის კვლევის ობიექტია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი ახალგაზრდობა, ხოლო კვლევის საგანია დემოგრაფიული განწყობის კონკრეტული

მიმართულებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა კვლევის დამოუკიდებელი საგანი დღემდე არ გამხდარა.

კვლევა შესრულდა შესაბამისი სტატისტიკური და დემო-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, კერძოდ: სტატისტიკური დაკვირვება და მიღებული მონაცემების თავმოყრა-დაჯგუფება, საშუალო სიდიდეთა და ვარიაციული მეთოდები, საინდექსო მეთოდი, კორელაციური ანალიზის მეთოდები, სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები და სხვ.

სტატისტიკური შერჩევის მეთოდოლოგიით დადგინდა დაკვირვებისათვის საჭირო შერჩევითი ერთობლიობის რიცხოვნობა.

- განისაზღვრა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენა სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ განწყობაზე;
- დადგინდა სტუდენტი ახალგაზრდობის როლი და ადგილი საქართველოში ქორწინებისა და შობადობის დონეების ფორმირებაში;
- შედარებითი ანალიზით დადგინდა სტუდენტთა მშობლებისა და ბებია-ბაბუების შვილიანობა და ახლანდელი სტუდენტობის შვილიანობაზე შეხედულებების თანაფარდობები;
- გამოვლენილი იქნა სტუდენტი ახალგაზრდობის ზრუნვა და შესაძლებლობები საკუთარ ჯანმრთელობაზე;
- დადგინდა სტუდენტი ახალგაზრდობის შეხედულებები პოტენციური მიგრაციის ვექტორების შესახებ.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სიმონ გელაშვილი	შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში ISBN 978-9941-25-478-8	თბილისი, ,,უნივერსალი“	160

ანოტაცია

სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების თეორიისა და მეთოდოლოგიის საფუძვლები, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, პროგნოზირების მეთოდები და მათი გამოყენების წესები, პროგნოზირების ძირითადი ეტაპები, მოდელებისა და პროგნოზების კლასიფიკაცია, პროგნოზირების განვითარების თანამედროვე დონე საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანასა და საქართველოში. დიდი ადგილი აქვს ასევე დათმობილი კონკრეტული ეკონომიკური მოვლენების პროგნოზების გაანგარიშებას.

სახელმძღვანელოში დამუშავებულ საკითხებს და მის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს

დიდი მეცნიერული, სასწავლო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც სტატისტიკური პროგნოზირების, ისე საერთოდ პროგნოსტიკისა და სტატისტიკის სრულყოფისათვის. გარდა ამისა, მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო მმართველობის დონეზე (შესაბამისი სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვა სამსახურები), ისე არასახელმწიფო სექტორში (სხვადასხვა კომპანიები და ფირმები), ბანკებში, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ცალკეული სპეციალისტების მიერ.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ნინო მაღრაძე	სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში ISSN 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, # 4, 2019	თბილისი, თსუ	19

ანოტაცია

სტატიის მომზადების პროცესში გამოყენებული იქნა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევით მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები, რომელთა დამუშავება და ანალიზი განხორციელდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის - SPSS გამოყენებით. კვლევის პროცესში მოხდა მრავალი ზოგადი და კერძო მაჩვენებლის (შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის) გაანგარიშება და შეფასება. ანალიზის შედეგად დადგინდა სქესის, ასაკის, ეთნიკური და სხვ. ჯგუფების მიხედვით სტუდენტთა განსხვავებული დემოგრაფიული განწყობა.

ჩვენი კვლევის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23%) სათანადოდ ვერ აფასებს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. მათი ნაწილის აზრით, ვითარება სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას, დანარჩენებს კი უჭირთ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება, რადგან არ დაინტერესებულან ამ საკითხით. მეორე საყურადღებო შედეგი, რაც გამოკვლევამ აჩვენა, არის ის, რომ გამოკითხულ სტუდენტებს სურთ იყოლიონ საშუალოდ უფრო ნაკლები ბავშვი, ვიდრე მათ მშობლებს და ბებია-ბაბუას ჰყავთ. ეს კი, ისედაც შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს და მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმიდან შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმს დავუბრუნდებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოება და, განსაკუთრებით, სტუდენტები, მომავალი მშობლები, უფრო სიღრმისეულად გაეცნონ ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას, გააანალიზონ მომავალში მოსალოდნელი შედეგები. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სამ და ოთხ-შვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა ბავშვთა ყოლის გაზრდილი მოთხოვნილების მოტივაციის ფორმირებითა და შესაბამისი მატერიალური

დახმარებით.

კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ საკითხებზე განათლების დაბალი დონე, რაც ძირითადად განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი საგნების სწავლების დეფიციტით.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სიმონ გელაშვილი, ნინო ჩიხლაძე ელენე ფიცხელაური	ჯანმრთელობის დაცვის ადამიანური რესურსების ცვლილების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში ISBN 978-9941-26-538-9	სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში	თბილისი, ,,უნივერსალი“	13

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ადამიანური რესურსების ცვლილების სტატისტიკური ტენდენციები პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის, კერძოდ, 1996-2017 წლებისათვის. გაანგარიშებულია როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის სტატისტიკური მაჩვენებლები როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. ანალიზის შედეგად გამოვლინდა არაერთგვაროვანი ტენდენციები ცალკეული რეგიონების, ასევე ექიმებისა და ექთნების თანაფარდობის და ექიმების კონკრეტული სპეციალობების მიხედვით. ამასთან ერთად, დადგინდა მნიშვნელოვანი ვარიაცია და დისპროპორცია საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლებში.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის უკვე ტრადიციული პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, მგრძნობელობაზე, ხარისხზე და ეფექტიანობაზე, შემდეგ სამ კატეგორიად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ✓ ჯანმრთელობის დაცვის ადამიანური რესურსების, კერძოდ, ექიმების სიჭარბე, დაბალი პროდუქტიულობა, არსებული სიმძლავრეების არაეფექტიანი გამოყენება;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სამუშაო ძალის არათანაბარი განაწილება (ქალაქებში დიდი კონცენტრაცია და, შესაბამისად, სპეციალისტების სიჭარბე, ხოლო იმავდროულად რეგიონებში მნიშვნელოვანი დეფიციტი);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის ადამიანური რესურსების, კერძოდ, ექთნების დიდი დეფიციტი.

ექიმების, განსაკუთრებით სპეციალისტების, ჭარბი რაოდენობა, არათანაბარი განაწილება, პროდუქტიულობის დაბალი დონე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის

ტრადიციულ და მყარ მახასიათებლებად იქცა, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოში ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარების სტატისტიკური მაჩვენებლები და ტენდენციები საფუძვლად დაედოს ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებას სამედიცინო მიმართულებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სიმონ გელაშვილი	სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის ბოლოს	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, 2019	თბილისი, თსუ	8

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირების პროცესი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. გამოვლენილია სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუციური ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სხვა ფაქტორებთან. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად სხვადასხვა სფეროში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებისა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მაღალია საზოგადოების ძლიერი ფრაგმენტაცია, რაც ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ნეგატიური ფაქტორია. ამ სიტუაციის ადეკვატური შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტური და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, მათ განსაჯაროებას და სწორად გამოყენებას.

ოფიციალურ სტატისტიკის ინსტიტუციური და ფუნქციური გარდაქმნების უმეტესობა 1995-2000 წლებში განხორციელდა. 1994 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ განავითარა სხვადასხვა პოლიტიკა, სტრატეგიები და მექანიზმები ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის მიზნით. იმისათვის, რომ ეფექტიანად განხორციელებულიყო ტრანსფორმაცია, მთავრობა პირდაპირ უნდა ჩარეულიყო, რათა სტიმული მიეცა ზრდისა და განვითარებისთვის, არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის აღმოფხვრისათვის. 1994 წელს მიღებულმა სამხრეთ აფრიკის რეკონსტრუქციის პროგრამამ უზრუნველყო განვითარების ჩარჩოს ფორმირება აპარტეიდიდან თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნისათვის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სიმონ გელაშვილი	სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის ბოლოს	1-2 ნოემბერი 2019, თბილისი, თსუ
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

1.2.

№	**დასრულებული**პროექტისდას ახელებამეცნიერებისდარგისა დასამეცნიერომიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა**	2019 წლის მარტი-დეკემბერი	მ.ხმალაძე-ხელმძღვანელი ს.გელაშვილი-შემსრულებელი ნ.აბესაძე-შემსრულებელი მ.მინდორაშვილი-შემსრულებელი მ.მუჩიაშვილიშემსრულებელი ზ.შონია-შემსრულებელი მ.გიორგობიანი-შემსრულებელი
დასრულებული კვლევითიპროექტისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მიზნით საგრანტო პროექტის მონაწილეთა მიერ გამოიკითხა 2452 სტუდენტი, მათ შორის - 1732 ქალი, 710 კაცი. არ უპასუხა 10 რესპოდენტმა. აღნიშნული ერთობლიობა, 2452, სრულად აკმაყოფილებს შერჩევითი ერთობლიობის ფორმირების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. მასალები დამუშავდა კომპიუტერზე SPSS პროგრამით. შედეგობრივი ცხრილები ამოიბეჭდა 248 გვერდზე, რომელთა ანალიზის შედეგად მივიღეთ საბოლოო შედეგები. დამუშავდა დემოგრაფიული განწყობის შესწავლისმეთოდოლოგიური საკითხები, დახასიათებულ იქნა ახალგაზრდობა თანამედროვე საზოგადოებაში, საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მაჩვენებლები, გაანალიზებულ იქნა სტუდენტების დემოგრაფიული განათლება, სტუდენტების რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა, სტუდენტების მიგრაციული განწყობა, გამოიკვეთა საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები სტუდენტების თვალსაზრისით. რესპონდენტების გამოკითხვა ხორციელდებოდა შემუშავებული ანკეტით, რომელიც მოიცავდა 35 კითხვას თავისი მრავალფეროვანი ქვეკითხვით.		

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისად გილი, გამომცემლო ბა	გვერდებისრ აოდენობა
1	ნ. აბესაძე, მ. მინდორაშვილი, მ. გიორგობიანი	სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი ISBN 978-9941-13-890-4	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.	თსუ გამომცემლო ბა	გვ.264-270

ვრცელია ნოტაცია (ქართულენაზე)

დემოგრაფიულმოვლენებსადაპროცესებზეპირდაპირიზემოქმედებაშეზღუდულია. ამიტომ, რთულიასაზოგადოებისგანვითარებისთანამედროვეეტაპისათვისმისაღებისაზოგადოებისრეპრ ოდუქციულიგანწყობისჩამოყალიბებადამისიესაბამისიდემოგრაფიულიქცევისგანსაზღვრა. საკითხიუფროსენსიტიურიხდება,
როდესაცსაქმესტუდენტიახალგაზრდობისდემოგრაფიულგანწყობასეხებაარსებულიარცთუსახ არბიელოდემოგრაფიულივითარებისფონზე. ამშემთხვევასი, რათქმაუნდა, გასათვალისწინებელიაარამარტოახალგაზრდებისშეხედულებებისმრავალგვაროვნებამოსალოდნე ლდემოგრაფიულქცევაზე, არამედმათიდემოგრაფიულიგანწყობისგანმსაზღვრელიოჯახური, ეროვნული, ეკონომიკურიდასოციალურიფაქტორების, რელიგიურიტრადიციებისმრავალფეროვნებადასხვაცხოვრებისეულფასეულობათაორიენტაცი ა.
სტუდენტებისდემოგრაფიულიგანწყობისსტატისტიკურიშეფასებაშესაძლებელიამხოლოდშესა ბამისიინფორმაციულიუზრუნველყოფისპირობებში.
სწორედამინფორმაციულიბაზისფორმირებასემსახურებაჩვენმიერგამოკვლეულისტუდენტების სოციალ-დემოგრაფიულიმახასიათებლები.

2	ნინო აბესაძე	შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსები საქართველოში ISBN 978-9941-26-538-9	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლისთავისადმიმიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო გამოცემა,,სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში.“	გამომცემლობა ,,უნივერსალი“	გვ 10-20

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

თანამედროვე პირობებში გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი გამოვლენა ხელფასებს შორის არსებული სხვაობაა. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება აღნიშნული სტატია, სადაც მოცემულია შრომით ბაზარზე არსებული უთანასწორობის რაოდენობრივი ანალიზი, განხილულია გენდერულ ჭრილში შრომის ანაზღაურებაში არსებული განსხვავებები, გამოვლენილია ქალთა ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებები, გაანალიზებულია გავრცელებული მოსაზრებები დასაქმებაში გენდერული სტერეოტიპების შესახებ და ა. შ. გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები.
ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სამართლებრივი რეგულირების გარდა მნიშვნელოვანია, თავად დამსაქმებელმაც აიღოს ვალდებულება, დაიცვას სამუშაო ადგილზე ორივე სქესის გენდერული თანასწორობა, შესთავაზოს ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი პირობები და შესაძლებლობები განვითარების, კარიერული ზრდისა და წარმატებისათვის.

3	Nino Abesadze Otar abesadze Natalia Robitashvili	*Socio-Economic-Gender DisbalancesIn Georgia.* E ISSN 2449-2612	Journal ,,Globalization And Business“, N7	European University	pp. 143-147

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

გენდერული თანასწორობის პოლიტიკით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე რეფორმირებული ქვეყანა გახდაკავკასიაში. იმისდა მიუხედავად, რომ ამ მხრივ მრავალი ნაბიჯი გადადგა, პრობლემები კვლავ არსებობს. კვლევის მთავარი მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში გენდერული დისბალანსების დადგენა და ანალიზი არსებული გენდერული სტერეოტიპების ფონზე. კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისასგამოყენებულ იქნა სტატისტიკის მეთოდები: მონაცემთა მოპოვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეტოდები.
ნაშრომი გამოვლენილია უმუშევრობის ტენდენციები, მათი გამომწვევი მიზეზები. განხილულია ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულაციები. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოცემულია დასაქმების და უმუშევრობის კომპლექსური ანალიზი გენდერული ჭრილში; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ადამიანის უფლებების დაცვის გენდერული ასპექტების საერთაშორისო პრაქტიკაზე.

4	Nino Abesadze Asiman Quliyev Otar Abesadze	Assessment of international tourism in Georgia based on the attractiveness index. ISSN1987-6858	უ/ს ჯორჯიას მე-20 საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენცია “ციფრულიეპოქადაბიზნესისთანამედროვეგამოწვევები”.	გამომცემლობა ,,უნივერსალი“	გვ. 32-42
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომში განხილულია ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში.აქცენტი გაკეთებულია საერთაშორისო შემომსვლელი ტურიზმის რაოდენობრივ ანალიზზე. ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ იქნა მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა SPSS-ისსაფუძველზე. ნაშრომში გაანალიზებულ იქნა ქვეყნის მიმზიდველი რეგიონების ანალიზი და აგებულ იქნე მიმზიდველობის ინდექსები. გაკეთებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	Nino Abesadze, Nino Paresashvili, RusudanKinkladze	Violence against women: stereotyped or new challenge of society https://doi.org/10.3846/cibmee.2019.065	International Scientific Conference „Contemporary Issues in Business, Management and Education“, International Scientific Conference „Contemporary Issues in Business, Management and Economics Engineering"	9–10 May 2019, Vilnius, Lithuania Vilnius Gediminas Technical University	644-651
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ანალიზი, ძალადობის მიზეზების, სახეების, გამოვლენილი ფორმებისა და ძალადობის შედეგების მიხედვით. კვლევისას გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის აპრობირებული მეთოდები. ძირითად ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.					

ქალთა მიმართ ძალადობა ტაბუდადებული თემაა ქართული საზოგადოებისთვის და იშვიათად ხდება მისი გამჟღავნება, თუმცა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ საქართველოში შედარებით მაღალია მოსახლეობის ინფორმაციულობის ხარისხი. სტატიაში განხილულია ძალადობის სხვადასხვა ფორმების რაოდენობრივი ანალიზი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.გამოკვეთილია ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა სექსუალურიძალადობა, გაუპატიურება, სექსუალურ შევიწროება, ნაადრევიქორწინება ან იძულებითიქორწინება. გაანალიზებულია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები რეგიონალურ ჭრილში. აღმოჩნდა, რომ ძალადობა გაცილებით ხშირია თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და შიდა ქართლში. იგი შედარებით დაბალია აჭარის, გურიის, სამეგრელოს და იმერეთის რეგიონებში. გარდა ფიზიკური ძალადობისა, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორიცაა: მეუღლის მუდმივი კონტროლი, მუქარა, დაშინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება, შანტაჟი და ა.შ. ძალადობის მაჩვენებლები განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ეროვნების მიხედვით. ნაშრომში გაკეთებულია მრავალმხრივი კროსტაბულაცია, კომპლექსური ანალიზი და შესაბამისი დასკვნები.

2	Nino Abesadze, Nino Paresashvili	Impementation of the recommendations of the world tourism organixationin determination of tourists expenses in Georgia ISSN: 2344-2174	Ecoforum Journal Volume 8 Issue 2	University of Suceava, Romania	586-592

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ტურიზმის სტატისტიკის მნიშვნელოვანი და აქტუალურ საკითხს მიეკითვნება ტურისტული ხარჯები, რომლებიც მოიცავს ტურიზმის ღირებულების შეფასებას, რაც აუცილებელია ეროვნული ეკონომიკაზე მისი გავლენის შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ტურისტული ხარჯების კლასიფიკაციადა გამოკვეთილია ამ რეკომენდაციების დანერგვის პრობლემები საქართველოში.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ანალიზის და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ტურისტული ხარჯები მოიცავს ტურისტული მოგზაურობის დროს შეძენილი საქონლისა და მომსახურების ხარჯებს, იმისდა მიუხედავად,მისთვისაა ის შეძენილი თუ სხვისთვის. ეს მოიცავს როგორც ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებს, ასევე სხვების მიერ გადახდილ ან გადასახდელ ხარჯებს. მოგზაურობის ხარჯები გამორიცხავს შენაძენებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს ვიზიტორს. ყველა ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება, რომელსაც ეროვნული ანგარიშების სისტემის პრინციპებით ტურიზმის ხარჯვას წარმოადგენს, შეიძლება იყოს საქონლის ან მომსახურების მოხმარება. ვიზიტორებისა და საქონლის მიერ გაწეული ხარჯების გარდა, ტურისტულ ხარჯებში შედის: დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ხარჯები დასაქმებულთა სამოგზაურო საქონელზე და მომსახურებაზე; მესამე მხარის მიერ დაფინანსებული ვიზიტორის ფულადი სახსრები, ვიზიტორის ინდივიდუალური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები, რომლებიც უზრუნველყოფილია და სუბსიდირებულია მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ა.შ.. ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია ტურისტების მიერ მოგზაურობისას გაწეული ისეთ ხარჯებზე, რომლებიც არ შეესაბამება საქონლისა და მომსახურების შეძენას, რის გამოც ისინი გამორიცხულმუნდა იქნეს ხარჯების კლასიფიკაციიდან.

3	Asiman Quliyev Nino Abesadze Otar Abesadze LalaAmanova	Statistical aspects of trade relations between Georgia and Azerbaijan	Collection of scientific articles of 37th International Scientific Conference on Economic and Social Development - "Socio Economic Problems of Sustainable Development"	Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA)	51-56
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომში მოცემულია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი დინამიკაში. გაანალიზებულია სასაქონლო სტრუქტურა და დახასიათებულია საექსპორტო და საიმპორტო ურტიერთობები, გაანგარიშებულია განზოგადოებული სტატისტიკური მაჩვენებლები,ჩატარებულია შესაბამისი კომპლექსური ანალიზი და გაკეთებულია დასკვნები.					
4.	Nino Abesadze, Nino Paresashvili, Rusudan Kinkladze	Increasing trends of tourists flows from the European countries to Georgia	Collection of scientific articles of 60th International Scientific Conference **"**Scientific Conference on Economics and Entrepreneurship" (SCEE'2019)	RIG Riga Technical University October 11 – 12, 2019 in Riga, Latvia	
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) საქართველოშიტურიზმი სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს. სისტემატიურად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობა და იცვლება ტურისტული ნაკადების გეოგრაფიული სტრუქტურა. ისიც ფაქტია, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზა ლიბერალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ რეგიონიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენციაზე. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სტატისტიკური დაკვირვების, ჯგუფების და ანალიზის მეთოდები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობისსისტემატურად მზარდი ტენდენცია ვლინდება.უფრო მეტიც, კვლევის შედეგების მიხედვით 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების 72.9% -ზე საქართველოში განმეორებით ვიზიტს ახორციელებდა, ხოლო ვიზიტორთა 27.1% საქართველოში პირველად იმყოფებოდა.ვიზიტები ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ხშირია წლის III კვარტალში, ანუ ზაფხულში. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორები ძირითადად პოლონეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ლიტეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან. ვიზიტორთა უმეტესობა 26-35 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. კვლევის შედეგებით ყველაზე პოპულარული ლოკაციას წარმოადგენდა თბილისი. ევროკავშირის ქვეყნებიდნ ყველაზე დიდი ტურისტული ნაკადები 2018 წელს დაფიქსირდა. საერთაშორისო ვიზიტორთა შორის დომინირებენმამაკაცები. ვიზიტორთა შორის ყველაზე მეტია 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორი. ხოლო მათ შორის კი კი 26-65 ასაკობრივი ჯგუფი დომინირებს. როგორც კვლევამ აჩვენა ვიზიტორთა კმაყოფილების ხარისხი საქართველოში					

მოგზაურობით მაღალია, უკმაყოფილებასაერთაშორისო შემომავალი ვიზიტორების მხოლოდ 1.7% -მა დააფიქსირა.					
5.	Nino Abesadze, Nino Paresashvili, Rusudan Kinkladze	Are women s rights protected in Georgia? Statistics and reality. ISSN 2451-3458	Journal Open Economics	Volume 2 Issue 2 იბეჭდება 2019 წლისდეკემბრისნომერში	
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოშიქალთამიმართგამოჩენილი ძალადობის მდგომარეობის შეფაება ძალადობის მიზეზების, სახეებია და გამოვლენილი ფორმების მიხედვით. კვლევისას გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის აპრობირებული მეთოდები. ძირითად ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. დიაგრამები და ცხრილები აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების საფუზველზე. ქალთა მიმართ ძალადობა მტკივნეული, მაგრამ ჯერ კიდევ ტაბუდადებული თემაა ქართული საზოგადოებისთვის, ამიტომაც არასრულია შესაბამისი მონაცემთა ბაზა. თუმცა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ საქართველოში შედარებით მაღალია მოსახლეობის ინფორმაციულობის ხარისხი. ამიტომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ძალადობის სტატისტიკა ჩვენს ქვეყანაში უფრო მზარდია. სტატიაში მოცემულია ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტების კომლექსური ანალიზი სექსუალური ძალადობის,გაუპატიურების, სექსუალურ შევიწროების, ნაადრევი ქორწინების ან იძულებითი ქორწინების და ა.შ. მიხედვით. გაანალიზებულია ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებლები ტერიტორიული, ასაკობრივი, ეროვნებისა და სხვ. ნიშნების მიხედვით.					

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	Nino Abesadze Asiman Quliyev Otar Abesadze	Assessment of international tourism in Georgia based on the attractiveness index	**უ/ს ჯორჯიას** მე-20 საერთაშორისოსამეცნიეროკონფერენცია “ციფრულიეპოქადაბიზნესისთანამედროვეგამოწვევები”.
2	ნ. აბესაძე, მ. მინდორაშვილი, მ. გიორგობიანი	სტუდენტებისსოციალ-დემოგრაფიულიმახასიათებლებისსტატისტიკურიანალიზი.	ივანეჯავახიშვილისსახელობის თსუ-ს IV საერთაშორისოსამეცნიეროკონფერენცია„გლობალიზაციისგამ

			ოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“
3	ნინო აბესაძე	გენდერულითანასწორობისპრობლემებისაქართველოში.	მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი V (საიუბილეო) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია„თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ბათუმი, ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	Nino Abesadze, Nino Paresashvili, RusudanKinkladze	Violence against women: stereotyped or new challenge of society	9–10 May 2019, Vilnius, Lithuania Vilnius Gediminas Technical University
2	Asiman Quliyev Nino Abesadze Otar Abesadze LalaAmanova	Statistical aspects of trade relations between Georgia and Azerbaijan	Baku Azerbaijan 14-15 Februaty2019
3	Nino Abesadze	Increasing trends of tourists flows from the European countries to Georgia	Riga Technical University October 11 – 12, 2019 in Riga, Latvia
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა	2019 წ. თებერვალი - 2019 დეკემბერი	**მ.ხმალაძე** -ხელმძღვანელი, შესავალი, თავი 1 - დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები; თავი 2 - ახალგაზრდობა თანამედროვე საზოგადოებაში; თავი 5 - სტუდენტების რეპროდუქციული და ქორწინებითი განწობა; დასკვნები და რეკომენდაციები. შემსრულებლები: **ს.გელაშვილი** - თავი 4 სტუდენტების დემოგრაფიული განათლება; **ნ.აბესაძე, მ. მინდორაშვილი -** თავი 3 საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული დახასიათება; **მ.მუჩიაშვილი** - თავი 6 სტუდენტების მიგრაციული განწყობა; **მ.გიორგობიანი ,ზ.შონია -** თავი 7 საქართველოს წინაშე მდგარი გამომწვევები სტუდენტების თვალსაზრისით.
დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველია დ.უზნაძის განწყობის თეორია, სტატისტიკური მეთოდოლოგია და სამეცნიერო ნაშრომები აღნიშნულ თემაზე. სტუდენტობის ასაკში დამთავრებულია პიროვნების სოციალიზაცია და ჩამოყალიბებულია ორიენტირები. რესპონდენტების უმეტესობა არის საშუალოშემოსავლიანი და 20-24 წლის ასაკში, ქალები 2,5-ჯერ მეტია კაცებთან შედარებით. კვლევით დადგინდა სტუდენტების დემოგრაფიული		

განათლების დაბალი დონე. რესპონდენტებმა სასურველ და მოსალოდნელ (დაგეგმილი) ბავშვთა საშუალო რიცხვად დაასახელეს 3 ბავშვი. სტუდენტების საკმაო ნაწილი განწყობილია ემიგრაციაში წასასვლელად, ძირითად მიზეზად ასახელებენ სწავლის გაგრძელებას. სტუდენტებმა საქართველოს წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევად დაასახელეს უმუშევრობა და სიღარიბე, შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	მ.ხმალაძე მ.გიორგობიანი ქ.ჩიტალაძე	**სტატია:** საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1926-1979 წლებში. **კრებული:** სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. ISBN 978-9941-26-538-9	თბილისი, 2019	7
მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ყალიბდება დემოგრაფიული პროცესების გავლენით. თავის მხრივ, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც გავლენას ახდენს დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაზე. ახალგაზრდა მოსახლეობაში მაღალია შობადობის დონე და დაბალია მოკვდაობა. საქართველოს მოსახლეობა 1926 წლისთვის იყო ახალგაზრდა მათი მაღალი ხვედრი წილით. 1969 წლებში გვაქვს უკვე დემოგრაფიულად დაბერებული მოსახლეობა, 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის მაღალი ხვედრი წილით.				

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.ხმალაძე მ.გიორგობიანი	**კრებული:** СФЕРА ЗАНЯТОСТИ И	უკრაინა, კიევი, 2019	

	ქ.ჩიტალაძე	ДОХОДОВ В УСЛОВИЯХ ЦИФРОВОЙ ЭКОНОМИКИ: МЕХАНИЗМЫ РЕГУЛИРОВАНИЯ, ВЫЗОВЫ И ДОМИНАНТЫ РАЗВИТИЯ **სტატია:** Экономическая активность и занятость населения Грузии ISBN 978-966-926-301-8		
შრომის ბაზრის კვლევა ინტერდისციპლინარული საგანია. დასაქმებული მოსახლეობის კონტინგენტი ჩამოყალიბებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისგან. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმეტესად ფორმირდება ბუნებრივი მოძრაობით და მოსახლეობის მიგრაციით. პოსტსაბჭოთა საქართველოში კრიზისმა გამოიწვია შობადობის მკვეთრი შემცირებ, რის შედეგადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ბუნებრივი მატება ნულამდე შემცირდა. არნახული მასშტაბები მიიღო მოსახლეობის ემიგრაციამ. ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენის შედეგად შემცირდა როგორც მთელი, ისე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა. 1989-2014 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა 5,4 მილიონიდან შემცირდა 3.7 მილიონამდე. მხოლოდ, 2002-2014 წლებში 960 ათასი ადამიანი გავიდა ქვეყნიდან. 2012-2018 წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2004,5 ათასიდან შემცირდა 1939,5 ათასამდე.				

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.ხმალაძე	საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა	თბილისი, თსუ, 2019 წ. 10.12 ნოემბერი
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, მისი დინამიკაის, მასში მომხდარი სტრუქტურული ძვრების, რეგიონების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცოდნა საფუძვლად ედება ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის გატარებას. სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ მიიღება მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით. მე-19 საუკუნეში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საქართველოში მოხდა მოსახლეობის შემოდინება გარედან. შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და ქართველების ხვედრი წილი შემცირდა. მოსახლეობის შემოდინების კოლონიური პოლიტიკა გრძელდებოდა საბჭოთა იმპერიაშიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლებამდე, რის შემდეგ შეიცვალა უკუპროცესით. არაქართველი მოსახლეობის გადინებამ კულმინაციას მიაღწია 1990-იანი წლებიდან. შედეგად მოსახლეობის 2014 წლის აღწერით ქართველების ხვედრი წილმა მიაღწია 84,5 პროცენტს.			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,**

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი ავთანდილ სილაგაძე***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*Silagadze, A.*	*Plato on Economic Foundations of an" Ideal State.)*	*Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 13(2). 2019. (Scopus)*	*http://science.org.ge/newsite/bnas/t13-n2/23_Silagadze.pdf*	*142-145*
2	*Silagadze, A.*	*Comparave Analysis of Some Economic Indicators of PostSoviet Countries in the South Caucasus* ერთი საკვანძო	*J.* ECONOMICS AND BUSINESS. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426. Vol.11. #1. *(Erihplus,Ebsco)*	*https://www.researchgate.net/publication/332606749_Comparave_Analysis_of_Some_Economic_Indicators_of_PostSoviet_Countries_in_the_South_Caucasus* *29-38*	*29-38*

3 4	*პაპავა, ვლ., სილაგაძე,ა.* *პაპავა, ვლ., სილაგაძე,ა.*	ეკ-რი ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი ”GROSS DOMESTIC PRODUCT”	*ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი: 11-1.* ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426. *(Erihplus,Ebsco)* ჟ.გლობალიზაცია და ბიზნესი #7, 2019 *(Erihplus,Ebsco)*	*https://www.researchgate.net/publication/332606749* *https://www.researchgate.net/publication/334897039*	*203-204*

1. პლატონი „იდეალური სახელმწიფოს“ ეკონომიკური საფუძვლების შესახებ

ეკონომიკურ შეხედულებათა ევოლუციურ ასპექტში ღრმად გააზრება თანამედროვე ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტას აადვილებს. ეკონომიკური ურთიერთობები სათავეს იმ ეპოქიდან იღებს, როდესაც ეკონომიკური მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო. უძველეს ეპოქაში გამოთქმული მრავალი ფასეული ეკონომიკური მოსაზრების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად გააზრება. ამ თვალსაზრისით, მეტად ფასეულია ანტიკური ეპოქის, კერძოდ, ბერძნული საზოგადოების გამორჩეული მოღვაწის პლატონის (ძვ. წ. დაახლოებით 427-347 წწ.) ეკონომიკური მოსაზრებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და ასრულებენ ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული ელემენტების ფორმირებაში.

სტატიაში გაანალიზებულია „იდეალურ სახელმწიფოში“: შრომის დანაწილებისა და სპეციალიზების პრობლემები და მათი დიდი მნიშვნელობა შრომის პროდუქტიულობის ზრდაში; სახელმწიფოს როლი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში და სხვ. ნაშრომში მიღებული დასკვნის მიხედვით, პლატონის ეკონომიკური შეხედულებები წინააღმდეგობებით ხასიათდება, მაგრამ ბევრი მათგანი ფასეულია: ა) სახელმწიფოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების აქტიურად მართვა, ქონებაზე საერთო საკუთრება, მოქალაქეთა თანასწორობისა და ძმობის იდეების ქადაგება, შრომის დანაწილება უნარიანობის მიხედვით, ერთად ცხოვრება, კვება და სხვ., ფაქტობრივად პლატონისეული „კომუნიზმის პრინციპებია“; ბ) პლატონის შეხედულებები შრომის დანაწილების და სპეციალიზების, საგარეო ვაჭრობისა და ვაჭრობის მოედნების მოწყობის, ქორვაჭრებისა და მევახშეების საქმიანობის დაგმობის, სახელმწიფო და კერძო საკუთრების, მოთხოვნის, სიღარიბისა და სიმდიდრის ზღვარის დაწესების, ფულის მიმოქცევის, სოციალურ ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის და სხვ. შესახებ – დღემდე აქტუალური

საკითხებია.

2. *სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოური ქვეყნების ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლ ის შედარებითი ანალიზი*

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ისინი სხვადასხვა დროს გაწევრიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) და გარკვეულ წილად შეინარჩუნეს ერთიანი სსრ კავშირში ჩამოყალიბებული ტრადიციული კავშირურთიერ თობანი, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნების ეკონომიკების განვითარებისათვის. ამ ურთიერთობების შენარჩუ-ნების საიმედოობა, სხვა ავტორებთან ერთად, ეჭვქვეშ დადგა – აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამო. ამ მოვლენებმა ქვეყნების ვექტორები შეცვალა. საქართველო გამოვიდა დსთ-ს შემადგენლობიდან და კურსი ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ აიღო. გასაგები მიზეზების გამო, სომხეთი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე, ყარაბახზე ზეგავლენას დაკარგავს და იგი რჩება დსთ-ში; აზერბაიჯანი, ჯერჯერობით, ამაოდ ცდილობს დსთ-ის ბერკეტების გამოყენებას და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სხვადასხვა ალტერნატიულ გზებს ეძებს. სამწუხაროდ, ამ კონფლიქ ტებში „ლომის წვლილი“ რუსეთს მიუძღვის, რომელიც ასეთი გზებით ცდილობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ზეგავლენის შენარჩუნებას. ამ ფაქტორებმა დიდად განსაზღვრა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მასშტაბებიც. ნაცვლად ხელსაყრელი გეოეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორების რეალიზაციისა – ფინანსური ცენტრების შექმნისა და საერთო სატრანსპორტო არეალის გაფართოებისა, კონფლიქტებმა შეავიწროვა ქვეყნების განვითარების პერსპექტივები. შემთხვევითი როდია ამ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების განსხვავებული ტემპებით წარმართვა. ნაშრომში გაკეთებულია სამი ქვეყნის ზოგიერთი ეკონომიკური ინდიკატორის შედარებითი ანალიზი. მიღებული დასკვნის მიხედვით: პირველი, 1990წელს, მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ,GDP) მოცულობით, ლიდერია აზერბაიჯანი, რომელსაც დიდად არ ჩამორჩა საქართველო, სომხეთის მონაცემები უფრო მოკრძალებული იყო. 2017 წელს აზერბაიჯანმა თითქმის გააათმაგა ეს მაჩვენებელი, საქართველომ მისი გააორმაგება, სომხეთმა კი გახუთმაგება შეძლო; მეორე, რადიკალურად განსხვავებულია ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ზრდის ტემპები. ეკონომიკის ზრდის საშუალოწლიური მაქსიმალური ზრდის ტემპი 35%-მდე დაფიქ სირდა აზერბაიჯანში 2008 წელს, შემდეგ მკვეთრად შემცირდა ენერგორესურსების რეალიზაციისა და ეკონომიკური რეფორმების დაბალი ტემპების გამო. სომხეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები ორნიშნა ციფრით გამოისახა, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა დსთ-ის, მათ შორის რუსეთთან ეკონომიკურმა კავშირურთიერთობებმა. შედარებით დაბალი, არასაკმარისი ზრდის ტემპები ფიქსირდება საქართველოში, სადაც ეკონომიკის მასშტაბი მაქსიმალურად – თითქმის 45%-ით შე-იკვეცა 1994 წელს, მაქსიმალური ზრდა კი დაფიქსირდა 1996 წელს – 11.2% და 2007წელს -12.3%; მესამე, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) მაჩვენებლები სამივე ქვეყანაში ჩამორჩა მსოფლიო ანალოგიურ მაჩვენებელს (10715$, 2017წ.). საქართველო 1990წელს ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე იყო, 2014 წელს მას აზერბაიჯანმა თითქმის 2-ჯერ გაუსწრო. ამასთან, 2017 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი აზერბაიჯანში თითქმის 2-ჯერ შემცირდა, 2014 წელთან შედარებით (ეს მონაცემი მაქსიმალური იყო: 2014 წელს აზერბაიჯანში - 7891$, სომხეთში 2008 წელს – 4010$ და საქართველოში 2014 წელს – 4430 $). აზერბაიჯანმა მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ს ზრდის მაქსიმალურ

ტემპს 33.0%-ს მიაღწია 2006 წელს, მაქსიმალურ ვარდნას – - 23.8% -ს კი 1992 წელს. სომხეთში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად იყო: 14.7% (2003) და -13.6 (2009). ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მძიმედ შეეხო (2009) სომხეთსა და საქართველოს; მეოთხე, ყიდვითი უნარის მიხედვით მსპ-ს მაჩვენებლით, განსხვავებული სურათი გამოიკვეთა: 2017 წელს, 1990 წელთან შედარებით, აზერბაიჯანისა და საქართველოს მაჩვენებლები შედარებით ნაკლებად გაიზარდა,
ვიდრე სომხეთისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, არის ფასების შედარებით ნაკლები ზრდა; მეხუთე, მსპ მოსახლეობის ერთ სულზე, PPP-ს მიხედვით (მიმდინარე საერთაშორისო $) მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (16941$) მნიშვნელოვნად ჩამორჩა საქართველო და სომხე თი, აზერბაიჯანის მაჩვენებელი (17400$) კი მასზე უფრო მაღალია; მეექვსე, პოსტსაბ ჭოური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაკუთრე ბული ზრდა ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებში, მაგ. აზერბაიჯანში. ეს ქვეყანა დომინირებს არამარ ტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, არამედ ის ინვესტიციების აქტიური ექსპორ ტიორი ქვეყანაც გახდა (მათ შორის საქართველოში). მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მო ზიდვა, ყოველთვის ქვეყნის მსპ-ში მის უფრო მაღალ წილს (%) არ ნიშნავს – გამოიკვეთა, რომ
2013-2017წლებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია საქართველოში; მეშვიდე, გარდამავალი ეკონო მიკის ქვეყნებში დაბალია მოსახლეობის რეალური შემოსავლები მაღალი ინფლაციის გამო. 2016-
2017 წწ. აზერბაიჯანში მკვეთრად მაღალი ინფლაცია – სამომხმარებლო ფასების ზრდა დაფიქსირ და სომხეთსა და საქართველოსთან შედარებით; მერვე, ეკონომიკის განვითარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ასტიმულირებს და ქვეყნიდან მუშახელის გადინების მასშტაბებს ამცირებს. შემთხვევითი როდია, რომ აზერბაიჯანში უმუშევრობის დონე საშუალოევროპული მაჩვენებლის ფარგლებშია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 11.6%-მდე შემცირდა, სომხეთში კი ის 18%-ს აღემა ტება; მეცხრე, მიგრაციის მაღალი მასშტაბებია სომხეთსა და საქართველოში. წმინდა მიგრა ციის მიხედვით, საქართველო და სომხეთი არასახარბიელოდ გამოიყურება, რასაც ვერ ვიტყვით აზერ ბაიჯანზე. მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, გაანგარიშებებმა ცხადჰყო, რომ აზერ ბაიჯანში 2017 წელს, 1990 წელთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობამ 138% შეადგინა,
სომხეთში – 82.8%, საქართველოში კი – 77.4%.

3. *ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ*

ავტორების ხაზგასმით, თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში ინგლისური ტერმინი "Gross Domestic Product (GDP)" ქართულად ითარგმანება, როგორც "მთლიანი შიდა პროდუქტი" და/ან "მთლიანი შიგა პროდუქტი". ავტორთა მტკიცებით, უმჯობესია თუ მათ ნაცვლად ქართულ ენაში კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს ტერმინი "მთლიანი სამამულო პროდუქტი".

4. *როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი "GROSS DOMESTIC PRODUCT"*

ავტორები კიდევ ერთხელ განიხილავენ ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხს და მიიჩნევენ, რომ: ქართულ ენაში კუთვნილი ადგილი უნდა დაიმკვიდროს ტერმინმა "მთლიანი სამამულო პროდუქტი", როგორც "Gross Domestic Product"-ის ინგლისურიდან ქართულად სწორმა თარგმანმა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	***Silagadze,A.*** (C./A.-2)	*Economic Doctrines: The Origins. Nova science publishers.*	New York, 2019.	151151
This book presents research in the old era about the individual elements of economic doctrines that form the basis of the formation of economic science. The aim of the first chapter is to consider the most important economic views (State economic function, budget model, statistics, ownership, etc.) in the ancient epoch (Egypt, Iraq, China, India, etc.). The second chapter deals with the most prominent economic considerations (economics, labor division, money, goods, property, management, etc.) of the famous representatives of the ancient epoch (Ancient Greece, Old Rome), although they did not specifically research economic issues (especially in ancient Greece). The third chapter reveals "mature" economic considerations formed in Western Europe, Kievan Rus', Georgia, Russia, Tunisia etc.) that have finally laid the foundation for economics as a science. *წიგნში გამოკვლეულია ეკონომიკური დოქტრინების ცალკეული ელემენტები დაწყებული უძველესი ეპოქიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას. პირველ თავში განხილულია უძველეს ეპოქაში (ეგვიპტე, ერაყი, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.) მეტად მნიშნელოვანი ეკონომიკური მოსაზრებები (სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, ბიუჯეტის მოდელის, სტატისტიკის, საკუთრების და ა.შ. შესახებ). მეორე თავში გამოკვლეულია ანტიკურ ეპოქაში (ძველი საბერძნეთი, ძველი რომი) გამოთქმული ფრიად საყურადღებო ეკონომიკური შეხედულებები (ეკონომიკის, პოლიტიკის, შრომის დანაწილების, გაცვლის, ფულისა და მისი ფუნქციების, საქონლის, საკუთრების, თავისუფლების, აგრარული რეფორმის,ქვეყნის მართვის მოდელის შესახებ და სხვ.). მესამე თავი ეძღვნება ეკონომიკური აზროვნების განვითარების ევოლუციას დასავლეთ ევროპაში, , კიევის რუსეთში, საქართველოში, რუსეთში, ტუნისში და ა.შ.), რომლებმაც მყარი საფუძველი დაუდო ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებას.*			

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*შSSssss Silagadze,A., AtaneliSvili,T.*	*GEORGIA-CIS TRADE RELATIONS: THE PROBLEMS OF THE RUSSIAN MARKET*	*sInternational Journal of Arts and Sciences (IJAS)*	*USA (იბეჭდება), 2019*	

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	***Tamtar Atanelishvili • Av*** *Silagadze,A., Atanelishvili,T. Av*andil SilagadzeS	*GEORGIA-CIS TRADE RELATIONS: THE PROBLEMS OF THE RUSSIAN MARKET*	*University of Malta (Valletta), 03-04/2019 https://malta2019.sched.com* https://malta2019.sched.com

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერერთობლივადშესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.2.

№	**დასრულებული**პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
2	ეკონომიკის მიმართულება, პროექტი:„ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოს სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობებზე“	1.03.2019-30.11.2019	ლელა ბახტაძე, ასოცირებული პროფესორი (პროექტის ხელმძღვანელი) თამაზ ზუბიაშვილი, ასოცირებული პროფესორი (ხელმძღვანელი) რამაზ ფუტკარაძე, ასოცირებული პროფესორი (წევრი) ჯემალ ხარიტონაშვილი, ასოცირებული პროფესორი (წევრი) ქეთი ცხადაძე, დოქტორანტი (წევრი) გიორგი ბენაშვილი, დოქტორანტი (წევრი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი **ანოტაცია** (ქართულ ენაზე) პროექტში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და საექსპორტო პოტენციალის გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია გლობალური ეკონომიკის გამოწვევები და შეფასებულია საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. გამოკვლეულია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამომწვევი მიზეზები. ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის მოდელების განზოგადების საფუძველზე განსაზღვრულია საექსპორტო პროდუქტებისა და მათი		

გაყიდვის ინტენსიურობის, ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებისა და ბაზრებზე უკეთესი პირობების მოპოვებაში ახალი საექსპორტო პროდუქტების წარმოებისა და მომსახურეობის შეთავაზების მნიშვნელობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის საქმეში.
პროექტში გამოვლენილია საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და ისსარგებლი, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მთელი რიგი უპირატესობების გამოყენებით, არასატარიფო ბარიერების დაძლევით და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის დივერსიფიკაციით შეიძლება მიიღოს ქვეყანამ.
პროექტში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებშიექსპორტის დივერსიფიკაციისა და ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმების ამოქმედების საფუძველზეგამოკვეთილია ვაჭრობისა და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებითპრიორიტეტული სფეროები.განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტული ბაზრის ფორმირებაში.შეფასებული და წარმოჩენილია საექსპორტო პოტენციალის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი. შეფასებულიასაქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ფარგლებში მიღწეული შედეგები. განსაზღვრულიასაქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ფარგლებში ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.
ევროკავშირის წევრი ქვეყნების და საქართველოს ვაჭრობასა და ინვესტიციების მაჩვენებლების შედარების, ასევე მათ შორის განსხვავებების გამოვლენის მიზნით სამეცნიერო-კვლევითი პროექტში გამოყენებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი პროფესორ ფენქაჯ გემავათის (Pankaj Ghemawat) მიერ შემოთავაზებული CAGE დისტანციის მეთოდი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება კულტურული, ადმინისტრაციული, გეოგრაფიული და ეკონომიკური კომპონენტების ვაჭრობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციის პერსპექტივების შეფასება.
ასევე კვლევის ჩასატარებლად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის (2002-2018 წლებში საქართველოს დასაქმებისა და უმუშევრობის, საგარეო ვაჭრობის, მათ შორის: მთლიანი სავაჭრო ბრუნვის, ექსპორტ-იმპორტის, სავაჭრო ბალანსის, ექსპორტისა და იმპორტის მიხედვით 5 უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის, 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილის, სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მაჩვენებელთა დინამიკის, მთლიანი ექსპორტის, იმპორტის და მათი სალდოს დინამიკის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, სისტემატიზაციისა და გაანალიზების საფუძველზე გამოკვლეულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოსთან მიმართებით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტისდა სახელებამეცნიერებისდარგის ადასამეცნიერომიმართულები სმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
1	**ნაერთიბიუჯეტიდასახელმწიფოვალი.**საქართველოსეკონომიკისკვარტალურიმიმოხილვა. ეკონომიკა. დონორიორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოსსტრატეგიისადასაერთაშორისოურთიერთობებისკვლევისფონდი (რონდელისფონდი)	II კვარტალი 2019, 10.06.2019-30.09.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბ კაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)
2	**ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი.** საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკა. დონორი ორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი)	I კვარტალი 2019, 15.03.2019-15.07.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბ კაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)
3	**ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი.** საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკა. დონორი ორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოსსტრატეგიისადასაერთაშორისოურთიერთობებისკვლევისფონდი (რონდელისფონდი)	IV კვარტალი 2018, 03.01.2019-25.04.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბკაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2019 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდის) ყოველკვარტალურ ელექტრონულ გამოცემას, რომელიც მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები. მიმოხილვა ეყრდნობა როგორც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს, ისე ექსპერტულ შეფასებებს.

კვლევაში „ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ავტორის გაანგარიშებების საფუძველზე გაანალიზებულია (ცალ-ცალკე) 2018 წლის IV კვარტლის, 2019 წლის I კვარტლის და 2019 წლის II კვარტლის, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა და სტრუქტურა, როგორც ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან, ისე

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეებიდან მობილიზებული სახსრების მიხედვით. გამოვლენილია მათი ზრდისა და კლების მიზეზები. გამოკვლეულია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური და ფუნქციონალური კლაციფიკაციის მიხედვით. გაანალიზებულია 2006-2018 წლის საბიუჯეტო ხარჯების კვარტალური სტრუქტურა და დინამიკა. ახსნილია ხარჯების ზრდისა და შეცირების მიზეზები. დასაბუთებულია მათი ნეგატიური და პოზიტიური გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. გამოვლენილია ნაერთი ბიუჯეტის დადებითი და უარყოფითი სალდოს განმაპირობებელი ფაქტორები. გამოკვლეულია სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის სტრუქტურა და დინამიკა. ჩამოყალიბებულია დასკვნები საშინაო და საგარეო ვალდებულებიების ზრდის/შემცირების გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით. ახსნილია სახელმწიფო ვალის ზრდისა და კლების განმაპირობებელი გარემოებები.			
1	**საბანკო სექტორი.**საქართველოსეკონომიკისკვარტალურიმიმოხილვა. ეკონომიკა. დონორიორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოსსტრატეგიისადასაერთაშორისოურთიერთობებისკვლევისფონდი (რონდელისფონდი)	II კვარტალი 2019, 10.06.2019-30.09.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბკაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)
2	**საბანკო სექტორი.**საქართველოსეკონომიკისკვარტალურიმიმოხილვა. ეკონომიკა. დონორიორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოსსტრატეგიისადასაერთაშორისოურთიერთობებისკვლევისფონდი (რონდელისფონდი)	I კვარტალი 2019, 15.03.2019-15.07.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბკაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)
3	**საბანკო სექტორი.**საქართველოსეკონომიკისკვარტალურიმიმოხილვა. ეკონომიკა. დონორიორგანიზაცია:„SIDA“. დამკვეთი:საქართველოსსტრატეგიისადასაერთაშორისოურთიერთობებისკვლევისფონდი (რონდელისფონდი)	IV კვარტალი 2018, 03.01.2019-25.04.2019 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**ავტორები:** მერაბკაკულია (სელმძღვანელი), ნოდარ (ავტორი)კაპანაძე, ლელაბახტაძე (ავტორი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის 2019 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) კვლევაში „საბანკო სექტორი“(ცალ-ცალკე) 2018 წლის IV კვარტლის, 2019 წლის I კვარტლის და 2019 წლის II კვარტლის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ავტორის გაანგარიშებების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივებისა და პასივების დინამიკაზე არასაბანკო დეპოზიტების და ნასესხები			

სახსრების ზრდით/შემცირებით გამოწვეული ზეგავლენა,გამოვლენილია კომერციული ბანკების არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდაზე/შემცირებაზე ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ცვლილების მიზეზები. გაანალიზებულია კომერციული ბანკების არასაბანკო დეპოზიტების სტრუქტურა. ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების დინამიკა და დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები.

დადგენილია როგორ ზემოქმედებს ეროვნულ ვალუტაში არასაბანკო და საბანკო დეპოზიტების მთლიანი მოცულობის აღმავალ/დაღმავალ დინამიკაზე ვადიანი დეპოზიტების, მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე რიცხული თანხების ცვლილება. გაანალიზებულია კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები. შეფასებულია რა გავლენას ახდენს ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წინმსწრები ზრდა, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებთან შედარებით სესხების დოლარიზაციის მაჩვენებლზე. გაანალიზებულია დაკრედიტების მაჩვენებლები დარგობრივ ჭრილში ეკონომიკის სექტორების, იურიდიული და ფიზიკური პირების დაკრედიტების წილის მიხედვით. განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის კრიტერიუმებით, უმოქმედო სესხები წილი მთლიან სესხებში; გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები ცვლილების მიზეზები.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**Bakhtadze Lela**, Okruashvili Nanuli	The Influence of Foreign Direct Investments onthe Economic Development of the Country(on the Example of Georgia).	International Academic Conference, Rome, 27- 30 May 2019.
2	**Lela Bakhtadze**, KetiTskhadadze	Problems of State Debt Management in Georgia	11th Economics & Finance Conference, Rome, 27 - 30 May 2019.
3	**Lela Bakhtadze**, TeimurazSartania	Trade relations and Export Orientation Prospects of Georgia Economy on EU market	11th Economics & Finance Conference, Rome, 27 - 30 May 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შოთა ვეშაპიძე	**Structure of European value system** ISSN:	WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. – International Scientific Collection / Scientific editors: Y. Kozak, T. Shengelia, A. Gribincea.	Kyiv-CUL, 2019	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ევროპული ღირებულებები, ის ფუნდამენტური ფასეულობები, რომლებიც ზოგადად, ევროპის ბევრ ქვეყანაშია მიღებული. ესაა დემოკრატია, მშვიდობა, უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, კეთილდღეობა, სიტყვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, უმცირესობათა დაცვა. ასევე მნიშვნელოვანია ძლიერი ხელისუფლება, ქვეყნისათვის მსახურება, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, პრაგმატულობა და რეალიზმი, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა, უცხოური დადებითი გამოცდილების გათვალისწინება. ევროპულ ღირებულებათა სისტემაში უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს ყოველი ადამიანი, რომელთა სწრაფვა მიმართული უნდა იყოს სრულყოფისაკენ-იდეალურ ადამიანად გადაქცე-ვისაკენ. საქართველოს და ევროპას საერთო ფასეულობები აქვთ. საერთო ღირებულებათა სისტემა ევროპამ უნივერსალურ სტანდარტებამდე აამაღლა. ევროპა არის კავშირი ქვეყნებისა, სადაც სხვადასხვა ფასეულობებია მიღებული, სანამ ისინი გახდებიან საშიში საზოგადოებისთვის. ევროპას აქვს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეუძლია პატარა ქვეყანას გადარჩეს და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა თავის ტერიტორიაზე. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ღირებულებათა მაღალი საერთო ევროპული სტანდარტების მიღწევა.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ღირებულებებათა სისტემაში არის რაღაც მარადიული, ტრადიციული, რომლის გამოც მათ უწოდებენ "ევროპულ", "ევროატლანტიკურ", "აზიურ", „უკრაინულ" "ქართულ" და ა.შ. ღირებულებებს. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფასეულობები, როგორიცაა: პიროვნული სინდისი, თავისუფლება,

ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა. სწორედ ამ ფასეულობებით ვაცნობიერებთ ჩვენ, თუ რა არის ჩვენთვის ევროპა. ევროპული ფასეულობები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას,საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს მეტნაკლები ზომით ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა და ა.შ. ევროპული ფასეულობებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, ნიკო ნიკოლაძე უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას.

ნაშრომში გაკეთებული დასკვნა, რომ ფასეულობათა სისტემა, რომელმაც ახალი საზოგადოების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, საქართველოში სრულყოფილი სტანდარტების სახით ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპულმა ქვეყნებმა, გაიარეს რა საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ქრისტიანობაზე დაფუძნებული ფასეულობათა სისტემის დასამკვიდრებლად, შეძლეს მისი მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბება. ამით მათ შეძლეს შედარებით უმტკივნეულოდ გაეძლოთ ყველა სირთულისათვის და XXI საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც მოწინავე პოზიციებზე პირველები და ყველაზე ადრე დამკვიდრდნენ. ეს მათ, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებამ მოუტანა. ვინაიდან ამ ქვეყნებმა ყველაზე უფრო ადრე შეძლეს ღირებულებათა ყველაზე ღირსეული, ჰუმანური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, ამ ღირებულებებს შეიძლება ევროპული ან ევროატლანტიკური ფასეულობები ვუწოდოთ. სწორედ საერთო ფასეულობებს ეფუძნება მსოფლიოს ყველაზე უნიკალური ინტეგრაციული გაერთიანება – ევროპული კავშირი, სწორედ საერთო ღირბულებებმა ჩაუყარა საფუძველი ერთიან ევროპას, რაც 1952 წლის 25 მარტს რომის დეკლარაციით გაფორმდა. ევროპული ფასეულობები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (მცირედითაც არ უგულებელყოფს, არ ხელყოფს მათ) და ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტიან მოდელად გვევლინება, უპირველესი, უმთავრესი ევროპული ფასეულობები კი უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მშვიდობა, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო და სიტყვის თავისუფლებაა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ზუბიაშვილი შ. ვეშაპიძე	Labor Emigration and Employment in Georgia.	3-7 თებერვალი, 2019 მალტის უნივერსიტეტი ვალეტა, მალტა
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამაზ ზუბიაშვილი თამარ ათანელიშვილი	SOME ASPECTS OF THE GEORGIA-CIS TRADE RELATIONS ISSN: 2344-2174	ECOFORUM, Volume 8, Issue 2(19), 2019	რუმინეთი	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. გარდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისა (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ ამ თანამეგობრობაში 1991 წელს: აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, სომხეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი (ასოცირებული წევრი 2005 წლის შემდეგ), უკრაინა (ორგანიზაციიდან გამოვიდა 2018 წელს) და საქართველო (უკან გამოვიდა 2009 წელს, 1993 წელს). 2005 წლის 26 აგვისტოს თურქმენეთმა უარი თქვა სრულუფლებიან წევრობაზე და ახლა ის ასოცირებული წევრია. თავდაპირველად, ტრადიციული ეკონომიკური კავშირების შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო დსთ-ს შემადგენლობაში შემავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. მალე გაირკვა, რომ რუსეთმა დსთ გამოიყენა თავისი წევრ სახელმწიფოებზე გავლენის გასაძლიერებლად. ამის გამო, ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, დატოვა "თანამეგობრობა" და პირდაპირ აირჩია ევროპული კურსი. მიუხედავად ამისა, საგარეო ვაჭრობა, თავისუფალ საფუძველზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

ნაშრომში გაკეთებული დასკვნის თანახმად: საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში გაცილებით მეტია ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში - ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნების წილის ზრდის მიუხედავად. 2018 წლის 11 თვის მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნები - აზერბაიჯანი, რუსეთი და სომხეთი იკავებენ საქართველოს ხუთი უდიდესი საექსპორტო ქვეყნის 1-3 ადგილს. 2003-2017 წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტი გაიზარდა 6.7 ჯერ; 2017 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს მთლიანი იმპორტი რუსეთში ყველაზე მეტი პროცენტი იყო - 23.3%, აზერბაიჯანი - 16.2% და უკრაინა - 13.5%. მიუხედავად რთული პოლიტიკური ურთიერთობებისა, საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა არ შეწყვეტილა: გაიზარდა როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები. ამასთან, განსხვავებაა მათ შორის 2-ჯერ მეტი რუსეთის სასარგებლოდ; დსთ-ს ქვეყნები საგარეო ვაჭრობისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანებია, მათ შორის დიდი პარტნიორია - რუსეთის ფედერაცია, მაგრამ მისი ბაზარი ხშირად არასტაბილურია პოლიტიკური ზეწოლის გამო (იგი არ ასრულებს WTO– ს წევრობის ვალდებულებას), რაც კიდევ უფრო აჩქარებს საქართველოს საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ზუბიაშვილი შ. ვეშაპიძე	Labor Emigration and Employment in Georgia.	3-7 თებერვალი, 2019 მალტის უნივერსიტეტი ვალეტა, მალტა
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი

4.4. სტატიებიდიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიხეილ თოქმაზიშვილი	თურქი მეწარმეების სოციალური კაპიტალი საქართველოში, ISBN 978-9941-13-890-4 (pdf)	გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი, 2019. შრომების კრებული,	თბილისი, თსუ,	გვ. 157-163.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ნაშრომში დახასიათებულია თურქი ბიზნესმენების სოციალური კაპიტალი საქართველოში. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კონცეპტუალურ მიდგომას, რომლის თანახმად, ბიზნესის განხორციელება სამ ძირითად პილარზე - ადამიანური კაპიტალის, სოციალური კაპიტალის და ბიზნესის მხარდამჭერ მექანიზმებზე არის დაფუძნებული. ადამიანური კაპიტალის ძირითადი განზომილებებად მიჩნეულია ენის ცოდნა და განათლება; სოციალური კაპიტალის - ინფორმაციული ქსელი, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხოლო ბიზნესის მახასიათებლები და მხარდამჭერი ფაქტორებია ბიზნესის ზომა, გამოცდილება, საწყისი კაპიტალი, კანონმდებლობა, რისკები და მისი თავიდან აცილების სტრატეგია. ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული იქნა კითხვარი და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით გამოიკითხა საქართველოში 45 საწარმოს დამფუძნებელი თურქეთის რეზიდენტი.					

როგორც ჩვენი კვლევა ადასტურებს, საქართველოში დაფუძნებულ თურქულ საწარმოებს არ გააჩნიათ საკმარისი და საჭირო რესურსები წარმოების მასშტაბების გასაზრდელად. მეწარმეები ცდილობენ იპოვონ მხარდაჭერა, დაამყარონ კონტაქტები ქსელების საშუალებით, რათა უზრუნველყონ წარმოება რესურსებით. ამით ისინი აქცენტს სოციალური კაპიტალის ფლობაზე აკეთებენ. სოციალური კაპიტალის ფლობა მნიშვნელოვანია მიგრანტი ბიზნესმენებისათვის, რადგან იგი არის ინსტრუმენტი, რომელიც ემიგრანტთა ჯგუფს საშუალებას აძლევს განავითაროს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები ფართო მასშტაბით

გამოვლენილია, რომ საქართველოში თურქი ბიზნესმენების საქმიანობა არის დაფუძნებული საქართველოში არსებულ მიმზიდველ გარემოზე და მათი მოლოდინი ემყარება საქმიანობის ხანგრძლივი ვადით გაგრძელების სურვილს. მათი გამოცდილების და განათლების გამოყენებამ შეიძლება პოზიტიურად ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	მიხეილ თოქმაზიშვილი	მცირე მეწარმეების სოციალური კაპიტალი საქართველოში, ISSN 2667-9019	სამეცნიერო შრომების კრებული, #1,	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,	გვ.18-26.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, რომ საქართველოში მცირე მეწარმეებში სოციალური კაპიტალი, როგორც სოციალურ ქსელსა და ბიზნესს შორის დამაკავშირებელი კაპიტალი, არის გამოუყენებელი. სოციალური ქსელი მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს დასაქმებაზე ან მეწარმეობის ხარისხზე.

სოციალური ინტეგრაცია მთავრობის მხარდაჭერით არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბიზნეს პრობლემების გადალახვას. ურთიერთობა სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოების ორგანიზაციებთან არის სოციალური კაპიტალის ყველაზე თანმიმდევრული წყარო. საქართველოში მეწარმეების მიერინფორმაციის ფლობა და ადგილობრივ მთავრობასთან კავშირი საკმარისი არ არის მათიბიზნესის გასაძლიერებლად.

როგორც კვლევამ აჩვენა,ბიზნესის დაწყების მნიშვნელოვანი ფაქტორები არის საქმიანი ურთიერთობებისადაქსელებისმრავალფეროვნებისგაფართოება,
სხვადასხვაორგანიზაციებისმიერჩატარებულბიზნესსაკითხებშიტრენინგები,
ინფორმაციისმიწოდებისარხების,
საკონსულტაციოინსტიტუტებისადაქსელებისგანვითარება.საჭიროებები,
რომლებიცსაერთოაბიზნესისათვის, მოიცავს სესხებზე დატექნოლოგიებზეხელმისწვდომობის გაზრდას, პროდუქციის/მომსახურებისგაყიდვისინსტიტუციურმხარდაჭერას ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მიზნობრივიდასაქმებისტრენინგი (მაგალითად, სტუმართმოყვარეობისადასასტუმროებისმომსახურებისმენეჯმენტში) იმისათვის, რომ

მეწარმეობისუნარიგაუმჯობესდეს დაგაფართოვდეს კომერციული ურთიერთობებები და პარტნიორობაბიზნესსტრუქტურებთანმიწოდებისქსელისსტრატეგიისთვალსაზრისით.

აღნიშნულია, რომ საქართველოშიბიზნესისმხარდამჭერიმნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამებიხორციელდება. თუმცაისიცუნდააღინიშნოს, რომმცირემეწარმეობისგანვითარებისათვისპირდაპირიზემოქმედებაარცინსტიტუციონალურად დაარცფინანსურადეფექტიანად არხორციელდება. წარმოდგენილიარეკომენდაციებისაგანმანათლებლოდასაკონსულტაციომომსახურებების, ფინანსებისადმიხელმისაწვდომობის,ქსელებისადაბიზნესისპროგრამებისშესახებინფორმაციის უზრუნველყოფის მიმართულებით.

N	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდები სრაოდენობა
1	მიხეილ თოქმაზიშვილი	აგრარული ინდუსტრიის განვითარების შედარებით ანალიზი და გამოწვევები,	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 1(13), 2019	https://moambe.atsu.edu.ge/edition/gamocema13/307--1.html	გვ 102-114.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

განხილულია აგრარული ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები მსოფლიოს სხვადასხვა შემოსავლების მქონე ქვეყნებში და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს განვითარების თავისებურებები. მოცემულია აგრარული ურთიერთობების განვითარების გამოწვევები, წინააღმდეგობები, პრობლემების გადაჭრის ინსტიტუციონალური, სტრატეგიული და ფინანსური მიმართულებები და სახელმწიფოს აგრარულ სექტორში ინტერვენციის გზები. დასაბუთებულია კლასტერულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე დამყარებული აგრარულ-ინდუსტრიული სისტემის ფორმირების აუცილებლობა. მოცემულია საქართველოში აგრარული ინდუსტრიის სრულყოფის რეკომენდაციები.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	m. Tokmazishvili V. papava	**Georgia** ***In the book: Eastern Europe, Russia and Central Asia***	*Europa/Routledge, 2018*	17p

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარება 2017 წელს, შეფასებულია განვიტარების დინამიკა , დარგები, ინსტიტუტები და მათზე მოქმედი გარემოებები. ნაშრომი დაიწერა ბრიტანული გამომცემლობის შეკვეთის საფუძველზე, ყოველწლიური ანალიტიკური მასალის გამოცემის მიზნით.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისა დგილი, გამომცემლ ობა	გვერდებისრ აოდენობა
1	Tokmazish vili	Экономизация Разрешения Этнополитических Конфликтов в Грузий DOI: 10 35634.2587-9030-2019-3-2-192-200. http://journals.udsu.ru/sociology/article/view/4317	Вестник Удмуртского Университета, Социология, Политология, Международные Отношения, 2019, т.3, Вып 2,	Удмуртского Университет	стр. 192-2000.
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) კავკასიაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარება "ჩიხშია" და კონფლიქტურ ზონებში მშვიდობიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელების წინაშე დგას პოლიტიკური დაბრკოლებები. სახელმწიფოების ეკონომიკური იზოლაცია და რეგიონალური ბაზრის ფრაგმენტაცია აფერხებს ქვეყნების განვითარებას, ხოლო კონფლიქტების მოგვარება დაკავშირებულია რეგიონების სტრატეგიულ პოლიტიკურ გულშემატკივრებთან. ამ კონტექსტში, სტატიაში ნათქვამია, რომ როდესაც პოლიტიკური ინსტრუმენტები არასაკმარისია ინტეგრაციისთვის,უნდა მოხდეს ეკონომიკური და სოციალური მიზნების რაციონალიზაცია, რეგიონში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და კულტურის მოსახლეობის კომბიტაციის და თანაარსებობის მიზნით. სტატიაში ავტორი ცდილობს შეისწავლოს ეკონომიკური და სოციალური მოვლენების როლი, როგორც ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შემსუბუქების ფაქტორები. დადგინდეს, თუ როგორ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონფლიქტების ეკონომიზაციამ საქართველოს ინტეგრაციის პროცესებსა და სტრატეგიებზე სეპარატისტულ რესპუბლიკებთან მიმართებაში.				

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მ. თოქმაზშვილი	კაპიტალისბაზრის გამოწვევები და განვითარების წინაპირობები	II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია : ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, გვ 53-54,,

		საქართველოში,	ბათუმი, 2019, 13 სექტემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სტატიაში დახასიათებულია კაპიტალის ბაზრების გამოწვევები, თეორიები, რომლებიც წინააღმდეგობრივად ასახავენ ბაზრების განვითარების ზემოქმედებას ეკონომიკის ზრდაზე, საქართველოში კაპიტალის ბაზრის არსებულ მდგომარეობას, მისი განვითარების ხელისშემშლელ და მასტიმულირებელ ფაქტორებს და წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის. შედარებითი ანალიზის გზით წარმოდგენილია კაპიტალიზაციის პრობლემები და განვითარების გზები საქართველოში.

ნაშრომში გაანალიზებულია ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე გარემოს ზემოქმედება და ის წინაპირობები, რომლის გათვალისწინების გარეშე კაპიტალის ბაზრის ფორმირება და განვითარება შეუძლებელია. მოცემულია ეკონომიკურ ლიტერატურაში კაპიტალის ბაზარზე ზემოქმედების ფაქტორების დახასიათება და წარმოდგენილია ბაზრის წინაპირობების სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება რამდენიმე პილარს: მაკრეკონომიკურ სტაბილურობას, ინსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემას, ბაზრის ზომას, შემადგენლობას და საპენსიო სისტემას და გამჭვირვალობასა და ფინანსურ ინფრსტრუქტურას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დროდაადგილი
1	მ. თოქმაზშვილი	თურქი მეწარმეების სოციალური კაპიტალი საქართველოში,	კონფერენცია; გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია1-2 ნოემბერი, 2019, თბილისი, თსუ,

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

(გამოქვეყნდა)

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	M.Tokmazishvili	OBOR: Implication for Georgia	Conference- Global Perspectives of One belt One Road Initiative. Tbilisi Open university, Confuses Institute, Lanzhou University. November 26-27, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება მიზნად ისახავს ჩინეთი-ცენტრალური აზია - დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფნის, საქართველოს რეგიონალური იდენტურობის დახასიათებას და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების ბარიერებისა და პერსპექტივების გამოვლენას.
განსაზღვრულის ტრანზიტთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პრობლემებ, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პერსპექტივები და სავაჭრო პირობები ჩინეთთან ურთიერთიბებში,. მოხსენებაში განხილულია კონკურენციის გეოპოლიტიკური სატრანზიტო მარშრუტები და სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესები, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მარშრუტების ჩართვის ბუნდოვანი პერსპექტივები .

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მ. თოქმაზშვილი	“კაპიტალის ბაზრის პრობლემები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში“,	მე-4 საერთაშორისო კონფერენცია: თანამედროვე გალობალიზაციის აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, ევროპის უნივერსიტეტი, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“. თბილისი „ქორთიარდ მარიოტი:, 2019, ივნისი, 19
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

2.სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOIან ISSN
1	Putkaradze R.	Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18), 2019.	ISSN: 2344-2174

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ფუტკარაძე რ.	რუმინეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში (12 წელი ევროკავშირში. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის:	თბილისი, თსუ	გვ. 402-406.

		,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. ISBN 978-9941-13-890-4 (pdf)		

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

რუმინეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში
(12 წელი ევროკავშირში)

სტატიაში გაანალიზეულია ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის რუმინეთის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი. სტატიაში წარმოდგენილი რუმინეთის შესახებ ისტორიული და თანამედროვე ასპექტები. რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისაკენ და ნატოსთან ინტეგრაციას.

გაკეთებულია დასკვნა, რომ რუმინეთის ეკონომიკური მდომარეობა და ეკონომიკური მაჩვენებლები ბოლო 12 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მთლიანობაში ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი. ქვეყნის შემდგომი მიზნებია: შენგენის ზონაში და ევროზონაში გაწევრიანება.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ფუტკარაძე რ	ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები, ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი’, ტომი XI, N3, 2019.	თბილისი, თსუ	გვ. 108-125.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების ზოგიერთი შედარებითი მაჩვენებელი. საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კვლევას ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობა, საკითხი კი ფრიად აქტუალურია. კვლევაში გამოყენებულია CAGE დისტანციის მეთოდი,

რომელიც ქართულსამეცნიეროლიტერატურაშინაკლებადააშესწავლილი. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ინტეგრაცია, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები, საქართველო, CAGE დისტანციის მეთოდი.*

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	Putkaradze R.	PERSPECTIVES OF GEORGIAN WINE EXPORT ON THE GLOBAL MARKET. INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE “ACTUAL PROBLEMS OF MARKETING OF THE XXI CENTURY”, BOOK OF ABSTRACTS. ISBN 978-985-7214-05-1	Минск: Институт бизнеса БГУ.	pp. 51-53.
2	Putkaradze R.	The EU Candidate Countries and Georgia. VI INTERNATIONAL SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE *“PECULIARITIES OF COUNTRIES' INTEGRATION INTO THE WORLD ECONOMIC, POLITIC AND LAW AREA”*	Маріуполь	pp. 40-41.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ქართული ღვინის ექსპორტის პერსპექტივები გლობალურ ბაზრებზე

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ექსპორტის გაზრდას და განსაკუთრებით ღვინის ექსპორტის. ღვინის ექსპორტის გაზრდა თავის მხრივ გაზრდის მიღებულ შემოსავლებს და ამცირებს დარგის მნიშვნელობის ამაღლებას.

აქტიური მუშაობაა საჭირო ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ–ში, ჩინეთში და სხვა ბაზრებაზე ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდის მიმართულებით.

ცნობილია, რომ ქართული ღვინო ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. დღეისათვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახლოებით 8000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. აღნიშნულ ფაქტორს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტში.

საქართველოზე მოდის მსოფლიო ღვინის ექსპორტის 0,5%. საქსტატის მონაცემებით 2017 წელს ექსპორტზე გასულმა ღვინის ღირებულებამ შადგინა 171,4 მლნ აშშ დოლარი (58400 ტონა), რაც წინა წელთან შედარებით 51%–ით მეტია. 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 113,5 მლნ აშშ დოლარი (37636 ტონა) შადგინა. (შედარებისათვის 2014 წელს ღვინის ექსპორტმა შეადგინა 180,4 ქართული ღვინის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და სხვ. რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება მიგვაჩნია ერთ–ერთ ძირითად პრობლემად და გამოწვევად .

აუცილებელია ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირება და მსოფლიოს სხვადასხვა არსებული და მზარდი ბაზრების ეფექტიანი ათვისება.

ღვინო საქართველოს N4 საექსპორტო პროდუქციაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რეექსპორტის, იგი ქვეყნის N2 საექსპორტო საქონელია ფეროშენადნობების შემდეგ. ღვინის დარგში საქმიანობს 300–ზე მეტი კომპანია, მათ შორისაა როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე საწარმო. 2017 წელს საქართველო ღვინის ექსპორტი სიდიდის მიხედვით, 171,4 მლნ აშშ დოლარი, მსოფლიოში 20-ე ადგილზეა, დაა აქვს პოტენციალი გაუსწროს მისზე წინ მყოფ ქვეყნებს: ლიტვას, ავსტრიასა და ლატვიას.

ამასთან ქართულმა ღვინის კომპანიებმა აქტიურად უნდა იმუშაონ, რომ საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები (ევროკავშირი, ჩინეთი, ეფთა, თურქეთი) ღვინის ექსპორტის გაზრდისათვის გამოიყენონ. ქართულმა ღვინის კომპანიებმა უნდა მიიღონ საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებზე აქტიური მონაწილეობა.

სასურველია ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე; სასურველია ქართული ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერთიფიცირება; საერთაშორისო ბაზრებზე განსაკუთრებით ახალ ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება; ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;

ბოლო პერიოდში შესამჩნევია ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდა და აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით. სწორი ეკონომიკური რეფორმები იძლევა იმის საშუალებას რომ გაიზარდოს სართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოში და საქართველო იყოს ერთ–ერთი აქტიური მოთამაშე ღვინის გლობალურ ბაზარზე.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ფუტკარაძე რ.	რუმინეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში (12 წელი ევროკავშირში). მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:	თბილისი, თსუ, 1-2 ნოემბერი, 2019.

		,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.	
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	Putkaradze R.	PERSPECTIVES OF GEORGIAN WINE EXPORT ON THE GLOBAL MARKET. Ministry of Education of Republic of Belarus. State educational institution INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE “ACTUAL PROBLEMS OF MARKETING OF THE XXI CENTURY”,	INSTITUTE OF BUSINESS OF BELARUSIAN STATE UNIVERSITY”. Minsk, March 21-22, 2019.
2	ფუტკარაძე რ.	ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. EUROPEAN UNION’S AND EASTERN PARTNERSHIP AND GEORGIAN ECONOMIC PERSPECTIVES. The 4rd International Conference on Actual Economic and Social Problems in Modern Globalization.	Tbilisi, European University. June 29, Tbilisi, 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლელა ჯამაგიძე	ინსტიტუტების იმპორტი საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში,ISSN 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი, 2019, #3, გვ. 199-216	თბილისი, თსუ გამომცემლობა	17 გვ.

ანოტაცია

ინსტიტუტების იმპორტი რეფორმებისთვის საჭირო დროს მნიშვნელოვნად ამცირებს. მისი განხორციელების მოტივაცია უკავშირდება მსოფლიოში უკვე დაგროვილ დადებით გამოცდილებას, ასევე ამ მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაზრდილ შესაძლებლობებს (Papachashvili & Jamagidze, 2014). საქართველოში ინსტიტუტების იმპორტის საჭიროება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში გამოწვეული იყო თავისუფალი ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობით, ან არასათანადო განვითარებით. დღესდღეობით კი ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის ერთმნიშვნელოვანი სტრატეგიული ვექტორი დაახლოების პროცესში ინსტიტუტების იმპორტის აუცილებლობას განაპირობებს. ნაშრომის მიზანია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მმართველობის გატანის (extrnal governance) თეორიაზე დაყრდნობით დავახასიათოთ საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სფეროში ინსტიტუტების იმპორტის პროცესი. ევროკავშირის საზღვრებს გარეთ გავლენის სტრატეგიები და ინსტრუმენტები მიმღები ქვეყნების სტატუსის, ინსტიტუციური სტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით განსხვავდება. მიღებული მოსაზრებით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში (ENP) ევროპეიზაციის პროცესს აფერხებს ის, რომ ინსტიტუციური სხვადასხვაობა მათსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უფრო მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში. ასევე, ამ სფეროს მკვლევართა შორის გაზიარებულია მოსაზრება, რომ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში დემოკრატიულ რეფორმებზე ევროკავშირის გავლენა ხასიათდება სისტემატური სისუსტეებით (Schimmelfennig, 2015, 20). ამასთან ერთად, მართველობის მოდელი, რომლის გადმოტანაც ხდება და თანამშრომლობის ფორმები პოლიტიკის ცალკეულ სფეროში (მაგალითად, სავაჭრო პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა და სხვა) სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ამიტომ ზემოაღნიშნული სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების მოქმედების ახსნა პოლიტიკის სფეროს დაკონკრეტებას საჭიროებს (Schimmelfennig, 2015, 23). საქართველოს შემთხვევის განხილვა, ჯერ ერთი გაამდიდრებს შედარებითი ხასიათის კვლევებს სხვა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებების

	მოქმედების მექანიზმების შესახებ და ის, ასევე, საინტერესო იქნება ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სექტორული მიმართულებით ევროკავშირის ინსტიტუტების იმპორტის თავისებურებების ანალიზისთვის.				
	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ლელა ჯამაგიძე	საოჯახო მეურნეობების ვალის მახასიათებლები ევროპის ქვეყნებში	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, გვ. 510-514	თბილისი, თსუ გამომცემლობა	5 გვერდი
	ანოტაცია საოჯახო მეურნეობების მზარდი ვალი უკანასკნელ წლებში ბევრ ქვეყანაში გახდა ყურადღების ობიექტი. სესხის აღების მიზანი ძირითადად მოხმარების შეფერხების თავიდან აცილება, უძრავი ქონების შეძენა ანდა სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ აქტივში ინვესტიციის განხორციელებაა. ეკონომიკურ თეორიაში ვალზე მოთხოვნა ძირითადად სასიცოცხლო ციკლისა და მუდმივი შემოსავლის ჰიპოთეზებს უკავშირდება. მათ მიხედვით საოჯახო მეურნეობები ზოგავენ მაღალი შემოსავლის პირობებში და დანაზოგებს ან სესხს მიმართავენ, როცა შემოსავლის დონე ეცემა. ამავდროულად, მათ ქცევასა და გადაწყვეტილებებზე ინსტიტუციური ფაქტორები (მაგალითად საპენსიო დაზოგვის სისტემის არსებობა-არარსებობა), ასევე, ტრანსფერების მიღების შესაძლებლობა და სხვადასხვა აქტივის ფლობა ახდენს გავლენას. ამდენად, კრედიტზე მოთხოვნას განსაზღვრავს როგორც მოლოდინები მომავალში მისაღებ შემოსავლებთან დაკავშირებით, ასევე, უპირატესობის მინიჭება მიმდინარ ან მომავალი მოხმარების მიმართ და ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის თავისებურებები.საოჯახო მეურნეობების ფინანსების საერთაშორისო შედარების ჭრილით შესწავლის საჭიროება, გარდა მიკროფინანსურ საკითხებსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებს შორის ურთიერთმიმართების კანონზომიერებების გამოვლენისა, შეიძლება დასაბუთდეს საოჯახო მეურნეობების აქტივებისა და ვალდებულებების, ვალის ტვირთის და სხვა ინდიკატორების შესახებ არსებული საერთაშორისო მონაცემების გაუმჯობესებით (Badarinza et al, 2016), ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში საოჯახო მეურნეობების ფინანსური ქცევის სხვადასხვაობის შესწავლისა და განსხვავებების გაზომვის საჭიროებით.ნაშრომში წარმოდგენილია საოჯახო მეურნეობების ვალის ძირითადი ინდიკატორების შედარებითი ანალიზი ევროპის ქვეყნებში. გაანალიზებულია ვალის ეკონომიკური და ზოგიერთი სოციო-კულტურული და ქცევითი მახასიათებელი. მონაცემთა ძირითად წყაროდ გამოყენებულია ქონების კვლევის ლუქსემბურგის მონაცემთა ბაზა (Luxembourg Wealth Study dataset, LWS). ვალის მახასიათებლებში ქვეყნებს შორის გამოვლენილი მსაგავსებისა და სხვადასხვაობის ასახსნელად დასახულია შემდგომი კვლევის რეკომენდაციები.				

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლელა ჯამაგიძე	სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ	II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, 13 სექტემბერი, 2019, ბათუმი, საქართველო

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მიმდინარე ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენა მსოფლიო ვაჭრობაზე და გაანალიზებულია სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც ამ ცვლილებებს პასუხობს, კერძოდ, ხაზგასმულია გლობალური ბაზრების განვითარების ზოგიერთი ისეთი საყურადღებო ტენდენცია, როგორიცაა: ციფრული ტექნოლოგიების მზარდი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, რაც ონლაინ ბაზრების განვითარებას და პერსონალურ მოთხოვნებზე მორგებული საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდას იწვევს; ღრმა ტიპის რეგიონული ინტეგრაციული შეთანხმებების მნიშვნელობის ზრდა; ახლად აღმოცენებული დიდი ბაზრების ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში (ე.წ. BRIC ქვეყნები) და მათი გავლენა სავაჭრო პოლიტიკაზე.

თეორიულ კვლევაზე დაყრდნობით და ასევე, არსებული სტატისტიკური და მეორეული ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ის ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია უპასუხოს ზემოაღნიშნულ ტენდენციებს არსებული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო პოლიტიკა, ციფრული ვაჭრობა, რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს რვა კათედრას:

1. *ფინანსებისა და საბანკო საქმე;*
2. *ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;*
3. *საერთაშორისო ბიზნესი;*
4. *მენეჯმენტი და ადმინისტრირება;*
5. *გლობალურ გარემოში მენეჯმენტის;*
6. *მარკეტინგი;*
7. *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;*
8. *ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.*

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა*
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი ირაკლი კოვზანაძე*
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი დავით ასლანიშვილი
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიებიISSN-ისმითითებით

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიისსათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულისდასა ხელებადანომე რი/ტომი	გამოცემისადგ ილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი კოვზანაძე	საქართველოსსოფლისმე ურნეობისფინანსურიუზ რუნველყოფისპოლიტიკ ათანამედროვეეტაპზე ISSN	„ეკონომიკა და ბიზნესი“, №1,	თბილისი	5
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიისსათაური, დიგიტალურისაიდენტიფიკაციოკოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულისდასახელებადანომერი/ტომი	გამოცემისადგილი,	გვერდებისრაოდენო
1	Ковзанадзе И.К.	„Международный опыт кредитования и инвестиций в сельское хозяйство: тенденции и перспективы“,	„Банковское Дело“, №6	Москва,	6
სტატიაში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში დაკრედიტებისა და ინვესტიციების საერთაშორისო გამოცდილება. განხილულია საერთაშორისო და რეგიონალური საფინანსო ინსტიტუტების, ასევე ეროვნული დონის საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობა. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში სოფლის მეურნეობის დაკრედიტების გამოცდილებას.					

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნატო კაკაშვილი ხათუნა ბარბაქაძე	ფინანსური ანგარიშსწორების წესების სრულყოფა გადაზღვევაში	თბილისი 1-2 ნოემბერი
2	ხათუნა ბარბაქაძე	The role of innovative technologies in improvement of service delivery	ავსტრაია, ვენა 25-26 მარტი
3	ხათუნა ბარბაქაძე შორენა ჭელიძე	ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ჯანდაცვაში	22-24 თებერვალი ბაქო
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გოგოხია მ.	საბანკო სექტორის რეგულირების საკითხისათვის, ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426	ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი 11, N1, 2019	თბილისი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა	გვ. 164-170
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობაზე მსჯელობა შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება ფულადი მასის სიდიდე ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებს, შეუფერხებლად ხორციელდება თუ არა ანგარიშსწორება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, არსებობს თუ არა ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი გარემო,როგორია ინფლაციის დონე და ფინანსური რესურსების ღირებულება ეკონომიკური სუბიექტებისათვის. აღნიშნულის შეფასებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენება, როგორიცაა: ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, ინფლაციისა და ეკონომიკის მონეტიზაციის მისაღები დონე, ინვესტიციების მოცულობა, საგადახდო სისტემის ხარისხი და საიმედოობა, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, სტატიაში სწორედ აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება გამახვილებული.				

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გოგოხია მ.	საქართველოს საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეთანხმების საფუძველზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში - მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი, თბილისი, საქართველო
მუდმივი ცვლილება - სრულყოფის პროცესში მყოფი ფინანსური სისტემა ახალ-ახალ გამოწ-			

ვევებს უმზადებს მარეგულირებელ ორგანოებს. ბაზელ III-ის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ უნდა უზრუნველყოს საბანკო სისტემის მდგრადობა, მიუხედავად პრობლემებისა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში, ბაზელის შეთანხმებები ახდენს წმინდა ფორმალური მიდგომების რეალიზებას, თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, თუმცა ბევრი ქვეყნის პრაქტიკასა და საერთაშორისო დონეზე გვხვდება სხვადასხვა მეთოდის, ექსპერტული მიდგომისა და ინსტრუმენტის გამოყენება. საბანკო სექტორს აქვს შთამბეჭდავი მოცულობა ქართული ეკონომიკის მასშტაბით, რაც შესაძლებლობას აძლევს მას გაუძლოს საგარეო და საშინაო ფაქტორების ნეგატიურ ცვლილებებს.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**მიხეილ ჩიკვილაძე**	2019 წლის ბიუჯეტის ფისკალური რისკები	თბილისი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიგლობალიზაციის გამოწვევებიეკონომიკასა და ბიზნესში. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 1-2 ნოემბერი,2019 www.press.tsu.ge
2	**მიხეილ ჩიკვილაძე**	ბიუჯეტი,სახელმწიფო ვალი გადასახადები	თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 21-22 ივნისი, 2019 წელი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნატო კაკაშვილი	**სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ფორმების სრულყოფისათვის** ISSN 1987 - 5789 ESSN 2587 – 5426	**ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი.** ტომი XI. №3,2019 e-mail: ebf.joirnal@tsu.ge www.eb.tsu.ge	თსუ, თსუ-ის გამომცემლობის სტამბა www.press.tsu.edu.ge	გვ.126-134
2	1.ნატო კაკაშვილი 2.ნათია კახნიაშვილი	**ეკონომიკურ-ფინანსური ტენდენციების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში** ISSN 1987 - 5789 ESSN 2587 - 5426	**ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი.** ტომი XI. №2,2019 e-mail: ebf.joirnal@tsu.ge www.eb.tsu.ge	თსუ, თსუ-ის გამომცემლობის სტამბა www.press.tsu.edu.ge	გვ.100-107

1.სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ფორმების სრულყოფისათვის

სტატიაში განხილულია გადაზღვევის არსი, გადაზღვევის ფორმები და მისი მნიშვნელობა ქართული სადაზღვევო კომპანიებისათვის.სტატიაში ახსნილია გადაზღვევის მნიშვნელობა სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობის შენარჩუნებაში, რადგანაც სადაზღვევო ინდუსტრიის ფუნქციონირება გადაზღვევის გარეშე წარმოუდგენელია. გადაზღვევა დაზღვევის დამოუკიდებელი სახეა. მისი მიზანია შესაძლო ფინანსური ზარალისაგან მზღვეველის დაცვა. სადაზღვევო დაცვის მოცულობა განისაზღვრება გადაზღვევის ხელშეკრულებით. გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია გაზარდოს თავისი სადაზღვევო პორთფელის მოცულობა, სადაზღვევო კომპანია დაცულია დიდი ზარალის გამომწვევი საფრთხეებისაგან, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია რისკის მთლიანად აღება საკუთარ თავზე და შემდგომ სხვა სადაზღვევო კომპანიების დახმარებით საკუთრივ თავის დაზღვევა. გადაზღვევის მიზანია დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელის შექმნა, ფინანსური მდგრადობისა და სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობის უზრუნველყოფა.

2. ეკონომიკურ-ფინანსურიტენდენციების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

სტატიაში განხილულია, გლობალიზაციის მიმდინარე პირობებში საქართველოში

არსებული ფინანსური ტენდენციის ზოგიერთი ასპექტი და მათი გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ბოლო პერიოდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მაინც ვერ შექმნა საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის; ეკონომიკური ზრდის შედეგებმა ქვეყანაში ვერ უზრუნველყო მოსახლეობის უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებელთა შესამჩნევი შემცირება.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნატო კაკაშვილი ხათუნა ბარბაქაძე	ფინანსური ანგარიშსწორების წესების სრულყოფა გადაზღვევაში	თბილისი 1-2 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ლევან საბაური***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ნადეჟდა კვატაშიძე _ ასოცირებული პროფესორი
ნანა სრესელი _ ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე _ ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე _ ასოცირებული პროფესორი

მერაბ ჯიქია _ ასოცირებული პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი ასისტენტ-პროფესორი

პროფესორი ლევან საბაური

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე ი.ჭილაძე ა.ხორავა ზ.გოგრიჭიანი	ფინანსური აღრიცხვა - II ISBN 978-9941-13-857-7	თსუ 2019	360 გვ.
2	მ.მაისურაძე	ფინანსური აღრიცხვა	თბილისი 2019	201 გვ.

1. სახელმძღვანელო - „ფინანსური აღრიცხვა II - შექმნილია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის „ფინანსური აღრიცხვა II“. სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის აქტუალური საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ს საბჭოს მიერ 2019 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გთვალისწინებით. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება: იჯარის იდენტიფიცირება და აღრიცხვა მოიჯარე და მეიჯარესთან; საინვესტიციო ქონების იდენტიფიცირება და აღრიცხვის წესები; გრანტების აღრიცხვის ალტერნატივები; სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება; აქტივების გაუფასურების კრიტერიუმები და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმები და შეფასება; საპენსიო პროგრამები და საპენსიო ვალდებულების შეფასება; სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების გადასახადი, მათი სხვაობის შეფასება და აღრიცხვა; სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცვლილებები; საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების იდენტიფიცირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სახელმძღვანელოს საერთო მოცულობაა 360 გვერდი, განკუთვნილია მაგისტრანტებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

სახელმძღვანელო „ფინანსური აღრიცხვა II“ მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ.

2. დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“.

იგი მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად. ნაშრომი განკუთვნილია თსუ

ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.კვატაშიძე ლ.საბაური	ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის საკითხები	თბილისი, თსუ, 2019 წ. 102 ნოემბერი
ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აინტერესებთ რამდენად არსებობს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რისკი - რამდენად სავარაუდოა საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობით ზარალის წარმოქმნა. ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სამართლიანი ინფორმაციის წარსადგენად ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებით“ მოითხოვება მათი ტესტირება გაუფასურებაზე. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით.			

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	„ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“	2019 წ 20 დეკემბრამდე თსუ ხელშეკრულება 275/09 19.03.2019.	იზოლდა ჭილაძე-პროექტის ხელმძღვანელი მარინა მაისურაძე-მონაწილე მარიამ ვარდიაშვილი-მონაწილე ლია კოზმანაშვილი-მონაწილე თამარ მოდებაძე-მონაწილე გიორგი ბერძენიშვილი-მონაწილე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ ქვეყნის მასშტაბით არის პირველი მცდელობა, რომელიც ერთი მხრივ, დაეხმარება საწარმოთა მესაკუთრეებსა და მენეჯმენტს იმის სწორად გაცნობიერებაში, რომ ფინანსური ანგარიშგების საჯაროობა, რომელიც არა მხოლოდ მის გამოქვეყნებას,			

არამედ, მის საჯარო განხილვებსაც ნიშნავს, სულაც არ არის ზედმეტი ან საშიში პროცედურები. მეორე მხრივ, პრაქტიკოს მუშაკებს: ბუღალტრებს, აუდიტორებს და მენეჯერებს დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების გამოყენება-დანერგავში და მათი პროფესიონალიზმის ამღლებაში; მესამე, უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურობას ქვეყანაში, მეოთხე, ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, აღებული ვალდებულებებისა და სოციალური პასუხიხსმგებლობების შესრულების ხარისხის ამაღლებას; დაეხმარება ბიზნესს პატრიოტული მოვალეობების გაცნობირებასა და შესრულებაში;

ბრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რეკომენდაციის სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პროექტის წარმატებულად განხორციელება იქნება სამეცნიერო დარგისა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ძლიერი ემპირიული შედეგი.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა მაისურაძე	„არაფინანსური აქტივების შეფასების და გაუფასურების ძირითადი ასპექტები“ ელექტრონული ვერსია https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/monogmaisur.pdf		76გვ.

„არაფინანსური აქტივების შეფასების და გაუფასურების ძირითადი ასპექტები“
მონოგრაფია

მონოგრაფიაში „არაფინანსური აქტივების შეფასების და გაუფასურების ძირითადი ასპექტები“განხილულია შემდეგი საკითხები: არაფინანსური აქტივების შეფასების არსი და მეთოდები;არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების ძირითადი ასპექტები:რეალური ღირებულების არსი, რეალური ღირებულების შეფასების საფუძველი ,არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება, რეალური ღირებულების იერარქია;გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება; ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება: ანაზღაურებადი ღირებულება, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იდენტიფიცირება,გუდვილის განაწილება და გაუფასურების ზარალის აღიარება, კორპორაციული აქტივები და გაუფასურების ზარალის აღიარება; გაუფასურების ზარალის კომპენსირება.

ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2019 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

მონოგრაფიაში გამოთქმულია ავტორის მოსაზრებები აქტივების რეალური ღირებულების შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

მონოგრაფია დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ სტუდენტებს, მაგისტრანტებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე ი.ჭილაძე ა.ხორავა ზ.გოგრიჭიანი	ფინანსური აღრიცხვა - II ISBN 978-9941-13-857-7	თსუ 2019	360 გვ.
2	მ.მაისურაძე	ფინანსური აღრიცხვა	თბილისი 2019	201 გვ.

3. სახელმძღვანელო - „ფინანსური აღრიცხვა II - შექმნილია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის „ფინანსური აღრიცხვა II“. სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის აქტუალური საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ს საბჭოს მიერ 2019 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გთვალისწინებით. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება: იჯარის იდენტიფიცირება და აღრიცხვა მოიჯარე და მეიჯარესთან; საინვესტიციო ქონების იდენტიფიცირება და აღრიცხვის წესები; გრანტების აღრიცხვის ალტერნატივები; სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება; აქტივების გაუფასურების კრიტერიუმები და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმები და შეფასება; საპენსიო პროგრამები და საპენსიო ვალდებულების შეფასება; სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების გადასახადი, მათი სხვაობის შეფასება და აღრიცხვა; სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცვლილებები; საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების იდენტიფიცირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სახელმძღვანელოს საერთო მოცულობაა 360 გვერდი, განკუთვნილია მაგისტრანტებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

სახელმძღვანელო „ფინანსური აღრიცხვა II“ მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ.

4. დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“.

იგი მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად. ნაშრომი განკუთვნილია თსუ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.მაისურაძე	რამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასების ზოგიერთი საკითხი ISSN 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი 2019 N1	თსუ	5
2.	მ.მაისურაძე მ.ვარდიაშვილი	ბუღალტრული ბალანსის ანალიზის აქტუალური საკითხები (სს,,თელასის“ მაგალითზე)	გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1-2 ნოემბერი 2019 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf თსუ-ის გამომცემლობა		254-259

1. *საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების რა მეთოდი გამოიყენება საწარმოში. დიდი ხნის განმავლობაში, აქტივებს შეძენის ღირებულებით აფასებდნენ. მოცემული მეთოდი სტაბილური ფასების პირობებში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, ინფლაციის ზრდამ, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა და სხვა განუსაზღვრელობებმა შეფასების განსხვავებული მეთოდების აუცილებლობა განაპირობა.*

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი პოპულარობით რეალური ღირებულების მეთოდი სარგებლობს. მოცემულ მეთოდს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 13 არეგულირებს. რომელშიც ჩამოყალიბებულია რეალური ღირებულების შეფასების საფუძვლები. შესაბამისად, სტატიაში განხილულია არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების ზოგიერთი საკვანძო საკითხი.

2.ფინანსური ანგარიშგებისადმი ახალი მოთხოვნები, რომელიც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციით, გულისხმობს საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას.

საქართველოში, საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში განხორციელებული რეფორმა,

რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფასსების მიხედვით, აგრეთვე მისი საჯაროდ გამოქვეყნება ანალიტიკოსებს მისცემს ფინანსური ანალიზის ჩატარების საშუალებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას. სტატიაში განხილულია ბალანსის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, აგრეთვე ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება პრაქტიკაში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Marina MAISURADZE	APPLICATION OF THE ENTITY ASSETS MEASUREMENT METHODS IN PREPARING THE FINANCIAL STATEMENTS ISSN: 2344-2174	**ECOFORUM** [Volume 7, Issue 3(16), 2018]	Romania	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, აქტივების შეფასების ერთიანი წესების და მეთოდების შემუშავება, საწარმოების საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის თანახმად, მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარებული და ასახული უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ მას გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება და შესაძლებელია საიმედოდ შეფასება. ეს მოთხოვნა ეხება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებსაც, რომელთა რეალური ღირებულება დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზის გამო. აქედან გამომდინარე საჭიროა საწარმომ გარკვეული პერიოდულობით მოახდინოს მის განკარგულებაში მყოფი აქტივების ხელახალი შეფასება და დაადგინოს მათი რეალური ღირებულება მოცემული მომენტისათვის. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია საწარმოთა აქტივების შეფასების საკითხები.

სტატიაში, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განხილულია თითოეული კლასის აქტივისათვის გამოყენებული შეფასების მეთოდები, რეალური ღირებულების შეფასების საკითხები და ავტორის მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ნადეჟდა კვატაშიძე _ ასოცირებული პროფესორი

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე ი.ჭილაძე ა.ხორავა ზ.გოგრიჭიანი	ფინანსური აღრიცხვა - II ISBN 978-9941-13-857-7	თსუ, 2019წ.	360
სახელმძღვანელო - „ფინანსური აღრიცხვა II - შექმნილია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის „ფინანსური აღრიცხვა II“. სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის აქტუალური საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ს საბჭოს მიერ 2019 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გთვალისწინებით. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება: იჯარის იდენტიფიცირება და აღრიცხვა მოიჯარე და მეიჯარესთან; საინვესტიციო ქონების იდენტიფიცირება და აღრიცხვის წესები; გრანტების აღრიცხვის ალტერნატივები; სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება; აქტივების გაუფასურების კრიტერიუმები და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმები და შეფასება; საპენსიო პროგრამები და საპენსიო ვალდებულების შეფასება; სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების გადასახადი, მათი სხვაობის შეფასება და აღრიცხვა; სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცვლილებები; საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების იდენტიფიცირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. სახელმძღვანელოს საერთო მოცულობაა 360 გვერდი, განკუთვნილია მაგისტრანტებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. სახელმძღვანელო „ფინანსური აღრიცხვა II“ მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ.				

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		კოდი DOI ან ISSN			
1	ნ.კვატაშიძე	Impact of Changes of the Conceptual Framework for Financial Reporting on the Indicators of the Financial Statement	World Academy of Science, Engineering and Technology, Open Science Index 153, International Journal of Economics and Management Engineering, Vol 13 (#9), pp1177 - 1180. ISNI:0000000091950263	France, Paris	4

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტნდარტების საბჭოს მიერ 2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნდა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების გადასინჯული და განახლებული ვერსია, რომელიც ძალაში შევა 2020 წელს. განახლების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ბაზრის განვითარებას მოყვება ბიზნესის წარმოების პირობების შეცვლა, ახალი ტექნოლოგიები და ახალი ეკონომიკური შინაარსის ბიზნეს-ტრანზაქციები. ასევე, ინვესტორები ითხოვენ ინფორმაციის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და შედეგებზე პასუხისმგებლობას, რათა სწორად შეფასდეს რისკები და გაკეთდეს პროგნოზები. ყოველივე ეს განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების განვითარების აუცილებლობას, რაც განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სასარგებლო ინფორმაციის წარდგენას.

ბაზრის განვითარებამ და კონცეპტუალურ საფუძვლებში პრაქტიკით აღმოჩენილი გარკვეული ნაკლოვანებები მოითხოვს მოვლენების ახლებურად გააზრებას და გადაწყვეტას. შესავსები და დასახვეწი გახდა გარკვეული საკითხები და ცნებები (ინფორმაციის გამჟღავნება და წარდგენა, ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, შეფასებები, შეფასების განუსაზღვრელობა) და გასაახლებელი გახდა ანგარიშგების გარკვეული ელემენტების აღიარების კრიტერიუმები (აქტივებისა და ვალდებულებების). ამ ყოველივემ ასახვა ჰპოვა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების განახლებულ ვერსიაში, რომელიც არის ფინანსური ანგარიშგების მომზადების ყოვლადმომცველი კონცეფციების ნაკრები.

კონცეპტუალური საფუძვლების განახლების ძირითადი მიზანია ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესება და ნათელი კონცეფციების პაკეტის შემუშავება, რომელიც დაეხმარება ფასს-ის საბჭოს ურთიერთშეთანხმებული კონცეფციების საფუძველზე ანალოგიური ტრანზაქციებისადმი ერთგვაროვან მიდგომასა და ასახვაში. შედეგად, კომპანიები შეძლებენ ისეთი ტრანზაქციებისა ან მოვლენების სააღრიცხვო პოლიტიკის თანმიმდევრულად შემუშავებას, რომელთა კონკრეტული გარიგებისათვის არ გამოიყენება სტანდარტი, ან როდესაც სტანდარტით არის სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანის შესაძლებლობები.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.კვატაშიძე ლ.საბაური	ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის საკითხები	თბილისი, თსუ, 2019 წ. 102 ნოემბერი
ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აინტერესებთ რამდენად არსებობს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რისკი - რამდენად სავარაუდოა საკონტრაქტო			

ვალდებულებების შეუსრულებლობით ზარალის წარმოქმნა. ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სამართლიანი ინფორმაციის წარსადგენად ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებით“ მოითხოვება მათი ტესტირება გაუფასურებაზე. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით.

ნანა სრესელი _ ასოცირებული პროფესორი

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნანა სრესელი**	**მომხმარებელთა ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღრიცხვის ძირითადი საკითხები** ISSN 0206 - 2828	ჟურნალი „ეკონომიკა“ ## 11-12 2019	ქ.თბილისი, 0171, მ.კოსტავას ქ. 63 ტელ. **599 56-90-78** **E-mail: economica_1918@yahoo.com**	15 გვ.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამონაგები შემოსავალთან ერთად, საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შემფასებელ მაჩვენებელს წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. ფასს 15, როგორც ამონაგების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის საკითხების მარეგულირებელი სტანდარტი, აფუძნებს პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების ეკონომიკური შინაარსის, ამონაგების აღიარების ვადებისა და მისი მიღების სანდოობაზე დაფუძნებული ინფორმაციის მომზადებას. შემოსავლის აღიარების არსებული პრინციპებიდან სტანდარტმა უგულებელყო შეუსაბამო და სუსტი მხარეები და უზრუნველყო შემოსავლის აღიარება უფრო გონივრული სტრუქტურით. სტანდარტით განსაზღვრულია ამონაგების აღიარების ხუთ ეტაპიანი მოდელი და განმარტებულია ის ძირითად ქმედებებს, რომელიც უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ, რომ მიაღწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურების გამარტივებას და ინფორმაციის ეკონომიკური შინაარსის გაუმჯობესებას. სტანდარტის რეგულაციებმა მომხმარებლები უნდა უზრუნველყოს საიმედო და სასარგებლო ინფორმაციით. ამონაგების აღიარების, შეფასების, აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საკითხების გაუმჯობესების მიზნით, IASB[1]-მ და FASB[2]-მ შეიმუშავეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

[1] ბუღალტრული აღრიცხვის **საერთაშორისო სტანდარტების საბჭო**

[2] ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო (აშშ)

სტანდარტი (ფასს) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. იგი არის ერთობლივი სტანდარტი ფასს-ის და US GAAP[3]-სთვის. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ ამონაგების აღრიცხვის ადრე მოქმედი წესი ხშირად ვერ იძლეოდა ეფექტური და დეტალურ რეკომენდაციებს იმ სფეროებში, სადაც ამას პრაქტიკა ითხოვდა. ამასთან, ამონაგების აღრიცხვის რეგულაციები აშშ-ს GAAP -სა და ფასს-ში ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, რაც ამ სისტემების დაახლოებას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა.

ამონაგების აღიარების **ახალ მოდელში ჩამოყალიბებული მიდგომები ბევრად უფრო** სრულყოფილი და უნივერსალურია ვიდრე ადრე არსებული. იდეა, რომელიც მის არსშია ჩადებული გულისხმობს ამონაგების იმ თანხით აღიარებას, რომელსაც საწარმო მიიღებს მომხმარებლისათვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი სტანდრტი შენიშვნებში დიდი მოცულობის ინფორმაციის გახსნას ითხოვს. ფასს 15-მა ჩაანაცვლა მოქმედი ორი სტანდარტი და მათი სამი ინტერპრეტაცია. კერძოდ: სტანდარტები - ამონაგები (ბასს 18) და სამშენებლო კონტრაქტები (ბასს 11) და ინტერპრეტაციები- უძრავი ქონების სამშენებლო კონტრაქტები (IFRIC 15); აქტივების მიღება მომხმარებლისგან (IFRIC 18) და შემოსავლები ბარტერული ტრანზაქციებიდან სარეკლამო მომსახურების ჩათვლით (SIC 31). სტანდარტმა განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა სხვადასხვა ინდუსტრიის ბიზნეს-სუბიექტები. მისი გავლენა ზოგი კომპანიის საქმიანობაზე მინიმალურია, ამიტომ, ეს კომპანიები ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად გააგრძელებენ შემოსავალის აღიარებას. მაგრამ, შემოსავლების აღიარების ხუთეტაპიანი მოდელი მნიშვნელოვანი გამოწვევებს სთავაზობს სატელეკომუნიკაციო სფეროს ფიქსირებული (საკაბელო) და მობილური მომსახურების სექტორებს, რადგან შემოსავლების აღიარებისათვის საჭიროა ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება ინდივიდუალურ ვალდებულებებად და გარიგების ფასის განაწილება ცალკეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე; უძრავი ქონებისა და მშენებლობის სფეროს სეგმენტებში მნიშვნელოვანია დადგინდეს, შემოსავალი უნდა აღიარდს დროთა განმავლობაში თუ დროის გარკვეული მომენტის მეთოდით, და ა.შ. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია, შემდეგი:

- საწარმომ ფასს 15 უნდა გამოიყენოს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში, გარდა საიჯარო, სადაზღვევო, ფინანსური ინსტრუმენტების კუთხით არსებული გარიგებებისა და ერთსა და იმავე დარგში დასაქმებულ საწარმოებს შორის არაფულადი გაცვლის ოპერაციებისა. აღნიშნულის გარდა, ფასს 15 მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის მეორე მხარე მომხმარებელია[4].ამასთან, ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ არ ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული მხოლოდ ინდივიდუალური ხელშეკრულების აღრიცხვის წესს, მისი გამოყენება შესაძლებელია ხელშეკრულებების პორტფელის მიმართაც. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ვარაუდი გონივრული უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ სტანდარტის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არსებითად აი იქნება განსხვავებული იმ შედეგისგან, რაც დადგებოდა სტანდარტის გამოყენების შემთხვევაში პორტფელში შემავალი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ. ფასს 15-მა მნიშვნელოვანიკორექტივები

[3] US GAAP-აშშ საყოველთაოდ აღიარებული აღრიცხვის პრინციპები

[4] მომხმარებელი არის მხარე, რომელსაც საწარმოსთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ანაზღაურების სანაცვლოდ ისეთი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგს.

შეიტანა ამონაგების აღიარების პრინციპებში და დააზუსტა, რომ: ამონაგები უნდა აღიარდეს მომხმარებლისთვის აქტივზე კონტროლი გადაცემის მომენტში და აღიარდეს იმ თანხით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ;

- ფასს **15** -ში „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“ ჩამოყალიბებული პრინციპები და პრაქტიკაში მათი გამოყენების ძირითადი ასპექტები, უზრუნველყოფს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, წარმოქმნის ვადების და განუსაზღვრელობების შესახებ ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიან წარდგენას;
- ფასს 15 განსაზღვრავს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომელსაც აღრიცხვის მიზნებისათვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს.

იზოლდა ჭილაძე _ ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	„ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“	2018 წლის 19 მარტიდან - 2019 წლის 20 დეკემბრამდე. თსუ ხელშეკრულება 275/09 19.03.2019.	იზოლდა ჭილაძე-პროექტის ხელმძღვანელი მარინა მაისურაძე-მონაწილე მარიამ ვარდიაშვილი-მონაწილე ლია კოზმანაშვილი-მონაწილე თამარ მოდებაძე-მონაწილე გიორგი ბერძენიშვილი-მონაწილე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ ქვეყნის მასშტაბით არის პირველი მცდელობა, რომელიც **ერთი მხრივ,** დაეხმარება საწარმოთა მესაკუთრეებსა და მენეჯმენტს იმის სწორად გაცნობიერებაში, რომ ფინანსური ანგარიშგების საჯაროობა, რომელიც არა მხოლოდ მის გამოქვეყნებას, არამედ, მის საჯარო განხილვებსაც ნიშნავს, სულაც არ არის ზედმეტი ან საშიში პროცედურები. **მეორე მხრივ,** პრაქტიკოს მუშაკებს: ბუღალტრებს, აუდიტორებს და მენეჯერებს დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების გამოყენება-დანერგავში და მათი პროფესიონალიზმის ამაღლებაში; **მესამე**, უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურობას ქვეყანაში, **მეოთხე,** ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, აღებული ვალდებულებებისა და სოციალური პასუხიხსმგებლობების შესრულების ხარისხის ამაღლებას; დაეხმარება ბიზნესს პატრიოტული მოვალეობების გაცნობირებასა და შესრულებაში; დასახელებული კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარდა საწარმოთა ბუღალტრული ბალანსის,		

მოგება/ზარალის ანგარიშგების, ფულადი ნაკადებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტების ანალიზი შერჩეული ათი საწარმოს მაგალითზე, რომლითაც ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა. იმავდროულად კვლევის შედეგად ერთი მხრივ, აღმოჩენილ იქნა ზოგიერთი ხარვეზი საწარმოთა მიერ წარდგენილ ანაგრიშგებაში, რაც მომავალში უნდა გასწორდეს და მეორე მხრივ, გამოვლინდა საკვლევის საწარმოების არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა და მაღალი ფინანსური რისკები, რომელთა გაგრძელება მიუღებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მალე პერსონალის მასიური გათავისუფლება დაიწყება. შრომაში შემუშავებულია არსებული საფრთხეების დაძლევის რეკომენდაციები.

სრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რეკომენდაციის სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პროექტის რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა იქნება საქართველოში სამეცნიერო დარგისა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ძლიერი ემპირიული შედეგი.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იზოლდა ჭილაძე	საწარმოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები. 2019 ISBN 978-9941-485-20-6 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leverij.pdf	თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“	118 გვ.

„საწარმოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები“
მონოგრაფია

რისკების მართვა გულსხმობს, რისკების გავლენის შეფასებას მომგებიანობასა და კაპიტალზე. რისკების შეფასების მიზანია, შესაძლებელი გახდეს მისი გაზომვა, რათა გაიზომოს მისი გავლენა საწარმოს კაპიტალზე. ამის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს რისკების შემცირება კაპიტალის გაზრდით, ჰეჯირებით და სხვა მექანიზმებით.

საწარმოებს უნდა ჰქონდეთ რისკის მართვის გეგმა, რომელიც ჩვენი აზრით, ფოკუსირებული იქნება მოცემული საწარმოს ეკონომიკური ოპერაციებისათვის დამახასიათებლ რისკებზე. კერძოდ:

რისკების მართვა გულსხმობს, რისკების გავლენის შეფასებას მომგებიანობასა და კაპიტალზე. რისკების შეფასების მიზანია, შესაძლებელი გახდეს მისი გაზომვა, რათა გაიზომოს მისი გავლენა საწარმოს კაპიტალზე. ამის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს რისკების შემცირება კაპიტალის გაზრდით, ჰეჯირებით და სხვა მექანიზმებით.

საწარმოებს უნდა ჰქონდეთ რისკის მართვის გეგმა, რომელიც ჩვენი აზრით, ფოკუსირებული იქნება მოცემული საწარმოს ეკონომიკური ოპერაციებისათვის დამახასიათებლ რისკებზე. კერძოდ:

- ყოველთვიურად უნდა მოწმდებოდეს ცალკეული სახის პროდუქციის (საქმიანობის) მომგებიანობა.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონცენტრაციის შედეგად მოსალოდნელი რისკები.

- რესურსების ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის მიზნებისათვის, რისკების შეფასებისას საწარმოთა მნეჯმენტი უნდა თანამშრომლობდეს გარე აუდიტორებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან, სამინისტროებთან, ანალიტიკოსებთან და სამეცნიერო წრეებთან. მიღწეულ უნდა იქნეს ბიზნესისა და მეცნიერების პარტნიორული თანამშრომლობა. ეს უკანა- სკნელი ხელს შეუწყობს ერთი მხრივ ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკური სამეცნიერო აზრის განვითარებას, მეორე მხრივ.
- გაანალიზებულ და შეიმუშავებულ იქნეს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები იმ არსებითი საფრთხეების მიმართ, რომლმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საწარმოს კონკრეტული მიზნების მიღწევაში.

რისკის მართვის მენეჯერებს უნდა ესმოდეთ საწარმოს ცალკეული საქმიანობის და პროდუქციისათვის დამახასიათებლი რისკი; უნდა იცოდნენ შესაბამისი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამა თუ იმ სახის პროდუქციის საბაზრო მოთხოვნაზე და ამ ფაქტორების შეცვლით მოსალოდნელი დანაკარგები.

- საწარმოთა მენჯმენტს შეუძლია გამოიყენოს მონოგრაფიაში წარმოდგენილი საოპერაციო და ფინანსური ლევერიჯის მრავალფაქტორული მოდელების ანალიზის შედეგები რისკების მოქმედების შერბილების კონჯრეტული ღონისძიბების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით.

ამრიგად, მონოგრაფიაში გადმოცემული საკითხები დაეხამრება საწამოთა მენჯმენტს დაამუშაონ რისკების ეფექტური მართვის ჩარჩო პროგრამა და ოპერატიულად მართონ საოპერაციო და ფინანსური რისკები.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე ი.ჭილაძე ა.ხორავა ზ.გოგრიჭიანი **იზოლდა ჭილაძე**	ფინანსური აღრიცხვა - II ISBN 978-9941-13-857-7 ფინანსური აღრიცხვა	თსუ 2019 თბილისი 2019	360 გვ. 201 გვ.

5. სახელმძღვანელო - „ფინანსური აღრიცხვა II - შექმნილია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის „ფინანსური აღრიცხვა II“. სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის აქტუალური საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ს საბჭოს მიერ 2019 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გთვალისწინებით. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხების აღრიცხვა-ანგარიშგება: იჯარის იდენტიფიცირება და აღრიცხვა მოიჯარე და მეიჯარესთან; საინვესტიციო ქონების იდენტიფიცირება და აღრიცხვის წესები; გრანტების აღრიცხვის

ალტერნატივები; სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება; აქტივების გაუფასურების კრიტერიუმები და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმები და შეფასება; საპენსიო პროგრამები და საპენსიო ვალდებულების შეფასება; სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების გადასახადი, მათი სხვაობის შეფასება და აღრიცხვა; სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცვლილებები; საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების იდენტიფიცირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სახელმძღვანელოს საერთო მოცულობაა 360 გვერდი, განკუთვნილია მაგისტრანტებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

სახელმძღვანელო „ფინანსური აღრიცხვა II“ მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი.ჭილაძე	ნორმატიული საწარმოო ზედნადები ხარჯების აღრიცხვის სრულყოფისათვის. ISSN 1512-0775	ჟურნალი: ბუღალტრული აღრიცხვა. N9,	თბილის, ბაფ. 2019	გვ: 32-39
2.	ი. ჭილაძე	სახელმწიფო გრანტების აქტუალობა და აღრიცხვის თავისებურებები. სტატია. ISSN 1987-5789	საერთაშორისო კონფერე- ნცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედ-როვე პრობლემები“. 21-22 ივნისი, 2019). სტატიების კრებული, გვ: 340-350 http://pgie.tsu.ge/contentimage/konferencniebi/conf.kreb.2019.pdf	თბილისი. 2019	გვ: 340-350
3.	ი.ჭილაძე	ბიზნესის სტაბილურობა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა	საკონფერენციო მასალები: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი, 2019. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf	თბ. 2019	გვ: 479-484

4.	ი.ჭილაძე ლ.კოზმა - ნაშვილი	საწარმოთა ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის აქტუალური საკითხები.	თსუ-ს გამომცემლობა „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი, 2019. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf თსუ-ს გამომცემლობა	თბ. 2019	გვ: 473-478

1. „ნორმატიული საწარმოო ზედნადები ხარჯების აღრიცხვის სრულყოფისათვის“

წინამდებარე სტატიაში კვლევის მიზანია ნორმატიული მუდმივი და ცვალებადი საწარმოო ზედნადები ხარჯების აღრიცხვის არსებული მეთოდიკის ანლიზური განსჯის საფუძველზე, აღრიცხვის მოქმედი მეთოდიკის სრულყოფა.

კვლევის საგანია საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომელთა წილი პროდუქციის თვითღირებულებაში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით, სულ უფრო იზრდება. მართალია პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია და დანახარჯების შიდა ანგარიშგება არ რეგულირდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, მაგრამ ის აუცილებელი მიმართულებაა საწარმოთა შიგნით ყველა სახის დანახარჯის მოწესრიგებული აღრიცხვისა და კონტროლისათვის, რის გარეშეც საწარმოთა დადებითი ფინანსური შედეგების მიღწევა სერიოზული საფრთხის ქვეშ დგება.

ნაშრომში, როგორც პროდუქციის წარმოების დანახარჯების ოპტიმალური დონის მიღწევის ყველაზე მოქნილი ხერხი, განხილულია პროდუქციის თვითღირებულების ნორმატიული კალკულაციის ტექნიკა და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ნორმატიული ცვალებადი და მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების საერთო გადახრებზე მოქმედი ხარისხობრივი ფაქტორების გავლენა პროდუქციის წარმოების ხარჯების აღმრიცხველ ანგარიშზე არ აღირიცხოს;
- ნორმატიული ცვალებადი და ასევე, მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების საერთო გადახრებზე მოქმედი ყველა ფაქტორის გავლენა, მათი „საერთო გადახრის“ აღრიცხვის ანგარიშებიდან, მოგება/ზარალის აღმრიცხველ ანგარიშზე იქნეს გადატანილი;

2. „სახელმწიფო გრანტების აქტუალობა და აღრიცხვის თავისებურებები“

სტატიის მიზანია სახელმწიფო გრანტების აქტუალობის და იურიდიული პირის მიერ შეძენილი გრანტების აღრიცხვის თავისებურებების განხილვა.

სახელმწიფო საგრანტო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა, ინოვაციების პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მათი დანერგვა, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა, გარემოს გაჯანსაღების პროექტების განხორციელება. ყოველივე აქედან გამომდინარე, აქტუალურია სახელმწიფო გრანტების აღიარების და აღრიცხვის საკითხებიც. ამასთან, მნიშვნელოვანია გრანტების ეფექტის შეფასება.

შრომაში გაკეთებულია დასკვნები გრანტების აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების სრულად დანერგვისა და გრანტების შესრულების ეფექტის მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. აგრეთვე, მთავრობამ უფრო მეტად უნდა წაახალისოს ფიზიკური და იურიდიული პირების ინოვაციები; საწარმოებმა ფინანსურ ანგარიშგებაში აჩვენონ ინფორმაცია მიღებული სახელმწიფო გრანტისა და

In modern conditions, it is very important to know the economies of other countries with which each national economy interacts. The economy of any country is getting deeper into the international division of labor, becoming an active agent of international economic relations, expanding economic ties whith an increasing number of states. It is important to know the economic potencial of foreign partner countries, the sectoral structure of their economy, the type of their development, the peculiarities of economy traditions, the conditionc for doing business, the economic policy of government,and enterpreneurial culture, in order to choose the right economy behavior strategy towards them.				

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე კობალავა	PUBLIC RELATIONS IN MODERN SPACE 1987-6858	ივერონი N11	თბილისი უნივერსალი	178
2	მარინე კობალავა	ინტერესთა კონფლიქტების მართვა პიარში 1987-6858	ივერონი N10	თბილისი უნივერსალი	78

1. Public Relations has undergone some major transitions. In fact, you could go so far as to say that today's PR does not look much at all like the PR of yesterday. It is hard, even impossible to imagine that the rise of new media and era of information explosion do not affect PR and its tactics today. The article presents some items about the modern approaches in PR of the multicultural world.

2. კრიზისული სიტუაცია შეიძლება აღვიქვათ ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე განსაკუთრებული შემთხვევა, მოცემულ სიტუაციაზე ზემოქმედების მართვის ტექნოლოგიების და პროცედურების შესაბამისი გაფართოებით. ასეთი გაფართოებული გაგების საფუძველია კონფლიქტის ცნების თანამედროვე ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით კონფლიქტი განისაზღვრება, როგორც სოციალური ურთიერთობების დინამიური სახეობა, რომელიც წარმოიშვება სუბიექტების შესაძლო ან არსებული შეჯახებებიდან ამა თუ იმ განსხვავებულად შეგნებულ პრიორიტეტების, ინტერესების ან ღირებულებების ნიადაგზე; კრიზისი - როგორც ურთიერთობების სახეობა, მუდმივად არსებობს და აღმოფხვრას არ ექვემდებარება.

ეს განმარტება შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან მითითებებს: პირველი, განმარტება გვთავაზობს ყურადღებაში გვქონდეს არა მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების ზოგიერთი ასაფეთქებადი სფეროები, არამედ ადამიანების მთელი ურთიერთდამოკიდებული კომპლექსები და მათ მომსახურებაში მყოფი ობიექტები; მეორე, გარეგნულად არაკონფლიქტურ პირობებში გვაიძულებს ვიფიქროთ შესაძლებელია თუ არა მხარეებს შორის დაძაბულობა და კონფლიქტი მომავალში, სავარაუდოდ რა გახდება მათი მიზეზი, როგორ გავანეიტრალოთ, როგორ ვიმოქმედოთ თუ განეიტრალება ვერ შევძელით; და ბოლოს მესამე, გვაგებინებს, რომ კრიზისები და კონფლიქტები პრინციპში, როგორც ცნებები

და პროცესები, გარდაუვალია და, შესაბამისად, მთავარია არა იმდენად მათი აღმოფხვრა ან თავიდან აცილება, არამედ მათი მართვა.

ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	პროექტის დასახელება: „უნივერსიტეტის იმიჯის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობაზე (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)“ მეცნიერების დარგი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამეცნიერო მიმართულება - მარკეტინგი	2019 წლის მარტი-2019 წლის დეკემბერი	• პროფ. ნ.თოდუა - ხელმძღვანელი • ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - მკვლევარი • ასოც. პროფ. ბ. მღებრიშვილი - მკვლევარი • ასისტენტ პროფესორი ეკატერინე უროტაძე - მკვლევარი • ასისტენტ პროფესორი რ.სეთურიძე - მკვლევარი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად, როგორიცაა: საძიებო კვლევა და აღწერითი კვლევა. პირველ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე გამოიკითხა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სწავლების სამივე საფეხურის 910 სტუდენტი. კვლევის სანდოობის დონე არის 95%, ხოლო შერჩევის შეცდომა 3%. კვლევაში გამოყენებულია სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც პერსონალური და ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდებს დაეფუძნა. კვლევის შედეგად დადგინდა უნივერსიტეტის იმიჯსა და სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობას შორის კავშირი, აგრეთვე ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ამ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა საქართველოს საგანმანათლებლო გარემოსთან		

მორგებული კმაყოფილებისა და ლოიალურობის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმიჯის გაძლიერებას და მისი უპირატესობის წარმოჩენას, აგრეთვე უნივერსიტეტში სტუდენტთა მოლოდინის მართვას და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

ასისტენტ პროფესორი ეკატერინე უროტაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	პროექტის დასახელება: „უნივერსიტეტის იმიჯის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობაზე (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)“ მეცნიერების დარგი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამეცნიერო მიმართულება - მარკეტინგი	2019 წლის მარტი-2019 წლის დეკემბერი	• პროფ. ნ.თოდუა - ხელმძღვანელი • ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - მკვლევარი • ასოც. პროფ. ბ. მღებრიშვილი - მკვლევარი • ასისტენტ პროფესორი ეკატერინე უროტაძე - მკვლევარი • ასისტენტ პროფესორი რ.სეთურიძე - მკვლევარი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად, როგორიცაა: საძიებო კვლევა და აღწერითი კვლევა. პირველ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე გამოიკითხა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სწავლების სამივე საფეხურის 910 სტუდენტი. კვლევის სანდოობის დონე არის 95%, ხოლო შერჩევის შეცდომა 3%. კვლევაში გამოყენებულია სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც პერსონალური და ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდებს დაეფუძნა. კვლევის შედეგად დადგინდა უნივერსიტეტის იმიჯსა და სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობას შორის კავშირი, აგრეთვე ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ამ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა საქართველოს საგანმანათლებლო გარემოსთან მორგებული კმაყოფილებისა და ლოიალურობის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმიჯის გაძლიერებას და მისი უპირატესობის		

წარმოჩენას, აგრეთვე უნივერსიტეტში სტუდენტთა მოლოდინის მართვას და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. უროტაძე	სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე	1-2 ნოემბერი, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თსუ
2	ჩ. ჯაში, ე.უროტაძე	Social Media Marketing Drivers of Customer Purchase Intention Case in Georgia	11 ოქტომბერი, აბრეშუმის გზის მე-14 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „გლობალიზაცია: ტენდენციები და პერსპექტივები“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	C Jashi, E. Urotadze	Facilitation of customer behavior through social media marketing	17-19 აპრილი, საერთოუკრაინული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მარკეტინგი: გამოწვევები და გადაწყვეტილებები“, ოდესის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი, ოდესა (უკრაინა)

2	E. Urotadze	Significance of social media marketing in the Georgian tourism industry	14-16 ოქტომბერი, მეცნიერებისა და კვლევების ევროპული აკადემის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია, ბონი (გერმანია)
3	E. Urotadze	Impact of social media on buying decision of tourism service consumers	20-22 ნოემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის სტრატეგია: ფუტუროლოგიური გამოწვევები“ კიევის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი, კიევი (უკრაინა)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	EKATERINE MAGLAKELIDZE, EKA GEGESHIDZE, MAIA VESHAGURI, NATIA KAMUSHADZE	***EMPOWERING RESIDENTIAL CUSTOMERS TO BENEFIT FROM NET METERING IN THE POWER MARKET OF GEORGIA*** **DOI:** 10.20472/IAC.2019.050.023	**Proceedings of the 50th International Academic Conference** https://www.iises.net/proceedings/iises-international-academic-conference-paris/table-of-content/detail?article=empowering-residential-customers-to-benefit-from-net-metering-in-the-power-market-of-georgia--12082	**Paris, France**	21
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ჩვენ ვაგრძელებთ გამოკვლევების სერიას საპასუხო მოთხოვნის პროგრამებიდან მიღებულ					

სარგებელზე და, ამჯერად, შევჩერდებით ნეტო-აღრიხცვაზე, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტზე, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს არაეკონომიკური ინვესტიციები ძვირადღირებული ელ. ენერგიის გამომუშავებაზე და, შესაბამისად, დაგვეხმაროს მივაღწიოთ ენერგოეფექტიანობის მიზნებს. ნაშრომში განხილულია ნეტო-აღრიცხვაში მონაწილე სამი მომხმარებლის ქეისი.

ჩვენს კვლევას ორი მიზანი აქვს: პირველი, იმის დემონსტრირება, რომ ელ. ენერგიის საცალო მომხმარებლებს ყოველწლიურად შეუძლიათ დაზოგონ ფული კომუნალურ გადასახადებზე მზის პანელების გამოყენებით ზედმეტი ელ. ენერგიის გამომუშავების გზით და ჭარბად გამომუშავებული ელ. ენერგიის ქსელში მიწოდებით, თუ ისინი ჩართული იქნებიან ნეტო-აღრიცხვის პროგრამაში; მეორე, იმის ჩვენება, რომ მოქნილი მოთხოვნა ყველაზე პერსპექტიული და ინტუიტიურად მოქმედი ახალი სფეროა, რომელიც განახლებადი რესურსების გამოყენებას უწყობს ხელს. საქართველოსათვის, მზის ენერგია ხშირად არის გადაწყვეტილება გეოგრაფიულად მოშორებული თემის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ელ. ენერგიაში. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ნეტო-აღრიცხვა არის ტვირთი იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც მზის ენერგიას არ იყენებენ, ჩატარებულმა მოგება-ზარალის ანალიზმა, სწორედ რომ, საწინააღმდეგო აჩვენა.

კვლევის მიზნების მისაღწევად განხილულია სამი შემთხვევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა ელ. ენერგიის საცალო მომხმარებელმა, რომლებიც ნეტ-აღრიცხვაში არიან ჩართული და ჭარბად გამომუშავებულ ენერგიას აწვდიან სადისტრიბუციო კომპანია სს „თელასს“, რომელიც აერთიანებს 358,14კვტ მზის ენერგიას თავის სასერვისო ტერიტორიაზე და, რომელზეც ნეტო-აღრიცხვით გამომუშავებული მზის ენერგიის 49% (739,75კვტ) მოდის. მოგება-ზარალის ანალიზის გასაკეთებლად, ჩვენ გამოვითხოვეთ მონაცემები ცვალებად დენში, რათა თვალი გვედევნებინა ამ სამი აბონენტის მიერ ქსელში ფაქტიურად მიწოდებული მზის ენერგიის მოცულობისათვის 2018 წლის 31 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე. ანალიზის გაკეთების მიზნით, მოპოვებული იქნა დამატებითი ინფორმაცია სემეკიდან და კომპანია შპს „ელექტრონის“ კერძო მონაცემთა ბაზებიდან.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი საკვლევი ჰიპოთეზა: „ელექტროენერგიის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი ნეტო-აღრიცხვის საცალო ტარიფიდან, თუ გადაწყვეტენ მონაწილეობა მიიღონ ამ საპასუხო მოთხოვნის პროგრამაში, თუმცა სარგებელი საკმარისად დიდი არ არის ნეტო - აღრიცხვის საკომპენსაციო სტრუქტურისა და ბაზარზე შესვლის ბარიერების გამო“.

ჩატარებულმა მოგება-ზარალის ანალიზმა აჩვენა, რომ ნეტო-აღრიცხვას შეუძლია ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებს დაუზოგოს ასობით დოლარი კომუნალურ გადასახადებზე ყოველწლიურად. ამდენად, ნეტო-აღრიცხვაში ჩართვა ფულის დაზოგვის მიზნით კარგი არჩევანია. კვლევის ფარგლებში, ასევე, დადასტურდა კვლევის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზაც.

საკვანძო სიტყვები: ელ. ენერგიის საცალო მომხმარებლების საპასუხო მოთხოვნა, ნეტო-აღრიცხვა, განაწილებადი ენერგორესურსები, საპასუხო მოთხოვნა, ენერგოეფექტიანობა.

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მაია სეთური**	გაყიდვების პერსონალის როლი მომხმარებლებთან ურთიერთობების განვითარებაში THE ROLE OF SALES PERSONNEL IN DEVELOPING RELATIONSHIPS WITH CUSTOMERS, ISSN 1314-7242	Economy & Business, Journal of International Scientific Publications. ტომი 13	ბულგარეთი https://www.scientific-publications.net/en/article/1001931/	გვ. 289-294
2	**მაია სეთური,** თამარი თოდუა	ბრენდინგის როლი ქართული ჩაის ბაზარზე წარმატებისთვის The Role of Branding for Success in the Georgian Tea Market ISNI:0000000091950263 DOI: 10.5281/zenodo.3455675	International Journal of Economics and Management Engineering, ტ.13(8)	მეცნიერების, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია World Academy of Science, Engineering and Technology	გვ.1127 -1130

1.გაყიდვების პერსონალის როლი მომხმარებლებთან ურთიერთობების განვითარებაში

ნაშრომში ავტორი შეისწავლის გაყიდვების პერსონალის როლს, რომელიც ხელს უწყობს კომპანიას განავითაროს ურთიერთობები მომხმარებლებთან. კვლევის პროცესში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნა სხვადასხვა შეხედულებების შესწავლაზე გაყიდვების პერსონალის როლის შესახებ, პირადი კომუნიკაციის დიდ მნიშვნელობაზე. გამყიდველი უნდა დაეხმაროს და დაარწმუნოს პოტენციური მომხმარებლები შეიძინონ პროდუქტი (მომსახურება). სავაჭრო პერსონალი პრაქტიკულად ეხმარება მომხმარებლებს სწორი არჩევანის

გაკეთებაში. დღესდღეობით მომხმარებელთა დამოკიდებულება გაყიდვის მეთოდებისა და სავაჭრო პერსონალის მიმართ მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია. მნიშვნელოვანი გახდა ურთიერთობების მარკეტინგის ძირითადი ასპექტების შესწავლა. ურთიერთობა მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებელთა ლოიალობის შექმნას. ურთიერთობის მარკეტინგი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ კომპანიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მისთვის მნიშვნელოვან მყიდველებს. ნაშრომის მეთოდოლოგია ემყარება მარკეტინგული კვლევის მეთოდებს. მოცემული სტატიის ბოლო ნაწილში წარმოადგენილია კვლევის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები.

2.ბრენდინგის როლი ქართული ჩაის ბაზარზე წარმატებისთვის

საქართველოში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა და მათი წარმატებით გაყიდვა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ხოლო თანამედროვე კონკურენტული ბაზრის პირობებში პროდუქტის წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპანიების მიერ ბრენდინგის საკითხების ცოდნასთან და მათ ეფექტიან გამოყენებასთან. ბრენდი არის მომხმარებლისთვის ინფორმაციის წყარო, რომელიც ეხმარება მათ გაიმარტივონ საქონლის ყიდვის პროცესი და შეამცირონ რისკები. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში საქართველო ჩაის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი იყო. ამ ქვეყნის დაშლის შემდეგ საქართველოს ჩაის სექტორი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ამ დარგის აღორძინება მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს საქართველოს. კვლევის ძირითადი მიზანია მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა ქართული ჩაის ბრენდების მიმართ. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება მარკეტინგული კვლევის პრინციპებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მომხმარებლების უმეტესი ნაწილი უპირატესობას ანიჭებენ ჩაის უცხოურ ბრენდებს. მათი აზრით ჩაის უცხოური ბრენდები გამოირჩევიან უფრო მაღალი ხარისხით, უფრო სასიამოვნო დასალევია და ა.შ. მომხმარებელთა ეს შეხედულებები სერიოზული პრობლემაა ქართული ჩაის ბრენდებისათვის. ავტორის მიერ სტატიის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ქართული ჩაის მწარმოებლებს ბაზარზე წარმატების მოპოვებაში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მაია სეთური**	ტურისტების კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორები: საქართველოს ქეისი Factors Determining the Tourists' Satisfaction:Georgian Case Proceedings of The 14th IAC 2019 ISBN 978-80-88085-23-2	მე-14 საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია. EASTER CONFERENCE - The 14th International Academic Conference (The 14th IAC 2019). 19-21 აპრილი, 2019. პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა

2	მაია სეთური	https://books.google.ge/books?id=vu2SDwAAQBAJ&printsec=frontcover&hl=ru#v=onepage&q&f=false გვ. 95-104 ზოგიერთი მოსაზრება ქართული ჩაის ბრენდების პერსპექტივების შესახებ SOME VIEWS ABOUT THE PROSPECTS OF GEORGIAN TEA BRANDS ISBN 978–966–926–310–0 https://www.bsfucon.org/ გვ.387-393	საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერნეტ კონფერენცია. International Scientific and Practical Internet Conference. BUSINESS STRATEGY: FUTUROLOGICAL CHALLENGES. “Kyiv National Economic University named after Vadym Hetman”. ვადიმ ჰეტმანის სახელობის კიევის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი. 20-22 ნოემბერი, 2019. კიევი, უკრაინა
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი ეთერ სარჯველაძე

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეთერ სარჯველაძე	სურსათის უვნებლობის მოთხოვნები საერთაშორისო ბაზარზე და ქართული პროდუქციის შესაბამისობა	თარიღი: 1-3 აპრილი, 2019 (3 აპრილი) თბილისი, საქართველო – ქორთიარდ მარიოტი თბილისი (Courtyard Marriott Tbilisi) ორგანიზატორები(MEPA USDA, ექსპერტები საქართველოდან, აშშ-დან და ბულგარეთიდან.
2.	ეთერ სარჯველაძე	გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები“,	1-5 აპრილი, 2019, თბილისი, (5 აპრილი) საქართველო, თსუ. მე-2 საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია ,,გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

I 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,
I. ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა***
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი დემურ სიჭინავა***
I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა
ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი
ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე
ასისტენტ პროფესორი თინა მელქოშვილი

პროფესორი დემურ სიჭინავა

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Demur Sichinava**	Criptocurency – A Future Medium of Exchenge	Economic and Business Volume XI #1, 2019	Georgia, Tbilisi TSU	12
2	**დემურ სიჭინავა**	კრიპტოვალუტა - მომავლის საგადამხდელო საშუალება ISSN1987-5789 ESSN 2587-5426	ეკონომიკა და ბიზნესი ტომი XI #1, 2019	საქართველო, თბილისი, თსუ	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ელექტრონული ფულის ნაირსახეობის - კრიპტოვალუტის არსი, აღმოცენების ისტორია, აუცილებლობა, მიზეზები და გამოყენების არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შექმნილი ინფორმაციის დაცვის, შენახვის და ტრანზაქციის დაჩქარების პერსპექტიული ბლოკჩეინტექნოლოგია, რომელიც შექმნილია მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, მოცემულია ავტორის მოსაზრებები პერსპექტივაში კრიპტოვალუტის შესაძლო საგადამხდელო საშუალებად აღიარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის (ბიტკოინის მოპოვებისა და გამომუშავების მეთოდებისა და საშუალებების, კრიპტოვალუტის გადამცვლელი ცენტრების, ბანკომატების, ბირჟებისა და სხვ.), მსოფლიოში კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების მდგომარეობის, აღნიშნული სფეროს ექსპერტებისა და ცნობილი პიროვნებების შეხედულებების შესახებ და გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Demur Sichinava**	Criptocurency and Prospects of its Development ISSN 2344 – 2174	Ecoforum Journal, Vol 8, No 2, 2019	www.ecoforumjournal.ro	9
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში განხილულია ელექტრონული ფულის თანამედროვე ნაირსახეობის - კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინტექნოლოგიის არსი და თავისებურებანი, ელექტრონული საფულე და მისი მახასიათებლები, კრიპტოვალუტის სახეობათა, განსაკუთრებით, ბიტკოინის განვითარების დინამიკა, კრიპტოვალუტის მოპოვებისა და გამომუშავების მეთოდები, საქართველოში კრიპტოვალუტის მოპოვებისა და ინვესტირების, ასევე საკუთარი კრიპტოვალუტის გამოშვების პირობები, კრიპტოვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორები, კრიპტოვალუტის მიმოქცევის რეგულირების მდგომარეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, კრიპტოვალუტის მომავლის შესახებ ცნობილ მკვლევართა მოსაზრებები და გაკეთებულია ავტორისეული დასკვნები.				

ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. მუნჯიშვილი	საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-	თბილისი უნივერსიტეტი http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Tea%20-%20Munjishvili.pdf	

		მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მონოგრაფიაში გაანალიზებულია საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზირების მოდელები; დასაბუთებულია სიმულაციურ რეჟიმში შერჩეული საწარმოსთვის ფინანსური მდგრადობისა და პროგნოზირების კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავებისა და სიმულაციით მიღებული მრავალი ვარიანტიდან ლოგიკურ-ალბათური მოდელირებით ოპტიმალური ვარიანტის ამორჩევის შესაძლებლობა. ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტი საშუალებას იძლევა სიმულაციურ რეჟიმში შემუშავდეს კონკრეტული მოდელის მრავალი ვარიანტი და ლოგიკურ-ალბათური მეთოდით ამოირჩეს ოპტიმალური ვარიანტი. მონოგრაფიაში ასევე აღწერილია სიმულატორების გამოყენების ტექნიკა და ტექნოლოგია სწავლებისა და კვლევის პროცესში.				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.მუნჯიშვილი	ბიზნეს – Excel ნაწილი I	თბილისი უნივერსიტეტი http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Munjishvili_%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%201.pdf	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში განხილულია Excel-ის გარემოშ ი გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდელირების ტექნიკა და ტექნოლოგია ერთი, ორი და მრავალი ცვლადით, ოპტიმიზაციის ამოცანების ამოხსნა. Excel-შ ი არსებული ფინანსური ფუნქციებით ეკონომიკური გაანგარიშ ებების შესრულება, კერძოდ: ამორტიზაციის, კომერციული საქმიანობის, ინვესტირების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ამსახველი მაჩვენებლების გამოთვლა და ანალიზი. ნაშრომში მოცემულია არატიპური დიაგრამების აგების ტექნოლოგია და გამოყენება, Office-ს გარემოშ ი არსებული დაპროგრამების ენის VBA-ს საშ უალებით ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული ამოცანების პროგრამული რეალიზაცია, ავტორის მიერ შემუშავებული კომპიუტერული სიმულატორით ამორტიზაციის გაანგარიშებისა და კომერციული საქმიანობის ამსახველი პროცესების მოდელირება სიმულაციის მეთოდით. ნებისმიერი ამოცანის, ფუნქციის, პროგრამის გამოყენება ილუსტრირებულია			

მაგალითებით, პროგრამის ტექსტებით. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ პროფესიულ საქმიანობაში განვახორციელოთ კომერციული პროექტების ეფექტურობის შეფასება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გაანგარიშებები, ანალიზი და სხვა. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Tea Munjishvili, Giorgi Gaganidze	Development of the specific gravitational model describing foreign trade between two countries with simulation method	Strategies, Models and Technologies of Economic Systems Management (SMTESM 2019)	Atlantis Press	

ვრცელი ანოტაცია

The Course of joining the European Union was declared by three other States (Georgia, Moldova, Ukraine) only in 2014 when they signed the Association Agreement. These Agreements turned out to be quite challenging for the States as they impose huge obligations: in the field of Foreign Trade among others. These are the topics of major interest for the present article, in which we use the techniques of comparative analysis. The Analysis is focused on several aspects of foreign trade, such as export geography, major exporting products, changes in foreign trade, based on the assumption that Association Agreement would positively influence export potential and scales of export on the EU market Analyze and dynamic formation of the change impact of export/import with the specific countries, on GDP of Georgia, is carried out by the computer programs, after development of specific gravitational model.

სტატიაში ანალიზი ფოკუსირებულია საგარეო ვაჭრობის რამდენიმე ასპექტზე, მაგალითად, ექსპორტის გეოგრაფიაზე, მსხვილ საექსპორტო პროდუქტებზე, საგარეო ვაჭრობაში განხორციელებულ ცვლილებებზე, იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ ასოცირების ხელშეკრულება დადებითად იმოქმედებს საექსპორტო პოტენციალზე და ექსპორტის მასშტაბებზე ევროკავშირის ბაზარზე ანალიზისა და დინამიური ფორმირების შესახებ. ექსპორტის / იმპორტის ცვლილების გავლენა კონკრეტულ ქვეყნებთან, საქართველოს მშპ-ზე, ხორციელდება კომპიუტერული პროგრამებით, სპეციალური გრავიტაციული მოდელის შემუშავების შემდეგ.

ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Rusudan Seturidze**	University-Business cooperation - One of the way for IT innovative development of HEIs უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში IT-ის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი გზა. ISBN 9788890824272	BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era 6th Business Systems Laboratory International Symposium UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA- January 21-23, 2019 BOOK OF ABSTRACTS საზღვრები საზღვრების გარეშე: სისტემური ჩარჩო და მისი გამოყენება მდგრადი კეთილდღეობისთვის გლობალურ ეპოქაში, იანვარი 21-23, 2019 პავია, იტალია	Italy, Pavia, Business Systems Book Series B.S.LAB	3

სტატიაში მოცემულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში IT-ს ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი გზა - უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა. ამ მიმართულებით მიმოხილულია მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში (თუ გავითვალისწინებთ ქართული საზოგადოების მიერ გაცხადებულ ევროკავშირთან დაახლოების მზადყოფნას უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების თვალსაზრისით და აგრეთვე იმ ქმედებებს, რაც საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი განათლების სფეროში ახორციელებს ევროკავშირის საკანონმდებლო მოდელთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად) უნივერსიტეტსა და ბიზნეს შორის თანამშრომლობის ძირითადი ტენდენციები და პრიორიტეტები. მოცემულია სიტუაციური ანალიზი საქართველოში უმაღლეს განათლებისა და სამუშაო ძალის შესახებ. გაანალიზებულია უმაღლესი განათლების ეფექტიანობის საზომები და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. შემუშავებულია ეკონომეტრიკული მოდელები. სტატიაში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში IT-ს ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის შესახებ უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რუსუდან სეთურიძე	უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში IT-ის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი გზა	იანვარი 21-23, 2019 პავია, იტალია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი თინა მელქოშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თინა მელქოშვილი	ციფრული ეკონომიკის განვითარება საქართველოში	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, N4	სტუ, 2019 წ.	4
სტატიაში წარმოდგენილია მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. სტატიაში წარმოდგენილია, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები ციფრული ეკონომიკის განვითარებაზე და როგორ პასუხობს ციფრული ეკონომიკა მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს; საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოში გადადგმული ნაბიჯები ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. ციფრული ეკონომიკის განვითარება - საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. სტატიაში წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები ამ მიმართულებით.					

სამეცნიერო კვლევითი ერთეულების
2019 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეულები:

1. *ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;*
2. *ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;*
3. *ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;*
4. *ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;*
5. *მარკეტინგული კვლევის ცენტრი;*
6. *მიგრაციის კვლევის ცენტრი;*
7. *მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;*
8. *სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;*
9. *სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა".*
10. *ტურიზმის კვლევითი ცენტრი*
11. *ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია*

ეკონომიკის კვლევისა და სწავლების
ქართულ-ბერძნული ცენტრის ანგარიში

ცენტრი ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე(წევრი)
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი (წევრი)
ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე (წევრი)

1. **სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:**

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
2.	Vesperi, W. &Gagnidze, I.	Kybernetes (published in July) Vol. No. ahead-of-print Emerald Publishing Limited	Rethinking the university system: Toward the entrepreneurial university (The case of Italy) https://doi.org/10.1108/K-12-2018-0662 2018 Impact Factor: **1.381*** 5-year Impact Factor (2018): **1.231*** CiteScore 2018: **1.71** CiteScoreTracker 2019: **2.04**

3. სხვა პუბლიკაციები

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Lekashvili, E.	Marketing and Management of Innovations. Issue 1, 2019,ISSN 2227-6718 (on-line),ISSN 2218-4511 (print), UDC 378.147:33 Ukraine, http://mmi.fem.sumdu.edu.ua/en/journals/2019/1 ; (Science impact Factor: 1,28. http://scienceimpactfactor.com/?p=979. 02.04.2019)	Management on Innovations in Georgian Higher Educational Institutions:Key Problems with teaching Economic Science.http://doi.org/10.21272/mmi.2019.1-23

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.4. სტატიებიდიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ნაცვალაძე მარინე	ქცევის ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ასპექტები	ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი	იბეჭდება

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ანოტაცია

ტრადიციული ეკონომიკა ინდივიდს მიიჩნევს როგორც რაციონალურ-ლოგიკურ, მოაზროვნე მანქანას, რომელსაც აქვს უნარი ზუსტად გაითვალისწინოს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მისი საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღოს. სინამდვილეში, ეკონომიკური აგენტების ეკონომიკურ საქმიანობაში ეს ასე არ არის.

ქცევითი ეკონომიკა ადამიანს აბსოლუტურად ირაციონალურად მიიჩნევს. უფრო მეტიც, ის ამტკიცებს, რომ არ არსებობს რაციონალური "ეკონომიკური ადამიანი" და, სავარაუდოდ, არასოდეს არ იარსებებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ირაციონალობა არ არის შემთხვევითი და უაზრო. პირიქით, ეს საკმაოდ სისტემური და პროგნოზირებადია, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ის შესაძლოა წარმატებულად იქნეს გამოყენებული როგორც ბიზნეს-სექტორისთვის (თუნდაც მარკეტინგულ საქმიანობაში პროდუქტის რეკლამირებისას) ასევე საჯარო პილიტიკის განხორციელების დროს, რადგან ეს ინფორმაცია არ არის აბსტრაქტული და შესაბამისად, გავლენას ახდენს ადამიანთა ემოციებზე და გრძნობებზე.

ტრადიციულ ეკონომიკურ მოდელებში რაციონალური, ეგოისტური ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ და ხშირად ახდენენ რეალური ქცევის სისტემურ დამახინჯებას. ქცევითი ეკონომიკის მიდგომების გამოყენებით, თუ გათვალისწინებული იქნება ფსიქოლოგიასა და

სოციოლოგიაში დაგროვილი ცოდნა, ეს მოდელები შეიძლება გაუმჯობესდეს. მნიშვნელოვანია მოვლენების ბუნების გააზრება და არა დაკვირვების საფუძველზე ეკონომიკური აგენტებისთვის ირაციონალური მახასიათებლების დამატება, სხვაგვარად, მოდელების შინაარსობრივი, პროგნოზირებადი მნიშვნელობა იკარგება. მეორეს მხრივ, მკაცრი ეკონომიკური ანალიზი ხშირად საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ მიზეზები, რომლის საშულებითაც ავხსნით გაუაზრებელი, ირაციონალური ქცევის მექანიზმს. ქცევითი ეკონომიკის მიდგომების გამოყენება საშუალებას იძლევა შევაფასონთ სხვადასხვა ქმედებების შედეგები პოლიტიკაში, ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ქცევითი ეკონომიკა არ უარყოფს კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. ის უბრალოდ გვთავაზობს ახალ, ეფექტურ ინსტრუმენტებს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს - ქცევითი ეკონომიკის მიღწევები მნიშვნელოვანია კერძო პირებისათვის, კომპანიის მენეჯერებისთვის, პოლიტიკოსებისთვის, რადგან ხდება ადამიანის გადაწყვეტილების მიღების ტრადიციული, რაციონალურ-ფუნქციონალური მოდელების გადახედვა, გადაფასება. ინტერდისციპლინარული მიდგომების გაუთვალისწინებლობამ, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციის უარყოფამ, შეიძლება გამოიწვიოს არასწორი არჩევანი, რესურსების ფლანგვა მისი ეფექტიანად გამოყენების ნაცვლად. სტატიაში განხილულია ქცევითი ეკონომიკის გამოყენებითი ასპექტები, ქცევითი ეკონომიკის ფარგლებში მიღწეული თეორიული და პრაქტიკული შედეგები.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ლეკაშვილი ეკა	*ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიულ - მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემატიზაცია. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების თანამედროვე გამოწვევები.*	*გათუმი. გვ. 72-73. 13.09.2019. ISBN987-9941-462-99-3*
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	Gagnidze,I.	Entrepreneurial University – core system for the innovativedevelopment of Economy	Academy of Dramatic Art, University of Zagreb, Zagreb, Croatia, 9 – 11 April
მოხსენება ფორუმის მასალებში გამოქვეყნებულია			

დამატებითი ინფორმაცია:
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი არის პარტიის „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ ინდუსტრიული საბჭოს წევრი/კოორდინატორი. ამ სტატუსით იგი იყო: მოდერატორი, ორგანიზატორი - 17.01 2019 პარლამენტში შეხვედრაზე: „საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა დაპროფილი“;
ორგანიზატორი - 4.07.2019 ბათუმის უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრაზე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელის შესახებ;
ორგანიზატორი, თანამომხსენებლი - 8.11.2019 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე თემაზე ,,ე. რეინერტი - ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელობის შესახებ“;
წამყვანი, ორგანიზატორი - 25.11.2019 კონფერენცია „პარტია სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის “საარჩევნო პლატფორმის ძირითადი თეზისების წარდგენა“.
ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე არის პარტიის „სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის “მრჩეველი“. ამ სტატუსით 29.03.2019 იყო თანამომხსენებელი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე თემაზე„ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეწარმეო მოდელის ეფექტიანობის შესახებ“.
ასოცირებულმა პროფესორმა მარინე ნაცვალაძემ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდასაჭერად - საერთაშორისო სემინარში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და კვლევების თემაზე, 11-12 აპრილი, 2019;
ასოცირებულმა პროფესორმა მარინე ნაცვალაძემ მონაწილეობა მიიღო პარიზის ეკონომიკური სკოლის (Paris School of Economics – J_PAL Europe), მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის (MIT J_PAL) პროგრამის სერტიფიცირებულ სემინარში “შედეგების შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა” (Impact Evaluation and Evidence-Informed Policy) - სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს ეგიდით აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის დაფინანსებით, თბილისი, 20-21 მაისი, 2019.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ანგარიში

ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);

ბ) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გკუნტერ ფალთინი);

გ) ცუკუბას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა რივანო);

დ) პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);

ე) იტალიის საპიენზას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);

ვ) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);

ზ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);
თ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი).

ინსიტუტის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა და ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკური დიპლომატიის მოდულის მაგისტრანტების პროფესიული პრაქტიკის მომზადება და ჩატარება ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ–გერმანული ინსტიტუტის თანადირექტორის ვოლფგანგ ვენგის ხელმძღვანელობით (2019 წლის 1–31 მაისი);
2. ინსიტუტის წევრები საანაგარიშო წელს აქტიურად მონაწილეობდნენ 2019 წლის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში და მათი ნაშრომები გამოქვეყნდა პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში, რაც დაფიქსირებულია მათ სამეცნიერო–კვლევით ანგარიშებში;
3. ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებს პროფესორმა ვოლფგანგ ვენგმა გაუწია კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით (10.03-15.03.2019);
4. ინსტიტუტის ფარგლებში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორმა გიუნტერ ფალტინმა კონსულტაცია გაუწია ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის მოდულის დოქტორანტებს სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით (20.02-25.02.2019);
5. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს გიუნტერ ფალტინს მიწვეული ჰყავდა ქართულ - გერმანული ინსტიტუტის წევრებინ ბერლინში დაგეგმილ მეწარმეობის სამიტზე 2019 წლის 19-20 ოქტომბერს.
6. ქართულ - გერმანული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ეკა ლეკაშვილმა აკადემიური მასპინძლობა გაუწია ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში ვიზიტით მყოფ ლექტორებს: მისკოლჩის უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომიკის დოქტორს კატალინ ლიპტაქს, ასისტენტ პროფესორს ნოემბი ჰაჯდუს, რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორს იოლანტა ტრეს - რუსიეკას, რომელთაც ჩაატარეს ლექციები ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის სტუდენტებთან.

მარკეტინგული კვლევის ცენტრის ანგარიში

ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ თოდუა

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Nugzar Todua	46-ე საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია, რომის საპიენსას უნივერსიტეტი (იტალია)	ISBN 978-80-87927-52-6
2	ნ.თოდუა	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ	ISBN 978-9941-13-890-4 (pdf)
3	ე. უროტაძე	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ	ISBN 978-9941-13-890-4 (pdf)
4	E. Urotadze	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის სტრატეგია: ფუტუროლოგიური გამოწვევები“ კიევის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი, კიევი (უკრაინა)	ISBN 978–966–926–310–0

ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ანგარიში

ცენტრი ხელმძღვანელი: ასისტერნტ-პროფესორი ეკატერინე გულუა

1.სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორე	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური
1.	**Tea Kasradze, Vakhtang Antia, Ekaterine Gulua** Challenges of Financial Management of the Higher Education Institutions in Georgia	**European Journal of Economics and Business Studies** January - April 2019 Volume 5, Issue 1 ISSN 2411-9571 (Print) ISSN 2411-4073 (online)	**DOI:** http://dx.doi.org/10.26417/ejes-2019.v5i1-298

7. სხვა შედეგები:

7.1. **პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში**

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი
1	**Ekaterine Gulua, Management of Process and Infrastructure in Higher Education Institution**	**European Journal of Interdisciplinary Studies;** January - April 2019 Volume 5, Issue 1	**DOI:** http://dx.doi.org/10.26417/ejis-2019.v5i1-275 ISSN 2411-958X (Print) ISSN 2411-4138 (Online)

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო
1	**ეკატერინე გულუა**	**უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალის შერჩევის თანამედროვე მიდგომები**	**16 დეკემბერი, ბათუმი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია «ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები თანამედროვე პირობებში»**
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ლაბორატორიაში შესრულებული სხვა აქტივობები

- თსუ-ის შიდა სამეცნიერო გრანტი: ,,აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და მექანიზმების დამოკიდებულებისადმი კვლევა“. მონაწილეები: ნ. ხარაძე (ასოცირებული პროფესორი), ნ.პაიჭაძე (ასოცირებული პროფესორი), ბ.რამიშვილი (ასოცირებული პროფესორი), ე.გულუა (ასისტენტ-პროფესორი), დ. ფირცხალაიშვილი (დოქტორანტი), თ. ღუღუნიშვილი (მაგისტრანტი).
- ნ.ხარაძე, ნპაიჭაძე, ნ.ფარესაშვილი, მ. გიორგობიანი, მ.ნიკვაშვილი, დ.ფირცხალაიშვილი ,,საქმიანი კარიერა“, კვლევითი პროექტი, გამომცემლობა თსუ, 2019წ. 158გვ.
- ა) ლაბორატორიის ეგიდით 2019 წელს გაგრძელდა 2018 წელს დაწყებული **კვლევა: ,,უნივერსიტეტის გამოწვევებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კვლევა“**. მთლიანობაში გამოიკითხა თსუ–ის 887 სტუდენტი. მარტი–ივნისის განმავლობაში კი კვლევაში ჩართული სტუდენტებისთვის ე. გულუამ კვლევაში მონაწილე სტუდენტებისთვის რამდენიმე ეტაპად ჩაატარა ტრენინგები: ,,კვლევის შედეგების დამუშავება SPSS Statistics–ის საშუალებით“.

ბ) ლაბორატორიის ეგიდით 2017–2018–2019 წელს თსუ–ში ჩატარებული პროექტის (,,უნივერსიტეტის გამოწვევებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კვლევა“) ანალოგიური კვლევა თეა კასრაძემ (ე.დ. პროფესორი კსუ) და ეკატერინე გულუამ (ე.დ.

ასისტენტ პროფესორი თსუ) განახორციელეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. 2018 წელს კსუ–ში გამოკითხულია 150 სტუდენტი, 2019 წელს – 100 სტუდენტი. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება საერთაშორისო ჟურნალებში.

- ლაბორატორიის ეგიდით, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ინიციატივით 25 ოქტომბერს ჩატარდა საჯარო ლექცია: ,,საჯარო გამოსვლის ტექნიკა“. მომხსენებელი: ეკატერინე გულუა, ე.დ. ასისტენტ–პროფესორი თსუ.
- ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიაში 14 ივნისს შაბათს HR კურსის მსმენელებს რეფერატის მოსამზადებლად ჩატარებული მცირე კვლევის შედეგების SPSS პროგრამაში დამუშავებაში კორდინაცია გაუწია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტმა **დეა ფირცხალაიშვილმა**
- ლაბორატორიაში ფუნქციონირებს ცოდნის გაზიარების სტუდენტური ქსელი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში და სხვა აქტივობებში:

ა) ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ცოდნის გაზირების სტუდენტური ქსელის ფარგლებში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა **მანანა ებანოიძემ და ნათია აბაშიძემ** ეკატერინე გულუას (ე.დ, ასისტენტ–პროფესორი, თსუ) ხელმძღვანელობით განახორციელეს **კვლევითი პროექტი ,,ლექცია-სემინარების მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევა".** პროექტის განხორციელებისათვის ლაბორატორიაში დაიგეგმა კვლევა, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, შედგა კითხვარი. ანკეტების საშუალებით გამოიკითხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის 115 სტუდენტი. პროექტის ავტორებმა ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიაში შეისწავლეს ანკეტური მონაცემების დამუშავება SPSS Statistics პროგრამის საშუალებით. პროექტის შედეგების წარგდგენა განხორციელდა სტუდენტურ ჯგუფში მიმდინარე წლის 25 დეკემბერს. იგეგმება კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში.

ბ) ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ცოდნის გაზირების სტუდენტური ქსელის ფარგლებში 2019 წელს პერმანენტულად ხორციელდება პროექტი ,,გახადე სამყარო უკეთესი“ თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების, აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათაფაკულტეტის მაგისტრანტების მონაწილეობით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტები:

1. პიროვნების ფსიქოლოგიის, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
2. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
3. ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. პედაგოგიკის ინსტიტუტი

პიროვნების ფსიქოლოგიის, შეფასებისა და კონსულტაციის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- ლუიზა არუთინოვა (ხელმძღვანელი)
- მარინე ჩიტაშვილი
- ხათუნა მარწყვიშვილი
- მაია მესტვირიშვილი
- ლილი ხაჩუაშვილი
- თაონა ლოდია
- მარიამ ფანჯიკიძე
- ქეთევან მოსაშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16; პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“ სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2016-2020	პროექტის ხელმძღვანელი მესტვირიშვილი მაია. ახალგაზრდა მეცნიერები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავს ახალი სადოქტორო პროგრამის „კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში“ განვითარებასა და განხორციელებას. პროგრამა კვლევის ორი ქვედარგისგან შედგება და სტრუქტურულად ორი ერთეულის/მოდულის სახით არის წარმოდგენილი: (ა) პოზიტიურ ფსიქოლოგია პიროვნების კვლევებში და (ბ) პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში. პროგრამა მეთოდოლოგიური პლურალიზმის პრინციპზეა აგებული და მონაცემების შეგროვებისთვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს იყენებს. პროექტის პირველი წელი სადოქტორო პროგრამის განვითარებასა და აკრედიტაციის მიღებას ეთმობა, დანარჩენი სამი წლის განმავლობაში კი დაგეგმილია დოქტორანტების პირველი თაობის გამოშვება. უცხოელი ექსპერტები ჩართულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, იქნება ეს საგანმანათლებლო

პროგრამის შემუშავება, საკონსულტაციო ვიზიტები საქართველოში ან ექსპერტების უნივერსიტეტებში, მათ მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები და ინტენსიური სასწავლო კურსები პროგრამაში ჩართული (და სხვა) აკადემიური პერსონალისთვის და დოქტორანტებისთვის.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი, 2018, YS-18-2025 კატეგორიული და შედეგობრივი მორალური მსჯელობა: ემოციების როლი სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2018-2020	პროექტის მენტორი მაია მესტვირიშვილი ახალგაზრდა მეცნიერი: ნათია მესტვირიშვილი

მორალის მეცნიერებისადმი მზარდი ინტერესი მიუთითებს იმაზე, რომ მორალური სისტემის როგორც ღირებულებების, ღირსებების, ნორმების და იდენტობის გაგება ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენს მორალური დისპოზიციები-მორალური მსჯელობა-მორალური ქცევის ხაზის სრულყოფილი ანალიზი და ემოციური ინტელექტის როლის აღმოჩენა ამ ჯაჭვში. კვლევის დიზაინი მოიცავს სამ დამოუკიდებელ ცვლადს: (1) მორალური კომპეტენცია (2) ემოციური ინტელექტი (3) მორალური განსჯა და ერთ დამოკიდებულ ცვლადს: მორალური ქცევა. კვლევის მონაწილეებად 350 სტუდენტი მოიაზრება, რომელთა ასაკიც 18-25 მდეა და რომლების კვლევაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ. კვლევას გააჩნია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ღირებულება რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, კვლევის შედეგები მორალურ

ფუნქციონირებაზე ცოდნას გაამდიდრებს და წვლილს შეიტანს მორალურ ფსიქოლოგიაში არსებული კონფლიქტური მონაცემების ანალიზში. შედეგები ასევე მნიშვნელოვანი იქნება ფსიქოლოგიის ორი ფართო მიმართულებისთვის: მორალის კვლევების და ემოციური ინტელექტისთვის. კვლევას წვლილი შეაქვს როგორც სოციალური, ისე პოზიტიური ფსიქოლოგიის განვითარებაში, მორალური განსჯის მექანიზმების, მორალური ქცევის დინამიკისა და ამ პროცესში ემოციების როლის გაგებით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტი. სახელწოდება: Creativity and intelligence: a different road to growth and wellness	2020	წამყვანი მკვლევარი: ხათუნა მარწყვიშვილი
მიუხედავად იმისა, რომ კრეატულობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას, საკითხი კრეატიულობისა და ინტელექტის გადამფარავი და განმასხვავებელი მახასიათებლების შესახებ კვლავაც სამეცნიერო დებატების საგნად რჩება. ჰიპოთეტური მოდელი, რომლის შემოწმებასაც ვისახავთ მიზნად ეფუძნება დაშვებას, რომ კრეატიულობა და ინტელექტი როგორც ზოგადად, ევოლუციურად, ასევე, მოტივაციურად, ინდივიდისთვის, სხვადასხვა მიზნების შესრულებას ემსახურება და რეალური სამყაროს სხვადასხვა შედეგთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ვარაუდობთ, რომ თუ ინტელექტი ადამიანური მოთხოვნილებების იერარქიის ქვედა დონის		

მოთხოვნილებების, ხოლო კრეატიულობა უმაღლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უწყობს ხელს და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება/ფრუსტრაცია თავისთავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, მაშინ კიდევ ერთი კონცეპტუალური განსხვავება კრეატიულობასა და ინტელექტს შორის, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ გზას, რომლითაც ამ ორ მახასიათებელს ერთი მხრივ პოსტრავმულ, ხოლო ხოლო მეორე მხრივ, პიროვნულ ზრდასა და ინდივიდის კარგად ყოფნამდე მივყავართ.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. ხეჩუაშვილი	ცხოვრების ნარატივებში განფენილი კულტურა: მე, შენ და სხვები	რეცენზირების პროცესში	

როგორც ტილმან ჰაბერმასი (2019) წერს, ნარატივი კომპლექსური ლინგვისტური პროდუქტი და კომუნიკაციის პროცესია და არ არის ადვილი ამოცანა მისი კვანტიფიკაცია. ამიტომ ფსიქოლოგია ნელ-ნელა აღიარებს მის ინტეგრაციულ პოტენციალს. ამის ერთ-ერთ დასტურს განსხვავებული, კერძოდ, ჰერმენევტიკული და იდიოგრაფიული ფსიქოლოგიის არსებობა წარმოადგენს, რომელსაც ნარატიულ ფსიქოლოგიას ვუწოდებთ. ნარატივი ფსიქოლოგიის ისეთი ტრადიციული მიმართულებების ინტერესის საგნად იქცა, როგორებიცაა კოგნიტური, მეხსიერების, განვითარების, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია (Habermas, 2019).

რატომ? ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ადამიანები ამბებს ვყვებით და თან ის ამბები ვართ, რომლებსაც ვყვებით. უილიამ ჯემსი (1890) ნარატივისტი ფსიქოლოგი რომ ყოფილიყო, როდესაც თავის ყველაზე ცნობილ ნაშრომში „მე“ (I) და „მე“ (me) განასხვავა ერთმანეთისგან, პირველი „მე“ მისთვის მთხრობელი იქნებოდა, მეორე „მე“ კი მოთხრობილი ამბავი. ჯემსისათვის „მე“ (I) ცნობიერების ნაკადს წარმოადგენდა, მაგრამ რა არის ცნობიერება თუ არა გამოცდილების შინაგანი თხრობა?

სწორედ ეს შინაგანი თხრობის პროცესი და ამ პროცესის წარმმართველი ძალა აინტერესებს ნარატიულ ფსიქოლოგიას. ნარატივისტი ფსიქოლოგები იკვლევენ, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები საკუთარი ცხოვრების თხრობაში დალაგებას, ლოგიკური კავშირების დანახვასა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის იმგვარად ინტეგრირებას თხრობის პროცესში, რომ, ერთი მხრივ, პერსონალური უწყვეტობის განცდა შეინარჩუნონ და, მეორე მხრივ, მუდმივად განვითარდნენ და მოერგონ ცვალებად რეალობას, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ცხოვრობენ და თან ცხოვრების მიზანი და საზრისიც არ დაკარგონ.

შესაბამისად, ხედვა, რომელსაც ვეყრდნობი წარმოდგენილ ნაშრომში, ასე შეიძლება შევაჯამოთ:

- მე, როგორც პიროვნება, თხრობაში ვიქმნები ანუ საკუთარი ამბის თხრობისას ვქმნი საკუთარ თავს;
- როცა ჩემ ამბავს ვყვები, მარტო ჩემ ამბავს არ ვყვები;
- ჩემი ენით ჩემი ხალხი ლაპარაკობს;
- ეს ჩემი ხალხი შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ჩემი და მივხვდე, რომ ახალი ჩემი უნდა შევქმნა/ვიპოვო.

ასე რომ, ნაშრომი ცხრა თავისგან შედგება, რომლებიც სამ ნაწილად ერთიანდება. პირველი ნაწილი ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ეთმობა. მასში განხილულია ის ძირითადი ცნებები, კონსტრუქტები და მიდგომები, რომლითაც ვოპერირებ. პირველ თავში ორ ძირითად ცნებას მიმოვიხილავ. ესაა პიროვნება, როგორც მას მაკადამსი ხედავს სამმაგი ა-ს მოდელის სახით და იდენტობა, როგორც ინდივიდის მიერ კულტურასთან ინტერაქციის პროცესში კონსტრუირებული ერთიანობა. მეორე თავში მოკლედ არის მიმოხილული ნარატივი, როგორც იდენტობის, პიროვნებისა და განვითარების პროცესი და პროდუქტი. მესამე თავი ნარატიული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა და ისეთი საკითხებია განხილული, როგორებიცაა ნარატივის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, გამოყენების საკითხები კვლევაში. კერძოდ, გამოყოფილი და აღწერილია ოთხი ძირითადი ასპექტი: ნარატიული კითხვების დასმა, ნარატივის მისაღებად მოწოდებული ინსტრუქციების შექმნა, ნარატივების შეგროვება და ნარატივების კოდირება. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომის ეს თავი ერთგვარ პრაქტიკულ გზამკვლევსაც წარმოადგენს დამწყები მკვლევრებისთვის, რომლებიც ნარატიულ ფსიქოლოგიაში იწყებენ მუშაობას.

მეორე ნაწილში გაერთიანებულ სამ თავში ცხოვრების ისტორიების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. მიმოვიხილავთ, როგორ, როდის და რატომ ვიწყებთ საკუთარი თავის შესახებ ამბის თხრობას და როგორ ვახერხებთ, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში გავიზარდოთ, განვვითარდეთ და შევიცვალოთ და, ამავდროულად, უწყვეტობისა და უცვლელობის განცდაც შევინარჩუნოთ.

მესამე ნაწილი პიროვნებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების დინამიკას შეეხება. გავეცნობით მასტერ და ალტერნატიული ნარატივის კონსტრუქტებს. გარდა ამისა, მოწიფული, საზოგადოებაში ინტეგრირებული და რეალიზებული მოზრდილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელზე, გენერაციულობაზე ვისაუბრებთ.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mestvirishvili, M. (2019).	მოქალაქეობის სტილის განმსაზღვრელი მოდალობები საქართველოში Attitudinal modalities of citizenship representation styles in Georgia. https://doi.org/10.1177/1879366519840165	Journal of Eurasian Studies, 10(2),	SAGE Publishing, USA	109–118.
ვრცელი ანოტაცია					

This study investigates citizenship representation styles and their compositional modalities in contemporary Georgia. The article starts with a discussion of legal, social, and political influences that shaped conceptions of citizenship in post-Soviet countries, including Georgia. The study presents the results of a survey of 700 students from 10 universities in Georgia. They completed questionnaires exploring citizenship styles and associated predictor variables. The study suggests that a cultural citizenship style is dominant among Georgian students. It is best predicted by the level of national identification, followed by patriotism, nationalism, in-group attitudes, and religious orthodoxy. The data also show the opposing roles of nationalism and patriotism on ethnic and civic citizenship styles. The article argues that a cultural citizenship representation style could be the compromise solution in the ethnic versus civic citizenship dichotomy and might be more appropriate for societies characterized by ethno-nationalist tendencies.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	Mariam Kvitsiani, Maia Mestvirishvili, Khatuna Martskvishvili, Tamar Kamushadze, Mariam Odilavadze, Mariam Panjikidze.	Personal values and self- acceptance: anxiety free vs anxiety-based dimension	Problems of psychology in the 21st century vol. 13, no. 2, 2019	Lithuania	84-100

When talking about human well-being, Unconditional Self-acceptance represents one of the cores. Although researchers have focused on various predictors of Acceptance, there is not a clear understanding of personal values impacting the process of accepting oneself. The aim of the research was to explore the association between basic values and unconditional self-acceptance, and to find out the role of psychological flexibility in this relationship. 370 participants filled the questionnaires to explore basic values, unconditional self-acceptance and psychological flexibility. As data showed, self-transcendence and openness to change predict higher level of psychological flexibility, however, only openness to change possesses positive predictive power for unconditional self-acceptance. Mediation model indicates that basic value system of openness to changes is the one, which reflected on individual's higher psychological flexibility, and through this flexibility she/he achieves higher level of unconditional self-acceptance. The research confirmed a unique role of openness to change in association with self-acceptance which might be an important insight for clinical psychologists as well as for mental health professionals.

3.	M. Panjikidze, A. Beelmann, K. Martskvishvili. M.Chitashvili	Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Young Georgians. 2019. https://doi.org/10.1177%2F0033294118823177.	*Psychological reports*. January 2019.	Sage	16

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიუხედავად მრავალი კვლევისა მოზრდილთა პოსტტრავმული ზრდის შესახებ ბოლო ათწლეულებში, მცირე რაოდენობა ეხება პოსტტრავმულ ზრდას ახალგაზრდებში და განსაკუთრებით ომის გამოცდილების მქონე პირებთან ეს კვლევა ეხება პიროვნული ფაქტორების და განსხვავებული ტიპისა და წყაროს სოციალურ დახმარებას შორის კორელაციის კვლევას [პოსტტრავმული ზრდა] ომის გამოცდილების მქონე ბავშვებსა და მოზარდებში. კვლევის მონაწილეები 242 იძულებით ადგინაცვალი პირი, სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილიდან მთელის საქართველოს მასშტაბით, საშუალო ასაკი 13,22 წელი [SD=2,73]. კორელაცია ცვლადებს შორის დავთლილი იყო მრავალფაქტორიანი რეგრესიის და მედიაციური ანალიზით. შედეგება აჩვენს, რომ პოსტტრავმული ზრდის ძირითადი პრედიქტორიებია ექტსრავერსია, გაცნობიერებადობა და სოციალურ დახმარება. დამატებით, ინფორმაციული ტიპის დახმარება თანატოლებისაგან მნიშვნელოვან კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან. უფრო მეტიც, ზოგადი სოციალური მხარდაჭერა მედიაციას ახდენს, მაკავშირებელია პიროვნულ ფაქტორებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის. დასკვნები ასახავს ახალგაზრდებში იმ მექანიზმებს, რომელიც საფუძვლად უდევს პოსტტრავმულ ზრდას.

4	M.Chitashvili, D. Machavariani, O. Sokhadze	In search of evil: Affective dimensions of presidential elections 2018 in Georgia. [2019]	*Psychological applications and trends*. Ed. Clara Pracana and Michael Wang. pp.247-251.	Lisbon, Portugal. InScience Press.	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია თუ როგორ არის შესაძლებელი ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან, კერძოდ კი ლაკანის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, აფექტური განზომილებების კონცეპტუალიზაცია და ანალიზი არჩევნებისას, კონკრეტულად მტრის სახის, როგორც ბოროტის წარმოდგენა. ფსიქოანალიტიკური თეორიული ლექსიკონი იქცა ძირითად წყაროდ პოლიტიკის აფექტური განზომილებების საკვლევად, ტექსტების, ხატებისა და დისკურსების გამოყენებით თუ როგორ არის აღნიშნული სხვადასხვა ემოციების პოლიტიკურ რიტორიკაში. არჩევნები, როგორც საჯარო აქტივობის კონვენციონალური ფორმა მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც გვაწვდიან თავიანთ პოლიტიკურ ღირებულებებს და ერთმანეთთან შედიან კონკურენციაში, რომ ხალხის ფართო მასებმა, ჯგუფებმა მათ მხარი დაუჭიროს და გაყვნენ მათ დისკურსს და საბოლოო ჯამში მოიპოვონ ხმათა უმრავლესობა არჩევნებში და გაიმარჯვონ. ისინი ფაქტობრივად დაკავებულნი არიან მოგვაწოდონ გარკვეული ჩარჩო და მისი პარამეტრები, რომელშიც იქმნება და სურვილი, რეგულირდება და მიემართება სამიზნისაკენ [კოვლრაა 2018] საყოველთაოდ ცნობილი პრაქტიკა ელექტორალური დისკურსების გულისხმობს მტრის, ბოროტის, ხატის შექმნას, რომელიც დამნაშავეა უტოპიის მუდმივ გადადებაზე [ჟიჟეკი, 1990], რას სხვა სიტყვებით ნიშნავს, ემოციური მუხტის, სურვილის, სრულად დაკმაყოფილებას გარკვეული პოლიტიკური იდეებით. ლაკანის მიხედვით ადამიანი არასროს არ არის ბოლომდე ინტეგრირებული ენის სიმბოლურ სივრცეში და მას ყოველთვის თან სდევს განცდა, რომ რაღაც

დაკარგულია და აქვს სურვილი, რომ ეს დაკარგული მოიპოვოს და დაიბრუნოს სიამოვნება. გლინოსის [2010], სტარვაკასისის [2007] და ჟიჟეკის [2005] მიხედვით ეს ჩარჩო გაგებული იყო იდეოლოგიების აფექტური დისკურსების გასაგებად. „ეს ნიშნავს, რომ იდეოლოგიურმა დისკურსმა უნდა შექმას ფატაზმატური ნარატივი ან სცენარი, რომელიც გვპირდება უტოპიურ მომავალს სრული კმაყოფილების“ [კოვლრაა, 2018]. ისეთ ტიპის ნარატივებში, როგორიცაა ფაშიზმი, რადიკალური ნაციონალიზმი, სტალიზნიზმი დაკარგული სიამოვნება იცვლება მტრის მიერ „მოპარულით“, რაც ხელს უწყობს შეუძლებლის მიღწევის, შენარჩუნების მოლოდინს - ‘ სრულად დაბრუნება სიამოვნების უტოპიუტ საზოგადოებაში“ [კოვლრაა, 2018] თუმცა სიამოვნების საკითხი კვლავ ღიად რჩება პოლიტიკური დისკურსის ტერმინებში, სხვა სიტყვებით, როგორ მიიღწევა ის დანაკარგის დაბრუნებისა და მტრის დამარცხების დისკურსებით. ჩვენ ვაანალიძებთ საქართელოში კონკრეტული არჩევნებს, კერძოდ 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნებს, ყოფილი საბჭოთა და ახალი დემოკრატიის ქვეყენაში, როგორც მრავალგანზომილებიან სოციალურ ფენომენს, რომელიც მოდის სტალინური და ნაციონალისტური ავტორიტარული წარსულიდან და იბრძვის დანერგოს ახალი დემოკრატიული ინსტიტუტები. კანონები და რეგულაციები, ჩაატაროს არჩევნები, როგორც ძირითადი საშუალება დემოკრატიული მმართველობის მისაღებად. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები განხილულია კონკრეტული შემთხვევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, როგორც ამბივალენტური მოდელი სადაც უტოპიური საზოგადოების სიამოვნება მტრის ხატის დისკურსებით ინაცვლებს „დაკარგულიდან“ „მოპარულში“.

5	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	T. Bandzeladze L. Arutiunov Pablo Espinosa	El papel de los factores familiares y la autorregulación: problemas de comportamiento en adolescentes de Georgia. http://revistas.udc.es/index.php/reipe/article/view/reipe.2019.6.2.5775	The Journal of Studies and Research in Psychology and Education, *6*(2), 146-155. 2019	Coruña España	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოზარდთა პრობლემური ქცევა: ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორებისა და თვითრეგულაციის როლი

კვლევის მთავარი მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის ფსიქოსოციალური ფაქტორების შესწავლა. კვლევის ფარგლებში შეფასდა ოჯახის სტრუქტურის, მშობელთა ქცევის მოდელებისა და მოზარდის ქცევის მონიტორინგის, ასევე, თვითრეგულაციის, როგორც გარემოსა და ქცევას შორის მედიაციური ცვლადის, კავშირი მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. კვლევა კორელაციური დიზაინისაა. მონაცემები შეგროვდა თვითანგარიშის კითხვარის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ

შორის, 60 - კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი პრობაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან, რომელთაც არ აქვთ კანონთან კონფლიქტის გამოცდილება. კვლევის შედეგების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების უფრო მეტი რაოდენობა ცხოვრობს არასრულ ოჯახებში, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე მათი თანატოლები. თავის მხრივ, არასრულ ოჯახებში მცხოვრებ მოზარდებთან უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი, ხოლო დაბალია მშობლის მიერ მოზარდის ქცევის მონიტორინგი. კორელაციური და რეგრესიული ანალიზის შედაგად გამოვლინდა, რომ მშობლის მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება დადებითად უკავშირდება მოზარდის პრობლემურ ქცევას, ხოლო კონვენციონალური ქცევის მოდელირება და მოზარდის ქცევის მონიტორინგი - უარყოფითად. პრობლემური ქცევის კორელატებს შორის, სტატისტიკურად სანდო პრედიქტორულ ღირებულებას ინარჩუნებს მშობლის მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და მოზარდის ქცევის მონიტორინგი. რაც შეეხება თვითრეგულაციას, მისი ხარისხის ზრდასთან ერთად, მცირდება პრობლემური ქცევის მაჩვენებელი, თუმცა თვითრეგულაციის პრედიქტორული ღირებულება ვერ აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნობის დონეს. მოცემულ კვლევაში, თვითრეგულაცია, როგორც ინდივიდუალური დონის ცვლადი, არ წარმოადგენს სტატისტიკურად სანდო მედიაციურ ცვლადს, აღქმულ გარემოსა და პრობლემურ ქცევას შორის. კვლევის შედეგები ადასტურებს დევიაციური ქცევის პრევენციის პროცესში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობას, რომელიც, უპირველესად, ოჯახის გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებებს გულისხმობს.

6	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	T. Bandzeladze A. Asatiani L. Arutiunov	Peer Pressure and Adolescents' Problem Behavior	Social Sciences and Economics Research Society (SSERS) იბეჭდება	Amsterdam Holland	17
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) *კვლევის მიზანია თანატოლთა ზეგავლენასა და მოზარდთა პრობლემურ ქცევას შორის კავშირის შესწავლა. საკვლევი ჰიპოთეზის მიხედვით, თანატოლთა ზეგავლენა მოზარდის პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით, რომელიც*					

დევიაციური ქცევის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებებზე მიუთითებს. კვლევა კორელაციური დიზაინისაა და მონაცემები შეგროვებულია თვითანგარიშის კითხვარების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-დან 18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ შორის არის 60 კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, პრობაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდი, თბილისის საჯარო სკოლებიდან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პრობლემური ქცევის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, რომლის კავშირიც მოზარდის პრობლემურ ქცევასთან არ არის გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით. თანატოლთა მხრიდან პრობლემური ქცევის სანქციონირების მოლოდინი უარყოფითად კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან, თუმცა კავშირი სუსტდება, როდესაც ძლიერია მოზარდის ტოლერანტული დამოკიდებულებები დევიაციური ქცევის მიმართ. კვლევის შედეგები მიუთითებს მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციაში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც, მოზარდის ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად, მისთვის მნიშვნელოვანი სოციალური გარემოს კომპონენტებზე ფოკუსირებას გულისხმობს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ე. ნადირაძე თ.ლოდია	ა ნადირაძე, თ.ლოდია. ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან ISSN 2667–9027	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 2019/N1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019	გვ.59-71

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფსიქოლოგიური მოუქნელობა, რომელიც მიღებისა და მოქმედების თერაპიის ძირეული კომპონენტია, ფსიქოპათოლოგიების განვითარების მთავარ ასპექტად მიიჩნევა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ადაპტაციაში ხელისშემშლელ ისეთ მდგომარეობებს შორის კავშირის დადგენას, როგორებიცაა დეპრესია და აგრესია. კვლევა ჩატარდა ქართულ პოპულაციაზე. მასში მონაწილეობას იღებდა, 14-დან 16-წლამდე, 157 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან. მათ შორის 81 იყო ვაჟი, ხოლო 76 გოგონა. კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძლიერი დადებითი კავშირი დეპრესიასა და ფსიქოლოგიური მოუქნელობას შორის(r=.68) ყველა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში. ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა აგრესიასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის (r=.59). ამასთანავე, ფსიქოლოგიურ მოუქნელობას აქვს მედიატორის როლი დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებულ კავშირში. ფსიქოლოგიურ მოუქნელობას, დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებული მიმართებების დადგენა

საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადაპტაციისთვის ხელისშემშლელი მდგომარეობების ძირეული ასპექტები და თერაპიული მეთოდების დანერგვით მოზარდებს დავეხმაროთ ემოციური დისრეგულაციების დაძლევაში.

საკვანძო სიტყვები: ***ფსიქოლოგიური მოუქნელობა, დეპრესია, აგრესია, მიღებისა და მოქმედების თერაპია, ფსიქოლოგიური მოქნილობა.***

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	Sordia, N., Martskvishvili, K., & Neubauer, A. (2019).	From creative potential to creative achievements: Do emotional traits foster creativity? http://dx.doi.org/10.1024/1421-0185/a000227	Swiss Journal of Psychology 78(3-4), 115-123	Hogrefe Publishing Group	8

შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც შემოქმედებით მიღწევებად რეალიზდება ცვლის სამყაროს და განსაზღვრავს პროგრესს. იმ ფაქტორების კვლევა, რომელიც შემოქმედებითი მიღწევების რეალიზაციაში ეხმარება ადამიანს საკმაოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებისა და შემოქმედებითობის შესახებ ჩატარებული კვლევები დასაწყისიდანვე მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს, კვლევაც ნათელი არაა ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები, კერძოდ, ემოციური კრეატულობა და ემოციური ინტელექტი ეხმარება თუ არა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე პიროვნებას ამ პოტენციალის მიღწევებად რეალიზებაში. კვლევის 342 მონაწილემ (Mage=21.87, SD=5.84) შეავსო ალტერნატიული გამოყენების ამოცანები და წინადადებები; შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების სკალა; ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი და ემოციური კრეატულობის საკვლევი კითხვარი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალურობა (ემოციური ინტელექტის ფაქტორი) და სიახლე (ემოციური კრეატულობის ასპექტი) ასრულებს მოდერატორის როლს კრეატულ პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირისთვის, მაშინ როცა შემოქმედებითი აქტივობები მედიატორ ცვლადად გვევლინება პოტენციალსა და მიღწევებს შორის. კვლევა გვაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმებით მიღწევებად რეალიზებაში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

			ნომერი/ტომი		
8	ლ. ხეჩუაშვილი	From Rumination to Generativity: The Mediation Effect of Posttraumatic Growth https://doi.org/10.1080/15325024.1560903	Journal of Loss and Trauma: International Perspectives of Stress and Coping, 24(2)	Taylor & Francis Online	18 (გვ. 177-195)
სტატიაში წარმოდგენილი ორი კვლევა მოზრდილებში რუმინაციასა და გენერაციულობას შორის კავშირში პოსტტრავმული ზრდის მედიაციური ეფექტის შესწავლას ისახავდა მიზნად. კვლევის მეორე მიზანს რუმინაციის საზომი სკალის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება წარმოადგენდა. ორ კვლევაში 364-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. შედეგები აჩვენებს, რომ რუმინაციის სკალის ქართულ ვერსიას შინაგანი შეთანხმებულობის კარგი მახასიათებლები აქვს და იმეორებს ორიგინალური ინსტრუმენტის ორფაქტორიან სტრუქტურას. რუმინაციასა და გენერაციულობას შორის კავშირი გაშუალებულია პოსტტრავმული ზრდით.					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Odilavadze, M. Panjikidze, M Martskvishvili, Kh. Mestvirishvili, M. Kvitsiani, M.	The Role of Personality and Love Style in Marital Satisfaction: Does Similarity Matter?“	მიღებულია დასაბეჭდად: Current issues in Personality Psychology ISSN: 2353-4192		
ქორწინებით კმაყოფილების კვლევის საკითხმა მეცნიერთა ფართო ყურადღება დაიმსახურა ბოლო ათწლეულობის განმავლობაში. მას შემდეგ ასობით კვლევა მიეძღვნა ქორწინებით კმაყოფილების დეტერმინანტების კვლევას. მიმდინარე კვლევის მიზანია განავრცოს აქამდე არსებული კვლევების შედეგები ქორწინებით კმაყოფილების ორი მნიშვნელოვანი კორელატის კვლევით: პიროვნული ნიშნები და სიყვარულის სტილი. პიროვნული ნიშნების მსგავსების მნიშვნელოვნებასა და დიადაში სიყვარულის მიმართ დამოკიდებულებაზე ხაზგასმით კვლევაში ნაცადია ქორწინების შედეგების გავნელნიანი კომპონენტების იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობდა ოთხმოცდაშვიდი (N = 174) ჰეტეროსექსუალი დაქორწინებული წყვილი (ხელმისაწვდომი შერჩევა). ქმრის თავმდაბლობა/გულწრფელობის მაჩვენებელი პოზიტიურადაა დაკავშირებული როგორც საკუთარ, ასევე, მეუღლეების ქორწინებით კმაყოფილებასთან. მეუღლეებს სიყვარულის მიმართ მსგავსი დამოკიდებულებები ახასიათებთ. განსვლას ამ დამოკიდებულებების მიხედვით მივყავართ განსხვავებულ შედეგთან იმის მიხედვით, თუ რომელს გავითვალისწინებთ - ცოლის თუ ქმრის					

ქორწინებით კმაყოფილებას. პიროვნული ნიშნები და სიყვარულის სტილი წარმოადგენს ქორწინებით კმაყოფილების პრედიქტორებს. ქორწინებით კმაყოფილების კორელატები გარკვეულწილად განსხვავებულია ცოლებისა და ქმრების შემთხვევაში.					
2.	Kvitsiani, M. Mestvirishvili, M. Martskvishvili, Kh Kamushadze, T.	From Rumination to Psychological well-being: mediation effect of Personality traits.	მიღებულია დასაბეჭდად: *Problems of Psychology of 21st Century* ISSN 2029-8587		
ვლევის მიზანს წარმოადგენს პიროვნული ფაქტორების, კარგად ყოფნის და რუმინაციის კავშირების აღმოჩენა და იმ სტრუქტურების განსაზღვრა, რაც სავარაუდოდ ამ კავშირების ბუნებაზე მოქმედებს. მთავარ კითხვას წარმოადგენს აქვს თუ არა პიროვნულ ნიშნებს პირდაპირი ეფექტი კარგად ყოფნაზე, თუ ეს კავშირი რუმინაციით არის გაშუალებული.კვლევაში მონაწილეობას იღებდა 145 ადამიანი.კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა პიროვნულ ნიშნებსა და სუბიექტურ კარგად ყოფნას შორის კავშირი, გარდა ამისა ანახა, რომ არსებობს ამ კავშირის მიღმა არსებული ფაქტორები, რომლებსაც მისი გარდაქმნა შეუძლია. რუმინაციისადმი პრედისპოზიციები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად აისახება პიროვნული ნიშნები სუბიექტურ კარგად ყოფნაზე.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ. მარწყვიშვილი, ნ. აბულაძე, მ. გასვიანი	აქტივობაში ჩართულობის (flow) საკვლევი სკალის ფსიქომეტრული მახასიათებლები	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ, 2019/12/04
2	ხ. მარწყვიშვილი, მ. ფანჯიკიძე, თ. ქამუშაძე:	როგორ მივყავართ ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ ნიშნებს პოსტტრავმულ	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ

		ცვილებებამდე	
3	ნ. სორდია, ხ. მარწყვიშვილი:	კრეატიული აქტივობებიდან კრეატიულ მიღწევებამდე: ნეგატიური პიროვნული მახასიათებლების როლი	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M. Chitashvili	In search of evil: Affective dimensions of presidential elections 2018 in Georgia.	Zagreb. Croatia, May 4-6, 2019, International Psychological Applications Conference and Trends, InPACT 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	Maia Mestvirishvili	Georgian migrant women: telling stories with photos”	International Academic Forum, Asian Conference of Cultural Studies; Tokyo, Japan
3	Maia Mestvirishvili (Symposium Chair) and Mariam Kvitsiani	The Relationship of Self-worth and Rumination with Posttraumatic Growth.	Paris, France, 7-9 March 2019
4	Ketevan Mosashvili	Predicting Prejudice: The Role of Religiousness, Religious Development and Values in a Sample of Georgian Adolescents	Gdansk, PolandAugust 31 – September 3, 2019, International Assosiation of Psychology of Religion Conference, IAPR 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	L. Arutinova, T. Lodia.	The Relationship between Aggression, Social Behavior in School and Personality Factors in Children and Adolescents.	Swiss Public Health Conference. Child and Adolescent Public Health. Switzerland. Winterthur. 28-29 August. 2019

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	სიმპოზიუმის ხელმძღვანელი	,,რა გვეხმარება ტკივილის პიროვნულ ზრდად ტრანსფორმირებაში: პიროვნება და პოსტტრავმული ზრდა“ (სიმპოზიუმი).	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
7	ხ. მარწყვიშვილი, თ. ქამუშაძე,	,,როცა ემოციები ეხმარებათ ბავშვებს ადაპტაციაში: ემოციური ინტელექტის როლი პოსტტრავმულ ზრდაში” (ზეპირი მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
8	თ. ქამუშაძე, ხ. მარწყვიშვილი, ზ. მარშანია	ტკივილი სარგებლის გარეშე: ვაგინიზმის ფსიქოლოგიური დეტერმინანტები“ (სასტენდო მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
9	მ. ოდილავაძე, ხ. მარწყვიშვილი	ბნელი ტრიადა და ბაზისური ადამიანური ღირებულებები: მსგავსი მეუღლის ყოლის სარგებელი და საფასური“ (სასტენდო მოხსენება).	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი

10	ნ. სორდია, ხ. მარწყვიშვილი:	ვის შეუძლია საკუთარი თავის დაწინაურება: პიროვნული ნიშნების გავლენა კრეატულ აქტივობებსა და მიღწევებს შორის კავშირზე. (სასტენდო მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	ლ. ხეჩუაშვილი	მასტერ და ალტერნატიული მასტერ ნარატივები: ქართული კულტურის კვლევა	პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია, პორტლანდი, ორეგონის შტატი, აშშ. 7-9 თებერვალი, 2019
12	ლ. ხეჩუაშვილი თ. ჯანანაშვილი მ. გოგიჩაიშვილი	ცხოვრება გრძელდება: ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნება და სოციალური ადაპტაცია ფიზიკური ტრავმის შემდეგ ეტლით მოსარგებლეებში	პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია, პორტლანდი, ორეგონის შტატი, აშშ. 7-9 თებერვალი, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- მაია როზაქიძე (ხელმძღვანელი)
- ია კუტალაძე
- სოფიო დოლიძე
- გიორგი გოროშიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1. ,,**ფუნქციური უნარშეზღუდულობის ხარიხის დასადგენი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია 2019-2020 მიმდინარე პროექტი; დაფინანსებულია USAID-ის მიერ. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე**

ანოტაცია:

საქართველოში **ფუნქციური უნარშეზღუდულობის შეფასების** სამედიცინო მოდელიდან (ეყრდნობა სამედიცინო დიაგნოზს) სოციალურ მოდელზე გადასვლა, მოითხოვს სანდო და ვალიდურ ინსტრუმენტებს ფუნქციური შეზღუდვების ხარისხისა და დამხმარე სერვისების მასშტაბის დასადგენად. სოციალური მოდელის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებლობისა და ინკლუზიის ხელშეწყობა და გაძლიერება.

სოციალური მოდელის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სფეროს ექსპერტების მიერ შექმნილი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია. **ინსტრუმენტის სტანადრტიზაციის პროცესი დაეფუძნება ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA), ამერიკის განათლების კვლევის ასოციაციის (AERA), განათლების სფეროში გაზომვის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საბჭოსა (NCME) და საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური ტესტების შექმნისა და ადაპტაციის სტანდარტებს. სტანდარიზაციის პროცესში ვეყრდნობით დავალებაზე პასუხის თეორიას (IRT- Item response theory), ასევე, ვიყენებთ ტესტის კლასიკურ თეორიას (CTT – classical test theory) პროექტით გათვალიწინებული სამუშაო მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:**

I. ინსტრუმენტის პირველადი გამოცდა/შეფასება (try out);

II. მონაცემთა შეგროვება და ძირითადი ფსიქომეტრული პარამეტრების დადგენა

III. სტნდარტების დადგენის პროცედურა

IV. ინსტრუმენტის სახელმძღვანელოს სახელმძღვანელოს მომზადება.

2. **„ Developing competemces of framework for recruitment test of the MIA academy for the future police officers" (პოლიციელის კოპეტენციების ჩარჩოს მომზადება) დაფინანსებულია NATO- Georgia-ს მიერ. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე**

ანოტაცია:

პროექტის მიზანი: აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის ზრდას. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ამ ეტაპზე უნდა გადაჭრას რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის ამოცანა I. პოლიციელის სამუშაოს აღწერა, ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტიფიცირება: ეს პროცესი საშუალებას იძლევა სისტემურად შევისწავლოთ პოლიციელის სამუშაო, ის ცოდნა, უნარები და სხვა მახასიათებლები, რომლებსაც სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად უნდა ფლობდეს პოლიციელი. ეს ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია შერჩევის მეთოდისა და, მთლიანად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის უზრუნველსაყოფად. შერჩევისთვის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა (მითუმეტეს მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის) სრულად უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოს ანალიზს, კომპეტენციების ნუსხას, რომელთა შეფასებასაც პოლიციელის საქმიანობისთვის პრედიქტული ღირებულება აქვს და შეუძლია აპლიკანტთა ეფექტიანობის წინასწარმეტყველება. სამუშაოს ანალიზის პროცესში ვეყრდნობით მრავალმხრივ ინფორმაციას, მათ შორისაა; საერთაშორისო პრაქტიკის მონაცემები, კრიტიკული ინციდენტების ანალიზი, კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია პოლიციელის საქმიანობაში კონკრეტული მახასიათებლების პრედიქტული ვალიდობის შესწავლაზე, ასევე ექსპერტული შეფასებები. ამ ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შემუშავდება კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც იქნება ერთგვარი გზამკვლევი ინსტრუმენტის შექმნის პროცესში.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	დამთავრების წლები	
1	2	3	4

1. **ფუნქციური უნარშეზღუდულობის ხარიხის დასადგენი ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაცია“ 2018-2019 ; დაფინასებულია UNISEF Georgia-ს მიერ.**

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

ანოტაცია:

*საქართველოში **ფუნქციური უნარშეზღუდულობის შეფასების** სამედიცინო მოდელიდან (ეყრდნობა სამედიცინო დიაგნოზს) სოციალურ მოდელზე გადასვლა, მოითხოვს სანდო და ვალიდურ ინსტრუმენტებს ფუნქციური შეზღუდვების ხარისხისა და დამხმარე სერვისების მასშტაბის დასადგენად. სოციალური მოდელის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია **სფეროს ექსპერტების მიერ შექმნილი ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაცია.***

*შინაარსობრივი ვალიდაცია ინსტრუმენტის შექმნის პროცესში **მინიმალური** აუცილებლობაა. დადგენილი პროცედურების მეშვეობით ფასდება, ზომავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტი იმას, რის გასაზომადაც იგი იქმნება. შინაარსობრივი ვალიდობა, ჩვეულებრივი, დგინდება **ექსპერტული შეფასების** შედეგად. შეესაბამება თუ არა ინტრუმენტში შეტანილი თითოეული შეკითხვა იმ მიზანს, რა მიზნითაც ინსტრუმენტი იქმნება - ეს არის კრიტიკული კითხვა, რომელზე პასუხიც სფეროს ექსპერტებისაგან ვიღებთ სპეციალური კითხვარის საშულებით. შედეგების ანალიზისთვის გამოვიყენეთ სხვადასხვა სტატისტიკური მოდელი; **Kappa index, Aiken index, CVI** (The Proportion agreement procedure as a Content Validity Index)*

სხვა პროექტები:

2. პერსონალის შერჩევა-შეფასებისთვის ინტელექტუალური უნარების ტესტისა და მენეჯერული უნარების ტესტის (შემთხვევის ანალიზი) შემუშავება. დამკვეთი: გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP),** პროფესიული განათლებისა და ტრენინგიდ პროექტების მიმართულება.

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

3. კარიერის დაგეგმვის ტრენინგ-მოდულის მომზადება. დამკვეთი: „ახალგაზრდული ინიციატივების რეგიონალური ასოციაცია(„აირა“). დონორი: **World Vision Georgia’;**

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

4. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული კონსულტაციის მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება. დამკვეთი: ასოციაცია **RDFG - Association Rural Development for Future Georgia** („სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“)
პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე
პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

5. ტრენერთა ტრენინგი პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერილ კონსულტაციაში. დამკვეთი: ასოციაცია **RDFG - Association Rural Development for Future Georgia** („სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“) **პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე**

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	**გზამკვლები კარიერის კონსულტირებაში;**	***მომზადებულია დასაბეჭდად***		

	სამეცნიერო რედაქტორი: ია კუტალაძე თანაავტორი: სოფიო დოლიძე			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გზამკვლევის თავში (N9) **„ინტერესები, ღირებულებები, დომინანტური როლები“** წარმოდგენილია ინტერესების დეფინიცია, განხილულია ინტერესების სახეები, კლასიფიკაციის სისტემები და შეფასების შესაძლებლობები, წარმოჩენილია ინტერესების მნიშვნელობა კარიერის დაგეგმვისა და განვითარებისთვის.

ამავე თავის ვრცელი ნაწილი ეთმობა ღირებულებების სხვადასხვა განსაზღრებას, აღწერილია ღირებულებების ფორმირების პროცესი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია შრომით ღირებულებებსა და ორგანიზაციულ ღირებულებებზე. განხილულია ღირებულებების შეფასების რამდენიმე ფორმა. წარმოდგენილია ღირებულებების საფუძველზე ფორმირებული დომინანტური ცხოვრებისეული როლების კონცეფცია. ხაზგასმულია ინდივიდის მიერ საკუთარი ღირებულებებისა და დომინანტური როლების იდენტიფიცირების მნიშვნელობა კარიერის არჩევისა და განვითარებისთვის.

გზამკვლევის თავში (N10) **„პიროვნება და უნარები“** წარმოდგენილია პიროვნების ცნების განსაზღვრება, განხილულია პიროვნების ფაქტორულანალიზური (მრავალგანზომილებიანი) სისტემები, პიროვნების შესწავლისა და შეფასების მეთოდები, მათი შეზღიდვები თუ დადებითი ასპექტები. ხაზგასმულია კარიერის კონსულტირების პროცესში ინდივიდის თვითშემეცნების, როგორც რაციონალური კარიერული არჩევანის წინაპირობის, სტიმულირების მნიშვნელობა.

ამავე თავში მოცემულია ზოგადი და სპეციფიკური უნარების, ასევე, ნიჭისა და ჩვევის განსაზღვრებები და მათი ფორმირება-განვითარების პრინციპები. წარმოდგენილია ინტელექტის სხვადასხვა დეფინიცია და თეორიული მოდელები ამ კონსტრუქტის შესახებ. ვრცელი ნაწილი ეთმობა ინტელექტისა და კოგნიტური უნარების შეფასების ინსტრუმენტების განხილვას, მათი კოსნტრუირების პრინციპებსა და სტრუქტურას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია კოგნიტური უნარების პრედიქტულ ღირებულებაზე კარიერული წარმატებისთვის, და, შესაბამისად, კონსულტირების პროცესში მათი შეფასების მნიშვნელობაზე.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი გოროშიძე	ორგანიზაციული ქცევის გაუმჯობესების პერსპექტივები უმაღლესი განათლების სისტემაში ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 | No.2(51)	თბილისი, საქართველო	გვ. 55-73
2	გიორგი გოროშიძე	ადამიანური რესურსების შეფასების და მართვის მოდელები განათლების სისტემაში (ორგანიზაციული ქცევა განათლებაში) ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 | No.3(53)	თბილისი, საქართველო	გვ. 76-90

3	გიორგი გოროშიძე	შრომითი კმაყოფილების გამომწვევი ფაქტორები ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში. ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 | No.4(54)	თბილისი, საქართველო	გვ. 78-88
4	გიორგი გოროშიძე	უმაღლესი განათლების სისტემაში ორგანიზაციული ქცევის „პროგრესული მოდელის“ გამოყენების საჭიროება (აკადემიური კადრების საკონკურსო-საატესტაციო შეფასება) ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 | No.4(54)	თბილისი, საქართველო	გვ. 50-63
5	გიორგი გოროშიძე, თამარ ზანგალაძე	სუბიექტური კეთილდღეობის და შრომითი კმაყოფილების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურება ISSN 2667–9027	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2020 | No.2 წარდგენილია	თბილისი, საქართველო	10 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი ემსახურება სხვადასხვა სფეროში საზოგადოების მიერ მოთხოვნილი კადრების მომზადების მნიშვნელოვან ამოცანას, რაც ყოველთვის აქტუალურს ხდის ამისთვის პირობების გაუმჯობესებას და ხელშემშლელი ფაქტორების მინიმიზირებას. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხშირად აღინიშნება ხარვეზები როგორც მთლიანად მის მართვაში, ისე ფაკულტეტებზე სამუშაოებისა და ურთიერთობების ორგანიზაციაში, რაც აუცილებლად საჭიროებს მათ

გამოსწორებას სამართლებრივი ბაზისა და ორგანიზაციული ქცევის ნორმების სათანადო კორექტირების გზით. ეს საბოლოოდ ხელს შეუწყობს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას.

2. უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტებში აღინიშნება მზარდი უკმაყოფილება აკადემიური კადრების მოღვაწეობის ადეკვატური შეფასებისა და მართვის სფეროში. განსაკუთრებული სიმწვავე წარმოიშობა ხშირად არაკორექტულად ჩატარებული კონკურსების დროს, როდესაც ადამიანები დაუმსახურებლად რჩებიან სამსახურის გარეშე. მსგავსი პრობლემის გადაწყვეტა წარმატებით არის შესაძლებელი კონკურსების ჩატარების წესების გაუმჯობესების გზით; უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებისთვის და განვითარებისთვის სრულიად აუცილებელია, რომ მასში მუშაობის დიდი სტაჟისა და დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე აკადემიური კადრები დაცულები იყვნენ ხსენებული გაურკვევლობისგან და გადაყვანილები იქნან „საატესტაციო რეჟიმზე“, რითიც მოხდება მათი ღვაწლის მეტად დაფასება, ხოლო მათი მოტივაციის და შრომის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. სტატიაში განხილული აკადემიური კადრების შეფასებისა და მართვის 4 მოდელიდან („პროგრესული მოდელი“, „ბიზნეს მოდელი“, ფორმალური მოდელი“, „ავტორიტარული მოდელი“) „პროგრესული მოდელის“ გამოყენება ქმნის ყველაზე უფრო უკეთეს პირობებს ადამინური კაპიტალის მაქსიმალური შენარჩუნებისთვის და ეფექტიანი გამოყენებისთვის, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მუშაობის მაჩვენებლებს.

3. შრომითი კმაყოფილების მიმართ ინტერესი ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლებაში მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. მაღალი შრომითი კმაყოფილება საბოლოოდ განაპირობებს მეტი შემოსავლების მიღებას. ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომითი კმაყოფილების ამაღლებას, შეიძლება მომუშავის აქტივობის სხვადასხვა დონეს განეკუთვნებოდნენ. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ საინტერესო თეორიას ფ. ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით გამოსაყოფია ფაქტორთა 2 კატეგორია - ჰიგიენური ფაქტორები და მოტივატორები, რომელთაგან მოტივატორები (მაღალი საფეხურის ფაქტორები) განიხილებიან შრომითი კმაყოფილების წარმომშობ მთავარ მექანიზმებად და განაპირობებენ ორგანიზაციის მეტ წარმატებებს. მათი დაკმაყოფილებისთვის მეტი ზრუნვის გაწევა ხელს უწყობს მომუშავეთა შორის მაღალი დონის ურთიერთობების განვითარებას, რაც პერსპექტივაში აუმჯობესებს ორგანიზაციის სტაბილური ფუნქციონირების შესაძლებლობებს. ამიტომ ორგანიზაციები მუდმივად უნდა ცდილობდნენ არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას მომუშავეთა მაღალი მოტივების დაკმაყოფილებისთვის.

4. სტატიაში განხილულია უმაღლესი განათლების სისტემისთვის უმწვავესი საკითხი - აკადემიური კადრების საკონკურსო-საატესტაციო შეფასება. ამ საკითხის სიმწვავე გამომდინარეობს იმ ნეგატიური პროცესებიდან, რომლებსაც ხშირად აქვს ადგილი კონკურსების ჩატარების დროს კრიტერიუმთა სისტემის გაუმართაობის გამო. არსებული სიძნელეებიდან გამოსავალი მდგომარეობს აკადემიური კადრების შეფასების ადეკვატური მოდელის შემუშავებაში და მის საფუძველზე შეფასების კრიტერიუმთა დაბალანსებული სისტემის დადგენაში. სტატიაში შემოთავაზებულია აკადემიური კადრების შეფასების „პროგრასული მოდელი“ და მის ფარგლებში სამუშაოს შეფასების კრიტერიუმთა ის კომპლექსი, რომლითაც შესაძლებელი ხდება აკადემიური კადრების ყველა არსებული

კატეგორიის მიერ გაწეული მუშაობის მრავალმხრივი შეფასება. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებით მოხდეს აკადემიური მუშაობის და მეცნიერების დარგების მეტი ეფექტიანობით განვითარების უზრუნველყოფა.

5. სტატიაში ნაცადია შრომითი კმაყოფილების მნიშვნელობის გარკვევა მომუშავეთა სუბიექ-ტური კეთილდღეობის ფორმირების პროცესში, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. ადამიანთა შრომითი საქმიანობის მეტი ეფექტიანობით წარმართვისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედებისთვის ისეთ მზაობებს, რომლებიც განწყობის სახელითა არის ცნობილი. მათ შორის ერთ-ერთია შრომითი კმაყოფილება. იგი გაწყობის ის ნაირსახეობაა, რომელსაც შემუშავებისა და აქტივობის თავისი სპეციფიკური კანონზომიერებები გააჩნია. მასზე ბევრწილად არის დამოკიდებული შრომის საბოლოო შედეგები, რომლებიც შემდეგ აისახებას მთელი ორგანიზაციის შემოსავლებზე. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს მაღალი შრომითი კმაყოფილება ამაღლებული სულიერი მდგომარეობის მიღწევას სუბიექტური კეთილდღეობის სახით და აგრეთვე ისიც, თუ, თავის მხრივ, როგორ შეიძლება მოქმედებდეს მაღალი სუბიექტური კეთილდღეობა ასევე შრომითი კმაყოფილების ამაღლებაზე. ჩატარებულ კვლევაში გამოვლენილი სუბიექტური კეთილდღეობის დომინირება გვაფიქრებინებს იმას, რომ შრომითი კმაყოფილების ასამაღლებლად უკეთესი პირობებია შესაქმნელი სხვადასხვა დონის რაც შეიძლება მეტი ხელშემწყობი ფაქტორის ასამოქმედებლად, ვინაიდან მათი მცირე რაოდენობა მათ მიმართ ადაპტაციის ადვილად მიღწევის შედეგად სწრაფად კარგავს ქმედითობას, მცირდება მომუშავეთა შრომითი კმაყოფილება და შრომის შედეგებიც შესაბამისად უარესდება. შრომითი კმაყოფილების ამაღლებისთვის ხელშემწყობი სხვადასხვა დონის ფაქტორების არსებული სიმრავლის მაქსიმალური ამოქმედება, რომელთა მიმართაც მომუშავეების ადაპტაცია ადვილად უკვე ველარ ხორციელდება, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ ნაყოფიერ მიდგომას შრომითი კმაყოფილების და შრომის ეფექტიანობის მდგრადი განვითარებისა და ამაღლებისთვის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გოროშიძე	მდგომარეობა, დამოკიდებულება და მზაობა როგორც განწყობის არსებობის ფორმები	ფსიქოლოგის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური კონფერენცია. თბილისი, 2019

2	გიორგი გოროშიძე, თამარ ზანგალაძე	შრომითი კმაყოფილების როლი პერსონალის სუბიექტური კეთილდღეობის ფორმირებაში	რევაზ ქვარცხავას საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019
3	გიორგი გოროშიძე	გლობალიზაცია და განათლების ტენდენციები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სხვა აქტივობები:

სოფო დოლიძემ მიიღო მონაწილეობა პროგრამაში:

Erasmus+ staff mobility program

მობილობის პერიოდი 01 – 06. 04.2019

ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრში მობილობის პროგრამის ფარგლებში გამართული სემინარის მიზანი იყო ბავშვის განვითარების სადიაგნოსტიკო გერმანულენოვანი ინსტრუმენტის (Entwicklungstest fuer Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren; F. Petermann & T. Macha, 2013) ადაპტირებისა და სტანდარტიზების კვლევის მომზადება. სემინარზე განხილულ იქნა: კვლევის თეორიული ჩარჩო, საველე სამუშაოების გეგმა, მონაცემთა ბაზის დიზაინი, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის ჩარჩო.

6 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვების განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის (Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren, ET 6-6-R, Petermann & Macha) ქართული ვერსიის შემუშავება

ქართულ რეალობაში სპეციალისტებისთვის დღემდე გადაუჭრელ ამოცანად რჩება ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესაფასებელი სტანდარტიზებული ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, რომლებიც ქართულ პოპულაციაზე იქნება მორგებული. ამგვარი ინსტრუმენტების არსებობა ფსიქოლოგიური დიაგნოსტირების სანდოობის ხარისხის გარანტია, ამასთან, ბავშვის მდგომარეობით დაინტერესებულ სპეციალისტებს შორის თანამშრომლობას, ერთ ენაზე საუბარს უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ადრეული ბავშვობა სწორედ ის პერიოდია, როცა სხვადასხვა სახის განვითარების დარღვევის დროული იდენტიფიკაცია კრიტიკული მნიშვნელობისაა მომავალში ბავშვის მდგომარეების გასაუმჯობესებლად, მისი განვითარების ხელშესაწყობად. მით უფრო რთულია განვითარებაში პრობლემების იდენტიფიკაცია, როცა საქმე ეხება არათვალშისაცემ, ძნელად შესამჩნევ ნიშნებს. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალისტების მიერ ბავშვის განვითარების მდგომარების მრავალმხრივი და დროული შეფასება შესაბამისი ასაკისთვის განკუთვნილი სანდო და ვალიდური ინსტრუმენტის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადრეულ ასაკში (6 თვიდან 6 წლამდე) ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ინსტრუმენტის (Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren, ET 6-6-R, Petermann & Macha) ქართული ვერსიის შემუშავება. ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია განვითარების 6 სფეროს შეფასება:

- მსხვილი მოტორიკა
- ფაქიზი მოტორიკა
- კოგნიტური სფერო
- მეტყველება
- სოციალური განვითარება
- ემოციური განვითარება.

აღნიშნული ინტრუმენტი ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრში მომზადდა და აქტიურად გამოიყენება გერმანულენოვან სივრცეში, ნათარგმნი და სტანდარტიზებულია, ასევე, რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის იაპონიაში. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების ლიცენზიის მოპოვება Pearson-ის გამომცემლობისგან შესაძლებელი გახდა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ბრემენის უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში.

კვლევითი პროექტი, რომელიც ტესტის ქართული ვერსიის შემუშავებას ითვალისწინებდა, დაფინანსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

- ინსტრუმენტის თარგმნა/უკუთარგმნა
- ექსპერტული შეფასება (დავალებების შინაარსობრივი ვალიდობის შეფასება)
- სააპრობაციო კვლევის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სამუშაობის განხორციელება და კოორდინირება)
- პირველადი სააპრობაციო კვლევა
- მონაცემთა ბაზის შექმნა
- მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზი

- ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე დავალებების რევიდირება
- ტესტის საბოლოო ვერსიის კონსტრუირება

კვლევა ჩატარდა 06.2019 – 12.2019 პერიოდში. მონაცემები შეგროვდა თბილისში, ასევე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში. კვლევა ჩატარდა 2-დან 6 წლამდე ასაკის 433 ბავშვზე და მათ მშობლებზე.

პროექტში მონაწილეობდნენ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლები. კვლევის კოორდინატორი: ლუიზა არუთინოვა (თსუ ასოცირებული პროფესორი), ტესტის მთარგმნელი: ივანე მინდაძე (თსუ ასოცირებული პროფესორი), მკვლევრები: სოფიო დოლიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი), თეონა ლოდია (თსუ ასისტენტ პროფესორი).

მაია როზაქიძე:

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსისათვის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამული უზრუნველყოფის მომზადების **კოორდინატორი**.- 2019 წ ივლისი-დეკემბერ ი(მიმდინარე პროექტი, სრულდება 2020 წელს, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაფინანსებით)

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსისათვის თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილებასთან ერთობლივი მუშაობით მომზადდა პირველი ქართულენოვანი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამული ვერსიები.

პროგრამა შედგება 16 განსხვავებული ექსპერიმენტისაგან, პროგრამის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მას მოყვება მოდული, რომლითაც ექსპერიმენტების კონსტრუირებაა შესაძლებელი და შესაბამისად, მკვლევარს შეუძლია ცალკეული დავალებების ექსპერიმენტულ დიზაინში შეიტანოს ცვლილებები და დაგეგმოს მისთვის საინტერესო საკვლევი საკითხის შესასწავლად ინდივიდუალური დიზაინის კვლევა. ამჟამად დასრულებულია 6 ექსპერიმენტი.

პროგრამის მახასიათებლები/ანოტაცია:

- სისტემის ქართულენოვანი ინტერფეისი
- სხვადასხვა ფუნციონალზე წვდომების უფლებების გაწერა/შესაძლებლობა: მაგ. მონაცემთა გაერთიანების, დავალების დიზაინში, ცვლილებების შეტანა შეუძლია მკლევარს, სტუდენტს.
- სტუდენტები რეალურად იღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტებში - ასრულებენ დავალებებს და იღებენ შედეგებს მონაცემთა ცხრილისა და დიაგრამების სახით, რითაც მნიშვნელოვნად იზოგება სალექციო დრო
- შესაძლებელია მონაცემთა ფაილის ექსპორტირება MS Excel-ში და სხვა სტატისტიკურ პროგრამებში

- შესაძლებელია თითოეული სტუდენტის შემთხვევაში ნედლი მონაცემების, აღწერითი სტატისტიკის ცხრილებისა და დიაგრამების ნახვა;
- მონაცემები იგზავნება ინტერნეტის საშუალებით ინსტრუქტორის ვერსიაში;
- ინსტრუქტორის ვერსიაში შესაძლებელია სტუდენტთა მონაცემების გაერთიანება და შემდეგ მონაცემთა ანალიზის მთელი ჯგუფის მონაცემებზე ჩატარება;
- მომხმარებლებს/ინსტრუქტორს სისტემა აძლევს საშუალებას თვითონ მოახდინონ ექსპერიმენტების მოდიფიცირება, შექმნან ახალი დიზაინები/კონფიგურაციები და ექსპერიმენტის საკუთარი ვერსიები შეიმუშავონ.
- პროგრამაში მომხმარებელთა რეგისტრაცია შესაძლებლია მხოლოდ თსუ-ს მეილითა და წინასწარ მიცემული პაროლის საშუალებით/ან ტელეფონზე გამოგზავნილი კოდის საშუალებით

ინსტიტუტის თანამშრომლის როლი (მაია რობაქიძე)

- ექსპერიმენტების შერჩევა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსის სილაბუსის შესაბამისად.
- ექსპერიმენტების ელექტრონული ვერსიის დეტალური გაწერა, პროგრამისტებისათვის ტექნიკური დავალების მომზადება
- პროგრამისტებთან ერთობლივი მუშაობა პროგრამის შექმნის პროცესში და პირველადი ვერსიების ტესტირება
- კომპიუტერული პროგრამის ადმინისტრერება, სილაბუსით გაწერილი კურსისათვის სტანდარტული ექპერიმენტების ბაზის მომზადება

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოიის სადოქტორო პროგრამის 2 დოქტორანტმა

1. ანა ტიკარაძე ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან;
ხელმძღვანელი: ია კუტალაძე
2. თეა გველესიანი: ,, პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში''
ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- თამარ გაგოშიძე (ხელმძღვანელი)
- ლალი სურმანიძე
- ირაკლი იმედაძე
- თამარ აბაშიძე
- ირინე ჟვანია
- ვლადიმერ გამსახურდია
- მაია მაჭავარიანი-წერეთელი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
YS 1743	ვლადიმერ ლადო გამსახურდია - ხელმძღვანელი	ქართველთა აკულტურაციისა და შინაგანი დიალოგისათვის მისი მნიშვნელობის კვლევა	
პროექტი მიზნად ისახავს იმის კვლევას, თუ რა გავლენას ახდენს და რა როლს თამაშობს სოციოკულტურული ცვლილებები ქართველთა მენტალური სტრუქტურებისა და მათი შინაგანი დიალოგისთვის. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გლობალიზაციასა და სხვა ჯგუფებთან ინტერაქციას ქართველებისათვის. კვლევა წვლილს შეიტანს აკულტურაციის ფსიქოლოგიის განვითარებაში. იგეგმება კომპლექსური კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენება ემიკური და ეტიკური მიდგომების გამოყენებით, რაც შესაბამისობაშია ამ სფეროში არსებულ თანამედროვე გამოწვევებთან.			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	შვედეთის მთავრობა	2019-2020	ვლადიმერ გამსახურდია - ხელმძღვანელი
კვლევა მიზნად ისახავს ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები ემიგრანტების ადაპტაციური გამოცდილებებისა და სტრატეგიების შესწავლად. კლევის ფოკუსში ეთნიკურად ქართველი ემიგრანტები არიან მოქცეული. კვლევის პროცესში გამოიყენება თვისებრივი მეთოდოლოგია.			

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC)	გრანტი # 1818	თამარ მახარაძე, ნანა სუმბაძე, თამარ აბაშიძე, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია	„ზრუნვის საჭიროებების, სერვისებისა და პოლიტიკის კვლევითი პროექტების“	2019–2020 (ხანგრძლივობა 15 თვე)
	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	გრანტი # 1828	თამარ მახარაძე, თამარ აბაშიძე, ანასტასია ქიტიაშვილი, საბინე ლაუბერ პოლიურსულა	„ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება“	2019 (ხანგრძლივობა 10 თვე)

			მარკოვსკა-მანისტა		

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	GWEN GARDINER, KYLE SAUERBERGER, Vladimer Gamsakhurdia, MEMBERS OF THE INTERNATIONAL SITUATIONS PROJECT, AND DAVID FUNDER	9789949779970	Tartu: University of Estonia Press 2019	15
აღინშნულ პუბლიკაციაში განხილულია პიროვნების ტიპების/ტიპოლოგიის შესწავლის კროს-კულტურული თავისებურებებისა და ინდიგენური ფაქტორების გათვალისწინების სპეფიციკა. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს და მიზნად ისახავს ამ კუთხით არსებული მიდგომების სრულყოფას. კვლევა ეფუძნება მრავალათასიანი შერჩევის რაოდენობრივ გამოკითხვას.				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tamar Chkhaidze1 & Lali Surmanidze	Culture and Individual Action: Rebuilding the Broken Dialog Between Anthropology and Psychology https://doi.org/10.1007/s42087-019-00091-9	Human Arenas.	Springer Nature Switzerland AG 2019;	

2	Victor Karandashev, Elena Zarubko, Veronika Artemeva, Makesha Evans, Kai Andito Damali Morgan, Félix Neto, Cyrille Feybesse, **Lali Surmanidze**, Jeanette Purvis.	Cross−Cultural Comparison of Sensory Preferences in Romantic Attraction.	Sexuality & Culture. Vol. 23, Issue 4; http://www.springer.com/home?SGWID=0-0-1003-0-0&aqId=3796885&download=1&checkval=dc41974ef9de04c2fb9ad9e4eb6f0f80	Springer, online 2019	1-31
3	Maia Machavariani-Tsereteli, Lali Surmanidze, Tamar Gagoshidze Vladiemer Gamsaxurdia	Stigma and Self-Stigma in Adolescents with Epilepsy psycho-semantic approach https://doi.org/10.1177/1354067X19829020	Georgian Psychological Journal, Tbilisi State University ISSN	TSU,2019 Riutledge	72-80
4	Vladiemer Gamsaxurdia	10.1007/s42087-019-00062-0	Culture & Psychology, 25, 2, 161-177	Springer	16
5	Vladiemer Gamsaxurdia	10.1007/s12124-019-09481-8	Human Arenas, 2, pp.356–377	Springer	21
6			Integrative Psychological and Behavioral Science volume 53, pp.558–571		

					13

1. კულტურა და ინდივიდუალური ქცევა: ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის გაწყვეტილი დიალოგის აღდგენა

ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის ერთმანეთისგან განცალკევება ჯერომ ბრუნერის მიერ განიხილებოდა, „როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემაფერხებელი მოვლენა“ (Bruner 1996). თეორიული პერსპექტივების მეტაანალიზი ადასტურებს ქცევის ახსნის უკმარისობას ორივე სფეროში. ჩვენი თვალსაზრისით, ეს კარგი სტიმულია საიმისოდ, რომ დავიწყოთ შეწყვეტილი დიალოგის აღდგენა ამ დისციპლინებს შორის იმის შესწავლის მეშვეობით, რითაც თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და კულტურის ფსიქოლოგია ერთმანეთის ინფორმირებას ახდენს და ერთმანეთს იწვევს (Matingly, Lutkehaus, & Troop, Ethos, 36 (1), 1-28, 2008).

თანამედროვე ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური სკოლა კულტურას განსაზღვრავს, როგორც კულტურული სქემების ერთობლიობას (D’Andrade 1995; Shore 1996; Strauss and Quinn 1997). ამ განსაზღვრებამ კულტურა ადამიანის გონებაში შეიტანა და ამით კულტურასა და ქცევას შორის დისტანცია შეამცირა. იმავდროულად, ეს სკოლა გადააწყდა შემეცნებასა და ქცევას შორის წყვეტას - ამ მოდელთა დირექტიული ძალის სახელით კარგად ცნობილ პრობლემას. მისი არსი ისაა, რომ ქცევაზე გავლენის მოსახდენად, კოგნიტური სქემები გავლენასთან უნდა ასოცირდებოდეს ინდივიდის დონეზე (Westen 2001). აქ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აფექტური პროცესების სემიოტიკურად ორგანიზებულობის შესახებ სემიოტიკურ-კულტურული ფსიქოლოგიური წარმოდგენები სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისთვის, შეავსოს ის, რაც, თავის მხრივ, ინდივიდუალურ ქცევაზე კულტურის გავლენის ფუნდამენტური როლის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

2. სენსორული მახასიათებლების როლი რომანტიკული პარტნიორის არჩევაში.

პარტნიორის სხვადასხვა მახასიათებელი - ვიზუალური, აკუსტიკური, ტაქტილური და კინეტიკური, ყნოსვის და გემოს - გავლენას ახდენს ადამიანის არჩევანზე და რომანტიკულ მიმზიდველობაზე.

ევოლუციური ფაქტორები, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პარამეტრებთან ერთად, ამგვარ უპირატესობებში თავიანთ როლს ასრულებენ. განსხვავებული ეკონომიკური და კულტურული პარამეტრებით აღწერილ კულტურებში კვლევების სერიით შესწავლილ იქნა რომანტიკულ მიმზიდველობაში სენსორული პარამეტრების ინტერკულტურული მსგავსება/განსხვავებები.

კვლევაში 2740 რესპონდენტი მონაწილეობდა 6 ქვეყნიდან (რუსეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, საქართველო, აშშ, იამაიკა). ისინი სპეციალურად შექმნილ სკალაზე თავიანთი რომანტიკული პარტნიორის გარეგნობაში პარამეტრების მნიშვნელობას აფასებდნენ.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონის პარამეტრებად გათვალისწინებულ იქნა ადამიანის განვითარების და კეთილდღეობის ინდექსი **HDI** (გაერთიანებული ერების ადამიანის განვითარების პროგრამის 2015 წლის ანგარიშიდან) და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი (**GDP** - *Gross Domestic Product*,), ჰოფსტედეს ღირებულებების სკალები, ღირებულებათა ემანსიპაციის მაჩვენებლები (ღირებულებათა მსოფლიო მიმოხილვა) და კულტურულ-ღირებულებითი ორიენტაციები შვარცის მიხედვით.

შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის განვითარების დონესა და კულტურულ პარამეტრებზე დაყრდნობით შესაძლებელია რომანტიკული პარტნიორის გარეგნობაში უპირატესობების მინიჭების პროგნოზირება. ყველაზე ზოგადი განსხვავებები სენსორულ უპირატესობებში ვლინდება კულტურების მოდერნიზაციის ხარისხის მიხედვით, შესაბამის სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებთან ერთად. სტაბილური ბიოლოგიური და ევოლუციურად განპირობებული პარამეტრები - სუნი, კანი, ფიგურა - მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნაკლებად მოდერნიზებულ საზოგადოებებში, რომლებსაც ახასიათებთ, ერთის მხრივ, ინდივიდუალიზმისა და ტოლერანტობის, ემანსიპაციური ღირებულებებისა და აფექტური ავტონომიის დაბალი მაჩვენებლები, მეორეს მხრივ, შედარებით გრძელი ძალაუფლებრივი დისტანცია, განუსაზღვრელობისგან გაქცევის და ხანგრძლივი ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლები, იერარქიისა და ჰარმონიის მაღალი ღირებულება. ეს თავისებურებები ამ ქვეყნებს ახასიათებთ, როგორც ნაკლებად მოდერნიზებულს, გადარჩენის ღირებულების დიდი მნიშვნელობით.

რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მიმზიდველობის შეფასებაში მით უფრო მნიშვნელოვანია გარეგნობის უფრო მოქნილი, სოციალურად შეკვეთილი მახასიათებლები, მაგ, ჩაცმის და ქცევის სტილი. ამ კულტურებს ახასიათებს, ერთის მხრივ, შედარებით მაღალი **HDI** და **GDP,** ინდივიდუალიზმის და ტოლერანტობის, ემანსიპაციური ღირებულებების და მიჯაჭვულობა/ავტონომიის მაღალი მაჩვენებლები; მეორეს მხრივ, ძალაუფლებრივი დისტანციის, განუსაზღვრელობისგან გაქცევის და ხანგრძლივი ორიენტაციის, იერარქიისა და ჰარმონიის შედარებით დაბალი ინდექსები. ეს თავისებურებები ამ ქვეყნებს ახასიათებთ, როგორც მეტად მოდერნიზებულს (თანამედროვეს), თვითგამოხატვის ღირებულების დიდი მნიშვნელობით.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ აბაშიძე, თამარ მახარაძე	რას ანიჭებენ უპირატესობას სამუშაოს მაძიებლები საქართველოში;	ISSN 2167-3179; 2019 WEI International Academic Conference Proceedings; Education &Humanities

2.	ვლადიმერ გამსახურდია	“Introducing proculturation – adaption to new environments”	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში (დასვლეთ-აღმოსავლეთის ინსტიტუტი); 2019 წ., 16-18 აპრილი; ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ავსტრია კოპენჰაგენი, 19-31 აგვისტო, 2019 წელი
ვლადიმერ გამსახურდიამ კონფერენციაზე წარმოადგინა პროკულტურაციის ძირითადი პოსტულატები და რელევანტურ თემატიკაზე არსებულ მიდგომებთან მათი მიმართება. პრეზენტაციის დროს განხილულ იქნა უცხო კულტურებთან ადაპტაციის თაობაზე არსებული თეორიული მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი განვითრების პერსპექტივები. კერძოდ, წინა პლანზე იქნა წამოწეული ინტერაქციული მიდგომების დიდი მნიშვნელობა.			

განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- მზია წერეთელი (ხელმძღვანელი)
- ია აფთარაშილი
- ნინო ლაბარტყავა
- მანანა მელიქიშვილი
- სოფიო თევდორაძე

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ლაშა ხოჯანაშვილი, მზია წერეთელი	**ADULT TEACHING SPECIFIC CHARACTERS AT THE LAW ENFORCEMENT SUBORDINATE ORGANIZATIONS (AN EXAMPLE OF ACADEMY OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS)** ზ რ და ს რ უ ლთა ს წ ა ვ ლე ბ ი ს თა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ი ძ ა ლო ვ ა ნ ს ტ რ უქ ტ უ რ ა თა ქ ვ ე მ დე ბ ა რ ე ს ა ს წ ა ვ ლო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ შ ი (შ ი ნ ა გ ა ნ ს ა ქ მ ე თა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს ა კ ა დე მ ი ი ს	GESJ: Education Science and Psychology 2019 | No.1(51)	თბილისი,	7

		მ ა გ ა ლი თზე) ISSN 1512-1801			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად, იზრდება სწავლის ფუნქციური დატვირთვა პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისათვის. სახელმწიფოს წარმატებით ფუნქციონირების საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს მისი სამართალდამცავი უწყებები. შესაბამისად, მაღალკვალიფიციური სამართალდამცავის სტანდარტის შექმნა სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესია. არსებული სტანდარტის მიღწევისათვის არსებითია სამართალდამცავ უწყებათა ბაზაზე არსებული სასწავლო დაწესებულებების სწავლების ხარისხის ზრდა და რეკრუტებისთვის სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისათვის აუცილებელი ცოდნის, დამოკიდებულებების და უნარების, გამომუშავება. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა გაგვერკვია, თუ რა ზეგავლენა აქვს, ისეთ ცვლადებს, როგორიცაა, სწავლების დიზაინს, წინარე გამოცდილებას, ასაკს, შემსწავლელის აკადემიურ მიღწევაზე. მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა კვლევის ექსპერიმენტალური დიზაინი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 68 მსმენელმა. კვლევის შედეგთა სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა T სტატისტიკის და წრფივი მრავლობითი რეგრესიის საშუალებით. ანალიზმა აჩვენა რომ სწავლების დიზაინის ცვლილება აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, არ არის საკმარისი ფაქტორი და დიზაინის ცვლილებასთან ერთად აუცილებელია ანგარიში გაეწიოს შემსწავლელის ინდივიდუალურ წინარე გამოცდილების თავისებურებას. კვლევამ ასევე აჩვენა როგორც მასალის ათვისების ტრადიციული მექანიზმი ასევე ცოდნის ათვისების იმპლიციტური ფორმა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ია აფთარაშვილი, მზია წერეთელი,	THE STRUCTURE OF THE ACADEMIC SELF-CONCEPT AND	Harvard & MIT 2019 | IJAS, Boston, MA, USA 28-30 May

		ITS RELATIONSHIP WITH PERSONALITY AND ACADEMIC PERFORMANCE IN ADOLESCENTS (აკადემიური მე კონცეფციის სტრუქტურა და მისი მიმართება პიროვნულ ნიშნებსა და აკადემიურ წარმატებასთან მოზარდებში)	ბოსტონი, აშშ 28-30 მაისი
2	მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი	Predictors of Academic Success and Self-Esteem of Georgian Students (ქართველ სტუდენტთა აკადემირი წარმატებისა და თვითშეფასების პროედიქტორები)	Harvard & MIT 2019 | IJAS, Boston, MA, USA 28-30 May ბოსტონი, აშშ 28-30 მაისი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- ანასტასია ქიტიაშვილი (ხელმძღვანელი)
- ნანა სუმბაძე
- ვახტანგ ნადარეიშვილი
- გიორგი ყიფიანი
- ეკატერინე ფირცხალავა
- მედეა დესპოტაშვილი
- ლია ჩხიკვიშვილი

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
	Kitiashvili, Sumbadze Dealing with Identity Loss and Well-being of Unemployed Young People	Journal of Advanced Research	Volume: 2 | Issue: 1 | Page No: 32-50
	N. Sumbadze. B. Mitchenek, J. Regulska, A. Kitiashvili, E. Pirtskalava, T. Makharadze, M. Maisuradze.	Anxiety in the Narratives of the Displaced by the War Population .	TSU Psychology, N1

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	გ. ყიფიანი	1ა.დისკუსია ადამიანის უფლებებსა და მედიის თვით-რეგულირების შესახებ ქართულ მედიაში	1.აბრეშუმის გზის მე-14 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ გლობალიზაცია: ტენდენციები და პერსპექტივები“ , თბილისი 11 ოქტომბერი, 2019 2.კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი

		1ბ. იდეოლოგიური მიდგომები ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი მორალის მიმართ სოციოცენტრულ კულტურაში 2. ქართული სუფრის ფესვების შესახებ დისკუსიის იდეოლოგიური ასპექტები 3. ზნეობრივი სტანდარტები და სატელევიზიო მედიის რეგულირების პრიორიტეტები ამერიკის შეერთებული შტატებსა და საქართველოში	4 ნოემბერი, თბილისი 3. ამერიკისმცოდნეობის მე-20 კონფერენცია თბილისი, 25 მაისი
	ა.ქიტიაშვილი	მე-სთან დაკავშირებული და სოციალური ასპექტების გავლენა დადებითი სოციალურ იდენტობის ჩამოყალიბებაზე	სოციალური ფსიქოლოგიის თანამედროვე პრობლემები, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, თს
	Pirtskhalava E.P Pirtskhalava E.P	2019 International Conference: Ethnocultural Diversity and Intercultural Communication. 2019 "Current Issues of Social Psychology" Institute of Social	Georgia. TSU. October 24-26. Georgia Faculty of Psychology and Educational Sciences. TSU. Georgia. TSU. November 5

	Pirtskhalava E.P Pirtskhalava E.P	Psychology. 2019 - Scientific Conference “Psychology, Therapy, Rehabilitation and Sport”. Association for Neuroscience. 2019. Psychology in Georgia is 101 years old. Faculty of Psychology and Educational Sciences.	Georgia. April 21. TSU. April 12. Georgia.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Sumbadze; N.Gobejishvili	Alone in the crowd	Jerusalem, July
	A. Kitiashvili	Social and Psychological Effect of Poverty on Children in Georgia	Rome, Italy
	A. Kitiashvili	Inluence of Positive Social Status on Formation of Social Identity among Youth	Canada, Montreal
	Pirtskhalava E.P	2019 - The International Conference on Modern Research in Social	12-14 April. University of Lisbon. Portugal

	Pirtskhalava E.P	Sciences, oral presentation Lisbon 2019 **ASN 24trd World Convention** oral presentation.	NYC May **2-4,** at the Harriman Institute, Columbia University. The USA
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

პედაგოგიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- ქეთევან ჭკუასელი (ხელმძღვანელი)
  ეთერ ღვინერია
- იზაბელა პეტრიაშვილი
- რუსუდან სანაძე
- ზაქარია ქიტიაშვილი
- ივანე მინდაძე
- ნინო ჩახუნაშვილი
- ეფემია ხარაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში“ - CURE: Curriculum Reform for Promoting Civic Education and Democratic Principles in Israel And in Georgia	2016-2019 (ვადა გაგრძელებულია 31.03.2020) ERASMUS+ (N573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP)	პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი მონაწილეები: პროფ. ქეთევან ჭკუასელი ასისტ. პროფ. ნინო ჩახუნაშვილი
2	შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს სასწავებლებში. Assessment Tools for new learning environments in	2017-2020 ERASMUS+ (585587-EPP-1-2017-1-IL-EPPKA2-CBHE-JP)	პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი მონაწილეები:

	higher education institutions		პროფ. ქეთევან ჭკუასელი ასისტ. პროფ. ეფემია ხარაძე,

1.პროექტის იყო სამწლიანი (2016–2019). თუმცა ვადა გაუგრძელდა 2020წ. 31.მარტის ჩათვლით. ამ ეტაპისთვის ევროპელ კოლეგებთან ერთად შემუშავებულია 4 კურსი სამოქალაქო განათლების მიმართულებით, ქართულ ენაზე მომზადებულია და გამოცემულია სამი რიდერი (საკითხავი მასალა) ამ კურსებისთვის). ჩატარებულია მასწავლებლების ტრენინგები პროექტის მონაწილე 4 ევროპულ უნივერსიტეტში, რომელთა შედეგად ჩატარდა 6 ვორქშოპი ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებისთვის.

2. პროექტი არის სამწლიანი (2017–2020). ამ ეტაპისთვის ძირითდი სამუშაო შესრულებულია: შედგენილია 6 შეფასების ინსტრუმენტი ინოვაციური სასწავლო გარემოსთვის, შემუშავებულია ამ უნსტრუმენტების სახელმძღვანელოები, მიმდინარეობს მათი ქართულ ენაზე თრგმნა. ჩატარდა 2 საერთაშორისო ტრენინგი პროფესორ მასწავლებლებისთვის (ისრაელსა და საქართველოში), და ტრენინგ- ვორქშოპები ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ივანე მინდაძე	**ფსიქოლინგვისტიკა 978-99940-54-83-1**	არეტე	282

სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს მკითხველს ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის მომიჯნავე დისციპლინის – ფსიქოლინგვისტიკის – ძირითადი ასპექტები, წარმოაჩინოს ამ დარგში მიმდინარე სიახლეები და სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვანი მიმართულებები. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველი (მშობლიური) ენისა და მეორე (უცხოური) ენის ათვისების საკითხებს, დეტალურად არის აღწერილი ენისა და აზროვნების, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებები.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იზაბელა პეტრიაშვილი (თანაავტორი)	საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის: აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა	თბილისი, 2019	190 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)~ აღნიშნული კურსი შეიქმნა ერაზმუს+ პროექტის „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“. პროექტის ნომერი: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP				

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ეთერ ღვინერია,	აღზრდის	სკოლის მართვა	განთლების,	7 გვ

	თინათინ ქავთარაძე	პრინციპები მიშელ მონტენის მიხედვით	№2, 2019	მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო თბილისი	

მიშელ მონტენი არის აღორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსი (1533-1592). მისი ძირითადი შრომაა „ცდები“, რომლის ერთი ნაწილიც - „ბავშვთა აღზრდის შესახებ“ - იქნება აღნიშნული სტატიის განხილვის საგანი.

მონტენის ეს შრომა იწყება იმის მტკიცებით, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული სიძნელეები უკავშირდება აღზრდასა და სწავლებას. სტატის მიზანია, მივდიოთ მის შეხედულებებს აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით, ამისათვის კი გამოვყოთ რამდენიმე საკითხი:

1) მემკვიდრეობის როლი; 2) გარემოს როლი; 3)აღზრდის მიზანი და ამოცანები.

მიშელ მონტენის მოსაზრებების მიდევნებით ნათელი ხდება, რომ მთავარი ამოცანაა მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი კრიტიკული აზროვნების განვითარება. არა მხოლოდ მზა, უკვე დაგროვილი საგნობრივი ცოდნის გადაცემა, არამედ ფიქრის სწავლება. თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიური პროგრესისა და ზღვა ინფორმაციის არსებობის ფონზე, არ შეიძლება სკოლამ მხოლოდ დასწავლა/დაზეპირება დაისახოს მიზნად. ეს ფუჭი შრომაა, რადგან შეუძლებელია, მოსწავლეს მოვთხოვოთ, ყველაფერი ახსოვდეს, რადგან მას ყოველდღიურად.

უამრავ ინფორმაციასთან უწევს შეხება. სკოლის მიზანი, როგორც მონტენის შეხედულებებიდან შეგვიძლია დავაკვნათ, უნდა იყოს მოაზროვნე ადამიანის აღზრდა, რომელსაც შეეძლება დაეჭვება, შეკითხვების დასმა და ინფორმაციის დახარისხება. ახლა, მთავარი კითხვა ისაა, როგორ უნდა შეძლოს თანამედროვე პედაგოგმა აღსაზრდელში აღნიშნული უნარების განვითარება?

ნათელია, რომ თანამედროვე სწავლების მეთოდებს, მაგალითად, როგორიცაა მოტივაციის ამაღლების საშუალებები, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, სწორედ მიშელ მონტენის იდეებმა ჩაუყარა საფუძველი. ის, რაც ჭეშმარიტია, ყოველთვის უძლებს დროს და მიშელ მონტენის თვალით დანახული ჭეშმარიტება, აღზრდისა და სწავლების შესახებ, შემდეგია: მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს მოაზროვნე ინდივიდი. ამას კი მაშინ შეძლებს, თუკი თავის აღსაზრდელს მოუსმენს, დააკვირდება და შეისწავლის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	იზაბელა პეტრიაშვილი, ინა ბარათაშვილი	VaKE as a Solution to Double Assignment in ELT	2019წ. 30 ივლისი, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი
2	იზაბელა პეტრიაშვილი, ინა ბარათაშვილი, ნინო	The role of VaKE in English language teacher education:	2019წ. 9 მაისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

3	ჩახუნაშვილი რონდა სოფერი (ისრაელი), იზაბელა პეტრიაშვილი (საქართველო)	Challenges and Pathways, The impact of Georgia-Israeli European programs on the development of higher education opportunities in these countries	2019წ. 9 მაისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 28.10.2019 უნივერსიტეტი, თბილისი
4	ივანე მინდაძე, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი, თამარ ლიპარტელიანი	დაწყებით კლასებში წერა-კითხვის სწავლების გოგებაშვილისეული მეთოდის პირველადი შეფასება	თსუ, I კორპუსი
5.	ხელმძღვანელი-ქეთევან ჭკუასელი მონაწილე-ზაქარია ქიტიაშვილი	მასწავლებელთა VIII საუნივერსიტეტო კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“	
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	იზაბელა პეტრიაშვილი, ინა ბარათაშვილი	CURE's Innovative Teacher Training: Applying Auto/biographical Narrative and Verbatim Methods in Teaching English	The 7th International Conference on Teacher Education:The Story of Innovation in Teacher Education, The Mofet Institute in Tel-Aviv, Israel, 24-26 June, 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7. სხვა

7.1 ტრენინგ-კურსები

№	ტრენინგ-კურსის მონაწილე/ხელმძღვანელი	ტრენინგ-კურსის სახელწოდება	ტრენინგ-კურსის ჩატერების დრო და ადგილი
1	**ალექსანდერ სიბონი** (დანიელი ექსპერტი)	„ავტონომიისა და პასუხიმგებლობის დესკრიპტორთან დაკავშირებული სწავლის შედეგების სწავლება და შეფასება“.	16/03/19, თსუ, III კორპუსი
2	**მარკუს ბოენერი** (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით)	„პროფესიული განათლების დიდაქტიკა, პროფესიული განათლების თეორიები, კვლევის მეთოდები პროფესიულ განათლებაში, ორგანიზაციული და პროფესიული განვითარება.“	8-12/04/19, თსუ, III კორპუსი

		„ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში.“	
3	**ვერონიკა როგალევიჩი** (ტალინის უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ცენტრის წარმომადგენელი)	სამოქალაქო განათლება და ინგლისური ენის სწავლების მეთოდები.	6-8/05/19, თსუ, III კორპუსი
4	**ბრაიან ლანაჰანი** (ფულბრაიტის პროგრამით ჩამოსული ასოცირებული პროფესორი)	საერთაშორისო ტრენინგ workshop:	19/03/19-21/05/19, თსუ, III კორპუსი
5	**ხელმძღვანელი**-იზაბელა პეტრიაშვილი **მონაწილე**-ეფემია ხარაძე	(ERASMUS+–ის პროექტის „შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ტრენერთა ტრეინინგები) 1. ღია ციფრული სამკერდე ნიშნები/Open Digital Badges 2. კონცეპტუალური რუკა/Concept	13/05/19, თსუ, I კორპუსი

		Map (CoMa) 3. ჯგუფური ურთიერთშეფასება/რეფლექსიური დღიური/ Group (peer) Assessment/Reflective Diary 4. სოციო-ემოციური უნარებისშ ეფასება/Soft Skills Assessment 5. კრიტიკული მეგობრის მიდგომა/Critical Friend Approach	
ანოტაცია			

7.2 სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები

2019 წელს დაცული სამაგისტრო ნაშრომების ოდენობა:

მასწავლებელთა განათლება: 14
განათლების მეცნიერებები: 29

2019 წელს დაცული დისერტაციების ოდენობა: 7

- **თემის სათაური**: მულტიმედიის გამოყენება უმაღლეს სკოლაში უცხოური ენის სწავლების პროცესში (გერმანული ენის მაგალითზე).
  დისერტანტი: ზურაბ ბოლქვაძე
  ხელმღვანელი: ივანე მინდაძე (თსუ, ასოცირებული პროფესორი)

- **თემის სათაური:** კლასგარეშე კითხვა ზოგადი განათლების დაწყებ საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე).
  დისერტანტი: ქეთევან აფთარაშვილი
  ხელმძღვანელი: თამაზ კარანაძე (თსუ, ემერიტუს პროფესორი)

- **თემის სათაური:** ექსპანური ენის სწავლების საკითხები (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე).
  დისერტანტი: ქეთევან ხუსკივაძე
  ხელმძღვანელი: მარინე კობეშავიძე (თსუ, ასოცირებული პროფესორი)

- **თემის სათაური:** უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი).
  დისერტანტი: თამარ გეგეშიძე
  ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი (თსუ, პროფესორი)

- **თემის სათაური:** მნემოტექნიკების გამოყენების თავისებურებები გერმანული ენის სწავლების პროცესში (VII-IX კლასები).
  დისერტანტი: სოფიო დედალამაზიშვილი
  ხელმძღვანელები: რუსუდან სანაძე (თსუ, ასოცირებული პროფესორი)
  ერეკლე ჩიგოგიძე (კავკასიის უნივერსიტეტი, პროფესორი)

- **თემის სათაური:** ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში
  დისერტანტი: მზექალა აჭაიძე
  ხელმძღვანელები: ალექსანდრე კარტოზია (თსუ, პროფესორი)

ზაქარია ქიტიაშვილი (თსუ, ასოცირებული პროფესორი)

- **თემის სათაური:** უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა (საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე).
  დისერტანტი: ლია დავითაძე
  ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი (თსუ, პროფესორი)

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

2019 წლის სამეცნიერო ანგარიში

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
იურიდიული ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია (დეკანი)

პროფესორები:

- დავითაშვილი გიორგი
- სურგულაძე ნუგზარ
- კვერენჩხილაძე გიორგი
- ჭიღლაძე ნანა
- კობახიძე ირაკლი
- კოპალეიშვილი მაია
- ხარშილაძე ირმა
- ტურავა პაატა
- კორკელია კონსტანტინე
- ქურდაძე ირინე
- ხუციშვილი ქეთევან
- ზოიძე ბესარიონ
- ნინიძე თევდორე
- ჭანტურია ლადო
- ბურდული ირაკლი
- ძლიერიშვილი ზურაბ
- ხუბუა გიორგი
- ბრეგვაძე ლაშა
- ივანიძე მაია
- ფაფიაშვილი ლალი
- ტურავა მერაბ
- თოდუა ნონა

ასოცირებული პროფესორები:

- ბოსტოღანაშვილი დავით
- გარიშვილი მარინა
- ფერაძე გოჩა
- კახიანი გიორგი
- თევდორაშვილი გიორგი
- გონაშვილი ვასილ
- კახიძე ირაკლი
- ლორია ხათუნა
- ქარდავა ეკატერინე
- გვარამაძე თამარ
- ყალიჩავა კობა
- სირაძე ეკა
- პატარაია დავით
- ბითაძე მაია
- ზამბახიძე თამარ
- ჩაჩავა სოფიო
- ცერცვაძე გიორგი
- ზარანდია თამარ
- შენგელია ეკატერინე
- ჩიტაშვილი ნათია
- მახარობლიშვილი გიორგი
- ზოიძე თამარ
- მოწონელიძე ნატალია
- რუსიაშვილი გიორგი
- ჯანაშვილი ლელა
- აქუბარდია ირინა
- თუმანიშვილი გიორგი
- შალიკაშვილი მორის
- დვალიძე ირაკლი
- მაღლაკელიძე ლავრენტი

ასისტენტ-პროფესორები:

- ონიანი სულხან
- ჩაჩანიძე ელზა
- ხოფერია მარიამ
- გოგიბერიძე გია
- მაჭარაძე ზურაბ
- კევლიშვილი მარიამ
- რუხაძე ნინო
- სვანაძე გიორგი

- ნუცუბიძე მაკა
- გოგნიაშვილი ნინო
- ცქიტიშვილი თემური
- ხარანაული ლევანი
- ხერხეულიძე ირინე
- მეურმიშვილი ბესიკ
- ხოდელი მაკა

ასისტენტები:

- წიგნაძე ანა
- ღვამიჩავა თამარ
- ფიფია საბა
- აღაპიშვილი ირინა
- ამირანაშვილი გიორგი
- ბერეკაშვილი დიანა
- გაწერელია აკაკი
- ეგნატაშვილი დემეტრე
- ლაფაჩი ეკატერინე
- სამაგლიშვილი დიმიტრი
- ჯორბენაძე სერგი
- ბერიშვილი თამარ
- ოხანაშვილი ანრი
- დგებუაძე გიორგი
- ტატიშვილი მაგდა
- ჩაკვეტაძე გიორგი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1 2	სამართლის ისტორიის მიმართულება „ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“	2019 წლის იანვარი 2019 წლის დეკემბერი	ნუგზარ სურგულაძე გიორგი დავითაშვილი მარინა გარიშვილი დავით ბოსტოღანაშვილი მარიამ ხოფერია ანა წიგნაძე

3	სამართლის ისტორიის მიმართულება „იუსტინიანეს დიგესტების ქართული თარგმანი (მეცამეტე წიგნი)“	2019 წლის იანვარი 2019 წლის დეკემბერი	ნუგზარ სურგულაძე მაია შუხოშვილი გიორგი რუსიაშვილი მარიამ ხოფერია
	სამართლის ისტორიის მიმართულება „ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი ინგლისურ და რუსულ ენებზე (დასტურლამალის მესამე ნაწილი)“	2019 წლის იანვარი 2019 წლის დეკემბერი	ნუგზარ სურგულაძე გიორგი დავითაშვილი მანანა რუსეიშვილი მარინა გარიშვილი დავით ბოსტოღანაშვილი მარიამ ხოფერია ელზა ჩაჩანიძე ანა წიგნაძე
	„საერთაშორისო სანაოსნო სამართალი“	2018 –	ეკა სირაძე (ავტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამართლის ისტორიის მიმართულების 2018 წელს გრანტით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით, დამუშავდა ქართული სამართლის მნიშნველოვანი ძეგლების (სამართალი ბერძნული, რუის-ურბნისის ძეგლისწერა, დასტურლამალის სამართლის წიგნის ტექსტები; ტექსტებიდან შერჩეული და ამოკრებილი იქნა სამართლებრივი შინაარსის ტერმინები, რაც წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის მიერ რამდენიმე ათეული წლის წინ დაწყებული საქმიანობის გაგრძელებას, რომლის მიზანი იყო ძველი ქართული იურიდიული ტერმინების ლექსიკონის შექმნა. შესრულებულ ნაშრომში გადმოცემულია ამ ტერმინთა გამოყენების ყველა შემთხვევა მოცემულ ძეგლებში.
ასევე, გაგრძელდა რომის სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „იუსტინიანეს დიგესტების“ თარგმანი. ამჯერად, შემოთავაზებულია დიგესტების მესამეტე წიგნის ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი შესაბამისი შენიშვნებითა და საძიებლით.
2019 წლის გეგმის მიხედვით, გაგრძელდა ქართული სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „დასტურლამალის“ თარგმანი, როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენაზე.

ეკა სირაძის სახელმძღვანელოს ფარგლებში, 2019 წელს შესრულდა შემდეგი თემის: საზღვაო სარჩელები და მათი უზრუნველყოფის მექანიზმები - დამუშავება. მოხდა გემების დაპატიმრების შესახებ 1952 წლისა და 1999 წლის კონვენციების დეტალურად შესწავლა, და მისი საქართველოს კანონმდებლობაში იმპელემენტაციის შესაძლებლობები. სამწუხაროდ, საქართველოს საზღვაო კოდექსი არ არეგულირებს საზღვაო სარჩელების უზურნველყოფის თემას, გარდა ორი ზოგადი მუხლისა გემების დაკავება/დაპატიმრების შესახებ. საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, რაც ხშირ შემთხვევაში სირთულეებთან არის დაკავშირებული, საზღვაო სარჩელებისა და გემთან დაკავშირებული ურთიერთობების თავისებურებიდან გაომდინარე. განსაკუთრებით პრობლემურია გემის დაპატირების თემა გემთმფლობელის წინააღმდეგ სარჩელის გამო, რომელიც არ წარმოადგენს გემის მესაკუთრეს. ნაშრომი პასუხობს ამ გამოწვევებს და, მათ შორის, კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიცავს.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)	2019 წ.	ნონა თოდუა (ხელმძღვანელი) მაია ივანიძე (ექსპერტი) ირინე ხერხეულიძე (ექსპერტი)
	„სანქციები სისხლის სამართალში“ სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი	2019 წლის იანვარი - 2019 წლის დეკემბერი	ნონა თოდუა (ექსპერტი), მაია ივანიძე (ექსპერტი), ლალი ფაფიაშვილი (ექსპერტი), ირინე ხერხეულიძე (ექსპერტი), თემურ ცქიტიშვილი (ექსპერტი)
	„კელზენისა და ერლიხის დისკუსია: სამართლის სოციოლოგიის დაბადება იურიდიულ პოზიტივიზმთან წინააღმდეგობის პროცესში“. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის გრანტი	იანვარი 2019 - დეკემბერი 2019	ლაშა ბრეგვაძე, მკვლევარი
	საუნივერსიტეტო პროექტი სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით	2018-2019	ლალი ფაფიაშვილი ირინა აქუბარდია
	საუნივერსიტეტო პროექტი სისხლის სამართლის მიმართულებით	2019	ირინა აქუბარდია და სხვ.
	„ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარები)“. იურიდიული, სისხლის სამართალი	2018-2019	ირაკლი დვალიძე (პროექტის დირექტორი), ლევან ხარანაული (პროექტის კოორდინატორი), გიორგი თუმანიშვილი (პროექტის ექსპერტი), კახა წიქარიშვილი (პროექტის ექსპერტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის „სანქციები სისხლის სამართალში“ ფარგლებში გამოიცა წიგნი „სანქციები სისხლის სამართალში“, გამომცემლობა „მერიდიანი“.			

სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში, სრულდება მუშაობა ნაშრომზე: „ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში“.

სისხლის სამართლის მიმართულებით საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში, ირინა აქუბარდია აგრძელებს მუშაობას ნაშრომზე – „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“.

პროექტის „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარები)“ ფარგლებში:

- **ირაკლი დვალიძის** მიერ დამუშავდა სსკ-ის 144[1], 144[2], 144[3], 151[1], 145-ე 157-ე, 157[1] , 158-ე, 159-ე და 161-ე მუხლები, რაც მოიცავს შემდეგს:

კვლევის პროცესში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით წარმოჩინდა მრავალი ხარვეზი, რომელიც დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენციების ზოგიერთი ნაწილის არასწორი თარგმანით, მეორე მხრივ, დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების არასწორი გააზრებით. რაც ყველაზე არსებითია, დეტალურად გაანალიზდა აღნიშნული მუხლების არამხოლოდ ძირითადი შემადგენლობანი, არამედ დამამძიმებელი გარემოებანი და დანაშაულთა კონკურენციის საკითხები.

სსკ-ის 151[1] მუხლთან მიმართებით დამუშავდა სტამბოლის 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია *„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“.* აღნიშნული ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველო ვალდებულია ადევნების (Stalking) კრიმინალიზაცია მოახდინოს. კონვენციიდან გამომდინარე, ამგვარი ვალდებულება, ბუნებრივია, გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელშემკვრელი მხარის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს შესატყვისი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ქმედების დასჯადობას დაუბრკოლებლად განხორციელდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რა თქმა უნდა, არსებობს ადევნების ნიშნების შემცველი სხვა დანაშაულის შემადგენლობები, მაგრამ ადევნების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის ზუსტი დანაშაულის ნიშნების შემცველი შემადგენლობა მოქმედ სსკ-ში არ არსებობდა. რაც შეეხება დანაშაულის პროვოკაციას, იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იპყრობდა მეცნიერთა მხრიდან. განსაკუთრებით სადავოა დანაშაულის პროვკაციისა და დანაშაულში თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნის საკითხი. ბოლოს გამოთქმულია დანაშაულის პროვოკაციის შესაბამისი მუხლის ალტერნაული მოდელი.

სსკ-ის157-ე (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა), 157[1]-ე (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა), 158-ე (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა),159-ე (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) მუხლების ძირითადი დებულებანი ერთობლივად არის გაანალიზებული, რადგან ისინი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ერთ სფეროს ეხება. ამას ისიც ემატება, რომ მოცემული მუხლების ქმედების კვალიფიკაციის საკითხიც ზოგჯერ რთულდება, როგორც საკანონმდებლო ხარვეზების, ისე ნორმათა კონკურენციის გამო. აღნიშნულ მუხლებში საკმაოდ ბევრია ისეთი ტერმნები, რომლებიც არამარტო სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, არამედ ზოგადად იურისპრედენციაში იწვევს დავას. მაგალითად, როგორ გავიგოთ პირადი ცხოვრების საიდუმლოება, რით იმიჯნება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციისგან, რა მიმართება არსებობს პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებს შორის და ა.შ. კომენტარებში მოცემულია ზემოაღნიშნულ ტერმინითა სწორად განმარტებისა და დასმულ პრობლემათა გადაჭრის გზები. ასევე გადმოცემულია საკანონმდებლო ინიციატივები.

შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. მრავალი კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლების დაცვა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის უმნიშნველოვანესია, სწორედ ამიტომ ზედმეწევნით დეტალურად არის გაანალიზებული 1997 წლის 12 ივნისის *„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“* საქართველოს კანონის ის შეზღუდვები, რომელთა გადაკვეთას უნდა მოყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 161-ე მუხლით (შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა).

- **გიორგი თუმანიშვილის** მიერ დამუშავდა სსკ-ის 143-ე, 144-ე და 147-ე 146-ე, 149-ე, 152-ე 160-ე მუხლების კომენტარები. პროექტის ხელმძღვანელ ირაკლი დვალიძესთან ერთობლივად შესრულდა სსკ-ის

157-ე, 157[1], 158-ე და 159-ე მუხლების ის ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზს მოითხოვდა.

ზემოხსენებული მუხლების კომენტარებზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული გერმანულ სისხლის სამართალის კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური ხასიათის დანაშაულის შემადგენლობებსა და გერმანულ (სხვადასხვა ინსტანციის) სასამართლო პრაქტიკაზე. აღნიშნული წყაროების შესწავლით გამოვლინდა მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისა და დაისახა მათი გადაჭრის გზები, რომლებიც არც ქართულენოვან ლიტერატურაში და არც სასამართლო პრაქტიკაში ამ ეტაპზე არ მოიძიება.

კვლევის პროცესში კრიტიკულადაა განხილული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები აღნიშნული დანაშაულების კვალიფიკაციის ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე. წარმოჩინდა ის ხარვეზები, რაც ახასიათებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას და დაისახა პრობლემის გადაჭრის ახლებური გზები.

- **კახა წიქარიშვილის** მიერ წარმოდგენილია სსკ-ის 142, 142[1], 142, 153-ე, 154-ე (VIII თავის კომენტარის გარდა), 155-ე, 156-ე, 165-ე, 166-ე, 167-ე, 168-ე, 169-ე, 170-ე მუხლების სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი.

სსკ-ის 142-ე მუხლის კომენტირებისას ყურადღება გამახვილდა პრობლემატურ საკითხებზე, როგორიცაა დისკრიმინაციის სახეები და ფორმები, დისკრიმინაციის დადგენის კრიტერიუმები, დანაშაულებრივი დისკრიმინაციის გამოვლენის სახეები, სსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგი. დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანის უფლების არსებითი დარღვევა განიმარტება როგორც მორალური და მატერიალური ზიანი. კომენტარი იზიარებს იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტით წარმოდგენილ მიდგომას, რომლითაც უფლების არსებითად ხელყოფა ნიშნავს ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ადამიანს არ ეძლევა ან მნიშვნელოვნად ეზღუდება კანონით მინიჭებული უფლებით სარგებლობის საშუალება.

ცალკე პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა კონკურენცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებთან. ნაშრომში დასაბუთებულია პოზიცია, რომ ადამიანთა თანასწორობა დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. მისი ხელყოფა არ შეიძლება იქნას მოცული სხვა უფლების დარღვევით (როგორიცაა, მაგ., თავისუფლების უკანონო აღკვეთა, - სსკ-ის 143-ე მუხლი), შესაბამისად, თანასწორუფლებიანობის დარღვევა ძირითადად ყოველთვის საჭიროებს ცალკე კვალიფიკაციას.

მეორე მხრივ, თუ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილია სხვა დანაშაული, რომელიც არ არის მოცული სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავით, მაგალითად, ქურდობა, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვ., მაშინ ქმედება სსკ-ის 142-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება და უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ შესაბამისი მუხლით, ხოლო დისკრიმინაციული მოტივის არსებობა მოგვევლინება დამამძიმებელ გარემოებად (სსკ-ის 53[1] მუხლი).

სსკ-ის 142[2] მუხლის კომენტირებისას ყურადღება გამახვილდა შშმ პირთა უფლებების საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებზე, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ უფლებებსა და შეღავათებზე. ამავდროულად, აღინიშნა, რომ სსკ-ის 142[2] მუხლი გულისხმობს შშმ პირებისთვის სპეციალურად მინიჭებული უფლების დარღვევას. თუკი პირს შეზღუდული შესაძლებლობის მოტივით უარი უთხრეს ზოგადი უფლების განხორციელებაზე, რაც ყველა მოქალაქისთვის არის გათვალისწინებული, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 142-ე მუხლით.

სსკ-ს 153-ე მუხლის კომენტარისას, პირველ რიგში, განხილულ იქნა გამოხატვის თავისუფლების მოქმედების კონსტიტუციური ფარგლები, ასევე მისი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები. მოძიებული იქნა როგორც საკონსტიტუტიო სასამართლოს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კომენტარში გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული მუხლით დაცულია საჯარო სივრცეში ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება ასევე, საჯარო სივრციდან ინფორმაციის მოპოვების თავისუფლება.

კომენტარი განმარტავს, რომ სსკ-ის 153-ე მუხლი იცავს მხოლოდ აზრის გამოხატვის კანონიერ ფორმებს. კომენტარი იცავს იმ აზრს, რომ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა ზოგადად არ ქმნის სსკ-ის 153-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. თუ ეს ინფორმაცია მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, ის უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 167-ე მუხლით.

სსკ-ის 153-ე მუხლის კომენტირებისას პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სსკ-ის 161-ე მუხლთან კავშირის საკითხი. კერძოდ, სსკ-ის 161-ე მუხლი ითვალისწინებს შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელბისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

კომენტარში გატარებულია ის აზრი, რომ თუ შეკრების უფლებაში ხელის შეშლა ასევე ხელს უშლის აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 161-ე მუხლით და სსკ-ის 153-ე მუხლით ცალკე კვალიფიკაცია საჭირო აღარ არის. მეორე მხრივ, თუ შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა, რომელიც აზრის გამოხატვისკენაა მიმართული, მოხდა ძალადობის, ძალადობის მუქარის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების გარეშე, მაშინ შესაძლოა ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 153-ე მუხლით.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები. გაირკვა, რომ სსკ-ის 153-მუხლის ანალოგია საზღვარგარეთის ქვეყნებში თითქმის არ არსებობს. დაახლოებით მსგავსი დანაშაულები გვხვდება ნიკარაგუას და ელ სალვადორის სისხლის სამართლის კოდექსებში, თუმცა აქაც ეს დანაშაული შეზღუდულია სპეციალური სუბიექტით, ან ჩარევის ხერხით.

სსკ-ის 154-ე მუხლის (ჟურნალისტის საქმიანობის ხელის შეშლა) შინაარსის გარკვევის მიზნით მოკლედ იქნა მიმოხილული მედიის როლი და დანიშნულება თანამედროვე საზოგადოებაში, ასევე ჟურნალისტის დეფინიცია და მისი ფუნქცია. პრობლემად გამოიკვეთა ის, რომ, ერთი მხრივ, ჟურნალისტის სამართლებრივი დეფინიცია დღეს არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მეტად შეზღუდულად განსაზღვრავს ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევის ფარგლებს. შესაბამისად, შემოთავაზებული იქნა განსახილველი მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც ასევე მოიცავს ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევას ინფორმაციის შეგროვების პროცესში.

სსკ-ის 155-ე მუხლის კომენტირებისას მიმოხილულია რწმენის თავისუფლების კონსტიტუციური ასპექტები და ასევე თავად რელიგიის ცნება. დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურის ანალიზის დროს მხარდაჭერილი იქნა ის შეხედულება, რომ ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ხელი შეუშალა რელიგიური წესის აღსრულებას.

სსკ-ის 165-ე მუხლის კომენტირებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რელიგიის თავისუფლების არსსა და დაწესებულ შეზღუდვებზე

სსკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი ალტერნატიული შემადგენლობის სახით ითვალისწინებს ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესის ან ჩვეულების აღსრულების ხელის შეშლას, თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა.

ნაშრომში ყურადრება გამახვილდა იმაზე, რომ შეურაცხყოფის საკითხი ამა თუ იმ რელიგიის თავისებურებაზე, მორწმუნის ან ღვთისმსახურის პიროვნებაზეა დამოკიდებული. რელიგიებს შორის ფუნდამენტური განსხვავებები არსებობს, ის რაც ერთი რელიგიისათვის სიწმინდეს წარმოადგენს, შეიძლება სხვა რელიგიის წარმომადგენლებს აბსურდად ან ღვთის გმობად მოეჩვენოთ.

სსკ-ის 156-ე მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული შემთხვევები დაიყო ორ ჯგუფად: ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფა; 2) ადამიანის უფლების არადანაშაულებრივი ხელყოფა. აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს ქმედების კვალიფიკაციის დროს.

სსკ-ის 156-ე მუხლი პრობლემურია სხვა ნორმებთან კონკურენციის თვალსაზრისით, რაც საერთოდ მისი არსებობის მიზანშეწონილობას ეჭვის ქვეშ აყენებს. სსკ-ის 153-ე, 154-ე, 155-ე, 161-ე, 165-ე, 166-ე, 168-ე. მუხლებთან დაკავშირებით ნაშრომში მიეთითა, რომ ზემოთაღნიშნული დანაშაულები მიმართულია მიმდინარე ან სამომავლოდ განსახორციელებელი საქმიანობისთვის ხელის შეშლისკენ. ხოლო დევნა ხორციელდება წარსულში გამოთქმული აზრის ან განხორციელებული საქმიანობის გამო.

სსკ-ის 167-ე მუხლის კომენტირებისას განიმარტა, რომ 167-ე მუხლში მითითებულ ინფორმაციაში, მასალებსა და დოკუმენტებში მოიაზრება როგორც საჯარო დაწესებულებებში, ასევე შესაბამისი ნორმატული აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში კერძო დაწესებულებებში არსებული მასალები და ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პერსონალური, ასევე სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება პირის უფლებებს და თავისუფლებებს.

ნაშრომში განხილული იქნა საკითხი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ინფორმაცია თუ არის დაცული სსკ-ის 167-ე მუხლით. ნაშრომის ავტორის აზრით ასეთ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ ამით ირღვევა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია.

სსკ-ის 168-ე მუხლის კომენტირებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დანაშაულთა კონკურენციის საკითხზე და მითითებული იქნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის პროფესიული ან სხვა სახის შრომითი საქმიანობის ხელის შეშლას, რაც უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი სპეციალური მუხლებით. სსკ-ის 168-ე მუხლის პრაქტიკული საჭიროება ეჭვს იწვევს და ეს მუხლი ამოღებული უნდა იქნას კოდექსიდან.

სსკ-ის 169-ე მუხლის კომენტირებისას მიეთითა, რომ სსკ-ის 169-ე მუხლი პასუხისმგებლობას ადგენს მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის. თუმცა აღნიშნული მუხლის ეს ფორმულირება სიტყვასიტყვით არ უნდა იქნას გაგებული და მან ასევე უნდა მოიცვას როგორც სამუშაოზე აღდგენის, ასევე უკანონოდ გათავისუფლებულის ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის (თუმცა არა კომპენსაციის) შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება. ასევე მიეთითა, რომ კანონიერი ზომების მიღებით დამუქრება (მაგალითად, ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან სამსახურებრივი გადაცდომისთვის დისციპლინური წარმოების დაწყების ან კანონიერი საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა) სსკ-ის 169-ე მუხლის შემადგენლობას ვერ დააფუძნებს.

სსკ-ის 170-ე მუხლის კომენტირებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა „ჯგუფურ“ გაუფრთხილებლობაზე რა შემთხვევაშიც თითოეულის პირის მიმართ შედეგის ობიექტური და სუბიექტური შერაცხვის საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, ასევე იმ შემთხვევებზე, როცა შრომის დაცვის წესს არღვევს როგორც დამნაშავე, ასევე დაზარალებული. ასეთ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება თუმცა აღნიშნული შეიძლება მიიღოს მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას.

განსაკუთრებით პრობლემურია სსკ-ის 170-ე და 240-ე მუხლების კონკურენციის საკითხი. ეს მუხლები თითქმის მთლიანად ფარავენ ერთმანეთს, რის გამოც ერთ ერთი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსიდან უნდა იქნას ამოღებული.

- **ლევან ხარანაულის** მიერ გაწეული კვლევა მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1, 143^2, 143^3, 150-ე, 150^1, 151-ე, 162-ე, 162^1, 163-ე, 164-ე, 164^1, 164^2, 164^3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების კომენტარებს.

მოცემულ ნორმებში დანაშაულის სისტემის მიხედვით დეტალურად არის განხილული ტრეფიკინგის ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ტრეფიკინგის ქმედების შემადგენლობაში დაწვრილებით არის გაანალიზებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები ქმედებებისა და ხერხების სახით, ხოლო სუბიექტურ შემადგენლობაში დასახელებულია განზრახვა და მიზანი, რა დროსაც ექსპლუატაციის მიზანი აღიარებულია ტრეფიკინგის უმართლობის სუბიექტურ ელემენტად. ამასთან, ცალკეა გამოყოფილი დანაშაულის გამოვლენის ფორმები და გაანალიზებულია ნორმათა კონკურენციის საკითხები, სადაც ტრეფიკინგის დანაშაულისგან გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულები. ამასთან დასახელებულია ისეთი ნორმები, როგორიცაა, მაგალითად, სსკ-ის 253-ე, 254-ე და 255^1-ე მუხლები, რომლებიც კოლიზიაშია ტრეფიკინგის ნორმებთან და მათი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობა საჭირო აღარ არის.

გარდა ამისა, სსკ-ის 143^3 მუხლის ანალიზისას დადგინდა საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას, რათა სამართალშეფარდებელს ჰქონდეს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. მაშასადამე, იგი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ სამართალშემფარდებელს შეეძლოს ამ ნორმის გავრცელება ყველა იმ პირზე, ვინც ტრეფიკინგის შედეგად იქცა ამ დანაშაულის მსხვერპლად, იმის მიუხედავად, მინიჭებული აქვთ თუ არა მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი.

დასახელებული ნორმების დამუშავების პროცესში გამოყენებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე საკანონმდებლო, მათ შორის, საერთაშორისოსამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომი საბოლოო სახის მიცემის დროს, შესაძლებელია, კიდევ უფრო გაიზარდოს. აღნიშნული ნორმების დახასიათება განხორციელდა დანაშაულის ზოგადი სისტემის მიხედვით, რა დროსაც დაწვრილებით გაანალიზდა მოცემული დანაშაულებში ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სსკ-ის 150-ე მუხლის ქმედების ობიექტური შემადგენლობა, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ავტორების მიერ სხვადასხვანაირად არის შეფასებული. ნაწილს მიაჩნია, რომ იძულება მისი ობიექტური შემადგენლობის გათვალისწინებით მატერიალური ტიპის დანაშაულს წარმოადგენს და ასეთი შეფასება გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმის შინაარსის გავლენის შედეგია. ავტორთა მეორე ნაწილი მას მართებულად ფორმალურ დანაშაულად მიიჩნევს. ამდენად, ამ ნორმის მატერიალური ხასიათი, ნორმის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, გამორიცხულია.

გარდა ამისა, აღნიშნულ კომენტარში ხაზგასმით აღინიშნა ის, რომ იძულება, მათ შორის, ქორინების იძულება შესაძლებელია ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე სამართლებრივი გარანტის ფუნქციითაა აღჭურვილი. გამოითქვა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ საკანონმდებლო ტექნიკის გამართულობის თვალსაზრისით, უმჯობესი იყო ქორწინების იძულება იძულების დამამძიმებელ გარემოებად ყოფილიყო გათვალისწინებული.

ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და გაანალიზებულია ნორმათა კონკურენციის საკითხები, სადაც იძულება და მუქარა გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან. გარდა ამისა, სსკ-ის 151-ე მუხლის ანალიზისას დადგინდა, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია ასევე არაპირდაპირი განზრახვით. ამასთან, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მუქარის შემადგენლობა შეიცავს საკანონმდებლო ხარვეზს, კერძოდ, ქონების დაზიანების ან მისი წართმევის ან ვალის არდაბრუნების მუქარა, გამორიცხავს სსკ-ის 151-ე მუხლით კვალიფიკაციას, რაც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, გაუმართლებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი საარჩევნო მუხლის ადგილის განსაზღვრის საკითხი ნორმით დაცული ძირითადი ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, სსკ-ის 164^1, 164^2 და 164^3 მუხლები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ არა ამომრჩევლის უფლებებს, არამედ სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ ამ მუხლების ძირითადი დაცვის ობიექტია სახელმწიფო ინტერესები, ხოლო დამატებით ობიექტად, რასაკვირველია, ადამიანის უფლებებიც გვევლინება. გარდა ამისა, განხილულ მუხლებში არის მეცნიერული დაკვირვების შედეგად ისეთი შეფასებები, რაც მეცნიერთა მიერ ამ მუხლების გარეშემო მანამდე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებთან არ მოდის შესაბამისობაში. ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და გაანალიზდა ნორმათა კონკურენციის საკითხები, სადაც საარჩევნო ნორმები გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან. წარმოჩენილია აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი ასპექტები. კომენტარებში მოტანილია პრაქტიკული მაგალითები და ხაზგასმულია მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ზემოაღნიშნული მუხლების კომენტირებისას მოძიებულია და გაანალიზებულია შესაბამისი ნორმატიული მასალა (საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხასიათის აქტები). დამუშავდა სათანადო ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, კრიტიკულად იქნა განხილული მეცნიერთა მოსაზრებები და შესწავლილი იქნა როგორც საერთო სასართლოების, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი. დამუშავდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები. გამოთხოვილია და გაანალიზებულია თბილისის საქალაქო სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმეები. ასევე შესწავლილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენები, რომელთა საფუძველზეც გაკეთდა აღნიშნული მუხლების ობიექტურ დ სუბიექტურ შემადგენლობათა ნიშნები.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ოჯახში ძალადობის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები (კომბინირებული ღონისძიება, საგრანტო ხელშეკრულება №MG-ISE-18-911)	2018 წ. ნოემბერი - 2019 წ. მაისი	მაია ივანიძე (ხელმძღვანელი) ნონა თოდუა (თანახელმძღვანელი) ირინე ხერხეულიძე (სამეცნიერო კოორდინატორი) ზურაბ გოგშელიძე (ასისტენტი) თათია მაზანაშვილი (ასისტენტი)
	კომბინირებული ღონისძიების საგრანტო კონკურსი – „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო. საქართველოს მაგალითი“ – სეზონური სკოლა და კონფერენცია	1-6 ივლისი; 17-18 ოქტომბერი, 2019 წ.	ლელა ჯანაშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები” მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა 2018 წელს, ხოლო მისი ძირითადი ნაწილი განხორციელდა 2019 წელს. პროექტი მოიცავდა კომბინირებულ ღონისძიებას ოჯახში ძალადობის თემაზე - **სეზონური სკოლისა და კონფერენციის სახით.** მას შემდეგ, რაც სათანადოდ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით მოხდა მონაწილე ახალგაზრდების შერჩევა, შერჩეული დაინტერესებული კონტინგენტისთვის თსუ-ს პროფესურისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტუქტურის (შსს, პროკურატურა, სასამართლო) წარმომადგენელთა მიერ ჩატარდა 5 დღიანი **სეზონური სკოლა.** სკოლის მსმენელებს ამ ტიპის ღონისძიებათა ციკლის დასრულების შემდეგ ჩაუტარდათ შესაბამისი ტესტირება. ტესტირებაში გამარჯვებული ახალგაზრდები კი ასევე მიწვეულ იქნენ 2 დღიან **საერთაშორისო სამცნიერო კონფერენციაზე** დასასწრებად, რომელსაც ქართველ პროფესორებთან ერთად გერმანელი მეცნიერებიც უძღვებოდნენ.

პროექტი მიზანად ისახავდა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და მათი ჩართულობის გაზრდას, განსაკუთებით ისეთ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში, როგორიც ახალგაზრდა თაობა - სკოლის მოსწავლეები და სტუდენტობაა. ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შესახებ სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებას ერთგვარი პრევენციული მნიშვნელობაც აქვს, რაც სწორედ სკოლიდან უნდა დაიწყოს. სამწუხარო რეალობის გამოძახილია ის, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, არაერთი ბავშვი გამხდარა ოჯახური ძალადობის პირდაპირი თუ ირიბი მსხვერპლი. ასეთ სიტუაციაში კი ისეთი მოწყვლადი კატეგორია, როგორიც ბავშვები და მოზარდებია, მათი მომვალი ცხოვრების სტილის ჩამოყალიბების თვალსაზრისით გარკვეული რისკის ქვეშ დგას. ამიტომაც, პროექტის მიზანი იყო ხელი შეეწყო ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხზე.

მიღწეული შედეგები: აღნიშნული **სეზონურ სკოლაში მონაწილეობისა და საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრების** შემდეგ, ახალგაზრდა მოსწავლეები და სტუდენტები უფრო ეფექტურუნარიანი გახდნენ როგორც საკუთარი, ისე სხვისი, საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უკეთ შეუძლიათ ძალადობასთან მიმართებით რისკების შეფასება და პრობლემის მართვა. ახალგარზდება ამის უნარი შეიძინეს იმდენად, რამდენადაც სეზონური სკოლის ფარგლებში მათ მიეწოდათ სათანადო ცოდნა არამხოლოდ პრობლემის სამართლებრივ და სოციალურ, არამედ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, მათ შორის როგორც მეცნიერი, ისე პრაქტიკოსი იურისტების და სხვა რელევანტური სფეროს წარმომადგენელ პროფესიონალთა მიერ.

პირადად ჩემი როლი პროექტში არ შემოფარგლულა მხოლოდ მისი სამეცნიერო ნაწილის ხელმძღვანელობით. აღნიშნული პროექტის **სეზონური სკოლის** გამართვის ეტაპზე მე წავიკითხე ორი ლექცია მონაწილე სტუდენტებისათვის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: „**პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის საქმეებზე - საქართველოსა და აშშ-ის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი“** და „**სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემათა რეგულირებისას“.** ორივე შემთხვევაში საკითხები განხილული იყო არამხოლოდ ვიწრო, ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში, არამედ წარმოდგენილი იყო პრობლემის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, იქ წამოჭრილი პრობლემები, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის საუკეთესო გზები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.
საბოლოო ჯამში, პროექტმა მიაღწია მის მიზნებს და მის მონაწილეებს ჩამოუყალიბდათ ოჯახური და გენდერული ძალადობის საკითხის ხედვისა და მისი გადაჭრის პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა, რაც ახალ თაობას აღნიშნულ პრობლემატიკაზე სისხლის სამართლის პოლიტიკის ახლებურად და ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება. პროექტს განსაკუთრებული სიღრმე შესძინა გერმანელი კოლეგების მონაწილეობამ წამყვანი გერმანული უნივერსიტეტებიდან, როგორიც არის **ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი** და **ებერჰარდ კარლსის სახელობის თუბინგენის უნივერსიტეტი.** პროექტი განკუთვნილი იყო ქ. თბილისის საჯარო **სკოლების მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის,** რომლებიც დაინტერესებული არიან საკითხით, და, ასევე, თსუ-ს **ბაკალავრიატის სწავლების საფეხურის სტუდენტებისათვის, -** რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ აღნიშნული თემატიკის და ზოგადად, სისხლის სამართლის, საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების კუთხით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	პროექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი:	06/2018-07/2019	ექსპერტი - ირაკლი კახიძე,

	სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიული მართველობისათვის საჭირო საკვანძო საკითხები, N-GEO-2017-0196, [Key Competencies for Civic Engagement and Democratic Governance]; გრანტის გამცემი: Brot für die Welt; პროექტის განმახორციელებლი: კონსულტაციებისა და ტრეინინგის ცენტრი CTC; მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: სამართალი, მუნიციპალური სამართალი; საჯარო მართვა.		ექსპერტი - გიორგი ტოკლიკიშვილი
	გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე–2 ნაწილი –„საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“	2017–2019 წწ.	ირინა აქუბარდია და სხვ.
	პროექტის დასახელება: „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც გამოწვევა და ამოცანა“. მეცნიერების დარგი: იურიდიული სამეცნიერო მიმართულება: სისხლის სამართალი ქვეყანა: გერმანია ფონდი: ფოლკსვაგენი	2016-2019	გიორგი თუმანიშვილი, ედვარდ შრამი, ჰაინერ ალვარტი, ირაკლი დვალიძე, მარტინ ჰეგერი, ბერნარდ ჰაინრიხი, ბაჩანა ჯიშკარიანი, ლევან ხარანაული, ირინე ხერხეულიძე, ლავრენტი მაღლაკელიძე, მორის შალიკაშვილი, მერაბ ტურავა, გიორგი დგებუაძე და სხვ.
	სამართლის მეცნიერება, სისხლის სამართლის მიმართულება, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), აკადემიური მობილობა „ერასმუს+“ ფარგლებში	სალექციო კურსი: „CWDAW and the Istanbul Convention” ინგლისურ ენაზე 17.06.2019-18.06.2019	ირინე ხერხეულიძე ვიზიტორი პროფესორი, ლექტორი, კურსის ავტორი
	„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე - 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში - ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და	2019 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით	გიორგი დგებუაძე და კლაუს კრესი (კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი)

	სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემები“ სისხლის სამართლის მიმართულება კიოლნის უნივერსიტეტის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და პერსპექტივები“ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე-3 ნაწილი) სისხლის სამართლის მიმართულება ფოლკსვაგენის ფონდი, გერმანია	2020-2022	პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე პროექტის სამეცნიერო კოორდინატორები: მერაბ ტურავა და ედუარდ შრამი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის თვითშეფასების მიზნით პროექტის ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა მუნიციაპლიტეტების მომსახურების ხარისხის თვითშეფასების სახელმძღვანელო ინსტრუმენტი (შემდგომში, სახელმძღვანელო). სახელმძღვანელოზე მუშაობისას შესწავლილ იქნა მუნიციპალური სერვისების ბენჩმარკის და სტანდარტების დამდგენი სხვადასხვა ინსტრუმენტები და მათი მეთოდოლოგია, მათ შორის, მუნიციპალური სერვისების შეფასების ISO-ს სტანდარტები, აგრეთვე, გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული გამოწვევები და საქართველოს კანონმდებლობის თავისებურება. სახელმძღვანელოს შესაბამისად, მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის თვითშეფასება ხორციელდება ორი ძირითადი მაჩვენებლის საფუძველზე:

- მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში სათანადოდ გაწერილი პროცესებისა და პროცედურების არსებობა;
- მუნიციპალური საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის მინიმალური დონის შეფასება.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის შეფასების 33 კრიტერიუმს და შეფასების 99 ინდიკატორს. შეფასების ინდიკატორები იყოფა სამ ჯგუფად: დადებითი, საშუალო და უარყოფითი.

თვითშეფასების პროცესში ჩართული 16 მუნიციპალიტეტიდან, თვითშეფასება განახორციელა და ანგარიში წარმოადგინა 14-მა მუნიციპალიტეტმა, რომელიც საქართველოს მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 20%-ია. 14 მუნიციპალიტეტის თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის სფეროში შემდეგი ზოგადი ტენდენციები იკვეთება:

შეფასების 100% სკალზე (33 კრიტერიუმი = 100%) მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის კრიტერიუმებით განსაზღვრულ მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის მინიმალურ მოთხოვნასთან - დადებით ინდიკატორთან მუნიციპალიტეტის შესაბამისობის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 16%-ია, საშუალო ინდიკატორთან შესაბამისობის მაჩვენებელია - 22%, ხოლო უარყოფით (წითელ) ინდიკატორთან შესაბამისობის მაჩვენებელი - 62%.

ყველაზე მაღალი შეფასება აქვს რუსთავის, გორის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს. რუსთავის მუნიციპალიტეტში დადებითი, საშუალო და უარყოფით შეფასება დაახლოებით თანაბრადაა გადანაწილებული, შესაბამისად 34%, 38% და 28%. გორის მუნიციპალიტეტში - 18%, 42% და 40%. ბოლნისის

მუნიციპალიტეტი - 18%, 27% და 55%. ყველაზე დაბალი შეფასების მქონე მუნიციპალიტეტში დადებითი და საშუალო შეფასების მაჩვენებელი 2-2%-ია, ხოლო უარყოფითის 96%.
კვლევის შედეგების მიხედვით მუნიციპალური მომსახურების ხარისხის მართვისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის ფარგლებში, ირინა აქუბარდიას მიერ შესრულებულია ნაშრომი – „ბრალდებულის უფლებები, ევროპული სტანდარტები“ (გადაცემულია დასაბეჭდად).

მრავალწლიანი კვლევით პროექტის „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც გამოწვევა და ამოცანა“ ფარგლებში მოეწყო ერთობლივი სამეცნიერო ფორუმი გერმანიის პარტნიორ უნივერსიტეტებში. ფორუმის მონაწილეებმა იმსჯელეს და გამართეს დისკუსია ქართული სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციის პრობლემებზე. შესრულდა პროექტის მონაწილეების მიერ არაერთი კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა გერმანულ-ქართულ სამეცნიერო კრებულში.
პროექტის ფარგლებში გაიმართა საზაფხულო სკოლა, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებმა. სკოლის ფარგლებში მონაწილეებს ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი ქართველი და გერმანელი ექსპერტების მიერ. სტუდენტებმა მიიღეს ცოდნა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური პრობლემებისა და სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ.
პროექტის ფარგლებში გაიცა 3 წლიანი სამეცნიერო გრანტი დოქტორანტებზე. თითოული დოქტორანტის დაფინანსება შეადგენს თვიურად 450 ევროს.
პროექტის ფარგლებში დასრულდა მუშაობა და გამოსაქვეყნებლად გადაეცა კრებული (სახელმძღვანელო) ,,ქართული სისხლის სამართლის პროცესი ევროპული და საერთაშორისო სამართლის ჭრილში“
მიმდინარე წლის სექტემბერში თსუ-ში გაიმართა პროექტის დასკვნითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და გერმანელი მეცნიერები და დოქტორანტები.

ირინე ხერხეულიძის პროექტი განხორციელდა აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილ „ერაზმუს+“ მობილობის პროგრამის ფარგლებში, გერმანიაში, ქ. ფრანკფურტში, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ვეწეოდი აკდემიურ საქმიანობას, რაც გამოიხატებოდა ქალთა უფლებებზე ჩემს მიერ შემუშავებული კურსის სწავლებაში, ინგლისურ ენაზე. გერმანულ უნივერსიტეტში, როგორც საერთაშორისო სწავლების მაგისტრატურის საფეხურის, ასევე ბაკალავრიატის საფეხურის გერმანელი სტუდენტებისათვის ვკითხულობდი ლექციათა კურსს ინგლისურ ენაზე სათაურით: „**CEDAW and the Istanbul Convention“.**
ამასთან, ვიადრინას ევროპული უნივერსტეტის თხოვნის შესაბამისად, ჩემი სალექციო კურსის დასრულების შემდეგ, ჩავატარე გამოცდა. ასევე შევაფასე საგამოცდო ნაშრომები და დავწერე შესაბამისი ნიშნები, რომელიც აისახა ამ სტუდენტთა პირად აკადემიურ პროფილში. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ კურისის წარმატებით დასრულება, მასში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების პრე-რეკვიზიტს წარმოადგენდა.
საერთო ჯამში, პროგრამით გათვალისწინებულ პერიოდში ჩემი სალექციო თემატიკა ეხებოდა ქალთა დისკრიმინაციის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის საკითხებს, ისევე როგორც ოჯახური ძალადობის საკითხებს.

კრებულში „ქართული სისხლის საპროცესო სამართალი ევროპულ და საერთაშორისო სამართლის ჭრილში“ ირინე ხერხეულიძის მიერ შესრულებული სტატიის სათაურია: **„ევროპულ და საერთაშორისო სამართალთან მიმართებით ტრეფიკინგის პროცესუალურ-სისხლის სამართლებრივი ასპექტების განვითარება საქართველოში“.** კვლევაში შესწავლილია ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო ჩარჩო ისეთი აქტების საფუძველზე, როგორებიცაა: გაეროს 2000 წლს კონვენცია ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ”, “ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ევროკავშიროს რელევანტური დირექტივები და

მსგავსი უნივერსალური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. შესაბამისად, გაკეთებულია შეადრებით-სამართლებრივი ანალიზი ამ დოკუმენტებთან საქართველოს რელევანტური კანონმდებლობის შესაბამისობის თაობაზე. განხილულია საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობის განვითარების დინამიკა, პოლიტიკა და ტენდენციები, გამოკვეთილია პრობლემური პროცესუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით. ნაშრომი მოწოდებულია დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, პროაქტიული გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ღონისძიებების როლის გამოკვეთისა და წახალისებისაკენ.

სტატია ხაზს უსვამს ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) და მოწმის განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას სისხლის სამართლის პროცესში და ამ თვალსაზრისით იკვლევს და აანალიზებს ევროკავშირის დირექტივებს.

კვლევაში ხაზგასმულია ტრეფიკინგის მსხვერპლის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხის მნიშვნელოვანებაზე. შესაწავლილია ისეთი ადგილობრივი დონის აქტები, როგრიცაა: „2014 წლის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის“, დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ; 2007 წლის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი” დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის N 78 ბრძანებულებით; 2017 წლის “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის”, დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, სტატიაში მოცემული კვლევის შედეგები ტრეფიკინგის ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დევნას და ინსტიტუციათა შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას ემსახურება.

სამეცნიერო კრებული „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“ შეიცავს გიორგი დგებუაძის ორ ნაშრომს: 1) „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე: კომპლემენტარულობის პრინციპი - ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?“; 2) „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოდელები - „ძალის გამოყენების“ სამართლებრივი მექანიზმები“.

გიორგი დგებუაძის პროექტის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე - 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში - ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემები“ მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სირთულეების გამოკვეთა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „საქართველოს სიტუაცია“ გამოსაყოფია სამი ნიშნით. ეს არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პირველი პრეცედენტი: (1) აფრიკის კონტინენტის გარეთ; (2) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში; (3) გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით“. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

საერთაშორისო სისხლის სამართლით დადგენილი დანაშაულები ხასიათდება ადამიანთა დიდი ჯგუფის თანამოქმედებით. ასეთი დანაშაულების კოლექტიური ბუნება არაა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. კონკრეტული პირები, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში მოქმედებენ ერთად, განსაზღვრავენ დაზარალებულთა წრეს და გეგმავენ, ორგანიზებას უწევენ და იყენებენ ძალას დაზარალებულების წინააღმდეგ. კოლექტიურ ქმედებებზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას,

გასათვალისწინებელია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმე არაა დამოკიდებული უშუალო ქმედებასთან ფიზიკურ დისტანციაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, იურისტები დადგნენ ისეთი პასუხისმგებლობის თეორიის შექმნის გამოწვევის წინაზე, რომელიც აკურატულად აღწერდა ინდივიდის შესაბამის პასუხისმგებლობას და კავშირს მასშტაბურ სისხლისსამართლებრივ საქმიანობასთან.

საქართველო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა - რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომის დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი“ საერთაშორისო სისხლის სამართლის, კერძოდ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის სახით, ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის ხარვეზიანი სამართლის პოლიტიკის პრევენციულ ,,მექანიზმს“ წარმოადგენს. ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით ხდება, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ,,კანონიერებაზე“, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი” გამოყენებით.

პროექტის ფარგლებში გაანალიზდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ენდემური გარემოებები ,,საქართველოს სიტუაციასთან“ დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.

საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „საქართველოს სიტუაცია“ გამოსაყოფია, ვინაიდან, იგი არის პირველი პრეცედენტი აფრიკის კონტინენტის გარეთ - ევროპაში, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით“.

საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა. შესაბამისად, იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი“ ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა

განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი“ გამოყენებით.
გიორგი დგებუაძის სამეცნიერო პროექტის „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და პერსპექტივები“ მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.
საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხუთთვიანი სამუშაო-კვლევითი ვიზიტი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, ოთხთვიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინება იენის უნივერსიტეტში, კიოლნის უნივერსიტეტსა და მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში, აგრეთვე, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით საზაფხულო-საზამთრო სკოლები თსუ-ის სტუდენტებისათვის, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და გერმანიაში.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ირაკლი ბურდული, გიორგი მახარობლიშვილი, გვანცა მაღრაძე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი	თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2019	220 გვ.
	ლაშა ბრეგვაძე	ჰანს კელზენისა და ოიგენ ერლიხის პოლემიკა: იურიდიული პოზიტივიზმისა და სამართლის სოციოლოგიის დაპირისპირება. თანდართული სადისკუსიო მასალების თარგმანით	დასრულებულია და გადაცემულია დასაბეჭდად	200
	ნონა თოდუა, მაია ივანიძე, ლალი ფაფიაშვილი, ირინე ხერხეულიძე, თემურ ცქიტიშვილი	სანქციები სისხლის სამართალში ISBN 978-9941-25-666-0	თბილისი, „მერიდიანი“	487 გვ.

	მარინა გარიშვილი	XX საუკუნის 30-ან წლებში საბჭოთა საქართველოში ქართლის სამართლებრივი აზრის ფარგლებში გამართული ე.წ. დისკუსიის ქართლენოვანი თარგმანი	დასრულებული და ზ. კორძაძის გამომცემლობისთვის გამოსაცემად გადაცემული	800 გვ. მეტი
	გოჩა ფერაძე	“პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“ ნარკვევი II	მზადდება გამოსაცემად	
	ირაკლი კახიძე, ზაზა ფირალიშვილი	რას გვპირდება სუბსიდიარობის პრინციპი, ISBN 978-9941-8-1229-3	კონსულტაციებისა და ტრეინინგის ცენტრი CTC, თბილისი, 2019	1-80
	მორის შალიკაშვილი (რედ.)	ტორე ბიორგო, დანაშაულის პრევენცია. ყოვლისმომცველი მიდგომა (ქართული თარგმანი)	თბილისი, 2019	
	თემურ ცქიტიშვილი	სასჯელი და მისი შეფარდება	თბილისი, „მერიდიანი“	316
	თემურ ცქიტიშვილი	ნარკოტიკულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი	თბილისი, ელექტრონული ვერსია ატვირთულია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/T-Tskitishvili.pdf	
	მაკა ხოდელი	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), ISBN 978-9941-25-608-0	თბილისი 2019, „მერიდიანი”	452
	სერგი ჯორბენაძე	სოციალური მედიის სამართალი, ISBN 978-9941-8-1795-3	თბილისი, 2019	343 გვ.

	გიორგი დგებუაძე	,,დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელები საერთაშორისო სისხლის სამართალში“	თბილისი, „მერიდიანი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)	400

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გოჩა ფერაძე აგრძელებს მუშაობას მონოგრაფიის “პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“, II ნარკვევზე, რომელშიც პერიოდულ გამოცემებსა, სამეცნიერო ლიტერატურასა და იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით აღწერილი იქნება პროკურატურის ინსტიტუტის საქმიანობა ჩვენ ქვეყანაში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. მათ შორის საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის 1917-1921 წლებში.

წიგნში „სანქციები სისხლის სამართალში“, რომელიც შესრულებულია თსუ-ს პროფესორთა მიერ თსუ-ის გრანტის ფარგლებში, ირინე ხერხეულიძის მიერ დამუშავდა სისხლის სამართლის კოდექსის ორი თავი: სასჯელისგან გათავისუფლება (სსკ-ის თავი XIV) და ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა (სსკ-ის თავი XV). პირველი თავი ეხება სასჯელისგან გათავისუფლებას (სსკ თავი XIV) და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება; სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა; სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით; სასჯელის გადახედვა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად; სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო; სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის; სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული საკითხები, განსაკუთრებით კი, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ჩემს მიერ გამოკვლეული და დამუშავებულია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილების პერსპექტივიდანაც, რამდენადაც აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად უშუალოდ ვიყავი ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს საქმიანობაში, როგორც მისი წევრი.

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გაანალიზებისას ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზეა გაკეთებული აქცენტი, როგორიცაა დამნაშავის რესოციალიზაცია, ციხეების გადატვირთულობის პრობლემა, კრიმინალური პროგნოზის არსი და დანიშნულება.

კვლევაში ცალკე აქცენტი გაკეთდა სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის საკითხზე, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ საკითხის დამოუკიდებელ მუხლად ჩამოყალიბება განპირობებულია საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მთელი რიგი იმ მოთხოვნებით, რომლებიც ცალსახად მიუთითებენ ასეთი გადასინჯვის არამარატო შესაძლებლობაზე, არამედ აუცილებლობაზე. ასეთი დაკვნა კი გაკეთდა, გარკვეულ ასპექტში, აღნიშნული პრობლემატიკის მიმართების გამო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან. გაანალიზებულ იქნა შესაბამისი საქმეებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან.

განიმარტა და გაანალიზდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის წესი, ისევე როგორც აღნიშნული მიმართულებით, იმ ორგანოთა ფუნქციბი და საქმიანობა, რომლებიც აღჭურვილნი არიან აღნიშნული კომპეტენციით. ყურადღება გამახვილდა იმ საფუძვლებზე, რომლებიც სასამართლომ უნდა შეაფასოს და გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, ნაჩვენები იქნა აღნიშნულ პროცესში ისეთი ფაქტორების დიდი მნიშვნელობა, როგორიცაა: დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნასამართლობა, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, ოჯახური პირობები და მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები.

განიმარტა და შედარებითი ანალიზის ფორმატში დამუშავდა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად სასჯელის გადახედვის საკითხი.

პრაქტიკული მაგალითებზე მითითებით და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან მიმართებით დამუშავდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო და სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის.

კვლევაში აიხსნა და განიმარტა ის ფაქტორები, რომლებმაც, შეიძლება, შეაფერხოს განაჩენის აღსრულება, რაც თავის მხრივ გახდება სსკ-ის 76-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი - სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო. ასევე გაანალიზდა ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საკითხი, თუმცა, მკაფიო მიმართებით იმაზედ, რომ არც შიდასახელმწიფოებრივი და არც საერთაშორისო იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს რომის სტატუტში მითითებული საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულები.

ამდენად, მკითხველს ნათელი და ამომწურავი აზრი ჩამოუყალიბდება არამხოლოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავსუფლების, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხის თაობაზე, - არამედ ყველა იმ კრიტიკული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების გარშემოც, რაც იურდიულ სივრცეში გამოთქმულია სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის უფლებამოსილების სასამართლოსათვის ჩამორთმევისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოსათვის ამ უფლების დელეგირების მიმართ.

მეორე თავი ეხება *ამნისტიას, შეწყალებას, ნასამართლობას,* როგორც ეს მოცემულია **სსკ-ის XV თავში**.

ამნისტია და შეწყალება განხილულია სისხლის სამართალში დამკვიდრებული ჰუმანურობის პრინციპის პოზიციიდან. ამავდროულად, საფუძვლიანად არის ახსნილი როგორც ამ ინტიტუტების გამოყენების სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში, ასევე წინ წამოწეულია ის პრობლემები თუ ხარვეზები, რაც ახასიათებდა უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენებას საქართველოში, ეს განსაკუთრებით ეხება 2012 წელს განხორციელებულ მასშტაბურ ამნისტიის აქტს.

კვლევა მხარს უჭერს გამოთქმულ შეფასებას რომ „ამნისტია უმეტეს შემთხვევაში განიხილება როგორც საგანგებო კანონმდებლობა და, შესაბამისად, მისი შინაარსის განსაზღვრისას მოქმედებენ ნორმები, რომლებიც მოითხოვენ საკითხის მაქსიმალურად ვიწროდ და კონკრეტულად დარეგულირებას“ და ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ლიბერალური ბერკეტის ეფექტური გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ თეორიულ და მეცნიერულ დამუშავებასთან, რომელიც წარმოუდგენელია პრაქტიკისგან მოწყვეტით, რადგან სწორედ ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის პრაქტიკაში გამოყენებისას და გატარებისას ხდება შესამჩნევი ესა თუ ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის აღმოფხვრასაც და დახვეწასაც უნდა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის მეცნიერება. სწორედ ამიტომ, წიგნში მოცემულია როგორც ამნისტიის კონკრეტული მაგალითები, ისე მისი კონტენტის ანალიზი და კრიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პოზიციებიდან შეწყალებაც და ამნისტიაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების არაორდინარული საფუძველია, რომლის მიხედვით ხდება სასჯელისგან გათავისუფლება, მისი შემცირება ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, - მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს არაერთი ნიუანსი, რომელთა განხილვასაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ნაშრომში.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ასევე ნასამართლობის საკითხზე, რამდენადაც მას უკავშირდება არამარტო წმინდა სისხლისსამართლებრივი, არამედ საერთო-სამართლებრივი შედეგებიც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი კრიმინოლოგიური ასპექტიც, რაც ნასამართლევი პირისათვის, საზოგადოების მიერ, „ნაციხარის“ მოუშორებელი დამღის მიკერებაში გამოიხატება.

რაც შეეხება ნასამართლობის მოხსნის საკითხს, ნაშრომში გაანალიზდა როგორც სასჯელის მოხდის შემდეგ პირისათვის ნასამართლობის მოსხნის საკითხი მისი გაქარწყლების ვადის გასვლამდე, რომელიც რეგულირებულია სსკ-ის 79-ე მუხლი მე-5 ნაწილში, ასევე საქართველოს კანონმდებლობაში ბოლო წლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე პირობითი მსაჯვრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის საკითხის ახლებური რეგულაცია, რომელიც უწინდელი კანონმდებლობისგან განსხვავებით, ნასამართლობის მოხსნის საკითხის გადაწყვეტის კომპეტენციას *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიას* აკუთვნებს. წიგნში საკითხები განხილულია არამხოლოდ თეორიული კუთხით, არამედ წარმოდგენილია რელევანტური ორგანოების - იქნება ეს სასამართლო თუ სხვა უფლებამოსილი ორგანო - პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე.

2014 წლიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დარეგულირებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების პრობლემატიკამ ახალი

მასშტაბები შეიძინა. მანამდე ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას წარმოადგენდა და 2014 წლიდან გახდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული ფარული საგამოძიებო ღონისძიება. საკითხი დღემდე მწვავე დისკუსიის საგნად რჩება.

თუკი ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ ინსიტუტს არსებობის მხოლოდ 5 წლიანი ისტორია აქვს, გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მას ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია. ამდენად, საინტერესო იყი გერმანული სამართლის კვლევის ფონზე ამ ინსტიტუტის სიღრმისეული შესწავლა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება არაა ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამუშავებული. შესაბამისად, თითქმის არ არსებობს ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურა. ამდენად, მაკა ხოდელის ნაშრომი არის მცდელობა, შექმნას საფუძველი ამ საკითხის შემდგომი კვლევისათვის.

საკითხის მნიშვნელობის, აქტუალობისა და მოცულობითი ხასიათის გათვალისიწნებით, მონოგრაფია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი ეძღვნება სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას გერმანული სამართლის მიხედვით (რომელიც, თავის მხრივ, შედგება შვიდი ქვეთავისგან). მეორე თავი ეხება სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას ქართული სამართლის მიხედვით (ის შედგება ექვსი ქვეთავისგან) და ბოლო, მესამე თავში მოცემულია უკვე შედარებითი ასპექტები ქართული და გერმანული სამართლის მიხეხდვით.

გიორგი დგებუაძის ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის პრობლებას, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართალში განვითარდა ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით. ეს საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით პრობლემატურია ფართომასშტაბიანი და სისტემური დანაშაულების ჩადენისას, რომლებიც იწვევს მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით ნაშრომში საფუძვლიანად გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართალში ეროვნული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით განვითარებული ინდივიდის პასუხისმგებლობის სისტემა, რაც წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის ,,კოდიფიკაციას“. ინდივიდუალური შერაცხვის მოდელის წარმოსაჩენად განხილულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანაშაულის ცნებები, გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართლში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელის დაფუძნების ისტორია, გამოკვლეულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული და დოქტრინალური ცნებები, პრეცენდენტულ სამართალთან პარალელების გავლებით განხილულია ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაცია სასჯელის შეფარდებისას, რა დროსაც გაკეთებულია შედარება დანაშაულში მონაწილეობის ანგლოამერიკულ და გერმანულ მოდელებთან. დაბოლოს, ,,კოდიფიცირებულია“ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართალი.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის მთავარი ამოცანაა, უმეტესწილად, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებისა და სხვა, არაფორმალური ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, პირველ რიგში, დანაშაულის ამსრულებლობის ფორმებით, ხოლო, მეორე რიგში, თუ ეს ამსრულებლობით ვერ ხერხდება, თანამონაწილეობის ფორმებით. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის რეალიზაცია სისხლის სამართლის ეფექტურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კოდიფიკაცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მისი მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალი ქმნის დოგმატიკას, რომელსაც ეყრდნობა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ლადო ჭანტურია (რედ.), წინასიტყვა	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ISBN 978-9941-8-1812-7	თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2019	1060 გვ.
	ლაშა ბრეგვაძე	სამართლის სოციოლოგია	სრულდება მუშაობა, გამოქვეყნდება 2020 წელს	250
	გიორგი ტყეშელიაძე, მზია ლეკვეიშვილი, გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, მაია ივანიძე, ირინე ხერხეულიძე	სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ISBN 978-9941-25-619-6	თბილისი, „მერიდიანი“	784 გვ.
	მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა	სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ISBN 978-9941-25-992-0	თბილისი, „მერიდიანი“	848 გვ.
	პაატა ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, ეკატერინე ქარდავა	ადმინისტრაციული წარმოება	თბილისი	(სახელმძღვანელო გამოცემის პროცესშია)
	კობა ყალიჩავა (ავტ.), პაატა ტურავა (რედ.)	კაზუსები ადმინისტრაციულ სამართალში, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 5, ISBN 978-9941-8-1794-6	თბილისი	337 გვ.
	თამარ ზარანდია	სანივთო სამართალი, მეორე შევსებული გამოცემა, ISBN 978-9941-25-594-6	თბილისი, „მერიდიანი“ 2019	449 გვ.
	გიორგი რუსიაშვილი, ნატალია მოწონელიძე,	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III,	თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2019	1060 გვ.

	სერგი ჯორბენაძე, აკაკი გაწერელია, გიორგი სვანაძე და სხვ. ირაკლი დვალიძე (რედ.), ლევან ხარანაული, გიორგი თუმანიშვილი, კახა წიქარიშვილი ნინო გოგნიაშვილი	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი) კრიმინალისტიკა (სახელმძღვანელო)	თბილისი, 2019 მზადდება გამოსაცემად	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელოში „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“ ირინე ხერხეულიძის მიერ დამუშავებულია შემდეგი თავები:

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები: (სსკ-ის 28 - 32-ე მუხლები). ამ თავში ფართოდ არის განხილული არა მხოლოდ ქართული, არმედ გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა. გაკეთებულია გარკვეული პარალელი და შედარება ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში არსებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების საკანონმდებლო რეგულირებისა თუ პრაქტიკული გამოყენების თაობაზე.

ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა: (77 – 79 მუხლები). საქართველოს სახელმწიფოს მიერ არჩეული დემოკრატიული კურსისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფონზე კიდევ უფრო მეტი პრაქტიკული დატვირთვა შეიძინა ისეთი საკითხების სათანადო დონეზე იმპლემენტაციამ, როგორიც ამნისტია და შეწყალებაა. ჰუმანურობის პერსპექტივიდან საკითხის ხედვის გარდა, ამ საკითხებს წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, ვინაიდან ორივე ღონისძიება სისხსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველია.

შესაბამისად, აღნიშნული ლიბერალური ბერკეტების ეფექტური გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამნისტიისა და შეწყალების საკითხის როგორც თეორიულ და მეცნიერულ დამუშავებასთან, ისე პრაქტიკის სიღრმისეულ და კრიტიკულ კვლევასთან, რადგან სწორედ ამ პროცესში წარმოჩინდება ესა თუ ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის აღმოფხვრასაც და დახვეწასაც უნდა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის მეცნიერება. შესაბამისად, სახელმძღვანელო გზას უკაფავს სტუდენტებს როგორც ცოდნის შეძენის, ისე კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამდენად, ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ამნისტიისა და შეწყალების როგორც არსებითი, ისე პრობლემატური საკითხები, მათი სამართლებრივი ბუნება და ხასიათი, გავცრელების არეალი, ადრესატთა წრე და ამ აქტების გამოცემის კომპეტენცია.

განსაკუთრებულ დამუშავებას იმსახურებს ასევე ნასამართლობის საკითხი, რამდენადაც ნასამართლობა არის სასამართლოს განაჩენით დამნაშავის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის ზოგიერთი უფლების შეზღუდვაში გამოიხატება. ნასამართლობას უკავშირდება არამარტო წმინდა სისხლისსამართლებრივი, არამედ საერთო-სამართლებრივი შედეგებიც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11-ე(1) მუხლი - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხლვა - საკითხი, რომელმაც კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძნა საქართველოს მიერ „**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის**“ რატიფიკაციის ფონზე. აღნიშნული საკითხი დიდი სიფრთხილით და ზედმიწევნით არის დამუშავებული კონვენციის მიერ დადგენილი დებულებების კვალდაკვალ, ამ კონცენციასთან სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის რელევანტური მუხლების შესაბამისობის გაანალიზებაზე აქცენტირებით.

შეცდომა სისხლის სამართალში - საკითხი დეტალურადაა განხილული გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატკის და შედარებითი მეთოდის გამოყენებით, და ცხადია, წარმოადგენს აღნიშნული პრობლემატიკის ინტერპრეტაციას ქართული სისხლის სამართლის მიხედვით. დამუშავებულია შეცდომის

სისხლისსამართლებრივად რელევანტური სახეები შესაბამისი მაგალითებით, როგორც ქართულ, ასევე გერმანულ კანონმდებლობაზე მითითებით.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	კონსტანტინე კორკელია (რედ.)	ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები, ISBN 978-9941-31-053-9	თბილისი, „ინტელექტი“	204
	გოჩა ფერაძე (რედ.)	„სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“ წიგნი IV	თბილისი, „მერიდიანი“	1167 გვ.
	გიორგი რუსიაშვილი	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, ISBN 978-9941-9648-6-2	თბილისი, „იურისტების სამყარო“ 2019	266 გვ.
	გიორგი რუსიაშვილი, ლადო სირდაძე, დემეტრე ეგნატაშვილი	სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, ISBN 978-9941-8-1402-0	თბილისი, 2019	458 გვ.
	გია გოგიბერიძე და სხვ.	საერთაშორისო სამეცნიერო კრებული - „კონსტიტუციონალიზმი – მიღწევები და გამოწვევები“, ISBN 978-9941-26-627-0	თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“	741 გვ.
	ირინე ხერხეულიძე და სხვ.	„ქართული სისხლის საპროცესო სამართალი ევროპულ და საერთაშორისო სამართლის ჭრილში“	„მერიდიანი“, 2019	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად
	სერგი ჯორბენაძე (რედ.)	სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოცემა, ISBN 978-9941-8-1450	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019	342 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კონტანტინე კორკელიას რედაქტორობით გამოცემულ კრებულში თავმოყრილია თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების სტატიები ადამიანის უფლებათა აქტუალურ საკითხებზე და გამოთქმულია რიგი				

რეკომენდაციებისა როგორ უნდა ვუზრუნველვყოთ ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმების გაუმჯობესება.

გოჩა ფერაძის რედაქტორობით გამოცემული კრებული მიეძღვნა XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი სამართლის ისტორიკოსის, ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამართლის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის, აკადემიკოს ისიდორე დოლიძის ხსოვნას. მასში თავმოყრილია 35-ზე მეტი ქართველი მეცნიერის, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწის სამეცნიერო ნაშრომი, თარგმანი უცხოური წყაროებიდან, მოგონებები აკად. ი. დოლიძის ცხოვრების, სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. კრებულს თან ერთვის აკად. ი. დოლიძის ბიოგრაფია, სამეცნიერო შრომების, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილების, საჯარო გამოსვლების ამსახველი ბიბლიოგრაფია.

ირინე ხერხეულიძის სტატიაში, რომლის სახელწოდებაცაა: **„ევროპულ და საერთაშორისო სამართალთან მიმართებით ტრეფიკინგის პროცესუალურ-სისხლის სამართლებრივი ასპექტების განვითარება საქართველოში“,** გაანალიზებულია ტრეფიკინგი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა და შესწავლილია საქართველოს რელევანტური კანონმდებლობის მასთან შესაბამისობის საკითხი, ნაჩვენებია ის პრინციპები, რასაც ეფუძნება ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში - მათ შორისაა საყოველთაოდ ცნობილი „4P-ს პრინციპი“ (*prevention, protection, prosecution, partnership*), რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, პროაქტიული გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ღონისძიებების გაძლიერებისაკენ.
სტატია ხაზს უსვამს ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) და მოწმის განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას სისხლის სამართლის პროცესში. სტატიაში განხილულია ტრეფიკინგის მსხვერპლის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის განსხვავებული ფორმატი ზეგავლენის დაძლევისა და გამორკვევის პერიოდის მოთხოვნასთან შესაბამისობით.
საბოლოო ჯამში, პრაქტიკული თვალსაზრისით, სტატიაში მოცემული კვლევის შედეგები ტრეფიკინგის ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დევნას ემსახურება. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლა ერთიანი, მთლიანი, თანმიმდევრული ციკლია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუციების, უწყებებისა და სააგენტოების მონაწილეობით.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გიორგი დავითაშვილი	ოჯახში ჩადენილი სისტემატური შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი	სისხლის სამართლის აქტუალური	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 56-68

		ასპექტები, ISSN 2449-3112	საკითხები, №4, 2019		
	ნუგზარ სურგულაძე	სამხედრო ორგანიზაციის საფუძვლები XVII-XVIII საუკუნეების ირანსა და საქართველოში	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, ი. დოლიძისადმი მიძღვნილი კრებული	საქართველო, თბილისი	718-739
	ნანა ჭიღლაძე	თანამედროვე საარჩევნო პრინციპები და მათი გავლენა არჩევნების პროცესზე, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 110-129
	ირმა ხარშილაძე	ადმინისტრაციული წარმოება, როგორც საჯარო მმართველობის ეფექტური განხორციელების ინსტრუმენტი (ესტონეთის კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი), ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 36-59
	ირმა ხარშილაძე	დისკრეციული უფლებამოსილება, როგორც საჯარო მმართველობის ეფექტური განხორციელების პრინციპი	აკადემიკოს ისიდორე დოლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული – ,,სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები", წიგნი IV	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 1058-1099
	პაატა ტურავა	საგადასახადო დავებზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პრაქტიკა, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 60-71
	კონსტანტინე კორკელია	ადვოკატი და ადამიანის უფლებათა ევროპული	„ჩემი ადვოკატი“, ადვოკატთა	თბილისი	7

		კონვენცია, ISSN -1987 5 479	ასოციაციის ჟურნალი		
	ბესარიონ ზოიძე	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძირითადი გამოწვევები ქართული კერძო სამართლისათვის, ISBN 978-9941-25-707-0	ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, 2019, №2	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 11-23
	ბესარიონ ზოიძე	რამდენიმე ჩანახატი სამართლის ზოგად საკითხებზე	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, მიძღვნილი აკად. ისიდორე დოლიძის ხსოვნისადმი	თბილისი	გვ. 322-346
	ბესარიონ ზოიძე	ძირითადი უფლებების გავლენა კერძო ავტონომიაზე: კერძო ავტონიმიის გაფართოება თუ შეზღუდვა	მომზადებულია გამოსაცემად		30 გვ.
	ბესარიონ ზოიძე	საკუთრების გადასვლის სისტემები ევროპულ სამართალში	მომზადების პროცესშია		35 გვ.
	ლადო ჭანტურია	მოსამართლის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ავტორიტეტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიხედვით	იბეჭდება		
	ლადო ჭანტურია	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალი და ეროვნული სამართლის ტრანსფორმაცია (აბსტრაქტი)	ჰუმბოლდტის ფონდის მიერ თბილისში 2019 წლის 30 ოქტომბერს ჩატარებული ჰუმბოლდტის-სემინარის კრებული		
	ლადო ჭანტურია	მოსამართლის უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების	თბილისი, „მერიდიანი“, 2019	გვ. 1048-1057

		სასამართლოს სამოსამართლო სამართალში	ისტორიის ნარკვევები, წიგნი მეოთხე, კრებული ეძღვნება აკადემიკოს ისიდორე დოლიძის ხსოვნას		
	ირაკლი ბურდული	ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ISSN -1987 5 479	ჩემი ადვოკატი, №2 - ნოემბერი - 2019	თბილისი	გვ. 46-62
	ირაკლი ბურდული, გიორგი ამილახვარი, ქეთევან ცხადაძე	კაპიტალის ბაზრის სამართალი - მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწდეული 2019	თბილისი, „სვეტი“	გვ. 59-63
	ირაკლი ბურდული, გვანცა მაღრაძე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები	სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწდეული 2019	თბილისი, „სვეტი“	გვ. 25-49
	ირაკლი ბურდული	ნეკრორეცეფცია ტრანსფორმაციულ საზოგადოებაში (სამართლებრივი არქიტექტურა რეგულირებად, რერეგულირებად და დერეგულირებად სისტემაში - პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)	სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწდეული 2019	თბილისი, „სვეტი“	გვ. 7-25
	ირაკლი ბურდული	სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერად მოპოვება, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019	თბილისი	გვ. 11-39
	ირაკლი ბურდული,	უზენაესი სასამართლოს # ას-28-25-2017 განჩინება, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-	თბილისი	გვ. 86-101

	გიორგი რუსიაშვილი		გერმანული ჟურნალი, 2/2019		
	ლაშა ბრეგვაძე	„სახალხო გონი როგორც სამართლის წყარო: სამართლებრივი კულტურის კონცეფციის ჩანასახი სამართლის ისტორიული სკოლის ნააზრევში“. ISBN 978-9941-25-656-1	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები	თბილისი, „მერიდიანი“	90-145
	ლაშა ბრეგვაძე	ინკლუზია და ექსკლუზია ასიმეტრიულ მსოფლიო საზოგადოებაში: ძირითადი უფლებების საზოგადოებრივი ფუნქციის შესახებ	ნაშრომი დასრულებულია		20
	ლაშა ბრეგვაძე	სამართლის ანარქისტული თეორიები	ნაშრომი დასრულებულია		15
	მარინა გარიშვილი, გიორგი დავითაშვილი	კათალიკოზთა სამართლის ზოგიერთი მუხლის გაგებისათვის	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV	თბილისი, „მერიდიანი“, 2019	გვ. 260-267
	გოჩა ფერაძე	„სამართლის ძეგლებით მარადისობაში“	„სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“ წიგნი IV	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 5-23
	გოჩა ფერაძე	„რამდენიმე გარემოების დადგენა - დაზუსტებისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან“	მოხსენების სახით წაკითხულ იქნა ვარლამ ჩერქეზიშვილი-სადმი მიძღვნილ დარგთაშორის სამეცნიერო კონფერენციაზე	გადაცემულია კონფერენციის მოხსენებათა კრებულში გამოსაქვეყნებლად	15 ნაბეჭდი გვ.

	ხათუნა ლორია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით (სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე), ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 72-88
	კობა ყალიჩავა	„მცოდნე პირთა“ წვლილი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავებაში, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 130-143
	ეკა სირაძე	საზღვაო სამართლის კოდიფიკაცია და პროგრესული განვითარება	საერთაშორისო სამართლის ჟურნალი 2019 წლის გამოცემა	გადაცემულია დასაბეჭდად	18 გვ.
	თამარ ზარანდია	ბინის საკუთრების მოწესრიგება მრავალბინიან სახლებში, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 16-35
	თამარ ზარანდია	ნივთების ცნება და კლასიფიკაცია	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV	თბილისი, „მერიდიანი“, 2019	გვ. 300-321
	თამაზ ზოიძე	ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით	ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, 2019, №2	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 144-159
	თამარ ზოიძე	საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფცია და უძრავ ქონებაზე საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა	მომზადებულია წლიური ნაშრომის სახით, რომელიც გადამუშავების შემდეგ შეიძლება დაიბეჭდოს		

	თამარ ზოიძე	ადამიანის სხეულის ორგანოები სამოქალაქო ბრუნვის კონტექსტში	მომზადებულია მასალები სამეცნიერო სტატიისათვის		
	თამარ ზოიძე	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარება საქართველოში	მიმდინარეობს სამეცნიერო წყაროებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა		
	გიორგი რუსიაშვილი	გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019	თბილისი	გვ. 20-36
	გიორგი რუსიაშვილი	იპოთეკის რეფორმა - ბინას არ კარგავს მხოლოდ ის, ვისაც ეს ბინა არა აქვს, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019	თბილისი	გვ. 37-46
	გიორგი რუსიაშვილი	„აკო, პაკო და ლუზიტანელები“, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019	თბილისი	გვ. 77-81
	გიორგი რუსიაშვილი	„ტრაილერის მძღოლი ვასო“, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019	თბილისი	გვ. 82-88
	გიორგი რუსიაშვილი	„ანდრო კორპორატიული“, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019	თბილისი	გვ. 82-85
	გიორგი რუსიაშვილი	აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019	თბილისი	გვ. 10-21
	გიორგი რუსიაშვილი	სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების	შედარებითი სამართლის ქართულ-	თბილისი	გვ. 45-54

		გადაცემისას, ISSN 2587-5191	გერმანული ჟურნალი, 3/2019		
	გიორგი რუსიაშვილი	აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, გადაცემისას, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019	თბილისი	22-32
	გიორგი რუსიაშვილი	„მარცხენა ნახევარსფერო“, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019	თბილისი	48-51
	გიორგი რუსიაშვილი	„დათვი მთვარიან ღამით“, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019	თბილისი	52-54
	ლელა ჯანაშვილი	Prudentia et Prudentia iuris, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	გვ. 144-152
	ირინა აქუბარდია	საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ადგილი საგამოძიებო მოქმედებათა სისტემაში	ნონა თოდუა – 60, საიუბილეო კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად	
	ირინა აქუბარდია	ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ევროპული სტანდარტები	ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი – 60, საიუბილეო კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად	
	მორის შალიკაშვილი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „მარიხუანას“ გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური ანალიზი		თბილისი, 2019, ელ. ვერსია	82 გვ.
	მორის შალიკაშვილი	Кодексу о правосудии в отношении несовершеннолетних два года, ISSN 2298-0490	Южнокавказский Юридический Журнал 09/2018-2019 Тенденции		გვ. 50-57

			развития ювенальной юстиции		
	ირაკლი დვალიძე	მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში, ISBN 978-9941-9644-5-9	გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი	საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019	გვ. 66-77
	გია გოგიბერიძე	პარლამენტარიზმის ქართული ანარეკლები (კონსტიტუციურ-სამართლებრივი ექსკურსი)	საერთაშორისო სამეცნიერო კრებული - „კონსტიტუციო-ნალიზმი – მიღწევები და გამოწვევები“, ISBN 978-9941-26-627-0	თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 541-571
	თემურ ცქიტიშვილი	მუხანათური, ვერაგული (ღალატით) მკვლელობა და მისი კვალიფიკაცია	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები	თბილისი, „მერიდიანი“	991-1018
	თემურ ცქიტიშვილი	რეცენზია: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანასაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2019, №1	თინათინ წერეთლის სახელობის საელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა	64-77
	თემურ ცქიტიშვილი	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლის-სამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები	„სამართლის ჟურნალი“, 2019, №1	გადაცემულია გამოსაქვეყნე-ბლად	

	თემურ ცქიტიშვილი	ბაჩანა ჯიშკარიანი, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში	სისხლის სამართლის გერმანულ-ქართული ელექტრონული ჟურნალი, www.dgstz.de, 2019 წლის დეკემბრის ნომერი	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	
	ბესიკ მეურმიშვილი, პაპუნა გურული	დამნაშავის შეწყალება ქართულ სისხლის სამართალში – გადასინჯვის მცდელობა, ISSN 2346-7916	სამართალი და მსოფლიო, №11, მაისი, 2019		გვ. 18-27
	მაკა ხოდელი	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ISSN 2566-5758	„გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი (DGStZ)“, №2, 2019		35-40
	მაკა ხოდელი	Zentrale Aspekte der Telefonüberwachung nach der georgischen StPO, (გერმანულ ენაზე), ISSN 2566-5758	„Deutsch-georgische Strafrechts-zeitshrift (DGStZ)“, №2, 2019		31-35
	მაკა ხოდელი	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება - ოპერატიულ-სამძებროდან ფარულ საგამოძიებო ღონისძიებამდე, ISSN 1987-7668	სამართლის ჟურნალი, №2, 2018		292-313
	მაკა ხოდელი	Secret Eavesdropping of Telephone Conversation – from Operative-investigative Measure to Covert Investigative Action, ISSN 2233-3746	Journal of Law	Tbilisi 2019, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press	18
	თამარ ღვამიჩავა	საკასაციო სამართალწარმოების პრინციპები, ISBN 978-9941-9648-4-8	მაია კოპალეიშვილი 55, საიუბილეო კრებული	თბილისი, „იურისტების სამყარო“	89-109
	გიორგი ამირანაშვილი	დაზღვევის ხელშეკრულების			130-153

		ალეატორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, ISSN 1512-259X	„მართლმსაჯულება და კანონი“, №1(61)’19		
	გიორგი ამირანაშვილი	სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის ტენდენციები და მისი როლი ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაციაში, ISBN 978-9941-8-0915-6 19-22	ახალგაზრდა მეცნიერთა V ინტერდისცი-პლინური კონფერენციის მასალები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	თბილისი, 2019	19-22
	გიორგი ამირანაშვილი	სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის გლობალური ინსტრუმენტების გამოყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (CISG-ის მაგალითზე)	ახალგაზრდა მეცნიერთა VII ინტერდისცი-პლინური კონფერენციის მასალები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	თბილისი, 2020 (მზადდება გამოსაცემად)	
	ეკატერინე ლაფაჩი	უძრავ ნივთებზე უფლებების შეძენა თავდაპირველი მესაკუთრის გვერდის ავლით, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა თუ თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესის უგულველყოფა (სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების განხილვის მაგალითზე), ISSN 2346-7916	სამართალი და მსოფლიო №12, დეკემბერი, 2019		101-107
	სერგი ჯორბენაძე	1+8+1=10 – ანუ თავისუფლების ფარგლები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში, ISBN 978-9941-8-1450	სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოცემა	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019	24-37

	სერგი ჯორბენაძე	საჯარიმო თანხის არსებობის პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ISSN 2587-5191	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019		60-63
	გიორგი დგებუაძე	„სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოდელები - „ძალის გამოყენების“ სამართლებრივი მექანიზმები“	„საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციო-ნალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“	თბილისი, „მერიდიანი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნე-ბლად)	გვ. 710-732
	გიორგი დგებუაძე	„სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე: კომპლემენტარულობის პრინციპი - ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?“	„საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციო-ნალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“	თბილისი, „მერიდიანი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნე-ბლად)	გვ. 733-746

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გოჩა ფერაძის წერილში „სამართლის ძეგლებით მარადისობაში“ განხილულია აკადემიკოს ისიდორე დოლიძის ხანგრძლივი და ძალზედ ნაყოფიერი საქმიანობა როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. ყურადღება არის გამახვილებული მის დიდ დამსახურებაზე ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის როგორც შესწავლის, ისე სწავლების საქმეში. განსაკუთრებულ წვლილზე შუა საუკუნეების ქართული საერო თუ საეკლესიო სამართლის ძეგლების მოძიების, დამუშავების, მეცნიერული კომენტარების დართვისა და გამოცემის თვალსაზრისით.

გოჩა ფერაძის წერილში „რამდენიმე გარემოების დადგენა -დაზუსტებისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან“ განხილულია დიდი ქართველი მამულიშვილის ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი, როგორც საქართველოს ისე საზღვარგარეთის არქივებსა თუ, წიგნსაცავებში მოძიებული საინტერესო ფაქტები. ყურადღება არის გამახვილებული ვ.ჩერქეზიშვილის პიროვნებით დაინტერესებული სხვადასხვა დარგის მეცნიერების თანამშრომლობისა და მათ მიერ მოძიებული მონაცემების გაცვლის, შეჯერების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

ეკა სირაძის სტატია ეხება საზღვაო სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უძველესი დარგის, კოდიფიკაციის პროცესს დაწყებული 1494 წლის ტორდესილასის ხელშეკრულებიდან საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციამდე და შემდგომ პერიოდში. განხილულია როგორც ჰააგის 1930 წლის საკოდიფიკაციო კონფერენციის, ისე გაეროს სამივე საზღვაო კონფერენციის მასალები და შედეგები, კერძოდ, 1958 გემების ოთხი კონვენცია და გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია. მოკლედ არის განხილული ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს საზღვაო ჩვეულებითი სამართლის ნორმების კოდიფიკაციასა და ახალი საკონვენციო ნორმების შექმნაში. ეს არის მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მიღებული, როგორც ეროვნული სასამართლოების, ისე საერთაშორისო არბიტრაჟების, PCIJ-ის და ICJ-ს გადაწყვეტილებები. მათ შორის: Muscat Dhows არბიტრაჟი, North Atlantic Coast Fisheries საქმე, SS 'Lotus'-ის საქმე, კოფუს არხის საქმე, Anglo-Norwegian Fisheries საქმე, ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეები, Anglo-French Continental Shelf საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, Land and Maritime Frontier საქმე.

ასევე განხიხულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და მათი გავლენა საზღვაო სამართლის განვითარებაზე.

საზღვაო სამართლის კოდიფიკაციის პროცესის მნიშვნელობა და გავლენა მთლიანად საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე.

ირაკლი დვალიძის სტატიის ანოტაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი ეძღვნება სამოხელეო დანაშაულებს. აღნიშნულ თავში მოცემულ დანაშაულთა უმეტესი ნაწილის ამსრულებლად გვევლინება სპეციალური სუბიექტი. შესაბამისად, სტატიაში ზუსტად განისაზღვრა თუ რა ობიექტური ნიშნების არსებობაა აუცილებელი, იმისათვის, რომ პირი სამოხელეო დანაშაულის დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვალოს.

მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ნიშნების ზუსტად განსაზღვრა პირდაპირ უკავშირდება კანონიერების პრინციპის განუხრელ დაცვას, რაც ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციის საწინდარია.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული სამოხელეო დანაშაულისათვის დათმობილი ნორმები საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსი ნორმებისგან ორი მნიშვნელოვანი გარემობით განსხვავედება:

1) ტერმინ „თანამდებობის" ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „მოხელე" ან „მასთან გათანაბრებული პირი";

2) მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში არ გვხვდება თანამდებობის პირის და არც მოხელის ან მასთნ გათანაბრებული პირის ცნებას. თანამდებობის პირის ცნება მოცემული იყო საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად თანამდებობის პირის დეფინიციას, თუმცა წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ სსკ-ის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შენიშვნაში კანონმდებელმა პირდაპირ მიუთითა ზოგიერთი ის სამსახურებრივი პოსტები, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი **მოხელესთან გათანაბრებულ პირის** დეფინიციაში უნდა მოექცეს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, როგორც „სპეციალური ამსრულებლის", ნიშნების დასადგენად ნორმაშეფარდებით პროცესში აუცილებელია შემდეგი სამართლებრივი აქტების გამოიყენება:

1) საქართველოს1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი;
2) საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი ***„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ"***;
3) საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონი ***„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"***;
4) საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის ***„საჯარო სამსახურის შესახებ"***.

ამრიგად, მოხელეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ა) ინიშნება უვადოდ;

ბ) ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე;
ბ) ინიშნება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ,
გ) ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას,
დ) ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.
ე) მართლია, აღნიშნული კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუმცა ლოგიკურად გამომდინარეობს ისიც, რომ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება ხორციელდება საქართველოს (საქართველოს სახელმწიფოს) სახელით.
სტატიაში გამოკვეთილია, რომ მოხელის ამსრულებლად მიჩნევისთვის კანონმშემფარდებელს კანონმდებელი აძლევს მოხელეთა ამომწურავ ჩამონათვალს. გამომდინარე, იქიდან, რომ ამა თუ იმ ფორმით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოც მონაწილეობს, გარდაუვალია საჯაროსამართლებრივი უფლებასმოსილების დელეგირება. ამგვარ სიტუაციაში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული პირი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებლად გვევლინება, რის გამოც შეუძლებელია დაცული სამართლებრივი სიკეთე არ იყოს სახელმწიფოს ინტერესები. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება თუკი ნორმაშეფარდებითი საქმიანობა შეზღუდული იქნება მხოლოდ მოხელის ამომწურავი ჩამონათვალით.
მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნების არსებობით გადალახულია ამგვარი შეზღუდვა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მხოლოდ კანონშემფარდებლის სუბიექტურ შეხედულებაზეა მინდობილი კონკრეტული პირის მოხელესთან გათანაბრებულ პირად მიჩნევა. როგორც დავინახეთ, მოხელესთან გათანაბრებული პირის დასადგენად კანონშემფარდებელმა სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში პირდაპირ მიუთითა იმ ორიენტირებზე, რომლზე დაყრდნობითაც ნორმაშეფარდებით საქმიანობაში გამოირიცხება სუბიექტივიზმი და კანონიერების პრინციპის დარღვევის საშიშროება.

გია გოგიბერიძის სტატია ხელისუფლების ორგანიზაციისა და მმართველობის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეას პარლამენტარიზმსა და აღნიშნული მოვლენის ქართულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში რეალიზაციის საკითხებს შეეხება. სტატიაში საქართველოში მიღებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტების (მათ შორის საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის) და აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარების მოსაზრებების საფუძველზე მიმოხილულია ის არსებითი თავისებურებები და ტენდენციები, რაც პარლამენტარიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას ახასიათებს საქართველოში და რამაც განსაზღვრა სახელმწიფოს მმართველობის მოდელი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პარლამენტარიზმის მახასიათებლები და მისი ისტორიული - სამართლებრივი კონტექსტი, პარლამენტარიზმის იდეის რეალიზაციის თავისებურებები საქართველოში, მისი გაძლიერებისა თუ შესუსტების პერიოდები კონსტიტუციური ცვლილებების სხვადასხვა ეტაპზე, პარლამენტარიზმისა და ხალხის წარმომადგენლობის ურთიერთმიმართება, პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები, პარლამენტარიზმის პირობებში გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები და სხვა.

ანოტაცია გიორგი დგებუაძის სტატიაზე „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოდელები - „ძალის გამოყენების“ სამართლებრივი მექანიზმები“

საერთაშორისო თანამეგობრობის მიზანია სისხლის სამართლის ერთიანი კანონმდებლობის შექმნა, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების აღსაკვეთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ერთიანი სისხლის სამართლის სისტემა ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი პირობაა. ეროვნულ დონეზე დაშვებული შეცდომა შეიძლება ფართომასშტაბიანი ან/და სისტემური ხასიათის აღმოჩნდეს და საერთაშორისო ხასიათი მიიღოს. ასეთი შემთხვევის აღმოფხვრის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმს საერთაშორისო (სუპრანაციონალური) სისხლის სამართალი წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის კომბინირებულ გამოყენებას.

ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო თანამეგობრობის სისხლის სამართლის (საერთაშორისო სისხლის სამართლის) კანონმდებლობასთან ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. საერთაშორისო სისხლის სამართალში სხვადასხვა ეროვნული სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციის პროცესი მატერიალური და ფორმალური (პროცესუალური) გაგებით მიმდინარეობს, ანგლოამერიკულ და კონტინენტურევროპულ სისხლის სამართლის სისტემების სამართლებრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობა ქმნის ახალ, საერთაშორისო სისხლის სამართლის მატერიალური და ფორმალური (პროცესუალური) ნაწილების ერთიან დოგმატიკას, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებსა და გამოცდილებას, რითაც ამარტივებს იმპლემენტაციის პროცესს.

სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციას „ტექნიკურად“ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული სისტემების „ჰარმონიული კონვერგენციის“ შედეგია. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ძირითად წყაროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება - რომის სტატუტი წარმოადგენს. სწორედ აქ ხდება სისხლის სამართლის მატერიალური და ფორმალური ნაწილების ინტერნაციონალიზაცია და სისტემატიზაცია, ვინაიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პერმანენტულ სისხლის სამართლის ინსტიტუციას წარმოადგენს. იგი აერთიანებს მოკვლევის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლო განხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ფორმალურ დებულებებს. სისხლის სამართლის პერმანენტული საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის, მისი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის „შთამბეჭდავი საუკუნოვანი ისტორიის“ ფონზე, სხვა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებთან შედარებით, საერთაშორისო თანამეგობრობის საუკეთესო პროდუქტია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სისხლის სამართლის სისტემისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, მატერიალური გაგებით, განიცდის გერმანული სამართლის ზეგავლენას და, მეორე მხრივ, ფორმალური გაგებით, უმეტესწილად, ანგლოამერიკული ხასიათისაა. საერთაშორისო სამართალში სასამართლოს დაფუძნება საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მით უფრო, სისხლისსამართლებრივი ხასიათის. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების სისტემატურმა დარღვევამ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების თავისებური სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია. ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სხვადასხვა მოდელი, „ძალის გამოყენების“ სამართლებრივი მექანიზმები. საერთაშორისო სისხლის სამართალში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების აღსაკვეთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პერმანენტული (კომპლემენტარულობის) მოდელის გარდა, განხილულია „ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა“, დროებითი (ad hoc), რეტროაქტიური, დროებითი ტრიბუნალების მსგავსი, მოსამზადებელი, სუბსიდიური და სპეციალური მართლმსაჯულების მოდელები.

ანოტაცია გიორგი დგებუაძის სტატიაზე „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე: კომპლემენტარულობის პრინციპი - ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?“

საერთაშორისო სისხლის სამართლის პერმანენტულ მართლმსაჯულების სისტემას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთაშორისო (სუპრანაციონალური) სისხლის სამართლის ერთიანი მართლმსაჯულების, „საერთო პოლიტიკის“ შემუშავების, პრეცედენტული სამართლის მოდერნიზაციის მიზნით დააფუძნა. ერთი მხრივ, იგი ეყრდნობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, გერმანული და ანგლოამერიკული სისხლის სამართლის მატერიალურ და ფორმალურ დოქტრინებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სისხლის სამართლის უახლეს – ერთიან ინფრასტრუქტურას ქმნის. საერთაშორისო თანამეგობრობამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, 2002 წლის 1 ივლისიდან ინდივიდების მიერ ჩადენილი გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ, ომისა და აგრესიის დანაშაულებზე იურისდიქციის

გავრცელების უფლება მიანიჭა. აგრესიის დანაშაულზე 2018 წლის 17 ივლისიდან იურისდიქციის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ 2017 წლის 15 დეკემბერს, ნიუ-იორკში მიიღო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო კონკრეტულ საქმეს („სიტუაციას“) დამოუკიდებლად აანალიზებს და თავად წყვეტს, თუ რომელი გამოწვევით უნდა დაკავდეს – ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა. ასეთ გადაწყვეტილებას იგი კომპლემენტარულობის პრინციპზე დაყრდნობით იღებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო პერმანენტული მართლმსაჯულების ამოქმედება კომპლემენტარულობის პრინციპზეა დამოკიდებული. იგი ეროვნული სისხლის სამართლის სუვერენიტეტის მთავარი გარანტორია. პრინციპი ადგენს საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებით ეროვნული სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლებს, ასეთი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო პასუხისმგებლობას - განსაზღვრავს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ ორ სისტემას შორის გავლებული საზღვრის გადაკვეთის წესებს.

კომპლემენტარულობის პრინციპზე დაყრდნობით, ეროვნულ საფეხურზე კონკრეტული საქმის გამოკვლევის შემდეგ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი ამოცანაა, საერთაშორისო თანამეგობრობის (საერთაშორისო სისხლის სამართლის) მანდატით მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელ (ეროვნულ თუ საერთაშორისო) დონეზეა მიზანშეწონილი საქმის სამომავლო წარმართვა მართლმსაჯულების საუკეთესო განხორციელების მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, თვითონ სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, გამოიძიოს მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ინტერვენციის გარეშე. თუ საკითხი არ ან ვერ წყდება ეროვნულ დონეზე, იგი საერთაშორისო სისხლის სამართლის - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს - განხილვის საგანია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულების სისტემის, სისხლის სამართლის საერთაშორისო (მატერიალური და ფორმალური ნაწილების) დოქტრინის, ამოქმედების კრიტერიუმებს კომპლემენტარულობის პრინციპი განსაზღვრავს. საერთაშორისო სისხლის სამართალში ასეთი „მექანიზმის“ არსებობა აუცილებელია ჰორიზონტალურ (სახელმწიფოთაშორის) და ვერტიკალურ (ეროვნულ და საერთაშორისო) დონეზე იურისდიქციის საკითხის გადასაწყვეტად. ასეთი დათქმის გარეშე სასამართლო ვერ დაფუძნდებოდა. ეროვნულ სისხლის სამართალში საერთაშორისო მექანიზმის ასამოქმედებლად საჭიროა რომის სტატუტის მე-17 მუხლით განსაზღვრული საქმის წარმოებაში მიღების კრიტერიუმების დადგენა. ნაშრომში გაანალიზებულია კომპლემენტარულობის პრინციპი (საერთაშორისო თანამეგობრობის სისხლის სამართლის საერთაშორისო პერმანენტული მართლმსაჯულების ამოქმედების წინაპირობები), იგი არის ეროვნული მართლმსაჯულების მხარდამჭერი მექანიზმი თუ დისკრეციული ინტერვენციის საშუალება?! განხილულია კომპლემენტარულობის პრინციპის შინაარსი – რომის სტატუტით გათვალისწინებული საქმის წარმოებაში მიღების საფუძვლები, ე.წ. „კომპლემენტარულობისა“ და „სიმძიმის“ ტესტები, იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების „სურვილის არქონისა“ და „უუნარობის“ ელემენტები, მთლიანობაში შეფასებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის პერმანენტული მართლმსაჯულების სისტემის „გავლენა“ ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ეკატერინე ქარდავა (თანაავტ.)	"საჯარო სამსახურის რეფორმა პოსტ-საბჭოთა		(წიგნი გამოცემის პროცესშია)

		ქვეყნებში: გამოწვევები და მიღებული გამოცდილება"		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ეკატერინე ქარდავას მიერ შესრულებული თავი საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმის დაწყებას, მიმდინარეობასა და სამომავლო გეგმების განხორციელებას ეხება.				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ტიციანა ქიუზი, ირაკლი ბურდული (რედ.)	Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs. Band 14	Jurisprudentia Saraviensis, Verlag Alma Mater, Saarbrücken 2019	119
	ირინე ხერხეულიძე	„მედიცინის სამართლის“ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ვუცბურგის იულიუს მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად გამოსაცემი სტატიათა კრებული	გერმანია, ვუცბურგის უნივერსიტეტის გამომცემლობა (სავარაუდო)	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად
	ლელა ჯანაშვილი	Derechos Humanos y Human Traffiking (ესპანურ ენაზე), სტატიათა კრებული, ავტორთა კოლექტივი, კოორდინატორი – ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩი	კოლუმბიის ბარანკიიას უნივერსიტეტის განომცემლობა	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

კრებულში წარმოდგენილი ირინე ხერხეულიძის სტატია თემაზე: **”ადამიანის ორგანოთა გადანერგვა და მისი რეგულირების სამართლებრივი ჩარჩო“** ეხმაურება მედიცინის სისხლის სამართლის თანამედროვე მიღწევებსა და გამოწვევებს. სტატია იკვლევს ბიომედიცინის მარეგულირებელ კანონმდებლობას, რამდენადც დღესდღეობით ბიომედიცინა ის დარგია, რომელიც მსოფლის თითქმის ყველა ქვეყნის ინტერესს იმსახურებს და სპეციალურ სამართლებრივ რეგულაციებს ექვემდებარება. ამდენად, სტატიაში განხილულია ტრანსპლანტაციისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების არამხოლოდ ეროვნული, არამედ ევროპული ჩარჩო 1997 წლის „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ ევროპული კონვენციისა“ და “ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ” მისი დამატებითი ოქმის მიხედვით.

სტატია დეტალურად იხილავს დონორთა და რეციპიენტთა კანონით დადგენილი წრეს და შესაბამისი გამოწვევებს. მასში არსებითი აქცენტია გაკეთებული პოსტ-მორტალური დონაციის მსოფლიოში არსებულ ფორმებზე და გამოკვლეულია საქართველოს კანონმდებლობის აღნიშნულ საკითხთან შესაბამისობა. საკითხის სიცხადისთვის, მისი პრაქტიკულობისა და აქტუალურობის გამო წარმოდგენელია, ასევე, გერმანიის გამოცდილებაც ანალოგიურ პრობლემასთან მიმართებით.

სტატიაში დონორთა წრის განსაზღვრისა და შეფასების პრობლემურობის საკითხის წარმოსადგენად გაანალიზებულია კონკრეტული საქმეც, კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და რასაც შესაბამისი ცვლილებებიც მოჰყა კანონმდებლბაში, კერძოდ კი კანონში: „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“. ნაშრომში დეტალურადაა დამუშავებული და ახსნილი დონაციისას დონორის ინფორმირებული, გაცხადებული, ნებელობითი თანხმობის სავალდებულობა და დიდი მნიშვნელობა, როგორიც ეს გამყარებულია ყველა საერთაშორისო აქტში, რომელიც ეხება ტრანსპალანტაციის საკითხს.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	კონსტანტინე კორკელია	Advisory Jurisdiction of the European Court of Human Rights Under Protocol 16: Prospects and Challenges	European Human Rights Law Review, 3, 2019	UK	291-297
	ლადო ჭანტურია	Rechtstransformation, Rechtsharmonisierung und Rechtswissenschaft, Zur Rolle der wissenschaftlichen Kooperation in der Entstehung neuer Rechtsordnungen			
	ლადო ჭანტურია	Hundert Jahre der ersten Republik Georgiens und Deutschland	Erster Weltkrieg im östlichen Europa und die russischen Revolutionen 1917, (Hrsg.) Alexander	Peter Lang Verlag, 2019	29-39

			Trunk/Nazar Panych		
	ლადო ჭანტურია	Judicial Dialogue: on the Methods and Principles of Application of the European Convention on Human Rights	ECHR's Jurisprudence in Digital Era	International Scientific Conference, Odessa, May 31- June 1, 2019	153-155
	ირაკლი ბურდული	Das georgische Gesellschaftsrecht: Quo Vadis?! Eine kurze Darstellung der Reformen und des Refrombedarfs im georgischen Unternehmensrecht	Jurisprudentia Saraviensis	Verlag Alma Mater, Saarbrücken 2019	1-25
	ლაშა ბრეგვაძე	"Towards a Global legal Culture? Spaces of Law in the Transnational Constellation". ISBN 978-1-138-48836-6	Law, Legal Culture and Society: Mirrored Identities of the Legal Order. Edited by Alberto Febbrajo	London, Routledge	59-76
	გიორგი რუსიაშვილი	Saldotheorie im georgischen Recht?	T. J. Chiusi/I. Burduli, Rechts-vergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs, Akten des 1. und 2. Deutsch-Georgischen Kolloquiums, Saarbrücken 2019	Alma Mater	
	გიორგი რუსიაშვილი	Das georgische Bereicherungsrecht und der Entwurf König	T. J. Chiusi/I. Burduli, Rechts-vergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs, Akten des 1. und 2. Deutsch-Georgischen Kolloquiums, Saarbrücken 2019		

	თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი	Fragments of Europeanization of Georgian property law and law of obligations in the context of reception of German law, ISSN: 2228-0596	Baltic Journal of European Studies 9 (1)		140-156
	ირინე ხერხეულიძე, სანდრა შულე ბაუში	კანაფის (მარიხუანის) არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენების დასჯადობა საქართველოსა და გერმანიაში, ISSN 2566-5758	გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი №3, დეკემბერი	ბერლინი, გერმანია, ელექტრონული ფორმატი, IRZ	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კონსტანტინე კორკელიას სტატიაში განხილულია კონვენციის მე-16 ოქმით გათვალისწინებული სიახლეები და გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომლებსაც უნდა გაუმკლავდნენ სახელმწიფოების ამ სიახლეების პირობებში.

საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანაფის (მარიხუანის) სამედიცინო დანიშნულების გარეშე მოხმარების ლეგალიზაციის თაობაზე, საქართველოსა და გერმანიის სამართლებრივი მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა არასამედიცინო მიზნებისათვის კანაფის (მარიხუანის) მოხმარების დასჯადობასა და შესაბამის კონსტიტუციურ საფუძვლებთან დაკავშირებით. ირინე ხერხეულიძის სტატიაში დასმულია საკითხი, რომ კანაფის (მარიხუანის) მოხმარების აკრძალვით სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია **ორი მიზნის მიღწევა,** ერთის მხრივ, საზოგადოების დაცვა და მეორეს მხრივ, თავად ამ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის დაცვა საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისგან. ამდენად, სტატიაში მოცემულია როგორც კანაფის (მარიხუანის) კრიმინალიზაციის პროპორციულობის სიღრმისეული გამოკვლევა, ისე შესწავლილია თავად ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისგან დაცვის მიზნის ლეგიტიმურობა ორივე ქვეყნის იურისდიქციაში.

ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულის გარშემო სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში ცალსახად შეიცვალა უკანასკნელი წლების განმავლობაში, - დაწყებული მარიხუანის მოხმარების კრიმინალიზიაციის ანტიკონსტიტუციურობის საკითხის დაყენებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებით მისი ლეგალიზაციით დამთავრებული, სტატია განსაკუთრებული სკრუპულოზურობით სწავლობს და აფასებს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტურ გადაწყვეტილებებს, ისე შესაბამის სისხლისსამართლებრივ თუ ადმინისტრაციულსამართლებრივ კანონმდებლობას. საბოლოოდ, შედარების შედეგები მოკლედ არის შეჯამებული ორივე ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	კონსტანტინე კორკელია	პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრება	Training on Data Protection and Migration, International Centre for

3			Migration Policy Development (ICMPD), ENIGMMA 2, Tbilisi, 26-29 November, 2019
	ბესარიონ ზოიძე	„ცხოველის სამართალსუბიექტობის დასაბუთების ცდა“	სამეცნიერო კონფერენცია „ცხოველი როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი“, რომელიც ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტისა და თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელით 2019 წლის 25 ნოემბერს თსუ-ში
	ლაშა ბრეგვაძე	„სამართლის ანარქისტული თეორიები“	7 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	მაია ივანიძე	ექიმის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი დანაშაული	საერთაშორისო ფორუმი „მედიცინის სისხლის სამართალი“, 2019 წ. 22 ივლისი
	მაია ივანიძე	ოჯახში ძალადობის ისტორია და საზოგადოების როლი მის პრევენციაზე	საერთაშორისო კონფერენცია „ოჯახში ძალადობის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, 2019 წ. 10-11 მაისი
	მაია ივანიძე	საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ	სეზონური სკოლა „ოჯახში ძალადობის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, 2019 წ. 1-6 აპრილი
	ნონა თოდუა	სამედიცინო შეცდომა და მისი სახეები	თბილისი, 2019 წლის ივლისი, ქართულ-გერმანული სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია – მედიცინის სისხლის სამართალში

	ნონა თოდუა	სატრანსპორტო დანაშაულები და უმოქმედობის მიზეზობრიობა სასიკვდილო შედეგის დადგომისას	გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები“, თბილისი, 2019 წლის 13 აპრილი
	ნონა თოდუა	„ფემიციდის“ სამართლებრივი რეგულაციის სადავო საკითხები (ახლებური ხედვა)	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, კაჭრეთში (სასტუმრო „ამბრასადორში“) ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2019 წლის 11-12 მაისი
	მარინა გარიშვილი	“Оголтелая борьба советчины против истинной грузинской юридической научной мысли в 30-х годах XX столетия”	თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და პოლონეთის რესპუბლიკის ქ. სუპსკის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, 2019 წლის 2-4 მაისი
	ეკატერინე ქარდავა	“პროფესიული განვითარების ფორუმი”	25/03/2019, თბილისი
	ეკატერინე ქარდავა	„საჯარო მმართველობის წინაშე არსებული რეგიონული პრობლემები, თვითმმართველობის დონეზე ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება და საჯარო მმართველობის პრინციპების მისადაგება“	30/09/2019, თბილისი
	ეკატერინე ქარდავა	“საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი HR ფორუმი”	18/11/2019, თბილისი
	ეკა სირაძე	“Scythian gold - property rights vs. political expediency”	International Thematic Conference: Protection of Natural Environment and Cultural Heritage in Armed Conflict: Under Geneva

			Conventions and Beyond, თბილისი, 25 ოქტომბერი, 2019
	მორის შალიკაშვილი	გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის გაუხსნელობის კრიმინოლოგიური ანალიზი	თბილისი, 2019 წლის ივლისი, ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია – მედიცინის სისხლის სამართალში
	თემურ ცქიტიშვილი	ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება და მისი სისხლისსამართლებრივი დასჯადობა	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, 19-20 ივლისი
	თემურ ცქიტიშვილი	ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, 25 ნოემბერი
	ირინე ხერხეულიძე	ფარული კავშირები და კორელაციები ოჯახურ ძალადობასა და ტრეფიკინგს შორის	საერთაშორისო კონფერენცია „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ ~ 10-11 მაისი, კახეთი, კაჭრეთი, სასტუმრო „ამბასადორი“, 2019
	ირინე ხერხეულიძე	”ადამიანის ორგანოთა გადანერგვა და მისი რეგულირების სამართლებრივი ჩარჩო“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვუცბურგის იულიუს მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია "მედიცინის სამართლი“, თბილისი, თსუ, 19-20 ივლისი, 2019
	გიორგი ამირანაშვილი	სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის გლობალური ინსტრუმენტების გამოყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (CISG-ის მაგალითზე)	ახალგაზრდა მეცნიერთა VII ინტერდისციპლინური კონფერენცია, ქუთაისი-წყალტუბო, საქართველო, 19-21 აპრილი, 2019

	გიორგი დგებუაძე	„კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით“	2019 წლის 17-18 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“ ორგანიზატორი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი / ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / თბილისის ღია უნივერსიტეტი
	გიორგი დგებუაძე	„ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება საქართველოში“	2019 წელი, თბილისი, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR) / საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) (საერთაშორისო პანელური დისკუსია თემაზე „ზემოდან დანახული დაუსრულებელი ომი“)
	გიორგი დგებუაძე	„მაღალი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულებისათვის“	2019 წელი, თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „გენოციდის დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები“)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ირინე ხერხეულიძის მოხსენება კვლევის ბაზისად იყენებს როგორც ოჯახური ძალადობისაგან, ასევე ქალთა ძალადობისაგან დასაცავად მოწოდებულ უახლეს და ყველაზე ქმედით საერთაშორისო ინსტურუმენტს, ე.წ. “სტამბოლის კონვენციას“, რომელიც დღესდღეობით ფუძემდებლური აქტია არამარტო საქართველოში, არამედ ევროპაში. სტატიაში ხაზგასმულია, რომ 2017 წელს ამ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო კიდევ უფრო ქმედითი გახდა. სტატია მიმოიხილავს როგორც საქართველოს კანონს “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” რომელიც მნიშვნელოვნად გაძლიერდა და დაიხვეწა სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, ისე საქართველოს კანონს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. კვლევა მათ შორის ურთიერთმიმართებით ინტერესდება, რამდენადც ორივე დოკუმენტი გენდერულად სენსიტიურ პრობლემატიკას ეხმაურება და იმ დროისათვის მსოფლიოში ამ მიმართულებით გადადგმული კანონშემოქმედებითი პროცესის შესაბამისია. საერთაშორისო სტანდარტთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენის შემდეგ, პრეზენტაცია სვამს საკითხს, რომელიც მანამდე არ დასმულა ქართულ

სივრცეში და რომელიც ოჯახურ ძალდობასა და ტრეფიკინგს შორის ფარულ კავშირებსა და კორელაციას შეეხება.

პრეზენტაცია, გენდერულ ნიშნის მხედველობაში მიღებით ოჯახური ძალადობისა და ადამიანთა ტრეფიკინგის (განსაკუთრებით კი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით), შემთხვევებზე აკეთებს აქცენტს , მითუფრო რომ სქესის ნიშნით მსხვერპლთა გამოსახვის სტატისტიკური მონაცემი თანაბრად შემაშფოთებლად მაღალია ორივე შემთხვევაში.

ორივე სახის დანაშაულის ერთიან გენდერულ სიბრტყეში ხედვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ სწორედ გენდერული ნიშანია ის ამოსავალი, რომლითაც განპირობებულია ამ დანაშაულთა მსხვერპლ ქალებზე განხორციელებული ქმედების იდენტური ხასიათი, ისევე როგორც - მსხვერპლთა ერთგვარი გადანაცვლება ჩაგვრის ერთი ფორმიდან მეორეში ანუ ერთი სახის დანაშაულისათვის ვიქტიმიზირებიდან მეორეში. სწორედ ამ პერსეტივიდან და აღნიშნული ორი მიმართულებით იკვეთება ფარული კავშირები და კორელაციები მათ შორის. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ ორ დანაშაულს შორის პირველი იდენტური მახასიათებელია - ძალაუფლება და კონტროლი, განხორციელებული დამნაშავის მხრიდან. ამ მიმართებით პრეზენტაცია საზოგადოებას აცნობს ე.წ. „ძალადობის ბორბალს“ და უჩვენებს, რომ არსებობს ასეთი „ტრეფიკინგის ბორბალიც“, რომელშიც იმავენაირად მოქმედებს ძალაუფლების და კონტროლის კომპონენტი. პრეზენტაცია გამოყოფს მეორე კომპონენტსაც, რაც ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს შორის შესაძლო კავშირზე მეტყველებს, და ეს არის ე.წ. “გამოწვევისა და მიწოლის” ძალები, რომლებიც ტრეფიკინგის დანაშაულის განხილვისას იმ ფაქტორებს წარმოადგენენ, რომელიც უბიძგებს მოწყვლად ადამიანთა ჯგუფს იძულებითი შრომისა და პროსტიტუციისკენ.

ბოლოს, კი პრეზენტაცია უჩვენებს კიდევ ერთი კომპონენტს, რომელიც დანაშაულის ამ ორ სახეს ერთ სიბრტყეში აქცევს, ეს არის ამ ტიპის დანაშაულით მიყენებული მსგავსი ხასიათის ზიანი, ისევე როგორც მსხვერპლთათვის შეთავაზებული სერვისების მსგავსება.

ირინე ხერხეულიძის საკონფერენციო მოხსენება, ”ადამიანის ორგანოთა გადანერგვა და მისი რეგულირების სამართლებრივი ჩარჩო“ აქცენტს აკეთებდა არამხოლოდ ბიომედიცინასა და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე, მედიცინასა და სამართალს შორის არსებულ ღრმა კავშირზე აქცენტირებით, არამედ ასევე მკაფიოდ წარმოაჩენდა იმ ურთიერთმიმართებას, რაც არსებობს სისხლის სამართალსა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვისას. ცხადია, ტრანსპლანტაციის საკითხი დაუშვებელი და გაუმათლებელი იქნებოდა ადამიანის ღირსების და ინდივიდუალობის დაცვის გარეშე.

ამდენად, პრეზენტაცია წარმოადგენდა საქართველოსა და ევროპაში როგორც ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღების, ისე პოსტ-მორტალური დონაციის საკანონმდებლო რეგულირების საკითხებს. განსაკუთრებული და დეტალური ანალიზი გაკეთებულია ტრანსპლანტაციისას ინფორმირებული, გაცხადებული, ნებელობითი თანხმობის აუცილებლობაზე. საკითხი დამუშავებულია ისეთი ქართული და ევროპული აქტების შესაბამისობის შესწავლის ფონზე, როგორიცაა: ‘‘ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ’’ 1997 წლის ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი ‘‘ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ’’, „ჯანდაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონი“ და ა.შ. საბოლოო ჯამში, გაკეთებულია სათანადო დასკვნები, სადაც სპეციფიური ხაზგასმა ხდება ადამიანის ორგანოთა კომერციალიზაციის აკრძალვაზე. შედარებითი კუთხით, შესწავლილია მსოფლიოს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც.

ადამიანის უფლებათა იმპლემენტაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში სხვადასხვა საშუალებით ხდება. ადამიანის უფლებათა სამართალი ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, როგორც წესი, სახელმწიფოს მხრიდან მისი მოქალაქეების მიმართ, საერთაშორისო სისხლის

სამართლში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობა კი მიზნად ისახავს, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს ინდივიდებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი ქმედება.
კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა სისხლის სამართალში ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეფინიცია. გენოციდისა და ომის დანაშაულებისაგან განსხვავებით, რომელთა კოდიფიკაცია მოხდა კონვენციებში დამტკიცებული ცნებებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩამოყალიბდა არათანმიმდევრული დეფინიციების საფუძველზე. დანაშაულის შემადგენლობა შეიქმნა იმ მიზნით, რომ შეავსოს ის სივრცე, რომელსაც ომის დანაშაულის შემადგენლობა ღიად ტოვებს.
ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და უმძიმეს დანაშაულს საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებას და კეთილდღეობას. დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების მცდელობა მუდმივად მიმდინარეობდა.
გიორგი დგებუაძის მოხსენება ეხებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას, კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ნიშნებს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით. გაანალიზდა დანაშაულის ჩამოყალიბების ისტორია, თუ რა გზა განვლო მან ჰააგამდე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მატერიალური ელემენტები (სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა; სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა) დანაშაულის მენტალური ელემენტები (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები) და სხვა დანაშაულის შემადგენლობისგან განმასხვავებელ ნიშნები.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გიორგი კვერენჩხილაძე	„საკონსტიტუციო იუსტიცია: ოპტიმალური მოდელის ძიებაში“	საერთაშორისო კონფერენცია “Modern Constitutional Development: the Role of Constitutional Review in Constitutionalisation of Law”; 30-31/V, 2019. მინსკი, ბელარუსი
	კონსტანტინე კორკელია	The Role of Lawyers in Protecting Human Rights	Fifth Parliamentary Conference on Implementing Standards of the European Convention on Human Rights: key role of national parliaments, PACE and Parliament of Latvia, Riga, 9 September, 2019
	კონსტანტინე კორკელია	Sharing the Georgian Experience relating to IDPs	Conference for Ukrainian judges to the Council of Europe, 9-10 July, 2019, Strasbourg

	კონსტანტინე კორკელია	Prohibition of Discrimination under the European Convention on Human Rights	Spring School of Human Rights, European Human Rights Standards and Fight against Discrimination, supported by the Council of Europe, Gomel, Republic of Belarus, 13-17 April, 2019
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტი შედგება 9 ქვეყნის კონსორციუმისგან, რომელიც იკვლევს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ჩრდილოვანი პრაქტიკების გამოყენებას. ლია წულაძე იკვლევს არაფორმალური პრაქტიკების გამოყენებას გარემოსდაცვით საკითხებში და პროექტის ფარგლებში ლუნდის უნივერსიტეტში (შვედეთი)			

განხორციელებული ვიზიტისას (2019 წლის სექტემბერი-ოქტომბერი) დაწერა სტატია: "Monocratic Hobby: On Panoramic Views, Travelling Trees and Their Opposition in Georgia." ამჟამად სტატია რეცენზირებას გადის.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ ცნობადობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობებში [ინტერდისციპლინური - სოციოლოგია და საერთაშორისო ურთიერთობები]. ჟან მონეს აქტივობები, ჰორიზონტი 2020, ევროკავშირი, ბრიუსელი.	2019-2021	ლია წულაძე, პროექტის ხელმძღვანელი; დიანა ლეჟავა, პროექტის ადმინისტრატორი; მარიამ ამაშუკელი, პროექტის მონაწილე; ქეთევან გიკაშვილი, პროექტის ბუღალტერი; აგრეთვე პროექტის რეგიონული წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთიდან, მარნეულიდან და პანკისიდან.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამ სამიზნე ჯგუფში ევროკავშირის შესახებ ცნობადობის გაზრდა. პროექტი, უმთავრესად, მიმართულია ახალგაზრდებზე და მედიის წარმომადგენლებზე, როგორც ინფორმაციის გამავრცელებლებზე. პროექტი ხორციელდება საქართველოს სამ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში, მარნეულში და პანკისში. პროექტში ჩართულნი არიან ადგილობრივი კოორდინატორები, რეგიონულ საინიციატივო ჯგუფებში გაერთიანებული ახალგაზრდები, აგრეთვე სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და პანკისში მოქმედი ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები. სამიზნე ჯგუფის წევრები მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურ ტრენინგებსა და დისკუსიებში და თავის მხრივ, საგანგებო ღონისძიებებს დაგეგმავენ და მოაწყობენ მათივე რეგიონის სხვა ახალგაზრდებთან და ფართო აუდიტორიასთან, საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ მიღებული ინფორმაციის გავრცელების მიზნით.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გრანტი # 1828 „ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება"	2019	თამარ მახარაძე – პროექტის ხელმძვანელი თამარ აბაშიძე – მკვლევარი ანასტასია ქიტიაშვილი – მკვლვარი საბინე ლაუბერ პოლი – საერთაშორისო კონსულტანტი

			ურსულა მარკოვსკა-მანისტა – საერთაშორისო კონსულტანტი
2	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) გრანტი # 1818„ზრუნვის საჭიროებების, სერვისებისა და პოლიტიკის კვლევითი პროექტების“	2019	თამარ მახარაძე – პროექტის ხელმძვანელი ნანა სუმბაძე – უფროსი მკვლევარი თამარ აბაშიძე – მკვლევარი ანასტასია ქიტიაშვილი – მკვლვარი ირინა ჟვანია – მკვლეარი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

№	**დასრულებული** პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ქართულ-გერმანული ურთიერთობების „მწვანე ისტორია“ დამფინანსებელი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება/GIZ საიდენტიფიკაციო კოდი: N83275319	27.11. 2017-21.03.2019	პროექტის ავტორი და წიგნის სამეცნიერო რედაქტორი - ლელა გფარინდაშვილი მკვლევარები და სტატიების ავტორები: ლელა გაფრინდაშვილი, ლევან ბრეგაძე, ცისანა გოდერძიშვილი, ნინო სატკოევა, ნონა კუპრეიშბილი ლია ვიტეკი - წიგნის გერმანულად მთარგმნელი ჯოსეფ სმიტი - წიგნის ინგლისურად მთარგმნელი
	ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) დამფინანსებელი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი/FES საიდენტიფიკაციო კოდი: N2383-0044	დეკემბერი 2017-ივლისი, 2019	პროექტის ავტორი და წიგნის სამეცნიერო რედაქტორი: ლელა გაფრინდაშვილი მკვლევარები და სტატიების ავტორები: ლელა გაფრინდაშვილი, ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე, ლევან თაქთაქიშვილი, ცისანა გოდერძიშვილი, ირაკლი ხვადაგიანი
	ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე: ცხოვრება, მოღვაწეობა, ფაქტები, მეგობრები, თანამოაზრეები დამფინანსებელი: თბილისის მუზეუმების გაერთიანება	20 ივნისი, 2018 – 1 თებერვალი, 2019	პროექტის და გამოცემული ანალიტიკური ანგარიშის ავტორი - ლელა გაფრინდაშვილი

	საიდენტიფიკაციო კოდი: ხელშეკრულება N94		

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ალექსანდრე მენი **(ქართული თარგმანი შესრულებული კახა ქეცბაიას მიერ)**	ძე კაცისა რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ და ნებადართულია გამოსაცემად. №726. 18. 06. 19	თბ., გამომც. „ალილო“	350

„ძე კაცისა“ დეკანოზ ალექსანდრე მენის უმთავრესი წიგნია. იგი იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებას ასახავს და სახარებას ემყარება. ავტორს მკითხველი სახარებისდროინდელ ეპოქაში გადაჰყავს და ცდილობს სახარებების მიხედვით, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, მართებულად გადმოსცეს მსოფლიოში უდიდესი რელიგიის — ქრისტიანობის შემქმნელის მიწიერი ცხოვრება, ისე როგორადაც ხედავდნენ მას მისი თანამედროვენი. წიგნი ემყარება ოთხთავს და მის საუკეთესო განმარტებებს, ასევე სხვა ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებს, რომლებიც ვრცელი ბიბლიოგრაფიის სახით ერთვის მას. წიგნს დართული აქვს ავტორისეული ორიგინალური თხზულებები, რომლებიც მკითხველს სახარებისეულ ისტორიაში ღრმად შეღწევასა და მისი საზრისის უკეთ წვდომაში ეხმარება.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ლელა გაფრინდაშვილი, ლევან ბრეგაძე, ცისანა გოდერძიშვილი, ნინო სატკოევა, ნონა კუპრეიშბილი	ქართულ-გერმანული ურთიერთობების „მწვანე ისტორია“ ქართულის ISBN978-9941-8-0671-1 გერმანულის: 978-9941-8-0672-8 ინგლისურის:978-9941-8-0673-5	თბილისი CEZANNE, 2019	158 გვერდი
2	ლელა გაფრინდაშვილი, ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე, ლევან თაქთაქიშვილი, ცისანა გოდერძიშვილი, ირაკლი ხვადაგიანი	ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) ISBN:978-9941-8-0891-3	თბილისი CEZANNE, 2019	352 გვერდი
3	ლელა გაფრინდაშვილი	ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე: ცხოვრება,		135 გვერდი

		მოღვაწეობა, ფაქტები, მეგობრები, თანამოაზრეები	გმომცემლობა „კოლორადო პრინტი“	

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლია წულაძე	სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები [გამოცემის პროცესში]	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	288
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სახელმძღვანელოს შექმნის საფაკულტეტო კონკურსის ფარგლებში, ლია წულაძემ შექმნა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების სახელმძღვანელო, რომელიც 288-გვერდიანია და შემდეგი 10 თავისგან შედგება: 1. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და განვითარების ისტორია; 2. თვისებრივი კვლევის დიზაინი, შერჩევა და ეთიკის საკითხები; 3. სიღრმისეული ინტერვიუ; 4. ფოკუს-ჯგუფი; 5. ეთნოგრაფიული კვლევა; 6. ქმედების კვლევა; 7. თვისებრივი კონტენტ-ანალიზი; 8. დისკურსის ანალიზი; 9. ვიზუალური ანალიზი; 10. თვისებრივი კვლევის ანგარიში.			

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კახა ქეცბაია	რელიგიის სოციოლოგია (განახლებული ელექტრონული სახელმძღვანელო) მზადდება გამოსაცემად	თსუ-ს გამომცემლობა	500
2	პიტირიმ სოროკინი **(ქართული თარგმანი შესრულებული კახა ქეცბაიას მიერ)**	სოციოლოგიის სახელმძღვანელო ყველასათვის ISBN 978-9941-26-488-7	თბ., გამომც. „უნივერსალი“	338

1. წიგნში ავტორის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციოლოგიის მიმართულებაზე რელიგიის სოციოლოგიაში წაკითხული ლექციებია თავმოყრილი. სალექციო თემატიკას თან ერთვის შესაბამისი საკითხავი მასალები, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები და დავალებები, საპრეზენტაციო თემები, აგრეთვე რელიგიის სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ცალკეულ ტერმინთა განმარტებანი და ა. შ. წიგნი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და, საერთოდ, რელიგიის სოციოლოგიის შესწავლის დამწყებთათვისაა განკუთვნილი. მისი საშუალებით დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა რელიგიის სოციოლოგიის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, რელიგიის სოციოლოგიის ძირითად ცნებებსა და პრობლემებს, რელიგიისადმი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურებას, რლიგიისა და თანამედროვე საზოგადოების ურთიერთმიმართების არსსა და სხვა მრავალ მსგავს საკითხს.
2. პიტირიმ სოროკინის წიგნში „სოციოლოგიის სახელმძღვანელო ყველასათვის“ მოკლედ, გასაგებ და პოპულარულ ფორმაშია გადმოცემული მის მიერ ჩაფიქრებული ფუნდამენტური ნაშრომის „სოციოლოგიის სისტემის“ (ორტომეული) ძირითადი იდეები და სახელმძღვანელო პრინციპები.

სოროკინის მიაჩნია, რომ სოციოლოგიის საგანი სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ ვითარებაში ფუნქციონირებად სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების შესწავლაა. ამ ურთიერთობათა საფუძველი და ასპარეზი მარტივი და რთული სოციალური მოვლენები, აგრეგატებია. მათ ანალიზსს სოროკინი თავისი `სოციოლოგიის სისტემის~ პირველ და მეორე ტომს უთმობს, რომელიც წარმოდგენილი თარგმანის ძირითად ნაწილს შედაგენს. წიგნის ბოლო ნაწილში დანართის სახით წარმოდგენილია სოროკინის მეტად გაბედული სტატია სახელწოდებით „ავადმყოფი რუსეთი“. შეიძლება ვინმემ იფიქროს, თუ რამდენად არის საჭირო 1920 წელს გამოცემული წიგნის თარგმნა, მით უფრო მაშინ, როდესაც სოციოლოგიური მეცნიერება სოროკინის შემდეგ კიდევ უფრო მეტად განვითარდა. ამ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე სოციოლოგიის კლასიკოსის ნააზრევთან გვაქვს, რომელიც დროის ფაქტორის მიუხედავად კვლავ აქტუალური და ცოცხალია.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი	ფილოსოფიური ძიებანი ISSN 1512-2468 UDC (uak) 1 (479.22) (061.2) f. 562	თბ., გამომც. „უნივერსალი“	433
„ფილოსოფიური ძიებანის“ ოცდამესამე კრებული ტრადიციულად ძველი და ახალი თაობის ფილოსოფოსთა ნაშრომებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიური კვლევა-ძიების ნათელ სურათს იძლევა.				

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თენგიზ ვერულავა	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია 5(1) ISBN 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	1-189
2	თენგიზ ვერულავა	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია 5(2) ISBN 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	1-212
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ყოველწლიური კრებული, სადაც ქვეყნდება ჯანდაცვის პოლიტიკის, ეკონომიკის და სოციოლოგიის აქტუალური საკითხები, საკონფერენციო მასალები				

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ა.ბერძენიშვილი,** კახა ქეცბაია	პიტირიმ სოროკინის ინტეგრალური სოციოლოგიის	წიგნში: პიტირიმ სოროკინი, სოციოლოგიის	თბ., გამომც. „უნივერსალი“	33

		ძირითადი პრინციპები წიგნის ISBN 978-9941-26-488-7	სახელმძღვანელო ყველასათვის		
2	**ა.ბერძენიშვილი,** კახა ქეცბაია	პიტირიმ სოროკინის რელიგიის სოციოლოგია ISSN 1512-1623	ჟურნ. „რელიგია“	თბილისი	8
3	ა. ბერძენიშვილი	ედმუნდ ჰუსერლი „მეცნიერების კრიზისის“ დაძლევის გზების შესახებ და „გაგებითი სოციოლოგიის“ კონტურები ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) f. 562	ფილოსოფიური ძიებანი ტ. 23	თბ., გამომც. „უნივერსალი“	17
4	ა. ბერძენიშვილი	ინფორმაციული განვითარების პრესპექტივები XXI საუკუნის საქართველოში ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) f. 562	ფილოსოფიური ძიებანი ტ. 23	თბ., გამომც. „უნივერსალი“	12
5	**ა. ბერძენიშვილი,** ნ. დურგლიშვილი, ი. გოგია	**ქართველი სტუდენტების ციფრული კომპეტენცია** ISSN 1987-5787	**ეკონომიკა და ბიზნესი** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. ტ. 3	თსუ	6

1. სტატიაში პ. სოროკინის ინტეგრალური სოციოლოგიის ძირითადი პრინციპებია განხილული. მასში გადმოცემულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პ. სოროკინი - პიროვნება და მეცნიერი, ინტეგრალური სინთეზის ძირითადი პრინციპები, სოციოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები, თეორიული, პრაქტიკული და ნეოპოზიტივისტური სოციოლოგია, სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილობის თეორია და რელიგიის სოციოლოგიური ანალიზის პრობლემები. ნაჩვენებია სოროკინის სოციოლოგიური თეორიის ორიგინალობა და მის კავშირი დთევანდელობასთან.
2. სტატიაში პ. სოროკინის რელიგიის სოციოლოგიის საკვანძო პრობლემებეის კრიტიკული ანალიზია მოცემული. ნაჩვენებია, რომ სოროკინს რელიგიის ანალიზისას აინტერესებს არა რელიგია, როგორც სოციალური ფაქტი, არამედ რელიგიის გავლენა კულტურაზე, ადამიანისა და სოციალური ჯგუფების ქცევაზე, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედებაზე და მისი მაკროსოციალური გამოვლინება, ანუ სოროკინი უარს ამბობს დიურკემისეულ სოციოლოგისტურ მეთოდზე და ვებერის მსგავსად რელიგიას სოციალური დინამიკის თვალსაზრისით განიხილავს.
3. სტატიაში განხილულია ჰუსერლის კონცეფცია მეცნიერების კრიზისის შესახებ და მისი მიმართება შუტცის „გაგებით ფენომენოლოგიურ“ სოციოლოგიასთან. შუტცი თავის ძირითად ამოცანად და მიზნად ჰუსერლის მიერ მხოლოდ ზოგად ხაზებში მოხაზული „ცხოვრების სამყაროს“კონცეფციის

განვითარებას და ამ საფუძველზე სპეციფიკური სოციალური მეცნიერების -„გაგებითი“ სოციოლოგიის შემუშავებას ისახავდა.

4. სტატიაში ინფორმაციული განვითარების პერსპექტივები და მასთან დაკავშირებული სირთულეებია განხილული XXI საუკუნის საქართველოში.
5. *ნაშრომში განხილულია თანამედროვე ცოდნის საზოგადოებაში ადამიანის არსებობისა და ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარი - კერძოდ, ციფრული კომპენტენცია, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოსაყენებლად აუცილებელი ცოდნის, უნარების და დამოკიდებულების ერთობლიობაა. ტექნოლოგიების მეშვეობით ადამიანს უნდა შეეძლოს შემდეგი ოპერაციების შესრულება: პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, ინფორმაციის მოძიება, კონტენტის შექმნა და გავრცელება. მსოფლიო ეკონომიკა, პოლიტიკა, ჯანდაცვა და სოციალური განვითარებაც კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიებსა და მის სათანადო გამოყენებასთან. ქართულ საზოგადოებაში ციფრული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად იქცა მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. მისი გამოყენებისთვის აუცილებელი უნარების შესწავლა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში აქტუალური კვლევის საკითხია. ჩვენი მიზანიც სწორედ ქართულ საზოგადოებაში სტუდენტების ციფრული კომპეტენციების შესწავლაა.*

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tengiz Verulava, Ana Asatiani, Jilda Tirkia, Giorgi Ambroliani, Revaz Jorbenadze	Students attitude towards environmental issues in Georgia ISSN: 1512-0112	Georgian Medical News 2019; 9 (294).	Tbilisi, Georgia	150-156
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) შესავალი. გარემოს დაბინძურებამ კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე გლობალური ხასიათი მიიღო. მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან გარემოს დაბინძურება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა. კვლევის მიზანია სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა გარემოსდაცვითი პრობლემების მიმართ. მეთოდოლოგია. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი და 4 სიღრმისეული ინტერვიუ. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ ტრიანგულაციური მიდგომა. კვლევის საწყისს ეტაპზე გავესაუბრეთ ექსპერტს. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უნივერსიტეტებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე. შედეგები. რესპონდენტებს აქვთ განსხვავებული მიდგომები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. მათი აზრით, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ჰაერის, წყლის რესურსებისა და ნიადაგის დაბინძურება, ვინაიდან ეს სამი კომპონენტი ადამიანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რესპონდენტები ნაკლებად არიან ჩართულნი გარემოსდაცვით ღონისძიებებში. დასკვნა. გარემო დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. საჭიროა ადამიანის ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა სკოლებსა და უნივერსიტეტებში.					
2	თენგიზ ვერულავა	ჯანმრთელობის კაპიტალი - ეკონომიკის მდგრადი განვითარების ფაქტორი ISSN: 1987-5789	ეკონომიკა და ბიზნესი. 11 (1)	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	34-51
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ადამიან-კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები ჯანმრთელობაში. საქართველოში ბოლო 25 წლის პერიოდში გაიზარდა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები, შემცირდა ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები და ამბულატორიული მიმართვიანობა ჩამორჩება ევროპის რეგიონის მაჩვენებელს. მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის					

განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება.					
3	თენგიზ ვერულავა	ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის ISSN: 2346-8432	ეკონომისტი; 1	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი	32-46

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ხანდაზმულები, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, განეკუთვნებიან ერთ-ერთ მაღალრისკიან ჯგუფს. საქართველოში პენსიონრები მოცულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველი ქრონიკული ავადმყოფებისათვის დამატებით მოქმედებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. კვლევის მიზანია ხანდაზმულთათვის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 700 პენსიონრის გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. რესპოდენტთა უმრავლესობა ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს(54%), რომელსაც იძენს ოჯახის ექიმთან
მიმართვის გარეშე (57%) და ეწევა თვითმკურნალობას (37%), რისთვისაც თვეში ხარჯავს 51-75 ლარს(39%). მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ლარს, რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ლარს, რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 25%-ია. გამოკითხულთა საკმაო ნაწილმა მთავარ პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები დაასახელა (26%). თითქმის მესამედმა (31%) სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ხარჯებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერთათვის. ხანდაზმულთა მიერ მედიკამენტების შეძენა ოჯახის ექიმის გარეშე, აჩვენებს მათ არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად. 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, რესპოდენტები უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას. დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველნი. მიზანშეწონილია, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, სოციალურად დაუცველების გარდა, მოიცვას საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფებიც, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები, არაიშვიათად, ძალზე მაღალია და შესაძლოა, მათი გაღატაკების მიზეზი გახდეს.

4	ლევან კიკილაშვილი, თენგიზ ვერულავა	საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეკოინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური ასპექტები ISSN: 2449-2396	გლობალიზაცია და ბიზნესი	ევროპის უნივერსიტეტი	62-79

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: საქართველო ახალი ათასწლეულის დასაწყისში, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ის გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტით, რაც

ქმნის შესაძლებლობას სახელმწიფოს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმით განვითარებისას, მიუხედავად ამისა დიდ ქალაქებში მაღალია სხვადასხვა დაავადების გამომწვევი რისკფაქტორი, რაც ხშირად დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასა და მწვანე ეკო-საფარის სიმცირესთან. კვლევის მიზანია გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის გაუარესებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა საქართველოში.

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტთა გამოკითხვას წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექსპერტების სიღრმისეული გამოკითხვა ფოკუს ჯგუფის მეთოდით.

შედეგები: გამოკითხულ რესპოდენტთა 93%-ის აზრით, ჰაერის თუ მიწის სავარგულების დაბინძურება მავნე ნარჩენებით მათ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს. 46.4% მომავლის ტექნოლოგიებისადმი დადებითად არიან განწყობილი და ფიქრობს რომ თანამედროვე მიღწევებს შეუძლია გარემოს პირობების ისე ცვლა, რომ ადამიანის ცხოვრება გახდეს მეტად კომფორტული და პროდუქტიული. ექსპერტთა აზრით, საცხოვრებელი ადგილის დაბინძურების გამო მათი მდგომარეობა ძალიან მძიმეა და გამოსავლის ძიება საკმაოდ რთულია. აშენებულ კორპუსებში მოსახლეობის სიჭარბის გამო შეზღუდულია პარკინგი, გადაადგილება. მზის ენერგიის ეფექტურად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი ჩართვა საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბოლო პერიოდში ვითარდება მზის პანელები, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი 100%-დან თითქმის 78%-მდე აღწევს და მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება ქარის ტურბინებს და ბატარეიებსაც.

5	თენგიზ ვერულავა	საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გამოწვევების გადაწყვეტის გზები ISSN: 978-9941-13-890-4	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" შრომების კრებული	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	137-143

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსახლეობის დაცვა ჯანდაცვის დანახარჯებით გამოწვეული ფინანსური რისკებისაგან, ანუ ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი ჯანდაცვის სისტემა, რომ საჭირო სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელმა ხარჯებმა არ განაპირობონ ინდივიდების ან მათი ოჯახების გაღატაკება. ეს მიზანი შეადგენდა საქართველოში 2013 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღების საფუძველს. რეფორმის შედეგად გაიზარდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ, რამაც დადებითად იმოქმედა სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, საქართველოში ჯანდაცვაზე მნიშვნელოვანი ხარჯების (65-70%) გაღება თავად მოსახლეობას უწევს. ამ მხრივ საჭიროა ჯანდაცვაზე სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ეფექტური ჯანდაცვის სისტემის შემთხვევაში, რომლის ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს; ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჯანდაცვის დასაფინანსებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი და ჩანაცვლებითი ფორმების გამოყენება და ამით სადაზღვევო სისტემაში კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ეფექტური თანაარსებობა, რაც ხელს შეუწყობს კერძო სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციას. საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია სამედიცინო ორგანიზაციების კერძო მესაკუთრეობა, საავადმყოფოთა 88.6% კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია, ხოლო 8% - სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ მხრივ, საქართველოში საჭიროა მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების, კერძოდ, არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის განვითარების ხელშეწყობა. ამით, გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის ჯანსაღი კონკურენცია. ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების დანერგვა: გლობალური ბიუჯეტი, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები (DRG). ამ დროს მცირდება სამედიცინო დაწესებულებისა და პერსონალის უარყოფითი სტიმული დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციისა და ძვირადღირებული პროცედურების დანიშვნის ხარჯზე გაზარდოს თავისი შემოსავლები. ხარისხიანი და ხარჯეფექტური

სერვისის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში აქტიური შესყიდვისა და სამედიცინო დაწესებულებების სელექტიური, ანუ შერჩევითი კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა. იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად კონტრაქტი იდება იმ სამედიცინო დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრული სტანდარტებით. ბოლო ორი ათწლეულის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ხარჯთ-ეფექტიან ამბულატორიულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მხრივ, 2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. სასურველია პროგრამის კიდევ უფრო მეტი გაფართოება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე. ადამიანური რესურსების კუთხით უმთავრესი პრობლემაა სამედიცინო პერსონალის არათანაბარი განაწილება, კერძოდ, ექიმების ჭარბი რაოდენობა, არათანაბარი გეოგრაფიული განაწილება. საქართველოში აღინიშნება ექიმებისა და ექთნების არაბალანსირებული თანაფარდობა (1 ექიმზე მოდის 0,7 ექთანი, მაშინ როდესაც 1:3-თან მაინც უნდა იყოს). ფაქტიურად უგულებელყოფილია ექთნების როლი, ფუნქციები და საჭიროებები. მედდების რაოდენობის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სისტემაზე და პაციენტზე გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგებზე. პრობლემატური საკითხია ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა დაბალი ანაზღაურება და მათი უფლებების დაუცველობა, განსაკუთრებით კი რეგიონებში. არასრულყოფილია შრომითი და სოციალური დაცვის მექანიზმები. აქტუალურია პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია.

6	Tengiz Verulava	Challenges of Primary Health Care Reforms in Georgia (1995-2018) ISSN: 978-9941-13-863-8	Politics Around the Caucasus. Proceedings of IV International Scientific Conference	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	43-51

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პერიოდი დაიწყო 2000 წელს, როდესაც მთავრობამ მთავარ პრიორიტეტად აღიარა ჰჯ-ის სისტემის გაძლიერება, რაც ფორმულირებული იქნა ჯანდაცვის სტრატეგიულ გეგმაში. 2001 წელს წამოწყებულ იქნა სოფლის ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მოგვიანებით, 2003 წელს, პირველადი ჯანდაცვის პროგრამაში გადაიზარდა. პროგრამა ითვალისწინებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების დაფინანსებას ერთიანი, ცენტრალური ფონდიდან. 1990 წლების დასასრულს, გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით დაიწყო გადამზადების პროგრამები საოჯახო მედიცინაში, რასაც მოჰყვა 2003-2005 წელს პირველადი ჯანდაცვის გენერალური გეგმის შემუშავება მსოფლიო ბანკის საგრანტო მხარდაჭერით. გეგმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების ქსელის შექმნას. გენერალური გეგმა დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და 2003 წლიდან პილოტირებულ იქნა ოთხ რეგიონში. 2007 წელს მთავრობამ შემოიღო პირველადი ჯანდაცვის რეფორმის განახლებული ხედვა, რომელიც ერთმანეთისგან ასხვავებდა პირველადი ჯანდაცვის უზრუნველყოფის ქალაქის და სასოფლო მოდელებს. 2007-20012 წლებში განხორციელებულ ინტერვენციებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ამბულატორიული მომსახურების უტილიზაციაზე, რომელიც შეადგენდა წლიურად 2.1 ვიზიტს ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლიდან ახლად არჩეულმა მთავრობამ დაიწყო პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შემდეგი ფაზა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსახლეობის იმ ფენების მოცვას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული კერძო სადაზღვევო სქემებით.

7	Tengiz Verulava	Challenges of Primary Health Care Reforms in Georgia (1995-2018) ISSN: 978-9941-13-863-8	Politics Around the Caucasus. Proceedings of IV International Scientific Conference	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	43-51

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პერიოდი დაიწყო 2000 წელს, როდესაც მთავრობამ მთავარ პრიორიტეტად აღიარა ჰჯ-ის სისტემის გაძლიერება, რაც ფორმულირებული იქნა ჯანდაცვის სტრატეგიულ გეგმაში. 2001 წელს წამოწყებულ იქნა სოფლის ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მოგვიანებით, 2003 წელს,

პირველადი ჯანდაცვის პროგრამაში გადაიზარდა. პროგრამა ითვალისწინებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების დაფინანსებას ერთიანი, ცენტრალური ფონდიდან. 1990 წლების დასასრულს, გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით დაიწყო გადამზადების პროგრამები საოჯახო მედიცინაში, რასაც მოჰყვა 2003-2005 წელს პირველადი ჯანდაცვის გენერალური გეგმის შემუშავება მსოფლიო ბანკის საგრანტო მხარდაჭერით. გეგმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების ქსელის შექმნას. გენერალური გეგმა დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და 2003 წლიდან პილოტირებულ იქნა ოთხ რეგიონში. 2007 წელს მთავრობამ შემოიღო პირველადი ჯანდაცვის რეფორმის განახლებული ხედვა, რომელიც ერთმანეთისგან ასხვავებდა პირველადი ჯანდაცვის უზრუნველყოფის ქალაქის და სასოფლო მოდელებს. 2007-20012 წლებში განხორციელებულ ინტერვენციებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ამბულატორიული მომსახურების უტილიზაციაზე, რომელიც შეადგენდა წლიურად 2.1 ვიზიტს ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლიდან ახლად არჩეულმა მთავრობამ დაიწყო პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შემდეგი ფაზა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსახლეობის იმ ფენების მოცვას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული კერძო სადაზღვევო სქემებით.

8	მარიამ ლიკლიკაძე, მარიამ ჯიბუტი, ანა პაპიაშვილი, თენგიზ ვერულავა	ნარკოტიკის მომხმარებელი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ბენეფიციართა ინფორმირებულობა და ქცევა ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (2)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	3-16

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: ხანდაზმულები ჯანმრთელობის თვალსაზრისით განეკუთვნება ერთ-ერთ მაღალრისკიან ჯგუფს. საქართველოში პენსიონერები მოცულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველი ქრონიკული ავადმყოფებისათვის დამატებით მოქმედებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. კვლევა მიზანია ხანდაზმულთათვის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 700 პენსიონერის გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. შედეგები: რესპოდენტთა უმრავლესობა მედიკამენტების მომხმარებელია, რომელთაგან 54% ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს. ყველაზე ხშირად იყენებენ გულსისხლძარღვთა სისტემის მედიკამენტებს (66%). უმრავლესობა მედიკამენტებს იძენს ოჯახის ექიმთან მიმართვის გარეშე (57%) და ეწევა თვითმკურნალობას (37%). საშუალო თვიური შემოსავალი 220 ლარია, რომლისგან 76%-თვის შემოსავლის მთავარი წყარო სახელმწიფო პენსიაა. რესპოდენტთა მეტი წილი (39%) თვეში ხარჯავს 51-75 ლარის მედიკამენტს. მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპოდენტთა 27% ჯიბიდან არაფერს იხდის მედიკამენტებზე, რადგან ჩართულნი არიან სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში. რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 25%-ია. გამოკითხულთა საკმაო ნაწილმა მთავარ პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები დაასახელა (26%). თითქმის მესამედმა (31%) სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერებს. დისკუსია: ხანდაზმულთა მიერ მედიკამენტების შეძენა ოჯახის ექიმის გარეშე აჩვენებს მათ არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის დროს. 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობა. თუმცა, რესპოდენტები უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას. დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველნი. მიზანშეწონილია, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, სოციალურად დაუცველების გარდა, მოიცვას საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფებიც, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები, არაიშვიათად, შესაძლოა კატასტროფული და შესაბამისად მათი გაღატაკების მიზეზი აღმოჩნდეს.

9	მარიამ მუქერია, ბესო კიკნაძე, თენგიზ ვერულავა	თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის ზემოქმედება სტუდენტთა მიერ თამბაქოს მოხმარებაზე ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (2)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	17-31

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: თამბაქოს მოხმარება ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ქმნის ჯანმრთელობის სრიოზულ რისკებს. თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის ხელშეწყობის მიზნით, მისი მოხმარება აიკრძალა 2018 წლიდან დახურულ საზოგადოებრივ და სამუშაო ადგილებში, აგრეთვე ზოგიერთი ღია ტერიტორიაზე და საზოგადოებრივ ტრანსპორტში. კვლევის მიზანია თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის ზემოქმედების შესწავლა სტუდენტთა მხრიდან თამბაქოს მოხმარებაზე. მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. შედეგები: რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ როგორც თამბაქოს მავნებლობის, ასევე კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა მოწევა გარდატეხის ასაკში თანატოლების ზეგავლენით დაიწყო, ხოლო მეორე ნაწილმა სტუდენტობის პერიოდში სოციალური სასურველობისა და რაიმე ახლის გასინჯვის ინტრიგით. მწეველი რესპონდენტების ნაწილს არაერთხელ უშედეგოდ უცდია თამბაქოსათვის თავის დანებება, ხოლო მეორე ნაწილმა წარმატებით მოახერხა მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა. რესპონდენტების უმრავლესობა, რომლებმაც მოწევას თავი დაანებეს აღნიშნავს, რომ ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ კანონში შესულმა ცვლილებებმა მიაღებინა. როგორც მწეველი, ასევე არამწეველი და წარსულში მწეველი რესპონდენტების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს მიღებულ კანონს და თვლის რომ ეფექტურია, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს არ მოწონთ კანონში შესული ზოგიერთი ცვლილება და თვლიან რომ ეს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას საერთოდ არ ემსახურება და სულაც არღვევს ადამიანების უფლებებს. დასკვნა: მიზანშეწონილია თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის ღონისძიებების ხელშემწყობა. ამ მხრივ, მისასალმებელია საქართველოში „თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონის ამოქმედება, რომელიც კრძალავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კერძოდ, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარებას და რეკლამირებას, ასევე სკოლებთან ახლოს თამბაქოს ნაწარმის გაიყიდვას.

10	დავით ნემსაძე, თენგიზ ვერულავა	თამბაქოს მოხმარების დაწყებაზე მოქმედი ფაქტორები ახალგაზრდებში ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (2)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	32-43

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. თამბაქოს მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალური გარემო, განსაკუთრებით ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა განათლების და ინფორმირებულობის დონე, ახლო სოციალური წრე, მშობლების ქცევა, ოჯახის წევრთა მხარდაჭერა. კვლევის მიზანია იმ თვისებათა და ფაქტორთა გამოვლენა, რაც ხელს უწყობს თამბაქოს მოხმარების დაწყებას თინეიჯერობის ასაკში. მეთოდოლოგია. ჩატარდა თვისებრივი კვლევა, პირდაპირი გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფის სახით, არაშემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ ახალგაზრდებში. შედეგები. რესპონდენტების უმრავლესობა თამბაქოს მოხმარებას იწყებს არასრულწლოვან ასაკში. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია სამეგობრო წრის და ოჯახის გავლენა. თამბაქოს მოხმარების დაწყებისადმი გადამწყვეტი როლი ახლო სოციუმმა ითამაშა. ახალგაზრდებში უფრო დადებითად აღიქმება თამბაქოს მოხმარება ვიდრე უარყოფითად. რესპოდენტებმა თამბაქოს მოხმარება პირველად მეგობრებისა და კლასელების წრეში დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდების ორგანიზმი უარყოფითად რეაგირებდა თამბაქოს მოხმარებაზე, ისინი ამ ქცევას მაინც აგრძელებდნენ. დისკუსია. ახალგაზრდები საკუთარი პიროვნული მომწიფების სადემონსტრაციოდ მოიხმარენ თამბაქოს, ამგვარი ქცევა სხვაზე ორიენტირებულია, მათთვის ახდენს იმის აფიშირებას, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი და ზრდასრული წევრები არიან, ემსახურება სხვათა მიმართ მათი ქცევითი, ნებითი თუ ვიზუალური მხარის დადებითი რეპუტაციის შექმნის მიზანს. დასკვნა. მიზანშეწონილია თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის ღონისძიებების ხელშეწყობა. ამ მხრივ, მისასალმებელია საქართველოში „თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონის ამოქმედება, რომელიც კრძალავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კერძოდ, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარებას და რეკლამირებას, ასევე სკოლებთან ახლოს თამბაქოს ნაწარმის გაყიდვას.

11	ქეთევან თვალავაძე, თენგიზ ვერულავა	საქართველოს საბალეტო დასის მოცეკვავეთა ჯანმრთელობის თავისებურებები ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (2)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	44-55

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: ცეკვა მოიცავს სხეულის, გონებისა და ემოციების ერთობლივ მოქმედებას, რომელიც ერთი შეხედვით მარტივი პროცესია. რეალურად კი ამ სასიამოვნო სანახაობას თან ახლავს დაავადებები და ტკივილი. ნებისმიერი ცეკვის შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ცეკვის ისეთი რთული სახეობის შემთხვევაში, როგორიც ბალეტია, ჩართულია მთელი რიგი ბიოფსიქოსოციალური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდებს ბალეტის მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ბალეტს შეუძლია იყოს როგორც განკურნების და სტრესის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება, ასევე მთელი რიგი სერიოზული დაავადებების გამოწვევი მიზეზი. კვლევის მიზანია საქართველოს საბალეტო დასის წევრთა/მოცეკვავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებურებების შესწავლა. მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს საბალეტო დასის 7 წევრის (4 უცხოელი და 3 ქართველი მოცეკვავე) სიღრმისეული ინტერვიუ. შედეგები და დისკუსია: ბალეტის დიდი სიყვარულის მიუხედავად, დიდია ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები. მოცეკვავეებს მუდმივად უწევთ ტკივილის ატანა. ხშირია ექიმთან ვიზიტის გადადების შემთხვევები. დაბალია ოჯახის ექიმის მიმართ ნდობა. საბალეტო დასის მოცეკვავეთა ბიოფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს როგორც ფიზიკური დატვირთვა, ტრავმების მაღალი რისკი, ასევე მუდმივი სტრესი და საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომელიც უკვე არსებულ ძლიერ სტრესს კიდევ უფრო ამწვავებს. რეკომენდაცია: ბალეტის მსახიობთა ბიოფსიქოსოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სტრესორების, ექიმთან მიმართვიანობისა და დაზღვევის ფუქნციონირების თავისებურებების იდენტიფიცირება, რაც საშუალებად მოგვცემს არა მხოლოდ ობიექტურად შევაფასოთ ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკები, არამედ ეფექტური ხერხებით ვიზრუნოთ მათ გამოსწორებასა და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

12	თენგიზ ვერულავა, ქეთი დიასამიძე, თამთა სიჭინავა, მარიამ ხუბულავა	სტუდენტების აკადემიური სტრესი ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (2)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	56-65

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტი არის მნიშვნელოვანი, გარდამტეხი ეტაპი სტუდენტების ცხოვრებაში. მათზე ზემოქმედებენ აკადემიურ წარმატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრესორები. სტუდენტები, რომლებიც განიცდიან აკადემიურ სტრესს აღენიშნებათ დაბალი სასწავლო უნარები, არაეფექტური დროის მენეჯმენტი, სწავლა გამოცდებისათვის, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს დაბალი აკადემიური მოსწრება. კვლევის მიზანია აკადემიური სტრესის ეფექტის შესწავლა სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე. მეთოდოლოგია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები. შედეგები და დისკუსია. კვლევამ გამოავლინა, რომ აკადემიური სტრესი პირდაპირ კორელაციაში სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან და უარყოფითად მოქმედებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მაღალი აკადემიური სტრესის მაჩვენებლი შეიმჩნევა დასაქმებულ სტუდენტებში. რეკომენდაცია: აკადემიურ სტრესთან ეფექტურად გასამკლავებლად საჭიროა სტუდენტებმა შეიმუშაონ სტრესის დაძლევის სტრატეგიები.

13	თენგიზ ვერულავა, დალი ბერუაშვილი	ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემები საქართველოში ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	3-15

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. პირველადი ჯანდაცვის ადექვატური უტილიზაცია პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჯანდაცვის დანახარჯების ეფექტურობაზე. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ოჯახის ექიმთან მიმართვიანობა სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია. კვლევის მიზანია საქართველოში ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემების შესწავლა. მეთოდოლოგია. რაოდენობრივი

კვლევის ფარგლებში ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით გამოკითხულ იქნა 20 ოჯახის ექიმი და 300 ბენეფიციარი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. შედეგები. კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის ექიმებთან მიმართვიანობა დაბალია, რაც განპირობებულია მათ მიმართ უნდობლობით, დაბალი ინფორმირებულობით ოჯახის ექიმის კომპეტენციების შესახებ. არაადექვატური ანაზღაურების გამო ოჯახის ექიმებს არ აქვთ სათანადო მომსახურების ჩატარების საკმარისი მოტივაცია. უწყვეტი პროფესიული განათლების სათანადო სისტემის განუვითარებლობა ნეგატიურად ზემოქმედებს პროფესიულ განვითარებაზე. დასკვნა, რეკომენდაცია. მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება, ოჯახის ექიმთა ანაზღაურების ეფექტური მეთოდების დანერგვა, უწყვეტი პროფესიული განათლების როლის და ხელმისაწვდომის გაზრდა.

14	თენგიზ ვერულავა	ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	16-28

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: ხანდაზმულები ჯანმრთელობის თვალსაზრისით განეკუთვნება ერთ-ერთ მაღალრისკიან ჯგუფს. საქართველოში პენსიონერები მოცულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველი ქრონიკული ავადმყოფებისათვის დამატებით მოქმედებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. კვლევა მიზანია ხანდაზმულთათვის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 700 პენსიონერის გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. შედეგები: რესპოდენტთა უმრავლესობა მედიკამენტების მომხმარებელია, რომელთაგან 54% ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს. ყველაზე ხშირად იყენებენ გულსისხლძარღვთა სისტემის მედიკამენტებს (66%). უმრავლესობა მედიკამენტებს იძენს ოჯახის ექიმთან მიმართვის გარეშე (57%) და ეწევა თვითმკურნალობას (37%). საშუალო თვიური შემოსავალი 220 ლარია, რომლისგან 76%-თვის შემოსავლის მთავარი წყარო სახელმწიფო პენსიაა. რესპოდენტთა მეტი წილი (39%) თვეში ხარჯავს 51-75 ლარის მედიკამენტს. მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპოდენტთა 27% ჯიბიდან არაფერს იხდის მედიკამენტებზე, რადგან ჩართულნი არიან სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში. რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 25%-ია. გამოკითხულთა საკმაო ნაწილმა მთავარ პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები დაასახელა (26%). თითქმის მესამედმა (31%) სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერებს. დისკუსია: ხანდაზმულთა მიერ მედიკამენტების შეძენა ოჯახის ექიმის გარეშე აჩვენებს მათ არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის დროს. 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობა. თუმცა, რესპოდენტები უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას. დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველნი. მიზანშეწონილია, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, სოციალურად დაუცველების გარდა, მოიცვას საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფებიც, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები, არაიშვიათად, შესაძლოა კატასტროფული და შესაბამისად მათი გაღატაკების მიზეზი აღმოჩნდეს.

15	ნათია ბრეგაძე, ნათელა წილოსანი, ნინია რამაზაშვილი, თენგიზ ვერულავა	ბილ კლინტონის ჯანდაცვის რეფორმები: წარუმატებლობის მიზეზები ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	29-40

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავისი მმართველობა ჯანდაცვის სისტემის რეფორმით დაიწყო, თუმცა დიდი ძალისხმევის და მხარდაჭერის მიუხედავად ვერ შეძლო მისი გატარება. კვლევაში განხილულია კლინტონის ჯანდაცვის რეფორმის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები: კერძო სადაზღვეო ბაზრის რეგულირების სირთულე, რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებზე კონტროლის სირთულე, ხარჯების დიდი მოცულობა, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ აღმოჩნდა მზად ჯანდაცვის სისტემის რადიკალური რეფორმირებისათვის, ბიზნეს სექტორმა ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწია რეფორმას, რადგან რეფორმა დამსაქმებლებს უდიდეს პასუხისმგებლობას ეკისრებდა თითეული დასაქმებულის დაზღვევის თვალსაზრისით.

16	ბექა კუტივაძე, ირინა ლურსმანაშვილი, თენგიზ ვერულავა	მზრუნველობამოკლებული მოზარდების პრობლემები თავშესაფრის დატოვების შემდეგ ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	29-40

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. თავშესაფრების დატოვების შემდეგ მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდებს ექმნებათ სხვადასხვა პრობლემები, რაც დაკავშირებულია საცხოვრებელი ბინის მოძიებასთან, დასაქმებასთან. კვლევის მიზანია სრულწლოვანი ასაკის მიღწევისას თავშესაფრების დატოვების შემდეგ მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა. მეთოდოლოგია. თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა მზრუნველობამოკლებული სრულწლოვანი ახალგაზრდების და სოციალური მუშაკების სიღრმისეული ინტერვიუ. შედეგები, დასკვნა. მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს თავშესაფრის დატოვების შემდეგ უწყდებათ სახელმწიფო დახმარება, რის გამოც დგანან მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გამოწვევების წინაშე. ასეთ მოზარდთა მეტი წილი ვერ უბრუნდება ოჯახს და აქვთ არასტაბილური საცხოვრისის, დასაქმების, საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით მათზე ზრუნვის გაგრძელება, სხვადასხვა პროფესიული ტრენინგების ჩატარება, საზოგადოებაში ინტეგრაციის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, დასაქმების ხელშეწყობა.

17	თენგიზ ვერულავა, მარიამ ჯაიანი	იმუნიზაციის შესახებ დედების ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	41-52

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. იმუნიზაცია და ვაქცინაცია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც მიმართულია ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებისა და დაავადების ზემოქმედების რისკის შემცირებისაკენ. კვლევის მიზანია დედების ცოდნის დონისა და დამოკიდებულებების, გამოცდილებების განსაზღვრა იმუნიზაციასთან დაკავშირებით. მეთოდოლოგია. რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური კვლევის ფარგლებში წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით ჩატარდა 188 დედის გამოკითხვა, რომლებსაც ყავთ 5 წლამდე შვილი. შედეგები. დედების უმრავლესობას (97%) აქვს დადებითი დამოკიდებულება იმუნიზაციასთან მიმართებით. მათი აზრით, ვაქცინაციას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება დაავადებების პრევენციაში. თუმცა, გამოკითხულთა 32%-ს არ აქვს საკმარისი ცოდნა პროფილაქტიკური აცრების კალენდარის შესახებ, რა ასაკში რომელ ინფექციებზე კეთდება ვაქცინაცია. ბავშვების 64%-ს ჩატარებული აქვს სრული, ხოლო 36%-ს არასრული ვაქცინაცია. არასრულყოფილი ვაქცინაციის ძირითადი მიზეზებია დედის ნაკლები განათლება პროფილაქტიკური აცრების კალენდარის შესახებ (25,5%), აცრის მეორე ან მესამე დოზის საჭიროებასთან მიმართებით ნაკლები ინფორმირებულობა (18.6%), პოსტვაქცინაციის გართულებების შიში (16%). მშობლების მოუცლელობა (10.1%), ბავშვის ავადმყოფობა (9.6%). ბავშვთა ვაქცინაციაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დედის განათლება და დასაქმება, ბავშვების რაოდენობა. სრული იმუნიზაცია უფრო მეტად აქვთ ჩატარებული უმაღლესი განათლების მქონე და უმუშევარი დედების შვილებს. პირველ ბავშვზე სრული იმუნიზაცია შედარებით ნაკლებია, ვიდრე მეორე და მესამე ბავშვზე, რაც ცხადყოფს დედის განათლების, ცნობიერების და გამოცდილების დადებით გავლენას იმუნიზაციის სტატუსზე. იმუნიზაციის შესახებ ინფორმაციის ყველაზე მთავარ წყაროდ დასახელდა სამედიცინო პერსონალი (49.5%), შემდეგ ინტერნეტ-რესურსები (21.3%). დასკვნა. საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის

ჯანმრთელობისათვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ, საჯარო განათლების გაძლიერება, ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პროფესიონალებისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით სასურველია გააქტიურდეს კამპანიები იმუნიზაციის დადებითი მხარეების გაცნობის მიზნით.

18	ანა ლორთქიფანიძე, ნანა ბიგვავა, თენგიზ ვერულავა	ავტოსატრანსპორტო სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების შემოღება და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე: თბილისის შემთხვევა ISSN: 2346-7983	ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5 (1)	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი	41-52

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ჯანრმთელობისათვის საზიანო პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში ურბანული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელი ავტოტრანსპორტია. ამ პრობლემასთან საბრძოლველად 2018 წლიდან ეტაპობრივად შემოღებულ იქნა კანონი ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია ავტომობილთა სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღებასთან დაკავშირებით მოქალაქეების აზრის შესწავლა, თუ რამდენად და რა შემთხვევაში არიან თბილისში მცხოვრები გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების მომხმარებლები მზად, ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, დათმონ ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტით მოძრაობა. მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა 12 ჩაღრმავებულ ინტერვიუს და მოიცავდა შემდეგ სამ სეგმენტს: 1) მსუბუქი ავტომანქანის ტაქსისტი, საკუთარი გაუმართავი ავტოსატრატრანპორტო საშუალებით 2) ტექნიკრად გაუმართავი მსუბუქი ავტომობილის მომხმარებელი და 3) უტრანსპორტო მომხმარებელი, რომელსაც აქვს საშუალება იყიდოს მანქანა. შედეგები, დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ კანონის მაქსიმალურად ეფექტურად ამოქმედებისათვის საჭიროა: 1. მოწესრიგდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი; 2. მოსახლეობის ინფორმირება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საზიანო შედეგების შესახებ და გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების როლის შესახებ ჰაერის დაბინძურებაში; 3. დაწესდეს დაბალპროცენტიანი სესხი ან განვადება ახალი მანქანების შესაძენად ან გაუმართავი ავტომობილების შესაკეთებლად, მთავრობისა და ბანკების ხელშეწყობით. 4. დაწესდეს კონტროლი საწვავის ხარისხზე.

1	კახა ქეცბაია	მონისტური პრინციპი, როგორც ონტოლოგიის საფუძველი ISSN 1512-2468 UDC	ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 23.	თბ., გამომც. „უნივერსალი“	7
2	კახა ქეცბაია	სიმბოლურ-ინტერაქციული პარადიგმები თანამედროვე ქართულ სოციუმში (სოციოლოგიური ეტიუდი) ISSN 1512-2468 UDC	ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 23.	თბ., გამომც. „უნივერსალი“	12

1. ავტორს მიაჩნია, რომ მონისტური პრინციპი არის კლასიკური ონტოლოგიისა და საერთოდ ონტოლოგიის საფუძველი. ცხადია, არც მონისტურ ონტოლოგიაშია ყველაფერი რიგზე და ყველა პრობლემა მოგვარებული, მაგრამ პლურალისტურ ონტოლოგიასთან შედარებით იგი ლოგიკურად სწორი და თანამიმდევრულია; თანამიმდევრულობა კი ყოველი მეცნიერული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. გარდა ამისა, მას დიდი როლი ენიჭება ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებასა და საქმიანობაში, რამეთუ თანამიმდევრულობის დაცვის გარეშე ძალზე საეჭვოა რამე სფეროში წარმატების მიღწევა, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება სამყაროს ონტოლოგიურ ანალიზს.
2. სტატიაში კულის სარკისებური მეს თეორიის მიხედვით თანამედროვე ქართული საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის ტრანფორმაციის თავისებურებანია განხილული. მასში აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰ. ბლუმერის სპონტანური ქცევის თავისებურებებს თანამედროვე ქართულ სოციუმთან მიმართებაში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Sumbadze. B. Mitchenek, J. Regulska, A. Kitiashvili, E. Pirtskalava, **T. Makharadze**, M. Maisuradze	Anxiety in the Narratives of the Displaced by the War Population..	The Georgian Psychological Journal ISSN 2667–9027	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. ბერძენიშვილი, **კ. ქეცბაია**	О НАУЧНОМ СТАТУСЕ СОЦИОЛОГИИ (КРИТИЧЕСКАЯ РЕЦЕПЦИЯ ДЕФИНИЦИИ СОЦИОЛОГИИ, ДАННОЙ Э. ГИДДЕНСОМ И Н. СМЕЛЗЕРОМ) ISSN 2414-5718	Наука и образование сегодня № 1 (36), 2019	ИЗДАТЕЛЬСТВО «ПРОБЛЕМЫ НАУКИ» Г. ИВАНОВО	7
2	ა. ბერძენიშვილი, **კ. ქეცბაია**	**Radical Humanist Paradigm and the Problem of the Crisis of Education** doi:10.30845/aijss.v8n1p1	**American International Journal of Social Science** Vol. 8, No. 1, March 2019	420 Main Street Colfax, LA 71417 United States of America Website: www.aijssnet.com	3

1. სტატიაში განხილულია საკითხი სოციოლოგიის მეცნიერული სტატუსის შესახებ ე. გიდენსისა და ნ. სმელზერის მიერ სოციოლოგიის დეფინიციის კრიტიკული რეცეფციის მიხედვით. ხაზგასმულია, რომ სოციოლოგიის საგნის პრობლემა დღემდე გადაუჭრელია მუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და სიმრავლისა. გიდენსისა და სმელზერისეულ განსაზღვრებაში აქცენტი კეთდება სოციოლოგიის მიერ საზოგადოების შესწავლაზე და არა სოციოლოგიის შესწავლის საგანზე. თქმა იმისა, რომ სოციოლოგია მეცნიერულად შესწავლის საზოგადოებას, საზოგადოებრივ ჯგუფებს და ურთიერთობებს, გამოხატავს მხოლოდ ჩვენს შემეცნებით-მეცნიერულ მიმართებას შესასწავლი ობიექტისადმი, მაგრამ არა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების არსს. ცნობილია, რომ მეცნიერება კანონზომიერებას ადგენს და სწავლობს, რაც სოციოლოგიის დეფინიციაში პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც ასახული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გვეცლება სოციოლოგია, როგორც მეცნიერება. ამიტომ სტატიის ავტორთა აზრით სასურველი იქნებოდა სოციოლოგიის დეფინიციებში ამ ფაქტის დაფიქსირება. კერძოდ იმის თქმა, რომ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, სოციალური წარმონაქმნების, თუნდაც პიროვნების და ა. შ. როგორც მთლიანი წარმონაქმნების არსებობის, ფუნქციონირების და ცვალებადობის **კანონებსა** და **კანონზომიერბებს**.
2. სტატიაში რადიკალურ-ჰუმანისტური პარადიგმა და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დისკურსის პრობლემებია განხილული ამ სფეროს ცნობილი წარმომადგენლების (პაულ ფერირესა და ავიან ილიჩის) ნაშრომების ანალიზის საფუძველზე. ავტორის აზრით, თანამედროვე საგანმაათლებლო პრაქტიკაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს განათლების რადიკალურ-

ჰუმანისტურ პარადიგმას, რომელიც განათლების სფეროს კრიზისსა და ნაკლოვანებებს კი არ ჩქმალავს, არამედ სააშკარაოზე გამოაქვს და მათი გადაჭრის ორიგინალურ გზებს გვთავაზობს.

3	ი. კალანდია, კ. ქეცბაია	**Глобализация и общечеловеческие ценности** ISSN 2414-5718	Наука и образование сегодня № 4 (39), 2019	ИЗДАТЕЛЬСТВО «ПРОБЛЕМЫ НАУКИ» Г. ИВАНОВО	5
სტატიაში გლობალიზაცია განხილულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან მიმართებაში. სტატიის ავტორთა თვალსაზრისით, მაშინ როდესაც გლობალიზაციაზე თითქმის ყველაფერი ითქვა და დაიწერა, უპრიანი ინება მისი ღირებულებით ჭრილში განხილვა და აქსიოლოგიური ანალიზი.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლია წულაძე	Managing Ambivalence: An Interplay between the Wanted and Unwanted Aspects of European integration in Georgia	The (Un)wanted Europeanness [წიგნის თავი გამოქვეყნების პროცესშია. გამოცემის სავარაუდო თარიღია 2020 წლის სექტემბერი]	Berlin: De Gruyter	27
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) Abstract: The paper discusses political and intellectual elites and population's discourses on European integration in Georgia. It shows how, in Delanty's words, the idea of Europe and Georgians' Europeanness is invented and reinvented through the abovementioned discourses, which reveal Georgians' ambivalent views regarding pragmatic considerations and identity concerns related to the country's Europeanization: Both elite and popular discourses construct a European Union (EU) that improves the protection of human rights in Georgia concurrently doubting that Georgians need to be taught human rights because of their natural tolerance. These discourses present the EU as Georgia's security guarantee and doubt that the EU can really safeguard the country against Russian threats. Both discourses assume that Georgia shares European values and are concerned that European values might threaten Georgian traditions. Such ambivalent views point to a complex relationship between the wanted and unwanted aspects of European integration in Georgia.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tengiz Verulava, Nino Kapanadze, Sophiko Chilingarashvili, Tamar Panchulidze, Iago Kachkachishvili,	Socialization among the rural-to-urban migrant students in Georgia, ISSN: 2056-2969	Youth Voice Journal, Vol 9	RJ4All Publications, London, United Kingdom	12-24

	Revaz Jorbenadze, Beka dangadze				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლო წლებში, რეგიონებიდან დედაქალაქში სტუდენტთა მიგრაციამ მაშტაბური ხასიათი მიიღო, ამის ძირითად მიზეზს კი თბილისში არსებული უამრავი უნივერსიტეტი წარმოადგენს. კვლევის მიზანია შეისწავლოს ის ძირითადი პრობლემები, რომელთაც სტუდენტები დედაქალაქში ჩამოსვლისას აწყდებიან და წარმოაჩინოს ამ ფაქტორების გავლენა მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი რეგიონებიდან თბილისში ჩამოსულ სტუდენტებთან ნახევრადსტრუქტურიზებული კითხვარის მეშვეობით. შედეგები, დისკუსია: კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებს პირველ წლებში ძალიან გაუჭირდათ ადაპტაცია ქალაქთან, ისინი ნაკლებად სტუმრობდნენ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებს, არ იყვნენ ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ზოგიერთს თრგუნავდათ დამოუკიდებლობის მაღალი მაჩვენებელი, ზოგიერთისთვის კი სტრესული აღმოჩნდა საოჯახო საქმეები. ამასთან, ადაპტაციის პრობლემა გამოიკვეთა ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორიცაა ხმაური, გადაადგილება, ტრანსპორტი, კვება და ა.შ., რომელთა გამოც სტუდენტები უძილობას, გაღიზიანებას, წონაში მომატებას, დაღლასა და ჯამრთელობის სხვადასხვა პრობლემებს უჩივიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსვლიდან 2-3 წლის შემდეგ ადაპტაციის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა, შესაბამისად შემსუბუქდა მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. რეკომენდაციები: მიზანშეწონილია რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის გარკვეული ტრენინგების ჩატარება და საუბრები მათი პრობლემების შესახებ. ამასთან, მათთვის უფრო მოქნილი და მორგებული გარემოს შექმნა, აქტიური ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, რათა გაიზარდოს მათი სოციალიზაციის ხარისხი.

2	Tengiz Verulava, Revaz Jorbenadze, Vakhtang Surguladze	Patients' informed consent to medical services in Georgia ISSN: 0025-8172 https://doi.org/10.1177/0025817219853127	Medico-Legal Journal, 87 (4)	SAGE Journals	188–192

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ. კვლევები ადასტურებენ, რომ ხშირ შემთხვევაში პაციენტებს არ აქვთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაცია. შედეგად, იგი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. სტატიის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შესახებ არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ქირურგიული პაციენტების გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევით დადგინდა, რომ პაციენტების უმრავლესობა სათანადოდ ინფორმირებულია დაავადების დიაგნოზის და მკურნალობის, ქირურგიული ჩარევის საჭიროებების, ქირურგიული მკურნალობის ალტერნატიული გზების სარგებლიანობისა და რისკების შესახებ. თუმცა, პაციენტთა გარკვეული ნაწილი ამას ნაწილობრივ ეთანხმება. პაციენტების 34% (n=68) არ იცოდა ქირურგიული ჩარევის შესახებ; 57% (n=114) ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია საკუთარი დიაგნოზის და მკურნალობის მეთოდების შესახებ. ამასთან, 26% (n=52) მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმებოდა; პაციენტთა 62%-მა (n=124) იცოდა ქირურგიული ოპერაციის საჭიროების შესახებ; 66% (n=132) იყო ადეკვატურად ინფორმირებული მკურნალობის ალტერნატიული გზების რისკებსა და სარგებლიანობაზე; 58% (n=116) ინფორმირებული იყო ოპერაციის დროს შესაძლო რისკების შესახებ. პაციენტებისთვის ინფორმაციის გადაცემისას საჭიროა მეტი ყურადღების დათმობა მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად. მიზანშეწონილია ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პერსონალთან, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია პაციენტების ინფორმირებულობაზე.

3	Tengiz Verulava, Dali Beruashvili, Revaz	Evaluation of patient referrals to family physicians in Georgia ISSN: 2449-8580	Family Medicine & Primary Care	Continuo Publisher, Wrocław, Poland	180-183

	Jorbenadze, Ekaterine Eliava	DOI: https://doi.org/10.5114/fmpcr.2019.84555	Review 2019; 21(2):		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველადი ჯანდაცვის ადეკვატური გამოყენება გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საქართველოში ბევრი პაციენტი ექიმ სპეციალისტს მიმართავს ოჯახის ექიმის მიმართვის გარეშე, შესაბამისად, ოჯახის ექიმთან პაციენტის მიმართვიანობა დაბალია, რაც ამცირებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას. კვლევის მიზანია საქართველოში ოჯახის ექიმების მიმართ პაციენტთა დაბალი მიმართვიანობის შესწავლა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოკითხულ იქნა 20 ოჯახის ექიმი და 300 პაციენტი. ოჯახის ექიმების მიმართ პაციენტთა მიმართვიანობის მაჩვენებელი დაბალია. ოჯახის ექიმების 15% (n = 3) აღიარებს, რომ პაციენტები მათ ხშირად მხოლოდ სპეციალისტებთან რეფერალისათვის მიმართავენ. ოჯახის ექიმების მხოლოდ 5% (n = 3) აწარმოებს პროფილაქტიკურ კონსულტაციებს, ხოლო 50% (n = 10) - მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ოჯახის ექიმების 70% (n = 14) ფიქრობს, რომ მათი ანაზღაურება არ არის მათი სამუშაოს ადეკვატური. ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში პაციენტთა 35% (n = 105) მიმართავს როგორც ოჯახის ექიმს, ასევე ექიმ სპეციალისტს. პაციენტების 42% (n = 126) წელიწადში ერთხელ ან საერთოდ არ მიმართავს ოჯახის ექიმს. პაციენტების 47% (n = 141) მიიჩნევს, რომ ოჯახის ექიმის ინსტიტუტს გარკვეული ცვლილებები სჭირდება. კვლევის შედეგები მიგვანიშნებს, რომ ოჯახის ექიმთან პაციენტთა მიმართვის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ოჯახის ექიმების მიმართ უდაბალი ნდობის გამო, რაც დაკავშირებულია ექიმების დაბალი კვალიფიკაციით და ოჯახის ექიმების კომპეტენციების შესახებ დაბალი ინფორმირებულობით. არასაკმარისი ანაზღაურების გამო ოჯახის ექიმებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია სათანადო მომსახურების უზრუნველსაყოფად. მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პირველადი ჯანდაცვის შესახებ, ოჯახის ექიმების ანაზღაურების ეფექტური მეთოდების დანერგვა.

4	Tengiz Verulava, Mariam Jaiani, Ana Lordkipanidze, Revaz Jorbenadze, Beka Dangadze	Mothers' knowledge and attitudes towards child immunization in Georgia ISSN: 1874-9445 DOI: 10.2174/1874944501912010232	The Open Public Health Journal, 12	Sharjah, United Arab Emirates	232-237

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იმუნიზაცია და ვაქცინაცია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც მიმართულია ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებისა და დაავადების ზემოქმედების რისკის შემცირებისაკენ. კვლევის მიზანია დედების ცოდნის დონისა და დამოკიდებულებების, გამოცდილებების განსაზღვრა იმუნიზაციასთან დაკავშირებით. მეთოდოლოგია. რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური კვლევის ფარგლებში წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით ჩატარდა 188 დედის გამოკითხვა, რომლებსაც ყავთ 5 წლამდე შვილი. შედეგები. დედების უმრავლესობას (97%) აქვს დადებითი დამოკიდებულება იმუნიზაციასთან მიმართებით. მათი აზრით, ვაქცინაციას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება დაავადებების პრევენციაში. თუმცა, გამოკითხულთა 32%-ს არ აქვს საკმარისი ცოდნა პროფილაქტიკური აცრების კალენდარის შესახებ, რა ასაკში რომელ ინფექციებზე კეთდება ვაქცინაცია. ბავშვების 64%-ს ჩატარებული აქვს სრული, ხოლო 36%-ს არასრული ვაქცინაცია. არასრულყოფილი ვაქცინაციის ძირითადი მიზეზებია დედის ნაკლები განათლება პროფილაქტიკური აცრების კალენდარის შესახებ (25,5%), აცრის მეორე ან მესამე დოზის საჭიროებასთან მიმართებით ნაკლები ინფორმირებულობა (18.6%), პოსტვაქცინაციის გართულებების შიში (16%). მშობლების მოუცლელობა (10.1%), ბავშვის ავადმყოფობა (9.6%). ბავშვთა ვაქცინაციაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დედის განათლება და დასაქმება, ბავშვების რაოდენობა. სრული იმუნიზაცია უფრო მეტად აქვთ ჩატარებული უმაღლესი განათლების მქონე და უმუშევარი დედების შვილებს. პირველ ბავშვზე სრული იმუნიზაცია შედარებით ნაკლებია, ვიდრე მეორე და მესამე ბავშვზე, რაც ცხადყოფს დედის განათლების, ცნობიერების და გამოცდილების დადებით გავლენას იმუნიზაციის სტატუსზე. იმუნიზაციის შესახებ ინფორმაციის ყველაზე მთავარ წყაროდ დასახელდა სამედიცინო პერსონალი (49.5%), შემდეგ ინტერნეტ-რესურსები (21.3%). დასკვნა. საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ, საჯარო

განათლების გაძლიერება, ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პროფესიონალებისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით სასურველია გააქტიურდეს კამპანიები იმუნიზაციის დადებითი მხარეების გაცნობის მიზნით.

5	Tengiz Verulava, Tinatin Asatiani, Beka Dangadze, Revaz Jorbenadze	The role of social workers in pediatric oncology ISSN: 1584-9244 DOI: doi.org/10.31688/ABMU.2019.54.2.14	Archives of the Balkan Medical Union 54(2)	The Balkan Medical Union, Bucharest, Romania	315-319

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლო წლებში სიმსივნეების მკურნალობის პროცესში მნიშვნელოვნდ გაიზარდა სოციალური მუშაკის როლი, რომელიც მდგომარეობს პაციენტის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის მხარდაჭერაში. კვლევის მიზანია ონკოლოგიური ბავშვების და მათი ოჯახების ფსიქო-სოციალური გამოწვევების შესწავლა და ამ სფეროში სოციალური სამუშაოს როლის დადგენა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ხუთი ექსპერტული ინტერვიუ ბავშვთა ონკოლოგებთან, 15 სიღრმისეული ინტერვიუ ონკოლოგიური ბავშვების ოჯახის წევრებთან და ფოკუსური ჯგუფი 8 კაციანი შემადგენლობით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა 100 ბენეფიციარის და 25 სამედიცინო პერსონალის გამოკითხვა. კვლევამ აჩვენა, რომ ონკოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვები დგანან ფსიქო-სოციალური გამოწვევების წინაშე და სჭირდებათ სოციალური მუშაკის მხარდაჭერა ამ გამოწვევების დასაძლევად. ბავშვთა ონკოლოგიაში სოციალური სამუშაოს პრეცედენტის შექმნა საქართველოში იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპული სამედიცინო ხარისხის სტანდარტებისკენ.

6	Tengiz Verulava, Ana Lordkipanidze, Nino Besiashvili, Mirian Todria, Zviad Lobjanidze, Revaz Jorbenadze, Ekaterine Eliava	Obstacles in the Development of Nonprofit Hospitals in Georgia ISSN: 0018-5868 DOI: https://doi.org/10.1080/00185868.2019.1571875	Hospital Topics, 2019;97(2)	Taylor & Francis Online, Abingdon, United Kingdom	39-45

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არამომგებიანი ორგანიზაციებია. იგი ძირითადად სამედიცინო ბაზრის თავისებურებებითაა განპირობებული. ამისგან განსხვავებით, საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო დაწესებულებების როდენობა ერთ ათეულსაც ვერ აღწევს, ხოლო კერძო მომგებიან სამედიცინო ორგანიზაციებს უკავიათ სამედიცინო ბაზრის დაახლოებით 90%. კვლევის მიზანია საქართველოში არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა. მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევის ფარგლებში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების მენეჯერებთან და ექსპერტებთან განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ. შედეგები: არ არსებობს სამედიცინო ორგანიზაციების არამომგებიანი სახით ფუნქციონირების საკმარისი მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, მისი მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობა ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს. დასკვნა: საჭიროა საგადასახადო კოდექსში არამომგებიანი საავადმყოფოების მიმართ გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების დახვეწა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება. მიზანშეწონილია არამომგებიანი საავადმყოფოების როლის გაზრდა საქართველოს სამედიცინო ბაზარზე.

7	Tengiz Verulava	Health Capital, Primary Health Care and Economic Growth ISSN: 1301-0883 DOI: 10.5505/ejm.2019.19327	Eastern Journal of Medicine 24 (1)	Yuzuncu Yil University Faculty of Medicine, Van, Turkey	57 – 62

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინვესტიციები ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის კაპიტალის ფორმირების თვალსაზრისით. კვლევის მიზანია ჯანმრთელობის კაპიტალის როლის შესწავლა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში. კვლევა ემყარება მონაცემთა მეორად წყაროებს (ადამიანის განვითარების ანგარიში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო). ჯანმრთელობის კაპიტალის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ინდიკატორები: სიცოცხლის ხანგრძლივობა, ავადობის პრევალენტობისა და ინციდენტობის მაჩვენებელი, დედებისა და ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ამბულატორიული პაციენტების მიმართვიანობის მაჩვენებელი, ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯები. ბოლო 25 წლის განმავლობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა. შემცირდა დედებისა და ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, გაიზარდა ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯები და ამბულატორიული პაციენტების მიმართვიანობის მაჩვენებელი. აღნიშნულმა დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯები და ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის მაჩვენებელი ევროპულ დონეზე ბევრად დაბალია. პაციენტებს პრევენციის ნაკლები მოტივაცია აქვთ. აღნიშნული გვიჩვენებს რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ განვითარდა სათანადო დონეზე და იგი ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს. იმის გამო, რომ ჯანმრთელობის კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებით.

8	Tengiz Verulava, Mariam Mamulashvili, Iago Kachkachishvili, Revaz Jorbenadze	The Attitude of the Orthodox Parishioners towards Euthanasia: Evidence from Georgia ISSN: 15413519 DOI: https://doi.org/10.1177/0272684X18819963	International Quarterly of Community Health Education, 2019; 39 (2)	SAGE Journals	101-107

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი: ევთანაზიის უფლება დღეს მსოფლიო დისკუსიის საგანია, ვინაიდან იგი ერთ-ერთი საკამათო სამედიცინო, რელიგიური, პოლიტიკური თუ ეთიკური ხასიათის საკითხია. კვლევის მიზანია მართლმადიდებელი მრევლის დამოკიდებულებების შესწავლა ევთანაზიის მიმართ. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტთა გამოკითხვა ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. **შედეგები:** კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რეპონდენტების უმრავლესობას (81%) ჰქონდა ინფორმაცია ევთანაზიის შესახებ. დომინანტურია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევთანაზია არის: “თანხმობა სიცოცხლის შეწყვეტაზე ავადმყოფობის დროს, როცა გამოსავალი არ არსებობს და შეუძლებელია განკურნება.“ ან „უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანი საკუთარი ნებით გადაწყვეტს, რომ სიცოცხლე დაასრულოს უმტკივნეულოდ“. ვინც არ ეთანხმება ევთანაზიას იშველიებს რელიგიურ ფაქტორებს (რატომ კრძალავს ეკლესია და ა.შ). ისინი ვინც ეთანხმებიან ევთანაზიის ქმედებას, არგუმენტად მოჰყავთ ადამიანის კანონიერი უფლებები და პიროვნების თავისუფალი ნება. რესპოდენტების უმრავლესობას (86%) არ სმენია ევთანაზიის პრაქტიკების შესახებ საქართველოში. რესპონდენტების უმრავლესობამ (71%) იცოდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია კრძალავს ევთანაზიას. რესპონდენტების 39%-ის აზრით, ევთანაზია გამართლებულია სამედიცინო კუთხით. **დასკვნა, რეკომენდაციები**: მიზანშეწონილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევთანაზიის შესახებ რელიგიური, სამედიცინო, კულტურული, სოციალური და სამართლებრივი კუთხით. სასურველია, მსგავსი კვლევების მეტი ჩატარება.

9	Ana Lordkipanidze, Nana Bigvava, Tengiz Verulava	Introduction of Mandatory Vehicle Inspection and Its Impact on Health: Case of Georgia ISSN: 1040-6026 DOI: https://doi.org/10.1080/10406026.2019.1611043	Environmental Claims Journal 2019; 31:4	Taylor & Francis Online, Abingdon, United Kingdom	304-310

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესავალი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ჯანრმთელობისათვის საზიანო პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში ურბანული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელი ავტოტრანსპორტია. ამ პრობლემასთან საბრძოლველად 2018 წლიდან ეტაპობრივად შემოღებულ იქნა კანონი ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია ავტომობილთა სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღებასთან დაკავშირებით მოქალაქეების აზრის შესწავლა, თუ რამდენად და რა შემთხვევაში არიან თბილისში მცხოვრები გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების მომხმარებლები მზად, ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, დათმონ ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტით მოძრაობა. მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა 12 ჩაღრმავებულ ინტერვიუს და მოიცავდა შემდეგ სამ სეგმენტს: 1) მსუბუქი ავტომანქანის ტაქსისტი, საკუთარი გაუმართავი ავტოსატრატრანპორტო საშუალებით 2) ტექნიკრად გაუმართავი მსუბუქი ავტომობილის მომხმარებელი და 3) უტრანსპორტო მომხმარებელი, რომელსაც აქვს საშუალება იყიდოს მანქანა. შედეგები, დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ კანონის მაქსიმალურად ეფექტურად ამოქმედებისათვის საჭიროა: 1. მოწესრიგდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი; 2. მოსახლეობის ინფორმირება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საზიანო შედეგების შესახებ და გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების როლის შესახებ ჰაერის დაბინძურებაში; 3. დაწესდეს დაბალპროცენტიანი სესხი ან განვადება ახალი მანქანების შესაძენად ან გაუმართავი ავტომობილების შესაკეთებლად, მთავრობისა და ბანკების ხელშეწყობით. 4. დაწესდეს კონტროლი საწვავის ხარისხზე.

10	Tengiz Verulava, Ekaterine Eliava	Patient Perception of Referrals to Family Physician in Georgia ISSN: 978-93-89469-25-7	Proceedings of The International Conference	international institute of engineers and researchers (iier). Paris, France	41-46

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველადი ჯანდაცვის ადეკვატური გამოყენება გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საქართველოში ბევრი პაციენტი ექიმ სპეციალისტს მიმართავს ოჯახის ექიმის მიმართვის გარეშე, შესაბამისად, ოჯახის ექიმთან პაციენტის მიმართვიანობა დაბალია, რაც ამცირებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას. კვლევის მიზანია საქართველოში ოჯახის ექიმების მიმართ პაციენტთა დაბალი მიმართვიანობის შესწავლა. კვლევის შედეგები მიგვანიშნებს, რომ ოჯახის ექიმთან პაციენტთა მიმართვის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ოჯახის ექიმების მიმართ უდაბალი ნდობის გამო, რაც დაკავშირებულია ექიმების დაბალი კვალიფიკაციით და ოჯახის ექიმების კომპეტენციების შესახებ დაბალი ინფორმირებულობით. არასაკმარისი ანაზღაურების გამო ოჯახის ექიმებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია სათანადო მომსახურების უზრუნველსაყოფად. მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პირველადი ჯანდაცვის შესახებ, ოჯახის ექიმების ანაზღაურების ეფექტური მეთოდების დანერგვა.

11	Tengiz Verulava	Improving Health and Health Capital through an Effective Primary Care System: Evidence from Georgia ISSN: 978-9975-82-141-4	3rd International Conference on Non-comunicable Diseases „Health risk factors and prevention of injuries and diseases”	State University of Medicine and Pharmacy, Chișinău, Republic of Moldova	99-100

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჯანდაცვის სისტემის ორიენტაცია პირველად ჯანდაცვაზე დადებით გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობასა და კოორდინაციაზე. იგი ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს და აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობას. ამ დროს იზრდება ოჯახის ექიმის, როგორც კარიბჭის როლი. საქართველოში პაციენტის ოჯახის ექიმთან მიმართვის მაჩვენებელი დაბალია, რაც ამცირებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ოჯახის ექიმების და პაციენტების გამოკითხვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კვლევით დადასტურდა ოჯახის

ექიმთან პაციენტის დაბალი მიმართვა. კვლევა აჩვენებს, რომ პაციენტის ოჯახის ექიმთან დაბალი მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ოჯახის ექიმების მიმართ დაბალი ნდობით. არასაკმარისი ანაზღაურების გამო, ოჯახის ექიმებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია სათანადო მომსახურების გაწევისათვის. მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პირველადი ჯანდაცვის შესახებ, ოჯახის ექიმების ანაზღაურების ეფექტური მეთოდების დანერგვა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლია წულაძე	European Integration through Pragmatic Considerations: A Complex Relationship between its Wanted and Unwanted Aspects.	დეკემბერი, 2019. Euroacademia international conference. Anglo-American University in Prague, Czech Republic.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

იხილეთ ბმული: http://euroacademia.eu/presentation/european-integration-through-pragmatic-considerations-a-complex-relationship-between-its-wanted-and-unwanted-aspects/

The paper discusses political and intellectual elites and populations' discourses on European Integration in Georgia. It focuses on Georgians' pragmatic expectations related to European integration in terms of protecting human rights and safeguarding the country against Russian threats. The research is based on the mixed-method approach integrating both qualitative and quantitative components. The target group consists of, on the one hand, political and intellectual elites (31 respondents) who have been inquired based on in-depth interviews, and on the other hand, population residing in the capital and main cities of Eastern and Western Georgia, who have participated in focus group discussions (18 focus groups, 137 respondents). Q methodology has been incorporated in both in-depth interviews and focus group discussions. Despite its quantitative focus, Q methodology is used with rather small samples enabling a deeper analysis of individual cases, as well as enriching a qualitative perspective.

As Q analysis shows, the statements that Georgia's European integration will result in the better protection of human rights and that the EU will safeguard the country against Russian threats have the highest positive correlations among the interviewed political and intellectual elites, as well as the population. Based on Z-Score variance that measures the consensus-dissensus among various factors, the abovementioned two factors are closely correlated, which indicates that the democracy and security issues are perceived as interconnected. However, concurrently the qualitative data reveal certain resistance to the above ideas among the same target groups who argue that Georgians are "historically tolerant" and hence do not need to be taught tolerance and human rights protection by the EU. Furthermore, despite considering the EU the country's main safeguard against Russian threats, Georgians still question the EU's willingness to confront Russia because of small and minor Georgia. Such a vision reflects Georgians' concerns about the country's status insecurity and the double power asymmetry with Russia and the EU. Furthermore, the abovementioned ambivalent views point to a complex relationship between the wanted and unwanted aspects of European integration in Georgia.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ლია წულაძე	Resisting "Urban Genocide" in Georgia: Environmental Activists' vs. Government Officials' Strategies to Appropriate Public Space	ივნისი, 2019. Social Movements Studies Journal Conference. Loughborough University, London Campus, UK.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

The paper discusses a new type of issue based, policy oriented civic movement in Georgia based on the example of urban environmental activism. This new type of activism has become especially visible after the parliamentary elections of 2012, that is, the first constitutional transfer of power since the country gained independence in 1991. The author analyzes this new type of activism based on two recent environmental cases in Georgia's capital city: the Vake Park and "Panorama Tbilisi" projects, which were initiated in the period of two different governments – the former and current ones, respectively. Both projects were considered harmful to the city's environment and cultural heritage by local and international experts and civil society, and caused environmental activists and citizens' immediate and long-lasting protest. However, despite changes in current policies that formally allow citizens' participation in urban decision-making, the two cases display similar challenges to public involvement in environmental policymaking in the country.

The findings reveal that the two cases represent an obvious tension between the competing values of ecological safety and economic prosperity. In their fight against what they call "urban genocide" or "urbocide" the activist resist neoliberal urbanism; while attempting to resist what they call "the creeping occupation of public space" they fight for the right to the city. Despite the fact that their activism has become rather consistent and attracts public attention via applying innovative strategies of policy advocacy (such as flash mobs or theatrical performances in front of the City Hall, etc.), it encounters a serious top-down challenge: both former and current government officials label environmental activists as politically biased and controlled by their political opponents in order to discredit them in the public eye and prevent their activism.

1	ლია წულაძე	Managing Ambivalence: Georgians' Discourses on Utilitarian and Identity Factors in the Context of Europeanisation.	აპრილი, 2019. British Association for Slavonic and East European Studies (BASEES). Robinson College, University of Cambridge, UK.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

იხილეთ ბმული: http://www.basees2019.org/abstracts/Tsuladze.pdf

The paper discusses Georgians' political and popular discourses on Europeanisation based on two successive research projects led by the author since 2014. The research has revealed that both political and popular discourses on Europeanization in Georgia are driven by utilitarian and identity factors. In-depth interviews with political and intellectual elites and focus groups with population reveal that on the declarative level, the research participants offer socially desirable narratives on the EU and Georgia's Europeanisation that are in compliance with the country's foreign policy course; however, their ambiguous perceptions are revealed behind this façade.

Concerning utilitarian factors, the respondents consider the EU a safeguard of Georgia's security, a guarantee of its economic prosperity, and a powerful actor reinforcing its political institutions. However, simultaneously, they fear that the EU might pose a threat to the country's sovereignty, that Georgian products might not be able to compete on the European market, and that Europeanisation might represent merely a part of the political image created by Georgian politicians for the domestic audience to ensure popular support. Furthermore, Europeanisation is perceived as both a safeguard of and a threat to the Georgian identity that is reflected in the

research participants' twofold narratives on religion, tolerance, and civic values. Thus, the analysis of both political and popular discourses reveals rather ambivalent perceptions of Europeanisation: Georgians mix their strong support for European integration with a significant concern about what outcomes it might bring to the country.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tengiz Verulava	Health Capital and Economic Growth	14th Silk Road International Conference. International Black Sea University. 11 October, 2019.
2	თენგიზ ვერულავა	საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გამოწვევების გადაწყვეტის გზები	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1-2 ნოემბერი, 2019
3	Tengiz Verulava	Access to Medicines for Pension Age Population in Georgia	The 7th International Scientific Conference "Space, Society, Politics – European Integration as a Catalyst for Development". Ivane Javakhishvili Tbilisi State University. 20 - 22 June, 2019
4	Tengiz Verulava	Health Capital, Primary Health Care and Economic Growth: Evidence from Georgia	International Scientific Conference "The Changing Political-Economic and Technological Landscape and Its' Effect on Countries Competitiveness". July 12-13, 2019, Caucasus University
5	Tengiz Verulava, Levan Kikilashvili	Health Support in Georgia by Eco infrastructure and Development of Complementary Technologies	The 4th International Conference on Actual Economic and Social Problems in Modern Globalization 2019. 29th-30th June. European University.
6	თენგიზ ვერულავა.	ბილ კლინტონის ჯანდაცვის რეფორმები	ამერიკისმცოდნეობის მე-20 საერთაშორისო კონფერენცია. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 23-25 მაისი, 2019

7	ვერულავა, თენგიზ	გულის თანდაყოლილი მანკით პაციენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა პრეოპერაციულ პერიოდში	სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში 101 წლისაა“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 12.04

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ლელა გაფრინდშვილი	ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება : ეპოქა, იდეები, ადამიანები	16 მაისი, 2019 თბილისი, ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი https://www.facebook.com/tbilisimuseums/
2.	ლელა გაფრინდაშვილი	რევოლუცია, რესპუბლიკა და ემანსიპაცია	28-29 ივნისი, 2019 თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი https://iliauni.edu.ge/uploads/other/53/53009.pdf
3	ლელა გაფრინდაშვილი	წარსულის დამახსოვრების და კვლევის გენდერული თავისებურებები: ქალების პერსპექტივა	21-22 ოქტომბერი, 2019 თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი https://iliauni.edu.ge/uploads/other/54/54741.pdf

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება : ეპოქა, იდეები, ადამიანები“ მიეძღვნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების 140 წლის თავს. იგი ეფუძნება ორგანიზაციის შესახებ არსებულ საარქივო მასალების ანალიზს: საქართველოს ცენტრალური არქივში, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის და განმანათლებლის ბიოგრაფიების, მიმოწერის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის ისტორიას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამოქალაქო და პოლიტკურ დებატებზე, რამაც დააჩქარა და განავითარა განმანათლებლური იდეების გავრცელება და საზოგდოების გააქტიურება.

2. მოხსენებაში „რევოლუცია, რესპუბლიკა და ემანსიპაცია“ განხილული იყო 1905, 1917 წლების რევოუციების გავლენა საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებზე, ამ გავლენის ასახვა ქალების ემანსიპაციაზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ქართულ-დასავლური დიალოგის და თანასწორობის იდეის ტრანსლაციის მნიშვნელობაზე ქართველი ქალების პოლიტიკურ საქმიანობაზე 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

3.	ჰაინრიხ ბიოლის ფონდის/HBS, SOVLAB და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია“ გაკეთებული მოხსენებაში „წარსულის დამახსოვრების და კვლევის გენდერული თავისებურებები: ქალების პერსპექტივა“ განხილული იყო მეხსიერების და დამახსოვრების თავისებურებები, რომლებიც ამხელს ისტორიის, ისტორიული მოვლენების და მოღვაწეების შესახებ დაწერილი კულტურის მანკიერებას: ქალების ისტორიის, გამოცდილების და წვლილის იგნორირებას ან მკრთალ ასახვას საერთო ისტორიულ მეხსიერებაში.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ აბაშიძე, თამარ მახარაძე	რას ანიჭებენ უპირატესობას სამუშაოს მაძიებლები საქართველოში;	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში (დასვლეთ-აღმოსავლეთის ინსტიტუტი); 2019 წ., 16-18 აპრილი; ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ავსტრია ISSN 2167-3179;

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tengiz Verulava, Ekaterine Eliava	Patient Perception of Referrals to Family Physician in Georgia	255th The IIER International Conference, Paris, France. 12-13 September, 2019
2	Tengiz Verulava	Improving Health and Health Capital through an Effective Primary Care System: Evidence from Georgia	3rd International Conference on Non-comunicable Diseases „Health risk factors and prevention of injuries and diseases”. June 5th – 7th, State University of Medicine and Pharmacy, Chișinău, Republic of Moldova, 2019

2019 წელს ლია წულაძე მიწვეულ იქნა ევროკომისიის ჰორიზონტი 2020-ის, მარი სკლოდოვსკა-კურის ინდივიდუალური პროექტების ექსპერტად და შეაფასა 11 პროექტი.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
იოსებ სალუქვაძე - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი
გიორგი გოგსაძე - პროფესორი
ვაჟა ლორთქიფანიძე - პროფესორი
ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი
ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი
ია იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ანზორ სახვაძე - ასოცირებული პროფესორი
გიორგი კვინიკაძე - ასოცირებული პროფესორი
ვლადიმერ ჩხაიძე - ასისტენტ-პროფესორი
დავით სიჭინავა - ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, მათ შორის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	მთის მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოწვევები ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოების კონტექსტში. საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მეცნიერებები	01.05.2019-30.11.2019	იოსებ სალუქვაძე, პროექტის ხელმძღვანელი თამარ დოლბაია, თანახელმძღვანელი, ნინო დურგლიშვილი, კონსულტანტი, თემურ გუგუშვილი პროექტის კოორდინატორი, მკვლევრები: გვანცა სალუქვაძე, მარიამ ლიკლიკაძე, თეიმურაზ ბეჟანიძე

ყაზბეგის ეროვნული პარკის მოულოდნელმა და ადგილობრივ მოსახლეობასთან არ გაცხადებულმა გაფართოების ჩანაფიქრმა განაპირობა მოხევეების შეშფოთება. ამ ფაქტმა, რომელიც ემსახურება მთავარ მიზანს რომ გააააუმჯობესოს ეკოსისტემის ფუნქციონირება და ასევე, ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას მიიპყრო პროექტის მკვლევართა ჯგუფის ყურადღება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში, გაფართოების პროცესში ახალი ტერიტორიების ინტეგრირება დაცული ტერიტორიების სტატუსის ქვეშ, ადგილობრივი მაცხოვრებლებს, რომლებსაც ფუნქციურად უკავშირდებიან შერჩეულ ტერიტორიებს, მოუწევთ ადაპტირება ახალ რეალობასა და რეგულაციებთან. ამ კონტექსტში, გამოიკვეთა საჭიროება, რომ ყურადღება გამახვილდეს მიმდინარე ცვლილებების დროს, ადგილობრივი თემების ადეკვატური ინფორმირების დონეზე და აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნული შემთხვევის შესწავლა წარმატებით მოხდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონში. მიმდინარე პროცესის სიღრმისეული შესწავლისათვის განხორციელდა კვლევა შერეული მეთოდების დიზაინის გამოყენებით. კონცეფციის ფარგლებში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდიების კომბინაცია, კერძოდ დაბა სტეფანწმინდის მკვიდრი მოსახლეობის გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე (n=73); მონაწილეობითი კარტირება და თვისებრივი ინტერვიუები მიზნობრივად შერჩეულ რესპონდენტებთან. შეგროვებული მონაცემების გაანალიზება მოხდა, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებით, როგორებიცაა SPSS, MAXQDA და ArcGIS.

საველე სამუშაოების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, საგრძნობი სიცარიელე დაფიქსირდა ადგილობრივი თემების მონაწილეობაში ყაზბეგის ეროვნული პარკის მენეჯმენტის პროცესში. არასაკმარისი თანამშრომლობის გამო, ადგილობრივებმა მოსახლეობამ საკუთარი თავი გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და ასევე, ახალი იდეების ჩამოყალიბების მიღმა მიიჩნიეს დარჩენილი. ისინი უმეტესწილად საეჭვოდ მიიჩნევენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კონსერვაციის მიზნების მიღმაა (მაგალითად, მიწის გამოყენება ბიზნესის წამოწყების მიზნით). მონაწილეობითი კარტირების მეთოდის გამოყენებით, დაინტერესებულმა მხარეებმა რუკებზე მონიშნეს ის ადგილები, რომლებიც მათი აზრით, მეტ ყურადღებას იმსახურებს და შემდგომ განხილვას მათი ეკონომიკური გამოყენების კუთხით. რესპონდენტების უმეტესობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დაგეგმილი ახალი საზღვრების ფარგლებში, მიწის ნაწილები დაცული ტერიტორიების საზღვრებს მიღმა დარჩა. რესპონდენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ის ფაქტი, რომ ყველა ასეთი ადგილი, მდინარეების გასწვრივ მდებარეობს

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

	პროექტის დასახელება: „ტურიზმისა და მოსახლეობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების ურთიერთკავშირი: მთიანი რეგიონების მდგრადობის ფორმირება“; **სამეცნიერო დარგი და მიმართულება:** სოციალური მეცნიერებები; ინტერდისციპლინური. **საიდენტიფიკაციო კოდი:** **FR17_485**	2018-2020	**ძირითადი ჯგუფი:** იოსებ სალუქვაძე - ხელმძღვანელი; თემურ გუგუშვილი - კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი; გვანცა სალუქვაძე - ახალგაზრდა მეცნიერი; **დამხმარე ჯგუფი:** *ნინო პავლიაშვილი - კონსულტანტი*; იოსებ ხელაშვილი - კონსულტანტი; ნინო დურგლიშვილი - კონსულტანტი; ინგრიდ-უტე ლეონჰოიზერი - კონსულტანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მესამე და მეოთხე საანგარიშო პერიოდში პროექტის ჯგუფმა მაღალ დონეზე უზრუნველყო გაწერილი ამოცანების თანმიმდევრულად და სრულყოფილად შესრულება. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მესტიასა და ყაზბეგში მოპოვებული თვისებრივი მონაცემების, კერძოდ, სიღრმისეული და ფოკუსური ინტერვიუების ანალიზი განხორციელდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის პროგრამა MAXQDA-ის საშუალებით. ამ პროცესში მოხდა მოპოვებული ინფორმაციის კვლევის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით ანალიზი და მათზე დაფუძნებით გაკეთებული მიგნებების ინტერპრეტირება. ამასთან, აღნიშნული საანგარიშო პერიოდების ძირითად მიღწევებს შორის აღსანიშნავია კვლევაზე დაფუძნებული ორი სტატიის გაგზავნა და დადებითი პასუხი გამოქვეყნებაზე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, კერძოდ, *Mountain Research and Development Journal; Impact Factor: 1.388* და *European Journal of Geography; Impact Factor: 0.567*. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის მიგნებების წარდგენა და მათი გავრცელება მოხდა ვიეტნამის 2019 წლის მდგრადი განვითარების საერთაშორისო მასშტაბურ კონფერენციაზე.

აგრეთვე, პროექტის პირველადი მიგნებების გაზიარება წარმატებით მოხდა ევროპის წამყვანი, შვეიცარიის მთის კვლევითი ინსტიტუტის ფოკუსში. წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, თებერვლის თვის ბლოგ სტატია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში (ყაზბეგი, მესტია) ტურიზმის მიწოდების ჯაჭვის ფუნქციონირების შესწავლის მიმდინარეობას დაეთმო.

(http://www.mountainresearchinitiative.org/index.php/news-content/europe/linkages-between-tourism-and-community-driven-economic-activities-shaping-sustainability-in-mountain-regions).

აღსანიშნავია ასევე საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც პროექტის უცხოელი კონსულტანტის თბილისში ჩამოსვლას უკავშირდებოდა. მიმდინარე

წლის 04-08 ივნისს პროექტის ფარგლებში შედგა პროექტის ემერიტუს პროფესორის - ინგრიდ-უტე ლეონჰოიზერის ვიზიტი საქართველოში. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობები განხორციელდა მისი ჩართულობით და ყველა საჭირო ამოცანა შესრულდა. აღსანიშნავია, რომ პროფესორი ინგრიდ-უტე წარმოადგენს იუსტუს-ლიბიგის გისენის უნივერსიტეტს (გერმანია). თბილისში ყოფნის პერიოდში მან პროექტის გუნდთან ერთად იმუშავა და მოპოვებული ემპირიული მონაცემების ანალიზის ეტაპზე კონსულტაცია გაუწია ჯგუფს, ასევე წვლილი შეიტანა კვლევის მიგნებებისა და ძირითადი შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში. კერძოდ, იმისათვის, რომ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების ადგილობრივი ტურიზმის მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირების პროცესში იდენტიფიცირებული ბარიერების შეფასება. აგრეთვე, მისი როლი ღირებული იყო და იქნება კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განვითარების სტრატეგიებისა და ხედვების შემუშავებაში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	"Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region" “ტურიზმის მდგრადი განვითარება კავკასიაში: თანამშრომლობა რეგიონულ ტრანსდისციპლინურ კვლევაში” პროექტი: 1176; APPEAR-ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სამეცნიერო ფონდი (ADA)	1 ივნისი, 2016-1ივნისი, 2020	1. იოსებ სალუქვაძე - მენეჯერი 2. ნოდარ ელიზბარაშვილი - ექსპერტი 3. იოსებ ხელაშვილი - ექსპერტი 4. მერაბ ხოხობაია - აკადემიური ასისტენტი *5. <u>ნინო პავლიაშვილი - პედაგოგი</u>*

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი დაიწყო 2016 წლის 1 ივლისს და დასრულდება 2020 წლის 1 ივლისს. პროექტში ჩართულია 3 ქვეყანა: ავსტრია, საქართველო და სომხეთი. აკადემიური თანამშრომლობა პროექტის პარტნიორებს საშუალებას მისცემს დასახონ მდგრადი განვითარების რეალური პრობლემების გადაჭრის გზები - ფოკუსირდნენ ტურიზმის განვითარებაზე ადგილობრივ

პოპულაციასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. პერსპექტივაში აკადემიური თანამშრომლობა მიზნად ისახავს აქტივობების კოორდინაციის და თანმიმდევრულობის გაუმჯობესებას და კვლევის შედეგების ინტეგრაციას კავკასიის რეგიონში საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში ტურიზმის განვითარების სფეროში.
პროექტის მთავარი მიზანია წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარებაში ტრანსდისციპლინურ კვლევებში, კერძოდ:

- ახალი მიდგომების შემოღება:
  - *ქეისებით სწავლების ფორმატი*
  - *ტრანსდიციპლინურობა სწავლებაში და დეპარტამენტებს შორის კოოპერაციაში*

ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა უნივერსიტეტის პოლიტიკასა და საქმიანობაში მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების მხარდაჭერის მიზნით:

- ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერა.
- უნივერსიტეტისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების კოოპერაციის ხელშეწყობა და ტრანსდიციპლინური მიდგომის გაცნობა, კავკასიის სამეცნიერო ქსელის ტურიზმის შესახებ მასალებით გამდიდრება, მისი სამეცნიერო გეგმებისა და რეგიონული თანამშრომლობის ჩათვლით.

2019 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2019 წელს ტრანსდისციპლინური მიდგომების საფუძველზე წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე (სტეფანწმინდა) განხორციელდა საველე კვლევითი სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მაგისტრატურის საფეხურის (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა.
- ავსტრიულ მხარესთან თანამშრომობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ავსტრიელი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც შეხვდნენ თსუ-ის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საველე კვლევაში. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია და მოხდა გამოცდილების გაზიარება ტრანსდისციპლინური კვლევის კონტექსტში.
- სტეფანწმინდაში ჩატარდა ერთკვირიანი საზაფხულო სკოლა - „ტრანსდისციპლინარული კვლევები/საზოგადოება კულტურათშორისი ორიენტაციის ფარგლებში“, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 25 ქვეყნის ახალგაზრდა მკვლევარი. საზაფხულო სკოლის ფარგლებში განიხილებოდა: კვლევებში არსებული მიმდინარე მოთხოვნები და ისტორიული და სოციო-კულტურული პირობები; მონაწილეთა პროფესიული საქმიანობის გაცვლა; კვლევის მეთოდოლოგია: გაზომვები, პრინციპები, ფაზები, ერთობლივი სწავლება, რეინტეგრაცია, თვისებრივი კრიტერიუმები, პროექტის თემატური კვლევების ერთობლივი დამუშავება და სხვ.
- 2019 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (ISCONTOUR) კვლევითი პროექტებით წარსდგა პროექტში ჩართული თსუ-ის ფაკულტეტების მაგისტრატურის საფეხურის 5 სტუდენტი და ორი პროფესორი.
- თურქეთში, ქ. ანკარაში ჩატარდა „კავკასიის მთის ფორუმი (CMF2019)”, რომელიც ორგანიზებული იყო კავკასიის მთიანი რეგიონების სამეცნიერო ქსელის მიერ. ფორუმში მონაწილეობდნენ მკვლევრები და სტუდენტები მსოფლიოს 45 ქვეყნიდან.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა კავკასიის რეგიონის მკვლევრების მონაწილეობა.

საქმიანი ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე პარალელური სესია, სადაც ფორუმში მონაწილეები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას და აცნობდნენ კვლევის შედეგებს.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	Erasmus+ გრანტი სალექციო კურსის წასაკითხად ტურიზმის გეოგრაფიაში ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში (ქ. ლილი, საფრანგეთი) F LILLE11	24.02.2019 – 01.03.2019	ია იაშვილი, გრანტიორი

დასრულებული კვლევით ი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ერაზმუს+ სტიპენდია მოიცავდა პერიოდს 2019 წლის 25 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით და ითვალისწინებდა სალექციო კურსის ჩატარებას ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრებისათვის (სულ 8 საათი).

სალექციო კურსში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:
საქართველოს ბუნებრივი გარემო და ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრები;
საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ფაქტორი;
ტურიზმის ინდუსტრია, როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.
რეკრეაციული რესურსები და მათი ათვისების პოტენციალი;
ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი მიმართულებები - ღვინის ტურიზმი, ბალნეოლოგიური ტურიზმი;
მდგრადი ტურისტული განვითარება და მისი შედეგები საქართველოში.

მასპინძელთა შეთავაზებით, სალექციო კურსი წავიკითხე საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისათვის, რომელშიც განვიხილე შემდეგი საკითხები:
საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, როგორც სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელოვანი ქვეყნისა;
საქართველოს ტერიტორია, მისი ურთიერთობა მეზობლებთან (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი) და პოლიტიკური მნიშვნელობა;
საქართველო და მისი ინტეგრაციის გამოწვევები ევროატლანტიკურ სივრცეში.

შევხვდი ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს და ვესაუბრე მათ გაცვლითი პროგრამის შესახებ. მათივე შეთავაზებით, ჩავწერე ინტერვიუ ადგილობრივი რადიოსათვის, საქართველოს, როგორც პარტნიორი ქვეყნის შესახებ.

4. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გაჩეჩილაძე	ახლო აღმოსავლეთი. ორ ტომად. ტომი მეორე „გეოპოლიტიკა“. ISBN 978-9941-30-243-5	თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“,	(282 გვ.)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) წიგნში განხილულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, კერძოდ, სახელმწიფოთა სახელებისა და სიმბოლიკის, სახელმწიფოთა ფორმირების, მათი საზღვრების ჩამოყალიბების, მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის თეორიული საკითხები, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სივრცითი საკითხები, რეგიონის სამხედრო ბალანსი, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრობლემები. წიგნის მესამე ნაწილი, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდია, ეძღვნება რეგიონსგარე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების - დიდი ბრიტანეთის, ამერიკის, რუსეთისa და ჩინეთის - და რეგიონის ყველა ქვეყნის გეოპოლიტიკური კოდისა და მიმდინარე საგარეო პოლიტიკის ანალიზს. წიგნის ბოლო ორ თავში გაანალიზებულია ე.წ. „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის“ ანუ ისრაელისა და პალესტინელი არაბების რთული ურთიერთობის მიზეზები.			

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	გიორგი გოგსაძე	„ნაფტას რეგიონი“ თავი სახელმძღვანელოში, „მსოფლიოს რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“	თბილისი, თსუ, ელვერსია	50
2	გიორგი გოგსაძე, გიორგი მელაძე	„მიგრაციული პროცესები“ თავი სახელმძღვანელოში „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“	თბილისი, თსუ, ელვერსია	15
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) 1. „ნაფტას რეგიონი“ (ანოტაცია). სახელმძღვანელოს თავში რეგიონი „ნაფტა“, რომელიც შეიქმნა აშშ, კანადისა და მექსიკის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე. თავის დასაწყისში ნაჩვენებია რეგიონის შექმნის ისტორიული წანამძღვრები და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები. რეგიონის დახასიათება მოიცავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ეკონომიკურ გეოგრაფიულ ასპექტებს. შემდგომ მიმოხილულია მოსახლეობის გეოგრაფიის მრავალფეროვანი ასპექტები: დემოგრაფია, მიგრაცია, განსახლება. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონში შემავალი თითოეული ქვეყნის გეოგრაფიული კუთხეების (პროვინციების) დახასიათებას. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზს. ნაშრომში ჩანართების სახით არის მოცემული იმ პრობლემების დახასიათება, რომლებიც მიჩნეულია რეგიონის ძირითად გამომწვევებად.			

2. „მიგრაციული პროცესები“ (ანოტაცია). ეს არის თავი სახელმძღვანელოში „„საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“. მასში განხილულია საქართველოში მიმდინარე თანამედროვე მიგრაციები. თავის დასაწყისში მოცემული მიგრაციის ისტორიული დახასიათება. შემდეგ ნაწილში მოცემული შიდა მიგრაციების ანალიზი. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო მიგრაციებში ქართველების მონაწილეობას. წარმოჩენილია თუ ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციაზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, ხაზგასმულია მიგრანტების მიერ უცხოეთიდან ფულადი გზავნილების როლი ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაში.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი კვინიკაძე, ვალერიან მელიქიძე	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია (რუსულ ენაზე) რედაქტირებულია	თბილისი, თსუ	235
სახელმძღვანელო განკუთვნილია არაგეოგრაფიული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის რუსულენოვან სტუდენტთათვის. სახულმძღვანელოს მასალა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი გეოგრფიის როგორც მეცნიერების შესახებ საბაზო წარმოდგენების ფორმირებას. კერძოდ, საზოგადოების და სახელმწიფოს ფუნქციონირების ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხებს კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებში. აჩვენებს მსოფლიოს თანამედროვე გეოგრაფიის პოზიციიდან გლობალიზაციის პირობებში.				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნეიძე ვ., პავლიაშვილი ნ., თუთბერიძე მ., ხომერიკი გ., ლომინაძე გ.	გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები. “სამეგრელოს ტურისტული პოტენციალის პრობლემები”	თბილისი, თსუ -ს გამომცემლობა	6
2				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გახილულია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის, სამეგრელოს ტურისტული პოტენციალის საკითხები. ამ მხარეს გამორჩეულად ახასიათებს ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ძირითადად, ეს ეხება მის ბუნებას და კულტურულ მემკვიდრეობას. საკუთრივ ტურიზმის ეკონომიკური ბაზა სუსტია. სამეგრელოს მოეპოვება როგორც ზღვის სანაპირო (ზღვისპირა ტურისტული ცენტრები ანაკლია და მალთაყვა), ასევე -

მთისწინეთისა და საშუალო მთების რესურსები - კურორტები: მენჯი, სქური, ცაიში; მაღალი მთის სანახაობები (ტობავარჩხილი, ჩაშკიბული, ქუაქანცალია); მდინარეთა (ტეხურის, აბაშის და ხობის) მიმზიდველი ხეობები, კარსტული მღვიმეები. მათ გარდა, პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კოლხეთის ჭარბტენიანი დაბლობის დაცული ტერიტორიები (კოლხეთის, კაცობურის). ცალკე აღსანიშნავია ამ მხარეში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური, კულტურული გამორჩეული თავისებურებები. ნაშრომში მოტანილია სამეგრელოს ტურისტული პოტენციალის დარაიონების სქემა.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ **კრებულის** დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	Ia Iashvili, Tatia Dogonadze	Spa Tourism in Imereti Region: Trends and Prospects ISBN 978-9941-13-885-0	Actual Problems of Geography. Dedicated to Prof. Davit Ukleba's 100th anniversary	Tbilisi. TSU; Institute of Geography 2019	გვ.119–122
2	იაშვილი ია	მიგრაციის თეორიები და თანამედროვე ქართული იმიგრაცია აშშ-ში: რამდენად მივყვებით ზოგად კანონზომიერებებსა და საერთაშორისო გამოცდილებას? ISSN – 1512-1585	ამერიკის შესწავლის საკითხები ტ. 7	თბილისი. თსუ, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი 2019	გვ. 151-159

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. კვლევის მთავარი მიზანია იმერეთის რეგიონის საქართველოს სამ მნიშვნელოვან სპა კურორტზე - წყალტუბო, საირმე და ნუნისი - გეოგრაფიული სტრუქტურისა და ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტთა რეკრეაციული პროფილის შესწავლა. კვლევის შედეგად მოხდა დამსვენებლების მოთხოვნების გამოვლენა და შეფასება. სულ გამოიკითხა 204 რესპონდენტი, მათ შორის სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც. გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი (კითხვარი) და თვისებრივი მეთოდები სიღრმისეული ინტერვიუების სახით. პროექტი მიზნად ისახავს, როგორც ვიზიტორთა გეოგრაფიული პროფილის, ასევე ტურისტული ნაკადების მიმართულების გარკვევას; ამავდროულად, გამიზნულია მომსახურების ხარისხის განსაზღვრაზე, ასევე იმ მარკეტინგული სეგმენტის დადგენაზე, რომელსაც ყველაზე მაღალი აქვს მოთხოვნა საკურორტო-გამაჯანსაღებელ დასვენებაზე.

Abstract

The main goal of the present research is to study the geographical structure and the recreational profile of domestic and international tourism at three important spa resorts of Georgia in Imereti region - Tskaltubo, Sairme, and Nunisi. The evaluation of demands of resort vacationers was done as well. Total of 204 respondents, among them from countries other than Georgia, have been researched using quantitative (questionnaire) and qualitative (in-depth interviews) methods. Our survey is targeted at clarification of both the geographical profile of visitors as well as tourist flows; at the same time, the study identifies the main aspects of vacationers' demands as it establishes the marketing segment with the highest demand for recreation on resorts of this type.

2. კვლევის მიზანია საქართველოს თანამედროვე შრომითი მიგრაციის ტენდენციებისა და სტრუქტურის წარმოჩენა მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო მიგრაციების ფონზე. ამ მიზნით, ჩვენ ვეყრდნობით საზოგადოებრივ მეცნიერებებში სხვადასხვა ავტორთა მიერ დამკვიდრებულ მიგრაციის თეორიებს (Massey, 1999:34-52; Hagen-Zanker, 2008:4-24), რითაც შევეცდებით, მოვახდინოთ ქართული თანამედროვე ემიგრაციის განვითარების კანონზომიერებათა ტესტირება საერთაშორისო მიგრაციის თეორიებთან მიმართებაში, იმ კონტექსტით თუ რამდენად ერგება დღევანდელი ქართული ემიგრაცია ამ საყოველთაოდ აღიარებულ კონცეფციებს. ჩვენი კვლევა ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე კერძოდ, ქალაქ ნიუ იორკში (ნიუ იორკის შტატი), ქალაქებში ჰათორნში, ედისონსა და მენვილში (ნიუ ჯერსის შტატი) და დასავლეთ სანაპიროზე კალიფორნიის შტატის ქალაქებში სან ფრანცისკოსა და ლოს ანჯელესში. სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრის ადგილად ქართული ეკლესიები და სხვა პირადი სივრცე (საცხოვრებელი) იქნა შერჩეული, სადაც საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით ქართველ რესპონდენტებს. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი ანკეტური გამოკითხვის სახით (263 ვარგისი ანკეტა), თვისებრივი მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუს სახით (65 რესპონდენტთან) და შედარებითი ანალიზის მეთოდი; მედიატორობა გაეწია ერთ ფოკუს ჯგუფს. შერჩევისათვის ყველაზე მართებულად მივიჩნიეთ "თოვლის გუნდის" პრინციპი, როდესაც ქართველი იმიგრანტები არსებული საიმიგრაციო ქსელიდან უზრუნველყოფენ ჩვენს შეხვედრას სხვა რესპონდენტებთან.

5. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი კვინიკაძე	სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური ლაბირინთი ISBN: 978-620-0-00397-3	რიგა, ლატვია	65

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nino Pavliashvili, Mzia Tutberidze პავლიაშვილი ნ., თუთბერიძე მ.	Physical Geography of Georgia chapter – "Physical-geographical Features of Tourism Development" საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (ინგლისურ ენაზე),	Cham (Switzerland), „Springer" გადაცემულია დასაბეჭდად	10

		თავი-ტურისტული მეურნეობის განვითარების ფიზიკურ-გეოგრაფიული წანამძღვრები		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი და გამორჩეული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განმსაზღვრელია. ქვეყნის ჯანსაღი კლიმატი, რთული ოროგრაფიული რელიეფი, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და შავი ზღვის სანაპირო, სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლები, ტყით დაფარული დიდი ფართობები და დაცული ტერიტორიები, სპელეო-ობიექტები ქმნიან საკურორტო და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ერთობლიობას. აღნიშნული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულებით და კანონით „ტურიზმის და კურორტების შესახებ“, გამოყოფილია 103 კურორტი და 180-ზე მეტი საკურორტო ადგილი, რომელთაგან ექვსი კურორტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

როგორც ყველა ბუნებაზე ორიენტირებული დარგისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორი. დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტებზე მინერალური წყაროების გამოსასვლელების, კლიმატური და სხვა რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან. მაღალმთიანი კურორტების ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კატასტროფები: ზვავები, მეწყრები, ღვარცოფები.

ფიზგეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ არა მარტო კურორტის ტიპს და მის სამედიცინო პროფილს, არამედ მისი სივრცობრივი განვითარების შესაძლებლობებსაც.

საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კურორტების რიცხვი გაიზარდოს, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს მთელი რიგი ადგილებისა, რომელსაც ოფიციალური წრეები და მოსახლეობა კურორტებს უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ კანონით მიღებულ სიაში ისინი არ ფიგურირებენ.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ გაჩეჩილაძე	The Caucasian geopolitical knot [კავკასიის გეოპო-ლიტიკური კვანძი] ISBN 978-9941-13-863-8 (pdf)	Proceedings of the IV International Conference “Politics around the Caucasus”.	Tbilisi University Press, 2019 [თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა]	8
2	რევაზ გაჩეჩილაძე	თურქეთი	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 4	საქართველოს მეცნიერებათა	2

				ეროვნული აკადემია	
3	რევაზ გაჩეჩილაძე	ინგლისი	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 4	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	2
4	რევაზ გაჩეჩილაძე	ისრაელი	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 4	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	2
5	რევაზ გაჩეჩილაძე	ისრაელის სახელმწიფოს შექმნის სათავეებთან: ბალფურის დეკლარაცია	ჟურნ. „ჩემი სამყარო“, N2,	საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი	6
6	რევაზ გაჩეჩილაძე	"Большой террор" 1937-1938 гг. в Советской Грузии: был ли он фактором "этнической гомогенизации"? ISSN 1987-6238	მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. N 2, 2019	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	35
7	რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი რობაქიძე	European Integration in a Political-Geographical Context: a Comparison of the Baltic States and the South Caucasus ISSN 0132-1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Vol. 13, no 4, 2019 [სმეა მოამზე]	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. განხილულია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) და მის ირგვლივ არსებული ერთი დიდი და ორი საშუალო ზომის რეგიონული ზესახელმწიფოს (რუსეთი, ირანი, თურქეთი) ურთიერთდამოკიდებულება და მათი გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მიმართ.

2. ენციკლოპედიური ცნობარისათვის მომზადებულია სტატია თურქეთის შესახებ. განხილულია, ქვეყნის პოლიტიკური წყობა, ბუნებრივი რესურსები, დემოგრაფია, თანამედროვე ისტორიის ძირითადი მომენტები, საგარეო პოლიტიკა.

3. ენციკლოპედიური ცნობარისათვის მომზადებულ სტატიაში განხილულია დიდი ბრიტანეთის დ ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური წყობა, ბუნებრივი რესურსები, დემოგრაფია, თანამედროვე ისტორიის ძირითადი მომენტები, მათ შორის ურთიერთობა ევროპულ კავშირთან.

4. ენციკლოპედიური ცნობარისათვის მომზადებულია სტატია ისრაელის შესახებ, რომელშიც განხილულია ამ სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა, დემოგრაფიული თავისებურებები, თანამედროვე ისტორიის ძირითადი მომენტები, მათ შორის რთული ურთიერთობა პალესტინელ არაბებთან.

5. სტატიაში განხილულია 1917 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადება („ბალფურის დეკლარაცია“), რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ებრაულ იმიგრაციას პალესტინაში, რაც, საბოლოო ჯამში, დაგვირგვინდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნით 1948 წელს.

6. სტატია წარმოადგენს დისკუსიას გერმანელი ავტორების მარკ იუნგესა და ბერნდ ბონვეჩის მიერ მომზადებული მონოგრაფიის "Большевисткий порядок в Грузии" (Издание в 2-х томах. Том 1: Большой террор маленькой кавказской республике". Составители Марк Юнге, Бернд Бонвеч. Москва: АИРО-XXI, 2015. 640 с.).ერთ-ერთი ძირითადი თავის „ეთნოსი და ტერორი“ დებულებებთან დაკავშირებით. ამ თავის ავტორები (მარკ იუნგე, დანიელ მიულერი, ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ივან ჯუხა) საკმაოდ ტენდენციურად გათვლილი სტატისტიკური მასალის (საქმე ეხება ეთნიკურად დაჯგუფებული რეპრესირებული პირების სტატისტიკას) საფუძველზე აკეთებენ დასკვნას, თითქოს 1937-1938 წლების რეპრესიები საქართველოს სსრ-ში ადგილობრივმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ გამოიყენა ეთნიკური უმცირესობების, მათი სიტყვებით, „დისციპლინისადმი მისაჩვევად და ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის“. სტატიაში კრიტიკულად არის გაანალიზებული ეს მცდარი დასკვნა. ასევე დამუშავებულია ის დემოგრაფიული სტატისტიკა, რომელიც ეხება აფხაზურ ეთნოსს: გაკეთებულია ამ ეთნოსის რიცხობრივი დინამიკის მოდელი 1886-1939 წლებისათვის.

7.ევროინტეგრაცია რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, თუმცა მისი პოზიტიური შედეგი ეჭვს არ იწვევს. ამის დასტურია ის თვალსაჩინო სხვაობა, რაც არსებობს ევროკავშირში უკვე 15 წლის წინ შესულ ბალტიის რეგიონის სამ სახელმწიფოსა და სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის, როდესაც ეს უკანასკნელი სამი ვერ ახერხებს ერთიანი რეგიონის სახით წარსდგეს მსოფლიოს წინაშე. განხილულია ის გეოპოლიტიკური და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები, რაც იწვევს განსხვავებას სახელმწიფოთა ამ ორ ჯგუფს შორის. შედარებულია პოლიტიკური ელიტების განსხვავებული მიდგომები და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდ ენობა
1	Iashvili Ia, Dogonadze Tatia	Sustainable Tourism for Contribution to Economic Growth and Social Inclusion of Rural Communities in Post-Soviet Georgia	To be published soon	Bulgaria, Sofia. University of National and World Economy	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ABSTRACT. The aim of our research is to find out to what extent tourism industry in Western Georgia ensures sustainable regional development - economic benefits and social inclusion of rural communities. Our working hypothesis assume that tourism should be the main source for the regional development – with positive effects in employment, income generation, social inclusion, welfare growth of rural house holds and natural environmental protection. Does the Prometheus carst cave as a tourist destination create better living conditions for villagers? What are dimensions of influence of native population on environment and in what way does increasing growth of tourist flows affect sustainability of the ecosystem? How much does the influence of this tourist site span all socio-economic and gender/age segments of the community? How actively is local population involved in decision making and how close are relationships between governmental/non-governmental/private businesses and local community members? Our research is based on **Case Study** and **Qualitative Research methods** in form of in-depth interviews that span the 10 km surrounding area of the tourist cave; we also refer to **Stakeholder Analysis**; primary and secondary academic sources are used as well. In order to have determined conclusions and recommendations we have used **Gap Analysis (Need Analysis) methods** that shows the difference between the existing situation and the desired one. Except of rural households' adult members the managers or owners of 10 guesthouses and cafes were interviewed and one focus group session was held. The analysis of the study showed the economic benefit from tourism, although with diversified influence on social capital particularly, on households with different social-economic statuses. The research revealed misuse of natural resources; the

process of involvement of villagers in decision making was assessed as weak; and the lack of professional skills among locals to run minor businesses needs to be improved.
კვლევა განხორციელდა სოფელ ყუმისთავში პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსში ტურიზმის მდგრადი განვითარების შესწავლის მიზნით. კვლევის მიზანი იყო ლოკალურ განვითარებაზე ტურიზმის გავლენის განსაზღვრა **ტრანსდისციპლინური** მიდგომით **(სტეიქჰოლდერების ანალიზი)** - თუ რამდენად უწყობს ხელს მღვიმის არსებობა და ფუნქციონირება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ოჯახების შემოსავლების ზრდას, სოფელში ინფრასტრუატურის განვითარებას, რეგიონში გეოგრაფიული გარემოს დაცულობასა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. ინტერესის სფეროს შეადგენდა სამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობის კვლევა სოფლის თემის ტურისტულ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი იყო იმის დიფერენცირება, თუ რომელი ოჯახები იღებენ მეტ სარგებელს ტურისტული ობიექტის არსებობით - ღარიბები თუ ნაკლებად ღარიბები და რამდენად არის გამართლებული მსგავს სასოფლო დასახლებებში ტურიზმის ინდუსტრიის შექმნა. დასკვნებისათვის გამოყენებულია **საჭიროების ანალიზის მეთოდი,** რომელიც გვიჩვენებს სხვაობას არსებულსა და სასურველ რეალობას შორის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რევაზ გაჩეჩილაძე გიორგი რობაქიძე	ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა (ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება).	VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი",* თბილისი, 21 ივნისი, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილულია ევროინტეგრაციის რეალური შედეგები ცენტრალური ევროპის ქვეყნებში (ე.წ. „ვიშეგრადის ოთხეული“: პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი), ბალტიის ქვეყნებში (ლიუტუვა, ლატვია, ესტონეთი) და ეს ორი, ეკონომიკურად საკმაოდ წარმატებული რეგიონი შედარებულია ევროინტეგრაციის პოტენციური კანდიდატების, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, შესაძლებლობებთან. დადგენილია ის ფაქტორები, რაც ხელს უშლის სამხრეთ კავკასიას ევროკავშირთან ურთიერთობაში გამოდიოდეს, როგორც ერთიანი რეგიონი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი კვინიკაძე	სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური ლანდშაფტი და მისი შეფასების კრიტერიუმები	22.06.2019 თსუ, თბილისი

სამხრეთი კავკასია მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი რეგიონია. მისი ეკონომიკური პოტენციალი იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში რეგიონი არ უნდა იყოს პასიური მომხმარებელი, პირიქით, მას ძალუძს საკუთარი წვლილის შეტანა მსოფლიო ეკონომიკაში, მსოფლიო მეცნიერებატევად წარმოებაში. აღნიშნული დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია მისი გეოეკონომიკური ლანდშაფტი.
კვლევის მიზანიც სწორედ იმ აქტორთა ანალიზია, რომლებიც გავლენას ახდენენ და ახდენენ რეგიონის გეოეკონომიკურ ლანდშაფტის ფორმირებაზე. კვლევა მოწოდებულია უპასუხოს ორ მთავარ კითხვას: 1. რას წარმოადგენს სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური ლანდშაფტი და 2. რომელი აქტორებია ამ მხრივ ყველაზე მოწყვლადები. ნაშრომი განეკუთვნება თვისობრივი კვლევების კატეგორიას და მასში გამოყენებულია

შემთხვევის (Case-Study), კარტოგრაფიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები. გეოეკონომიკური ლანდშაფტის საანალიზოდ შერჩეულია შესაბამის მაჩვენებელთა სისტემა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ია იაშვილი	აშშ მოქალაქეობისათვის: იაპონელ და ქართველ იმიგრანტთა რეპროდუქციული ქცევის შედარებითი ანალიზი	ამერიკისმცოდნეობის მე–20 საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 23-25 მაისი, 2019
2	ია იაშვილი		დ. უკლებას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“. თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტი, 5 ნოემბერი, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ჩვენი კვლევის სამეცნიერო (თეორიულ) ჩარჩოს წარმოადგენს შობადობის თეორიები, კერძოდ: *ტექნოლოგიების და შეხედულებების დიფუზიური მოდელები, კულტუროლოგიური, სტრუქტურული და სოციალური ორგანიზაციის მიდგომები, შობადობის სარგებლიანობის კონცეფცია* და *ბავშთაცენტრიზმის ცნება*. აღნიშნული კონცეფციების მიხედვით, ახალი შეხედულებების, ტექნოლოგიების, კულტუროლოგიური და სოციალური ცვლილებების და მათ შორის, მიგრაციის შემთხვევაში, იცვლება ადამიანთა გარკვეული ჯგუფების **რეპროდუქციული ქცევა,** რომლის საფუძველს წარმოადგენს მშობლების გაზრდილი პასუხისმგებლობა ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი კვლევა, რომელიც ჩატარდა აშშ-ში, გამიზნულია წარმოაჩინოს ის ცვლილება ქართველ ემიგრანტთა რეპროდუქციულ ქცევაში, რაც მოტივირებულია ამერიკის კონსტიტუციის მე-14 შესწორებით - გარანტირებული მოქალაქეობის უფლებით დაბადების ადგილის მიხედვით. ზოგადი კანონზომიერებაა ის, რომ ემიგრაციაში, სადაც წყვილებს დიდი დრო ჭირდებათ დამკვიდრებისა და ადაპტაციისათვის, იმაზე ნაკლები ბავშვი ჩნდება, ვიდრე სამშობლოში. თუმც, მეტად მიმზიდველი ამერიკის მოქალაქეობა, დიდ სტიმულს აძლევს ქართველ იმიგრანტებს ჰყავდეთ იმაზე მეტი შვილი, ვიდრე საქართველოში გააჩენდნენ. აღნიშნული დემოგრაფიული მოვლენის უკეთ დემონსტრირებისათვის მოგვყავს შედარება ე.წ. „რეპროდუქციულ ტურისტებთან“ იაპონიიდან, რომლებიც კონკრეტული მიზნით შედიან და დროებით რჩებიან ამერიკაში, რათა უზრუნველყონ უკეთესი მომავალი მათი ახლადდაბადებული შვილებისათვის, რომლებიც უკვე ამერიკის მოქალაქის სტატუსით მიჰყავთ უკან სამშობლოში.

The scientific bases of our research are Birth and Fertility Theories, particularly *Diffusion of Innovation theory, John Caldwell's Wealth Flows theory* and *notion of Child Centrism*. According to these concepts new technologies, views, cultural and structural changes as well as migration, cause certain changes in human's reproductive behavior. These changes are due to grown responsibility of parents to their children's wellbeing and future. Our research that was conducted in the United States in the framework of Fulbright scholarship is aimed to demonstrate the certain change in Georgian immigrants' reproductive behavior. There is a common regularity that due to a difficult and long period of adaptation, the birt hrate

level is lower among immigrants in a host country that it happens in the home state. However, the advantage of the fourteenth Amendment to the US Constitution that guarantees birthright citizenship is the great stimulus for Georgian immigrants to afford more children than in their native country. In order to show the similarity with the same trends we make some parallels with "reproductive/birth tourists" – pregnant women from Japan who enter the US for the purpose of giving birth to return home with an American child of their own. The Japanese who support this phenomenon – *Hawaishussan*- view the USA citizenship as an ultimate "gift" that parents could provide to their children.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნეიძე ვ., პავლიაშვილი ნ., თუთბერიძე მ., ხომერიკი გ., ლომინაძე გ.	სამეგრელოს ტურისტული პოტენციალის პრობლემები	5-6 ნოემბერი, 2019, თსუ

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი კვინიკაძე, თამარ დოლბაია	საქართველოს სანაპირო ზონის ურბანული განვითარების პრობლემები	19.04.2019 დნეპრი, უკრაინა

Исследование направлено на экономико-географическое изучение проблем социально-экономического развития двух портовых городов Грузии - Батуми и Поти и их сравнительный анализ на этой основе. Изучена специфика развития территориальных и социально-экономических процессов и отношение местного населения к этим процессам..

Постановка проблемы. При развитии прибрежных зон создается впечатление, что города, расположены на берегу моря, развиваются лучше, чем те, которые не имеют подобного географического положения. Такие взгляды современными неоклассическими теориями (теория роста полюсов), сегодня не подтверждается. Однако, портовые города до сих пор рассматривается как важный элемент социально-экономического развития прибрежной зоны. В месте с тем, существует значительная разница между ростом городов и развитием портов, несмотря на то, что большинство портовых городов связано с портами. Традиционно под портовым городом подразумевают такой город, который построен вокруг порта для создания необходимой инфраструктуры для его функционирования. Однако, вовлечение прибрежной зоны в процесс глобализации часто заставляет "забывать" таким городам по свое главное назначение, а вектор их социально-экономического развития идет совсем другом направлении. Чтобы город приобрел статус портового города, порт должен стать главным актором городской организации, а не простой добавкой. Это очень сложный вопрос и требует эмпирических исследований оценки уровня и специфики территориального и социально-экономического развития портовых городов. С другой стороны, необходимо изучение отношение населения портовых городов текущих социально-экономических процессов.

Методология. Представленная работа основана на научных исследованиях, проводимых В Поти в 2016 году (июнь-июль) и В Батуми в 2017 году (июль-август). Исследование основано 1.На научной литературе по портовым городам; 2. На публичной информации муниципалитетов; 3. На завершенных исследовательских проектах в указанных городах и 4.На исследований проводимыми авторами. В случае

	количественного исследования, в обоих городах был использован дизайн стратифицированной кластерной выборки. Размер выборки в случае Поти составил PN = 300 и BN = 325 в Батуми. В рамках исследования было проведено семь углубленное интервью для чего было выбрана соответствующая фокус-группа. Основные результаты. Приблизительно равное количество людей в обоих городах (35,3 км и 34,8%, Батуми) считают, что Грузия в основном на правильном пути. Более половины населения Поти (55,7%) считают, что страна развивается не в ту сторону. Аналогичный показатель в Батуми составляет всего 38,2%. Выявлена интересная тенденция зависимости населения Батуми в отношении центрального правительства. В частности, 20 жителей Поти и 13,2% жителей Батуми считают, что центральное правительство не заботится обо всем городе. В обоих городах доля населения очень мала, которая считает, что центральное правительство внесло свой вклад в развитие своих городов. Эти показатели в Поти и Батуми составляют соответственно 1,7 и 2,2%. Низок показатель населения, которая считает, что местное самоуправление вносит большой вклад в развитие их города. Эта цифра составляет 2,5 в Поти и только 1,7% в Батуми. Дискуссия и выводы**.** Помимо сдерживающих природных факторов, большую роль играет антропогенные факторы. Ресурс развития Батуми намного больше, чем у Поти, которого обеспечивает Батумский многофункциональный профиль.Порты уже менее вовлечены в проекты социально-экономического развития городов.Местные муниципалитеты не могут расширить свое участие в текущих проектах из-за своих ограниченных финансовых ресурсов. Выявлено негативное отношение к роли местного самоуправления в социально-экономическом развитии городов. Лишь небольшая часть населения считает, что городское самоуправление вносит большой вклад является в развитии городов. **Ключевые слова**: Батуми, Поти, самоуправление, городская территория, экономический субъект		
2	თამარ დოლბაია	The optimization of University Structures: The Student Oriented Approaches	
	The scientific studies about the Higher Educational Institutions underline the need of the new approaches in order to answer the demands of market, political structure, students and their families and societal needs in general (Cohen, 1993, Häyrinen-Alestalo and Peltola, 2006, Kember, 2009, Watson & Watson, 2014). Yulia Stukalina in her article admits that "[..] education managers should take every advantage of traditional management practices, as new approaches to education and management to ensure a continuous quality enhancement of the educational environment" (2010:345). While doing so, managers of the educational system should analyze the internal capacities as well as the external demands. Among the internal capacities she underlines the importance of attitudes of students as the main 'consumers' of educational services. Tbilisi State University (TSU), the first-ever national university in the Caucasus and the highest-ranking Georgian university, has over 20 000 students. The last evaluation of the TSU represented the need for the optimization of the administrative structure of the institution. The study is based on the research conducted at Tbilisi State University, where 210 students were surveyed randomly. The results of the study demonstrated that the students are dissatisfied with the students' services. The problems underlined by the students could be categorized as follows: a) infrastructural problems; b) bureaucratic problems; c) personal attitudes of service providers; d) e-services. Within the presentation I will highlight the ways of changing the management system of the university in a way to take into the consideration the attitudes of students in order to create student-oriented learning environment.		

№	მომხსენებელი/	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების

	მომხსენებლები		დროდაადგილი
1	Iashvili Ia	Sustainable Tourism for Contribution to Economic Growth and Social Inclusion of Rural Communities in Post-Soviet Georgia	September 26-27, 2019 15th International Conference of ASECU University of National and World Economy Bulgaria, Sofia.

სხვა აქტივობები

რევაზ გაჩეჩილაძე

საანგარიშო პერიოდში დამყარდა საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი სლოვაკეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან და სლოვაკეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან - ქ. ბრატისლავის კომენსკის სახ. უნივერსიტეტთან და ქ. ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტთან, სადაც წავიკითხე ლექციები საქართველოს გეოპოლიტიკის საკითხებზე.

ნინო პავლიაშვილი

2016 წლიდან დღემდე – თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
2016 წლიდან დღემდე – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მარი წერეთელი - ასოცირებული პროფესორი
მანანა შამილიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნათია კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი
თამაზ ჯოლოგუა - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი
რევაზ ჭიჭინაძე - ასოცირებული პროფესორი
მარინე ლომიძე - ასისტენტ-პროფესორი
მაგდა მემანიშვილი - ასისტენტ-პროფესორი
თეა მჟავანაძე - ასისტენტ-პროფესორი
თამარ ბელქანია - ასისტენტ-პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, მათ შორის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მრავალწლიანი პროექტი - **ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია** (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები). პროექტის თავდაპირველი ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა	2007-2020	**მარი წერეთელი - მიწვეული მკვლევარი, ძირითადი პერსონალი** 2. ლეილა სულხანიშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი. 3. მანანა ბარათაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი.

	დოქტორი გიორგი (აგი) აბაშიძე.		მკვლევარი, ძირითადი პერსონალი. 3. ნინო მამარდაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. პროექტის ხელმღვანელი. 4. მანანა ყიფიანი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი. 5. ნანა ზღულაძე - ი.ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედია - პროექტი მოიცავს პერიოდს - 2007 წლიდან 2020 წლამდე. მწერლის პერსონალური ენციკლოპედია ქართულ ენაზე პირველად მზადდება. 2010 წელს გამომცემლობა ,,უნივერსალმა~ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907)–,,სიტყვანი“. დასახელებული პროექტის ფარგლებში 2019 წელს ილია ჭავაჭავაძის კვლევის ცენტრი აგრძელებდა მეორე წიგნზე მუშაობას. მისი სახელწოდებაა - ,,მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის", რომელშიც აისახება შემდგომი კვლევის შედეგები. წიგნს დაემატა მნიშვნელოვანი მასალა, შედეგად, გაფართოებული, შევსებული სახით წარმოდგა ე.წ.,,პერსონალიები~, რომელშიც თავს იყრის პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია. ასევე, ინტერნეტრსივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილ იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. ეს ყოველივე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. კვლევა-ძიების არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.
პროექტის მოცემულ ეტაპზე პარალელურად ვმუშაობდით ტექსტის რედაქტირებასა და სრულყოფაზე, მასალის შევსებასა და ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებასა და დიდძალ წყაროებთან შეჯერებაზე. ასევე დამუშავდა მე-19 საუკუნის პრესა, ანუ მონაცემები იმ ქართულ და უცხოურ პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც ექცევა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღაწეობის პერიოდის არეალში. ასევე , უშუალოდ პირველწყაროებიდან ზუსტდება წიგნში შესული, იმ პერიოდში გამოქვეყნებული ცალკეული მწერლის, პუბლიცისტისა თუ მთარგმნელის ცალკეული ნაწარმოების დაბეჭდვის ზუსტი თარიღები და ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ წიგნი მზად იქნება გამოსაცემად. იგი დაიბეჭდება გამომცემლობა ,,უნივერსალში“.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მიზნობრივი პროექტი: „პოპულარული კულტურის ინტეგრაცია - დიფერენციაციის ქართული პარადიგმები სატელევიზიო და ონლაინმედიაში“ მასობრივი კომუნიკაცია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება	15 მარტი - 15 ნოემბერი, 2019 (ბრძანება N 3/30 ,14/01/2019)	1. **მანანა შამილიშვილი -** პროექტის ხელმძღვანელი 2. მარი წერეთელი - ასოც. პროფესორი, ძირითადი პერსონალი 3. ნათია ბრეგვაძე - დოქტორანტი, ძირითადი პერსონალი, 4. ბადრი კობიაშვილი - მაგისტრანტი, ძირითადი პერსონალი, 5. თამაზ ერისთავი - მაგისტრატურის სტუდენტი, ძირითადი პერსონალი, 6. რომან დევიძე - მაგისტრატურის სტუდენტი, ძირითადი პერსონალი, 7. ნინო წვერავა - ბაკალავრიატის მეექვსე სემესტრის სტუდენტი, ძირითადი პერსონალი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავდა თანამედროვე პოპულარული კულტურის ძირითად ტენდენციათა წარმოჩენასა და მათი მედიაში ასახვის თავისებურებათა გამოვლენას, რაც ქართულ ტელე და ონლაინმედიაკონტენტზე დაკვირვებით განვახორციელეთ. მედიით ტრანსლირებული არაპუბლიცისტური შემადგენლის მეცნიერული შეფასება შევძლით პოლიტიკური, კულტურული, სოციალური კონტექსტების გათვალისწინებით, თანადროული ეპოქის სპეციფიკის, დომინანტი კულტურულ-ესთეტიკური მიმდინარეობებისა და მედიადისკურსის თავისებურებათა გამოკვეთით, მდიდარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული კულტურის შესწავლას თანამედროვე ეტაპზე არა ერთი საგულისხმო ნაშრომი მიეძღვნა, ისინი მაინც ფრაგმენტულად ასახავენ საძიებო თემატიკას, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო კი საკითხს კომპლექსურად და სიღრმისეულად წარმოაჩენს. ამ კუთხით საკითხი დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი, რაც პროექტის მეცნიერული სიახლეა.

შემუშავებული რელევანტური მეთოდოლოგიის საფუძველზე პრობლემის შესწავლამ საშუალება მოგვცა შეგვსრულებინა კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მდიდარ სატელევიზიო და ინტერნეტმედიის მასალაზე დაყრდნობით, შევძელით ინტერდისციპლინურ ჭრილში, კომპლექსურად გვეკვლია 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე ტრანსლირებული ქართული გასართობი გადაცემების შინაარსი. კვლევამ ხელი შეუწყო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ერთ–ერთი

ყველაზე საინტერესო და აქტუალური თემატიკის სხვადასხვა ასპექტის რეპრეზენტაციასა და მათ თანამედროვე რეცეფციას.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ასევე სპეციალური სასწავლო კურსების სილაბუსები საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებისთვის. მიზნობრივი პროექტის შესარჩევი კონკურსის პირობის თანახმად, კვლევის ძირითადი შედეგებმა თავი მოიყარა სამეცნიერო სტატიაში, რომელიც საერთაშორისო სტატუსის რეფერირებულ გამოცემაში გამოსაქვეყნებლად მომზადდა.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	პროექტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია: სახელწოდება: „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა. ნამდვილი ისტორია“. მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებები. ნომერი: SPG-19-363	2019-2020	**პროექტს ახორციელებს ორი ორგანიზაცია: კომპარატივისტული ლიტარეტურული ქართული ასოციაცია და კსუ მულტიმედია ცენტრი.** შემადგენლობა, ძირითადი პერსონალი: • ირმა რატიანი - ხელმძღვანელი; • ლილი მეტრეველი - კოორდინატორი; • ნინო ჭალაგანიძე - პროდიუსერი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა სამეცნიერო-შემეცნებითი **ფილმის შექმნაზე,** რომელშიც ქართული მეცნიერების წამყვანი სპეციალისტები აუდიტორიას მოუთხრობენ მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ნამდვილ ისტორიას უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ქართველ მწერალთა ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალებს, რაც, ბუნებრივია, ფართო საზოგადოებას ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობას მისცემს.კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე წარმოადეგნენ ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი საუკუნის მეცნიერულ შეფასებას. ფილმის კონცეპცია მოიზარებს ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი/საკვანძო პერიოდების განხილვას/თხრობას მათ შორისაა:

- ქართული მოდერნიზმის თავგადასავალი (ცისფერყანწელები, ავანგარდი თბილისში, გალაკტიონი და სიმბოლიზმი),
- ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა,
- „სამამულო ომიდან“ ე.წ. „დათბობის პერიოდამდე“ („ოტტეპელი“) (ქართული ნეორეალისტური მწერლობა),

❖ სტაგნაციის ხანა და საბჭოთა რეჟიმი, ❖ პოსტსაბჭოთა ეპოქა, ❖ პოსტმოდერნიზმი.

2.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956)“ ჰუმანიტარული მეცნიერებები ქართველოლოგია ქართული ლიტერატურა FR/217/512/16	2016 – 2019 წ.წ.	მაკა ელბაქიძე - პროექტის ხელმძღვანელი ადა ნემსაძე - კოორდინატორი მანანა კვატაია - ძირთადი პერსონალი **მანანა შამილიშვილი** - ძირთადი პერსონალი ზოია ცხადაია - ძირთადი პერსონალი ნონა კუპრეიშვილი - ძირთადი პერსონალი მარიამ გიორგაშვილი - ძირთადი პერსონალი მაკა ჯოხაძე - დამხმარე პერსონალი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956)“ წარმოადგენს გაგრძელებას 2013 - 2016 წლებში ამავე სამკვლევრო ჯგუფის მიერ შესრულებული პროექტისა: “ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921 - 1941)”. ამ პროექტით გათვალისწინებულმა სამუშაოებმა მოიცვა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე პერიოდი. პროექტი ხორციელდებოდა ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე მოძიებული იქნა შსს არქივში დაცული მასალა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოური ტერორის მასშტაბებსა და სპეციფიკას ასახავს. საარქივო მასალაზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა არაერთი საინტერესო, აქამდე უცნობი ფაქტი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერლების, პუბლიცისტებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებიდან; ახალი ცოდნით შეივსო აღნიშნული პერიოდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ამ პერიოდში დაგროვილი მასალის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, მოძიებული დოკუმენტების ნაწილი განთავსდა სპეციალურად პროექტისთვის შექმნილ ელექტრონულ ბლოგზე (მის.:bolshevizmi.blogspot.com). პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები (16.05.2018; 17.05.2019). პროექტი დასრულდა 2019 წლის დეკემბერში. სამი წლის მანძილზე მოპოვებულმა ძალზე საინტერესო მასალამ თავი მოიყარა წიგნში, რომელიც დასაბეჭდადაა გადაცემული. აღნიშნული გამოცემისთვის ჩემ მიერ მომზადებულია რამდენიმე სტატია ანტისაბჭოთა პატრიოტული გაერთიანების „სამანისა“ და მისი წევრების შესახებ; პორტრეტები რეპრესირებული მეცნიერების - მოსე გოგიბერიძისა და ალექსანდრე კალანდაძის შესახებ; აგრეთვე წინათქმა ნაკვეთისთვის „ადამიანური ისტორიები“.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ჟურნალიზმი ევროპულ საზოგადოებებში - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვისა და განათლების სამინისტროების მხარდაჭერით, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის (Freie Universität Berlin), უკრაინის ჩერნოვცის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, ექსპერტებისა და პრაქტიკოსი ჟურნალისტების სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	2019 (ივნისი) -2020 (იანვარი)	პროექტში ჩართული მხარეების რაოდენობიდან გამომდინარე, პერსონალიის რიცხვიც დიდია. აღვნიშნავ მთავარ პირებსა და თსუ-დან წარმომადგენლობას: • ალექსანდერ გორკე, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, მედიის ფაკულტეტის დეკანი, პროექტის ხელმძღვანელი; • სვიტლანა ჰალუნსკა, დოქტორ გორკეს ასისტენტი, პროექტის კოორდინატორი; • მეჩტილდ პეტრატისი, პროექტის ფინანსური მენეჯერი; • ნინო ჭალაგანიძე, პროექტის მონაწილე, მკვლევარი; • მანანა შამილიშვილი, პროექტის მონაწილე, მკვლევარი; • ხათუნა მაისაშვილი, პროექტის მონაწილე, მკვლევარი; • მარინა სალუქვაძე, პროექტის მონაწილე, ექსპერტი. და სხვ.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩვენი ქვეყანა ათწლეულებია შიდა თუ გარე კონფლიქტებშია ჩართული. არსებული რეგიონული თუ გლობალური გეოპოლიტიკური ვითარების სირთულიდან გამომდინარე, თემატიკის აქტუალობა ერთიორად იზრდება. ამდენად, ერთი მხრივ, კონფლიქტების არსის, და მეორე მხრივ, კონფლიქტის გაშუქების შინაარსობრივი სტრუქტურისა და ძირითადი კანონზომიერების ცოდნა მომავალი ჟურნალისტებისთვის არა მხოლოდ სავალდებულო, სასიცოცხლოდ აუცილებელია. თემის უდავო აქტუალურობის მიუხედავად, ამ ტიპის ერთი სრული სახელმძღვანელო დღემდე არ არსებობდა. საკითხის შესწავლა კი, განახლებული წყაროებითა და ადგილობრივი მაგალითებით შევსებულ-გამდიდრებული საკითხავი მასალის გარეშე, შეუძლებელია. პროექტის ფარგლებში მომზადებული საკითხავი მასალა ჩვენს

რეალობაზეა ადაპტირებული და კონფლიქტების წარმოშობის, განვითარებისა და მათი მედიაში გაშუქების პრინციპებს, თანამედროვე თეორიების კრიტიკული აღქმით წარმოაჩენს. ყოველივე ეს დაეხმარება სტუდენტებს სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებაში; სპეციფიკური ტერმინოლოგიის გააზრებაში; დარგობრივ საკითხზე დისკუსიის წარმართვასა და განსჯა-შეფასების გზით აზროვნების გააქტიურებაში. უმნიშვნელოვანესია, კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების შედეგების ანალიზიც. სახელმძღვანელოში წინა პლანზე გამოდის ე.წ. მგრძნობიარე თემატიკა: ადამიანის უფლებები, ეთნო და რელიგიური დაპირისპირება, სოციალური საკითხები.

„კონფლიქტის კომუნიკაცია: ისტორია, სტატუს-ქვო, პერსპექტივები (უკრაინის, საქართველოსა და გერმანიის მედიაგამოცდილება)" – მალე ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების სპეციალობის სტუდენტებისთვის ახალი დამხმარე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო გამოიცემა. წიგნზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვისა და განათლების სამინისტროების მხარდაჭერით, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის, უკრაინის ჩერნოვცის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ექსპერტები და პრაქტიკოსი ჟურნალისტები მუშაობდნენ. სახელმძღვანელო კონფლიქტის გაშუქების სტანდარტების შესახებ 20-მდე სტატიას აერთიანებს. სამუშაოები პროექტის - „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში" - ფარგლებში ხორციელდება.

წიგნის ელექტრონული ვერსია 2020 წლის დასაწყისში აიტვირთება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ვებგვერდზე: wechange.de.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ განხორციელებული მედიაგანათლების პროგრამა- „საქართველოში ჟურნალისტური განათლების სპეციალისტთა პროფესიული განვითარების პროგრამა" - აშშ-ს უნივერსიტეტების- **DePaul University**-სა და **Loyola University** -ს მხარდაჭერით ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაცია	2019 წლის აგვისტო - 2021წლის დეკემბერი	პროექტში მონაწილეობენ საქართველოს წამყვანი მედიასკოლების წარმომადგენლები. თსუ-ს მხრიდან პროექტში ჩართულნი არიან: ნინო ჭალაგანიძე - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი; ნათია კუპრაშვილი - საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი; **მანანა შამილიშვილი** - საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი; მარინა სალუქვაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ჟურნალისტიკის დარგის სპეციალისტთა პროფესიულ დაოსტატებას, პროფესიონალთა შორის თანამშრომლობასა და აზრთა გაცვლას როგორც საერთაშორისო, ისე			

ლოკალურ დონეზე. აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ქართველი სპეციალისტები 2019 წლის 5 – 16 აგვისტოს ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩიკაგოში, „დე პოლისა“ და „ლოიოლას“ უნივერსიტეტებში. ამერიკულ უნივერსიტეტებთან ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა დღეს ახალ ეტაპზე გადავიდა. ამ მიზნით თბილისს საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ აღნიშნული ამერიკული უნივერსიტეტების წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით თსუ-ს მედიასკოლასთან ერთად დაიგეგმა სამომავლო ამოცანები, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო პროექტების განხორციელებას, რომელთა შედეგები წარმატებით ინტეგრირდება ჩვენს სასწავლო კურიკულუმებში. ჩვენი პროგრამა რამდენიმე უნივერსიტეტის მედიასკოლას აერთიანებს. შესაბამისად, ვგეგმავთ ასევე განვახორციელოთ „მედიაგანათლების სპეციალისტთა ასოციაციის“ იდეა, რაც ყველა მსურველ საგანმანათლებლო ცენტრს მოუყრის თავს.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	სოციალური მეცნიერებები მასობრივი კომუნიკაცია სოფლის მეურნეების საკითხების გაშუქების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში #1.4.1 /ALCP KK-1 შვეიცარიის განვითრებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით , საერთაორისო ორგანიზაცია Mercy Corps	2017 მიმდინარე	ნათია კუპრაშვილი - პრექტის ხელმძღვანელი ნუნე სარქისიანი - პროექტის კოორდინატორი სომხეთი ნინო ჭალაგანიძე - ექსპერტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აგროჟურნალისტიკა იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტადაა მიჩნეული, აგროკომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. დისციპლინა ისწავლება, როგორც პროფესიულ სასწავლებლებში (აგრო და მედიასფერო) , ისე უნივერისტეტებში, იმისთვის რომ მიიღონ პროფესიონალი მედიამუშაკები, რომლებიც შეძლებენ სოფლის მეურნეების საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას, მოსახლეობის განათლებას, ორგანიზების ხელშეწყობას, უკუკავშირის მიღებას და ასახვას დარგის განვითარებაზე.

სასწავლო კურიკულუმებში ამ დარგობლივი ჟურნალისტიკის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი - საჭირო ჟურნალისტიკაა, რაც გულისხმობს მიზნობრივი აუდიტორიისთვის, აუდიტორიასთან ერთად იმგვარი მედიაკონტენტის წარმოებას, რომელიც საჭიროა დარგის შემდგომი განვითარებისთვის და რომელიც ცალკეულ გლეხს-ფერმერს შრომისკენ და მეტი ეფექტის მიღებისკენ წაახალისებს, მოტივირებულს გახდის.

შესაბამისად აგროჟურნალისტიკის მიზნებს, ისევე როგორც ზოგადად დარგობლივი ჟურნალისტიკის (კულტურის გაშუქება, სპორტული ჟურნალისტიკა, ბიზნესრეპორტინგი და სხვა) მიზნებს, სრულად

შეესატყვისება კონსტრუქციული ჟურნალისტიკის თეორია, რომელიც ცხრილის[1] სახით ასეა წარმოდგენილი:

	ოპერატიული	საგამოძიებო	კონსტრუქციული
დრო	ახლა	გუშინ	ხვალ
მიზანი	ოპერატიულობა	დამნაშავის გამოვლენა	შთაგონება
კითხვა	რა? სად?	ვინ? რატომ?	ახლა რა? როგორ?
სტილი	დრამატული	კრიტიკული	დამაინტერესებელი, მოტივატორ
როლი	პოლიციელი	მოსამართლე	ფასილიტატორი, შაუმავალი
ფოკუსი	დრამა, კონფლიქტი	მსხვერპლი	პრობლემის გადაწყვეტა, საუკეთ პრაქტიკა

შესაბამისად აგრო-ჟურნალისტიკის უმთავრეს ფუნქციებად გამისაზღვრება:

- **განათლება**, რომლისთვისაც ინფორმირება (პოტენიცური აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება) საშუალებაა, მიზნის განხორციელების გზაა.
- **მოტივირება და ორგანიზება** - სოფლის მეურნეობაში პოტენციურად ან რეალურად დასაქმებული პირების, პირთა ჯგუფების მოტივირება საქმიანობის გაუმჯობესებაზე/ეფექტურობაზე, რაც მედიას არა უბრალო დამკვირვებლად არამედ პროცესის მონაწილედ ხდის.
- **კომუნიკაცია და ადვოკატირება** - როცა მედიასაშუალება ასრულებს პროფესიული ჯგუფების, სამთავრობო პროგრამებისა და მათი ბენეფიციარების, და თავად ფერმერებს შორის დამაკავშირებლის ფუნქციას.
- **განვითარება -** როცა მედია პრობლემების სიღრმისეული გაშუქებითა და გადაწყვეტილების გზების ჩვენებით ეხმარება საზოგადოებას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ხოლო ქვეყნებს ეკონომიკურ წინსვლაში.

საყურადღებოა, რომ UNESCO ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამებში ბოლო რეკომენდაციებით სწორედ იმგვარი დარგობლივი ჟურნალისტური მოდულების დანერგვას გვკარნახობს, რაც მდგრად განვითარებაზეა ორიენტირებული.

პროექტის მიზანია გააძლიეროს სოფლის მეურნეების საკითხების გაშუქების პროგრამები სამხრეთ კავკასიაში.

4. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	**დიმიტი ყიფიანი**	თხზულებანი 10 ტომად. ტ. IV. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ.**	თბილისი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	576

[1] https://constructiveinstitute.org/Constructive-journalism/About-Constructive-Journalism - ბოლო ნახვა 3.03.2018

		978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი) 978-9941-9653-0-2 (IV ტომი)			
		ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. შეადგინა, წინათქმა („შემდგენლისაგან“) და ბიბლიოგრაფია დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ**. 978-9941-478-93-2	თბილისი გამომცემლობა „არტანუჯი“	167	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა აკადემიური ათტომეულის მე-4 ტომში შესულია ავტორის ნაწერები ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემების შესახებ, რეცენზიები და წიგნი „ახალი ქართული გრამმატიკა“. ნაწილი ტომში შესული დიმ. ყიფიანის ტექსტებისა ხელნაწერთა საფუძველზე ქვეყნდება პირველად. წიგნს ახლავს სამეცნიერო აპარატი: შენიშვნები, კომენტარები, პირთა ანოტირებული და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. ტომში შესული მასალა გამოადგებათ მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების, საზოგადოებრივი აზრის, სამართლის, პედაგოგიკის, ლიტერატურის, გრამატიკული აზროვნების ისტორიის მკვლევრებს. მომავალ ტომებში შევა ავტობიოგრაფიული ნაწერები (მათ შორის, დღიურები და მემუარები - ტ. 5), სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი და უთარიღო თხზულებები (ტ. 6), ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა (ტ. 7-10). ყველა ტომი აღჭურვილი იქნება სამეცნიერო აპარატით. დამატებით (მე-11) ტომში შევა ათტომეულთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული მასალა (ქრონოლოგიური და ანბანური პრინციპით დალაგებული სათაურები, საძიებლები და სხვ.).

2. წიგნში შეტანილია „ამბები“, რომლებშიც ასახულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასთან, უაღრესად ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობასა და ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში დახურვასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები. „ამბები“ ამოკრებილი და ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულია ქართველ მწერალთა, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. მანსვეტაშვილი, გ. ლასხიშვილი, ი. მეუნარგია და სხვ.) მემუარული თუ სხვა ტიპის ტექსტებიდან, მე-19 ს. მეორე ნახევრისა და მე-20 ს. პირველი მეოთხედის პრესიდან, მკვლევართა (ი. ბოცვაძე, ს. ხუციშვილი, ტ. ხუნდაძე, ლ. გოდერიძე და სხვ.) ნაშრომებიდან, საარქივო ფონდებიდან. წიგნს ახლავს ბიბლიოგრაფიული ნაწილი: ბიბლიოგრაფია იმ გამოცემებისა და პუბლიკაციებისა, რომლებიდანაც „ამბებია“ ამოღებული; აგრეთვე, ბიოგრაფიული ცნობები წიგნში შესული ტექსტების ავტორთა შესახებ.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნათია კუპრაშვილი	**მეტი, ვიდრე რელიგია - რუსული პროპაგანდის ანარეკლები**	JRC თბილისი 2019	30

		ქართული მედიის მიერ უკრაინის ავტოკეფალიის გაშუქების მაგალითი		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანია რუსული პროპაგანდის მესიჯებთან, საშუალებებთან და მეთოდებთან მიმართებით, უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნებით შექმნილი სიტუაციის გაშუქების შესწავლა და გაანალიზება.

კვლევა ჩატარდა პროექტის ფარგლებში, რომელიც Internews Ukraine -ს ინიციტივითა და ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა და ეყრდნობოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრი ორგანიზაციების - Internews Ukraine, სომხეთის Media Diversity Institute -ის საქართველოს - Journalism Resource Center-სა და მოლდოვის Independent Journalism Center-ის თანამშრომლობას.

უკრაინაში დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნება იწვევს ფუნდამენტურ ცვლილებას რუსეთის გავლენასა და რბილი ძალის (soft power) სტრუქტურაში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ვინაიდან ეს ცვლის მოსკოვის როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წამყვანი საეკლესიო ცენტრის სტატუსს, რომელიც თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა დაახლოებით 300 წელზე მეტი დროის განმავლობაში. ეს ფუნდამენტური ცვლილება გავლენას ახდენს ყველა სამიზნე ქვეყანაზე - **სომხეთზე, ბელარუსზე, საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე** - და მნიშვნელოვანს ხდის იმას, რომ გავაცნობიეროთ რუსეთის პროპაგანდასთან მიმართებით შექმნილ ბოლოდროინდელ სიტუაციას, ჰიბრიდული საფრთხეებისადმი გამძლეობის შენარჩუნების მიზნით. ბოლო მოვლენები საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ რუსული პროპაგანდის შეგუებადობა და შესაბამისი საკითხის მედია მონიტორინგის მეშვეობით უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე რეაგირება სამიზნე ქვეყნების მედიაში.

კვლევისთვის გამოყენებულია კონტენტ ანალიზის **რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგია**. რაოდენობრივი მედია მონიტორინგი განსაზღვრავს რიცხობრივ საზომებსა თუ ინდიკატორებს, რომელთა დათვლა და ანალიზია შესაძლებელი. თვისებრივი მედია მონიტორინგი გამოიყენება მედიის ფუნქციონირების შესაფასებლად იმ საზომებთან მიმართებით, როგორცაა ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივი განსაზღვრა ადვილად ვერ მოხდება.

კვლევისთვის შერჩეულ იქნა **2 სატელევიზიო არხი და 2 ონლაინ მედია**, რომლებიც ყველაზე გავლენიანია საერთაშორისო ახალი ამბებისა და პოლიტიკის გაშუქების თვალსაზრისით.

საქართველოში შერჩევის საფუძვლად გამოყენებულ იქნა სატელევიზიო აუდიტორიის მზომველი კომპანიების TVMR -ს და TMI-ს მონაცემები და დაკვირვებისთვის ორი მაუწყებელი შეარჩია : 1. „რუსთავი 2“, რომელიც დაკვირვების პერიოდში ეკოთვნოდა საქართველოში გავლენიან ოპოზიციურ ძალასთან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ აფილირებულ პირებს და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით, ატარებდა ხელისუფლებისადმი მკვეთრად ოპოზიციურ სარედაქციო პოლიტიკას, ასევე დეკლარირებული ჰქონდა პროდასავლური პოზიცია. 2. ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად, ატარებდა საქართველოს ხელისუფლებისადმი ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას და კრიტიკულად იყო განწყობილი ოპოზიციური მოძრაობა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის მიმართ“.

ონლაინ მედიათა შერჩევის საფუძვლად გამოყენებულ იქნება TOP.ge -ს მონაცემები, ასევე UNDP -ს მედიამონიტორინგის პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევები და შერჩეულ იქნა 2 მედიასაშუალება: 1. Netgazeti.ge (მოკლედ მონაცემები) და 2. Ipress.ge (მოკლედ მონაცემები

საანალიზო მასალები შეირჩა\ შემდეგ საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით:

- томос; - ტომოსი
- автокефалия; ავტოკეფალია
- раскол церкви; - ეკლესიის გაყოფა
- Варфоломей; - ბართლომე
- Филарет; - ფილატერი

- Онуфрий; - ონოფრე
- Епифаний; - ეპიფანი
- украинская православная церковь; -უკრიანის მართლმადიდებლური ეკლესია
- киевский патриархат; - კიევის საპატრიარქო
- московский патриархат; - მოსკოვის საპატრიარქო
- მსოფლიო პატრიაქტი
- კონსტანტინეპოლის პატრიარქი

საკვლევი პერიოდად განისაზღვრა **2018 წლის 1 სექტემბრიდან -30 ნოემბერამდე დრო.**

კონტენტის ანალიზის გამოყენებით გაიზომა **შერჩეული საკითხისადმი** — დამოუკიდებელი უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის დაფუძნებისადმი **მიძღვნილი დროისა და სივრცის მთლიანი ოდენობა**.

შერჩეული ემპირიული მასალის გაანალიზების შემდეგ, შეფასდა გაშუქების ტონი, **რომლითაც შესაბამისი თემებია წარმოდგენილი – პოზიტიური, ნეიტრალური ან ნეგატიური.**

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი	„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“	თსუ-ს გამომცემლობა (გადაცემულია დასაბეჭდად)	513 გვერდი

ანოტაცია

ელექტრონული სახელმძღვანელო: „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ განკუთვნილია საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის. მისი მიზანია, სტუდენტი აზიაროს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს, განსაზღვროს ამ დისციპლინის მიზანდასახულობა, ფუნქციები და პრინციპები; მისი ადგილი მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში; წარმოაჩინოს თავად მასობრივი კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, მისი განვითარების თავისებურებები და პერსპექტივა; განიხილოს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სხვა არხების ურთიერთმიმართების ცალკეული ასპექტები და მათი ფუნქციონირების მედიური გამოვლინების სპეციფიკა.

თემათა იერარქია, რომელიც სახელმძღვანელოს სტრუქტურით იკვეთება, დაეფუძნება კომუნიკაციის განვითარების ეტაპებს, გამდიდრებულს კონტექსტუალური ცოდნით, რაც გულისხმობს ცალკეული ეპოქის ჭრილში დანახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციოკულტურულ პრობლემებსა და მათ კონტექსტში აღქმულ მედიაგარემოს - კონკრეტული პერიოდისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური სიახლეებითა და ცვლილებებით. ამასთან, ცალკეული სალექციო თემა განხილულია ქართული და საერთაშორისო მედიის გამოცდილებიდან მოხმობილი ფაქტობრივი მაგალითების (შემთხვევების) ანალიზის საფუძველზე. სახელმძღვანელოში დანართის სახით წარმოდგენილია ასევე მედიატექსტები ცნობილი ქართველი და საზღვარგარეთელი ავტორების შემოქმედებიდან.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მაია ტორაძე ხათუნა მაისაშვილი**	მედიისა კომუნიკაციის კვლევის მეთოდები (გამოცემის პროცესშია)	თსუ-ის გამომცემლობა, 2018 (გამოცემის პროცესშია)	(გამოცემის პროცესშია)

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლებლების იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეისწავლიან მედიასა და კომუნიკაციათმცოდნეობას. ცნება „მედიაში“ ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არამედ იმ მედიუმების ერთობლიობასაც, რომლებიც თავიანთი ბუნებით „პოსტმასობრივი“ მედიის პროდუქტები არიან. კომუნიკაციათმცოდნეობას კი განვიხილავთ როგორც მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გადაცემის პროცესს, რომლის ძირითად კომპონენტად შეგნებულად გამოვყოფთ შეტყობინებას და მასში ჩადებულ მნიშვნელობებს.

სწავლების რომელის საფეხურისთვის არის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო?

უპირველეს სამიზნე აუდიტორიად დავსახეთ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, და სახელმძღვანელოს შინაარსიც თავისი კომპლექსურობით - როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური ნაწილი - სწორედ ერთიან სამაგისტრო სასწავლო კურსს მივუსადაგეთ. თუმცა რამდენიმე ჩვენი კოლეგისგან, რომლებიც სახელმძღვანელოს შინაარსის განვითარებას თვალს ადევნებდნენ, მოვისმინეთ რჩევები, რომ ამ წიგნში შესული ზოგიერთი ნაწილი გამოსადეგი იქნებოდასწავლების საბაკალავრო საფეხურისთვისაც - შესაბამისი მომიჯნავე სასწავლო კურსების ფარგლებში.

იმ გარემოების გათვალისწინებით კი, რომ მედია და კომუნიკაციათმცოდნეობა თანამედროვე გაგებით ინტერდისციპლინური დარგებია, სახელმძღვანელო კარგი შენაძენი იქნება იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც ეუფლებიან პოლიტიკის მეცნიერებას, სოციოლოგიას, ენათმეცნიერების სოციალურ და კულტურულ ასპექტებს და სხვ.

რა არის ახალი ამ წიგნში?

უპირველესად - მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდის რეკონცეპტუალიზაცია; ავტორები კვლევის მეთოდს განვიხილავთ როგორც მსოფლმხედველობრივი მიდგომისა და საკვლევი ოპერაციების/პროცედურების ერთობლიობას. სახელმძღვანელოში გაერთიანებულია მედიისა და კომუნიკაციის შესახებ სწავლებების კონცეპტუალური, ოპერაციული და გამოყენებითი ასპექტები, ანუ ერთ სასწავლო კურსში ეფექტურად გამოიცდება მთელი ის პროფესიული ცოდნა, რომელიც სტუდენტმა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას დააგროვა.

ამ სახელმძღვანელოში ჩვენ შემოგთავაზებთ შემდეგი მიდგომების განხილვას: სემიოლოგიური ანალიზი, რიტორიკული ანალიზი, იდეოლოგიური ანალიზი თავიანთი განშტოებებით და ნიშანდობლივებით; ანუ იმ თეორიულ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია მედიისა და კომუნიკაციის პროდუქტების კრიტიკული განხილვა.
საკვლევ ოპერაციულ ტექნიკებს შორის ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ კონტენტანალიზს და მის ნაირსახეობებს, ინტერვიუსა დამის ქვესახეობებს, ასევე კონკრეტული შემთხვევის ანალიზს, ე.წ. case study. ამ საკვლევი სისტემატიზებული პროცედურების არჩევანი უპირველესად განაპირობა მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის ტექსტების ანალიზის პრიორიტეტმა, რაც წარმოადგენს კიდეც ამ სახელმძღვანელოს სპეციფიკას.
ცალკე თავის ეთმობა კვლევის ძირითად ელემენტებს.

კონცეპტუალურად სახელმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად: ა) თეორიულ ნაწილად და ბ) მეთოდურ ნაწილად; ეს უკანასკნელი მოიცავს: დავალებებს, ტექნიკურ ინსტრუქციებს დავალებების შესასრულებლად, ავტორების მიერ შედგენილ

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მაია ტორაძე** **მარიამ გერსამია**	"Media Psychology: challenges of competence - based curricula and employment ISBN - 9789386878-25-0; p.1; ("მედიაფსიქოლოგია: კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი და დასაქმება")	International Conference Procedings; 2019; (PSSHE-19);	19th Lisbon Portugal Intarnational Conference on Social Science, Humanities and Education

2				

კვლევის მიზანია მედიაფსიქოლოგიის სფეროში იმ მთავარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რომლებსაც ყურადღება ექცევა დასაქმებისას. კვლევა საყურადღებოა ინტერდისცპლინური, კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების დასახვეწად.

კვლევა პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს: 1. რა არის ის მთავარი კომპეტენციები, რომელიც უნდა ჰქონდეს თანამედროვე მედიაფსიქოლოგს? 2. რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით (მო)ხდება მედიაფსიქოლოგების დასაქმება საქართველოში?

კვლევამ გამოკვეთა მთავარი კრიტერიუმები (ცოდნასა და უნარებზე დაფუძნებული კომპეტენციები), რომლებსაც დამსაქმებლები (გა)ითვალისწინებენ სპეციალისტების დასაქმებისას - მედიაფსიქოლოგის კომპეტენციებით. ეს შედეგები ასევე მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების დასახვეწად და მედიაფსიქოლოების კომპეტენციების მატრიცის გასავითარებლად. განისაზღვრა კვლევის მეთოდოლოგია - რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტანალიზი;

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია კითხვარი (ღია და დახურულბოლოიანი კითხვებით). კითხვებს ჰქონდა კომენტირების სივრცე. კითხვების რაოდენობაა - 26. კვლევითი ინსტრუმენტის შემუშავების შემდეგ, 2018 წელს, გამოიკითხა 35 ორგანიზაციის წარმომადგენელი (სამთავრობო და არასამთავრობო, მედიის სექტორიდან, კვლევითი და მარკეტინგის ორგანიზაციებიდან).

ძირითადი მიგნებების თანახმად, დამსაქმებელთა 71%-ს არ ჰყავს დასაქმებულთა შორის მედიაფსიქოლოგი, ხოლო 45% ისურვებდა ამ კომპეტენციის სპეციალისტის დასაქმებას; მიუხედავად იმისა, რომ მედიაფსიქოლოგების შესახებ საკმაოდ დაბალი ცნობიერებაა, დამსაქმებელთან 75% მზადაა საცდელი პერიოდით დაასაქმოს ისინი. რესპონდენტების უმეტესობა (82%) პასუხობს, რომ, მაგალითად, ჟურნალისტებისთვის ფსიქოლოგიაზე აქცენტირებული ცოდნა და უნარები არის ძალიან მნიშვნელოვანი (61%) ან მნიშვნელოვანი (21%); 88% მიიჩნევს, რომ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს კარგი წარმოდგენა მედიაპროდუქტის (ტელე-რადიო, ბეჭდური და ონლაინ) პოზიტიურ და ნეგატიურ ფენომენზე, უნდა იყოს ეთიკური (შემაციროს სტიგმატიზაციის და სტერეოტიპების გავლენა, არ გამოიყენოს სიძულვილის ენა, და სხვ.); დასაქმებულმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მუშაობს ყალბი, მიკერძოებული ახალი ამბები, რა ზეგავლენას ახდენს პროპაგანდა ადამიანების გონებაზე და მათ მიერ რეალობის აღქმაზე.

კვლევამ გამოკვეთა მთავარი კომპეტენციები, რომელიც საგულისხმოა მედიაფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწისთვის. კერძოდ, დამსაქმებლებს სურთ ცოდნის გაუმჯობესება მედია ეთიკაში, ახალ ტექნოლოგიებში, სოციალური და ახალი მედიის პლატფორმების, სტრესის და დედლაინის მართვის უნარების მიმართულებით და სხვ. მათი აზრით, მედიაფსიქოლოგების უნარები არის ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკოსი ჟურნალისტებისთვისაც. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ სტრესს, უნდა იცნობდნენ მედიის ფსიქოლოგიურ ეფექტებს, უნდა იცოდნენ, თუ როგორ მუშაობს ნეგატიური ფენომენი, ყალბი (ე.წ. ფეიქ) ამბები; როგორ ზემოქმედებს მიკერძოებული ამბები და პროპაგანდა ადამიანების გონებასა და რეალობის აღქმაზე.

მედიაფსიქოლოგია ახალი დარგია საქართველოში, რომელიც ვითარდება ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სფეროს განვითარების უნიკალურ კონტექსტს ქმნის რეგიონის მედიაგარემო: ქართული მედია, რომელიც გადაურჩა საბჭოთა პროპაგანდას, ამჟამად ანტი-დასავლურ პროპაგანდას ებრძვის და ე.წ. ჰიბრიდული ომის პირობებში ცდილობს მედიაგარემოს დემოკრატიზაციას.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მ. შამილიშვილი,** ა. ნემსაძე	„კარიკატურა როგორც	ჟურნალი „სჯანი“# 20/1 ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის	თბილისი, თსუ გამომცემლობა	12 გვერდი (გვ.: 96 -108)

		აზროვნების მოდელი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“ **e-ISSN:** 2346-772X **ISSN:** 1512-2514	თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ჟურნალი აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ.		

კარიკატურა როგორც აზროვნების მოდელი
საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში

ანოტაცია

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური კარიკატურის მნიშვნელობასა და მის პროპაგანდისტულ ფუნქციაზე. შარჟულმა ენამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, როდესაც საბჭოთა სისტემის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა მხატვარმა მას რეჟიმის მამხილებლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღის როლი დააკისრა. ამას ნათლად მოწმობს მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაკავებულთა საქმეები, რომლებიც შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956)“ - ფარგლებში შევისწავლეთ.

საქართველოს შსს არქივში მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით, წარმოვაჩენთ იმ ქართველ კარიკატურისტთა საგაზეთო საქმიანობას, რომლებიც ბოლშევიკებისგან საქართველოს გასათავისუფლებლად ნაცისტური გერმანიის მხარეს იბრძოდნენ. ბერლინში გამომავალ ნაცისტურ გაზეთში „საქართველო“ დასტამბული ნიმუშების ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოვაჩენთ ქართველ კარიკატურისტთა მამხილებელ ხელწერას. სარედაქციო პოლიტიკასთან მისადაგებული ვიზუალური მასალა, მიუხედავად გერმანული ნაციზმის აპოლოგიისა, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეით იყო აღბეჭდილი. ვიზუალური ნარატივით გაცხადებულ ამ პროპაგანდისტულ გზავნილებში ნათლად იკვეთებოდა სტალინური რეჟიმის მთელი სისასტიკე და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ბელქანია	დახურული არქივი პოსტსაბჭოთა ქვეყნის შანსი ისტორიული მესხიერების აღსადგენად.	ჟურნალი „განათლება“ N4. 1041.	თბილისი. მერიდიანი	7-37 გვ
2		„საქართველოს შშს სპეცარქივში დაცული რამდენიმე დოკუმენტი შალვა ნუცუბიძის	ჟურნალი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ 2018 წელი ISBN 987-9941-9382-0-7	თბილისი	გვ 16 – 22.

		შესახებ“,			

ზემოთხსენებულ ორივე სტატიაში საუბარია რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიული მეხსიერების აღსადგენად საქართველოს შსს.არქივში დაცული მასალები. მათი კვლევა და ახალ, ალტერნატიულ სამეცნიერო წყაროდ გამოყენება სწორედ კრიტიკული ანალიზის ფონზე. საქმე ეხება ე.წ დახურულ არქივს, რომელშიც დაცული დოკუმენტები 70 წლის განმავლობაში ყველასათვის ხელმიუწვდომელი იყო და 2004 წლიდან გახდა საჯარო თუმცა 2008 წლამდე ეს დოკუმენტები მეცნიერთათვის იყო უცნობი. შესაბამისად ის სამეცნიერო მიმოქცევაში ვერ მოხვდა. ორივე წერილში გამოქვეყნებული დოკუმენტები შესაძლებლობას მოგვცემს სწორედ მსგავსი დოკუმენტები გავხადოთ საჯარო და ობიექტურად შევაფასოთ უახლესი ისტორიის კონკრეტული ფაქტები და მოვლენები.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ს. სამხარაძე, **მ. შამილიშვილი**	„გამკითხავი სიცილით“ თქმული სიმართლე - ჟურნალ „ნიანგის“ კარიკატურათა სემიოტიკური ანალიზი ISSN 0206-5746	ჟურნალი „კრიტიკა“# 14	თბილისი, თსუ გამომცემლობა	21 გვერდი (გვ.: 114-135)

„გამკითხავი სიცილით“ თქმული სიმართლე -
ჟურნალ „ნიანგის“ კარიკატურათა სემიოტიკური ანალიზი
ანოტაცია

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ჟურნალ „ნიანგის“ მაგალითზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა შემოქმედებითი სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც, საბჭოთა რეჟიმის ზეწოლის მიუხედავად, გამოცემა ახერხებდა შეფარვით ეთქვა სათქმელი. კვლევისას მიზნად დავისახეთ, გამოგვერკვია, რა გზებით ცდილობდა ჟურნალი რეალობის ჩვენებას, რა პრობლემებზე აკეთებდა აქცენტს, რა მხატვრულ ხერხებს იყენებდნენ ილუსტრაციათა ავტორები, სათქმელი შეფარვით რომ გადმოეცათ; როგორი იყო კავშირი ტექსტის ვიზუალურ და ვერბალურ კომპონენტებს შორის - ინსემანტიკური თუ ავტოსემანტიკური; ჟურნალში გამოქვეყნებული ნახატები მხოლოდ ავტორის პოზიციას გამოხატავდა, თუ მთელი რედაქციისას.

ამ ამოცანათა შესასრულებლად, ჟურნალ „ნიანგში“ დაბეჭდილი კარიკატურები კონოტაციური სემიოტიკური ანალიზის მეთოდით ვიკვლიეთ. შერჩეული მეთოდოლოგიით მკაფიოდ გამოიკვეთა ჟურნალის ავტორი - კარიკატურისტების ხელწერის თავისებურებები, თუ რა მხატვრული ხერხებით გამოხატავდნენ ისინი სისტემის საწინააღმდეგო თვალსაზრისს. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ პოლიტიკური ქვეტექსტით დატვირთულ კარიკატურებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო ჭალაგანიძე**	**მულტიმედიური ჟურნალისტიკა: ინსტრუმენტები და გამოყენების**			

		გამოცდილება ქართული მედიასკოლების მაგალითზე			

5. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ალექსანდრ გოერკე მანანა შამილიშვილი ხათუნა მაისაშვილი ნინო ჭალაგანიძე მარინა სალუქვაძე ნათია სვანიძე ეველინ მენთეშაშვილი ლიუბოვ ვასილიუკი სვიტლანა ჰალუსუნსკა ვოლოდიმირ ბობერი ვოლოდიმირ სტეფანეცი ანნა ნოჰოლი რომან პაზიუკი ლილია შუტიაკი სტეფან შოხერი	„კონფლიქტის კომუნიკაცია: ისტორიული გამოცდილება, პრობლემები, პერსპექტივები“ (გადაცემულია დასაბეჭდად)	ბერლინი, გერმანია „ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის“ გამომცემლობა	სტატიის მოცულობა - 10 გვერდი, სახელმძღვანელოს გვერდების რაოდენობა - 342

ანოტაცია

აღნიშნული კრებული მომზადდა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის - „ჟურნალიზმი ევროპულ საზოგადოებებში“ - ფარგლებში. მასში შესულია რამდენიმე ქვეყნის: გერმანიის, ავსტრიის, უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვეთის აკადემიური წრეების წარმომადგენელთა შრომები კონფლიქტის კომუნიკაციაში. პროექტის განხორციელება მოხერხდა სამეცნიერო სემინარების პირობებში შემუშავებული კონცეფციის შედეგად. სემინარები სხვადასხვა დროს სამ ეტაპად ჩატარდა „ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში“, ქალაქ ბერლინში. მათში მონაწილე მკვლევრებმა და პრაქტიკოსმა ჟურნალისტებმა წარმოადგინეს ორიგინალური თვალთახედვა მედიაში კონფლიქტების გაშუქებასთან დაკავშირებით, საკუთარი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ქართულმა მხარემ თავისი წვლილი შეიტანა ამ მეტად საინტერესო პროექტში და წარმოადგინა ქართული მედიის მიერ რეგიონული კონფლიქტების გაშუქების თავისებურებები. ჩვენ მიერ შესრულებული ნაშრომი ასახავს საქართველოში რეგიონული კონფლიქტების ისტორიულ გამოცდილებას და წარმოაჩენს კონფლიქტის გენეზისს. ჩვენი ავტორობით სახელმძვანელოში შესული ნაწილი ასეა დასათაურებული: „საქართველოს რეგიონული კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები“ (ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით).

მოცემული ინგლისურენოვანი ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად გაამდიდრებს კონფლიქტის კომუნიკაციაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. წიგნი გადაცემულია დასაბეჭდად და მალე იხილავს დღის შუქს.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მ. შამილიშვილი**	„კარიკატურა, როგორც ნაცისტური სარედაქციო პოლიტიკის ვიზუალიზების ხერხი და ანტიბოლშევიკური იდეოლოგიური იარაღი“ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის VII საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე, პოლიტიკა, საზოგადოება“	20-22 ივნისი, 2019 წ., თბილისი, თსუ
2.	ა. ნემსაძე, **მ. შამილიშვილი**	„ემიგრანტული გაზეთი „საქართველო“, როგორც ეროვნული იდენტობის პროპაგანდისტი მეორე მსოფლიო ომის დროს“ (სარედაქციო და ლიტერატურული პოლიტიკა) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“	18 – 19 ოქტომბერი, 2019 წ., ქუთაისი, აწსუ
3.	მ. შამილიშვილი მ. წერეთელი	„1990-1991 წლების ქართული პრესა პოლიტიკური პროცესების ჭრილში“ XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“	სექტემბერი 25-27 , თბილისი 2019, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„კარიკატურა, როგორც ნაცისტური სარედაქციო პოლიტიკის ვიზუალიზების ხერხი და ანტიბოლშევიკური იდეოლოგიური იარაღი“

ანოტაცია

ბერლინში გამომავალ ნაცისტურ გაზეთ „საქართველოში“ დასტამბული კარიკატურების სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით წარმოვაჩინეთ ქართველ კარიკატურისტთა მამხილებელი ხელწერა. ვიზუალური ნარატივით გაცხადებულ ამ პროპაგანდისტულ გზავნილებში ნათლად იკვეთება სტალინური რეჟიმის მთელი სისასტიკე და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ მოვიშველიეთ პრესის საბჭოთა-კომუნისტური კონცეფცია, ცნობილი ამერიკელი მედიამკვლევრების: ფრედერიკ ზიბერტის, თეოდორ პეტერსონისა და უილბერ შრამის „პრესის

ოთხი თეორიიდან“; აგრეთვე - უილიამ ჰახტენის პრესის რევოლუციური კონცეფცია. კვლევის მეთოდად შევარჩიეთ კონოტაციული სემიოტიკური ანალიზი. ამ გზით უკეთ გამოიკვეთა არავერბალური სემიოტიკური სისტემის გამოყენების მიზანიც, რაც ვერბალური კოდით გადმოცემული გზავნილის გაძლიერებას ემსახურება. საბოლოო ჯამში, აღნიშნული მეთოდოლოგიით კარიკატურათა ალეგორიული სიმართლის წაკითხვა შესაძლებლობას გვაძლევს, მკაფიოდ წარმოვადგინოთ ეპოქის სურათი, გამოვავლინოთ საბჭოთა რეჟიმის ძალმომრეობითი ხასიათი.

„1990-1991 წლების ქართული პრესა პოლიტიკური პროცესების ჭრილში“

ანოტაცია

მოხსენებაში წარმოჩენილია 1990 – 1991 წლების საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური გარემო და რადიკალური მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება. ეს პროცესები ნათლად აისახა იმდროინდელ პრესაში. მიხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდისდ ქართული მედია პლურალისტურ ბუნებას ავლენდა, მაინც აშკარა იყო იდეოლოგიური პოლარიზების მაღალი ხარისხი. მაშინდელმა საგაზეთო პოლემიკამ მკაფიოდ ასახა სახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალთა შეურიგებელი ბრძოლა, პოლიტიკურ ჯგუფებს შორის თვალსაზრისთა მკვეთრი დაშორიშორებულობა.

საკვლევი პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა ორი მნიშვნელოვანი გაზეთის - ოფიციოზური „საქართველოს რესპუბლიკისა“ და ოპოზიციური „დრონის“ პუბლიკაციები. სწორედ ამ ორი გამოცემის ირგვლივ იყო გაერთიანებული სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალები. მსგავსი მედიაკლიმატი დამახასიათებელია სწორედ პოსტსოციალისტური სახელმწიფოებისთვის. ახლო წარსულის ინერცია ძნელად დასაძლევი აღმოჩნდა იმდროინდელი მედიისთვის. მან, ერთი მხრივ მოიშორა საბჭოური ცენზურის წნეხი, მაგრამ ერთგული დარჩა ადრინდელი პროფესიული მიდგომებისა, რაც პარტიული მიმხრობის, ეთიკურ ნორმათა უგულებელყოფის, თვითცენზურისა და სხვა ნეგატიური მახასიათებლების სახით ვლინდებოდა. ეს ნაკლოვანებები არც დღესაა დაძლეული.

საკითხი ვიკვლიეთ კონტექსტურად, პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვებით, შესაბამისი მასალის მოძიება - კლასიფიკაციისა და შინაარსობრივი ანალიზის გზით. განვსაზღვრეთ ასევე კვლევის თეორიულ ჩარჩო. ამისთვის გამოვიყენეთ მედიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების ე. ჰალინისა და პ. მანჩინისეული მედიამოდელი. მასთან ერთად, უილიამ ჰახტენის პრესის რევოლუციური კონცეფცია. მოხმობილი მეთოდოლოგიის მიხედვით რელევანტური ტექსტების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, გამოგვეკვეთა დასახელებული გამოცემების სარედაქციო პოლიტიკა, რაც მოვლენების მეტად სუბიექტურ აღქმაში გამოვლინდა.

კვლევისას მიღებული შედეგები წარმოაჩენს პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული პოლიტიკური, სოციალური და მედიაგარემოს სპეციფიკას; გამოკვეთს პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებს და გვეხმარება სინამდვილის კონსტრუირებაში.

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჭალაგანიძე	მულტიმედიური ჟურნალისტიკა: ინსტრუმენტები და გამოყენების გამოცდილება ქართული მედიასკოლების მაგალითზე	2019 წლის 19-20 ოქტომბერი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია "კულტურა, ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში".

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ჩვენ აუდიტორიისთვის ბრძოლის უნიკალურ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა ბეჭდური მედია, ტრადიციული რადიო და ტელევიზია ინტერნეტის, როგორც კომუნიკაციის არხის წინაშე, პოზიციებს თმობს. სისწრაფე, მობილურობა, უნივერსალურობა, ინტერაქტიურობა, მულტიმედიურობა, _ ეს თანამედროვე მედიასივრცის რედაქციების საკვანძო მახასიათებლებია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამოცანა

გართულდა: ის არამხოლოდ კრებს და გადმოცემს ამბავს, არამედ, ახალი ტექნიკური შესაძლებლობების დახმარებით, აუდიტორიას მის კონტექსტსაც სთავაზობს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მულტიმედიზაცია ციფრულმა რევოლუციამ განაპირობა. ამ ცნებაში ჩვენ მოვიაზრებთ ცვალებად ტექნიკურ საშუალებებს როგორც თავად ინფორმაციის მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა მხრიდან. მომხმარებელთა მოთხოვნა გახდა მულტიმედიზაციის უმთავრესი კატალიზატორი. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, შეიცვალა მომხმარებლის დამოკიდებულება ინფორმაციის მიმართ. თანამედროვე ადამიანი დატვირთულ ინფორმაციულ ველში ცხოვრობს, ყოველდღიურად ეჩეხება რა განსხვავებული მედია საშუალებელის მიერ მოწოდებულ ასევე განსხვავებულ ინფორმაციულ ნაკადებს.

ნაშრომში განხილულია მულტიმედიური ჟურნალისტიკის თეორიული საფუძვლები, მოყვანილია ქართულ მედიასკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების მაგალითები. ნაშრომში გამოჯნულია ცნებები: „მულტიმედიური ჟურნალისტიკა“ და „კონვერგენტული მედია“. იმ მედიასკოლების მიერ წარმოებული მასალების ანალიზის საფუძველზე, რომლების აქტიურად იყენებენ ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ილუსტრირებულია ძირითადი მულტიმედიური ჟანრები, შესწავლილი მაგალითების საფუძველზე, სტატიაში გამოტანილია დასკვნები ქვეყნის მედიასკოლებში მულტიმედიური ჟურნალისტიკის ექსპერიმენტული და არათანაბარი განვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მედიაგანათლება, მულტიმედია, ახალი ტექნოლოგიები, აუდიტორია.

(მოხსენება ფორუმის მასალებში სრულადაა გამოქვეყნებული).

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მარიამ გერსამია მაია ტორაძე	"მედიაფსიქოლოგია: კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი და დასაქმება”	"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი" VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (20-22 ივნისი, 2019 წელი) , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლელა ჯავახიშვილი თამარ ბელქანია	თანამედროვე პროპაგანდა აფხაზეთისათვის ბრძოლაში	26.00.19 აფხაზეთის დაცემისადმი მიძღვნილი კონფერენცია ქორთიარდ მერიოტი. თბილისი
2			

სტატია მომზადდა სტუდენტთან ერთად კონფერენციისათვის, რომლის ერთერთი ორგანიზატორიც გახლდით. სტატიის მიზანია თანამედროვე პროპაგანდის განხილვა კონკრეტულად აფხაზეთთან

მიმართებაში და რამდენად ან რა დოზით არის ჰიბრიდული ომის ნაწილი რუსული პროპაგანდისტული მანქანა აფზეთისათვის ბრძოლაში ჩართული.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მ. შამილიშვილი**	"Journalism of "Hot Spots" and Specifics of Its Teaching „ცხელი წერტილების“ ჟურნალისტიკა და მისი სწავლების სპეციფიკა“ სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში. ვებმის.: https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	1-3 ივლისი, ბერლინი, გერმანია
2	**მ. შამილიშვილი**	“Hotspot” journalism ethical problems and its Georgian paradigms (At the example of August 2008 Russia-Georgia war) „ცხელი წერტილების“ ჟურნალისტიკის ეთიკური პრობლემები და მისი ქართული პარადიგმები (2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის მაგალითზე) სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში. https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-	25- 27 სექტემბერი, ბერლინი, გერმანია

3	**მ. შამილიშვილი**	RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I Historical Backgrounds of Georgia's Regional Conflicts (Based on the Georgian Press Material) „საქართველოს რეგიონული კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები“ (ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით) სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში. https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	13 -15 ნოემბერი, ბერლინი, გერმანია

1. „ცხელი წერტილების“ ჟურნალისტიკა და მისი სწავლების სპეციფიკა

ანოტაცია

მოხსენებაში წარმოჩენილია ე.წ. ექსტრემალური ჟურნალისტიკის სპეციფიკა. ჟურნალისტური საქმიანობის ეს სფერო მეტად მნიშვნელოვანია იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებიც ტერიტორიული კონფლიქტების სიმრავლით გამოირჩევა. საკითხი შესწავლილია კომპლექსურად. ნაშრომში აქცენტირებულია შემდეგი თემები: საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის, განვითარებისა და მათი მედიაში გაშუქების ძირთადი კანონზომიერებები და მექანიზმები; საქართველოს თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურებები; პროფესიული სტანდარტების დაცვის პრობლემატიკა და „ცხელ წერტილებში“ მუშაობისას ჟურნალისტური ეთიკის ასპექტთა გათვალისწინების აუცილებლობა.

2. „ცხელი წერტილების“ ჟურნალისტიკის ეთიკური პრობლემები და მისი ქართული პარადიგმები (2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის მაგალითზე)

ანოტაცია

ჩვენ მიერ საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი თემა მეტად აქტუალური და მრავალაქცენტიანია. მისი გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში მყოფი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია. საქართველო იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ტერიტორიული კონფლიქტების სიმრავლით გამოირჩევა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები უნდა განვიხილოთ საქართველო-რუსეთის კონფრონტაციის ჭრილში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბული და არაკეთილგანწყობილი ურთიერთობის შედეგია. სიტუაცია კი დაიძაბა მას შემდეგ, რაც „დიდმა მეზობელმა“ ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერა დაიწყო.

ქართულ რეალობაში ამ საკითხმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის მიმდინარეობისას. აღნიშნულმა ომმა ნათლად წარმოაჩინა ჟურნალისტების მიერ კონფლიქტური ზონიდან ინფორმაციის მოპოვებისა და გაშუქებისას შექმნილი პრობლემები. მოცემული ნაშრომით გამოიკვეთა კონფლიქტურ სიტუაციებში მომუშავე ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის მნიშვნელობა. ის ხარვეზები, რომელთაც განხილული ნიმუშების საფუძველზე გამოვავლინეთ, მეტწილად არაინფორმირებულობის, არაპროფესიონალიზმისა და პოლიტიკური ანგაჟირების შედეგია. მათი შეფასება და კრიტიკული გააზრება დიდად დაგვეხმარება ცხელ წერტილებში მომუშავე ჟურნალისტების პასუხისმგებლიანობის ამაღლებასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისი ქცევის ნორმათა შემუშავებაში.

3. „საქართველოს რეგიონული კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები“
(ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით)

ანოტაცია

მოხსენებაში წარმოჩენილია კონფლიქტების კომუნიკაციის ისტორიული ასპექტები, კერძოდ, გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოში არსებული რეგიონული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები. ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი (1918 – 1921) მნიშვნელოვანი პარტიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემები; აგრეთვე საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლებისა და დემოკრატიული ტრანზიციის საწყის წლებში (1991 – 1992) გამომავალი სახელისუფლებო და ოპოზიციური გაზეთები.

დასაკვირვებლად შერჩეული ეტაპების მედიაგარემოზე დაკვირვების შედეგად გაცხადდა ის ძირითადი მიზეზები, რაც ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას უძღოდა წინ; გამოიკვეთა პოლიტიკურ ელიტასა და მედიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის პერიპეტიები და ის შემოქმედებითი სტრატეგიები, რასაც მედიის მესვეურები შეიმუშავებდნენ პრობლემათა უკეთ წარმოჩენისთვის.

კვლევა განხორციელდა მდიდარ ემპირიულ ბაზაზე დაყრდნობით. კერძოდ, საარქივო მასალის შესწავლის, მონიშნული პერიოდების მთავარ პერიოდულ გამოცემათა (გაზეთები:„ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, “საქართველოს რესპუბლიკა” (ორივე პერიოდში გამომავალი გამოცემა: 1918 – 1921; 1991 – 1992 წ.წ.), „დრონი“) ფურცლებზე მოძიებული მასალის სისტემატიზება - კლასიფიკაციისა და შერჩეული ტექსტების შინაარსობრივი ანალიზის გზით.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მარიამ გერსამია მაია ტორაძე	"Media psychology: chellengies of competence-based curricula and employment (case of Georgia)"	International Association for media and Communication Research - IAMCR July 7-11, 2019. School of Communication, Complutense University of Madrid, Spain.
2	მარიამ გერსამია მაია ტორაძე	Media psychology: chellengies of competence-based curricula and employment (case of Georgia)"	Portugal International Conference on Social Sciences, Humanities and Education (PSSHE-19) ; International Centre of Economics, Humanities and Management on 12-16 april, 2019;

3	მარიამ გერსამია მაია ტორაძე	"Effects of Social Networks in Education"	Turkish Worls Press Simposium, 14-17 Mart, 2019 , Turkey, Amasia;
4	მარიამ გერსამია მაია ტორაძე	"Media Psychology: Perspectives of Competence-Based Education in New Democracies " (with Mariam Gersamia)	Turkish Worls Press Simposium, 14-17 Mart, 2019 , Turkey, Amasia;
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნათია კუპრაშვილი	**პოლარიზაცია, როგორც საფრთხე დემოკრატიისთვის** - **საქართველოს მედიასისტემის ანალიზი**	**ATINER საერთაშორისო კონფერენცია - 2019** ათენი, 17-20 ივნისი

შენიშვნა: მოხსენება გამოქვეყნება იგეგმება მიმდინარე წელს

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პოლარიზებული დემოკრატიაა ევროპაში. ასეთია, მაგალითად გერმანული ორგანიზაცია Democracy Reporting International -ისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, 2017 წელს მათ მიერვე განხორციელებული კვლევის თანახმად.

საერთაშორისო სადამაკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში, საქართველოში დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად სწორედ პოლარიზაცია სახელდება.

თუმცა პოლარიზაცია საქართველოში არ არის იდეოლოგიური ხასიათის მატარებელი, არამედ იგი ორ პოლიტიკურად დაპირისპირებულ ძალაში ვლინდება, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდებში ე.წ. ანტაგონისტური სიმბიოზის ფორმას იღებს.

2012 წლის შემდეგ ეს ორი პოლიტიკურად პოლარიზებული ძალა საქარველოში, ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი - ,,ქართული ოცნება“ და მანამდე ხელისუფლებაში მყოფი - „ ნაციონალური მოძროაბა“ და მისი დანაყოფები არიან. ანტაგონისტური სიმბიოზის მიღმა კი დგას ერთმანეთის მსგავსი იდეოლოგიური პლატფორმა, ორივე ძალა ემხრობა საბაზრო ეკონომიკურ რეფორმებს და ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას ასახელებს.

ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო და ზოგადი მედიამონიტორინგები აჩვენებს , რომ მკვეთრად პოლარიზებულია მედიაც, უმეტესად სატელევიზიო სივრცე. ტელევიზია საქართველოში მოსახლეობაში ჯერ კიდევ ინფორმაციის გავრცელების მთავარ წყაროდ (70%-ზე მეტი) რჩება. აუდიტორიის უდიდეს ნაწილს კი ორი ნაციონალური მაუწყებელი ,,რუსთავი 2“ და ,,იმედი“ ინაწილებს. ამათგან, სხვადასხვა ანგარიშის მიხედვით ,,რუსთავი 2“-ის მფლობელები ყოფილ ხელისუფლებასთან, ნაციონალურ მოძრაობასთან არიან აფილირებულნი, ,,იმედი“ კი ,,ქართული ოცნების“ , მთავრობის მიმართ ლოიალობითა და მიკერძოებული გაშუქებით გამოირჩევა.

ერთის მხრივ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის გამორჩეული ფორმა და მეორეს მხრივ პარალელური მედიაპოლარიზაციის შეუსწავლელობა არის ჩვენი კვლევის მოტივატორი. თეორიულ საფუძვლად ვიყენებთ პოლარიზებული პლურალიზმის მედიის მოდელს, რომელსაც დანიელ ჰელინი და პაულო მანჩინი ,,მედიასისტემების შედარებით“ გვთავაზობენ, თუმცა მივიჩნევთ, რომ იგი არასაკარისია საქართველოს მაგალითის გასაანალიზებლად. ჰელინისა და მანჩინის თეორიის კრიტიკულ გააზრებასთან ერთად , პირველად მასკომუნიკაციის კვლევებში ჩვენ ვიყენებთ დიმიტრი უზნაძის ,,განწყობის თეორიას“.

კვლევის ჰიპოთეზაა, რომ პოლიტიკური და პარალელური მედიაპოლარიზაციის უპირველესი მსხვერპლი მცირე დამოუკიდებელი მედიასაშუალებებია, რომელთა შევიწროვებისა და წმენდისთვის პოლარიზაცია ახალ ინსტრუმენტებს/ფაქტორებს ქმნის, ან არსებულს აძლიერებს. ამგვარი ტენდენცია კი დემოკრატიას ბუმერანგივით უბრუნდება - საფრთხედ.

თვისებრივი მეთოდოლოგიით განხორციელებული ეს კვლევა ეფუძნება, როგორც ,,ქეის სტადი“ მიდგომას, ისე დაკვირვების, კონტენტ და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდს. კვლევა ამასთან ეყრდნობა მცირე დამოუკიდებელი მედიების მენეჯერთა სიღმისეულ ინტერვიუებს და რეგიონებში მოქმედი ჟურნალისტების მონაწილეობით ჩატარებულ ანკეტურ გამოკითხვებს, ფოკუსჯგუფებს და ცდებს.

კვლევა ეხება პოლიტიკური პოლარიზაციის პარალელური მედიასისტემის ოთხ ფაქტორს, ესენია:

1. ფინანსური
2. ტექნიკური
3. საკანონმდებლო
4. ადამიანური

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	**ნ. ჭალაგანიძე, მ. შამილიშვილი**	"Journalism of "Hot Spots" and Specifics of Its Teaching „ცხელი წერტილების“ ჟურნალისტიკა და მისი სწავლების სპეციფიკა“ სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში. ვების მის.: https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	1-3 ივლისი, ბერლინი, გერმანია
2.		ომისა და მშვიდობის ჟურნალისტიკის თანამედროვე ქართული მაგალითები, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში.	25- 27 სექტემბერი, ბერლინი, გერმანია

		ვების მის.: https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	
3.		**საინფორმაციო სივრცის დაბინძურებისაგან მომდინარე საფრთხეები კონფლიქტების დეესკალაციის პროცესში** ***(რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებთან მიმდინარე პროცესების მაგალითებზე)*** სემინარი ჩატარდა გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“ („Journalismus in Europäischen Gesellschaften (JourEG)) ფარგლებში. ვების მის.: https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	13 -15 ნოემბერი, ბერლინი, გერმანია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში წარმოჩენილია ე.წ. ექსტრემალური ჟურნალისტიკის სპეციფიკა. ჟურნალისტური საქმიანობის ეს სფერო მეტად მნიშვნელოვანია იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებიც ტერიტორიული კონფლიქტების სიმრავლით გამოირჩევა. საკითხი შესწავლილია კომპლექსურად. ნაშრომში აქცენტირებულია შემდეგი თემები: საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის, განვითარებისა და მათი მედიაში გაშუქების ძირითადი კანონზომიერებები და მექანიზმები; საქართველოს თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურებები; პროფესიული სტანდარტების დაცვის პრობლემატიკა და „ცხელ წერტილებში“ მუშაობისას ჟურნალისტური ეთიკის ასპექტთა გათვალისწინების აუცილებლობა.

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული ნაგვის (ან, როგორც მას ასევე უწოდებენ - ინფორმაციული ხმაურის ცნება, როგორც ინფორმაციული საზოგადოების ფენომენი). წარმოდგენილია ტერმინოლოგია, რომელიც გარკვეულწილად აღწერს კვლევის იდეასთან დაკავშირებულ ტენდენციებს:

- ინფორმაციის ხმაური;
- ინფორმაციული ნაგავი;
- ინფორმაციის ვაკუუმი;
- სოციალურად დაუცველი;
- ციფრული ჰიგიენა;
- მედია წიგნიერება;
- დეზინფორმაცია;
- დეზინფორმაცია;
- ყალბი ამბები;
- ბოტები და ა.შ.

წარმოდგენილია ლიტერატურული მიმოხილვა, რომელიც ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის ნაწილია და მიზნად ისახავს დავადგინოთ შემდგომი კვლევის გზა. ციტირებულ ავტორებს შორის გამოირჩევიან:

- ს. ლევანდოვსკი, დეზინფორმაცია და მისი კორექტირება: მუდმივი გავლენა და წარმატებული დეფილაცია, 2012;
- CP Lam, M Goeksel, სოციალური ქსელების თანამშრომლობითი ფილტრაციის გამოყენების სისტემა და მეთოდი, 2010;
- იუდალევიჩი ი.დ., საინფორმაციო ნაგავი, როგორც თანამედროვე საზოგადოების ფენომენი, 2016;

- დ დუვანოვა, ა ნიკოლაევი, ნიკოლსკო-რჟევსკი... ძალადობრივი კონფლიქტი და ონლაინ სეგრეგაცია: სოციალური ქსელის კომუნიკაციის ანალიზი უკრაინის რეგიონებში, 2016;
- მოლდინი გ.,სა ინფორმაციო გარემოსთან დაკავშირებით, 2017 წელი.

ინფორმაცია, როგორც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, კაცობრიობას, თვალსაჩინო სარგებელთან ერთად, პრობლემებსაც მუდამ უქმნიდა. თუკი მე-20 საუკუნეში მთავარ გამოწვევას ინფორმაციის მოპოვება-შენახვა წარმოადგენდა, დღეს სპეციალისტების მიზანი ჭარბი ინფორმაციული ნაკადების იმგვარი კონსტრუირებაა, როცა საჭირო ინფორმაციის პოვნა მარტივია, ხოლო საინფორმაციო გარემოში ნაკლებადაა ე. წ. ინფორმაციული ნაგავი, ან როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, ინფორმაციული ხმაური.

Cumulus Media-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს სოციალურ ქსელ YouTube-ში წუთში 4,3 მლნ. ნახვა დაფიქსირდა, საძიებო სისტემა Google 3,7 მლნ.-მა მომხმარებელმა გამოიყენა, გაიგზავნა 187 მლნ წერილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და კიდევ 38 მლნ. WhatsApp-ში, Facebook-ზე კი გაზიარებულ იქნა 25 000 გიფი.

ეს ქსელში ინფორმაციის ცირკულაციის გიგანტური მოცულობაა. საკითხავია, რაოდენ სანდო და სასარგებლოა ის მომხმარებლისთვის, თუ საქმე ინფორმაციულ ხმაურთან, ან, იმავე ინფორმაციულ ნაგავთან გვაქვს.

აქვე, აღსანიშნავია რომ ორივე ტერმინი დამკვიდრებულია და სამეცნიერო ლიტერატურაში მათი გამოყენება ადაპტირებულია, მეტიც, კვლევათა ნაწილი არამხოლოდ განიხილავს ინფორმაციული ნაგვის რაობას, არამედ, ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მისი სორტირებისა და უტილიზაციის რეკომენდაციებაც წარმოადგენს. თუმცა ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, წინამდებარე ნაშრომში უპირატესობა პირველ ცნებას - ინფორმაციულ ხმაურს მივანიჭოთ და ტექსტის მომდევნო ნაწილებში სწორედ ეს დეფინიცია გამოვიყენოთ.

აკუსტიკური ხმაურისგან განსხვავებით, ინფორმაციული ხმაური (information noise) გაცილებით დიდ და, შორეულ პერსპექტივაში, სახიფათო შედეგებს იწვევს. როგორც კულტურული ფენომენი, ეს ცნება ჯერ კიდევ მე–20 საუკუნეში წარმოიშვა და ტექსტში/ვიდეორიგში ისეთი ელემენტების არსებობას გულისხმობს, რომლებიც მის გაგებას ართულებს, ამახინჯებს იდეის მნიშვნელობას და/ან მისი შინაარსის ადეკვატურ გააზრებას აფერხებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინფორმაციული ხმაური ინფორმაციის გაუფილტრავი ნაკადია, რომელიც აუდიტორიისთვის სარგებლის ნაცვლად, ზიანის მომტანია.

თუკი აღნიშნულ მონაცემებს საინფორმაციო პორტალებს, ტელევიზიას, რადიოსა და ბეჭდურ გამოცემებს მივამატებთ, სტატიაში განსახილველი პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაკვირი აღარ არის, რომ ყოველწამიერად მომხმარებლის ტვინი ამუშავებს კოლოსალური მოცულობის ინფორმაციას, თუმცა რეალურად ფასეული, მისი მხოლოდ მცირედი ოდენობაა. ეს ინფორმაცია ადამიანური ან ელექტრონულ-გამოთვლითი საქმიანობის პროცესში იქმნება და უსარგებლო, მეტიც, ყალბი და, ამდენად, სახიფათო შინაარსის არსებობას თავისთავად მოიაზრებს. შესაბამისად, ინფორმაციული ხმაური ყალბი ამბების, ე. წ. ფეიკ ნიუსების შემცველიცაა.

ყალბი ახალი ამბები, როგორც ფენომენი, დაახლოებით ისეთივე ძველია, როგორც თავად ჟურნალისტიკაა, თუმცა ფეიკ-ნიუსზე, როგორც დღის წესრიგზე გავლენის მქონე ფაქტორზე, აშშ-ს საარჩევნო კამპანიის დროს დაიწყო საუბარი. ამ თემას ეძღვნება ასობით სამეცნიერი შრომა და კონფერენცია. წლების განმავლობაში, ტერმინი მთლიანად გაუფასურდა და ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ჭარბ ინფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხეები განსაკუთრებით იზრდება კრიზისული ვითარებებისას. ყველაზე თვალშისაცემი კი იგი კონფლიქტების გაშუქების პროცესშია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მედიაში ზოგადად და, განსაკუთრებით, სოციალურ ქსელებში, როგორც კომუნიკაციის ყველაზე პოპულარულ საშუალებაში, ინფორმაციული ნაკადების ზრდისა და მასთან დაკავშირებული, საინფორმაციო გარემოს დაბინძურების პრობლემები. თემატიკის სირთულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ნაშრომის, მისი მიზნების, ობიექტებისა და ჰიპოთეზების აქტუალურობა, აღწერილია მეთოდოლოგია (კონტენტ ანალიზი (თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები), შედარებითი ანალიზი, სემიოლოგიური ანალიზი).

სხვა აქტივობები

მანანა შამილიშვილი

1. თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. თბილისი, 25-27 სექტემბერი, 2019.
2. ჩვენ მიერ მომზადებული ლექცია „მელოდრამატული მედიაკულტურის ქართული პარადიგმები“ შევიდა კრებულში „საჯარო ლექციები“, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის პროექტის - „უნივერსიას“ ფარგლებში გამოიცემა. აღნიშნული საჯარო ლექცია გადაიცემა რეგიონული ტელევიზიების ეთერით, რეგიონული მაუწყებლობის ასოციაციასთან არსებული მემორანდუმის საფუძველზე და ემსახურება მეცნიერების პოპულარიზაციას. კრებული „საჯარო ლექციები 2019 - მეტი, ვიდრე ინფორმაცია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 96 – 107.

თამაზ ჯოლოგუა

I. ოთხსერიანი დოკუმენტური ფილმი „პრესა და ერი“. სცენარის ავტორი თ. ჯოლოგუა. რეჟისორი ა. ჭიაურელი [ჩაშვებულია წარმოებაში საზოგადოებრივ მაუწყებელში].
მოკლე ანოტაცია: ფილმი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა. იგი ასახავს მე-19 საუკუნეში ქართული პრესის ჩასახვის, ფორმირებისა და განვითარების ისტორიას; პრესის მეშვეობით ახალი - ევროპული - ტიპის საზოგადოებისა და კულტურის დანერგვისა და ამასთან დაკავშირებული ღირებულებითი და იდეოლოგიური ტრანსფორმაციების პროცესს.

თამარ ბელქანია

სამაუწყებლო ტელე მედიის ფარგლებში მომზადდა სრულმეტრაჟიანი(36წთ) დოკუმენტური ფილმი „უნივერსიტეტის უცნობი ისტორიები“. ფილმის დაგეგმვა, გადაღება, მონტაჟი, პროდიუსინგი განახორციელეს თავად სტუდენტებმა, მისი პრემიერა შედგა თსუhttps://www.facebook.com/multimedia.tsu.edu.ge/videos/2490823860969336/. პირველ კორპუსში ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში. მან დამსწრე საზოგადოებისაგან მაღალი შეფასებაhttp://multimedia.tsu.edu.ge/ka/video/narkvevi/319-universitetis-utsnobi-istoriebi--pilmis-prezentatsia?fbclid=IwAR07hzjPHnHR-u1jlf1d5RmHktmwr9ekZu63tQ9BnGaRyHnJlpYS8IYDYCE.
2019/25/12 საგან სამაუწყებლო ტელემედიის ფარგლებში მომზადდა ტოკ-შოუ „ასპარეზი“-სირიის კონფლიქტის გამომძახილი საქართველოში. გადაცემის მომზადებაში სრულად იყვნენ თავად სტუდენტები ჩართულები მონტაჟის ჩათვლითhttp://multimedia.tsu.edu.ge/ka/video/talk-show/343-toq-shou-?fbclid=IwAR1nlX2-LhlvbXbXZsYKC2vMqt9SESgtNtD1GBO4Dr6-Srf5ewL84X-0wig.
ასევე 2019 წელს უნივერსიტეტში და კერძოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა სტუდენტებმა(საგანი სამაუწყებლო ტელე მედია) ასახეს ვიდეო ქრონიკის სახით-სიუჟეტებად. ის ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის საიტი.

ნათია კუპრაშვილი

წლის განმავლობაში ვუხელმძღვანელე არაერთ სამაგისტრო კვლევას, ვიყავი არაერთი მაგისტრანტისა და ბაკალავრის რეცენზენტი, ვხელმძღვანელობ 5 დოქტორანტის კვლევას.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
მალხაზ მაცაბერიძე - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
კორნელი კაკაჩია - პროფესორი
ალექსანდრე კუხიანიძე - პროფესორი
ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი
ნანა მაჭარაშვილი - ასოცირებული პროფესორი
სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი
ვალერიან დოლიძე - ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე წურწუმია - ასისტენტ-პროფესორი
თამარ ქარაია - ასისტენტ-პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	პროტესტის ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში (პოლიტიკის მეცნიერება)	1.05.2019-30.10.2019	თამარ ქარაია -პროექტის ხელმძღვანელი სალომე ელისაშვილი - მკვლევარი ბაჩანა ჯოჯუა- მკვლევარი თამარ მელაძე- მკვლევარი ხატია ჩხვიმიანი- მკვლევარი
მოცემული პროექტი მიზნად ისახავდა შეესწავლა საქართველოში 2003-2018 წწ. მიმდინარე საპროტესტო მოძრაობების რეპერტუარი. როგორც არსებული სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს საქართველოში მასობრივი საპროტესტო აქციები ლოკალურმა, სოციალური ჯგუფების პროტესტმა ჩაანაცვლა, რომლებიც განსხვავებით წინა საპროტესტო აქციებისგან არა ხელისუფლების გადაყენების, არამედ პოლიტიკის ცვლილებისთვის იბრძვიან. მოცემული კვლევის მთავარი დაშვება იყო: რომ ჯგუფების კოლექტიური იდენტობის ცვლილება, პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის ნდობის კლება და ე.წ. შესაძლებლობათა ფანჯრის გაჩენაა ის ფაქტორები რომელთაც საქართველოში პროტესტის ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი.		

კვლევის ძირითად მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევის ტექნიკები, კერძოდ, მოხდა საპროტესტო მოძრაობების დისკურსის კრიტიკული ანალიზი და ჩართულ აქტორებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები თბილისში, ქუთაისში, ჭიათურასა და ტყიბულში.
კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მზადდება სამეცნიერო სტატია, რომელიც დაიბეჭდება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	FR-18-20157- „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“	2019 წლის თებერვალი -2022 წლის თებერვალი	მალხაზ მაცაბერიძე- ხელმძღვანელი თამარ ორჯონიკიძე- კოორდინატორი ნათია ზედგინიძე-ძირითადი პერსონალი ოთარ ჯანელიძე-ძირითადი პერონალი ირაკლი იაკობაშვილი-ძირითადი პერსონალი პაატა სურგულაძე-ძირითადი პერსონალი სტივენ ჯონსი - კონსულტანტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ხორციელდება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პარტნიორია საქართველოს პარლამენტი. პრ პროექტის ხელმძღვანელია მალხაზ მაცაბერიძე. განმახორციელებლები არიან: პროფესორები ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე, პარლამენტის არქივის დირექტორი ირაკლი იაკობაშვილი და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტები: ნათია ზედგინიძე და თამარ ორჯონიკიძე. პროექტის პირველი წელი ითვალისწინებდა თემასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების, პერიოდული პრესის მასალებისა და ლიტერატურის მოძიება-დამუშავებას; საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების მომზადება გამოსაცემად, რაც გაკეთდა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოიცა კიდეც; პროექტი ითვალისწინებდა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავთან დაკავშირებით. კონფერენცია ჩატარდა 2019 წლის 29 მაისს საქართველოს პარლამენტში, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ პროექტის ყველა მონაწილე. ასევე 2019 წლის 2 აპრილს ბათუმში ჩატარდა კონფერენცია „საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი“.

4. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მალხაზ მაცაბერიძე	**საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა: 1919 წლის 12 მარტი. ISBN 978 – 9941 – 8 – 1047 – 3**	**თბილისი, 2019**	30 გვ
2	მალხაზ მაცაბერიძე	**იოზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით ISBN 978 – 9941 – 8 – 1405 – 1**	**თბილისი, 2019**	84 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა: 1919 წლის 12 მარტი. თბილისი, 2019 – 30 გვ.**

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. ნაშრომში იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია, თუ რას ხდებოდა 1919 წლის 12 მარტს თბილისში, თუ როგორი იყო იმდროინდელი განწყობა, დღის წესრიგში მდგარი ამოცანები და სამომავლო იმედები. ნაშრომი ეძღვნება საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების მე-100 წლისთავს. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის

2. **მალხაზ მაცაბერიძე. იოზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით. თბილისი, 2019 – 84 გვ.**

ნაშრომში თავმოყრილია ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში დაბეჭდილი პუბლიკაციები იოზეფ პილსუდსკის (1867-1935) გარდაცვალების გამო. ამ პუბლიკაციებში კარგად ჩანს ის დიდი პატივისცემა, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებში იმსახურებდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში საუბარია პილსუდსკის დამსახურებაზე პოლონეთის წინაშე, მაგრამ ამავე დროს იმ მხარდაჭერაზეც, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებს და, შესაბამისად, საქართველოს განთავისუფლების საქმეს უწევდა.

პუბლიკაციებში კარგად ჩანს ასევე იმ პოლიტიკური მიმდინარეობების სახეც, რომლის წარმომადგენელიც წერდა პილსუდსკის შესახებ. პოლონეთის გარდაცვლილი ლიდერის შესახებ დაწერეს ქართულ ემიგრაციაში არსებული ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა. ყველაზე მოზომილად და ცივად ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ყველაზე ვრცლად და თბილად ქართულმა სამხედრო-პატრიოტულმა წრეებმა. ეს გასაგებიცაა - პილსუდსკი ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ყოფილი სოციალ-დემოკრატი იყო, ემიგრაციაში მყოფ ქართველ სამხედროებს კი ყველაზე დიდი დახმარება პილსუდსკიმ გაუწია.

ცალკე უნდა გამოვყოთ ჟურნალი „მხედარი“, რომლის მთელი ნომერი (1935 N 19) მთლიანად მიეძღვნა იოსებ პილსუდსკის. მათი ავტორები (ა. ჩხეიძე, ლ. მა-ლი, ვ. ნა-ლი და სარედაქციო სტატიები), პროფესიით სამხედროები, იდგნენ ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე და უარყოფდნენ სოციალიზმს. მათი აზრით, 1918 წელს პოლონეთისთვის დამოუკიდებლობის აღდგენა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე საქართველოსთვის. მაგრამ პოლონეთმა,

საქართველოსგან განსხვავებით, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ევროპის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ავტორთა აზრით, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას არ ჰყავდა ი. პილსუდსკის მსგავსი ლიდერი. აქ გვარის დაუსახელებლად შედარებას ახდენდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიასთან (1868-1953) და ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტორებზე, რაც განაპირობებდა პოლონეთისა და საქართველოს ამ პერიოდის ისტორიის განსხვავებულ შედეგს.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ალექსანდრე კუხიანიძე	პოლიტიკის მეცნიერება. შესავალი. ISBN 978-9941-13-821-8	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	294 გვერდი

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ანელიზ დოდსი	შედარებითი საჯარო პოლიტიკა(COMPARATIVE PUBLIC POLICY BY ANNELIESE DODDS, 2013 Palgrave Macmillan) (თარგმანი ინგლისურიდან ზვიად აბაშიძისა და სალომე დუნდუასი)	იბეჭდება თსუ-ს გამომცემლობის მიერ	430

1	ვალერიან დოლიძე	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა (ნაკვეთი მეორე)978-9941-468-70-4	თბილისი, ლოგოსი	224გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საავტორო სახელმძღვანელო მომზადებულია „ეკონიმიკისა და საჯარო პოლიტიკის“ სასწავლო კურსის ფარგლებში. მისი მიზანია სტუდენტებს დაეხმაროს ეკონომიკისა და საჯარო პოლიტიკის, აგრეთვე ბაზარს, სახემწიფოსა და საზოგადებას შორის არსებული ურთიერთკავშირის შესწავლაში, თანამედროვეობის ორი გამოჩენული მეცნიერის ლინდბლომისა და ფრიდმანის დისკურსების შესწავლის, ანალიზისა და შედარების საფუძველზე. სახელმძღვანელოში ნაჩვენებია, რომ ფრიდმანი სოციალიზმის პირობებში პოლიტიკური ფლურალიოზმის შეუძლებლობას ხსნის სოციალისტური ეკონომიკური სისტემის თავისებურებით, რომელიც არ იძლევა შესაბამის მატერიალურ რესურსებს დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტივობის განვითარებისატვის, მაშინ როცა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა ამის საშუალებას იძლევა. მისთვის ეკონომიკური ხელისუფლება პოლიტიკურის საპირწონეს წარმოადგენს. ფრიდმანისაგან განსხვავებით, ლინდბლომისათვის არარეგულირებული ბაზარი იწვევს უთანასწორობას, ხოლო თანამედროვე პოლიარქიები კი უმცირესობის ბატონობის საშუალებას წარმოადგენენ და მათში მსხვილი ბიზნესი დომინირებს ეკონომიკაში დაკავებული გაბატონებული მდგომარეობის გამო. ნაშრომში ნაჩვენები და კრიტიკულად არის გაანალიზებული ლინდბლომის დაკვირვება ბიზნესის პრივილეგირებული მდგომარეობის წარმოშობის მექანიზმებზე.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი.უბილავა, ა.ტუკვაძე, ე.გელაშვილი	საქართველოს ინდუსრიალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების სამართლებრივი ასპექტები	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “ცხოვრება და კანონი”	თბილისი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი	67–80
2	ა. აბზიანიძე, ა. ტუკვაძე	„რუსული დემოკრატიის „ განვითარების თავისებურებები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ISC SEU 2019 II სტატიათა კრებული 2019 წლის 10 ნოემბერი	თბილისი 2019	136–150
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მალხაზ მაცაბერიძე	უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან: არსებული პრობლემები და გამოწვევები- ISSN 2449 – 2825; E ISSN 2449 – 2833	პოლიტიკა, ტომი 3, 2019 N 3,	თბილისი, თსუ	12 გვ .
2	მალხაზ მაცაბერიძე	ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“) - ISSN 2449 – 2825; E ISSN 2449 – 2833	პოლიტიკა, ტომი 3, 2019 N 5,	თბილისი, თსუ	15 გვ.
3	მალხაზ მაცაბერიძე	ერნსტ რენანის ერის კონცეფცია და საქართველო - ISSN 2449 – 2825; E ISSN 2449 – 2833	პოლიტიკა, ტომი 3, 2019 N 6,	თბილისი, თსუ	15 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **მალხაზ მაცაბერიძე. უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან: არსებული პრობლემები და გამოწვევები**

ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერების საკითხი საქართველოში პერიოდულად ხდება აქტიური განხილვისა და პოლიტიკური დაპირისპირების საგანი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ევროკავშირი ან მისი რომელიმე წევრი ქვეყანა უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეების მიერ ვიზალიბერალიზაციის პირობების დარღვევის გამო. ბოლო ასეთი პერიოდი 2019 წლის აპრილ-მაისზე მოდიოდა, შემდეგ კი აღნიშნული თემა ფაქტობრივად გაქრა მას-მედიაში განხილულ საკითხთა სიიდან. წინამდებარე სტატია ძირითადად ამ პერიოდის მასალების განხილვას ემყარება.

უვიზო რეჟიმის არაკეთილსინდისიერად გამოყენება საქართველოს მოქალაქეთა ნაწილის მიერ ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს „საგანგებო მდგომარეობას“ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, როგორც ეს შეჩერების მექანიზმის პირობებითაა განსაზღვრული.

ამ ეტაპზე შენგენის ზონაში საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის საკითხი პირდაპირი საფრთხის წინაშე არ დგას, რაც ძირითადად რეადმისიის/დაბრუნების მაღალი მაჩვენებლითა და დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებებში თანამშრომლობით არის გამოწვეული. თუკი საქართველოს ხელისუფლება გაატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს და შეამცირებს როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, ისე საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილ კრიმინალს ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველო შეძლებს ვიზალიბერალიზაციის შენარჩუნებას.

2. **მალხაზ მაცაბერიძე. ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“) -**

ქართული ნაციონალიზმის კვლევა ერთ-ერთ აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს. 1920-1930-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში გამოიკვეთა ნაციონალიზმის მიმართულება, რომელსაც ინტეგრალური ნაციონალიზმი შეიძლება ვუწოდოთ. სტატიაში განხილულია ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ერთ-ერთი მიმართულება – "საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის" პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმა.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა, როგორც ორგანიზაცია დაახლოებით სამი წლის განმავლობაში არსებობდა. ეს იყო ქართველ პატრიოტთა ჯგუფის მცდელობა ეპოვნათ საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გზა. მათ სცადეს ეს გზა ეპოვნათ ფაშიზმის საფუძველზე, რომელიც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში წარმატებულ იდეოლოგიად და პოლიტიკურ პროგრამად ჩანდა.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში იყო მხოლოდ თეორიული მიმდინარეობა, რომელსაც როგორც ორგანიზაციას არ უთანამშრომლია არც იტალიელ ფაშისტებთან და არც გერმანელ ნაცისტებთან. ორგანიზაციის დაშლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს მისი ცალკეული წევრები პიროვნულ დონეზე თანამშრომლობდნენ ფაშისტურ რეჟიმებთან.

ფაშისტური რეჟიმების დანაშაულებრივმა საქმიანობამ მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის როგორც იდეოლოგიის დისკრედიტაცია და დაგმობა გამოიწვია. შესაბამისად, ქართული ინტეგრარული ნაციონალიზმის ამ ფორმის შექმნა მხოლოდ ნაციონალიზმის დისკრედიტაციას იწვევდა.

ადამიანები, რომლებიც ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში შედიოდნენ საქართველოს პატრიოტები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც ბევრი რამ აქვთ გაკეთებული ჩვენი ქვეყნისთვის

3. **ერნსტ რენანის ერის კონცეფცია და საქართველო -**

ერნსტ რენანმა მთელი თავისი სამეცნიერო ცხოვრება მიუძღვნა სემიტი ხალხების, მათი ისტორიისა და გენეალოგიის შესწავლას. ამ ნაშრომის შექმნას მან ოცზე მეტი წელი მოანდომა. დასახელებულმა ნაშრომებმა ერნსტ რენანს დიდი აღიარება მოუტანა. თუმცა, ის არანაკლებ ცნობილია ასევე 1882 წლის 11 მარტს სორბონაში წაკითხული ლექციით „რა არის ერი?“. მასში რენანი შეეცადა ერის განსაზღვრების ჩამოყალიბებას. ეს ლექცია მრავალ ენაზე ითარგმნა მან სათავე დაუდო დიდ და ხანგრძლივ დისკუსიას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და პოლიტიკოსები და დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოშიც. რენანის მიერ ჩამოყალიბებულმა ერის განსაზღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე მდგომ მოაზროვნეებზე. მაგალითად, არაერთხელ აღნიშნულა, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ერის შესახებ თანხვედრაშია რენანის პოზიციასთან.

რენანის მოხსენება ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „ივერიამ“ მაშინვე თარგმნა და დაბეჭდა („ივერია“, 1882 N 3, გვ.103-129), აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების ახალი თარგმანი გაზეთმა „ივერიამ“ 1901 წ. 20 თებერვალ-

საც გამოაქვეყნა. ამ ორი თარგმანის შედარება საინტერესოა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფორმირების თვალსაზრისითაც.

„ივერიას“ რედაქცია რენანის ლექციის ხელახლა გამოქვეყნებით იმედოვნებდა, რომ ამჯერად ერის ცნება და ზოგადად ეროვნული თემატიკა ფართო განხილვის საგანი გახდებოდა. ასეთი იმედის საფუძვლად კი მიიჩნევდა 1900 წლის ბოლოს ქართულ პრესაში გამოჩენილ ორ სტატიას: „ეხლახან ვითომდა თავი იჩინა ისევ ჩვენს მწერლობაში ამავე საგანმა და საბაბად კი გაუხდა წერილი ერთის ”შორს მყოფის ქართველისა”, რომელიც ”კვალის” რედაქტორს დაეკითხა: ”წვრილნი ერნი უნდა სცდილობდნენ დაიცვან თავისი ხალხოსნობა თუ არაო”. ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ ”შორს მყოფ ქართველს” პასუხი გასცა (”კვალი”, N 51), მაგრამ ამათ ”ცნობის ფურცელი” გამოელაპარაკა (N 1332) და, როგორც კილო უთხრობს, შესაძლებელია კამათიც გამართონ, თუ მხოლოდ ერთმანეთი ქართულად არ აიგდეს“.

5. ბეჭდური / ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Долидзе, Туквадзе 2019 (June) 53	Россия как особый актор и феномен мировой политики ISBN-10:6200093040 ISBN-13:978-6200093042 ISBN-10:6200093040 Lambert ISBN-13:978-6200093042	Lambert Academic Publishing 2019 გერმანია (June)	53

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია რუსეთის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე და გაცემულია პასუხი კითხვაზე თუ როგორ მოხდა, რომ ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე ქვეყანა გახდა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. ნაშრომის დასაწყისში მოცემულია რუსეთის, როგორც მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული აქტორისა და ფენომენის განსაზღვრება და გამოყოფილია მისი ის თავისებურებები, რომლებიც მას მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებულ აქტორად აქცევს. ნაჩვენებია თუ როგორ ცვლიდა ის თვისებრივად მე-20 საუკუნის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკას, გამოკვეთილია რუსული მოდერნოზაციის ისტორიული წინააღმდეგობანი. რუსეთი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებულ აქტორად იქცა იმ სისტემის ფუნქციონირების შედეგად, რომელიც მოიცავს სტრატეგიული ნედლეულის ექსპორტს, ადამიანური კაპიტალის აქტივიზაციას, რუსეთის საერთაშორისო მნიშვნელობის გაძლიერების პოლიტიკას, მაღალტექნოლოგიური ჩვეულებრივი იარაღის შექმნას, წარმოებასა და გამოყენებას. ამ სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს ქმნის ბირთვული იარაღის დიდი მარაგის ფლობა, უზარმაზარი ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა, პატრიოტიზმი და რუსეთის პოლტიკური სისტემის თავისებურებანი.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Malkhaz Matsaberidze, Otar Janelidze	The Consistuent Assembly of Georgia and issues of Georgian-Russian Relations (april-may 1920) ISSN: 1308-6200 - http://www.dergikaradeniz.com	Karadeniz, 2019, Yar 11, issue 44		pp.30-42
2	М. Мацаберидзе	Роль кыпчаков в истории Грузии и формировании казахской идентичности	Formation of Kazakhstan	Almaty, 2019	pp.63-69

		ISBN – 978-601-304-101-8	Identity: Problems and Prospects. International Scientific and Practical Conference		
3.	М. Мацаберидзе	Грузинская диаспора в Кургане (Турция) ISBN 978-601-304-098-1	вопросы этнической идентификации – Этнополитические Аспекты Реализации Президентской Программы «Рухани Жангыру».	Алматы, 2019	с.89-95

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. Malkhaz Matsaberidze, Otar Janelidze. The Consistuent Assembly of Georgia and issues of Georgian-Russian Relations (april-may 1920) –

სტატიაში წარმოჩენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის აპრილ-მაისში განვითარებული მოვლენებისადმი: 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანში თითქმის უბრძოლველად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, გამოიკვეთა საბჭოთა რუსეთისა და ათათურქის ოსმალეთის კავშირი, რომელიც, ქართველ პოლიტიკოსთა შეფასებით, სამხრეთ კავკასიის გასაყოფად, „ბრესტ-ლიტოვსკის ახალ შეთანხმებას“ ემსგავსებოდა. ბოლშევიზმის საფრთხე საქართველოსაც რეალურად დაემუქრა. შექმნილ სიტუაციაში, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, როგორც თავდაცვის, ისე საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებისათვის მზადყოფნა გამოხატა. მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რომ ერთიც აუცილებელი გახდა და მეორეც: 1920 წლის მაისის დამდეგს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან წითელი არმიის შენაერთები საქართველოს ფარგლებში შემოიჭრნენ. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგე მოიგერიეს და უკანვე გააბრუნეს.

სტატიაში გამოვლენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის მაისში მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების უცნობი დეტალები; გაშუქებულია დამფუძნებელი კრებაში შემავალი ქართული პოლიტიკური სპექტრის თვალსაზრისი ბოლშევიზმის, როგორც საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის, მისი იმპერიალისტური ბუნებისა და იდეოლოგიისადმი; გაანალიზებულია საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს 1920 წლის 30 აპრილისა და 1920 წლის 11 მაისის სხდომების მუშაობა, რომელიც კრიტიკულ ვითარებაში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირების საკითხებს მიეძღვნა.

2. М. Мацаберидзе. Роль кыпчаков в истории Грузии и формировании казахской идентичности –

ყივჩაღების შესახებ დღეს ბევრი იწერება და მრავალი ხალხი მიიჩნევს თავს მათ შთამომავლად. ამ ხალხებს შორის, რასაკვირველია, პირველ რიგში ყაზახები უნდა დავასახელოთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყივჩაღების შესახებ მოთხრობილია საქართველოს ისტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში, ქართველი და ყაზახი ხალხების ურთიერთობის ისტორია შეიძლება საინტერესო ეპიზოდით შეივსოს.

სტატიაში განხილულია დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლებისა და დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობის ასახვა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში (1943-2012 წწ.) ასევე წარმოდგენილია, თუ როგორ არის ასახული ეს ფაქტი თანამედროვე ყაზახეთში არსებულ ისტორიულ პუბლიცისტიკაში.

3. М. Мацаберидзе. Грузинская диаспора в Кургане (Турция): вопросы этнической идентификации –

სტატიაში შესწავლილია ქ. ყურღანში (თურქეთი) და მის გარშემო სოფლებში მცხოვრები ქართველების ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხები. ქართული დიასპორა იქ 1877-1878 წლების რუსეთ-

თურქეთის ომის შემდეგ გაჩნდა. დღეს მათ გააჩნიათ ორმაგი იდენტობა. ყურღანის ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მთლიანად ინტეგრირებულია თურქულ საზოგადოებაში. ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან და მათში თურქული იდენტობა დომინირებს. მათთან ქართული იდენტობა მეორად ხასიათს ატარებს.

სტატიაში განხილულია ყურღანის ქართული დიასპორის ქართული იდენტობის ელემენტები: ისტორიული მეხსიერება, რომელიც დიასპორის წარმოშობის ისტორიაა, აბსოლუტურ უმრავლესობას ახსოვს თავისი ქართული გვარები. ქართული იდენტობის არსებობის უმთავრესი ფაქტორი კი ქართული ენის შენარჩუნებაა, თუმცა ახალგაზრდობამ ცუდად იცის ქართული. ყურღანელი ქართველები, როგორც თავად ამბობენ, სხვებისგან გარეგნული იერითაც განირჩევიან და ერთმანეთს მაშინვე ცნობენ. ქართული იდენტობა იმაშიც ვლინდება, რომ უნდათ საქართველოს მოქალაქეობის მიღება.

ყურღანის ქართული დიასპორის საქართველოსთან კონტაქტების გაფართოების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ქართული იდენტობის შენარჩუნება და განმტკიცება.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სალომე დუნდუა, თამარ ქარაია	The “No to Khudoni Hydro Power Plant!” Social Movement in Georgia ISSN 1582-4551	Studia Politica: Romanian Political Science Review . 2019, Vol. 19 Issue 2, p215-235	რუმინეთი	20
2					

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ხუდონჰესის შესასწავლი საკითხი უახლესი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან პრობლემათა სპექტრს მიეკუთვნება, რომლის შესახებაც განსხვავებული პოზიციები და არგუმენტები პროექტის გაჩენის დღიდან დღემდე, თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე, პრაქტიკულად, კვლავ არ კარგავს აქტუალობას. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია ხუდონის პროექტის ეკონომიკური სარგებლისა და ამის საპირისპიროდ, ეკოლოგიური (და არა მარტო) საფრთხეების შესახებ წარმოებული დისკუსია. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ხუდონჰესის მშენებლობის საკითხის დღის წესრიგის დაყენებაზე, მოქალაქეთა გააქტიურების რამდენიმე ფაზაზე, მშენებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტებზე, პროცესში ჩართული ინსტიტუციური და არაინსტიტუციური აქტორების ფაქტორებზე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**А. Туквадзе, Н. Шуленина, Е. Гелашвили**	ISSN 2227-1538 eISSN 2307-4590 ПОЛИТИЧЕСКОЕ ЛИДЕРСТВО В СОВРЕМЕННОЙ ГРУЗИИ И РОССИИ (КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКИЙ КОНТЕКСТ)	PolitBook – 2019 – 3	Published by: Institute of Social and Political Sciences Address: 66 – 7, Graghdanskay st., Cheboksary, Russia, 428023 **E-mail**: editor@politbook.online **http://politbook.online**	126–144

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სისტემა ტრანსფორმაციის პროცესშია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტოტალიტარიზმიდან მემკვიდრეობით მიღებული ქვეშევრდომული კულტურის ელემენტები და სტერეოტიპები, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბებული ხალხის მენტალიტეტი, ქცევები, ფსიქოლოგია, ისტორიული გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა, დამოუკიდებლობის ხარისხი,

ეროვნული თვითმყოფადობა, რელიგია, სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიის თავისებურებები, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე–რაოდენობა; მეორე მხრივ, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მმართველობით კულტურა და ღირებულებები. ყოველივე გამოხატულებას პოულობს ლიდერობის ფენომენში, ქცევებში, მმარTველობის სტილში,იდეოლოგიურ ორიენტირებში.

ქართულ რეალობაში განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ლიდერზე საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და გარედან მოიმედოობის, „უცხოს ბაძის“ მენტალიტეტი, ხოლო რუსულ სინამდვილეში საპირისპირო ტრადიცია ფორმირდა საუკუნეების განმავლობაში: დასავლური ლიბერალური ღირებულებების, კულტურის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ასევე, დღეს „მტრის ხატის“ კონტექსტში აშშ–ის ევროკავშირი პოლიტიკის აღქმა.

გარდამავალი პერიოდის ლიდერების კომპარატიული ანალიზი საქართველოსა და რუსეთის სინამდვილეში საშუალებას იძლევა დავასკვნათ: სუსტი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების არსებობა, ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთ პოზიციაზე დგომის ტრადიციები, განაპირობებებს ხელისუფლებაზე ზემოქმედების სუსტი ბერკეტების არსებობას, რაც საბოლოო ჯამში ფართო გასაქანს აძლევს ქარიზმული ლიდერის უნარ–ჩვევების, ჩანაფიქრის რელიზაციას; პოლიტიკური ლიდერი არ იზღუდება ინსტიტუტების მხრიდან და არც საზოდოებაშია მასობრივი მოთხოვნა კონსტიტუციურ მმართველობაზე. აქედან გამომდინარე, ორივე ქვეყანაში ლიდერები ახერხებენ სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერებას, მთელი ძაუფლების აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაქაჩვას და ავტორიტარული მმართველობის სამართლებრივად გაფორმებას; უნდა დავეთანხმოთ ნ.სარკოზის შეფასებას, რომ დიდი ლიდერები მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში არის შესაძლებელი გაჩნდნენ, ხოლო დიდი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადობისა და ხელისუფლებაზე ზეწოლის ლეგიტიმური ინსტიტუტების პირობებში მათი მოქმდების არეალი იზღუდება და მათი ხელისუფლებაში ყოფნა შეუძლებელია.

ვ. პუტინი საერთო ეროვნული მასშტაბის ავტორიტარული ტიპის ლიდერია რუსეთის სინამდვილეში და ყოვლად გაუმართლებელია მისი მეხანძრე ლიდერთან გაიგივება, რადგანაც მრავალმხრივი და ყოვლიმომცველია მის მიერ გატარებული რეფორმები და საქმიანობის მასშტაბები. ზ. გამსახურდიას მოღვაწეობა მოუხდა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტების არ არსებობის პირობებში, და მოკლე დროის მანძილზე ის ვერ ფორმირდა წარმატებულ პოლიტიკურ ლიდერად; ე.შევარდნაძისთვის ახალ გარემოებაში მოღვაწეობის პროცესში საკმარისი არ აღმოჩნდა ნომენკლატურული ელიტის უნარ–ჩვევები, რომელიც გეგმაზომიერ ეკონომიკასა და პოლიტიკაზე იყო გათვლილი; მ. სააკაშვილმა ინსტიტუტების გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის ხარჯზე მოახერხა მმართველობის ავტორიტარული ფორმის იურიდიული გაფორმება და გატარებული რეფორმებისა და დაუბალანსებელი საგარეო პოლიტიკის ფონზე არ ეყო მმართველ ძალას ინტელექტუალური რესურსები და მარცხი განიცადა. ბიძინა ივანიშვილი ავლენს რაციონალურ–ბიუროკრატიული ლიდერის უნარ–ჩვევებს, მაგრამ კადრების ხშირი ცვლილებების ფონზე ნაკლები წარმატებებია ეკონომიკის და საგარეო პოლიტიკის სფეროებში.

გარდამავალი პერიოდის ლიდერების კომპარატიულმა ანალიზმმა საქრთველოსა და რუსეთში გვიჩვენა: კონკრეტული ქვეყნის ისტორია და პოლიტიკური კულტურა განმსაზღრელ გავლენას ახდენს მოცემული ხალხის მოთხოვნად ლიდერობის ნიშან–თვისებების ფორმირებაზე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დოლიძე	Посткоммунистическая трансформация и Циклы Политического Развития Грузии DOI : 10.2411/2618-7426-2019-00006 ISSN26187426	Постсоветские Исследования Т. 2N1(2019) https://www.postussr.org/o-zhurnal	მოსკოვი, რუსეთი	885-892
2	დოლიძე, ტუკვაძე	Феномен России В мировой политике	Постсоветские Исследования Т. 2N4(2019)	მოსკოვი,რუსეთი	1187-1194

		DOI;10244/2618-742-2019-00036	https://www.postussr.org/o-zhurnal		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. უკვე 27 წელა, რაც საქართველო არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მათგან 21 წელი ის ვითარდებოდა ავტორიტარიზმის პირობებში და მხოლოდ 2012წლიდან იწყებს მის პოლიტიკურ განვითარებაში დომნირებას დემოკრატიული ვექტორი. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია კითხვა თუ რა ამუხრუჭებდა საქართველოს დემოკრატიზაციას? მოცემულ სტატიაში ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს ამ კითხვას. ამ მიზნით სისტემური და პრობლემურ ისტორიული მიდგომების საფუძველზე იხილავს ურთიერთკავშირს ქვეყნის პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასა და პოლიტიკურ განვითარებას შორის. გამოყოფილია საქართველოს პოლიტიკური განვითარების ციკლები და ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც პოსტკომუნისტური განვითარების თავისებურებები აყალიბებდნენ ქარიზმატულ ლიდერებს , რომლებიც აღმავებდნენ დეკომუნიზაციას და ამუხრუჭებდნენ დემოკრატიზაციის პროცესებს. დემოკრატიზაცია განხილულია, როგორც დეკომუნიზაციის ნაწილი. ავტორის აზრით, დეკომუნიზაცია რეალური სოციალიზმის თანადათანობით გაქრობის სოციეტალური პროცესია, რომელიც მოიცავს ეკონომიკას, სოციალურ-სტრატიფიკაციურ სისტემას, იდეოლოგიას, კულტურასა და პოლიტიკას. მას აქვს ღია და ლატენტური ფორმები. ლატენტური სტადია ვითარდება "განვითარებული სოციალიზმის" დროს ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართოდ გავრცელების პირობებში.
სსრკ-ს ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის შედეგად ის გადადის პოსტკომუნიზმში. ხელისუფლებაში გამსახურდიას მოსვლის შედეგად ხდება დემოკრატიზაციის ტრანსფორმაცია ავტორიტარიზმში, რომელიც შეიცვალა ხანმოკლე დემოკრატიზაციით შევარდნაძის მართველობის ბოლოს. ხელისუფლებაში "ქართული ოცნება-დემოკრატიული სააქრთველოს" მოსვლის შემდეგ ,საქართველო გადადის დემოკრატიზაციის ფაზაში, რომლის ტრასფორმირებაც ხდება არაკონსოლიდირებულ დემოკრატიაში. ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ დემოკრატიზაცია საქართველოში წარმოადგენსა საბჭოთა სოციეტალური სისტემის დასლის შედეგს და ის გადადის არაკონსოლიდიდრებულ დემოკრატიაში დეკომუნიზაციის დამთავრების შედეგად, როცა ქრება პოლიტიკური ლიდერების ქარიზმის გაჩენის შესაძლებლობა, რაც აბრკოლებდა დემოკრატიზაციის ტრანსფორმაციას დემოკრატიაში.

2. რუსეთის ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში –ეს არის მისი ისტორიული განვითარების სპეციფიკის შედეგი, როცა ეკონომიკის მოდერნიზაცია არსებითად ჩამორჩებოდა არმიის, ადმინისტრაციის, განათლებისა და პოლიტიკის ევროპეიზაციას. ისტორიული განვითარების შედეგად, რუსეთი იქცა ქვეყნად, სადაც ფუნდამენტალური პოლიტიკური ცვლილებები ასეთივე ცვლილებებს იწვევდნენ საერთაშორისო პოლიტიკაში. რუსეთი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული აქტორია, რომელსაც ახასიათებს სტრატეგიული ნედლეულის ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკის შერწყმა სამხედრო ძალასთან და იმის შესაძლებლობასთან, რომ თავისი აქტიურობით მიზანმიმართულად შეცვალოს ძალთა განლაგება მსოფლიო პოლიტიკაში ძალისა და გავლენის ძველი ცენტრების აქტიური წინააღმდეგობის პროცესში. მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებულ აქტორად რუსეთს აქცევს იმ სისტემის ფუნქციონირება, რომელიც შეიცავს სტატეგიული ნედლეულიდ ექსპორტს; ადამიანური კაპიტალის გააქტიურებას;მაღალტექნოლოგიური ჩვეულებრივი იარაღის შექმნას, წარმოებასა და გამოყენებას. ამ სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს ქმნიან: ბირთვული იარაღის ფლობა, მოსახლეობისა და ტერიტორიის ზომები; მოსახლეობის პატრიოტიზმი და რუსეთის პოლიტიკური სისტემა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მალხაზ მაცაბერიძე	ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა")	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი, 22 თებერვალი 2019
2	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრი	„საქართველოს დამფუძნებელი კრება-100". სამეცნიერო კონფერენცია - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული

			უნივერსიტეტი, 11 მარტი, 2019 წელი
3	მალხაზ მაცაბერიძე	კონსტიტუციის განხილვა და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ	-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 14 მარტი, 2019
4.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა (ბათუმი, 1921 წლის 17 მარტი) –	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი“. ბათუმი 2019 წლის 2 აპრილი
5.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღდგენა და ფაქტობრივი დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა	სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ეროვნული ხელისუფლების პირველი ღონისძიებები“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 16 აპრილი 2019
6.	მალხაზ მაცაბერიძე	ლავრენტი ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ როგორც რეპრესიების აუცილებლობის ისტორიული და თეორიული დასაბუთება -	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. კომუნისტური რეპრესიები საქართველოსა და პოლონეთში 1918-1989/1991. საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 7-8 მაისი 2019
7.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ერი-სახელმწიფოს კონცეფცია -	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის და რელიგიის კვლევების ინსტიტუტი. საერთაშორისიო კონფერენცია „ეროვნული იდენტობის ფორმირების პრობლემები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“. ბათუმი, 14-15 მაისი 2019
8.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა	საქართველოს პარლამენტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

			სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამფუძნებელი კრება - ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“. თბილისი, 29 მაისი, 2019
9.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დამფუძნებელი კრება და დამოუკიდებელი საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება -	VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. თბილისი, თსუ, 20-22 ივნისი 2019
10.	მალხაზ მაცაბერიძე	როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით -	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია. „პარლამენტარიზმი საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“ ბათუმი, 27 ნოემბერი, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მალხაზ მაცაბერიძე. ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“) - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი, 22 თებერვალი 2019

წარმოადგენს. 1920-1930-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში გამოიკვეთა ნაციონალიზმის მიმართულება, რომელსაც ინტეგრალური ნაციონალიზმი შეიძლება ვუწოდოთ. მოხსენებაში განხილულია ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ერთ-ერთი მიმართულება – “საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის” პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმა. ქართული ფაშისტური დარაზმულობა, როგორც ორგანიზაცია დაახლოებით სამი წლის განმავლობაში არსებობდა. ეს იყო ქართველ პატრიოტთა ჯგუფის მცდელობა ეპოვნათ საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გზა. მათ სცადეს ეს გზა ეპოვნათ ფაშიზმის საფუძველზე, რომელიც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში წარმატებულ იდეოლოგიად და პოლიტიკურ პროგრამად ჩანდა.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში იყო მხოლოდ თეორიული მიმდინარეობა, რომელსაც როგორც ორგანიზაციას არ უთანამშრომლია არც იტალიელ ფაშისტებთან და არც გერმანელ ნაცისტებთან. ორგანიზაციის დაშლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს მისი ცალკეული წევრები პიროვნულ დონეზე თანამშრომლობდნენ ფაშისტურ რეჟიმებთან. ფაშისტური რეჟიმების დანაშაულებრივმა საქმიანობამ მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის როგორც იდეოლოგიის დისკრედიტაცია და დაგმობა გამოიწვია. შესაბამისად, ქართული ინტეგრარული ნაციონალიზმის ამ ფორმის შექმნა მხოლოდ ნაციონალიზმის დისკრედიტაციას იწვევდა.

2. მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრი -„საქართველოს დამფუძნებელი კრება-100“. სამეცნიერო კონფერენცია - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, 11 მარტი, 2019 წელი

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რომლის ძირითადი არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა, შესვლას შეეცადა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ყველა პოლიტიკური ძალა, ასევე სპეციალურად საარჩევნოდ შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა 15 პოლიტიკური სუბიექტი. მოხსენებაში დახასიათებული და დაჯგუფებულია აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტები. განხილულია დამფუძნებელი

კრების პარტიულ-ფრაქციული შემადგენლობა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა და მისი არსებობის ორწლიანმა პერიოდმა გამოკვეთა გარკვეული ტენდენციები ქართული პოლიტიკური სპექტრის განვითარებაში. კერძოდ, მემარცხენე პოლიტიკური პარტიების დომინირება (მათ ჰყავდათ ჯერ 122, შემდეგ 120 დეპუტატი დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან). სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასუსტების ტენდენცია (109 დეპუტატიდან 92 დეპუტატამდე შემცირება), 1921 წლის დამდეგისთვის კი რადიკალური მემარცხენე ფრთის წარმოქმნა („ახალი სხივის“ ჯგუფი) და მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაერთიანება („დემოკრატიული პარტიის“ შექმნა).

3. მ. მაცაბერიძე. კონსტიტუციის განხილვა და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ -საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 14 მარტი, 2019

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის შემუშავებას და მისი მიღება მიაჩნდათ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მთავარი მიზანი, იმ დროს გაბატონებული შეხედულების თანახმად, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლების განსაზღვრა, ანუ ქვეყნის კონსტიტუციის შემუშავება იყო.

კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა. ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო, 1921 წლის 21 თებერვალს კი, როდესაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო კონსტიტუცია, თბილისის მისადგომებთან ბრძოლები მიმდინარეობდა.

კონსტიტუცია, რომელიც სტამბური წესით ბათუმში დაიბეჭდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უცხოეთში წასვლის წინ, დარჩა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ. მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრისა და, მასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. 1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ გამოცდილებას წარმოადგენს. მასში აისახა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, აგრეთვე ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები.

4. მ. მაცაბერიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა (ბათუმი, 1921 წლის 17 მარტი) – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი“. ბათუმი 2019 წლის 2 აპრილი

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა 1921 წლის 17 მარტს გაიმართა ბათუმში. ცხადია, რომ ამ სხდომას დიდი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში ჯერ მიკვლეული არ არის და სხდომაზე განვითარებული მოვლენების შესახებ მსჯელობა მეორადი წყაროების მეშვეობით გვიხდება.

თავის უკანასკნელ სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა მთავრობის მოხსენება „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ“ („სოციალისტ-ფედერალისტი“, 12 აპრილი 1921). შეფასებები რადიკალურად განსხვავებული იყო. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებმა მთავრობას ნდობა გამოუცხადეს, ყველა ოპოზიციურმა ფრაქციამ კი უარყოფითად შეაფასა მთავრობის საქმიანობა. ორივე მხარემ შესაბამისი რეზოლუციის პროექტები წარადგინეს, ოპოზიციის რეზოლუციის უარყოფის შემდეგ კი, როგორც ჩანს, მათ მიატოვეს სხდომა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას განსხვავებული ინფორმაცია დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ.

5. მ. მაცაბერიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღდგენა და ფაქტობრივი დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა - სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ეროვნული ხელისუფლების პირველი ღონისძიებები“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 16 აპრილი 2019

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღდგენა, სამართლებრივი თვალსაზრისით უნაკლო, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევა რთული იქნებოდა. საქართველოს თავი უნდა დაეღწია

საბჭოთა კავშირისთვის, რომლის ხელმძღვანელობასაც უკვე დაწყებული ჰქონდა ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ.

დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხელისუფლებისაგან, ერთი მხრივ, მოითხოვდა კონსტიტუციურ ცვლილებებს და კანონმდებლობის ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას. მეორე მხრივ, საქართველო უნდა გამკლავებოდა კრემლის საპასუხო რეაქციას, რომელიც ცხადი იყო, რომ არ იქნებოდა კეთილგანწყობილი, სამართალსა და სამართლიანობაზე დამყარებული.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოსკოვის მხრიდან მოსალოდნელ რეაქციასთან დაკავშირებით, 9 აპრილს მიიღეს ორი მიმართვა, ერთი მსოფლიოს ხალხებისადმი და მეორე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი. გორბაჩოვისადმი მიმართვაში იმედი იყო გამოთქმული, რომ ის ბოლომდე ერთგული იქნებოდა „დემოკრატიული პრინციპებისა“ და საქართველოს აღიარებდა „დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ“. თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამდა „ახალ პრინციპებზე დაყრდნობით“ განევითარებინა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები „როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირთან, ასევე მის შემადგენლობაში მყოფ ცალკეულ რესპუბლიკებთან“.

მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაში კი ხაზგასმული იყო საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიული ქმედებები და ითხოვდნენ მხარი დაეჭირათ „თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალებისათვის მებრძოლი ხალხის ნებას“, არ დაეშვათ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეეწყოთ საქართველოს რესპუბლიკის ცნობისა და დამკვიდრებისათვის „დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“.

6. მ. მაცაბერიძე. ლავრენტი ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ როგორც რეპრესიების აუცილებლობის ისტორიული და თეორიული დასაბუთება - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. კომუნისტური რეპრესიები საქართველოსა და პოლონეთში 1918-1989/1991. საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 7-8 მაისი 2019

ლ.ბერიამ მოხსენება წაიკითხა თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის 21-22 ივლისს. ლავრენტი ბერიას მიერ წაკითხული და შემდეგ მრავალზის გამოცემული ამ ნაშრომის უმთავრესი მიზანი სტალინის ბიოგრაფიის რეჟიმისათვის სასურველი ვერსიის ფორმირება იყო. 1929 წელს, სტალინის 50 წლის იუბილე საგანგებოდ აღინიშნა, ცხადი გახდა მისი ოფიციალური ბიოგრაფიის დაწერის აუცილებლობაც.

სტალინის ბიოგრაფიის უმთავრესი დებულებები ცნობილი იყო: სტალინი ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ პარტიას და მიიყვანა გამარჯვებამდე; სტალინი ესაა ლენინი დღეს. სტალინი ბიოგრაფიის ყველაზე სუსტი ადგილი მისი ახალგაზრდობის პერიოდი იყო, როდესაც ის კავკასიაში საქმიანობდა და სულაც არ მიიჩნეოდა ლიდერად. სწორედ ამ „ხარვეზის“ შევსება გადაწყვიტა ბერიამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის“ შექმნით.

ამავე დროს ბერიას მოხსენება სხვა მიზანსაც ემსახურებოდა. ეს იყო უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პოლიტიკური რეპრესიების ისტორიულ-თეორიული დასაბუთება. თავის ვრცელ მოხსენებაში ბერია გამოყოფს „მტრებს“ რომელთა წინააღმდეგ იბრძოდა სტალინი და რომელთა პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება აუცილებელი იყო.

7. მ. მაცაბერიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ერი-სახელმწიფოს კონცეფცია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის და რელიგიის კვლევების ინსტიტუტი. საერთაშორისიო კონფერენცია „ეროვნული იდენტობის ფორმირების პრობლემები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“. ბათუმი, 14-15 მაისი 2019

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს ფორმირებას ნიშნავდა. თუმცა ამ საკითხის გააზრება იმდროინდელი მმართველი პოლიტიკური ძალის - სოციალ-დემოკრატიის მიერ მხოლოდ მოგვიანებით მოხდა და სერიოზულ იდეურ ტრანსფორმაციას უკავშირდებოდა ეროვნული საკითხის გააზრების კუთხით.

„პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პოზიციიდან ეროვნული ინტერესების დაცვის პოზიციისაკენ გადასვლას შეიძლება თვალი გავადევნოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრავალი წარმომადგენლის პუბლიკაციებსა და გამოსვლებში. მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს

დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილი გაზეთ „ერთობის“ მოწინავე წერილები 1918 წელს, ასევე ვიქტორ ნოზაძის მიერ 1918 წელს გამოქვეყნებული წერილები გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ (ქუთაისი). ვიქტორ ნოზაძე ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც შეეცადა საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს, თეორიულ დასაბუთებას. ვიქტორ ნოზაძის წერილი „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო - საქართველო“ გამოქვეყნდა გაზეთ „ერთობაში“ 1919 წლის 9 და 11 მარტს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების (1919 წლის 12 მარტი) წინა დღეებში. მას თან ახლდა შენიშვნა: „ამ წერილების ზოგიერთ თეორიულ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს“, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებდა საკითხის გააზრების რთულ პროცესს.

თავიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ფაქტობრივად მიიჩნევდნენ ტაქტიკურ ნაბიჯად და ასეთი პოზიცია ჩანს კიდეც რუსეთის სოციალ-დემოკრატებისათვის გაგზავნილ წერილში (1918 წლის მაისის ბოლო), თუმცა მალე მოხდა ქართველი სოციალ-დემოკრატების გამიჯვნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა (1918 წლის ნოემბერი).

საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს კონცეფცია თანმიმდევრულად იქნა გატარებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს. საკონსტიტუციო კომისია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა. „დღეს ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი“, - აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. სწორედ ერი-სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხიც.

საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს ფორმირებას მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციამ, რომლის შედეგებმაც პოსტსაბჭოთა პერიოდშიც იჩინა თავი.

8. მ. მაცაბერიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა - საქართველოს პარლამენტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამფუძნებელი კრება - ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“. თბილისი, 29 მაისი, 2019.

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობის უმთავრესი შედეგი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღებაა. ეს პროცესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა. ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო, 1921 წლის 21 თებერვალს კი, როდესაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო კონსტიტუცია, თბილისის მისადგომებთან ბრძოლები მიმდინარეობდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შეიქმნა იმ სახით, როგორც ეს წარმოედგინა იმდროინდელ წამყვან პოლიტიკურ ძალას – სოციალ-დემოკრატიას. სხვანაირად ეს შეუძლებელიც იყო. სოციალ-დემოკრატების უმრავლესობას კარგად ესმოდა, რომ მათი პარტიული მიზანი – სოციალიზმის მშენებლობის და წყება საქართველოში ნაადრევი იყო და მიუხედავად ასეთი ცალკეული მოთხოვნებისა, მკაფიოდ გაიმიჯნა ერთმანეთისგან პარტიული დოქტრინა და კონსტიტუცია. შესაბამისად, ისინი ცდილობდნენ შეექმნათ არა სოციალისტური, არამედ თანმიმდევრულად დემოკრატიული კონსტიტუცია.

მთლიანობაში თუ გადავხედავთ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულებას კონსტიტუციისადმი, დავინახავთ, რომ მას, ძირითადად სამი პოზიციიდან აკრიტიკებდნენ: მემარჯვენეები, როგორც სოციალისტურს; მემარცხენე რადიკალები, როგორც არასაკმარისად სოციალისტურს, ანდა პირდაპირ ბურჟუაზიულს; ეროვნულ უმცირესობათა ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც თავისი ეთნოსისათვის უფრო მეტ უფლებებს მოითხოვდა. საკონსტიტუციო საკითხებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციასთან ყველაზე ახლოს ფედერალისტები იდგნენ, რომლებიც, მიუხედავად მარქსიზმისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, იზიარებდნენ სოციალისტურ იდეოლოგიას და, მთლიანობაში, ღებულობდნენ კონსტიტუციას, რომლის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პარტიის წარმომადგენლებიც.

მთლიანობაში თუ განვიხილავთ, 1921 წლის კონსტიტუცია შეიძლება გამხდარიყო თანხმობის საფუძველი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის, ანუ შეესრულებინა კონსტიტუციის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება. მართალია ზოგის აზრით ის სოციალისტური ტენდენციების შემცველი, ანდა პირიქით, ნაკლებად სოციალისტური იყო, მაგრამ ძირითადში, კონსტიტუცია, რომელიც თანმიმდევრულად ამკვიდრებდა დემოკრატიულ წყობილებას, მისაღები იყო საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალისათვის.

9. მ. მაცაბერიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრება და დამოუკიდებელი საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება - VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. თბილისი, თსუ, 20-22 ივნისი 2019

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის, საქართველოში არსებობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ჩამოყალიბდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შემდეგ ამ პარტიების ნაწილი, რომელთაც ადგილობრივი დასაყრდენი ჰქონდათ, საფუძვლად უნდა დასდებოდა საქართველოს პარტიულ სისტემას, სხვები კი გამქრალიყვნენ ქართული პოლიტიკური სცენიდან. გარდა ამისა, საჭირო იყო არჩევნების გზით საქართველოში მოქმედი პარტიების რეალური გავლენის გამორკვევა. ამ ამოცანების გადაჭრა წილად ხვდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომლის ძირითადი არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა 15 პოლიტიკური სუბიექტი. ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფად გავყოთ:

- პოლიტიკური პარტიები და მათი განაყოფები - 7 სუბიექტი;
- არჩევნების წინ შექმნილი ქართული ინტელიგენციის პოლიტიკური ჯგუფები - 3 სუბიექტი;
- ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური გაერთიანებები - 3 (4) სუბიექტი;
- უცხოური პოლიტიკური პარტიები - 2 სუბიექტი.

არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნოდ ნაჩქარევად შექმნილმა ინტელიგენციის პოლიტიკურმა პარტიებმა (უპარტიოთა კავშირი, შოთა რუსთაველის პარტია, ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა) ვერ მოიპოვა ელექტორატის მხარდაჭერა და მათ ერთი დეპუტატის გაყვანაც ვერ შეძლეს დამფუძნებელ კრებაში.

ამომრჩეველთა მხარდაჭერა ასევე ვერ მოიპოვეს ეროვნული უმცირესობების სახელით მოქმედმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა (საქართველოს მუსლიმთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა კავშირი, საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი, აფხაზთა ეროვნული პარტია)

არჩევნების მონაწილე უცხოური პოლიტიკური პარტიებიდან სამი დეპუტატის გაყვანა შეძლო სომხეთის რევოლუციური ფედერაცია „დაშნაკცუტიუნმა“, საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

დამფუძნებელი კრების არჩევნებმა და მისი არსებობის ორწლიანმა პერიოდმა გამოკვეთა გარკვეული ტენდენციები ქართული პოლიტიკური სპექტრის განვითარებაში. კერძოდ, მემარცხენე პოლიტიკური პარტიების დომინირება (მათ ჰყავდათ ჯერ 122, შემდეგ 120 დეპუტატი დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან). სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასუსტების ტენდენცია (109 დეპუტატიდან 92 დეპუტატამდე შემცირება), 1921 წლის დამდეგისთვის კი რადიკალური მემარცხენე ფრთის წარმოქმნა („ახალი სხივის“ ჯგუფი) და მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაერთიანება („დემოკრატიული პარტიის“ შექმნა).

10. მ. მაცაბერიძე. როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია. „პარლამენტარიზმი საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“ ბათუმი, 27 ნოემბერი, 2019

1921 წლის კონსტიტუციის 61-ე მუხლის თანახმად, „... არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას“. იმავე მუხლის თანახმად, „პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს“. 1921 წ. ნოემბრის პირველი კვირა დღე იყო 6 ნოემბერი. საქართველოსთვის თავი რომ დაენებებინათ 1921 წ. 6 ნოემბერი იქნებოდა ღირსშესანიშნავი დღე ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. ოკუპირებულ საქართველოში არავის გახსენებია თუ რა უნდა მომხდარიყო 6 ნოემბერი. ეს იყო რიგითი საბჭოური დღე, 7 ნოემბრისათვის „მზადებით“.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე კუხიანიძე	ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციის პრობლემა	VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტერგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“ 2019 წლის 20-22 ივნისი
2	Alexandre Kukhianidze	Border Protection and Hybrid War in Georgia	Studying Border Regions in the Post-Soviet Space Different Methods, Scales and Areas 26-28 November 2019, Tbilisi State University, Georgia

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სალომე დუნდუა	„საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ქართულ პოლიტიკაში: სახელისუფლებო დისკურსის ანალიზი“	21-23 ივნისი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოცემული მოხსენება მიზნად ისახავდა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განხილვას ქართულ სახელისუფლებო დისკურსში; კონკრეტულად კი, საქართველოს პრეზიდენტების, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის საჯარო გამოსვლების, წინასაარჩევნო პროგრამების, ოფიციალური განცხადებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართვების ანალიზის საფუძველზე განვიხილეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ძირითადი მიმართულებები, მისი ცვლილებები და ამ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ავთანდილ ტუკვაძე ირაკლი უბილავა	„სუვერენული დემოკრატია“ რუსული დემოკრატიის დინამიკური მოდელი	თსუ, თბილისი 2019 წლის 20–22 ივნისი
2	ა. აბზიანიძე, ა. ტუკვაძე	„რუსული დემოკრატიის „ განვითარების თავისებურებები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ISC SEU 2019 II სტატიათა კრებული 2019 წლის 10 ნოემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

„სუვერენული დემოკრატია“–რუსული დემოკრატიის დინამიკური მოდელი

პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის პროცესში შეუძლებელი გახდა დასავლურ ლიბერალური დემოკრატიის ტრანსპლანტაცია: მმართველი ელიტის მცდელობას მოჰყვა პოლიტიკური სისტემის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტების ქაოტურ ფუნქციონირება. უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, სახელისუფლო ვერტიკალის ზედა, ელიტურ საფეხურზე, რადიკალურ ლიბერალურ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი, პროდასავლური აზროვნების მქონე უმცირესობა აღმოჩნდა. რუსეთის სინამდვილეში კი, ეს გახლდათ ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გაზარდა ანტიგლობალისტური

ტენდენციები და შესაბამისად, მოთხოვნილება ანტილიბერალურ პოლიტიკურ თეორიებზე და გამოიწვია კონსერვატიული და სოციალისტური პოლიტიკური იდეების აღმავლობა, და ხალხის ცნობიერებაში, ამ უკანასკნელი პოლიტიკური დოქტრინების გამაერთიანებელ პერსონიფიცირებულ პოლიტიკურ ფიგურაზე ორიენტაცია. რუსეთის ისტორიის განვითარების ყველა ეტაპზე, რუსული პოლიტიკური აზრი სახელმწიფოსა და ცივილიზაციის განვითარების სპეციფიკურ, ევროპისა და დასავლეთისგან განსხვავებულ ქრისტიანული ღირებულებებისა და დემოკრატიის ფასეულობებზე აკეთებდა აქცენტს („სლავიანოფილობა"); ხალხის პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ძლიერ სახელმწიფოს და ქარიზმულ ლიდერს უკავშირდება. რუსეთში დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც „მედასავლეთელები" ქადაგებდნენ ვერ გაამართლებდა ორი მიზეზის გამო: პირველი, რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორია და თანამედროვეობა არის განუწყვეტელი გაფართოების პროცესი, რომელსაც მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო, ძლიერი ჯარი, მოსახლეობის სწრაფი მობილიზაცია ჭირდებოდა და, მეორე, უზარმაზარი ტერიტორიის ფლობა და მართვა ერთმმართველობას მოითხოვდა: დიდი ზომის სახელმწიფოს მართვის სირთულეზე მიუთითებენ არისტოტელე, რუსო, მონტესკიე და საშუალო ზომის სახელმწიფოს უპირატესობებზე აკეთებენ აქცენტს. ეს ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა სახელმწიფოს ტერიტორიულ სიდიდესა და მმართველობის სირთულეს შორის დასტურდება რუსეთის სინამდვილეში.

ძლიერი ხელისუფალის მოთხოვნის რუსულმა ტრადიციამ ხელახალი აღორძინება ჰპოვა პუტინის მმართველობით და ღირებულებათა კონცეფციაში „სუვერენული დემოკრატიის" დოქტრინის ფორმით. „სუვერენული დემოკრატია" არის რუსულ იდენტობაზე დაფუძნებული დემოკრატიის სპეციფიკური ფორმა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია რუსი ერის თვითმყოფადობის, სუვერენული სახელმწიფოს და კულტურის შენარჩუნება და ლიბერალური დექრისტიანიზაციის პროცესის შეკავება, რომელშიც ინდივიდუალური თავისუფლება იზღუდება კოლექტიური ინტერესებით.

თანამედროვე რუსული სოციუმი ორი კულტურული საწყისის, ტრადიციული (არქაული) და ევროპული (მოგვიანებით მოდერნული) კულტურული ელემენტების სიმბიოტური ურთიერთქმედების ფარგლებში ფუნქციონირებს. ტრადიციული და მოდერნული (სოციალისტური) სოციალ–პოლიტიკური თეორიები ლიბერალიზმისგან განსხვავებით, აღიარებენ კოლექტივის პრიმატს ინდივიდზე, ორივე ნაციონალური ინტერესების დაცვის იდეაზე ორიენტირებული და ძლიერ ეროვნულ უსაფრთხოებაზე აკეთებს აქცენტს.

რუსეთის პოლიტიკური განვითარების არც თუ შორეულ პერსპექტივაში, დღის წესრიგში დადგება, ევოლუციური რეფორმირების საფუძველზე, პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების პერსონიფიცირებული მოდელიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების პროცესის უწყვეტი შენარჩუნებისათვის, ისეთ ტიპზე გადასვლას, რომელსაც საზოგადოებაში არსებული, სოციალურ-პოლიტიკური ძალების ბალანსირების საფუძველზე ფუნქციონირებად სისტემას უწოდებენ.

მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია ორ პარტიულ სისტემაზე გარდაქმნა, რადგანაც იკვეთება, რომ პარტიები ძირითადათ ორ იდეოლოგიურ ფლანგზე ჯგუფდებიან. პირველი ორი, ღირებულებით-იდეოლოგიური ორიენტაციით, განასახიერებს კონსერვატორებს ზომიერი ცენტრისტული ელემენტით, ხოლო პარტიათა მეორე ჯგუფი, მემარცხენე იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარ, ცენტრისკენ ზომიერი

ორიენტაციის მქონე სოციალისტურ პარტიებს წარმოადგენენ; მოცემული პარტიული ფორმატი ზოგადად რუსული საზოგადების უმრავლესობის ნების გამომხატველია.

საარჩევნო სისტემის პროპორციულზე გადასვლის შემთხვევაში, ორივე სოციალურ პოლუსზე კონსოლიდირებული ამომრჩევლების ნების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების მიერ გაცხადებული ღირებულებითი ასპექტების პაექრობა განაპირობებს პოლიტიკური აზროვნების რაციონალიზაციას და მის პრაგმატულ ჭრილში გადაყვანას. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ერთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი პარტიების გამსხვილებას და ერთიან პარტიულ ორგანიზმში მათ ინტეგრაციას, რაც პოტენციური ამომრჩევლების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. თუმცა, ამისათვის აუცილებელია მინიმალური გადასალახი საპარლამენტო ბარიერის გაზრდა 7-8%-ზე. ასეთ შემთხვევაში ლიბერალურ იდეოლოგიური ძალები სრულიად მარგინალიზდებიან და საერთოდ გაირიყებიან პოლიტიკური სცენიდან, რომლებიც ისედაც ვერავითარ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესზე. ყოველივე უზრუნველყოფს ურთიერთბალანსის და ურთიერთ კონტროლის მექანიზმზე დაყრდნობით სისტემის ინსტიტუციონალიზაციას და დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ელიტების მონაცვლეობას პოლიტიკურ სისტემაში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დემოკრატიზაციის გზაზე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზვიად აბაშიძე	ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის დისკურსი საქართველოში 1990-91: ზვიად გამსახურდიას ოფიციალური გამოსვლების, განცხადებების და ინტერვიუების ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების კატალიზატორი“, 20-22 ივნისი, 2019

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დოლიძე	ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველოს პოლიტიკური განვითარების ციკლები	მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სივრცე,საზოგადოება,პოლიტიკა -ევროინტეგრაცია,როგორც განვითარების ფაქტორი” 20-22ივნისი,2019 თბილისი
2	დოლიძე	კაპიტალიზმი და თავისუფლება მილტონ ფრიდმანის პოლიტეკონომიურ დისკურსში	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 23-25 მაისი 2019 წელი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
1.პირველი მოხსენების თეზისები გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში იხ. მე-7 საერთასორისო სამეცნიერო კონფერენცია’სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა-ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი”. პროგრამა და თეზისები.22-23 ივნისი,2019 თბილისი.გვ.119-120			

2. მოხსენებაში გაანალიზებულია მილტონ ფრიდმანის დისკურსიის თავისებურებანი კაპიტალიზმისა და თავისებურების შესახებ. ნაჩვნებია, რომ თავისუფლება ფრიდმანს ესმის, როგორც გარეგანი ფიზიკური იძულების არ არსებობა, რის გამოც ის ვერ ხედავს იმ შესაძლებლობას, რომელსაც ფარავს ბაზარი და კერძო საკუთრება თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ფრიდმანის დისკურსის თავისებურება გახსნილია ლინდბლომის დისკურსთან შედარების საფუძველზე, რაც საშუალებას აძლევს ავტორს აჩვენოს, რომ ზოგჯერ ფრიდმანის მსჯელობა აბსტრაქტული და შინაგანად წინაა მდეგობრივია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	თამარ ქარაია	სოციალური პროტესტის ფორმირების თავისებურებები საქართველოში	20-22 ივნისი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,დამოუკიდებელ საქართველოში პროტესტი და მიტინგი პოლიტიკური დღის წესრიგის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. მათ როგორც წესი, ჰქონდათ აფექტური ხასიათი, პოლიტიკოსების მიერ იყო მართული და ძირითადად, ხელისუფლების შეცვლას ისახავდა მიზნად. ლეგიტიმურობის ნაკლებობა, პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტე, მძიმე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იყო უმთავრესი ფაქტორები, რამაც დიდწილად განაპირობაპოლიტიკით უკმაყოფილების საერთო საზოგადოებრივი მაღალი დონე და პოლიტიკოსების მიერ პროტესტის წარმართვას.

სოციალური ჯგუფების გაძლიერება და მათი პროტესტის არენაზე გადასვლა უფრო მეტად 2012 წლიდან შეინიშნება, მას შემდეგ რაც არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებამ შესაძლებლობათა ახალი ფანჯარა წარმოქმნა. თუმცა საფუძვლები შესაძლოა 2010 წლის შემდგომ პროტესტებშიც ვიკვლიოთ. დღესდღეობით, სხვადასხვა თემატიკაზე მომუშავე მოძრაობები, მათ შორის: ეკოლოგიური, მუშათა, ჰომოფობიის დაძლევის, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნის და სხვა მსგავსი მოძრაობები გამოხატავენ თავიანთ პროტესტს, ცდილობენ შემოიკრიბონ მომხრეები და ხელისუფლებათან კონფრონტაციის თუ კოლაბორაციის და სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების გზით ცდილობენ დასახული მიზნების მიღწევას.ამ ფონზე ნელ-ნელა მცირდება, შესაძლებლობათა სივრცე ანტისახელისუფლებო შინაარსის მატარებელი. პოლიტიკური პროტესისთვის რომელსაც მართავენ პოლიტიკური პარტიები.

მოცემული კვლევა დაფუძნებულია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის, კერძოდ, "პოლიტიკურ შესაძლებლობათა ფანჯრის" (Tilli; Tarrow) თეორიის გამოყენებით მიზნად ისახავს ახსნას რომ დივერსიფიცირებული სოციალური ჯგუფების გაძლიერებას და შესაბამისად, მსგავსი საპროტესტო მოძრაობების წარმოქმნა განპირობებულია პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით და პოლიტიკური პარტიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის განვითარების მაჩვენებლით. მოხსენება დაეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდზე, კერძოდ სიღრმისეულ ინტერვიუებს აქტივისტებთან და სახელისუფლებო დისკურს ანალიზს, კერძოდ გაანალიზდება საპროტესტო აქციების საორგანიზაციო გუნდის წევრთა დისკურსი 2010 წლიდან დღემდე.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მალხაზ მაცაბერიძე	ყივჩაღების როლი საქართველოს ისტორიასა და ყაზახური იდენტობის ფორმირებაში -	სამეცნიერო კონფერენცია „ყაზახური იდენტობის ფორმირების პრობლემები და პერსპექტივები". საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემია. ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის და რელიგიის

			კვლევების ინსტიტუტი. ალმათი, 11 სექტემბერი, 2019
2	მალხაზ მაცაბერიძე	პილსუდსკი და ჟორდანია: საქართველოს და პოლონეთის ისტორიის (1918-1921) შედარებითი ანალიზი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიერ -	„კავკასია - წარსულის გამოცდილება - სამომავლო პერსპექტივები“ მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ჰჟეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი, 10-11 ოქტომბერი, 2019 წელი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მ.მაცაბერიძე. ყივჩაღების როლი საქართველოს ისტორიასა და ყაზახური იდენტობის ფორმირებაში - სამეცნიერო კონფერენცია „ყაზახური იდენტობის ფორმირების პრობლემები და პერსპექტივები“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემია. ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის და რელიგიის კვლევების ინსტიტუტი. ალმათი, 11 სექტემბერი, 2019

ყივჩაღების შესახებ დღეს ბევრი იწერება და მრავალი ხალხი მიიჩნევს თავს მათ შთამომავლად. ამ ხალხებს შორის, რასაკვირველია, პირველ რიგში ყაზახები უნდა დავასახელოთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყივჩაღების შესახებ მოთხრობილია საქართველოს ისტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში, ქართველი და ყაზახი ხალხების ურთიერთობის ისტორია შეიძლება საინტერესო ეპიზოდით შეივსოს.

სტატიაში განხილულია დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლებისა და დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობის ასახვა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში (1943-2012 წწ.) ასევე წარმოდგენილია, თუ როგორ არის ასახული ეს ფაქტი თანამედროვე ყაზახეთში არსებულ ისტორიულ პუბლიცისტიკაში.

2. მ.მაცაბერიძე. პილსუდსკი და ჟორდანია: საქართველოს და პოლონეთის ისტორიის (1918-1921) შედარებითი ანალიზი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიერ - „კავკასია - წარსულის გამოცდილება - სამომავლო პერსპექტივები“ მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ჰჟეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი, 10-11 ოქტომბერი, 2019 წელი

პილსუდსკის გარდაცვალებას გამოეხმაურა ყველა ქართული ემიგრანტული გამოცემა. ცალკე უნდა გამოვყოთ ჟურნალი „მხედარი“, რომლის მთელი ნომერი (1935 N 19) მთლიანად მიეძღვნა იოსებ პილსუდსკის. მათი ავტორები (ა. ჩხეიძე, ლ. მა-ლი, ვ. ნა-ლი და სარედაქციო სტატიები), პროფესიით სამხედროები, იდგნენ ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე და უარყოფდნენ სოციალიზმს. მათი აზრით, 1918 წელს პოლონეთისთვის დამოუკიდებლობის აღდგენა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე საქართველოსთვის. მაგრამ პოლონეთმა, საქართველოსგან განსხვავებით, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ევროპის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ავტორთა აზრით, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას არ ჰყავდა ი. პილსუდსკის მსგავსი ლიდერი. აქ გვარის დაუსახელებლად შედარებას ახდენდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიასთან (1868-1953) და ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტორებზე, რაც განაპირობებდა პოლონეთისა და საქართველოს ამ პერიოდის ისტორიის განსხვავებულ შედეგს:

- პილსუდსკისთვის სოციალიზმი ერის განთავისუფლების საშუალება იყო და მან სოციალისტური ძალები პოლონეთში ააცილა ეროვნულ ნიჰილიზმს. ნ. ჟორდანია წლების მანძილზე თავად იდგა ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე.

- პილსუდსკიმ კლასობრივი მიზნები ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილა, სოციალისტობაზე უარი თქვა და არჩევანი პოლონეთის სასარგებლოდ გააკეთა. ჟორდანია ეროვნული ამოცანების გადაწყვეტას კლასობრივი პოზიციებიდან უდგებოდა. მას დამოუკიდებელი საქართველო „სოციალიზმისაკენ სვლისათვის“ სჭირდებოდა.

- პილსუდსკი პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარი ორგანიზატორი და გამარჯვებათა სულისჩამდგმელი იყო. ჟორდანიამ სათანადოდ ვერ დააფასა სამხედრო დარგის მნიშვნელობა.

ქართველი ემიგრანტების აღნიშნული ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლონეთის გამოცდილების შესწავლას, რომელმაც, საქართველოსგან განსხვავებით, შეძლო ეროვნული ძალების

მობილიზება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და, განსაკუთრებით, მისი დამოუკიდებლობის დასაცავად. მათი აზრით, პოლონეთის გამოცდილების შესწავლას საქართველოსთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც დამოუკიდებლობა ხელახლა იყო მოსაპოვებელი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Alexandre Kukhianidze	Cybersecurity and Cybercrime Prevention – Strategies, Policies and Programs	United Nations Office for Drugs and Crime – Expert Workshop "Enhancing Capacity to Teach Cybercrime at Universities in Europe, West and Central Asia". July 3-4, 2019, Tashkent State University
2	Alexandre Kukhianidze	Georgia between Eurasian and European Political Systems	Eastern European Initiatives Congress September 23-24, 2019, Lublin, Poland

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სალომე დუნდუა	ურბანული სამოქალაქო აქტივიზმი თანამედროვე საქართველოში	28-29 ივნისი, ვარშავა, პოლონეთი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოცემული მოხსენება ეხებოდა თანამედროვე საქართველოში ურბანული სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას. კონკრეტულად კი, განვიხილეთ გუდიაშვილის მოედნის გადასარჩენად მიმართული სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, როგორც სოციალური მოძრაობა. მოხსენებაში წარმოვაჩინეთ მოცემული მოძრაობის დაწყების მიზეზები, განვითარების ეტაპები, მისი რეპერტუარი და კავშირი პოლიტიკურ პროცესებთან; ასევე გახილულ იქნა მოძრაობის წინაშე მდგარი გამოწვევები და საბოლოო წარმატებულობის მიზეზები.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Zviad Abashidze	DISCOURSE ON ETHNIC MINORITIES AND CIVIC INTEGRATION IN GEORGIA'S OFFICIAL PUBLIC SPHERE DURING 1990-91	Warsa East European Conference – "The Post-Soviet Space Three Decades Later. Time of Troubles or Triumph?", Warsaw University, Poland, June, 2019

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დოლიძე	Эволюционные циклы политического развития современной Грузии	8th International Scientific Conference Caucasus-Experience of the past-perspectives of the Future University of Rzeszow, 10-11.10.2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

მოხსენებაში, პირველად ქართულ სამეცნიერ ლიტერატურაში გამოყენებულია ციკლური მიდგომა საქართველოს პოლიტიკური განვითარებისადმი. ამან საშუალება მისცა ავტორს გაეყყო დემოკრატიზაციისა და ავტორიტარიზმის ციკლები პოსტკომუნისტური საქართველოს განვითარებაში. დემოკრატიზაცია იწყება ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს არსებობის ბოლო წლებში, როცა სსრკ კონსტირტუციიდან ამოღებული იქნა მუხლი კომპარტიის ხელმძღვანელი და აწმყვანი როლის შესახებ. ამან საშუალება შექმნა, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო გამსახურდიას მთავრობა, რამაც საქართველოში შეწყვიტა დემოკრატიზაცია და ქვეყანა ავტორიტარიზმის გზაზე დააყენა. გამსახურდიას ძალადობრივმა დამხობამ შეაჩერა დემოკრატიზაციის პოტენციური პროცესი და ავტორიტარული რეჟმი გადაიყვანა ლიბერალიზებული ავტორიტარიზმის ციკლზე, რომელიც შევარდნაძის მართველობის ბოლოს გადადის დემოკრატიზაციაში, რასაც ამუხრუჭებს "ვარდების რევოლუცია", რომელიც საქართველოს კვლავ ავტორიტარიზმში აბრუნებს. 2012 წელს საქართველო უბრუნდება დემოკრატიზაციის ციკლს, რომელიც გადადის არაკონსოლიდირებულ დემოკრატიაში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	თამარ ქარაია	The Formation of a Master Narrative in post-Rose Revolution Georgia	2-4 მაისი, ნიუ იორკი აშშ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, დაიწყო საბჭოთა წარსულის გადაფასების პროცესი. თუმცა, 1990- იან წლებში აღნიშნული პროცესი სრულყოფილად ვერ განხორციელდა, რაც მიმდინარე პოლიტიკის პრიორიტეტებით იყო განპირობებული. „ვარდების
რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ აქტიურად დაიწყო საბჭოთა წარსულის ხელახალი ინტერპრეტაცია და ახალი კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს, საბჭოთა წარსულის გააზრების პოლიტიკა 2005-2012 წწ-ში. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მეხსიერების პოლიტიკის სტრატეგიის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველო რუსეთის ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ, რომელიც 2005 წლის მეორე ნახევარში იწყება, მეხსიერების პოლიტიკა „მსხვერპლის" კონცეფციის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული და მისი, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილის აღქმის დამკვიდრებას ცდილობს. კვლევის პროცესში გაანალიზდა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის: ოკუპაციის მუზეუმი, ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენი კომისია, ლუსტრაციის კანონი და ა.შ. განხილული ინიციატივების განხორციელებისას, უმეტეს შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება იქნა გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, მათი ანტი- რუსული განწყობებით იყო განპირობებული.

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნოდარ ბელქანია -პროფესორი
გუგული მაღრაძე - პროფესორი
მარიამ გერსამია - პროფესორი
მარინა მუსხელიშვილი - პროფესორი
გია ჟორჟოლიანი - პროფესორი
ზურაბ აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ვეფხვაძე - ასოცირებული პროფესორი
თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი
ტუღუში ლაშა - ასისტენტ-პროფესორი
უროტაძე ჯაბა - ასისტენტ-პროფესორი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	*"ერთობლივი პროექტი: ყოფილ სამთო ქალაქებში პოსტსაბჭოთა პერიფერიაზე მიწის გამოყენების გადარჩენის სტრატეგიები და ახალი პრაქტიკა ჰაბიტატის ადაპტაციის შესახებ." ურბანიზმი და სოციალური ანთროპოლოგია.*	***01.07.2018 დან 29.02.2020 წლამდე (საგრანტო პერიოდი)***	1. ლაიბნიცის რეგიონალური გეოგრაფიის ინსტიტუტი***დან არიან ვლადიმირ სგიბნევი (w_sgibnev@ifl-leipzig.de, + 49-341-60055-161) .***

	დამფინანსებელი ორგანიზაცია: გერმანიის ფედერალური განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (BMBF). მონაწილე მხარეებია: ლაიბნიცის რეგიონალური გეოგრაფიის ინსტიტუტი, გერმანია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; ხუჯანდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უზბეკეთი; გერმანულ-ყაზახური უნივერსიტეტი, ყაზახეთი.		2. ლაიბნიცის რეგიონალური გეოგრაფიის ინსტიტუტი***დან პროექტის ხელმძღვანელი ქალბატონი რანო ტურაევა*** (r_turaeva@ifl-leipzig.de) 3. ***თსუ-ს მხრიდან უფროსი მკვლევარი პროფესორი თეონა მატარაძე*** (teona.mataradze@tsu.ge) 4. ***ხგუ-ში მთავარი მკვლევარი პროფესორი ნაბიგონ რაჰიმოვი*** (nabir@mail.ru) 5. ***დკუ- ში მთავარი მკვლევარი ბატონი სერიკ ბეიმენბეტოვი*** (serik.beimenbetov@gmail.com)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის მიზანი იყო პოსტსოციალისტურ სამთამადნო ქალაქებში შეესწავლა გადარჩენის სტრატეგიები, მიწის გამოყენების პრაქტიკა და ცხოვრების წესი. პროექტის ფარგლებში თითოეულ ქვეყანაში მუშაობდა უფროსი მკვლევარები და უმცროსი მკვლევარები, რომლებიც ამავდროულად არიან დოქტორანტები და პროექტის საფუძველზე მუშაობენ სადოქტორო დისერტაციის თემაზე. საქართველოში პროექტის სამიზნე ქალაქად საქართველოში ჭიათურა იყო შერჩეული. ძირითადი თეორიული ჩარჩო აგებულია პერიფერიალიზაციისა და გადარჩენის სტრატეგიების ფარგლებში. პერიფერიალიზაციის თეორია არ არის ვიწრო და ის თავის თავში მოიაზრებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალური, კულტურულ ასპექტებს. პერიფერიალიზაციის პროცესში ვხვდებით დიქოტომიებს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ცენტრი და ლოკალური ადგილი (ამ შემთხვევაში ქალაქი ჭიათურა). პერიფერიალიზაცია განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება ქალაქებში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ცენტრალურ დაქვემდებარებაზე იყო და პოსტსოციალისტურ პერიოდში დაკარგა ეს პოზიცია თუ მნიშვნელობა. სამთამადნო მრეწველობის მოცულობის კლების პარალელურად, მოსახლეობის თვითგადარჩენის სტრატეგია ორგვარია: მიგრაცია და ალტერნატიული შემოსავლის წყაროების მოძიება. სწორედ ამ მეორე ალტერნატივის ფარგლებში, პროექტის მონაწილეები მოახდენენ იმ რესურსების იდენტიფიცირება, რომელსაც იყენებს და შეუძლიათ სამომავლოდ გამოიყენოს ადგილობრივმა მოსახლეობამ. გარდა ამ ორი თეორიული მიდგომისა, კვლევის პროცესში მოხდება ისეთი საკითხების დაფარვა, როგორებიცაა სოციალური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, შრომითი უფლებები, ეკოლოგიური სიტუაცია და დეპოპულაცია. პროექტის ფარგლებში გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, პროექტს აქვს პრაქტიკული დატვირთვაც: კვლევის შედეგებზე იმუშავებს გერმანელი ექსპერტი, რომელიც შექმნის პერიფერიული სამთამადნო ქალაქების განვითარების პოლიტიკის ჩარჩოს.		

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Jaba Urotadze	“Comparative Analysis of Working and Rest Time Regulations in Georgia and European Union”	International Scientific Conference “Space, Society, Politics – European Integration as a Catalyst for Development”, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, June, 2019, Tbilisi.
2			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თეონა მატარაძე	"რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებში მეწარმეობის წამოწყების წინააღმდეგობები"	22.05.2019 კრაკოვი, პოლონეთი კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი) (PEDAGOGICAL UNIVERSITY OF CRACOW), ოპოლეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (OPOLE UNIVERSITY OF TECHNOLOGY) და ვროცლავის ეკონომიკური უნივერსიტეტი (WROCŁAW UNIVERSITY OF ECONOMICS) კონფერენციის სახელწოდება „მეწარმეობა და სოციალური ეკონომიკა – ინოვაცია – გარემო 2019.“
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) კონფერენციის მოხსენების მიზანი იყო შემეფასებინა თუ რა წინააღმდეგობას აწყდებიან საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები (15-29 წელი) მეწარმეობის წამოწყების კუთხით. პრეზენტაცია ეყრდნობოდა ფონდ „გადავარჩიონთ ბავშვების“ დაფინანსებით განხორციელებულ კვლევას, რომლის ფარგლებში რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოიკითხა საქართველოს 4 რეგიონის ახალგაზრდები (შერჩევის ზომა 400). მოხსენებაში განხილული იყო საქართველოში მიმდინარე სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაცია და მისი გავლენა საქართველოს შრომის ბაზრის და დასაქმების სტრუქტურაზე. ასევე განხილული იყო ახალგაზრდების დასაქმების წინააღმდეგობები და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები. კვლევამ გამოავლინა ახალგაზრდების მიერ მეწარმეობის წამოწყების შემდეგი ძირითადი წინააღმდეგობები: რელევანტური ცოდნის დაბალი დონე (წერის, კითხვის, მათემატიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით), საწყისი კაპიტალის არქონა, მოტივაციის			

დაბალი დონე და წარუმატებლობის შიში, სოფლის მეურნეობის თვითგადარჩენის სტრატეგია და კოოპერაციის ნაკლებლობა, ტრადიციული სოფლის მეურნეობის გავლენით ახალი, ინოვაციური ცოდნის დეფიციტი. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 30 წელი გავიდა, ახალგაზრდები, მსგავსად სხვა თაობებისა კვლავ სახელმწიფოსა და შრომის ბაზარზე არიან დამოკიდებულნი და ნაკლებად ირჩევენ ინოვატორულ მიდგომებს.

ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
პროფ. ვასილ კაჭარავა (ხელმძღვანელი), პროფ. თემურ კობახიძე, ასოც. პროფ. ელენე მეძმარიაშვილი, აისტ. პროფ. მიხეილ ბარნოვი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი			

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2 YS-19-3098 წარმავალი ძველი დასავლეთი და ,,ახალი დასავლეთის“ წარმოშობა: ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივა (1862-1930)	3 2019 (დეკემბერი)-2021 (დეკემბერი)	4 მიხეილ ბარნოვი, პროექტის ავტორი და განმახორციელებელი, პროფ. ვასილ კაჭარავა (მენტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულბრაიტის გრანტით (20.09.2017-20.02.2018, ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტი) ჩატარებული ძველი დასავლეთის კვლევისას ისტორიოგრაფიაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სიახლის თქმა ამ სფეროში შესაძლებელია მხოლოდ ინტერდისციპლინარულ-მულტიდისციპლინარული კვლევის ჩატარების შემთხვევაში და სხვადასხვა დისციპლინათა მეთოდების გამოყენებით. ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტში მუშაობამ საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ძველი დასავლეთის ისტორიის კვლევის სფეროში არსებული პრობლემებიის აქცენტების იდენტიფიცირება: ამერიკის ძველი დასავლეთის დიდი დაბლობების რეგიონის შესახებ ისტორიოგრაფიაში მეოცე სუკუნის მკვლევარების შრომებში შეინიშნება მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემები და დებულებები, რომლებიც გადასინჯვას საჭიროებენ. რევიზიონისტული ხასიათის მქონე ახალ კვლევაში შესაძლებელია ასეთი პრობლემებისგან თავის არიდება და წარმავალი ძველი დასავლეთის დიდი დაბლობების რეგიონის ტრანსფორმაციის, საზღვრის ეპოქის დასრულების შესახებ წინარე დეკადებში შექმნილი თეორიების, სწავლებების, შეხედულებების გადახედვა-რევიზია. ზოგადად ძველი დასავლეთისა და საზღვრის ეპოქის თემატიკაზე დამატებითი კვლევების ჩატარება აუცილებელია. კონკრეტულად კი პასუხგაუცემელი კითხვებია დარჩენილი წარმავალი ძველი დასავლეთის დიდი დაბლობების ტრანსფორმაციისა და საზღვრის ეპოქის დასკვნითი ეტაპის კვლევის სფეროში.

ჩვენი კვლევის მიზანია ვუპასუხოთ დარგში არსებულ ძირითად კითხვებს. კერძოდ, ისტორიის, ანთროპოლოგიის, გეოგრაფიის, ფსიქოისტორიის, ფსიქოლოგიის, ანთროპოეკოლოგიის მეთოდოლოგიათა სინთეზისა და შესაბამისი წყაროების დამუშავების გზით ჩვენ ამერიკელთა და ინდიელთა პერსპექტივებიდან გამოვიკვლევთ ძველი დასავლეთის დიდი დაბლობების რეგიონის ტრანსფორმაციისა და საზღვრის ეპოქის დასრულების პროცესს. კვლევის მიზანია წარმავალი ძველი დასავლეთის ტერმინის დეფინიცია; დიდი დაბლობების რეგიონის ტრანსფორმაციის პროცესის ამსახველი კრიტეირუმების დადგენა; დიდი დაბლობების რეგიონის ტრანსფორმაციისა და საზღვრის გაქრობის პროცესის ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივიდან რეკონსტრუქცია.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	დემოკრატიის გაკლვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური	წიგნი გამოიცა 2019 წელს.	ელენე მემმარიაშვილი, მიხეილ ბარნოვი

	ისტორია 1600-1877 ISBN 978-9941-13-860-7, 2019. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვერდების რაოდენობა: 343.		
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვასილ კაჭარავა შელი იშერ ფიშკინი ელენე მემმარიაშვილი თემურ კობახიძე ანასტასია ზაქარიაძე მიხეილ ბარნოვი	კრებული: ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8. ავტორი: მ.ბარნოვი. კრებული გადაცემულია დასაბეჭდად. რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა, მთ. რედაქტორი, შელი ფიშერ ფიშკინი, მთ. რედაქტორი შეერთებული შტატების მხრიდან; ელენე	კრებული გამოიცემა უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 2020 წელს.	360 (სავარაუდო)

		მემმარიაშვილი, თემურ კობახიძე, ანასტასია ზაქარიაძე, მიხეილ ბარნოვი.		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კრებულში გაერთიანებულია ქართველი და ამერიკელი ავტორების სტატიები, მიძღვნილი ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა საკითხისადმი. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს მსოფლიოს ამ უძლიერესი სახელმწიფოს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. კრებული გათვალისწინებულია ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვასილ კაჭარავა	ფრანკლინ დელანო რუზველტი	ჩემი სამყარო, #23	თბილისი	17
2.	ვასილ კაჭარავა	ჰარი ტრუმენი	ჩემი სამყარო, #24	თბილისი	16
3	ვასილ კაჭარავა	დუაიტ ეიზენჰაუერი აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი	ჩემი სამყარო #25	თბილისი	18
4	ვასილ კაჭარავა	რონალდ და ნენსი რეაიგანები ნარკოტიკების წინააღმდეგ	ამერიკის შესწავლის საკითხები, # 8,	გადაცემულია დასაბეჭდად, გამოიცემა 2020 წელს	11 გვერდი

5	ელენე მეძმარიაშვილი	ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში (შედარებითი ანალიზი)	ჟურნალი: ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8. ავტორი: მ.ბარნოვი. სტატია გადაცემულია დასაბეჭდად. რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა, მთ. რედაქტორი, შელი ფიშერ ფიშკინი, მთ. რედაქტორი შეერთებული შტატების მხრიდან; ელენე მეძმარიაშვილი, თემურ კობახიძე, ანასტასია ზაქარიაძე, მიხეილ ბარნოვი.	გადაცემულია დასაბეჭდად, გამოიცემა 2020 წელს	11
6	თემურ კობახიძე	ფსევდო-ეპიტაფიის პოეტიკა ედგარ ლი მასტერსის კრებულში ,,სფუნ რივერის ანთოლოგია“	ჟურნალი: ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8. ავტორი: მ.ბარნოვი. სტატია გადაცემულია დასაბეჭდად. რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა, მთ. რედაქტორი, შელი ფიშერ ფიშკინი, მთ. რედაქტორი შეერთებული შტატების მხრიდან; ელენე მეძმარიაშვილი, თემურ კობახიძე, ანასტასია	გადაცემულია დასაბეჭდად, გამოიცემა 2020 წელს	11

7.	მიხეილ ბარნოვი	მონაპირე ახალშენების ეპოქის დასასრული ნებრასკაში (1860-1880)	ზაქარიაძე, მიხეილ ბარნოვი. ჟურნალი: ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8. ავტორი: მ.ბარნოვი. სტატია გადაცემულია დასაბეჭდად. რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა, მთ. რედაქტორი, შელი ფიშერ ფიშკინი, მთ. რედაქტორი შეერთებული შტატების მხრიდან; ელენე მემმარიაშვილი, თემურ კობახიძე, ანასტასია ზაქარიაძე, მიხეილ ბარნოვი.	გადაცემულია დასაბეჭდად, გამოიცემა 2020 წელს	11

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია ფრანკლინ რუზველტზე ასახვს ამ გამოჩენილი ამერიკელი პრრზიდენტის პოლიტიკური ცხოვრების უმნივნრლოვანეს მომენტებს. მის უდიდეს როლს ე.წ ახალი კურსის ჩამოყალიბებასა და მისი ცხოვრებაში გატარებაში. რაც უღრესად რთული და მძიმე ამოცანა აღმოჩნდა. განხილულია ასევე მისი გამორჩეული როლი ანტიჰიტლერული კოალიციის მოქმედბაში მეორე მსოფლიო ომის დროს.

2. სტატია ასახავს ჰარი ტრუმენის როლს ომისშემდგომი ამერიკის აღმშენებლობაში და ასევე ცივი ომის დაწყებაში.
3. სტატია აღწერს დუაიტ ეიზენჰაუერის როლს 1950-იანი წლების ამერიკის განვითარებაში. მის ე.წ. ზომიერ კონსერვატიზმს აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში და აქტიურ საგარეო პოლიტიკას
4. სტატიაში შესწავლილია ამერიკის პრეზიდენტების დამოკიდებულება ამერიკულ საზოგადოებაში არსებული ერთ-ერთი მწვავე პრობლემის ნარკომანიისადმი. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაზე. რეიგანების წყვილს თავისი რელიგიური და მორალურ-ეთიკური პოზოიციიდან გამომდინარე ნარკომანია უცილობელ ბოროტებად მიაჩნდა და მთელი თავის არსით მიუღებლად თვლიდა მას. გაანალიზებულია რონალდ რეიგანის ინიციატივბი და მისი ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. სტატიის ბოლოს შეჯამებულია რონალდ რეიგანის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები. ხაზგასმულია ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული გამოცდილების გამოყენების მნიშვნელობა ქართულ რეალობაში.
5. სტატიაში შესწავლილია ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა

საკითხებში. ორი პრეზიდენტის ადმინისტრაციების შედარების საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. კერძოდ, დემოკრატიული პარტია მეტ ყურადღებას აქცევდა ქალთა საკითხების მოგვარებას. თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ქალების დასაქმებას და მათი მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას. მიუხედვად ტრამპის სექსისტური და რასისტული გამონათქვამებისა, ტრამპის ადმინისტრაციის რეალური პოლიტიკა ხელს უწყობს ქალთა მდგომარეობის რეალურ გამუჯობესებას. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ გაუმჯობესების მიუხედავად, ტრამპის სექსისტური გამონათქვამები უბიძგებს ქალთა მოძრაობის აღმავლობასა და მათს პროტესტს.

6. სტატიაში შესწავლილია ამერიკელი პოეტის – ედგარ ლი მასტერსის „სფუნ რივერის ანთოლოგია“, რომელიც 1915 წელს გამოიცა და მაშინვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ბესტსელერების სიაში ლექსების კრებული მოხვდა. სტატიაში განხილულია „სფუნ რივერის ანთოლოგიის“ ავტოეპიტაფიები. გაანალიზებულია კრებულის მხატვრული სტილი ე. წ. თავისუფალი ლექსი, ვერლიბრი. სტატიაში წარმოჩენილია, პროვინციული ქალაქის მცხოვრებთა ბევრისთვის მოულოდნელი, მაგრამ გულახდილი საუბრები, ნაჩვენებია შეუნიღბავი სიმართლე. სტატიაში ასევე განხილულია ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი და ეპიტაფიების ერთმანეთთან კავშირი.
7. სტატიაში შესწავლილია ნებრასკის შტატის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი, გარდამავალი პერიოდი. კერძოდ, სასაზღვრო ეპოქის გაქრობა და ე.წ. ახალი ნებრასკის დაბადება. სტატიის მიზანია იმ ფაქტორებისა და მოვლენების გაანალიზება, რომელთაც განაპირობეს ნებრასკაში ძველი დასავლეთის ეპოქის დასრულება. მათ შორის იყო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი: ინდიელთა ნომადური თვითმყოფადი კულტურის გაქრობა და ტომების მიერ განხორციელებული უკანასკნელი რეიდები. მოხსენებაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა 1860-70-იან წლებზე, რადგან მონაპირე ახალშენების გაქრობის პროცესი შეუქცევადი სწორედ ამ დეკადებში იქცა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Elene Medzmariashvili	Eingefrorene Konflikte in neuen georgischen Geschichtsschulbüchern. ISSN 2191-0790	In: Zivilgesellschaft in Zeiten militärischer Bedrohung: Zivilgesellschaftliches Engagement und Reaktionen im Bildungssektor auf gewaltsame Konflikte im östlichen Europa sowie im überregionalen historischen Vergleich, Rath / Maier / Kendzor (Hg.).	Dossier 6 2019, Georg Ekert Institute.	pp.105-115
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატია ეძღვნება საქართველოს საშუალო სკოლის მაღალ კლასებში გაყინული კონფლიქტების შესწავლის საკითხს. სტატიაში განხილულია მე-5-დან მე-11 კლასის ჩათვლით საქართველოს ისტორიის ყველა სახელმძღვანელო და მათ საფუძველზე გაკეთებულია დაკვნები. კერძოდ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მსგავსი მგრძნობიარე საკითხი ჩვენს მოსწავლეებს, ასაკის შესაბამისად სწორედ გავაცნოთ და რა მეთოდოლოგიით.მოშველიებულია სხვა ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის გამოცდილება.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვასილ კაჭარავა	რონალდ რეიგანის მოწოდებანი ნასვამ მდგომარეობაში ტარების წინააღმდეგნალდ	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხდომის 50-ე წლისთავს,23-25 მაისი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2	ვასილ კაჭარავა	დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და ამერიკას შორის. თანამშრომლობის პირველი წლები (ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარება)	,,ჩაქვი-2019“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მე-16 სამეცნიერო კონფერენცია, 6-14 ივლისი, ჩაქვი.
3	ვასილ კაჭარავა	ამერიკის ისტორიის საკითხებით მანიპულირების ზოგიერთი მაგალითი ამერიკულ მასმედიაში	საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, 1-2 ნოემბერი, ქუთაისი.
4	ვასილ კაჭარავა	Reagan’s Farewall Adresses to the Nation as One of the Important Sources for the Final Evaluation of his Presidency	American Studies 12th Annual International Research Conference, Faculty of Social Sciences, Humanities and Education, International Black Sea University, Tbilisi,

			December 2.
5	ელენე მეძმარიაშვილი	ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში (შედარებითი ანალიზი)	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხდომის 50-ე წლისთავს.თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 23-25 მაისი.
6	თემურ კობახიძე	ფსევდო-ეპიტაფიის პოეტიკა ედგარ ლი მასტერსის კრებულში ,,სფუნ რივერის ანთოლოგია“	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხდომის 50-ე წლისთავს.თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 23-25 მაისი.
7	მიხეილ ბარნოვი	ჯიმ მორისონი და ამერიკის დასავლეთი (პოეტი და	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური

		შამანი)	საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხდომის 50-ე წლისთავს.თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 23-25 მაისი.
8	მიხეილ ბარნოვი	ველური დასავლეთის უკანასკნელი დღეები მონტანასა და ვაიომინგში	ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხდომის 50-ე წლისთავს.თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 23-25 მაისი.
9	მიხეილ ბარნოვი	The Frontier is Settled: Last Indian Raids in Kansas (1860-1870-ies)	American Studies 12th Annual International Research Conference, Faculty of Social Sciences, Humanities and Education, International Black Sea University, Tbilisi. December 2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

რონალდ რეიგანის მოწოდებანი ნასვამ მდგომარეობაში ტარების წინააღმდეგნალდ

მოხსენებაში განხილულ იქნა პრეზიდენტ რეიგანის კამპანია ნასვამ მდგომარეობაში ტარების წინააღმდეგ. სხვადასხვა დროს რეიგანის საზოგადოებისადმი მიმართვების ტექსტებზე დაყრდნობით შეფასებულ იქნა პრეზიდენტის მიერ ნასვამი მძღოლების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებების მნიშვნელობა, ასევე პრეზიდენტის კამპანიის გავლენა გზებზე ავტოავარიებისა და ფატალური შემთხვევების რაოდენობაზე.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის პირველი წლები (ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარება)

მოხსენებაში შეფასებულ იქნა საქართველოსთვის ყველაზე რთულ დროს, 1990-იან წლებში ამერიკული ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების მნიშვნელობა. გაანალიზებულ იქნა ქართულ-ამერიკული ორმხრივი თანამშრომლობის ადრეული ეტაპი და მისი შედეგები. მოხსენების მიზანი იყო მსმენელთათვის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დინამიური და განსაკუთრებულად ნაყოფიერი განვითარების წარმოჩენა, ამერიკული მხარდაჭერის მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის მშნებლობის პროცესში.

ამერიკის ისტორიის საკითხებით მანიპულირების ზოგიერთი მაგალითი ამერიკულ მასმედიაში

მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ერთ-ერთი აქტუალური და საინტერესო საკითხი, კერძოდ, მასმედიის მიერ ამერიკის ისტორიის ცალკეული საკითხებით მანიპულირების მეთოდები. გაანალიზებულ იქნა ისტორიული წარსულით მანიპულირების გავლენა ამერიკულ საზოგადოებაზე.

Reagan's Farewall Adresses to the Nation as One of the Important Sources for the Final Evaluation of his Presidency

მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა რონალდ რეიგანის გამოსამშვიდობებელი მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით შეჯამებულ და შეფასებულ იქნა რეიგანის ადმინისტრაციის ძირითადი მიღწევები და პრეზიდენტის მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, წარმოჩენილ იქნა რეიგანის ათწლეულის გავლენა ამერიკულ საზოგადოებასა და კულტურაზე.

ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში (შედარებითი ანალიზი)

სტატიაში შესწავლილია ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში. ორი პრეზიდენტის ადმინისტრაციების შედარების საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. კერძოდ, დემოკრატიული პარტია მეტ ყურადღებას აქცევდა ქალთა საკითხების მოგვარებას. თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ქალების დასაქმებას და მათი მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას. მიუხედვად ტრამპის სექსისტური და რასისტული გამონათქვამებისა, ტრამპის ადმინისტრაციის რეალური პოლიტიკა ხელს უწყობს ქალთა მდგომარეობის რეალურ გამუჯობესებას. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ

გაუმჯობესების მიუხედავად, ტრამპის სექსისტური გამონათქვამები უბიძგებს ქალთა მოძრაობის აღმავლობასა და მათს პროტესტს.

ფსევდო-ეპიტაფიის პოეტიკა ედგარ ლი მასტერსის კრებულში ,,სფუნ რივერის ანთოლოგია“

მოხსენებაში განხილული იქნა ამერიკელი პოეტის – ედგარ ლი მასტერსის „სფუნ რივერის ანთოლოგია“, რომელიც 1915 წელს გამოიცა და მაშინვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ბესტსელერების სიაში ლექსების კრებული მოხვდა. მოხსენებაში აგრეთვე განხილულ იქნა „სფუნ რივერის ანთოლოგიის“ ავტოეპიტაფიები. გაანალიზდა კრებულის მხატვრული სტილი ე. წ. თავისუფალი ლექსი, ვერლიბრი. მოხსენებაში წარმოჩენილ იქნა, პროვინციული ქალაქის მცხოვრებთა ბევრისთვის მოულოდნელი, მაგრამ გულახდილი საუბრები, შეუნიღბავი სიმართლე. ავტორი ასევე შეეხო ნაწარმოების სიუჟეტური ხაზსა და ეპიტაფიების ერთმანეთთან კავშირის საკითხს.

ჯიმ მორისონი და ამერიკის დასავლეთი (პოეტი და შამანი)

მოხსენებაში განხილულ იქნა ამერიკის დასავლეთის ესთეტიკის, ინდიელთა მითოსური ცნობიერების, მათი კულტურის გავლენა ჯიმ მორისონის შემოქმედებაზე. ყურადღება დაეთმო ჯიმ მორისონის ღრმა ბავშვობაში მომხდარი ინციდენტის (ოთხი წლის ასაკში შეესწრო ავტოკატასტროფას, რომელშიც დაიღუპნენ ინდიელები) გავლენას მის პიროვნებაზე. მოხსენების მიზანი იყო, ჯიმ მორისონის შამანურ კულტურასთან კავშირების აღმოჩენა და მათი შეფასება.

ველური დასავლეთის უკანასკნელი დღეები მონტანასა და ვაიომინგში

მოხსენებაში განხილულ და შედარებულ იქნა მონტანასა და ვაიომინგში ველური დასავლეთის ეპოქის გაქრობის პროცესისთვის დამახასიათებელი პროცესები: ინდიელების დასახლება რეზერვაციაში, ღია საძოვრების ეპოქის დასასრული, რკინიგზის მშენებლობა, ამერიკელი ემიგრანტების დასახლება დიდ დაბლობებზე. განხილულ იქნა 1860-1880-იან წლებში მონტანასა და ვაიომინგში მომხდარი გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენები, რომელთაც მოყვა საზღვრის ეპოქის დასასრული აღნიშნულ რეგიონში. მოხსენების მიზანი იყო რეგიონისთვის დამახასიათებელი იმ სპეციფიური კრიტერიუმების განხილვა, რომლებიც აღნიშნულ შტატებში ველური დასავლეთის ეპოქის გაქრობის დასახასიათებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

The Frontier is Settled: Last Indian Raids in Kansas (1860-1870-ies)
სასაზღვრო ზოლის გაქრობა: ინდიელთა უკანასკნელი რეიდები კანზასში (1860-1870)

მოხსენებაში განხილულ იქნა კანზასის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი, გარდამავალი პერიოდი. კერძოდ, სასაზღვრო ეპოქის გაქრობა და ე.წ. ახალი კანზასის დაბადება. მოხსენების მიზანი იყო გაგვენალიზებინა ის ფაქტორები და მოვლენები, რომელთაც განაპირობეს კანზასში ძველი დასავლეთის ეპოქის დასრულება. მათ შორის იყო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი: ინდიელთა ნომადური თვითმყოფადი კულტურის გაქრობა და ტომების მიერ

განხორციელებული უკანასკნელი რეიდები. მოხსენებაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა 1860-70-იან წლებზე, რადგან მონაპირე ახალშენების გაქრობის პროცესი შეუქცევადი სწორედ ამ დეკადებში იქცა.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დავით გოცირიძე/ვასილ კაჭარავა	კულტურათაშორისი კომუნიკაცია მხატვრული ტექსტის პოლიკულტურულ სივრცეში (ჰემენგუეის რომანის ,,მშვიდობით იარაღოს'' საფუძველზე)	ქ. სალონიკი, საბერძნეთი
2	თ. კობახიძე	„ტ.ს.ელიოტის 'სუინი აგონისტი': ჟანრობრივი სპეციფიკა“. IAUPE-ს კონგრესი.	ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი, ივლისი 2019
3.	თ. კობახიძე	„ტომ კერნანის დაცემა: ეპილეფსიის პაროდიული მინიშნებები ჯეიმზ ჯოისის მოთხრობაში „მადლი“.	უნივერსიტეტი Roma Tre, რომი, ტალია. იანვარი, 2019
4.	თ. კობახიძე	„კანალეტოს პერსპექტივა“ ელიოტის ლექსში „ბერბანკი ბედეკერით, ბლაისტაინი სიგარით“. ამერიკისმცოდნეობის ესპანური ასოციაციის საერთაშორისო კონფერენცია „ხატი და სამყარო“.	სალამანკას უნივერსიტეტი, საკლამანკა, ესპანეთი, აპრილი, 2019.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ვახტანგ ლიჩელი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
გურამ გრიგოლია, პროფესორი, ემერიტუსი
ზვიად კვიციანი, ასოც. პროფესორი
მარინე ფუთურიძე, ასოც. პროფესორი
კონსტანტინე ფიცხელაური, ასისტ. პროფესორი
დავით ნასყიდაშვილი, პროფესორის ასისტენტი
ანა თეთრუაშვილი, ლაბორანტი
ემზარ ლომთაძე, რესტავრატორი
ნინო კამკამიძე, რესტავრატორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერერთობლივადშესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ქართული არქეოლოგიური მისია კვიპროსზე, HE17_43	2017-2020	ვახტანგ ლიჩელი, ხელმძღვანელი გ. გაგოშიძე - ხელოვნებათმცოდნე, მოადგილე. მ. კასრაძე - არქიტექტორი ს. ბუგიანიშვილი - არქეოლოგი ა. ნადირაშვილი - არქეოლოგი ს. ტეფნაძე - არქეოლოგი თ. ბუწურაძე (თსუ-ს კურსდამთავრებული), ს. კოხრეიძე, (თსუ-ს კურსდამთავრებული), ბ. გელაშვილი (თსუ-ს კურსდამთავრებული)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. გაგრძელდა არქეოლოგიური გათხრები სოფტადესის ნაეკლესიარის (VI-XVI) ნაგებობა მთლიანად გამოვლენილია, აღმოჩენილია II-I ათასწლეულების კერამიკული ნაწარმი.			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელებ ამეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივი პროექტი:ლესალეს არქეოლოგიური შესწავლა . დამფინანსებელი,Gerda Henkel Stiftung-ის ფონდი, გერმანია	2019 წლის 24 სექტემბერი	თსუ პროფ. ზვიად კვიციანი-ხელმძღვანელი. პროფ.ანეგრეტ პლონტკე ლუნინგი-თანახელმძღვანელი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ.ლესალეში მიკვლეულია უაღრესადმ ნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნაშთები. ისინი ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფს მოიცავს და შედგება როგორც მცირე მასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, აგრეთვე შემთხვევითი მოპოვებული ნივთებისაგან. 2019 წელს Gerda Henkel Stiftung- ის მიერ დაფინანსებული პროექტი მიზნად ისახავდა ჩრდილო-დასავლეთის კოლხეთში ჯგალი-ლესალეს რეგიონის ლანდშაფტური არქეოლოგიური კვლევების ჩატარებას (წალენჯიხის რაიონი ზუგდიდის რაიონში), რომელიც საკმაოდ უგულვებელყოფილი იყო ისტორიულ-არქეოლოგიურკვლევაში. ნაპოვნი იყო დამწვარი თიხის ნაჭრები, ჭურჭლის შემცველი ფრაგმენტებით, კერამიკული მილების ფრაგმენტები მსგავსი მილები გვიანბრინჯაოს-ადრეული რკინის პერიოდით თარიღდება შავიზღვის სანაპიროზე, ქობულეთი, ბათუმის მახლობლად,ისევე როგორც რკინის წიდის ნაჭრები. სავარაუდო ნეკროპოლისის ტერიტორიაზე სატესტო თხრილების შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანია. უკვე ცნობილია ბრინჯაოს საგნები და მძივები დათარიღებული მე -8 - მე -7 სს. ძვ. წ. მცირე ციხესიმაგრის აღმოსავლეთიდან ადგილის ხანგრძლივ გამოყენებაზე მიუთითებს. აშკარად უძველესი რკინის სახელოსნოს არსებობა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ბრინჯაოს ნაწარმი, რომლებიც წარმოდგენილია შესანიშნავი დეკორით შემკული დიადემებისა და ხატისუღლებისაგან. ასეთი დიადემები (შუბლსაკრავები) დამახასითებელი ჩანს მხოლოდ ამ მიკრორეგიონისათვის, ისევე როგორც ხატისუღლები. ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება ასევე ორმაგხვიებიანი დუგმები და სამაჯურები.		

მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფს შეადგენს ძვ.წ. V-IV საუკუნეების ნაწარმი, რომელიც ლესალეში წარმოდგენილია ორი სახის კოლექციით: ადგილობრივი ბრინჯაოს ნაწარმი (სამაჯურები) და იმპორტული (საბერძნეთში) დამზადებული შავლაკიანი სუფრის ჭურჭელი და მინის მძივები. აშკარაა, რომ ორივე ჯგუფის ნივთები მომდინარეობს სამარხებიდან, რომლებიც მიწის ყოველი სამუშაოების დროს ზიანდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლესალეში არსებული მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც წინასწარულად ახ.წ. IV-V საუკუნეებს განეკუთვნება. მისი კვლევა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო და ფრიდრიხ შილერის სახ. იენის (გერმანია) უნივერსიტეტების ერთობლივმა ექსპედიციამ. ჩატარებულია გეოფიზიკური სამუშაოები და დადგენილია, რომ ბორცვის გარშემო განლაგებულია ორმაგი სასიმაგრო ნაგებობები, ხოლო ბორცვის შემაღლებულ ადგილზე გამართულია მცირე აკროპოლისი. ეს ციხე-სიმაგრე, რომელიც თავისი მასშტაბებით ერთ-ერთი ყველაზე დიდია კოლხეთში, აკონტროლებდა შავიზღვიდან და კოლხეთის დაბლობიდან სვანეთისა და კავკასიის ქედზე გადამავალ გზებს. დღეისათვის ჩატარებული საცდელი სამუშაოების შედეგად მიკვლეულია სამხრეთის გამაგრების ბურჯი, ხოლო ნივთებს შორის აღსანიშნავია სამკუთხა თიხის ფილები, რომლებიც თაღისებური სარკმლის შესამკობად იყო გამოყენებული. ყურადღებას იქცევს აგრეთვე რომაული ხანის იშვიათი მძივების აღმოჩენის ფაქტი.

ყოველივე აქედან გამომდინარე სრულიად აშკარაა, რომ ლესალეში საქმე გვაქვს უაღრესად საინტერესო და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე არქეოლოგიურ ნაშთებთან.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულებისმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ვ. ლიჩელი	grakliani goris arqeologiuri eqspediciis 2018 wlis gaTxrebis mokle angariSi 2018 wels Catarebuli arqeologiuri gaTxrebis mokle angariSebis krebuli	თბილისი	27-38
2	ვ. ლიჩელი	გრაკლიანი გორის საბეჭდავები. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტ.8	ბათუმი	71-90
3	მ. ფუთურიძე	ცივილიზაციური ძიებანი, ტ. 15 ISBN 978-9941-13-759-2 ოქროს ფიგურა თრიალეთის კულტურის ყორღანიდან.	თბილისი, თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7-11
4	მ. ფუთურიძე	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესის მასალები ISBN 978-9941-13-889-8 თრიალეთის კულტურა და მისი გარემომცველი პოლიტიკურ-კულტურული გარემო.	თბილისი, თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	65-67; 402-403
5	მ. ფუთურიძე, ნ. ახვლედიანი	მე-2 საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა-ტენდენციები და გამოწვევები“ შრომათა	თბილისი	იბეჭდება

		კრებული მცენარის სახელდების მოტივაცია ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმის ფორმირებაში და მისი არქეოლოგიური კონტექსტი.		
6	მ. ფუთურიძე	აღმოსავლეთმცოდნეობა ტ. 8 ISSN 2298-0377 ურმიისპირეთის რეგიონის ზეგავლენა სამხრეთ კავკასიაზე: თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკის კვლევა	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	115-130
7	მ.ფუთურიძე	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, კონფერენციის მასალები. ISBN 978-9941-9519-0-9 მცირე პლასტიკის ლითონის უძველესი ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიური კვლევისათვის.	ბათუმი, გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბა	7-10

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ნაშრომში აღწერილია მეოთხე ტერასაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, ნაწილობრივ არის შესწავლილი მე-5-4 საუკუნეების შენობა, აგრეთვე მეხუთე ტერასაზე გამოვლენილი კლასიკური ხანის ბერძნ ული დეკორატიული ელემენტები.

სტატიაში გამოკვლეულია გრაკლიან გორასა და ზოგადად ქართლში აღმოჩენილი იმპორტული და ადგილობრივი წარმოების საბეჭდავები, გამოთვლილია მათი ადგილობრივი წარმოების თარიღი - ძვ.წ. XII ს.

ნაშრომი ეძღვნება თრიალეთის ყორღანში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ბ. კუფტინის გათხრების შედეგად აღმოჩენილ ოქროს ონაგრის ფიგურას, კერძოდ კი, მისმხატვრულ-სტილისტურ ანალიზს და შედარებით კვლევას შუმერის მცირე პლასტიკის ერთ კონკრეტულ ნიმუშთან.

ნაშრომი მიძღვნილია თრიალეთის კულტურისა და მისი გარემომცველი პოლიტიკურ-კულტურული გარემოს გააზრების საკითხისადმი. შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ანუ მე-2 ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 21 – 17 ს დასაწყისს პერიოდს ემთხვევა სამხრეთ კავკასიის კულტურული, ეკონომიკური და საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურებითა და განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება, რომლის მიზეზების

სწორად გაგებას და ინტერპრეტირებაში აუცილებელია იმ პოლიტიკურ-კულტურული გარემოს ზედმიწევნით შესწავლა, რომლის მეზობლად და გარემოცვაშიც განვითარდა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა. ნაშრომში განხილულია ის პრობლემა, თუ რა როლი შეასრულა ამ ფაქტორმა საკვლევი კულტურის ჩამოყალიბებაზე.
ნაშრომი, რომელიც შესრულებულია ლინგვისტთან კოლაბორაციაში ეხება მცენარის სახელდების მოტივაციასზოგიერთი უძველესი ტოპონიმების „ნიგვზიანის“ და „ნიგოზეთის“ ფორმირებაში. ეს საკითხი წარმოდგენილია ლოკალური ბიოგარემოსა და ამ ადგილების არქეოლოგიური კონტექსტისა ფონზე და მასთან მიმართებაში, რომელიც სხვადასხვა დროს იქნა გათხრილი სწორედ ამ პუნქტებში. ამგვარი კვლევა კი მეტი დამაჯერებლობით ავლენს ტოპონის სახელდების მოტივაციის მიზეზებს.
ნაშრომი მიეძღვნა ურმიისპირეთის რეგიონის ზეგავლენას სამხრეთ კავკასიაზე, კერძოდ კი, თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკის კვლევას მიზანმიმართულ კვლევას. ვანი-ურმიისპირეთის რეგიონის მოხატული კერამიკის ე.წ. „წყლის სქემის მოტივის“ ერთი სტილის შესწავლამ მისი გენეზისი დადგენის თვალსაზრისით გვიჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში მისი გამოჩენა უკავშირდება მახლობელი აღმოსავლეთის სწორედ ამ რეგიონის გავლენას და ინტენსიურ კონტაქტს.
მცირე პლასტიკის ლითონის უძველესი ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიური კვლევის საკითხისადმია მიძღვნილი ნაშრომი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის უადრესი და განვითარებული ეტაპებით დათარიღებული სამგანზომილებიანი ორი კონკრეტული ნიმუშის კვლევისადმია მიძღვნილი, კერძოდ კი თითოეული ნიმუშის დამზადების ტექნიკური ხერხების, ტიპოლოგიისა და სტილისტურ-მხატვრული ურთიერთშედარებისადმი. ამგვარმა კვლევამ გამოკვეთა აღნიშნული პერიოდის თითოეული ეტაპისათვის სპეციფიკური თავისებურება და სტილი.

4.4. სტატიებიდიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. კვიციანი	სვანეთი – ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთი უძველესი კერა (წერილობითი წყაროების,არქეოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების შუქზე)	როინ მეტრეველი 80	თბილისი გამომცემლობა, ,არტანუჯი“ 2019	15
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები სრაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) 1.				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Licheli V., Gagoshidze G., Kasradze M	Georgian churches in Larnaca district (Alaminos/Softades area, Cyprus)	PRO GEORGIA JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES, N 29, 2019	Warsaw	9-43

2	V. Licheli	New evidences of Achaemenid – Georgian relations. Abstracts. .	First International Congress of the Eurasian Association of Iranian Studies	St.-Petersburg	92 (1 გვერდი)
3	V. Licheli	Pre-christian pottery from Softades (Cyprus)	2019 წელს გადაცემულია დასაბეჭდად ERIH-ის მიერ აღიარებულ ჟურნალში ACSS (ჰოლანდია),	Holland	In press
4	Puturidze Marina Akhvlediani Nargiz	Interdisciplinary Study of the Colchis Monuments of the 2nd Millennium BC: Linguistic-ArchaeologicalAnalyses. ISBN 978-5-907053-34-2	Antiquities of East Europe, South Asia and South Siberia in the Context of Connections and Interactions Within the Eurasian Cultural Space (New Data and Concepts), Proceedings of the International Conference, November 18-22, 2019, Vol. I.	St. Petersburg, "Nevskya Tipograpia"	115-117
5	Puturidze Marina	For the Interpreting of Cultural Environment of the Period Between the End of the Trialeti Culture and the Beginning of the Late Bronze Age.	Proceedings of the International Symposium "Relationships Between Georgia and Anatolia Throughout History", Vol. I	Erzrum. Erzrum University Press	In print
6	Puturidze Marina	Mobility Between the South Caucasus and the Near East: in Context of Cultural Interaction Early and Middle Bronze Age Societies. ISBN 978-3-447-06686-0	Proceedings of the International Congress of Near Eastern Archaeology (ICAANE)	Munchen, LMU University Publishing	In print
7	Puturidze Marina Akhvlediani Nargiz	For the Interdisciplinary Study of Bronze Age Colchis Site „Makhvilauri": Linguistic-Archaeological Analyse. ISBN 987-4-905726-36-4	II World Congress in Real and Virtual Mode. "East-West: The Intersection of Culture" October 2-5, 2019	Kyoto, Kyoto Sagno University Press	846-850

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში მოცემულია კ. კვიპროსზე არსებული სოფ. ალამინოსა და სოფტადესის წმინდა გიორგის ეკლესიების კვლევის შედეგები, დადგენილია რომ მე 15-16 საუკუნეებში აქ მოღვაწეოვდნენ ქართველი ბერები.

სტატიაში შესწავლილია მესამე და მეოთხე ტერასაზე აღმოჩენილი მე-5-4 საუკუნეების ნაგებობები და ბოტროსები, ყურადღება არის გამახვილებული ზოროასტრულ საკურთხევლებზე.

სტატიაში შესწავლილია სოფტადესის ბორცვზე გამოვლენილი ძვ.წ. 2-1 ათასწლეულების მოხატული და წითლად შეღებილი კერამიკა.

ნაშრომი, რომელიც შესრულებულია ლინგვისტთან კოლაბორაციაში ეხება მცენარის სახელდების მოტივაციასზოგიერთი უძველესი ტოპონიმების „ნიგვზიანის“ და „ნიგოზეთის“ ფორმირებაში. ეს საკითხი წარმოდგენილია ლოკალური ბიოგარემოსა და ამ ადგილების არქეოლოგიური კონტექსტისა ფონზე და მასთან მიმართებაში, რომელიც სხვადასხვა დროს იქნა გათხრილი სწორედ ამ პუნქტებში. ამგვარი კვლევა კი მეტი დამაჯერებლობით ავლენს ტოპონის სახელდების მოტივაციის მიზეზებს.
ნაშრომი მიძღვნილია თრიალეთის კულტურისა და მისი გარემომცველი პოლიტიკურ-კულტურული გარემოს გააზრების საკითხისადმი. შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ანუ მე-2 ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 21 – 17 ს დასაწყისს პერიოდს ემთხვევა სამხრეთ კავკასიის კულტურული, ეკონომიკური და საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურებითა და განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება, რომლის მიზეზების სწორად გაგებას და ინტერპრეტირებაში აუცილებელია იმ პოლიტიკურ-კულტურული გარემოს ზედმიწევნით შესწავლა, რომლის მეზობლად და გარემოცვაშიც განვითარდა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა. ნაშრომში განხილულია ის პრობლემა, თუ რა როლი შეასრულა ამ ფაქტორმა საკვლევი კულტურის ჩამოყალიბებაზე.
ნაშრომში განხილულია თუ რა როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის კულტურული, ეკონომიკური და საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურებამ, რომელიც განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება, ამ ფაქტორმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საკვლევი კულტურის ჩამოყალიბებაზე.
ნაშრომი მიძღვნილია თრიალეთის კულტურისა და მისი გარემომცველი პოლიტიკურ-კულტურული გარემოს გააზრების საკითხისადმი. შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ანუ მე-2 ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 21 – 17 ს დასაწყისს პერიოდს ემთხვევა სამხრეთ კავკასიის კულტურული, ეკონომიკური და საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურებითა და განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება, რომლის მიზეზების სწორად გაგებას და ინტერპრეტირებაში აუცილებელია იმ პოლიტიკურ-კულტურული გარემოს ზედმიწევნით შესწავლა, რომლის მეზობლად და გარემოცვაშიც განვითარდა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. ლიჩელი, ნ. სამსონია	Zv.w. II aTaswleulis alalaxis gliptikis samxreT mesopotamiuri da samxreT kavkasiuri tendenciebi, saerTaSoriso samecniero konferenciis masalebi	Batumi, 2019
2	ვ. ლიჩელი	inteleqtualuri inovaciebi kavkasiis iberiaSi (saqarTvelo, Zv.w. XI-IX saukuneebi).	wm. Ggrigol feraZis **I saerTaSoriso konferencia** “saqarTvelo da qrisitanuli civilizacia”, თბილისი 2019
3	ვ. ლიჩელი	თბილისი-ლესელიძის გზატკეცილის 58 კმ ზე ჩატარებული გადარჩნითი სამუსაოები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 3 არქეოლოგიური საანგარიშო სესია 2019 წ,18-20 დეკემბერი,თბილისი
4	ვ. ლიჩელი	გრფაკლიანი გორის 2018 წლის გათხრების შედეგები.	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 3 არქეოლოგიური საანგარიშო სესია 2019 წ,18-20

			დეკემბერი,თბილისი
5	ზ. კვიციანი	ბათუმი , სვანურენოვანი მოსახლეობის განსახლების არეალი (წერილობითი წაყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების შუქზე)	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი _ წარსული და თანამედროვეობა” _ X** ბათუმი 2019 წ.30 აპრილი
6	ზ. კვიციანი	ბრინჯაოს ხარის თავის უნიკალური საკიდი უშგულიდან	თსუ ჰუმან.მეც.ფაკულტეტი ა.გვახარიას ხსოვმისადმი მიძღვნილი მე-13 კონფერენცია 2019წ,,26- 28 ივნისი.თბილისი
7	ზ. კვიციანი	aRmosavleT SavizRvispireTi svanurenovani mosaxleobis gansaxlebis areali	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობისათვის ატარებს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას ქართველოლოგიის დარგში. 2019 წლის 28 ოქტომბერს.
8	ზ. კვიციანი	სვანეთი, ბოგრეშის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 3 არქეოლოგიური საანგარიშო სესია 2019 წ,18-20 დეკემბერი,თბილისი
9	ზ. კვიციანი	ლესალეს არქეოლოგიური შეწავლის ანგარიში	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 3 არქეოლოგიური საანგარიშო სესია 2019 წ,18-20 დეკემბერი,თბილისი
10	ზ. კვიციანი	ჩრდილო კავკასია, სვანურენოვანი მოსახლეობის განსახლების არეალი (წერილობითი წაყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების შუქზე),	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი --- საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები), თბილისი, 04 - 07 ნოემბერი, 2019 წ.

		East Black Sea Survey Area of Resettlement of Svanentian Population (in the light of written and archaeological data)	
11	მარინე ფუთურიძე	თრიალეთის კულტურა და მისი გარემომცველი პოლიტიკურ-კულტურული გარემო.	თბილისი, 4 – 6 ნოემბერი 2019
12	მარინე ფუთურიძე, ნარგიზ ახვლედიანი	მცენარის სახელდების მოტივაცია ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმის ფორმირებაში და მისი არქეოლოგიური კონტექსტი.	თბილისი, 26 – 28 სექტემბერი, 2019
13	მარინე ფუთურიძე	კიოტოს საერთაშორისო კონგრესი და პირველი შეხება იაპონურ კულტურულ ტრადიციასთან	თბილისი, 2 – 3 დეკემბერი, 2019
14	მარინე ფუთურიძე, ნარგიზ ახვლედიანი	მცირე პლასტიკის ლითონის უძველესი ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიური კვლევისათვის უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები	ბათუმი, 19-20 ოქტომბერი, 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	V. Licheli	New evidences of Achaemenid – Georgian relations	St. Petersburg, Russia
2	V. Licheli	ვორკშოპი “staff week”	Limerick University, Ireland
3	Puturidze Marina Akhvlediani Nargiz	Interdisciplinary Study of the Colchis Monuments of the 2nd Millennium BC: Linguistic-ArchaeologicalAnalyses.	St. Petersburg, 18 – 22 November, 2019
4	Puturidze Marina Akhvlediani Nargiz	For the Interdisciplinary Study of Bronze Age Colchis Site „Makhvilauri”: Linguistic-	Kyoto, Kyoto Sagno 2- 5 October, 2019

		Archaeological Analyse.	
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6.3. საერთაშორისო ექსპედიციები.

№	ხელმძღვანელი	ექსპედიცია	ექსპედიციის ჩატარების დროდაადგილი
1	ვ. ლიჩელი	ქართულ-იტალიური(რომი) სამხრეთ საქართველოს სადაზვერვო ექსპედიცია	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
2	გ. გრიგოლია	ქართულ-ავსტრიული ხოვლეს ექსპედიცია	კასპის მუნიციპალიტეტი
3	ზ. კვიციანი	ქართულ-გერმანული ექსპედიცია, ლესალე	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
4	ვ. ლიჩელი/პაოლო ბიაჯი	ქართულ-იტალიური (ვენეცია) თრიალეთის სადაზვერვო ექსპედიცია	წალკის მუნიციპალიტეტი

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. **გ. ჯაფარიძე**

პერსონალური შემადგენლობა.

არაბისტიკის კათედრა

1. დარეჯან გარდავაძე –პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. მაია ანდრონიკაშვილი – ასოცირებული პროფესორი
3. ნინო ეჯიბაძე – ასოცირებული პროფესორი
4. გიორგი ლობჟანიძე – ასოცირებული პროფესორი
5. მარიამ ნანობაშვილი – ასოცირებული პროფესორი
6. ნინო დოლიძე – ასისტენტ პროფესორი

ირანისტიკის კათედრა

7. მარინე ალექსიძე – ასოცირებული პროფესორი
8. ფატმან ანთაძე-მალაშხია – ასოცირებული პროფესორი
9. მანანა კვაჭაძე – ასოცირებული პროფესორი
10. თეა შურღაია – ასოცირებული პროფესორი(კათედრის ხელმძღვანელი)

11. მზია ბურჯანაძე – ასოცირებული პროფესორი

თურქოლოგიის კათედრა

12. მარიკა ჯიქია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

13. ელისაბედ ბჟალავა – ასოცირებული პროფესორი

14.ნანული კაჭარავა – ასოცირებული პროფესორი

15.ქეთევან ლორთქიფანიძე – ასოცირებული პროფესორი

16.თამარ ალფენიძე – ასისტენტ პროფესორი

ებრაისტიკა–არამეისტიკის კათედრა

17.მარიამ ჩაჩიბაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

18.მამუკა ბუცხრიკიძე – ასოცირებული პროფესორი

არმენოლოგიის კათედრა

19.ნათია ჩანტლაძე – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

20.დალი ჩიტუნაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ასირიოლოგიის კათედრა

21.ირინე ტატიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

22. ნინო სამსონია – ასოცირებული პროფესორი

23.მაია ღამბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

24.გოჩა ჯაფარიძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

25. გიული ალასანია – პროფესორი

26.ნანი გელოვანი – ასოცირებული პროფესორი

27.ნანა გელაშვილი – ასოცირებული პროფესორი

28.მირიან მახარაძე – ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**2**	3	4
1	სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი); ქართველოლოგია; HE-911	2019-2021	1.**მირიან მახარაძე /აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა/** (ხელმძღვანელი); 2.ზაზა შაშიკაძე (კოორდინატორი) 3.ნინო სურმავა -მონაწილე; 4.ხათუნა ბაინდურაშვილი - მონაწილე;

			5.ალკაზარ კაშია - მონაწილე.

პროექტის მეორე პერიოდში პროექტის ჯგუფის მიერ სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში მოძიებული და გადაღებული იქნა საქართველოს შესახებ 31 554 გვერდი. დამუშავებული იქნა შემდეგი ფონდები: babi esafi, რომელიც შედგება 15 ქვე ფონდისგან. Sadaret-ი, რომელიც შედგება 13 ქვეფონდისგან. აღნიშნული ფონდები დამუშავებული იქნა საპროექტო ჯგუფის მიერ. აღიწერა და ითარგმნა დოკუმენტებში არსებული შინაარსი. babi esafi-ს ფონდში არსებული დოკუმენტები დალაგდა ქრონოლოგიურად. იგი იწყება 1554 წლიდან და გრძელდება 1909 წლამდე. დამუშავებულმა და რეზიუმირებულმა 1000 ზე მეტმა დოკუმენტმა შესადგინა ნაბეჭდი 200 გვერდზე მეტი. სადარეთის ფონდში დამუშავდა 800-ზე მეტი დოკუმენტი. ქრონოლოგია მოიცავს 1861 წლიდან 1015 წლამდე, დამუშავებულმა და რეზიუმირებულმა თარგმანმა შეადგინა 150 გვერდზე მეტი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მივლინება სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში და ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, აგრეთვე ე.წ. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე კაშხლების შედეგად ჩასაძირი ძეგლების აღწუსხვა და მათ შესახებ ოსმალური დოკუმენტების მოძიება. ამ მიზნით განხორციელდა მივლინება ართვინში, შავსეთში და იუსუფელში. დადგინდა ყველა ის ძეგლი, რომელიც რომლებიც მთლიან, თუ ნაწილობრივ დაზიანებას მიიღებდა კაშხლების აშენების შედეგად. მოიძია თითქმის ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც ამ ძეგლების შესახებ მოიძებნა სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში. ჯერჯერობით ჩვენს მიერ მოძიებულ ძეგლთა რაოდენობა 15-ზე მეტია, თუმცაღა ძიება კვლავ გრძელდება.

2	XVI-XVIII საუკუნეების ახალციხე-არტანუჯის რეგიონი ოსმალური დავთრების მიხედვით	2018-2020	1.**მირიან მახარაძე** (ხელმძღვანელი); **/აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა/** 2.ნოდარ შენგელია (კოორდინატორი); 3.ნინო სურმავა

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2019 წელს საპროექტო ჯგუფმა გამოსაცემად მოამზადა: 1.არტანუჯის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი. მისი შიფრია 71. ზომა 16X45 სმ. ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. ნაშრომის პირველი გვერდი იწყება სათაურით ''არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარი''. ნაშრომს თან ახლავს თუღრა: სულთან მურად ხან სულთან სელიმ ხანის ძე მუდამ გამარჯვებული /სულთან მურად III (1574-1595). 2. ახალციხის ლივის მეციხოვნეთა დავთარი. ახალციხის შესახებ ისტორიული წყარო გამოუქვეყნებელია, როგორც საქართველოში ასევე თურქეთის რესპუბლიკაში. უფრო მეტიც მსგავსი შინაარსისი სოციალ-ეკონომიკური დოკუმენტი არ ინახება არა მარტო საქართველოს არამედ თურქეთის რესპუბლიკის არქივებში. იგი აღმოჩნდა მხოლოდ ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია 340. ზომა 14X40 სმ. დავთრის პირველ გვერძე მითითებულია სარჩევი, სადაც წარმოდგენილია როგორც ჩილდირი ციხეები, ასევე ახალციხის მთავარ ციხეზე დაქვემდებარებული სოფლები. 3.თორთუმის ლივის ვრცელი დავთარი. იგი მნიშვნელოვანი წყაროა აღნიშნული მხარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესასწავლად. იგი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია 159. ზომა 17X41. დავთარს პირველ და მეორე გვერძე აწერია თორთუმილ ლივის ვრცელი დავთარი. დავთარი შედგება თორთუმის, ლასქავის, აჰჩერექისა და ხახოს ნაჰიეებისაგან. 4.ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიეს ვრცელი დავთარი. იგი XVI ს. II ნახევრის აჭარის ისტორიისათვის მეტად ღირებული ძეგლია. მისი შიფრია 197. ზომა 15X40 სმ. იგი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მსგავსი წყარო მოიპოვება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივშიც შიფრი 558, რომელიც საპროექტო ჯგუფმა გამოსცა 2011 წელს. მიუხედავად წყაროთა მსგავსებისა, მრავლადაა განსხვავებული მინაწერი, რაც აუცილებელს ხდის ანკარის ხელნაწერის გამოკვლევა-გამოცემას. ყველა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტის დედანი გაიშიფრა არაბული ტრანკრიფციით და გადაითარგმნა ქართულად. აგრეთვე მოხდა მისი რედაქტირება და კორექტირება. მიმდინარეობს ტექსტის დაკაბადონება. ტექსტი სრული მოცულობით აღემატება 1300 გვერდს.

ამას გარდა პროექტის ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა 1563 წლის დავთარი ე.წ. ლალა მუსტაფა ფაშას ვაკუფნამე, რომლის შიფრია 608. იგი შედგენილია ლალა მუსტაფა ფაშას მიერ და გადმოცემულია რეგიონალური ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობები, აღწერილია რეგიონში მდებარე დასახლებული პუნქტები. აღნიშნული დავთარი გადალათინურებულია, ჩვენ ხელთ გვაქვს, მისი როგორც

ოსმალური ასევე ლათინური ვერსიები. ტექტი თარგმნილია და დართული აქვს სათანადო კომენტარები.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული ფუნდამენტური სამეცნიერო გრანტი „აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები“ (FR 217488)	2016 დეკემბერი - 2019 დეკემბერი	ელენე გოგიაშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი), **დარეჯან გარდავაძე** (კოორდინატორი), **/არაბისტიკა/** შემსრულებლები: ანდრო გოგოლაძე, ნინო ქავთარაძე, თეა თათეშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) **1.** მონოგრაფიული კვლევა: **აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში. ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები** ; რედაქტორი: ელენე გოგიაშვილი გამოკვლევის მიზანი იყო ინტერდისციპლინური პერსპექტივით შეესწავლა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, რომლებშიც ლიტერატურული გავლენის კვალი შეინიშნება და წერილობითი წყაროები,რომლებშიც ფიქსირებული ან ინტერპრეტირებულია ხალხური წარმოშობის სიუჟეტები. კვლევის შედეგად არაერთი სიახლე გამოვლინდა: - ევროპისა და აღმოსავლეთის ასახვა ქართულ ზღაპრებში: სიუჟეტები,მოტივები, პერსონაჟები; - ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების კვლევისას გამოვლინდა სიუჟეტის გავრცელების კონკრეტული გზები; - დაზუსტდა ინფორმაცია იმ სოციალური და კულტურული გარემოს შესახებ, სადაც ევროპული თუ აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები იყო მიმოქცევაში; - გამოიკვეთა უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა ეროვნული თავისებურებები, თუ როგორ ხდება მათი რეცეფცია ნაციონალურ ნიადაგზე; - ქართული ისტორიული ქრონიკების ანალიზის მიხედვით დადგინდა, ზღპრების რომელი მოტივები იყო აქტუალური ისტორიული პირებისა და ფაქტების გადმოცემისას; - გამოვლინდა ქართულ საისტორიო ქრონიკებში დაცული თხზულებების ჟანრული თავისებურებანი აღმოსავლური, ევროპული და ნაციონალური თხრობითი ტრადიციების გათვალისწინებით. ფოლკლორილი სიუჟეტის წარმოშობის საკითხი ყოველთვის ნათლად არ იკვეთება, კულტურული ფონის ცვალებადობა კი მუდამ შესამჩნევი და ინტერესის აღმძვრელია. მონოგრაფიული კვლევა შესაძლებელს ხდის, თვალი გავადევნოთ კულტურულ-ისტორიულ პროცესს, თუ როგორ იქცევა ზღაპრები მედიუმად ქვეყნებსა და ხალხებს შორის.		
2	ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართულის დიალექტებში: გურული, რაჭული, ხევსურული, ქიზიყური	2016 - 2019	1. რუსუდან ასათიანი (ხელმძღვანელი) 2. ლეჟავა (კოორდინატორი) 3. ნათელა დუნდუა (შმს) 4. მარინე ივანიშვილი (შმს)

	(ჰუმანიტარული მეცნიერებები, ენათმეცნიერება და ლიტერატურა - FR/216682/16)2		5. ეთერ სოსელია (შმს) 6. მარიკა ჯიქია (შმს)

გურიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ქიზიყში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა დამუშავდა პროგრამაში PRAAT, ანოტირება-გლოსირება განხორციელდა პროგრამაში ELAN. ანოტირებული მასალა დარედაქტირდა და ორგანიზების შედეგად მივიღეთ მონაცემთა ბაზები გურული, რაჭული, ხევსურული და ქიზიყური მასალებისა. ბაზაში wav. და eaf. ფაილები დალაგებულია დიალექტების, სესიების, სატესტო დავალებისა და ინფორმანტების პირობითი ნომრების მიხედვით, მაგ., XEV-S2-14a-6, სადაც XEV აღნიშნავს ხევსურულ დიალექტს, S2 - მეორე სესიისას ჩაწერილ მასალას, 14a - სატესტო დავალების კონკრეტულ ნომერს და 6 - რიგით მეექვსე ინფორმანტს. მასალა ანოტირებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მკვლევრებისათვის.

შემუშავდა განზოგადებული დებულებები, გამოვლინდა IS-ს გარკვეული მოდელები; შედეგები მოხსენდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. დაიბეჭდა ნაშრომი: „ინფორმაციის სტრუქტურირება და სამყაროს ლინგვისტური ხედვა: სომატური ლექსიკა ქართველურ ენობრივ სივრცეში“, რომლის პრეზენტაცია შედგა უნივერსიტეტში 3 დეკემბერს.

3	ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო ღმოსავლეთში (ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი). RF17_138 (საქართველოს შემსწ.მეცნ.); 7.5(ჰუმან.)	2017-2019	**გოჩა ჯაფარიძე** /სამეცნიერო ხელმძღვანელი/ **აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა;** **ნანი გელოვანი** /ძირითადი პერსონალი, კოორდინატორი/; **აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა;** მამუკა წურწუმია /ძირითადი პერსონალი/

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის შესწავლილი საღვთო ომის იდეოლოგიის საკითხები.შესაბამისად, განხორცილებული სამეცნიერო პროექტის — ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო ღმოსავლეთში (ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი) — მიზნები ასე იყო განსაზღვრული: ა) ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში საღვთო ომის იდეოლოგიის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროებისა (სომხური, არაბული, სპარსული, თურქული) და ისტორიოგრაფიის შესწავლა; ბ) მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა (ელექტრონული ბიბლიოგრაფია და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა ბაზა). ვ) აღმოსავლური წყაროების კომპლექსური ანალიზი (ევროპული წყაროების გათვალისწინებით) VII-XVIII საუკუნეებში.საღვთო ომის იდეოლოგიის ძირითადი საკითხებისშესასწავლად. ძირითადი საკვლევი საკითხები:ჯიჰადი, ზოგადი კონცეფცია, განვითარება და ევოლუცია; ისლამური ჯიჰადი და საქართველო; ისლამური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოსთან (VII-XVIII სს.); საღვთო ომის იდეის განვითარება დასავლეთ საქრისტიანოში (სამართლიანი ომი, საღვთო ომი); ჯვაროსნული მოძრაობა; ჯვაროსნული იდეები და მისი გავლენა საქართველოზე; ბიზანტიის დამოკიდებულება საღვთო ომის იდეისადმი; ქრისტიანულ-მუსლიმური დაპირისპირების იდეოლოგიური საფუძვლები; ანტიმუსლიმური პროპაგანდის ხერხები; ქართული ქრისტიანობის მებრძოლი ხასიათი; ქართული ეკლესიის სამხედრო საქმიანობა.

ზემოჩამოთვლილი საკითხები მონოგრაფიულად დამუშავდა და გამოიცა წიგნად ვრცელი ინგლისური რეზიუმის თანხლებით, რათა კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს უცხოელი მკითხველისთვის.

2-წლიანი პროექტის ფარგლებში ჩატარდა საჯარო ლექციები და მრგვალი მაგიდა დაინტერესებული საზოგადოებისათვის პროექტის მიმდინარეობისა და მისი განხორციელების ცალკეულ ეტაპებზე მიღებული შედეგების გასაცნობად; კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოხდა ადგილობრივ და საერთშორისო ფორუმებზეც და გამოქვეყნდა სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში საქართველოსა და საზღვარგარეთ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	შარჯას წიგნის საერთაშორისო ბაზრობის მთარგმნელობითი პროგრამა "არაბული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში"	2018-2019 წწ.	გამომცემლობა „ინტელექტი“, **დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/** (მთარგმნელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. პროექტი მიზნად ისახავს თანამედროვე ლიბანელი მწერალი ქალის - იმან ჰუმაიდან იუნისის ორი რომანის: „ასო ბ სიტყვებში: ბინა და ბეირუთი“; „ველური თუთა“ – აკადემიური მხატვრული თარგმანების გამოცემას ქართულ ენაზე.2019 წლის ბოლოს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოიცემა მწერლის პირველი რომანი: „ასო ბ სიტყვებში: ბინა და ბეირუთი“, რომელიც ბეირუთის სამოქალაქო ომის მხატვრული ასახვაა. წიგნს წინ უძღვნის მთარგმნელის აკადემიური წინასიტყვაობა. მეორე რომანის თარგმანზე მუშაობა გრძელდება.			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელენე გოგიაშვილი, **დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/** ანდრო გოგოლაძე, ნინო ქავთარაძე, თეა თათეშვილი	აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში. ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები ; რედაქტორი: ელენე გოგიაშვილი	თბილისი, 2019	360
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. გამოკვლევის მიზანი იყო ინტერდისციპლინური პერსპექტივით შეესწავლა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, რომლებშიც ლიტერატურული გავლენის კვალი შეინიშნება და წერილობითი წყაროები,რომლებშიც ფიქსირებული ან ინტერპრეტირებულია ხალხური წარმოშობის სიუჟეტები. კვლევის შედეგად არაერთი სიახლე გამოვლინდა: - ევროპისა და აღმოსავლეთის ასახვა ქართულ ზღაპრებში: სიუჟეტები,მოტივები, პერსონაჟები; - ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების კვლევისას გამოვლინდა სიუჟეტის გავრცელების კონკრეტული გზები; - დაზუსტდა ინფორმაცია იმ სოციალური და კულტურული გარემოს შესახებ, სადაც ევროპული თუ აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები იყო მიმოქცევაში; - გამოიკვეთა უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა ეროვნული თავისებურებები, თუ როგორ ხდება მათი რეცეფცია ნაციონალურ ნიადაგზე; - ქართული ისტორიული ქრონიკების ანალიზის მიხედვით დადგინდა, ზღპრების რომელი მოტივები იყო აქტუალური ისტორიული პირებისა და ფაქტების გადმოცემისას; - გამოვლინდა ქართულ საისტორიო ქრონიკებში დაცული თხზულებების ჟანრული თავისებურებანი აღმოსავლური, ევროპული და ნაციონალური თხრობითი ტრადიციების გათვალისწინებით. ფოლკლორილი სიუჟეტის წარმოშობის საკითხი ყოველთვის ნათლად არ იკვეთება, კულტურული ფონის ცვალებადობა კი მუდამ შესამჩნევი და ინტერესის აღმძვრელია. მონოგრაფიული კვლევა შესაძლებელს ხდის, თვალი გავადევნოთ კულტურულ-ისტორიულ პროცესს, თუ როგორ იქცევა ზღაპრები მედიუმად ქვეყნებსა და ხალხებს შორის.			
2	რუსუდან ასათიანი, ნათია დუნდუა, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია, **მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	ინფორმაციის სტრუქტურირება და სამყაროს ენობრივი ხედვა: სომატური ლექსიკა ქართველურ ენობრივ სივრცეში ISBN კ _ 978-9941-479-43-4	თბილისი, “ახალი ხედვა“,	148 გვ.
წიგნში შესულია გურიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ქიზიყში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა,რომელზბიც დამუშავდა პროგრამაში PRAAT, ანოტირება-გლოსირება განხორციელდა პროგრამაში ELAN. ანოტირებული მასალა დარედაქტირდა და ორგანიზების შედეგად მივიღეთ მონაცემთა				

ბაზები გურული, რაჭული, ხევსურული და ქიზიყური მასალებისა. ბაზაში wav. და eaf. ფაილები დალაგებულია დიალექტების, სესიების, სატესტო დავალებისა და ინფორმანტების პირობითი ნომრების მიხედვით, მაგ., XEV-S2-14a-6, სადაც XEV აღნიშნავს ხევსურულ დიალექტს, S2 - მეორე სესიისას ჩაწერილ მასალას, 14a - სატესტო დავალების კონკრეტულ ნომერს და 6 - რიგით მეექვსე ინფორმანტს. მასალა ანოტირებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მკვლევრებისათვის. წიგნის პრეზენტაცია შედგა უნივერსიტეტში 3 დეკემბერს				
3	**მარიამ ჩაჩიბაია** **/ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	შუა საუკუნეების ედესისა და ნისიბინის აკადემიები	მომზადდა გამოსაცემად თბილისი, „ლოგოსი“	
შუა საუკუნეების ედესისა და ნისიბინის აკადემიები-უნივერსიტეტები კარგად იყო ცნობილი ბიზანტიაში და ლათინურ დასავლეთში. ამ უმაღლესი სასწავლებლების სათავეები ანტიკურ ხანაში ბერძნულ ტრადიციებში დასტურდება. ცნობები სირიული სკოლების შესახებ დაცულია არა მხოლოდ სირიელი, არამედ ბერძენი ავტორების თხზულებებში. ისინი განთქმული იყვნენ, როგორც მწიგნობრული და საგანამათლებლო ცენტრები. მათი ძირითადი ამოცანა იყო საღვთო წერილის განმარტებანი, რაც ხელს უწყობდა იმ ფილოსოფიური მიმართულების დოგმატური შეხედულებების დამკვიდრებასა და გავრცელებას, რომელსაც მისდევდნენ სირიელები. ეგზეგეზა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა იყო ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინები, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფილოსოფიასა და მეცნიერების სხვა დარგებს. მონოგრფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ედესისა და ნისიბინის აკადემიის ცნობილი მოღვაწეების რაბბულას, ივა ედესელის, ბარ საუმას, მარ ნარსაის, ნონის, მარ აბრაამისა დ სხვათა შემოქმედების შესწავლას. ედესისა და ნისიბინის აკადემიების რექტორებისა და პროფესორთა ბიოქრაფიები გვაწვდის მრავალ უაღრესად საინტერესო ცნობებს ამ შესანიშნავი სირიული აკადემიების, მათი წესდების, პროფესორთა და სტუდენტთა შესახებ. ნისიბინის აკადემიის მრავალი ნესტორიანული სწავლულის ლიტერატურულმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა აღმოსავლეთის იდეოლოგიის ისტორიაში – ელისე ბარ კოსბაიე, იშო-იაბ I, მარ აბრაამ ნისიბინელი, ჰენანა ადიაბენელი და სხვ. ჰენანა ადიაბელელი იყო ის მწიგნობარი-რეფორმატორი, რომელმაც უარყო უდიდესი ნესტორიანი ღმრთისმეტყველის თეოდორე მოფსუესტელის ტრადიციულ განმარტებათა სისტემა. საღმრთო წერილის მისეულ განმარტებებში მან შემოიღო იოანე ოქროპირის მეთოდები და შეხედულებები. ნაშრომში საგანგებო ყურადღება დაეთმო ედესისა და ნისიბინის აკადემიების როლსა და მნიშვნელობას არაბებისათვის ბერძნული ფილოსოფიური აზრისა და ელინური კულტურის გადაცემის საქმეში.				
4				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო სამსონია** **/ასირიოლოგია/** (ასირიოლოგიისა და არქეოლოგიის სტუდენტთა თანამონაწილეობით)	შუამდინარული ლიტერატურა. ელ-სახელმძღვანელო, იხ. ლიკი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	443
სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი თათია ბუწურაძე(არქეოლოგია) და ელიზა გუჯაბიძე (ასირიოლოგია). წარმოდგენილია შუამდინარული ლიტერატურის უძველესი ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ III-I				

ათასწლეულებს მოიცავს და შუმერულ-აქადური ლურსმული ტექსტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. წიგნში შეკრებილია ლურსმული ტექსტების არსებული ქართული კომენტარებიანი თარგმანები, რომლებიც თსუ ასირიოლოგიის კათედრაზე მომზადდა. ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომელიც დახმარებას გაუწევს აგრეთვე მეცნიერ-თანამშრომლებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო სამსონია /ასირიოლოგია/** ჯემალ შარაშენიძე	აკრძალული თარგმანის დაბრუნება	კულტურა პლუს	თბილისი, საქართველოს კულტურისა კულტურისა და ძგლთა დაცვის სამინისტრო https://issuu.com/kulturaplus/docs/kultura_plus_15_isuu	1-30

ქართულიუნივერსიტეტისდაარსებისასივანეჯავახიშვილმა,მიხაკო წერეთელი დამფუძნებელთა შორის დაასახელა და ევროპაში ცოდნამიღებულს 1919 წელს`ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის~ კათედრის შექმნა, ხელმძღვანელობა შესთავაზა.
მიხაკო წერეთელმა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ განათლება ჯერ კიევის, მოგვიანებით კი სორბონის, ჟენევისა, და ბოლოს, დავით სარაჯიშვილის ხელშწყობით, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში მიიღო. ივანე ჯავახიშვილისა დაექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილ ბარათებში იგი ხშირად წერდა თუ რა ურთულეს, მაგრამ საინტერესო საქმეს შესჭიდებოდა _ იმ დროისთვის ახლადაღმოჩენილი, შეუსწავლელი ლურსმული დამწერლობების შესწავლა-გაშიფვრის გამო. სწორედ ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში იწყებოდა ქართველური ტომების უძველესი ისტორია და პირველ ქართულუნივერსიტეტში ასირიოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის არსებობა, ჩვენს უნივერსიტეტს სამეცნიერო ავტორიტეტს სძენდა – მაშინ მეცნიერების ამ მიმართულებას მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტი იკვლევდა.
მიხაკო წერეთლს, აწ უკვე საქართველოს ეროვნულ გმირს, სამშობლოს სიყვარულმა, პასუხისმგებლობა-შრომისმოყვარეობამ შეაძლებინა ამ ურთულესი, საშური საქმის დაძლევა. მსოფლიოში ცნობილ გერმანელ ასირიოლოგთან, კარლ ბეცოლდთან რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ, იგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი გახდა. ბეცოლდისა და წერეთლის მიმოწერა

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტშია დაცული და იქვე ინახება მისი სადოქტორო ნაშრომი, შუმერული და ქართველური ენების ურთიერთმიმართების შესახებ იმატრიკულაციის მოწმობითურთ.					
2.					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	არაბული ფორმა faʿal-u-m, მიმაცია თუ მრავლობითის მარკერი. ISBN 978-9941-13-882-9	აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე - 90	თსუ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	გვ.128-135
ანოტაცია ეგვიპტის არაბულ დიალექტში დასტურდება ზმნური ფორმა faʿal-u-m, რომლის ბოლოკიდური -m-ის წარმოშობა და ფუნქცია დიდი ხანია მკვლევართა ინტერესს იწვევს. მეოცე საუკუნის 50-იან წლებში შარბატოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს m შეიძლება იყოს ნაშთი ძველი სემიტური მიმაციისა, რომელმაც არაბულში ნუნაცია მოგვცა. მაგრამ მისი ეს მოსაზრება გაკრიტიკდა, რადგან მიმაცია და ნუნაცია სახელთა განუსაზღვრელობის ნიშანია და მისი კვალის აღმოჩენა ზმნაში საეჭვოდ მიიჩნიეს. სტატიაში წარმოდგენილია ორი პრინციპულად ახალი დებულება: 1. ეს ბოლოკიდური -m არის მრავლობითის მარკერი; 2. შესაძლებელია ამ დებულებისა და შარბატოვის მიერ დაახლოებით 70 წლის წინ გამოთქმული დებულების თანხვედრა. ორივე ამ დებულების საარგუმენტაციო მასალა სტატიაში დეტალურადაა მოწოდებული.					
2.	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	ენასთან დაკავშირებული ანდაზების ტიპოლოგიისთვის განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში (ქართულ და არაბულ კორპუსთა ბაზაზე)	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXIII რეცენზირებული და რეფერირებული (თსუ)სამეცნიერო კრებული **ISSN 1512-0694**	თსუ გამომცემლობა 2019	გვ.: 153-165 (12 გვერდი)
საანდაზო ფონდებს, როგორც მოცემული ეთნოსის მიერ (ისტორიული გამოცდილების საფუძველზე) მიღებულ შეფასებათა „სოციალურ მემატიანეს“, პრაქტიკულად ზუსტად აქვს შემონახული ადამიანურ ურთიერთობათა მრავალმხრივი - ზედაპირული (თვალსაჩინო) თუ სიღრმისეული (არათვალსაჩინო) ცხოვრებისეული მოტივი. სტატია მიზნად ისახავს ქართულ და არაბულ (როგორც სალიტერატურო, ისე სხვადასხვა არაბული ეთნოსების) ფონდებში (ადამიანის „ენის“ თემატურ ჩარჩოებში) დაძებნილი შესატყვისების ფონზე, შეპირისპირებით პლანში გავიაზროთ მოცემულ (მენტალურად რადიკალურად განსხვავებულ) საზოგადოებებში ჩამოყალიბებული მსოფლხედვა (ცხოვრებისეულ პრაქტიკაში მიღებულ მრავალმხრივ					

გამოცდილებზე დაყრდნობით) ამ მნიშვნელოვანი და მუდამ აქტუალური („ენის“) ფენომენის შესახებ. ძიებისას პოსტულატად აღებულია ქართული ანდაზა - „**ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივ ჩემი მეგობარი**“ და მისი (სალიტერატურო არაბულის ანდაზურ ფონდში მოძიებული) შესატყვისი - „**ო, ენავ, შენი წყალობით ადამიანი ან ამაღლდება ან დამდაბლდება**“. თითოეული, როგორც სენტენცია, პრაქტიკულად, მრავალფეროვან სიტუაციებში **ენის გონივრული გამოყენების** უნივერსალური შეფასებაა. მოცემული ბრძნული შეფასებები ადამიანურ ურთიერთობებში ენის (ავად თუ კარგად) მოქმედებით გამოწვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაკვირვების მრავალპლანიან (პრაქტიკულად სრულყოფილ) შეჯამებას წარმოადგენს. მისი (როგორც მთავარი თემის) საფუძველზე, ერთი მხრივ, მოცემულ ფონდებში დაეძებნა (ამ სემანტიკურ მოდელში მოქცეული ექსპლიციტურად განზოგადებული) პარალელები, მეორე მხრივ, გააზრებულ იქნა (მოცემული რუბრიკის ქვეშ) „ენის“ სხვა რა მიმართებების მოთავსებაა შესაძლებელი. ამ უკანასკნელთ ქვეთემების სახით გამოვყოფთ (როგორც ქართულში, ისე არაბულში). ძიების ამგვარი გეზი კომპლექსურია, ის თავისთავად უზრუნველყოფს მოცემულ თემაზე (წარმოდგენილი ენების კორპუსზე დაყრდნობით) მოძიებული მაგალითების სინონიმურ, კვაზისინონიმურ და ანტონიმურ დაჯგუფებას.

ნაშრომში წარმოდგენილი არაბული მაგალითების უმრავლესობა (მცირე სალიტერატურო გამონაკლისის გარდა) ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი, იორდანელი, პალესტინელი, ეგვიპტელი, ერაყელი) ინფორმანტებისაგან. განსაკუთრებით ღრმად მეტაფორული ერთეულების დედააზრის სწორად შესაცნობად (შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად) და კომუნიკაციაში თითოეულის სათანადო სიტუაციური „ნიშის“ დასადგენად, ინფორმანტებთან შესაბამის კონტექსტებში გააზრების საფუძველზე დაზუსტდა მოცემულ არაბულ ეთნოცნობიერებაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებით (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები. დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

3.	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	**ფსიქოლინგვისტური ასპექტები პარემიის ფორმა-შინაარსის ორგანიზებაში** (არაბული და ქართული ანდაზების ანალიზის შუქზე)	საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ ენა და კულტურა” V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები **ISBN 978-9941-25-583-0**	ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2019	გვ.: 616-625 (9 გვერდი)

ჩვენს მიერ განხილულ კორპუსში არაბული და ქართული მაგალითების შედარებით-ტიპოლოგიური ასპექტით შესწავლამ, ერთი მხრივ, აჩვენა თითოეული ეთნოსი მოცემულ სიბრძნეს საკუთარ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოხატავს. ერთსა და იმავე იდეას თითოეული საკუთარ ,,საშენ მასალას˜ უდებს საფუძვლად და ანუ სამყაროზე დაკვირვებისა და შემეცნების პროცესში მოცემულ გარემოში მიღებულ ცნებითი აზროვნების უნივერსალურ მოდელებს ქმნიან. ამ მოვლენას მეცნიერები, გარკვეულწილად ზოგადადამიანური _`საერთო ფსიქიკური საფუძვლით˜ (კ. იუნგი) - ადამიანთა სტერეოტიპული აზროვნებით, საერთო პრაქტიკული გამოცდილებით და სიბრძნით (უონგ ქინი) ხსნიან. ამავდროულად, (პრაქტიკული მაგალითების ანალიზზე დაყრდნობით) ცხადი გახდა, რომ ანდაზის ლოგიკურ-სტრუქტურული მოდელი ზედაპირული (ცნობიერი) და სიღრმისეული (ქვეცნობიერი) დონეების კომპლექსური ოპერირებით, მის შექმნაში მონაწილე ყველა კომპონენტის ერთობლივი ამუშავებით იქმნება. კონტექსტში აქტუალიზაციისას ყოველი მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია. მასში ზედაპირულად (თვალსაჩინოდ) და სიღრმისეულად (არათვალსაჩინოდ) ასახული ობიექტური სინამდვილე არ შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგნებად და მოვლენებად განვიხილოთ. ისინი ლოგიკური მიმართებების საშუალებით გარკვეულ ცნებით დამოკიდებულებაში მყოფი კანონზომიერებების მთელი სისტემაა. შესაბამისად, ანდაზის (მით უფრო უცხოენოვანის) სწორად გაგებას მისი (ზოგადაზრობრივი განფენილობის ნიშის განსაზღვრას) მხოლოდ ამ ურთიერთმიმართებათა ზუსტი დადგენა იძლევა. ეს კი, როგორც ზემოთ ითქვა, მოცემული ეთნოსის (ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მიღებული) ცნებითი აზროვნების, მისი „გენეტიკური მეხსიერების“ (ცნობიერი და არაქვეცნობიერი თავისებურებების) შეცნობის გზით არის შესაძლებელი, რამდენადაც ანდაზებში

ჩადებული ცოდნა ამა თუ იმ ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია.					
4	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	**სინტაგმატური კავშირები – მცირე პარემიის ქვეტექსტის საფუძველი** (არაბული ანდაზების ბაზაზე ქართული შესატყვისებით)	საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „კულტურათაშორისი დიალოგები“ - V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები **ISSN 2233-3401 UDC 008.1**	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019	გვ.: 214-221 (7 გვერდი)
წარმოდგენილ კორპუსში განხილულმა მაგალითებმა, ერთი მხრივ, დაადასტურა ნდაზის რთული აზრობრივი ფაბულის აგებულების ზოგადი საყრდენი: სამყაროში დაფიქსირებული ერთი მოვლენის თვისებები (ლოგიკური მიმართებების დახმარებით) ასოცირდება, საფუძვლად ედება მეორეს და ზოგადაზრობრივ დატვირთვას იძენს. ამავდროულად, ცხადი გახადა, რომ კონკრეტული ანდაზის კონკრეტულ ვითარებაზე მორგებისას აქტივირდება და თავის მრავალშრიან აზრობრივ პოტენციალს ამჟღავნებს არა მხოლოდ ესა თუ ის ცალკეული კომპონენტი, არამედ მოცემული ანდაზის კონტექსტში მოცემულ სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მთლიანი შინაარსი, მასში გამოხატული კერძო ნიშნულებით და მახასიათებლებით. ეს პროცესი სწორედ იმ საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რაც დადგენილი და მიღებული ნორმაა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის საარსებო სივრცეში. უფრო ზუსტად, ანდაზის (ერთ მთლიან ბირთვად შეკრული) სემანტიკის კონსტრუქტი, მასში მონაწილე ყველა შემადგენელი ელემენტის სინქრონული ამუშავების პრინციპს ეფუძნება. მეტიც, ზედაპირულად ფიქსირებული ხატი და მისი შემადგენელი („ღია“ თუ „დაფარულ“) სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მეტაფორული ტროპები პრაქტიკულად `საძირკველია~ მასში ჩადებული ქვეტექსტის _ განზოგადებული სიბრძნის `ლოგიკური ჩარჩოს~ შენებაში. ანუ, ყველა ზემოხსენებული კომპონენტი პრაქტიკულად თანაბრად მნიშვნელოვანია. (საკომუნიკაციო აქტის თანმხლები) ანდაზური მეტაფორის `ძრავის~ ამუშავება, რომელიც მასში (ცნებითი აზროვნების დონეზე) ჩაშიფრული ზოგადაზრობრივი კოდის გახსნას უზრუნველყოფს, ზედაპირული (ხატის) და სიღრმისეული (ცნებითი) დონეების სინთეზური ურთიერთქმედების საფუძველზე მიიღწევა. ამდენად, მისი ,,ფარული~ სემანტიკის სიღრმეში, არსებითში ჩაწვდომის საშუალებას მხოლოდ მოცემულ დონეებს შორის არსებული ურთიერთმიმართებების გარკვევა იძლევა.					
5	**ნინო დოლიძე /არაბისტიკა/**	**ჰასან თავფიკის 21-ე ს-ის მაკამები,** **ISSN 2298-0377**	**ჟ. აღმოსავლეთ მცოდნეობა #8,**	**თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი,**	**62-81.**
	სტატიაში გაანალიზებულია მე-20 და 21-ე ს-ის მიჯნაზე მიღვაწე ეგვიპტელი ავტორის ჰასან თავფიკის (1943-2014) წიგნი „შეშლილი არაბის თავგადასავალი“ (გამოიცა 2012 წელს). ეს გახლავთ კლასიკური არაბული ლიტერატურული ფორმის - მაკამის გამოყენების საინტერესო შემთხვევა უახლეს არაბულ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების შინაარსი ირონიულია და ავტორის მძაფრი სატირა მიმართულია თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გასაკრიტიკებლად, ტრადიციული მაკამის მიმართ მოწიწებით აღსავსე დამოკიდებულება აქაც შენარჩუნებულია ისევე, როგორც მე-20 საუკუნის სხვადასხვა ავტორთა მაკამებში. პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ტენდენცია კლასიკური ჟანრების ირონიულ კონტექსტში გამოყენებისა არც აქ ეხება მაკამას, რომელიც ჯერ კიდევ „ნაჰდას“ პერიოდიდან არაბებისთვის ეროვნულ ჟანრად იქცა. ჰასან თავფიკმა სავსებით შეგნებულად გამოიყენა მაკამის ფორმა ნაწარმოებში, სადაც ანტიამერიკული განწყობა შეინიშნება და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე მაკამები როგორც შინაარსის, ისე ფორმის				

	თვალსაზრისით (კერძოდ, რა შეიცვალა კლასიკურ ფორმასთან მიმართებაში და რა არის ამის მიზეზი) და მიღებულია შესაბამისი დასკვნები.				
6	**თეა შურღაია /ირანისტიკა/**	„სპარსული ენა მსოფლიოში - საქართველო“ (რეცენზია, **სპარსულ ენაზე**) 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა Oriental Studies N8	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	216-221
რეცენზიაში მოცემულია ირანის ისლამური რესპუბლიკის სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების საბჭოს მიერ 2000 (1379) წელს გამოცემული წიგნის “სპარსული ენა მსოფლიოში - საქართველო” მწვავე კრიტიკა. ქიუმარს ამირის მიერ შედგენილი ეს “ცნობარი” უამრავ მძიმე შეცდომასა და გაუგებრობას შეიცავს, ამდენად, ყოველგვარ სამეცნიერო ღირებულებას მოკლებულია. რეცენზიის მწვავე ხასიათისა და გამომცემელი ორგანოს ავტორიტეტულობის გამო, წლების მანძილზე მისი გამოქვეყნება ირანში არ მოხერხდა. რეცენზია დაწერილია სპარსულ ენაზე და განკუთვნილია სპარსულენოვანი მკითხველისთვის. რეცენზიის ქართული ვერსია (“ნაშრომი ქართული ირანისტიკის შესახებ”) გამოქვეყნდა 2005 წელს ჟურნალში “პერსპექტივა – XXI, VII (2), გვ. 156-159. სპარსულ კომპეტენტურ გამოცემებში სარეცენზიო წიგნის წყაროდ გამოყენებამ აუცილებელი გახადა ირანული და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების ყურადღების მიქცევა იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ამ გამოცემას უხვად აქვს.					
7	**მ. ალექსიძე /ირანისტიკა/**	ქართველი ქალი XVIII-XIX საუკუნეების „ფსევდოაღმოსავლურ“ ზღაპრებში: ჰაფეზისა და ამინას ზღაპარი (ISSN 2298-0377)	აღმოსავლეთმცოდნეობა, #8, 2019	თბილისი, თსუ გამომცემლობა	31-35
XVIII-XIX საუკუნეების ევროპელი ავტორები აღმოსავლური ზღაპრების სიუჟეტებზე ქმნიდნენ ორიგინალურ თხზულებებს - ე.წ. „ფსევდოაღმოსავლურ“ ზღაპრებს, რომლებშიც საქართველოსა და ქართველებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ ჟანრის საინტერესო ნიმუშია ანონიმი ავტორის „ჰაფეზისა და ამინას აღმოსავლური ზღაპარი“, რომელიც 1800 წელს დაიბეჭდა ლონდონში ყოველთვიურ გამოცემაში „ქალბატონების ჟურნალი ანუ თავშესაქცევი თანამგზავრი მშვენიერი სქესისათვის“. ეს არის ამბავი ჩინგიზ ხანის მხედართმთავარ ჰაფეზისა, რომელიც საქართველოში სისხლიანი ლაშქრობის დროს ხვდება ქართველ გოგონა ამინას და ის ერთი ნახვით უყვარდება. ამინას სილამაზე, სათნოება და კეთილშობილება აღმოჩნდება ის ძალა, რომელიც ჰაფეზს თავისი მბრძანებლის დაუმორჩილებლობას გააბედინებს და, საბოლოოდ, თავად სასტიკ ჩინგიზ ხანსაც საქართველოს აოხრებას გადააფიქრებინებს. ამ ზღაპარში იკვეთება შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში გავრცელებული თემა „ქალთა ძალაუფლებისა,“ როცა ჰეროიკულ და ძლიერ მამაკაცზე სუსტი ქალი დომინირებს და აიძულებს საკუთარი სურვილისამებრ იმოქმედოს.					
8	**მზია ბურჯანაძე /ირანისტიკა/**	ირაჯ მირზას ,,ზოჰრე და მანუჩეჰრი - კდემისა და ვნების გაბაასება, 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა N 8	თბილისი, თსუ გამომცემლობა	36-45
სტატია ეხება მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ირანელი პოეტის ირაჯ მირზას დაუმთავრებელ პოემას ,,ზოჰრე და მანუჩეჰრი“. სტატიაში საუბარია პოეტის მიერ სიყვარულის თემის ორიგინალურ გაშლასა და,					

ამასთან კონტექსტში, ქალის საკითხის მრავალწახნაგოვან პრიზმაში განხილვის თაობაზე. სტატიაში მოცემულია არგუმენტაცია იმ მიზეზების ასახსნელად, რომელთაც შესაძლოა, განაპირობეს ირაჯ მირზას ინტერესი შექსპირის „ვენერასა და ადონისის“ მიმართ. ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული, „ზოჰრე და მანუჩეჰრი“ შექსპირის თხზულების ე.წ. თარგმანება-გადმოღებაა თუ ორიგინალური ნაწარმოები.					
9	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	მურმან ლებანიძის ლექსების კითხვისას ISSN _ 1987-6823	ლექსმცოდნეობა, ეძღვნება მურმან ლებანიძის ხსოვნას _ ლექსმცოდნეობის მეთერთმეტე სამეცნიერო სესია (მასალები), XI,	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 217-228.
წერილში წარმოჩენილია პოეტური სიტყვათთხზვა მურმან ლებანიძის შემოქმედების მიხედვით. ნეოლოგიზმებში პოეტი იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს, რომელიც სწორია წარმოების თვალსაზრისით, თუმცა არ დასტურდება ქეგლ-ში და უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო. შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახული და გამომზეურებულია ნაკლებად ცნობილი ან ჟამთა სვლის გამო სრულიად მივიწყებული და ზოგჯერ უცნობი ლექსიკური ერთეული: საქნარი , გორმახი , ცრიატი, გამგუნებული, სავათი, ჯორკიდებული, ტინი, დაჯარჯული, ძველშავი, ჯაგრცხილა; ზმნათაგან აღსანიშნავია: ფარჩავდა, ხარდნის(სარს უდგამს) , ვალიანობ , ჭვრინავენ, მოეზაყები და სხვ. მურმან ლებანიძის ლექსებს არაჩვეულებრივ კოლორიტს ანიჭებს დიალექტური ფორმები.					
10	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	მუხამბაზი ქართულ პოეზიაში ISSN – 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა, №8. კრებული ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსანდრე გვახარიას (1929-2002) ხსოვნას.	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 103-114.
აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართულ პოეზიაში შემოჭრილ აღმოსავლურ სალექსო ფორმებს შორის ერთ-ერთი მუხამბაზია (<არაბ.muhammas'ხუთნაწილიანი, ხუთის შემცველი, /hams/ 'ხუთი') . კანონიკური მუხამბაზი აგებულია ხუთბწკარიანი სტროფებით, პირველი სტროფის ხუთივე სტრიქონი ერთი რითმით ბოლოვდება, მომდევნო სტროფების ოთხი სტრიქონი სხვა რითმითაა გაწყობილი, ოღონდ მეხუთეში ძირითადი რითმა მეორდება (მაგ.,ბესიკის "ტანო ტატანო"). ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებისთანავე ტერმინი მუხამბაზი გულისხმობდა როგორც კონკრეტულ სალექსო ფორმას, ასევე აღმოსავლურ, თავისებურ, სტილიზებულ კილოს. ბესიკისა და საიათნოვას შემდეგდროინდელ პოეტებს სულ სხვაგვარად გაუგიათ მუხამბაზის ბუნება. მუხამბაზი არ არის ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“, არც გრიგოლ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ის ლექსებიც კი, რომლებიც ამ სათაურით არიან ცნობილი. ქართველ პოეტებსა და ქართული პოეზიის მკვლევართ მუხამბაზის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად რითმათა განლაგების ერთგვაროვნება ჰქონდათ მიჩნეული და სწორედ ამიტომ ამ ტიპის ყველა ლექსი მუხამბაზად ჩაუთვლიათ იმის მიუხედავად, თუ რამდენტაეპიანი იყო სტროფი. ამ ტიპის ლექსების ფორმათა სახელწოდებას სტროფში შემავალ ტაეპთა რაოდენობა განსაზღვრავს.					
11	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	Zu einigen universellen "trends" in Anthroponymie (ზოგიერთი უნივერსალური ტენდენციის შესახებ ანთროპონიმიაში) ISBN – 978-9941-13-882-9	საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. თამაზ გამყრელიძის დაბადების 90 წლისთავისადმი **ISBN** – 978-9941-13-882-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 345-352.

ზოგიერთი უნივერსალური ტენდენციის შესახებ ანთროპონიმიაში

ანალოგიური მოვლენების კლასიფიკაციისას სხვადასხვა ენის ანთროპონიმულ ინვენტარში უდარებენ ერთმანეთს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების მსგავს სახელთა ჯგუფებს იმ კრიტერიუმებით, რომლებიც ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ენათა ტიპოლოგიური შესწავლისას გამომუშავდა. იდენტური სემანტიკური სტრუქტურის საკუთარი სახელები დასტურდება ინდოევროპულ, ქართველურ და ალთაურ ენებში.წინადადება საკუთარი სახელის ფუნქციით არცთუ უცხოა ენათათვის. ამ ტიპის სახელდება საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს. იგი გვხვდება ძველ ირანულ სახელებში,ავესტაში ლოცვის საწყისი ფრაზა საკუთარ სახელს წარმოადგენს; "ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირი სპარსული წინადადებით არის სახელდებული: ნესტან-დარეჯანი < სპარს. ne est an dare ǯahan 'არ არის მსგავსი ქვეყანაზე'. თხზულ ანთროპონიმულ მოდელებში ხშირია მიმდევრობა პირიელი ზმნა + არსებითი სახელი .;მსგავს ფორმებს ვხვდებით თურქულ ეთნოსთა ანთროპონიმიაშიც: Döndü 'დაბრუნდა', Durmuş 'გადარჩენილა', Sevindik 'გავიხარეთ', Yaşa'იცოცხლე', Aydoğdu 'მთვარე იშვა (გამოჩნდა)', Tanryverdi 'ღმერთმა მოგვცა' ქართველური ანთროპონიმიიდან: ქართ. -- მახარა, მოგელი, მეგრ. -- მოკონა, მირდასი, სვან. მაკუ, ღვთისავარი,მზისახარი, მზევარი, მეგრ. -- თოლიმაფუ, უჩარდია, ორკომპონენტიანთაგან ქვემდებარეშემასმენლია შემდეგი სახელები: გულსუნდა, მეცვიყო, შედგენილი შემასმენლით სამკომპონენტიანია მზევინარი, ხოლო თიკუნი მევარკაცი//მევარკაცა გვარის --მევარკაციშვილი -- ფუძეშიც აღმოჩნდა.

12	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	Формы повелительного наклонения в качестве имён собственных ISBN 978-9941-13-905-5	V საერთაშორისო კონფერენციის -- „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები" -- მასალები. კონფერენცია ეძღვნება მიხეილ ყიფიანსა და კოსტა ხეთაგუროვს. მასალები.	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. -341 - 344

ვერბალური კონტექსტის მქონე საკუთარ სასელებში ჭარბობს ანთროპონიმები ბრძანებითი კილოს ფორმით: შდრ. : თურქული Yaşa 'იცოცხლე', Bilbeg ' იცოდე (შეიცან) ბატონი', Dursun'დაე, გადარჩეს'; გერმანული Bleibimhaus 'დარჩი შინ', Schneidewind 'გაკვეთე ქარი', Hauschild 'dahkari fars', HHebestreit 'daiwye Cxubi'; უკრაინული Убийвовк 'მოკალი მგელი', Крутиголова 'ატრიალე (გაანძრიე) თავი',Палывода '(მო)ასხი წყალი; ოსური Заретэ იმღერეთ ", Кафетэ 'იცეკვეთ';ქართული ვარდიფინე; რუსული Владимир 'დაეუფლე სამყაროს';ინგლისური Shakespeare (<Shake speare) 'იქნიე მახვილი'და ა.შ.ონომასტიკის ტიპოლოგიური შესწავლის პოზიციიდან ეს მასალა საინტერესო იქნება ლინგვისტებისთვის.

13	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	რუდიგერ შმიტი, თამაზ გამყრელიძე და მისი შემოქმედება *(თარგმანი გერმანულიდან)*	საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. თამაზ გამყრელიძის დაბადების 90 წლისთავისადმი **ISBN** – 978-9941-13-882-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ.34- 41.

თ.გამყრელიძის სადოქტორო დისერტაცია მიეძღვნა ინდოგერმანულ ლარინგალური ფონემათა ხეთურ წარმომავლობას. ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ეს ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია:"მარკირებულია" ფონემა, რომელიც ხასიათდება ნაკლებად ცნობილ თვისებათა ერთობლიობით (ანუ იშვიათია) და ნაკლებად ბუნებრივია (ანუ უჩვეულოა). ინდოგერმანულ ხშულთა სისტემის რეინტერპრეტაციამ თ. გამყრელიძესა და ვ.ივანოვს მისცა შესაძლებლობა, დაედგინათ საერთოქართველურისა და უძველესი სემიტური ენების სისტემური მსგავსებები. თ.გამყრელიძე ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს წავიდა

და ტიპოლოგიური მსგავსება ინდოგერმანულსა და ქართველურ ენებს შორის სონანტთა სისტემის, აბლაუტისა და ძირეული სტრუქტურების გათვალისწინებით დაადასტურა. ამგვარი სვლების გარდა, თ. გამყრელიძემ ასევე დაადგინა მსგავსი ლექსიკური ერთულები სამ ფუძეენაში. ინტერპრეტირებულმა ფაქტებმა დიდი ზემოქმედება მოახდინა ლინგვისტური აზრის განვითარებაზე.

თ. გამყრელიძის შემდეგი თხზულება გრამატოლოგიის ზოგად-თეორიულ ასპექტებსა და დამწერლობის ტიპოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება. ბერძნების ანბანური დამწერლობა სემიტურს, ანუ კონსონანტურს ეყრდნობოდა., თ.გამყრელიძე განსაკუთრებით იკვლევს ძველ ქართულ დამწერლობას, რომელიც ტიპოლოგიურად ეჭვგარეშეა ბერძნული ანბანური დამწერლობის მსგავსი და ადრეული ქრისტიანობის ეპოქაშია შექმნილი. ამასთან დაკავშირებით იგი მიმოიხილავს კოპტურ, გოთურ, სომხურსა და სლავურ დამწერლობებს. ისე სისტემურად, როგორც ამას თ. გამყრელიძე აკეთებს, ჯერ არავის არ გაუკეთებია.

14	**ირინე ტატიშვილი /ასირიოლოგია/**	ლითონი ხათურ ლექსიკაში (ISBN 978-9941-8-1554-6)	საქართველო - უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა): უძველესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები	ბათუმი: აჭარის მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი 2019	139-148

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოღაზქოის, ალაჯა ჰუიუქის, ალიშარ ჰუიუქის, ჰოროზთეფეს მაღალგანვითარებული არქეოლოგიური ძეგლები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ხათებთან ლითონის წარმოების შესახებ. არქეოლოგიურ მონაცემებს კარგად ეხმიანება ძვ.წ. II ათასწლეულის ხეთური წერილობითი ტრადიციაც.
ხეთურ ტექსტებში შემორჩენილი ხათური ლექსიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხათებს საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ჰქონოდათ განვითარებული სხვადასხვა ლითონის წარმოება.
სტატიაში განხილულია ხეთურ ტექსტებში, მათ შორის ხათურ-ხეთურ ბილინგვებში, დადასტურებული სხვადასხვა ლითონის აღმნიშვნელი ხათური ტერმინები, აგრეთვე მელითონეობის ამსახველი სიტყვები, მაგალითად: ḫapalki (= AN.BAR) „რკინა“; ḫuzzaššai(l) (= SIMUG.A) „მჭედელი“; kinawar (= URUDU) “სპილენძი“; tetekuzzan GUNNI „სადნობი ღუმელი (?)“; zipaḫ „დანა, სატევარი (=? GÍR); ^{D}Haššamili „ღვთაებრივი მჭედელი“ და სხვ.
აღნიშნული ტერმინების საკვლევად, სტატიაში გამოყენებულია შესაბამისი ხეთური და ხათური ტექსტობრივი მასალა, გაანალიზებულია კონტექსტები, რომლებშიც მელითონეობასთან დაკავშირებული ხათური სიტყვებია დადასტურებული.

15	**ნინო სამსონია /ასირიოლოგია/**	“The Knight in the Panyer’s Skin “as aBrilliant Medieval Feudal Cultural Monument (by M.Tseretheli) ISBN2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა #8	თბილისი, თსუ გამომცემლობა	10 (გვ.88-93)

მ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო ევროპელი მკვლევრებისთვის არა მხოლოდ როგორც ხელოვნების დიდი ნიმუში, ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი, შექმნილი ევროპის განაპირა რეგიონში, საქართველოში, არამედ ასევე როგორც შუა საუკუნეების კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიც ფეოდალური საზოგადოების განვითარებამ და საქართველოში ფეოდალიზმის საფუძველზე წარმოშობილმა კულტურამ თავის მწვერვალს მიაღწია. ფაქტია, რომ ქართული ცხოვრების წესი ისეთივე იყო, როგორიც იმ დროს ევროპაში. ქართული ფეოდალური სისტემაც ფრანგულსა და გერმანულს ჰგავდა. საოცარია, რომ იდენტური იყო დასავლეთ ევროპასა და საქართველოში არსებული იმდროინდელი სოციალური ურთიერთობების გამომხატველი

ტერმინებიც კი. მაშინდელი ქართული რაინდობის ინსტიტუტი და სამეფო კარის ცხოვრების წესი ძალიან ახლოს იყო დასავლეთევროპულთან; მაშინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა იმავე სულით იყო გამსჭვალული, რომლითაც პროვანსული ან გერმანული. ამიტომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ევროპელმა მკითხველმა უფრო ნაკლებად უნდა იფიქროს აღმოსავლელ პოეტებზე, ვიდრე პროვანსელ ტრუბადურებზე და გერმანელ მინეზინგერებზე, მიუხედავად იმ გარეგნული მსგავსებისა აღმოსავლურთან, რომელიც ქართულ სარაინდო რომანს ახასიათებს. რაინდული სამსახური, ვ ძმათნაფიცისა და სატრფოს სიყვარული თავგანწირვამდე – ამას ისევე უმღერის რუსთველი „ვეფხის-ტყაოსანში“, როგორც ტრუბადურები და მინეზინგერები უმღეროდნენ დასავლეთ ევროპაში. რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“ (პროლოგი, 3) მხოლოდ თვალის ასახვევად იყო ნათქვამი, რადგან რუსთველი თავის პოემაში, რომელიც მან თამარ მეფეს უძღვნა, ძალიან ფაქიზად, მაგრამ დაუფარავად ასახავს რამდენიმე ისტორიულ მოვლენას გიორგი III-ისა და მისი სახელგანთქმული ასულის, დიდი თამარ მეფის ეპოქიდან.

16	**ნინო სამსონია /ასირიოლოგია/** ვახტანგ ლიჩელი	ალალახის გლიპტიკის სამხრეთ-შუამდინარული და სამხრეთ კავკასიური ტენდენციები (ISBN 978-9941-8-1554-6)	საქართველო - უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა): უძველესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები	ბათუმი: აჭარის მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი 2019	გვ.124-136

ალალახის არქეოლოგიური გათხრების VII და IV ფენებში (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახ -VII და II ნახ- IV) აღმოჩენილი ანაბეჭდების იკონოგრაფია დაჯგუფებულია მოტივებისა და იდეების მიხედვით.

მოხსენებაში განვიხილავთ საბეჭდავების იმ ჯგუფს, რომლებზეც გამოსახულია სამხრეთ სუამდინარული ღვთაებები, ასევე შევეხებით წარწერების ორნამენტად და ზოგადად იკონოგრაფიის დიზაინად გამოყენების ტრადიციას.

VII ფენის ნიმუშებზე ვხვდებით საბეჭდავის ოსტატის ხურიტულ სახელს, რომლის გასწვტივ სხვა ოსტატის სახელია დაწერილი.ალალახის IV ფენის ანაბეჭდები, ნაკლებად ინახავენ ოსტატთა სახელებს.

Oსაბეჭდავთა ოსტატთა საკუთარი სახელების არასისტემური დაფიქსირება საბეჭდავთა წარწერებში, სავარაუდოს ხდის რეზიდენტი ოსტატების არსებობას. ოსტატთა შემოქმედების მხრივ კი, იკონოგრაფიის სრულ შეუსაბამობას ვაწყდებით. კერძოდ, საბეჭდავების, კონვერტების ანაბეჭდებს, ფირფიტებსა და ჭურჭლის იკონოგრაფიებს შორის. მიუხედავად ერთი არეალისა ალალახში ნაწარმოებ ნიმუშებზე სხვადასხვა ხელწერა და სტილი იგრძნობა. მრავალი დოკუმენტი, რომელზეც ალალახის მკვიდრის ლოკალურ ანაბეჭდია გამოსახული, არ წარმოადგენს ლოკალური მანუფაქტურის პროდუქტის გარანტიას. ალალახის არქივის შემთხვევაში თავმოყრილია საბეჭდავთა მთელი რიგი ეგზოტიკური, მეტროპოლიტენური და კოსმოპოლიტური ოსტატობა. Aარსებული სურათი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ალალახის IV ფენით დათარიღებული მასალის საფუძველზე, რომელიც მითანური სტილის გავრცელებას, ანუ ძვ.წ. II ათასწ. II ნახ განეკუთვნება.

შესაძლებელია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორ მუშაობდა საბეჭდავის ოსტატი საამქროში. დასაშვებია “ორნამენტის წიგნის” არსებობა, ისევე როგორც ევროპული რენესანსის დროს, ასევე ხელოვნების ისტორიის ადრეულ ეპოქაში.

ანაბეჭდებზე წარმოდგენილია აქადური პერიოდის (ძვ.წ. XXIV ს.) და უფრო ადრეული მოტივების სხვადასხვა სტილიზებული ვარიაციები. თუმცა იკონოგრაფიის პირველწყარო, რაც ოსტატთა შთაგონების საფუძველია, უცვლელი რჩება.

17	**მაია**	- *მურსილი II* -	,,ფილოსოფიურ-	თბილისი	8

	ღამბაშიძე /ასირიოლოგია/	*სინანულის ლოცვა და აღსარება,* -	თეოლოგიური მიმომხილველი", ISSN 2233-3568, N7-8		
მოცემულია მურსილი II-ს ტექსტის (CTH 378 II, 2.164-177) ქართული თარგმანი კომენტარებით.					
18	**მაია ღამბაშიძე /ასირიოლოგია/**	*ხეთური სასულიერო ტექსტები - მურსილი II*	,,ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი", ISSN 2233-3568, N7-8	თბილისი	4
თურქეთში, თან. ბოღაზქოიში (ხეთების დედაქალაქ ხათუსაში) აღმოჩენილი ლურსმნული ფირფიტების არქივიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე.წ. „სასულიერო" შინაარსის მქონე ტექსტები – ღვთაების სადიდებელი ჰიმნები, საგალობლები და ლოცვები (CTH 371-389). ისინი გადმოგვცემენ ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობას – როდესაც ადამიანი ცდილობს წერილობით მიაწვდინოს ხმა თავის რომელიმე გასაჭირისა თუ საჭიროების შესახებ. შინაარსის მიხედვით ეს ტექსტები ორ ჯგუფად იყოფა: ა) „დიდებანი" – ღვთაების სადიდებელნი და ბ) „ლოცვანი" – ღვთაების მიმართ აღვლენილი ვედრებანი (1.1-18). „დიდებისა" და „ლოცვის" ტექსტებს ერთმანეთთან საერთო ნიშნებიც მოეპოვება: როგორც ჩანს, ამ ხასიათის ტექსტებისთვის შედგენილი იყო ერთგვარი „ფორმობლივი შაბლონი", რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ღვთაებისთვის იქმნებოდა საგანგებო საგალობელი თუ თხოვნა . ამათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეორე ტექსტი (CTH 378 II, 2.164-177), სადაც მურსილი ხათის ამინდის ღვთაებას შესთხოვს შეწევნას ქვეყანაში დასადგურებული გასაჭირის გამო. ჩვეულებრივ, სტანდარტულ თხრობასთან ერთად, როდესაც მეფე ღვთაებას ამცნობს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, მურსილი ცდილობს ამ განსაცდელის მიზეზის გარკვევას - თუ რატომ დაუდგა ხათის ქვეყანას ეს მძიმე ყოფა. ამისთვის იგი მიმართავს ისტორიულ წარსულს იხსენებს, რა ხდებოდა მისი წინაპრის – სუფილულიუმას დროს და თითქოს აგნებს კიდევაც მიზეზს, როდესაც ამბობს, რომ მამამისმა ცოდვა (ხეთ. წაჴტულ) ჩაიდინა და ეს გახდა მიზეზი ქვეყნის გაუბედურებისა. ძველ ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული შეხდულების მიხედვით, მურსილიც იმ აზრისაა, რომ მამის ცოდვა შვილზე გადმოდის და იგი სწორედ მამის, სუფილულიუმას მიერ ჩადენილი ცოდვების გამო ისჯება და ამიტომ უნდა შეეგუოს ამ სასჯელს (3.6-7). მაგრამ საინტერესოა, რომ მურსილი, საყოველთაოდ გავრცელებული ამ შეხედულებისასაგან განსხვავებით, არა მხოლოდ ყაბულდება ამ ფაქტს, არამედ ცდილობს თავი დააღწიოს წინაპრისა თუ საკუთარ ცოდვას ამ ცოდვათა აღიარების – აღსარებისა და სინანულის გზით. იგი თვლის, რომ თუ შეინანებს, მაშინ მამის ცოდვა გაბათილდება და ქვეყანაში მძვინვარე შავი ჭირი გაქრება. ეს გასაჭირი წინაპართაგან გადმოეცა მურსილის, ვინაიდან, როგორც იგი აღნიშნავს, მამამისის დროსაც ასე იყო და ხალხი იხოცებოდა. მურსილის იმდენად შეშფოთებულია, რომ ამინდის ღვთაებას შესთხოვს შველას. თუ ეს გასაჭირი მისი მიზეზითაა, იგი ცდილობს აღიაროს ცოდვა და ფიქრობს, რომ თუ იგი წინასწარ აღიარებს ცოდვას, ღვთაება აღარ დასჯის მას, როგორც სჯიდა მის წინაპრებს, რომლებიც არ აღიარებდნენ ცოდვებს და პირიქით, სცოდავდნენ (მოჰყავს კიდეც მაგალითი: სუფილულიუმამ გატეხა ფიცი, რომელიც დადო ეგვიპტესთან სამშვიდობო ხელშეკრულებით, იხ. ქვემოთ ტექსტი § 4). საინტერესოა, რომ უძველეს ძველაღმოსავლურ ტექსტებში ვერ ვხვდებით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლისგან სინანულის და აღსარების – წინაპართა თუ პირადი ცოდვების აღიარების ფაქტს. ძველი აღმოსავლეთის მეფეთა წარწერები ცნობილია სწორედ ამაყი და ამპარტავნული იდეებით (იხ. ძველაღმოსავლური სამეფო „ანალები" და სხვ.). სადღეისოდ, ჩვენთვის ცნობილი სინანულისა და აღსარების უძველესი ლოცვებია: მეფე დავითის „ფსალმუნნი" (ძვ. წ. X), ანდრია კრეტელის „სინანულის დიდი კანონი" (8 ს.), ქართული ჰიმნოგრაფიიდან კი – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი" (რომელიც ანდრია კრეტელის სინანულის დიდი კანონის გავლენით დაიწერა). ყველა ამ ჰიმნოგრაფიულ ძეგლს კი ქრონოლოგიურად უსწრებს ძვ. წ. XIII ს-ით დათარიღებული მურსილი II-ს სინანულის ლოცვა და აღსარება ღვთის წინაშე, ერთ-ერთი უადრესთაგანი ძველ აღმოსავლურ რეალობაში.					
19	**დალი ჩიტუნაშვი**	იადგარის უცნობი პალიმფსესტური	ელენე მეტრეველი 100	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	62-69

	ლი /არმენოლოგია/ ზაზა ალექსიძე	ხელნაწერი სინას მთაზე ISSN 978-9941-9564			
ნაშრომში საუბარია სინას მთაზე ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ პალიმფსესტზე N/Sin.geo- 7, ხელნაწერის ქვედა ფენაში აღმოჩნდა საგალობელთა კრებული - იადგარი, კრებულის გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ საგალობელთა კრებული იადგარის განვითარების გვიანდელ ეტაპს განეკუთვნება, მასში დაცულია ე.წ. ახალი იადგარი, თუმცა არქიტექტონითა და მასალით პალიმფსესტური იადგარი სხვაობს ახალი იადგარის სხვა ნუსხებისაგან და ამდენად მნიშვნელოვანი მისი სრული შესწავლა და გამოცემა. ამასთანავე პალიფსესტში დაცული ანდერძ-მოსახსნებელების ამოკითხვამ დაადასტურტა, რომ ხელნაწერი დაკვეთილია მეათე საუკუნის ცნობილი მოღვაწის , თორნიკე ერისთავის მიერ, მისი ერში ყოფნის პერიოდში - 979 წლამდე, რაც თორნიკეს მიერ მოგებული ხელნაწერების რაოდენობას კიდევ ერტით ზრდის და მნიშვნელოვანი ტაო-კლარჯული სამწიგნობრიო კერის შესწავლის ისტორიისათვის.					
20	**გოჩა ჯაფარიძე /აღმოსავლეთის ისტორია/**	წინასიტყვაობა წიგნში - „ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო ღმოსავლეთში: ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი“			7-19გვ.
მრავალრიცხოვანი აღმოსავლური, ევროპული და ქართული წყაროების, უახლესი დასავლური კვლევების საფუძველზე, ნაშრომში გაშუქებულია საკითხთა ფართო წრე: ისლამური ჯიჰადი როგორც „საღვთო ომი“, მისი კონცეფცია, განვითარება და ევოლუცია; ჯიჰადი და ისლამური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოსთან (VII-XVIII სს.); საღვთო ომის იდეის განვითარება ევროპაში; ჯვაროსნული მოძრაობა; ბიზანტიის დამოკიდებულება საღვთო ომის იდეისადმი; ქრისტიანულ-მუსლიმური დაპირისპირების იდეოლოგიური საფუძვლები; ანტიმუსლიმური პროპაგანდის ხერხები; ქართული ქრისტიანობის მებრძოლი ხასიათი; ქართული ეკლესიის სამხედრო საქმიანობა; ქართველთა ომი `ქრისტეს რჯულისათვის~.					
21	**გიორგი ლობჟანიძე /არაბისტიკა/**	წინასიტყვაობა შტეფან ვაიდნერის წიგნის „მუჰამედურიცდუნებანის“ ქართული თარგმანისთვის, 3 გვ.	შტეფან ვაიდნერი, „მუჰამედური ცდუნებანი“ (გერმანულიდან თარგმნა ლანა მჟავიამ)	თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“	3გვ.
აღმოსავლეთმცოდნეობითი კლასიკის შესანიშნავ მემკვიდრედ მესახება გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე შტეფან ვაიდნერი, რომელიც, ცოდნის ხარისხით, საკვლევი მასალის დიაპაზონითა და პრობლემათა გაანალიზების სიღრმით, იმ ძველი ორიენტალისტების ლამის ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრეა დღევანდელ ევროპაში. მისი ახალი ნაშრომი "მუჰამედური ცდუნებანი" ქართულად თარგმნა აღმოსავლეთმცოდნემ, ფილოლოგიის დოქტორმა ლანა მჟავიამ, რომელიც ასევე გერმანიაში მოღვაწეობს. მე გახლავართ ამ წიგნის რედაქტორი და შესავლის ავტორი. შტეფან ვაიდნერი ამ წიგნში დღევანდელი ისლამისა და არაბული აღმოსავლეთის საკვანძო საკითხებს განიხილავს, საკითხებს, რომელიც, ერთი მხრივ, რამდენიმე არაბული ქვეყნის მაგალითზე, არაბულ					

რელიგიურ და ინტელექტუალურ წრეებში გავრცელებულ განწყობებს წარმოაჩენს და, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ წამოჭრის ძირითად პრობლემას: სწორად ესმის თუ არა აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთმანეთის და რამდენად შესაძლებელია ამ ორი სამყაროს ურთიერთობის მორიგება.

22	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის სიტორია/**	იაპონური ტრადიციული თეატრალური ხელოვნება - ისტორია და თანამედროვეობა,ISBN978-9941-9519-0-9	საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის“ კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“ მასალები	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ.205-210, ინგლისური რეზიუმე გვ.553-554

იაპონური თეატრალური ხელოვნება თავისი ორიგინალურობით არა მხოლოდ აღმოსავლური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ მსოფლიო მასშტაბის ფენომენს წარმოადგენს. ინტენსიური განვითარება მან მე-7 საუკუნეში დაიწყო (ჩინეთის გავლენის საფუძველზე), მე-12 საუკუნის მიწურულიდან კი ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული რადიკალური ძვრების ფონზე სხვადასხვა თეატრალური ჟანრების შემდგომი ტრანსფორმაციის და სინთეზის პროცესი დაიწყო. ამ პროცესების ყველაზე თვალსაჩინო და საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მე-14 საუკუნეში ჩამოყალიბებული თეატრი – ნო. რამდენადაც მისი რომანტიკულ-მისტიკური ხასიათის წარმოდგენები სრულად ესადაგებოდა იმჟამინდელი იაპონელი ფეოდალური არისტოკრატიის მოთხოვნებსა და გემოვნებას, ამიტომაც მას მეცენატობას უწევდა უმაღლესი სახელისუფლებო ელიტა – შიოგუნების სახით.

მე-17 საუკუნის დასაწყისში ხალხურმა შემოქმედებამ ფეოდალური იაპონიის რეალობაში შექმნა ახალი უნიკალური თეატრალური ჟანრი – კაბუკი, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისათვის იყო განკუთვნილი და ამდენად, მიმზიდველიც. ნოს თეატრის მსგავსად, კაბუკის წარმოდგენები ოპერის, ბალეტის და დრამის ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენდა (და ასეა ამჟამადაც). მათი რეპერტუარი ძირითადად ეფუძნება იაპონურ კლასიკურ ლიტერატურას, ლეგენდებს, ბუდისტურ და შინტოისტურ ქრონიკებს და სხვ. ხსენებულ ტრადიციულ თეატრებს შორის არსებობს როგორც მსგავსება, ისე განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც განხილული და გაანალიზებულია წარმოდგენილ ნაშრომში. ხაზგასასმელია, რომ საუკუნეთა მანძილზე იაპონურმა კლასიკურმა თეატრალურმა ხელოვნებამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა, თუმცა ტრადიციულობა და თვითმყოფადობა არ დაუკარგავს. კაბუკი და ნო დღესდღეობით იაპონიის ისტორიული წარსულის ცოცხალ მატიანეს განასახიერებენ და უწინდებურად წარმატებით აგრძელებენ ფუნქციონირებას.

23	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის სიტორია/**	კონფუციონიზმი ჩინეთის ისტორიულ რეალობაში, ISSN 1512-0694	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, #33	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ.73-82.

ძველ ჩინეთში პოლიტიკური ვნებათაღელვისა და სოციალურ-ეკონომიკური ძვრების ფონზე ჩინელი საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილში ინოვაციურმა იდეებმა და ფასეულობებმა იჩინა თავი, რაც თვალნათლივ აისახა ისეთ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებში, როგორიცაა კონფუციონიზმი, ტაოიზმი, ლეგიზმი, მოიზმი და სხვ. ახ. წ. პირველ საუკუნეში კი ჩინეთში ბუდიზმმა შეაღწია ინდოეთიდან, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრებაში. ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია კონფუციონიზმზე, რომელმაც წამყვანი პოზიციები დაიმკვიდრა ძველი და შუა საუკუნეების ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

კონფუციონიზმის ფუძემდებელია დიდი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი (ძვ. წ. 551-479), რომელიც ჩინეთში უმეტესწილად ქუნგ წ-ის (ჩინურად ნიშნავს – მასწავლებელი ქუნგი, მოძღვარი ქუნგი) სახელით მოიხსენიება. კონფუცი კი მისი სახელის ლათინიზირებული ფორმაა, რომელიც მას იეზუიტმა მისიონერმა მათეო რიჩიმ უწოდა (რომელიც მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩინეთში მოღვაწეობდა). სწორედ მან გააცნო დასავლურ სამყაროს კონფუცის სახელი. კონფუცი დაიბადა შანტუნგის პროვინციაში, ლუის სამეფოს ქ. ციუფუში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, წარმომავობით კი წარჩინებულთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. კონფუცის მამა ადრე გარდაეცვალა და ამიტომ ოჯახის მძიმე ტვირთს ის პატარაობიდანვე დედასთან ერთად ინაწილებდა. იმავდროულად კონფუცი გულმოდგინედ და ბეჯითად სწავლობდა, რადგანაც კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ სათანადო განათლების გარეშე საზოგადოებაში შესაფერისი

სტატუსის მოპოვება შეუძლებელი იყო. სწავლა-განათლებისკენ მოუწოდებდა ის თავის მოწაფეებსაც. კონფუციონიზმმა მარეგულირებელი ბერკეტები მოიპოვა არა მხოლოდ ჩინურ რეალობაში, არამედ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვენების სწავლა-აღზრდის და განათლების სისტემაში, იურისპუდენციაში, ადმინისტრაციული მართვის მეთოდებში, კულტურაში და სხვ.					
24	**მირიან მახარაძე /აღმოსავლეთის ისტორია/**	არტანუჯის თორთუმის და ბათუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთრები (ქართულ და თურქულ ენაზე) (ISSN-1512-1666)	აღმოსავლეთი და კავკასია 8	საქართველო, თბილისი, გამომცემლობა ჰოროსი XXI	14
არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარი ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება არტანუჯის ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. არტანუჯის ვრცელი დავთარი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია 71, ზომა 16X45 სმ. იგი 40 გვერდისგან შედგება. წყარო უნაკლოა ყველაფერი იკითხება. იგი სიაკათის ურთულესი ხელითაა ნაწერი. ნაშრომს თან ახლავს თუღრა (სულთან მურად ხანი, სელიმ ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული)1. სარჩევში ჩამოთვლილია ყველა ის სოფელი, რომელიც არტანუჯის ლივის შემადგენლობაშია. აქვეა საუბარი არტანუჯის ლივის რაბათზე. სოფლების საერთო რაოდენობაა 58. აღნიშნულია თითოეულ სოფელზე გაწერილი გადასახადების რაოდენობა. არანაკლებ საინტერესო და ძვირფასი წყაროა თორთუმის ლივის აღწერის დავთარი. იგი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტროს არქივში. წყაროს შიფრია: 159, ზომა: 17X41 სმ. წყაროს პირველ გვერდებზე მინაწერია: ''თორთუმის ლივის ვრცელი დავთარი". იგი შედგება თორთუმის, ლასქავის, აჰჩერეასა და ხახოს ნაჰიებისაგან. ნ. შენგელიას გამოსაცემად აქვს ოსმალური ტექსტის დედანი, არაბული ტრანკსლიფციით და მისი ქართული თარგმანით. იგი უთუოდ მაღალი მეცნიერული ღირსებულებისაა. წყაროში საუბარია შავ დამღასა და საქონლის შეფასებით ღირებულებაზე, იგი შეადგენს 14000 ახჩას. შემოსავალი სამღბროებზე 8000 ახჩას. გადასახადი იავასა და კაჩკუნზე 3500 ახჩაა. აქვეა გადასახადი ცხვარზე _ 25000 ახჩა. ხოლო ფოცხვერის ტყავის გადასახადი კი შეადგენს 1000 ახჩას. დავთარში ჩამოთვლილია არაერთი სოფლის სახელწოდება, რომლებსაც დაწესებული აქვთ გადასახადები და ვალდებულებანი. შემდეგ წარმოდგენილია 15-მდე სოფლის სათესი მიწები. იგი განეკუთვნება ლაზქავის ნაჰიეს. შემდეგ საუბარია აჰჩერექის ნაჰიე, რომელშიც გაერთიანებულია 17 სოფელი თავისი სათესებითა და სავარგულებით. ხახოს ნაჰიეში შედის 24 სოფლი. ყოველ სოფელზე მიწერილია შესაბამისი გადასახადები და ვალდებულებანი. აქვე დაჯამებულია გადასახადები თიმარებიდან, ასევეა დაჯამებული გადასახადები ულუფეჯიანებისა. დაჯამებულია გადასახადები შევარდენსა და არწივებზე. აქვეა საუბარი იალაღებსა და ვაკუფებზე. ბათუმის ისტორიის შესახებ `ბათუმის აღწერის ვრცელ დავთარს~ უდიდესი მეცნიერული ღირებულება გააჩნია. იგი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ არამარტო ბათუმის, არამედ ათინას, ლაზისტანისა და მიმდებარე რეგიონების ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. მწყარო XVIII საუკუნის პირველი მეოთხედს განეკუთვნება და ინახება ანკარის, თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია: 122, ზომაა: 14X41 სმ. წყარო სრულიად უნაკლოა. იგი დაწერილია სიაკათის ურთულესი ხელით. დოკუმენტს აქვს ერთადერთი თარიღი 1704 წლის 24 სექტემბერი. აქვეა საუბარი სარჩევზე, ათინას ნაჰიეზე, რომლის სოფლთა რაოდენობა 70-ს შეადგენს. აქ სოფლები მოიხსენიება ჩიფთების ან წილების სახით. აშკარად ჩანს, რომ ათინას ნაჰიეში საკმაოდ ღონიერი სოფლებია წარმოდგენილი. აქვე საუბარია გურიისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. ამოვა და უთუოდ გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.					
24	**მირიან მახარაძე /აღმოსავლე**	თეთრბატკნიანთა ტომის პირველი ურთიერთობა	წყაროები ქართულ-თურქული ურთიერთობების შესახებ	საქართველო, გორი, გორის უნივერსიტეტი	16

	თის ისტორია/	საქართველოსთან (ISBN-978-605-2271-10-0)			
XV საუკუნის II ნახევარში საქართველოს საგარეო პოლიტიკა მჭიდროს იყო დაკავშირებული თეთრბატკნიანთა კონფედერაციულ სახელმწიფოსთან.. თეთრბატკნიანები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ საქართველოში ლაშქრობებით, ისინი ერეოდნენ საქართველოს შიდა პოლიტიკაშიც. ასევე გამოყოფის ღირსია უზუნ ჰასანისა და ქართველების ერთობლივი მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში. ამ ფაქტების შესახებ მოგვითხრობს, როგორც ქართულია ასევე აღმოსავლური და ევროპული წყაროები. თუმცაღა XV საუკუნემდე საქართველოსა და ბაინდურთა ტომის ურთიერთობაზე გადმოცემა აქვს მხოლოდ თეთრბატკნიანთა ისტორიკოსს აბუ-ბექრ თიჰრანის. აბუ-ბექრ თიჰრანი თავის ნაწარმოებში დიარბაქირის ისტორია გადმოგვცემს ორ ფაქტს: 1. ბაინდურთა ტომის მბრძანებელი ვინმე ყივჩაღ ხანმა ქართველებს ალინჯის ციხე წაართვეს. თუ ხალიფების მიხედვით ვიმსჯელებთ აღნიშნული ლაშქრობა VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში უნდა განხორციელებულიყო. მსგავსი ფაქტი ქართულ წყაროებში არ მოიპოვება და აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. 2. თეთრბატკნიანტა მბრძანებელმა ქუთლუმ ახალციხე დაიპყრო. არც ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობენ ქართული წყაროები. თუმცაღა ვახუშტი ბატონიშვილს მოეპოვება ცნობა ამავე პერიოდში თურქთა მიე სამცხის დარბევის შესახებ სადაც ნათქვამია, რომ ქართველთა მეფემ ბაგრატ V თურქები დაამარცხა და განდევნა სამცხიდან. ვახუშტი ბატონიშვილის, აბუ-ბექრ თიჰრანის და მიქაელ პანარეტოსის გადმოცემათა ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ შესაძლოა მიეხმარა თავის მოკავშირე ტრაპიზონის იმპერატორს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცაღა აღნიშნული ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვალენტინა ჭყონია, პაატა ბუხრაშვილი, ნინო ოქროსცვარიძე, **ელისაბედ ბჟალავა /თურქოლოგია/**	Anthropological Approaches to Understanding Consumption Patterns and Consumer Behavior- „Consumption” of Past to Define Ethnic Identity in Real Time and Space (The Case of Turkish Georgians in Turkey and Germany)	პორტუგალია იბეჭდება	
მონოგრაფიის ერთ-ერთი თავში („Consumption” of Past to Define Ethnic Identity in Real Time and Space (The Case of Turkish Georgians in Turkey and Germany)) რომლის თანაავტორიც გახლავართ განხილულია ქართველი მუჰაჯირების (თურქეთის სოფელი ჰაირიეს და გერმანიის გუმესბაჰისა და ბერგწმტატის				

მაგალითზე) იდენტობისა და წარსულის გამოყენების კონცეფცია იმისათვის, რომ მოხდეს ეთნიკური იდენტობის განსაზღვრა დროსა და სივრცეში. თავში დეტალურად არის აღწერილი, როგორც ლექსიკური ისე ეთნოლოგიური მასალები, რომლებსაც ქართველი მუჰაჯირები იყენებენ, როგორც იდენტობის განმსაზღვრელ კონცეპტს.				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	اللغة العربية في جورجيا (არაბული ენა საქართველოში)	اللغة العربية في أنحاء العالم. مقالات عن واقعها ومستقبلها في 20 دولة، تحرير د. بدر بن ناصر الجبر،	طبعة مركز الملك عبد الله بن عبد العزيز الدوليّ لخدمة اللغة العربية، المملكة العربية السعودية، الرياض، دار وجوه للنشر والتوزيع، 2019	გვ. 183-202
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კრებული წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიების ერთობლიობას მსოფლიოს 20 სახელმწიფოში არაბული ენის სწავლებისა და კვლევის ტრადიციებსა და თანამედროვე მდგომარეობაზე, მათ შორის, წარმოდგენილია საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერასისტეტში არაბისტიკის ტრადიციები, წარსული, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები.					

კრებული შეადგინა და გამოსცა საუდის არაბეთის არაბული ენის სამეფო ფონდის მიერ დაფინანსებულმა ცენტრმა ერ-რიადში.					
2.	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	نودار دومبادزه - كاتب الحبّ والابتسامة، المقدّمة للترجمة العربية ISBN / 978 / 9927 / 135 / 04 / 0	مجموعة قصص نودار دومبادزه، ترجمة الدكتور عبد الرحيم أبو ذكرى წიგნი ეძღვნება საქართველოსა და კატარის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს	إدارة الإصدارات والترجمة القطرية، قطر 2019	გვ. 11-15
ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მთარგმნელი ცნობილი სუდანელი ლიტერატორი აბდ არ-რაჰიმ აბუ ზიქრაა, რომელმაც ეს თარგმანები გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შეასრულა, თუმცა გამოცემით ახლა პირველად გამოიცა, მთარგმნელის სიკვდილის შემდეგ. წინასიტყვაობა ნოდარ დუმბაძეს - მეოცე საუკუნის ქართული სალიტერატურო პროცესის გამორჩეულად თვითმყოფად სახეს - წარუდგენს არაბ მკითხველს და ასევე, დღემდე შესრულებულ დუმბაძის სხვა არაბულ თარგმანებზე აძლევს ინფორმაციას. წიგნი ეძღვნება საქართველოსა და კატარის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს და გამოიცა დოჰაში საქართველოს საელჩოსა და კატარის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.					
3.	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	Cursing and Reviling Formulas in the Egyptian Arabic Dialect. ISSN 1582-6953.	Romano-Arabica XIX, Curses and Profanity in the Languages and Cultures of the Middle East and North Africa	ბუქარესტის უნივერსიტეტი	გვ.93-98.
რომანო-არაბიკა არის ბუქარესტის უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი, რომლის ყოველი ნომერი ირჩევს არაბისტიკისთვის საინტერესო თემატიკიდან რომელიმეს, როგორც მიმდინარე წლის ნომრის თემას. 2019 წლის ნომრისთვის შეირჩა თემა "Curses and Profanity in the Languages and Cultures of the Middle East and North Africa" ("წყევლისა და არანორმატიული ლექსიკა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ენებსა და კულტურებში"). მე შემიკვეთეს აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული სტატია ეგვიპტური დიალექტის მონაცემების გათვალისწინებით. სტატიაში წარმოდგენილი მასალა ძირითადად შეკრებილია უშუალოდ ეგვიპტელი ინფორმანტებისგან, ნაწილი - მხატვრული ლიტერატურიდან, ან სპეციალური ლიტერატურიდან, რომელიც ეგვიპტისა და სუდანის მეტყველების სპეციფიკას ეხება. სტატიის მიზანი იყო ეგვიპტის არაბულ დიალექტში გავრცელებული წყევლისა და ლანძღვის ფორმულების ლინგვისტური ანალიზი. მასალაში დიფერენცირებულია ერთ და ერთზე მეტშემადგენლიანი ფორმულები. ერთზე მეტშემადგენლიანში გამოყოფილია პარალელიზმის პრინციპზე აგებულნი, და ისეთები, რომელთა					

სეგმენტებიც ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ დამოკიდებულებას ავლენენ. მეორე მხრივ, შინაარსობლივი თვალსაზრისით, გამოყოფილია ისეთი გამოთქმები, რომლებიც რეპლიკური ტიპისაა, ისეთები, სადაც მრავლობითი რიცხვი გამოიყენება გამოთქმის ჰიპერბოლიზების მიზნით და სხვ. გარდა ამისა, დადასტურდა არსებით და რიცხვით სახელთა მეტაფორიზაციის საინტერესო შემთხვევები; აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის გამოთქმები ხშირად გენდერულადაა მარკირებული.

4	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	On Arabic and Foreign Elements in Arabic Folk Fairy-tales (იბეჭდება)	Orientalitsika	ბელგრადის უნივერსიტეტი	გვ.375-383.

სტატიის მიზანია ა) არაბულ ლიტერატურაში საკუთრივ ფოლკლორის (არასტანდარტიზებული ტექსტების) მადიფერენცირებელი სპეციფიკის გამოყოფა; და ბ) საკუთრივ ფოლკლორული ზღაპრებში იმ ფორმალური მარკერების გამოყოფა, რომელთა საფუძველზე, დამატებითი ანალიზის გარეშე, შესაძლებელია უცხო წარმოშობის ზღაპართა გამორჩება საკუთრივ არაბულისგან. ასეთი მადიფერენცრებელი სეგმენტებია, უპირველეს ყოვლისა, ზღაპრისთავი და ზღაპრის დასასრული, რომლებსაც, ერთი მხრივ, სრულიად სხვა შედგენილობა აქვთ არაბული წარმოშობის სტანდარტიზებულ და ფოლკლორულ ზღაპრებში, და - მეორე მხრივ - უცხოურ ზღაპრებში. ამ მხრივ, ზოგჯერ სტანდარტიზებული და უცხო წარმოშობის ზღაპრები ერთმანეთის მიმართ მეტ მსგავსებას იჩენენ, ხოლო არასტანდარტიზებული ფოლკლორი მათგან საგრძნობლად განსხვავებულ მასალას აჩვენებს.

გარდა ამისა, არასტანდარტიზებული ზღაპრებისთვის სპეციფიკურია ტექსტის ძირითადი ნაწილის შიგნით მყარი შესიტყვებების განეორებადი კორპუსი, რომელიც ასევე შეიძლება ზღაპრის აუთენტურობის ინდიკატორად ჩაითვალოს.

5	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	Состояние и перспективы тюркологических исследований в Грузии ISBN 978-601-7999-14-8 (I).	Материалы IV форума гуманитарных наук «ВЕЛИКАЯ СТЕПЬ», I.	ნურ-სულთანი, ©Международная Тюркская Академия Халықаралық Түркі академиясы	გვ.386-393

თურქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, ჩვენში ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. თურქული მოდგმის ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, ჩვენი ისტორიის შესახებ უხვი ცნობების შემცველი ოსმალური წერილობითი ძეგლების ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ქართულ ლიტერატურულ თუ სასაუბრო ენაში თურქულენოვანი ლექსიკური ერთეულების სიმრავლე--აი, ის ფაქტორები, რამაც განაპირობა თბილისში თურქოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნა.

ს. ჯიქიას -- ქართველ თურქოლოგთა მასწავლებლის --ფილოლოგიურმა და წყაროთმცოდნეობითმა მომზადებამ და ინტერესებმა განსაზღვრა ქართული თურქოლოგიური სკოლის საკვლევი თემატიკა: ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, თურქული, აზერბაიჯანული და უზბეკური ენების სტრუქტურა, სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები და საკითხავი წიგნები, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები; თურქული მოდგმის ხალხთა ფოლკლორი; ჩვენი ლიტერატორები წარმატებით იკვლევენ თურქული

და აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების შემოქმედებას. ინტენსიურად ითარგმნება თურქული პოეტური და პროზაული თხზულებები.ისტორიკოსი თურქოლოგები მუშაობენ შემდეგი მიმართულებებით: საქართველო და ისლამამდელი თურქები, საქართველოს ისტორიის ოსმალური წერილობითი წყაროები, ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობა სელჩუკებიდან დღევანდლამდე, საკუთრივ თურქეთის ისტორია.

6	**მარიამ ჩაჩიბაია /ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	Some Aspects of the Translation Technique of Ancient works of Syriac Literature	2nd International Conference on Advanced Research in Social Sciences & Humanities Proceedings იბეჭდება	Munich, Germany	

ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლა სათანადო სირიულ მასალასთან შეპირისპირებით წარმოაჩენს აღმოსავლურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კიდევ ერთ მხარეს და დიდი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთის ქრისტიანული მოსახლეობის ლიტერატურული კონტაქტების შესწავლის საქმეში.სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები ძირითადად აგიოგრაფიულ მწერლობაში ვლინდებოდა.სირიულ-ქართული კონტაქტების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბას ლავრა, სინის მთა, იერუსალიმი...

მოხსენებაში განხილულია მთელ აღმოსავლეთში განთქმული წმინდანისა და ასკეტის, ღაზის მონოფიზიტთა ცენტრალური ფიგურის პეტრე იბერის „ცხოვრების“ სირიული ტექსტის თარგმანის ტექნიკის ზოგიერთი საკითხი.

დღემდე თხზულების სირიული და ქართული ტექსტების კომპარატიული კვლევა არ განხორციელებულა. ჩვენ ვთარგმნეთ სირიული ტექსტი სრულად. მრავალი დეტალი დაზუსტდა.

სრულიად ცხადია ქართული გადმოკეთებული ტექსტის ყველა ძირითადი ეპიზოდის დამოკიდებულება ანონიმის (რუფუსის) „პეტრეს ცხოვრების“ სირიულ ტექსტზე. ქართული ცხოვრების მთარგმნელი პეტრეს რელიგიური მრწამსის ერთგვარ რეკონსტრუქციასაც ახდენს თავისი ეპოქის შესაბამისად: მონოფიზიტი პეტრე „ცხოვრების“ ქართულ ტექსტში ქალკედონიტად არის გამოყვანილი. მონოფიზიტები მას, როგორც ქალკედონიტს მოკვლითაც ემუქრებიან, თუმცა პეტრე მონოფიზიტი იყო.

ეს, რა თქმა უნდა, აშკარა ალოგიზმია, რომელიც გამოწვეული უნდა იყოს იოანე რუფუსის თხზულების ქართული კომპილაციით, ქართულ დიოფიზიტურ ეკლესიასთან „პეტრე იბერის ცხოვრებისა“ და მისი რელიგიური კრედოს შეთანხმების მიზნით. გასაგებია თუ რატომ უვლის გვერდს ქართველი მთარგმნელი „ანონიმის“ სირიულ ტექსტში გადმოცემულ თეოლოგიურ ადგილებს, XIII-IVX საუკუნეების ქართველი საეკლესიო მოღვაწეები ანტიმართლმადიდებლური, მონოფიზიტური იდეების პროპაგანდისტები ვერ იქნებოდნენ. მათ „გაწმინდეს“ ტექსტი და თავისებურად შეავსეს იგი.

სირიული და ქართული „ცხოვრების“ შედარებითი შესწავლით შესაძლებელია არსებითი ისტორიული ნაწილის აღდგენა.

7	**მარიამ ჩაჩიბაია /ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	On the Study of Syriac-Georgian Literary Relations	XIII Symposium Syriacum et au XI Congrès d'études arabes chrétiennes იბეჭდება	PARIS (France)	

სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ საუბრისას, ძირითადად მხედველობაში გვაქვს ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდი, რომელიც მოიცავს ხანას დღიდან მწერლობის დაწყებისა, ვიდრე X საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. სწორედ ამ პერიოდში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს საბაწმიდის ლავრასა და სინას მთას, რომლებიც გვევლინება აღორძინებულ მძლავრ კულტურულ კერად, სადაც ქართველები სირიულისა და ბერძნულის საშუალებით ეზიარნენ ქრისტიანულ-სასულიერო ლიტერატურას, კერძოდ, კლასიკურ სირიულ ენაზე შექმნილ

მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

სირიელებსა და ქართველებს შორის ისტორიულ-ლიტერატურული თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა შესწავლის აუცილებლობა ცხადი გახდა მკვლევრებისათვის. სირიულიდან ქართულად ნათარგმნად არის მიჩნეული სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურის ცხოვრების ქართული ტექსტები (G. Garitte) და სხვ.

ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების ფილოლოგიურმა და ლინგვისტურმა შესწავლამ ცხადყო სირიულის კავშირი ამ ტექსტების ზოგიერთ რედაქციასთან. მოხსენებაში წარმოდგენილია სათანადო კვლევის შედეგად დადასტურებული ქართული ბიბლიური ტექსტების ზოგიერთი რედაქციის კავშირი სირიულთან, რაც კარგად ჩანს ფსალმუნის კვლევის მაგალითზე. ქართულ „ოთხთავში“ გამოვლინდა რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც გამორიცხავენ სომხურ გზას, ან მათი შესატყვისი სომხურში არ დასტურდება და შესაბამისად უშუალოდ სირიულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს, რაც ამ ხალხების უძველეს კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს.

ძველ ქართულ მწერლობაში უშუალოდ სირიულიდან, ან შუალედური არაბულის თარგმანის გზით მომდინარე თხზულებები არცთუ დიდი ოდენობით არის გამოვლენილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბევრი რამ სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით გამოსავლენია, დასაზუსტებელი და შესასწავლია.

8	**მარიამ ჩაჩიბაია /ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	Historical Sources Describing the Corpus of Pseudo-Dionysius the Areopagite and the life of Peter the Iberian	15th LISBON-PORTUGAL International Conference on Literature, Languages, Humanities and Social Sciences (L2HSS-19)	Lisbon (Portugal)	

ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის ფსევდო – დიონისე არეოპაგელის კორპუსის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ფსევდო – დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის პრობლემა როგორც მსოფლიო ბიზანტინისტთა, ასევე აღმოსავლეთმცოდნეთა კვლევის ობიექტია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ და ქართულ საისტორიო წყაროებს, სვინაქსარულ საკითხავებს, ჰიმნებს, საერო – მხატვრულ თხზულებებში დაცულ მასალებსა და ზოგადად დიონისეს ვინაობასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ ტრადიციას. საგანგებოდ არ არის შესწავლილი ქართული საისტორიო წყაროები, რომელთაც იყენებენ არეოპაგიტულ საკითხთა განხილვისას. ჯეროვნად უნდა შემოწმდეს დიონისეს შესახებ დაწერილი ყველა საკითხავი და ჰიმნი, რომლებიც დაცულია ქართულ გულანებსა და სვინაქსარულ კრებულებში. სწორედ ეს მემკვიდრეობაა ნაკლებად შესწავლილი და ამიტომ მოსალოდნელია უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მასალის გამოვლენა. მეორე მხრივ, მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთა ინტერესს იწვევს პეტრე იბერის, დიდი ქართველი მეუდაბნოეს პიროვნება და მისი ბიოგრაფიული მასალა. მისი სამოღვაწეო ასპარეზი იყო კონსტანტინეპოლი და პალესტინის სამონასტრო ცენტრები, სადაც მან ქართული კულტურის კერებს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. მას ჰქონდა ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ბერძნებთან, სირიელებთან და სხვა მრავალეროვან პალესტინელ ქრისტიანებთან. სწორედ ამიტომ, მისი ცხოვრებისა და მოქალაქეობის ამსახველი მასალები შეიქმნა ბერძნულ, სირიულ და ქართულ ენებზე. სამწუხაროდ მათი დიდი ნაწილი დაკარგულია, ნაწილი კი თარგმანების სახით არის შემორჩენილი. მართალია, მათ შესახებ არსებობს დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, მაგრამ ყველა მათგანი დღემდე არ არის ამომწურავად შესწავლილი, ან შესწავლილია ცალმხრივად (თუ ტენდენციურად), არც ჯეროვნად არის დადგენილი თითოეული წყაროს მეცნიერული ღირებულება. მოხსენებაში საგანგებოდ არის შესწავლილი ისეთი ფრიად სადავო საკითხები, როგორიცაა, პეტრეს ცხოვრების სირიული და ქართული რედაქციები, მათი ატრიბუციისა და ქრონოლოგიის საკითხები და სხვ. ეს გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის პრობლემის განხილვამდე აუცილებელია,გაირკვეს თუ რა წყაროებმა მოაღწია ჩვენამდე დიონისე არეოპა-

გელისა და პეტრე იბერის შესახებ და როგორია მათი ურთიერთმიმართება.					
9	**ირინე ტატიშვილი /ასირიოლოგია/** ლევან გორდეზიანი	Einige bemerkungen zur Ethnizität in den hethitischen Texten (ISBN 978-83-8711177-9)	"And I knew twelwe languages". A Tribute to Massimo Poetto on the Occasion of his 70th birthday	Warsaw Agade Bis University of Warsaw 2019	221-228
სტატიაში გაანალიზებულია ხეთურ ტექსტებში დადასტურებული გამოთქმები, რომლებიც აღნიშნავს ხეთების ქვეყანას და მის ხალხს: KUR ^{URU}*Hatti*, ^{URU}Hattušaš utnē სიტყვასიტყვით ნიშნავს "ქალაქ ხათის ქვეყანას". აქედან არის წარმოებული ხალხის აღმნიშვნელი სახელწოდებაც LÚ^{MEŠ} (KUR) ^{URU}*Hatti* "ქალაქ ხათის (ქვეყნის) ხალხი", DUMU^{MEŠ} (KUR) ^{URU}*Hatti*, „ქალაქ ხათის (ქვეყნის) შვილები". ამ ფორმულებს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში თარგმნიან როგორც სიტყვასიტყვით, ასევე თანამედროვე გაგებით, როგორც ეთნონიმს - „ხეთები". თუმცა, როგორც სტატიაშია ნაჩვენები, ხეთურ იმპერიაში, მეზობელ ქვეყნებთან მათი მუდმივი კონფრონტაციის, მათგან იზოლაციის, აგრეთვე ძლიერი სოციალური დიფერენციაციის არარსებობის გამო, ეთნიკურ განსხვავებებს არასდროს მინიჭებია დიდი მნიშვნელობა.				
10	**ირინე ტატიშვილი /ასირიოლოგია/** ლევან გორდეზიანი	Zum wirtschaftlichen Aspekt der "Reform" Tuthaliyas IV (ISBN 978-3-86835-313-6) (ISSN 0931-4296)	Alter Orient und Altes Testament, Band 467 Economy of Religions in Anatolia: from the early second to the middle of the first millennium BCE	Münster Ugarit-Verlag 2019	29-38
თუთხალია IV-ის "რეფორმა" უნდა გავიგოთ როგორც ხეთების მრავალრიცხოვანი კულტების სისტემატიზაცია. რიტუალების აღწერილობების და საკულტო ინვენტარების ზოგიერთი თავისებურება გვაფიქრებინებს, რომ ამ სისტემატიზაციის ფარგლებში გარკვეულწილად განხორციელდა სახელმწიფო სატაძრო მეურნეობის ცენტრალიზაცია. ხეთების სამეფოს დედაქალაქის და ღვთაებების კულტების გადატანას თარხუნთასაში, ხოლო შემდგომ მათ დაბრუნებას კვლავ ხათუსაში ხელი უნდა შეეწყო სასახლისთვის, რომ ერთგვარად შეეზღუდა ტაძრის შედარებითი სამეურნეო ავტონომია.					
11	**დალი ჩიტუნაშვილი /არმენოლოგია/** ზაზა ალექსიძე	Georgian-Armenian Palimpsests in Repositories of the National Centre of Manuscripts of Georgia: Agathangelos's History of the Armenians ISSN2213-0039	Texts ans Studies in Eastern Christianity v.16	Bril, Leiden	199-210
სტატიაში განხილულია ქართულ ხელნაწერში (491) დაცული სომხური პალიმფსესტის რაობა. იდენტიფიკაციამ და ტექსტის გადმოწერამ გვიჩვენა, რომ პალიმფსესტში დაცული არის მეხუთე საუკუნის სომეხი ავტორის, აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის" ნაწილი. პალეოგრაფიის					

მიხედვით პალიმფსესტი ადვილად შეიძლება დათარიღდეს მერვე-მეცხრე საუკუნეებით და ვენაში დაცულ აგათანგელოზის ტექსტის შემცველ პალიმფსესტზე ადრეულიც კი შეიძლება იყოს. ტექსტი ვარიანტული წაკითხვებით ყველაზე ახლოს მეთორმეტე-მეცამტე ადრეული პერიოდის ხელნაწერებში დაცულ ტექსტებთან, რომლებიც აგათანგელოზის კრიტიკულ გამოცემაში α ლიტერით არის აღნიშნული. გამოცემას ერთვის პალიმფსესტიდან გადმოწერილი ტექსტი.					
12	**ნანი გელოვანი /აღმოსავლეთის ისტორია/**	First Russian schools for Muslims in Tbilisi (Georgia)	*Proceedings of International Conference on Research in Social Sciences and Humanities, 24-26 october, 2019.*	2019 ფრანკფურტი /გერმანია/	8გვ.
წინამდებარე სტატიაში განხილულია კავკასიაში, სახელდობრ თბილისში პირველი რუსული მუსლიმური სასწავლებლების ისტორია (წესდება, სასწავლო პროგრამა, სასწავლო-მეთოდური მასალები, პედაგოგიური შტატი, კურსდამთავრებულთა პრივილეგიები, ხარჯთაღრიცხვა და სხვ.) საარქივო დოკუმენტებსა და პერიოდულ პრესაში დაცული მასალების საფუძველზე. ქ. თბილისი (ტიფლისი), რომელიც 1801 წლიდან გახდა რუსეთის ადმინისტრაციის ცენტრი კავკასიის მხარეში, 1845 წელს - კავკასიის ნამესტნიკის რეზიდენცია, ხოლო 1846 წლიდან – თბილისის გუბერნიის ადმინისტრაციული ცენტრი, თანდათან კავკასიის ადმინისტრაციულ, სავაჭრო და სამრეწველო ცენტრად ყალიბდებოდა. თბილისის საშუალებით რუსეთი ამყარებდა დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. 1847-1849 წლებში კავკასიაში პირველი რუსული სასწავლებლები მუსლიმებისათვის, ცალკე შიიტებისა და ცალკე სუნიტებისათვის, გაიხსნა სწორედ თბილისში, სადაც კავკასიის ნამესტნიკს შეეძლო ყურადღებით ედევნებინა თვალი „ამ დაწესებულების პროგრესისა და წარმატებისათვის“. მუსლიმური სასწავლებლების ეს პირველი გამოცდილება იყო წარმატებული: მოსახლეობა, რომელიც რელიგიური მოტივებით არ აგზავნიდა თავიანთ შვილებს სამრევლო სკოლებში, განეწყო მათდამი მოწონებით. კავკასიაში ცარისტული ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი მუსლიმთა სასწავლო დაწესებულებების გახსნა აიხსნება მისი დაინტერესებით სწრაფად მომხდარიყო კავკასიის მუსლიმების ადაპტაცია რუსულ სამართლებრივ და კულტურულ სივრცესთან, ასევე აუცილებლობით მოემზადებინა მოხელეები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ადმინისტრაციაში სამუშაოდ.					
13	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	Turning points: In Search of a Post-Cold War Global Security Order. ISSN 2038-5242.	CADMUS. Promoting Leadership in thought that leads to action. New perspectives on Major Global Issues. Volume 4, Issue 1. October 2019	Editorial Office: 5, Puduvai Sivam Street, Venkata Nagar, Pondicherry 605011, India	115-121. (7)
წინამდებარე ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილავთ რამდენიმე შემობრუნების წერტილს გლობალური წესრიგის ევოლუციაში ცივი ომის შემდგომ. ცივი ომის დროს, ბიპოლარული საერთაშორისო წესრიგი განისაზღვრა ორი ზესახელმწიფოებრივი წინააღმდეგობის გამო, რომლის პოზიციებიც გულდასმით იყო დაბალანსებული მთელ მსოფლიოში. ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიის სხვადასხვა მოდელზე, რომლებიც განისაზღვრება სახელმწიფოების კულტურული და ტრადიციული თავისებურებებით, დემოკრატიის წესებისა და არჩევნების გამოყენებით ძალაუფლების შესანარჩუნებლად.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	უცხოობის განცდა - უმთავრესი ადამიანური გამოცდილება. ელიას ხურის „ქალაქის კარიბჭეები“ The Sense of Alienation - The Main Human Experience. "City Gates" by Elias Khoury	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“ კონფერენცია მიეძღვნა აკად. თამაზ გამყრელიძის 90-ე წლისთავს East and West: Linguistic, Cultural, Historical Interactions The conference is dedicated to the 90th anniversary of Academician Thomas V. Gamkrelidze ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი 2019 წლის 12-15 დეკემბერი
კონფერენციის მასალები დაბეჭდილია			
2	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	ცხოვრების ორსახოვნება - ზეციური ანგელოზის მსგავსი ქალიშვილი თუ მეძავი ქალი?! სადეყ ჰედაიათის რომან „ბრმა ბუს“ მხატვრული მეტაფორა The Duality of Life - A Heavenly Angel-like Girl or A Prostitute? Metaphor in "The Blind Owl" by Sadegh Hedayat's Novel	კოტე წერეთლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სემიტოლოგიური ძიებანი-3“ თბილისის მუზეუმების გაერთიანების სოსო და კოტე წერეთლების მემორიალური მუზეუმი 2019 წლის 22-23 ოქტომბერი
კონფერენციის მასალები დაბეჭდილია			
3	**მარიამ წანობაშვილი /არაბისტიკა/**	მოხსენება: არაბულ–ქართული მთარგმნელობითი პროცესი	„სემიტოლოგიური ძიებანი“, III საერთაშორისო კონფერენცია. ა(ა)იპ - თბილისის მუზეუმების გაერთანება. თბილისი. 22-23 ოქტომბერი, 2019

მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლუსურ ენებზე; (გვ. 68–69).			
4.	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	1. The Issue of the Final mīm in the Egyptian Arabic.	1. 10-13 ივნისი, ქუთაისი, AIDA 13.
დიდი ხანია, შემჩნეულია, რომ ეგვიპტური დიალექტის ზოგიერთ კილოკავში, ზმნის პერფექტივში, მრავლობით რიცხვში, მესამე პირში ჩნდება ბოლოკიდური mīm-ი, რომლის წარმოშობა და ფუნქცია მკვლევართა ინტერესს იწვევდა. XX საუკუნის 50-იან წლებში შარბატოვმა ეს mīm-ი ძველი სემიტური მიმაციის ნაშთად აღიქვა. მის ამ ვარაუდს მოჰყვა ზოგიერთი მკვლევრის კრიტიკა, რადგან მიმაცია, როგორც ნუნაცია, სახელისთვისაა დამახასიათებელი და მისი ნაშთის აღმოჩენა ზმნაში სათუოდ იქნა მიჩნეული. ზოგჯერ ის აღიქმებოდა, როგორც უფუნქციო, II პირის ანალოგიით გაჩენილი დანართი. მოგვიანო ხანის ავტორები ამ mīm-ისთვის კვალიფიკაციის მიცემისგან თავს იკავებენ. მოხსენებაში წამოყენებულია ამ mīm-ისთვის კვალიფიკაციის მიცემის მცდელობა. არაბულის დიალექტებში ზოგადად, და კერძოდ - ეგვიპტურში, სახეზეა m-n-l სონორთა პერმანენტული ფაკულტატური ურთიერთსუბსტიტუციის ფაქტი. მეორე მხრივ, სამართლიანი იქნება მტკიცება, რომ ბგერები m-n არაბულში გამოხატავენ მრავლობით რიცხვს (resp. ერთზე მეტს) როგორც ზმნებში, ასევე სახელებში. ეგვიპტურში საძიებო ბოლკიდური mīm-ი ჩნდება faʿalu (< faʿalū) ფორმის ბოლოს: faʿalum. იგი (ბოლოკიდური -m) უნდა იყოს სწორედ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რომლის გაჩენისთვის ორი ძირითადი საფუძველია: ა) faʿalum ქმნის უღლების უნიციფირებულ ვარიანტს II პირის faʿaltum-თან ერთად (ორსავე შემთხვევაში გვაქვს მრ. რიცხვის გამომხატველი ბოლოკიდური mīm) და ბ) faʿalu ფორმაში -ū სუფიქსში ხმოვნის დამოკლების შემდეგ ბოლოკიდური mīm -ის დართვა მრვალობითის გამოხატვის დამატებით ატრიბუტად შეიძლება აღვიქვათ. ასეთივე ბოლოკიდური mīm, ან მისი ჩამნაცვლებელი სხვა სონორი, სხვათა შორის, შეიძლება შეგვხვდეს იმპერფექტივის II და III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა სიტყვაში (dōl/dōlam).		
5	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	Four-radicalization in Arabic.	222-23 ოქტომბერი, თბილისი, სემიტოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესი.
ოთხთანხმოვნიანი ძირები არაბულში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჯგუფს ქმნიან არა მხოლოდ ფორმაწარმოების, არამედ - სემანტიკის თვალსაზრისითაც. თანამედროვე სასაუბრო არაბულს რაც შეეხება, ოთხთანხმოვნიან ძირებთან, ერთი მხრივ, გაზრდილია ნაწარმოებ თემათა მოხმარების ეკონომიურობის ხარისხი (ამ მოვლენას ეძებნება პარალელები საერთო მორფოლგიურ სურათში); მეორე მხრივ, შესაძლებელია საკითხის დაყენება ასე: გაოთხთანხმოვნიანება წარმოადგენს თანამედროვე არაბული სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას, რომელიც აერთიანებს: სიტყვაწარმოებას უცხო ლექსიკურ საფუძველზე (პრაქტიკულად, არა მზა სიტყვის, არამედ - მისი შემადგენელი თანხმოვნების სესხების საფუძველზე, თანხმოვანთა ფუნქციის გადააზრებითა და მათი რაოდენობის დაყვანით ოთხამდე), რედუპლიცირებას (ე.ი. ძირში თანხმოვანთა რაოდენობის გაზრდას ოთხამდე), სწორი სამთანხმოვნანი ძირების გაოთხანხმოვნიანებას (თანხმოვანთა რაოდენობის გაზრდით ოთხამდე, ძირში		

სუსტი თანხმოვნის ან სონორის ჩამატების გზით), კომპოზიციურ თხზვას (შემადგენელთა ოთხ თანხმოვანზე დაყვანით), ნასახელარი ზმნების წარმოებას და სხვ.			
6	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	On the Importance of Comparative Study of Bilingual Proverbial Fonds (Based on Syrian Dialect Arabic and Georgian Material) *მასალები გამოქვეყნებულია*	AIDA 13 th International Conference "Arabic Dialectology" Akaki Tsereteli State University Kutaisi, Georgia June 10-13, 2019
[კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის სარეცენზიო საბჭოს შეფასების საფუძველზე მოხსენების სრული ვერსიის დედლაინი გადაცემულია *საკონფერენციო შრომებში გამოსაქვეყნებლად]*			
7	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	ფსიქოლინგვისტური ასპექტები პარემიის ფორმა-შინაარსის ორგანიზებაში (არაბული და ქართული ანდაზების ანალიზის შუქზე)	„ ენა და კულტურა" V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 1-3 ივნისი, 2019
მოხსენების სრული ვერსია გამოქვეყნებულია საკონფერენციო შრომებში]			
8	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	ენასთან დაკავშირებული ანდაზების ტიპოლოგიისათვის განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში (ქართულ და არაბულ კორპუსთა ბაზაზე)	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია მიძღვნილი ალ. გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი თსუ, თბილისი 26-28 ივნისი
[სრული ვერსია სტატიის სახით გამოქვეყნებულია რეცენზირებულ და რეფერირებულ (თსუ) სამეცნიერო კრებულში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები" XXXIII ***ISSN 1512-0694***			
9	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	On the Organization of Logical-Structural Model of One Arabic Maxim (As Exemplified by the SyrianDialect Material)	„სემიტოლოგიური ძიებანი", III საერთაშორისო კონფერენცია. ა(ა)იპ - თბილისის მუზეუმების გაერთანება. თბილისი. 22-23 ოქტომბერი, 2019
მასალები გამოქვეყნებულია			
10	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	სინტაგმატური კავშირები – მცირე პარემიის ქვეტექსტის საფუძველი	„კულტურათაშორისი დიალოგები" - IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

		(არაბული ანდაზების ბაზაზე ქართული შესატყვისებით)	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი 25-27 ოქტომბერი, 2019
[მოხსენების სრული ვერსია გამოქვეყნებულია საკონფერენციო შრომებში]			
11	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	„იდიომატური ფონდების შედარებითი შესწავლისათვის ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში“ (არაბული და ქართული მასალის კორპუსის მაგალითზე)	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი; არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი 4-7 ნოემბერი, 2019
[მოხსენების სრული ვერსიის დედლაინი კონგრესის სამეცნიერო საბჭოს რეცენზირებით გადაცემულია თსუ გამომცემლობაში კრებულში - „კავკასიოლოგიური ძიებანი“ გამოსაქვეყნებლად]			
12	**თეა შურღაია /ირანისტიკა/**	პერსონაჟი, ავტორი და ეგზისტენციალური არჩევანი - გოლი თარაყის ნაწარმოებების ერთი ინტერპრეტაცია	26-28 ივნისი, თბილისი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-13 საფაკულტეტო კონფერენცია
მოხსენებაში განხილულია გოლი თარაყის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი პერსონაჟთა ეგზისტენციალური არჩევანის პრობლემის გადაჭრის საინტერესო ხერხებს მიმართავს. მწერლის სხვადასხვა დროის თხზულებების ანალიზი შესაძლებელს ხდის ავტორისეული პოზიციის ევოლუციისთვის თვალის გადევნებას. მწერალი ბოლო დროის ნაწარმოებებში ტრადიციული დილემის გადასაჭრელად ტყუპის არქეტიპს იშველიებს და ერთი მთლიანობის რეალიზაციის ორ შესაძლო ვერსიას სთავაზობს მკითხველს. გ. თარაყის ბოლო რომანი „დაბრუნება“ ადასტურებს, რომ ორ სამყაროს, ორგვარ არსებობას შორის არჩევანი მისთვის და მისი პერსონაჟებისთვის კვლავაც მწვავედ დგას.			
13	**მარინა ალექსიძე /ირანისტიკა/**	ქართველი ქალი XVIII-XIX საუკუნეების „ფსევდოაღმოსავლურ“ ზღაპრებში: ჰაფეზისა და ამინას ზღაპარი	თსუ XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი პროფ. ალ. გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, 26-28 ივნისი, 2019, თბილისი
გამოქვეყნებულია			
14	**მარინა ალექსიძე /ირანისტიკა/**	წმინდა გიორგის კულტი XIX საუკუნის თბილისელ მუსლიმებში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო

			ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე“, 13 აპრილი, 2019, თბილისი.
XIX საუკუნის თბილისში კონფესიათშორისი ურთიერთობების თვალსაჩინო მაგალითია წმინდა გიორგის კულტი თბილისელ მუსლიმებში, რაც ორი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული. მთავარი მოტივაცია იყო დაავადებებისგან განკურნების ძალა, რომელიც ამ წმინდანის ხატს ან მისი სახელობის ეკლესიას მიეწერებოდა. მეორე ფაქტორი კი უკავშირდება ხალხურ ისლამში გაბატონებულ წარმოდგენას წმინდა გიორგის მუსლიმ წმინდანთან ხიზრთან გაიგივების შესახებ, რაც დასტურდება XIX საუკუნის თბილისშიც. ამ ორივე ფაქტორით იყო განპირობებული თბილისელი მუსლიმების „მონაწილეობა“ ამ წმინდანისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში.			
15	**მზია ბურჯანაძე /ირანისტიკა/**	ირაჯ მირზას ,,ზოჰრე და მანუჩეჰრი - კდემისა და ვნების გაბაასება“	26-28 ივნისი, თბილისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-13 საფაკულტეტო კონფერენცია
16	**მანანა კვაჭაძე /ირანისტიკა/**	ხაყანი შირვანელის ხოტბა-მიძღვნილი ქართველი მეფისადმი	ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „კუტურათა დიალოგი გრძელდება“. 21-22 მარტი,
ხაყანი კარგად იცნობდა საქართველოს, იცოდა ქარული ენა, მიმოწერა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან; პოეტის ლექსებსა და პირად წერილებში ასახულია მისი კონტაქტები საქართველოს სამეფო სახლთან. მეტად საინტერესოა მისი ოდა მიძღვნილი ქართველი მეფისადმი. ლექსის ადრესატი არის დემეტრე I, დავით აღმაშენებლის ძე, ძმა თამარისა - შირვანშაჰ მანუჩაჰრის ცოლისა. ხაყანი ხოტბას ასხამს მას, როგორც სახელმწიფოს საყრდენს, ქრისტიან მონარქს; მიანიშნებს ბერმონაზვნური ცხოვრების პერიოდზე და ბოლოს შესთხოვს უშუამდგომლოს შირვანის მბრძანებელთან, მოაპოვებინოს ჰაჯის შესრულების უფლება... დემეტრეს წყალობით ხაყანიმ აისრულა სანუკვარი ოცნება და მოილოცა წმინდა ადგილები.			
17	**მანანა კვაჭაძე /ირანისტიკა/**	ალექსანდრე გვახარია-90.	პროფ.ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 26-29 ივნისი, 2019 თსუ
მოხსენებაში საუბარი იყო პროფ.ალექსანდრე გვახარიას ცხოვრებისა და სამეცნიერო ღვაწლის შესახებ; აღნიშნულ იქნა მისი, როგორც პედაგოგის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, კათედრის გამგის როლი და დამსახურება დარგის განვითარების საქმეში.			
18	**მანანა კვაჭაძე /ირანისტიკა/**	საკარო და სალიტერატურო ეტიკეტის შესახებ შირვანშაჰთა სასახლეში.	26-29 ივნისი, 2019 თსუ. პროფ.ალექსანდრე გვახარიას

			დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
მოხსენება შეეხება შირვანშაჰთა სასახლის კარზე მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. თეზქერეების, ანთოლოგიებისა და მხატვრული ტექსტების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ეტიკეტური ნორმები, რომელნიც განსაზღვრავენ პოეზიის დანიშნულებას და მეხოტბე პოეტთა როლსა თუ ხვედრს სასახლის კარზე.			
19	**ფატმან ანთაძე-მალაშხია /ირანისტიკა/**	ახლოაღმოსავლურ ანთროპონიმულ ნასესხობათა სემიოტიკური სტატუსისათვის ქართულში	21-22 მარტი, 2019 საქართველო. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია "კულტურათა დიალოგი გრძელდება".
ქართულში შემოსული ახლოაღმოსავლური ანთროპონიმული ნასესხობები სხვადასხვა სემიოტიკური სტატუსით ფუნქციონირებს. მკაფიოდ იკვეთება დიქოტომია **მშობლიური vs უცხო.** მშობლიურის სტატუსი აქვს სპარსული წარმომავლობის ანთროპონიმებს, კერძოდ, **შაჰნამე**-ს პერსონაჟთა სახელებს. არაბული და თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები აღიქმება უცხო ელემენტებად. ამგვარი დიქოტომია განპირობებულია არაენობრივი ფაქტორებით და სიღრმისეულად გულისხმობს რჯულისმიერობისა და ურჯულოების მიხედვით დაპირისპირებას. **შაჰნამე**-ს პერსონაჟთა სახელები ქართულ ცნობიერებაში გატანილია რელიგიური კონტექსტიდან, რამდენადაც **შაჰნამე**-ს რეალიები ისლამამდელია. თავად ამ ეპოსიც უდიდესი პოპულარობა და მისი თითქმის გახალხურება შუა საუკუნეების საქართველოში დიდწილად ისლამამდელმა რეალიებმაც განაპირობა. რაც შეეხება, არაბულ და თურქულ ანთროპონიმებს, ისინი „თათრულობით“, ანუ ურჯულოებითაა ნიშანდებული, რასაც ადასტურებს ეშმაკის მოსატყუებლად ჩვილთათვის ამ სახელების ერთგვარი ჰომეოპათიური მიზნით დარქმევა ჩვილთა ეშმაკისგან დამალვის მიზნით.			
20	**ფატმან ანთაძე-მალაშხია /ირანისტიკა/**	მრავლობითის ფორმათა სინგულარიზაციისათვის სპარსულში	26-28 ივნისი, 2019 საქართველო. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ალექსანდრე გვახარიასადმი მიძღვნილიჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-13 სამეცნიერო კონფერენცია.
სპარსულში მრავლობითის სინგულარიზაციის ტიპი მკაფიოდაა განპირობებული ეტიმოლოგიური			

ფაქტორით. საკუთრივ სპარსული წარმოების მრავლობითის ფორმები იშვიათად და მხოლოდ ნაწილობრივ სინგულარიზდება. დიფერენცირებული სიმრავლე გადადის არადიფერენცირებულ სიმრავლეში, კერძოდ, კრებით კატეგორიაში. სპარსულში კრებითობისადმია ასევე მიდრეკილი არაბული სუფიქსური მრავლობითიც. სრული სინგულარიზაციისადმი ტენდენცია კი აშკარად იკვეთება არაბული მსხვრეული მრავლობითის ფორმათა მასალაზე. ამგვარი ტენდეცია ფაქტობრივად არ ახასიათებს თავად არაბულს. სპარსულში არაბული მსხვრეული მრავლობითის ფორმათა სინგულარიზაცია იწვევს სისტემური ტიპის სემანტიკურ ცვლილებებს. სინგულარიზაციის უკიდურეს ფორმად გვევლინება მორფოსემანტიკური ცვლილებები, როცა სინგულარიზებული ფორმა არსებით სახელთა კლასიდან გადადის მეტყველების სხვა ნაწილთა კატეგორიაში. უკიდურესი სინგულარიზაციის შემთხვევად განიხილება ასევე სინგულარიზებული მრავლობითის ანთროპონიმიზაცია.

სავარაუდოდ, არაბული მსხვრეული მრავლობითის ფორმათა სრული სინგულარიზაცია გარკვეულწილად მრავლობითის ამ ფორმათა არასუფიქსური წარმოებით უნდა იყოს განპირობებული, რის გამოც ისინი უცხო ენობრივ გარემოში „გადანერგვისას“ ზოგჯერ ინფიქსურად წარმოებულ ფუძეებად აღიქმებიან.

21	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	ტრადიციული პოეტური ლექსიკა და ჯემალ აჯიაშვილის სასიტყვეთი	21-22 მარტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

.ტრადიციულ პოეტურ ლექსიკაში იგულისხმება ემოციური, ამაღლებული, სიტყვების შედარებით უცვლელი ერთობლიობა. ექსპრესიული ლექსემები მუდმივად გამოიყენება პოეზიაში. მათი სემანტიკური ტრანსფორმაციების თავისებურებაა თუნდაც მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება. ამ ტიპის ლექსიკის შემადგენლობის სიმყარის მიუხედავად, დროთა განმავლობაში ზოგი ერთეული ძველდება, ცვდება და პასიურ ლექსიკაში გადადის – ჩაეშვება ენის ისტორიაში. ამავდროულად ენა მდიდრდება კიდეც: ზეპირსიტყვიერებიდან (ხალხში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები გვაქვს მხედველობაში) და ნასესხობებით. ტრადიციული პოეტური ლექსიკა დღესდღეობით განსაკუთრებულად ამაღლებულობის, საზეიმოობის, ლირიკულობისა და ისტორიულობის გამოსახატავად გამოიყენება.

სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებულ ნიუანსთა უსასრულობა, სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება და გაუბრალოება ლექსიკური ერთეულის მრავალწახნაგოვანი არსებობის გამოვლენაა პოეტურ ტექსტში. ყოველ პოეტს ხომ თავისი პოეტური ლექსიკონი, მყარი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კავშირთა თავისი სამყარო აქვს. შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახულია ნაკლებად ცნობილი ან ჟამთა სვლის გამო სრულიად მივიწყებული და ზოგჯერ უცნობი ინფორმაციაც კი. სიტყვაწარმოების მოდელთა წარმოდგენა, ფაქტობრივად, ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის აღწერა არის ენის პოტენციური შესაძლებლობა, რითაც რეალიზდება პოეტური სიტყვათქმნადობა. მოხსენებაში წარმოვაჩენთ პოეტურ სიტყვათთხზვას ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედების მიხედვით. განვიხილავთ დერივატებსა თუ კომპოზიტებს, რომლებიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო. მის სასიტყვეთში ჩაღრმავებისას გვერდი ვერ ავუარეთ ხატოვანი აზროვნების გამოვლენას სამსიტყვედებსა თუ სინტაგმებში: ჩამოეშვა ფარდა მშვენების; ნაშთო ძველი ოცნებისავ; უფლებანი მორჭმით აუფლა; სივრცეების განახლებული წელთაღრიცხვები; ცრემლებით მცვარავ; ცის სარეწავი, ავსულის სიავსულე, დამძალავს ვძალავ; მოდგა სუფევა; დაღამებავ ამაღამდელო; მწვალებლობის ცხრაკლიტული, რეწავდა სასწაულებს, ფოთოლცვენის ხმა და სხვ

22	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	დაკვირვებანი შოთა ნიშნიანიძის	20-21 ივნისი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

		პოეტურ ლექსიკაზე	ინსტიტუტი
შოთა ნიშნიანიძის სასიტყვეთს წარმოვაჩენთ სიტყვათთხზვის მისეული ტექნიკის კუთხით.არსებითი და ზედსართავი სახელებით დავიწყებთ: ყელმაღალა დოქები , ბუჩქნარ-ბუჩქნარ, ფესვებჯიუტო , ღვთისბეჭება (კახეთო), ფუტკრული, ტანკრიალა, პირველთპირველი , ლერწებკრიმანჭულა , ჯუბაჯვრიანი , მგელბიჭუნები, უღელგრძელი,უხვალო, ფარშავანგული, ხატპეპელა(ღიმილი, ქუში, ფეხკავშა, მთვარისფერი და სხვ. წინარე ვითარების სახელებია: ნაფრესკალი...ნაბზარი, (ნუშის) ნაფერთალი, ნასუქალი და სხვ პოეტი თხზავს ახალ ნასახელარ ზმნებს: (თიხაში) გადალასტა (ყველა თავისი სურვილი), ჩახარკდება (ფიჭაში), ფუტკრობ (53), მემშობლიურები...მემაფშალიები, მემფარველო , მელამანჩა, დესპანობდე, რა გვიანბანე, ვიალქაჯე, მისხმარტულა, ამყვირალდა, ვმარტვილობდი, იტარასე, ურიკოშეტებ, შემოეგარსა, ატევრილა, მიეკელაპტრა, ისხივ-იბროლოს , მოსხივდა-მოგალობდა, მოგონებებს ვუბელივარ, იჯეჯილე...ივენახე, სულ ომობ და პაჭანიკობ, აბოლდი, სულო, მიითარგ-მოითარგოს, იციბრუტებ, სხიოდა (დაირა),თავს მოვიაფრაკებდი, მზით დახოხბდა ტყეები და სხვ. სხვა ზმნისწინის დართვა: დავარდა ჭორი, მეტეორები ღამეს დახლეჩენ, (დრომ ჩვენი გზები ერთად) მოკონა, დაიარება-ს ანალოგიით დაიღრუბლება; ერთი უზმნისწინო მიმღეობაც შეგვხვდა: უყვედრელი; სახელზმნა: (ვოლგის) ათერგება, (ანგელოზების) ამოკოცნილი, მთესვარი, თელებზე მიკანჭულო , აჯაგრულია პარიზი; მიმღეობიანიკომპოზიტები: შოშიებმიმსხდარი, ლეგენდებგადავლილი, დაბებკილი ... ზმნიზედა: გზაჯვარედინად (გაიკლაკნა გზა). აქვე უნდა აღინიშნოს ის ლაღი ჩართვები, რომლებითაც შოთა ნიშნიანიძე აფერადებს თავისი ლექსების ქსოვილს. აი, ისინიც:მურმან ლებანიძის პერიფრაზია იარაგვე, ირიონე , კიდევ სად არის სხვა საქრთველო, ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა... და სხვ და სხვ. შოთა ნიშნიანიძის სამყარო სავსეა სიცოცხლის ფორმებით და მთლიანობაში მისი დანახვა და განცდა ერთი დიდი ბედნიერებაა.			
23	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	მუხამბაზი ქართულ პოეზიაში	26-28 ივნისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
/დაბეჭდილია/			
24	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	მესხი მელექსეების ონომასტიკური სივრცე	28-29 სექტემბერი ახალციხე

2009 წელს გამოქვეყნდა კრებული სათაურით -- ვწერ ვინმე მესხი მელექსე, რომელშიც შევიდა მესხეთ-ჯავახეთში მცხოვრებ შემოქმედთა პოეტური თხზულებები. წინამდებარე წერილში მიზნად დავისახეთ, დავკვირვებოდით, თუ როგორ „ცხოვრობენ“ ერთი რეგიონის სხვადასხვა ასაკის პოეტთა ლექსით სივრცეში ონიმები: ადამიანის, ქალაქის, მდინარის, მთისა თუ ნებისმიერი სხვა რამის სახელები (ჩვენ მათ ყოველდღიურ კომუნიკაციაში ვხვდებით); ისტორიასთან წილნაყარი პირთა საკუთარ სახელები და ლიტერატურული ანთროპონიმები, რომელთა დანიშნულებაა, შექმნას შესაბამისი განწყობა, რათა ზემოქმედება მოახდინოს მკითხველის განცდაზე.

საკუთარი სახელით იდენტიფიცირდება დასახელებული პირი ან გეოგრაფიული ობიექტი და მაქსიმალურად არის რეალიზებული მისი დენოტატიური შესაძლებლობები. გამოჩენილ ისტორიულ პირთა, მწერალთა, მხატვართა და ა.შ. სახელებს აქვთ ინდივიდუალური კონოტაციები, ხატოვანი წარმოდგენები. შეიძლება ითქვას, რომ ტოპონიმების შემთხვევაში კრებულისეული გეოგრაფიული გარემო უპირატესად რეალური ვითარების ამსახველია. პოეტურ განსჯაში საქართველოს ისტორია და გეოგრაფიული გარემო პატრიოტული სულისკვეთებით მანიფესტირდება. ავტორთა მიერ გამოყენებული საკუთარი სახელები, მხატვრული მეტყველების კონტექსტში ონიმთა გამოყენების სპეციფიკა ქვეყნის საჭირბოროტო თემასთან არის შერწყმული და ამდენად ერთგვაროვანია.

25	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	Словоформы повелительного наклонения в качестве имён собственных	13-15 ოქტომბერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
/დაბეჭდილია/			
26	**დალი ჩიტუნაშვილი /არმენოლოგია/**	სტეფანე მტბევარის უცნობი ჰომილეტიკური თხზულება	ბათუმი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 11-13 ოქტომბერი, 2019

ტბეთის პირველი ეპისკოპოსი - სტეფანე მტბევარი, კარგად ცნობილი ფიგურა არის ტაო-კლარჯეთის სამწერლობო კერით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. მას ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი, გიორგი მერჩულე მოიხსენიებს იმ „ღირს მამათა“ შორის, რომელებიც მეცხრე საუკუნის მიწურულსა და მეათე საუკუნეში მოღვაწეობდნენ .

დღემდე სტეფანოს ორბელიანის თხზულებათაგან მხოლოდ მიქელ-გობრონს წამება იყო ცნობილი. მოხსენებაში საუბარი იქნება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფრაგმენტების ფონდში დაცულ ფურცელზე, რომელიც სავარაუდოდ, უცნობი მრავალთავის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს და რომელიც შეიცავს სტეფანე მტბევარის უცნობი ჰომილიის „**თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა სტეფანე პირველისა ებისკოპოსისა მტბევარისაჲ სწავლაჲ სინანულისათჳს და ლეღჳსა მისთჳს, რომელი წყევა უფალმან**“ ფრაგმენტს.

27	**დალი ჩიტუნაშვილი /არმენოლოგია/**	Libraries and book Repertoire in Medieval Georgian Monasteries	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 19-20 ივლისი, 2019

ქართულმა ხელნაწერებმა, ისტორიულმა დოკუმენტებმა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებმა საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა შუა საუკუნეების ქართულ სამონასტრო ცენტრებში დაცული წიგნადი ფონდის

შესახებ. ყველაზე ადრინდელი ცნობა მეათე საუკუნეს მიეკუთვნება და სინურ ხელნაწერში პალიმფსესტის სახით არის შემორჩენილი, შემონახული გვაქვს ცნობები ჯვრის მონასტრის, ზედაზნისა და გარეჯის, კაპათისა და პეტრიწონის მონასტრების წიგნადი ფონდების შესახებ.

ქართულ ხელნაწერთა ანადერძ-მინაწერებმა შემოგვინახა ძალიან საინტერესო ცნობები, რომლებიც ადასტურებს კერძო ბიბლიოთეკების არსებობასაც, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობა სინას მთაზე არსებული „კჳრიკეს ქვაბის“ შესახებ, რომელშიც სავარაუდოდ, ამ ბერის კუთვნილი წიგნები ინახებოდა, და რომელსაც მონასტრის ქართული სამძოს წარმომადგენლებიც აქტიურად იყენებდნენ.

მოხსენებაში ცალკე იქნება საუბარი წიგნადი რეპერტუარისა და მისი შევსების თავისებურებების შესახებ: როგორ ხდებოდა საჭირო ტექსტების მოძიება სხვადასხვა სამონასტრო ცენტრებში, ზოგჯერ ტექსტების რვეულების სახით გამოთხოვა გადასაწერად და შემდეგ უკან დაბრუნება ან გამზადებული რვეულების გაგზავნა საჭირო ტექსტების გადასაწერად და სხვ.

28	**დალი ჩიტუნაშვილი** **/არმენოლოგია/**	უცნობი ხანმეტი პალიმფსესტი დაღესტნიდან	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 18-20 ივნისი, 2019

დაღესტნის სიძველეთსაცავებში არაერთი საინტერესო ქართული მასალა არის დაცული ამ მასილის შესწავლა და სისტემატიზაცია ჯერ კიდევ 60-იან წლებიდან მიმდინარეობდა. 2013 წელს ერთ-ერთ საცავში აღმოჩნდა უცნობი პალიმფსესტი, ზედა არაბული და ქვედა ქართული ტექსტით. ხელნაწერის იდენტიფიკაციისა და გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს ხანმეტ ოთხთავთან. ხელნაწერი პირიბითად მე-5-6 საუკუნეებით შეიძლება დავათარიღოთ. ოთხთავი სრულიად უნიკალურია და იძ;ლევა ქართული ოთხთავის ყველა სხვა რედაქციისაგან განსხვავებულ წაკითხვებს.

29	**გოჩა ჯაფარიძე** **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ხალიფა იბნ ხაიატ ალ-‘უსფური ქართლში არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია საგრანტო პროექტის ფარგლებში - *საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე.* 03.04.2019

ხალიფა იბნ ხაიატი დღემდე ცნობილი და გამოცემული პირველი არაბი ისტორიკოსია, რომელიც გვთავაზობს ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილ არაბთა ისტორიას. მისი თხზულება იწყება მოციქულ მუჰამადის დაბადებით და შემდეგ მოიცავს პერიოდს მუჰამადის მედინაში გადასახლებიდან ჰიჯრით 232/846 წლამდე. ის მოგვითხრობს ქართლზე არაბი სარდლების სალმან იბნ რაბი‘ას და ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობაზე. თხზულების ის ნაწილი, რომელიც ომაიანთა სახალიფოს ეხება, თარგმნილია ინგლისურად. წინა პერიოდზე, უპირატესად არაბთა ბრძოლებზე დაღესტანში და ხაზართა წინააღმდეგ, გამოქვეყნებულია ტ.სიპენკოვას, ს.მარქარიანის, მ.ა. გიზბულაევის და სხვათა ნაშრომები. შარშან ლენინგრადელმა მკვლევარმა არსენ შაგინიანმა ხალიფა იბნ ხაიატის ცნობები შეიტანა თავის მორიგ წიგნში “არაბულ მუსლიმური ისტორიოგრაფია. IX ს.”

ხალიფა იბნ ხაიატის თხზულებიდან სალმან იბნ რაბი‘ას და ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობები დღემდე განხილული არ ყოფილა.

30	**გოჩა ჯაფარიძე** **/აღმოსავლეთის ისტორია/**	გრიგოლ ფერაძე საქართველოში	წმინდა გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – საქართველო და ქრისტიანული

			ცივილიზაცია. 11-13.09.2019
გრიგოლ ფერაძის შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც ევროპელ პილიგრიმთა ჩანაწერებს ეხება - ქართველი ბერებისა და ქართველი ეკლესია-მონასტრების შესახებ პალესტინაში, მე გამოვეცი ქართულად. მანამდე იცოდნენ ეს ნაშრომი, მაგრამ მასობრივად ცნობილი არ იყო. ფერაძის დახმარებით ჩვენ გვაქვს ევროპული წყაროები, ჩემი მოკრძალებული წვლილით გვაქვს არაბული წყაროები. ქართული სიწმინდეების ისტორიის შესწავლის საქმეში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც თავის დროზე გრიგოლ ფერაძის დამსახურება იყო,			
31	**ნანი გელოვანი** **/აღმოსავლეთის ისტორია/**	პირველი მუსლიმური სასწავლებლები საქართველოში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია საგრანტო პროექტის ფარგლებში - *საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე.* 03.04.2019
წინამდებარე მოხსენებაში განხილულია საქართველოში მუსლიმთა პირველი რუსული სასწავლებლების ისტორია კავკასიის მუსლიმური თემის შესახებ საარქივო დოკუმენტებსა და პერიოდულ პრესაში დაცული მასალების საფუძველზე. თბილისის შიიტური და სუნიტური მუსლიმური სასწავლებლები დაარსდა ჯერ კიდევ 1847-1948 წლებში გამოსაცდელი ვადით, მაგრამ ამ სასწავლებლებმა დიდხანს იარსება და დიდი ზეგავლენა მოახდინეს კავკასიის მხარის აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე, შეცვალეს მათი დამოკიდებულება რუსული განათლებისადმი. კავკასიაში ცარისტული ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი მუსლიმთა სასწავლო დაწესებულებების გახსნა აიხსნება მისი დაინტერესებით სწრაფად მომხდარიყო ადაპტაცია კავკასიის მუსლიმების რუსულ სამართლებრივ და კულტურულ სივრცესთან, ასევე აუცილებლობით მოემზადებინა მოხელეები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ადმინისტრაციაში სამუშაოდ.			
32	**ნანა გელაშვილი** **/აღმოსავლეთის ისტორია/**	აშშ-ჩინეთის ურთიერთობები ოპუმის ომების კონტექსტში	ამერიკისმცოდნეობის მე-20 საერთაშორისო სამეცნ. კონფერენცია მიძღვნ. ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგის და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასხმის 50-ე წლისთავისადმი. თბ.-თსუ, 2019, 23-25 მაისი
აშშ-სა და ჩინეთს შორის ინტენსიური ურთიერთობები მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო, რაც უშუალო კავშირში იყო ჩინეთის წინააღმდეგ წარმოებულ ე. წ. ოპიუმის ომებთან (1840-1842; 1856-1860 წწ.). თუმცა, ამერიკული ხომალდები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულიდან მოძრაობდნენ ჩინეთის წყლებში, იმავდროულად ამერიკელი ვაჭრებიც წარმატებით საქმიანობდნენ ჩინეთის საპორტო ქალაქებში. მათ ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ოქრო და ბეწვეული, რომელიც ჩინეთში ბესთსელერად იქცა, იქიდან კი გაჰქონდათ ჩაი, აბრეშუმი, ფაიფური და სხვადასხვა ფუფუნების ნივთები. ზემოთ ხსენებული ომების მთავარი აქტორი დიდი ბრიტანეთი იყო, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ოპიუმით ვაჭრობის ლეგალიზაცია ჩინეთში, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ოფიციალურად ომში არ ჩაბმულა, მოქნილი დიპლომატიური სვლების წყალობით, საბოლოოდ მან დამარცხებულ ჩინეთთან არაერთი კაბალური ხელშეკრულების დადება მოახერხა. მათ თანახმად, აშშ-მ ისეთივე პრივილეგიები მოიპოვა ჩინეთში, რაც ომში მონაწილე ინგლისმა და საფრაგეთმა. ზოგ შემთხვევებში კი აშშ-მ დამატებითი პოლიტიკური და			

ეკონომიკური შეღავათებიც მოიპოვა, მათ შორის კაბოტაჟის და ექსტერიტორიულობის უფლება გაფართოებულ ფარგლებში და სხვ. საყურადღებოა, რომ იმავე პერიოდიდან ფართოდ გავრცელდა ჩინელი მუშახელის (ე. წ. ყულიების) აშშ-ში გაყვანა, რითაც დაიწყო ეთნიკური ჩინელი ამერიკელების ისტორია.			
33	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის ისტორია/**	Historical origins of Chinese philosophical-religious thought – Confucianism. ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების ისტორიულ სათავეებთან	International conference "Belt and road Georgian-Sino academic conference. სარტყელი და გზის საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, 2019, 28 ივნისი
საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩინურ ფილოსოფიურ აზრს გამორჩეული ადგილ უჭირავს მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურშ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონფუციონიზმი, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი (ძვ.წ. 551-479). მოხსენებაში გახილული და გაანალიზებულია კონფუცის ფუნდამენტური ნაშრომი „მსჯელობები და საუბრები" (ჩინურად - ლუნ იუი"), რომელშიც დიალოგის ფორმატში მოცემულია კონფუცისა და მისი მოწაფეების დიალოგები, დიდი მოძღვარის ბრძნული გამონათქვამები და სხვ. კონფუცის მოძღვრებას ლაიტმოტივად გასდევს ტრადიციების დაცვის აუცილებლობის, საზოგადოების კეთილშობილებად და მდაბიოებად დაყოფის, სახელმწფოს ჰუმანური და მაღალზნეობრივი ნორმებით მართვის კონცეფციებს. აღსანიშნავია, რომ მოხსენების მომზადებაში დიდი დახმარება გამიწია კონფუცის მშობლიური ქალაქის - ციუფუს მოხილვამ და კონფუცის სახელთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებამ (ინგლისურ ენაზე).			
34	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის ისტორია/**	იაპონური ტრადიციული თეატრალური ხელოვნება - წარსული და თანამედროვეობა	საერთაშორისო სამეცნ. კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში", ბათუმი, 2019, 19-20 ოქტომბერი
მასალები გამოქვეყნებულია			
35	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის ისტორია/**	აღმოსავლეთ საქართველო სეფიანთა ირანის საგარეო პოლიტიკაში შაჰ სეფი 1-ის ზეობის ხანაში (1629-1642).	კავკასიოლოგთა საერთაშორისო მე-5 კონგრესი, თბ.-თსუ, 2019, 4-6 ნოემბერი.
მე-17 საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა. კერძოდ, შაჰ აბას I (1587-1629) თავისი ზეობის უკანასკნელ წლებში იძულებული გახდა ძალადობრივი მეთოდები აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ უფრო ლოიალურით შეეცვალა, რაც განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში იმხანად შექმნილი კონკრეტული პოლიტიკური ვითარებით. ამ მიმართულებით მის მიერ დაწყებული კომპრომისული კურსი რეალურად ცხოვრებაში განახორციელა მისმა შვილიშვილმა და ტახტის მემკვიდრემ - შაჰ სეფი I-მა (1629-1642). კომპრომისული დამოკიდებულება იმაში მდგომარეობოდა, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, სამეფო ტახტი ქართველ ბატონიშვილთა ხელში რჩებოდა, ოღონდ ისლამზე მოქცევისა და „ვალის" ტიტულის მიღების პირობით. ურთიერთობის ამ ინოვაციურმა ფორმამ ყველაზე მკაფიო გამოხატულება ქართლის ვალის - როსტომ (1633-1658) ბაგრატიონის, იგივე ხოსრო-მირზას მმართველობაში ჰპოვა.			
36	**ნანა გელაშვილი**	იაპონური უძველესი რწმენა-	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მე-5 სამეცნ.

	/აღმოსავლეთის ისტორია/	წარმოდგენების სათავეებთან	კონფერენცია „საქართველო და შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, თანამედროვეობა და სამომავლო პერსპექტივები“, თბ.-თსუ, 2019, 2-3 დეკემბერი

საუკუნეთა მანძილზე, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, იაპონიის არქიპელაგზე ცალკეულ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებს და კონფესიებს ერთმანეთისაგან განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ. მათ შორის უძველესი და უმთავრესია შინტოიზმი (იაპონურად - ღმერთების გზა), რომლის საწყისი ფორმა მაგიის, შამანიზმის, ანიმიზმისა და ფეტიშიზმის სინთეზის საფუძველზე აღმოცენდა. შინტოიზმში უმთავრესი იყო წინაპართა სულების (ანუ კამების), ბუნების ძალებისა და მოვლენების თაყვანისცემა. მისი მთავარი ღვთაებაა ქალღმეღთი ამატერასუ (იაპ. - ციდან მანათობელი), რომლის სახელზეც უამრავი ტაძარია აგებული იაპონიის მიწა-წყალზე. ხაზგასასმელია, რომ შინტოიზმმა, როგორც ეროვნულმა იდეოლოგიამ, განმსაზღვრელი როლი შეასრულა იაპონელთა მენტალური თვისებების, ტრადიციების და ადათ-წესების ჩამოყალიბებაში და შენარჩუნებაში, ასევე ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ განვითარებაში მთლიანად.

ადრეული შინტოიზმის მორალურ-ეთიკური ნორმების და წეს-ჩვეულებების შემდგომ განვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ინდურმა და ჩინურმა ფილოსოფიურ-რელგურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმმა, კონფუციონიზმმა, ტაოიზმმა). ასე რომ, ადრეული შუა საუკუნეების იაპონიის ოფიციალური იდეოლოგია როგორც ადგლობრივი, ისე გარედან შეღწეული დოქტრინების და რწმენა-წარმოდგენების რთულ კონგლომერატს წარმოადგენდა.

37	**ნანა გელაშვილი** **/აღმოსავლეთის ისტორია/**	დასავლეთ ევროპასთან იაპონიის პირველი კონტაქტების სათავეებთან	საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“ მიძღვნილი აკად. თ. გამყრელიძის 90 წლისთავისადმი, თბ.-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, 12-15 დეკემბერი.

პირველი ევროპელები - პორტუგალიელები იაპონიის არქიპელაგზე მე-16 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ, როდესაც ჩინეთისკენ მიმავალი მათი სავაჭრო ხომალდი ტაიფუნმა იაპონიის ნაპირებთან გამორიყა. ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, იაპონიასა და პორტუგალიას შორის იმთავითვე დაიწყო ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. პორტუგალიელ ვაჭრებს კვალდაკვალ მოჰყვნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც იაპონიაში აქტიური სამისიონერო საქმიანობა გააჩაღეს და ამ მიმართულებით დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. ცოტა მოგვიანებით იაპონიაში ესპანელები, ინგლისელები და ჰოლანდიელები გამოჩნდნენ, რომლებსაც თავთავიანთი ინტერესები ჰქონდათ იაპონიასთან მიმართებაში. ხაზგასასმელია, რომ დასავლურ სამყაროსთან კონტაქტებმა მნიშვნელოვანი ინოვაციები გამოიწვია იაპონიის ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ ცხოვრებაში. თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, კერძოდ, იაპონიის ხელისუფლების მიერ თვითიზოლაციის პოლიტიკური კურსის დაწყებამდე (1639 წ.), ევროპელ ვაჭართა, კათოლიკე მისიონერთა და ხელოვნების მოღვაწეთა მეშვეობით ქვეყანაში დასავლური ყოფა-ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის სხვადასხვა ელემენტები ვრცელდებოდა.

იაპონიის ხელისუფლების მეტნაკლებად ტოლერანტული დამოკიდებულება ევროპელების მიმართ მე-16 საუკუნის მიწურულამდე გრძელდებოდა, რამდენადაც მათთან დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები მეტად მომგებიანი იყო ქვეყნისათვის. მომდევნო ხანებში კი ამგვარმა დამოკიდებულებამ თანდათან სახე იცვალა პოზიტიურიდან ნეგატიურისკენ. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სულ უფრო მზარდი დასავლური ზეგავლენის საფუძველზე, უკვე ნათლად იკვეთებოდა ტრადიციული ეროვნული ფასეულობების დაკნინება და გლობალურად, ქვეყნის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ერთიანობის დაკარგვის საფრთხე. ამაში უპირველეს ყოვლისა, ბრალი ედებოდათ კათოლიკე მისიონერებს, რომელთა საქმიანობა იაპონიაში აშკარად სცილდებოდა სარწმუნოებრივ ფარგლებს. ისინი უხეშად ერეოდნენ ქვეყნის

პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამთავრობო მაღალ ეშელონებში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ და სხვ. შესაბამისად, მისიონერთა საქმიანობა პოლიტიკური აგრესიისა და კოლონიზაციის ავანგარდად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე, ტოკუგავას ხელისუფლება ანტიდასავლური და ანტიქრისტიანული პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა. ამით იაპონიისა და დასავლური სამყაროს ურთიერთობების მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა წარმოდგენილ ნაშრომში განხილული პერიოდისაგან.			
38	გიული ალასანია	A new read of Osmanistic	XI საერთაშორისო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. საქართველოს უნივერსიტეტი. 24 მაისი. 2019
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	არაბული ენის სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თანამედროვე გამოწვევები და სწავლების საჭიროებები	"First forum of heads of departments for teaching Arabic language to non-Arabic speakers" within the framework of celebrating the World Arabic Language Day (WALD) - 18 December 2019, in collaboration with the Permanent Delegation of the Kingdom of Saudi Arabia to UNESCO, and in partnership with the Sultan Bin Abdulaziz Al Saud Foundation 18 December 2019, Paris, UNESCO (ფორუმის მასალები განთავსდა იუნესკოს ვებგვერდზე)
2	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	The Story of the Prince of Carizme and the Princess of Georgia in XVIII-XIX-century European Adaptations of One Thousand and One Nights	ICHAL 4 The 4th International conference on the History of Arabic Literature Taras Shevchenko National University of Kyiv, Institute of Philology 2019 წლის 19-20 სექტემბერი (კონფერენციის მასალები იბეჭდება)
საკონფერენციო მოხსენება ნაწილია პროექტისა: ახალი ქართული მასალა „ათას ერთი ღამის" XVIII-XIX საუკუნის ევროპულ ადაპტაციებსა და ევროპაში პოპულარულ აღმოსავლურ საზღაპრო კრებულებში. პროექტი მიზნად ისახავს „ათას ერთი ღამის" XVIII-XIX საუკუნეების ევროპულ ადაპტაციებსა და ამავე პერიოდში ევროპაში პოპულარულ აღმოსავლურ საზღაპრო კრებულებში შესულ ლიტერატურულ ზღაპრებში ქართული რეალიების კვლევას. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მუშაობს ქართული მასალის ამ კრებულებში მოხვედრის კონკრეტული გზების მოძიებაზე. ამით შესაძლებლობა გვექნება,			

დავაზუსტოთ ინფორმაცია იმ სოციალური და კულტურული გარემოს შესახებ, საიდანაც ქართული მასალა მიმოქცევაში მოხვდა ევროპულ კრებულებში პოპულარული აღმოსავლური სიუჟეტების მეშვეობით.			
3.	**გიორგი ლობჟანიძე /არაბისტიკა/**	ტოლერანტობის საფუძვლები ყურანში زمینه (استاد دانشگاه دولتی تفلیس (گرجستان های همزیستی مسالمت آمیز پیروان ادیان الهی در قرآن مجید	თეირანი/ირანი, თეირანის უნივერსიტეტი "The capacity of Islamic teachings to achieve peaceful coexistence" 26.06.2019
4	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	1. Arabic Sociolinguistic Picture (Dialect > Language?).	27-29 ივნისი, სტამბოლი, ICLEC 2019, International Conference of Language, Education and Culture.

არაბული დიგლოსია კომპლექსური ფენომენია. არაბოფონური სამყაროს ყოველ მოცემულ ლოკალიზაციაში სალიტერატურო ენა დაშორებულია ზეპირსაკომუნიკაციო ფუნქციას, მაშინ, როდესაც დიალექტი სრულ ფუნქციას ტვირთულობს. ამ მხრივ, საინტერესო თემებს ანალიზისთვის გვაწვდის ეგვიპტე, რომელშიც დიალექტური ლიტერატურის არსებობა შეიძლება შემდგარ მოვლენად ჩაითვალოს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ცვლილებებს ფუნდამენტურ ცნებებსა და მიმართებებში სოციოლინგვისტიკისა და ლიტერატურის თეორიის კუთხით. კაიროს მეტყველება, რომელიც ეგვიპტური დიალექტური ლიტერატურის საბაზო ენობრივი ფორმაა, არაბების მიერ აღინიშნება სხვა დიალექტებისგან განსხვავებული ტერმინით, რაც იმას ნიშნავს, რომ არაბებს გააზრებული აქვთ განსხვავება ამ დიალექტსა და იმ სხვა არაბულ დიალექტებს შორის, რომლებსაც მხოლოდ ზეპირსაკომუნიკაციო ფუნქცია აქვთ. რადგანაც კაიროს არაბული ხდება არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობის ენა (მხატვრული ლიტერატურა, პოპულარული ლიტერატურა, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და სხვ.), ის თანდათან გადადის ლიტერატურის ენის, ე.ი. სალიტერატურო ენის რანგში. ამგვარად წარმოდგენილი, ის - როგორც საერთოეგვიპტური, უპირისპირდება ეგვიპტის სხვა კილოკავებს. იკვეთება შემდგომი დიგლოსიური ოპოზიცია *ენა (< კაიროს მეტყველება) : დიალექტები (ეგვიპტის სხვა რეგიონთა მეტყველება);* ფუნდამენტური სოციოლინგვისტური ურთიერთმიმართება *ენა (მხოლოდ კლასიკური/სალიტერატურო არაბული/al-Fuṣḥā) : დიალექტები (არაბთა ყველა დიალექტი)* გადათამაშებულია. მეორე მხრივ, ცვლილებებია ლიტერატურულ სურათშიც: ეგვიპტური დიალექტური ლიტერატურა აღარ არის საერთოარაბული ლიტერატურის ჩვეულებრივი ფრაგმენტი, რადგან ის საკუთარ, ეგვიპტურ, არაბულს ეყრდნობა, და არა საერთო სალიტერატურო ენას. ამ ენაზე ლიტერატურა სხვა არაბულ ქვეყანაში არ იქმნება და არ შეიქმნება. ამ კომპლექსური მდგომარეობის რეგულირების საშუალებად შეიძლება წარმოვიდგინოთ არა ენის მოდერნიზება (რაზედაც ხშირად მსჯელობენ არაბულ და არაბისტიკულ სფეროებში), არამედ - მოდერნიზება ენის სწავლების სფეროში, რამაც არაბოფონური სამყაროს შემთხვევაში (მისი ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და ექსტრალინგვისტური სპეციფიკის გათვალისწინებით) შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს.

5	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	On the Tendency of Optimization in Modern Literary Arabic.	12-13 აპრილი, ბუქარესტის უნივერსიტეტი. Trends and Developments in Today's Arabic

არაბული დერივაციული სისტემა, რომელიც, შეიძლება ითქვას, არაბული მორფოლოგიის ღერძული სტრუქტურაა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ფუნქციური, განვითარების შესაბამის დინამიკას ავლენს.

მოხსენებაში აღწერილი იყო არაბულ ენაში დერივაციულ სისტემასთან ზოგიერთი თანამედროვე მოვლენა, რომელიც ოპტიმიაციის ზოგად ტენდენციას ექვემდებარება და წარმოადგენს მანიფესტაციას ცნობილი არაბული დებულებისა, რომ زيادة المبنى تفيد في زيادة المعنى .

საბოლოოდ, დასტურდება, რომ ა) სოციოლინგვისტურ ვერტიკალში *კლასიკური არაბული - სტანდარტ ენა - თანამედროვე დიალექტები* დერივაციულ სისტემაში ეკონომიურობის ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ზეპირსაკომუნიკაციო ფუნქციის ზრდასთან, და ბ) დერივაციულ სისტემაში კონსტრუქციის მატება პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ფუნქციის მატებასთან, რაც ზოგჯერ ფსიქოლინგვისტურ ენლფერსაც იძენს.

6	**ნინო დოლიძე** **/არაბისტიკა/**	თანამედროვე მაკამის აღქმის შესახებ	17-19 ივნისი კოლუმბიის უნივესიტეტის საერთაშორისო ცენტრი პარიზი

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ გადასახედია ორიენტალისტიკაში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული მოსაზრებები. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად დიდი მეცნიერი უნდა ყოფილიყო მათი ავტორი. ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას ეს ნაკლებად ეხება, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კოლონიურ ეპოქაში წარმოქმნილი და განვითარებული ორიენტალისტიკა არაბული კულტურის შესწავლის საკითხსაც თავისი ინტერესების ფოკუსში აქცევდა. შედეგად, არაბული ლიტერატურული ნაწარმოებების კვლევისას დასავლური დისკურსი მარგინალურად და მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა იმ ტექსტებს, რომელიც ადგილობრივი არაბული ხედვისთვის სულაც არ იყო უმნიშვნელო. დღესდღეობით აქტუალურია ე.წ. „ორიენტალისტური მოდგომის“ შეცვლა, კვლევის წარმოება არა მხოლოდ დასავლური კუთხით, არამედ ტრადიციული აუთენტური გარემოს მეტად გათვალისწინებით. ევროპულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული ერთ-ერთი ავტორიტეტული მოსაზრების თანახმად, მე-10 ს-ში წარმოქმნილი არაბული მხატვრული ჟანრი მაკამა მე-19 ს-ის ბოლოდან თანდათან დაიკარგა, მე-20 ს-ში კი ის აღარ არსებობს. მაკამები სხვადასხვა არაბულ ქვეყნებში მთელი მე-20 ს-ის განმავლობაში იწერებოდა და დღესაც იწერება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს არა ერთ და ორ ცალკეულ შემთხვევასთან, არამედ ლიტერატურულ ტენდენციასთან.

7	**ფატმან ანთაძე-მალაშხია** **/ირანისტიკა/**	The Role of Borrowed Idioms in Language Teaching (On the Material of Persian and Georgian Languages) ნასესხებ იდიომთა როლი ენის სწავლებისას (სპარსულ და ქართულ ენათა მასალაზე)	17-18 ივნისი რუმინეთი. კრაიოვას უნივერსიტეტი(The University of Craiova).

მოხსენებაში განიხილება შესასწავლი ენიდან სტუდენტის მშობლიურ/განათლების ენაში შემოსულ ლექსიკურ და იდიომურ ნასესხობათა სასწავლო რესურსად გამოყენების მნიშვნელობა და ეფექტურობა სწავლების პირველ საფეხურზე, როცა სტუდენტისთვის ძირითად ორიენტირად მისი მშობლიური/განათლების ენა გვევლინება. სპარსულიდან ქართულში შემოსულ ლექსიკურ და იდიომურ ერთეულთა გამოყენება საკმაოდ შედეგიანია ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სპარსულის სწავლებისას.

მეტი ეფექტურობითვის ლექსიკურ ნასესხობათა შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები: ეტიმონისა და ნასესხობის მაქსიმალური ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვე და მათი გამოყენების მაღალი სიხშირე გამსესხებელ და მსესხებელ ენებში. რაც შეეხება იდიომურ ნასესხობებს, აქ ფონეტიკური მსგავსება ნაკლებ რელევანტურია, რადგან მეტწილად იდიომის ყველა ერთეული ითარგმნება. იდიომურ ნასესხობებათა შერჩევისას გამოყენების მაღალ სიხშირესთან ერთად გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ სტრუქტურული მსგავსებაც.

სასწავლო მიზნით გამოყენებისას იდიომური პარალელიზმები მოიცავს როგორც სახელად, ასევე ზმნურ იდიომთა სახეობებს, რომლებიც განხილულია მოხსენებაში. სწავლებისას თითოეული იდიომის შემოტანა შეთანადებული უნდა იყოს იდიომში ასახულ ლექსიკურ-გრამატიკული სტუქტურების შემოტანასთან.			
8	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	О некоторых сложных азербайджанских антропонимах	6-7 ივნისი, ქ. ბაქო
Adıxan-ის ტიპის რთული ანთროპონიმები, რომლებიც განსაკუთრებული სახეობას წარმოადგენს. ესაა ენობრივ ერთეულთა თურქულ ენათათვის დამახასიათებელია პოსესიური სიტყვათთხზვის ერთი წარმონაქმნი, რომელშიც, ფაქტობრივად, სიტყვაფორმები სპეციფიკური რიგითაა მოცემული. ამ კონსტრუქციის მოდელი ასეთია: (არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი =) ქვემდებარე + შედგენილი შემასმენელი (= არსებითი სახელი ან მისი სუბსტიტუენტი:ზედსართავი სახელი, მიმღეობა) სახელი + კოპულა,რომელიც ფონეტიკურად ცარიელი მორფემით გადმოიცემა). ფორმალურად მორფოსინტაქსემა მანიფესტირებულია ასე: არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი+სახელი: აკად. აფაგ გურბანოვის აზერბაიჯანულ საკუთარ სახელთა ენციკლოპედიაში მორფემათა მიმდევრობის პოსესიური ტიპის სახელებიც არის წარმოდგენილი: Adıxan 'სახელი+მისი+ხანი(ა)', Adıböyük 'სახელი+ მისი+ დიდი(ა), Adıgözel 'სახელი+მისი+ლამაზი(ა),, Adısönmez'სახელი+მისი+, Adışirin. ადიბეგა < ად სახელი + _მისი ბეჯ _'ბატონი', _ Ø არის , ადიდე¬მურ < /ადყ დემურ/ 'მისი სახელია რკინა', ადიმხან < ჩემი სახელი ხანია (ქსს, 255).			
9	**მარიკა ჯიქია** **/თურქოლოგია/**	Состояние и перспективы тюркологических исследовании Грузии.	24-25 ივნისი მერაბ (ყაზახეთი)
10	**ქეთევან ლორთქიფანიძე** **/თურქოლოგია/** რუსუდან გერსამია	The Grammatical Categories of the Kartvelian Languages As the Cultural and Linguistic Representants of the Kartvelian Mentality.	ASIAC, Universita degli Studi-Roma Tre
11	**ქეთევან ლორთქიფანიძე** **/თურქოლოგია/**	Kutadgu Bilig ve Kaplan Postlu Şövalye'de Saptanan Benzer Anlamlı Hikmetler.	კუთადღუ ბილიგის ყურულთაი 2019წ.26-28 სექტემბერი ანკარა, მასწავლებელთა სახლი
12	**ქეთევან ლორთქიფანიძე** **/თურქოლოგია/**	The Use of the Digitally Documented Texts in the Kartvelian Languages Teaching Process.	ხმელთაშუაზღვის კვლევების ასოციაციის რიგით 22-ე (2019წ.29მაისი-1ივნისი, კრეტას უნივერსიტეტი, რეთიმნონი)
13	**კაჭარავა ნანული** **/თურქოლოგია/**	დუზჯეში კავკასიური (ქართულ-ლაზური, აფხაზური, ჩერქეზული) სამზარეულო და საერთო მხარეები	დუზჯეს უნივერსიტეტის ჩერქეზული ენისა და ლიტ-ის მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 18-20

			ოქტომბერი, 2019 წ., დუზჯე, თურქეთი
14	**ნანი გელოვანი /აღმოსავლეთის ისტორია/**	First Russian schools for Muslims in Tbilisi (Georgia)	International Conference on Research in Social Sciences and Humanities. 24-26 ოქტომბერი, ფრანკფურტი, გერმანია
მასალები გამოქვეყნებულია			
15	**მირიან მახარაძე /აღმოსავლეთის ისტორია/**	არტანუჯის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები	თურქეთი, ანკარა 02.12-03.12.2019

ხალხის აღწერის დავთრები საუკეთესო წყაროა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მთელი რიგი საკითხების უკეთ შესასწავლად. ამ ტიპის დავთრები კარგად ასახავს მთელ რიგ პრობლემებს. ჩვენ ამ შემთხვევაში ძალიან მოკლედ განვიხილავთ არტანუჯის ლივის ვრცელ და მოკლე დავთრებს.

არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარი ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება არტანუჯის ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. არტანუჯის ვრცელი დავთარი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია 71, ზომა 16X45 სმ. იგი 40 გვერდისგან შედგება. ნაშრომს თან ახლავს თუღრა სულთან მურად III.

სარჩევში ჩამოთვლილია ყველა ის სოფელი, რომელიც არტანუჯის ლივის შემადგენლობაშია. აქვეა საუბარი არტანუჯის ლივის რაბათზე. სოფლების საერთო რაოდენობაა 58. აღნიშნულია თითოეულ სოფელზე გაწერილი გადასახადების რაოდენობა.

დავთარში საუბარია სახელმწიფო ხასებსა და მიწისმფლობელი ხასების თაობაზე. წყაროში ოსმალური გადასახადების ჩამოთვლის შემდეგ საუბარია იმ მამულებზე, რომლებიც ამა თუ იმ სოფლის მფლობელობაშია და ეკუთვნის ადგილობრივ მკვიდრთ. მოსახლეობა დაყოფილია მუსლიმებად და ბენაქის გადამხდელ პირებად. სახელების უმეტესობა ჯერ ჯეროზით მაინც ქართული ჩანს. ადგილობრივი მოსახლეობა იხდის გადასახადს ღორზე.

არტანუჯის ლივის აღწერის მოკლე დავთარი არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად. ეს წყაროც ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია : 292. ზომაა 15 X 39 სმ. იგი სულ 14 გვერდისგან შედგება. წყაროს შედგენის ზუსტი თარიღი უცნობია. მას დაწერის თარიღი არსად არ უზის. მასზე არაერთი მინაწერია, . მინაწერები უფრო გვიანდელი ხანისაა. არის XIX საუკუნის 30-იანი წლების მინაწერები; არის აგრეთვე უფრო ადრინდელი მინაწერებიც. შეიძლება თუღრას დახმარებით გაირკვეს ძეგლის შედგენის მიახლოებითი თარიღი. თუღრა შემდეგნაირად იკითხება. სულთან ოსმან II /1617-1622/, აჰმედ I-ის ძე /1603-1617/, მუდამ გამარჯვებული. დავთავრი ალბათ შედგენილია სულთან ოსმან II-ის დროს /1617-1622/ წლებში. სულთნის თუღრა სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი. წყაროში საუბარია უმაღლესი სამეუფეო კარის ხასების თაობაზე. დასახელებულია სოფელი გუმუშ ჰანე, რომელიც დაქვემდებარებულია არტანუჯისადმი. აქვე წარმოდგენილია მთელი რიგი გადასახადები.

O აღნიშნული დავთრების გამოკვლევა მნიშვნელოვანია, რეგიონის ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად

16	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	Alliance of Georgia and Persia in Anti-Ottoman Coalition	The Second Symposium on History and Archaeology of Shiraz University and The University of Georgia.07.11.19 ირანი. შირაზის უნივერსიტეტი

უძველესი დროიდან საქართველო წარმოადგენდა უმოკლეს გზას, რომელიც აკავშირებდა შავი და კასპიის ზღვებს და აღმოსავლეთის ქვეყნებს და დასავლეთს. იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების გარდა,

ქართველებსაც ჰქონდათ ურთიერთობები ევროპის სხვა ქვეყნებთან. ოსმალეთის იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის ბრძოლაში დასავლეთის ქვეყნები, როგორც წესი, იყვნენ ოსმალეთის იმპერიის მოწინააღმდეგე მხარეს და სპარსეთს თვლიდნენ მოკავშირედ, საიდანაც სხვადასხვა სახის საქონელი, ძირითადად, აბრეშუმი, ექსპორტზე გადიოდა დასავლეთის ქვეყნებში და ის ინდოეთთან დამაკავშირებელი არხის როლს ასრულებდა. კომერციული ინტერესების გარდა, ეს ალიანსი მომგებიანი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით: ძლიერი ოსმალეთის იმპერია იმ პერიოდისთვის მუდმივი საფრთხე იყო ევროპისთვის, მაშინ როდესაც სპარსეთი შედარებით სუსტი სახელმწიფო იყო და ნაკლები საფრთხის შემცველი იყო, მაგრამ დასავლეთისთვის მიმზიდველი კომერციული თვალსაზრისით. საქართველო შეუერთდა ანტი ოსმალულ კოალიციებს ევროპასთან დასაახლოებლად.			
17	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	Immigrants in Georgia (the Case of Qipchaqs- the 12th – 14 th cc	ასტანა/ყაზახეთი. 24 ივნისი2019
18	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	The State and Religion in Georgia	ASEEES 51-ე ყოველწლიური კონფერენცია. სან-ფრანცისკო. აშშ. 23-26 ნოემბერი
19	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	In Search of a Post-Cold War Global Security Order	International Conference “Approaching 20?? Year”. Montenegrin Academy of Sciences and Arts. 16-18 მაისი. 2019. პოგორიცა/მონტენეგრო
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7. თარგმანი (მხატვრული / სამეცნიერო)

7.1. მხატვრული თარგმანი

№	მთარგმნელი / მთარგმნელები	ავტორი და სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მზია ბურჯანაძე /ირანისტიკა/**	სადეყ ჰედაიათი, ბრმა ბუ (რომანი), თარგმანი სპარსულიდან წინასიტყვაობითა და კომენტარებით.	თბილისი, ,,ინტელექტი“	192
2	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/**	*თავფიკ ალ-ჰაქიმი, ჩიტი აღმოსავლეთიდან; იაჰია ჰაკკი, უმ ჰამიმის კანდელი (რომანები).* არაბულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო დარეჯან გარდავაძემ.	გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, სერია: აღმოსავლური ბიბლიოთეკა. ISBN 978-9941-474-59-0	217 გვ.
3	**დარეჯან გარდავაძე**	**აბდ ალ-ჰამიდ შარაფი**	გამომცემლობა „კლიო“,	226 გვ.

	/არაბისტიკა/	**„აღმოსავლეთ-დასავლეთის თოთხმეტსაუკუნოვანი ბრძოლა. ახალი ხედვა"** არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ.	თბილისი, 2019 ISBN 978-9941-481-42-0	
4	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	ნოდარ დუმბაძე, სისხლი, თარგმანი არაბულად ნინო ეჯიბაძისა	აღმოსავლეთმცოდნეობა, 8, 2019	193-197
5	**ნანა კაჭარავა /თურქოლოგია/**	ფაქირ ბაიქურთი, ყველასათვის საყვარელი რომანისტი ნოდარ დუმბაძე. თარგმანი თურქულიდან ნანა კაჭარავასი	აღმოსავლეთ¬მცოდნეობა, 8, 2019	198-205

7.2. სამეცნიერო თარგმანი

№	მთარგმნელი / მთარგმნელები	ავტორი და სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**თეა შურღაია /ირანის ისტორია/**	ალექსანდრე გვახარია, სპარსული ენის სწავლების ისტორიიდან საქართველოში **(თარგმანი და კომენტარები სპარსულ ენაზე)**	თბილისი, „აღმოსავლეთმცოდნეობა," N8 თსუ-ის გამომცემლობა	187-192
ანოტაცია ალექსანდრე გვახარიას ეს სტატია გამოქვეყნებამდე წაკითხულ იქნა მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე (იხ. სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1999, გვ. 194-199), მოგვიანებით კი დაიბეჭდა სამეცნიერო-მეთოდიკურ ჟურნალში "პოლიგლოტი" (N1-2, 2000, გვ. 21- 29). წინამდებარე სპარსული თარგმანი სწორედ ამ უკანასკნელიდან შესრულდა. თარგმანს ერთვის მთარგმნელის წინასიტყვაობა და კომენტარები, რომლებიც სპარსულენოვან მკითხველს აწვდის ინფორმაციას წერილის ავტორის, აგრეთვე, ტექსტში მოხსენიებული საკუთარი სახელებისა და ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლების შესახებ.			

აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის აქტივობები:

1. გამოვიდა ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის - აღმოსავლეთმცონეობა - ახალი ნომერი, 8, 2019. რედაქტორი - გოჩა ჯაფარიძე.

2. ირანისტიკის კათედრის მიერ (ორგანიზატორი კათედრის ხელმძღვანელი - თეა შურღაია) მომზადდა ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა ალ. გვახარიას პირადი არქივის მასალების (ხელნაწერები, ფოტომასალა, სხვადასხვა

დოკუმენტი, კორესპონდენცია, მემორიალური ნივთები და სხვ.) საფუძველზე. თბილისი, თსუ-ის მუზეუმი, გაიხსნა 26 ივნისს (გაგრძელდა 1 თვე)

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპარსული ენა 101 წელია, ისწავლება. ირანისტიკის კათედრას წელს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ ორ მოვლენას მიეძღვნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო თსუ-ში სპარსული ენის სწავლების 101 წლის ისტორია და კათედრის დაარსების, მისი წევრების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური მასალა (საბუთები, ფოტოები, რარიტეტული გამოცემები, მემორიალური ნივთები). მასალა მოპოვებულია საქართველოს ეროვნული არქივის, კ. კეკელიძის სახელმწიფო ხელნაწერთა ცენტრის, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის, თსუ-ის მუზეუმის ფონდებში, მეცნიერთა პირად არქივებში.

გამოფენის ამსახველი მასალა დაიბეჭდა ალბომში, რომელშიც დოკუმენტების ფოტოებთან ერთად მოცემულია სპარსული ენის სწავლების მოკლე ისტორია თსუ-ში.გამოფენის ორგანიზატორი, იდეის ავტორი, ალბომის ტექსტის ავტორი - თეა შურღაია (ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი).

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო წრის **ორგანიზებით 2019 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პროფ. კ. ფაღავას. დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა თაზისები.**

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. მანანა გელაშვილი

სწავლული მდივანი: ასისტ. პროფ. ნინო ჭრიკიშვილი

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა:

მანანა რუსიეშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
მანანა გელაშვილი - პროფესორი
თინათინ მარგალიტაძე – პროფესორი (ლექსიკოგრაფია)
რუსუდან დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
გიორგი ყუფარაძე – ასოცირებული პროფესორი
ნათელა ნემსაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო დარასელია – ასოცირებული პროფესორი
ირინე გველესიანი – ასოცირებული პროფესორი
დავით მაზიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ირინე დემეტრაძე – ასისტენტ პროფესორი
მაია გურგენიძე – ასისტენტ პროფესორი
თამარ გელაშვილი - ასისტენტ პროფესორი

გერმანული ფილოლოგიის კათედრა

ლალი ქეცბა-ხუნდაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ალექსანდრე კარტოზია – პროფესორი
მარინა ანდრაზაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო ქიმერიძე – ასოცირებული პროფესორი
სოფიო მუჯირი – ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ბრეგაძე – ასოცირებული პროფესორი
თამარ ჭუმბურიძე – ასისტენტ პროფესორი

რომანული ფილოლოგიის კათედრა

ქეთევან გაბუნია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ნანა გუნცაძე – ასოცირებული პროფესორი
მარინე კობეშავიძე – ასოცირებული პროფესორი
მაია ჯავახიძე – ასოცირებული პროფესორი
სალომე კენჭოშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ჭრიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ბელა ხაბეიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ქავთარაძე – ასისტენტ პროფესორი

თარგმანმცოდნეობის კათედრა

ინესა მერაბიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ლელა ებრალიძე – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის ენათმეცნიერული მიმართულებისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი	2018 წელი პირველი ეტაპი სავარაუდოდ ხუთ წელს მოიცავს	ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტი - ინსტიტუტის დირექტორი პროფ. დოქტ. ვაჰრამ ატაიანი თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის ენათმეცნიერული მიმართულება - კათედრის გამგე პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე
2.	სახელმძღვანელოს თარგმნა: მ. შტედე. კორპუსზე დამყარებული ტექსტის ანალიზი : დონეებზე ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკის საფუძველბი. Stede, Manfred 2016: *Korpusgestützte Textanalyse: Grundzüge der Ebenen-orientierten Textlinguistik*· 2., überarbeitete Auflage· *Narr Studienbücher*: Tübingen; დარგი: კორპუსული ლინგვისტიკა/ ტექსტის	2019- 2020	მთარგმნელები: ნ. კაპანაძე, ნ, ქიმერიძე. რედაქტორი: ო. კაპანაძე

	ლინგვისტიკა; მიმართულება: გერმანული ფილოლოგია		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1. 2019 წელს განხორციელდა საბაზისო სამუშაოები:

ა) ჩვენი კათედრის პედაგოგთა მომზადების თვალსაზრისით თარგმანისა და თარჯიმნობის, ასევე კომპიუტერული უნარების გამომუშავების კუთხით. სიმძიმის ცენტრი მოდიოდა საკითხებზე:

- ლექსიკონის აგება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;
- ფილმის ტიტრირება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;
- მონაცემთა ბაზის შექმნა კომპიუტერით.

ბ) გაიგზავნა სამაგისტრო პროგრამის ერთი სტუდენტი სადიპლომო ნაშრომის შესასრულებლად, რომელიც უნდა განხორციელდეს ჰაიდელბერგის ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ კომპიუტერულ პროგრამებსა და გერმანულენოვან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით.

2. პროექტის პირველ ეტაპზე მომზადდა გერმანული ტექსტის ქართული თარგმანის მთლიანი სამუშაო ვერსია. საქართველოში მწირია კორპუსის ლინგვისტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკის და ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში შესრულებული სამუშაოების რაოდენობა, ამდენად, სირთულეს ქმნის არა მხოლოდ ახალი დარგების ტერმინოლოგიის დაზუსტება, არამედ ახალი ტექნიკური, გამორჩეულად კი კორპუსული ლინგვისტიკის ტერმინოლოგიის შექმნა და გადამოწმება. პირველი ეტაპის დასასრულს, ა.წ. ნოემბერში წიგნის ავტორს, შტედეს და თარგმანის რედაქტორ ო. კაპანაძეს შორის შედგა დასრულებული სამუშაო ვერსიის განხილვა, ახალ ტერმინთა შექმნის, შინაარსობრივი დაზუსტების, ასევე დეფინიციების შემუშავების მიზნით, რამდენადაც თარგმნილი გამოცემისთვის საგნობრივი საძილებლის პარალელურად იგეგმება ტერმინოლოგიური გლოსარის დართვა.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	კოდი		
1	2	3	4
1.	ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი#FR17_220	20.12.2017 - 20.06.2020	1. მანანა გელაშვილი- სამეცნიერო ხელმძღვანელი 2. თათია სიბაშვილი- პროექტის კოორდინატორი: 3. ირაკლი ცხვედიანი - ძირითადი პერსონალი 4. ელისო ფანცხავა- ძირითადი პერსონალი. 5. თამარ გელაშვილ- ძირითადი პერსონალი. 6. მაია ყიასაშვილი - ძირითადი პერსონალი
2.	„შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ (ლიტერატურულ, თეატრალურ და სოციო-პოლიტიკურ ჭრილში); შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2018 წლის გრანტი; ჰუმანტარული მეცნიერებები; OUGSP-2018-052	21.01.2019 - 21.01.2020	დავით მაზიაშვილი პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი და შემსრულებელი
3.	ქართული ენის ტექსტის მეტყ-ველების ნაწილებად თეგირება და სალექსიკონო ერთეულებად ლემირება 6.2 ენათმეცნიერება და ლიტერატურა სამეცნიერო ქვემიმართულება ენათმეცნიერება FR-18-15744	2019 -2020	ოლეგ კაპანაძე - პროექტის ხელმძღვენელი ნინო ქიმერიძე - პროექტის კოორდინატორი ნუნუ კაპანაძე - პროექტის შემსრულებლები ნათია ფუტკარაძე - პროექტის შემსრულებელი ქეთევან შეყილაძე - პროექტის შემსრულებელი
4.	წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისოკონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ მიძღვნილი წმ. გრიგოლ ფერაძის დაბადების 120 წლისთავისადმი **GEC-19-240**	10.06.2019 - დაწყების თარიღი, 31.12.2019 დამთავრების თარიღი	თამარ ჭუმბურიძე- პროექტის მონაწილე
5	აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში : ზეპირი და ლიტერატურული	2017 წლის იანვარი დღემდე	ელენე გოგიაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) ძირითდი მონაწილეები:

	ტრადიციები		დარეჯან გარდავაძე ანდრო გოგოლაძე ნინო ქავთარაძე თეა თათეშვილი
6	ფუნდამენტური კველვების სახელმწიფო სამეცნიერი გრანტი - FR17_85 საგრანტო პროექტის სახელწოდება: ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება.	**2017 წ - 2020**	მარინა კობეშვიძე - ხელმძვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.მეოთხე საანგარიშო პერიოდში მოხდა კვლევის შედეგების შეჯამება და მონოგრაფიის რედაქტირებს. ამით დასრულდა მუშაობა მონოგრაფიაზე ,,ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში''. (მონოგრაფია შესრულებულია ქართულ ენაზე ვრცელი ინგლისური ანოტაციით). მონოგრაფიაზე მუშაობა დასრულდა გეგმა- გრაფიკის მიხედვით და წიგნი დასაბეჭდად გადასაცემად მზად იყო ნოემბრის ბოლოს. თუმცა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, თსუ-ს მიერ გამოცხადებული ტენდერი გაჭიანურდა და მხოლოდ 24 დეკემბერს გამოვლინდა გამარჯვებული გამომცემლობა. მონოგრაფია დაიბეჭდება იანვრის ბოლომდე.

მონოგრაფიაზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ჯეიმზ ჯოისის ბოლო რომანის ,,ღამისთევა ფინეგანისათვის'' აკადემიური გამოცემისათვის მომზადებაზე: ტექსტის თარგმნა, ანოტაციები და კომენტირება.

საანგარიშო პერიოდში (26-27 სექტემბერი, 2019) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ,,ჯეიმზ ჯოისი და მსოფლიო'' (James Joyce and the World). კონფერენციაში მონაწილეობდნენ თსუ-სა და აწსუ-ს პროფესორები, ახალგაზრდა მეცნიერები/დოქტორანტები და უცხოელი ჯოისოლოგები.

გაკეთდა კონფერენციის -Joyce and the World - ანონსი თსუ-ს ვებგვერდზე, იხ.: https://www.tsu.ge/en/government/administration/departments/pr/news/e0w_z393jEBLZRqoi/?p=1 ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. იხ.: https://call-for-papers.sas.upenn.edu/cfp/2019/06/14/james-joyce-and-the-world კონფერენციია ანონსი ასევე გამოქვეყნდება ლიდსის უნივერსიტეტის James Joyce Broadsheet -ის ივნისის ნომერში.

კონფერენციის დელეგატებს სიტყვით მიესალმა ირლანდიის საპატიო კონსული საქართველოში ჯეფ კენტი, რომელმაც სურვილი გამოთქვა, რომ ივნისში ჯეიმზ ჯოისის ,,ულისეს'' აღსანიშნავად საკონსულოს მხარდაჭეით ჩატარდეს ღონისძიება მწერალთა კავშირში.

როგორც გეგმა-გრაფიკით იყო გათვალისწინებული, მომზადდა კონფერენციის მასალების ორენოვანი კრებული (ინგლისურ და ქართულ ენებზე), რომელიც ნოემბრის ბოლოს მზად იყო გამომცელობისთვის გადასაცემად. მაგრამ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თსუ-ს მიერ გამოცხადებული ტენდერი წიგნის ბეჭდვაზე გაჭიანურდა და გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ 24 დეკემბერს. კონფერენციის მასალები დაიტამბება იანვრის ბოლომდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციედა პროექტის უცხოელ კონსულტანტის, პროფ. ფინ ფონდჰემის ვიზიტი თსუ-ში (25-29 სექტემბერი, 2019). იგი გაეცნო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, ჩაატარა საჯარო ლექცია ჯეიმზ ჯოისზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონსულტაციები გაუწია ჯოისის ბოლო რომანის აკადემიური გამოცემაზე მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებს (დოქტორი თამარ გელაშვილი, დოქტორანტი თათია სიბაშვილი).

თსუ-ში 26 დეკემბერს, 2019 მოხდა კვლევის შუალედური შედეგების პრეზენტაცია (მომხსენებელი პროფ. მანანა გელაშვილი. https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/news/ROpNyA_CA8DXVQBZ6/?p=1

საანგარიშო პერიოდში დავიწყეთ მზადება ჯეიმზ ჯოისის იტალიური ფონდის მიერ ორგანიზებულ XIII საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად (რომი, უნივერსიტეტის რომა ტრე. 2019 წლის იანვარი). კონფერენცია ტარდება შემდეგ მე-5 საანგარიშო პერიოდში, ანუ იანვრის ბოლოს, მაგრამ აბსტრაქტების ჩაბარების დედლაინი იყო 24 ნოემბერი. https://thejamesjoyceitalianfoundation.wordpress.com/

რომის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს პროექტში ჩართული სამი მკვლევარი: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. მანანა გელაშვილი და ორი ახალგაზრდა მეცნიერი. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს ჩვენ შევთავაზეთ პანელი: ,,ჯოისის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე'' (Joyce's Impact on Georgian Literature). კონფერენციის საირგანიზაციო კომიტეტის მიერ ჩვენი პანელის კონფერენციაში ჩართვის დადასტურებისა და გაგზავნილი პანელის პროექტის გასაცნობად იხ. დანართი 1. (კონფერენციია პროგრამა მზად იქნება იანვრის შუა რიცხვებში).
რომის საერთაშორიზე სიმპოზიუმზე წარსადგენად მომზადდა შემდეგი მოხსენებები:
პანელი: ჯოისის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე:
1. თამარ გელაშვილი - James Joyce and Otar Chkheidze – writing through the cracked looking-glass. (ჯეიმზ ჯოისი და ოთარ ჩხეიძე - სამყარო გაბზარულ სარკეში).
2. თათია სიბაშვილი - Joyce's Impact on Otar Chiladze's Novel A Man Went Down the Road (ჯოისის გავლენა ოთარ ჭილაძის რომანზე ,,გზაგე ერთი კაცი მიდიოდა'').
3. მანანა გელაშვილი - From Snotgreen Sea to The Wine-dark Sea (Ulysses' postmodern variations in Georgian). ,,ულისეს'' პოსტმოდერნისტული ვარიაციები ქართულ ლიტერატურაში: ,,წვინტლისფერი'' ზღვიდან ,,ღვინომუქ'' ზღვამდე.''

გარდა გეგმა-გრაფიკით გაწერილი კვლევებისა, ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ასევე ემსახურება ჯოისის შემოქმედების კვლევას

1. გამომცემლობა „არტანუჯმა" დაბეჭდა პროექტის ერთ-ერთი მონაწილის თამარ გელაშვილის მიერ თარგმნილი ჯეიმზ ჯოისის ,,ჯაკომო ჯოისი'', რომლის წინასიტყვაობაც პროექტის ხელმძღვანელს მანანა გელაშვილს ეკუთვნის. https://www.facebook.com/GamomtsemlobaArtanuji/posts/1416446488522555
2. თბილისის წიგნის ფესტივალზე პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ თამარ გელაშვილმა წარადგინა მის მიერ თარგმნილი ჯეიმზ ჯოისის წიგნი ,,ჯაკომო ჯოისი'', რომელიც გამომცემლობა ,,არტანუჯმა'' დაბეჭდა. https://www.facebook.com/GamomtsemlobaArtanuji/posts/1401835786650292
3. 27 დეკემბერს, წიგნის საახალწლო ფესტივალზე „არტანუჯის" სტენდთან თავისი თარგმანის შესახებ ისაუბრებს პროექტის ერთ-ერთმა მონაწილე თამარ გელაშვილი https://www.facebook.com/GamomtsemlobaArtanuji/posts/1431551847012019
4. აწსუ-ში მუშაობას აგრძელებს ,,ჯოისის კლუბი'' (ასოც. პროფ. ელისო ფანცხავას ხელმძღვანელობით), რომელიც ჯოისის ნაწარმოებებით დაინტერესებულ სტუდენტებს ამ ავტორის შემოქმედების გაცნობასა და სამეცნიერო კვლევების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება.

2. შედეგები:

1. სამეცნიერო სტატია „შექსპირის იულიუს კეისარი ქართულ სცენა" (გამოქვეყნდება რეცენზირებად სამეცნიერო ბილინგულ ჟურნალის „სპეკალი" 14-ე ნომერში);
2. სამეცნიერო სტატია „შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ" („ანტონიოსი და კლეოპატრა" და „ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა") (საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალში „არილი" ნოემბერი 2019);
3. ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპების კოლექციაში შექსპირის შესახებ დაცული უნიკალური მასალის შესწავლა-დამუშავება-ფოტოასლების გადაღება და გამოფენა;
4. დამუშავებული და შესწავლილია შექსპირის შესახებ არსებული 100-მდე უახლესი მხატვრული ან/და თეორიული სამეცნიერო ლიტერატურა.
5. კვლევის შედეგად გამოსაქვეყნებლად ვამზადებ მონოგრაფიული ნაშრომს შექსპირის რეცეფციის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში, დრამატურგიაში და თეატრში; (გამოქვეყნების სავარაუდო პერიოდი: 2020 წლის ბოლო 2021 წლის დასაწყისი);
6. რუსთაველის თეატრის „რიჩარდ მესამის" ლონდონური გასტროლის შესახებ თელმა ჰოლტთან იშვიათი ვიდეოინტერვიუს ჩაწერა.

7. 1980 წელს რუსთაველის თეატრის „რიჩარდ მესამის“ ლონდონში გასტროლის შესახებ მოკლე დოკუმენტური ფილმის შექმნა.
8. 2020 წლის 21 იანვარის კონფერენციაზე „შექსპირის საქართველოში“ (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება ქორეოგრაფთან ერთად) დოკუმენტური ვიდეოს ჩვენება-პრემიერა.

პროექტის კვლევითი მიზნების ფარგლებში, მოეწყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრაქტიკული ღონისძიებები/აქტივობები.ქართული შექსპირიანას გარშემო ორგანიზება გავუწიე, მონაწილეობა მივიღე და ჩავატარე სამი სამეცნიერო სემინარი, სამი ვიდეოჩვენება და ერთი სამეცნიერო კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტში:

- დოკუმენტური ფილმის „რობერტ სტურუას იულიუს კეისარი ფრაგმენტები სადადგმო რეპეტიციებიდან ჩვენება-განხილვა ფილმის ავტორის მონაწილეობით; (წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- სამეცნიერო სემინარი „შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში” (ორგანიზატორი: დავით მაზიაშვილი; მომხსენებელი: პროფ. მანანა გელაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- სამეცნიერო სემინარი „შექსპირის ტირანების და ანტიტირანების ტრანსფორმაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში და მსოფლიოში (მომხსენებლები: პროფ. მარკ ბარნეტი, ბელფასტის ქუინსის უნივერსიტეტის პროფესორი და პროფ. დავით მაზიაშვილი); წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- რუსთაველის თეატრის ლეგენდარული სპექტაკლის „რიჩარდ მესამის“ ვიდეოჩვენება შესავალის სიტყვით. (მომხსენებელი პროფ. დავით მაზიაშვილი); (ერტეგუნის სახლი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- 2020 წლის 21 იანვარს ოქსფორდი უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაგეგმილია კონფერენცია „შექსპირის საქართველოში“ (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება ქორეგრაფთან ერთად); გამოფენილი იქნება შექსპირის შესახებ უორდროპების კოლექციაში დაცული უნიკალური ხელნაწერები, წერილები და წიგნები. აგრეთვე გამოიფინება საქართველოში გამოცემული ალბომები, წიგნები, ლიტერატურული ჟურნალები, სამეცნიერო კრებულები, რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური აფიშები და ფოტო მასალა, რომელიც ქართული შექსპირიანას თარგმნის, შესწავლისა და სცენური ინტერპრეტაციის წარსულსა და აწმყოს ასახავს. იდეა და კონცეფცია: დავით მაზიაშვილი; ორგანიზატორები: პროფ. დან ჰილი, დოქ. ჯილიან ივისონი და პროფ. დავით მაზიაშვილი. სპეციალურად მოწვეული სტუმრები და გამომსვლელები: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე კეთრიონა ქენონი, საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში თამარ ბერჩაშვილი და გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე. **სასემინარო ნაწილის მომხსენებელი: დავით მაზიაშვილი.**

3. პირველი წლის განმავლობაში პროექტი დაკავებული იყო 6 სხვადსხვა ქვემოდულისათვის ლინგვისტური მონაცემების კლასიფიკაციისა და პროგრამული კოდის შემუშავებით.

ამ სამუშაოს შესასრულებლად პროექტის დასაწყისში მოძიებულ იქნა ქართული ენაზე 16 სხვადასხვა (მხატვრული, ფილოსოფიური, სასწავლო, სამეცნიერო) ჟანრისა და 24 საკანონმდებლო ტექსტი დიგიტალური სახით.

აქტივობის სირთულისა და დასამუშავებელ მონაცემთა მოცულობის გათვალისწინებით, სამუშაო პაკეტებისათვის განსხვავებული დრო იყო გამოყოფილი: არსებითი სახელისათვის ბრუნების ტიპებად კლასიფიკაციის შემუშავება, ტიპების შესაბამისი ძირებისათვის სალექსიკონო ვარიანტის კომპილირება და პროგრამული კოდის შემუშავება მიმდინარეობდა 5 თვის განმავლობაში. ლინგვისტური სამუშაო შესრულდა პროექტის წევრთა ერთი ნაწილის მიერ, ხოლო პროგრამულ კოდის შეიმუშავება მოხდა პროექტის დანარჩენ მონაწილეთა ძალისხმევის შედეგად. მუშაობის პროცესში მიმდინარეობდა მუდმივი კომუნიკაცია ორივე ჯგუფის წევრებს შორის. ამავდროულად სალექსიკონო მოდულის გაფართოებისათან ერთად ხდებოდა მისი ტესტირება პროგრამულ კოდზე და გრამატიკული ნაწილის კორექტირება, ხოლო

საჭიროების შეთხვევაში მისი გავრცობა.

მსგავსადვე წარიმართა აქტივობა 5 სხვა სამუშაო პაკეტის შესრულებისას, თუმცა დასამუშავებელი მასალის მოცულობის გათვალისწინებით უფრო ნაკლებ დროის მონაკვეთებში.

პროექტის პირველი პერიოდის ბოლოს მუშა მდგომარეობაში ჩაბარდება ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემის 6 ქვემოდული, რომლებიც უკვე ასრულებენ ქართული ენის არსებითი-, ზედსართავი-, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელის, ფორმაუცვლელი და დამხმარე სიტყვების სალექსიკონო ლემის სახით გამოცემას და მათი შესაბამისი სინტაქსური კატეგორიების თეგებით დაჭდევებას.

სადღეისოდ ძირითადად დასრულებულია პროექტის დასაწყისში მოძიებული ტექსტის „ხმაურისაგან გაწმენდის“, ტოკენიზაციისა, სალექსიკონო ერთეულებად კოდირებისა და ლემირების სამუშაოები. მიმდინაეობს ცალკეული ფრაგმეტებისათვის გამოვლენილი სიჭარბისა და ანალიზის უსრულობის შემთხვევების კორექტირების სამუშაოები.

5. პროექტი მიზნად ისახავს ევროპული და აღმოსავლური კულტურული ურთიერთდამოკიდებულების კვლევას ქართული ზღაპრების მაგალითზე, ქართული ხალხურ ზღაპრებში დასავლური და აღმოსავლური ფოლკლორის გავლენის შესწავლას.

6. პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მეოთხე საანგარიშო პერიოდში განვახორციელეთ გარკვეული ტიპის აქტივობები: მივლინება ბარსელონის პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტში დამატებითი ლიტერტურის და მასალების მოპოვების მიზნით, მოპოვებულ მასალათა სისტემატიზაცია და ანალიზი და მათი კვლევაში ჩართვა, პუბლიკაციის მომზადება და გამოქვეყნება, კვლევის შედეგების გაცნობა ექსპერტებისა და დარგის სპეციალისთებისთვის.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში დაგეგმილი გვქონდა მივლინება ესპანეთში 2019 წლის 3 ნოემბრიდან 8 ნომებრიამდე (პროექტის ხელმძღვანელს ასორირებულ პროფესორ მარინე კობეშავიძეს და პროექტში ჩართულ ახალგაზრდა მეცნიერს ქეთევან ხუსკივაძეს), ხოლო 3 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით პროექტის ძირითად პესონალს ლელა ჯანაშვილს ქ. ბარსელონაში, პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ზემოთხსენებული უნივერსიტეტის მოწვევის საფუძველზე საქართველოდან მივლინებული ვიყავით პროექტში მონაწილე სამი წევრი: მე, მარინე კობეშავიძე (პროექტის ხელმძღვანელი), ლელა ჯანაშვილი (პროექტის ძირითადი პერსონალი) და ქეთევან ხუსკივაძე (პროექტის ახალგაზრდა მეცნიერი). შეხვედრები გვქონდა ბატონ პატრიკ ზაბალბეასკოა ტერანთან, რომელიც გახლავთ ბარსელონას პომპეუ ფაბრას ფილოსოფიის დოქტორი, სრული პროფესორი, თარგმანისა და ენის მეცნიერებათა განყოფილების თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების დირექტორი.მას გავაცანით ჩენი პროექტის ძირითადი მიზნები და პროფ. პატრიკ ზაბალბეასკოამ გაგვიზიარა თავისი შეხედულებები და გამოცდილება ტერმინოლოგიის თარგმანთან დაკავშირებით, თუ როგორ ითრგმნება ოიკონიმბები და სხვადასხვა ტიპის ტერმინები ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენებიდან, და რა ნორმების დაცვა არის გასათვალისწინებელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულ პიროვნებათან საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრები და კონსულტაციები გვქონდა, რაც დაგვეხმარება მომავალი კვლევის წარმართვაში. მივლინების პერიოდში ვმუშაობდით ბარსელონას პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტის ბიბლიოთკაში და მოვიძიეთ საჭირო ლიტერატურა და მასალები სამომავლო კვლევისთვის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება და მისი შემდგომი გამოქვეყნება. პროექტში ჩართული ყველა პირი ინდივიდუალურად მუშაობდა და ახდენდა მოპოვებული მასალის ანალიზსა და სისტემატიზაციას, რის შედეგადაც მოხდა სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება და საერთაშორისი სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნება, კერძოდ: Multilingual Education“, პუბლიკაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ვებ მისამართზე: http://www.multilingualeducation.org/en/article/46

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა კვლევისთვის მნიშვნელოვანი მასალები. მათი დამუშავების შემდეგ, კვლევის საკითხების უკეთ შესწავლისთვის საჭირო იყო ასევე დარგის ქართველ ექსპერთებთან შეხვედრა, შესრულებული მასალების და კველვის შედეგების გაცნობა, რაც განხორციელდა 2019 წლის ნოემბრის თვეში. კერძოდ, შეხვედრები გვქონდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ტბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოსტენტ პროფესორთან ქ-ნ ნ. ჭრიკიშვილთან, რომელიც არის დარგის სპეციალისტი, ფონეტიკოსი, რამდენიმე ნაშრომის ავტორი აღნიშნული თემატიკასთან დაკავშირებით. ასევე შეხვედრები გვქონდა ქალბატონ მერი ტიტვინიძესთან, რომელიც გახვლავთ ესპანური, იტალიური და ინგლისური ლიტერატურის უბადლო მთარგმელი, ასევე მოწვეული გვყავდა ესპანეთი სამეფოს კონსული ბატონი ხორხე ლუსინი და სტუდენტები, რომელთაც გავაცანით კვლელვის შედეგად მიღებული შედეგები. აღნიშნულ სპეციალისტებთან გვქონდა მრგვალი მაგიდა და ძირითადმა პერსონალმა წარმოადგინა ჩატარებული კველევების შედეგად მიღებული შედეგები და მოხსენებები ტოპონიმების, ანთროპონიმების და იურდიული და ადმინისტრაციული ტერმინების ეპნურიდან ქართულში გადმოტანის ნორმებთან და სირთულეებან დაკავშირებით.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	„სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ („Stalin's Ideologeme and Mythologeme in Georgian Literature of the Soviet Times and Georgian Emigrant Literature“) **№ DI-2016-47**	2016 (ნოემბ). – 2019 (ნოემბ.)	კონსტანტინე ბრეგაძე (ხელმძღვანელი) გაგა ლომიძე (კოორდინატორი) ირაკლი კენჭოშვილი (შემსრულებელი) თამარ ციციშვილი (შემსრულებელი) ირინა მოდებაძე (შემსრულებელი) მედეა მუსხელიშვილი (შემსრულებელი)
2.	**ფუნდამენტური კველვების სახელმწიფო სამეცნიერი გრანტი - FR – 19 – 9158:** XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია და ფრანგული სიმბოლიზმი	**2018-2019 წწ**	ნანა გუნცაძე
3.	„გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათია ლექსიკონებითა და გრამატიკული ცნობარებით“ 6 ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.2 ენათმეცნიერება და	**19.12.2017 - 19.12.2019**	თ. მარგალიტაძე - პროექტის იდეის ავტორი, პროექტის ხელმძღვანელი, რედაქტორი გ. მელაძე - პროექტის მთავარი რედაქტორი მ. აბულაძე - ლექსიკონების შემდგენელი მ. დავლიანიძე - ტექნიკური

	ლიტერატურა (ცალკეული ენები; ლინგვისტიკა) 6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები (დიგიტალური ჰუმანიტარია) № FR17_87		რედაქტორი გ. ქერეჭაშვილი - პროგრამის ავტორი გ. ხუნდაძე - კორექტურა

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის ფარგლებში გამოიცა ილუსტრირებული მონოგრაფია ორ წიგნად სათაურით „სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ (მეორე ტომს თან ერთვის საარქივო მასალა). პროექტის ფარგლებში ითარგმნა და გამოიცა ბორის გროისის საკულტო წიგნი „სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება“, ასევე, დანიელ რანკურ-ლეფერიერის ფსიქოანალიტიკური ნაშრომი „სტალინის ფსიქიკა“ და ვიქტორია ბონელის „ძალაუფლების იკონოგრაფია“. მომზადდა ვებ-გვერდი www.stalinfiles.ge რომელზეც საწყის ეტაპზე განთავსდა ინფორმაცია პროექტის შესახებ, ბიბლიოგრაფიის მცირე ნაწილი, პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალის ნაწილი (მომავალში იგეგმება პროექტის ფარგლებში მომზადებული სხვა მასალის საიტზე ატვირთვაც - ვიზუალური მასალა, ფოტოები, გამოკვლევები). პროექტის ფარგლებში გამოცემული ორნაწილიანი მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს როგორც უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, ისე პედაგოგებს, ზოგადად, ფართო მკითხველ საზოგადოებასა და ქართველ თუ უცხოელ მკვლევარებს. პროექტის ფარგლებში მომზადებული ორტომეული მონოგრაფია ხელს შეუწყობს მომავალი თაობების შეგნების ამაღლებას სტალინისტური მემკვიდრეობის გადაფასების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფია ბიძგს მისცემს მომავალ ფართომასშტაბიან მეცნიერულ კვლევებს სტალინის პიროვნებისა და სტალინიზმის ფენომენის შემდგომი მრავალმხრივი ანალიზის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტალინის კულტის საბოლოო დაძლევას ქართველთა ცნობიერებაში. პროექტის ფარგლებში პირველად მოხდა სატალინის იდეოლოგემისა და მითოლოგემის კომპლექსური შესწავლა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვნია მისი შედეგები მკვლევართათვის. ბევრი თვალსაზრისით პირველად იქნა გამოკვლეული არაერთი საკითხი, რაც არც დასავლურ და არც ქართულ მეცნიერებაში აქამდე არ განუხილავთ - მაგ., სტალინის საკრალიზაციის პროცესში საკუთრივ ქართული ლიტერატურული დისკურის ფუნქციონირება, რაც, ერთი მხრივ, ეყრდნობა სახარებისეულ და ბიბლიურ სიმბოლიკასა და ალუზიებს, მეორე მხრივ, ქართული ფოლკლორისა და მითოსის სახისმეტყველებას. პროექტის შედეგები ხელმისაწვდომია საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ვინაიდან წიგნს ერთვის თითოეული სტატიის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეები, რაც შემდგომ ეტაპზე ქართულ მასალასთან ერთად ელექტრონულადაც აიტვირთება პროექტის ფარგლებში ამოქმედებულ ინტერნეტსაიტზე www.stalinfiles.ge ვფიქრობთ, პროექტის ფარგლებში ხორციშესხმულ კვლევებსა და მათ საფუძველზე მიღებულ შედეგებს, - აქამდე დაუმუშავებელი მასალის ანალიზისა თუ ზოგჯერ ინოვაციური მიდგომების გამო, - გვერდს ვერ აუვლიან საკითხით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი მკვლევარები.

2. პროექტი შეავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც უკავშირდება ერთის მხრივ ფრანგი სიმბოლისტების ინტერნაციონალურ ბედს, ხოლო მეორეს მხრივ ქართული კულტურის ინტეგრაციას ევროპულ კულტურულ სივრცეში, რამდენადაც კომპარატისტული კვლევა, რომელშიც კულტურა მოიაზრება, როგორც ტექსტი და კონტექსტი, ერთდროულად არის
როგორც ლიტმცოდნეობითი, ასევე კულტუროლოგიური კვლევა.
კომპარატისტული კვლევის შედეგად მიღებული ფუნდამენტური დასკვნებიდა ამ
კვლევის შედეგად დადებული მასშტაბური მონოგრაფია უნდა იყოს საეტაპო ნაშრომი ფრანგულ სიმბოლიზმზე, მე-20 საუკუნის 20-იანი, 30-იანი წლების ქართულ პოეზიაზე და ცხადჰყოს, რომ ქართული პოეზია უნიკალური და ევროპელი სპეციალისტებისათვის
თითქმის მთლიანად უცნობი მოვლენაა ; ნაშრომი უნდა იქცეს ქართულ ლიტერატურაში, ფრანგული სიმბოლიზმის წარმომადგენელთა რეცეფციის ორიენტირად შემდგომი კვლევებისათვის.

მონოგრაფია "ფრანგული სიმბოლიზმი და 20 საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია" ქართული და ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის უახლეს მიღწევებზე იქნება დამყარებული. ავტორები იმედოვნებენ, რომ შექმნიან საფუძვლიან და კონცეპტუალურად ახალ გამოკვლევას, რომელიც შეასრულებს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის ესოდენ საჭირო (და ამჟამად არარსებულ) სახელმძღვანელოს როლს. ამ სოციალურ-პედაგოგიურ ფუნქციასთან ერთად, მონოგრაფია საგულისხმო იქნება როგორც ქართველი, ასევე ევროპელი სპეციალისტებისათვის.

3. პროექტის მიზანი იყო ორი მნიშვნელოვანი ძველი ენის - გოთურისა და ანგლოსაქსურის (ძველი ინგლისურის) შესასწავლი ინტერნეტ-ბაზირებული რესურსის შექმნა, რომელიც დიგიტალური ჰუმანიტარიის სწრაფად განვითარებად დარგს განეკუთვნება. განვიზრახეთ ისეთი კომპლექსური დიგიტალური რესურსის შექმნა, რომელიც ფილოლოგიით, ინდოევროპეისტიკითა და კომპარატივისტიკით დაინტერესებულ პირებს მნიშვნელოვნად გაუადვილებდა აღნიშნული ენების შესწავლას.

რატომ გოთური და ანგლოსაქსური?

გოთური წარმოადგენს გერმანიკული ენების აღმოსავლური ქვეჯგუფის ე.წ. მკვდარ ენას, რომელმაც ჩვენამდე წერილობითი წყაროების (უპირატესად გოთური სახარების ფრაგმენტების) სახით მოაღწია. გოთური არ არის რომელიმე ამჟამად არსებული ენის უშუალო წინაპარი, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო მას უნიკალური მნიშვნელობა აქვს როგორც თანამედროვე გერმანიკული და ინდოევროპული ენების დიაქრონიული შესწავლისთვის, ასევე შედარებითი და ზოგადი ენათმეცნიერებისთვის. მრავალი მორფოლოგიური თუ ლექსიკური მახასიათებლის მიხედვით გოთური უაღრესად არქაული ენაა. სწორედ ეს არქაულობა ხდის გოთურს განსაკუთრებით ფასეულს ენათმეცნიერთათვის. გოთური, როგორც ჩანს, ძალზე ახლოს დგას საერთო-გერმანიკულ (პროტოგერმანიკულ) ენასთან. ეს გოთურს ანიჭებს ისეთსავე მნიშვნელობას სხვა, უფრო გვიანდელი ფორმაციის, გერმანიკული ენებისთვის, როგორიც, ვთქვათ, ლათინურსა აქვს მოგვიანებით მისგან განვითარებული თანამედროვე რომანული ენებისთვის.

ფილოლოგიურ-ლინგვისტური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ანგლოსაქსური ენა. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დღეისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი და საყოველთაოდ გავრცელებული ენის, ინგლისურის განვითარების ადრეულ სტადიას წარმოადგენს.
ანგლოსაქსურ/ძველ ინგლისურ ენაზეა დაწერილი ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, პოემა „ბეოვულფი", წარმართული და ქრისტიანული კულტურების თავისებური სინთეზის იშვიათი პროდუქტი. ანგლოსაქსურ/ძველ ინგლისურ ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის ნაწილად ითვლება. შესაბამისად, ციტატები „ბეოვულფიდან" და ძველ ინგლისურ ენაზე შექმნილი სხვა ნაწარმოებებიდან შესულია ოქსფორდის დიდი ლექსიკონის სიტყვა-სტატიებში საილუსტრაციო მასალის სახით. სწორედ ამიტომაა ეს ორი ენა მნიშვნელოვანი როგორც ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, ისე ანგლისტიკის, გერმანისტიკისა და სკანდინავისტიკისთვის. ამ მნიშვნელობის გამო ისწავლება ეს ენები მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დასახული მიზნის განსახორციელებლად შესრულდა შემდეგი ამოცანები: ქრესტომათიისათვის შეირჩა 6 გოთური და 7 ანგლოსაქსური ტექსტი. გოთური ტესტები: მათეს სახარება, მე-8 და 27-ე თავები; მარკოზის სახარება, მე-15 თავი; ლუკას სახარება, მე-15 თავი; იოანეს სახარება, მე-18 თავი; პირველი კორინთელთა მიმართ, მე-15 თავი. ანგლოსაქსური ტექსტები: „ანგლოსაქსთა დასახლება ბრიტანეთში", „ღირსი ბედა ბრიტანეთის შესახებ", „კედმონის ამბავი და მისი ჰიმნი" (სამი ფრაგმენტი ღირსი ბედას „ინგლისელი ერის საეკლესიო ისტორიიდან"); ფრაგმენტები ეპიკური პოემიდან „ბეოვულფი"; ელფრიკის თარგმანი, „დაბადება" 27-ე თავი; ფრაგმენტი ანგლოსაქსური ქრონიკებიდან; სკანდინავ ზღვაოსან ოჰტჰერეს ნაამბობი (ფრაგმენტი მეფე ალფრედის მიერ თარგმნილი ოროსიუსის „ისტორიიდან"); შერჩეულ ტექსტებში დადგინდა ყოველი სიტყვაფორმის ლემა; შეიქმნა გოთური და ანგლოსაქსური არსებითი სახელების, ზმნების, ზედსართავი სახელებისა და ნაცვალსახელების გრამატიკული პარადიგმების ცხრილები ქართულ და ინგლისურ ენებზე; შეიქმნა ანგლოსაქსურ-ქართული და ანგლოსაქსურ-ინგლისური ლექსიკონები, ასევე გოთურ-ქართული და გოთურ-ინგლისური ლექსიკონები; დაიწერა ალგორითმები ტექსტების სიტყვაფორმების, სალექსიკონო სიტყვა-სტატიებისა და მორფოლოგიური პარადიგმების შიდა ბმულებით დასაკავშირებლად; შეიქმნა თანამედროვე პროგრამა, რომელშიც აიტვირთა ქრესტომათიის ტექსტები მათთან ინტეგრირებული ლექსიკონებითა და გრამატიკული პარადიგმებით; პროგრამისთვის ასევე დაიწერა მართვის პანელი, ანუ შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი პროგრამული პროდუქტი.

პროექტზე მუშაობა დასრულდა და ონლაინ-ქრესტომათია უკვე ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის შემდეგ მისამართზე: http://germanic.ge. ქრესტომათიაში შესული ტექსტები პროგრამულად ინტეგრირებულია გოთურ-ქართულ და გოთურ-ინგლისურ და ანგლოსაქსურ-ქართულ და ანგლოსაქსურ-ინგლისურ ლექსიკონებთან და აგრეთვე გოთური და ანგლოსაქსური სიტყვების მორფოლოგიურ პარადიგმებთან. ამ პარადიგმებს, ისევე როგორც მთლიანად ამ ინტერნეტ-რესურსს აქვს ქართული და ინგლისური ვერსიები, რაც მას ხელმისაწვდომს ხდის ზოგადად ფილოლოგიითა და ენათმეცნიერებით, განსაკუთრებით კი გერმანისტიკითა თუ ზოგადად ინდოევროპეისტიკითა და კომპარატივისტიკით დაინტერესებულ პირთათვის როგორც საქართველოში, ასევე (ინგლისური ენის საერთაშორისო სტატუსიდან გამომდინარე) მთელს მსოფლიოში. ამგვარი რესურსის შექმნა მნიშვნელოვნად გააადვილებს ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ენების – გოთურისა და ანგლოსაქსურის შესწავლას. დიგიტალური ჰუმანიტარიის კატეგორიის ამგვარი ღია რესურსის ხელმისაწვდომობა აგრეთვე აამაღლებს ჩვენს ქვეყანაში ფილოლოგიური განათლების საერთო დონეს, მისცემს სტუდენტებს ადეკვატურ ფილოლოგიურ განათლებას და საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს მიმზიდველს გახდის ფილოლოგიითა და ენათმეცნიერებით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტებისთვის.

პროექტის შესახებ დაიწერა ვრცელი სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში Lexikos, 29-ე ნომერში (https://lexikos.journals.ac.za/pub). აღნიშნული პროექტი და მის შედეგად შექმნილი ონლაინ-რესურსი გატანილ იქნა ორ საერთაშორისო კონფერენციაზე (იხ. ინფორმაცია 5.4 პუნქტში). ონლაინ-რესურსი უკვე დიდი წარმატებითაა ჩართულია სასწავლო პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მომავალში გაგრძელდება პროექტის პრეზენტაცია სხვა საერთაშორისო ფორუმებზე და ვერკშოპებზე მისი შემდეგომი პოპულარიზაციის მიზნით. ასევე იგეგმება კავშირების დამყარება სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან პროექტის განვითარებისა და მისთვის სხვა მნიშვნელოვანი ძველი ენების წერილობითი ძეგლების ფრაგმენტების დამატების მიზნით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	„Deutsche Philologie International“	2013-2020	პროფ. დოქტ. დ. ბუსე, პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე
2.	„(გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერი ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციაში“	2017-2022	პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე პროფ. დოქტ. ალექსანდრე კარტოზია პროფ. ვაჰრამ ატაიანი

3.	*Transfer von Nomina Propria aus dem Deutschen ins Georgische* - Tradition und Trends. გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები. დამფინანსებელი DAAD – გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ფონდები; (გაიცემა გრძელვადიანი სტიპენდიების სახით, რომელთაც მოვიპოვებ პერიოდულად საჭიროებისამებრ კონკურსის წესით. აღნიშნული პროექტის მოცულობის გათვალისწინებით მის შესასრულებლად დღემდე მოპოვებული მაქვს სამი გრამტი. ბოლო მათგანი (სამი თვის ხანგრძლივობით) დაიწყო 2018 წლის ნოემბერში და დასრულდა 2019 წლის იანვარში.	2013 - 2021 იანვარი (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	მ. ანდრაზაშვილი – პროექტის ავტორი და ერთპიროვნული შემსრულებელი
4	Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა აუდიოარქივის დამუშავება. დამფინანსებელი: ZMO ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი.	2014 - 2021 (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	მ. ანდრაზაშვილი – კოოპერატორი დოქტ. ჰაიკე ლიბაუ, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერტანამშრომელი – პროექტის ავტორი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტში „Deutsche Philologie International“ ჩემი მონაწილეობა წარმოდგენილია 60 გვერდზე არსებულ მონაკვეთში „ტექსტის სახეობები და ტექსტის სტილები“, რომელიც ეძღვნება თანამედროვე გერმანული ენის ტექსტის სახეობებს/სტილებს. ეს ნაწილი განსხვავდება პროექტის ენათმეცნიერული ძირითადი თავის სხვა ნაწილებისგან (120 გვერდი) რომელიც პროფ. ბუსეს ხელმძღვანელობით შედგა, სადაც აღწერილია სისტემური ლინგვისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის პრობლემები.

ზოგადად ენებისა და უცხო ენის ფილოლოგიის სწავლების მიზანია სხვა მიზნებს შორის ის, რომ ადამიანმა უნდა შეიძინოს ცოდნა ტექსტის სახეობების შესახებ, ისევე როგორც კომპეტენციები სისტემისა და სტილის შესახებ. „ტექსტის სახეობების ცოდნა მშობლიურ ენაზე და უცხო ენაზე მოლაპარაკისთვის ყოვლისმომცველი ენობრივი კომპეტენციის შეძენის მნიშვნელოვანი ნაწილია (Fandrych/Thurmair 2011:16).

სწორედ ტექსტის სახეობების აღწერა არის იმის ჩვენების მცდელობაა, რომ ტექსტის სახეობების ცოდნა ისეთივე პროტოტიპული ენობრივი ცოდნაა, როგორც დაახლოებით სემანტიკური ცოდნა, სინტაქსური ცოდნა, ფონოლოგიური ცოდნა.

ჩემს მიერ დამუშავებულ ამ ნაწილში ის საკითხია განხილული, ერთი მხრივ თუ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან გერმანული ენის ტექსტის სახეობები, მაშინ როცა პროტოტიპული ტექსტის ნიმუშის აღწერა ხდება და მეორე მხრივ, როგორ შეიძლება მათი ცვლილება ამ ნიმუშის ობიექტივაციის დროს, როცა მოუბარს აქვს უნარი, ინტერაქციის პროცესში ტექსტის სახეობის მოდიფიკაციაზე ან ცვლილებაზე მიანიშნოს ან დააფიქსიროს ამ სახის ტექსტის სქემა, რომელიც ტექსტის სახეობებს ახასიათებს, და რომელიც იცვლება შესაბამისად ცვალებადი საკომუნიკაციო საჭიროებებისა ინტერაქციის განმავითარებელ პირობებთან ერთად.

პროექტში ხდება 20 კონკრეტული ტექსტის (ფიქციონალური და ავთენტური ტექსტის სახეობებიდან) თეორიული კვლევების საფუძველზე აღწერა-ამ თანმიმდევრობით: ფუნქცია, საკომუნიკაციო სიტუაცია, ტექსტის სახეობების კლასიფიკაციის კრიტერიუმები, ტექსტის ფუნქცია და ტექსტის სახეობები(გროსეს, ბრინკერის, ზანდიგის, ადამციკის, ჰაინემან/ფივეგერის და სხვ.) მიხედვით. ყველა შემთხვევაში ხდება ტექსტის ფუნქციის, კონტექსტუალური(სიტუაციური) და სტრუქტურული კრიტერიუმების გათვალისწინება. ერთმანეთთან გარკვეულად დაკავშირებული კონკრეტული მაგალითების ანალიზებსა და ინტერპრეტაციებში როგორიცაა მაგ. წერილი/მეილი(პირადი, საქმიანი, პოეტური წერილები),ლექსი, მოთხრობა, მოკლე მოთხრობა და ა.შ.

ნაშრომის გაგრძელება მიმდინარეობს ტექსტების სხვა დანარჩენ სახეობებზე/სტილებზე.

2. აქამდე კულტურათაშორისი, მეტაკულტურული ტრანსფერი მხოლოდ მთარგმნელების კომპეტენციად მიაჩნდათ. მთარგმნელები, როგორც შუამავლები კულტურათა შორის, ყოველთვის ცდილობდნენ ე.წ. ფუნქციონალური თუ კრეატიული თარგმანებით - შემოქმედებითი მთარგმნელობითი საქმიანობით კულტურული ბარიერების გადალახვას. მთარგმნელობითი საქმიანობა თავისთავად გულისხმობს უცხო კულტურის საკუთარ კულტურასთან გაცნობა-დაახლოების მცდელობას. თუმცა კითხვები, თუ რა სახის ცვლილებებს განიცდის ლიტერატურული, დარგობრივი თუ პრესის (მედიის) ტექსტი თარგმნისას, რამდენად საჭიროა „ამოსავალი კულტურის“ ცნებებისა და ფენომენების ადაპტაცია ტექსტში, რათა ის „სამიზნე კულტურის“ აუდიტორიისთვის გასაგები გახდეს, რა სახის პერსპექტივები ცხადდება ამგვარი კულტურის ტრანსფერით როგორც „ამოსავალი“ ისე „სამიზნე“ პუბლიკისთვის, სცილდება მთარგმნელობითი თეორიისა და პრაქტიკის სფეროს. ამ თვალსაზრისით კულტურული ტრანსფერი ლიტერატურული, მედიალური და დარგობრივი კომუნიკაციის კვლევის საგანია. მნიშვნელოვანია, რომ ამოსავალი და სამიზნე ტექსტი, ამოსავალი და სამიზნე ენისა და კომუნიკაციის მოთხოვნილებათა შესაბამისად, შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ამ დროს მთარგმნელის, როგორც მედიუმის, „საშუამავლო ინსტანციის“ კომპეტენცია ჩვენი პროგრამის კონცეფციით მესამე ფენომენად წარმოჩინდება. პროფესიონალ მთარგმნელს, ისევე როგორ ენის მასწავლებელს ევალება, გადალახოს კულტურული ბარიერები და გაანეიტრალოს კულტურული ჰეტეროგენულობა. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ტრანსფერის მკვლევრები ნაციონალური კატეგორიების გამოყენებას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ, ბილატერალურ/ორენოვან ბაზისს ემყარება.
ამ პერსპექტივიდან კულტურული ტრანსფერის ცნება ჩვენს პროექტში ფართო მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ: **ის მოიცავს არა მხოლოდ თარგმნის თეორიასა და პრაქტიკას, არამედ ლიტერატურული, მედიალური, დარგობრივი კომუნიკაციის ცოდნასაც.** კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ, კულტურათა და ცივილიზიათაშორისი შუამავლის ფუნქცია შეასრულონ. შესაბამისად, ჩვენი პროექტი და შესაბამისად პროგრამა ინტერდისციპლინურია და შემდეგ ქვემოდულებს მოიცავს: ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციას. თითოეული მოდულის ფარგლებში უნდა განხორციელდეს (ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერის შესაძლებლობათა რეალიზაცია და სწავლება. ამავე დროს მისი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვეობის, სამუშაო ბაზრის მოთხოვნილებათა ცვალებადობებს და უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ

სხვადასხვა სფეროში პროფესიული კომუნიკაციის დავალებებსა და გამოწვევებს გაართვან თავი.

3. წინამდებარე გამოკვლევა ორიენტაციას იღებს უშუალოდ *ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე,* როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე *სპეციფიკურ რეპრეზენტანტებზე* თავიანთი პროპრიალური მახსიათებლებისა და რეფერენციალური მიმართბების გამო. იგი მიზნად ისახავს, გერმანული და ქართული ენების საილუსტრაციო მასალის შეპირისპირებითი ანალიზის გზით გამოავლინოს ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც საკუთარ სახელთა ტრანსფერირებას ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელის გემოვნებასა თუ ენობრივ ალღოზე დამოკიდებულს კი არ გახდის, არამედ დასაბუთებულ გრამატიკულ კანონზომიერებებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით ნაშრომი განსახილველ სუბკლასში ერთმანეთისგან გამიჯნავს უშუალოდ სახელებსა და სახელის სინტაგმებს, თითოეულ მათგანს აღწერს სემანტიკური იზოლირებულობისა და დესკრიპტიულობის ან მოჩვენებითი დესკრიპტიულობის ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად კი გამოყოფს საკუთარ სახელთა ტრანსფერირების სამ, თვისობრივად ურთიერთგანსხვავებულ, პროცედურულ ხერხს. ანალიზისას, ბუნებრივია, ითვალისწინებს სამიზნე ენის ფონემური და გრაფემული ინვენტარის შეთავსებადობას ერთმანეთთან, ისევე როგორც ამოსავალი ენის ანალოგიურ ინვენტართან სისტემურ დონეზე, სინტაგმატური მიმართებების თვალსაზრისით კი ცდილობს, უპირატესი ანგარიში გაუწიოს სამიზნე ენის გრაფოტაქტიკურ წესებს ფონოტაქტიკურთან შედარებით, ამ უკანასკნელთა აშკარა კომპრომისული განწყობის გამო ადაპტირება-ასიმილირების პროცესებისადმი თანამედროვე მსოფლიოში ნორმადქცეული ინდივიდის მრავალენოვნების ფონზე; ზომიერი ტოლერანტობით უდგება ტრადიციით გადმოცემულ მემკვიდრეობას და უშვებს ინდივიდუალურ მიდგომას ანთროპონიმებისადმი, როგორც პოტენციურად ვარირებადი/არაიზოტოპური სტრუქტურებისადმი თვით ამოსავალ ენაშიც, თუმცა იმავდროულად მკაცრად თანმიმდევრულია ტოპონიმების, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მყარი ნაწილის, სალექსიკონო წესით ნორმირების მიმართ.

პროექტის განხორციელების შედეგებს სისტემატურად წარვადგენ საჯარო გამოსვლებსა და პუბლიკაციებში უპირველესად ევროპის გერმანულენოვან ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც (ბოლო საჯარო გამოსვლა აღნიშნული პრობლემატიკისადმი მქონდა 2019 წლის დეკემბერში ზალცბურგის უნივერსიტეტში ავსტრიის ლინგვისტთა ასოციაციის 45-ე ყრილობაზე. იხ. პუნქტი 6.2.).

4. ვაგრძელებ მუშაობას ბერლინის აუდიოარქივში დაცული პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სამხრეთკავკასიელი ტყვეების რუსულ- და ქართულენოვანი აუდიოჩანაწერებზე. შევასრულე ჩანაწერთა ტრანსკრიპტი, ვთარგმნე გერმანულად და პროექტის ხელმძღვანელ დოქტ. ჰაიკე ლიბაუსთან ერთად აღვწერე ისინი ეპოქის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ფონზე. მუშაობას აფერხებს დასამუშავებელი მასალის მოცულობა, ტერიტორიული დაშორება და საარქივო მასალის კონფიდენციალურობა, რის გამოც პროექტი ჩაბარების ვადა გადაიწია.

დაგეგმილი გვქონდა, მიღწეული შუალედური შედეგების შესახებ ერთობლივი მოხსენებით წარმდგარიყავით 2019 წლის ოქტომბერში ფოლკსვაგენის შტიფტუნგის დაფინანსებით ჩასატარებელ ფორუმზე, რომელიც სამწუხაროდ არ შედგა. ამის გამო ვფიქრობთ, მიღწეული შედეგები გამოვაქვეყნოთ ქართულ ენაზე იუნესკოს დაფინანსებით თსუ-ს ბაზაზე გამომავალ ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი“.

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ერასმუს +; The International Credit Mobility (ICM); ევროკავშირი	17.06.2019-21.06.2019	ირინა გველესიანი (მოწვეული პროფესორი)
2.	შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში. წმ. ენტონის კოლეჯის გრანტი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო	23-25.10.2019	მანანა გელაშვილი (მომხსენებელი)
3.	Grammatik des Deutschen im europäischen Vergleich გერმანული ენის კონტრასტული გრამატიკა ევროპულ კონტექსტში	2013 - 2019 დეკემბერი (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	მ. ანდრაზაშვილი – კოოპერატორი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა / მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტი IDS. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. დოქტ. გიზელა ციფონუნი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2019 წლის 17 მაისიდან 21 მაისამდე ვიმყოფებოდი საბერძნეთში, ათენის უნივერსიტეტში, სადაც განვახორციელე სამეცნიერო კვლევები და ჩავატარე ლექციები ენათმეცნიერების მიმართულებების სტუდენტებისათვის (ლექციების თემატიკა - იურიდიული თარგმანი).

2.ოქსფორდის უნივერსიტეტის გრანტი, რომელმაც დაფარა ჩემი მგზავრობა და დაბინავება, მიზნად ისახავდა ჩემს მონაწილეობას სამეცნიერო სემინარში, სადაც გავაკეთე მოხსენება სათაურით: ,,შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში''. მოხსენებაში წარმოსგენილია შექსპირის თარგმნის ისტორია პირველი თრგმანებიდან მოყოლებული (არდაზიანი, ყიფიანი და სხვ.), რომლებიც ძირითადად ორგინალურიდან არ იყო შესრულებული და დაბალი მხტვრული დონით ხასიათდებოდა, ილიასა და მაჩაბლის ,,მეფე ლირისა'' და მაჩაბლის გენიალური თარგმანების გავლით თანმედროვე თარგმანებით დამთავრებული (კერძოდ მანანა ანთაძის გასულ წელს გამოსული შექსპირის სამი ტრაგედიის თარგმანი). მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა ეტაპისათვის დამახისიათებელი მთარგმნელობითი პრონციპები და შედარებული ერთი და იგივე ნაწარმოების სხვადასხვა თარგმანი.

3.პროექტი რამდენიმე წლის განმავლობაში იქმნებოდა (იხ. გასული წლების ანგარიშები). დასრულების ოფიციალურ ვადად დათქმული იყო 2019 წლის იანვარი, 2018 წლის დეკემბერში გამოიკვეთა სურათი, რომ პროექტი ფაქტობრივად უკვე დასრულებილია. 2018 წლის ნოემბერ - 2019 წლის იანვარში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მივლინებით ყოფნისას შესაძლებლობა მქონდა, შევხვედროდი მანჰაიმის გერმანული ენის

ინსტიტუტში სამუშაო ჯგუფს აზრთა ურთიერთგაზიარებისა და ჩემზე დაკისრებული მასალების (ანთროპონიმთა და ეთნონიმთა პოტენციური გავრცობის შესაძლებლობები მარჯვნივ და მარცხნივ – მათი წარმოდგენა სახელის ან წინდებულის სინტაგმის სახით) საბოლოო სახით წარდგენის მიზნით. ამჟამად პროექტი გადის საგმომცემლო დამუშავების საფეხურებს.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რედ. მანანა გელაშვილი. ავტორები: მანანა გელაშვილი, თამარ გელაშვილი, თათია სიბაშვილი, ელისო ფანცხავა, მაია ყიასაშვილი, ირაკლი ცხვედიანი.	,,ჯეიმზ ჯოისის თარგმნისა და კვლევისა ისტორია საქართველოში''.	თბილისი	იბეჭდება
2.	თამარ ჭუმბურიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით	წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში,	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა, 2019	წინასიტყვაობა - 36 გვ. წიგნი - 160 გვ.
3.	ავტორთა ჯგუფი: **კონსტანტინე ბრეგაძე,** გაგა ლომიძე, ირაკლი კენჭოშვილი, თამარ ციციშვილი, ირინა მოდებაძე, მედეა მუსხელიშვილი	„სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ (ორ ტომად) (რედ. კონსტანტინე ბრეგაძე, გაგა ლომიძე) **ISBN 978-9941-485-57-2**	თბილისი, „მწიგნობარი“	315
4	ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო თამარ გელაშვილმა	ჯეიმზ ჯოისი ,,ჯაკომო ჯოისი“ **ISBN 978-9941-478-86-4**	თბილისი, გამომცემლობა ,,არტანუჯი“	67
5	ქართულად თარგმნა, კომენტარები და ვრცელი ანოტაცია დაურთო თამარ გელაშვილმა	ჯეიმზ ჯოისი ,,ღამისთევა ფინეგანისათვის“ (წიგნი I, თავი 8) **ISBN 978-9941-26-497-9**	თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“	101
6	თ. მარგალიტაძე (რედაქტორი), გ. მელაძე, გ. ხუნდაძე, შ. აფრიდონიძე, ნ. კვერნაძე, ხ. გურიელი	„ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი“ (30 000 სიტყვა-სტატია) ISBN 978-9941-30-509-2	თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი, თბილისი	1106 გვერდი

7.	თ. მარგალიტაძე, მ. ოძელი	„მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი“ ISBN 978-9941-13-903-1	თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი, თბილისი	96 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში წარმოდგენილია რუსთაველს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში”. (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი#FR17_220) შედეგები, რომელშიც გაანალიზებულია

1. ჯოისის კვლევის ისტორია.
2. ჯოისის თარგმნის ისტორია
   2.1 - ,,დუბლინელების'' ორი თარგმანის შედარებითი ანალიზი.
   2.2. - ჯოისის უახლესი თარგმანები
   2.3. - ,,ულისე'' ქართილად.
3. ჯოისის გავლენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე
   1. ჯოისი და ქართული მწერლობა.
   2. ჯოისი მხატვრობასა და ფოტოგრაფიაში

2. გრიგოლ ფერაძე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობდა და იკვლევდა საქართველოს ეკლესიასთან და სასულიერო მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, იძიებდა და იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდა ბიბლიის ქართულ თარგმანებს, ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტურგიკის პრობლემებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც თავისი სამეცნიერო გზის დასაწყისშივე დაინტერესდა გრიგოლ ფერაძე. იყო ქართული ბერმონაზვნობის ისტორია. ამ საკითხს მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაციაც. ამ საქმეში დამწყებ მკვლევარს, როგორც თვითონვე აღნიშნავს, სათანადო დახმარება გაუწიეს გერმანელმა მასწავლებლებმა და უფროსმა კოლეგებმა. „ის, რაც მე დოქტორმა ლეფსიუსმა მირჩია, კიდევ უფრო გააძლიერა პროფესორმა გუსენმა. ამ საკითხს მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაციაც. ეს ნაშრომი, თვითონ ავტორისავე ცნობით, რამდენიმე ნაწილად გამოქვეყნდა: პირველი ნაწილი - „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ - დაიბეჭდა ჟურნალში „Zeitschrift für Kirchengeschichte“. შუა ნაწილი - „ქართველი ბერების ლიტერატურული მოღვაწეობა ათონის მთის ივერთა მონასტერში“ - გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე; მესამე ნაწილი კი - „ქართული ბერ-მონაზვნობის შესახებ“ - დაიბეჭდა ყველაზე ადრე, უკვე 1926 წელს, ბერლინში. 1930 წელს, დოქტორ ლეფსიუსის გამომცემლობაში ქ. პოცდამში გრ. ფერაძემ გამოაქვეყნა აღმოსავლურ და ქართულ ბერონაზვნობაზე შემაჯამებელი სტატიები, ეს შედარებით მოკლე სტატიებია, გაერთიანებული სხვა სტატიებთან ერთად რუბრიკით: „ესკიზები საქართველოს კულტურის ისტორიისათვის“. ჩვენ მოვიპოვეთ გრიგოლ ფერაძის შრომის ცალკეული ნაწილები და ვთარგმნეთ ისინი ქართულად.

დამატებით ვბეჭდავთ გრ. ფერაძის ორ მცირე წერილსაც, რომლებიც მისი დისერტაციის უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს, მაგრამ თემატურად მჭიდროდ უკავშირდება მას. თარგმანს თან ერთვის წინასიტყვაობა: გრიგოლ ფერაძის მოკლე ბიოგრაფია და იმ ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც შეეხება ბერმონაზვნობას საქართველოში.

გრიგოლ ფერაძის ნაშომის თარგმანი ქართულ ენაზე 2006 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნეკერმა“. ამჟამად გამოიცა ახალი, შევსებული და შესწორებული რედაქციით. ამ სახით, ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნი დაეხმარება მკითხველს იმ ხარვეზის შევსებაში, რაც ქართულ მეცნიერებაში გრიგოლ ფერაძის ზემოხსენებული ნაშრომების ხელმიუწვდომლობით იყო გამოწვეული.

3. (მეორე ტომს თან ერთვის საარქივო მასალა) დიდ დახმარებას გაუწევს როგორც უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, ისე პედაგოგებს, ზოგადად, ფართო მკითხველ საზოგადოებასა და ქართველ თუ უცხოელ მკვლევარებს. ორტომეული მონოგრაფია ხელს შეუწყობს მომავალი თაობების შეგნების ამაღლებას სტალინისტური მემკვიდრეობის გადაფასების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, აღნიშნული მონოგრაფია ბიძგს მისცემს მომავალ ფართომასშტაბიან

მეცნიერულ კვლევებს სტალინის პიროვნებისა და სტალინიზმის ფენომენის შემდგომი მრავალმხრივი ანალიზის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტალინის კულტის საბოლოო დაძლევას ქართველთა ცნობიერებაში. ორტომეულ მონოგრაფიაში პირველად მოხდა სატალინის იდეოლოგემისა და მითოლოგემის კომპლექსური შესწავლა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვნია მისი შედეგები მკვლევართათვის. ბევრი თვალსაზრისით პირველად იქნა გამოკვლეული არაერთი საკითხი, რაც არც დასავლურ და არც ქართულ მეცნიერებაში აქამდე არ განუხილავთ - მაგ., სტალინის საკრალიზაციის პროცესში საკუთრივ ქართული ლიტერატურული დისკურის ფუნქციონირება, რაც, ერთი მხრივ, ეყრდნობა სახარებისეულ და ბიბლიურ სიმბოლიკასა და ალუზიებს, მეორე მხრივ, ქართული ფოლკლორისა და მითოსის სახისმეტყველებას. მონოგრფია ხელმისაწვდომია საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ვინაიდან წიგნს ერთვის თითოეული სტატიის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეები. ვფიქრობთ, აქამდე დაუმუშავებელი მასალის ანალიზისა თუ ზოგჯერ ინოვაციური მიდგომების გამო, მონოგრაფიას გვერდს ვერ აუვლიან საკითხით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი მკვლევარები.

4. ეს წიგნი დიდი მოდერნისტი მწერლის ჯეიმზ ჯოისის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოების ორენოვანი გამოცემაა.

,,ჯაკომო ჯოისი'' , რომელიც ჯოისის გარცვალების შემდეგ აღმოაჩინეს ჯოისის ხელნაწერებში, პირველად ჯოისის ცნობილი მკვლევარის რიჩარდ ელმანის მიერ 1959 წელს დაბეჭდილ ჯოისის ბიოგრაფიაში გამოჩნდა, სადაც ელმანმა ამ, მანამდე უცნობი ტექსტის ფრაგმენტები ჩართო. დაახლოებით ათი წლის შემდეგ (1968) ელმანმავე დაბეჭდა სრული ტექსტი, რომელსაც შენიშვნები და შესავალი გაუკეთა. ელმანის დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ ჯაკომო კარგა ხანს აღიქმებოდა, როგორც ჯოისის ჩანახატი, მისი ბიოგრაფიული ფრაგმენტი, რომელსაც თავად ავტორი არ აღიქვამდა სერიოზულად, დაბეჭდვის ღირსად და ამ ტექსტის გარკვეული ფრაგემნტები გადამუშავებული და სახეცვლილი მის უფრო დიდ და ამბიციურ პროექტში ,,ულისეში'' გამოიყენა.

თუმცა, ეს თექვსმეტგვერდიანი ხელნაწერი, რომელიც ჯოისს რვა დიდი ფორმატის ქაღალდის ორივე გვერდზე გადაუწერია, მრავალ შეკითხვას აღძრავს. რატომ უნდა გადაეწერა ავტორს არასტანდარტულ ქაღალდზე, რომელიც ჩვეულებრივ ფანქრით ჩანახატებისთვის გამოიყენება და არა ნაწერისთვის, და თანაც გადაეწერა, როგორც ელმანი ამბობს ,,საუკეთესო კალიგრაფიული ხელწერით'' ჩასწორებებისა და გადაშლების გარეშე (მაშინ, როცა ჩვეულებრივ ჯოისის ხელნაწერები ძალიან ძნელად იკითხება უხვი ჩასწორებებისა და მინაწერების გამო) ისეთი ტექსტი, რომელიც მისთვის არაფერს ნიშნავდა? საფიქრებელია, რომ ჯოისი დარწმუნებული იყო, რომ ეს ტექსტი ადრე თუ გვიან ყურადღებას მიიქცევდა, გამოქვეყნდებოდა და მისი ბოლო გზავნილი გახდებოდა მკითხველისა და მკვლევარებისთვის, რითაც კიდევ ერთ თავსტეხად იქცეოდა მის მრავალ ენიგმათა შორის.

წინამდებარე გამოცემა ზუსტად მიჰყვება ჯოისის ხელნაწერს, ანუ წიგნის ყოველი ნაბეჭდი გვერდი ჯოისის ხელნაწერ გვერდს იმეორებს.

5. მერვე თავს პირობითად დროისა და მდინარის დინება შეგვიძლია ვუწოდოთ და იგი პირველი წიგნის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს; მაშინ როცა პირველი შვიდი თავის განმავლობაშია ანა ლივია პლურაბელი იგერიებს და ცდილობს ,,ჩამორეცხოს“ ჰამფრი ჩიმპდენ ეარვიკერის, ფინეგანისა თუ შემის/შონის გარშემო არსებული კონფლიქტი თუ ჭორები, ,,რეცხვა“ ამ თავში მთავარ თემად წარმოგვიდგება. ჯოისი ამ ეპიზოდით გვიჩვენებს, რომ მთელი კაცობიობის ისტორია, ენებიცა და კულტურაც სხვა არაფერია თუ არა ,,ჭუჭყის ლაქა'', რომლის ,,გახეხვასაც'' და თეთრეულიდან ამოყვანას ამ თავში ორი მრეცხავი ქალი ცდილობს.

სხვა თავებისაგან განსხვავებით, მერვე თავი ,,მდინარებს“, ,,მიედინება“, ამიტომაცაა ეს თავი მდინარესავით ერთდლროულად ჰაეროვანი და მუსიკალური, ხოლო ალაგ-ალაგ ბობოქარი და დაუდგრომელი.

რომანში ,,ღამისთევა ფინეგანისათვის'' ჯოისი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ვიზუალიზაციას და ნაწარმოების განმავლობაში არა ერთ დიაგრამას, სიმბოლოსა თუ „ნახატს'' ვხვდებით. ამ კუთხით ძალზე

საინტერესოა მერვე თავის დასაწყისი, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს.

6. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სასწავლო ლექსიკოგრაფია იქცა ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ წამყვან ჟანრად დიდ ბრიტანეთში. იგი დაკავშირებულია ისეთ ცნობილ ბრიტანელ მეცნიერთა სახელებთან, როგორებიც არიან: ჰაროლდ პალმერი, ალბერტ ჰორნბი და მაიკლ უესტი. ამ ჟანრის განვითარებას ბიძგი მისცა ინგლისური ენის შესწავლისადმი გაზრდილმა ინტერესმა მთელს მსოფლიოში, აგრეთვე მეცნიერულმა მიდგომამ ენების, განსაკუთრებით კი - ინგლისური ენის სწავლებისადმი. პირველი სასწავლო ლექსიკონები იაპონიაში შეიქმნა გასული საუკუნის 20-იან წლებში ტოკიოს „ინგლისური ენის სწავლების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“, რომლის დირექტორი 1923 - 1936 წლებში ჰაროლდ პალმერი იყო.

1927 წელს ზემოხსენებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალა ინგლისური ენის „ლექსიკური მინიმუმის“ შემუშავება (controlled vocabulary). ლექსიკურ მინიმუმში უნდა შესულიყო ის სიტყვები (1000 - 2000 სიტყვა), რომელთა ცოდნაც ენის შემსწავლელს ყოველდღიური კომუნიკაციის დამყარების საშუალებას მისცემდა. მეცნიერებმა სხვადასხვა მეთოდი შეიმუშავეს ლექსიკურ მინიმუმში შესატანი სიტყვების დასადგენად, მოგვიანებით კი ეს სიტყვები იქცა სასწავლო ლექსიკონების შედგენის ძირითად „საშენ აგურებად“. პირველი თაობის სასწავლო ლექსიკონებში 20.000 ან მეტი ინგლისური სიტყვა განიმარტებოდა 1500 - 2000 სიტყვის მეშვეობით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ელექტრონული კორპუსების განვითარებამ წარმოშვა მეორე თაობის სასწავლო ლექსიკონები, რომელთა პირველი ნიმუში კობილდის ინგლისური ენის ლექსიკონი იყო. ლექსიკონი შეადგინეს ბირმინგემის უნივერსიტეტში ჯონ სინკლერის ხელმძღვანელობით და მასზე მუშაობის ყოველი ეტაპი (მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა დამუშავება და სხვა) ეფუძნებოდა ამავე უნივერსიტეტში შექმნილ კორპუსს. ამ პერიოდიდან ელექტრონული კორპუსები და სიხშირული პრინციპით შერჩეული სალექსიკონო მასალა (სიტყვები, მნიშვნელობები, შესიტყვებები, ფრაზული ზმნები, იდიომები, საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები) იქცა სასწავლო ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად.

დიდი ხნის განმავლობაში სასწავლო ლექსიკონებად ითვლებოდა მხოლოდ ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონები. უკანასკნელ წლებში ენათმეცნიერები და განათლების სფეროს წარმომადგენლები ალაპარაკდნენ ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების დიდ საჭიროებაზე და მათს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უცხო ენების სწავლების საქმეში. დამუშავდა ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების შედგენის სხვადასხვა მეთოდი, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია დიდი ორენოვანი ლექსიკონის სასწავლო ლექსიკონად გარდაქმნის მეთოდი.

„ინგლისურ-ქართულ სასწავლო ლექსიკონზე“ მუშაობისას ჩვენ ეს მეთოდი ავირჩიეთ და ათი წლის წინ დაიწყო „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მასალის გარდაქმნა სასწავლო ლექსიკონად. დიდი ლექსიკონის გარდაქმნის პროცესი მექანიკური არ ყოფილა. „დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში“ მაქსიმალურად სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია არქაულ და მოძველებულ მნიშვნელობათა ჩათვლით, შესიტყვებები, ფრაზეოლოგიური ერთეულები. სასწავლო ლექსიკონში კი მასალის შერჩევა მთლიანად სიხშირულ პრინციპს დაეფუძნა. გარდა ამისა, ინგლისური ენა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ საჭირო გახდა ახალი მნიშვნელობების დამატება დიდი ლექსიკონის სიტყვა-სტატიებისათვის, საილუსტრაციო მასალის შეცვლა სასწავლო ლექსიკონისათვის უფრო შესაფერისი ფრაზებითა და წინადადებებით და სხვა. უფრო მეტიც, სასწავლო ლექსიკონში შეტანილი ცვლილებები თავად იქცა „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის“ განახლების წყაროდ და საფუძვლად.

7. მარჯორი უორდროპს საქართველოში უპირატესად იცნობენ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელსა და ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს. მარჯორის ლექსიკოგრაფიული მასალების შესახებ პირველი ინფორმაცია ქართულ სამეცნიერო სივრცეში 1998 წელს გამოჩნდა, როდესაც პროფესორმა მარიკა ოძელმა გამოაქვეყნა მონოგრაფია ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის შესახებ (ოძელი 1998). ამ წიგნში მან პირველად აღწერა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში დაცული მარჯორი უორდროპის ინლისურ-ქართული ლექსიკონი.

2014 წელს თ. მარგალიტაძე და მ. ოძელი სამეცნიერო მივლინებით იყვნენ დიდ ბრიტანეთში, კერძოდ

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. მივლინება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. ლექსიკონების მასალის ფოტოასლები ჩამოტანილ იქნა საქართველოში, ლექსიკონები გაციფრდა და მომზადდა გამოსაცემად კომენტარებით.

ლექსიკონის მასალის გაციფრებაში მონაწილეობდნენ ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო მოდულის სამი თაობის სტუდენტები.

წელს მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა და 2019 წელი მის წლად გამოცხადდა. სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღს და ქართული კულტურის ისტორიისათვის ამ დიდ ფიგურას მიეძღვნა მისი „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სრულად გაციფრებული ვერსიის გამოქვეყნება კომენტარებით. მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ დაუმთავრებელია, ვფიქრობთ ეს ნაშრომი ამ უნიკალური ბრიტანელი ქართველოლოგის კიდევ ერთ საინტერესო წახნაგს წარმოაჩენს და ქართული ენის, ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის გაწეული დიდი მუშაობის ახალ ფურცელს შლის ქართველი მკითხველისათვის.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა კობეშავიძე	Español ISBN 978-9941-8-1555-3	თბილისი Marine Kobeshavidze Español მარინე კობეშავიძე ესპანური ენა	540
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სახელმძღვანელოს მიზანია, შესძინოს სტუდენტებს ესპანური ენის პრაქტიკული ცოდნა. წიგნი შედგება 34 გაკვეთილისგან, რომლებშიც შეტანილია ყოველდღიურ ლექსიკაზე დაფუძნებული თემები; გაკვეთილები ასევე მოიცავს ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას, რაც დაეხმარება ესპანური ენით დაინტერესებულ პირებს ენის ათვისებაში. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ესპანური ენის დამოუკიდებლად შესწავლის მსურველთათვის.			

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა გელაშვილი	ჯონათან სვიფტი, ზღაპარი კასრზე და სხვა ესეები. ISBN 978-9941-8-1802-8	თბილისი, 2019 პოეზია პრეს	გვ. 7-19
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კრებულის ,,ჯონათან სვიფტი, ზღაპარი კასრზე და სხვა ესეები'' წინასიტყვაობაში წარმოდგენილია ჯონათან სვიფტის ცხოვრება და შემოქმედება, გაანალიზებულია მისი შემოქმედებითი პრონციპები და თავისებურებები. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული სვიფტის როგორც სატირულ-პაროდიული				

ჟანრის პამფლეტის ოსტატობასა და ღვაწლზე, მათ შორის მის ესეებზე ,,ზღაპარი კასრზე'', ,,მოკრძალებული წინადადება'', ,,ესე მუსაიფის ხელოვნებაზედ'' და სხვ.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბელა ხაბეიშვილი	Le français dans le contexte de l'enseignement des langues étrangères en Géorgie Approche diachronique	Scripta manent დეკემბერი 2019	თბილისი	7
2.	ბელა ხაბეიშვილი	L'enseignement du français en Géorgie Le début des pratiques d'enseignement/apprentissage	Scripta manent დეკემბერი 2019	Scripta manent დეკემბერი 2019	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფრანგული ენა საქართველოში უცხოური ენების სწავლების კონტექსტში

დიაქრონული მიდგომა

უცხოური ენების სწავლა/სწავლებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქვეყნის არსებობის მანძილზე არჩეული თუ თავსმოხვეული კულტურული და პოლიტიკური სტრატეგიები, თავის იმხრივ, განსაზღვრავდა ლინგვისტურ პოლიტიკას. წარმოდგენილი ანალიზი საშუალებას გვაძლევს საქართველოში უცხოური ენებისსწავლა/სწავლების ერთიან კონტესტში განვიხილოთ ფრანგული ენის როლი და მისი ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ფრანგული ენის სწავლება საქართველოში სწავლა/სწავლების საწყისებთან

ფრანგული ენის სწავლება საქართველოში, საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს ეფუძნება. ისტორიულ წყაროთა შესწავლა, რომელიც მოიცავს პერიოდს მე-17 ს.-ის 20-იანი წლებიდან მე-19 ს.-ის 70-იან წლებამდე საქართველოში ფრანგული ენის სწავლა/სწავლების ძირითადი ასპექტების (სასწავლო დაწესებულებები, პედაგოგიური პერსონალი, რესურსები, მეთოდოლოგია) გაანალიზების საშუალებას გვაძლევს.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**გ.ყუფარაძე,** ც,ახვლედიანი	**ფრანგულ და ინ-გლისურ ეკოლო-გიურ ტერმინთა ფუნქციონირების თავისებურებანი ISSN 1987-7232**	„ენა და კულტურა“ №21	თბილისი, საქართველო. „მერიდიანი“ Meridiani777@gmail. com	გვ. 69-72 (4)

2	**გ.ყუფარაძე,** ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	**ინგლისურ და ფრანგულ პარე-მიულ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი ISSN 1987-7232**	„ენა და კულტურა“ №22	თბილისი, საქართველო. „მერიდიანი“ Meridiani777@gmail.com	გვ. 9 -13 (5)
3	**გ.ყუფარაძე,** ც,ახვლედიანი	**ინგლისურნოვან ნასესხობათა ადაპ-ტაცია ფრანგულ ენაში ISSN 1987-6653**	„საენათმეცნიე-რო ძიებანი“ ტ. 41.	თბილისი, საქართველო, www.ice.ge	გვ. 49-54 (6)
4	**გ.ყუფარაძე,** ც,ახვლედიანი	**მეტაფორული ტერმინები ფრანგულ და ინგლისურ ენათა ანატომიურ ტერმინოლოგიაში ISSN 1512-0473**	„ენათმეცნიერებ-ის საკითხები“	თბილისი, საქართველო, www.press.tsu.edu.ge	**(იბეჭდება)**
5	ნინო დარასელია	მეტონიმია და მეტაფორა სახის აღმნიშვნელ ქართულ ლექსიკურ ერთეულებში ISSN 1512-1941; ISBN 978 -9941-13-795-2	ცივილიზაციური ძიებანი/Civilization Researches # 17 Unesco Chair of Intercultural Dialogue, TSU Press, 2019	თბილისი, საქართველო,	იბეჭდება
6	ირინე დემეტრაძე	The Word “Health” from the Etymological, Semantic and Pragmatic Viewpoints“ (on the material of English, Georgian and Russian languages). ISSN 1512-1941	ცივილიზაციური ძიებანი, N 16, 2019	თბილისი, საქართველო,	6
7	ირინე დემეტრაძე	„სიტკბოს ცნება ინგლისურ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტში“. ISSN 1987-6653	საენათმეცნიერო ძიებანი, N.40, 2019	არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. თბილისი	7
8	ირინე დემეტრაძე	მადლიერების გამოხატვა სოციალურ ქსელებსა და ვირტუალურ მიმოწერაში	სპეკალი, ნომერი 14, 2019	თსუ	9

		(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე) ISSN – 1987-8583			
9	ირინე დემეტრაძე	Phraseological Units with Somatic Components: Threats and Benefits. (On the Material of English and Georgian Languages) ISSN 1512-1941	ცივილიზაციური ძიებანი, N 17, 2019	თსუ	10
10	მანანა გელაშვილი	"Oxen of the Sun": Problem of its Adequate Translation into Georgian. In: James Joyce and the World.	James Joyce and the World. მიღებულია დასაბეჭდად	თბილისი, საქართველო,	14 გვერდი
11	დავით მაზიაშვილი	შექსირის „იულიუს კეისარი" ქართულ სცენაზე ISSN 1987-8583	სამეცნიერო რეცენზირებადი ბილინგვური ელექტორნული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი" გამოქვეყნდება N14/2020	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15 გვერდი
12	დავით მაზიაშვილი	შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ ISSN 2298-0954	საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი" 2019/ნოემბერი 7 (285)	თბილისი, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია „არილი"	8 გვერდი
13	ინესა მერაბიშვილი	სემანტიკიდან თარგმანის ლინგვისტიკამდე	საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკად. თამაზ გამყრელიძის დაბადების 90 წლისთავისადმი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	26 გვერდი
14.	ლ.ებრალიძე	„ლექსიკური ტრანსფორმაციები მხატვრულ თარგმანში" (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე) ISSN 1987-7323	სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა" #21,	ქუთაისი 2019 გამომცემლობა „მერიდიანი"	6 გვერდი

15	ლ. ებრალიძე	Color Idioms and Their Georgian Equivalents. E ISSN 234-8146	Online Journal of Humanities, Issue IV	Tbilisi 2019	10 გვერდი
16	მ.ანდრაზაშვილი	რიჰარდ მეკელაინი და პირველი თაობის ქართული ემიგრაცია ბერლინში	„ცივილიზაციური ძიებანი” N 17, 2019. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. თსუ გამომცემლობა: ISBN 978-9941-..., ISSN...	გადაცემულია დასაბეჭდად თსუ გამომცემლობაში და დათარიღდება 2019 წლით	20 გვერდი (ინგლისურენოვანი ანოტაციითურთ)
17	კონსტანტინე ბრეგაძე	“იდეოლოგიური დისკურსის ფუნქციონირება ტოტალიტარული რეჟიმის ოფიციალურ ტექსტებში (სტალინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის მასალების მიხედვით)” (გვ. 68-95) **ISSN 1512-2514**	„სჯანი“. ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და კომპარატივისტიკაში, # 20/I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	27 გვ.
18	კონსტანტინე ბრეგაძე	„სტალინიზმის დეკონსტრუქცია და ანტირუსულ-ანტიკოლონიური დისკურსი გურამ რჩეულიშვილის ნოველაში *სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები*“ (იბეჭდება) **ISSN 0235-3776**	„ლიტერატურული ძიებანი“, XL	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	
19	ქეთევან გაბუნიაციური ახვლედიანი	ფრანგული სარეკლამო ტექსტების ესთეტიკური ფუნქციისა და დინამიკური ექვივალენტობის შენარჩუნების თავისებურებანი	samecniero referirebadi Jurnali “ena da kultura”, N 21	ქუთაისი	5 გვ

		ქართულ თარგმანში			
20	ქეთევან გაბუნია მირანდა ლომიძე ციური ახვლედიანი	მოტივაციის აუცილებლობა ფრანგული ენის სწავლებისას ხმაბაძვათა კატეგორიზაცია და ფორმალიზაცია /ფრანგული ენის მასალაზე/	Jurnali “frankofoniis axali aspeqtebi, bursa II – enebi da kulturebi”	“ევროპული უნივერსიტეტების გამოცემა”, 2019.	4გვ
21	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	ფრაზეოლოგიური სინონიმიის თავისებურებანი /ფრანგული ენის ზმნურ შესიტყვებათა მასალაზე/	saerTaS. samecn. Jurnali “Scripta manent”, N 1 (41),	თბილისი	4გვ
22	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	ნასესხობათა კლასიფიკაციები თანამედროვე ფრანგულ ენაში ფრაზეოლოგიის გამეორების საშუალებები /ფრანგული ენის მასალაზე/	saerTaS. samecn. Jurnali “Scripta manent”, N 2 (42)	თბილისი	5გვ
23	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	The methods and norms of transferring Spanish and Georgia proper names into Georgian Language. E ISSN 1512-3146 (online) ISSN 1987-9601 (print)	saerTaS. samecn. Jurnali “Scripta manent”, N 3 (43),	თბილისი	5
24	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	„COMPARATIVE STUDY OF PHRASEMES IN RUSSIAN, SPANISH, FRENCH AND GEORGIAN LANGUAGES.“ ISSN 2587-5434 (print) ISSN 2587-5523(online)	saerTaS. samecn. Jurnali “Scripta manent”, N 4 (44)	თბილისი	4გვ
25	მარინე კობეშავიძე, სოფიო		International Journal of Multilingual Education	Tbilisi.	7-15 pg.

26	ფეიქრიშვილი, ქეთევან ხუსკივაძე მარინე კობეშავიძე,	„ხარის კულტი, ესპანურ და ქართულ კულტურებსა და ენებში“, ISSN 1987-7390 პერფექტის მიმართებისათვის იტალიურ და ქართულ ენებში, ISSN 1987-7390	International Scientific-Pedagogical Organization of Philologist WEST-EAST Vol 2/2 N1 (October, 2019, Tbilisi)	Tbilisi	48-51
27	მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი	„Luigi Magarotto: La conquista del Caucaso nella letteratura russa dell'Ottocento. Puškin, Lermontov, Tolstoj.“ ISSN 0235-3776	Scripta Manent, სამეცნიერო ჟურნალი, საქართველო, N 4(36), **2017**, www,odageorgia.ge	თბილისი, საქართველო	გვ.31-40
28	მაია ჯავახიძე	Transforming Shem into Shermadin (Some Difficulties of Translating Chapter VII of Finnegans Wake)	Scripta manent #3 (43) 2019,	თბილისი 2019	გვ.46-52
29	სალომე კენჭოშვილი	ენა და კულტურის ეკოლოგია	„ლიტერატურული ძიებანი“, N40	თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა, 2019	5 გვ.
30	თამარ გელაშვილი	ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში	Collected Papers of the International Conference ‘James Joyce and the World’.	იბეჭდება	11 გვ.
31	თინათინ მარგალიტაძე	ენისა და სტილის დიმენსია ფრანც კაფკას	„აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე 2018“,	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტატიის მოცულობა - 11 გვერდი

		„პროცესში.“ ISBN 978-9941-25-583-0	საერთაშორისო კონფერენციის მასალები ISSN 2587 5485	ს გამომცემლობა, 2019.	
32	თინათინ მარგალიტაძე	ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები “სხვა“ კულტურათა ტექსტებში (გერმანულენოვანი ლიტერატურის მაგალითზე), ISSN: 2233-3401	„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში III“, საერთაშორისო კონფერენციის კრებული ISSN 1987-7625 ISBN 978-9941-462-86-3	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.	სტატიის მოცულობა - 11 გვერდი
33	სოფიო მუჯირი	პოეტური ენის სპეციფიკა ომის შემდგომ გერმანულ ლირიკაში“ (პაულ ცელანისა და ინგებორგ ბახმანის თეორიული შეხედულებების მაგალითზე)	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „ენა და კულტურა“ მასალები, 2019	ქუთაისი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 354-357
34	სოფიო მუჯირი	ISSN 1987-6823 პაულ ცელანი - ცხოვრება, შემოქმედება და ლირიკა - როგორც ინტერპრეტაციისა და ტრანსლაციის ობიექტი ISSN: 1512–4363	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის 25-27. 10.2019. ,,კულტურათაშორისი დიალოგები“მასალები	თელავი, „კულტურათაშორისი დიალოგები“, შრომები, 2019.	გვ. 376-383.
35	სოფიო მუჯირი	ინტერკულტურული კონტრასტები და კონტაქტები ენაში, ლიტერატურასა და ფილმში	ლექსმცოდნეობის სამეცნიერო სესია XI, ეძღვნება მ. ლებანიძეს 15-16.06.2019, მასალები. UDC(uak) 821.353.1. 09-1	შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	გვ.133-142.
36	სოფიო მუჯირი		საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა „კულტურათაშორისი კომუნიკაციები: N32, 2019.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 98-111.

37	სოფიო მუჯირი		საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ 01-02.11.2019. მასალები	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქუთაისი.	იბეჭდება

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გ. ყუფარაძე , ც. ახვლედიანი
ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა ფუნქციონირების თავისებურებანი
რეზიუმე

ფრანგული და ინგლისური ენების ეკოტერმინთა სისტემას გააჩნია დიდი სამეცნიერო გამომხატველობა, სიზუსტე და დეფინიციათა დახვეწილობა. ჩატარებული პოლიპარადიგმული ანალიზი მოწმობს, რომ ფრანგული და ინგლისური ენების ეკოტერმინთა სისტემა აგრძელებს აქტიურ განვითარებას, ივსება რა ახალი საკუთრივ ეკოლოგიური დენოტატებით, ასევე სიტყვათა და გამონათქვამთა ოკაზიონალური ხმარებითაც, სემანტიკური ტრანსფორმაციებითაც, სპეციალური ნაციონალურ-მარკირებული ასოციაციებით, რასაც ხელს უწყობს ეკოლოგიის პრობლემათა სოციალური აქტუალიზაცია.
ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ეკოლოგიის ახალი ტერმინები ხშირად წარმოიშვება ორი ფუძის შეერთებით (ფრანგ. **informatique, information + automatique;** ინგლ. **informatics**). ტერმინ-ნეოლოგიზმს შეიძლება ჰქონდეს ე. წ. ადამიანური ფუნქცია და ან გაკილოს, ან რეკლამა გაუკეთოს, მაგალითად, სასარგებლო პროდუქტებს. საკვები პროდუქტების ჯგუფისათვის, რომლებიც იმავდროულად, წარმოადგენენ ექიმების მოერ რეკომენდებულ პრეპარატებსაც, განმაზოგადებელი სახელწოდების შექმნისას, გამოყენებულია სიტყვა **alicament (aliment + médicament)**. იმავდროულად, გამოჩნდა სხვა ნეოლოგიზმებიც **(médicaliment, nutraceutique, nutriceutique)**, მაგრამ საფრანგეთისა და კანადის ფრანგულ ენაში ისინი ვერ დამკვიდრდა. ეს მოწმობს ასეთი ნეოლოგიზმების ოკაზიონალურ ხასიათს. კერძოდ, კვებეკის პროვინციაში, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საკვებ პროდუქტებს უწოდებენ **aliment fonctionnel**, რაც წარმოადგენს სრულ კალკირებას ინგლისური ტერმინისა **functional food**.

გ. ყუფარაძე , ც. ახვლედიანი, ქ. გაბუნია

ინგლისურ და ფრანგულ პარემიულ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი

რეზიუმე
პარემიათა ეთნოკულტურული სპეციფიკა ნათლად ვლინდება ისეთი იდენტური ენობრივი მაგალითების შეპირისპირებისას, როგორებიცაა ანდაზები და თქმები; მათი შეპირისპირება გვაძლევს საშუალებას, რომ ერთდროულად გავაცნობიეროთ თითოეული ენის კულტურული თავისებურება და გამოვავლინოთ ის საერთო, რაც მათ გააჩნიათ. ინგლისურ და ფრანგულ პარემიათა შეპირისპირება გვიადვილებს ამ ენათა სამყაროს ენობრივი სურათებისა და მათზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურული ფასეულობების უკეთ გაგებას, ასევე მათ ხატოვან სისტემაში შეღწევას.
ერთეულთა ამ პლასტის შეპირისპირება საშუალებას იძლევა, რომ ერთდროულად შევიცნოთ თითოეული ენის კულტურული თავისებურება და გამოვავლინოთ მათი საერთო ნიშნები; ასევე უკეთ გავიგოთ ამ ენათა სამყაროს ენობრივი სურათები და ხალხთა კულტურული ფასეულობები, გავაცნობიეროთ მოცემულ ენათა თავისებურებები და ღრმად ჩავწვდეთ მათ ხატოვან სისტემებსა და აზრებს. კვლევისას გამოყენებულია შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ დავადგინოთ არა მარტო ანალოგიური ფუნქციების მქონე ფაქტები და მოვლენები,

არამედ განვსაზღვროთ ის ადგილიც, რომელიც მათ უჭირავთ თავიანთ მიკროსისტემებშიც.

გ. ყუფარაძე , ც. ახვლედიანი

ინგლისურნოვან ნასესხობათა ადაპტაცია ფრანგულ ენაში

რეზიუმე

უცხოურენოვანი ლექსიკის სესხების პროცესი ახასიათებს ენათა დიდ რაოდენობას. XXI საუკუნეში, ენათაშორისი სესხების მოვლენამ ჭეშმარიტად დიდ მასშტაბებს მიაღწია. ბოლო ათწლეულებში, სხვა ევროპულ ენებთან ერთად, ფრანგული ენაც განიცდის ინგლისურენოვანი სამყაროს ძლიერ ექსპანსიას. ფრანგულ ენაში, ანგლიციზმები არა რის ერთგვაროვანი და ისინი წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე: ლექსიკური ნასესხობები, ცალკეულ სიტყვამაწარმოებელ ელემენტთა სესხება, ინგლისურ საწარმოთქმო ჩვევათა გავლენა ფრანგული მეტყველების ჟღერადობაზე.
ინგლისურიდან ფრანგულ ენაში ნასესხები სიტყვები, შესაძლებელია, ეხებოდეს ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: საყოფაცხოვრებო თემატიკიდან ტერმინოლოგიამდე. აღსანიშნავია, რომ სესხების პროცესში, ენა პასიურად არ ითვისებს უცხო სიტყვას. სესხების პროცესის « კლასიკური » გაგებით, ინგლისური სიტყვა ეგუება ფრანგული ენის სისტემას და ხდება მისი ორგანული ნაწილი: **Bull-dog – bueldogue, baby – bébé.** ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დღეს ანგლიციზმები ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენენ თანამედროვე ფრანგული ენის განვითარებისათვის.

გ. ყუფარაძე , ც. ახვლედიანი

მეტაფორული ტერმინები ფრანგულ და ინგლისურ ენათა ანატომიურ ტერმინოლოგიაში

რეზიუმე

კოგნიტიური ტერმინთმცოდნეობისადმი მიძღვნილ კვლევებში, მეტაფორული ტერმინთწარმოება არის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულება. სამეცნიერო დისკურსის საფუძველს წარმოადგენს ტერმინოლოგია. სამეცნიერო დისკურსი ბევრად ჰგავს კომუნიკაციის სხვა სფეროებს, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, სხვა სფეროთა მსგავსად, იკვლევს სამყაროს მრავალფეროვან ასპექტებსა და ფენომენებს, ამ საქმეში კი მეტაფორა ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორც მეცნიერული შემეცნების (ცოდნის) ინსტრუმენტი. ეყრდნობა რა ანალოგიის კანონს, როგორც ადამიანური გონის უნივერსალურ კოგნიტიურ უნარს, ენის მატარებელს გადააქვს რაიმე წარმოდგენა ერთი სფეროდან მეორეზე და ამგვარად იძენს ახალ ცოდნას. კოგნიტიურ-დისკურსულ პარადიგმაში, ასეთი კოგნიტიური მექანიზმი იწოდება კონცეპტუალურ ინტეგრაციად.
ტერმინოლოგიური მეტაფორა იქცევა მიღებულ ცოდნათა დამუშავების ეფექტურ საშუალებად, შეუფარდებს რა რაიმე ახალ მოვლენას ადამიანის კოგნიტიურ ბაზაში უკვე არსებულ გამოცდილებას და ასრულებს მნიშვნელოვან ევრისტიკულ ფუნქციას.
თუ ერთი კონცეპტი გაიგება სხვა კონცეპტის ტერმინებით, მაშინ საქმე ეხება « კონცეპტუალურ მეტაფორას », რომელიც ეფუძნება ურთიერთობებს წყაროსა და ნიშანს შორის. ტერმინოლოგიური მეტაფორა პერცეფციულად მარტივია, ის უადვილებს ადამიანს ამა თუ იმ რთული სამეცნიერო მოვლენის გაგებას. როგორც წესი, მეტაფორული ტერმინი ხელს უწყობს ვეებერთელა, მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური ერთეულის შეცვლას.
ჩვენი ნაშრომის განხილვის საგანია ფრანგული და ინგლისური ენების ანატომიური ტერმინოლოგია, კონკრეტულად კი, მეტაფორული ნომინაცია ანატომიურ ტერმინოლოგიაში. ნაშრომის მიზანია გამოვავლინოთ ფრანგული და ინგლისური ენების ანატომიურ ტერმინოლოგიაში ტერმინ-მეტაფორათა ძირითადი წყაროები. კონცეპტუალურ-სემანტიკური ანალიზისას გამოვლინდა აღნიშნულ ტერმინოლოგიაში მეტაფორული ნომინაციის ძირითადი წყარო-სფეროები: « არქიტექტურა », « ტანსაცმელი », « გეომეტრიული ფიგურები » და « ხე ». ანატომიურ დისკურსში, ანატომიურ ობიექტთა მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პროცესში, აღნიშნულ სფეროთა პროდუქტიულობა აშკარად ვლინდება; ასევე აშკარაა ამ სფეროთა პრინციპიალური მსგავსება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ანატომიურ ობიექტთა მომდევნო ნომინაციებით მეტაფორული გადააზრება. როგორც ჩანს, სამყაროს ტერმინოლოგიური

სურათი სპეციალისტისათვის მჭიდრო კავშირშია საერთო ცოდნასთან, ასევე სხვა მეცნიერებათა და დარგთა ცოდნასთან.

5. ნ. დარასელია: სპეციალური ლიტერატურის თანახმად, სახის, როგორც ადამიანის სხეულის ნაწილის, მნიშვნელობა განპირობებულია გარკვეული ბიოლოგიური ფაქტორებით და იმ ფუნქციებით, რომელსაც ის ასრულებს; ის არის ადამიანის, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური იდენტობის მაჩვენებელი; ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მასზე აისახება ჩვენი გრძნობები და ემოციები, ინტენციები და მენტალური მდგომარეობა; ღირებულია სახის ინტერაქციული ფუნქცია - კომუნიკაციისას ჩვენი სახე მიმართულია ჩვენი კომუნიკანტისაკენ. სწორედ ადამიანის სხეულისათვის სახის ასეთმა მნიშვნელობამ განაპირობა მულტიდისციპლინარული ინტერესი მისდამი (Marmaridou 2011; Sifianou 2013;Yu 2001).

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს სახის აღმნიშვნელ ქართულ ლექსიკურ ერთეულებს და მათთან დაკავშირებულ მეტონიმიისა და მეტაფორის შემთხვევებს ლექსიკური სემანტიკის,კოგნიტიური ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის თვალსაზრისით.

ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დაადგინოს თუ რა მიმართებაშია სახესთან დაკავშირებული ხატოვანი გამოთქმები ქართულ კულტურულ მოდელთან.

ემპირიული მასალის შეგროვებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი წყაროები: ავტორიტეტული ლექსიკონები, ქართული ენის კორპუსები, ინტერნეტ ვებგვერდები.

ნაშრომში კომპონენტური ანალიზისა და დისტრიბუციული მეთოდების გარდა განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კონცეპტუალური მეტაფორისა და მეტონიმიის იდენტიფიცირების პრინციპებს.

6. სტატია ეხება სიტყვას „ჯანმრთელობა“ და მის ასახვას ინგლისურ, ქართულ და რუსულ სამეტყველო ეტიკეტში. მოცემული სიტყვა სამივე საკვლევ ენასთან მიმართებით შესწავლილია ეტიმოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისებით. კვლევამ აჩვენა, რომ სამივე კულტურაში ჯანმრთელობის ცნებას ემყარება არაერთი ფატიკური გამონათქვამი და თავაზიანობის ფორმულა. ჯანმრთელობის ცნებაზე დამყარებული გამონათქვამები შეადგენს შემდეგი სამეტყველო აქტების განუყოფელ ნაწილს: მისალმება, დამშვიდობება, დალოცვა, მილოცვა და თანაგრძნობის გამოხატვა.

7. მოცემული სტატიის მიზანი იყო სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების რეალიზაციის შესწავლა ინგლისურ და ქართულ მიმართვის ფორმებსა და ფატიკურ კომუნიკაციაში.სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული სიტყვები ხშირად გვხვდება ინგლისურ და ქართულ მიმართვის ფორმებში, განსაკუთრებით, ახლობელ ადამიანებთან არაოფიციალური ურთიერთობისას, თუმცა, ქართულ ყოფაში შესაძლოა შეგვხვდეს ოფიციალურ მიმართვაშიც.როგორც კვლევამ აჩვენა, სიტკბოს ცნება ფართოდაა წარმოჩენილი ინგლისურ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. სიტყვა „ტკბილის“ და მისი სინონიმების შემცველი გამონათქვამები ხშირად გვხვდება ფატიკურ კომუნიკაციაში. რაც შეეხება განხვავებებს მოცემულ ორ საკვლევ ენას შორის, ინგლისურ სამეტყველო ეტიკეტში სიტყვა „ტკბილი“ უფრო ხშირად გამოიყენება ქათინაურებსა და მადლიერების გამომხატველ ფორმულებში, ხოლო რაც შეეხება ქართულ სამეტყველო ეტიკეტს, აქ სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული ენობრივი ერთეულები უფრო ფართოდაა ასახული დალოცვის ფორმულებსა და სადღეგრძელოებში.

8. სტატიაში განხილულია მადლიერების გამოხატვის ვერბალური და არავერბალური საშუალებები ინტერნეტ-მიმოწერასა და სოციალური ქსელებში კომუნიკაციისას. კვლევის ძირითადი სფეროებია პრაგმატიკა და სოციოლინგვისტიკა. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ენის ფუნქციები, სამეტყველო აქტების თეორია, თავაზიანობის თეორია და კულტუროლოგია. ემპირიული მასალა აღებულია ვირტუალური მონაცემებიდან, კერძოდ, ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელიდან –

Facebook. საანალიზო მასალად აღებულია ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნილი წერილები, პირადი შეტყობინებები, ე.წ. „კედელზე დადებული პოსტები“ და კომენტარები. კვლევის შედეგები საინტერესოა პრაგმატიკის, სოციოლინგვისტიკის, სამეტყველო აქტების თეორიის, ენის ფუნქციების, სამეტყველო ეტიკეტის და თავაზიანობის თეორიის სფეროებით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

9. მოხსენება ეხება ინგლისურ და ქართულ ენებში უხვად არსებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც შეიცავს სომატურ კომპონენტს. ეს ერთეულები ორივე ენასთან მიმართებით დეტალურად არის შესწავლილი ლინგვისტური პერსპექტივიდან. მოცემული სტატიის სიახლე იმაშია, რომ შესწავლილია საანალიზო ფრაზეოლოგიური ერთეულების გავლენა ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე. სტატიაში წამოდგენილია გულთან, თავთან, თვალთან, ყურთან, ხელ-ფეხთან და სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებული იდიომები. ისინი დაყოფილია დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მიხედვით, შესაბამისად, განხილულია დადებითი კონოტაციის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულების დადებითი გავლენა და ნეგატიური შინაარსის ფრაზეოლოგიური ერთეულების უარყოფითი გავლენა მოსაუბრისა და მსმენელის ჯანმრთელობასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

11. შექსპირის „იულიუს კეისარი“ ქართულ სცენაზე

შექსპირის „იულიუს კეისრის“ სტურუასეული ინტერპრეტაცია პოსტმოდერნისტულ მხატვრულ და იდეურ ჭრილშია გააზრებული. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია თემები და პრობლემები, რომელიც შექსპირის პიესის და სტურუას სპექტაკლის მთავარი იდეაა. სპექტაკლში შექსპირის მეტაფორა „მთელი მსოფლიო სცენაა“ გამოხატავს არა მხოლოდ თანამედროვე სინამდვილეს, არამედ ბიბლიურ, ფიქციურ და თეატრალურ რეალობას, რომელიც ინტერტექსტუალობისა და მეტა-თეატრის მხატვრული ტექნიკითაა წარმოდგენილი.

12. შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ

სტატიაში „შექსპირი პრექსიტის წინააღმდეგ“ შესწავლილია უილიამ შექსპირის ორი პიესა „ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „ცხოვრება და სიკვდილი მეფე რიჩარდ მეორისა“. პიესების პარალელურად განხილულია ლონდონის ნაციონალურ თეატრში 2018 წელს რეჟისორ საიმონ გოდვინის მიერ დადგმული სპექტაკლი „ანტონიოსი და კლეოპატრა“ და იმავე წელს რეჟისორ ჯო-ჰილ გიბინსის მიერ ლონდონის თეატრში „ალმეიდა“ დადგმული სპექტაკლი „ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა“. სტატიაში პიესები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციები შესწავლილია ლიტერატურული, შექსპირის ეპოქისა და თანამედროვეობის სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია, რომ დიდი ბარდის პიესებში წამოჭრილი იდეური, შინაარსობრივი, მითოლოგიური თემატიკა და ელიზაბეთის ეპოქის ინგლისის სოციო-პოლიტიკური ისტორიული რეალობა თანამედროვე სცენური ინტერპრეტაციების კონტექსტში პირდაპირ ეხმაურება თანამედროვე ინგლისსა და ევროპაში მიმდინარე ბრექსიტის პროცესებს. სტატიის შედეგები დასკვნაშია შეჯამებული. შექსპირი, მთელი მისი ჰუმანისტური სულისკვეთებით წარმოდგენელია დასავლელად, რომელიც იმთავითვე ევროპელობას ნიშნავდა, რადგან ყოველივე დასავლურის წყარო ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული სამყაროა.

13. სემანტიკიდან თარგმანის ლინგვისტიკამდე

სტატიის მიზანია, მოკლედ წარმოვადგინო ჩემი კვლევის ძირითადი შედეგები თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, დაწყებული სემანტიკიდან, ტექსტის ლინგვისტიკისა და თარგმანის ლინგვისტიკის ჩათვლით. მართალია, ეს კვლევა ასახულია გამოქვეყნებულ შრომებსა და მონოგრაფიებში, მაგრამ ერთ სტატიაში მათი თავმოყრა პირველად ხდება.

XIX საუკუნის დამლევს ფრანგი ფილოლოგი, მიშელ ბრეალი, მოუწოდებს ლინგვისტებს, რომ ფონეტიკისა და მორფოლოგიის გვერდით საჭიროა, ჩამოყალიბდეს მეცნიერების ისეთი ახალი დარგი, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის. ამ დარგისათვის მან წამოაყენა ტერმინი “la semantique”

– „სემანტიკა“, როგორც ბერძნულიდან ნაწარმოები სიტყვა, სადაც „სემა“ „ნიშანს“ ნიშნავს. 1897 წელს გამოდის მისი ნაშრომი, “Essai de sémantique”, და მასში სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც ოდითგანვე ერთ მთლიან უშლელ ერთობად განიხილებოდა, დაშლილია მნიშვნელობის მატარებელ სხვადასხვა ნაწილაკებად.


XX საუკუნეში სემანტიკას, როგორც ენათმეცნიერების დარგს, განვითარების დიდი ასპარეზი მიეცა. მოგვიანებით ენათმეცნიერები იტყვიან, რომ **სიტყვის მნიშვნელობის სემებად დაშლა ისეთივე დიდ გადატრიალებას ნიშნავდა ენათმეცნიერებაში, როგორც ატომის დაშლა – ფიზიკაში.**

სემანტიკურ კვლევას განსაკუთრებით ნაყოფიერ ასპარეზს პოეტური ტექსტი სთავაზობდა. უფრო მეტიც, პოეტური ტექსტი თავად მოითხოვდა მისი თავისებურებების ახლებურ და სიღრმისეულ შესწავლას. ამგვარად, სემური ანალიზი, რომელიც აგრეთვე კომპონენტური ანალიზის სახელითაა ცნობილი, მძლავრ ლინგვისტურ ტალღად იქცა, როგორც დასავლეთში, ასევე მაშინდელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში სემასიოლოგიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ცნობილი ანგლისტის, პროფესორ მერი იანქოშვილის საქმიანობამ.

აშკარაა, რომ პოეტის ხელში სიტყვა განიცდის მოქნილ სახეცვლილებას, რომლის აღწერა არ ემორჩილება ჩვეულებრივ ორდინარულ ლოგიკას, და რომელსაც, ფსიქოლოგების მსგავსად, უფლება გვაქვს, ვუწოდოთ „განსხვავებული ლოგიკა“. მიუხედავად ამისა, სემასიოლოგიური ანალიზი ამ განსხვავებულ ლოგიკას ახსნადსა და გასაგებს გახდის.

სემასიოლოგიამ, გააღრმავა რა სიტყვის მნიშვნელობის შესწავლის საკითხი, ამით, ფაქტობრივად, გამოავლინა სიგნიფიკატის, ანუ ცნების მიმართება მასში ასახულ რეალობასთან.

მიშელ ბრეალის ნაშრომის გამოქვეყნებიდან საუკუნის მეოთხედის შემდეგ, ინგლისელმა ენათმეცნიერებმა, ოგდენმა და რიჩარდზმა სიტყვის მნიშვნელობა სემანტიკური სამკუთხედის სახით წარმოადგინეს, როგორც ნომინაციის, ანუ სიტყვის გარეგანი ფორმის, სიგნიფიკატის, ანუ მასში ასახული ცნებისა, და რეფერენტის, ანუ რეალური სამყაროს ასასახი საგნის, ერთობა:



იქიდან მოყოლებული დღემდე, აღნიშნულმა სემანტიკურმა სამკუთხედმა მრავალი ახალი ინტერპრეტაცია და ვარიაცია განიცადა, დაწყებული მისი სამივე კომპონენტის სხვადასხვაგვარი სახელდებით (N – ნომინაცია, სიტყვა, სიმბოლო, ნიშანი; S – სიგნიფიკატი, ცნება, აზრი, მნიშვნელობა, რეაქცია; R – რეფერენტი, საგანი, დენოტატი, დესიგნატი, ობიექტი და ა. შ.), დამთავრებული მისი გვერდების ურთიერთობათა დაყვანით ხან ერთსა და ხან მეორე კომპონენტამდე.

სემანტიკური სამკუთხედის საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ვ. გ. გაკმა, როდესაც **სემანტიკური სამკუთხედის მხარეები აღმნიშვნელ-აღსანიშნის ბინარულ ოპოზიციაში განიხილა**. აღმოჩნდა, რომ აღმნიშვნელ-აღსანიშნი ენისა და მეტყველების დონეებზე სხვადასხვა სახით არის წარმოდ¬გენილი: ენის, როგორც სისტემის, დონეზე აღმნიშვნელად გვევლინება ნომინაცია, ანუ სიტყვის გარეგანი ფორმა, აღსანიშნში კი იგულისხმება საგანთა კლასის გამომხატველი ცნება ამ საგანთა კლასთან ერთობაში N ↔ S/D. მეტყველების დონეზე აღმნიშვნელია ცნების გამომხატველი სახელი, ხოლო აღსანიშნად გვევლინება დენოტატი, როგორც სინამდვილის კონკრეტული ელემენტი N/S ↔ D.


დენოტატის დიფერენცირებულმა შესწავლამ შემდეგი კითხვა წარმოშვა: **შეიძლება თუ არა, დენოტატი მივიჩნიოთ სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელ ნაწილად სიტყვის გარეგანი ფორმისა და მასში ასახული ცნების გვერდით?** არავინ დაობს იმაზე, რომ სიტყვა, თავისი ფორმითა და შინაარსით, ლინგვისტური მოვლენაა. ამ დროს ისიც უდავოა, რომ **დენოტატი მხოლოდ და მხოლოდ ექსტრალინგვისტური სინამდვილის, ჩვენი გარემომცველი რეალური სამყაროს საგანი ან საგანთა კლასია.**

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მეცნიერები ქმნიდნენ აზროვნებისა და მეტყველების ფსიქოლოგიურ სურათს, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ენის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის, ანალიზი მოითხოვდა მის შესწავლას აზროვნების ფარგლებს გარეთ არსებულ ცნობიერებასთან მიმართებაში, და რომ ენისა და ცნობიერების საფუძვლიანი გამოკვლევა იყო მომავლის გრანდიოზული პრობლემა. ენა და ცნობიერება დღეს საქმიანი მსჯელობის საგნად იქცა, მაგრამ, როგორც პრობლემა, იგი ჯერჯერობით კიდევ შესასწავლი და გადაუჭრელია.

ამდენად, პირველ ყოვლისა, დაისვა კითხვა: **როგორია სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურა, როგორც ადამიანის ცნობიერების გზით სინამდვილის ადეკვატური ასახვის შედეგი?**

ფიზიოლოგიისა და ლინგვოფილოსოფიის მიღწევათა საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ სიტყვის მნიშვნელობაში აისახება არა ექსტრალინგვისტური სამყაროს ობიექტი (რეფერენტი, დენოტატი და სხვა), არამედ მისი აზრობრივი და გრძნობითი ხატი, რომელსაც ჩვენ ლინგვისტური ხატი ვუწოდეთ.

ლინგვისტური ხატის არსებობის გამოვლენა უფლებას გვაძლევს, **სიტყვის მნიშვნელობა** სამი კომპონენტის ურთიერთობათა სახით წარმოვადგინოთ: **N – ნომინაცია; S – სიგნიფიკატი; I (image – ინგ. ხატი) – ლინგვისტური ხატი,** რაც გრაფიკულად ისევ სემანტიკური სამკუთხედის სახით შეგვიძლია, გამოვსახოთ:



კვლევა ნათელყოფს, რომ ლინგვისტური ხატი სიტყვის ისეთივე უცვლელი ოდენობაა, როგორც მისი სახელი, ანუ ნომინაცია, იქნება ეს სიტყვის უზუალური, თუ ოკაზიონალური მნიშვნელობა.

ლინგვისტური ხატი არამხატვრულ ორდინარულ ენაში მიყუჩებული და დაჩრდილულია. არამხატვრულ, მაგრამ ექსპრესიულ მეტყველებაში მოსაუბრე, თითქოს, სიტყვის მნიშვნელობის ფსკერს ეხება და იქიდან ამოზიდავს მის ხატოვანებასა და ექსპრესიას, რათა უფრო შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი გახადოს თავისი სიტყვა. დაახლოებით, ასეა პოეზიაშიც, ოღონდ, აქ სიტყვის ფსკერზე მიძინებული ხატი სიტყვის ოსტატის ხელში, ინდივიდუალური ხედვისა და შემოქმედებითი ნიჭის წყალობით, უკვე სასწაულებს ახდენს. ხატი სიტყვაშია, ვითარცა ჯინი ჭურჭელში, ოღონდ, მას თავისი ჯადოქარი სჭირდება, რათა ის სინათლეზე გამოიყვანოს და აუცილებლად ახალახალი სახეებით წარმოგვიჩინოს. ამიტომაც იყო, რომ პოეზიას ბოდლერმა „ჯადოსნური შელოცვა“ უწოდა. სიტყვის მაგიურობაზე გარკვევით მიანიშნებდა ალექსეი ლოსევი.

ენობრივ მოვლენათა სემანტიკურმა აღწერამ, ინფორმაციის თეორიის მეთოდიკის გამოყენებამ, მეტყველების აქტის ფსიქოლინგვისტურმა დასაბუთებამ, თუ სოციოლინგვისტურმა გამოკვლევებმა, საგრძნობლად გააღრმავეს ლინგვისტური ხედვის უნარი, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მისი კვლევის ობიექტის გაფართოება, კერძოდ, ის, რომ ენათმეცნიერება ვეღარ კმაყოფილდებოდა თავისი ტრადიციული ობიექტით – წინადადებით, და მის წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშალა – პერსპექტივა ტექსტის, როგორც ერთი მთლიანის, შესწავლისა, მისი წარმოქმნის სტრუქტურულ-სემანტიკური მექანიზმის ექსპლიცირებისა, პერსპექტივა, რომელიც სულ მალე აუცილებლობად გადაიქცა და მოზღვავებული ნიაღვარივით მოაწვა ლინგვისტურ თვალთახედვას. ყოველივე ეს **ტექსტის ლინგვისტიკის**, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, ჩამოყალიბებაში გამოიხატა. თუ სემასიოლოგიამ დაშალა სიტყვის მნიშვნელობა, ტექსტის ლინგვისტიკამ შეძლო შინაარსის ცალკეულ კომპონენტებად დანაწევრება.

რაც შეეხება ტექსტის წამყვან შინაარსობრივ მხარეს, აქ ი. რ. გალპერინი სამი სახის შინაარსობრივ პარამეტრს გვთავაზობს:

1. შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ცნობებს იმ ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ, როგორც რეალურ, ისე წარმოსახვით სინამდვილეში;

2. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, რომელიც აწვდის მკითხველს მოვლენებს შორის არსებული კავშირების ინდივიდუალურ-ავტორისეულ გაგებას;

3. შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია არამხატვრულ ტექსტს, იქნება ეს იურიდიული, ჟურნალისტური, აკადემიური თუ სხვა, იშვიათად ახლავს. მაგრამ იგი, უმეტესად, მხატვრულ ტექსტში, განსაკუთრებით, პოეზიაში ამოიკითხება. ი. რ. გალპერინის მიერ ქვეტექსტი დახასიათებულია, როგორც ფარული ინფორმაცია, რომელიც ამოიცნობა ფაქტობრივი ინფორმაციიდან, თანახმად ენის ნიშანთა თვისებებისა, წარმოშვან როგორც ასოციაციური, ისე კონოტაციური მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის აღნიშნული სახე განიხილება, როგორც ფაკულტატიური, რომელსაც ავტორი სუბიექ¬ტური ბუნების მქონედ წარმოგვიდგენს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის სუბიექტურობა, რომელსაც გულისხმობს მკითხველის მიერ კონკრეტული ტექსტის გააზრება მისეული ინტერპრეტაციის არაერთი ვარიანტის შესაძლებლობით.

კვლევამ აგრეთვე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ, გარდა ი. რ. გალპერინის მიერ გამოყოფილი სამი სახის შინაარსობრივი პარამეტრისა, მხატვრული ტექსტი აუცილებლად შეიცავს ისეთ შრეს ინფორმაციისა, რომელიც სიტყვებში მოქცეული ხატებით წარმოიქმნება, იმ ხატებით, რომელთაც ზემოთ **ლინგვისტური ხატები** ვუწოდეთ, რადგან სიტყვის უცვლელ გარეგან ფორმასთან ერთად სწორედ არსებული ხატები განაპირობებენ ტექსტის ხატოვანებას. ამგვარად, თანამედროვე ლინგვისტიკას ვთავაზობ ტექსტის კიდევ ერთ შინაარსობრივ პარამეტრს _ **შინაარსობრივ-ხატობრივ ინფორმაციას**.

ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი ტექსტის თარგმანი, ყველა შემთხვევაში, ამ ტექსტის ინტერპრეტაციის ფაქტია, ხოლო, თავდაპირველად, მისი შედეგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპრეტაცია არ უნდა იქნას გაგებული, როგორც პოეტური შინაარსის გამარტივება თარგმანში, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი მოვლენაა. ტექსტის მართებული ინტერპრეტაცია მთარგმნელის უპირველესი მოვალეობაა და ის საფუძვლად უდევს პოეტური ქმნილების ხორცშესხმას თარგმანში. აი, ასე იწყება **დედნისეული ტექსტიდან მიღებული პოლიფონიური შინაარსის არტისტული რეალიზაცია**. დედნისეული ტექსტის სიღრმისეული ინტერპრეტაცია ფილოლოგიურ გამოკვლევას უტოლდება, რაც, აგრეთვე, გულისხმობს თარგმანის გზით ორ კულტურას შორის არსებული კავშირების გათვალისწინებას.

ამდენად, სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური ანალიზი და ტექსტის შინაარსობრივი პარამეტრების დიფერენციაცია, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია, დიდ ასპარეზს გვთავაზობს, როგორც თარგმანმცოდნეობის განვითარებისათვის, ასევე თავად თარგმანის შესრულებისათვის, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მხატვრულ ტექსტს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ **სემანტიკისა** და **ტექსტის ლინგვისტიკის** მნიშვნელოვანი მიღწევები და ჩემეული მიგნებები **თარგმანის ფენომენს მივუყენე**, რათა თარგმანმცოდნეობას კიდევ უფრო მეტი პერსპექტივა შეეძინა, პერსპექტივა დედნისეული ტექსტის ანალიზისა და შემდგომში მისი სწორი რეალიზაციისა თარგმანში.

ასე შევეცადე, გადამეყვანა ქართული თარგმანის თეორია, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის დარგი, თარგმანის ლინგვისტიკის ახალ ლიანდაგზე, მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე თარგმანმცოდნეობა, როგორც ლინგვისტიკა, უკვე წარმატებით ვითარდებოდა.

ლინგვისტიკის მიღწევათა და ჩემეულ მიგნებათა გამოყენებამ შესაძლებლობა მომცა, შემექმნა **პოეტური თარგმანის ახალი თეორია,** რომელიც, პირველ ყოვლისა, სიტყვის შემეცნებაზე იქნებოდა აგებული, მაგრამ ამავე დროს, აუცილებლად მოგვცემდა ერთიანი ტექსტის ანალიზის მწყობრ სისტემას დედანსა და თარგმანში. ასეთი სისტემის თანახმად, იქმნება საკმაოდ მყარი და პერსპექტიული მეთოდოლოგია, რაც საშუალებას გვაძლევს, თარგმანის ანალიზისა და შეფასების დროს პასუხი გავცეთ, თუნდაც, შემდეგ კონკრეტულ შეკითხვებს:

1. როგორ ითარგმნა **სიტყვა** და როგორ აისახა დედნისეული სიტყვის **სემანტიკური სტრუქტურა** თარგმანში?

2. ასახულია თუ არა თარგმანში დედნისეული **ხატი** და რა ზიანი მიაყენა ტექსტს იმ შემთხვევამ, თუ ხატი უგულებელყოფილია თარგმანში?

3. ტექსტის მეორე ენაზე ტრანსფორმაციისას, როგორ გაართვა თავი მთარგმნელმა **შინაარსობრივ-ფაქტობრივ ინფორმაციას**?

4. რამდენად სწორად შეიმეცნა მთარგმნელმა დედნისეული ტექსტის **შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია** და როგორ ასახა ის თარგმანში?

5. რამდენად ჩასწვდა მთარგმნელი ტექსტის **შინაარსობრივ-ქვეტექსტურ ინფორმაციას** და რა გზით შეინარჩუნა ის თარგმანში?

6. როგორია ნათარგმნი ტექსტის **შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაციის** სურათი და როგორ შეესაბამება ის დედნისეულ შინაარსობრივ-ხატობრივ ინფორმაციას?

იმედია, გაწეული შრომა, ტექსტის ლინგვისტური ანალიზის გათვალისწინებით, უკეთ მიგვაახლებს იმ პოეტურ სიბრძნესა და სინატიფეს, რომელიც მაღალ პოეზიაშია მოქცეული, და რომელიც ფილოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიით შეიარაღებული მთარგმნელის გარეშე ვერ გასცდება მშობლიური ენის საზღვრებს და იქ საკადრის ადგილს ვერ დაიმკვიდრებს.

14. ნაშრომის თემაა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომელთა გამოყენებაც განპირობებულია დედანსა და თარგმანს შორის ეკვივალენტობის მიღწევის საჭიროებით იმ (ყველაზე ხშირ) შემთხვევებში, როდესაც წყარო და სამიზნე ენების ცალკეულ ელემენტებს შორის არ არსებობს

პირდაპირი (ერთი ერთზე) შესაბამისობა. Aამ პრობლემის გადასაჭრელად მთარგმნელს უხდება ისეთი ელემენტების მოშველიება, რომლებიც წყარო ტექსტის კომპონენტთა ზუსტ ეკვივალენტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ერთობლიობაში იმავე შინაარსს გადმოსცემენ და ისეთსავე ეფექტს ახდენენ, როგორსაც დედანი. ხსენებული საკითხი არაერთი მეცნიერის მიერ არის შესწავლილი, მაგრამ მოცემული ნაშრომი ეყრდნობა რეცკერისეულ კლასიფიკაციას. სტატიაში ტრანსფორმაციის სხვადასხვა მეთოდები ილუსტრირებულია მხატვრული ლიტერატურის ინგლისურიდან ქართული და ქართულიდან ინგლისური თარგმანებიდან აღებული მაგალითებით.

15. სტატიის განხილვის საგანია ფერების აღმნიშვნელ სიტყვათა შემცველი იდიომატური გამოთქმები და მათი კლასიფიკაცია სემანტიკური გამჭვირვალობის, სიმყარის, კონოტაციისა და ქართულად თარგმნადობის მიხედვით. თარგმანის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დედნისეულ იდიომებში მოცემული ხატების სამიზნე ენაზე გადატანას. იდიომების, განსაკუთრებით ფერების აღმნიშვნელი სიტყვებით გამოხატული იდიომების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, სტატიაში შემოთავაზებულია მათი თარგმნის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის გამჭვირვალე და უნივერსალური იდიომების ზუსტი ეკვივალენტების მეშვეობით გადმოტანა, ნაკლებად გამჭვირვალე გამოთქმებისათვის ისეთი შესატყვიოსების მოძიება, რომლებიც რაიმე სახით ასოცირდებიან დედნისეულ გამოთქმებში გამოყენებულ ფერებთან, პერიფრაზირების მეთოდი, როდესაც დედნისეულ გამოთქმები თარგმანის ენაზე მათი დინამიკური ეკვივალენტებით გადმოდის, კალკირება და სხვა მეთოდები.

16. წინამდებარე პუბლიკაცია ეძღვნება გერმანელ ენათმეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, სამხრეტსლავური, ბალკანური და კავკასიური ენების სპეციალისტს, ბერლინის ფრიდრიჰ-ვილჰელმ-უნივერსიტეტისა (Friedrich-Wilhelms-Universität) და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის (Techniche Universität) პროფესორს, დოქტ. რიჰარდ მეკენაინს (Richard Meckelein; *1880 არნშტაინი/ბავარია – †1948 ბერლინი), რომლის სახელიც საქართველოში გერმანისტული წრეებისთვისაც კი უცნობია, ფართო საზოგადოებაზე რომ აღარაფერი ვთქვა. დაინტერესება ამ პიროვნებით რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- მეკელაინის ლინგვისტურმა ნაშრომებმა: საკვლევი ენებისადმი მიძღვნილმა ანთოლოგიებმა, ლექსიკონებმა და გრამატიკებმა, რომელთაგან ქართულის გადასახედიდან უპირველესად ყურადღებას იმსახურებს *ქართულ-გერმანული სიტყვარი* (Richard Meckelein, 1928: *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Berlin/Leipzig: De Gruyter, 565 Seiten), ისევე როგორც *გერმანული ენის სახელმძღვანელო, ქრესტომატიული დანართითა და ლექსიკონითურთ),* საგანგებოდ განკუთვნილი ქართულენოვან შემსწავლელთათვის (Meckelein, Richard, 1922: *Einführung in die deutsche Sprache für Georgier*. Nebst Chrestomathie und Wörterbuch. Bearbeitet von Richard Meckelein, Dozent am Seminar für orientalische Sprachen an der Universität Berlin. Berlin: Kultur-Verlagsgesellschaft m.b.H. „Naher Osten“);

მეკელაინის პირადმა კონტაქტებმა და პროფესიულმა თანამშრომლობამ მეოცე საუკუნის ოციან წლებში პირველი თაობის ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან ბერლინში: ორიენტალისტ პროფ. დოქტ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელთან, ისტორიკოს გრიგოლ დიასამიძესთან, ექიმ იაკობ ხოჭოლავასთან, გამომცემლობა „Nაჰერ Oსტენ“-ის დამფუძნებელ ივანე ვარაზაშვილთან; ასევე მისმა ურთიერთობამ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ტყვეებთან, რომელთაც ის თავისი სახელმძღვანელოს უშუალო ადრესატად მოიაზრებდა;

- მეკელაინის მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რამდენადაც მან კეტე როზენზეგთან ერთად ქართულიდან გერმანულად თარგმნა გრიგოლ რობაქიძის „კავკასიური ნოველები“ (Гრიგოლ ღობაკიდზე, Kაუკასისცჰე Nოველლენ. Mაგისცჰე Qუელლენ, Dიე თბტუნგ დეს ჰეილიგენ Შტიერეს, Dერ Iმამ Შცჰამყლ. Mიტ Vორწორტ დეს Vერფასსერს. Üბერტრაგენ ვონ Käტჰე ღოსენბერგ უნდ ღიცჰარდ Mეცკელეინ. 4. (ვონ 4) Aუფლაგე. 21. - 30. თსდ. Lეიპზიგ. 1943).

გამოკვლევას საფუძვლად დაედო რიჰარდ მეკელაინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, დაცული გერმანიაში, კერძოდ, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, ცელენდორფის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ფრანკფურტ-ამ-მაინის გოეთე-უნივერსიტეტთან არსებულ ჰაინრიჰ-რორბახერ-არქივში და ბონის უნივერსიტეტის წიგნსაცავებსა და არქივებში; მაგრამ ასევე ის შედარებით მოკრძალებული ინფორმაცია, რომელიც შემონახულია ქართულ წყაროებში. შევეცადე, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღმედგინა რიჰარდ მეკელაინის ცხოვრების

ამსახველი ფაქტები და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმომეჩინა ისინი გერმანულ-ქართულ შეპირისპირებით კონტექსტში.

საგულისხმოა, რომ გარემოებათა გამო, რიჰარდ მეკელაინის მემკვიდრეობა თვით გერმანიაშიც ჯერაც არ არის ბოლომდე შესწავლილი და კატალოგიზირებული. ამდენად გამოკვლევა ეყრდნობა მხოლოდ 2017 წლამდე საცავებში წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს. არსებულ მოცემულობათა გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომი სტრუქტურულად ისე ავაგე, რომ კვლევის ცენტრში მოვაქციე მეკელაინის ბიოგრაფია, მაგრამ ასევე მისი ეპოქის ისტორიული ფონი, რომელმაც განაპირობა მეკელაინის დაინტერესება ქართული ენით და მისცა მას იმპულსები, ეღვაწა გერმანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა სასიკეთოდ.

რამდენიმე საინტერესო ისტორიული დეტალი იკვეთება წიგნისადმი წამძღვარებულ გამომცემლობის ანოტაციასა და თვით ავტორის, ანუ მეკელაინის მიერ ქართულსა და გერმანულ ენებზე შედგენილ წინასიტყვაობებში. გამომცემლობის ანოტაციას ხელს აწერენ გრიგოლ დიასამიძე და იაკობ ხოჭოლავა. მასში პატივით არის მოხსენიებული გამომცემლობის ნამდვილი დამაარსებელი და მეცენატი, მრეწველი ივანე ვარაზაშვილი, რომელსაც თურმე საგანგებოდ ხლებია ქართველ ინტელექტუალ-ემიგრანტთა ერთი ჯგუფი მისთვის ქართულ-გერმანული გამომცემლობის დაარსების იდეის გაზიარების მიზნით. ამ ჯგუფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა ბატონი ივანე ვარაზაშვილიც ასევე სიხარულით შეხვედრია მათ იდეას, რადგან თავადაც გულით დიდიხანს უტარებია ოცნება ქართულ-გერმანული გამომცემლობის დაარსების თაობაზე. გამომცემლობის დანიშნულებას ორივე მხარე ხედავდა ქართულ და გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა მოვლა-პატრონობასა და ამ ორი ერის უკეთ ურთიერთგაცნობაში. ანოტაციაში ასევე გულთბილი სტრიქონებია მიძღვნილი რიჰარდ მეკელაინისადმი, რომლის გერმანული ენის სახელმძღვანელოც ამ მიმართულებით პირველი ოფიციალური გაცხადება გამოდგა გამომცემლობა „ნაერ ოსტენ“-ისთვის. გამოთქმულია გამომცემლობის იმედი, რომ ეს ახალგაზრდა ავტორი შემდგომშიც კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს საქართველოს კულტურისა და ქართული ენის პოპულარიზაციისთვის.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო საინტერესოა უპირველესად იმ კუთხით, რომ ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში არის შედგენილი ესთეტიკურ-შემეცნებითი მოსაზრებით, და არა ყოფითი აუცილებლობის კარნახით. მისი დანიშნულებაა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ახალგაზრდა ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც შეუნარჩუნოს კონტაქტი გერმანულ ენასა და გერმანულ კულტურულ რეალიებთან, რომლებსაც ისინი უცხოეთში ყოფნისას ეზიარნენ. წინასიტყვაობაში მეკელაინი მადლობას მოახსენებს გამომცემელს, ბატონ ივანე ვარაზაშვილს, უპირველესად კი აღმოსავლეთმცოდნე-შუმეროლოგ, პროფ. დოქტ. მიხეილ წერეთელს, რომელმაც მისი წიგნის ქართულენოვან მონაკვეთებს გაუკეთა რედაქტირება და ერთობ საჭირო შენიშვნებიც შეიტანა მასში.

სახელმძღვანელო გერმანიაში სამჯერ გამოიცა – 1922 / 1924 / 1931 –, რაც უდავოდ წიგნზე არსებულ მოთხოვნას მოწმობს. მით უფრო დასანანია, რომ დასახელებულ წიგნს საქართველოში არ იცნობენ და ის არც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგშია რეგისტრირებული. დაშვების დონეზე არ გამოვრიცხავ, რომ წიგნი ცნობილი ყოფილიყო თსუ ყოფილი პროფესორებისთვის, ბატონების პავლე იაშვილისა (*1894 სომიწო/ონის მაზრა – †1989 თბილისი) და ნიკო ქადაგიძისთვის (*1895 ზემო/ალვანი/ახმეტის მაზრა – †1973 თბილისი), რომელთა საუნივერსიტეტო განათლების მიღების წლები გერმანიაში (1922–1926) ქრონოლოგიურად ემთხვევა მეკელაინის სახელმძღვანელოს გამოცემის თარიღებს.

17. გამოკვლევაში სტალინის საიუბილეო კრებულის “60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან” მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია, თუ როგორ ფუნქციონირებს ტოტალიტარული რეჟიმის დროს შედგენილ ოფიციალურ ტექსტებში იდეოლოგიური დისკურსი. გამოკვლევის თეორიულ ბაზისად აღებულია მიშელ ფუკოს დისკურსის თეორია, რომელიც მან, უპირველეს ყოვლისა, გადმოსცა ნაშრომში “დისკურსის წყობა”. ფუკოს მიხედვით, დისკურსი არის ძალაუფლებრივი შინაარსის შემცველი ენობრივი ელემენტების თანმიმდევრული წყება, რომლის საფუძველზეც აღზევებული ძალაუფლებრივი სისტემები თუ გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმები (მათ შორის, ტოტალიტარული რეჟიმები), ერთი მხრივ, აკონტროლებენ მასებს და პოლიტიკურად აღზრდიან მათ, მეორე მხრივ, ანეიტრალებენ და აუქმებენ სხვა, უცხო, არასასურველ დისკურსებს.

მ. ფუკო იმთავითვე უსვამს ხაზს, რომ დისკურსის წარმოებისა და მისი კონტროლის წყარო

კონკრეტული ინსტიტუციები და სისტემებია, რაც ნიშნავს იმას, რომ დისკურსი იმთავითვე ვლინდება, როგორც ძალაუფლების მატარებელი მექანიზმი, რომლის საფუძველზეც უკუგდებული და განეიტრალებულია ის დისკურსები, რომლებიც გაბატონებული ინსტიტუციისა და სისტემის მიღმა მოქმედებენ. დომინანტი დისკურსის საფუძველზე კი ხორციელდება პროცედურები, რომელთა საშუალებითაც გაიცხრილება, ნეიტრალდება და უქმდება ანტიდისკურსები _ ოპოზიციური, ან ალტერნატიული დისკურსები. ეს პროცედურებია:

a) აკრძალვა,

b) გამიჯვნა/იზოლირება/მარგინალიზება,

c) სრული ჭეშმარიტების ფლობის მუდმივი ხაზგასმა (ნება ჭეშმარიტებისადმი).

შესაბამისად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც პოლიტიკურ სივრცეში მოცემულია დისკურსთა უსასრულო დაპირისპირებანი _ ნიცშეს ანალოგიით თუ ვიტყვით, ამ სივრცეში მუდმივადაა დისკურსი დისკურსიის წინააღმდეგ მიმართული. ვინაიდან პოლიტიკური სივრცე ეს არის ძალადობისა და ძალაუფლებისკენ პათოლოგიური სწრაფვის მარად ერთი და იგივე გამოვლინების სივრცე, ძალაუფლების ეფექტურად განვითარების ინსტრუმენტად და მექანიზმად აქ მუდმივად გამოყენებულია ენობრივი დისკურსები, რომელთა საფუძველზეც "მეცნიერულად", რაციონალურად, მიზანმიმართულად, მკვეთრად და მკაცრი სინტაგმატური წყობით გადმოცემულია/გამოხატულია ფუნდამენტური ლოგოცენტრისტული ნარატივიდან, ერთიანი იდეოლოგიური კონსტრუქტიდან თუ ტრადიციული ეპისტემედან მომდინარე პოლიტიკური თუ რელიგიური დამოძღვრა, აღზრდა, ფუკოს ანალოგიით თუ ვიტყვით _ "პასტორალიზება".

ახლა ვნახოთ, თუ რა მექანიზმების საფუძველზე ფუნქციონირებს დისკურსი სტატიებისა თუ მოხსენებების კრებულში, (1940), რომელიც სტალინის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა. კრებულის პირველივე გვერდები, უფრო სწორად, თავფურცლები ზედმიწევნით ავლენენ იმ დისკურსულ თვისებებს, რაც მომდინარეობს ე. წ. "დისკურსული საზოგადოებებისაგან". შესაბამისად, მათში აკუმულირებული დოქტრინებიდან და მათ ფარგლებში მოქმედი ინსტიტუციებიდან: კერძოდ, იმთავითვე იკვეთება, რომ კრებული კონკრეტული ინსტიტუციის დაკვეთაა და ის მომზადდა ლინგვისტური სელექციის, ფილტრაციისა და დოქტრინაციის პრინციპების მიხედვით „დისკურსული საზოგადოებების" ორ სექტორში _ ერთი მხრივ, მომზადდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტსა და სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტლიტერატურის სექტორში, მეორე მხრივ, კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში. ერთგანაც და მეორეგანაც გათვალისწინებულია დოქტრინა, დოქტრინალურობა, რაც გაცხადებულია კრებულის პირველსავე თავფურცელზე მოცემულ ლოზუნგში "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!". ეს ლოზუნგი დოქტრინალური ბუნებისაა, ვინაიდან იგი შემოიკრებს ფართო მასებს ერთადერთი ღირებულების – პროლეტარიატის _ ქვეშ და სწორედ ამ ღირებულების გარშემო ხდება დისკურსირებული მასების იდეური დარაზმვა და მათი თვითიდენტობის განსაზღვრა. შესაბამისად, დისკურსულ-დოგმატური სიტყვა პროლეტარიატი კრებულის ყველა ავტორისათვის დოგმატური აღმნიშვნელია და ჭეშმარიტების ცენტრი. მსგავსი ჭეშმარიტების ცენტრია სხვა დოგმატური აღმნიშვნელი _ სტალინი, რომელიც კრებულის მესამე თავფურცელზე გვხვდება სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტში. კრებულის ავტორები და გამომცემლები, ამგვარად, იმთავითვე თანხმდებიან იმაზე, რომ მათი დისკურსული ტექსტები იმუშავებს ამ ორი ამოსავალი დოქტრინალური გამონათქვამის – პროლეტარიატი და სტალინი _ განვრცობისა და გავრცელების მიმართულებით.

კრებულში დოქტრინალური განვრცობა და გავრცელება, პირველ რიგში, უკავშირდება სტალინის პოლიტიკური ფიგურის, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის, მარქს-ენგელს-ლენინის საკრალიზაციას, რაც ავტორების მიერ განხორციელებულია კონკრეტული დისკურსული ელემენტების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა რელიგიური საკრალიზაციისა და ესქატოლოგიის ტრადიციას. ამასთან, ამ ტრადიციის გათვალისწინებით კრებულში ასევე განვითარებულია დიქოტომიური დაყოფა „მართლმორწმუნეებად" (მაგ., ბოლშევიკები, პროლეტარიატი) და „მწვალებლებად" (მაგ., მენშევიკები, ბურჟუაზია), ასევე განვითარებულია პოლიტიკური „ცოდვების" მონანიებისა" და პოლიტიკური „ცოდვებისაგან" განწმენდის მორალური დოგმები და „რელიგიური" პრაქტიკა. ამიტომ, კრებულის ყველა ტექსტში გამოყენებულია ერთი და იგივე დისკურსული მექანიზმები და ელემენტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელებულია სტალინის პოლიტიკური ფიგურის, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის, მარქს-ენგელს-ლენინის საკრალიზაცია და პოლიტიკური მორალიზება. კერძოდ:

a) ჰიპოსტაზირება, ანუ სტალინის ფიგურის ახალი მესიისა და ახალი უფლის რანგში აღზევება, რაც აღნიშნულია სიტყვით „მამა“, „ბელადი“; შესაბამისად, სტალინისდამი უშუალო მიმართვის ფორმა, რათა გაღრმავდეს სულიერი მამა-შვილური ერთობა ბელადსა და მასებს შორის, ყოველთვის „შენობითია“, მეორე გრამატიკულ პირშია _ „შენ...“ (შდრ.: „ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შენი სამოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმება შენ, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს“; კრებული... 1940: 7);
b) მარადიულობის დისკურსი _ სტალინი დრო-სივრცული კატეგორიების მიღმაა, მისი არსი მარადიულია;
c) მოსეანური დისკურსი _ სტალინი, ვითარცა მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც, როგორც თეორეტიკოსი, ახალ ჭეშმარიტ მცნებებსა და დოგმებს ქმნის მსოფლიო პროლეტარიატისათვის;
d) მზურნველი მამის დისკურსი _ მამა, რომელიც ძველი აღთქმის ღმერთივით ზრუნავს თავის „რჩეულ ერზე“ (პროლეტარიატზე, მშრომელებზე, გლეხებზე, „საბჭოთა ხალხზე“), ისტორიული ჟამიანობის დროს მუდამ მის გვერდით დგას, თანაუგრძნობს მას და მუდამ გადაარჩენს: „სტალინი სათუთად ზრუნავს ამხანაგებისათვის, მეგობრებისათვის, ხალხისათვის. იგი ლენინივით ანსახიერებს ადამიანისადმი უღრმეს სიყვარულს და თავდადებულ ბრძოლას მისი სრული განთავისუფლებისათვის, მისი ბედნიერებისათვის“ (კრებული... 1940: 71);
e) პროლეტარიატი _ როგორც ახალი „რელიგიური თემი“, ახალი „მართლმორწმუნეები“;
f) პარტია _ ვითარცა ახალი „ეკლესია“, რომელიც ახალი ესქატოლოგიური ჟამისკენ _ კომუნიზმისკენ უსახავს გზას პროლეტარიატს;
g) „თეორეტიკოსები“: მარქსი, ენგელსი და ლენინი _ ვითარცა ახალი „წინასწარმეტყველები“, „მოციქულები“ და „მახარებლები“, რომელთაც არ უწერიათ „აღთქმული ქვეყნის“ _ კომუნიზმის დამყარების _ ხილვა და კომუნისტურ „სამოთხეში“ შესვლა („უდიდეს თეორეტიკოსებს _ მარქსსა და ენგელსს _ არ დასცალდათ თავიანთი იდეების განხორციელება ცხოვრებაში, არ დასცალდათ მათი განხორციელების ნაყოფის ნახვა“; კრებული... 1940, 65);
h) პროლეტართა რევოლუციური ბრძოლა და ბოლშევიკთა იატაკქვეშა მოღვაწეობა, როგორც ახალი „რელიგიური“ ღვაწლი და „კატაკომბებში“ ახალი მისიონეროზა;
i) ბურჟუაზიულ-რეაქციონერული ძალები, მენშევიკები, ტროცკისტები, სოციალ-დემოკარტები და სხვ. _ ვითარცა ახალი „მწვალებლები“ და „სექტანტები“;
j) მათგან გამიჯვნა, ვითარცა ცოდვებისაგან განწმენდა;
k) ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია _ ვითარცა ახალი „რელიგიური დოგმატები“;
l) კომუნიზმის დამყარება სოციალიზმის გზით, ვითარცა ახალი „ესქატოლოგია“.
ამგვარად, ტოტალიტარული რეჟიმის ფარგლებში შედგენილ ოფიციალურ იდეოლოგიურ ტექსტებში დისკურსი ცალსახად მუშაობს პოლიტიკური ბელადის აპრიორული საკრალიზაციის მიმართულებით: კერძოდ, პოლიტიკური ბელადი ისტორიული სივრცის ფარგლებში აუცილებლობით გადაინაცვლებს მამის არქტიპულ ხატში და იგი იძენს მამა-ღმერთის ყველა ნიშან-თვისებას: იგია ყოფიერების პირველსაწყისი, დემიურგი – შემოქმედი ღმერთი, იგია მოძღვარი, მასში და მასთანაა ჭეშმარიტება, იგია სასწაულმოქმედი და ყოვლისშემძლე, იგია მზრუნველი და მეოხი. შესაბამისად, პოლიტიკური ბელადი გადაიქცევა „ლოცვის“, თაყვანისცემისა და მსხვერპლშეწირვის ობიექტად. ამ მიზანდასახულობის გამო, ტოტალიტარული რეჟიმი და მისი ასავე საკრალიზებული ინსტიტუციები (პარტია) და სახელმწიფო აპარატი პრინციპულად ტრადიციულ რელიგიურ პარადიგმასა და დისკურსს ეყრდნობა (და ეს ორიენტირება აპრიორულია) და მასში შეაქვს ახალი რელიგიური შინაარსი – სეკულარიზებული თუ სეკულარული საკრალიზაცია, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის ფუნდამენტური დისკურსია.

18. ნოველაში (დაიწერა 1956 წელს, ხოლო პირველად დაიბეჭდა 1989 წელს “ლიტერატურული საქართველოს” 26 მაისის ნომერში) გურამ რჩეულიშვილმა განზრახ შეარჩია ექსპრესიონისტული სტილი და ეს მხოლოდ ასახვის ობიექტით _ 1956 წლის მარტის თბილისური ანტისაბჭოთა დემონსტრაციებითა და მიტინგებით ან იმ მომენტისათვის ჩვენში უკვე მოდური კინოსტილით _ არ იყო შთაგონებული. ნოველის ექსპრესიონისტული სტილი, როგორც ერთ-ერთი მოდერნისტული სტილი, იმპლიციტურად უპირისპირდება სტალინისტური ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიისა და საბჭოთა სოცრეალისტური ესთეტიკის დიქტატს, ვინაიდან სწორედ მოდერნიზმის ესთეტიკა და მსოფლმხედველობა წამოსწევს წინ პიროვნებას, მის ინდივიდუალიზმს, უკუაგდებს მიმეზისის

პრინციპებს, ისწრაფვის ფორმალური ექსპერიმენტებისა და მკვეთრად ინდივიდუალური სტილისაკენ, რითაც მოდერნიზმი იმთავითვე უკუაგდებს საბჭოთა კოლექტივიზმსა და ფიურერიზმს. ამიტომაც იყო, რომ მოდერნისტული ესთეტიკა და მსოფლმხედველობა, როგორც ანტისაბჭოთა გამოვლინება, იმთავითვე უარყვეს საბჭოთა კავშირში, სოცრეალიზმის სახით ბრძოლა გამოუცხადეს მას და საბოლოოდ აკრძალეს 1932 წლის სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით “ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ”. იმავე წელს მოწვეულმა ქართველ საბჭოთა მწერალთა კავშირმა მხარი დაუჭირა ამ დადგენილებას. საინტერესოა, რომ გერმანიაში 1933 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ნაცისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს მოდერნისტულ და ავანგარდისტულ ხელოვნებასა და მწერლობას და შემდგომ ოფიციალურად აკრძალეს კიდეც.

ექსპრესიონისტული სტილის შერჩევით გ. რჩეულიშვილმა, ერთი მხირვ, განაცხადა, რომ ქართული მოდერნიზმის (დაახლ. 1915-1932), ქართული მოდერნისტული პროზის პოეტიკის შეწყვეტილ ტრადიციას აგრძელებს, მეორე მხრივ, ხაზი გაუსვა ამ ტრადიციის რეაქტუალიზაციის აუცილებლობას, ვინაიდან სწორედ ეს სტილი შეესატყვისებოდა 50-იან წლებში გამოსული ქართველი ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებებს (ამით გ. რჩეულიშვილი ქართულ პროზაში საფუძველს უყრის ე. წ ახალ სუბიექტურობას); და მესამეც: ეს სტილი მისთვის აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური მეთოდი ტოტალიტარული იდეოლოგიის დეკონსტრუქციისა და ნოველის ტექსტში ანტისტალინური, ანტისაბჭოთა დისკურსის ეფექტური განვითარებისათვის.

გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაში თავისი ანტისტალინური, ანტისაბჭოთა და ანტიკოლონიური დისკურსით მკვეთრად გამოირჩევა ნოველა “სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები”, რომელიც 1956 წლის 9 მარტის ცნობილ ამბებს ეძღვნება და ამ ტრაგიკული მოვლენითაა შთაგონებული. მაგრამ ნოველაში მთავარია არა საკუთრივ საბჭოთა ჯარების მიერ ქართველთა საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი დარბევის მხატვრული ასახვა (რაც საკმაოდ შთამბეჭდავადაა მოცემული), არამედ ამ მოვლენის ფონზე საქართველოს და ქართველი ერის ზოგადი ტრაგიკული მდგომარეობის წარმოჩენა, რაც გამოწვეულია ქართველი ერის იმ მომენტისათვის 150 წლიანი კოლონიური მდგომარეობით (თუკი გავითვალისწინებთ ნოველის შექმნის თარიღს _ 1956 წელი). აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ნოველა არაა შექმნილი უშუალოდ 9 მარტის მოვლენების ცხელ კვალზე, მძაფრ ემოციურ ფონზე (აქვე აღსანიშნავია, რომ თავად გ. რჩეულიშვილი ამ საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილე იყო), არამედ ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1956 წლის შემოდგომაზე და ამდენად, რჩეულიშვილის ეს ნოველა არის თბილისში 9 მარტს დემონსტრაციის დარბევით ინსპირირებული არა უშუალო აფექტური ტექსტი-რეაქცია თავად ამ საპროტესტო მოვლენებზე, არამედ ქართველთა კოლონიური ყოფის და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ანტიადამიანური ბუნების ცნობიერი გააზრების, წარმოჩენისა და მხილების მხატვრულ-ლიტერატურული ცდა. თუმცა ამ კონკრეტულ ისტორიულ ფონზე, ჩემი აზრით, იკვეთება კიდევ უფრო გლობალური პრობლემატიკაც, სადაც უნდა ამოვიკითხოთ გ. რჩეულიშვილისეული “ანტიისტორიზმი” ან “სკეპტიკური ისტორიზმი”: კერძოდ, მის მიერ ნოველაში განცდილი მსოფლიო ისტორიული პროცესის ატელეოლოგიური ბუნება (ანტიჰეგელიანური ნაკადი) და ნოველაშივე წამოჭრილი ქართველი ერის უპერსპექტივობის საკითხი “ობიექტური გონით” არწარმართული ისტორიული პროცესის ფარგლებში. გ. რჩეულიშვილის “ანტიისტორიზმი”, ამავდროულად, ანტისაბჭოთა ბუნებისაცაა, ვინაიდან იგი საფუძველს აცლის ე. წ. დიალექტიკურ მატერიალიზმს ისტორიული პროცესის გაგებაში, რითაც უარყოფილია ისტორიის აღმავალი ხაზით საბოლოო მიზნისაკენ _ კომუნიზმისაკენ _ სვლა.

ამიტომ, სრულიად ლოგიკურად მეჩვენება ავტორის ჟანრობრივი, სტილისტური და ნარატიული არჩევანი: ერთი მხრივ, ნოველის ჟანრი და მკვეთრად გამოხატული ექსპრესიონისტული სტილი (პარატაქსულობა, ფრაზის სიმკვეთრე, სინტაქსის ელიფსურობა, ინტენსივობა და კომპაქტურობა), მეორე მხრივ, ასევე ექსპრესიონისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი კადრირებისა და მონტაჟის პრინციპით თხრობის აგება (ე. წ. კინოსტილი), რაც, ვფიქრობ, სრულიად ადეკვატურია არჩეული თემატიკისა და პრობლემატიკის გადმოსაცმად.

ნოველაში, ერთი მხრივ, სრულიად აშკარაა ავტორისეული ანტისტალინური, ანტიკოლონიური და ანტირუსული ინტენცია, მაგრამ, მეორე მხრივ, რაც უმთავრესია, სწორედ ნოველის ფინალის გათვალისწინებით ვლინდება გ. რჩეულიშვილის თავისებური “ანტიისტორიზმიც”, ანუ, მისი ღრმად სკეპტიკური და ნიჰილისტური დამოკიდებულება თავად ისტორიული პროცესის ტელეოლოგიურობისა და ამ პროცესის ობიექტური გონის საფუძველზე

წარმართულობისადმი: რუსის/საბჭოთა ტანკის მიერ ქართველი ბავშვების/სკოლის მოსწავლეების (შდრ., ბავშვი _ პირველსაწყისის, სიცოცხლის, მომავლის, ღვთიური საწყისის, პარადიზული ყოფის სიმბოლო და, ზოგადად, ხალხის ჟლეტა (ხალხის, რომელმაც წესით უნდა განავითაროს ისტორიული პროცესის ტელეოლოგიურობა და ისტორიის ფინალში ეზიაროს და განიცადოს ეთიკური ნეტარება სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში, შდრ., შილერის პათეტიკური მოწოდება კაცობრიობისადმი _ "გადაეხვიეთ მილიონებო" მისი ცნობილი ლექსიდან "ოდა სიხარულისადმი"/"An die Freude"), სწორედ ის იკონური მარკერებია, რომლითაც აღნიშნულია საკაცობრიო ისტორიის მსვლელობაში, უფრო ზუსტად, ისტორიის წრებრუნვაში (ნიცშე) გლობალური პოლიტიკური ძალაუფლების/ძალადობის/ძალმომრეობის ნების აპრიორული და უსასრულო, მარადგანმეორებადი დომინირება, რისი მეტაფორაცაა რუსული/საბჭოთა ტანკი.

19. რეკლამა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილია და ვითარდება საკუთარი შიდა კანონებით. ჩვენი კვლევა ეძღვნება რეკლამის ესთეტიკური ფუნქციების თავისებურებების შესწავლას თარგმანის დროს. საერთაშორისო სარეკლამო ორგანიზაციების მიერ ტექსტების შექმნისა და მათი თარგმნისათვის აუცილებელია გაკეთდეს არჩევანი სტანდარტიზაციასა და ადაპტაციას შორის. სტანდარტიზაციისათვის მთავარია ეკონომიკური ასპექტი, ადაპტაციისათვის კი – მიზნობრივი სეგმენტის წინა პლანზე წამოწევა კულტურულ და ენობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

20. უცხო ენის შესწავლა ძალიან საინტერესოა, მაგრამ დიდ ინვესტიციას საჭიროებს. უნივერსიტეტებმა და ენების ცენტრებმა უნდა გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი, მოტივაცია და დახმარება გაუწიონ მათ ამ ამოცანის შესრულებაში. მოტივაცია არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

21. ნიშან-ინგრესიის კატეგორიზაცია წარმოადგენს მიზანმიმართულ მოძრაობას არსისაკენ (რაობისაკენ), რაც გამოიხატება კატეგორიათა შემდეგი თანამიმდევრობით: ქმედება, განცდა, ფლობა, მდგომარეობა, დრო, ადგილი, დამოკიდებულება, ხარისხი, რაოდენობა, არსი (რაობა). დადგენილია, რომ ენობრივ ერთეულად გარდაქმნამდე, ხმაბაძვითი ნიშანი – დეზინგრესია რთულ ევოლუციას განიცდის, ასახავს რა ობიექტის სახეს სენსორულიდან რაციონალურამდე. ონომატოპეიის კატეგორიზაცია განპირობებულია შემეცნების პროცესის მიზანშეწონილობით: მოძრაობით ქმედებითი თანაფარდობიდან არსებულის გამოხატვისაკენ.

22. ფრაზეოლოგიური სფეროს კვლევა განპირობებულია იმით, რომ ფრაზეოლოგია, ნათლად და ხატოვანად ასახავს რა ხალხის კულტურას, გვეხმარება ხალხის მენტალიტეტის უკეთ გაგებაში. ასეთ კვლევებში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მყარ ზმნურ შესიტყვებებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ისეთ ყველაზე მეტად გამომხატველ და გამოყენებად ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფრანგულ ენაში. მნიშვნელობის მიხედვით ახლომდგომი ზმნური შესიტყვებები წარმოადგენენ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც განსხვავებულნი არიან სტრუქტურის მიხედვით (ზმნა ან ზმნური შესიტყვება), ექსპრესიულობით (ნეიტრალურნი ან ემოციურად შეფერილნი), ენის სხვადასხვა სტილისადმი კუთვნილებით (ნეიტრალური, სასაუბრო, არგო). ფრაზეოლოგიური სინონიმია წარმოდგენილია, ძირითადად, არა სრული სინონიმებით, არამედ ისეთი გამონათქვამებით, რომელთა მნიშვნელობები ემთხვევა მხოლოდ ნაწილობრივ.

23. მკვლევარები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ენობრივი ურთიერთშეღწევის პრობლემით, გვაწვდიან ამ ლინგვისტური მოვლენის სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას. ნასესხობები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ლექსიკური ნასესხობა, სინტაქსური ნასესხობა

და ფონეტიკური ნასესხობა. თავის მხრივ, ლექსიკური ნასესხობები ოთხი ტიპისაა: სრული, ნაწილობრივი (ჰიბრიდული), ყალბი და კალკი. ფრანგულ ენაში ნასესხობათა მზარდი რიცხვის შედეგად, მკვლევარები გვთავაზობენ მათ კლასიფიკაციათა მთელ სპექტრს, რომელიც იწვევს ჭეშმარიტ ინტერესს, იმსახურებს ყურადღებას და მოითხოვს გულმოდგინე შესწავლას, შედარებასა და შეპირისპირებას.

24. ტექსტის ბგერითი კომპოზიცია იქმნება ეკვიფონიით და ეკვირიტმიით, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი – მეტაფონიით. ეკვიფონური გამეორება გამოიხატება ექომსგავს გამეორებათა ინერციის სახით, რომელიც გამოიყენება კომპოზიციური და რიტმული საშუალებებით, რაც გამოსცემს განსაკუთრებულ თანაჟღერადობას.

25. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანამ დიპლომატიურ-ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. მათ შორის ესპანეთის სამეფოსთან, ცენტრალური, კარიბის ყურისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან. მსოფლიოს სამ კონტინენტზე ვხვდებით ესპანურენოვან 20 ქვეყანას. მათ შორის დიდ ნაწილთან საქართველოს უკვე მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება აქვს, ნაწილთანაც მომავალში იგეგმება ორმხრივი კავშირების დამყარება. თანამედროვე მდგომარეობით, საქართველო დგას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე, რომელსაც მას უყენებს ევროპასთან გაფორმებული 2017 წლის უვიზო რეჟიმი და 2016 წლის ასოცირების ხელშეკრულება. რამაც უბიძგა ევროკავშირის ქვეყნებთან და მათ შორის ესპანეთთან თანამშრომლობის განვითარებას და გაღრმავებას ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, განათლება, ტურიზმი, საემიგრაციო პოლიტიკა, კრიმინალი და უსაფრთხოება. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების პირობებში ძნელი წარმოსადგენია მოინახოს ადამიანი, რომელიც უცხოური ენიდან ნასესხებ სახელებსა და დასახელებებს არ იყენებს. საკუთარ სახელებს თარგმანის და უცხო ენების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოწესრიგდეს სახელმძღვანელოებში, სახელმწიფო დოკუმენტებში, რეესტრში, ლექსიკონებში, ლიტერატურულ თარგმანებში ესპანურიდან ქართულში გადმოტანილი საკუთარი სახელები.

არსებობს უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემის გარკვეული ტრადიცია და მათი მართლწერა ძირითადად მყარია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღარაფერია დასაზუსტებელი. ხშირად ვხვდებით ცალკეული სახელების პარალელურ ფორმებსაც. ამის მიზეზად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული ადგილის ან პიროვნების სახელის ერთი ფორმა შემოსულია უშუალოდ იმ ენიდან, რომლის კუთვნილებაცაა ან მეორე ენის (ხშირად რუსულის,ინგლისურის და ფრანგულის) გავლით. მთარგმნელები ძირითად სირთულეებს აწყდებიან უცხოური საკუთარი სახელების აღმნიშვნელი სიტყვების გადმოტანისას ან თარგმნისას. სიტყვების გადმოტანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია რას ენიჭება უპირატესობა: სიტყვების დაწერილობას, თუ გამოთქმას.

26 **ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებითი ანალიზი ესპანური, რუსული, ფრანგულ და ქართულ ენებში.**

წინამდებარე სტატია ეხება ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებით შესწავლას ესპანურ, ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებში. აღნიშნულ სტატიაში გაანალიზებულია ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის რიცხვითი სახელების, ფრინველების სახლების მქონე, ასევე ემოციური ფრაზეოლოგიური ერთეულები. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულების ეკვივალენტები განხილულ ენებში. ზოგ შემთხვევაში მოცემულია ზუსტი ეკვივალენტები, სხვა შემთხვევებში კი მხოლოდ ანალოგიები. შესწავლისა და კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ესპანური, რუსული, ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების ეკვივალენტების და ანალოგიების მცირე ჯგუფი.

27. „ხარის კულტი, ესპანურ და ქართულ კულტურებსა და ენებში“,

ხარის როლი ქართველი და ესპანელი ხალხის ცხოვრებაში განუზომელია. ხარის კულტი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ნაყოფიერებასა და მოსავლიანობასთან ესპანელი და ქართველი ხალხის ისტორიის არაერთ ეტაპზე გვხვდება. ხარი კულტის გავლენა იგრძნობა ესპანურ და ქართულ კულტურაზეც. განსაკუთრებით საინტერესოა ხარის კულტის გამოვლინება ესპანურ და ქართულ ენებში, სადაც არაერთი ფრაზეოლოგიური ერთეული, ანდაზა თუ ხატოვანი გამონათქვამი არის ხართან დაკავშირებული.

ნებისმიერ ენას, კულტურასა თუ რელიგიას აქვს გამოკვეთილი და ნაციონალურად სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები. თუმცა, არსებობს ისეთი სიმბოლოებიც, რომელიც განსხვავებული ისტორიის ხალხებს აერთიანებს. სწორედ ამ ტიპის სიმბოლოა ხარი, რომელიც არაერთ უძველეს ცივილიზაციაში გვხვდება და როგორც ესპანელი, ისე ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ხარი, როგორც წმინდა ცხოველი არაერთ ანტიკურ ცივილიზაციაში გვხვდება. ხარს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ეგვიპტელებთან და ფინიკიელებთან: ეგვიპტელებს ჰყავდათ ღვთაება აპისი, ხოლო ფინიკიელებისათვის ხარი მთვარის ღვთაების მიწიერ განსახიერებას წარმოადგენდა. ხარი უცხო არც ბერძნული სამყაროსთვის იყო, სადაც ხარის სიმბოლო ზევსთან იყო დაკავშირებული. სწორედ ხარის სახეს იღებდა ბერძენთა უზენაესი ღვთაება (ზევსი), როცა ვინმეს მოხიბვლა ან შეცდენა უნდოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, მითრას კულტი, რომელიც ძველ აღმოსავლეთში სინათლისა და სიკეთის ღვთაება იყო და რომელიც რომის იმპერიაში რომაელი ჯარისკაცების მიერ გავრცელდა. ლეგენდის თანახმად, მითრამ ღმერთს შესწირა ხარი, რომლის დაღვრილი სისხლისგანაც მიწა და ბუნება ნაყოფისმომცემი გახდა. რაც შეეხება ხარის კულტის ყველაზე ადრეულ გამოსახულებას, იგი ნაპოვნია ჩალათ-ჰუიუკში (თანამედროვე თურქეთი, მცირე აზია, ანატოლია) და თარიღდება ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებით.

28. პერფექტი ერთ-ერთი რთული ტემპორალური სემანტიკის მქონე კონსტრუქციაა. მას აქვს როგორც დროული, ისე ასპექტუალური მახასიათებლები, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას. საენათმეცნიერო ლიტარეტურაში გამოიყოფა სხვადასხვა პერფექტი. ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ ექსპერიენციალური, რეზულტატური და უნივერსალური პერფექტის ზოგად დახასიათებაზე, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ აწმყოს პერფექტი სრულიად სხვადასხვა ფუნქციით, სემანტიკითა და დისტრიბუციით ხასიათდება ინგლისურში, იტალიურსა და ქართულში.

იტალიური აწმყოს პერფექტი ქართულში გადმოცემულია ძირითადად წყვეტილით და აწმყოს პერფექტით.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ორი შემთხვევა, ერთი, როდესაც იტალიურის აწმყოს პერფექტი გადმოცემულია უწყვეტლით და მეორე, როდესაც იტალიურის აწმყოს პერფექტი გადმოცემულია მყოფადით:

Ludmilla **ha sempre cercato** dei posti dove nascondersi.

ლუდმილა ყოველთვის ისეთ ადგილებს **ეძებდა**, სადაც დამალვას შეძლებდა.

ქართულისთვის მიუღებელი იქნებოდა ამგვარი თარგმანი:

*ლუდმილას ყოველთვის ისეთი ადგილები მოუძებნია, სადაც დამალვას შეძლებდა.

*ლუდმილამ ყოველთვის ისეთი ადგილები მოძებნა, სადაც დამალვას შეძლებდა.

აღნიშნულ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ ორი მახასიათებელი: დროის ზმნიზედა *ყოველთვის,* რომელიც, წარსული დროის განზომილებაში, როგორც წესი, იმპერფექტულ ზმნებთან იხმარება და *ძებნა* ზმნის ტელიკური სემანტიკა, რაც უნდა განაპირობებდეს ამ თავისებურებას.

მეორე საინტერესო შემთხვევა, როგორც აღვნიშნეთ, არის ის, როდესაც აწმყოს პერფექტს უჩნდება მომავლის მნიშვნელობა და ის ქართულში სწორედ მყოფადით გადმოდის:

Se il Comune crede di risparmiare sui lampioni, non sarò certo io a illuminare le strade a mie spese! Tanto dov'è la pelletteria Armida tutti lo sanno. E quando **ho tirato giù** la saracinesca la via **resta** al buio e buonanotte.
სიტყვასიტყვით თარგმანი: თუ მერია ფიქრობს, რომ გარე განათებაზე ეკონომია გააკეთოს, მე, რა თქმა უნდა, ჩემი ხარჯებით ქუჩებს არ გავანათებ! ისედაც ყველამ იცის, სად არის არმიდას ტყავის ნაწარმის მაღაზია! და როდესაც დარაბები **დავუშვი (დავხურე)**, ქუჩა სიბნელეში **რჩება** და ძილინებისა!
ახლა ვნახოთ მხატვრული თარგმანი:
თუ მერიას გარე განათებაზე ფულის დახარჯვა არ უნდა, ქუჩის განათება მე მევალება? არმიდას ტყავის ნაწარმის მაღაზია ისედაც ყველამ იცის. დარაბებს რომ დავხურავ, ქუჩა ჩაბნელდება და კარგად მეყოლეთ! (9; 21)

ამ შემთხვევაში აწმყოს პერფექტს მომავლის მნიშვნელობა მთლიანმა კონტექსტმა განაპირობა. ის შეხედულება, რომ აწმყოს პერფექტში წარმოდგენილია ორი ტემპორალური დონე – წარსულიცა და აწმყოც, შეიძლება იყოს ახსნა იმისა, თუ რატომ არის ინგლისური აწმყოს პერფექტი ქართულში წარმოდგენილი ხან წყვეტილითა და ხან აწმყოთი, იტალიურში კი ხან აწმყოს პერფექტით და ხან აწმყოთი. ისმის კითხვები, რომელიც მოითხოვს შემდგომ სიღრმისეულ კვლევას – რა როლს თამაშობს ამგვარ დისტრიბუციაში ზმნის სემანტიკა და დროის ზმნიზედები.

29. რეცენზიაში განხილულია ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორის, ლუიჯი მაგაროტოს მონოგრაფიული ნაშრომი *კავკასიის დაპყრობა XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში: პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი*. ღნიშნულია, რომ კავკასიური თემის დამუშავებისას სამივე ხსენებული რუსი მწერალი გარკვეულწილად თანაუგრძნობს კავკასიელ ხალხებს, მაგრამ არსებითად არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით _ მხარს უჭერს რუსეთის იმპერიის ექსპანსიონიზმს. რუსი მკვლევარები კავკასიის დაპყრობის საკითხის საფუძვლიან შესწავლას, როგორც წესი, თავს არიდებენ, რაც იმით აიხსნება, რომ ამგვარი პრობლემეატიკის მიმართ რუსეთის ინტელექტუალთა უდიდესი ნაწილი ტრადიციულად "ნაციონალიზმის დემონის ტყვეობაში იმყოფება" (გვ.12) და შესაბამისად, რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითად უცვლელი რჩება ის თვალსაზრისი, რომ რუსი მწერლების მიერ ტერიტორიების დაპყრობის ხოტბა-დიდება დღემდე პატრიოტიზმის გამოვლინებად მიიჩნევა და ეს მიდგომა დისკუსიას არ ექვემდებარება. იტალიელი მეცნიერი საგანგებო ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ რუსი ისტორიკოსები "ისტორიის გაყალბას" (გვ. 87) მიმართავენ, როდესაც აცხადებენ, რომ საქართველოს ანექსია მშვიდობიანად და თავად მეფე გიორგი XII-ის თხოვნის საფუძველზე მოხდა. ნაშრომის ავტორი აყალიბებს იმ დებულებას, რომ კავკასიის თემისადმი ყურადღება რუსულ ლიტერატურაში აღმოსავლური თემებისა და მოტივების სპეციფიკურად ათვისების, რომანტიკული ორიენტალიზმის ჩასახვის პროცესს უკავშირდება, რაც განპირობებული იყო იმ დროის ევროპულ და რუსულ კულტურულ ცნობიერებაში გაბატონები თვალსაზრისით, რომლის თანახმად, კავკასია, მათ შორის _ საქართველო აღმოსავლეთის გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეში მოიაზრებოდა. რუსულ ლიტერატურაში კავკასიის დაპყრობის ასახვისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის ლუიჯი მაგარატოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის გარემოებაა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოსა და ქართული კულტურის როლს რუსულ ლიტერატურაში კავკასიური თემის დამკვიდრების პროცესში. ლუიჯი მაგარტოს გამოკვლევა მნიშვნელოვანწილად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში კავკასიის თემის თავისებურებათა შესახებ. ამასთანავე მისი მრავალმხრივი კომპარატივისტული ასპექტი, რომელშიც დიდი ადგილი უკავია რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთმიმართების საკითხებს, ამ ნაშრომს საყურადღებოს ხდის აგრეთვე ქართველოლოგებისა და კავკასიოლოგებისათვის.

30. სტატიაში განხილულია ჯეიმზ ჯოისის ბოლო რომანის ,,ღამისთევა ფინეგანისათვის" პირველი წიგნის მეშვიდე თავის თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ ენობრივი სირთულეები, ტექსტის მუსიკალურობა და ანოტირება/კომენტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სტატიაში მაგალითების საფუძველზე გამოყოფილია ის მონაკვეთები, რომელიც ყველაზე უფრო რთულად ,,გადმოქართულდა“, ასევე ახსნილია რიგ შემთხვევებში რატომ გადავწყვიტე ამა თუ იმ მნიშვნელობისა და დატვირთვის მიცემა ამა თუ იმ სიტყვისათვის, რომელიც მრავალმნიშვნელოვანია.

31. 1989 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ეკოლოგია და კულტურა“ (№2, 13.01.1989), აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ეკოლოგიის პრობლემებს განიხილავს სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თვალთახედვით და შემოაქვს მეტად საგულისხმო ტერმინი „კულტურის ეკოლოგია“.
„ჩვენ, წერს მეცნიერი, მთელ ყურადღებას მივაპყრობთ ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიას და თითქმის მთლიანად უგულებელვყოფთ კულტურის ეკოლოგიის პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებთ ეროვნული კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები“. იმ პერიოდში, როდესაც ეს სტატია დაიწერა, ქართულ ენას, ისე როგორც საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ სხვა ენებსაც გადაშენების საშიშროება იმუქრებოდა. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მცირერიცხოვანი ერების ენები კვლავ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამჯერად სხვა ტიპის საფრთხის, რომელსაც ღრმა ანალიზი და კვლევა ესაჭიროება.
სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული ინგლისური ენის გავლენით თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები.

32. XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი აღინიშნა უდიდესი მიღწევებით მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ესოდენ სწრაფი განვითარება გულისხმობს ახალი სამეცნიერო ცნებების, და შესაბამისად, ახალი ტერმინოლოგიის ბუნებრივ წარმოქმნას. დიდი რაოდენობით ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოზღვავებამ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში გამოიწვია თანამედროვე ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებები.

ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენცია არის საერთო ლექსიკის სიტყვების ხშირი მიგრაცია ტერმინოლოგიაში. თანამედროვე ტერმინოლოგიაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საერთო ლექსიკის სიტყვების გამოყენება ტერმინოლოგიურ სიტყვათწარმოებაში. საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიაში მიგრაციის გარდა გამოკვეთილია ენაში უკვე შექმნილი ტერმინების ხშირი გადასვლა დარგიდან დარგში, როგორც მონათესავე დარგებში, ისე სრულიად არამონათესავე დარგებში. ზემოთ აღწერილი პროცესების მიზეზი ენებში დიდი რაოდენობით ახალი სამეცნიერო ცნებების მოზღვავებაა, რასაც ბუნებრივად მოსდევს დიდი რაოდენობით ახალი ტერმინების შექმნის საჭიროება. ამ ვითარებაში ენა ცდილობს აამოქმედოს ენობრივი ეკონომიის პრინციპი და მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული ენობრივი რესურსები ახალი ცოდნის შესაქმნელად.

ეს საკითხები მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით ეროვნული ენების მიერ. საერთო ლექსიკის ან არსებული ტერმინების ბაზაზე შექმნილი ახალი ტერმინებისთვის ეკვივალენტების შესაქმნელად ეროვნულმა ენებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ გადმოიტანონ ტერმინები თავის ენებში, ტრანსლიტერაციის გზით, თუ გამოიყენონ მშობლიური ენის რესურსი, მიმართონ სემანტიკური სესხების მეთოდს და თავადაც მიანიჭონ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა იმავე საერთო ლექსიკის სიტყვებს ან ტერმინებს თავის ენებში.

თანამედროვე ტერმინოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება უკავშირდება ტერმინთა სინონიმიის ზრდას. ტერმინთა სინონიმია, როგორც მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უკვე ტერმინოლოგიურ სტანდარტებშიც აისახება. სინონიმიის დაშვება, როგორც ტერმინთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებისა, ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული ენების მიერ

ტერმინოლოგიური პოლიტიკის შესამუშავებლად, კერძოდ ენაში ტრანსლიტერაციის გზით დამკვიდრებული ტერმინებისათვის შესაძლოა მშობლიური ენის რესურსებით სინონიმების შექმნა, რათა ორივე ტერმინმა თანაიარსებოს ენაში, როგორც თანაბარუფლებიანმა სინონიმებმა. სტატიაში, კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე, დეტალურადაა გაანალიზებული თანამედროვე ტერმინოლოგიაში მიმდინარე პროცესები და ის მძიმე ვითარება, რაც ქართულ ტერმინოლოგიაშია დღეს ამ ფონზე.

33. მოხსენებაში განხილულია ენისა და სტილის თავისებურებები ფრანც კაფკას რომანში „პროცესი," როგორიცაა კაფკას კანცელარული და ჰიპოთეზური თხრობის სტილი, მისი პერსონალური, დისტანციური ხედვა, რომანში იურიდიული ტექსტებისათვის ტიპური სტილისტური, ვერბალური და გრამატიკული მახასიათებლების გამოყენება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოჩენა ენობრივი საშუალებების კონცენტრაციით და მოყვანილია შესაბამისი მაგალითები.

34. ნაშრომში გაანალიზებულია ეთნიკურად არაგერმანელ ავტორთა დამოკიდებულება გერმანულ ენასთან, კულტურულ იდენტობასთან და უნივერსალისტური ჰერმენევტიკის პოსტულატებთან. განხილულია ინტერკულტურული ლიტერატურის არაცალსახად დეფინირებული ცნებები და ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში გამოკვლეულია ცნობილ ავტორთა ინტერკულტურული ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავენ ავტორის მშობლიური ენის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას (თარგმნილს ან განმარტებულს სქოლიოში), გამონათქვამების ბილინგვურ ინტერპრეტაციას, მათ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ დონეებზე ცვლილებას, დისტანციური თხრობის მანერას, პერსპექტივების გაცვლას, ჰიბრიდული სივრცისა და წარმოსახვითი მოგზაურობის აღწერას.

35. სტატიაში განხილულია პაულ ცელანისა და ინგებორგ ბახმანის შემოქმედება, რომელშიც ნათლადაა ასახული ომის შემდგომი გერმანული ლირიკის სპეციფიკა, როგორც პოეტური ასევე თეორიული თვალსაზრისით: ლირიკის ფუნქციისა და დანიშნულების საკითხი, პოეტური ენის სპეციფიკა, პოეტის დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ, ლირიკული „მე", ფილოსოფიური გავლენები პოეტის შემოქმედებაზე და სხვ. დადგენილია, რომ ამ პოეტთა მიერ ძველი ლიტერატურული ტრადიციების უარყოფა გამოწვეული იყო სურვილით, ახალი სიტყვა ეთქვათ პოეზიაში, შეექმნათ ,,ახალი ენა", რომელსაც გამოხატვის ახალი მანერა ექნებოდა. მათ ლირიკაში სწორედ ეს ფუნქცია აქვს ლექსების დაშიფვრას, ლაკონურობას, რიტმისა და სასვენი ნიშნების უარყოფას, რითმისა და სინტაქსური წესების დარღვევას. მათ ,,ახალ" ლირიკას ახასიათებს ასევე: მეტაფორების, ალეგორიებისა და სიმბოლოების სიუხვე, ლექსის ბწკარედული ფორმა, თავისუფალი რიტმი, ლირიკული ,,მე" - ს ფუნქციის შესუსტება და უშუალო ,,საუბარი" მკითხველთან.

36. მოცემული ნაშრომი ეძღვნება ეძღვნება პაულ ცელანის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი პოეზიის ინტერპრეტაციისა და თარგმნის თავისებურებების განხილვას. პ. ცელანის გერმანულენოვანი ლექსები, რომლებიც არა მარტო გერმანული, არამედ ებრაული ენისა და კულტურის ანარეკლიცაა, განაპირობებს მათი რეცეფციისა და თარგმნის პრობლემებს. პ. ცელანის ჰერმეტული ლექსები როგორც შინაარსობრივ, ასევე ენობრივ-გამომსახველობითი ფორმის დონეზე, განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის მთარგმნელებს. მოცემულ ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული პ. ცელანის რამდენიმე ლექსის („მარიანა", ცვილის სინათლე", „სიკვდილის ფუგა") ქართული თარგმანები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

37. სტატიაში განხილულია უცხოური ენის სწავლების ,,ახალი პარადიგმა," „წარმოდგენა"

(„Performanc“), რომლის ყურადღების ცენტრშია კულტურული, ინტერაქტიული პროცესები, მედიალურობა და ინტერდისციპლინურობა. ეს კატეგორიები განსაკუთრებით წარმოჩენილია ინტერკულტურულ ლიტერატურასა და ფილმში, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა კომუნიკაციური, კულტურული, და ინტერდისციპლინური კომპეტენციების განვითარებას. ამიტომ, გერმანული ენის გაკვეთილზე რეკომენდებულია ინტერკულტურულ ფილმზე მუშაობა, რომელიც ემსახურება სტუდენტთა ვიზუალური, კოგნიტიური, აუდიტორული ,,არხების," გააქტიურებას, მეტყველების ინტენსიფიკაციას და სოციალური სწავლების ფორმატში მათი რეცეფციული და პროდუქტიული უნარ-ჩვევების გავითარებას. ნაშრომში მოცემულია ინტერკულტურული ფილმის დიდაქტიზაციის ცდა, გამოყოფილია ფილმზე მუშაობის სამი ფაზა, რომლებშიც გაგების სათანადო სტრატეგიებია გამოყენებული. და რომლებიც აუმჯობესებენ სტუდენტის ავთენტიკური მეტყველების გაგების, არგუმენტაციის, რეზიუმირების, რეფერირების, პრეზენტაციის და სხვა უნარებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. რუსიეშვილი, რ.დოლიძე	CHAPTER Seventeen- A contrastive study of metaphoric idioms in English, Georgian, Russian and Turkish. Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison. ISBN (10): 1-5275-4218-1	Cambridge: Cambridge Scholars.	pp. 249-257.
2	რ.დოლიძე კაპანაძე ნ.	თავი წიგნში - CHAPTER Thirty-seven Fachphraseologismen und Kollokationen in den über Bioethik des Europäischen Rates und der Uno (Am biespiel des Englischen, Deutschen und Georgischen)	Cambridge: Cambridge Scholars.	pp. 567-586
3	ნანა გუნცაძე	Baratachvili et le context interculturel	PWNISBN 978-83-01-20277-4	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აღნიშნულ წიგნში დაბეჭდილი ეს თავი ეძღვნება ენობრივი და ენათაშორისი იდიომების ეკვივალენტურობის პრობლემას რამდენიმე ენის (კერძოდ, ქართული, ინგლისური, რუსული, ფრანგული

და თურქულ ენების) სომატურ მასალაზე დაყრდნობით. იდიომების იდენტიფიცირებისათვის და საანალიზოდ გამოყენებულია მ. რუსიეშვილის (2005) მიერ შემოთავაზებული მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელი. იდიომები, რომლებიც ემთხვევა მოდელის ყველა დონეზე (შრეზე), მიჩნეულია სრულ ენობრივ ან ენათაშორის ეკვივალენტებად, ხოლო ის იდიომები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურა ემთხვევა მხოლოდ შუა, მეტაფორის კონტექსტური მნიშვნელობის დონეზე, განხილულია, როგორც ნაწილობრივი ეკვივალენტები.

2. დარგობრივი ფრაზეოლოგიუზმები და კოლოკაციები ევროპის საბჭოსა და გაეროს კონვენციებში ბიოეთიკის სფეროდან (ინგლისური, გერმანული და ქართული ენების მასალაზე)

აღნიშნულ წიგნში დაბეჭდილი თავი ეძღვნება ფრაზემებისა და ფრაზეოლოგიზმების კვლევის საკითხს ინგლისური, გერმანული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით დარგობრივ ენებში. ანალიზის შედეგების კატეგორიზაციისათვის გამოყენებულია ჰ. ბურგერის ფრაზეოლოგიური კლასიფიკაციის მოდელი (Burger 2007: 36-37) და ამ მოდელის ვარიანტი, რომლიც დარგობრივ-ენობრივი მიმართულებით არის დიფერენცირებული კიუტცის მიხედვით (Kühtz 2007: 100-118):

დარგობრივი ფრაზეოლოგიზმების აღწერისას ყურადღება გამახვილებულია ფრაზემებზე ტექსტის სახეობისა და თემატიკის გათვალისწინებით და გავიზიარეთბურგერის (Burger 2007), გლეზერის (Gläser 2007), კიუტცის (Kühtz 2007) და კიაერის(Kjaer 2007)მიდგომები. ბურგერის ანალოგიით სტრუქტურული და კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები მთლიანად კოლოკაციებად განიხილება, რადგან ამ ერთეულებში მნიშვნელობის იდიომატიზაცია არ ხდება. მთლიანობაში ტექსტის კორპუსი სამივე ენაზე 80 000-მდე ტოკენს მოიცავს. გაანალიზებული მასალიდან მკაფიოდ გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობები. აღნიშნული ტექსტის კორპუსში სამივე ენისათვის მეტ-ნაკლებად მსგავსი ტენდენციებია, თუმცა არის განსხვავებებიც. ყველაზე მეტი ფრაზული ერთეული არის ნომინატივური ფრაზეოლოგიზმები, მას მოსდევს ვერბალური და ადვერბიალური, შედარებით ნაკლებია ზედსართავული ფრაზეოლოგიზმების რაოდენობა. ამავე დროს ზედსართვაული ფრაზეოლოგიზმების ნიმუში, სადაც წამყავნი კომბინაცია არის ზედასრთავი სახელი+მიმდეობა მხოლოდ გერმანულისთის აღმოჩნდა ასეთი ფორმით პროდუქტიული ჩვენი კორპუსის მაგალითზე, ასეთ შეთანხმებას ინგლისური და ქართული ერთნაირი კომბინაციით ანაცვლებს: (ვითარების) ზმნიზედა + ზედსართავი. ტექსტის სახეობის მოცემულობიდან გამომდინარე მრავალად არის ფორმულირების სტერეოტიპები, რომლებიც წინადადების სეგმენტს წარმოადგენენ და ტექსტის დანაწევრებას უწყობენ ხელს. ტექსტის სახეობას უკავშირდება წინადადების ტოლფასი სტერეოტიპური ფორმულირებები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმებად მიიჩნევა მათი გამოყენების სიხშირული მაჩვენებლიდან და სტაბილურობის კრიტერიუმიდან გამომდინარე.

3. ნამშრომი წარმადგენს დიდი ქართველი ლირიკისი პოეტის ბარათაშვილის პოეზიის კრიტიკულ პანორამას კულტურათაშორის კონტექსტში .
თანამედროვე ქართული პოეზიის ფუძემდებელი ბარათაშვილი პირველია, ვისაც ევროპული იდეები შემოაქვს ქართულ პოეზიაში, გზა უხსნის ნამდვილ, თანამედროვე პოეზიას, ხელს უწყობს ახალი პოეტურ ენის აღორძინებას.
ბარათაშვილის ლექსების გაგება ნიშნავს რომანტიზმის სამყაროს ესთეტიკური ხედვის სირთულის გაგებას. ბარათაშვილის შემოქმედებაში ნათლად ჩანს რომ პოეტი კარგად იცნობს 18-19 საუკუნეების ევროპულ ფილოსოფიასა და პოეზიას.
თავისი პოეტური ენერგიით და სიძლიერით ბარათაშვილი თავის კუთვნილ ადგილს იკავებს ვ. ჰიუგოს, ვინის, ბაირონის, ჰაინეს და სხვა შესანიშნავი პოეტების გვერდით . მისი ლექსების კრებული ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში 1968 წელს. სწორედ ამ დროს აღმოაჩინა ფრანგმა მკითხველმა დიდი ქართველი პოეტი.
2017 წლის 15 დეკემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წელი აღინიშნა . ქართველი პოეტის ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ამ წიგნში ხაზს ვუსვამთ კავშირს, რომელიც არსებობს ქართულ პოეზიასა და დიდ ევროპულ პოეტურ ტრადიციებს შორის.
ნაშრომის მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ინტერკულტურული კონტექსტის მნიშვნელობა ბარათაშვილის პოეზიის შესწავლაში და დავადასტუროთ, რომ ქართული პოეზია იმსახურებს კომპარატისტულ შესწავლას, რაც საბოლოოდ მიზნად დაისახავს ლიტერატურის მსოფლიო ფონდში ქართული პოეზიის წვლილის წარმოჩენას.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. რუსიეშვილი, რ.დოლიძე	Readings in English Philology, ISBN 078-9941-13-299-5	თსუ	142
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა გელაშვილი	Managing The Manager Critical Essays on Richard Berengarten's Book-length Poem. edited by Paul Scott Derrick, Sean Rys. ISBN-13: 978-1-5275-1934-3 ISBN-10: 1-5275-1934-1	Cambridge Scholars Publishing, 2019.	pp.97-106
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ,,დრო და სივრცე პოემაში ,,მენეჯერი'' განხილულია დროისა და სივრცის მოდელირება თანამედროვე პოეტის რიჩარდ ბერენგარტენის (ბერნსის) პოემაში ,,მენეჯერი''. სტატია განიხილავს ქრონოტოპის სახეცვლილებას მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე. ,,მენეჯერი'', როგორც პოსტმოდერნისტული პოემა, მუდმივ დიალოგშია სხვა ტექსტებთან, ეზრა პაუნდის ,,კანტოებთან'', განსაკუთრებით ტომას ელიოტის ,,უნაყოფო მიწასთან'', რომლის ერთგვარ პასუხადაც იგი იყო ჩაფიქრებული ავტორის მიერ. ეს დიალოგურობა და ინტერტექსტუალურობა მნიშვნელოვნად განსახღვრავს პოემის მხარვრულ თავისებურებებს და მის ქრონოტოპს.				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ. თვალთვაძე, ე. მუმლაძე, ი. გველესიანი	მულტილინგვური განათლება - ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ http://dx.doi.org/10.17770/sie2019vol3.3686	„საზოგადოება, ინტეგრაცია, განათლება“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტომი III.	ლატვია, Rēzeknes Tehnoloģiju akadēmija	10

2	**ი. გველესიანი** ე. მუმლაძე	კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარება და ენათა მიმოცვლა	“ენების სწავლების ინტერკულტურული კომუნიკაციის სტრატეგიები თანამედროვე უნივერსიტეტში”, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	უკრაინა, КНЕУ	6
3	~ **ი. გველესიანი**	ფრანგული ნეოლოგიზმების თარგმნის თანამედროვე ტენდენციები	რომანისტიკა-2018; გადაცემულია დასაბეჭდად	რუსეთი	9
4	**ინესა მერაბიშვილი**	“The Prisoner of Chillon” and Its Interpretation in Translation	Byron, Time and Space, Proceedings of the 43rd International Byron Conference, Yerevan, 29 June-4 July, 2017	Yerevan, Yerevan State University Press	18
5	**მ. ანდრაზაშვილი**	Diminutiva in kontrastiven Sprachvergleich *Deutsch-Georgisch.* დიმინუცია – გერმანულ-ქართული შეპირისპირებითი ანალიზი	კონფერენციის მასალებში: 24.09.–27.09.2018 LingColl 53 – Linguistics Colloquium: Linguistic Variation and Diversity. content/uploads/lingcoll53_bookofabstracts1609.pdf SDU – University of Southern Denmark. Odense.	გამოიცემა 2019 წლით დათარიღებული *პეტერ ლანგის* გამომცემლობაში	21
6	**მ. ანდრაზაშვილი**	Namen der Bundesländer: lieber interlinguale Allonyme aus Treue zur Tradition oder Wende zu Endonymen? ბუნდესლანდების სახელები: ენდონიმები თუ ტრადიციული ალონიმების აღდგენა?	კონფერენციის მასალებში: 04.10.–06.10.2018 Namenforschung im Spannungsfeld von Wissenschaft und Öffentlichkeit. Adalbert-Sifter-Institut des Landes OÖ. Literaturhaus im StifterHaus. Linz, Österreich.	იბეჭდება 2019 წლით დათარიღებული *დე გროიტერის* გამომცემლობაში	35
7.	**კ. ბრეგაძე**	„ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანული რომანტიზმი“ (ფრანგულ ენაზე) (გვ. 88-132)	„ქართული რომანტიზმი: ბარათაშვილი ინტერკულტურულ კონტექსტში“ (ფრანგულ ენაზე) (შემდგ. და რედ. ნანა გუნცაძე) **ISBN 978-83-01-20277-4**	ვარშავა, PWN	- 17 გვერდი

8	თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე	The Lexicographic and Lexicological Aspects of a Web-Based Chrestomathy of Gothic and Anglo-Saxon Written Records (გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათიის ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ასპექტები)	Lexikos ISSN 2224-0039 (online) https://lexikos.journals.ac.za/pub	AFRILEX (African Association for Lexicography	გვ. 359-367.
9	მუჯირი ს. კაპანაძე ო.	„Словесное ударение в русском и немецком языках“, ISBN 978-5-19-011413-3; РИНЦ. http://esti.msu.ru/pages/science/conf-materials/conf-materials_476.html	Языки.Культуры. Перевод VII Международный научно-образо вательный форум 29.06. – 04.07.2019 Материалы	САЛОНИКИ (ГРЕЦИЯ), Издательство Московского университета имени М.В. Ломоносова 2019	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია უახლესი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოში მულტილინგვური განათლების დანერგვისკენ. ამასთანავე, წარმოდგენილია უცხო ენის სწავლების ინოვაციური სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობს:

- სწავლების ინოვაციური მეთოდების, მოდელებისა და მიდგომების გამოყენებას (CLIL მიდგომა, ჰეტეროგლოსური მიდგომა);
- წარმატებული გაკვეთილის მოდელის შექმნას;
- ინტენსიური ტრენინგ-კურსების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს ინტერკულტურული უნარების განვითარებას და ა.შ.

2. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კოდის შეცვლის (code switching) გამოყენება მულტილინგვური განათლების წარმატების საწინდარია. იგი მჭიდრო კავშირშია ენათა მიმოცვლის მექანიზმთან.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების შესწავლას. უმთავრესი ყურადღება ეთმობა როგორც მშობლების, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს ენათა მიმოცვლის (translanguaging) განვითარებაში.

3. ნაშრომი ეძღვნება XXI საუკუნის ფრანგული ნეოლოგიზმების შესწავლის საკითხს. მასში განხილულია ახალი ფრანგული და ლუქსემბურგული სამართლებრივი ინსტიტუტების ფორმირება, მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების თარგმნის პრობლემატიკა და ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის თანამედროვე ტენდენციები.

4. ეს მოხსენება გახლავთ პირდაპირი გამომახილი, ერთი მხრივ, ბაირონის 40-ე საერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც ჩატარდა თბილისში 2014 წელს, და რომელიც პირველად მიეძღვნა ბაირონის საერთაშორისო კვლევას თარგმანთან მიმართებაში, ხოლო, მეორე მხრივ, 2016 წელს ბაირონის იმ საერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც ჩატარდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. შვეიცარიაში დელეგატები გავემგზავრეთ ბაირონის ნაკვალევზე და სხვა მნიშვნელოვან ადგილებთან ერთად მოვინახულეთ შილონის ციხესიმაგრე, სადაც XVI საუკუნეში

განვითარებული მოვლენები საფუძვლად დაედო ბაირონის პოემას “The Prisoner of Chillon”.

მოხსენების მიზანია, წარმოადგინოს ამ პოემის ლიტერატურულ-სტილისტური ანალიზი და გამოავლინოს მისი ის მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელთა შესახებ ბაირონოლოგიაში დღემდე არ ყოფილა მსჯელობა. ამავე დროს, მოხსენება მიზნად ისახავს ამ პოემის თარგმანების (პირველ ყოვლისა, რუსული და ქართული) განხილვას დედანთან შეპირისპირებით, რაც ფაქტობრივად გამოავლენს იმ ფაქტს, რომ არსებულ თარგმანებში ორი საუკუნის მანძილზე ბაირონის მიერ დაპყრობილი არაერთი პოეტური მწვერვალი არასწორად იყო ინტერპრეტირებული.

დასასრულ, წარმოვადგინე ბაირონის ამ პოემის საკუთარი ინტერპრეტაცია ჩემეულ ახალ ქართულ თარგმანში „შილონელი ტუსაღი.

5. დიმინუცია – გერმანულ-ქართული შეპირისპირებითი ანალიზი

მოხსენება, წაკითხული დანიაში *ყოველწლიური ლინგვისტური კოლოკვიუმის* რიგით 53-ე შეკრებაზე, შესრულებულია ინტერნაციონალური დისპუტის/დებატის დისკურსის სტილში და ის უპირისპირდებოდა 2015 წელს იენის საერთაშორისო კონფერენციაზე ბერნის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მიერ დიმინუციის ფენომენთან მიმართებაში კონტრასტული ლინგვისტიკის პოზიციიდან გამოთქმულ მოსაზრებას: http://www.gip.uni-jena.de/wp-content/uploads/2016/10/GIP-Tagung_Programm-07.10.2016.pdf

ა) დიმინუციის იზომორფულობის თაობაზე ქართულსა და გერმანულში; ბ) დიალექტალურად ან სოციოლექტალურად შეფერილი ფორმების გამოცხადების საურთიერთო ქართულისთვის დამახასიათებლად;

გ) სამეტყველო/საურთიერთო ქართულის მზარდ სწრფვას, დიმინუტიური ფორმების დანერგვის თვალსაზრისით.

წამოყენებულ მოსაზრებებს მოხსენებაში ვუპირისპირებ საწინააღმდეგოს, მაგრამ არა აბსტრაქტულად/იდეის დონეზე, არამედ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. ამ მიზნით დიმინუციის ფენომენს განვიხილავ სამ ჭრილში: ენის სიტემის დონეზე, ორიგინალური ტექსტის დონეზე და მხატვრულ თარგმანთან მიმართებაში. გამოკვლევას სრულყოფს ემპირიული მასალის სოციოლინგვისტური ანალიზი, დაფუძნებული საგანგებოდ შედგენილი კითხვარის შედეგების შეჯამებაზე.

6. ბუნდესლანდების სახელები: ენდონიმები თუ ისევ ტრადიციული ალონიმები?

მოხსენება, წაკითხული ლინცში გამართულ გერმანია-ავსტრიის ერთობლივ ტოპონომასტიკის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ეძღვნება გერმანიის ბუნდესლანდების სახელთა ქართული ეკვივალენტების მორგბას ჩემ მიერ რამდენიმე წლის წინ შემუშავებული სახლთტრანსფერის სამსაფეხურიან მოდელზე (იხ. წინა წლების ანგარიშები).

მასში წამოყენებულია არგუმენტები, რომლებიც თვალსაჩინოდ განუმარტავს მკითხველს, თუ რატომ არის სასურველი ტრადიციული ალონიმები ჩანაცვლდეს ენდონიმებით, რათა ლინგვისტური კორექტულობის შენარჩუნების პარალელურად შესაძლებელი გახდეს საკუთარ სახელთა სწორი იდენტიფიკაცია. ნათქვამი საგანგებოდ ეხება ისეთ სახელებს, რომელთა ფუძეც რამდენიმე ტოპონიმში მეორდება, მაგრამ ურთიერთგანსხვავებულ მორფოსინტაქსურ გარემოცვაში (მაგ.: Sachsen / Niedersachsen / Sachsen-Anhalt / Nordsachsen; Franken / Mittelfranken / Unterfranken / Oberfranken).

7. სტატია არის ცდა, კომპარატივისტული მიდგომების საფუძველზე ფართოდ და ვრცლად წარმოაჩინოს ის ტიპოლოგიური და გენეტიკური სიახლოვე პოეტიკასა და მსოფლმხედველობაში, რაც იკვეთება ქართველი რომანტიკოსი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) ლირიკასა და გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობრივ და პოეტოლოგიურ პარადიგმას შორის.

კვლევის შედეგად განისაზღვრა შემდეგი მსოფლმხედველობრივი და პოეტოლოგიური

სიახლოვე:

1. ყოფიერების დაყოფა ხილულ და უხილავ სამყაროებად, შესაბამისად, ემპირიულ (გრძნობად) და ტრანსცენდენტურ (მიღმიერ, ზეგრძნობად) სამყაროებად,

2. ამ ორი სამყაროს აპრიორული სინთეზი, ან მათი რადიკალური დაპირისპირება და სინთეზის აპრიორულივე შეუძლებლობა, რაც ასევე იკვეთება გერმანული რომანტიზმისა და ბარათაშვილის ლირიკის ფარგლებში (ამ ტრაგიკულ ვითარებას ჰეგელმა ე. წ. "ტრაგიკული ცნობიერება" უწოდა),

3. აქცენტირება საკუთარ სუბიექტზე/სუბიექტურობაზე და მის უნივერსალურ და განუმეორებელ არსზე,

4. ყოფიერების/ეგზისტენციის პრინციპად სწრაფვის გაგება, რომელიც მუდმივი მდგომარეობაა: შდრ., „სწრაფვის გაუნელებელი განცდა" (ფრ. შლაიერმახერი),

5. ადამიანის ცნობიერად მსწრაფველ არსებად გაგება,

6. ადამიანის ზეგრძნობად, მიღმიერ სინამდვილისაკენ ცნობიერად მსწრაფველ (ტრანსცენდირებად) არსებად გაგება,

7. რელიგიურობის პრინციპი: რელიგია, როგორც დაკარგულ ტრანსცენდენტურობასთან კავშირის აღდგენის, კავშირის დამყარების აპრიორული პროცესი

ამ ონტოლოგიურ და ანთროპოლოგიურ პოზიციათა ფარგლებში კი იკვეთება ბარათაშვილის რომანტიკოსი პერსონაჟის შემდეგი მახასიათებლები, რაც, ზოგადად, ასევე დამახასიათებელია გერმანული რომანტიზმის პერსონაჟებისათვის:

1. იმთავითვე გამოკვეთილია მისი რეფლექსიის, თვითჩაღრმავების, თვითშემეცნების, თვითდადგინების რეჟიმში მუდმივი ყოფნა, ასევე გამოკვეთილია სულიერი შემეცნების ირაციონალური უნარები: წარმოსახვის ძალა განცდა/გზნება/გრძნობა, ჭვრეტა, შესაბამისად, მუდმივად აქცენტირებულია სულიერ-მისტიური შემეცნების, ანუ „მაგიური იდეალიზმის", "გარომანტიულების" დაფუძნებისა და განვითარების სპეციფიური სულიერი ორგანოები _ გული/სული/სამშვინველი,

2. "რომანტიკოს" პროტაგონის მუდმივად ამოქმედებული აქვს "გარომანტიულების", შესაბამისად, "რომანტიკული ირონიის" შემეცნებითი "მეთოდი",

3. ტრანსცენდირების, სწრაფვის, ვითარებაში მუდმივი ყოფნა,

4. ბუნებისადმი სწრაფვა (შდრ. ნოვალისისეული ფორმულა: მე=არა-მე/Ich=Nicht-Ich), ვინაიდან "რომანტიკოსი" პერსონაჟი აპრიორულად სწორედ ბუნებას განიხილავს პარადიზული ყოფიერების ამქვეყნიურ ნიშნად და გამოვლინებად, "გარომანტიულების" მეთოდოლოგიურ სივრცედ, თუ წინაპიროზად,

5. საკუთარი სუბიექტურობის პრიმატი, რაც გულისხმობს საკუთარი პიროვნებისა და საკუთარი შემეცნების ფარგლებში მიღებული წარმოდგენების ე. წ. ობიექტურ სინამდვილეზე აღმატებილად განხილვას (ფიხტეანური ნაკადი), რაც ასევე (სუბიექტურობის პრიმატი) გულისხმიბს საკუთარ არსში საკუთარი სუბიექტურობის უნივერსალურ-კოსმიურ განცდას; ამ ყველაფრის მიზანი კი საკუთარ თვითობაში "აბსოლუტური მე"-ს დაფუძნებაა,

6. "უბედური ცნობიერებით" შეპყრობილობა

7. ჰეროიკული პესიმიზმი (შდრ. ნოვალისის „ღამის ჰიმნები", ბარათაშვილის "მერანი")

8. დისტანციის პათოსი _ აპრიორული დაპირისპირება და გამიჯვნა ფილისტერულ-ბიურგერული ყოფის, ბიურგერულ-ფილისტერული საზოგადოებისა და ცნობიერებისაგან.

8. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათია (იხ. 2.2. პუნქტი) და მისი მუშაობის პრინციპები, ქრესტომათიის ლექსიკონის კომპონენტი, ასევე გაანალიზებულია ონლაინ-რესურსის რიგი ლექსიკოლოგიური და ტექნიკური საკითხები.

9. ნაშრომში წარმოდგენილია ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებში სიტყვათმახვილის თეორიულ-ლინგვისტური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ეტაპს. ექსპერიმენტის პირველ და მეორე ეტაპზე გამოვლინდა ერთმარცვლიან და მრვალმარცვლიან სიტყვებში მახვილიანი მარცვლის აქცენტირების კანონზომიერებები და გერმანული და რუსული ენის შემსწავლელ ქართველენოვან სტუდენტთა მიერ დაშვებული ტიპური შეცდომები. შემუშავებულია

მეთოდური რეკომენდაციები ქართულენოვან აუდიტორიაში გერმანული და რუსული სიტყვათმახვილის საწარმოთქმო უნარების ფორმირებისა და ამ სფეროში შეცდომების აღმოსაფხვრელად.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მანანა რუსიეშვილი	მარჯორი უორდროპის წერილები	11 დეკემბერი, თსუ
2	გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი	ევფემიზმები პოლიტიკოსთა და დიპლომატთა მეტყველებაში /ინგლისური და ფრანგული ენების მასალაზე/	ქუთაისი, საქართველო 31მაისი -1 ივნისი 2019
3	ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია	პარემიოლოგიურ ერთეულთა მრავალფეროვნება არამონათესავე ენებში /ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/	თბილისი, საქართველო 13-15 ოქტომბერი 2019
4	ნ. კაპანაძე; გ. ყუფარაძე	წარმატების / წარუმატებლობის ცნების სემანტიკური წარმოდგენა გერმანულ, ინგლისურ და ქართულ სომატიზმებში	თბილისი,საქართველო 31ოქტომბერი - 1 ნოემბერი 2019
5	ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია	ალოფრონიული ფრაზეოლოგიზ-მები შეპირისპირებით ასპექტში	საგურამო,საქართველო 9 -10 ნოემბერი 2019
6	ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე,	ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა სპეციფიკა	თბილისი,საქართველო 26-28 ივნისი 2019
7	გიორგი ყუფარაძე,	ჯეიმს ჯოისის ენა და სტილი	თბილისი, საქართველო 27-28 სექტემბერი 2019
8	ირინა დემეტრაძე	სამეტყველო ეტიკეტის საყრდენი ცნებები და შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე).	საფაკულტეტო კონფერენცია. 2019 წლის 26-28 ივნისი, თსუ

9	მაია გურგენიძე, როუზ ბენე (კალგარის უნივერსიტეტი, კანადა)	შემოქმედებითი აზროვნება და შეფასება	თბილისი, 1-4 ივლისი, 2019 “English Book Education”
10	მაია გურგენიძე, ჰირომასა ტანაკა (მეისეის უნივერსიტეტი, იაპონია)	ყოველდღიური ენის ცვლილების პროცესი: როგორ ცვლის საზოგადოება ენას “ენის ინტერკულტურული გამოყენება სწავლება”	თბილისი, 22-24 აგვისტო, 2019 “English Book Education”
11	მანანა გელაშვილი	ჯოისის „ულისეს“ პოსტმოდერნისტული ვარიაციები ზურაბ ქარუმიძის რომანში „ღვინომუქი ზღვა“.	XIII თსუ, საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია – თეზისები 26-28 ივნისი, 2019
12	მანანა გელაშვილი	„ავთანდილის ანდერძის“ სამი ინგლისური თარგმანი (მარჯორი უორდროპი, ვენერა ურუშაძე, ლინ კოფინი)	რეგიონულ კონფერენცია- ,,მარჯორი უორდროპი- 150’’, 11.12.2019
13	ინესა მერაბიშვილი	თარგმანი, როგორც ლიტერატურის მაცოცხლებელი ძალა. მისი აწმყო და მომავალი საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი,ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათა დიალოგი გრძელდება“, 21-22 მარტი, 2019.
14.	ინესა მერაბიშვილი	მარჯორის ზღაპარი	11 დეკემბერი, 2019 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგ-რაფიის ცენტრი, **რეგიონული კონფერენცია „მარჯორი უორდროპი - 150“** კონფერენცია მიეძღვნა მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 150-ე წლისთავს
15.	ლელა ებრალიძე	„მთარგმნელის ცრუ მეგობრების“	შავი ზღვის საერთაშორისო

		პრობლემა ინგლისური ენის ქართულენოვანი შემსწავლელებისათვის და ამ პრობლემის გადაჭრის გზები.	უნივერსიტეტის მეცხრე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხებზე. თბილისი 2019.
16	ლალი ქეცბა-ხუნდაძე	„Wie sie uns lesen, so leben wir auch": Starategien im Roman von Giwi Margvelashvili - Oficer Pembry als Ontotext	თსუ, I კორპუსი, 31.10. – 2.11.2019
17	მ. ანდრაზაშვილი	ჩრდილოეთის ზღვის რეალიების ამსახველი ტერმინები და მათი ქართული ეკვივალენტები.	ივნისი, 2019 არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. სამეცნიერო ტერმინოლოგია VI. დაიბეჭდა თეზისები
18	მ. ანდრაზაშვილი თანაავტორი თამარ ჭუმბურიძე	გერმანულის ფონოლოგიური თავისებურებანი და ქართულად ტრანდსლიტერაციის სირთულეები.	ივნისი, 2019 თსუ XVIII საფაკულტეტო კონფერენცია დაიბეჭდა თეზისები
19	მ. ანდრაზაშვილი თანაავტორი ნატა ბასილაია	იდეოლოგიის ზეწოლა, დროის დიქტატი თუ არასწორად შერჩეული მეთოდოლოგიური საფუძველი? (გერმანულენოვან ტოპონიმთა რუსული და ქართული ეკვივალენტების ისტორიულ-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით)	12-14 სექტემბერი, 2019 თსუ / საერთაშორისო კონფერენცია, მიღვნილი რასმუს რასკისადმი „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები"
20	მ. ანდრაზაშვილი	გერმანიის ტოპონიმები - ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტი კონტრასტულ პლანში.	31.10-2.11.2019 თსუ / ჰუმბოლდტ კოლეგის თბილისის ფილიალის მეორე საერთაშორისო კონფერენცია
21	თამარ ჭუმბურიძე, ნინო ჭუმბურიძე	Sprachspezifische Aspekte der Übersetzung von Volksmärchen - ხალხური ზღაპრების თარგმნის სპეციფიკა (გერმანულ ენაზე)	ჰუმბოლდტის კოლეგის საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 31 ოქტომბერი-2 ნოემბერი,
22	თამარ ჭუმბურიძე,	გრიგოლ ფერაძე ქართული საერო ლიტერატურის შესახებ	11-13.09. 2019, თსუ, თბილისი

23	კონსტანტინე ბრეგაძე	„იდეოლოგიური დისკურსის ფუნქციონირება ტოტალიტარული რეჟიმის ოფიციალურ ტექსტებში (სტალინის 60 წლისთავისადმი მოძღვნილი კრებულის მასალების მიხედვით)“. (გერმანულ ენაზე)	საერთაშორისო კონფერენცია „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“
24	კონსტანტინე ბრეგაძე	„ფუკო vs. კანტი“: ანუ რა არის განმანათლებლობა? განმანათლებლობის მარადიული აქტუალობისათვის მიშელ ფუკოსთან“. (გერმანულ ენაზე)	2019, 31 ოქტ., -2 ნოემბ., თსუ, საერთაშორისო კონფერენცია “Humboldt –Kolleg-2”
25	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	ალოფრონიული ფრაზეოლოგიზმები შეპირისპირებით ასპექტში /ფრანგული და ქართული ენების მასალაზე/	01-02.11.2019 აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
26	მაია ჯავახიძე	გრამატიკული დროის თავისებურებები იტალიურში ქართულთან მიმართებაში	31 მაისი, 1-2 ივნისი, 2019 წ.ქუთაისის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“
27	მაია ჯავახიძე	თანამედროვე ქართული ლექსის იტალიურენოვანი თარგმანები	20-22 მარტი, 2019 ჯემალ აჯიაშვილი - 75: კულტურათა დალოგი გრძელდება
28	ბელა ხაბეიშვილი	ფრანგული ენის სწავლა-სწავლების მიდგომათა დიაქრონული ანალიზი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ ქუთაისი 1-2 ნოემბერი 2019
29	ბელა ხაბეიშვილი	უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკა-შედეგზე ორიენტირებული სწავლების მოდელი	
30	ნინო ჭრიკიშვილი	თარგმანის თავისებურებანი ესპანურ ენაში ალუზიები უილიამ შექსპირის	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა"ქუთაისი 1-31 მაისი,

31	თამარ გელაშვილი	,,ჰამლეტზე“ ჯეიმზ ჯოისის რომანში ,,ულისეს“	1-2 ივნისი, 2019 წელი. ქუთაისი, საქართველო
32	თინა მარგალიტაძე	ქართული ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიის სტრუქტურის საკითხისათვის	XIII თსუ, საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია –26-28 ივნისი, 2019
33	თ. მარგალიტაძე, მ. ოძელი	ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელი	„სამეცნიერო ტერმინოლოგია VI“ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი; 18-20 ივნისი, 2019, თბილისი საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი რასმუს რასკისადმი „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ ორგანიზატორები: გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, დანიის მეცნიერებათა სამეფო აკადემია, სანკტ-პეტერბურგის
34	სოფიო მუჯირი	ენისა და სტილის დიმენსია ფრანც კაფკას „პროცესში.“ ქუთაისის Vსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ენა და კულტურა“	სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019 წლის 12-14 სექტემბერი. https://drive.google.com/file/d/0BxXNnJ55RlVpOWtkdjN2ODg0bHVkMVJSUjZXUVNzeHRTUnJJ/view
35	სოფიო მუჯირი	პაულ ცელანის ლექსის: „ფსალმუნი“ ენობრივი და პოეტური თავისებურებები. სამეცნიერო კონფერენცია: ჯემალ აჯიაშვილი – 75: „კულტურათა დიალოგი გრძელდება“	31.05.-2.06.2019, აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ქუთაისი.
36	სოფიო მუჯირი	„პოეტური ენის სპეციფიკა ომის შემდგომ გერმანულ ლირიკაში“ (პაულ ცელანისა და ინგებორგ ბახმანის თეორიული შეხედულებების მაგალითზე) ლექსმცოდნეობის მე-XI	თსუ, 21-23.03.2019. თბილისი. 15-16. 06.2019. შ. რუსთაველის სახ.ქართული

		სამეცნიერო სესია, ეძღვნება მურმან ლებანიძეს.	ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.
37	სოფიო მუჯირი	ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები “სხვა“ კულტურათა ტექსტებში (გერმანულ ენოვანი ლიტერატურის მაგალითზე). მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,კულტურათაშორისი დიალოგები“.	25-27.10. 2019. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახ. უნივერსიტეტი, თელავი.
38	სოფიო მუჯირი	„Словесное ударение в русском и немецком языках“, http://esti.msu.ru/pages/science/conf-materials/conf-materials_476.html	Языки.Культуры. Перевод VII Международный научно-образовательный форум 29.06. – 04.07. 2019 САЛОНИКИ (ГРЕЦИЯ)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი

ევფემიზმები პოლიტიკოსთა და დიპლომატთა მეტყველებაში

/ინგლისური და ფრანგული ენების მასალაზე/

რეზიუმე

ინფორმაციის ძირითად წყაროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენენ. გაზეთების სტატიებისა და სატელევიზიო გადაცემების უმეტესობათა თემას წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობები. ჭეშმარიტ მიზანთა დასაფარად, პოლიტიკოსები და დიპლომატები მიმართავენ სიმართლის ვუალირების სხვადასხვა ხერხს, ცვლიან რა არასასიამოვნოდ მჟღერ სიტყვებს უფრო ნეიტრალური სიტყვებით, ანუ იყენებენ ევფემიზმებს.
ჩვენი ნაშრომის მიზანია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ევფემიზმთა ფუნქციების გამოვლენა და შესწავლა პოლიტიკურ და დიპლომატიურ დისკურსში (ინგლისური და ფრანგული ენების მასალაზე).
მასალის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ ევფემიზმები, უმეტეს წილად, გამოიყენებიან ისეთ გამონათქვამთა ოპტიმისტური “შეფუთვისათვის”, რომლებიც ეხებიან მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებსა და საერთაშორისო ურთიერთობებს.

ციური ახვლედიანი, **გიორგი ყუფარაძე,** ქეთევან გაბუნია
პარემიოლოგიურ ერთეულთა მრავალფეროვნება არამონათესავე ენებში
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

რეზიუმე
ანდაზები და თქმები ქმნიან თემატურ ჯგუფთა და სინონიმურ რიგთა მნიშვნელოვან რაოდენობას. ფრანგული და ინგლისური პარემიოლოგიური ერთეულების სემანტიკური თავისებურებების განხილვისას, აღსანიშნავია, რომ მრავალი პარემიისათვის ჩვეულია სემანტიკური გარდაქმნის ფორმის შერწყმა მეტაფორულ, იშვიათად კი – მეტონიმიურ გადააზრებასთან. მეტაფორული გადააზრება, წარმოადგენს რა ფრანგული ენის ანდაზური ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროს, გამოიხატება მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება ორი საგნის ან ორი მოვლენის

მსგავსებას: **qui sème le vent récolte la tempête;** sowing the wind harvesting the storm; a storm in a teacup *(UK)*; a tempest in a teapot *(US)* 'ქარის დამთესი – ქარიშხალს მოიმკისო'. მეტონიმიური გადაადრება, მეტაფორულთან შედარებით, ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ წარმოადგენს სემანტიკური გარდაქმნის საკმაოდ პროდუქტიულ ფორმას. იგი გამოიხატება ისეთი მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება არა მსგავსებას, არამედ საგნების, მოვლენებისა და ცნებების მომიჯნავეობას, ასოციაციურობას: **Coeur oublie ce qu'oeil ne voit;** Heart forgets what the eye sees 'გულს ავიწყდება, რასაც თვალი ვერ ხედავს'.

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ ფრანგულ და ინგლისურ ანდაზებსა და თქმებს გააჩნია მრავალი თავისებურება. მათში უფრო ხშირად გამოიყენება განსაზღვრული არტიკლი, ვიდრე განუსაზღვრელი. ერთეული საგნის მისათითებლად, ანდაზები და თქმები იყენებენ ერთ-ერთ თავიანთ ძირითად ფუნქციას – რიცხობრიობის ფუნქციას. ზოგჯერ გვხვდება არტიკლის გამოტოვების შემთხვევები, რაც აიხსნება ან გრამატიკული წესებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ენის ევოლუციის მანძილზე, ან იმ მიზეზით, რომ ზოგიერთი ანდაზა და თქმა ენაში გაჩნდა გაცილებით ადრე, ვიდრე არტიკლი როგორც დეტერმინაციის გრამატიკული კატეგორია.

ნ. კაპანაძე; **გ. ყუფარაძე**

წარმატების / წარუმატებლობის ცნების სემანტიკური წარმოდგენა გერმანულ, ინგლისურ და ქართულ სომატიზმებში

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს სომატიზმების, ფრაზეოლოგიზმთა ერთ-ერთი ქვეჯგუფის განხილავა წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ სხეულის ნაწილები ძირითადი ბიოლოგიური ფუნქციების პარალელურად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა საგნობრივი შინაარსების სიმბოლური დატვირთვისა და გამოხატვის მიზნით გამოიყენება.

სხეულის ნაწლები ნებისმიერი ენის სიტყვათამარაგის უძველეს ფენას განეკუთვნება. ადამიანის უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, სომატიზმები, რომელბიც ადამიანის სხეულის ნაწილებს შეიცავენ, უნივერსალურ ტენდენციებს ავლენენ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთოს პარალელურად ჩნდება განსხვავებები კულტურის იმ მოდელებში, რომელიც საზოგადოებებმა შექმნეს და მათში საზიაროა.

გამოკვლევაში მთავრი ყურადღება დავუთმეთ იმ ფაქტს, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს, თუ როგორაა კონცეპტუალიზებული კულტურის მოდელი - *წარმატება/წარუმატებლობა* გერმანულ, ინგლისურ და ქართულ ენებში.

კორპუსი შედგენილია ბეჭდური და ციფრული ლექსიკონების, ინტერნეტში არსებული გლოსარიუმების დახმარებით. რაოდენობრივი ასპექტის კუთხით ნაჩვენებია სხეულის ნაწილების გამოყენების სიხშირე სომატიზმებში და მათი წილი კულტურის მოდელის *(წარმატება/წარუმატებლობა)* კონცეპტუალიზაციაში. ეკვივალენტობის ანალიზის შედეგებში სომატიზმებს შორის სრული შესატყვისობის გვერდით ასევე ნაჩვენებია სომატიზმები სრული შესატყვისობის გარეშე. ნაშრომში ასევე განხილულია ცრუ მეგობრების (**False Friends**) ანუ მოჩვენებითი ეკვივალენტობის შემთხვევები სომატიზმებში *წარმატება/წარუმატებლობის* კულტურის მოდელის კონცეპტუალიზაციისას.

ციური ახვლედიანი, **გიორგი ყუფარაძე,** ქეთევან გაბუნია

ალოფრონიული ფრაზეოლოგიზმები შეპირისპირებით ასპექტში

რეზიუმე

ალოფრონიული ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ იდეოეთნიკური ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთ-ერთ სახეობას და მათი დანიშნულებაა "ვთქვათ ერთი რამ და ვაიძულოთ სხვა რამის გაგება", რაც თანხმობაშია კოგნიტიური ლინგვისტიკის ერთ-ერთ დებულებასთან, რომ გამონათქვამი არ არის ინტერპრეტაციის თანაბარი, ასევე სემიოტიკის იმ დებულებასთანაც, რომლის მიხედვითაც ნიშანი (ფრაზეოლოგიური ერთეულიც ასევე ენობრივ ნიშანს წარმოადგენს) შეიძლება იყოს არა მხოლოდ რაციონალური, არამედ ირაციონალურიც. ალოფრონური ფრაზეოლოგიური ერთეულები განეკუთვნებიან ფრაზეოლოგიურ ერთეულ-ფანტაზიებს და ფლობენ შემდეგ ნიშნებს: 1. ერთი აზრის გადატანა მეორეზე; 2. ცნებათა შერჩევა (ლექსემათა შეხამება) ხორციელდება აბსურდულობის ეფექტის მიღების ინტენციით,

აზრთა ახალი არანჟირების მიზნით, ანუ ეს ცნებები ერთდროულად რაციონალურებიც არიან და ირაციონალურებიც. ალოფრონიული ფრაზეოლოგიზმები შეიძლება დავყოთ შემდეგი პარამეტრებით: I. რაიმეს არაბუნებრივი მდგომარეობა; II. რაიმე ორგანოსადმი მისთვის არადამახასიათებელ ქმედებათა მინიჭება; III. სულიერის (არასულიერის) ადგილმდებარეობა მისი ყოფისათვის არადამახასიათებელ პირობებში.

ჩვენი კვლევის საგანია "შინაგან ორგანოთა" ფრაზეოთემატიკური ველი. ეს ველი შედის თემატურ კლასში "ადამიანი როგორც ცოცხალი არსება". « შინაგანი ორგანოები" შეიცავენ შემდეგ კონკრეტულ ლექსემებს: **cœur** – **heart** « გული », **cerveau/cervelle - brain** « ტვინი », **bile - gall** « ნაღველი », **rate - spleen** «ელენთა », **foie - liver** « ღვიძლი », **reins - kidneys** « თირკმელები », **estomac - stomach** « კუჭი », **sang - blood** « სისხლი », **veine - vein** « ვენა », **poumon - lung** « ფილტვი », **vessie** – **bladder** « შარდის ბუშტი » და არიან ანთროპოცენტრული მიმართულებისა.

სემიოტიკური კავშირით წარმოგვიდგება ურთიერთდაკავშირებული ლექსემები და სიტყვაშეერთებები, რომელთა მჭიდრო კავშირი და თანამდგომარეობა ფრაზეოლოგიზმში ხდება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მათ საფუძველზე ფორმირდება და ყალიბდება განსაზღვრული ხატი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ძირითად როლს ასრულებენ კონოტაციები. კონოტაციები ახასიათებენ სიტყვათა ძირითად მნიშვნელობებს და მატერიალიზდებიან გადატანით მნიშვნელობებში, მეტაფორებსა და შედარებებში, ნაწარმოებ სიტყვებში, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, სინტაქსურ კონსტრუქციათა განსაზღვრულ ტიპებში, სემანტიკურ სფეროებში.

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი
ფრანგულ და ინგლისურ ეკოლოგიურ ტერმინთა სპეციფიკა

რეზიუმე

პოლიპარადიგმატულობის თეორიის საფუძველზე, განვიხილავთ ფრანგულ და ინგლისურ ეკოტერმინებს, განვსაზღვრავთ მათ ალომორფულ და იზომორფულ მახასიათებლებს, ასევე მათი ფუნქციონირების თავისებურებებს.

ეკოტერმინთა პარადიგმების ანალიზის შედეგად, შეინიშნება იმ საერთო მახასიათებელთა დიდი რაოდენობა, რაც საფუძვლად უდევს ფრანგულ და ინგლისურ ეკოტერმინებს; მაგალითად, ფრანგ. **la liste rouge** – ინგლ. **red list;** ფრანგ. **corridor écologique** - ინგლ. **conserved corridor, ecological corridor** და სხვ. ფრანგული და ინგლისური ენების ეკოტერმინთა სისტემას გააჩნია დიდი სამეცნიერო გამომხატველობა, სიზუსტე და დეფინიციათა დახვეწილობა.

შიდაენობრივი, პრაგმატიკული, კულტუროლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ეკოტერმინის ახალი მნიშვნელობის ფორმირებას, უზრუნველყოფენ აქტუალიზაციის, რესემანტიზაციის მექანიზმს და შესაძლებელს ხდიან, რომ ეკოტერმინი გარდაიქმნას საყოველთაო ხმარების სიტყვად.

გ. ყუფარაძე
ჯეიმს ჯოისის ენა და სტილი
რეზიუმე

მეცნიერთა ფართო წრეებში, არცთუ უსაფუძვლოდ, გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჯეიმს ჯოისმა მეოცე საუკუნის რომანში ნამდვილი რევოლუციური გადატრიალება მოახდინა და მანამდე არსებული ე.წ. ჩვეულებრივი ნარატივის ნაცვლად წარმოგვიდგინა ცნობიერების ნაკადითა და ენის უპრეცედენტო თამაშის ხელოვნებით გაჯერებული ქმნილებანი.

9. **მაია გურგენიძე, შემოქმედებითი აზროვნება და შეფასება**

სესია ეხებოდა შემოქმედებითი აზროვნების პროცესის და დაბალანსებული შეფასების გამოყენების გზებს ინგლისური ენის სწავლების პროცესში. განხილული იყო შემდეგი თემები:

1. შემოქმედებითი აზროვნების პროცესის, როგორც მეთოდოლოგიის და ინგლისური ენის გაკვეთილზე არსებული პრობლემების გადაჭრის საშუალების შეფასება;

2. შემოქმედებით აზროვნებაზე ორიენტირებული პროგრამების შექმნა;
3. დაბალანსებული შეფასების ტექნიკის გამოყენებით ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების გზები;
4. ავთენტური დავალებებისა და მაღალი ხარისხის რუბრიკების შექმნის პრინციპები

10. მაია გურგენიძე., ყოველდღიური ენის ცვლილების პროცესი: როგორ ცვლის საზოგადოება ენას "ენის ინტერკულტურული გამოყენება სწავლება"

სესიის მიზანს წარმოადგენდა ენის ცვლილების პროცესის განხილვა, თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნულ პროცესზე სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა გლობალიზაცია, საზოგადოება და სხვა. სესია ასევე მოიცავდა ინფორმაციას ინგლისური ენის, როგორც Lingua Franca-ს, მისი ფუნქციონირების და ინგლისური ენის მსოფლიოში გავრცელებული ვარიანტების შესახებ.

განხილული იყო როგორც კომუნიკაციის სახეები, ასევე პრაგმატიკის მნიშვნელობა წარმატებული კომუნიკაციისთვის, თუ რატომ და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს კომუნიკაცია წარუმატებელი, როცა ლექსიკურ ერთეულებს გასაგებად წარმოვთქვამთ და სწორ გრამატიკულ ფორმებს ვიყენებთ.

11. ჯოისის „ულისეს" პოსტმოდერნისტული ვარიაციები ზურაბ ქარუმიძის რომანში „ღვინომუქი ზღვა".

ჯეიმზ ჯოისის გავლენა ქართულ სალიტერატურო პროცესზე განსაკუთრებით საინტერესო სახეს იღებს გასული საუკუნის 70-იან წლებიდან, რადგან ამ პერიოდს უკავშირდება როგორც ნიკო ყიასაშვილის მიერ თარგმნილი ,,ულისეს'' პირველი ეპიზოდების პუბლიკაცია, ისე მისი მოღვაწეობა ლექციების, თარგმნილი ეპიზოდების საჯარო კითხვისა და განხილვის სახით, რაც ქართველი მკითხველისათვის ჯოისის შემოქმედების გაცნობასა და პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

ზურაბ ქარუმიძის დაინტერესება ჯოისის შემოქმედებით 70-იან წლებში იწყება და ყველაზე მძლავრად მის პირველ რომანში ,,ღვინომუქი ზღვა'' (2000) გამოვლინდა. ეს ნაწარმოები, რომელიც პოსტმოდერნისტული რომანისათვის დამახიასათებელი ინტერტექსტუალობით ხასიათდება მოდერნიზმის პოეტიკის, კერძოდ ,,ულისეს'' პოსტმოდერნიზმის პოეტიკის გამოცდილებით აღქმის საინტერესო ნიმუშია. ჯოისის დუბლინის მსგავსად, ქარუმიძის რომანის ლიტერატურული ქრონოტოპი პოსტსაბჭოთა თბილისია, რომელშიც ხორციელდება ძალიან თამამი ენობრივი და ესთეტური ექსპერიმენტი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში, დასავლური ლიტერატურის დარად გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ვეღარ განვითარდა.

თავად ავტორი თავის ნაწარმოებს ,,რომან სიმფონიას'' უწოდებს. მართლაც ,,ღვინომუქი ზღვა'' პირველი რომანია ქართულ ლიტერატურაში, სადაც სიუჟეტი თითქმის მთლიანად უარყოფილია. ქაუმიძის რომანში ჯოისის ფანტომი ჩანს როგორც ლინგვისტური ექსპერიმენტირებასა, ბგერწერითა და ალუზიებით თამაშში, ასევე პერსონაჟის დახასიათების ტექნიკასა და სიუჟეტურ დონეზეც კი. ჯოისის ტექსტი ერთსა და იმავე დროს წარმოგვიდგება, როგორც მძლავრი შთამაგონებელი იმპულსი და ამავე დროს ირონიზირების ობიექტი, რითიც ავტორს ქართულ ლიტერატურაში დასვლური ლიტერატურული ტრადიციისათვის დამახასიათებელი კარნავალურობა და პაროდირება შემოქვს.

სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ იჩენს ჯოისის ,,ულისეს'' ტექსტი რომანის სხვადასხვა მხატვრულ კომპონენტში (კომპოზიცია, ქრონოტოპი, პერსონაჟის დახასიათება და სხვ.

13. თარგმანი, როგორც ლიტერატურის მაცოცხლებელი ძალა. მისი აწმყო და მომავალი საქართველოში

ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც, როგორც სიტყვაზე აგებული და ნაშენი, დედნის ენის მცოდნისთვისაა გასაგები მხოლოდ. ამავე დროს, მაღალმხატვრულ ნაწარმოებში დევს ის მუხტი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მთარგმნელს, შედევრი სხვა ხალხისთვისაც, სხვა ერისთვისაც ხელმისაწვდომი და ძვირფასი რომ გახადოს. სწორედ ამ მოვლენაში მდგომარეობს თარგმანის, როგორც ლიტერატურის მაცოცხლებელი ძალის ფუნქციაც და მისი ხელოვნების ნიმუშად გამოცხადების პირობაც.

საქართველოს მდიდარი მთარგმნელობითი ისტორია და ტრადიცია აქვს, დაწყებული ბიბლიის თარგმანითა და დამთავრებული XIX საუკუნის მაჩაბლისეული შექსპირით.

გამორჩეულია XX საუკუნის მთარგმნელობითი საქმიანობა, როდესაც აშკარად გამოიკვეთება უცხოური ლიტერატურის რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანების, როგორც შუამავალი რგოლის გავლენა, რასაც, ბუნებრივია, სტიმულთან ერთად ხარვეზიც მოჰყვებოდა, საკუთრივ შემდეგი: რკინის ფარდის მიღმა არსებულ მსოფლიოს მთარგმნელი ძირითადად წიგნით შეიმეცნებდა და ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, ფართოდ გასცნობოდა ამა თუ იმ ქვეყნის ყოფასა და კულტურას. ასეთ ვითარებაში უცხოური ენის ცოდნა საკმარისი არ იყო მთარგმნელობითი საქმიანობისთვის.

დღევანდელ პირობებში ვითარება შეცვლილია და თარგმანის პერსპექტივა საქართველოში შემდეგნაირად გვესახება:

1. იმ ორი ენის სრულფასოვანი ცოდნა, რომელიც ჩართულია თარგმანის პროცესში, ე. ი. მშობლიური და უცხოური ენების.

2. თარგმანის თანამედროვე მეთოდოლოგიის დაუფლება, რაც მესამე ენის ცოდნას უტოლდება.

3. ქართული ლიტერატურის თარგმნა უცხოურ ენებზე თავად ქართველ მთარგმნელთა მიერ.

4. მთარგმნელი ღრმად უნდა იცნობდეს იმ უცხოური ენის კულტურას, რომლიდანაც შეასრულებს თარგმანს. ეს ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, როდესაც ქართველი მთარგმნელი უცხოურ ენაზე თარგმნის მშობლიურ ლიტერატურას.

5. იმ ავტორის ზედმიწევნით კარგი ცოდნა, რომელსაც თარგმნის მთარგმნელი.

6. საქართველოში თარგმანის კრიტიკის განვითარება.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამით „თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები“ და სადოქტორო პროგრამით „თარგმანმცოდნეობა“, რომელიც მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

14. მარჯორის ზღაპარი

მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც, როგორც სიტყვაზე აგებული და ნაშენი, საკუთარ ენობრივ საზღვრებშია მოქცეული და მიუწვდომელია სხვა ენების მატარებელი მკითხველისათვის. ამდენად, თუ არა მთარგმნელი, ნებისმიერი ერის ლიტერატურული შედევრი მსოფლიოსთვის შეიძლება მიუწვდომელი დარჩეს.

შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც მწვერვალი ქართული პოეტური აზროვნებისა, შვიდი საუკუნე ელოდა მთარგმნელს. XIX საუკუნეში არაერთმა მთარგმნელმა სცადა მისი ცალკეული ფრაგმენტების თარგმნა, განსაკუთრებით რუსულ ენაზე, მაგრამ სრული ტექსტის თარგმანი პირველად შეასრულა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა ქალმა, მარჯორი უორდროპმა. მარჯორი უორდროპმა მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ქართული კულტურის განსაკუთრებით ღრმა შესწავლას მიუძღვნა თავი, ხოლო ბოლო თვრამეტი წელი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე იმუშავა. 1909 წელს მარჯორი უორდროპმა დაასრულა პოემის სრული ტექსტის პწკარედულ-პროზაული ინგლისურენოვანი თარგმანი ხელნაწერის სახით. დაასრულა და მალევე აღესრულა 40 წლის ასაკში 1909 წლის 7 დეკემბერს. მარჯორი უორდროპის გარდაცვალებისთანავე მისი შემოქმედების პატრონობა საკუთარ თავზე აიღო მისმა ძმამ, ოლივერ უორდროპმა, სახელოვანმა დიპლომატმა და საქართველოს დიდმა ქომაგმა, რომელმაც დააარსა მარჯორი უორდროპის ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში, ხოლო 1912 წელს ლონდონში გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი. პუბლიკაციას ახლდა მთარგმნელის ვრცელი კომენტარები და თავად ოლივერ უორდროპის მიერ შესრულებული შთამბეჭდავი შესავალი.

პოემის გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე ოლივერი დიპლომატიური მისიით აფრიკისკენ გაემგზავრა. იმავე გემით მგზავრობდა დიდი რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი, რომელსაც ოლივერ უორდროპმა გააცნო „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. ოკეანის გაშლილ სივრცეში მე ქართულ ვარდს შევეხეო, უთქვამს რუს პოეტს და მასაც ოციოდე წელი დასჭირდა, რომ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ეთარგმნა რუსულ ენაზე და პარიზში 1933 წელს გამოეცა. აი ასე დაიწყო შოთა რუსთველის სახელის დამკვიდრება საერთაშორისო ასპარეზზე.

მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი უორდროპის თარგმანი უცხოურ ენაზე შესრულებული პირველი სრული ვარიანტია, აღმოჩნდება, რომ ის საუკეთესოა დედანთან ადეკვატური სიახლოვის გამო. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი არ არის პოეტური და მასში ვერ აისახებოდა რუსთველის ჟღერადობის

მუსიკა, მარჯორის მაქსიმალურად ერთგულად გადმოაქვს რუსთველისეული აზრის მუსიკა, რაც მრავალი მაგალითით დასტურდება.

იმ დროს, როდესაც მარჯორი უორდროპი თარგმნიდა ქართულ ლიტერატურას და საკუთრივ, „ვეფხისტყაოსანს“, თარგმანის თეორია, როგორც მეცნიერული დარგი, ჯერ არ არსებობდა და მის ფორმირებას კიდევ ნახევარი საუკუნე დასჭირდებოდა. საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ საკუთარი ნიჭიერების, თავდადებისა და გამჭრიახობის წყალობით ინგლისელმა ქალმა წინ გაუსწრო დროს და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი შეასრულა იმ პარამეტრების დაცვით, რომელსაც დღეს თარგმანის თეორია საუკეთესო გზის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. ეს გახლავთ, პირველ ყოვლისა, უცხოური ენის ზედმიწევნით სიღრმისეული შესწავლა და იმ ფილოლოგიური დარგის ათვისება, რომელსაც შედევრი განეკუთვნება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება რუსთველოლოგია, რომელსაც დასაბამი დაუდო ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ, როდესაც 1712 წელს გამოსცა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ საკუთარი შენიშვნებითა და განმარტებებით.

ვახტანგ VI-ს თანახმად, რუსთველმა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულად მის მიერ შეთხზული ძღაპარი შემოგვთავაზა, რათა დაერწმუნებინა მკითხველი, რომ ეს იყო, საკუთრივ, მის მიერ შეთხზული ამბავი. მარჯორი უორდროპი თავს კარგად გრძნობდა ამ ზღაპარში და უერთგულა მის ყოველ სასწაულს, დაწყებული ჰიპერბოლიზებული ფაბულიდან და დამთავრებული ასევე ჰიპერბოლიზებული მეტაფორებითა და შედარებებით. უფრო მეტიც, მან საკუთარი ცხოვრებით შექმნა ზღაპარი, როცა დაუპირისპირდა დინებას, წინ აღუდგა ოჯახისა და ვიქტორიანული ინგლისის ცრურწმენას და საკუთარი ცხოვრება მათთვის სრულიად უცხო ქვეყნის სიყვარულს მიუძღვნა. რა იყო ეს, თუ არა შეყვარება ქართულ კულტურსა და ლიტერატურაში, როდესაც 20 წლის ქალიშვილმა ქართული ენის შესწავლას მიჰყო ხელი. როგორც თავად ამბობდა, მის გულსა და გონებას საქართველოს გარდა აღარაფერი ეკარებოდა. საბედნიეროდ, ეს არ იყო ცალმხრივი სიყვარული, რადგან ქართველმა ერმა იმთავითვე დააფასა მისი თავდადება და ორჯერ მოიწვია მარჯორი საქართველოში. საქართველოთი აღფრთოვანებული ინგლისელი ქალი ახლა უფრო თამამად იწყებს ფრენას. რატომ დასჭირდა მას საკუთარი ცხოვრებიდან ზღაპრის გამოგონება? ეს მოხდა იმიტომ, რომ მარჯორის ფრთები სჭირდებოდა, მძლავრი ზღაპრული ფრთები, რომელიც მას ციურ სიმაღლეებს აზიარებდა, იმ სიმაღლეებს, სადაც თავად რუსთველის სული ბინადრობდა. ამ ფრთებით მარჯორი უკვდავებაში გადაფრინდა.

წინამდებარე ანოტაციას დავასრულებ იმ სიტყვებით, რითაც დავასრულე მოხსენება: ზოგი ცხოვრება ცხოვრებაა, ზოგი კი თავად ზღაპარი. თავად ზღაპარშიც უკვდავი რომ გახდე, მხოლოდ ერთი ცხოვრება უნდა განვლო და ისიც მოკვდავის... მთავარია, არ შეგეშინდეს და სული სავსე გქონდეს რწმენით, თავდადებით, აღმაფრენითა და სიყვარულით.

16. გივი მარგველშვილი თავისი განუმეორებელი ონტოტექსტური სამყაროს შექმნას განსკუთრებული თანმიმდევრობით მეტაფიქციური სტარატეგიებით ახორციელებს რომანში „ოფიცერი პემბრი“, რასაც ის ავტორის, პერსონაჟებისა და მკითხველის დონეებზე პრეტექსტის „კორექტურის“ / დეკონსტრუქციის გზით აღწვს.

რომანი „ოფიცერი პემბრი“ სხვა , დეტექტიური ჟანრის „მოთხრობა-ჩარჩოს“ გამეორებაა ჩართული თხრობის პროცესში, ანუ სხვა წიგნის რეფლექსიაა. გ.მ. თომას ჰარისის გასულ საუკუნეში დაწერილ ძველ თრილერს „კრავთა დუმილს“ თავის ტექსტში დეკონსტრუირებულ რეალობად და მომავლად აქცევს: „ოფიცერი პემბრი შოკირებულია- გასული საუკუნის ძველი თრილერი „კრავთა დუმილი“ ასე ვთქვათ მის მომავალში ბედისწერასავით ჩაწერილა.“ (ციტატა რომანის გერმანული გამოცემის წინათქმიდან).

რომანს ოფიცერი პემბრი ახასიათებს მეტაფიქციურობის ყველა ელემენტი: ტრანსტექსტუალური ავტორეფლექსიურობა და ამავე დროს ჰეტერორეფერენციულობა - იგი ექსპლიციტურად მიუთითებს ჰარისის ტექსტზე., შეიცავს კომენტარებს თხრობასა და ფიქციაზე. ე.ი. მკითხველის ყურადღება მიმართულია არა მხოლოდ მოცემულ, არამედ მის მიღმა არსებულ ტექსტზეც. როგორც პირველი რიგის ფიქციაზე. ინტერტექსტობრივი მიმართების ერთ-ერთი მიზანი, ჩვენი აზრით, ჰარისის პრეტექსტის პაროდიაც არის. რამდენადაც მთხრობელი მაინლეზერი(„ჩემიმკითხველი“) მონათხრობ ამბავზე მსჯელობს, იგი ბუნებრივია, რომ აწმყო დროს იყენებს და ამით ის მკითხველთან უშუალო დიალოგში შედის, მკითხველი ტექსტში შეჰყავს და ამით მას ტექსტის ადამიანური, ონტოტექსტუალური არსის გაცნობიერების საშუალებას აძლევს.

რომანს ახასიათებს ამბიგურობა-არაერთმნიშვნელოვნება და რიზომატულობა, რადგან თითოეული წინადადება, ისევე როგორც მთლიანი ტექსტი მრავალი მნიშვნელობის შემცველია და ხშირად

დასაფიქრებელი და გასაშიფრი. ავტორი ხალისიანი თამაშით ცდილობს მკითხველის ჩართვას ფიქციის შექმნაში კითხვის პროცესში, როცა წიგნის ფურცლებზე სიტყვებით შექმნილი ფიქციური სამყარო მისთვის ნამდვილი და ჩვეულებრივი ხდება, რადგან ეს ფიქციური სამყარო, რომელიც ამ სიტყვებიდან წარმოიქმნა, მკითხველის ცნობიერებაში არსებობს. ეს თვით გ.მ-ს წერის პროცესს არეკლავს და უკვე არსებული პრეტექსტის სამყაროსთან მიმართების საფუძველზე ახალი კომპოზიციების რეალობის კონსტრუირებას ახდენს. რომანი „ოფიცერი პემბრი“ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ მკითხველის სამყარო ფიქციებისგან შედგება, და რომ ეს ფიქციები მის რეალობად, მის ონტოტექსტად იქცევა კითხვის პროცესში.

17. **ჩრდილოეთის ზღვის რეალიების ამსახველი ტერმინები და მათი ქართული ეკვივალენტები.**

ნორდზეე (Nordsee) ანუ *ჩრდილოეთის ზღვა*, რომელიც კონტინენტურ ზღვად ითვლება, ქმნის ერთიან ჩაკეტილ კულტურგეოგრაფიულ არეალს, მოქცეულს ჩრდილოეთით სკანდინავიის კუნძულებს, დასავლეთით დიდი ბრიტანეთის კუნძულებსა და სამხრეთითა და აღმოსავლეთით ევროპის კონტინენტის ჩრდილოეთ სანაპირო ზოლს შორის. ის გამორჩეულია არა მარტო თავისი მდებარეობით, არამედ ასევე გეოგრაფიული რეალიებითაც, რომელთა ერთობლიობა, წარმოდგენილი ანალოგიური კონსტელაციით, სხვაგან არსად გვხვდება, თვით მის პარალელურად, ანუ იმავე განედებს შორის მოქცეულ, შლეზვიგ-ჰოლშტაინის აღმოსავლეთით მდებარე *ოსტზეეში* (Ostsee) */ აღმოსავლეთის* იმავე *ბალტიის ზღვაშიც* კი (das Baltische Meer).

ლანდშაფტის ინდივიდუალობა ბუნებრივად განაპირობებს რეალიების – ლინგვისტიკის პოზიციიდან დანახული – დენოტატების სიმრავლეს, რომელთა სპეციფიკური მახასიათებლები აირეკლება თითოეული მათგანის შესატყვის სახელწოდებაში/დესიგნატში. ეს დესიგნატები – ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა: დიფერენცირებულობა, ინდივიდზე ორიენტირებულობა, სემანტიკური სტაბილურობა, მონორეფერეციალურობა, მონოფუნქციურობა, კონტექსტისადმი დაუქვემდებარებლობა – გარკვეულწილად ავლენენ მსგავსებას საკუთარ სახელებთან (Nomina Propria); მაგრამ ამ უკანასკნელთაგან მათ განასხვავებს ინდივიდზე ორიენტირების თავისებური ფორმა, რაც გერმანულში ზოგჯერ გრამატიკულ კატეგორიათა მარკერებით გამოიხატება, ზოგჯერ კი დამატებითი, აღწერილობითი ლექსემების შემოტანით. ყველაზე არსებითი კი ის არის, რომ ამ ტიპის დესიგნატები ავლენენ ჭეშმარიტი საკუთარი სახელის მიერთების უნარსაც, რითაც ისინი აღწევენ, ერთი მხრივ, მიერთებული სახელის კვალიფიკაციას, მეორე მხრივ კი – თვით ტერმინის დიფერენციაციას. ზემოაღწერილ მიმართებებზე დაყრდნობით მართებულია, ამ ტიპის დესიგნატებს მიენიჭოს ტერმინის სტატუსი (Terminus technicus); საკუთარი სემანტიკიდან გამომდინარე, ისინი უპირველესად გეოგრაფიულ დისკურსში ჰპოვებენ გამოყენებას, მაგრამ ასევე – კომუნიკაციის პროცესში, ყოფით კონტექსტებში.

საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებულ ტერმინთა სიმრავლე არ იძლევა ყველა მათგანის ერთი გამოკვლევის ფარგლებში თავმოყრის საშუალებას, რის გამოც ამ ეტაპზე განსჯის ობიექტად ვაქცევ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც გამოირჩევიან კატეგორიზაციის/ფენომენოლოგიზაციის მაღალი ხარისხით, ანუ გვევლინებიან სუბტერმინებად, შესაბამისად – ასევე აუცილებელ კომპონენტებად ჩრდილოეთის ზღვის კულტურგეოგრაფიული ლანდშაფტის აღწერისას. ამის ფონზე ყურადღების მიღმა ვტოვებ თითოეული მათგანის ქვესახეობათა თუ ნაირსახეობათა აღმნიშვნელ ტერმინებს, რომელნიც რელევანტურობას იძენენ მხოლოდ დარგობრივ ლიტერატურაში ფენომენების ზედმიწევნითი აღწერისას. ამდენად, განსჯის ობიექტად უპირველესად მოვიაზრებ ლექსიკურ ერთეულებს: das Wattenmeer / die Ebbe / der Ebbstrom / die Flut / der Flutstrom / die Brandung / die Sturmflut / der Deich / der Damm / der Wall / die Warft / die Hallig / der Außensand / die Salzwiese / die Geest / die Düne / der Priel / der Fjord / die Sandbank / die Marsch / das Marschland / das Watt / Nordfriesische Inseln / Ostfriesische Inseln.

ზემოჩამოთვლილ ტერმინებს გამოკვლევაში აღვწერ თვით ფენომენის არსზე დაყრდნობით; წარმოვაჩენ მათ სპეციფიკანტებს პირობითი ან მოჩვენებითი სინონიმურობის (კვაზისინონიმების) შემთხვევაში (der Deich || der Damm || der Wall / die Ebbe || der Ebbstrom / die Flut || der Flutstrom); ყურადღებას ვამახვილებ მათ გრამატიკულ მარკირებულობაზე (die Düne → die Dünen / der Fjord → die Fjorde / der Priel → die Priele), რაც პოტენციურად შესაძლოა რელევანტური გამოდგეს სემანტიკურ პლანშიც. ქართულ ეკვივალენტთა შერჩევისას – ჩვენს რეალობაში დენოტატთა არარსებობის გამო – ნაწილობრივ ვიყენებ ამოსავალი სემანტიკის განზოგადების/გამსხვილების პრინციპს (Deich=Damm=Wall → *დამბა/ჯებირი/ მიწაყრილი*); ნაწილობრივ მივმართავ უცვლელად გადმოტანილი ამოსავალი დესიგნატის ხმარებას მრავლობითი რიცხვის ფორმით (დიუნები, ფიორდები, პრილები); იქ კი, სადაც ეს მეთოდი არ ამართლებს

შედეგად ორაზროვანი ან არაკეთილხმოვანი ლექსიკური ერთეულის მიღების გამო, ვიყენებ აღწერილობით ფორმას (*ვატები/*ვატენები → *ზღვის უკუქცევის შედეგად გაშიშვლებული ფსკერი*); ტერმინში ჩადებული შინაარსი ხშირად გადმომაქვს ფუნქციურზმნიანი შესიტყვებით (Sturmflut → ნაპირის დატბორვა); გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გარკვეულ შემთხვევებში არ გამოვრიცხავ ასევე კომპოზიციას ძირითადი ცნების საკვალიფიკაციო ცნებით გართულების გზით (Hallig → კუნძული-ჰალიგი + საკუთარი სახელი / Außensand → კუნძული-აუსენზანდი + საკუთარი სახელი) გამოკვლევას ვურთავ განხილულ ტერმინთა ქართული ეკვივალენტების ნუსხას.

18. **გერმანულის ფონოლოგიური თავისებურებანი და ქართულად ტრანდსლიტერაციის სირთულეები**

წინამდებარე გამოკვლევისთვის ბიძგის მიმცემად იქცა *სახელმწიფო ენის დეპარტამენტის* მიერ მიმდინარე წელს შემუშავებული *სახელწიფო ენის ერთიანი პროგრამის პროექტის* პუნქტი 2.2.6., მიძღვნილი *უცხო ენებიდან ქართულად ტრანსლიტერაციის წესების შემოწმება-განახლებისადმი.*

გასაგებ მიზეზთა გამო ტრანსლიტერაცია უპირველესად არათარგმნად ტერმინთა და საკუთარ სახელთა ტრანსფერთან ასოცირდება. თანამედროვე მსოფლიოს ღიაობის ფონზე ენაში პერმანენტულად შემოდის უამრავი ახალი სახელი და მკვიდრდება საზოგადოებრივი ცნობიერებისა თუ ყოფიერების ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად, იქმნება აუცილებლობა, შეძლებისდაგვარად სწორად ჩავწეროთ და წარმოვთქვათ ეს სახელები, ანუ დავიცვათ პრინციპი, შერჩეული ეკვივალენტი უშუალოდ ეყრდნობოდეს ან თვით ენდონიმს, ან მის შესატყვის ინტერრეგიონალურ ალონიმს, მაგრამ იმავდროულად არ ეწინააღმდეგებოდეს ქართულის გრაფოტაქტიკურ და ფონოტაქტიკურ წესებს.

წამოჭრილი საკითხი მრავალპლანოვანია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას შესაპირისპირებელ ენათა სპეციფიკაზე დაყრდნობით. გერმანულიდან ქართულად ტრანსლიტერაციისას გასათვალისწინებელია გერმანულის ისეთი ფენომენები, როგორიცაა: სპირანტი [v]-ს, ნახევარხმოვან [j]-ასა და უმლაუტის [¨] არსებობა. ამ ფონემებიდან ზოგიერთი, ისევე როგორც დიაკრიტული ნიშნების გამოყენება გარკვეულ გრაფემებთან, არც ძველი ქართული დამწერლობისთვის იყო უცხო.

წინამდებარე გამოკვლევის პირველ ნაწილში ზოგადად მიმოვიხილავთ ნახევარხმოვან ჲ-[j]-იოტასა და სპირანტი ჭ-ეფის ფენომენს ქართულში. თავის ნაშრომებში აკაკი შანიძე ჲ-იოტას რამდენიმე ფუნქციას გამოყოფს ძველქართულსა და მის დიალექტებში: როგორც არსებითი სახელის ბოლოკიდური სავრცობისას, გარკვეულ ზმნებთან მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსისას, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისას და ა.შ.

XIX საუკუნის სამოციან წლებში ჲ-იოტა (რამდენიმე სხვა გრაფემასთან ერთად) ამოღებული იქნა ქართული ანბანიდან ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამედროვეების მიერ საქართველოში გატარებული *ქართული დამწერლობის რეფორმის* ფარგლებში. საგულისხმოა, რომ ჲ-იოტას, რამდენადმე ფუნქციაშეცვლილს, ვხვდებით ასევე XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული პრესის ფურცლებზეც; ნიმუშად ვასახელებთ იოსებ გრიშაშვილის მიერ საკუთარი სახელის *'ᲘᲝᲡᲔᲑ'*-ს ჩაწერისას ჲ-იოტას გამოყენებას მომდევნო ა-ხმოვნის ჟღერადობის მოდიფიცირების მიზნით.

ამ ისტორიული მიმოხილვის ფონზე გამოკვლევის მეორე ნაწილში უკვე საპოლემიკო რეჟიმში ვაყენებთ საკითხს, უცხოურ საკუთარ სახელთა და ტერმინთა სწორად ჩაწერა-წარმოთქმის მიზნით თანამედროვე ქართულში ჲ-იოტასა და ჭ-ეფის აღდგენის, ასევე ö/ü-უმლაუტების შესატყვისი დიაკრიტული ნიშნის [¨] შემოტანის სასურველობის შესახებ. ნათქვამის ირგვლივ ნაშრომში ვმსჯელობთ გერმანულ სახელებზე დაყრდნობით, რომელთაც ქვემოთ ოთხი თემატური ბლოკის სახით წარმოვადგენთ:

Jade	Havel	Würzburg	Döben
Jagst	Cuxhaven	Düsseldorf	Stör
Jena	Vechte	Lübeck	Schönefeld
Jeckenbach	Vilshofen	Lüneburg	Mörbach
Jossa	Volkach		Öse
Jüteborg	Vohenstrauss		

19. **იდეოლოგიის ზეწოლა, დროის დიქტატი თუ არასწორად შერჩეული მეთოდოლოგიური საფუძველი? (გერმანულენოვან ტოპონიმთა რუსული და ქართული ეკვივალენტების ისტორიულ-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით)**

გერმანულენოვან არატრანსლირებად საკუთარ სახელთა შემოსვლა ქართულში რუსულის გავლით (ისევე,

როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებში) საუკუნეებს ითვლის. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში უზუსად ითვლებოდა, ნებისმიერი ენდონიმის ქართული ვერსია შეძლებისდაგვარად მიგვესადაგებინა რუსულის, როგორც შუალედური ენის, ნორმისადმი. ამ პროცესში ყურადღების მიღმა რჩებოდა ამოსავალი ენის ონიმური ერთეული, არასრულყოფილად რეალიზდებოდა ქართულის, როგორც სამიზნე ენის ფონოლოგიური შესაძლებლობები, ირღვეოდა ტრანსლიტერაციის მეთოდოლოგიური საფუძველი – ამოსავალი და სამიზნე ენების ფონოტაქტიკურ და გრაფოტაქტიკურ კანონზომიერებათა კონტრასტულ ანალიზზე დაყრდნობის პრინციპი. შედეგად ვიღებდით არასწორად ტრანსფერირებულ ენდონიმს ან ასევე დამახინჯებულ, ხშირად ნახევრად თარგმნილ (აპელატიური კომპონენტების შემცველობის შემთხვევაში) ინტერრეგიონალურ ალონიმს, ერთი და იმავე სახელის რამდენიმე ვარიანტს; საგულისხმოა, რომ ეგზონიმთა არსებობის ფაქტები ქართულში არ დაფიქსირებულა. ეს პროცესები, ისევე როგორც მცდარ ფორმათა აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები, საგანგებოდ გვაქვს აღწერილი ქართულ- და გერმანულენოვან პუბლიკაციებში (მ. ანდრაზაშვილი).

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე წინამდებარე გამოკვლევის ავტორები ერთდროულად ამოდიან სლავისტიკისა და გერმანისტიკის პოზიციიდან და აქცენტის გადატანით ფენომენის ისტორიიდან მის გამომწვევ მიზეზზე, მიზნად ისახავენ იმსჯელონ, იყო ეს მოვლენები შედეგი საბჭოთა პირობებში ფეხმოკიდებული იდეოლოგიური ზეწოლისა, არსებული „კარჩაკეტილობის“ ფონზე მედიალური ენების ავტორიტეტის უნებლიე ზრდისა, თუ პირველ რიგში კარნახი დროის/მოდის დიქტატისა, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ტრანსლიტერაციის იმდროინდელ ტრადიციებს, და რომელსაც უპირველესად გვერდი ვერ აუარა სლავური ჯგუფის ენებმა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად (გერმანულ ონომასტიკურ სკოლაზე დაყრდნობით: ციფონუნი, კოსი, ნიუბლინგი) არჩევანი შევაჩერეთ საკუთრივ *ტოპონიმებზე* – ონიმური სუბკლასის ყველაზე რეპრეზენტაბელურ ქვეჯგუფზე (საგულისხმოა, რომ რუსული სკოლა: იარცევა, პოდოლსკაია, სუპერანსკაია და სხვ. საკუთარ სახელთა სუბკლასში მოიაზრებს გაცილებით მეტ თემატურ ქვეჯგუფს); შევისწავლეთ ისინი, ერთი მხრივ, სლავური ჯგუფის ენებზე შესრულებულ უახლეს ინტერნეტსაიტებზე, მეორე მხრივ კი 2008–2016 წლებში ქართულად შედგენილ გერმანიის პოლიტიკურ და ფიზიკურ რუკებზე დაყრდნობით (გამომცემლობა: *პალიტრა-L*, *ელფი;* htt://ka.wikipedia.org/wiki/გერმანია).

მოძიებული მასალის შეპირისპირებითმა ანალიზმა გამოკვეთა ორი ტენდენცია გერმანულ ტოპონიმთა ტრანსფერირების პროცესში, კერძოდ:

1. სლავურ ენებში შეინიშნება შეძლებისდაგვარად ორიენტაციის აღება ამჯერად უკვე ამოსავალი ენის ფონემურ, და არა გრაფემულ სურათზე, რასაც პოლონურ, ბულგარულ, უკრაინულ, ბელორუსულ და ა.შ. ენებში (ყველაზე ნაკლებად რუსულში) დიფტონგის კორიგირების ქვემომოტანილი ნიმუშებიც მოწმობს: Лайпциг ← Лейпциг / Мангайм ← Мангейм / Нойшванштайн ← Нейшванштейн / Нойбах ← Нейбах / Ойскирхен ← Еускирхен და ა.შ. (http://bg.toponavi.com/48778; https://uk.wikipedia.org/wiki/Мангайм; https://uk.wikipedia.org/wiki/Нойшванштайн; https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1067188; https://ru.wikipedia.org/wiki/Ойскирхен); იგივე პროცესი, ანუ დაყრდნობა ამოსავალი ენის ენდონიმზე და განთავისუფლება რუსულის დიქტატისგან ქართულში ფიქსირდება გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული.
2. უახლეს ქართულენოვან რუკებზე დაკვირვებამ საწინააღმდეგო სურათი გამოკვეთა, კერძოდ, ამჯერად უკვე ინგლისურის, როგორც მედიალური ენის ზეგავლენა და შედეგად დიდი ძალისხმევით დამკვიდრებული ტრანსფერირების კორექტული მეთოდოლოგიური საფუძვლისა და გერმანულ ტოპონიმთა სწორი ქართული ეკვივალენტების ჩანაცვლება არასწორით, შეადარე: **ბასუმი* ← Büsum → *ბიუზუმი* / **სილტი* ← Sylt → *ზიულტი* / **კოლოგნე* ← Köln → *კიოლნი* და ა.შ.

დასახელებულ ფაქტებზე დაყრდნობით ავტორები ცდილობენ, თანამიმდევრული მსჯელობით რამდენადმე შუქი მოფინონ სათაურში გამოკვეთილ პრობლემას და არ დატოვონ ის მხოლოდ რიტორიკული შეკითხვის დონეზე.

20. იხ. ინტერნეტვერსია: https://humboldt-kolleg.com/; https://humboldt-kolleg.com/speakers/info/148

21. ცნობილია, რომ ზღაპრებში ყველაზე კარგად აისახება ამათუიმ ხალხისმსოფლმხედველობითი მომენტები, არქაულიწარმოდგენები, კულტურულიპლასტები, ენობრივიკლიშეები. ზღაპრის თარგმნისას

ამათუიმ ხალხის აზროვნებისსიღრმედასიმახვილერომშევინარჩუნოთ, ძალიანბევრი ნიუანსისადა საკითხის გათვალისწინება გვჭირდება. ხალხურიზღაპრისსტილისტიკაში ძირითადი ელემენტებია: რიტმი დაინტონაცია, თხრობის სისადავე,მხატვრულისახეების სიმარტივე, განმეორებები, დასაწყისისა დადასასრულისენობრივიფორმულები, მკაფიოდგამოხატულიენობრივიკოლორიტი, მყარი შესიტყვებები დაფრაზეოლოგიზმები, ზღაპრისპერსონაჟებისტრადიციულისახელებიდაე. წ. მოლაპარაკე (ფუნქციური)სახელებიდაბოლოს -თხრობაში ჩართული მთელიკუპლეტები თუ გარითმული სტრიქონები. მოხსენებაში ამ თვალსაზრისით არის განხილული გრიმების ზღაპრების ქართული თარგმანი, რომლის ავტორია დ. წერედიანი. ზღაპრის დასაწყისისადა დასასრულისფორმულები ყველახალხისზღაპარში ეროვნული კოლორიტის შემქმნელიძირითადისაშუალებებია. ქართულენობრივი კლიშეზღაპრების დასაწყისშიასეთია: ,,იყოდაარაიყორა, იყო...''. ქართული და ამასთანავე ზოგადი კლიშეებია: ,,იყო ერთხელ'', ,,იყვნენ ერთხელ'' დამათივარიაციები. ჩვენი აზრით, ,,იყოდაარაიყორა, იყო...'' იმდენად ქართული ზღაპრის დამახასიათებელი ფორმულაა, რომ უმჯობესია თარგმანში ზოგადად ზღაპრებისათვის დამახასიათებელი ,,იყო ერთხელ'' ან მისი რომელიმე ვარიანტიგამოვიყენოთ. დ. წერედიანიც ზოგი სხვა მთარგმნელისაგან განსხვავებით, სწორედ ამ უკანასკნელებს ანიჭებს უპირატესობას.ზღაპრის დასასრული ზოგ შემთხვევაში ავტორის მონათხრობის შემაჯამებელი ფრაზაა ან ამბის შეფასება, ზოგჯერ კი - მიმართვა მსმენლისადმი: ახლა თავად განსაჯეთ, ეს ქალი ოჯახს როგორ გაუძღვებოდა (3, 157) – Aber das must du selbst sagen, es war eine garstige Frau (2, 114); ნეტავი მეცა და თქვენც იქ ვყოფილიყავით (2, 31) – Ich wollte, du und ich, wir wären auch dabeigewesen (1, 206); ვინც ეს ამბავი არ დაიჯეროს, ორ ტალერს ჩამოვიდეს (3, 99) – Wer's nicht glaubt, bezahlt einen Taler (2, 72). შემაჯამებელი ფრაზა ზოგჯერ გალექსილია: ჰოდა გუსტხენიც წავაო, ზღაპრობა მოათავაო (3, 71); სანამ თაგვი კაკალს ხრავდა, ეს ზღაპარიც ჩამოთავდა (3, 154).

ზღაპრებში უხვად არის გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები, მყარი შესიტყვებები, სასაუბრო ლექსიკა. მოხსენებაში შედარებულია დედნისეული და თარგმანისეული ფრაზეოლოგიზმები.

ფრაზეოლოგიზმების გარდა მთარგმნელი ხშირად მიმართავს ხალხში გავრცელებულ აღტაცების, გაბრაზების, დაგმობის, წყევლის და სხვა ხასიათის მყარ შესიტყვებებს: ფუი მაგის კაცობას! (2, 152); ეგ ღმერთმა უწყის (2, 149) – das steht bei Gott (2, 152). ხშირია სასაუბრო სტილისათვის დამახასიათებელი გამოთქმები, როგორიცაა: კაი დიდძალი ფული მიიღო და სახელგანთქმული კაციც შეიქნა (3, 23). ასეთი გამოთქმები აახლოებს ზღაპრის სტილს სასაუბრო მეტყველებასთან და ანიჭებს მას მეტ ბუნებრიობას.

აუცილებელია ზღაპრის ეროვნული კოლორიტის შენარჩუნება, რადგან თარგმანში უნდა აისახოს იმ ერის კულტურა, რომელსაც მიეკუთვნება ორიგინალი. დ. წერედიანის თარგმნილ ზღაპრებში გერმანული კულტურის გამომხატველია საკუთარი სახელები (გუსტხენი, ჰანსი, ბილზებილი, გრეტელი, ჰილდებრანდი...), რომლებიც არასდროს არის ჩანაცვლებული ქართული სახელით (თუმცა ძაღლის სახელი ნათარგმნია: სწრაფია (1, 144) – Packan (1, 120). ასევე არ არის შეცვლილი ადგილის სახელები, ფულის ერთეული (ტალერი)... ზოგ შემთხვევაში ტრანკრიპციულად არის გადმოტანილი მისამღერი. ასეთია, მაგალითად, ტიმპეტე: "Manntje, Manntje, Timpe Te, Buttje, Buttje in der See" (1, 86) - „კაც-კამბულავ,ტიმპე ტეო, მიყავ ერთი სიკეთეო" (1, 100).

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზღაპრის სათაურს. განსაკუთრებითრთულიაიმსათაურებისთარგმნა, რომლებიცპერსონაჟისზედწოდება ან მეტსახელია .თუამგვარსახელებს ტრანსკრიფციისწესით გადავიტანთ თარგმანში, ისინიკარგავენდამატებითფუნქციებს დაუბრალონომინაციისსაშუალებად წარუდგებიანმკითხველს, არადაორიგინალის შესატყვისის პოვნა რთულია, რადგან, ერთი მხრივ, წარმოჩენილი უნდა იყოს ის თვისება, რომელიც პერსონაჟის არსებით თავისებურებას წარმოადგენს და, მეორე მხრივ, არ უნდა დაიკარგოს ამ სახელისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობა.მათი გადმოქართულებისას დ. წერედიანი, საჭიროების მიხედვით, იყენებს სიტყვათწარმოქმნის სხვადასხვა საშუალებას.მოხსენებაში ამ თვალსაზრისით განხილულია შემდეგი ფუნქციური ანუ „მეტყველი" სახელები: **ფერენანდ უღალატო და ფერენანდ ღალატიანი** - Ferenand getrü, Ferenand ungetrü („Ferenand getrü und Ferenand ungetrü", II, 103), **ნაირბეწვა** (II, 113) - Allerleirauh (I, 272); **ჩიტნაპოვნა** (*II, 23*) - Fundevogel (*I, 200*); **ჰანსლ-მემორინე** (II, 170) - De Spilhansl (I, 315); **ორი მოგზაშარავე** (*III, 55*) – (*„Die beiden Wanderer"II, 38*), **ფართალ-ფურთალა** (*II, 48*) - Rumpelstilzchen (*I, 220*).

ზოგი სახელის ქართულ ენაზე გადმოსატანად მთარგმნელი იყენებს იმ წარმოებას, რომელიც ქართული ზღაპრების მეტყველ სახელებში გამოიყენება: ნაცარქექია, ბელტიყლაპია, წყალიხვრეპია... ამ

ტიპის კომპოზიტების ანალოგიითაა შექმნილი: **ყინჩაფხორია, ფურიწველია** (III, 171), **ულვაშიტლეკია** (მელა და კატა, II, 144)... მეტად რთულია შესატყვისის მოძებნა, როცა საკუთარი სახელი ბგერწერულია, ასეთი სახელია: **ქალბატონი ზუზუნა** - Frau Holle. სხვა მთარგმნელები ამ საკუთარ სახელს არ თარგმნიან და პირდაპირ გადმოაქვთ, წერედიანი კი იყენებს ასევე ბგერწერულ სიტყვას, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა, გერმანულის მსგავსად, ქარის ხმას უკავშირდება და პერსონაჟის მკაცრ ბუნებას უსვამს ხაზს. პერსონაჟის დამახასიათებელი ნიშან-თვისების გათვალისწინებით ქმნის მთარგმნელი ოკაზიონალურ ფორმას - **ბაქ ბუქ ხვეტია** - Pif Paf Poltrie, რომელიც აგებულებითაც ორიგინალის მსგავსია და იმავე კომიკურ ეფექტს ქმნის, რაც ორიგინალისთვის არის დამახასიათებელი. იგი ორი სიტყვის: **ბაქიბუქასა** და **შარახვეტიას** კონტამინაციას წარმოადგენს და კარგად გამოხატავს პერსონაჟის ხასიათს. ზღაპრების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც სირთულეს ქმნის, არის თხრობაში ჩართული მთელი კუპლეტები თუ გარითმული სტრიქონები. მოხსენებაში განხილულია ასეთი შემთხვევებიც.

22.

გრიგოლ ფერაძე, როგორც ცნობილია, ძირითადად საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო მწერლობის საკითხებს იკვლევდა, მაგრამ მისი რამდენიმე ნაშრომი საერო ლიტერატურის პრობლემებსაც შეეხება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მე-18 საუკუნის ქართველი პოეტის ბესიკის უცნობი ლექსის აღმოჩენა ლუკა ისარლოვის კრებულში ბოდლეს წიგნთსაცავში. ამ ლექსთან დაკავშირებით 1931 წელს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გრ. ფერაძის წერილი, რომელსაც დიდხანს არ მოჰყოლია გამოხმაურება, 1962 წელს ბესიკის სრული კრებულის გამოცემისას კი სარედაქციო კოლეგიამ არ გაიზიარა მისი მოსაზრებები ბესიკის ავტორობის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ლექსის დაწვრილებითი განხილვისას სტრუქტურული, ლექსიკური და გრამატიკული ნიშნების მხრივ თვალსაჩინოა მისი მსგავსება ბესიკის საყოველთაოდ ცნობილ ლექსებთან, რის საფუძველზეც სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია გრ. ფერაძის მოსაზრება ლექსის ავტორთან დაკავშირებით.

რამდენიმე წერილი მიუძღვნა გრ. ფერაძემ „ვეფხისტყაოსანს“. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსთაველი საკუთარ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსოფლმხედველობას ავითარებს პოემაში. რუსთაველს საკუთარ პრიზმაში აქვს გატარებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ძირითადი ელემენტები: ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, წარმართობა და ზოროარტრიზმი, მათგან მიღებული იმპულსები კი ახლებურადაა ფორმულირებული. მაგალითებად მოყვანილია რუსთაველის აფორიზმები მრავალი პარალელით სახარებიდან, კლემენტი ალექსანდრიელის, გოეთეს, აქსელ მუნტეს და სხვათა ნაწარმოებებიდან.

განსაკუთრებით საყურადღებოა გრ. ფერაძის წერილი „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში“, რომელშიც ავტორი ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე იხილავს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და ქართველი ერის სულიერ მდგომარეობას. წერილში მოცემულია არაერთი მწერლის შემოქმედების ანალიზი, გამოთქმულია საგულისხმო შენიშვნები ცალკეულ ნაწარმოებებზე ან მწერლებზე, ლიტერატურულ და სოციალურ პრობლემებზე. ქართული პოეზიის ნიმუშები თვითონ გრიგოლ ფერაძის მიერაა თარგმნილი დიდი სიზუსტით და კარგად ჩანს მისი პოეტური ნიჭი. მისი მოსაზრებები უთუოდ საყურადღებოა, ხოლო მისი წერილები საერო ლიტერატურის საკითხებზე კიდევ ერთი შტრიხით ამდიდრებს ამ მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერისა და მოღვაწის პორტრეტს.

30. მოხსენება ეხება ცნობილ ესპანურ პიკარესკულ რომანს „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრებას“ და მის ქართულ თარგმანს, რომელიც ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს. ნაშრომში განვიხილეთ ის თავისებურებანი, რაც ესპანური ტექსტის ქართულ თარგმანს ახასიათებს.

31. ჯეიმზ ჯოისის რომანში ,,ღამისთევა ფინეგანისათის'' ჰამლეტის მნიშვნელობაზე, არა ერთი სტატია დაწერილა, თუმცა საინტერესოა, რომ კრიტიკოსები ძირითად აქცენტს ჰამლეტის მნიშვნელობაზე თუ ალუზიების სიუხვეზე აკეთებენ და სამწუხაროდ არავინ არ წერს ჰამლეტის მარადიული კითხვის ,,ყოფნა-არყოფნის“ შესახებ, რომელიც ამ რომანის განმავლობაში საკმაოდ საინტერესოდ იცვლება და ყალიბდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯოისი ამ მარადიული კითხვის სამ თავისეულ ვარიანტს გვთავაზობს, რომელიც ძალიან შორს დგას ჰამლეტისეული ამაღლებული და რიტორიკული კითხვისაგან, რომელიც ერთის მხრივ

ხაზს უსვამს, რომ ჰამლეტის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ზედმეტად რთულ და პასუხგაუცემელ კითხვებს სვამდა და მეორეს მხრივ, იმას, რომ ჰამლეტისნაირი ინდივიდები არ არსებობენ, რადგან როგორც თავად ჰამლეტიც კი არ იყო,,ჰამლეტისნაირი'' პიესის დასასრულს.

სტატიაში განხილულია უილიამ შექსპირისეული ჰამლეტის მოდერნისტული სახეცვლილება და საუბარია თუ რამ განაპირობა ერთის მხრივ ჰამლეტის ამგვარი ტრანსფორმაცია, ხოლო მეორეს მხრივ ჯოისის დაინტერესება ამ პერსონაჟით.

32. მოხსენებაში გაანალიზებული იყო თანამედროვე ტერმინოლოგიაში მიმდინარე პროცესები, ის ცვლილებები, რაც ტერმინწარმოებაში შეიმჩნევა. თანამედროვე ტერმინოლოგია სულ უფრო უახლოვდება საერთო ლექსიკის სიტყვებს, რაც განაპირობებს კიდეც ცვლილებებს ტერმინთა აღწერის მეთოდოლოგიასა და სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მათი წარმოდგენის პრინციპებში. სტატიაში განხილული იყო თანამედროვე ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიის სტრუქტურა: განმარტებები, შესიტყვებები, საილუსტრაციო მასალა, თვით სტილისტური კვალიფიკაციები და სხვა.

33. მოხსენებაში განხილული იყო მარჯორი უორდროპის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა, კერძოდ მისი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და ლექსიკონის სიტყვანის მიმართება „ვეფხისტყაოსანთან". ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 4.1 პუნქტი.

35. მოხსენებაში განხილულია პაულ ცელანის პოეზია, რომელშიც არეკლილია როგორც XX საუკუნის ფილოსოფია, ქრისტიანული მისტიკა, ევროპული პოეზიის სიმბოლიზმი და სიურრეალიზმი, ასევე ცნობილ მოაზროვნეთა: მ, ბუბერის, ჰ. ბერგმანის, გ. შოლემის, მ. ეკჰარტის თვალსაზრისები, ებრაული კულტურა, იუდაიზმი, ხასიდური ტრადიციები და ებრაულ-მისტიკური სწავლება „კაბალა." გამოკვლეულია პ. ცელანის „ჰერმეტული ლირიკა," რომლისთვისაც დამახასიათებელია ისეთი სიმბოლოებისა და მეტაფორების გამოყენება, რომელიც მკითხველს უძნელებს ლექსის უშუალო გაგებას. ყურედღება გამახვილებულია პ. ცელანის ლექსების დიალოგური ხასიათსა და თემატიკაზე, რომელიც განპირობებულია ჰოლოკოსტის ტრაგედიით. გაანალიზებულია პ. ცელანის ლექსი „ფსალმუნი" ("Psalm"), კრებულიდან „არავის ვარდი". და „არავის" პრობლემატიკა, რომელიც ებრაულ-მისტიკურ ტრადიციებს უკავშირდება, ასევე ლექსის ენობრივი და პოეტური თავისებურებები და მისი შინაარსობრივი მხარე, რომელიც მიანიშნებს ომისშემდგომი წლების საზოგადოების სულიერ სიცარიელეზე, ადამიანის ღვთისაგან განშორებასა და ინდივიდის მარტოობაზე.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. რუსიეშვილი, რ.დოლიძე	Metaphor as a means of constructing argumentation (using the example of political speeches of Georgian political leaders)	13-15 მაისი, გენუა, იტალია
2	**გიორგი ყუფარაძე,** ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია	**პარემიოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურულ - სემანტიკური სპეციფიკა** /ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/	რომი, იტალია 11-13 სექტემბერი 2019

3	გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია	**ელიფსისი და ლინგვისტური კომპრესია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში** /ენობრივი ეკონომიის თეორიის მიხედვით/	პარიზი, საფრანგეთი 28-29 მარტი 2019
4	ი. გველესიანი ე. მუმლაძე	კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარება და ენათა მიმოცვლა	11-12 აპრილი, კიევი
5	ი. გველესიანი	თარგმანი ინტერნაციონალიზაციასა და ლოკალიზაციას შორის (თანამედროვე იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების მაგალითზე)	2-3 მაისი, თურქეთი
6	ი. გველესიანი	თანამედროვე მიდგომები ევროპულ ენებში წარმოდგენილი ზოგიერთი ნეოლოგიზმის თარგმანისადმი	5-7 აპრილი, გერმანია
7	დ. თვალთვაძე, ე. მუმლაძე, ი. გველესიანი	მულტილინგვური განათლება - ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ	24-25 მაისი, ლატვია
8	ი. გველესიანი	ზოგიერთი ნეოლოგიზმი - მათი პროდუქტიულობა და გავრცელება	29-31 ოქტომბერი, ზაარბრიუკენი, გერმანია
9	ი. გველესიანი	კანადური ორმაგი სამართალი და ლინგვისტური შეუთავსებლობა (პრობლემები და გადაწყვეტები)	8-10 ნოემბერი, ვენა
10	ირინე დემეტრაძე	“Realization of Language Functions in Social Networks (On the Material of English and Georgian	LILA '19, organized by DAKAM (Eastern Mediterranean Academic Research Center).

		Languages)”	19-20 აპრილი, 2019 წ. სტამბული
11	მაია გურგენიძე	ინგლისური ენის სწავლება ტექნოლოგიის დახმარებით და მისი შესაძლო სარგებელი საქართველოში	ლისაბონი, პორტუგალია, 3-7 თებერვალი, 2019 Paper Code: ICRESS05 CNKI link: http://scholar.cnki.net/new/Detail/index/SJDV_U/SJDVEE2897352224CADA3479BC4239E4673C
12	მაია გურგენიძე	Lingua Franca-სთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები	ნეაპოლი, იტალია 19-21 სექტემბერი, 2019
13	მანანა გელაშვილი	,,მზის ხარების” ადექვატური თარგმანის პრობლემა ქართულად	ჯეიმზ ჯოისის მე-12 საერთასორისო კონფერენცია, რომი, იტალია, 31.12- 01.01, 2019
14	მანანა გელაშვილი	შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში	წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო, 23-25.10.2019
15	დავით მაზიაშვილი	შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში;	12.02.2019 წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი
16	დავით მაზიაშვილი	შექსპირის ტირანები და ანტი-ტირანები საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში და მთელს მსოფლიოში.	5.12.2019 წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი
17	მ.ანდრაზაშვილი	ენდონიმიდან ეროვნულ ეკვივალენტამდე - ცდომილების განმაპირობებელი ფაქტორები Zwischen Endonym und nationalem Äquivalent – Fehlübertragungen beim Namentransfer.	06.12-08.12.2019 ავსტრიის ლინგვისტთა ასოციაციის 45-ე ყრილობა / ზალცბურგის უნივერსიტეტი
18	ქეთევან გაბუნია ციური ახვლედიანი	მეტაფორები რომანულ პარემიოლოგიაში (ფრანგული, იტალიური და ესპანური ენების მასალაზე)	03-15.05.2019 გენუა, იტალია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
(აღნიშნული მოხსენება მიღებულია დასაბეჭდად კრებულში, რომელიც იტალიაში დაიბეჭდება 2020 წელს)

1.როგორც ცნობილია, მეტაფორა არგუმენტულ მეტყველებაში უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა, რაც განისაზღვრება მისი ხატოვანი ბუნებითა და დისკურსული პოტენციით. ამ მოხსენებაში მეტაფორა წარმოდგენილია როგორც ქართველი პოლიტიკური ლიდერების მიერ გამოყენებული არგუმენტის სქემატური აგების ერთ-ერთ საშუალება. ნაშრომის ემპირიული მონაცემები ემყარება საქართველოს პრეზიდენტების მიერ მიცემულ ინტერვიუებსა და გამოსვლებს 1990 წლის, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ.

მოხსენებაში გაანალიზებული მეტაფორების იდენტიფიცირება ხდება მ. რუსიეშვილის მიერ შემოთავაზებული მოდელის საფუძველზე (რუსიეშვილი, 2005) , რომლის მიხედვითაც მეტაფორა შედგება სამი ურთიერთდამოკიდებული ფენისგან, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ როლს ასრულებს ამ ტროპის საერთო მნიშვნელობის შექმნისას. კერძოდ, მოდელის პირველი შრეზე აღბეჭდილია მეტაფორის ექსპლიციტური ფორმა, მეორე ფენა წარმოგიდგენთ მის განზოგადებულ მნიშვნელობას, ხოლო მესამე ფენა მეტაფორის კონცეპტებს აკავშირებს მეტაფორის კულტურულ ფონს, კერძოდ, ხატში ასახული სამყაროს ენობრივ მოდელს. შეგროვებული მონაცემები (საქართველოს პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებიდან აღებული160 მეტაფორა) გაანალიზებულია კრიტიკული დისკურსის თეორიის აპარატსა და აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით.

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია
პარემიოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურულ - სემანტიკური სპეციფიკა
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

რეზიუმე
გასულ საუკუნეში, ანდაზები და თქმები გახდა ფრაზეოლოგიის ახალი დარგის – პარემიოლოგიის შესწავლის ობიექტი. სტრუქტურული თვალსაზრისით, ფრანგულ, ინგლისურ და ქართულ ანდაზებსა და თქმებს გააჩნია მრავალი თავისებურება. მათში უფრო ხშირად გამოიყენება განსაზღვრული არტიკლი, ვიდრე განუსაზღვრელი. ერთეული საგნის მისათითებლად, ანდაზები და თქმები იყენებენ ერთ-ერთ თავიანთ ძირითად ფუნქციას – რიცხობრიობის ფუნქციას. ზოგჯერ გვხვდება არტიკლის გამოტოვების შემთხვევები, რაც აიხსნება ან გრამატიკული წესებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ენის ევოლუციის მანძილზე, ან იმ მიზეზით, რომ ზოგიერთი ანდაზა და თქმა ენაში გაჩნდა გაცილებით ადრე, ვიდრე არტიკლი როგორც დეტერმინაციის გრამატიკული კატეგორია. პარემიები იხმარება როგორც აწმყო დროში, ასევე მომავალ დროშიც; როგორც თხრობით, ასევე ბრძანებით და პირობით კილოებშიც. სინტაქსურ პლანში, წინადადების მთავარი წევრები ანდაზებში წარმოდგენილნი არიან არსებითი სახელებით, რიგობითი რიცხვითი სახელებით, ან არსებითი სახელის მნიშვნელობის მქონე განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით; მარტივი ან შედგენილი ზმნით; თვით პარემიები კი წარმოდგენილნი არიან თხრობითი, ძახითი ან წამქეზებელი წინადადებების სახით.
ფრანგული, ინგლისური და ქართული ანდაზები და თქმები ქმნიან თემატურ ჯგუფთა და სინონიმურ რიგთა მნიშვნელოვან რაოდენობას. ლოგიკურია პარემიოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური კლასიფიკაცია წარმოვადგინოთ ასეთი სახით: I. მონდომების აუცილებლობა; II. მოვლენის თანადროულობა; III. დამსახურებისადმი მიზღვა; IV. შეგუების აუცილებლობა; V. გულგრილობა სხვისი უბედურების მიმართ; VI. მიმდინარე უბედურებათა ციკლურობა; VII. მსგავსი მიისწრაფვის მსგავსისაკენ, ანუ სულიერი ნათესაობა; VIII. კოლექტივიზმის სულის გაგება; IX. უკეთესის იმედი; X. Fფატალიზმი; XI. გარეგნობა მაცდურია; XII. მცირედით დაკმაყოფილება; XIII. სრულყოფილების მიღწევა შრომით; XIV. პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე; XV. შვილები მემკვიდრეობით იღებენ მშობლების ხასიათს.
სემანტიკური თვალსაზრისით, პარემიოლოგიური ერთეულები უფრო მეტად მეტაფორულნი არიან, ვიდრე მეტონიმიურნი. ანდაზებისა და თქმების ფორმირების ძირითადი წყარო თვით ცხოვრებაა და ამიტომაც ისინი დაკავშირებულნი არიან ადამიანთა ცხოვრების მრავალფეროვან მხარეებთან. პარემიები, თავიანთი თემატური ჯგუფებით, ასახავენ ხალხის გამოცდილებასა და სიბრძნეს.

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

ელიფსისი და ლინგვისტური კომპრესია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში /ენობრივი ეკონომიის თეორიის მიხედვით/

რეზიუმე

წინადადების სინტაქსსა და სემანტიკას შორის ურთიერთკავშირს წარმოვადგენთ ელიფსისისა და ლინგვისტური კომპრესიის პრობლემის განხილვის მიხედვით. ელიფსისის პრობლემისადმი ინტერესის გამომწვევ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ცხოვრების რიტმის საყოველთაო აჩქარებაც. თანამედროვე ისტორიულ ეპოქაში, ანუ გიგანტური ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, როდესაც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ინტერნეტი და მობილური ტელეფონი, განსაკუთრებით აქტუალურია "დროის ეკონომიის" ცნება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ვერბალური კომუნიკაციისას დროითი დანახარჯის შეკვეცასა და ასევე აძლიერებს ტენდენციას ენობრივი ფორმების ეკონომიისაკენ თანამედროვე ენაში, განსაკუთრებით – სასაუბრო მეტყველებაში. ელიფსისის პრობლემის შესწავლა, ელიფსურ მოდელთა კლასიფიკაცია, ელიფსისის გამიჯვნა მოსაზღვრე მოვლენებისაგან მუდამ იწვევდა ფართო დისკუსიებსა და არაერთგვაროვან გადაწყვეტილებებს. საბოლოოდ, შესაძლებელი გახდა რამოდენიმე ძირითადი საკითხის გამოყოფა: **1. ელიფსისი უნდა განვიხილოთ როგორც რიტორიკის ან გრამატიკის მოვლენა.** ფრანგული და ინგლისური ენობრივი ტრადიციის მიხედვით, ელიფსისი უმეტესად შეისწავლებოდა რიტორიკული მოვლენის სახით (ა. არნო და კ. ლანსლო). მეორეს მხრივ, მრავალი ლინგვისტი უპირატესობას ანიჭებდა პრობლემის გრამატიკულ მხარეს (J.Marouzeau, N. Nyrop, F. Brunot, M.Grevisse). რიტორიკა და გრამატიკა მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელიფსისი, როგორც გრამატიკული ფენომენი, წარმოადგენს შესაბამისი სტილისტიკური ხერხის საფუძველს. **2. შეიძლება თუ არა გავაიგივოთ არასრული და ელიფსური წინადადებები.** არასრულ და ელიფსურ წინადადებათა გამიჯვნის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი ხდება სახელდობრ კომპრესიის ფაქტორის გათვალისწინებით. **3. ენობრივი ეკონომიის პრინციპი.** ენის ევოლუცია განისაზღვრება ორი ტენდენციის ქმედებით – გაფართოებითა და კომპრესიით. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს პრობლემა განიხილა, პოლ პასი იყო. ურთიერთობის პროცესში, მოლაპარაკე ხელმძღვანელობს ორი ძირითადი მისწრაფებით: 1. "ენობრივი კოდის ოპტიმიზაციით", რაც უკავშირდება სტრუქტურის გაფართოებას; 2. "ძალვის ეკონომიისაკენ" მისწრაფებით. განსაკუთრებით ეს ვლინდება სასაუბრო მეტყველებაში. ენაში ეკონომიის როლის შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა ა. მარტინემ. **4. ლინგვისტური კომპრესია.** ენაში ეკონომიის პრინციპის ქმედების გამოვლენას წარმოადგენს ლინგვისტური კომპრესია, რომელიც არის ენობრივი ერთეულის სტრუქტურის შეკვეცის პროცესი მასში ჩადებული ინფორმაციის შეუცვლელად.

კომპრესია – ენის მეტად ტევადი, ფართო, აბსტრაქტული და მრავალდონიანი მოვლენაა, რომელიც გამოხატავს საერთო ტენდენციას ეკონომიისაკენ, ელიფსისი კი – კომპრესიის კონკრეტული გამოვლენაა, რომელიც გამოხატავს კერძო და მუდამ სინტაქსურ ტენდენციას ეკონომიისაკენ.

12. **მაია გურგენიძე** აღნიშნული სტატია შეეხება ინგლისურის, როგორც Lingua Franca-ს გამოყენებას. მის მიზანს წარმოადგენს Lingua Franca-ს პრობლემური ასპექტების განსაზღვრა და მათი მოგვარების გზების პოვნა. პირველ რიგში, განხილულია კომუნიკაციის პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის განსაზღვრისა და აღწერის სხვადასხვა გზა. სტატიაში მოცემულია არსებული კვლევაც შედეგების და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ასევე განხილულია Lingua Franca-ს სწავლისა და ანალიზის სხვადასხვა მიდგომა. აღნიშნული საკითხის მთავარ პრობლემას არასწორი კომუნიკაცია წარმოადგენს, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევარის მიერ შემოთავაზებული ახსნაც. ბოლოს კი, სტატია წარმოადგენს შემაჯამებელ კომენტარებს ახალ მიდგომასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მოაგვაროს წარუმატებელი კომუნიკაციის პრობლემა Lingua Franca-ს შემთხვევაში.

13. ჯეიმზ ჯოისის ,,ულისეს'' მეთოთხმეტე ეპიზოდი - ,,მზის ხარები'' ერთერთ ყველაზე რთულ

ეპიზოდად ითვლება. მისი სირთულე, უპირველეს ყოვლისა, იმ სტილურ მრავალფეროვნებასა და ალუზიათა სიუხვეში მდგომრეობს, რომლითაც ეს ეპიზოდი ხასიათება. მასში ჯოისი მიზნად ისახავს ინგლისური სალიტერატურო ენისა და სხვადასხვა სტილის ისტორიის ერთ თავში მოქცევას და მის პაროდირებას. ამიტომ ეპიზოდი მოიცავს ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, რომელიც ჯოისმა პირობითად ცხრა ეტაპად წარმოადგინა, ადამიანის ჩასახვიდან მშობიარობამდე არსებული ცხრა თვის ანალოგიით. ეპიზოდის მოქმედების ადგილი - სამშობიარო, სადაც რომანის ორი მთავარი გმირი ლეოპოლდ ბლუმი და სტივენ დედალოსი ერთმანეთს ხვდებიან, ასევე ხაზს უსვამს ჯოისის ჩანაფიქრს, რომ ამ ეპიზოდში ჯოისი დიდ ენობრივ ექსპერიმენტს ახორციელებს, რომლის მიზანი სალიტერატურო ენის ევოლუციის გადმოცემაა.

ბუნებრივია, რომ ამ ეპიზოდის თარგმნისას ნებისმიერ ენაზე მთარგმნელი დიდ სირთულეს აწყდება, რადგან სხვა ენაზე ინგლისურენოვანი სტილის ევოლუციის პაროდირება შეუძლებელია, მაშინაც კი, როდესაც დედნისა და თარგმანის ენები ერთ ოჯახს მიეკუთვნებიან, ხოლო ლიტერატურები მეტ-ნაკლებად მონათესვე კულტურული ისტორიის მქონეა. კიდევ უფრო დიდ პრობემებს წარმოქმნის ,,მზის ხარების'' მხატვრული თავისებურებების ქართულ ენაზე გადმოტანა. ,,ულისეს'' ქართულ ენაზე მთარგმნელმა ნიკო ყიასშვილმა ამ ეპიზოდში ქართული სალიტერატურო ენისა და სხვადასხვა ეპოქისათვის დამახსიათებელი სტილის პაროდირებას მიმართა - ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტებიან მოყოლებული მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სლენგით დამთავრებული. დედნის დარად მთარგმნელიც პაროდირებს ახდენს როგორც ლექსიკურ, ასევე სინტქსურ დონეზე, მიმართავს სიტყვათქმნადობას, სიტყვებით თამაშს, რითაც მთლიანობაში წარმოქმნის ტექსტს, რომელიც ავტორის ძირითად კონცეპტს ახალ ენობრივ სამყაროში აქცევს.

სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ხდება ინგლისური ენიდან ამა თუ იმ ეპოქის სტილის პროდირების ქართულად გადმოტანა, რა ექვივლენტებს პოულობს ამისათვის ნიკო ყიასაშვილი, რითაც იგი ამ რთული ეპიზოდის ექვივლენტურ თარგმანს ქმნის.

14. ,,შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში''.

მოხსენებაში წარმოდგენილია შექსპირის თარგმნის ისტორია პირველი თრგმანებიდან მოყოლებული (არდაზიანი, ყიფიანი და სხვ.), რომლებიც ძირითადად ორგინალურიდან არ იყო შესრულებული და დაბალი მხტვრული დონით ხასიათდებოდა, ილიასა და მაჩაბლის ,,მეფე ლირისა'' და მაჩაბლის გენიალური თარგმანების გავლით თანმედროვე თარგმანებით დამთავრებული (კერძოდ მანანა ანთაძის გასულ წელს გამოსული შექსპირის სამი ტრაგედიის თარგმანი). მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა ეტაპისათვის დამახისიათებელი მთარგმნელობითი პრონციპები და შედარებული ერთი და იგივე ნაწარმოების სხვადასხვა თარგმანი.

15. **შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში**

მოხსენებაში „შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ განხილული იყო საქართველოში შექსპირის შემოქმედების თარგმნის, შესწავლისა და სცენური ინტერპრეტაციის ყველა მნიშვნელოვან ეტაპი. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შექსპირის შემოქმედების ქართულ თეატრალურ ინტერპრეტაციებს და შესწავლილი იყო მათი გავლენა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ქართულ სოციო-კულტურულ რეალობაზე. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საბჭოთა თუ პოსტ-საბჭოთა საქართველოს რეალობას მრავალმხრივ შეისწავლიან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ შექსპირის ტექსტისა და თეატრის ენით, მისი თემებისა და პრობლემატიკის კონტექსტში, თეატრალური ინტერპრეტაციების სამეცნიერო და სახელოვნებო ინტერდისციპლინური კვლევის კუთხით ბევრი არაფერია გაკეთებული. საქართველოში თეატრი მუდმივად იყო საზოგადოებრივ, პოლიტიკური და სოციო-კულტურული რეალობის ეპიცენტრში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინდივიდები საბჭოეთის პერიოდშიც მუდვიდად ცდილობდნენ ეჭქვეშ დაეყენებინათ არსებული სახელოვნებო და კულტურული გამომხატველობითი ფორმები და სწორედ არსებულის უარყოფით, განსხვავებული ფორმებითა და ხელოვნებაში თავისუფალი აზრის ძიებით შეექმნათ კომუნისტური იდეოლოგიისგან განსხვავებული და განსაკუთრებული შემოქმედება. შექსპირის თეატრის

მეშვეობით რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები თუ მსახიობები მაღალი მხატვრული ხერხებით ქმნიდნენ სპექტაკლებს, რომელშიც მეტაფორულად და ხშირ შემთხვევაში პირდაპირაც ავითარებდნენ ალტერნატიულ აზრს, აკრიტიკებდნენ და საუბრობდნენ იმ სინამდვილესა თუ უსამართლობაზე, რომელიც გამეფებული იყო საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა, მოდერნულ თუ პოსტმოდერნულ საქართველოში.

16. **შექსპირის ტირანების და ანტი-ტირანების ტრანსფორმაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში და მთელს მსოფლიოში**

ბელფასტის ქუინსის უნივერსიტეტის პროფესორის მარკ ბარნეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორის დავით მაზიაშვილი ერთობლივი სამეცნიერო მოხსენება „შექსპირის ტირანების და ანტი-ტირანების ტრანსფორმაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში და მთელს მსოფლიოში“ განიხილავდა ქართულ საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდის თეატრში შექსპირის ანტი-ტირანების ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის კინემატოგრაფიაში ტირანების ტრანსფორმაციის საკითხებს. მარკ ბარნეტის მოხსენებაში გააზრებული იყო მსოფლიოს თანამედროვე კინემატოგრაფიაში შექსპირის ტირანების მხატვრული და იდეური სახეცვლილებები, მათ შორის პოსტ-საბჭოთა რუსულ კინემატოგრაფში გრიგორი კოზინცევის „ჰამლეტი“ და კირილ სერებრენიკოვის ფილმების მაგალითებით. დავით მაზიაშვილის მოხსენებაში წარმოდგენილი და შესწავლილი იყო რობერტ სტურუასა და რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში „რიჩარდ მესამე“ (1978), „ჰამლეტი“(2001), „იულიუს კეისარი“(2015) წარმოდგენილი ანტი-ტირანი პერსონაჟების (რიჩმონდი, ჰამლეტი, ბრუტუსი) გარდასახვები. აგრეთვე მოხსენებაში საკვლევი პრობლემის კონტექსტში განხილული იყო რობერტ სტურუა მიერ 1998 წელს მოსკოვის თეატრში „სატირიკონი“ დადგმული სპექტაკლი „ჰამლეტი“ კონსტანტინ რაიკინის მონაწილეობით.

17. კონფერენციის მასალების ინტერნეტვერსია იხ.: https://oelt2019.wixsite.com/oelt2019/kopie-von-07-12-2019

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ქეთევან ხუციშვილი (ხელმძღვანელი), როზეტა გუჯეჯიანი, თეიმურაზ გვიმრაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ეთოგრაფიული მონაცემები სვანეთის საისტორიო წყაროების მიხედვით, ისტორიული ეთნოლოგია	2018-2022	რ. გუჯეჯიანი (ხელმძღვანელი, შემსრულებელი), ქ. ხუციშვილი (შემსრულებელი)
პროექტის მიზანია დამუშავდეს სვანეთში დაცული ადგილზე შექმნილი ან საქართველოს სხვა მხარეებიდან, ასევე, საზღვარგარეთ არსებული ქართული სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრებიდან შემოტანილი შუასაუკუნეების ქართული საისტორიო დოკუმენტები. სვანეთში შემონახულ წერილობით ძეგლებში ასახულია ქვეყნის ზოგადი განვითარების მთავარი ნიშნები და ადგილობრივი (სვანური) ლოკალური ეთნოგრაფიული ნაირსახეობანი. პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის კვლევას. საანგარიშო წელს მიმდინარეობდა მასალის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია. გამოიყო ეპიგრაფიკული ძეგლები, სხვადასხვა სახის ხელნაწერები: სვანეთის სულთა მატიანეები (ორი მატიანე), „წიგნები“, სიგელები, „დაწერილები“, „სამაგრობლები“ და სხვა სამართლებრივი ხასიათის ტექტები, მათ შორის, „სასისხლო სიგელები“, საეკლესიო წიგნებზე შესრულებული მინაწერები, ფრესკული წარწერები, რომელთა შორისაც ვრცელი ინფორმაციის ამსახველია ქტიტორთა წარწერები, ჭედურ ძეგლებზე შესრულებული წარწერები, ე.წ. „ბირკები“ – ქაღალდის დეფიციტის დროს შექმნილი საწერი მასალა (თლილ ფიცარზე ამოკვეთილი წარწერები) და სხვ.		

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები საქართველოში, ეთნოლოგია	2015-2019	ქ. ხუციშვილი (ხელმძღვანელი, შემსრულებელი), რ. გუჯეჯიანი (შემსრულებელი)

ეთნიკური კულტურა მისი შემადგენელი კულტურული ელემენტებისა და სტრუქტურების ერთობლიობის მიხედვით საფუძვლად ედება „ჩვენ-ისინი“ ოპოზიციის გაცნობიერებასა და იდენტობის განსაზღვრას ჯგუფის წევრთა მხრიდან. ეთნიკური კულტურა მდგრადი წამონაქმნია. იგი შეიცავს სულიერ, სოციალურ–პოლიტიკურ და მატერიალურ კომპონენტებს. ყოველი ეთნიკური კულტურა ხასიათდება როგორც უნივერსალური, ასევე თვითმყოფადი ნიშნებით. თვითმყოფად მახასიათებელთაგან განსაკუთრებით საინტერესო კულტურის ელემენტთა მნიშვნელობების სპეციფიკური მიმართებაა, რაც ღირებულებათა სისტემებს განსაზღვრავს. კულტურული მნიშვნელობები და ღირებულებები ყველაზე თვალსაჩინოდ კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების სისტემებში ვლინდება. განსაკუთრებით აქტუალური გახდა რელიგიური პრაქტიკის კვლევა მეოცე საუკუნის ბოლოდან, როდესაც აქტიური სეკულარიზაციის პროცესი დესეკულარიზაციის და რელიგიისკენ შებრუნების პროცესებით ჩანაცვლდა. საქართველო არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით, ამასთან, საქართველოში გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლებიც ახდენს გავლენას სხვადასხვა ეთნო–კულტურული თუ სუბ–კულტურული ჯგუფების რელიგიურობის მარკერებზე, მათი მნიშვნელობების ცვლილებასა და პრაქტიცირებაზე. პირველ ყოვლისა, აგრესიული ათეიზმის საბჭოთა პერიოდმა გამოიწვია რელიგიური ცოდნის ფრაგმენტაცია ან გაქრობა, რამაც თავის მხრივ ასახვა ჰპოვა რელიგიური პრაქტიკის საზოგადოებრივი სივრციდან საოჯახოში გადანაცვლების პროცესში, და რელიგიურობის ტრადიციულისგან განხვავებული ფორმების ძიებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ძველი ღირებულებების მსხვრევისა და ახლის შემოთავაზების პროცესში რელიგიური ღირებულებები აღმოჩნდა ყველაზე მეტად მისაღები ადამიანთა ფართო მასებისათვის. შედეგად, რეგიონი იქცა ტრადიციული და ახალი რელიგიური იდეების, ღირებულებეისა და მასთან ერთად პრაქტიკის დაპირისპირების არეალად. ამ პროცესებმა გავლენა იქონია ქართული საზოგადოების ყველა ელემენტზე საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროზე. და ერთობ საინტერესო სურათი მივიღეთ რელიგიურობის თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და პრაქტიკის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესები თანამედროვე საქართველოში დალის მხარის (კოდორის ხეობა, ზემო აფხაზეთი), სვანეთის, აჭარის, მესხეთის, ურბანული ცენტრების ეთნოგრაფიული მასალისა და სამეცნიერო ლიტრატურის მონაცემების მიხედვით გაანალიზებულია რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციები. გაკეთებულია შედარებით-ისტორიული ანალიზი.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ეთნოკულტურული მრვალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში, ინტერდისციპლინური, GEC-19-178	2019	ქ. ხუციშვილი (დირექტორი), მ. ხოსიტაშვილი (თანადირექტორი), რ. გუჯეჯიანი (ძირითადი პერსონალი), თ. წითლანაძე (ძირითადი პერსონალი), რ. ასათიანი (კოორდინატორი), ე. ჭელიძე (ტექნიკური პერსონალი), გ. ჩუბინიძე (ტექნიკური პერსონალი)
ინტერკულტურული კომუნიკაციის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების (გლობალიზაცია, მიგრაციები, კონფლიქტები) გამო განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. საქართველო ისტორიულად გამორჩეული ქვეყანაა თავისი მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემებისა და ჯგუფთაშორისი საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება; განსაკუთრებული ეთნოგრაფიული რეალიებისა და ქცევის მოდელების განვითარება. აქ მულტიკულტურულ გარემოში უძველესი დროიდან უწყვეტი იყო ურთიერთობა განსხვავებული ეთნოკულტურული, რელიგიური თუ ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის. უწყვეტი პროცესი იყო კულტურათაშორისი ურთიერთობები, მთელ რიგ რეალიათა გაცვლა და გაზიარება. დროთა ვითარებაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციეტალური სიტუაციის ცვლილება იწვევდა საქართველოს ეთნო-კულტურული რუკის ცვლილებებს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენდა ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე. ამ საკითხების ირგვლის კვლევების პრზენტაცია და დისკუსია იყო მიზანი ორგანიზებული კონფერენციისა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 59 მონაწილემ, მათგან იყვნენ უცხოელი მკვლევარები კანადის (მონრეალის), თურქეთის (პამუკკალეს), გერმანიის (რურის),			

პოლონეთის (ვარშავისა და იაგელონიის), ფინეთის (აღმ. ფინეთის), სომხეთის (ერევნის სახელწიფო) უნივერსიტეტებიდან, ასევე თსუ, ილიაუნის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გორის უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის, ბათუმის სახელწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ცხუმ-აფაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში უნივერსიტეტის საპატიო სიგელი და ეროვნული ბიბლიოთეკის მედალი გადაეცათ პამუკკალეს უნივერსიტეტის პროფესორ ფაჰრიე ბაირამსა და მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორ ქევინ თიუითს ქართული კულტურის კვლევის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	რელიგიური პლურალიზმი ურბანულ გარემოში, ანთროპოლოგია, აღმოსავლეთ ევროპისა და საერთშორისო კვლევების ცენტრი (ZOiS)	2018-2020	ც. დარიევა (ხელმძღვანელი), ქ. ხუციშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ი. ალიევა, ბ. კომახიძე, მ. ლორია
პროექტის მიზანია შეისწავლოს რელიგიური პროცესები, რელიგიურობის გამოვლინების ფორმები, რელიგიური სივრცის კონსტრუირების პროცესი ურბანულ გარემოში. თანამედროვე მსოფლიოში ერთი მხრივ მაღალია ურბანიზაციის დონე და თავისთავად ეს საკითხი კვლევის თვალსაზრისით აქტუალური საკითხია, ამავე დროს დესეკულარიზაციის პროცესი, რელიგიურობის ზრდა და რელიგიის მნიშვნელობის ზრდა არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. კვლევის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოები, სამუშაო შეხვედრები, მომზადდა მიმდინარე ეტაპის საანგარიშო მოხსენებები. შესწავლილ იქნა ბათუმში მომქმედი რელიგიური თემებიდან ებრაელთა, მართლმადიდებლების, კათოლიკეთა და მუსლიმთა თემების რელიგიური სივრცეები.		

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
2	ნორვეგიულ-ქართული პარტნიორობის პროგრამა ანთროპოლოგიაში კვლევაზე დაფუძნებული განათლების სფეროში თანამშრომლობისათვის, ანთროპოლოგია, CPEA-LT-2017/10036 განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი (DICU)	2018-2021	თ. ბრინგა (თანადირექტორი), ქ. ხუციშვილი (თანადირექტორი), გ. ჭეიშვილი (კოორდინატორი), ე. ტროშკინა (კოორდინატორი), ი. შარვაძე, ბ. კომახიძე (მონაწილეები)
პროექტის მიზანია ბერგენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს შორის სამეცნიერო კავშირების გაღრმავება, სასწავლო გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის, კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების გაზიარება პარტნიორ ინსტიტუტებს შორის, კვლევის გეოგრაფიული და თემატური არეალის გაფართოება და სტუდენტთა შემდგომი სამეცნიერო ზრდის ხელშეწყობა. პირველი წლის შედეგი გახლავთ ქართულ-ნორვეგიული საზაფხულო სკოლა ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაზე პოსტ-სოციალისტური საზოგადოებების კვლევისას. ამ ეტაპის შედეგია ასევე ახალი სასწავლო კურსის “პოსტ-სოციალისტური საზოგადოებების ანთროპოლოგია” განვითარება და დანერგვა სამაგისტრო სწავლების დონეზე.			

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
3	ინტერკულტურული ურთიერთობები აკადემიასა და სამუშაო ადგილას სამხრეთ კავკასიასა და ნორვეგიაში CPEA-LT-2017/10016, ინტერდისციპლინური, განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი (DICU)	2018-2021	თსუ, ოსლოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბაქოს ხაზარის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათ შორის ქ. ხუციშვილი (მონაწილე)

პროექტის მიზანია ინსტიტუციური მხარდაჭერა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების გაზიარება, ნორვეგიისა და სამხრეთ კავკასიის ოთხ ინსტიტუციას შორის ხანგრძლივ ვადიანი თანამშრომლობის სტიმულირება, უფრო კონკრეტულად კი ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების კვლევის საფუძველზე ინტერკულტურული კომუნიკაციის ხელშეწყობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განათლების უკეთესი ხარისხის მიღწევის მიზნით. პირველი ეტაპის შედეგია საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ორგანიზება, თემატურ პუბლიკაციაზე მუშაობა.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	კავკასია, კულტურა, კონფლიქტი: ცხოვრება პოსტ-ინდუსტრიულ ურბანულ სივრცეში, ანთროპოლოგია, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)	2019	შ. ფოელი (დირექტორი), ქ. ხუციშვილი (თანადირექტორი), ს. ფელინგსი, გ. შაგოიანი, ი. აბასოვი, ს. რუმიანცევი, ი. შარვაძე, ნ. ლოლაძე (მონაწილეები)
პროექტის ფარგლებში მოხდა სემინარისა და საველე კვლევის ორგანიზება გერმანიის, საქართველოს, სომხეთისა და აზრბაიჯანის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საკვლევი საკითხი იყო პოსტ-ინდუსტრიული ქალაქები კავკასიაში, რომლებიც რთულ პირობებში აღმოჩნდნენ ინდუსტრიული წარმოების შეჩერების შემდგომ. ასეთი ქალაქებში მოქალაქეთა ყოფა შეიცვალა, მაღალია უმუშევრობის მაჩვნებელი, შესაბამისად მიგრაციების მაჩვენებელიც. საკვლევი პროექტის მიზანი იყო გაგვერკვია რა არის მოქალაქეთა მოტივაცია პოსტ-ინდუსტრიულ ქალაქში დარენისა და როგორ ახერხებენ ისინი ახალ გარემობებთან ადაპტირებას, რა მნიშვნელობას დებენ ისინი ტერმინ “სახლში”. მცირე მასშტაბიანი კვლევის შედეგად გამოვლინდა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც შესაზლებელია ხანგრძლივვადიანი კვლევის საფუძვლად იქცეს.		

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამომცემლობა	რაოდენობა
1	რ. გუჯეჯიანი, გ. ირემაძე, მ. ხოსიტაშვილი	მონოგრაფია „ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე)“ . ISBN 978-9941-9640-1-5	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი, თბ., 2019.	208 გვერდი.
ნაშრომი ეხება თურქეთელ ქართველ მწერლის, პუბლიცისტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის ცხოვრებასა და საქმიანობას. ვ. მალაყმაძემ დიდი წვლილი დასდო თურქეთელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ქართული კულტურის შენარჩუნებას და თურქეთელი ქართველების საქართველოსთან დაახლოების საქმეს. ნაშრომში თავმოყრლია ცნობები მისი ბიოგრაფიიდან, ასევე მისი ნაშრომების ნაწილი და მოცმეულიავრცელი ანალიზი.				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გუჯეჯიანი	„ეგნატე გაბლიანი	საიუბილეო	საქართველოს	16

		1881-1937 წწ.“ ISBN 978-9941-9620-3-5	კრებული „ეგნატე გაბლიანი“	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.	
ნაშრომი ეხება ქართელი საზოგადო მოღვაწის, ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის ეგნატე გაბლიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ე. გაბლიანი აგროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, იკვლევდა სვანების ყოფას, ფოლკლორს, წერდა სტატიებს იმდროინდელ პრესაში. იგი არის ავტორი რამდენიმე წიგნისა, განსაკუთრებით საინტერესოა მისი 1927 წელს დაბეჭდილი “თავისუფალი სვანეთი”. სამეცნიერო მორაწეობის გარდა ე. გაბლიანი გამორჩეული წარმომადგენელია 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. იგი იყო ერთ-ერთი მეთაური 1921 წლის ამოხებისა. ნაშრომში განხილულია მისი ღვაწლი და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის მნიშნველობა.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ქ. ხუციშვილი	ანთროპოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	19.02.2019 ქ. თბილისი
მოხსენებაში განხილულ იქნა ეთნოგრაფიული კვლევების დაწყების ისტორია საქართველოში, გ. ჩიტაიას მიერ ქართული ეთნოლოგიური სკოლისთვის საფუძვლის ჩაყრა, მეთოდის განვითარება, შემდგომ ეტაპებზე თემატური გაფართოება და გაჩენილი დისკურსი ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის მიმართების შესახებ.			
2	ქ. ხუციშვილი	რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - საველე მონაცემები	26.02.2019 ბათუმი
მოხსენებაში წარმოდგენილია მიმდინარე ეთნოგრაფიული მასალა ბათუმში რელიგიური პლურალიზმის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქალაქო სივრცეში რელიგიურობისა და რელიგიის კვლევის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე.			
3	ქ. ხუციშვილი	საქართველო გზაჯვარედინზე	1-3.04.2019 თბილისი
მოხსენებაში ლაპარაკია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მის მახასიათებლებზე. გაანალიზებულია გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური და პოლიტიკური რეალიები.			
4	ქ. ხუციშვილი	ქართული ეთნოლოგია - 112	12-13.04.2019 თბილისი
მოხსენებაში განხილულია ქართული ეთნოლოგიის განვლილი გზა, პირველი ინსტიტუციონალური ერთეულიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადეოის დაფუძნებიდან დღემდე. განხილულია განვითარების ეტაპები, შესაბამისი პერიოდებისთვის დამახასიათებელი ამოცანები და მათი განხორციელებეის ფორმები.			

5	ქ. ხუციშვილი	ინტერკულტურალიზმი, როგორც სწავლის შედეგი და ღირებულება	9.05.2019 თბილისი
მოხსენებაში ლაპარაკია ინტერკულტურალიზმის, როგორც სტრატეგიის მნიშვნელობაზე თანამედროვე მულტიკულტურული მსოფლიოსთვის. წარმოდგენილია სხვადასხვა მიდგომები და განხილულია სასწავლო პროცესში ინტერკულტურული მიდგომების ჩართვა-განვითარების შესაძლებლობები. საქართველოს მაგალითზე გაანალიზებულია ინტერკულტურული ურთიერთობების მაგალითები.			
6	ქ. ხუციშვილი	კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა და ყოველდღიურობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში	15.05.2019 თბილისი
მოხსენებაში წარმოდგენილია სვანეთის ექსპედიციის შედეგები, კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკის მახასიათებლები და ადამიანთა ყოველდღიური ყოფა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში და მათ სიახლოვეს,გაანალიზებულია ყოფით კულტურაზე მოქმედი ფაქტორები და დღევანდელი ვითარება.			
ასოც. პროფესორები: რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია

---

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართულის დიალექტებში: გურული, რაჭული, ხევსურული, ქიზიყური (ჰუმანიტარული მეცნიერებები, ენათმეცნიერება და ლიტერატურა - FR/216682/16)	2016-2019	1. **რუსუდან ასათიანი** (ხელმძღვანელი) 2. **ივანე ლეჟავა** (კოორდინატორი) 3. ნათელა დუნდუა (შმს) 4. **მარინე ივანიშვილი** (შმს) 5. **ეთერ სოსელია** (შმს) 6. მარიკა ჯიქია (შმს)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გურიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ქიზიყში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა დამუშავდა პროგრამაში PRAAT, ანოტირება-გლოსირება განხორციელდა პროგრამაში ELAN. ანოტირებული მასალა დარედაქტირდა და ორგანიზების შედეგად მივიღეთ მონაცემთა ბაზები გურული, რაჭული, ხევსურული და ქიზიყური მასალებისა. ბაზაში wav. და eaf. ფაილები დალაგებულია დიალექტების, სესიების, სატესტო დავალებისა და ინფორმანტების პირობითი ნომრების მიხედვით, მაგ., XEV-S2-14a-6, სადაც XEV აღნიშნავს ხევსურულ დიალექტს, S2 - მეორე სესიისას ჩაწერილ მასალას, 14a - სატესტო დავალების კონკრეტულ ნომერს და 6 - რიგით მეექვსე ინფორმანტს. მასალა ანოტირებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მკვლევრებისათვის. შემუშავდა განზოგადებული დებულებები, გამოვლინდა IS-ს გარკვეული მოდელები; შედეგები მოხსენდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. დაიბეჭდა ნაშრომი: „ინფორმაციის სტრუქტურირება და სამყაროს ლინგვისტური ხედვა: სომატური ლექსიკა ქართველურ ენობრივ სივრცეში“, რომლის პრეზენტაცია შედგა 2019 წლის 3 დეკემბერს უნივერსიტეტში.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ქართულ-ინგლისური ენობრივი კონტაქტის ასპექტები (FR/2175000/16)	2016-2018 (პროექტის დამთავრება გაფორმდა 2019 წელს)	1. ნინო ამირიძე (ხელმძღვანელი) 2. რუსუდან ასათიანი (კოორდინატორი) 3. ზურაბ ბარათაშვილი (შმს)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დამუშავდა უახლესი სპეციალური ლიტერატურა. ინტერნეტ რესურსების (სხვადასხვა სოციალური ქსელის) გამოყენებით შეგროვდა საანალიზო მასალა, რომელიც ორგანიზებულ იქნა მარტივი ბაზის სახით. მასალის სტრუქტურირებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სესხების ტიპები და მოდელები.
ჯგუფის წევრები მუშაობდნენ ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, ეს იყო ტექნიკური სამუშაო, რაც დაკავშირებული იყო ელექტრონული კორპუსის ინფრასტრუქტურის შექმნასთან. მეორე მხრივ, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მონაცემთა მოგროვებისა და არქივიზაციისთვის. კორპუსის ინფრასტრუქტურა დაეფუძნა მესამე თაობის კორპუსის პროგრამას, სახელად AntConc. მონაცემების წყაროებად გამოყენებული იყო სხვადასხვა სოციალური ქსელი, ონლაინ ფორუმები, ბლოგები, ონლაინ მედია, მათი კომენტარები, ასევე პირადად მოსმენილი ფრაზები. კვლევის შედეგად დაფიქსირდა

სესხების ზოგად-ტიპოლოგიური თვალსაზრისით თავისებური შემთხვევები. შედეგები წარდგენილ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა თუ ფორუმებზე, დაიბეჭდა საერთაშორისო კრებულებში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	გერმანიის სამეცნიერო ფონდი- GSF: The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia	2014-2019	პროექტის ფარგლებში შემუშავებული PhD. პროგრამის ხელმძღვანელი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ბერძნების ენობრივი თავისებურებები: უკვე დაიბეჭდა პონტოელი ბერძნულის შესახებ ნაშრომი (სვეტლანა ბერიკაშვილი); მზადდება ნაშრომი ურუმ ენის მორფოლოგიური სტრუქტურის შესახებ (ნუცა წერეთელი).			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		სტანდარტული კოდი ISBN		
1	რუსუდან ასათიანი, ნათია დუნდუა, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია, მარიკა ჯიქია	ინფორმაციის სტრუქტურირება და სამყაროს ენობრივი ხედვა: სომატური ლექსიკა ქართველურ ენობრივ სივრცეში (978-9941-479-43-4)	თბილისი: "ახალი ხედვა"	158
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომი ეხება ინფორმაციის სტრუქტურირების ზოგად პროცესებს, რომლებიც განიხილება ქართველურ ენობრივ სივრცეში დადასტურებული ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ამსახველი ლექსიკის (resp. სომატური ლექსიკის) სემანტიკური ველის კვლევის ფონზე. ნაშრომი დაეფუძნა პოტსდამისა და ბერლინის უნივერსიტეტებში შემუშავებული საექსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად საველე პირობებში მოპოვებული მასალის ანალიზს. გურიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ქიზიყში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა დამუშავდა პროგრამაში PRAAT, ანოტირება-გლოსირება განხორციელდა პროგრამაში ELAN. ანოტირებული მასალა დარედაქტირდა და ორგანიზების შედეგად მივიღეთ მონაცემთა ბაზები გურული, რაჭული, ხევსურული და ქიზიყური მასალებისა. ბაზაში wav. და eaf. ფაილები დალაგებულია დიალექტების, სესიების, სატესტო დავალებისა და ინფორმანტების პირობითი ნომრების მიხედვით. მასალა ანოტირებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მკვლევრებისათვის. ნაშრომის დანართში ნიმუშის სახით მოცემულია რამდენიმე ტექსტის ამგვარი ანალიზი. შედეგები შეჯერებულია ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციაში მიღებულ თვალსაზრისებთან და ეყრდნობა უახლეს თეორიულ ნაშრომებს, კერძოდ, ენით გამოხატული საინფორმაციო სტრუქტურების საკვლევად ჩამოყალიბებულ თეორიასა და მეთოდოლოგიას. ენათა კვლევის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და სტრუქტურირების საფუძვლების ცვლის დიაქრონიული პროცესი, რაც თავისი არსით ინტეგრალური ხასიათისაა და მოიცავს ადამიანური ყოფის ისეთ სოციოკულტურულ სფეროებს, როგორებიცაა ენა, ხელოვნება, რელიგია, მეურნეობა, ეთნოტრადიციული ადათ-წესები, კულტურა-ცივილიზაცია ფართო გაგებით და სხვ. ამ მეთოდის საფუძველზე რეკონსტრუირებული ფუძე-ენა და მისი დიაქრონიული განვითარების სურათი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას ხალხთა გენეტიკური კავშირების, მათი პირველსაცხოვრისისა და ისტორიული მიგრაციების მიმართულებების შესახებ.				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამომცემლობა	
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ასათიანი	ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა (1512-0473)	*ენათმეცნიერების საკითხები, 2018 (დაიბეჭდა 2019 წელს)*	თბილისი: თსუ გამომცემლობა	16
2	რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია	ინდოევროპულ ყრუ ხშულ თანხმოვანთა გადმოცემა ქართულში (1512-0473)	*ენათმეცნიერების საკითხები, 2018 (დაიბეჭდა 2019 წელს)*	თბილისი: თსუ გამომცემლობა	6
3	რ. ასათიანი	ზმნის ვალენტობის ცვლის ამსახველი ალგორითმი ქართველურ ენებში 2019 (978-9941-13-882-9)	თამაზ გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული	თბილისი: თსუ გამომცემლობა	16
4	რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ე. სოსელია	*ღUნ- „ღვინო“ : *ღუნ- „ღუნვა, გრეხა, ხვევა, წვნა“ ძირთა მიმართების საკითხი ქართველურ ენებში (978-9941-13-882-9)	თამაზ გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული	თბილისი: თსუ გამომცემლობა,	11
5	რ. ასათიანი	An Algorithm Describing the Verb Valence Changes in the Kartvelian Linguistic Space (0132 -1447) http://science.org.ge/bnas/t13-n4/18_Asatiani.pdf	BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 13, no. 4	Tbilisi: Acad. Publ.	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ყველა სტატიაში ქართველურ ენათა მონაცემები განხილულია ახალ თეორიულ ჩარჩოებში, რაც საშუალებას იძლევა გარკვეული კატეგორიები და სტრუქტურები ახლებურად იქნეს გადააზრებული და ეფექტურად აღწერილი.

1. ქართველურ ენებში, მათ შორის ლაზურშიც, ზმნის ძირთან უახლოეს პრეფიქსულ პოზიციაში ფიქსირდება ხმოვანი მორფემები, რომლებიც გამოხატავენ ზმნის სხვადასხვაგვარ დერივაციულ კატეგორიებს: ქცევა, გვარი, პოტენციალისი, რეფლექსივი, კაუზაცია, კონტაქტი. ლაზურში ასეთი ხმოვანპრეფიქსებია: ***-ა, -ი, -ო, -უ.*** ამ პრეფიქსების ფუნქციონალურ-სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ხმოვანპრეფიქსების საერთო, ზოგადიფუნქცია: *ზმნასთან მორფოსინტაქსურად დაკავშირებული სახელების (resp. აქტანტების, არგუმენტების) რაოდენობის (resp. ზმნის ვალენტობის) ცვლის (ან გაზრდის ან შემცირების) ფორმალური გამოხატვა;* კერძოდ:

ო გვხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც ან აგენს-ინიციატორი ან აგენსი შემოდის ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში (resp. კაუზატივისა და კაუზატივთან გათანაბრებული ფორმები);

უ/ი გვხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც ადრესატი შემოდის და ემატება ზმნის არგუმენტებს. ეს შეიძლება იყოს ადრესატ-ბენეფაქტივ-პოსესორი (resp. სასხვისო ქცევის ფორმები) და, ასევე, ისეთი ადრესატი, რომელიც კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებებს არც გულისხმობს;

ი გვხვდება ვალენტობის კლების შემთხვევაში, როდესაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში აღარ მონაწილეობს ან აგენსი (resp. ერთპირიანი ვნებითი, ხშირად პოტენციალისის მნიშვნელობით), ან ყოფილ-ადრესატული პირი (resp. სათავისო ქცევის ფორმები, ძირითადად, რეფლექსივის შინაარსით; და, ასევე, რეფლექსივთან გათანაბრებული სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები);

ა გვხვდება ვალენტობის უფრო კომპლექსური ცვლილებების შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად გაუჩინარებულია აგენსი და დამატებულია ადრესატ-ბენეფაქტორი (resp. ორპირიანი ვნებითები, ძირითადად, პოტენციალისის შინაარსით).

2. ინდოევროპული ენების ყრუ ხშულების ქართულში გადმოტანის წესის საუნიფიკაციოდ განხილულია ქართულ ტრდიციასა და სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებული განსხვავებული თვალსაზრისები, გამოკვლეულია ამ სხვაობების განმაპირობებელი ფონეტიკურ-ფონოლოგიური ფაქტორები და ქართულის ენის ყრუ ხშულთა ფონეტიკური მახასიათებლების ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგად დასაბუთებულია ქართული მართლწერის ტრადიციული ნორმის მართებულობა: *ინდოევროპულ ენათა ყრუ ხშულები ქართულში უნდა გადმოვიდეს შესაბამისი მკვეთრებით, ანუ აბრუპტივებით.*

3. (და **5**) სტატიაში განხილულია ყველა ქართველურ ენაში დადასტურებული 4 პოლი-ფუნქციური ხმოვანპრეფიქსული მორფემა და მათი დამოკიდებულება გვარის, ქცევის, კაუზაციისა და სხვ. გრამატიკულ კატეგორიებთან, წარმოდგენილია მათი ფუნქციების დეტალური აღწერა და გადააზრება/განზოგადება ზმნური სტრუქტურის ვალენტური ცვლილებების კონტექსტში. ხმოვანპრეფიქსების ფუნქციების განზოგადების შემდეგ შემოთავაზებულია ერთგვარი ალგორითმი, რომელიც მოიცავს ოთხსაფეხურიან იმპლიკაციურ წესებს და აღწერს 4 ხმოვანპრეფიქსული მორფემის ძირითად დანიშნულებას: *სემანტიკური როლების გაჩენა/გაუჩუნარების შედეგად ზმნის ვალენტობის მატებისა ან კლების ფორმალური მარკირება* - და, შესაბამისად, აღწერს არგუმენტული სტრუქტურის ცვლის დინამიკას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში.

4. სტატიაში განსხვავებული შეხედულებების შეჯერება-ანალიზის ფონზე დასაბუთებულია, რომ **ღვინ-* ფორმა წარმოადგენს „ღუნვა, გრეხა, ხვევა, წვნა“ მნიშვნელობის ზმნიდან ნაწარმოები საერთო-ქართველური დერივატის ფუძეს და არა ინდოევროპულ ნასესხობას, როგორც აქამდე იყო მიჩნეული. ამდენად, ეს კონკრეტული ძირი წარმოადგენს კიდევ ერთ ლინგვისტურ-ტიპოლოგიურ პარალელს ქართველურსა და ინდოევროპულს შორის, ამჯერად რეალიზებულს ლექსიკურ დონეზე.

		შორის თბილისის უნივერსიტეტში 1920-1935 წლებში (1512-0473)	*წელს)*		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6. ცნობილი ენათმეცნიერი ნიკო მარი, რომელმაც სათავე დაუდო იაფეტურ თეორიას, წინ აღუდგა თბილისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეას, რადგანეს საფრთხეს უქმნიდა მის სკოლას პეტერბურგის უნივერსიტეტში. თბილისშიუნივერსიტეტის დაარსება სწორედ ნიკო მარის ცნობილმა მოწაფეებმა ჩაიფიქრეს,რაც იაფეტური თეორიის დასუსტებასაც ნიშნავდა, რადგან ისინი არ იზიარებდნენმასწავლებლის წარმოდგენებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ისინი არეთანხმებოდნენ ნიკო მარს, რომელსაც მათთვის მიუღებელი ადგილი უნდა ჰქონოდა მიჩენილი იაფეტურ თეორიაში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩერჩი, მენინგი 2002). ნიკო მარს ქართული უნივერსიტეტის გახსნა არ გახარებია ორი მთავარი მიზეზის გამო: მის სამეცნიერო სკოლას დაშლის საფრთხე ემუქრებოდა დაიაფეტურ თეორიას ინსტიტუციური ოპოზიცია ექმნებოდა. ოფიციალურად კი იგიუნივერსიტეტის დამფუძნებლებს შოვინისტურ ნაციონალიზმში სდებდა ბრალს.როცა ძველი ქართული ხელნაწერების პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებისსაკითხი დადგა, ნიკო მარმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა უკიდურესად მტრულიდამოკიდებულება ყოფილი მოწაფეების მიმართ: „მე გამოუთქმელი აღშფოთებითვაცხადებ პროტესტს უგუნური ნგრევის წინააღმდეგ. უგუნურებაა, როცა ვარაუდობენ, რომ ეს საქმე ძალდატანებით გადაიტანონ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ ნიადაგზე, რომელიც უნაყოფოა მეცნიერული შემოქმედებისათვის მოცემულ მომენტშიუმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობების ბატონობის გამო“ (ამირანაშვილი 1978:5-6).საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი განიხილებოდაანექსიის შედეგად შექმნილი მოძალადე ხელისუფლების საშიშ ოპოზიციად, რომლის თვალთვალი და კონტროლი აუცილებელი იყო ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით. ფაქტობრივად, ნიკო მარი და საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირ ბრალდებებს უყენებდნენ თბილისის უნივერსიტეტს, რომლის საბჭოთა პრინციპებზე გადაყვანა ვერ მოხერხდა. მიუხედავად მრავალი „წმენდისა“ „სტუდენტების `სწორ გზაზე დაყენებას„ კიდევ ბევრი დრო დასჭირდებოდა, როგორც ამას აჩვენებს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს(უშიშროების სამსახურის) უფროსის, ლავრენტი ბერიას 1928 წლის 5 აპრილისმოხსენებითი ბარათი. სტატიაში საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რა დაუნდობელი ხასიათი ჰქონდა ინდოევროპეისტების, როგორც კონტრევოლუციონერებისა და საბჭოთა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს დაპირირისპირება სტატიაში ნაჩვენებია საარქივო მასალების ანალიზით. სტატიას დართული აქვს ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტის ასლი.

7	მ. ივანიშვილი	ეტიმოლოგიური ძიებები: *სოკო* (1512-0473)	ენათმეცნიერების საკითხები, 2018 *(დაიბეჭდა 2019 წელს)*	თბილისი: თსუ გამომცემლობა	21 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სახელი *სოკო* ოთხივე ქართველურ ენაში დასტურდება:
ქართ. *სოკო* : მეგრ. *სოკო* : ლაზ. *სოკო* : სვან. *სოკ, სოკMლ, ტყუბQლ.*
ძველი ქართულის ტექსტებსა და ლექსიკონებში, სიმფონიებსა და ბიბლიური ტექსტების მონაცემთა ბაზებში (http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm, http://www.bible.ge/Manuscript/ 2win.htm, http://gnc.gov.ge/gnc/concordance) აღნიშნული ფუძე არ ჩანს. არც ივ. ჯავახიშვილთან არის რაიმე თქმული *სოკოს* შესახებ (ჯავახიშვილი, V, 1986; X, 1992). მხოლოდ X-XVI სს. ტექსტებში ვხვდებით *სოკო*-ს დაავადების სახელად. *სოკო* სენის მნიშვნელობით მოცემული აქვს სულხან-საბა ორბელიანს, იგი ამავე დროს ასახელებს *სოკოს* სხვა სახელებსაც (ორბელიანი 1991, 1993).
**სოკო* საერთო-ქართველური ფუძე აღდგენილი აქვს გ. კლიმოვს (Климов 1964). აღნიშნული ფუძე ქართველურ ენათა სხვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში რეკონსტრუირებული არ არის (სარჯველაძე, ფენრიხი 2000; Fähnrich 2007).

ქართველურ ენებში *სოკო* ფუძის კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვნები:
1. ქართ. *სოკო* : მეგრ. *სოკო* : ლაზ. *სოკო* : სვან. *სოკ, სოკMლ, ტყუბQლ* შესატყვისობის საფუძველზე საერთო-ქართველური ფუძეენის დონეზე შესაძლებელია აღვადგინოთ **სოკო* ფუძე, „სოკო“ ზოგადი მნიშვნელობით.
2. *-იო* დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში უნდა მომდინარეობდეს *-ილ-ო > -ი-ო,* ლ-ს ჩავარდნით კნინობით-საალერსო მაწარმოებელი სუფიქსისგან.
3. საერთო-ქართველური ფუძეენის დონეზე უნდა აღდგეს **-ილ* კნინობით-საალერსო მნიშვნელობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი.
4. ქართ. *ტყურბ- ტყურბ-ლ-ა* „ერთგვარი სოკო“, *ტყურბლა* „ხის სოკო“ (სულხან-საბა ორბელიანი), იმერ. *ტყუბლა-სოკო* „ხის სოკო“ (ძოწენიძე 1974: 370), სვან. *ტყუბ- ტყუბ-ულ* „ერთგვარი სოკო“ შესატყვისობის საფუძველზე აღდგება **ტყურბ-* არქეტიპი (Sardschweladse 1985: 24).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ellen Lau, Michaela Socolof,	A subject relative clause preference in a split-ergative language: ERP evidence from Georgian	*Journal of Memory and Language, 3*	Elsevier	23

	Nancy Clarke, Rusudan Asatiani, Maria Polinsky	ISSN: 0749-596X http://ling.umd.edu/~ellenlau/papers/Georgia_ERP_RC_submitted.pdf			
2	R. Asatiani, N. Dundua, M. Ivanishvili, E. Soselia	Somatic Lexemes in the Kartvelian Linguistic Space http://dx.doi.org/10.26417/ejls-2019.v5i2-198 ISSN 2411-4103	*European Journal of Language and Literature Studies, Volume 5, Issue 2*	EJLS, May – August 28-31	4
3	R. Asatiani	An Algorithm Describing the Verb Valence Changes in the Kartvelian Linguistic Space http://dx.doi.org/10.26417/ejls-2019.v5i2-198 ISSN 2411-4103	*European Journal of Language and Literature Studies, Volume 5, Issue 2*	EJLS, May – August 28-31	5
4	N. Amiridze, R. Asatiani, Z. Baratashvili	Pattern borrowing in the Georgian-English language contact 999(0302-9743, 1611-3349-electronic, 978-3-662-59564-0, 978-3-662-59565-ebook)	Logic, Language, and Computation - 12th International Tbilisi Symposium, TbiLLC, Revised Selected Papers	Heidelberg, Springer	21

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიებში ქართველურ ენათა მონაცემები განხილულია ახალ თეორიულ ჩარჩოებში, რაც საშუალებას იძლევა გარკვეული კატეგორიები და სტრუქტურები ახლებურად იქნეს გადააზრებული და ეფექტურად აღწერილი.

1. სტატიაში მიმართებითი წინადადებების სტრუქტურები გაანალიზებულია ERP (Event-Related Potential) თეორიულ ჩარჩოში. ეს მეთოდოლოგია (და, შესაბამისად, თავად ტერმინი) ლინგვისტიკაში შემოტანილია ელექროენცეფალოგრაფიიდან, სადაც ის ეფექტურად გამოიყენება მედიცინაში დიაგნოსტიკაში და ტვინის ფუნქციონირების კვლევისას. ტერმინი „მოვლენებით-დაკავშირებადი შესაძლებლობები“ გამოიყენება ნეიროლინგვისტიკაში იმის გასარკვევად, თუ როგორ რეაგირებს ტვინი სხვადასხვაგვარ რთულ ენობრივ კონსტრუქციებზე, რომლებიც ერთმანეთთან მოვლენებით-დაკავშირებადია. ამ მეთოდოლოგიით მიმართებითი წინადადებების შემადგენლებს შორის კავშირების გასაანალიზებად და ამ კავშირებზე ტვინის რეაქციების საკვლევად, ქართველ ინფორმანტებთან მუშაობისას, შეგროვდა ექსპერიმენტული მონაცემები სპეციფიკური ჩანაწერების სახით. მასალა დამუშავდა ნეიროლინგვისტური თვალსაზრისით და გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიმართებები: გარკვეულ კონსტრუქციებზე ტვინის რეაქცია ამარტივებს მიმართებითი კონსტრუქციების აღქმას და, წინასწარმეტყველებს რა გარკვეულ კოგნიტიურ რეაქციებს, განსაზღვრავს ინფორმატის არჩევანს.
უცხოელ მკვლევრებთან თანაავტორობით დამუშავებული სტატია მეტყველებს, ერთი მხრივ, ქართული მასალის თანამედროვე მიდგომებით დამუშავების ეფექტურობაზე და, მეორე მხრივ, ამ მასალის ღირებულებაზე ტიპოლოგიური ხასიათის კვლევებში.

2. ნაშრომი ეხება ინფორმაციის სტრუქტურირების ზოგად პროცესებს, რომლებიც განიხილება ქართველურ ენობრივ სივრცეში დადასტურებული ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ამსახველი ლექსიკის (resp. სომატური ლექსიკის) სემანტიკური ველის კვლევის ფონზე. ნაშრომი დაეფუძნა პოტსდამისა და ბერლინის უნივერსიტეტებში შემუშავებული საექსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად საველე პირობებში მოპოვებული მასალის

ანალიზს. გურიაში, რაჭაში, ხევსურეთსა და ქიზიყში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა დამუშავდა პროგრამაში PRAAT, ანოტირება-გლოსირება განხორციელდა პროგრამაში ELAN. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ანოტირებული მასალა ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მკვლევრებისათვის. შედეგები შეჯერებულია ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციაში მიღებულ თვალსაზრისებთან და ეყრდნობა უახლეს თეორიულ მიდგომებს, კერძოდ, ენობრივი გამონათქვამების საინფორმაციო სტრუქტურების საკვლევად ჩამოყალიბებულ თეორიასა და მეთოდოლოგიას.

3. სტატიაში განხილულია ყველა ქართველურ ენაში დადასტურებული 4 პოლიფუნქციური ხმოვანპრეფიქსული მორფემა და მათი დამოკიდებულება გვარის, ქცევის, კაუზაციისა და სხვ. გრამატიკულ კატეგორიებთან, წარმოდგენილია მათი ფუნქციების დეტალური აღწერა და გადააზრება/განზოგადება ზმნური სტრუქტურის ვალენტური ცვლილებების კონტექსტში. ხმოვანპრეფიქსების ფუნქციების განზოგადების შემდეგ შემოთავაზებულია ერთგვარი ალგორითმი, რომელიც მოიცავს ოთხსაფეხურიან იმპლიკაციურ წესებს და აღწერს 4 ხმოვანპრეფიქსული მორფემის ძირითად დანიშნულებას: *სემანტიკური როლების გაჩენა/გაუჩუნარების შედეგად ზმნის ვალენტობის მატებისა ან კლების ფორმალური მარკირება* - და, შესაბამისად, აღწერს არგუმენტული სტრუქტურის ცვლის დინამიკას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში.

4. საანალიზო მასალა მოგროვდა, ავტორების მხრიდან ორი მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების შედეგად: ერთი მხრივ, ეს იყო ტექნიკური სამუშაო, რაც დაკავშირებული იყო ელექტრონული კორპუსის ინფრასტრუქტურის შექმნასთან. მეორე მხრივ, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მონაცემთა მოგროვებისა და არქივიზაციისთვის. კორპუსის ინფრასტრუქტურა დაეფუძნა მესამე თაობის კორპუსის პროგრამას, სახელად AntConc. მონაცემების წყაროებად გამოყენებული იყო სხვადასხვა სოციალური ქსელი, ონლაინ ფორუმები, ბლოგები, ონლაინ მედია, მათი კომენტარები, ასევე, პირადად მოსმენილი ფრაზები. ამ გზით მოპოვებული მასალის სტრუქტურირებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სესხების გარკვეული ტიპები და ყალიბები.

5	T. Bolkvadze	Eastern Christian Language Tradition and Problems of Creating of Georgian Alphabet ISBN: 978-7-301-12014	Beijing Forum 2019, The Harmony of Civilizations and Prosperity for All, The Changing World and the Future of Humankind	Beijing, Peking University Press	12

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

5. ქართული ანბანის შექმნის დრო, ადგილი და ანბანის შემქმნელის ვინაობა დღემდე დაუდგენელია, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი წერილობითი ტრადიციისა. სტატიაში გერთმანეთთან არის დაკავშირებულია აღმოსავლური ქსრიტიანული ტრადიცია და ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის თეორია. ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ რამდენიმე თეორია არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებეულია ქართული ანბანის ბერძნული ანბანიდან წარმოშობის თეორია. ქართულ საისტორიო მწერლობაში არის ინფორმაცია ქართული დამწერლობის წარმოშობის დროისა და შემქმნელის ვინაობის შესახებ. "მეფეთა ცხოვრება" იძლევა ასეთ ცნობას: „ესე ფარნავაზ იყო მეფე პირველი ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული." ამ ცნობის მიხედვით ფარნავაზმა შექმნა პირველი ქართული სახელმწიფო, გამოაცხადა ქართული

სახელმწიფო ენად და შექმნა ქართული დამწერლობა. მიუხდავად იმისა, რომ ამ ინფორმაციაში მოქმედებათა თანამიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული - სახელმწიფოს სჭირდა სახელმწიფო ენა, ხოლო სახელმწიფო ენას სჭირდება დამწერლობა სახელმწიფო კანცელარიისათვის, ჩვენ არ მოგვეპოვება ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნისა და შემდგომი ხანის წერილობითი ძეგლები. ამიტომ ეს ცნობა არ არის შემაგრებული უტყუარი ფაქტებით. თუ ამ დროს „მწიგნობრობა ქართული“ ანუ ქართული დამწერლობა ნამდვილად არსებობდა, მაშინ მას საფუძველი ფინიკიურ დამწერლობაში უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა გიორგი წერეთლის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთასთან ახლოს, არმაზში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერა. ქვაზე მოცემული ორი ტექსტი ნაწერია ბერძნულად და არამეულად, რომელსაც გ. წერეთელმა არმაზის დამწერლობა უწოდა. იგი ამჟღავნებს რამდენიმე თავისებურებას სემიტური დამწერლობის ძეგლებთან შედარებით. ზოგიერთი ნიშნით იგი ფალაურს ჰგავს, ზოგი ნიშნით კი ფარსულსა (ანუ საშუალო სპარსულის ერთ-ერთ შტოს, ე.წ. სასანურ-ფალაურს) და პალმირულს. ამ ტექსტის შემადგენელი გრაფიკული ნიშნების გასარკვევად გიორგი წერეთელი პარალელებს ეძებდა ძველ არამეულსა და ფინიკიურშიც კი, მაგრამ დამწერლობის თავისებური სახის გამო მეცნიერმა იგი ჩათვალა სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელ შტოდ და არმაზული უწოდა. ამ თვალსაზრისის გარდა სტატიაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის, რამაზ პატარიძის, თამაზ გამყრელიძის, ვინფრიდ ბოედერისა და ელენე მაჭავარიანის მოსაზრებები. სპეციალური კვლევის საგანია, რა მიმართებები უნდა ვეძიოთ ქართული აბანის შესახებ ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში დაცული მონაცემებსა და თვით ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობას შორის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ასათიანი	ქართველურ ენათა დიაქრონიული განვითარების მიმართულებები (დაბეჭდილი თეზისები)	აკად. თ. გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, 12-15 დეკემერი, 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
2	თ. ბოლქვაძე	Theories on South Caucasian (Kartvelian) languages in 19thCentury Georgia (დაბეჭდილი თეზისები)	საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი რასმუს რასკისადმი „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ 12-14 სექტემბერი, 2019 წელი, თსუ, თბილისი
3	მ. ივანიშვილი	Rasmus Rask about Georgian writing and transliteration and the books bought by him in Tbilisi დაბეჭდილი თეზისები)	საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი რასმუს რასკისადმი „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ 12-14 სექტემბერი, 2019 წელი, თსუ, თბილისი
4	მ. ივანიშვილი	რასმუს რასკი საქართველოში (დაბეჭდილი თეზისები)	აკად. თ. გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთი და

			დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, 12-15 დეკემერი, 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) მოხსენებაში განხილულია გენიალური დანიელი ენათმეცნიერის რასმუს რასკის საქართველოში ყოფნის დროს მისი მოსაზრებები ქართული წერისა და ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით. ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთი უძემდებელი რ. რასკი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოთხ თვეს იმყოფებოდა. თბილისში მან დაასრულა ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ენების აღწერის მიზნით.			
5	ე. სოსელია	ძირის გლოტოქრონოლოგია და ქართველური ფუძეენის დივერგენცია	აკად. თ. გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, 12-15 დეკემერი, 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) მოხსენებაში მოკლედ არის მიმოხილული მ. სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მოდელი, რომლის გაუმჯობესებულ ვარიანტად ითვლება ს. სტაროსტინის ძირის გლოტოქრონოლოგიური მოდელი. მოხსენებაში შედარებით დაწვრილებით არის განხილული ამ უკანასკნელის ძირითადი პრინციპები და ქართველური ენების მიმართ მისი გამოყენების მიზნით ჩატარებულია წინასწარი გამოთვლები, რომელთა შედეგები აშკარად მეტყველებს გ. დეეტერსის გენეალოგიური ხის სასარგებლოდ.			
6	ე. სოსელია	აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე – ცხოვრება და სამეცნიერო ღვაწლი	აკად. თ. გამყრელიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, 12-15 დეკემერი, 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) მოხსენებაში გაშუქებულია აკად. თამაზ გამყრელიძის ცხოვრება (ბიოგრაფიული მონაცემები, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანება, მისი დამსახურება ერისა და მეცნიერების წინაშე); აკად. თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო ღვაწლთან დაკავშირებით მოხმობილია ცნობილ ენათმეცნიერთა შეფასებები.			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	R. Asatiani	Peculiarities of Passive Constructions in the Kartvelian Linguistic Space	ASEES convention, San Francisco, November 23-26 (https://convention2.allacademic.com/one/aseees/aseees19/index.php?click_key=4&cmd=Submission+Menu+Search+Load+Publication&publication_id=1536962&PHPSESSID=6rf1s39g0tqc9q5jbasfo36tq3)
2	R. Asatiani	An Algorithm Describing the Choice of Verbal Vowel Prefixes in the Kartvelian Linguistic Space	ICSS XVIII, Lisboan, 17-18 May (დაბეჭდილი სტატია)
3	R. Asatiani, N. Dundua, M. Ivanishvili, E. Soselia	Somatic Lexemes in the Kartvelian Linguistic Space	ICSS XVIII, Lisboan, 17-18 May (დაბეჭდილი სტატია) https://sites.euser.org/icss18
4	T. Bolkvadze	Transliteration Rules for Sound Systems of UN Official and Working Languages into Georgian	20th Annual Conference of Central Eurasian Studies Society, October 10-13, 2019, George Washington University in Washington, D.C.
5	T. Bolkvadze	Eastern Christian Language Tradition and Problems of Creating of Georgian Alphabet	Beijing Forum, organized by Peking University, Beijing Municipal Commission of Education, Korea Foundation for Advanced Studies, November 1-3, 2019, Beijing
6	T. Bolkvadze	Violence in Language Policy: Alphabets of Ossetian Language	51st Annual Convention of The Association for Slavic, East European, & Eurasian Studies, 23-26 November, 2019, San Francisco, USA
7	N. Dundua, M. Ivanishvili	Persian-Georgian sound correspondences according to bilingual historical documents (XVI-XVIII)	George Washington University in Washington D.C., USA, October 10-13, 2019. https://www.centraleurasia.org/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დამატებითი ინფორმაცია

1. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ჟურნალის "ენათმეცნიერების საკითხები" – 2018 (გამოვიდა 2019 წელს) აღწერილობა:
ჟურნალი "ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის 1999 წლიდან. სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს მნიშვნელოვან რეცენზირებად, ორენოვან, პერიოდულ გამოცემას. ჟურნალის რედკოლეგიის წევრები არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები და თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები (რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა), ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები - გამოჩენილი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები. ჟურნალის მთავარი რედაქტორია აკად. თ. გამყრელიძე. ჟურნალს 2007 წლიდან გამოსცემს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და ჟურნალის ყოველი ნომერი (ISSUES OF LINGUISTICS) განთავსებულია თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე და სოციალურ სამეცნიერო ქსელში - academia.edu. "ენათმეცნიერების საკითხების" 2018 წლის ნომერი (198 გვ.) გამოირჩევა სტატიათა თემატური მრავალფეროვნებით და ეძღვნება ენათმეცნიერების ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის, ომომასტიკის, ტრანსლიტერაციის, ფრაზეოლოგიის, ქართველური ენების, ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, მოდალური სემანტიკის, ეტიმოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს. ასევე წარმოდგენილია ედუარდ სეპირის "ენის ბგერითი მოდელების" თარგმანი, ხოლო რუბრიკაში "ახალი წიგნები" -- ვინფრიდ ბოედერის რეცენზია ბაქარ გიგინეიშვილის "ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონზე".

2. საერთაშორისო სიმპოზიუმის და სკოლის ორგანიზება

1. *რ. ასათიანი,* მეცამეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის "Language, Logic, Computation" TbiLLC-2019, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე, 16-21 სექტემბერი, ციხისძირი.

2. *რ. ასათიანი,* საერთაშორისო საზაფხულო სკოლის "Fourthteen International Tbilisi Summer School in Logic and Language" საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 22-30 სექტემბერი, თბილისი, თსუ.

3. *თ. ბოლქვაძე,* გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, დანიის მეცნიერებათა სამეფო აკადემიისა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ ორგანიზატორი და თავმჯდომარე, 12-14 სექტემბერი, 2019 თბილისი, საქართველო.

4. *თ. გამყრელიძე, ი. ლეჟავა,* გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, დანიის მეცნიერებათა სამეფო აკადემიისა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ სარედაქციო საბჭოს წევრი. თსუ, თბილისი, 12-14 სექტემბერი, 2019 .

5. *მ. ივანიშვილი,* მეცამეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის "Language, Logic, Computation", საორგანიზაციო კომიტეტის წევრი,16-21 სექტემბერი 2019, ბათუმი

6. *ე. სოსელია,* საორგანიზაციო კომიტეტის წევრი საერთაშორისო კონფერენციისა „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, 12-15 დეკემერი, 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

3. სარედაქციო და მთარგმნელობითი საქმიანობა

1. *თ. გამყრელიძე,* თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" მთავარი რედაქტორი.
2. *რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია* - თ. გამყრელიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის - *„აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 90“*- სარედაქციო კოლეგიის წევრი.

3. *რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე,* მ. *ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია* - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

4. *მ. ივანიშვილი,* თარგმანი - ინდოევროპული წინარე სამშობლოს საიდუმლო (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი), დაიბეჭდა საიუბილეო კრებულში -*„აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 90“*- ISBN: 978-9941-13-882-9, თსუ გამომცემლობა.

5. *ე. სოსელია,* თარგმანი გიორგი კლიმოვის წერილისა „თამაზ გამყრელიძე და ქართველური ენათმეცნიერება“. დაიბეჭდა თამაზ გამყრელიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში -*„აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 90“*- ISBN: 978-9941-13-882-9, თსუ გამომცემლობა.

4. უცხოეთში წაკითხული ლექციები

1. *თ. ბოლქვაძე,* 2019 წლის 13 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით "აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ლექციები იენის უნივერსიტეტში (გერმანია) - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ენობრივი პოლიტიკის შესახებ საქართველოში.

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით: ხელმძღვანელი, პროფ. ირმა რატიანი; ასოც. პროფ. რამაზ ჭილაია; ასოც. პროფ. გაგა ლომიძე; ასისტენტ პროფ. ანა ლეთოდიანი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა. ნამდვილი ისტორია“. ჰუმანიტარული მეცნიერებები. SPG-19-363	20.12.2019-15.06.2020	ირმა რატიანი - ხელმძღვანელი მონაწილეები: ლილი მეტრეველი, ნინო ჭალაგანიძე, სულხან მელაძე.
2	„ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი.“ ჰუმანიტარული მეცნიერებები. FR – 17_109	2017-2019	ირმა რატიანი - მონაწილე ხელმძღვანელი - მაკა ელბაქიძე მონაწილეები: ივანე ამირხანაშვილი, ოქტაი ქაზუმოვი, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი, ჩარლზ მელვილი, ისა ჰაბიბეილი.
3	„ბოლშევიზმი და ქართული მწერლობა. 1941-1956 წწ.“ № 217 512	2017-2019	ირმა რატიანი - მონაწილე ხელმძღვანელი - მაკა ელბაქიძე მონაწილეები: ადა ნემსაძე, ნონა კუპრეიშვილი, ზოიზ ცხადაია, მარიამ გიორგაშვილი.
4	მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19 - მე-20 საუკუნეების მიჯნაზე), #FR-18-17206	2019-2021	გაგა ლომიძე (ხელმძღვანელი) მარიამ გიორგაშვილი (კოორდინატორი) ირინე მოდებაძე (ძირითადი პერსონალი) თამარ ციციშილი (ძირითადი პერსონალი) სოლომონ ტაბუცაძე (ძირითადი პერსონალი) ირაკლი ხვედელიძე (ძირითადი პერსონალი)

5			

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.პროექტის მიზანია რადმენიმენაწილიანი დოკუმენტური სერიების გადაღება ქართული მწერლობის ისტორიის ამ კონკრეტული ეტაპისა და პრობლემის შესახებ.

2.პროექტის მიზანია რუსთაველისა და ნიზამი განჯელის კონცეპტუალური, ესთტიკური და პოეტიკური სამყაროს შედარებით კვლევა ინგლისელ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად.

3.პროექტი წარმოადგენს მეგა-პროექტის „ბოლშევიზმი და ქართლი მწერლობა“ მეორე ნაწილს, ხორციელდება სშსს არქივთან ერთად და სრულად ეყრდნობა საარქივო მასალას.

4.პროექტის ძირითადი სამიზნეა ქართული მემარცხენე მწერლობის ანალიზი: უკვე არსებული შეფასებების გადასინჯვა, კვლევის საზღვრების გაფართოება და ახალი სამეცნიერო ამოცანების დასახვა-გადაჭრა, აგრეთვე, ქართული მემარცხენე ლიტერატურის სრულყოფილი შესწავლა იმ ისტორიულ-საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის საფუძვლიანი მიმოხილვის ფონზე, რომლის პირობებშიც ჩამოყალიბდა მწერლობის ეს სრულიად გამორჩეული მოდელი.

შესწავლას საჭიროებს ქართველი ხალხოსანი მწერლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები და პროგრამები, საქართველოში მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან შემოსული ევროპული იდეებისა და იდეოლოგიებისადმი მათი დამოკიდებულება, ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალიზმის მათეული ხედვა, მათი ჰუმანიზმი, რაც ქართულ რეალობაში მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე აზროვნების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს (ეს შეეხება სოციალური, ეროვნული და რელიგიური ნიშნით ჩაგვრის კრიტიკას, ხალხოსანი მწერლების პუბლიცისტიკის ჯანსაღ მიმართულებებს და სხვ.), რაც პროექტის ერთ-ერთი ძირითადი კვლევითი მიმართულებაა.

ქართველი ხალხოსნების შემოქმედებაში განსაკუთრებული აქტუალობით დაისვა ნაციონალური იდენტობის საკითხი, მაგრამ ამ თვალსაზრისით მათი ნააზრევის შესწავლა ჯერ არ განხორციელებულა, პროექტი ამ პრობლემის კვლევას ითვალისწინებს. გადასინჯვასა და გადაფასებას მოითხოვს ქართველი ხალხოსნების დამოკიდებულება რუსულ ნაროდნიკობასთან, რამაც, შესაძლოა, სრულიად შეცვალოს დღეისთვის არსებული დასკვნები. სრულიად გაუკვალავია ქართველი ხალხოსნების ევროპულ მოძრაობებთან მიმართების გზაც. რუსეთიდან მომავალ კონცეფციებს უპირისპირდებოდა ევროპული სისტემა. მათი ნაწილი ევროპულ მეცნიერებასა და კულტურასთან დაახლოებაში ხედავდა ქვეყნის სწორი განვითარების წინაპირობას, თუმცაღა მათი მოღვაწეობის ეს მხარე ყოველთვის იჩქმალებოდა; მცდარადაა მიჩნეული, რომ ქართველი ხალხოსნების მთავარ დამახასიათებელ თვისებას კაპიტალისტურ წყობასთან უარყოფითი დამოკიდებულება წარმოადგენს - ქართველი ხალხოსნების ნაწილი გულწრფელად მიესალმებოდა კაპიტალიზაციის პროცესს, მათთვის ეროვნული გრძნობის ღირებულება იმდენად იყო ღირსების მატარებელი, რამდენადაც ის ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. პრაქტიკულად შეუსწავლელია ქართველი ხალხოსნების ესთეტიკური პლატფორმა: განავითარეს თუ არა მათ მხატვრული აზროვნების ახალი ეტაპი? როგორ გამოიყურება ეს მიმდინარეობა ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი ქართული რეალიზმის ფონზე?

კვლევის არეალში განსაკუთრებული სიღრმით შემოვა ქართველ ხალხოსან მწერალთა პუბლიცისტური მემკვიდრეობის ანალიზის საკითხი. მათმა შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი პუბლიცისტური, მემუარული, ავტობიოგრაფიული რომანისა და მოგზაურობა-ნარკვევის ჟანრების განვითარებას. ყველაზე დიდი გავლენა ხალხოსნობამ პუბლიცისტურ ჟანრზე მოახდინა - ამ თვალსაზრისით, გადასახედია უკვე არსებული მასალა და გამოსავლენია ახალი მასალები, ჩასატარებელია საარქივო სამუშაოები.

საგანგებო ყურადღება დაეთმობა ქართველი ხალხოსნების მიერ შესრულებულ ლიტერატურულ თარგმანებს და დრამატულ თხზულებებს (მიუხედავად მათი სიმწირისა): რას თარგმნიდნენ ხალხოსნები და რა კრიტერიუმებით ირჩეოდა სათარგმნი მასალა? როგორ ამუშავებდნენ ორიგინალურ ტექსტს მკითხველთან დაახლოების მიზნით?

პროექტის ფარგლებში, პროექტის სამი მონაწილე გაემგზავრა გორში საარქივო მასალის მოსაძიებლად. ერთი ძირითადი პერსონალი გაემგზავრა ქუთაისში საარქივო მასალაზე სამუშაოდ და სამეცნიერო კონფერენციაშ მონაწილეობის მისაღებად. ასევე, უკრაინაში, ჩერნოვცის ეროვნულ უნივერსიტეტში საქმიანი ვიზიტით გაემგზავრა სამი მკვლევარი. მათ მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში, ჩაატარეს პრეზენტაცია და უკრაინელ მკვლევარებთან დასახეს ერთობლივი მუშაობის გეგმა.
ამ ეტაპზე, პროექტი დამუშავების საფეხურზეა, ბიბლიოგრაფიას მოიძიებენ პროექტის მონაწილეები და მზადდება სტატიები გამოსაქვეყნებლად (რომელთაგან ერთ-ერთი გამოქვეყნდება მომავალი წლის დასაწყისში).

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„ფრანგები საქართველოში და ფრანგული კულტურის რეფლექსია მე-17 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში.“ ჰუმანიტარული მეცნიერებები. № 217722	2017-2019	ხელმძღვანელი რუსუდან თურნავა, ძირითადი პერსონალი: ირმა რატიანი ნინო გაგოშაშვილი, თათია ობოლაძე
2	სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში, DI-2016-47	2017-2019	კონსტანტინე ბრეგაძე (ხელმძღვანელი) გაგა ლომიძე (კოორდინატორი) ირაკლი კენჭოშვილი (ძირითადი პერსონალი) ირინე მოდებაძე (ძირითადი პერსონალი) თამარ ციციშვილი (ძირითადი პერსონალი) მედეა მუსხელიშვილი (ძირითადი პერსონალი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.პროექტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის მიმართება ქართულთა ურთიერთმიმართება ქართულთან დასახელებულ პერიოდში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა: მოგზაურთა ჩანაწერებზე, დრამატურგიასა და თეატრზე.

პროექტის ფარგლებში გამოიცა 2 მონოგრაფია.

2.ტერმინ „იდეოლოგემას“ მიხაილ ბახტინი იდეოლოგიის ობიექტურად არსებულ ფორმათა აღსანიშნავად იყენებდა. ბოლო ხანებში ტერმინი „იდეოლოგემა” განსაკუთრებით საბჭოთა ხანის ტოტალიტარული დისკურსის შესწავლისას გამოიყენება. ტოტალიტარული ენა იდეოლოგემათა თავისებური სისტემაა და ის „საბჭოთა ადამიანის” იდეოლოგიზებული ცნობიერების ჩამოყალიბების საშუალება იყო. იუნგის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „მითოლოგემა” მითოლოგიური არქეტიპების გამოყენებით, ახალი სახეების შექმნას და ახალ კონტექსტში ძველი სახეების და სიუჟეტების იმპორტს ითვალისწინებს. ჩვენი პროექტი სწორედ ამ ორი კონცეპტის საფუძველზე მიზნად ისახავდა სტალინის პერსონის ანალიზს საბჭოთა

პერიოდის ქართული მწერლობის, საკუთრივ ქართული საბჭოთა და ქართული ემიგრანტული მწერლობის მასალაზე დაყრდნობით.

პროექტი მიზნად ისახავდა შემდეგი საკითხების გაანალიზებას:

საკითხის კვლევის ისტორია; სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა (თეორიული ასპექტები); სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა საბჭოთა, სოციალისტური ბანაკისა და დასავლეთის მემარცხენე ლიტერატურაში; სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში; ანტისტალინური ტექსტები ქართულ ანტისაბჭოთა არალეგალურ გამოცემებსა და გამოუქვეყნებელ ტექსტებში; ანტისტალინური ტექსტები ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში; სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ ფოლკლორში; სტალინის პიროვნება თანამედროვეთა მოგონებებში და სტალინის შემდგომი ხანის მემუარულ მასალაში.

პროექტში განხილულია სტალინის სახის ინფილტრაცია ქართულ ფოლკლორში, რომელშიც შეიმჩნევა კომუნისტური იდეოლოგიისა და სოცრეალიზმის კლიშეების ზეგავლენის კვალი.

პროექტის ფარგლებში ყურადღება დაეთმო სტალინის ქება-დიდების პარალელურად შექმნილ ანტისაბჭოურ, ანტისტალინურ პოეზიასაც, უმთავრესად დაუბეჭდავი ლექსების სახით, მათ შორის ი. გრიშაშვილის 1920-იანი წლების "დაუბეჭდავ ლექსებს" (რომელიც ამ სახელწოდებით გამოიცა 1992 წელს); გ. ტაბიძის გამოუქვეყნებელ ლექსს სტალინზე, რომელშიც „ბელადის" სახე სისხლისმსმელ ჯალათთან არის გაიგივებული; სამანელების ანტისაბჭოურ პოეზიას და სხვ.

შესწავლილ იქნა იდეოლოგემის და მითოლოგემის გაგება სტალინთან მიმართებაში, ბახტინის თეორიაზე, სთივენ გრინბლატის სუბვერსიულობის თეორიაზე დაყრდნობით; ნიცშეს და მიშელ ფუკოს თეორიების მიხედვით; როლან ბარტის „მითოლოგიების", ელიადესეულ მოსაზრების მიხედვით, სადაც ის კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობის იდეას და ესქატოლოგიურ მითს ერთმანეთთან აკავშირებს. კვლევა ემყარებოდა ფაქტების მოკვლევას, მათ სისტემატიზებასა და კომპარატივისტულ-ისტორიული, სემიოტიკურ და კულტუროლოგიურ ანალიზის, ახალი ისტორიზმის მეთოდებს, ასევე პოსტკოლონიური თეორიის პრინციპებს. სტალინისადმი მიძღვნილი მხატვრული ტექსტების ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშან-თვისების – ბელადისა და მამის მითოლოგემის – ანალიზისას გამოყენებულ იქნა აგრეთვე ფსიქოანალიტიკური მეთოდი და ფუკოსეული „პასტორალური ძალაუფლების" კონცეფცია.

პროექტით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, პროექტის ძირითადმა პერსონალმა იმუშავა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის, გორის სტალინის სახელობის მუზეუმსა და იაკობ გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულ მასალებზე.

პროექტის ფარგლებში გამოიცა ილუსტრირებული მონოგრაფია ორ წიგნად, სადაც თავმოყრილია როგორც კვლევები, ისე საარქივო მასალა, ხელნაწერები და დოკუმენტები. აქედან ზოგიერთი ხელნაწერი პირველად ქვეყნდება.

პროექტის ფარგლებში ითარგმნა და გამოიცა ბორის გროისის საკულტო წიგნი „სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება"; ასევე, დანიელ რანკურ-ლეფერიერის ფსიქოანალიტიკური ნაშრომი „სტალინის ფსიქიკა" და ვიქტორია ბონელის „ძალაუფლების იკონოგრაფია".

მომზადდა ვებ-გვერდი (http://stalinfiles.ge), რომელზეც განთავსდა ინფორმაცია პროექტის შესახებ, ბიბლიოგრაფიის მცირე ნაწილი, პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალის ნაწილი.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 1 ადგილობრივი კონფერენცია და 1 მრგვალი მაგიდა, უცხოელი თანამემამულის მონაწილეობით, რაც სასარგებლო აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც გამოიკვეთა ჯერ კიდევ გამოუკვლეველი თემების არსებობა.

პროექტის ფარგლებში გამოცემული ილუსტრირებული ორნაწილიანი წიგნის გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს როგორც უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, ისე პედაგოგებს, ზოგადად მკითხველს და ქართველ თუ უცხოელ მკვლევარებს. ამას უზრუნველყოფს როგორც პროექტის თემის მიმართ საერთაშორისო დაინტერესება, ისე თითოეული ნაშრომის ვრცელი, ინგლისურენოვანი რეზიუმეს მისაწვდომობა. რეზიუმეები წიგნებს ერთვის ერთვის და ვებ-საიტზეც აიტვირთება. პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფია ხელს შეუწყობს მომავალი თაობების ცნობიერების ამაღლებას სტალინისტური მემკვიდრეობის გადაფასების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული წიგნი ბიძგს მისცემს მომავალ ფართომასშტაბიან მეცნიერულ კვლევებს სტალინის პიროვნებისა და სტალინიზმის ფენომენის შემდგომი მრავალმხრივი ანალიზისა თვალაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტალინის კულტის საბოლოო დაძლევას ქართველთა ცნობიერებაში.

პროექტის ფარგლებში პირველად მოხდა სტალინის იდეოლოგემის და მითოლოგემის კომპლექსური შესწავლა. ამდენად მნიშვნელოვანია მისი შედეგები მკვლევარებისთვის. ბევრი თვალსაზრისით პირველად იქნა გამოკვლეული არაერთი საკითხი, რასაც არც დასავლურ და არც ქართულ მეცნიერებაში არ შეხებიან. პროექტის შედეგები მისაწვდომია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რამდენადაც წიგნს ერთვის თითოეული სტატიის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეები.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გაგა ლომიძე (მთარგმნელი)	ვიქტორია ბონელი. „ძალაუფლების იკონოგრაფია“, ISBN 978-9941-8-0612-4	თბილისი, CCU Press, 2019	200
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი (თანაავტორები: ირაკლი კენჭოშვილი, ირინე მოდებაძე, თამარ ნუცუბიძე)	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	თბილისი, GCLA Press	230
2	რამაზ ჭილაია	პოეტიკური ჩანაწერები, 978-9941-29-757-1	თბილისი, „პალიტრა L“	227

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნი ორნაწილიანია. პირველი ნაწილი - თორიული პრეამბულა, შედგება ოთხი ქართველი მეცნიერის ოთსი სამეცნიერო წერილისაგან. მეორე ნაწილში კი - ანთოლოგია, შესულია ქრესტომათიული წერილები.
2. მხატვრული ნაწარმოებით დაინტერესება,მისი გაგება-დეკოდირება სხვადასხვა დისციპლინათა - ფილოსოფია,ტექსტის ლინგვისტიკა,ტექსტოლოგია,ლიტერატურათმცოდნეობა ერთობლივი მომარჯვებითაა შესაძლებელი. ნაწარმოების არსის წვდომა გარკვეული მეთოდის მომარჯვებას გულისხმობს. ობიექტურ და სუბიექტურ თვალსაზრისთა დიალექტიკა განაპირობებს ლიტერატურული კრიტიკის პოზიციით,სუბიექტური თუ ობიექტური,მყარი თუ ცვალებადი,ინვარიანტულ-ვარიანტისმიერი ცალხმა თუ პოლიფონიური მახასიათებლებით მხატვრული თხზულების წაკითხვა-შეფასებას.
   ნაშრომში განხილულია დრო-სივრცითი,ნივთიერ-საგნობრივი,პიროვნულ-ფსიქოლოგიური მოდელები.ოთხ(4) ენაზე დართული აქვს ვრცელი სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი	ფრანგები საქართველოში და ფრანგული კულტურის ზეგავლენა მე18-მე19 საუკუნეების ქართლ	თბილისი, GCLA PRESS,	470

		კულტლურასა და ლიტერტურაზე		
2	გაგა ლომიძე სტალინი: დემიურგის მიწიერი განსხეულება	სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში, ტ. 1, ISBN 978-9941-485-57-2	თბილისი, მწიგნობარი	316
3	გაგა ლომიძე. სტალინის იკონოგრაფია ქართულ საბჭოთა ფერწერაში	სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში, ტ. 2, ISBN 978-9941-485-57-2	თბილისი, მწიგნობარი	316

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კრებული წარმოადგენს უკვე დასრულებული საგრანტო პროექტის შედეგს, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნა ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის მიმართება ქართულთა ურთიერთმიმართება ქართულთან დასახელებულ პერიოდში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა: მოგზაურთა ჩანაწერებზე, დრამატურგიასა და თეატრზე.

2. სტალინის სახეს ქართულ ფოლკლორში რამდენიმე ტენდენცია უკავშირდება. ფოლკლორშიც, მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, გამოხატულია ოფიციალური ძალაუფლების ინტერესები და ბელადი ასახულია ისე, როგორც ამას გაბატონებული კულტურა მოითხოვდა. სტალინისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ ლექსებში, შინაარსის თვალსაზრისით, შეგვიძლია გამოვყოთ, ძირითადად, სამი პლასტი: სოციალური, მითოსური და რესენტიმენტთან დაკავშირებული. სამივე პლასტი ერთმანეთთან მჭიდროდ, ჯაჭვისებურადაა გადაბმული.
სოციალური შინაარსის ლექსებში სტალინის როლი დაკავშირებულია „მესამე დასის“ იდეური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებასთან - მუშების და გლეხების პოზიციების წინ წამოწევასა და მათი ინტერესების გათვალისწინებასთან („მოსპო ბრწყინვალე წოდება, მოუსვა რკინის ცელია ../მშრომელთა ხელში გადვიდა/წყალი, მინდვრები, გორები..“ („ჩვენი ქვეყანა გაწითლდა“)). ცხადია, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, აქაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროპაგანდა. ფოლკლორულ ლექსებში ის, ძირითადად, მოხსენიებულია შემდეგი ეპითეტებით: აწივი („თვალი შორს უჭრის არწივსა“), რკინა („რკინა ხარ, დიდო ბელადო/რკინა ფოლადად დებული“), ფოლადი („ფოლადის გმირი ქებული“). საგულისხმოა, რომ რკინა, ფოლადი, როგორც უფრო იაფფასიანი ლითონი ოქროს საპირისპიროა და ამ გაგებითაც, მნიშვნელობების გადაადგილება აქ წარმმართველია. აქაც უკუნიშნით ხორციელდება ალქიმიური პროცესი და საერთოდ, ადგილებს ცვლიან მნიშვნელობები დემიურგის ამ მიწიერი განსხეულების მიერ წარმოებულ დესემიოტიზაციის პროცესში. აქედან უკვე ბუნებრივად მომდინარეობს სტალინის, როგორც დემიურგის სახე და კონტექსტი: „სტალინისტურმა კულტურამ მხატვრული ორგანიზაციის სფეროდ პირველადი და უშუალო გამოაცხადა, რაშიც პარტიის მანიპულაციის გამოცდილებას ეფუძნებოდა, რომლის თანახმადაც, ის თავიდანვე სოციალურ დონეზე კონცენტრირდებოდა.
3. 1938 წლის 16 თებერვალს მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილებასთან ქართველი მხატვრების შეხვედრაზე მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარემ სერგეი გერასიმოვმა რუს მხატვრებს მიმართა, რომ სტალინის გამოსახვა ქართველი მხატვრებისგან უნდა ესწავლათ. სტალინის განსაკუთრებულმა განდიდებამ პიკს 1939 წლის აგვისტოში მიაღწია, როდესაც მოსკოვში საერთო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნა, სადაც მისი ქანდაკება ე.წ. ნაპოლეონის პოზაში იყო წარმოდგენილი.
ახალ სამყაროს ახალი ენა, მიზნები და ფორმები სჭირდებოდა. ამ მიზნით საჭირო გახდა ძველი სურათ-ხატების აქტუალიზება და განსხვავებულ კონტექსტში მათთვის ახლებური მნიშვნელობის მინიჭება. ახალი პოლიტიკური მნიშვნელობები უფრო „ბუნებრივი“ და „ცხადი“ ჩანს, როცა ისინი

დაკავშირებულია დამკვიდრებულ და ნაცნობ სიმბოლოებთან, როგორებიცაა საბჭოთა შემთხვევაში, რუსული ორთოდოქსიისთვის ნაცნობი იკონოგრაფია.
ამ პროცესის ნაწილი უნდა იყოს ახალგაზრდა სტალინის ბიბლიური ალუზიები. ზოგიერთმა ნამუშევარმა, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა სტალინი, რომელიც თავის იდეებს განუმარტავს აღფრთოვანებულ ხალხს, შეიძლება დამთვალიერებელს გაახსენოს რელიგიური ხატები, რომელზეც ქრისტეს ან წმინდანების ცხოვრების ადრეული პერიოდი იყო გამოსახული. კომპოზიციის თვალსაზრისით, გვხვდება მრავალფიგურიანი ნამუშევრები და პორტრეტები. მრავალფიგურიან ნამშევრებში შეგვიძლია გამოვყოთ ისტორიული, ბატალური თუ ჟანრული ფერწერისთვის დამახასიათებელი სცენები. ცხადია, ამ კატეგორიის (ისევე როგორც პორტრეტები) ყველა ნამუშევარი რეალისტური კანონების მიხედვითაა შესრულებული. ისტორიულ სცენებში საგულისხმოა მთავარი პერსონაჟის პოზა და მისი მიმართება სხვა ფიგურებთან. ასეთ ნამშევრებში ბელადი გამოსახულია ხალხის გარემოცვაში, რომლებიც იმედით შეყურებენ მას. ის დანარჩენებზე ოდნავ შემაღლებულ ადგილას დგას და სიტყვით გამოდის. ეს იყო ვიზუალური კონვენცია პროპაგანდისტულ ნამუშევრებში. ჯერ კიდევ ლენინის გამოსახულებებში გვხვდება მსგავსი კომპოზიციური განლაგება: შემაღლებულზე, ან კათედრაზე მდგარი ლიდერი და აღფრთოვანებით შემყურე ხალხი. ასევე მნიშვნელოვანია პოზა.
კომპოზიციური თვალსაზრისით, ჯგუფურმა სცენებმა შეიძლება გაგვახსენოს ნამუშევრები, სადაც აღწერილია იესოს ან სხვა წმინდანების სასწაულები, სადაც მნიშვნელოვანია ფიგურების განლაგება — იესო/წმინდანები, როგორც ცენტრალური ფიგურა და თანმხლები პირები, ხალხი, როგორც თვითმხილველები. ზოგადად, სტალინის იკონოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ბელადის პოზიციონირება ტილოზე. საბჭოთა იმპერატორის გამოსახულება ნამუშევრებში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილას გვხვდება. ის, ხშირ შემთხვევაში, დარიგებებს ან დაპირებებს აძლევს ადამიანებს და შთააგონებს მათ და ყოველთვის სინათლითაა მოსილი. ადამიანების ჯგუფი (მისი ამხანაგები თუ მეგობრები, თანამებრძოლები, მსმენელები, მოსახლეობა) უფრო მეტად მკრთალ სინათლეში, გვერდულად, ზურგით ან სხვა თვალსაზრისით უმნიშვნელო პოზიციაშია წარმოდგენილი.
რ. ბაგრატიონის ნამუშევარი „სოსო ჯუღაშვილის (სტალინის) გარიცხვა სასულიერო სემინარიიდან“ წარმოგვიდგენს ბოლშევიკურ დემონოლოგიაში გავრცელებულ სახეებს და სამყაროს ანტინომიურ აღქმას. აქ სტალინის, როგორც დადებითი ფიგურის საპირწონედ და მის განსადიდებლად და კეთილი და ბოროტი ძალების პოლარიზაციის მიზნით, წარმოდგენილია მღვდლის და ცარისტული ხელისუფლების მოხელის სახეები. ეს სახეთა თავისებურება სრულად შეესაბამება იმ პერიოდის კლიშეებს. აქ ცარისტული ხელისუფლების მოხელე გამოსახულია ბაკენბარდებით, ულვაშით, საკმაოდ ტანსრული, პენსნესა და უნიფორმაში, ხოლო მღვდელი წარმოდგენილია, როგორც გამხდარი, პირქუში გამომეტყველების მქონე ადამიანი.
მკვლევარები აღნიშნავენ, 1933 წლამდე, საბჭოთა პოლიტიკურ ხელოვნებაში პირდაპირი მზერა იშვიათად გამოიყენებოდა, თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. ფრესკების პრინციპითაა შექმნილი, მაგალითად, დ. მაისაშვილის თუ ირაკლი თოიძის ნამუშევრები.
შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა ფერწერაში სტალინის სახის წარმოჩენა შეესაბამებოდა სტალინური ამპირის კანონებს, რომელიც თავისი არსით, ეკლექტური იყო და ფორმის თვალსაზრისით პარადოქსულად აერთიანებდა როგორც გოთიკურ და კლასიცისტურ, ასევე რომანტიკულ და რეალისტურ ელემენტებს, ხოლო შინაარსით იმეორებდა როგორც ნაპოლეონის ხანის იმპერიული ხელოვნების, ასევე რელიგიური ხელოვნების კანონებს.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ირმა რატიანი	Political Processes of 1918-1921-ies in Georgia and Cultural/Literary Reality	Sjani/სჯანი # 19	თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	P. 121-128.
1. სტატია წრმოადგენს ქართული სალიტერატურო პროცესის პოლიტიკურ დაისკურსთან მიმართების ანალიზს, დასახელებულ ისტორიულ პერიოდში. 2.					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი		ფრანგული კლასიციზმის ეპოქის დრამატურგი – ჟან ბატისტ მოლიერი და მისი რეფლექსია მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში	თბილისი, GCLA PRESS,	გვ. 122-137.
2	გაგა ლომიძე	Crane aux fleurs artistiques: ტექსტიდან კონტექსტამდე (გვ. 41-56)	„გალაკტიონოლოგია VIII“ (ეძღვნება „არტისტული ყვავილების“ 100 წლისთავს), ISBN 978-9941-8-1584-3	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	375
3	ანა ლეთოდიანი, ადა ნემსაძე	Lost Person Problem in Nino Kharatishvili's Novel My Gentle Twin;	ელექტრონული ჟურნალი „ Litinfo” ; http://www.litinfo.ge/vol-13/contents-13.html	შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ვებგვერდი;	3
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. მოლიერის შემოქმედებამ, მისი კლასიცისტური და განმანათლებლური ესთეტიკით, დიდი ზეგავლენა იქონია მე-19 საუკუნის ქართულ დრამტურგიაზე, კერძოდ, გიორგი ერისთვისა და ზურაბ ანტონოვის დრამატურგიაზე. 2. როგორც ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ მკვლევარები აღიარებენ, კრებული ერთიანი კონცეპტუალური წიგნია და სტრუქტურულ მთლიანობას ქმნის. იგივე შეიძლება ითქვას გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებზე“ და მის სტრუქტურაზეც. „არტისტული ყვავილები“ სრულიად აშკარად რომ ეხმაურება ევროპულ და, ამ შემთხვევაში, ფრანგულ სიმბოლიზმს, ამაზე მიუთითებს თუნდაც ეპიგრაფად წამძღვარებული სტრიქონები. დასავლეთის და აღმოსავლეთის დაახლოების (როგორც ესთეტიკურ, ისე კონცეპტუალურ დონეზე) გამოვლინების ინტენსივობით, „არტისტული ყვავილები“თამამი და ზუსტი განაცხადია და თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს უმყარებს ტიციან ტაბიძის ცნობილი სიტყვებს „ქალდეის ქალაქებიდან“: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,/ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. გასაოცარია, თუ როგორ გრძნობს გალაკტიონი ევროპულ სიმბოლიზმს და მის კონტექსტს სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში, ტიპოლოგიურად მსგავსი მიმდინარეობების გათვალისწინებით. ის საკუთარ შემოქმედებას (და, სავარაუდოდ,					

მისი ცხოვრების/შემოქმედების ე.წ. „სიმბოლისტურ“ პერიოდს) გოტიეს, ვერლენის თუ ბოდლერის შემოქმედების და ცხოვრების კონტექსტში ხედავს, რაზეც ისევ ეპიგრაფები, ანალოგიები და თუნდაც მისი სტრიქონები მიუთითებს: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“. 3. ნინო ხარატიშვილი გერმანულენოვანი ქართველი მწერალია, რომლის რომანი „ ჩემი საყავრელი ორეული“ ეხება ბავშვობაში ტრავმირებული ადამიანის იდენტობის ტრანსფორმაციას.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი			
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გაგა ლომიძე. Le poete, son entourage et ses premiers pas litteraires (გვ. 14-19)	Baratachvili et le context interculturel (Romatisme Georgien), ISBN-978-83-01-20277-4	ვარშავა, PWN	184
2	გაგა ლომიძე. Que lisait Baratachvili? (გვ.19-26)	Baratachvili et le context interculturel (Romatisme Georgien), ISBN-978-83-01-20277-4	ვარშავა, PWN	184
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

1.სტატიაში ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია განხილულია ისტორიული, პოლიტიკური და სოციო-კულტურული კონტექსტის, ასევე რომანტიკული მიმდინარეობის ფონზე.
2.სოციო-პოლიტიკური საკითხების გარდა, ადამიანის, როგორც სოციალური კონსტრუქტის, ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ესთეტიკური შეხედულებები. დასავლურ ლიტერატურის თეორიაში არსებობს იმის კვლევის ტენდენცია, თუ რა წიგნებს კითხულობდა ესა თუ ის ავტორი. ეს მიიჩნევა მწერლის შემოქმედების და მისი გავლენების ანალიზის სარწმუნო წყაროდ. როგორც იური ლოტმანი წერს: „ქალთა საშინაო ბიბლიოთეკებმა მე-18 და მე-19 საუკუნეებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს 1812 წლის ადამიანებსა და დეკაბრისტების თაობაზე. მე-19 საუკუნის რუსული კულტურის წარმომადგენლები ჩამოყალიბა იმ წიგნებმა, რომლებსაც დედები უკითხავდნენ მათ და რომლებიც 1820-იან წლებში ცხოვრობდნენ.“ (იური ლოტმანი. „საუბრები რუსულ კულტურაზე“). ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა, რას კითხულობდა ქართველი რომანტიკოსი პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ვფიქრობთ, ამ გზით შესაძლებელი იქნება ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის საკვანძო მომენტების გამოვლენა.
ბარათაშვილის დროს მშობლების მხრიდან დესპოტიზმის გამოჩენა ნორმიდან გადახრად არ აღიქმებოდა. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ლესინგის მოსაზრებები, რომელიც წერდა, რომ თუკი ჩამოყალიბების პროცესში ბავშვებს დროდადრო სჯიან, მოგვიანებით, როდესაც ისინი ინტელექტუალური ზრდასრულობის პროცესს მიაღწევენ, ისინი მაშინვე გააცნობიერებენ მთელ იმ სიკეთეს, რაც მათ მკაცრმა დისციპლინამ მოუტანა. ამგვარი მეთოდები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მემარცხენე ინტელექტუალებმა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გონებრივი განვითარება შეუძლებელია ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვის გზით. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის აღზრდის ამგვარი სასტიკი სტრატეგია მიუღებელი ჩანს. მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ადრეულ წლებში, 1841 წელს, მან თარგმნა იოჰან ანტონ ლაიზევიცის დრამატული ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“. ამ დრამით დაინტერესება ხაზს უსვამს აღზრდის ლიბერტარიანული პოზიციით მის დაინტერესებას. ერთ დროს ამ დრამამ დიდი გავლენა მოახდინა ფრიდრიჰ შილერზე, რომელმაც შემდეგ თავისი ცნობილი „ყაჩაღები“ დაწერა. პრაქტიკულად, ეს ტრაგედია რუსი რომანტიკოსი პოეტების შთაგონების წყაროდაც იქცა. ფიჰტე წერდა, რომ პიროვნების ჩახშობილი ბუნება წინა პლანზე გამოდის და გზად ყველაფერს ანადგურებს.ადამიანის ბუნებას თავისი მრისხანება გადააქვს ყველაფერზე, რაც მას ახშობს. ეს ყველაფერი საკმაოდ ახლოსაა ფროიდის ანთროპოლოგიურ მოდელთან.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი	*სათაური: From War to Peace:The Literary Life of Georgia After the Second World War*	Primerjalna knijizevnost. Comparatic literature. Pkn. Ljubljana.	Primerjalna knijizevnost. Comparatic literature. Pkn. Ljubljana	გვ. 89-103.
სტატია ეთმობა ქართული მწელობის მნიშვნელოვანი ეტაპის მიმოხილვას - 1950-60-იანი წლების ქართული ლიტერატურის გააზრებას ნეორეალიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ჭრილში.					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა რატიანი	საერთაშორისო კონფერენცია - „თანამედროვე	18.10.2019 – 20.10.2019 საქართველო, ქუთაისი

		ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. სათაური: „ქართული ლიტერატურული კანონი და ნაციონალური იდენტობის საკითხი.“	
2	გაგა ლომიძე	Literature in the Age of Transition	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 25-27 სექტემბერი
3	რამაზ ჭილაია	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ცვლილებათა ეპოქის ტექსტები“	თბილისი, 2019.09
4	ანა ლეთოდიანი/ადა ნემსაძე	სიმბოლოს ფუნქცია ქართული შუა საუკუნეების ისტორიული ჟანრის ტექსტების მიხედვით („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“)	2019 წ.; 11-14 ოქტომბერი; ქ. ბათუმი;
5	ანა ლეთოდიანი	„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი პასაჟის გააზრებისათვის (ლაშა-გიორგის შობის ეპიზოდი)	2019 წ.; 18-20 ოქტომბერი; ქ. ქუთაისი;

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ისტორიული ჟანრის ტექსტებში სიმბოლოები „მეტყველი ფაქტებია“, რომლებიც გვეხმარება ამოვიცნოთ ინდივიდთა ბუნება, თუ მთელი ეპოქის ხასიათი. (ერნსტ კასირერი).
სიმბოლოს არაერთ ქართულ ისტორიულ თხზულებაში ვხვდებით, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თამარ მეფის პირველ მატიანედ აღიარებული უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.
ყურადღებას იქცევს ამ ტექსტის ბოლოს დართული იამბიკო:

„მეფემ მთავარი, სიონი და წყარონი
ჭაბუკი, ქალწული, ებგური საებგურო
აღვირი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,
მეგვიპტელი ცხენი, ლაზარე და ქუდი“

იამბიკოს სიმბოლოების შინა-არსის „ამოკითხვა“ გვაფიქრებინებს, რომ მასში ნაჩვენებია თამარის გზა მეფობიდან წმინდანობისაკენ/წმინდანობამდე. იგი არსობრივად შეესაბამება თამარის პირველი ისტორიის საერთო იდეურ კონტექსტს, ალბათ ამიტომაც შეუტანია უცნობ მემატიანეს ის თავის თხზულებაში. საანალიზოდ წარმოდგენილი იამბიკო მოწმობს, რომ როგორც ჟაკ ლე გოფი აღნიშნავს, პოლიტიკური პროცესების ისტორია გარკვეული შინაგანი ფაქტორების: ნიშნებისა და სიმბოლოების შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

თამარ მეფის პირველ მატიანედ წოდებულ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ლაშა-გიორგის შობის შესახებ ნათქვამის: „ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ თუ ელისაბედისსა და უფროსღა ანნასსა და ვიკადრო მარიამისსა. მიუდგა თამარ განწმენდილთა გონებითა და ტაძარი ღმრთისა აღმსაჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მჴურვალითა გულითა და განათლებულთა სულითა ტაბაჴმელისა ბეთლემ_მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, და უწოდა სახელი აჴოვნისა მის მამისა თჳსისა გიორგი და ესევითარისა მას დღეკეთილობასა შინა იხილეს ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა განწესებული ძედ მეფისა, მეფედ, შვილად ცხებულისა დავითიანად“.

ერთ - ერთი მოსაზრებით, ისტორიკოსის სიტყვები, ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით, უსაშველო მკრეხელობაა, რადგან თამარი გათანაბრებულია ღვთისმშობელთან, ლაშა-გიორგი კი, ქრისტესთან. მემატიანის ასეთი საქციელი შესაძლებელია მესიანისტური იდეის არსებობით აიხსნას (ა.ბაქრაძე).

მიგვაჩნია, რომ მემატიანე მკრეხელობას ნამდვილად არ სჩადის. ამ შემთხვევაში, მისი სიტყვები სიმბოლურად უნდა გავიაზროთ. უცნობი ისტორიკოსისაგან თამარის, ბაგრატიონი მეფის ღვთაებრივ წარმომავლობაზე ყურადღების გამახვილება შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო თამარის, ქალი - მმართველის პოზიციების გამყარებასთან.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა რატიანი	სათაური: „1918-1921 წლის პოლიტიკური პროცესები საქართველოში და კულტურულ-ლიტერატურული რეალობა“ ILLHSS-19 cs@hssmr.org	05.12.2019 – 07.12. 2019 თურქეთი, სტამბოლი
2	ირმა რატიანი	საერთაშორისო კონფერენცია - „დამოკიდებული ადამიანი. დამოკიდებულების ფაქტორები“. http://ilit.bas.bg/en/ „ტოტალიტარული რეჟიმი და კულტურული კონტექსტის მასზედ დამოკიდებულება. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის იუბილე.“	17.04.2019-19.04.2019. ბულგარეთი, სოფია
3	გაგა ლომიძე	A history of Georgian literature	ჩერნოვცის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა, 8 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი ცირა ბარამიძე - ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი
ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია
ასოცირებული პროფესორი როსტომ ფარეულიძე
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჩუხუა
ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	Merab Chukhua	Georgian-Circassian-Apkhazian Etymological Dictionary ISBN 978-9941-13-875-1	თსუ გამომცემლობა	880 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Цира Барамидзе**	**Кавказ На Перепутье Времени и Пространства (Russian Edition) (Russian) Paperb**	გერმანია Lap Lambert Academic Publishing, 2019.16.04	352 გვ.

		ack – April 16, 2019		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე წიგნის მიზანია, გააცნოს მკითხველს კავკასიის ხალხთა ისტორიის ცვლის დინამიკა, მიზეზები, შედეგები და პერსპექტივები, გააცნოს კავკასიის რეგიონის წინაშე არსებული პრობლემების არსი, წარმომშობი მიზეზები, დღევანდელი ვითარება და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ხედვები კავკასიის მომავლის შესახებ ალტერნატიულ ასპექტებში, გააცნოს მკითხველს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კავკასიის რეგიონალიზაციის მთავარი ვექტორები (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, კულტურულ-ცივილიზაციური), გააცნოს ისტორიული და თანამედროვე წინაღობები, რომლებიც კავკასიის რეგიონის ინტეგრაციას გააჩნდა და გააჩნია დღესაც, ამ წინაღობათა დაძლევის ისტორიული კანონზომიერებანი, კავკასიის თვითმყოფადობის გადარჩენისა და განვითარების შესაძლებლობები. კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და რთული შედგენილობის რეგიონია სხვადასხვა ხალხებით, ენებით, დღეს განსხვავებული პოლიტიკური სივრცეებითა და განსხვავებული პოლიტიკური გაერთიანებებით, განსხვავებული კონფესიებით, გაყინული თუ მოქმედი კონფლიქტებით.

კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო იყო იმპერიათა ინტერესების შეჯახების ადგილი, ხშირად ამ ინტერესთა მსხვრევის ადგილიც. კავკასიის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქცია ევროპისა და აზიის გასაყარზე ათასწლეულების მანძილზე განსაზღვრავდა კავკასიელი ხალხების ისტორიას. კავკასიის დღევანდელი ეთნოლინგვისტური რუკა ცხადად ადასტურებს კავკასიაში სხვადასხვა ეპოქაში აბორიგენი კავკასიელი ხალხების გვერდით არაკავკასიური წარმოშობის ეთნოსების დამკვიდრებას. დღეს ისინი კავკასიის ხალხებია, რომლებიც უკვე ათასწლეულია თანაცხოვრობენ პალეოკავკასიური მოდგმის ხალხებთან ერთად და ქმნიან უძველესი კავკასიური ცივილიზაციის ერთიანი მოზაიკის მრავალფეროვნებას. პალეოკავკასიური (დღეს - იბერიულ-კავკასიური) მოდგმის ხალხები ირანულენოვანი (ინდოევროპული) და თურქულენოვანი წარმოშობის ხალხებთან ერთად ისტორიის ყოველ ეტაპზე ქმნიდნენ კავკასიის ხალხთა ისტორიის ერთიან სურათს, ერთიან ისტორიას, თუმცა დღემდე კავკასიის ხალხთა ისტორია, როგორც ერთი ცივილიზაციის, ერთიანი რეგიონის ისტორია, არ შექმნილა. საბჭოთა ისტორიოგრაფია „დუმს“ კავკასიის ხალხთა ერთიანი ისტორიის შესახებ გასაგები მიზეზების გამო, რადგან ამ ისტორიოგრაფიისათვის კავკასია რუსეთის შემადგელი ნაწილია და, შესაბამისად, მისი ისტორიის ნაწილიც. ინერციითა თუ ზოგჯერ მიზანმიმართულადაც დღემდე ეს მიდგომა გრძელდება, რადგან ახლა კავკასია მათი ამგვარი ხედვით ახალ მოდელში - ევრაზიულ კავშირში უნდა მოექცეს. ცხადზე ცხადი ხდება, რომ კავკასიის ინტეგრაცია გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ვექტორებით, როგორც ბუნებრივი ისტორიული პროცესი, მიუღებელი იყო არა მხოლოდ ისტორიული იმპერიებისთვის, რომლებიც იყოფდნენ კავკასიას, არამედ მიუღებელია დღევანდელი, მოდერნული იმპერიებისთვისაც, რომელთაც დღემდე უდგათ თვალი კავკასიაზე, ერთ-ერთი კი (რფ) ჩრდილოეთ კავკასიის „ბატონ-პატრონია“. სამხრეთ კავკასიაში კი (მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად უკვე სხვა პოლიტიკური სივრცეა) რუსეთს აქვს თავისი „დამაშნიე ზაგატოვკი“, რომლის სამზარეულო ფსევდოეთნოკონფლიქტებია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააცნოს სტუდენტებსა და კავკასიის საკითხებით დაინტერესებულ სხვა მკითხველს კავკასიის ხალხთა ისტორია ერთიან კონტექსტში უძველესი პერიოდიდან დღემდე, რადგან კავკასიის ხალხების ვერც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფო თუ სახელმწიფო წარმონაქმნი იზოლირებულად და განცალკევებით ვერ ქმნიდნენ საკუთარ ისტორიასაც კი, რადგან ყოველი ქვეყნის ისტორია კავკასიაში შეპირობებული იყო მთლიანი კავკასიის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციებით; ამიტომ ვერც ერთი ქვეყნის ისტორიას ვერ განვიხილავთ მთლიანი რეგიონის ისტორიის კონტექსტიდან ამოგდებით. კავკასიის ყოველი სახელმწიფოსა თუ ხალხების ისტორია იცვლებოდა კავკასიის ერთიანი ფუნქციიდან გამომდინარე. არც არასოდეს მოსულა კავკასიაში რომელიმე დამპყრობელი, რომელსაც მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმწიფოსა თუ ხალხის დაპყრობა ჰქონდა

განსაზღვრული. კავკასიის ხელში ჩაგდება ნიშნავდა კონტროლის დაწესებას ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთზე, დასავლეთისაკენ გასასვლელის ხელში ჩაგდებას, კონტროლს სამხრეთისა და ჩრდილოეთისაკენ. კავკასიის ეს ფუნქცია დღემდე არ შეცვლილა და არც უახლოეს მომავალში შეიცვლება. ამიტომ კავკასიას დღემდე აქვს პრობლემები და ექნება მომავალშიც.

წინამდებარე წიგნის მიზანია, გააცნოს მკითხველს კავკასიური ცივილიზაციის წინაშე არსებული რისკ-ფაქტორები, ფსევდოეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზები, კავკასიელი ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ვექტორები.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ცირა ბარამიძე	ღვაწლი LXXX ISBN978-9941-9621-3-4	თბილისი	გვ. 273-276
2	მერაბ ჩუხუა	ღვაწლი LXXX ISBN978-9941-9621-3-4	თბილისი	გვ. 33-40

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.ცირა ბარამიძის წერილში გადმოცემულია პროფესორ იზა ჩანტლაძის დამოკიდებულება ახალგაზრდა მკვლევრების მიმართ და მისი სამოქალაქო და სამეცნიერო აქტივობის მნიშვნელობა კავკასიოლოგიის განვითარებისათვის.

2.მერაბ ჩუხუას სამეცნიერო წერილი ეძღვნება სვანოლოგიაში პროფ. იზა ჩანტლაძის დამსახურებათა ჯეროვან წარმოჩენას.
დეტალურად არის მიმოხილული ავტორის მიერ 1998 წელს გამოცემული მონოგრაფიის „ქართველოლოგიური ძიებანი“ მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერებისათვის. ხაზგასმულია, რომ დასახელებულ ნაშრომში მკვლევარმა საფუძვლიანად შეისწავლა სვანური ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკა-ეტიმოლოგიის ძირითადი საკითხები, როცა მრავალი კუთხით ავტორისეული მიდგომები მეტად ორიგინალურია და შუქს ჰფენს აქამდე პრობლემად მიჩნეულ სეგმენტებს.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ცირა ბარამიძე	კავკასიოლოგიის ქართული სკოლა	- Russian Colonial Studies, 2019, №2 https://cyberleninka.ru/article/n/gruzinskaya-shkola-kavkazovedeniya/viewer -		
2	მერაბ ჩუხუა	ეტიმოლოგიური შენიშვნები მცხეთის რეგიონის ტოპონიმიკაზე ISSN	საერთაშორისო სამუზეუმო კრებული - V	თბილისი	7
3	როსტომ ფარეულიძე	დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში. ISSN	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ.47	თბილისი	6
4	ნანა მაჭავარიანი	არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?	ენა და კულტურა	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	იბეჭდება
5	ნანა მაჭავარიანი	ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 46	თბილისი	8
6	ნანა მაჭავარიანი	სვლა, სიარული, დენა ... (სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)	ეტიმოლოგიური ძიებანი ტ. 16	თბილისი	7
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ცირა ბარამიძე

სტატიაში წარმოდგენილია ქართული კავკასიოლოგიური სკოლის მოკლე ისტორია ქართული უნივერსიტეტის დაარსების პერიოდიდან დღემდე. კავკასიოლოგიის სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების პრიორიტეტები განხილულია კომპლექსურად. კავკასიოლოგიის გარგის განვითარების კონცეფცია განხილულია ინტერდისციპლინური და კროსდისციპლინური მიდგომებით, გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან.

მერაბ ჩუხუა

სტატიაში განხილულია მცხეთის რეგიონის ტოპონიმიკა. როგორც ცნობილია, დამწერლობის მქონე ენების შემთხვევაში ეტიმოლოგიის სპეციალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ ნათლად წარმოადგინონ სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის ცვალებადობა მის ისტორიულ განვითარებაში. უდამწერლობო ენების შემთხვევაში, თუ ენები ურთიერთმონათესავეა, ამგვარი კვლევის ეფექტურობა მიღწევადია ენა-კილოთა შედარებითი შესწავლის გზით. კომპლექსური მიდგომით ირკვევა სიტყვა-ფორმათა წარმომავლობა საზოგადოდ, ან რომელი ენიდან შემოვიდა ესათუის სიტყვა.

რელიეფის/გარემომცველი ბუნების თუ გეოგრაფიული სახელწოდებების აღმნიშვნელ ლექსიკას სათანადოდ შეისწავლის ენათმეცნიერების სპეციალური დარგი ონომასტიკა (ტოპონიმია/ტოპონიმიკა...), რომლის შემოქმედი ხალხის კუთვნილება მიწის ენასთან (ტოპონიმებთან) ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებით ხერხდება, რასაც ჩვენს შემთხვევაში მცხეთის რეგიონი წარმოადგენს. მცხეთის რეგიონში, როგორც მოსალოდნელი იყო, ტოპონიმთა უმრავლესობა ქართული ენის მონაცემების მოხმობით აიხსნება.

როსტომ ფარეულიძე

სტატიაში განხილულია დროის გამომხატველი ლექსიკა ქისტურში, რომელიც საერთოა ჩეჩნურ სალ. ენასთან ან, ზოგადად, ჩეჩნურ-ინგუშურ ენა-კილოებთან. ქისტური ლექსიკის ამ ფენაში გამოყოფილია: სიტყვები, რომლებიც მიჩნეულია საკუთრივ ნახურად (ლურჩახ „შარშანწინ“; მაცახ „წინათ, ძველად“...); სიტყვები, რომლებიც ნასესხებია არაბულიდან ან სხვა ენებიდან. ქართულიდან შეთვისებული ლექსიკა ჩეჩნურ-ინგუშურ ენებსა და დიალექტებში მცირერიცხოვანია, იგივე სიტყვები წარმოდგენილია ქისტურშიც (ქისტურში ქართულიდან ნასესხები სიტყვები ლექსიკის ამ ნაწილში განხილული გვაქვს ცალკე). სტატიაში მოცემულია ფონეტიკური, მორფოლოგიური ანალიზი დროის აღმნიშვნელი საერთო ნახური ლექსიკისა. გარდა ამისა, გამოვლენილია ისეთი სიტყვები, რომლებიც ქისტურშია და უცხოა სალ. ენისათვის ან პირიქით.

ნანა მაჭავარიანი

სვლა, სიარული, დენა

მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა სახელები ქართულში **სვლა, სიარული, დენა ...** მრავალმხრივ საინტერესოა. ეს სიტყვები უძველესი ლექსიკური ფონდის საკუთრებაა და ამიტომაც რიგი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდება.

სტატიაში განხილულია ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები, რომელთა საფუძველზეც მიჩნეულია, რომ **ლ/ რ/ დ/** ბგერათმონაცვლეობა დასაშვებია მოძრაობის აღმნიშვნელი სემანტიკის მქონე სიტყვებში და იგი საერთო იბერიულ-კავკასიურ ოდენობადაა დასახული.

ნანა მაჭავარიანი

ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის

„ვასაკა“ ხის პატარა მწვანე ბაყაყია. სულხან-საბასთან განმარტებულია (ოთხფ.) მწვანე მცირე მყვარი.

(საბა 1991).ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსემა „ვასაკა“ არის იგივე „ვასილისკო“, რომელიც გვხვდება ფსალმუნში და ქართულში შემოსულია (ბერძნულიდან - Basiliskos) თარგმანის გზით.

ნანა მაჭავარიანი
არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ აფხაზურს არ აქვს ბრუნების სისტემა და ამიტომ მიაჩნიათ, რომ შესაბამისად არც მართვას აქვს ადგილი.

მაგრამ ასევე ცნობილია, რომ გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთისაგან პირის ნიშანთა განლაგებით განსხვავდებიან, ასევე პირ-კლასის ნიშანთა სხვადასხვანაირი რანჯირება ახასიათებს ზმნას სხვადასხვა წარმოქმნის კატეგორიაში;

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ცირა ბარამიძე	ამოსავალი მორფოსინტაქსური სისტემის დიფერენციაციისთვის იბერიულ-კავკასიურ ენებში	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი თბილისი, 2019 4-6.11
		კავკასიის რეგიონალიზაცია-გეოპოლიტიკური,გეოეკონომიკური და კულტურულ ცივილიზაციური ვექტორები	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი თბილისი, 2019 4-6.1
		ბიპოლარული იდენტობის წახნაგების კულტურულ-ცივილიზაციური კონტექსტი(ევროპა თუ აზია?)	ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი - ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის IV სამეცნიერო სესია 20-21.11.2019
		ლაბილურობისა და გვარის კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში/Towards the Interrelation of Categories of Lability and Voice in Kartvelian Languages	XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი
		ქართული სალექსიკონო ერთეულების ინდექსი (კავკასიურ ენათა სამენოვანი ელექტრონული ეტიმოლოგიური	სამეცნიერო კონფერენცია - ქართველოლოგია გუშინ, დღეს,

		ლექსიკონისათვის)	ხვალ 17.04.2019
2	მერაბ ჩუხუა	ბასკური ენის ადგილისათვის (გენეალოგიური ანალიზი), თბილისის მეცნიერებათა და ინოვაციების ფესტივალი	მეცნიერებათა და ინოვაციების ფესტივალი თბილისი, 2019
		ქართული სპერ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის.	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2019
		-არა სუფიქსის ისტორიისათვის ზანურში	XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენცია, თბილისი-ზუგდიდი, 2019
		თანამედროვე ისტორიულ-შედარებითი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები და პერსპექტივები.	XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენცია, თბილისი-ზუგდიდი, 2019
		საერთოქართველური -არ ზმნა და მისი ბასკურ-კავკასიური შესატყვისები	საერთაშორისო კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V - ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი, 15-17 დეკემბერი 2019
		პალეოკავკასიური ენის	საერთაშორისო კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V - ისტორიული და ეტიმოლოგიური

		სემანტიკური ლექსიკონი (ახალი პარადიგმა)	ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი, 15-17 დეკემბერი 2019
		პალეოკავკასიური პანთეონის შედგენილობისათვის	ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის IV სამეცნიერო სესიის მასალები (ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი), თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2019
3	რევაზ აბაშია	იბერიულ-კავკასიურ სხვადასხვა ჯგუფის ფუძეენათა დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი	კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი, 2019.4-6.11
		დიალექტურ თავისებურებათა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენობრივ ერთეულთა ჩამოყალიბების პროცესში	XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები 15-16.11.2019
		ლექსიკურ-სტატისტიკური და გლოტოქრონოლოგიური მეთოდების საშუალებით ენათა ისტორიის დათარიღების ზოგიერთი საკითხი	ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი - ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის IV სამეცნიერო სესია 20-21.11.2019
		ქართული, როგორც საერთოქართველური ფუძეენის ძირითადად იდენტური სტრუქტურის ენა	სამეცნიერო კონფერენცია - ქართველოლოგია გუშინ, დღეს, ხვალ 17.04.2019

4	ნანა მაჭავარიანი	ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში	არნ. ჩიქობავას საკითხავები XXX, (მასალები), თბილისი, 2019.
		ლექსემა „ლაჩარი“ (ეტიმოლოგია)	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი, თბილისი, 4-6.XI. 2019
		მყოფადის ფუნქციით უწყვეტლის გამოყენების შემთხვევები ზემოიმერულში („ყოფნა“ ზმნა)	XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, ზუგდიდი, 15-16, XI, 2019
		ლექსემა „რეცა“ ძველ ქართულში (ეტიმოლოგია)	საერთაშორისოკონფერენცია „ენადათანამედროვეტექნოლოგიები V _ ისტორიულიდაეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიისსაკითხები“ 15-17.XII. 2019
		მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსის („ორნი“) ინტერპრეტაციისათვის	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), თბილისის მეცნიერებათა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი - 2019 ენა და კულტურა, მიეძღვნა პოეტ-აკადემიკოს მუხრან მაჭავარიანის დაბადების 90 წლისთავს, 24, IX, 2019
		ლექსემა „აბრუ“ (ეტიმოლოგია)	არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესია
		მეცხენეობის „კავშა“ ტერმინის ეტიმოლოგიისათვის	ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის სამეცნიერო სესია - ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი. 20-21.12.2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
თინა დოლიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
რისმაგ გორდეზიანი
იამზე გაგუა
ირინე დარჩია
ეკატერინე კობახიძე
ნანა ტონია
ზაზა ხინთიბიძე
ქეთევან ნადარეიშვილი
მანანა ფხაკაძე
რუსუდან ცანავა
თინა დოლიძე
თამარ აფციაური
ლევან გიგინეიშვილი
სოფიო შამანიდი
ანა ჩიქოვანი
მაკა ქამუშაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ბიბლიოთეკა (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის მიმართულება)	2014-2022	პროექტში ჩართულები არიან ინსტიტუტის თანამშრომლები, განყოფილების კურსდამთავრებულები, დოქტორანტები. ასევე, პროექტში ჩართულია გამომცემლობა „ლოგოსი“
პროექტის მიზანია ახალი ბერძნული ლიტერატურის ბიბლიოთეკის შექმნა. კერძოდ, თანამედროვე ბერძენი ავტორების ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა. უკვე გამოიცა 6 ტომი. 2019 წელს ვმუშაობთ დიმიტრის ნოლასის რომანის თარგმანზე. დიმიტრის ნოლასის აღნიშნული ნაწარმოები: „მოგზაურობა საბერძნეთში“ 2014 წელს დაჯილდოვდა საბერძნეთის სახელმწიფო ლიტერატურული პრემიით საუკეთესო რომანისათვის.			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	პროექტი „ანტიკური კავკასია“ (Caucasus Antiquus) - ენციკლოპედია. რუსთაველის ფონდისა (N A OXX/09) და თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის განვითარების ფონდის დაფინანსებით	2010 წ. დან	ვ. ასათიანი, ი. გარაყანიძე, ქ. გარდაფხაძე, ლ. გორდეზიანი, რ. გორდეზიანი (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ი. დარჩია, თ. დულარიძე, მ. ერქომაიშვილი, თ. თარხნიშვილი, ქ. ნადარეიშვილი თ. ჭეიშვილი, ზ.ხინთიბიძე, გ. ხომერიკი, თ. ჯაფარიძე, რ. ცანავა
უკვე გამოქვეყნდა ენციკლოპედია „ანტიკური კავკასიის“ ოთხი ნაწილი, პროექტზე მუშაობა გრძელდება. პროექტით გათვალისწინებულია კავკასიასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების თავმოყრა, შეჯამება-ანალიზი.			
1	2	3	4
	ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო , ჰუმანიტარული მეცნიერებები, ისტორია და არქეოლოგია FR-18-2216	2019-2021	ნათია ფიფია-ხელმძღვანელი თედო დუნდუა - ძირითადი პერსონალი ეკატერინე კობახიძე-კოორდინატორი
პროექტის საწყის ეტაპზე 2019 წლის განმავლობაში საკვლევი თემატიკის გარშემო კვლევითმა ჯგუფმა მოიძია და დაამუშავა სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე, მოამზადა მონოგრაფიის პირველი ნაწილი დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული და ლათინური წარწერების შესახებ. კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს მოცემული ეპიგრაფიკული მასალის, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლას. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნულ-ლათინური წარწერები სწორედ ამ კუთხით არის შესწავლილი. დამუშავდა როგორც შედარებით ინფორმატიული წყაროები (ვანის დეკრეტი, ეშერის წარწერა, მეფე ბაკურის წარწერები), ასევე მცირე წარწერები, რომლებიც აღმოჩენილია ვანში, გონიოში, სოხუმში, ბიჭვინტაში და სხვაგან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე დამუშავდა ნუმიზმატიკურ მასალაზე მოცემული წარწერები, როგორც ისტორიული წყარო. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა სტატია უცხოურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, მეფე ბაკურის წარწერების შესახებ. ამ სტატიაში გაერთიანდა სამი ეპიგრაფიკული მასალა სამეცნიერო კომენტარი, კერძოდ, აჩმარდაში, გაგრის რაიონში აღმოჩენილი თასზე მოთავსებული წარწერა, ჟინვალში, სარდიონის გემაზე შესრულებული წარწერა და მაიკოპში, ერთერთ სამარხში აღმოჩენილი წარწერა, რომლის წარმოშობაც, როგორც ჩანს, ქართულ სამყაროს უკავშირდება.		
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რისმაგ გორდეზიანი	ბერძნული ცივილიზაცია, ტ. I გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე. ISBN 978-9941-30-309-8;	თბილისი, სულაკაურის გამომცემლობა	414 გვ.;

2	რისმაგ გორდეზიანი	ბერძნული ცივილიზაცია, ტ. II კლასიკური ეპოქა. ISBN 978-9941-30-310-4	თბილისი, სულაკაურის გამომცემლობა	570 გვ.
ბერძნული ცივლიზაციის მეორე, შესწორებული და გავრცობილი გამოცემა კრეტა-მიკენის გეომეტრიული, არქაული და კლასიკური ეპოქის ბერძნული კულტურის ყველა უმტავრეს სფეროს წარმოგვიდგენს: ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვენბას, მჭევრმეტყველებას, ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას და ა.შ. წიგნში წარმოადგენილია ბერძნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების 200-ზე ეტი ილუსტრაცია. „ბერძნული ცივილიზაცია“ განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის, სტუდენტებისა და ძველი სამყაროს კულტურებით დაინტერესებული მკითხველისთვის.				
3	რისმაგ გორდეზიანი	ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის პოეზია და პროზა. მეხუთე გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემა, ISBN 978-9941-468-77-3	თბილისი, ლოგოსი	665 გვ.
წიგნი მოიცავს ბერძნული ლიტერატურის უმაღლესი აღმავლობის პერიოდის - ელინური ეპოქის (ძვ.წ. VIII-IV სს.) პოეტთა და პროზაიკოსთა (ჰომეროსი, ჰესიოდე, არქილოქოსი, სოლონი, ალკეოსი, საპფო, ანაკრეონი, პინდაროსი, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე, ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი, ქსენოფონი, პლატონი, არისტოტელე...) შემოქმედებას, რომელთაც საფუძველი დაუდეს ევროპულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. წიგნი განკუთვნილია არა მარტო სპეციალისტებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, არამედ ანტიკური ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველტა ფართო წრისათვის.				
4	თინა დოლიძე	საყოველთაო მოძრაობის ღვთისმეტყველება: ინოვაცია და ტრადიცია გრიგოლ ნოსელის ნააზრევში ISBN 978-9941-67-4	თბილისი/ლოგოსი, 2018 (გამოქვეყნდა 2019 წლის იანვარში)	170
მონოგრაფიის ავტორს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ კონცეფციათა საფუძვლიანი შემეცნებისთვის მნიშვნელოვნად ესახება წყაროთა ფილოლოგიურ-ცნებითი ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში ეს მეცნიერული მიდგომა ილუსტრირებულია მოძრაობის ცნების აღმნიშვნელი ტერმინ kinesis-ის და იმავე ფუძის სხვა ფორმატივთა განხილვით IV საუკუნის დიდი ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის შემოქმედებაში. თვალის მიდევნება იმაზე, თუ რა კონცეფციურ ფუნქციას იტვირთავს პლატონური ფილოსოფიიდან შეთვისებული ცნება ნოსელის ნააზრევში, საშუალებას აძლევს წიგნის ავტორს, იმსჯელოს მის ინოვაციურ გააზრებაზე კაპადოკიელი მამის ღვთისმეტყველებაში. უწინარეს ყოვლისა, გრიგოლ ნოსელის მიერ მოძრაობის კატეგორიის სისტემური კვლევა უნდა განისაზღვროს როგორც მოძღვრება სულიერი მოძრაობის შესახებ, რადგან ღვთისმეტყველი ყველა სახის ფიზიკური მოძრაობას, საბოლოოდ, სულიერი დინამიკის კუთხით განიხილავს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია არა ფიზიკური მოძრაობების ტიპების დახასიათება, წმ. გრიგოლის მიხედვით, არამედ კითხვის დასმა მოძრაობის სახეობათა სულიერი შინაარსის მიმართ და მათი სპეციფიკის გამოვლენა სხვადასხვა ონტოლოგიურ რეგისტრში. ხსენებული პრობლემატიკა თავს იყრის ცენტრალური თემის გარშემო სამყაროს, ადამიანისა და ღვთის ურთიერთმიმართების შესახებ, რის განხილვასაც გამოკვლევაში სამი შესაბამისი თავი ეძღვნება: თავი I. *მოძრაობის ტიპები ქმნილ სამყაროში გრიგოლ ნოსელის მიხედვით*; თავი II. *მოძრაობის კატეგორია გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიაში*; თავი III. *მოძრაობა როგორც ღვთის პრედიკატი: გვიანპლატონური წანამძღვრები და კაპადოკიური ინოვაცია*. მიუხედავად იმისა, რომ				

ნაშრომში თანმიმდევრულად მითითებულია წმ. გრიგოლის მოძღვრების პარალელები ფილოსოფიურ წანამძღვრებთან, ავტორი ასაბუთებს, რომ მოძღვრება სულიერი მოძრაობის შესახებ კაპადოკიელი მამის ნააზრევში ავთენტური ხასიათისაა.				
5	ნანა ტონია	ანტიკურობის ლექსიკონი ტ. I, ISBN 978-9941-483-11-0	თბილისი, „ბაკმი“	550 გვ.;
6	ნანა ტონია	ანტიკურობის ლექსიკონი ტ. II, ISBN 978-9941-483-13-4	თბილისი, „ბაკმი“	566 გვ.
უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ანტიკური სამყაროსადმი, კერძოდ, ანტიკური ლიტერატურისადმი. მიმდინარეობს ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა, თეატრების სცენებზე იდგმება ანტიკურ ავტორთა ქმნილებები („მედეა“, „ჰეკაბე“, „ტროელი ქალები“, და ა.შ.). „ანტიკურობის ლექსიკონში“ წარმოდგენილია სახელოვან სტრატეგოსთა, იმპერატორთა, პოეტთა, ფილოსოფოსთა, ხელოვანთა და სხვა გამჩენილ ადამიანთა ვრცელი ბიოგრაფიები, ძველი საბერძნეთისა და რომის მდიდარი მითოსის ღმერთებისა და გმირების ამბები, უმნიშვნელოვანეს ცნებათა და ტერმინთა განმარტებები... ყოველივე ის, რაც დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს ღრმად ეზიაროს იმ კულტურას, რომელიც თანამედროვე ევროპის საფუძვლად არის აღიარებული.				
7	ნანა ტონია	ევრიპიდე „ფინიკიელი ქალები“. ISBN 978-9941-468-69-8	თბილისი, ლოგოსი	235 გვ.
წიგნი წარმოადგენს ევრიპიდეს ცნობილი ტრაგედიის ორენოვან გამოცემას. ეს არის ქართულ ენაზე შესრულებული პოეტური თარგმანი, რომელსაც თან ერთვის გამოკვლევა და განმარტებანი. ტრაგედია პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქეთევან ნადარეიშვილი	XIII საერთაშორისო	თბილისი, თსუ,	გადაცემულია

		სიმპოზიუმი: „1980-90 წლების მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“ მასალები, 1990-იანი წლების პოლიტიკური პროცესები მხატვრულ კონტექსტში: ოლგა ტაქსიდუს პიესა “მედეა” და ევრიპიდეს “მედეას” თანამედროვე ინტერპრეტაციები	“უნივერსიტეტის გამომცემლობა“	დასაბეჭდად
ლიტერატურული დისკურსისა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთმიმართების შესასწავლად განსაკუთრებით ნაყოფიერ მასალას კლასიკური მემკვიდრეობის რეცეფციები იძლევა. ოლგა ტაქსიდუს პიესა „მედეა“ (დაწერილი 1990-იან წლებში), რომელიც ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედიის ადაპტაციას წარმოადგენს, ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუში გახლავთ ლიტერატურული და პოლიტიკური კონტექსტების ურთიერთმიმართებისა. ევრიპიდეს ტრაგედიის ინტერპრეტაციისას მწერალს წინა პლანზე გადმოაქვს აღმოსავლეთ x დასავლეთის მრავალსაუკუნოვან ოპოზიციასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა მას თანამედროვე ჟღერადობას ანიჭებს. იმპერიისა და ე. წ. „მესამე სამყაროს“ ურთიერთმიმართება და ქალების, როგორც იმპერიალისტური სტრატეგიის ყველაზე მოწყვლადი ნაწილის, მდგომარეობა ამ პიესის მთავარი დისკურსი ხდება. სტატიის დასკვნები საყურადღებოა: ა) მედეას ინტერპრეტაციების თანამედროვე კონტექსტში ტაქსიდუსეული მედეას რეცეფციის ინდივიდუალობის შესწავლის კუთხით, ბ) ლიტერატურის მიერ თანამედროვე გეოპოლიტიკური და კულტურული პრობლემების არეკვლის კონტექსტში ტაქსიდუსეული მეთოდის (მითის გამოყენების) შესწავლის თვალსაზრისით.			
2	ქეთევან ნადარეიშვილი	საერთაშორისო კონფერენცია, ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლის საკითხი ბერძენი მწერლების (მემნონი, აპიანუსი, დიო კასიუსი, პლუტარქოსი) რეპრეზენტაციებში.	აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის უნივერიტეტის გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად
ქართველური ეთნოსების იდენტობის კვლევისას საკვანძო საკითხად გვევლინება ის, თუ როგორ მოიაზრებდნენ ანტიკური ავტორები ამ ხალხების გეოპოლიტიკური ორიენტაციასა და როლს. განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ანტიკური მოღვაწეებისათვის ქართველური ეთნოსების პოლიტიკური პრეფერენციებისა და მათი კულტურული ორიენტაციის საკითხი რომაული იმპერიის პერიოდში მისი ექსპანსიური საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე. სტატიის მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული პრობლემის ანალიზი რომაული პერიოდის ბერძენ ავტორთა - მემნონის, აპიანუსის, დიო კასიუსის და პლუტარქოსის რეპრეზენტაციებში. კვლევამ გამოავლინა, რომ ქართველურ ხალხთა გეოპოლიტიკური როლის გასააზრებლად ამ ავტორთათვის, ისევე როგორც მათი თანამედროვე რომაელ მწერალთათვის, უმთავრეს დისკურსად მითრიდატული ომები გვევლინება. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასახელებული ბერძენი ავტორები დაინტერესებული იყვნენ, წარმოედგინათ ქართველ ეთნოსთა პოლიტიკური პრეფერენციები და მათი საბრძოლო მოტივაციები მაშინაც, როდესაც ისინი რომის წინააღმდეგ მითრიდატესისა და არმენიის მეფის, ტიგრან II-ის,			

მოკავშირეებად გამოდიოდნენ და იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი დამოუკიდებლად ებრძოდნენ რომს. დასახელებული ისტორიკოსები ამავე კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ასევე ქართველ ხალხთა გენეზისისა და ევროპასთან მათი ურთიერთობის პრობლემატიკას.				
3	მანანა ფხაკაძე	საერთაშორისო კონფერენცია, ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, “ Nihil novi sub sole”	აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის უნივერიტეტის გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად
Nihil novi sub sole გლობალიზაცია თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. თავისთავად გლობალიზაციის იდეა არ ახალია და თითქმის მთელი საკაცობრიო ისტორიის მანძილზე მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენს თავს; მაგრამ ყველაზე დიდი მსგავსებას თანამედროვე გლობალიზაცია ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილ ელინისტური სამყაროსთან (ვ. წ-ის 334 წლიდან ძვ. წ. 30 წლამდე) ამჟღავნებს. მოხსენებაში აღნიშნულია ელინისტური ხანისა და თანამედროვე გლობალიზაციის მსგავსი ტენდენციები (ზოგ შემთხვევაში მოდერნისტული): კოსმოპოლიტიზმი, ინდვიდუალიზმი, მიგრაციები, იდენტობა,დაპირისპირება - მე და სხვა, მრავალკულტურულობა, ერთი საკომუნიკაციო ენა, დაძაბულობა, მღელვარება, დისჰარმონია ახლად შექმნილ უზარმაზარ სამყაროთან, ქალების როლის გაძლიერება და ა.შ. ელინისტურ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ისტორიოგრაფიაში, არქიტექტურაში და ასევე ინოვაციები: ელინისტურ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, არქიტექტურაში წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით. შესაბამისად, მოხსენებაში აღნიშნული ელინისტური სამყაროს გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციები და ინოვაციები არ არის თანამედროვე გლობალიზაციისათვის ისტორიულად უპრეცედენტო და უნიკალური და საერთოდაც nihil novi sub sole (არაფერია ახალი ამ მზისქვეშეთში); განსხვავებას კი ელინისტურ და თანამედროვე გლობალიზაციას შორის, უპირველეს ყოვლისა, ამ კომპლექსური მოვლენის ელემენტების თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი მაღალი ინტენსივობა განაპირობებს. ელინისტური დეცენტრალიზებული, პირველ რიგში, კულტურით გაერთიანებული სამყაროს გლობალიზაციის ღრმად შესწავლა კი სასარგებლო იქნება თანამედროვე შეუქცევადი გლობალიზაციის სავარაუდო/(პოტენციური) დარტყმების ასაცილებლად.				
4	მანანა ფხაკაძე	V საერთაშორისო ბიზანტინოლოგიური კონფერენციის შესახებ. „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5“ „ქართლის ცხოვრების“ ლათინური წყარო	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად
„ქართლის ცხოვრების“ ლათინური წყარო ძველ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში ლათინურიდან თარგმნილი თხზულებები ცნობილი არ არის. გამონაკლისს უნდა შეადგენდეს V ს-ის რომაელი მწერლის რუფინუსის ლათინურ ენაზე 401 წლის ახლო ხანებში დაწერილი “საეკლესიო ისტორიის” X თავის ფრაგმენტი, რომელიც როგორც ექვ. თაყაიშვილმა დაადგინა, ლეონტი მროველს აქვს '”ქართლის ცხოვრებაში” გამოყენებული. ლეონტი მროველის მიერ რუფინუსის ლათინური ტექსტით სარგებლობა უდავოდ განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთვნება, და ამიტომაც მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხის გარკვევას მოითხოვს. აღნიშნული საკითხები კონკრეტული სახით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ა) რა მოცულობით ითარგმნა ლათინური ტექსტი - ტყვე ქალის მხოლოდ სამკურნალო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფრაგმენტის თუ ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი მთლიანად X თავის სახით; ბ) მთლიანი თავის თარგმნის შემთხვევაში დასადგენია, თუ რატომ დასჯერდა ლეონტი ამ თავის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს და არ გამოიყენა სხვა ფრაგმენტები; გ) დასადგენია აღნიშნული ფრაგმენტის (თუ მთლიანად X თავის) თარგმნის თარიღი.				

ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ რუფინუსის X თავის თარიღის დასადგენად, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: ა) ქართულ სამეცნიერო ლიტერტურაში მიღებული X-XI საუკუნეებში რუფინუსის ტექსტის თარგმნა საეჭვოა, ვინაიდან ამისათვის არც სათანადო პირობები არსებობდა და ცოტა მოგვიანებით არც ეფრემ მცირე არ წამოიწყებდა ანალოგიური მასალის თარგმნას თეოდორიტე კვირელის "საეკლესიო ისტორიიდან". ბ) VI-VII საუკუნეებამდე ბიზანტიის იმპერიაში სახელმწიფო ენად ლათინური ენა რჩებოდა, რასაც უდავოდ ხელი უნდა შეეწყო ქართლში ლათინური ენის მცოდნეთა გამოჩენისათვის. გ) ქართულად გათავისებული ფორმით "კილიკის" "მარტვილობაÁ შუშანიკის" ტექსტში მოხსენიება ნიშნავს, რომ ეს ტერმინი ქართულ ენას რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა ჰქონოდა ათვისებული. ყოველივე ზემოთთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუფინუსის "საეკლესიო ისტორიის" X თავი ჯერ კიდევ V ს. პირველ ნახევარში იყო თარგმნილი და ამ უძველესმა ქართულმა თარგმანმა ჩვენამდე მხოლოდ "ქართლის ცხოვრებაში" ჩართული ფრაგმენტის სახით მოაღწია.				
5	მაკა ქამუშაძე	სტატია: 1897 წლის კრეტის აჯანყება და საქართველო - საარქივო მასალა. საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ნეოგრეცისტიკა საქართველოში 3" ISBN 978-9941-468-81-0	თბილისი, ლოგოსი 2019	6
6	სოფიო შამანიდი	კრებული: „ნეოგრეცისტიკა საქართველოში - 3" თანამედროვე ბერძნული დრამატურგია და ი. კაბანელისი ISBN 978-9941-468-81-0	ლოგოსი, თბილისი 2019	10
7	ანა ჩიქოვანი	კრებული: „ნეოგრეცისტიკა საქართველოში - 3" სტატია (ინგლისურად): *Blood feud and religious (in)tolerance in selected works of Modern Greek and Georgian Literature (Nikos Kazandzakis - Vazha Pshavela)* *(სისხლის აღების წესი და რელიგიური შე(უ)მწყნარებლობა ახალი ბერძნული და ქართული ლიტერატურის*	თბილისი, ლოგოსი 2019	12

		ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით (ნიკოს კაზანძაკისი-ვაჟა-ფშაველა) ISBN 978-9941-468-81-0		
სისხლის აღების სოციალური ფენომენი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ვენდეტა ანტიკური ხანიდან დასტურდება და ზოგიერთ თემში თანამედროვე ეპოქამდე არსებობდა. სისხლის აღების წესს მისდევდნენ კუნძულ კრეტაზე და კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში მე-20 საუკუნეშიც. წინამდებარე ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ასახეს სისხლის აღების წესი, რელიგიური შეწყნარებისა და შეუწყნარებლობის თემა ბერძენმა მწერალმა ნიკოს კაზანძაკისმა და ქართველმა - ვაჟა-ფშაველამ.				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იამზე გაგუა	ციცერონი, ტუსკულანური საუბრები (თარგმანი),ISSN 2667-9051	ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 5	თბილისი, პროგრამა ლოგოსი	275-315
ციცერონის თხზულება *ტუსკულანური საუბრები* ხუთი წიგნისაგან შედგენილი ფიოსოფიური ნაშრომია, კრებულში წარმოდგენილია ამ თხზულების მეორე წიგნის თარგმანი, რომელშიც საუბარია ტკივილის დათმენის შესახებ, ციცერონი ეყრდნობა ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომებს და თავისებურად განიხილავს ზნეობრივ საკითხებს.					
2	თინა დოლიძე	ადამიანის კინეტიკურობის არსი გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიაში (რეზიუმე ინგლისურ ენაზე) 1512-1879	ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი (კორენელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ტ. IX, 2017 (გამოიცა2019).	*თბილისი*	11-37
ნაშრომის ანოტაცია წარმოდგენილია 2018 წლის ანგარიშში					
3	თინა დოლიძე, ა. ქირია,	ღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიის ლექსიკონი IV: წმ. გრიგოლ ნაზიანზელის „ღვთისმეტყველებისათვის და ეპისკოპოსთა	*ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი* (კორენელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ტ.	*თბილისი*	524-558

		დადგინების შესახებ” სიტყვის (Or. XX) ლექსიკა (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	IX, 2017 (გამოიცა 2019).		
ნაშრომის ანოტაცია წარმოდგენილია 2018 წლის ანგარიშში					
4	ქეთევან ნადარეიშვილი	ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური ორინეტაციისა და როლის პრობლემატიკა რომაელ მწერალთა რეპრეზენტაციებში.	ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში N 5, ISBN 99940-31-92-9	თბილისი, „პროგრამა ლოგოსი“	137-170
თანამედროვე ევროპულ სივრცეში საქართველოს როლისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების თვალთახედვით დანახული ქართველური ეთნოსების იდენტობის საკითხების შესწავლა. ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, განსაკუთრებით საგულისხმო უნდა იყოს ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური ორიენტაციისა და როლის პრობლემატიკის შესწავლა რომაული ეპოქის ლათინურენოვან ავტორთა თხზულებებში. სტატიაში საკითხი განხილულია რომის აღმოსავლური პოლიტიკის მთავარი პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში. კერძოდ, ა) მითრიდატული ომების, ბ) ახ. წ. 36 წელს რომისა და პართიის საკვანძო დაპირისპირების და გ) ახ. წ. მე-2 საუკუნეში ფარასმენეს II და რომის იმპერატორების ურთიერთობის ჭრილში. სტატიის დასკვნები საგულისხმო დაკვირვებებს შეიცავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპოზიციის კონტექსტში ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლისა და ფუნქციის თვალსაზრისით, როგორც ეს რომაელ ავტორებს ჰქონდათ მოაზრებული.				
5	რუსუდან ცანავა	„ძველი კოლხეთის მკვლევარი (აკაკი ურუშაძის 100 წლისთავისადმი) ISSN 2667-9051	„ლოგოსი“ წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. N 5	თბილისი, „ლოგოსი“	378-387
სტატია ეძღვნება აკ. ურუშაძის მონოგრაფიის „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ შეფასება-პრეზენტაციას. ამ ნაშრომმა ბიძგი მისცა კოლხეთის თემის აქტუალიზაციას კავკასიის რეგიონში. ნაშრომი მოიცავს ბევრ ისეთ საკითხს, რომლებიც მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდგომ ახალი კვლევების ინტენციად იქცნენ.					
6	ზაზა ხინთიბიძე	*ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების კიდევ ერთი თავისებურება და მშვენიერების კლასიკური კონცეფციის გადააზრება ანტიკურობიდან რენესანსამდე ISSN 9789994089192	ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ტომი II	თბილისი, „ქართველოლოგი“	გვ. 63-80
სტატიის ავტორის აზრით, *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების კიდევ ერთი თავისებურების წარმოსაჩენად, რომელიც შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო მსჯელობის საგანი აქამდე არასდროს გამხდარა, გათვალისწინებული უნდა იქნეს მშვენიერების კლასიკური კონცეფციის არსი და ამასთანავე, მისი გადააზრების ტენდენცია ანტიკურობიდან რენესანსამდე. განსახილველი კონცეფციის თანახმად, მშვენიერება მდგომარეობს ერთიანი მთელისა და მისი განუყოფელი ნაწილების იმგვარ ურთიერთმიმართებაში, რომელიც ემყარება ჰარმონიას, სიმეტრიას და სხვა მსგავს მახასიათებლებს. ეს არის მშვენიერების ძირძველი დასავლური თვალსაზრისი და იმის მიუხედავად, თუ სად იჩენს თავს, ის განსხეულებულია როგორც კლასიკურ, ისე ნეოკლასიკურ არქიტექტურასა და ქანდაკებაში, ლიტერატურასა და მუსიკაში. თავდაპირველი ფორმით მშვენიერების კლასიკური კონცეფცია წარმოდგენილია ჯერ კიდევ სოკრატეს მიერ (ქსენოფონი, *მოგო-*					

ნებანი სოკრატეზე, III, x, 1), ხოლო მოგვიანებით, პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებში, მას უკვე დასრულებული სახე აქვს მიღებული; პლოტინეს, ნეტარი ავგუსტინეს (და საბოლოოდ, წმინდა თომა აკვინელის) მიერ გადამუშავების შემდეგ კი ეს კონცეფცია გადაიქცა დასავლური ესთეტიკის ძირითად მასაზრდოებელ წყაროდ.

არისტოტელეს *პოეტიკის* მიხედვით, სიუჟეტით გადმოცემული მოქმედების მიმესისი, ე.ი. ბაძვა, უნდა ასახავდეს ერთიან, ანუ ინტეგრირებულ, მთელს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა იკვეთებოდეს სიმრავლე, ანუ მრავალი ნაწილი თუ მოვლენა-ეპიზოდი, და იმგვარი ერთიანობა, ე.ი. მათ შორის იმდენად მტკიცე კავშირი, რომ „რომელიმე ნაწილის გადაადგილება ან ამოღება უნდა იწვევდეს მთელის დაშლასა და რღვევას“ (*პოეტიკა*, თავი 8). ამგვარად, მშვენიერების საზომად არისტოტელეს მიერ განიხილება ფორმის სრულყოფილება.

პოეტიკის მე-7 თავში (1450b 36-37) არისტოტელე კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო ლაკონურად, გადმოცემს მშვენიერების მისეულ კონცეფციას, რაც უკანასკნელი ხანების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებში ერთხმადაა მიჩნეული მშვენიერების არისტოტელესეულ განმარტებად, დეფინიციად: „τὸ γὰρ καλὸν ἐν μεγέθει καὶ τάξει ἐστίν“ – „ვინაიდან მშვენიერება მდგომარეობს სიდიდესა და მოწესრიგებულობაში“ („For beauty consists in magnitude and ordered arrangement“). რაც შეეხება პოეზიის რუსთველისეული დეფინიცია, რომელიც პოემის პროლოგშია გადმოცემული, მის თანახმად, შაირობა არის „კარგი“ (როგორც საგანგებო კვლევით ირკვევა, კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, „კარგი“ მიზანშეწონილია გააზრდეს ერთდროულად „სიკეთე“-დ და „მშვენიერება“-დ), რადგან „გრძელი სიტყვა“ (შდრ. მშვენიერების არისტოტელესეული დეფინიციიდან „სიდიდე“) „მოკლედ ითქმის“ (შდრ. არისტოტელესეული იმავე დეფინიციიდან „“მოწესრიგებულობა“).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ რუსთველი იცნობს და შაირობის მისეულ თეორიაში ითვალისწინებს მშვენიერების კლასიკურ კონცეფციას, რამდენადაც, როგორც *პოეტიკის*, ისე *ვეფხისტყაოსნის* ავტორის თანახმად, მშვენიერებას განაპირობებს კომპოზიციის არა მხოლოდ შინაარსი (რუსთველის თქმით, „ამბავი“, „სიტყვა“, ხოლო არისტოტელესეული ტერმინოლოგიით, „მითი“, „ლოგოსი“), არამედ (მნიშვნელოვანწილად) მისი ფორმა (შდრ. „მოკლედ ითქმის“, 12.4; ანუ ნათლად და მწყობრადაა გადმოცემული). ამგვარად, მშვენიერების რუსთველისეული გააზრება, მთლიანობაში, ეფუძნება არისტოტელეს შესაბამის თვალსაზრისს და ამდენად, არსებითად განსხვავდება როგორც პლატონის, ისე პლოტინეს, როგორც მათ უწოდებენ, მშვენიერების იდეალისტური კონცეფციისაგან, რომლის თანახმადაც, მშვენიერების ყოველი კონკრეტული გამოვლინება მომდინარეობს მშვენიერების იდეიდან.

უფრო კონკრეტულად: გვიანანტიკურ ხანაში პლატონის იდეალისტური თვალსაზრისის გათვალისწინებით პლოტინე გადაიაზრებს მშვენიერების კლასიკურ, არისტოტელესეულ კონცეფციას და მას ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის ნიმუშების გასაანალიზებლად იყენებს. შედეგად, ნეოპლატონური ესთეტიკური აზროვნების ფარგლებში არისტოტელესეული ბალანსი, ანუ გაწონასწორებულობა (ეკვილიბრიუმი), შემადგენელ ნაწილებსა და ერთიან მთელს შორის აშკარად ირღვევა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს კი, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება შუასაუკუნეების ქრისტიანული ესთეტიკური აზროვნების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების არქიტექტონიკას. ვგულისხმობ, მათთვის უდავოდ დამახასიათებელ კომპოზიციურ ერთიანობას, რომლის ფარგლებშიც ადგილი აღარ რჩება ნაწილების მრავალფეროვნებისათვის. მაგრამ რენესანსის ეპოქის ესთეტიკური აზროვნება მშვენიერების არისტოტელესეულ, კლასიკურ კონცეფციას, შუასაუკუნეობრივთან შედარებით, საპირისპირო მიმართულებით გადაიაზრებს. ესაა ნაწილების მეტი „ავტონიმურობა“, თუმცა კომპოზიციურად კვლავინდებურად და ჯერაც ისევ ერთიანი მთელის ფარგლებში. კერძოდ, ნაწილი განპირობებულია მთელით და ამის მიუხედავად, ის (ნაწილი) მაინც არ წყვეტს დამოუკიდებლად არსებობას. მაყურებლისა და მსმენელისათვის ეს ნიშნავს გაერთიანებას, განვითარებას ერთი ნაწილიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და ა.შ., რაც ძალიან განსხვავდება მთლიანობაში აღქმისაგან“. ნათელია, რომ აღნიშნული ტენდენცია აშკარად იჩენს თავს რენესანსული ეპოქის მწერლობაშიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ჯოვანი ბოკაჩოს *დეკამერონი* და ჯეფრი ჩოსერის *კენტერბერიული მოთხრობები*.

როგორც ცნობილია, *ვეფხისტყაოსნის* კომპოზიციური გაწონასწორებულობა, მნიშვნელოვანწილად, მიღწეულია ერთმანეთისაგან ლოგიკურად გამომდინარე ეპიზოდებით. კერძოდ, იმგვარად, რომ ერთი ეპიზოდის დასრულებით და ამდენად, მის ფარგლებში წარმოქმნილი დაძაბულობის გან-

მუხტვით, მკითხველის / მსმენელის ინტერესის შეუნელებლად, დაუყოვნებლივ იწყება მეორე ეპიზოდი, რომელიც შეიცავს ახალ „საიდუმლოს“, რომლის გარკვევის შედეგადაც მეორე ეპიზოდს ენაცვლება მესამე ეპიზოდი, კვლავაც ახალი „ინტრიგის“ შემცველი. ისიც ისევ და ისევ მოვლენების შემდგომი განვითარების პროცესში უნდა დასრულდეს და ასე გრძელდება პოემის ბოლო ეპიზოდამდე. ეს კი არსებითად განსხვავდება ნაწარმოების ე.წ. „მთლიანობაში აღქმისაგან“. ამდენად, პოემის შემადგენელი ზემოაღნიშნული *თითოეული შინაარსობრივად თვითდასრულებული სცენა-ეპიზოდი, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი კომპოზიციის განუყოფელი ნაწილია, უდავოდ ამჟღავნებს „ავტონომიურობის“ საკმაოდ დიდ ხარისხს.* სტატიის ძირითადი ნაწილი მისი ავტორის სწორედ ამ მოსაზრების ნათლად ჩამოყალიბებასა და მის დასაბუთებას ეთმობა, რომლის შემდეგაც გაკეთებულია განმაზოგადებელი ხასიათის დასკვნა:

ვეფხისტყაოსნის ზემოგაანალიზებული კომპოზიციური თავისებურებები კიდევ ერთხელ წარმოაჩენენ რუსთველისეული ესთეტიკის რენესანსულ (და ამდენად, ევროპულ) ხასიათს. ასე რომ, სრულიად კანონზომიერია, რომ *ვეფხისტყაოსნის* შაირობის თეორია სწორედ ამ განმაზოგადებელი დებულებით სრულდება: „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად, [მაგრამ] მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17.3-4). ამ სიტყვებით გადმოცემული აზრი, რუსთველის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პოეტიკური დებულების გათვალისწინებით - „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (12.4), სტატიის ავტორს იმგვარად ესმის, რომ, რუსთველური ესთეტიკის თანახმად, ჭეშმარიტ პოეტს, ანუ მოშაირეს, ძალუძს „ნათლად თქვას“ თავისი პოემის შემადგენელი ნაწილები ორივე შემთხვევაში: მათი როგორც „მოკლედ“, ისე „გრძლად“, ანუ დაწვრილებით, გადმოცემისას და არა მხოლოდ „მოკლედ თქმის“ პროცესში; როგორც ეს გამომდინარეობს არისტოტელეს *პოეტიკიდან*, რომლის თანახმადაც, არა მხოლოდ „მოკლედ გადმოცემული“ „მითი“, ანუ სიუჟეტი, ამბავი, ნიშნავს „ნათლად გადმოცემულს“, არამედ, ფაქტობრივად, პირიქითაც - სერიოზული, ანუ, არისტოტელეს თანახმად, დრამატული და ეპიკური პოეტური ნაწარმოებისათვის აუცილებელი სიდიდის, დიდი ზომის ფარგლებში, რაც უფრო მოკლეა სიუჟეტი, მით უფრო ნათლად იქნება ის გადმოცემული. სწორედ ამიტომაა, რომ *პოეტიკის* დამასრულებელ თავში არისტოტელე უპირატესობას ანიჭებს ტრაგედიას და არა ეპოსს, რომელიც (ტრაგედიისაგან განსხვავებით) „შედგება მრავალი ნაწილისაგან“, რომელთაც, თავის მხრივ, აქვთ „საკუთარი სიგრძე“ (*პოეტიკა*, 1462b 9-10). ამგვარად, რუსთველის მიერ მშვენიერების კლასიკური, არისტოტელესეული კონცეფცია, როგორც ირკვევა, გადააზრებულია იმავე მიმართულებით, რომელი მიმართულებითაცაა ის გადააზრებული რენესანსული ესთეტიკის მიერ: ნაწილების, სცენების მეტი დამოუკიდებლობა და მრავალფეროვნება (*ვერას იტყვის* [ნაწარმოების ფარგლებში] *ვინცა გრძელად*, 17.4ბ) კვლავინდებურად ერთიანი ეპიკური კომპოზიციის ან მისი შემადგენელი ცალკეული ვრცელი ნაწილის, ეპიზოდის ფარგლებში (*გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის*, 12.4ა; *ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა* [მოკვეთა, ანუ სხარტად, გაუჭიანურებლად დასრულება], 13.3ბ; *არ ძალ-უც სრულ-ქმნა* [დასრულება] *სიტყვათა* [ამბების], 16.2ა).

ამგვარად, როგორც ირკვევა, *ვეფხისტყაოსნის* უდავოდ ერთიანი კომპოზიციის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს არა მხოლოდ ურთიერთსიმეტრიული და პროპორციული სცენა-ეპიზოდები, არამედ ტექსტის სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ნაწილებიც, რაც, სავარაუდოდ, გაცნობიერებულია თავად რუსთველის მიერ. მეორე მხრივ, არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნაწილთა სიმეტრია, პროპორცია და ავტონომიურობის დიდი ხარისხი მთლიანობაში მხატვრული კომპოზიციის ერთიანობასთან ერთად ცალსახადაა მიმანიშნებელი ამგვარი კომპოზიციის რენესანსულ არსზე. ზემოთქმული, ეჭვს გარეშეა, მხოლოდ ნაწილობრივ ფენს ნათელს რუსთველისეული ესთეტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ ფარულ შუქ-ჩრდილებს. თუმცა, უკვე ისინიც სრულიად არაორაზროვნად მიანიშნებენ *ვეფხისტყაოსნის* მხატვრული სამყაროსათვის დამახასიათებელ რენესანსულ ნიშნებზე.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Maka Kamushadze	Η Κρητική Επανάσταση και η απήχησή της στο γεωργιανό κοινό και στον έντυπο τύπο [1897 წლის კრეტის აჯანყება-გამოხმაურება ქართულ საზოგადოებასა და პრესაში]	იბეჭდება ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში „ბერძნული სამყარო კრიზისებისა და	ლუნდი, შვედეთი	6

			აღმავლობის პერიოდში 1204-2018“, სტატია (ინგლისურად)		
2	Ana Chikovani	*The representation of immigrants in Dimitris Nollas' literary works (ემიგრანტების ასახვა დიმიტრის ნოლასის შემოქმედებაში)*	იბეჭდება ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში „ბერძნული სამყარო კრიზისებისა და აღმავლობის პერიოდში 1204-2018“, სტატია (ინგლისურად)	ლუნდი, შვედეთი	7
საბერძნეთისაკენ მიგრაცია პოლიტიკური, სოციოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით ფართოდ არის განხილული და შესწავლილი. თუმცა ჯერ კიდევ ერთ-ერთი შედარებით ნაკლებად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე ბერძენ ავტორთა მიერ ემიგრანტების აღქმა და ასახვა. ნაშრომში წარმოვაჩენთ არსებული სოციალური სიტუაციისადმი თანამედროვე ბერძნულ კულტურასა და ლიტერატურაში წარმოდგენილ დამოკიდებულებას, რასაც დიმიტრის ნოლასის ლიტერატურულ ნაწარმოებების მაგალითზე განვიხილავთ. როგორც კვლევამ აჩვენა, საბერძნეთში, მეოცე საუკუნის ბოლოს მიგრანტების აქტიური გადაადგილება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „სხვა“-ს, „უცხოს“ მიმართ დამოკიდებულების გადააზრების საკითხში. დიმიტრის ნოლასის ნაწარმოებები ცხადყოფს, რომ დამოკიდებულება მიგრანტების მიმართ იცვლება. ლიტერატურაში ემიგრანტების წარმოდგენის ახლებური ხედვა შესაძლოა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ბერძნულ საზოგადოებაში „სხვის“, „უცხოს“ მიმართ არსებული დამოკიდებულების ცვლილებასთან.					
3	Irine Darchia	„დანაიდების ტეტრალოგია აღდგენილი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში“	გადაცემულია დასაბეჭდად საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: „სპექტაკლი ნაწყვეტებში“	ლონდონი	

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა	უცხოურ სიტყვათა გადმოტანის ძირითადი პრინციპებისათვის ქართულად	5-6.06.2019 ქუთაისი
ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გამოცემიდან 40 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა დღესაც აქტუალურია.სტატიაში განხილულია ბერძნული წარმოავლობის სიტყვათა გაფმოცემის საკითხი ქართულში თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით.			

2	თინა დოლიძე	St Gregory of Nyssa's Theory of Language (პლენარული მოხსენება)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5: „შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“ , ბათუმი, 11-13 ოქტომბერი, 2019, თეზისები
3	ეკატერინე კობახიძე	The Earliest Images of the Myth about Argonauts (არგონავტების მითის უადრესი გამოსახულებები)	9th EMF, Eurasian Multidisciplinary Forum, Organizer- ESI- European Scientific Institute,& Grigol Robakhidze University, 4-5 სექტემბერი, ბათუმი
4	ეკატერინე კობახიძე	ანტიკურობის კიდევ ერთი რეცეფცია „ვეფხისტყაოსანში“	I საერთაშორისო კონფერენცია“საქართველო და ქრიტიანული ცივილიზაცია“. ორგანიზატორები: თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ვარშავის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. 11-13 სექტემბერი, თბილისი, თსუ

რუსთაველის თხზულებაში ბერძნულ-რომაული ტრადიციის კვალის აღმოჩენა კვლავაც გრძელდება, რის ნათელ მაგალითსაც, ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანში" ბერძნული მითის რეცეფციის ახალი შემთხვევა უნდა წარმოადგენდეს. რეცეფციის ეს ნიმუში უკავშირდება ავთანდილის თავგადასავლის იმ ეპიზოდს, რომელიც გადმოცემულია თავში „წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთან შეყრა" (სტროფები 1034-1069), სადაც ვაჭრად გადაცმული მთავარი გმირი, სიკეთეს, ჩაგრულთა ქომაგს რომ განასახიერებს, მარტოდმარტო ისწრაფვის სასტიკ მეკობრეებთან შესაბმელად და ღვთის შემწეობით ადვილად ამარცხებს მათ. მეკობრეები უძველესი დროიდან ჩანან მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რომლებიც როგორც ისტორიულ მოვლენებს, ისე ლეგენდებსა და მითებს ასახავს. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე არქაულსა და ამავდროულად, დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროში საკმაოდ პოპულარულ სიუჟეტს წარმოადგენს მითი დიონისესა და ტირსენიელ მეკობრეებზე. საინტერესოა, რომ სხვადასხვა საუკუნის ავტორები მითის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ. ჰომეროსის,

ევრიპიდეს და ოვიდიუსის შესაბამისი პასაჟებისაგან განსხვავებით, დიონისე ნონოსთან უდანაშაულო მსხვერპლი როდია, რომელიც მეკობრეებს შემთხვევით, ღვინით გაბრუებული გადაეყარა, არამედ ნადავლზე გახელებულ ავაზაკებთან მებრძოლი გმირი, რომელიც თავად უგებს მახეს მეკობრეებს. „ვეფხისტყაოსნის" ზემომოყვანილ ეპიზოდსა და „დიონისიაკას" მოცემულ პასაჟს შორის გარკვეული პარალელები შეინიშნება, რაც საკმაოდ სცილდება ტიპოლოგიური მსგავსების დონეს. ორივე თხზულებიდან მოყვანილი ამონარიდების შედარებისას აშკარა ხდება, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი იცნობდა მითს დიონისესა და ტირსენიელი მეკობრეების შესახებ, მეტიც- მისი ლიტერატურულ დამუშავების იმ ვარიანტს, რომელიც ნონოსის „დიონისიაკაშია" წარმოდგენილი. დღეს ფსევდო-ნონოსად წოდებული ნონოსის, გრიგოლ ნაზიანზელის კომენტატორისა და „დიონისიაკას" ავტორის ნონოს პანოპოლისელის ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი შუა საუკუნეებში საერთოდ არ განიხილებოდა. მითუმეტეს, რომ ნონოსი, მიუხედავად „დიონისიაკას" ერთი შეხედვით, არაქრისტიანული შინაარსისა, იყო ავტორი სხვა ნაშრომისა, რომლის სათაურია „იოანეს სახარების პერიფრაზი". ლექსად შეთხზულ ამ ნაწარმოებში ნონოსი ავლენს ქრისტიანული ეგზეგეტიკის და მათ შორის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ღრმა ცოდნას, რაც თანამედროვე მეცნიერებაში დაწვრილებითაა შესწავლილი.ნონოსის „დიონისიაკა" შუა საუკუნეების ქრისტიანი მკითხველისთვის არ აღიქმებოდა წარმართობის ე.წ. „პროპაგანდად", არამედ ანტიკური ტრადიციის ერთგვარ „გახსენებად", რაც მისი ავტორის მიმართ არსებული ნდობითა და იმ პერიოდში ნეოპლატონური ფილოსოფიის გავლენის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას. ნეოპლატონური ფილოსოფიის კონტექსტში ნონოსის აღქმა ბუნებრივად ჩაითვლება, თუკი გავიზიარებთ იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ნონოსის „დიონისიაკამ", ქრისტიანულ პოეზიას ნეოპლატონიკური მოდელების მიღებისკენ გზა გაუკვალა. ამრიგად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", რომელშიც ნეოპლატონიზმის კვალზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება შუა საუკუნეებში პოპულარული, ნეოპლატონური სულისკვეთებით გამსჭვალული „დიონისიაკას" რეცეფციის არსებობა. ამასთან, ქართულ სინამდვილეში მითს დიონისესა და ტირსენიელი მეკობრეების შესახებ, გარკვეული ტრადიცია ჰქონდა ხელოვნებასა და ზეპირ გადმოცემებში, რამაც „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მითის ლიტერატურული ინტერპრეტაციით დაინტერესება და რეცეფციისთვის „დიონისიაკადან" ამ კონკრეტული პასაჟის შერჩევა განაპირობა.			
5	ქეთევან ნადარეიშვილი	მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური პროცესები მხატვრული ხელოვნების კონტექსტში: ოლგა ტაქსიდუს პიესა – „მედეა – გახლეჩილი სამყარო" და მისი ინტერპრეტაცია მ. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი: „1980-90 წლების მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სექტემბერი 25-27, თბილისი
6	ქეთევან ნადარეიშვილი	ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლის საკითხი ბერძენი მწერლების (მემნონ, აპიანუსი, დიო კასიუსი, პლუტარქოსი) რეპრეზენტაციებში	საერთაშორისო კონფერენცია, ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში",აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, ნოემბერი 1-2

7	მანანა ფხაკაძე	Nihil novi sub sole	საერთაშორისო კონფერენცია, ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნოემბერი 1-2, 2019 ქუთაისი
8	მანანა ფხაკაძე	„ქართლის ცხოვრების“ ლათინური წყარო“	საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში 5“. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 11-14 ოქტომბერი 2019, ქ. ბათუმი
9	მაკა ქამუშაძე	საქართველოში არსებული ბერძნული საგანმანათლებლო ცენტრები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში - საარქივო მასალა	საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის საერთაშორისო კონფერენცია „ნეოგრეცისტიკა საქართველოში 3“, თბილისი, თსუ 4-5 დეკემბერი 2019
საქართველოს ეროვნულ არქივში ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ამსახველი არაერთი დოკუმენტი თუ ფოტომასალაა დაცული. მათ შორის არის დოკუმენტები, რომლებიც ეხება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში (30-იან წლებამდე) საქართველოში ბერძნული სკოლების გახსნასა და მათ ფუნქციონირებას. როგორც ცნობილია, საქართველოში ბერძნების მასობრივი გამოჩენა ერეკლე II სახელს უკავშირდება. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის ფარგლებში ბერძნების ჩამოსახლების პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამის გამომწვევი არერთი მიზეზი არსებობდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იქონია რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე ომებმა. ბერძნული მოსახლეობის არსებობამ თავისთავად გამოიწვია ისეთი სკოლების გახსნა, სადაც ბერძნული ენა ისწავლებოდა. არქივში დაცული მასალის თანახმად, ბერძნული სკოლები არსებობდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.			
10	სოფიო შამანიდი	თანამედროვე ბერძნული დრამატურგია და ი. კაბანელისი Ancient drama in Modern Greek playwriting and Iakovos Kabanellis	საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის საერთაშორისო კონფერენცია „ნეოგრეცისტიკა საქართველოში 3“, თბილისი, თსუ 4-5 დეკემბერი 2019
11	ანა ჩიქოვანი	Blood feud and religious (in)tolerance in selected works of Modern Greek and Georgian Literature (Nikos Kazandzakis - Vazha Pshavela) სისხლის აღების წესი და რელიგიური შე(უ)მწყნარებლობა	საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის საერთაშორისო კონფერენცია „ნეოგრეცისტიკა საქართველოში 3“, თბილისი, თსუ 4-5 დეკემბერი 2019

		ახალი ბერძნული და ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით (ნიკოს კაზანძაკისი-ვაჟა-ფშაველა)	
12	ზაზა ხინთიბიძე	კლასიკურ ბერძნულ და რუს-თველისეულ ანთროპოლოგიურ-ფსიქოლოგიურ თვალსაზრისთა ურთიერთმიმართებისათვის („გული, ცნობა და გონება...“)	თბილისი 26-27 სექტემბერი

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tina Dolidze	Advocating for Theological Language as a Special Linguistic System	18th International Conference on Patristic Studies, Oxford 19th - 23nd August 2019
მოხსენებაში წამოჭრილი იყო ორი მთავარი საკითხი: ა) ახასიათებს თუ არა პატრისტიკულ ტექსტებს განსაკუთრებული ენობრივი შედგენილობა და ბ) შეიძლება თუ არა მას თეოლოგიური ენა ეწოდოს. ორიგენე (II-III სს.), როგორც ბიბლიის ენის პირველი თეორეტიკოსი, ორ განსხვავებულ ენას გამოყოფს – ბერძნული ინტელექტუალიზმის ლოგიკურ-დისკურსიულ ენასა და ბიბლიურ ნარატივს. არსებითად, ამ ორი ენობრივი მოდელის კომბინაციით შეიქმნა პატრისტიკული ღვთისმეტყველების ერთიანი ენობრივი სისტემა, რომელიც ასრულებს რეფერენციულ ფუნქციას მისი საკუთარი რეფერენტის – თეოლოგიური აზროვნების მიმართ. ქრისტიანული ღვთისმეტყველების ამ ახალ ენობრივ პროდუქტს აქვს საკუთარი სემანტიკური პრინციპები და შემადგენელი ელემენტები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევას მოითხოვენ. წარმოდგენილი მოხსნება, ცხადია, ვერ დაისახავდა ამგვარ მიზანს. ის, კერძოდ, შეეხო მხოლოდ თეოლოგიის ენის უმთავრეს მახასიათებლებს. მოხსენებაში ჯერ ზოგადად დავახასიათე პატრისტიკის თეოლოგიური ენის სემანტიკური ასპექტი, შემდეგ კი წარმოვადგინე ამ ენის სტურუქტურული ელემენტების ჩემეული სქემა. ანალიზს წინ უძღოდა ორი თეორიული წანამძღვარი: პირველის მიხედვით, პატრისტიკის ტექსტებში მოცემული ენობრივი ქმედება ასახავს პატრისტიკის ენის თეორიის დებულებებს; მეორე წანამძღვრის მიხედვით – საღვთისმეტყველო ენის თეორიაც და პრაქტიკაც ეკლესიის მამათა ნაწერებში ენას ონტოლოგიურ მონაცემად წარმოიდგენს. ამ მოცემულობათა ფაგლებში გავაანალიზე თეოლოგიური ენის არსებითი სემანტიკური მახასიათებლები, როგორიცაა: ა) ენის ომონიმურობა; ბ) ურთიერთგადაჯაჭვული დენოტაციები; გ) რელიგიურ გამონათქვამში ჩართული სიჩუმის ბუნება და დ) თეოლოგიური არტიკულაცია, როგორც მიმეტიკური ნიშანი. საღვთისმეტყველო ენის სტრუქტურის პირველად სქემაში მოვხაზე თეოლოგიური დისკურსის მიკრო და მაკრო ენობრივი ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრივ საღვთისმეტყველო ენის სტრუქტურის ძირითად მახასიათებლებს.			
2	Ekaterine Kobakhidze	The First image of Medea in Etruscan Art?	International Congress “In thy arms I lost myself”- Images, Perceptions and Productions in/of Antiquity, School of Social Sciences and Humanities,

			University Nova de Lisboa and University of Azores 9-11 October, Lisbon

It is noteworthy that there has been no complex study of the appearance of Medea in Etruscan art, which is important in providing a complete account of the role of Medea not only in Etruscan but also in Antique and world culture.

It is apparent that the chronology of the spread of the Argonaut myth in Etruria cannot be directly connected to the appearance of Medea's image on products made in local Etruscan workshops, because it was naturally preceded by the import of works of Greek art (mostly ceramic) showing this myth into Etruria.

Greek myths also appear on ceramic products belonging to various periods in the wake of imported ceramics.

Locally produced ceramics divided into a few classes from the end of the 8th century to the first quarter of the 6th century BC belong to the earliest period. These are: Etruscan geometric ceramics, painted ceramics of the Orientalist period from Caere, ceramics with white figures done on a red background, the so-called white on red, bucchero, and Etruscan-Corinthian ceramics.[1]

A supposed image of Medea first appeared in world art on Etruscan ceramics made from bucchero during the Orientalist period. Particularly, a hydria dating from 660-640 BC has been found in the Etruscan city of Caere (Etr. Cisra, Gr. Agylla (modern-day Cerveteri)), where according to widespread opinion, Medea and a three-headed dragon have been pictured.

I suppose, that the amphora discovered in Cerveteri with the image of the woman and a three-headed snake is not connected to Medea and must supposedly reflect the voyage of a deceased person to the underworld or some ritual connected to their burial, where the three-headed serpent is a depiction of a creature living in (or guarding) the underworld, with this creature in turn being approached by a priestess or goddess (possibly Angitia or Vanth), or the deceased herself.

3	Ana Chikovani	Τα ήθη και τα έθιμα στα έργα του Στρατή Μυριβήλη – წეს-ჩვეულებები სტრატის მირივილისის შემოქმედებაში	ბალკანეთის ქვეყნების ნეოგრეცისტთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, 22-24 ნოემბერი, თრაკის დემოკრიტეს სახელობის უნივერსიტეტი, კომოტინი, საბერძნეთი

აღნიშნული კონფერენციის თეზისები გვ. 19-20. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.he.duth.gr/sites/default/files/activities/book_of_abstracts.pdf

მითოლოგიურისა და ქრისტიანულის თუ ხალხური სიტყვიერებისა და ქრისტიანულ თქმულებათა სინთეზი სტრატის მირივილისის მთელ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს. მირივილისის შემოქმედებაში ლიტერატურული კუთხითაა გაშუქებული ხალხური რელიგიური აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ისტორია, მითოსი, კულტი, რიტუალი, წეს-ჩვეულებები. მისი ნაწარმოებები მდიდარია საინტერესო მიგნებებითა და ინტერპრეტაციით. ნაშრომში განხილულია წარმართული სარწმუნოების, წინაქრისტიანული ხანის რელიგიური აზროვნებისა და მასთან შერწყმული მართლმადიდებლური ქრისტიანული წეს-ჩვეულებების მაგალითები, რომლებიც აღეწრილია მირივილისის ლიტერატურულ შემოქმედებაში. მირივილისის შემოქმედება ეთნოგრაფიული და ფოლკლორული საკითხებისადმი ახლებური მიდგომის, ნოვატორული ცდისა და ტრადიციული სულიერი კულტურის ინტეგრირებული და რეტროსპექტული ასახვის მაგალითს წარმოადგენს. მის ნოველებსა და რომანებში წარმოდგენილია სხვადასხვა მითო-რელიგიურ სისტემათა მონაცვლეობა, სხვადასხვა წეს-

[1] Bellelli 2008, 27

ჩვეულებები, რაც ერთობლიობაში მწერლის თანამედროვე საბერძნეთის სინამდვილეს ასახავს.			
4	ირინე დარჩია	სპექტაკლი ნაწყვეტებში (Performance in Pieces) „დანაიდების ტეტრალოგია აღდგენილი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში“ (The Danaid Tetralogy Reconstructed in the Georgian Literature and Theatre)	ნოტრ დამის უნივერსიტეტის (აშშ) კამპუსი ინგლისში, ლონდონი, ინგლისი 03.07.2019
5	ირინე დარჩია	„ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ (The Current Issues of Phylosophy and Pshychology) (მიძღვნილი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი);„ფერების მიღების შესახებ პლატონისა და დემოკრიტეს მოსაზრებების თანამედროვე ინტერპრეტაციისთვის“ (For Modern Appreciation of Plato’s and Democritus’s Views on Colour Derivation)	ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი 11-12.10.2019

ინსიტუტში განხორციელებული დამატებითი აქტივობები
2019 წლის 3 დეკემბერს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის კათედრის თანამონაწილეობით ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრთან ერთად გაიმართა **თეო კობუშის** (ბონის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი) სემინარი - „ნების გაგება ეკლესიის მამათა ფილოსოფიაში“

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კულტურის კვლევების სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ნინო ჩიქოვანი, პროფესორი (ხელმძღვანელი)
ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი
მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ პროფესორი
ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ქართული ნაციონალური იდენტობა და „მეხსიერების ადგილები“: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR17_624*	2018-2020	ნინო ჩიქოვანი, მკვლევარი ქეთევან კაკიტელაშვილი, მკვლევარი ირაკლი ჩხაიძე, მკვლევარი
2	საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR-18-3459*	2019-2022	ნინო ჩიქოვანი, მკვლევარი ქეთევან კაკიტელაშვილი, მკვლევარი; ივანე წერეთელი, მკვლევარი; ირაკლი ჩხაიძე, მკვლევარი; მაია ქვრივიშვილი, მკვლევარი; ქეთევან ეფაძე, მკვლევარი
3	„პოპულიზმი საქართველოში: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი YS-18-1461	2019-2020	ირაკლი ჩხაიძე, პროექტის ხელმძღვანელი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული დაპრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1. კვლევით პროექტს „ქართული ნაციონალური იდენტობა და 'მეხსიერების ადგილები': წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები" ათი მკვლევარი ახორციელებს. თითოეული მათგანი კონკრეტულ საკვლევ საკითხს ამუშავებს. ჩემი ამოცანაა მთაწმინდის პანთეონის, როგორც მეხსიერების იმ ადგილის შესწავლა, რომელმაც „სიმბოლური არის" ადგილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნა. ისტორიული განგრძობადობის სრულიად თვალსაჩინო ფაქტთან ერთად, მისი სოციალური ფუნქცია და დანიშნულება ეპოქების მიხედვით იცვლებოდა, ისევე როგორც ხერხები, რომლებიც გამოიყენებოდა მისი მნიშვნელობის შენარჩუნებისათვის. მიმდინარე წელს შევისწავლე პანთეონის არსებობის მანძილზე მისთვის მინიჭებული მნიშვნელობების დინამიკა საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის შემდეგ, კერძოდ, გმირების კონსტრუირება-დეკონსტრუირება-ტრანსფორმაცია, ასევე წარსულთან დაკავშირების ხერხები და მათი ცვალებადობა. მოვამზადე და ჟურნალში „Caucasus Survay" დასაბეჭდად გადავეცი სტატია „მთაწმინდის პანთეონი: მეხსიერების არე და იდენტობის სიმბოლო".

2. კვლევით პროექტში „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე" მონაწილეობს კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ხუთი მკვლევარი. მიმდინარე წლის ამოცანის შესაბამისად, შევისწავლე კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიები და ჩამოვაყალიბე კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო. გარდა ამისა, შევადგინე ბიბლიოგრაფიის ნუსხა.

3. პროექტის „პოპულიზმი საქართველოში: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ" მიზანია ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებების შესწავლა დასავლური სივრცისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ასევე, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც განაპირობა ორი ურთიერთდაპირისპირებული ნარატივის ფორმირების პროცესი. პროექტის განხორციელების შედეგად, კვლევა გვაჩვენებს პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური გზის წინააღმდეგობრივ ხასიათს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ დონეზე შეუქცევადი დასავლური ორიენტაცია რთული სოციალური პროცესების ფონზე მიმდინარეობს. აღნიშნულის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული ტენდენციები, სადაც სინქრონულად მიმდინარეობს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პროცესი. ვფიქრობთ, რომ ეს ტენდენცია დამოუკიდებლობის შემდგომ ჩამოყალიბებული განსხვავებული ნარატივების შედეგია, რომელთა დინამიკაში ანალიზი დაგვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ არის ქართული საზოგადოების დასავლეთისადმი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელი.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჩიქოვანი	The Palgrave Handbook of Conflict and History Education in the Post-Cold-War Era. Ed. by Luigi Cajani, Simone Lässig and Maria Repoussi. საქართველო (თავი 18)	Palgrave Macmillan, 2019	გვ. 245-258
2	ნინო ჩიქოვანი	*La Montagne des Langues et des Peuples. Imbrications et Transferts dans L'Espace du Caucase.* Ed. Michel Espagne, Hamlet Isaxanli et Shahin Mustafaev. თბილისი როგორც კროსკულტურული ურთიერთქმედების ცენტრი (მე-19-20 საუკუნეების მიჯნა)	Editions Demopolis, Paris, 2019	გვ. 351-373
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული ისტორიის ხელახალი გააზრება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის შემადგენელ ნაწილად მოგვევლინა. წარსულს/ისტორიას მიმართავდნენ ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციისთვის, მასში ეძიებდნენ პასუხებს ახალ გამოწვევებზე, რომლებიც ქვეყნის წინაშე იდგა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ადგილისა და როლის განსაზღვრა როგორც ქვეყნის თანამედროვე ცხოვრებაში, ასევე წარსულში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური და მრავალკულტურული სახელმწიფოსათვის. როგორც ცნობილია, საერთო წარსული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია, ამიტომ ისტორიისადმი მიმართული აღმოჩნდა როგორც უმრავლესობის, ასევე ეთნიკური უმცირესობების ყურადღება. კამათი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი, საბჭოთა ვერსიისგან განსხვავებული ნარატივი და ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია, გაართულა ეთნიკურმა კონფლიქტებმა და			

პოსტკონფლიქტური ტრავმული მეხსიერების ჩამოყალიბებამ. ნაშრომი იწყება კამათის ისტორიული საფუძვლების მოკლე მიმოხილვით, შემდეგ მოდის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა: როგორც უნდა ასახულიყო ეთნიკური უმცირესობების ადგილი და როლი ქვეყნის ისტორიაში, ვინ განისაზღვრებოდა როგორც „ჩვენ“ და ვინ - როგორც „სხვა“; რა გავლენას ახდენდა ამაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. მესამე ნაწილი წარმოგვიდგენს სვლას ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ და ამ პროცესის გამოვლენას პოლიტიკურ და საისტორიო დისკურსში. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია „პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე „ისტორიათა ომების“ თავისებურებანი.

2. თბილისი, თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ისტორიის მანძილზე, კულტურათა შეხვედრის და ურთიერთქმედების საინტერესო ადგილს წარმოადგენდა. ჩვენი მოხსენების თემად არჩეული პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ამ თვალსაზრისით, რასაც რამდენიმე მომენტი განაპირობებდა: მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში რუსეთის იმპერიული მმართველობის დამყარება დაიწყო, რასაც კავკასიის ხალხთა ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება მოჰყვა; თბილისი კავკასიის ოფიციალურ პოლიტიკურ ცენტრად იქცა; საუკუნის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ შემადგენლობაზე, კულტურულ ცხოვრებაზე, ზოგადად, ცხოვრების წესზე. საუკუნეების განმავლობაში, თბილისი მხოლოდ ქართველთა ქალაქი არ ყოფილა, აქ მრავალი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობდა. არა მხოლოდ შედარებით შორეულ წარსულში, არამედ რამდენიმე ათეული წლის წინაც კი, სანამ თბილისში ჯერ კიდევ არსებობდა დღეს თითქმის გამქრალი ქალაქური ეზოს ფენომენი, იქ მცხოვრები ადამიანები რამდენიმე ენაზე თავისუფლად საუბრობდნენ, არც შერეული (ეთნიკურად და რელიგიურად) ოჯახები წარმოადგენდა იშვიათობას. ამასთან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, თბილისი მუდამ რჩებოდა საქართველოს (უფრო მეტიც, ქართულ) ქალაქად, მაშინაც კი, როცა ეთნიკური ქართველები ქალაქის მოსახლეობაში რაოდენობრივ უმრავლესობას არ შეადგენდნენ. თბილისის კულტურულ რეალობას მკვლევართა ნაწილი მრავალკულტურულ კოსმოპოლიტიზმს უწოდებს. ნაშრომში შესწავლილია, როგორ და რა ფაქტორების გავლენით იცვლებოდა ეს „მრავალკულტურული კოსმოპოლიტიზმი“ მე-19 საუკუნის მანძილზე.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჩიქოვანი	ახალი მეხსიერება - ახალი იდენტობა: აქტიური დავიწყება ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში (საქართველო 1990-2000-იან წლებში). ISSN: 2587-456X, http://psage.tsu.ge/index.php/Easternstudies/index	Eastern Europe-Regional Studies, 2019, 1	FP 7 follow-up project elaborated by the participants of the FP7 program, sponsored by the European Commission and realized by the Moldova State University, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the Diplomatic Academy of	8 გვ.

				Ukraine of the Ministry of Foreign Affairs of Ukraine	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩვენი შესწავლის საგანია წარსულისაგან გამიჯვნის, მისი დავიწყების ფორმები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოში ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში. წარსულის საზიარო მეხსიერება კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელია. კოლექტიური მეხსიერება კრავს, ამჭიდროებს ადამიანთა ერთობას და აყალიბებს კოლექტიურ იდენტობას. სწორედ მეხსიერება გვაძლევს შესაძლებლობას, გავიაზროთ საკუთარი ვინაობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე. კვლევა ემყარება მორის ჰალბვაქსის კონცეფციას მეხსიერების როგორც კონსტრუირებული ფენომენის შესახებ. მის საფუძველზე, საშუალებას გვაქვს თვალი მივადევნოთ, თუ რა იყო „ზემოდან ქვემოთ“ შეთავაზებული დასამახსოვრებლად თუ დასავიწყებლად და რამდენად „მუშაობდა“ ეს შეთავაზებები. საკითხს განვიხილავთ აქტიური და პასიური დავიწყების ცნებების გამოყენებით, რომლებიც ალეიდა ასმანმა დაამკვიდრა. პირველი გულისხმობს წარსულის ხატის მიზანმიმართულ უარყოფასა და დანგრევას, მეორე კი არამიზანმიმართულ აქტებს, როცა ობიექტები მატერიალურად არ ნადგურდება, არამედ ყურადღების მიღმა რჩება, კარგავს მნიშვნელობას და გამოყენებას. დამახსოვრება-დავიწყების აქტები იმ ობიექტებისკენაა მიმართული, რომლებსაც პიერ ნორა „მეხსიერების არეებს“ უწოდებს და კოლექტიური მეხსიერების კულტურული უზრუნველყოფის საშუალებად მიიჩნევს.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	„მთაწმინდის პანთეონი - მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო“	18-20 ოქტომბერი, 2019, ქუთაისი
2	ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი	„მულტიკულტურული რეალობის გამოცდილება: სწავლება და კვლევა თსუ კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტში“	9 მაისი, 2019, თბილისი
3	ნინო ჩიქოვანი	„ახალი მეხსიერება - ახალი იდენტობა: აქტიური დავიწყება ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში (1990-2000-იანი წლების საქართველო)“	14-15 მაისი, 2019, ბათუმი
4	ქეთევან კაკიტელაშვილი	„ქართველი ებრაელთა თვითიდენტიფიკაციის პრობლემა და ქართული ინტელექტუალური დისკურსი მე-20 საუკუნის დასაწყისში“	18-20 ოქტომბერი, 2019, ქუთაისი
5	ქეთევან კაკიტელაშვილი	„ებრაელთა იდენტობის განსაზღვრის საკითხი საქართველოს დემოკრატიული	24-26 ოქტომბერი, თბილისი

		რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)“	
6	ქეთევან კაკიტელაშვილი	„ეკოლოგიური კატასტროფის ტრანსფორმაცია კულტურულ ტრავმად (აჭარის 1989 წლის სტიქიური უბედურების მაგალითი)“	27-28 სექტემბერი, თბილისი
7	ქეთევან კაკიტელაშვილი	„რელიგიური და ნაციონალური იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხი ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში: ქართველ ებრაელთა და ქართველ მუსლიმთა მაგალითები“	22-23 ოქტომბერი, თბილისი
8	ივანე წერეთელი	„ეროვნული იდენტობების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა საქართველოში (XIX-XX მიჯნა)“	18-20 ოქტომბერი, 2019, ქუთაისი
9	ივანე წერეთელი	„გამარჯვების ტრავმა “1990-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში“	27 სექტემბერი 2019, თბილისი
10	ივანე წერეთელი	“სხვა თუ მტერი - ქართველთა მიერ ოსების აღქმა დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე“	14-15 მაისი, 2019, ბათუმი
11	მაია ქვრივიშვილი	იდენტობის პრობლემა ტრანზიციის პერიოდის საქართველოში	18-20 ოქტომბერი, 2019, ქუთაისი
12	მაია ქვრივიშვილი	საბჭოთა იდენტობის/მეხსიერების ჩამოყალიბება (რამდენიმე ასპექტი)	27 სექტემბერი 2019, თბილისი
13	მაია ქვრივიშვილი	საბჭოთა იდენტობის მარკერების ფორმირება და მეხსიერების პოლიტიკა	14-15 მაისი, 2019, ბათუმი
14	ირაკლი ჩხაიძე	„პოპულიზმი და დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“	18-20 ოქტომბერი, 2019, ქუთაისი
15	ირაკლი ჩხაიძე	„ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი“	14-15 მაისი, 2019, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

1. დაიბეჭდა.

2. მოხსენებაში განხილულია თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი მიმართულებები. დაწვრილებით არის განხილული იუნესკოს მხარდაჭერით განხორციელებული კვლევითი პროექტები „ინტერკულტურული დიალოგის კვლევისა და სწავლების ხელშეწყობა საქართველოში (ხერხები, მეთოდები, მიდგომები)“, „სამხრეთ კავკასიის ქალაქები როგორც ინტერკულტურული დიალოგის ცენტრები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი)“, გაანალიზებულია ჩეხეთის საგარეო ურთიერთობათა კვლევის ასოციაციისა და ვიშეგრადის ფონდის, ევროკლიოსა და ისტორიის პედაგოგთა საქართველოს ასოციაციის, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის, International Alert-ის, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF), COBERM-ის, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისას და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით განხორციელებული საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტები, ტემპუსის პროექტი „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების აღზრდისათვის“, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს მრავალკულტურული რეალობისა და აქ არსებული დიალოგის გამოცდილების შესწავლას. განხილულია საქართველოსა და უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მაგალითები მულტიკულტურული რეალობის პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების, აგრეთვე ინტერკულტრული დიალოგის გამოცდილების შესწავლის კუთხით.
3. დაიბეჭდა.
4. ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფციები, რომელიც ჩამოაყალიბა და განავითარა ებრაელ ინტელექტუალთა სხვადასხვა ჯგუფებმა და გააანალიზოს მათი მიმართება ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დისკურსთან 1910-იანი წლებში. კვლევა ეფუძნება ქართულენოვანი პრესის მასალებს. მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ებრაელების საკითხი ქართულ ინტელექტუალურ დისკურსში - მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ეს კონტექსტი მნიშვნელოვანია, რადგან ქართველ ებრაელთა იდენტობის უმთავრესი ასპექტები სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. ამ კონტექსტმა განაპირობა „ასიმილატორთა“ იდეებისათვის ხელშემწყობი ინტელექტუალური გარემო. „ასიმილატორთა“ კონცეფცია და დებატები ებრაელთა იდენტობის შესახებ სამ დაპირისპირებულ ჯგუფს - „ასიმილატორებს“, სიონისტებსა და აგუდათ ისრაელს შორის. შორის. ებრაელთა აღქმა ქართულ ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დისკურსში 1910-იანი წლების ბოლოს.

5. კვლევის მიზანია აღადგინოს ებრაელთა იდენტობის საკითხთან დაკავშირებული დებატები საჯარო და პოლიტიკურ დისკურსში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების იდენტობისა და სტატუსის განსაზღვრა იყო. ეს შეეხო ებრაულ ჯგუფსაც, რომელიც ორი თემის - ქართველი ებრაელებისა და აშკენაზების სახით იყო წარმოდგენილი. მათი წარმომადგენლები განსხვავებულად ხედავდნენ საკუთარ ადგილს ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. თუმცა, არც ქართველ ებრაელთა თემი გამოირჩეოდა ერთსულოვნებით. კვლევაში გაანალიზებულია 1910-იან წლებში ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფციები და მათი გავლენა ქართულ საჯარო და პოლიტიკურ დისკურსზე. ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ მსჯელობდნენ ქართველი ინტელექტუალებიც. 1918 წელს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ დებატებმა პრესიდან პოლიტიკურ სფეროში გადაინაცვლა. საქართველოს ეროვნული საბჭო აქტიურად მსჯელობდა იმის შესახებ, თუ რამდენი მანდატი უნდა ჰქონოდათ ქართველ ებრაელებს დამფუძნებელ კრებაში და უნდა ჰქონოდათ არუ არა საერთოდ, რადგან მათი ნაწილის მტკიცებით, ისინი ქართული ნაციონალური ერთობის წევრები იყვნენ. საბოლოოდ, ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართველ ებრაელებს, როგორც რელიგიურ ჯგუფს მიენიჭა ორი მანდატი, ხოლო „სხვა ებრაელებს“, ანუ აშკენაზებს, როგორც

ეთნიკურ ჯგუფს - ერთი. ამგვარად, ქართველ ებრაელთა იდენტობა რელიგიური განზომილების ფარგლებში განისაზღვრა. კვლევა ეყრდნობა ქართულ პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც განსაკუთრებით ცხადად ასახავს ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ მიმდინარე დისკუსიას მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

6. მოხსენების მიზანია აჩვენოს, თუ როგორ ტრანსფორმირდება სტიქიური უბედურება კულტურულ ტრამვად და გამოავლინოს ამ პროცესის განმაპირობებელი სავარაუდო მიზეზი. 1989 წლის აპრილის ეკოლოგიური კატასტროფა აჭარაში ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოხდა ბუნებრივი მოვლენის გარდაქმნა, მისი გააზრება სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად და როგორ დაუკავშირდა ის სხვა ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც მჭირდოდ არის დაკავშირებული კულტურულ მეხსიერებასა და იდენტობასთან. ამ მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია ტექსტები, ძირითადად საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ამ მოვლენების თანადროულია და ასახავს იმ ემოციებსა და ასოციაციებს, რომლებიც მყისიერად გაჩნდა სტიქიური უბედურების კვალდაკვალ. სავარაუდოდ, ამ ბუნებრივი უბედურების მასშტაბურობამ, 9 აპრილის ტრაგედიასთან დროში სიახლოვემ და უკვე არსებულმა მძაფრმა ემოციურმა გარემომ, ისევე როგორც ზოგადად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების შედეგად გამძაფრებულმა ნაციონალური იდენტობის განცდამ განაპირობა აჭარის ეკოლოგიური კატასტროფის ტრანსფორმაცია საერთო ეროვნულ ტრაგედიად და კულტურულ ტრავმად.

7. ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს იდენტობის ფორმირების საწყისი ეტაპი საქართველოში და წარმოაჩინოს ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ფაქტორების მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის კონცეფციის ფორმირებისას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში, ისევე როგორც სხვა იმპერიულ სივრცეებში, აქტუალური გახდა ნაციონალური იდენტობის ფორმირების საკითხი. საქართველოს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება და საკუთრივ ქართული ეთნიკური ჯგუფის რელიგიური სიჭრელე ამ პროცესის სირთულეს კიდევ უფრო ამძაფრებდა. არამართლმადიდებელი ქართველების ნაციონალური იდენტობის საკითხი განსაკუთრებით მძაფრად დადგა დღის წესრიგში. ქართველი მუსლიმების, კათოლიკეებისა და გრიგორიანების იდენტობის საკითხის აქტუალიზაციის პარალელურად, ქართველ ებრაელთა იდენტობის პრობლემაც დისკუსიის ცენტრში მოექცა. ამ კონტექსტში განხილვის მთავარი საგანი გახდა რელიგიისა და კულტურული ფაქტორების მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის. უპირატესი მნიშვნელობა იდენტობის განსაზღვრის თვალსაზრისით მიენიჭა საზიარო წარსულსა და კულტურულ ფაქტორებს - ენას, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებ.

8. დაიბეჭდა.
9. დაიბეჭდა

10. ნაშრომის მიზანია, ვნახოთ როგორ აღიქვამს ეთნიკური ქართველი ეთნიკურ ოსს დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზე. გვაინტერესებს, რამ განაპირობა საბჭოთა პერიოდში მშვიდობიანი თანაარსებობის ჩანაცვლება კონფლიქტური მდგომარეობით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრობლემის საფუძველი გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ იდენტობის კრიზისს უკავშირდება. იდენტობასთან დაკავშირებული უმთავრესი კითხვები „ვინ ვარ მე?“ და „ვინ ვართ ჩვენ?“ 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის მწვავედ დაისვა. საბჭოთა პერიოდში ეთნოსებს შორის ურთიერთობა, ისევე როგორც სხვა საკითხები, ცენტრში, კრემლში წყდებოდა. ამდენად ყველაფერი დალაგებული და მოწესრიგებული იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებამ კი ეს ერთგვარი წესრიგი მოარღვია და ეთნოსებს შორის ურთიერთობა სახელმწიფოს გამოწვევად ჩამოყალიბდა.

11. დაიბეჭდა

12. დაიბეჭდა

13. დაიბეჭდა

14. დაიბეჭდა.

15. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებსაც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე იდენტობის კრიზისმა და ექსკლუზიურმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა და პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია განაპირობა. შემდგომ პერიოდში ვითარება შეიცვალა. პროდასავლური პოლიტიკური მისწრაფებების კვალდაკვალ, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა თანდათან შეიძინა სამოქალაქო მახასიათებლები. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულია დასავლეთის როგორც სიმბოლური, ასევე რეალური როლი პოსტსაბჭოთა ქართული საჯარო დისკურს(ებ)ის ფორმირებაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს დასავლური სამყაროსადმი დამოკიდებულებას ნაციონალურ იდენტობათა განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბების პროცესში.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	„მთაწმინდა როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური არე“	10-11 ოქტომბერი, 2019, ჟეშუვი (პოლონეთი)
2	ნინო ჩიქოვანი, მალხაზ მაცაბერიძე	“დიდი სამამულო ომიდან მეორე მსოფლიო ომისკენ: როგორ შეიცვალა მეხსიერება საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ“	27-28 სექტემბერი, 2019, კილი (გერმანია)
3	ნინო ჩიქოვანი	„დამოკიდებულება საბჭოთა წარსულის ტრავმული მემკვიდრეობისადმი (საქართველოს მაგალითი)“	25-28 ივნისი, 2019, მადრიდი (ესპანეთი)
4	ქეთევან კაკიტელაშვილი	„დებატები ქართული იდენტობის შესახებ მე-20 საუკუნის დასაწყისში“	10-11 ოქტომბერი, 2019, ჟეშუვი (პოლონეთი)
5	ივანე წერეთელი	„ახალი იდენტობების მშენებლობა დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში“	10-11 ოქტომბერი, 2019, ჟეშუვი (პოლონეთი)
6	ივანე წერეთელი	„კულტურული ტრანსფორმაცია სამოქალაქო კალენდარის მიხედვით: დღესასწაულები და ღირშესანიშნავი დღეები საქართველოში“	25-28 ივნისი, 2019, მადრიდი (ესპანეთი)
7	მაია ქვრივიშვილი	ახალი ქართული საზოგადოების ფორმირება (XIX-XX სს)	5-6 დეკემბერი 2019 წელი. ლისაბონი, პორტუგალია
8	ირაკლი ჩხაიძე	„ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ: პოპულისტური	24-25 ნოემბერი, 2019, ბოდო (ნორვეგია)

		ნაციონალიზმი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“	
9	ირაკლი ჩხაიძე	„სოციალიზმიდან ნაციონალიზმისკენ: ეროვნული პოპულიზმი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“	7-9 ნოემბერი, 2019, სოფია (ბულგარეთი)
10	ირაკლი ჩხაიძე	ევროპული ინტეგრაცია: საქართველოს სუვერენიტეტის საფრთხე თუ გარანტია?	20-22 ივნისი, 2019, მადრიდი (ესპანეთი)
11	ირაკლი ჩხაიძე ქეთევან კაკიტელაშვილი	„ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი“	25-28 ივნისი, 2019, მადრიდი (ესპანეთი)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ნაშრომი ეხება მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის - მეხსიერების იმ ადგილის სიმბოლიზაციის, ინსტიტუციონალიზაციისა და ტრანსმისიის პრობლემას, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის სიმბოლურ არედ არის მიჩნეული. პანთეონის შექმნის იდეა მე-19 საუკუნის მიწურულს გაჩნდა და, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, ქართული იდენტობის განმტკიცებისაკენ სწრაფვას უკავშირდებოდა. როგორც კოლექტიური მეხსიერების შექმნის საშუალება, მთაწმინდა მოიაზრებოდა გამორჩეულ პირთა განსასვენებელ ადგილად, რომლებიც ქართული იდენტობის საკვანძო ფიგურებად მიიჩნეოდნენ. იდეა განხორციელდა სრულიად განსხვავებულ ვითარებაში, 1929 წელს. მთაწმინდის სოციალური ფუნქცია, მისი მნიშვნელობის შენარჩუნების ხერხები იცვლებოდა როგორც საბჭოთა, ისე, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ნაშრომში შესწავლილია მთაწმინდის დომინანტური და ალტერნატიული ნარატივების დაპირისპირება, რომელიც დასამახსოვრებლად/დასავიწყებლად შერჩეული სახელებისა და მოვლენების ცვლილებით გამოიხატებოდა. კვლევა ემყარება ფაქტობრივ მასალას და თეორიულ შეფასებებს, რომლებიც გამოთქმულია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომში, აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტების და მედიაინფორმაციის ანალიზს. მას საფუძვლად უდევს თეორიული ჩარჩო, რომელიც კოლექტიურ მეხსიერებას კოლექტიური იდენტობის საფუძვლად განიხილავს.

2. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს, როგორც იცვლებოდა მეორე მსოფლიო ომის მეხსიერება საქართველოში საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. მას საფუძვლად უდევს კოლექტიური მეხსიერების, როგორც სოციალური კონსტრუქციის თეორია, შემოთავაზებული მორის ჰალბვაქსის მიერ; იგი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ, როგორ ინტერპრეტირდებოდა, მეხსიერებაში ინერგებოდა და გადაისინჯებოდა ფაქტები და მოვლენები 74 წლის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანი იყო იან და ალეიდა ასმანის კონცეფცია კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების შესახებ და პიერ ნორას *მეხსიერების არეების* იდეა, რომელსაც დაემყარა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული მეხსიერების ადგილების შექმნისა და გარდაქმნის პროცესის ანალიზი.

3. ნაშრომი ეხება საქართველოში საბჭოთა წარსულის ტრავმულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების საკითხს, რომელიც განხილულია კოლექტიური მეხსიერებისა და მეხსიერების არეების თეორიათა ჩარჩოში. წარსულთან დამოკიდებულების პრობლემა აქტუალური გახდა *პერესტროიკის* პერიოდში. მანამდე აკრძალული მოვლენები და სახელები განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა. საბჭოთა პერიოდისადმი დამოკიდებულება „წარსულთან ანგარიშსწორების“ ფორმით გამოვლინდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ახალმა ტრავმულმა მოვლენებმა - ეკონომიკურმა სიძნელეებმა, პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, სამოქალაქო ომმა. კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელთაც მოჰყვა დევნილთა ტალღები -

„გამარჯვების ტრავმის“ ჩამოყალიბება განაპირობა და მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების პრობლემა უკანა პლანზე გადასწია. ამ პროცესებთან გამკლავებას დაახლოებით 10-12 წელი დასჭირდა. შედეგად, მეხსიერების პოლიტიკა შედარებით გაწონასწორებული და უკეთ სტრუქტურირებული გახდა. ნაშრომში გაანალიზებულია ტრავმის არტიკულაციის ხერხები, რომლებიც გამოიყენებოდა საბჭოთა წარსულის ტრავმული მეხსიერების დაძლევისა და „ახალი მომავლის“ შესაბამისი „ახალი წარსულის“ შექმნისათვის. კვლევა ემყარება ტექსტური მასალებისა და მეხსიერების სხვა ადგილების ანალიზს.

4. მოხსენების მიზანია, აღადგინოს ებრაული იდენტობის ჩამოყალიბების კომპლექსური პროცესი საქართველოში. ნაშრომში მე-20 საუკუნის დასაწყისის პრესის მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია ებრაული იდენტობის სამი ურთიერთდაპირისპირებული კონცეფცია. პირველი მათგანი შემუშავებული იყო ებრაული ორგანიზაციის აგუდათ ისრაელის წარმომადგენლები მიერ, რომლებიც ცდილობდნენ ტრადიციული, სინაგოგის გარშემო კონცეტრირებული სათემო ცხოვრების შენარჩუნებას. მეორე კონცეფცია განავითარეს „ასიმილატორებმა“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ებრაელები მიეკუთვნებოდნენ ქართულ ნაციონალურ ერთობას, რასაც ასაბუთებდნენ იმ ფაქტით, რომ ქართველებსა და ებრაელებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული და საზიარო კულტურული გამოცდილება აერთიანებდათ. მესამე, სიონისტების კონცეფცია კი ეყრდნობოდა იდეას, რომლის თანახმად ქართველი ებრაელები მსოფლიო ებრაული დიასპორის ნაწილს წარმოადგენდა. ამ კონცეფციაში რელიგიას გადამწყვეტი ადგილი ეკავა, როგორც ებრაული იდებტობის განმსაზღვრელ ფაქტორს.
5. საბჭოთა პერიოდში ეთნოსებს შორის ურთიერთობა, ისევე როგორც სხვა საკითხები, ცენტრში, კრემლში წყდებოდა. ამდენად ყველაფერი დალაგებული და მოწესრიგებული იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებამ კი ეს ერთგვარი წესრიგი მოარღვია და ეთნოსებს შორის ურთიერთობა სახელმწიფოს გამოწვევად ჩამოყალიბდა. საკითხის წარმოჩენას შევეცდებით პრესის ანალიზის საფუძველზე, რადგან მიგვაჩნია, რომ პრესაში დაცული ტექსტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდენტობის მშენებლი ნარატივია. იმ პერიოდში დაბეჭდილი სტატიები და პუბლიკაციები ნათელ სურათს ხატავს, თუ როგორ მიმდინარეობს დამოუკიდებელ საქართველოში იდენტობის მშენებლობა, როგორ, რა მიზეზით და რის საფუძველზე ხდება ქვეყნის შიგნით მკაფიო მიჯნების გავლება ჩვენ და სხვა ჯგუფებს შორის, როგორ და რატომ ყალიბდება ახალი მტრის ხატი.

6. ვიზალიბერალიზაციის მიღებით საქართველომ ევროპასთან სიახლოვის ისტორიულ ნიშნულს მიაღწია, ეს გახლავთ ერთგვარი ჯილდო ქვეყანის დემოკრატიზააცისთვის გატარებული რეფორმებისთვის. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში გამოწვევების წინაშე დგას. გამოწვევები ერთი ნაწილი უკავშირდება ნაციის ექსკლუზიურობა-ინკლუზიურობას და სეკულარიზმის ხარისხს საზოგადეობაში. ნაშრომი გაანალიზებს პოლიტიკური და კულტურული ტრანასფორმაციის დინამიკას სამოქალაქო კალენდრის მაგალითზე. მიგვაჩნია, რომ კალენდარი არის ადგილი, სივრცე, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს ყველაზე სწრაფად ირეკლავს. კალენდარი წარმოადგენს დღეების ორგანიზებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური მიზნებით; ის აერთიანებს „ამბებს“ სხვადასხვა მოვლენებზე, რომლებიც იცვლებოდნენ და იცვლებიან საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციასთან ერთად.

7. სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი: ქართული საზოგადოების განვითარების პერსპექტივები განსხვავებულ ისტორიულ რეალობაში - რომანოვების და საბჭოთა რუსული იმპერიების ბატონობის დროს, ახალი ქართული საზოგადოების იდენტიფიკაციის პროცესები და მისი თავისებურებანი. განხილულია იდენტობის პროცესების დინამიკა და სტრუქტურების ჩამოყალიბება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე. იდენტობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება გარდამავალ ეპოქებში. რუსეთმა დაარღვია ქართული პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული იდენტობა. მთელი XIX საუკუნე მიმდინარეობდა ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად. მეფისნაცვალ მიხეილ

ვორონცოვის პოლიტიკამ დააჩქარა ქართველების რუსიფიკაციის პროცესი და მათი ინტეგრაცია რუსულ სახელმწიფო ინსტიტუტებში. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართველების და საქართველოს ადგილისა და როლის ძიების საკითხი. ქართველმა მოღვაწეებმა კარგად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და სწორად განსაზღვრეს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები და სირთულეები. დასახეს მომავალი განვითარებისთვის საჭიროა და აუცილებელი გეგმები,რომელთა განხორციელება გარანტი იქნებოდა ქვეყნის ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად განვითარებისა. საქართველოს განვითარების ვექტორი შეიცვალა 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსია, რის შედეგადაც შეფერხდა, საერთოდაც შეწყდა ეროვნული განვითარება; მოხდა ქართული საზოგადოების დეგრადაცია და ტრანსფორმაცია.

8. მოხსენებაში გაანალიზდა ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებები დასავლური სივრცისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ასევე ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაციონალური ნარატივის ფორმირების პროცესი. კვლევამ გვაჩვენა პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური გზის წინააღმდეგობრივ ხასიათი. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ დონეზე შეუქცევადი დასავლური ორიენტაცია რთული სოციალური პროცესების ფონზე მიმდინარეობს. აღნიშნულის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული ტენდენციები, სადაც სინქრონულად მიმდინარეობს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პროცესი.
9. დაიბეჭდა.
10. ევროპელობის“ იდეა ერთ-ერთ საკვანძო როლს თამაშობს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. პოლიტიკურ დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. მოხსენებაში გაანალიზდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოში დასავლური სამყაროსადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიზეზები და განმსაზღვრელი ფაქტორები.
11. ილია ჭავჭავაძე გამორჩეულად დადებითი ფიგურაა, ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა ილია ჭავჭავაძის მიმართ ეს საყოველთაო პოზიტიური დამოკიდებულება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ქეთევან კაკიტელაშვილი - 23-27 სექტემბერი, 2019, თბილისი - DAAD მხარდაჭერით განხორციელებული საზაფხულო სკოლა „„სხვა“ კონფლიქტები კავკასიელების თვალით: რა შეიძლება ისწავლონ კავკასიელებმა საერთაშორისო კონფლიქტების გადალახვის გამოცდილებიდან?“ ლექცია: *„ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და მისი გადალახვის მცდელობები: გამოცდილება სამხრეთ კავკასიისათვის“.*

ქეთევან კაკიტელაშვილი 10-14 ივნისი, 2019, კრაკოვი, პოლონეთი - ერაზმუს + მობილობის პროგრამის გრანტი აკადემიური პერსონალისათვის, კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტი, სალექციო კურსი: *“განსახლების არეალის მიღმა: ქართველ ებრაელთა იდენტობა იმპერიის განაპირას“.*

ქეთევან კაკიტელაშვილი, 17 მაისი, 2019, ქუთაისი - კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტი „მსოფლიო რელიგიათა კლუბი“. ლექცია: *„ქართველი ებრაელები რელიგიური და ნაციონალური იდენტობის მიჯნაზე“.*

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი
პროფ. მურმან პაპაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრა:

1. პროფ. ლევან გორდეზიანი – კათედრის ხელმძღვანელი
2. ასოც. პროფ. მარიკა მშვილდაძე

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა

3. პროფ. მურმან პაპაშვილი – კათედრის ხელმძღვანელი
4. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე
5. ასისტენტ-პროფ. თეა ქარჩავა

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

6. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი – კათედრის ხელმძღვანელი
7. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
8. ასოც. პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილი
9. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი
10. ასისტენტ-პროფ. თამარ ანთაძე

11. ასისტენტ-პროფ. ზაალ გოგენია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში,** FR17_86	2017-2020	1. მურმან პაპაშვილი – პროექტის ხელმძღვანელი 2. თეა წითლანაძე – ძირითადი შემსრულებელი 3. თეა ქარჩავა – ძირითადი შემსრულებელი 4. ნიკოლოზ სილაგაძე – ძირითადი შემსრულებელი 5. ანდრო გოგოლაძე – ძირითადი შემსრულებელი
2	**საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70–იანი წლები–XVIII საუკუნე),**	2017-2020	1. ზურაბ გამეზარდაშვილი – პროექტის ხელმძღვანელი 2. მურმან პაპაშვილი – ძირითადი შემსრულებელი

	HE17_21		3. ელდარ მამისთვალიშვილი – ძირითადი შემსრულებელი 4. ხათუნა ჩაფიჩაძე – ძირითადი შემსრულებელი

ანოტაცია

1. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში

2019 წლის ეტაპზე ქართულ ენაზე ითარგმნა XVI საუკუნის დასავლეთ ევროპელ ავტორთა თხზულებებიდან ის მონაკვეთები, როლებიც შეიცავენ სქართველოზე პირდაპირ თუ ირიბ ცნობებს. ესენია: 1. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ ვენეციელი ექიმისა და ისტორიკოსის ტომაზო მინადოი და როვიგოს (1549-1615) 383 გვერდიან წიგნში-„თურქებსა და სპარსელებს შორის მიმდინარე ომების ისტორია“ (1578-1590 წწ.) მოცემული ცნობების ამოკრეფა და თარგმნა (39 გვერდი შეადგინა); 2. გენუის რესპუბლიკის კონსულის პიეტრო ბიძაროს (1530-1586) 634 გვერდიან ლათინურ ენაზე დაწერილ ნაშრომში-„სპარსეთის ისტორია...“ საქართველოს შესახებ მოცემული ცნობების (შეადგინა 19 გვერდი) თარგმნა; 3. პორტუგალიელი ავტოროს დონ ანტონიო დე გოვეას (1577-1628) ნაშრომში-„სპარსეთის დიდი მეფის შაჰ აბასისა და დიდ თურქ მოჰამეტს შორის მიმდინარე ომებისა და გამარჯვების ისტორია“ XVI-XVII სს მიჯნის საქართველოზე გადმოცემული ცნობების თარგმნა (შეადგინა 6 გვერდი);4. გერმანელი ლეონარდ ჰოისტერის 22 გვერდიანი ბროშურიდან ითარგმნა სამცხის ათაბაგ მანუჩარ II-ის ანტითურქულ მოქმედებებზე დღემდე უცნობი ფაქტები (შეადგინა 3 გვერდი). დასახელებული ავტორები გვაძლევენ უნიკალურ ცნობებს XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XVII საუკუნის მიჯნის აღმოსავლეთ საქართველოს საშინაო, საგარეო პოლიტიკურ ვითარებაასა და ირან-ოსმალეთის (1578-1590 წწ) ომში საქართველოს დამაბალანსებელ ძალაზე. ავტორთა განსაკუთრებული აღტაცება ქრისტიანული საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის მეფე სიმონ I-ისა და სამცხის ათაბაგ მანუჩარ II-ის საარაკო გმირობაზე, ევროპელთა გონებაში აღვიძებდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებულ იმ წარმოდგენას, რომ მათ მუსლიმ მტრებს აღმოსავლეთიდან მოევლინებოდა გამანადგურებელი ძალა. ამ ავტორთა ცნობებში რელიეფურად ჩანს, რომ ქართველთა სამხედრო დახმარების გარეშე სეფიანთა ირანს განადგურება არ ასცდებოდა. ამ უკანასკნელის სტანდარტული ტაქტიკა-“გადამწვარი მიწებისა“ - ქართველთა, კერძოდ სიმონ I-ის, ძირითადად დმანისის ხეობაში, ღრმად გააზრებული პარტიზანული ბრძოლების გარეშე უშედეგო იქნებოდა. ამ კონტექსტში რამდენჯერმე აღმატებულ თურქთა ძალების წინააღმდეგ ქართველთა გაუგონარი სიმამაცის ეპიზოდები, რაც დღემდე უცნობი იყო, ევროპელ ანტიოსმალურ ძალებში საქართველოზე ქრისტიანი მოკავშირის სახეს ადუღაბებდა. ორიგინალურია პიეტრო ბიძაროს ცნობები, რომელიც გვარწმუნებს, რომ საქართველოს ოკუპაცია მხოლოდ ქართველთა დახმარებით აქვთ ოსმალეთში წარმოდგენილი. ამ ჭრილში საინტერესო ფაქტებითაა გაჯერებული სულთნის დიპლომატია ალექსანდრე კახთა მეფისა და მანუჩარ ათაბაგის მიმართ. ეს თხზულებები ერთი ნაწილია იმ ნაშრომის ფუნდამენტისა, რომელიც საბოლოოდ გამოვა სახელწოდებით: **„საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“**.

2. საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70–იანი წლები–XVIII საუკუნე)

2019 წლის ეტაპზე გადაიჭრა მთავარი ამოცანა. გაშიფრა და ამოკითხული იქნა იტალიური და ლათინურენოვანი ხელნაწერი ტექსტები. შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს მასალები ასახავენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართელოს საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას და, ცხადია, კაპუჩინი მისიონერების საქმიანობას. თარგმანმა შეადგინა 279 გვერდი. სიახლის თვალსაზრისით 18 ვრცელი რელაციონი ახალ წარმოდგენას გვიქმნის ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ევროპულ პოლიტიკაზე. ასევე ამ წყაროებში რელიეფურად ასახულია, თუ რა პოზიცია ეჭირათ კაპუჩინ პატრებს გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. მათი სწორი დასკვნით, ამ ხელშეკრულებით საქართველო სრულიად წყდებოდა ევროპასთან კავშირს და შესაბამისად წმინდა ტახტსაც საბოლოოდ ეკეტებოდა გზა საქართველოსკენ.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
ანოტაცია			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მურმან პაპაშვილი**	საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), ISBN 978-9941-9621-3-4	თბილისი, გამ-ბა „საჩინო“	258 გვ.
2	**ფატი შეყლაშვილი**	გერმანიის იმპერია 1871-1914 წლებში	თბილისი, „მერიდიანი“	315 გვ.
3	**მერაბ კალანდაძე**	ისტორიოგრაფიული ეტიუდები. ნაწ. II	თბილისი, ინტელექტი	270 გვ.

ანოტაცია

მურმან პაპაშვილი
საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები)

პირველწყაროებისა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე განხილულია და გაანალიზებული XIII-XIV ს-ის 30-იანი წლების საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და შედეგები. პრობლემა შესწავლილა დასავლეთის მესვეურთა აღმოსავლური სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისა და პაპობის საეკლესიო უნიის კონტექსტში. რელიეფურად წარმოდგენილია ქართულ-მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა უნიის ორმხრივი რელიგიური და სამხედრო-პოლიკიკური მცდელობების შედეგები. ნაჩვენებია ორივე ეკლესიის უნიისკენ სწრაფვის კულტურული ფასეულობა და აღმოსავლეთში დასავლეთის ანტიმუსლიმურ პოლიტიკაში საქართველოს მოკავშირეობის მნიშვნელობა.

ფატი შეყლაშვილი
გერმანიის იმპერია 1871-1914 წლებში

წიგნში განხილულია პერიოდი გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. შესწავლილი და გაანალიზებულია ის რთული სოციალურ-ეკონომიკური, საშინაო და საგარეო პოლიტიკური პროცესები, რაც თან ახლდა გერმანიის იმპერიის მესვეურთა ძალისხმევას, მსოფლიოს დიდ და ძლიერ ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. გერმანიამ შეძლო მოეხდინა დიდი სახელმწიფოების გამოცდილების აბსორბირება საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროში და უკვე, პირველი მსოფლიო ომის წინ, წარმოადგენდა მყარი ეკონომიკური, სამხედრო-სამრეწველო და პოლიტიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფოს, ჩამოყალიბებული, განვითარებული სახელმწიფო პოლიტიკური სტრუქტურებითა და უდიდესი გეოპოლიტიკური ამბიციებით.

მერაბ კალანდაძე
ისტორიოგრაფიული ეტიუდები (ნაწ. II)

ნაშრომი ატარებს ისტორიოგრაფიულ ხასიათს და მასში საუბარია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებზე და პერსპექტივებზე. ამ კუთხით ეს საკითხი ნაკლებად შესწავლილი იყო და ჩვენ მიზანშეწონილად მივიცნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მურმან პაპაშვილი**	სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინოპოლში დაყოვნების მიზეზები. ISBN 978-9941-8-1675-8	კრებ.: „ელდარ მამისთვალიშვილი 80“	გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 164-175
2	**მურმან პაპაშვილი**, ზურაბ გამეზარდაშვილი	თბილისის კათოლიკენი ჯულიო და კრემონას ცნობების მიხედვით. ISBN 978-9941-9562-7-0	კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ 2	თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 97-109
3	**ლევან გორდეზიანი**	სამხრეთ-დასავლეთ	საქართველო –	ბათუმი	გვ. 176-185

		საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით)	უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 2019)		
4	**მარიკა მშვილდაძე**	ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ფიქრისგორის სამაროვნიდან. ISSN 1512-0694	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXIII	თბილისი: თსუ გამომცემლობა	7 გვ.
5	**მარიკა მშვილდაძე**	სამთავროს ოქროს მედალიონის შესწავლის საკითხისათვის. ISBN 978-9941-9519-8-9	„კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, კონფერენციის მასალები	ბათუმი	5 გვ.
6	**მარიკა მშვილდაძე**	რომის იმპერატორის კულტი იბერიაში (ამურისგამოსახულებიანი კამეები). ISSN- 0132-6058	მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2 (იბეჭდება)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	
7	**მარიკა მშვილდაძე**	იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი (მცხეთაში აღმოჩენილი არტეფაქტების შუქზე)	„მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“, VI (იბეჭდება)	თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო	
8	**ფატი შეყლაშვილი**	ბალკანეთის ერთობის საკითხი, ISSN 1987-894X	ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2019	10
9	**მერაბ კალანდაძე**	დიმიტრი უზნაძე ფრანგ განმანათლებლებზე	გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და არქეოლოგიის ცენტრი. შრო-	გორი	გვ. 574-608

			მათა კრებუ-ლი N7(8).		
10	**მერაბ კალანდაძე**	პროფესორ უშანგი სიდამონიძის გახსენება	კრებული კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები	თბილისი	გვ. 178-185

ანოტაცია

მურმან პაპაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინოპოლში დაყოვნების მიზეზები

სტატიაში ახალი საარქივო მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, თუ რატომ დაყოვნდა სულხან-საბა ორბელიანი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოში 17 თვე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სულხან-საბა უნდა დალოდებოდა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ახალი ელჩის მარკიზ დე ბონაკის დანიშვნას, რომელსაც საბა პარიზში გაეცნო. სწორედ ბონაკს უნდა ჩამოეყვანა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის მისიის მისიონერები, რომელთაც საბა განალაგებდა სამეგრელოში, აფხაზეთსა და ჩერქეზეთში. ამ ფაქტორზე იყო დამოკიდებული საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის ახალი ეტაპის განვითარება, რასაც ქართულ დიპლომატიურ ცხოვრებაში სულხან-საბამ დაუდო სათავე. შეცვლილ გარემოებათა გამო ამ ამოცანის უშედეგობამ დასავლეთზე საქართველოს ორიენტაცია დიდი ხნით უკანა პლანზე გადასწია.

მურმან პაპაშვილი
თბილისის კათოლიკენი ჯულიო და კრემონას ცნობების მიხედვით

დღემდე უცნობი პირველწყაროს საფუძველზე გვეძლევა საშუალება თვალი მივადევნოთ 1689-1692 წლებში თბილისში ქართველ კათოლიკეთა ყოველდღიურობასა და კაპუჩინი პატრების სამისიონერო საქმიანობას. თბილისის კათოლიკეთა ეკლესიის მონუმენტური წარმოდგენა სრულიად ახალ სურათს ქმნის ამ მემკვიდრეობის ისტორიულ მნიშვნელობაზე. ამ ეკლესიის საქმიანობაში ქართლის მეფის გიორგი XI-ის აქტიური მონაწილეობა მიუთითებს მემკვიდრეობის ქრისტიანულ ფასეულობად აღიარებაზე.

ლევან გორდეზიანი
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით)

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

მარიკა მშვილდაძე
ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ფიქრისგორის სამაროვნიდან

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ფიქრისგორას სამაროვნის №№119,127 სამარხებში 2016 წელს არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ორი მთლიანი ქვის (სარდიონი, ბრინკაო) საბეჭდავი ქურციკის გამოსახულებით (სამარხი №127, ინვ.№139, სურ.:1,2; სამარხი №119, ინვ.№202, სურ.: 3,4,5). სასანური გემების სპეციფიკური ხასიათის გამო, მათი მხოლოდ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით თარიღის დადგენა საკმარისი არ არის. ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სამარხეული კომპლექსები. ჩვენც ზემოაღნიშნული საბეჭდავების დასათარიღებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი მასალის ანალიზსა და თარიღს.
ფიქრისგორას №№119,127 სამარხებში აღმოჩენილი ქურციკის გამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლები დამზადებულია სასანური გლიპტიკისათვის დამახასიათებელი მთლიანი ქვის საბეჭდავების ორი ტიპისგან: 1. ე.წ. ელიფსური (ქვის) საბეჭდავები. ასეთ საბეჭდავების უმრავლესობას აქვს

ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი დამზადებულია სარდიონისაგან; 2. ლითონის საბეჭდავები, რომლებიც ძირითადად ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან არის დამზადებული... ზოგი გვერდებშებრტყელებული სფეროს ფორმისაა, ზოგი კონოიდური, რომელსაც ყოველთვის აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი დამზადებულია ბრიჯაოსაგან.
გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, №127 ორმოსამარხში აღმოჩენილი სარდიონის საბეჭდავი (ინვ.№239, სურ.: 1,2) V-VI საუკუნეებით, ხოლო №119 ქვასამარხში დაფიქსირებული საბეჭდავი ბეჭედი (ინვ.№202, სურ.: 3,4,5) ახ.წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

მარიკა მშვილდაძე
სამთავროს ოქროს მედალიონის შესწავლის საკითხისათვის

ნაშრომში განხილულია 1979 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს №445 ქვაყუთში აღმოჩენილი ოქროს მედალიონი ღვთაება კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული გამოსახულებით. გამოსახულების ირგვლივ ერთ სტრიქონად გამოყვანილია მრგვლოვანი ასოებით ბერძნული წარწერა εἷς θεὸς βοήθει – ერთი არს ღმერთი შეეწიე (ან შემეწიე). მეცნიერთა აზრით, მედალიონის იკონოგრაფია აღებული იყო ადრებიზანტიური მონეტებიდან და სწორედ მათი მეშვეობით უნდა დათარიღებულიყო ახ.წ. V საუკუნით. ნაშრომში გავლებულია პარალელები წებელდაში აღმოჩენილ მსვავსი წარწერის მქონე მედალიონთან, რომელიც ახ.წ. IV საუკუნის ბოლოთი თარიღდება. შესწავლილია ღვთაება ტიხე კონსტანტინეპოლის და თითქმის იგივე გამოსახულების მქონე რომის მფარველი ღვთაების – რომის იკონოგრაფიული გამოსახელებები გვიან ანტიკური და ადრებიზანტიური პერიოდის მონეტებზე. გაზიარებულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ არ არის გამორიცხული, ანტიკურ სამყაროსი არსებობდა სურათიანი წიგნების (გრაგნილების) რაღაც სახეობა, რაც შესაძლებლობას აძლევდა ხელოსნებს ერთმანეთისგან დაშორებულ ქვეყნებში ეკეთებიათ მსგავსი გამოსახულებიანი ნიმუშები. ფაქტია, რომ ესა თუ ის მოდა ან ტრადიცია ხელოვნებასის ნიმუშებსა და ნუმიზმატიკაში ერთდროულად იკიდებდა ფეხს.
სამთავროს მედალიონი მასზე არსებული წარწერიდან გამომდინარე, რელიგიური იდენტიფიკაციის დანიშნულებისაა. მედალიონზე არსებული წარწერის მიხედვით, მისი მფლობელი ქრისტიანია, რაც ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართლში იმთავითვე პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელიც უნდა ყოფილიყო. ტიხე კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ ყოფნა მისი მფლობელის დასავეთის ორიენტაციის მიმანიშნებელია. იკონოგრაფიიდან გამომდინარე, მედალიონი IV ს-ის II ნახევრითა და V ს-ის I ნახევარით შეიძლება დათარიღდეს.

მარიკა მშვილდაძე
რომის იმპერატორის კულტი იბერიაში

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომი ყველანაირად ცდილობდა რაც შეიძლება ძლიერი სოციალური დასაყრდენი ჰქონოდა ახალ პროვინციებსა და მეზობელ კლიენტ ქვეყნებში. ცდილობდა რა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული, რელიგიური გავლენის, განათლების დამკვიდრებას ძირითადად სამეფო კარსა და ნობილიტეტში.
ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმის დადგენა თუ რამდენად ახდენდა რომი იმპერატორის კულტის ექსპანსიას იბერიაში. ნაშრომში შესწავლილია მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამურისგამოსახულებიანი კამეები: 1. 1947 წელს მცხეთაში ორფერდასახურავიან კრამიტყუთში (სამარხი №1, ბავშვის სამარხი) დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი ყავისფერი სარდერისა და მოწითალო სარდიონის კამეები, რომლებიც ოქროს საყურეებში იყო ჩასმული (ინვ. №388, ახ.წ. I ს.) და 2. 1985 წელს ორფერდასახურავიან აკლდამაში (სამარხი №905) აღმოჩენილი: ა. ამურისგამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეა ოქროს ბეჭედში (ინვ. №2700, ძვირფასი ლითონების ფონდი); ბ. ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში (გლიპტიკის ფონდი #1577).
არ არის გამორიცხული, რომ მცხეთის №1 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი

კამეები ფალერებს წარმოადგენდეს. მცხეთის №905 სამარხში აღმოჩენილი ამურისკამეებიანი ბეჭედი და საყურე ამ ტიპის საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებულ კამეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნამუშევარია. როგორც ბეჭედზე, ისე საყურეზე არსებული გემა ბუდიდან იმდენად მაღლაა ამოწეული, რომ იგი, მცირე პლასტიკის ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი აზრით, მცხეთის #905 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი კამეები ფალერების ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს, რომლებზეც საიმპერატორო გვარის ბავშვებია წარმოდგენილი ამურის სახით, რაც ფართოდ გამოიყენებოდა დინასტიის პროპაგანდისათვის.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს საყურეებსა და ბეჭედზე არსებული ამურისგამოსახულებიანი კამეები რომის საიმპერატორო გვარის პროპაგანდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა იბერიაში. პერიოდში, როდესაც რომის იმპერიაში უკვე დამკვიდრებული იყო იმპერატორის კულტი.

მარიკა მშვილდაძე

იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი (მცხეთაში აღმოჩენილი არტეფაქტების შუქზე)

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქტფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იბერია გვიანანტიკურ ხანაში ანტიკური ოიკუმენის ნაწილს წარმოადგენდა. რომი ცდილობდა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული, რელიგიური გავლენის, განათლების დამკვიდრებას ქართლის სამეფო კარსა და ნობილიტეტში. იმ სოციალურ, ჯგუფებში, რომლითაც სახელმწიფოს მართავდნენ. ნიშანდობლივია, რომ რომი კლიენტ ქვეყნებში აფართოვებდა რომის მოქალაქეთა რიცხვს. რომის იმპერიის წინაშე დამსახურებისათვის მისი მოკავშირე ქართლის მეფეები (ფლავიუს დადესი), ისევე როგორც სხვა კლიენტი ქვეყნების მეფეები რომის მოქალაქის საპატიო წოდებასაც ფლობდნენ. რომის მოქალაქეები იყვნენ ქართლის დიდებულებიც. თავის მხრივ რომის იმპერატორები არ იშურებდნენ სახსრებს ქართლის ნობილიტეტის, სამეფო კარის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

მცხეთაში ვრცელდება რომაული წარმოშობის ფუფუნებისა და მასობრივი მოხმარების სახელოსნო ნაწარმი, ძვირფასი ლითონის სუფრის ჭურჭელი, გლიპტიკის ნიმუშები, ბერძნულ-რომაული წარმართული პანთეონი. ნიშანდობლივია, რომ იბერიის _ მცხეთის მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობდა ღვთაება აფროდიტე, რომელიც ავგუსტუსის რელიგიური რეფორმიდან მოყოლებული, მარსთან ერთად რომაელი ხალხის წინაპრებად იყო მიჩნეული.

ნაშრომში შესწავლილია რომის იმპერიასთან, კერძოდ ფლავიუსებისა და ანტონინუსების რომის საიმპერატორო გვართან დაკავშირებული რამდენიმე ნივთი: დედოფალი ულპია მბრძანებლის საბეჭდავი ბეჭედი (საბეჭდავის დანიშნულების, ინტალიოზე დატანილი გამოსახულებისა და წარწერის მიხედვით, ბეჭდის მფლობელი ქალბატონი, ჩვენი აზრით, ქართლის დედოფლის ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო); მონეტა-საკიდები ოქროსი ფაუსტინასა და ლუციცილას გამოსახულებით; საკიდი ოქროსი, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ქალის პორტრეტულგამოსახულებიანი ქალცედონის ბიუსტით, ოქროს ყელსაბამით შემკული; საკიდი ოქროსი (ორი ცალი), ყუნწიან ბუდეში ჩასმული სარდიონისაგან დამზადებული ბავშვის პორტრეტული ბიუსტით.

რომის იმპერატორის კულტთან დაკავშირებული ოქროს საყურესა და ბეჭედში ჩასმული ამურისგამოსახულებიანი კამეები (1947 წელს მცხეთაში №1 სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურეში ჩასმული ამურისგამოსახულებიანი ყავისფერი სარდერისა და მოწითალო სარდიონის კამეები; 1985 წელს მცხეთის #905 სამარხში დაფიქსირებული ა) ამურისგამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეა ოქროს ბეჭედში; ბ)ალმადინის ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში; საწერი მოწყობილობები... მცხეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ საწერ მოწყობილობებს ჩვენ ანტიკურ კულტურას, „რომანიზაციას“ ნაზიარებ ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაკავშიებთ და არა უცხო ეთნიკურ ჯგუფთან. ნაშრომში შესწავლილია 1979 წელს სამთავროს სამაროვანზე №445 ქვაყუთში აღმოჩნილი ოქროს მედალიონი – სავარძელში მჯდომი კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული გამოსახულებით, რომელიც, ჩვენი აზრით, რელიგიური (ქრისტიანული) კუთვნილებისაა და IV საუკუნის II ნახევრითა და V საუკუნის I ნახევარით შეიძლება დათარიღდეს.

ფატი შეყლაშვილი

ბალკანეთის ერთობის საკითხი

ბალკანური ერთობის იდეა გაჩნდა ჯერ კიდევ XIX ს-ში და ძირითადათ ასოცირდებოდა მოძმე ერების ბრძოლასთან ოსმალეთის უღლის წინააღმდეგ. I მსოფლიო ომმა არსებითი კორექტივები შეიტანა ბალკანეთის სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში.1930-იანი წლებში ბალკანეთის 6 ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად გამოდის საბერძნეთი, რომელსაც თავისი სახელმწიფოს გარკვეულმა მოდერნიზაციმ მისცა საშუალება, ებრძოლა თავის დამკვიდრებისთვის, როგორც ახალ ძლიერ ძალას რეგიონში.ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება დასავლეთზე, ურთიერთშორის კულტურული კავშირების სისუსტე, სულიერი სიახლოვის უქონლობა, აბრკოლებდა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას. 1934 წ. რუმინეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის და თურქეთის მიერ ხელმოწერილ ბალკანეთის ანტანტის პაქტში არ შევიდა ბულგარეთი და რუმინეთი. ხელშეკრულებამ დაასრულა ბალკანეთის გამაერთიანებელი მოძრაობის პროგრესული ერა.

მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე ფრანგ განმანათლებლებზე

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მასში პირველად არის განხილული დ. უზნაძის შეხედულებები ფრანგ განმანათლებლებზე. ეს სიახლეა და გააჩნია ქართული კონტექსტი.

მერაბ კალანდაძე
პროფესორ უშანგი სიდამონიძის გახსენება

სტატიაში მოცემულია მოგონებები, რომელიც ეხება ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადების 90 წლისთავს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე, ბექა კვაჭაძე**	Relations of Eastern Christians with Holy See – The Lyon Council of 1274 and Georgia. ISSN 2520-6338 (ბეჭდური),ISSN 2617-4006 (ელექტრონული)	Journal of the Belarusian State University. History. 2019, №4	მინსკი, 2019	გვ. 83-94
2	**ლევან გორდეზიანი**	Some Remarcs on Qulḫa, 10.2307/j.ctvndv9f0.30	Over the Mountains and Far Away. Studies in Near Eastern History and Archaeology presented to Mirjo Salvini on the Occasion of his 80th Birthday, edited by Pavel S. Avetisyan, Roberto Dan and Yervand H. Grekyan	Oxford: Arcaeopress Archaeology	გვ. 241-243
3	**ლევან გორდეზიანი**, ირინე ტატიშვილი	Einige Bemerkungen zur Ethnizität in den hethitischen Texten. ISBN 978-83-87111-77-9	„And I Knew Twelve Languages" A Tribute to Massimo Poetto on the Occasion of His 70th Birthday. Edited by Natalia Bolatti Guzzo and Piotr Taracha	Warsaw: Agade Bis	გვ. 221-229
4	**ლევან გორდეზიანი**, ირინე ტატიშვილი	Zum wirtschaftlichen Aspekt der „Reform" Tuthaliyas IV. ISSN 0931-4296	Economy of Religions in Anatolia: From the Early Second to the Middle of the First Millennium BCE. Proceedings of an	Münster: Ugarit-Verlag	გვ. 29-37

			International Conference in Bonn (23rd to 25th May 2018). Eds. Manfred Hutter & Sylvia Hutter-Braunsar		
5	**მარიკა მშვილდაძე**	Glyptic monuments (artefacts) with Christian symbolism from Georgian Black Sea coast (I-IV cc.) ISSN 1230-1604	„Pro Georgia“, Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Oriental Institute, University of Warsaw, t. 24	Warsaw, University of Warsaw	6 გვ.
6					

ანოტაცია

მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე, ბექა კვაჭაძე
Relations of Eastern Christians with Holy See – The Lyon Council of 1274 and Georgia

სტატიაში განხილულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და სამეფოს კარის მჭიდრო ურთერითობები რომის კურიასთან და პაპობასთან, კათოლიკე მისიების მეშვეობით ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მცდელობები კავშირი არ გაეწყვიტათ ევროპასთან მონღოლთა და ხორეზმელთა ბატონობის პერიოდში. ასევე, კარგად იკვეთება ბიზანტიური საზოგადოებისგან განსხვავებული დამოკიდებულება და პოლიტიკური მოტივებით ოპერირება ლიონის კრების უნიატური დადგენილებებისადმი.

ლიონის უნიის მიმართ ქართული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე არანაირი ხელშესახები წყარო არ გაგვაჩნია. ამიტომ უნიის მიმართ ქართული ეკლესიის თანაგრძნობაზე თუ არათანაგრძნობაზე, მიღებაზე თუ არ მიღებაზე საუბარიც შეუძლებელია, რადგან მისი ოფიციალური პოზიცია არსად ჩანს. ბიზანტიაში მიმდინარე ანტიუნიატურ პროცესებს საქართველოში გავლენა არ ჰქონია. ამის უტყუარ ფაქტად გამოდგება შემდეგი წყარო – 1289 წლის 7 ივლისს პაპი ნიკოლოზ IV საქართველოს კათოლიკოს აბრამ I-ს წერდა: „იმედი გვაქვს, თქვენც, რომელსაც,როგორც მოგვითხრეს, დიდძალი ერი გყავსთ, დიდის გულმოდგინებით იზრუნოთ და ეცადოთ, რათა ეგ ერი კეთილის საქმის აღსრულებით სათნო შეიქმნას თავისი გამჩენისა და ღირსი გახდეს საუკუნო ცხოვრებისა; ამას იგი ვერ მოიპოვებს, თუ არ დაიცვა სარწმუნოება, რომელიც გასწმენდს შემცოდეს და წარხოცს ცოდვათა. ამიტომ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია. სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან შეერთების დროს გამოგიჩნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მხნედ მიუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც... კარგად და სიადვილით, რომ შეძლოთ სხვების გაწვრთნა ხსენებულ ქრისტეს სარწმუნოებაში, ამიტომ სარწმუნოების მუხლებს აქვე აღვნიშნავთ...“. სამწუხაროდ, მ. თამარაშვილს არ მოაქვს „სარწმუნოების მუხლები“, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ჩამოთვლილი იქნებოდა ლიონის კრებაზე მიღებული რწმენის აქტი. როგორც ამ წყაროდან ვხედავთ, შეუძლებელია ლიონის მიმართ ანტიუნიატურად განწყობილ საქართველოში პაპს ასეთი წერილი მოეწერა. წყაროთა შეჯერებისა და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სავსებით ვასაბუთებთ მოსაზრებას – ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ტახტთან მიმართებაში აგრძელებდა თავის ლოალურ დამოკიდებულებას, ხელს არ იღებდა საკუთარ დამოუკიდებლობაზე და საქართველოში კათოლიკე მისიონერების საქმიანობას ხელს არ უშლიდა.

ლევან გორდეზიანი
Some Remarcs on Qulḥa

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი
Einige Bemerkungen zur Ethnizität in den hethitischen Texten

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი
Zum wirtschaftlichen Aspekt der „Reform“ Tuthaliyas IV

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

მარიკა მშვილდაძე
Glyptic monuments (artefacts) with Christian symbolism from Georgian Black Sea coast (I-IV cc.)
(ქრისტიანულსიმბოლოიანი გლიპტიკური ძეგლები დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან (I-IV სს.))

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მოგვითხრობენ როგორც ბერძენ-რომაელი ავტორები, ისე „ქართლის ცხოვრება“. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ კვლევას, რომელიც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის აღნიშნულ საკითან დაკავშირებით.
ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ საკითხის გარკვევა თუ რამდენად აისახა წყაროებში დაცული ცნობები გლიპტიკურ ძეგლებზე. ვინაიდან ჭრილაქვები (საბეჭდავები) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად გვევლინება რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, არსებული კულტების, გავრცელებული ღვთაებების შესახებ.
ნაშრომში განვიხილავთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ქრისტინულსიმბოლოებიან გლიპტიკურ ძეგლებს. კერძოდ, ციხისძირის, გონიო-აფსაროსის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ სამ საბეჭდავ ბეჭედს.
1. ციხისძირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ციხისძირის ტერიტორიაზე №2 სამარხში აღმოჩენილ რკინის ბეჭედს, რომლის მინის ინტალიოზე დაფიქსირდა ერთ-ერთი ქრისტიანული სიმბოლოს – ერთმანეთის პარალელურად მცურავი ორი თევზის (ბეჭედი (ცძ 83/22) რკინის, ფრაგმენტული) გამოსახულება (სურ.1). თევზის გამოსახულება ქრისტიანულ სიმბოლოთა შორის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ბერძნული სიტყვა ΙΧΘΥΣ (თევზი) ქრისტიანებს მიაჩნდათ შემდეგი სიტყვე-ბის სიმბოლოდ “იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მაცხოვარი” (Ἰησοῦς Χριστός, Θεοῦ Υἱός, Σωτήρ). ბეჭედი ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება; 2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელი მახოს ტერიტორიაზე №9 სამნარხში (ინვ. №83, ციხისძირი, SO 22, 2013წ.) ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ოვალური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის ინტალიოს ვერცხლის ბეჭედში. პირზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ასოები “I” და “X” (ქრიზმა) (სურ. 2a). ბეჭედი ახ. წ. III საუკუნით თარიღდება; 3. გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მეტად საინტერესო გემას სამფურცელა სტილიზებული მცენარის გამოსახულებით (ინვ. №879, გონიო-აფსაროსი, SW – XII, 1997 წ.) (სურ. 3a). ინტალიო მოყავისფრო ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბუდეში. ბეჭდი II ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ახ.წ. II-III სს. საქართველოს შავიზღვისპირეთში სამფოთლოვანი მცენარის გამოსახულება ადრექრისტიანულ სიმბოლიკას უკავშირდებოდეს და იგი ქრისტიანული სამი საწყისის – წმინდა სამების მიმანიშნებელად ჩავთვალოთ.
კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებზე სავსებით აისახა რეგიონში მიმდინარე რელიგიური პროცესები.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მურმან პაპაშვილი**	დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ერთი ცნობის დაზუსტება	მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია. გორი, 2019წ. 23 თებერვალი,
2	**მურმან პაპაშვილი**	რა მიზნით სურდა სულხან-საბა ორბელიანს საფრანგეთის მისიონის დაარსება საქართველოში	III საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი, 2019წ. 5-6 ივნისი
3	**მარიკა მშვილდაძე**	სამთავროს ოქროს მედალიონის შესწავლის საკითხისათვის	ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საემეცნიერო კონფერნცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი, 2019წ. 19-20 ოქტომბერი
4	**მარიკა მშვილდაძე**	მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ ნაკრძალში დაცული მინიატურული სკულპტურა საკიდის შესწავლის საკითხისათვის	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“, თბილისი-საგურამო 2019წ. 29-30 მაისი
5	**მარიკა მშვილდაძე**	რომის იმპერატორის კულტი იბერიაში (ამურისგამოსახულე-ბიანი კამეები)	XIII საფაკულტეტო კონკონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2019წ. 26-28 ივნისი
6	**მარიკა მშვილდაძე**	რომი და ინდოეთი (I-III სს.)	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის V სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველო და შორეული აღმოსავლეთის სამყარო: ისტორია, თანამედროვეობა და სამომავლო პერსპექტივები“, 2019წ. 2-3 დეკემბერი
7	**თეა წითლანაძე**, ანდრო გოგოლაძე	ფრანგი დიპლომატის რელაციები საქართველოს შესახებ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში	ბათუმი 2019
8	**თეიმურაზ პაპასქირი**	9 მაისი როგორც პროპაგანდის იარაღი საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთში	მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები. თბილისი, 2019წ. 26-28 სექტემბერი

9	**თეიმურაზ პაპასქირი**	პრეზიდენტის იმპიჩმენტი აშშ-ში: ისტორიული ექსკურსი და თანამედროვე მოვლენები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოველწლიური XII სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. კოტე ანთაძისა და პროფ. უშანგი სიდამონიძის 90 წლისადმი. თბილისი, 2019წ. 27 დეკემბერი
10	**ლეილა (ია) ხუბაშვილი**	ინკვიზიცია, როგორც საეკლესიო და იდეოლოგიური ტრიბუნალი	საერთაშორისო სიმპოზიუმი: საქართველო და კათოლიკური სამყარო. ისტორიული და კულტურული ასპექტები. ბათუმი, 2019წ. 7 ივნისი
11	**ლეილა (ია) ხუბაშვილი**	იაპონიის პანაზიური დოქტრინა. „ტანაკას მემორანდუმი“	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის V სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2019წ. 2-3 დეკემბერი
12	**ლეილა (ია) ხუბაშვილი**	პიუს XI-ის პონტიფიკატი და „რომის საკითხის“ გადაწყვეტა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოველწლიური XII სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. კოტე ანთაძისა და პროფ. უშანგი სიდამონიძის 90 წლისადმი. თბილისი, 2019წ. 27 დეკემბერი
13	**ფატი შეყლაშვილი**	სოციალური პოლიტიკა გერმანიის იმპერიის პირველ ათწლეულებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოველწლიური XII სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. კოტე ანთაძისა და პროფ. უშანგი სიდამონიძის 90 წლისადმი. თბილისი, 2019წ. 27 დეკემბერი
14	**მერაბ კალანდაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო

			სამეცნიერო კონფერენცია. გორი, 2019წ. 22 თებერვალი
15	**მერაბ კალანდაძე**	საქართველოში ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საკვანძო მომენტები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII ყოველწლიური კონფერენცია მიძღვნილი ალ. გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი. თბილისი, 2019წ. 26-28 ივნისი
16	**მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე**	თომას ჯეფერსონი ისტორიულ ლიტერატურაში	ამერიკისმცოდნეობის XX ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია სამეცნიერო კონფერენცია. მიძღვნილი ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგის და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გაფრენის 50 წლისთავისადმი
17	**მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე**	სტალინისტური იდეოლოგიის მცდარი შეხედულებები მსოფლიო ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოველწლიური XII სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. კოტე ანთაძისა და პროფ. უშანგი სიდამონიძის 90 წლისადმი. თბილისი, 2019წ. 27 დეკემბერი
18	**თამარ ანთაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი, 2019წ. 22 თებერვალი
19	**თამარ ანთაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი პარნელზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII ყოველწლიური კონფერენცია მიძღვნილი ალ. გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი. თბილისი, 2019წ. 26-28 ივნისი
20	**ზაალ გოგენია**	ტურიზმი როგორც ფრანკისტული სახელმწიფო	მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „არქივმცოდნეობა,

		პროპაგანდის ინსტრუმენტი საერთაშორისო იზოლაციის წლებში	წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები. თბილისი, 2019წ. 26-28 სექტემბერი
21	**ზაალ გოგენია**	1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში	ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თბილისი, 2019წ. 27-30 ნოემბერი
22	**ზაალ გოგენია**	დოქტრინა ,,Hispanidad" როგორც ფრანკისტული ესპანეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური ინსტრუმენტი XX ს. 30-50-იან წლებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ყოველწლიური XII სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფ. კოტე ანთაძისა და პროფ. უშანგი სიდამონიძის 90 წლისადმი. თბილისი, 2019წ. 27 დეკემბერი

ანოტაცია

მურმან პაპაშვილი
დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ერთი ცნობის დაზუსტება

მოხსენებაში დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაციონის ერთი ლაკონური ცნობიდან, რომელიც ეხება ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან მისიონერის ვრცელ საუბარს კათოლიკურ დოქტრონებზე, არგუმენტირებულად დასაბუთდა, რომ სამეგრელოს მთავარი დარწმუნდა „ფილიოკვეს" სისწორეზე და სთხოვა ჯუდიჩეს, ეს საიდუმლოდ შეენახა, თორემ სასულიერო პირები უბედურებას დაატეხდნენ თავს. ამაზე დაყრდნობით, გამოთქმულია ვარაუდი, რომ სწორედ ეს ფაქტი მიიჩნეს რომში იმის დამადასტურებლად, რომ ლევან II დადიანმა კათოლიკობა მიიღო, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მურმან პაპაშვილი
რა მიზნით სურდა სულხან-საბა ორბელიანს საფრანგეთის მისიონის დაარსება საქართველოში

მოხსენებაში ახალი საარქივო მასალების (საფრანგეთის არქივებიდან) საფუძველზე ვრცლად იქნა წარმოჩენილი, თუ როგორ ცდილობდა, ერთი მხრივ, ფრანგული მხარე და მეორე მხრივ, სულხან-საბა ორბელიანი დასავლეთ საქართველოში კაპუჩინი მამების ადგილზე პარიზის მისიის მისიონი დაეფუძნებინა. იგი უკავშირდებოდა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის შავი ზღვის მეშვეობით აღმოსავლეთში გზის გაკვალვას და ამ საშუალებით საფრანგეთ-საქართველოს მომავალი სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას.

მარიკა მშვილდაძე

სამთავროს ოქროს მედალიონის შესწავლის საკითხისათვის

მოხსენებაში განხილულია 1979 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს №445 ქვაყუთში აღმოჩენილი ოქროს მედალიონი ღვთაება კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული გამოსახულებით. გამოსახულების ირგვლივ ერთ სტრიქონად გამოყვანილია მრგვლოვანი ასოებით ბერძნული წარწერა εἷς θεὸς βοήθει – ერთი არს ღმერთი შეეწიე (ან შემეწიე). მეცნიერთა აზრით, მედალიონის იკონოგრაფია აღებული იყო ადრებიზანტიური მონეტებიდან და სწორედ მათი მეშვეობით უნდა დათარიღებულიყო ახ.წ. V საუკუნით. ნაშრომში გავლებულია პარალელები წებელდაში აღმოჩენილ მსვავსი წარწერის მქონე მედალიონთან, რომელიც ახ.წ. IV საუკუნის ბოლოთი თარიღდება. შესწავლილია ღვთაება ტიხე კონსტანტინეპოლის და თითქმის იგივე გამოსახულების მქონე რომის მფარველი ღვთაების – რომის იკონოგრაფიული გამოსახელებები გვიან ანტიკური და ადრებიზანტიური პერიოდის მონეტებზე. გაზიარებულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ არ არის გამორიცხული, ანტიკურ სამყაროსი არსებობდა სურათიანი წიგნების (გრაგნილების) რაღაც სახეობა, რაც შესაძლებლობას აძლევდა ხელოსნებს ერთმანეთისგან დაშორებულ ქვეყნებში ეკეთებიათ მსგავსი გამოსახულებიანი ნიმუშები. ფაქტია, რომ ესა თუ ის მოდა ან ტრადიცია ხელოვნებასის ნიმუშებსა და ნუმიზმატიკაში ერთდროულად იკიდებდა ფეხს.

სამთავროს მედალიონი მასზე არსებული წარწერიდან გამომდინარე, რელიგიური იდენტიფიკაციის დანიშნულებისაა. მედალიონზე არსებული წარწერის მიხედვით, მისი მფლობელი ქრისტიანია, რაც ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართლში იმთავითვე პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელიც უნდა ყოფილიყო. ტიხე კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ ყოფნა მისი მფლობელის დასავეთის ორიენტაციის მიმანიშნებელია. იკონოგრაფიიდან გამომდინარე, მედალიონი IV ს-ის II ნახევრითა და V ს-ის I ნახევარით შეიძლება დათარიღდეს.

მარიკა მშვილდაძე

მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ ნაკრძალში დაცული მინიატურული სკულპტურა საკიდის შესწავლის საკითხისათვის

მოხსენებაში შესწავლილია ბაიათხევის №35 ინვენტარიან კრამიტსამარხში აღმოჩენილი მამაკაცის პორტრეტულგამოსახულებიანი კამეა-საკიდი, რომელიც დღესდღეობით დაცულია მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში. ვარდისფერი სარდიონისაგან დამზადებული კამეა – მამაკაცის (?) ბიუსტი ზურგით ჩასმულია მრგვალ ოქროს ჩარჩოში – სათვალბუდეში, რომელსაც თავთან მირჩილული აქვს ბრტყელი ყუნწი. ბაიათხევის №35 კრამიტსამარხში აღმოჩენილი კამეა-საკიდი, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მინიატურული სკულპტურა-საკიდი ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფორმის სკულპტურები არც თუ ისე ბევრია აღმოჩენილი მსოფლიოში. ასეთი ბიუსტებით ირთვებოდა ოქროს გვირგვინები, ისინი მაგრდებოდა მედალიონებში. შედარებით დიდი ზომების ისმებოდა რომაული ლეგიონების ბანერებზე. კვლევის შედეგად დგინდაბა, რომ ბაიათხევის №35 კრამიტსამარხში აღმოჩენილი მამაკაცის პორტრეტულგამოსახულებიანი მინიატურული სკულტპურა-კამეა ძვ.წ I-ახ.წ. II საუკუნის I ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. ხოლო საკიდი არ არის გამორიცხული სამარხის თანამედროვე იყოს.

მარიკა მშვილდაძე

რომის იმპერატორის კულტი იბერიაში (ამურისგამოსახულებიანი კამეები)

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომი ყველანაირად ცდილობდა რაც შეიძლება ძლიერი სოციალური დასაყრდენი ჰქონოდა ახალ პროვინციებსა და მეზობელ კლიენტ ქვეყნებში. ცდილობდა რა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული, რელიგიური გავლენის, განათლების დამკვიდრებას ძირითადად სამეფო კარსა და ნობილიტეტში.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმის დადგენა თუ რამდენად ახდენდა რომი იმპერატორის კულტის

ექსპანსიას იბერიაში. ნაშრომში შესწავლილია მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამურისგამოსახულებიანი კამეები: 1. 1947 წელს მცხეთაში ორფერდასახურავიან კრამიტყუთში (სამარხი №1, ბავშვის სამარხი) დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი ყავისფერი სარდერისა და მოწითალო სარდიონის კამეები, რომლებიც ოქროს საყურეებში იყო ჩასმული (ინვ. №388, ახ.წ. I ს.) და 2. 1985 წელს ორფერდასახურავიან აკლდამაში (სამარხი №905) აღმოჩენილი: ა. ამურისგამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეა ოქროს ბეჭედში (ინვ. №2700, ძვირფასი ლითონების ფონდი); ბ. ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში (გლიპტიკის ფონდი №1577).

არ არის გამორიცხული, რომ მცხეთის №1 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი კამეები ფალერებს წარმოადგენდეს. მცხეთის №905 სამარხში აღმოჩენილი ამურისკამეებიანი ბეჭედი და საყურე ამ ტიპის საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებულ კამეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნამუშევარია. როგორც ბეჭედზე, ისე საყურეზე არსებული გემა ბუდიდან იმდენად მაღლაა ამოწეული, რომ იგი, მცირე პლასტიკის ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი აზრით, მცხეთის №905 სამარხში დაფიქსირებული ამურისგამოსახულებიანი კამეები ფალერების ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს, რომლებზეც საიმპერატორო გვარის ბავშვებია წარმოდგენილი ამურის სახით, რაც ფართოდ გამოიყენებოდა დინასტიის პროპაგანდისათვის.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს საყურეებსა და ბეჭედზე არსებული ამურისგამოსახულებიანი კამეები რომის საიმპერატორო გვარის პროპაგანდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა იბერიაში. პერიოდში, როდესაც რომის იმპერიაში უკვე დამკვიდრებული იყო იმპერატორის კულტი.

მარიკა მშვილდაძე

რომი და ინდოეთი (I-III სს.)

მოხსენებაში ნაშრომში განხილულია რომსა და ინდოეთს შორის არსებული კონტაქტები გვიან ანტიკურ ხანაში. რომის იმპერიის ინდოეთთან დამაკავშირებელი გზას რომის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე წარმოადგენდა გზა ანატოლიისა და სპარსეთის გავლით. მეწამულ ზღვაზე პტოლემაიოსები იყვნენ გაბატონებულნი. რომის იმპერიის მიერ ძვ.წ. 31 წელს, ეგვიპტის დაპყრომის შემდეგ კი სახმელეთო გზა შეცვალა საზღვაომ. ახ. წ. I ს-ში რომიდან ინდოეთისაკენ მიმავალ ყველაზე ახლო გზას წარმოადგენდა გზა მეწამური და არაბეთის (ან ინდოეთის ოკეანით) ზღვების გავლით სამხრეთ ინდოეთამდე (მალაბარის სანაპირო).

ნაშრომში გაანალიზებულია ანტიკური პერიოდის ინდოსტანის ნახევარკუნძულზე არსებული პოლიტიკური სიტუაცია. ძვ.წ. VI ს-ში ბუდისტური წყაროების მიხედვით, ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მრავალი მაჰაჯანაპადი (სანსკრიტი "დიდი ქვეყნები") შეიქმნა. ძვ.წ. III ს-ში სამხრეთ აზიის დიდი ნაწილი გაერთიანდა მაურიას იმპერიაში. ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთით რამდენიმე დინასტია დომინირებდა: ჩერას, ჩოლასა და პანდიას დინასტიები. ჩერას პირველ დრავიდურ-ტამილური დინასტიის (I-III სს.) შემადგენლობაში შედიოდა მალაბარის სანაპირო ზოლი, საიდანაც ხორციელდებოდა დასავლეთის მიმართულებით საზღვაო კონტაქტები. ბერძენ-რომაელთა ვაჭრობის დაწყება ინდოეთთან დაკავშირებულია ბერძენ ევდოქსოს კიზიკელის (Εὔδοξος ὁ Κυζικηνός, ძვ.წ. II ს.) სახელთან. რომსა და ინდოეთს შორის სავაჭრო კავშირების ზრდა კი დაკავშირებულია ოქტავიანე ავგუსტუსის სახელთან, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას.

ნაშრომში გაანალიზებულია რომის იმპერიასა და ინდოეთს შორის არსებული ურთიერთობების შემცველი და არტეფაქტები. მათ შორის „ერიტრიის ზღვის პერიპლუსი" (ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი) ინდო-რომაული სავაჭრო გზის ყველაზე დაწვრილებითი აღწერის შემცველი დოკუმენტი. იმ ფაქტის

დამადასტურებლად, რომ საზღვაო-სავაჭრო გზა, მართლაც ინტენსიურად მოქმედებდა შეიძლება ჩაითვალოს მალაბარის სანაპირო ზოლზე რომის იმპერიასთან დაკავშირებული არაერთი არტეფაქტის აღმოჩენა (რომაელთა სავაჭრო საქონელი, კეისრის მონეტები...).

თეა წითლანაძე, ანდრო გოგოლაძე

ფრანგი დიპლომატის რელაციები საქართველოს შესახებ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში

წინამდებარე მოხსენების მიზანი გახლდათ XVI საუკუნის ფრანგი დიპლომატი ჟუიეს ცნობების სრულად შემოტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში (Charrière E., Négotiations de la France dans le Levant, v.III.MDCCCL). მის წერილებში ასახულია XVI საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთში ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ძირეული მომენტები და საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ. ვინაიდან XVI საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, თანადროული ქართული წყაროები საკმაოდ მწირია, წარმოდგენილი დოკუმენტების მნიშვნელობა უფრო იზრდება. წერილების არსი მიგვითითებს იმაზე, რომ საფრანგეთის სამეფო კარისათვის, საქართველოთი დაინტერესების რეალური მოტივები არსებობდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე წარმოდგენილი წერილები პირველ წყაროს ფუნქციას იძენენ დასახელებული საკითხის შესაწავლად.

ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში კარგად გარკვეული ფრანგი დიპლომატის ცნობებს საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ ხანებში ქართველები ძალიან აქტიურად მონაწილეობდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. დიპლომატის ხელიდან გამოსული მასალა ფასდაუდებელია XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გასათვალისწინებლად. ეს წყაროები საშუალებას გვაძლევს შევუჯეროთ იგი თანადროულ ევროპულ თუ თურქულ ენაზე არსებულ წყაროებს და ვნახოთ, თუ როგორი კუთხით წარმოჩნდა თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო ევროპულ სამყაროში.

თეიმურაზ პაპასქირი

9 მაისი როგორც პროპაგანდის იარაღი საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთში

ევროპაში ომის დასრულების თარიღი პირველივე დღიდან იქცა გარკვეული დაპირისპირების იარაღად. საკმარისია აღინიშნოს, რომ თავად თარიღის შერჩევაც კი პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა ლიდერის – იოსებ სტალინის მიერ მარშალ გ. ჟუკოვისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში პირდაპირ ეწერა, რომ „ომის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა საბჭოთა ხალხმა, და არა მოკავშირეებმა. ამიტომაც კაპიტულაციას ხელი უნდა მოეწეროს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ყველა ქვეყნის უმაღლესი სარდლობის, და არა მხოლოდ მოკავშირეთა უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე“. სწორედ ეს შეტყობინება ხსნის ყველაზე კარგად, თუ რატომ აღნიშნავს პოსტსაბჭოთა სივრცის უდიდესი ნაწილი ევროპაში ომის დასრულების დღეს 9 მაისს, ხოლო მთელი დანარჩენი მსოფლიო – ერთი დღით ადრე, 8 მაისს. ამავე დროს, სტალინის პერიოდში 9 მაისის პომპეზურად აღნიშვნა პრაქტიკულად არ ხდებოდა და ის დასვენების დღე იყო მხოლოდ 1945-1947 წლებში. არ ტარდებოდა არც აღლუმი და საზეიმო ღონისძიებები შემოიფარგლებოდა სალუტით.

9 მაისის, როგორც პროპაგანდისტული იარაღის აღორძინება, დაიწყო 1965 წლიდან, მას შემდეგ რაც ლეონიდ ბრეჟნევი გახდა სსრ კავშირის ლიდერი. ამ დროიდან მოყოლებული 9 მაისი იქცა დასვენების დღედ და ყოველ წელს ტარდებოდა სამხედრო აღლუმი, რომელიც საბჭოთა კავშირის ძლიერების სიმბოლოდ იქცა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბორის ელცინის მმართველობის პირველ პერიოდში 9 მაისის პომპეზური აღნიშვნა შეწყდა. პირველი აღლუმი ჩატარდა მხოლოდ 1995 წელს, გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. შემდგომ წლებში აღლუმი ტარდებოდა, თუმცა სამხედრო ტექნიკის მონაწილეობის გარეშე.

რაც მთავარია, იმ პერიოდში იწერებოდა უამრავი ნაშრომი, სადაც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის საკითხი ბევრად უფრო ობიექტურად შუქდებოდა.
რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ ვითარება ნელ-ნელა შეიცვალა. 2004-2005 წლებიდან, როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაწყებული პროცესების („ვარდების რევოლუცია“ საქართველოში, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში და ა.შ.) პასუხად, რუსეთის ხელისუფლებამ გააქტიურა თავისი ქმედებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისი გავლენის განსამტკიცებლად. იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთ მთავარ იარაღად სწორედ 9 მაისი, ანუ „ფაშიზმზე გამარჯვების დღე“ იქცა. რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო იმის ხაზგასმა, რომ პოსტსაბჭოთა ხალხებს „საერთო წარსული აქვთ“ და რომ „ეს არის დღესასწაული, რომელიც მათ აერთიანებს“. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ პირველი აღლუმი სამხედრო ტექნიკის გამოყენებით პუტინის რუსეთში 2008 წლის 9 მაისს, საქართველოზე თავდასხმამდე თითქმის სამი თვით ადრე გაიმართა.
იდეოლოგიურ ფრონტზე რუსეთის ხელისუფლების გაქტიურება განსაკუთრებით ნათელი გახდა 2012 წლიდან, როდესაც რუსეთში პირველად ჩატარდა ე.წ. „უკვდავი პოლკის“ მსვლელობა. ის ჯერ მთლიანად რუსეთს მოედო, ხოლო შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების აქტიური ხელშეწყობით, დაიწყო მისი რუსეთის ფარგლებს გატანა. მიზანი აქ ცალსახაა: რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ხალხების ერთიანობის ჩვენება და ამ ერთიანობის განმტკიცება ახალგაზრდა თაობაში, რომელსაც საბჭოთა კავშირში არ უცხოვრია. ბუნებრივია, ეს მხოლოდ მოკლევადიანი მიზანია და გრძელვადიან პერსპექტივაში პუტინი ფიქრობს საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. ამავდროულად, მას კარგად ესმის, რომ მსგავსი აქციები არცთუ შედეგიანია, მაგრამ მისთვის ამ შემთხვევაში მთავარი არის ფორმა და არა შინაარსი. პუტინისთვის ამ ერთობის ხაზგასასმელად მთავარი არის აქციის ჩატარება და არა მასში მონაწილე ხალხის რაოდენობა. შემთხვევითი არ არის, რომ ყოველთვის, როდესაც პუტინს წინააღმდეგობა შეხვდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, მთავარ მტრად ცხადდებიან „ფაშისტები და მოფაშისტო ელემენტები, რომლებითაც არის დაკომპლექტებული ადგილობრივი ხელისუფლებები“. რეალობაში კი თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს დღეს ნაცისტური გერმანიის ან სტალინისეული საბჭოთა კავშირის (მათ შორის მსგავსება ბევრად მეტია, ვიდრე განსხვავება) მემკვიდრე, ეს სწორედ რუსეთის ხელისუფლება და ვლადიმირ პუტინია.

თეიმურაზ პაპასქირი

პრეზიდენტის იმპიჩმენტი აშშ-ში: ისტორიული ექსკურსი და თანამედროვე მოვლენები

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპიჩმენტი არის სამართლებრივი პროცედურა, რომელსაც ახორციელებს წარმომადგენლობითი პალატა (ქვედა პალატა) სახელმწიფო მოხელის მიმართ. პროცედურის აღძვრისა და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში (ხმათა უბრალო უმრავლესობით) საქმე გადაეცემა ზედა პალატას (სენატს), რომელიც ატარებს სასამართლო პროცესს ამ მოხელის მიმართ. მისი უფლებამოსილება არის მხოლოდ იმის გადაწყვეტა, დამნაშავეა თუ არა ეს მოხელე. დამნაშავედ ცნობა ხდება ხმების მინიმუმ 2/3-ით. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მოხელეს ათავისუფლებენ თანამდებობიდან და მას ეკრძალება სახელმწიფო თანამდებობის დაკავება. გარდა ამისა, მის წინააღმდეგ შესაძლებელია სისხლის სამართლებრივი დევნა შესაბამისი ორგანოების მიერ. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, შეიწყალოს პირი, რომელიც ცნობილი იქნება დამნაშავედ სენატის მიერ (შეწყალების უფლების ერთადერთი შეზღუდვა აშშ-ს კონსტიტუციით). იმპიჩმენტის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო ღალატი, ქრთამის აღება (კორუფცია) და სხვა მძიმე დანაშაული ან არასათანადო საქციელი (პირველი ადამიანი, რომელიც იმპიჩმენტის შედეგად სცნეს დამნაშავედ და დაატოვებინეს პოსტი 1803 წელს, იყო ნიუ ჰემპშირის ოლქის მოსამართლე ჯონ პიკერინგი, რომელსაც ბრალად ედებოდა სიმთვრალე და უკანონო გადაწყვეტილებების მიღება). ფედერალურ დონეზე აშშ-ში იყო მხოლოდ 8 შემთხვევა, როდესაც პროცედურა სისრულეში იქნა მოყვანილი და რვავე შემთხვევაში საუბარი იყო მოსამართლეებზე.
ისტორიის მანძილზე აშშ-ს პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურაზე სხვადასხვა ფორმით მსჯელობა ბევრჯერ იყო. ეს პროცედურა სულ 14 პრეზიდენტის მიმართ იქნა წამოწყებული, თუმცა

წარმომადგენელთა პალატაში კენჭისყრამდე საუბარი მხოლოდ სამჯერ მივიდა. სამივეჯერ პალატამ მოახდინა პრეზიდენტის იმპიჩმენტი.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის წამოწყების პირველი წარუმატებელი მცდელობა იყო 1843 წელს, თუმცა რეზოლუცია იმპიჩმენტის ინიცირების შესახებ ვერ გავიდა (83-127). აღნიშნული რეზოლუცია წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა ჯონ მაინორ ბოტსმა (ვირჯინიის წარმომადგენელი), რომელსაც მიაჩნდა, რომ ტაილერი, „ვიცეპრეზიდენტი, რომელიც მოქმედებდა როგორც პრეზიდენტი“, უკანონოდ იქცეოდა (მიზეზი გახდა ტაილერის ვეტო საიმპორტო გადასახადების კანონპროექტზე 1842 წელს).

მეორედ საქმე საკომიტეტო განხილვამდე მივიდა. 1860 წელს (5 მარტი – 16 ივნისი) დაიწყო საკომიტეტო მოსმენები პრეზიდენტ ჯეიმს ბიუკენენის მიმართ. მოსმენებმა არ დაადასტურა თავად პრეზიდენტის ბრალი, თუმცა დაასკვნა, რომ „მისი ადმინისტრაცია იყო ყველაზე კორუმპირებული რესპუბლიკის დაარსების დღიდან“ (მცირე ხანში ეს ფორმულირება ულის გრანტის ადმინისტრაციაზე გადავა).

მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი ულის გრანტის (1876 წელს წარმომადგენელთა პალატამ საქმის განხილვა გადადო და ამასობაში გრანტს პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა), გროვერ კლივლენდის (1896 წელს, არ განხილულა საერთოდ), ჰერბერტ ჰუვერის (ორჯერ 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და ორივეჯერ გადაიდო), ჰარი ტრუმენის (1952 წელს სამჯერ სხვადასხვა მიზეზით, თუმცა არ გასცდენია იურიდიულ კომიტეტს, რომელმაც არ განიხილა), რონალდ რეიგანის (1987 წელს ირან-კონტრასის სკანდალის გამო. დაინიშნა სპეციალური გამომძიებელი, თუმცა რეიგანამდე საქმე არ მისულა), ბილ კლინტონის (1997 წელს, ჩინეთიდან წინასაარჩევნოდ ფულის მიღების ბრალდებით, თუმცა საქმის განხილვა გადაიდო), ჯორჯ ბუშ-უმცროსის (2003 წლიდან მოყოლებული ლამის ყოველ წელს, არც ერთხელ საკითხი არ გასცდენია მოსმენებს), ბარაკ ობამას (2012 წელს პაკისტანსა და ავღანეთში დრონების უკანონოდ გამოყენებაზე, ვერ გასცდა განხილვებს იურიდიულ კომიტეტში) და დონალდ ტრამპის (წელიწადში რამდენიმეჯერ მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, არ გასცდენია წარდგენის პროცესს ბოლო შემთხვევის გარდა) მიმართ.

იმპიჩმენტის პირველი წარმატებული მცდელობა წარმომადგენელთა პალატაში მოხდა 1868 წელს. 28 თებერვალს წარმომადგენელთა პალატამ 126 ხმით 47-ის წინააღმდეგ დაამტკიცა ენდრიუ ჯონსონის იმპიჩმენტი (თავდაცვის მინისტრ ედვინ სტენტონის გადაყენებიდან სამი დღის შემდეგ). სულ პალატამ ის დამნაშავედ სცნო 11 მუხლით, რომელთაგან მთავარი იყო 1867 წლის თანამდებობის პირების აქტის დარღვევა (პრეზიდენტს სენატის თანხმობის გარეშე აეკრძალა მთავრობის წევრების გადაყენება. შემდგომში ეს აქტი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი), თუმცა მათ შორის იყო კომიკური მუხლიც პრეზიდენტის მიერ კონგრესის წინააღმდეგ სამი საჯარო გამოსვლის შესახებ. პროცედურა გაგრძელდა სენატში, სადაც გადაწყდა კენჭისყრის ჩატარება მხოლოდ სამ მუხლზე: 2. გენ. ლორენცო თომასის დანიშვნა თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად; 3. ამის გაკეთება სენატის თანხმობის გარეშე; 11. პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცინვა და უღირსი საქციელის ჩადენა. 16 და 26 მაისს შედგა კენჭისყრა და სამივე შემთხვევაში დადგა ერთი და იგივე შედეგი: 35 მომხრე და 19 წინააღმდეგი. აქედან გამომდინარე, ჯონსონის იმპიჩმენტს დააკლდა 1 ხმა.

იმპიჩმენტის ყველაზე ცნობილი შემთხვევა აშშ-ში სინამდვილეში არც არასდროს მისულა კენჭისყრამდე. 1974 წლის 6 თებერვალს წარმომადგენელთა პალატამ 410 ხმით 4-ის წინააღმდეგ წამოიწყო იმპიჩმენტის პროცედურა პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის წინააღმდეგ. 26 ივლისს იურიდიულმა კომიტეტმა დაადანაშაულა ნიქსონი მართლმსაჯულების აღსრულების ხელის შეშლაში (27-11), ძალაუფლების გადამეტებაში (28-10) და კონგრესისადმი ხელის შეშლაში (21-17). მიხვდა რა, რომ იმპიჩმენტი გავიდოდა, 9 აგვისტოს ნიქსონი გადადგა. ასე რომ, ფორმალურად მისი იმპიჩმენტი არასდროს მომხდარა, თუმცა რეალობაში მისი იმპიჩმენტი როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ისე სენატში გარდაუვალი იყო. სამაგიეროდ, გადადგომამ ფორდს უფლება მისცა, შეეწყალებინა ნიქსონი.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის მეორე შემთხვევა მოხდა 1998 წელს, როდესაც 19 დეკემბერს ბილ კლინტონი დადანაშაულებულ იქნა ცრუმოწმეობასა (228-206) და მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლაში (221-212). სენატში საქმე განხილულ იქნა იანვარ-თებერვალში და 9 თებერვალს სენატმა ორივე საკითხში გაამართლა კლინტონი (55-45 და 50-50). ვინაიდან არც ერთი დემოკრატი არ აპირებდა ხმის

მიცემას კლინტონის წინააღმდეგ, აღნიშნული საკითხი თავიდანვე ჩასავარდნად იყო განწირული.
და ბოლოს, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მესამე შემთხვევა მოხდა სულ ახლახან, 2019 წლის 18 დეკემბერს, როდესაც წარმომადგენელთა პალატამ მოახდინა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტი ძალაუფლების გადამეტებისა (230-197) და კონგრესისადმი ხელის შეშლაში (229-198). ვინაიდან ხმის მიცემა პრაქტიკულად პარტიული ხაზით მოხდა და არც ერთ რესპუბლიკელს იმპიჩმენტისთვის ხმა არ მიუცია, ცალსახაა, რომ სენატში, რომელსაც რესპუბლიკელები აკონტროლებენ, ტრამპის იმპიჩმენტის პრაქტიკულად არანაირი შანსი არ არსებობს.
როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, იმპიჩმენტის მხოლოდ ერთი პარტიის ძალებით განხორციელება აშშ-ში შეუძლებელია. ის ფაქტი, კი რომ 230-ზე მეტი წლის განმავლობაში აშშ-ში პრეზიდენტის იმპიჩმენტი ბოლომდე არ მიყვანილა (ნიქსონის შემთხვევა არ ითვლება, რადგანაც საქმე კენჭისყრამდე წარმომადგენელთა პალატაში არ მისულა), მეტყველებს აშშ-ს კონსტიტუციის კარგად გაწერასა და ინსტიტუციების სიმყარეზე.

ლეილა (ია) ხუბაშვილი
ინკვიზიცია, როგორც საეკლესიო და იდეოლოგიური ტრიბუნალი

ინკვიზიცია ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და პრობლემატური თემაა ქრისტიანობის ისტორიაში. მასზე უამრავი წიგნი და ნაშრომია დაწერილი, მათ შორის პირველწყაროებიცაა, თანამედროვეთა ჩვენებებიც და პოლემიკური ტრაქტატებიც, და მაინც, ყველაფერი ცნობილი არაა ინკვიზიციის უწმინდესი ტრიბუნალის საქმიანობის შესახებ; ინკვიზიციის ბევრი არქივი ჯერაც მიუწვდომელია მკვლევართათვის: თითქმის არაა საბოლოოდ შემუშავებული ინკვიზიციის ისტორიის სამეცნიერო პერიოდიზაცია; არ არსებობს მასობრივი ერეტიკული მოძრაობის მთლიანი სურათი, რომლის წინააღმდეგაც დაიწყო ინკვიზიციური ტერორი; ცოტა რამაა ცნობილი კოლონიებში ინკვიზიციის საქმიანობაზე; არ არის დაწერილი პაპების ინკვიზიციის – უწმინდესი კანცელარიის კონგრეგაციის ისტორია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყველა ეპოქა ფაქტებსა და მოვლენებს თავისი იდეოლოგიისა და საჭიროებისდა მიხედვით ხსნიდა და ალაგებდა.
ქართულ ისტორიოგრაფიაში ინკვიზიციის საკითხი ნაკლებად შესწავლილია, თუ არ ჩავთვლით რინო კამილერის წიგნის „ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია“ ქართულ თარგმანს. უცხო ენებზე არსებული მონოგრაფიების უმეტესობა დაწერილია ინკვიზიციის აპოლოგეტების, ანდა ოპონენტების პოზიციებიდან და მათში ხშირად ცალსახადაა წარმოდგენილი ინკვიზიციის მრავალწახნაგოვანი ასპექტები. აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობის ობიექტური შეფასებაც ძნელია.
წმინდა კანცელარიის კონგრეგაცია, რომელიც ოდესღაც ფართოდ იყო ცნობილი ინკვიზიციის სახელით, წარმოადგენდა საეკლესიო ტრიბუნალს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ერესში შემჩნეული პირების პოვნა და დასჯა. მან თავისი საქმიანობით (დაწყებული 1550 წლიდან XVII საუკუნემდე) ესპანეთი და ესპანური ამერიკა პროტესტანტიზმისაგან „გაწმინდა“ და განსაკუთრებით განიმტკიცა იქ თავისი პოზიციები. წმინდა კანცელარიის კონგრეგაცია 1542 წელს დაარსდა და „რომის დიდი ინკვიზიცია“ შეცვალა. 1917 წელს მას გადაეცა აგრეთვე გაუქმებული ინდექსის კონგრეგაციის ფუნქციებიც. საინტერესო კითხვაზე-უარი თქვა თუ არა კათოლიკურმა ეკლესიამ ინკვიზიციის თეორიასა და პრაქტიკაზე, ცალსახა პასუხი, ალბათ, არ არსებობს. თუმცა ერთი რამ უდავოა, ვატიკანის პოლიტიკამ იმდენად დიდი სახეცვლილება განიცადა, რომ საეჭვოა, ძველი პრაქტიკის მიმდევარი დარჩენილიყო.
ჩვენთვის, სამწუხაროდ, პირველწყაროებზე მუშაობა მიუწვდომელია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას შევეცადეთ ხელმისაწვდომი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე წარმოგვედგინა ე.წ. „შავი ლეგენდის“ – ინკვიზიციის ასპექტები და მათი ინტერპრეტაცია მოგვეხდინა.

ლეილა (ია) ხუბაშვილი
იაპონიის პანაზიური დოქტრინა XX საუკუნის 30-იან წლებში. ტანაკას მემორანდუმი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიამ წყნარ ოკეანეში გერმანიისთვის ჩამორთმეული ტერიტორიების ხარჯზე მნიშვნელოვნად გააფართოა თავისი ქვეყნის საზღვრები და მიუახლოვდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენა აშშ-ინგლისის კომუნიკაციები

მათ კოლონიებთან და ჩინეთთან. იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა და სწრაფვა მთელ აღმოსავლეთ აზიაში ბატონობაზე, იაპონურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა ე.წ. „პანაზიურ დოქტრინაში“, რომლის მთავარი სლოგანი იყო: „აზია აზიელებისათვის“მონროს დოქტრინის საპირისპიროდ. იაპონური პანაზიური დოქტრინა განსაკუთრებით პოპულარული იყო მაღალ სამხედრო წრეებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიას უნდა დაეწყო „რასობრივი ომი ფერადკანიანთა ემანსიპაციისათვის“. ეს დოქტრინა არა მარტო პროპაგანდირებული იყო პრესის მიერ მთელ იაპონიაში, არამედ მას ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებში და სასკოლო გამოცემებში.

გენერალ ტანაკას მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში, იაპონიის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა დეტალურად დაიგეგმა ე.წ. „ტანაკას მემორანდუმში“. მასში ჩამოყალიბდა იდეა იაპონური რასის ბატონობისა მთელ აზიურ კონტინენტზე და წყნარ ოკეანეში. პარალელურად დიპლომატიური საქმიანობის გაძლიერებას იაპონია ფარავდა კამპანიით „წითელი საფრთხის“, რომელიც ჩინეთს ემუქრებოდა. იაპონურ პრესაში იბეჭდებოდა სტატიები ასეთი სათაურებით: „ჩინეთის არსებობა ბეწვზე ჰკიდია“, „5 წლის შემდეგ ჩინელი ერი გაქრება“, „საბჭოთა საფრთხე ისეთ მასშტაბებს ღებულობს, რომ თუ იაპონია მუკდენთან არ მიაღწევს შეთანხმებას, შედეგები იქნება საბედისწერო ორივე ერისათვის“. ტანაკას მემორანდუმი 1931 წლის სექტემბერში დაიბეჭდა ჟურნალ „ China Critic“-ში, საიდანაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. 1935 წელს, როცა ევროპაში უკვე ახალი ომის სუნი ტრიალებდა, იაპონელმა გენერალმა ტადამ გამოაქვეყნა პოლიტიკური თეზისები, რომელიც სასიგნალო რაკეტა აღმოჩნდა; ჩრდილოეთ ჩინეთში დაიწყო გამოსვლები ლოზუნგებით: „აზიური რასა უნდა გაერთიანდეს“, „ჩრდილოეთ ჩინეთის დამოუკიდებლობა“, „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“ და ა.შ. იაპონიის ასეთმა აგრესიულმა პოლიტიკამ აშშ აიძულა თავისი სტრატეგიული პოზიციები გაემაგრებინა წყნარ ოკეანეში. ამგვარად, იაპონიის მოქმედება აღმოსავლეთ აზიაში და წყნარ ოკეანეში იგივე გეგმით ვითარდებოდა, როგორც ევროპაში გერმანიასა და იტალიას ჰქონდათ.ორ მსოფლიო ომს შორის მანძილი სულ უფრო მცირდებოდა. ეს იყო ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის საბოლოო კრახი.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

პიუს XI-ის პონტიფიკატი. „რომის საკითხის“ გადაწყვეტა

აქილე ამბროზიო რატი 1922 წლის 6 თებერვალს ავიდა პაპის ტახტზე პიუს მეთერთმეტის სახელით. მან თავისი წინამორბედი პონტიფექსების პოლიტიკა გააგრძელა, რომლის მთავარი ვექტორი ანტიკომუნიზმზე გადიოდა. პიუს მეთერთმეტის პონტიფიკატის დროს 17 კონკორდატი გაფორმდა, მათ შორის მუსოლინისთან და ჰიტლერთან. მხარს უჭერდა ფრანკოს ამბოხებას ესპანეთში. მზად იყო გაემართლებინა ყველა პოლიტიკური აქცია სალაზარის, დოლფუსის, პილსუდსკის, ოღონდაც კი ისინი დათანხმებოდნენ ეკლესიასთან კავშირს და ებრძოლათ კომუნიზმთან. მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პიუს XI-ის პონტიფიკატში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „რომის საკითხის“ გადაწყვეტა. როგორც ცნობილია, პაპების საერო ძალაუფლებას წერტილი ნაპოლეონმა დაუსვა. იტალიის გაერთიანების (1870) შემდეგ კი ვატიკანის ტერიტორია იტალიის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. პაპმა პიუს მეცხრემ თავი „ვატიკანის ტუსაღად“ გამოაცხადა. მისი შემდგომი პაპების ყველა მცდელობა, რომ საერო ძალაუფლება დაებრუნებინათ, წარუმატებლად დამთავრდა. მხოლოდ პიუს მეთერთმეტის კომპრომისულმა პოლიტიკამ და იტალიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მისცა მას შესაძლებლობა 1929 წლის 11 თებერვალს კონკორდატი დაედო მუსოლინისთან და საბოლოოდ გადაეწყვიტა რომის საკითხი. ლატერანის ხელშეკრულებით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო გაჩნდა-ვატიკანი. პაპობამ საერო ხელისუფლება კი დაიბრუნა, მაგრამ მისი არქიტექტორის-პიუს მეთერთმეტის იმედები არ გამართლდა მუსოლინისთან და ჰიტლერთან მიმართებაში.

1939 წელს, ვატიკანში გადაწყვიტეს რომ ლატერანის ხელშეკრულების დადებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩაეტარებინათ და მასზე მიეწვიათ იტალიელი ეპისკოპატი. რომი სავსე იყო ხმებით პაპის მოსალოდნელ ისტორიული გამოსვლაზე, რომელზეც მას ფაშიზმი და ნაციზმი უნდა დაეგმო. როგორც ამბობდნენ, პიუს მეთერთმეტე ამ კონფერენციაზე მართლა აპირებდა ლატერანის ხელშეკრულების დენონსაციას, უკიდურეს შემთხვევაში იტალიის ხელისუფლებასთან კონკორდატზე უარის თქმას. ისეთი ჯიუტი და ფანატიკოსი პაპისაგან, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, ყველაფერი მოსალოდნელი იყო. მუსოლინის სიძე ჩიანო წერდა:“ „ეს პაპი ყველაფერზეა წამსვლელი. იმაზეც კი, რომ საჯაროდ

გაასამართლოს და განკვეთოს...უკიდურეს შემთხვევაში კი მზადაა დატოვოს რომი“. ეს ხმები, ბუნებრივია, გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა მუსოლინისა და ჰიტლერის გარემოცვაში. გერმანიისა და იტალიის საიდუმლო სამსახურებმა მიიღეს მითითება რომ ნებისმიერ ფასად შეეჩერებინათ პიუს მეთერთმეტის ანტიფაშისტური გამოსვლები. პაპს მართლაც არ ეწერა, რომ გამოესწორებინა თავისი შეცდომები მუსოლინისა და ჰიტლერის მიმართ. 10 თებერვალს, კონფერენციის წინა დღეს გამთენიისას პაპი მოულოდნელად გარდაიცვალა ისე, რომ ზიარებაც კი ვერ მოასწრო. 40 წლის შემდეგ პიუსის უახლოესმა პრელატმა ტისერანმა გამოაქვეყნა მემუარები, სადაც ის კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ პაპი მოწამლა კლარა პეტაჩის – მუსოლინის საყვარელი ქალის მამამ, დოქტორმა პეტაჩიმ, რომელიც მუსოლინისა და ჰიტლერის საიდუმლო სამსახურში იმყოფებოდა. 1959 წელს, როცა ლატერანის ხელშეკრულების 30 წელი აღნიშნა ვატიკანმა, პაპმა იოანე XXIII-მ გამოაქვეყნა პიუს მეთერთმეტის სიტყვიდან ნაწყვეტი, მაგრამ მასში არ ყოფილა გასამართლებული არც ნაციზმი და არც ფაშიზმი. თუმცა, თუ გავაანალიზებთ მისი პონტიფიკატის კატაკლიზმებს და გავითვალისწინებთ იმ იმედგაცრუებას, რაც პიუსს მის მიერ დადებულმა კონკორდატებმა მოუტანა, ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, რომ სიკვდილის წინ მუსოლინისთვისაც და ჰიტლერისთვისაც სამაგიერო გადაეხადა. პიუს მეთერთმეტე პაპობის ისტორიის პირველი ალპინისტი იყო.

ფატი შეყლაშვილი
სოციალური პოლიტიკა გერმანიის იმპერიის პირველ ათწლეულებში

1871 წ. პრუსიაში და გერმანულ სახელმწიფოებში დასრულდა პოლიტიკური პროცესი და კვლავ განახლდა რეფორმისტული პოზიცია, რომლის მიზანიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ტრანსფორმირება და სახელისუფლებო ინსტიტუტების ორგანიზება გახდა. ახლადშექმნილი იმპერიის წინაშე მდგარ გამოწვევებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა სოციალური პოლიტიკა, ბისმარკის პოლიტიკა სოციალურ სფეროში იქცა გერმანიის განვითარების ფუნდამენტად. სოციალური პოლიტიკის ახალი მოდელი, სოციალური დაზღვევის პრაქტიკა წარმატებით აითვისეს შემდგომში სხვადასხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა. იმპერიის არსებობის პირველ ათწლეულებში გატარებულმა სოციალურმა პოლიტიკამ იმპერიის მოსახლეობის სოციალური სტატუსი შედარებით გააუმჯობესა და შექმნა საფუძვლები გერმანიის სოციალური კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და გაფართოებისათვის.

მერაბ კალანდაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე

მოხსენება ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მოცემულია მცდელობა, გაირკვეს ვ. ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ნაპოლეონის მიმართ. ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა.

მერაბ კალანდაძე
საქართველოში ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საკვანძო მომენტები

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მასში პირველად არის განხილული საქართველოში ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საკვანძო მომენტები. ეს სიახლეა და გააჩნია ქართული კონტექსტი.

მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე
თომას ჯეფერსონი ისტორიულ ლიტერატურაში

მოხსენება ატარებს ისტორიოგრაფიულ ხასიათს და ეხება თომას ჯეფერსონის შეფასებას ისტორიოგრაფიაში. მასში ჩართულია ქართული კონტექსტი, რაც წარმოადგენს სიახლეს.

მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე
სტალინისტური იდეოლოგიის მცდარი შეხედულებები მსოფლიო ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხზე

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს უხსენებელის დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიის ზოგიერთი აქტუალური საკითხისადმი. დიდი ხნის განმავლობაში ეს თემა შუქდებოდა უაღრესად ცალმხრივად და მისი აპოლოგეტური შეფასება დომინირებდა. ვითარება შეიცვალა 50-იანი წლების დასაწყისში მისი გარდაცვალების შემდეგ. ეს იმით გამოიხატა, რომ ჩნდება ახალი კრიტიკული ინტონაციები, მაგრამ ეს ყველაფერი არ ცილდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებს და ,,დათბობის ხანისათვის“ დამახასიათებელი „იდეური დაბნეულობის“ გამოძახილი უნდა იყოს. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საკითხის პერიოდიზაცია. ეს არის მისი შეხედულებების გაშუქების პირველი პერიოდი, რომელიც პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. ამ შემთხვევაში აქ საქმე გვაქვს საკითხის შიდა პერიოდიზაციასთან. მეორე პერიოდი იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლების დასაწყისში, როდესაც მისმა კრიტიკამ ტოტალური ხასიათი შეიძინა და გაცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებს. ეს, უმთავრესად, ეხებოდა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას და გაცილებით უფრო ნაკლებად მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებზე მის ნააზრევს. ეს საკითხი შედარებით პერიფერიულ თემად რჩებოდა. ჩვენ ვცადეთ შეგვეცვსო ეს ხარვეზი და აღნიშნული საკითხი წინ წამოგვეწია. ეს გახლავთ მისი საქმიანობის პირობით რომ ვთქვათ მეცნიერული მხარე. ჩვენთვის მისი მოღვაწეობის პოლიტიკური მხარე აბსოლუტურად მიუღებელია, ხოლო მეცნიერული მხარე კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მან კი არ განავითარა მარქსიზ-ლენინიზმი, როგორც ამას XX საუკუნის პირველ ნახევარში გვიმტკიცებდნენ, არამედ სათავე დაუდო ვიწროდოგმატურად ინტერპრეტირებულ მარქსიზმს, რაც მკვეთრად განსხვავდებოდა ავთენტური მარქსიზმისაგან. მან ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, მისი ყველაზე უფრო უარესი დოგმატურ-ორთოდოქსული, საბჭოურ-ბოლშევიკური, ლენინურ-სტალინური ინტერპრეტაციით. მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. განსხვავებული აზრისადმი მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა მიდგომის აქილევსის ქუსლად გვევლინება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად, ეს იყო მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებების სრული ფიასკო. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური გაუფერულება ამის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. მან ამ საქმეში ლომის წილი დაიდო/

ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაციის შექმნის საქმეში უდიდესი წვლილი, სწორედ, მას მიუძღვის. ფაქტობრივად, მან შეიმუშავა მსოფლიოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის მეთოდოლოგიური პრინციპები და კრიტერიუმი. პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო ფორმაციული პრინციპი და კლასთა ბრძოლის ფაქტორი. ცალკეულ ეპოქებს შორის მნიშვნელოვან ნიშანსვეტად რევოლუცია გვევლინება. მის მიერ შემუშავებული მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის აქილევსის ქუსლად შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ზღვარის განსაზღვრა მიგვაჩნია. მას მიზანშეწონილად ესახებოდა შუა საუკუნეების ისტორიის დასრულება და ახალი ისტორიის დაწყება XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით. ამ პერიოდიზაციას შეიძლება ითქვას, რომ ნაკლი გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ღირსებები. ყურადღებას მივაპყრობთ, ორ გარემოებას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდიზაციაზე მისი გარდაცვალების შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში თავად საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თქვა უარი და ახალი ისტორია დაიწყო ინგლისის რევოლუციით XVII საუკუნის შუა ხანებში. მეორე ასეთი თვალსაზრისი ეწინააღმდეგებოდა კ.მარქსის, ფრ.ენგელსის მოსაზრებებს, რომელთაც ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად XVI საუკუნე ესახებოდათ. ეს მისი სერიოზული მეთოდოლოგიური ნაკლია.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური იყო მისი თეზისი, რომლის თანახმად დასავლეთ რომის იმპერია 476 წელს დაეცა არა გერმანელი ტომების შემოსევების, არამედ მონათა რევოლუციის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უმალ უარი თქვა მონათა რევოლუციის თეორიაზე. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და „დათბობის ხანის“ ექოდ გაისმა.

მან, თავის ღირსეულ წინამორბედთან ერთად, საძირკველი ჩაუყარა ევროპული რევოლუციებისადმი წმინდა კლასობრივ მიდგომას და ის ორ ჯგუფად დაყო, ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუცია. ასეთი ვიწრო კლასობრივი მიდგომა აკნინებს ევროპული რევოლუციების ისტორიულ მნიშვნელობას და ევროპელი ისტორიკოსების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის უსაშველოდ გაბუქვა, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია,

ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. სინამდვილეში არავითარი რევოლუცია არ ყოფილა. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მოაწყვეს ბოლშევიკებმა.
სავსებით მართლზომიერია, რომ ინგლისის და საფრანგეთის რევოლუციების მარქსისტული ინტერპრეტაციის მთავარ არქიტექტორად, სწორედ, ის მოგვევლინა. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული პერიოდიზაცია და საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი „იაკობინოცენტრიზმი“, ბრძოლის „პლებეური მეთოდების“ იდეალიზაცია, მემარცხენე პოლიტიკური პარტიების განდიდება (ლეველერები, დიგერები, ებერვისტები, „ცოფიანები“, ბაბეფი).
ნაპოლეონისადმი მისი დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია, მიუხედავად ზოგიერთი დადებითი გამონათქვამისა, რომელიც უპირატესად, კონუნქტურული მოსაზრებებით გახლდათ განპირობებული. ის, პირველ ყოვლისა, ნაპოლეონს აღიქვამდა როგორც „ევროპელ ჩინგიზ-ხანს“ და უმთავრესად, აქცენტს აკეთებდა ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე. ამგვარი მიდგომა ამუქებს საქმის ვითარებას და ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ის იყო 1812 წლის ომის ურაპატრიოტული პოზიციებიდან გაშუქების ერთ-ერთი მხურვალე მომხრე. ბოროდინოს ბრძოლაში რუსეთის გამარჯვებაზე აპელირება და მ.კუტუზოვის უსაშველოდ გაიდიალება, ამგვარი მიდგომის კულმინაციაა.
მის სახელთან ასოცირდება ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. წარსულისადმი მიდგომა გახდა ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული, რაც მსოფლიო ისტორიის მთელ რიგ მოვლენებზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ვიწრო დოგმატურად ინტერპრირებული მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარ არქიტექტორად, სწორედ ის გვევლინება.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე

მოხსენება ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მოცემულია მცდელობა, გაირკვეს ვ. ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ბისმარკის მიმართ. ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი პარნელზე

მოხსენება ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მოცემულია მცდელობა, გაირკვეს ვ. ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება პარნელის მიმართ. ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა.

ზაალ გოგენია
ტურიზმი როგორც ფრანკისტული სახელმწიფო პროპაგანდის ინსტრუმენტი საერთაშორისო იზოლაციის წლებში

ესპანეთში ტურიზმის ისტორია 1905 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა სფეროს განვითარების სუბსიდირება სახელმწიფო დონეზე. ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე სამოქალაქო ომამდე ეს სექტორი წარმატებით მუშაობდა. ლოგიკურია 1936-1939 წწ. მოხდა ტურისტული საქმიანობის პარალიზება, უცხოური ტურისტების შემოსვლა კატასტროფულად შემცირდა და ისტორიულ მინიმუმს მიაღწია (15 ათასი ადამიანი წელიწადში). საშუალო ვადიან პერსპექტივაში უფრო ტრაგიკული იყო ის, რომ სამოქალაქო ომმა გააჩანაგა ქვეყანა, მოშალა ინფრასტრუქტურა და ა.შ. მეორე მსოფლიო ომმა და მის შემდეგ ფრანკოს რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. პირველი განაჩენი ფრანკოს რეჟიმს საფრანგეთმა გამოუტანა, როცა 1946 წლის თებერვალში ჩაკეტა საზღვარი ესპანეთთან, ამას მოჰყვა იმავე წლის მარტში ინგლის-საფრანგეთ-აშშ ერთობლივი ანტიფრანკისტული რეზოლუცია და ბოლოს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება რომლითაც ესპანეთს უარი ეთქვა გაეროში და სხვა ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე, ასევე მოუწოდა სახელმწიფოებს გაეწვიათ თავიანთი ელჩები ესპანეთიდან. ეს რეკომენდაცია თითქმის ყველა ქვეყანამ შეასრულა ვატიკანის, პორტუგალიის, ირლანდიის და არგენტინის გარდა.

ამ კონიუნქტურაში 1940-იანი წლები ურთულესი აღმოჩნდა რეჟიმისთვის. საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის პიკი 1945-47 წლებზე მოდის. ამ პერიოდში რასაკვირველია

მკვეთრად შემცირდა ტურისტული ნაკადის შემოსვლა და ეს მდგომარეობა პრაქტიკულად 1949 წლამდე გაგრძელდა. 1947-48 წწ მართალია მოკრძალებული იყო ამ სფეროს საქმიანობა, თუმცა მიუხედავად ამისა ტურიზმმა გამოავლინა თავისი ეკონომიკური პოტენციალი ამ დრამატულ პერიოდში. 1949 წელს ტურიზმი ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სექტორი, მაგრამ შეინიშნება მისი როლის ზრდა. ამ დროს აგრარული ციკლი განსაზღვრავდა მთლიან ეკონომიკურ ციკლს.

არსებობის პირველივე დღეებიდან ფრანკოს რეჟიმი ცდილობდა ტურისტული საქმიანობის ცენტრალიზებას, რისი კარგი დადასტურებაა სფეროს ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო დონეზე და მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო ინიციატივები.

ტურიზმის განვითარებას და მის დიდ პოტენციალს მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს როგორც საგარეო ისე საშინაო კუთხით. საშინაოს მიეკუთვნებოდა საცხოვრებელების უკმარისობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, პროდუქტების დეფიციტი, მიუხედავად ამისა ოფიციალური პროპაგანდა სულ სხვანაირ სურათს ხატავდა. განსაკუთრებით ტურიზმის გენერალური დირექტორატი ლუის ანტონიო ბოლინით სათავეში. ბოლინს კარგად ესმოდა შექმნილი სიტუაცია, თუმცა მისი ტურისტული პროპაგანდა ეწერებოდა საერთო პროპაგანდისტულ პოლიტიკაში რომელსაც ჰქონდა ორმაგი: საგარეო და საშინაო ,,მოხმარება“.

საერთოდ უნდა ითქვას 1938-1946 წწ. შორის ტურიზმი გამოყენებულ იქნა როგორც სახელმწიფო პროპაგანდის ინსტრუმენტი ფრანკოს რეჟიმის დასაკანონებლად. 1946-1950 წწ. რეჟიმი მიხვდა, რომ ტურიზმი იყო ერთადერთი ღია ფანჯარა დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად და მასზე მოხდა მთელი ყურადღების კონცენტრირება.

ამრიგად ტურისტული პროპაგანდა ემსახურებოდა ფრანკოს რეჟიმის კონსოლიდაციას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

1947-1951 წლებში ესპანეთში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ სახელმწიფოს ტურისტულ პოლიტიკას და პროპაგანდას, განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. ,,გამორჩეული ტურისტების“ თემა როგორებიცაა ევა პერონი, იორდანიის მეფე აბდულა და სხვები. გაზეთები პირველ ფურცელზე, დიდი ასოებით აშუქებდნენ ამ ვიზიტების დეტალებს და ა.შ. 1947 წელს გახშირდა ამერიკის საქმიანი წრეების, ჟურნალისტების, ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა ვიზიტები. ფრანკო დიდად იყო დაინტერესებული ამ ვიზიტებში და მათ პოპულარიზაციაში რადგან უცხოელების ყოფნა ესპანეთში, საკუთარი მოსახლეობის თვალში რეჟიმის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი საშუალებად მიაჩნდა.

ესპანეთის ტურისტული სექტორის ცნობილი სახე ხოსე მელია ტურიზმს განმარტავდა როგორც აუციელებელ მედიკამენტს და ანტიბიოტიკს, მისი სიტყვებით „ის ათავისუფლებს ორგანიზმის ინფექციისგან“, სწორედ ასეთი როლი ითამაშა ტურმიზმის განვითარებამ 40-50-იანი წლების ესპანეთში, დაძლია რა პოლიტიკური და იდეოლოგიური ბარიერები გახდა მძლავრი კატალიზატორი ესპანეთის შემდგომი განვითარების და ე.წ. „ეკონომიკური სასწაულის“.

ზაალ გოგენია

1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში

1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაცია ფრანკისტი იურისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანას წარმოადგენდა. მათ უნდა დაემტიცებინათ, რომ სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნა და არსებობა არალეგიტიმური იყო; ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების საფუძველზე გაემართლებინათ აჯანყება როგორც „წინააღმდეგობის უფლების“ კანონიერი აქტი, ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ; მსგავსი შინაარსით მაგრამ ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე გაემყარებინათ არმიის უმთავრესი მოვალეობა – ერის დაცვა – ,,მთავრობის მხრიდან თავდასხმის პირობებში“; სისხლის სამართლის კატეგორიის ფარგლებში „სამხედრო აჯანყებისთვის“ მიეცათ „კანონიერი თავდაცვის“ (უკიდურესი აუცილებლობა) კვალიფიკაცია, რომელიც ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

1938 წელს ფრანკოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სერანო სუნიერმა ხელი მოაწერა ბრძანებას კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალა 1936 წლის 18 ივლისს ესპანეთის რესპუბლიკის მოქმედი ხელისუფლების არალეგიტიმურობის საკითხის დამტკიცება. კომისიის 23 წევრს „უტყუარი

მტკიცებულებებით“ უნდა დაესაბუთებინა თეზისი, რომ აჯანყება არ ყოფილა აქტი ხელისუფლების და კანონის წინააღმდეგ. სტატიაში დაწვრილებითაა განხილული კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ე.წ. „Dictamen“ რომლის მიხედვით არა მხოლოდ სახალხო ფრონტის ხელისუფლებაში მოსვლა არამედ თვითონ რესპუბლიკის წარმომავლობა იყო უკანონო და არც კონსტიტუცია წარმოადგენდა „ქვეყნის ფუნდამენტურ სტატუტს“. ჩამოთვლილი იყო ხელისუფლების მიერ ჩადენილი „დანაშაულებები“ და ა.შ.

„წინააღმდეგობის უფლება“ (ius resistendi) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო გადატრიალების გასამართლებლად. ამ მიმართულებით გამოირჩევა საბინო ალვარეს გენდინის (ოვიედოს უნივერსიტეტი) საქმიანობა. მის არგუმენტებს გააჩნდა კონკრეტული მიზანი - სამხედრო აჯანყების გამართლება იურიდიული და ტრადიციული პრინციპებით, ანუ აჯანყების უფლება ჩაგვრაზე რომელსაც ტირანული ხელისუფლება ახორციელებს გარდა იმის რომ არის უნივერსალური უფლება ამავე დროს ის არის ჭეშმარიტად კათოლიკე ესპანელის ტრადიციული ბუნებისთვის დამახასიათებელი. სხვადასხვა თეორიებზე დაყრდნობით გენდინი ამტიცებდა, რომ დამონებულ ხალხს აქვს კანონიერი უფლება აჯანყდეს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ უნდა არსებობდეს სამი აუცილებელი პირობა: როცა ამოწურულია ყველა მშვიდობიანი და კანონიერი საშუალება, როცა არსებობს წარმატების მაღალი ალბათობა და როცა აჯანყება არის პროპორციული ზომა. პირველი ორი გენდინისთვის აშკარა იყო, რაც შეეება მესამეს, შედეგების გათვალისწინებით ნაკლებად იყო პროპორციული, მაგრამ სამაგიეროდ ესპანეთში კომუნიზმის გამარჯვებას მეტი ტერორი მოჰყვებოდა ვიდრე სამოქალაქო ომში. ამრიგად გენდინის აზრით, მსხვერპლი ამად ღირდა. წინააღმდეგობის უფლების ფარგლებში აღსანიშნავია იგნასიო დე ლოხენდიოს (სევილიის უნივერსიტეტი) მტკიცებები. გენდინს და ლოხენდიოს შორის განსხვავება იყო ინსპირაციის წყაროში. ლოხენდიოსთან საკითხი ისტორიის ფილოსოფიის ჩარჩოებში თავსდება და უკანა პლანზე გადადის ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი. აჯანყების უფლება მასთან არის არა ეთიკური და მორალური ვალდებულება, არამედ ბუნებრივი აქტი გამოწვეული აუცილებლობით.

„კანონიერი თავდაცვის“ თვალსაზრისით აჯანყების გამართლებაში გამორჩეული ავტორია ისაიას სანჩეს ტეხერინა (სალამანკის უნივერსიტეტი). მისი აზრით, ეროვნული აჯანყება იყო კანონიერი თავდაცვის კოლექტიური აღსრულების მაგალითი (თუმცა ის ინდივიდუალური აქტია თავისი ბუნებით) აჯანყება მისი აზრით, იყო პროპორციული და ამავე დროს აუცილებელი ზომა.

„აჯანყების გამართლების სხვა ასპექტი იყო არმიის მოვალეობის საკითხი. იურისტ ხაიმე მასავეუს მტკიცებით, არმიამ უნდა დაიცვას ერი ანუ „ბუნებრივი სოციალური არსი“, მაშინ როცა სახელმწიფო ეს არის „პოლიტიკური სუპერფეტაცია“. დილემის შემთხვევაში ჯარისკაცი იცავს „ნაციას“, თუნდაც გამოვიდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამრიგად ეს პოსტულატი კვლავ მიდის რესპუბლიკური მთავრობის არალეგიტიმურობის არგუმენტამდე.

აჯანყების გამართლების საერთაშორისო სამართლებრივ მიმართულებით საინტერესოა ხოსე დე იანგუას მესიას და პედრო კორტინა მაურის პოზიციები, რომლებიც სტატიაში ვრცლადაა განხილული.

ზაალ გოგენია
დოქტრინა „Hispanidad” როგორც ფრანკისტული ესპანეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური ინსტრუმენტი XX ს. 30-50-იან წლებში

„ისპანიდადის“ იდეის ჩამოყალიბების პროცესში გამოიყოფა სამი ეტაპი: 1. გენეტიკური რომელსაც ასევე შეიძლება ეწოდოს „ფრანკომდელი” (1840-1920-იანი წლები) 2. კლასიკური ან ფრანკისტული (1930-1970) დაკავშირებული რამირო დე მაესტუს და სხვა ფილოსოფის ტრადიციონალისტებთან 3. თანამედროვე (XX სკ. ბოლო – XXI ს. დასაწყისი)

ფრანკისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლასთან ერთად დოქტრინამ ,,ისპანიდადი” დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ახალი სახელმწიფოს იდეოლოგიურ კომპლექსში. ეს კონცეფცია ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა: პირველი – საშინაო პოლიტიკაში ახდენდა ახალი საზოგადოებრივ პოლიტიკური წყობის ლეგიტიმაციას, მეორე – განსაზღვრავდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს და სთავაზობდა მონათესავე კულტურის ქვეყნებს განვითარების მესამე გზას რომელიც არ იქნებოდა დამყარებული არც ლიბერალურ და არც კომუნისტურ პრინციპებზე.

ფრანკოს მმართველობის წლებში კონცეფცია რამდენჯერმე შეიცვალა საერთაშორისო ვითარების შესაბამისად, მაგრამ მისი არსი იგივე დარჩა. „ისპანიდადის“ ესპანეთის საგარეო პოლიტიკაში აქტიური დასწრების პირველი პერიოდი შეიძლება დახასიათდეს სიტყვით „იმპერიული“. თუმცა განსაზღვრულ

პერიოდში იმპერიულმა რიტორიკამ მიიღო სხვადასხვა გახმოვანება საგარეო პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად.

სამოქალაქო ომის დროს ფრანკოს საგარეო პოლიტიკის ძალისხმევა მიმართული იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების მხარდაჭერა-აღიარების მოპოვებისკენ. ამასთან დაკავშირებით დოქტრინის იმპერიული მიმართულება ოფიციალურ გამოსვლებში შემსუბუქდა, ხაზი გაესვა, რომ „ისპანიდადი“ ესაა ისტორიული კატეგორია და მისთვის უცხოა ყველანაირი ტერიტორიული დომინაციის ტენდენცია. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ დაახლოებით 1943 წლამდე როგორც ესპანელი მკლევარი არენალი აღნიშნავს, მადრიდის დამოკიდებულება ახალი სამყაროს ქვეყნებთან ვითარდება ამ რეგიონში ღერძის ქვეყნების პოლიტიკის კალაპოტში. ამჯერად ფრანკო საყვედურობდა მათ ვინც საუბრობდა მხოლოდ „ესპანეთის სულიერ იმპერიაზე“.

1943 წელი მეორე მსოფლიო ომში გარდატეხის წელია, ინიციატივა საბოლოოდ გადავიდა მოკავშირეების ხელში ამასთან დაკავშირებით ფრანკოს რეჟიმმა განახორციელა ნაბიჯები რომლითაც სურდა ხაზი გაესვა თავისი ნიეტრალიტეტისთვის. ფრანკისტი დიპლომატების ძალისხმევა მიმართული იყო შეენარჩუნებინათ რეჟიმი მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ, რეჟიმი კი შენარჩუნდა, მაგრამ ესპანეთი როგორც ღერძის ფორმალური მოკავშირე აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში. ახლა მადრიდს უნდა მოეძებნა გამოსავალი, დაელაგებინა საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო სიტუაციის შესაბამისად. რეჟიმი ცდილობდა თავი გამოეცხადებინა ქრისტიანული ცივილიზაციის დამცველად, რასაც მშვენივრად ესადაგებოდა ისპანიდადის დოქტრინაც.

ევროპულ და გლობალურ ორგანიზაციებში ნულოვანი მონაწილეობის დასაბალანსებლად რეჟიმი დიდ ყურაღებას უთმობდა ლათინურ ამერიკას. ამ დროისთვის დოქტრინა „ისპანიდადი“ მსოფლიო ომში გამარჯვებულთა გეგმებთან შესაბამისობაში მოდის. პირველ ყოვლისა ეს ეხება აშშ-ს რომლის გავლენის წინააღმდეგ ეს დოქტრინა აქტიურად ილაშქრებდა 1940-იანი წლების დასაწყისში. ახლა ვაშინგტონის „ჰეგემონისტური მისწრაფებების“ კრიტიკა ჩაბარდა წარსულს. ხაზი ესმებოდა ესპანიზმის და პანამერიკანიზმის იდეათა შესაბამისობას.

1940-იანი წლების დასასრულისთვის ყალიბდება ისპანიდადის ახალი ოფიციალური ფორმულა. ამერიკელი პოლიტოლოგი უაიტაკერი უწოდებდა განახლებულ კონცეფციას „გაწმენდილს ჰეგემონისტური, პრონაცისტური მისწრაფებებისგან“. მიუხედავად ცვლილებებისა არ შეცვლილა დოქტრინის არსი და ის არ გამქრალა ოფიციალური ლექსიკიდან. შეიცვალა ტონი და აქცენტები, იკლო აგრესიულობამ და ქედმაღლობამ. ისეთი ცნებები როგორიცაა რასა და იმპერია გზას უთმობს უფრო ნეიტრალურ ცნებებს „ძმობა“ ,,თანამეგობრობა“. მსუბუქდება მაგრამ არ ქრება სრულად ესპანეთის როგორც მფარველის იდეა. ესპანეთი კვლავ აგრძელებს ესპანომაერიკულ და ევროპულ სამყაროს შორის სულიერი ხიდის როლს.

აშშ პოზიციამ ცივ ომში განაპირობა ესპანეთის საერთაშორისო იზოლაციის დასასრული. მან მხარდაჭერა მიიღო ლათინური ამერიკის მხრიდანაც. ყველაზე ერთგული მომხრე ფრანკოსი იყო არგენტინა, რომელიც ესპანეთს ძნელ დროში ეხმარებოდა ფინანსურად და სურსათით. 1950 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ არაბული და ლათინურამერიკული ქვეყნების მხარდაჭერით გაუხსნა ესპანეთს კარები გაეროს სპეციალიზირებულ ორგანოებში.

თუმცა ფრანკისტული რეჟიმისთვის ძნელი იყო უარი ეთქვა მფარველური ტონზე ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი. 50-იანი წლების შუახნებიდან მფარველობითი რიტორიკის ნიშნები წაიშალა. 50-იანების ბოლომ საგარეო პოლიტიკური აქცენტები ჩანაცვლდა ეკონომიკური ინტეგრაციით. მოხდა კავშირების ტექნოკრატიზაცია ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და ახლა ურთიერთობები იგებოდა ეკონომიკური და არა პოლიტიკური სარგებლის მიხედვით.

ტექნოკრატების განმტკიცება მთავრობის რეორგანიზაციის შემდეგ 1957 წელს, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების პრაგმატიზაცია მეტი ძალით გამოვლინდა 60-იან წლებში. ესპანეთმა დაძლია ყველა წინააღმდეგობა დაკავშირებული იზოლაციასთან ამასთან გაქრება განსაკუთრებული უერთიერთობების აუცილებლობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. დოქტრინას თავისი ადგილი ეკავა ფრანკიზმის იდეოლოგიაში რეჟიმის ბოლომდე, მაგრამ დაკარგა ის განსაკუთრებული როლი რომელიც ჰქონდა მას 40-50-იან წლებში.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ლევან გორდეზიანი,** ირინე ტატიშვილი	Kings and Capitals in Urartian Texts	La 65e Rencontre Assyriologique Internationale. Paris 8.-12.07.2019
2	**თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა**	The Unknown notification of XVI century French diplomat about Ottoman-Persian Relations and Georgia (The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, FR 17-86)	27 -30 September, Dubrovnik, Croatia
3	ლელა კვინიკაძე, გიორგი ღვედაშვილი, არჩილ კუკულავა, თამარ გოგუა, **თეა წითლანაძე**, თ. გავაშელი	Administrative Challenges of Policy Making for Estimation of Faculty Performance Accountabilities. ISBN: 978-84-09-14755-7	the 12th annual International Conference of Education, Research and Innovation (ICERI19). Seville, Spain, 11-13 November

ანოტაცია

ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი
Kings and Capitals in Urartian Texts

მოხსენების ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა
The Unknown notification of XVI century French diplomat about Ottoman-Persian Relations and Georgia

The issue (which is the little part of joint scientific work, regards French communiques unknown so far for Georgian Historiography. They belong to French diplomat Juie who visited Constantinople in 16th century. The letters comprise quite interesting information. Their scientific value is determined by the fact that they belong to the person, who got notifications from a direct informer. The importance of the given documents grows, because there are very scanty contemporaneous sources depicting a domestic as well as a foreign political situation of Georgia of the 16thcentury. It is not doubtful that the author of the letters was well acquainted with the political peripeteias of the Ottoman-Iranian War, which began in 1578. It had a great importance for the history of Georgia, because the Georgians actively participated in the war against Ottomans on the basis of the "political Iranophilia". Therefore, a factual material delivered by the diplomat is very interesting for the consideration of a political orientation of the Georgian principalities of the last quarter of the 16th century. It indirectly indicates that political Iranophilia of the Kingdom of Kartli resulted from a real assessment of the international situation created in western Transcaucasia and Near East. Military, political and diplomatic relations with Iran enabled the King of Kartli (Simon I) to base his plans on the usage of Iran and to involve this country as well as the Kingdom of Kartli in anti-Ottoman coalition of the European states. Therefore, Christian Georgia was a connecting bridge for Iran, which looked for an ally in Catholic west (Spain, France, Italy, Germany). This fact enabled Simon I to carry out the policy in relation to the Europeans.
Three letters of French diplomat Juie reveal the Ottomans' preparation for a military expedition. These letters vividly depict how the Iranian government prevented the aggravation of the situation in the region. The position of the Georgian kings had a great significance in this respect. Therefore, these letters (together with the analogues Spanish and Italian sources) enable us to present a foreign policy of our country in the context of international relations and particularly, for the determination of the place occupied by Georgia in the Ottoman-Iranian diplomatic rivalry in western Europe.

ლელა კვინიკაძე, გიორგი ღვედაშვილი, არჩილ კუკულავა, თამარ გოგუა, **თეა წითლანაძე,** თ. გავაშელი

Administrative Challenges of Policy Making for Estimation of Faculty Performance Accountabilities

Nowadays globalization in every field puts great emphasis on competitiveness, subsequently raising the need for relevant indicators to measure and compare particular achievements is emerged. In this view, Higher Education Institutions' (HEIs') are challenged to reshape and reframe their operational policy to respond contemporary processes. Even though Higher Education Institutions' ranking systems by themselves has controversial standpoints prop upped by supporters, Universities worldwide, with different cultures and traditions, pay tribute to general trend as local and international comparison metrics determine reputation and attractiveness of such organization.

While National authorities give great importance to their Higher Education providers to become World class players, World University Ranking race puts great pressure on faculty's performance as to the one of the main actors when measuring the whole institution's placement in charts.

During the last decades, systematic analysis of Iv.Javakhishvili Tbilisi State University's (TSU) academic activities revealed certain areas needing support and upgrade. As professor of university has a tripartite mission to teach, do research and deliver service to community it takes organization to distinguish the proportional workload for the particular professorship position to get agreed remuneration and satisfy University's expectations. It has been in discussions around University's community that actions has to be made towards establishing comprehensive model of faculty's performance evaluation regulations, mostly those connected with scientific-research performance. Department of Scientific Research and Development (DSR&D) and Department of Law in a close collaboration and with joint effort, has developed minimal scientific activity requirements, according to which personnel has to create high-quality scientific publications and intensively participate in third-part funded projects, to be retained or/and promoted; and as an overall consequence, affect the whole Institution's position enhancement. The minimal mandatory scientific-research workload and classification of scientific-research products, given each product a particular point, has been established. By the end of evaluation year individual with respective professorship position has to accumulate compulsory 100 points, from the catalogue of scientific-research products, correspondingly linked to the specific position. Awareness among faculty has already showed positive tendency towards internationalization of research.

Study was qualitative and involved the comparison, observation and analysis of organizational structures concerning TSU, German University of Administrative sciences Speyer (Germany) and San Diego State University (USA). The procedures for implemented research involved processing of information and experience gained during interviews and discussions with representatives of host Institution and analysis of online and published materials.

Current article circles and displays that application of research performance evidence is more sensitive issue than generally practiced teaching evaluation component. In this regard communication, cooperation, information exchange and dialogue are desirable to understand common and specific principles on how to evaluate performance in academia. The main expectation of presented work is to facilitate discourses on organizational policy and share experience of TSU on this complex matter.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფესორი თედო დუნდუა;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა – პროფესორი ჯაბა სამუშია, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე, ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე, ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე, ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია, ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე, სწავლული მდივანი და ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითად თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელია ნოტაცია (ქართულენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია, 6.1.1. ისტორია, Fr 18-22-16	2019-2022	ხელმძღვანელი ასისტ. პროფ. ნათია ფიფია; კოორდინატორი ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; ძირითადი პერსონალი პროფ. თედო დუნდუა

პროექტის საწყის ეტაპზე 2019 წლის განმავლობაში საკვლევი თემატიკის გარშემო კვლევითმა ჯგუფმა მოიძია და დაამუშავა სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე, მოამზადა მონოგრაფიის პირველი ნაწილი დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული და ლათინური წარწერების შესახებ. კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს მოცემული ეპიგრაფიკული მასალის, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლას. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნულ-ლათინური წარწერები სწორედ ამ კუთხით არის შესწავლილი. დამუშავდა როგორც შედარებით ინფორმატიული წყაროები (ვანის დეკრეტი, ეშერის წარწერა, მეფე ბაკურის წარწერები), ასევე მცირე წარწერები, რომლებიც აღმოჩენილია ვანში, გონიოში, სოხუმში, ბიჭვინტაში და სხვაგან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე დამუშავდა ნუმიზმატიკურ მასალაზე მოცემული წარწერები, როგორც ისტორიული წყარო.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა სტატია უცხოურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, მეფე ბაკურის წარწერების შესახებ. ამ სტატიაში გაერთიანდა სამი ეპიგრაფიკული მასალი სამეცნიერო კომენტარი, კერძოდ, აჩმარდაში, გაგრის რაიონში აღმოჩენილი თასზე მოთავსებული წარწერა, ჟინვალში, სარდიონის გემაზე შესრულებული წარწერა და მაიკოპში, ერთერთ სამარხში აღმოჩენილი წარწერა, რომლის წარმოშობაც, როგორც ჩანს, ქართულ სამყაროს უკავშირდება.

2	ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეები; საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია; (№ 57/03)	2014-2020	პრექტის ხელმძღვანელი პროფ. ჯაბა სამუშია; ძირითადი მონაწილეები: ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე; დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა; დოქტორანტი ოქროპირ ჯიქური
პროექტის ფარგლებში თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულ ქართულ პროვინციებში – პალაკაციოში, არტაანში, ერუშეთში, კლარჯეთში, შავშეთში, ტაოში, კოლაში და სხვ. მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია, მოხდა აღნიშნული პროვინციების ტერიტორიაზე არსებული ქართული ციხესიმაგრეების აღწერა, ფოტოფიქსაცია, აზომვა, გრაფიკული მონახაზების გაკეთება, ყველა ციხესიმაგრის არქიტექტურული გეგმის შედგენა და ძეგლების შესაძლო მხატვრული რეკონსტრუქციის შექმნა. პროექტის ფარგლში მომზადდა ციხესიმაგრეების შესახებ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა. პროექტი აქტუალურია, ვინაიდან მონოგრაფიულად შეუსწავლელ საკითხს – ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეების კვლევას შეეხება. ტაო-კლარჯეთის ქართული სიძველეების შესწავლა ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, ვახტანგ ჯობაძის და სხვა ქართველი მეცნიერების სახელებს უკავშირდება. თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული აღწერილობები არ იყო სრული, ან, უმეტესად, ეკლესია-მონასტრების შესწავლას წარმოადგენს. ტაო-კლარჯეთისადმი ინტერესი ქართველ მეცნიერთა შორის მუდმივად არსებობს, ხოლო ტაო-კლარჯეთის ქართული ღირშესანიშნაობების შესწავლა განსაკუთრებული ინტენსიობით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გაგრძელდა, როდესაც დაიწყო ინტენსიური ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის. ტაო-კლარჯეთის ისტორიული მემკვიდრეობის შემსწავლელი ცენტრების მეშვეობით მოხერხდა, არაერთი მნიშვნელოვანი ქართული ისტორიული ძეგლების აღწერა, თუმცა ამ კუთხით მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდის ტაო-კლარჯეთის ციხესიმაგრეების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. სწორედ ამ სიცარიელის შევსებას ისახავს მიზნად აღნიშნული პროექტი. პროექტის ფარგლებში იგეგმება ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული ძეგლების (ციხესიმაგრეების) დეტალური აღწერა, რაც აქამდე არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების მიერ ქვეყნდება მრავალი ნაშრომი. თუმცა, ძირითადად, ქართული ციხესიმაგრეების დიდი ნაწილი ქართველი მეცნიერების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა. ექსპედიციების ფარგლებში დაგეგმილია აზომვითი სამუშაობის ჩატარება ადგილზე, რომელიც ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ციხესიმაგრეებს, პრაქტიკულად, პროექტის განხორციელებამდე არ ჩატარებია.ამ კუთხით პროექტში ჩართულია არქიტექტურის სამსახურიც, არქიტექტურული ბიუროს წარმომადგენელი ადგილზე სწავლობს ობიექტს და ახორციელებს აზომვითი სამუშაოებს. გაკეთებულია ტაო-კლარჯეთში არსებული ასამდე ქართული ციხესიმაგრის გრაფიკულიდა ილუსტრირებული ჩანახატები, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში,ხდება მათიმხატვრული რეკონსტრუქციაც, რაც აქამდე არ გაკეთებულა. ამას გარდა, ხორციელდება ყველა შესწავლილი ისტორიული ციხესიმაგრეებისწყაროთმცოდნეობითი კვლევა, რაც გულისხმობს ციხესიმაგრეთა შესახებ ვრცელი ისტორიული მიმოხილვის გაკეთებას, რის საშუალებასაც იძლევა ქართული და უცხოურისაისტორიო წყაროები. ამგვარი კომპლექსური კვლევა ტაო-კლარჯეთში არსებულიქართული ციხესიმაგრეების შესახებ ჯერ არ ჩატარებულა, შესაბამისად საკითხიაქტუალური და უნიკალურია, ხოლო პროექტის ბოლოს დაგეგმილი წიგნების გამოცემა, რომელიც 2019 წლის დასაწყისში მოხდება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტაო-კლარჯეთის ქართული საფორტიფიკაციო ნაგებობების შემდგომ კვლევას.			
3	საქართველო VIII საუკუნეში (პოლიტიკური ისტორია)	2019-2020	პრექტის ხელმძღვანელი ლერი თავაძე, პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე ბოშიშვილი
აღნიშნული პროექტის ფარგლებში მონოგრაფიულად შესწავლილი იქნება საქართველოს მერვე საუკუნის ისტორია. ძირითადი აქცენტები გაკეთდება მერვე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ნაკლებად ცნობილ და უცნობ ამბებზე, ასევე საქართველოს ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან.			
4	მხატვრული ლიტერატურა და	2019 წლის ოქტომბერი	მარიამ ჩხარტიშვილი. ავტორი

	ისტორიის რეპრეზენტაცია. საკითხის თეორეტიზების ცდა ქართული მაგალითით #MG_TG-19-440		და მომხსენებელი
ჩატარდა გამოკვლევა ქართული მხატვრული ლიტერატურის საისტორიო წყაროდ გამოყენების თაობაზე. გაანალიზებულ იქნა დასავლურ სამეცნიერო სივრცეში არსებული არაერთი თეორიული ნაშრომი და კონკრეტულად ლ.არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. მოთხრობა ასახავს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის რეალობას. სწორედ ამ ეპოქის ფაქტების ფონზე იყო ის გაანალიზებული და გარკვეულ იქნა მისი, როგორც საისტორიო წყაროს გამოყენების შესაძლებლობანი. ამ შრომის მოკლე ვარიანტი მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ჩატარდა პრაღაში. ნაშრომი გამოქვეყნდა აგრეთვე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა) YS17-45	2017-2019	**ალექსანდრე ბოშიშვილი** (პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი) **ეკა კვირკველია** (დამხმარე პერსონალი; I, II და III საანგარიშო პერიოდები) **ირაკლი ნოდია** (დამხმარე პერსონალი; IV საანგარიშო პერიოდი)
განხორციელდა დაგეგმილი კვლევითი ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ განჯაში, ყაზახში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. იქ არსებული სიძველეებისა და სიძველეთსაცავების ადგილზე მონახულება და შესწავლისთვის მომზადება. ვიზიტის ფარგლებში საშუალება მომეცა ადგილზე ადგილზე დავკვირვებოდი ქვემო ქართლის სამხრეთი პროვინციების გაგრძელებაზე არსებული ტერიტორიები. იქ მცხოვრები მოსახლეობა. გვიან შუა საუკუნეებში ეს მხარეები ყაზახისა და შამშადილოს სახანოებში იყო გაერთიანებული, რომელიც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო. შესაბამისად ის დაკავშირებულია ქვემო ქართლში XVII საუკუნეში ჩამოსახლებული თურქულენოვანი მოსახლეობის ისტორიასთან. ასევე, საინტერესოა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი გერმანული კოლონიები. სადაც მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული კოლონიებიდან (ელიზაბეთთალი, ალექსანდერსდორფი...) გადადიოდა. შემდგომაც მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან, ამიტომ ქვემო ქართლში მცხოვრები გერმანელების შესწავლა მეზობლად მცხოვრებთა გაანალიზების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყოფილ გერმანულ კოლონიებში, კარგად შემონახული და სახელმწიფოს მიერ დაცული და მოვლილია ნაგებობები (სახლები, გერმანელების ეკლესიები და აშ.). აზერბაიჯანში, როგორც ყოფილ გერმანულ კოლონიებში (შამქირი, გოიგოლი და სხვ.), ისე ქალაქ ბაქოში არსებობს გერმანული საზოგადოებები, რომელიც სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს აწყობენ. გამოსცემენ საინტერესო წიგნებს, ალბომებს და აშ. დაგეგმილი კვლევითი ვიზიტი განხორციელდა ასევე სომხეთის რესპუბლიკაში, ალავერდი, ახტალა, ქობერი, სანაინი, ახპატი, ერევანი. იქ არსებული სიძველეებისა და სიძველეთსაცავების ადგილზე მონახულება და შესწავლისთვის მომზადება. ფეოდალურ პერიოდში ეს მხარეები შერეული ქართული და სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული, ცხოვრობდნენ თურქმანული მომთაბარეებიც და პოლიტიკურად გაერთიანებული იყო ქართლის სამეფოში. XVIII საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორის მიერ			

გიუმიშხანედან ჩამოასახლეს ბერძნები. რომლებიც ახტალაში დღემდე მრავლად ცხოვრობენ, საანგარიშო პერიოდში ძირითად ამოცანად დასახული იყო საკვლევი ობიექტის შესახებ მოძიებული წყაროებისა და ლიტერატურის დამუშავება და ანალიზი. მომზადდა კვლევის საბოლოო ვარიანტი, ნაშრომი, რომელიც გარკვეული ტექნიკური დამუშავების შედეგად მზად იქნება გამოსაცემად. კვლევის შედეგად მიღებულ ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლის ისტორია საქართველოს ისტორიის ჭრილში, სადაც მოცემულია მოსახლეობის ცვლილებებისა თუ რაოდენობენი სხვადასხვა დროს. შესწავლილია ქვემო ქართლში ეთნიკური ცვლილებები, რასაც, ძირითადად, განაპირობებდა მისი მოსაზღვრეობა, და გარეშე მოწინააღმდეგეებისგან საზღვრისა და ეთნიკური ცვლილების მუდმივი მცდელობები. შესწავლილია სომეხი მოსახლეობის დასახლებისა და მათი შემდგონი ზრდის თუ კლების პროცესები და მიზეზები; შესწავლილია მომთაბარე თურქმანული ელის მოსახლეობა (ბორჩალოს ტომი, ბაიდარის ტომი, დემურჩი ასანლუს ტომი და სხვ.); რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკა, გერმანელი კოლონისტების დასახლება, საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზეზები და სხვ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ტუტუს ფილიპოვიჩის ჯილდო. სტაჟირება ვარშავაში.	2019-2020	ძირითადი პერსონალი და პროექტის განმახორციელებელი ასოც. პროფ. მიხეილ ბახტაძე
პრექტის ძირითადი მიზანია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოება პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებულიკვლევითიპროექტის2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა	საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები (დამატება), 978-9941-25-564-9	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	60 გვ.
2017 წელს გამოქვეყნდა ჩვენი მონოგრაფია – საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, ახლა გთავაზობთ მის დამატებას, სადაც განხილულია რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა.				
2	თედო დუნდუა	ფეოდალური საქართველო. საისტორიო შტუდიები, 978-9941-25-610-3	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	156 გვ.
ავტორის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული რიგი კვლევებისა წარმოდგენილ წიგნში ერთ ქრონოლოგიურ თარგზეა აწყობილი. ის განკუთვნილია ისტორიკოსების, სტუდენტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.				
3	თედო დუნდუა	ქართული სახელმწიფო. ისტორია და პერსპექტივები, 978-9941-25-689-9	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	52 გვ.
წარმოდგენილი ნაშრომი აგრძელებს ავტორის შემდეგ წიგნებს: საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები. თბ. 2017; საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები დამატება. თბ. 2019; ფეოდალური საქართველო. საისტორიო შტუდიები. თბ. 2019.				
4	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений (ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები) (რუსულ ენაზე) ISBN 978-9941-26-532-7	თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა № 4, გამომცემლობა „უნივერსალი“	640 გვ.
მონოგრაფია შედგება: წინასიტყვაობის, შესავლის, ქვეთავებად დაყოფილი ოთხი თავის, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიის, დანართების და სახელთა საძიებლისაგან. ქრონოლოგიური ჩარჩო აღემატება 11-საუკუნოვან პერიოდს. შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის ისტორია. შესავალში აღნიშნულია, რომ კავკასიის და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ქარვისაგან დამზადებული ნივთები. ქარვის უმნიშვნელოვანესი საბადოები მსოფლიოში კი მდებარეობს ბალტიისპირეთში. შესაძლებელია, რომ ეს კავშირი ბალტიისპირეთთან არ იყო პირდაპირი, მაგრამ უკვე IX-X საუკუნეებიდან ეს ვითარება იცვლება. ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იმ პერიოდში მოჭრილი ვერცხლის მონეტები თბილური დრამები და იმიერტაოს მეფის დავით III კურაპალატის სახელით მოჭრილი უნიკალური დრამა (რომელიც ერთ-ერთია დღემდე შემორჩენილი ოთხი ეგზემპლარიდან) აღწევენ ბალტიის ზღვის ნაპირებამდე. ამას ადასტურებს მათი აღმოჩენა ესტონეთისა და ლატვიის ტერიტორიაზე. მომდევნო საუკუნეებში ეს ურთიერთობა თანდათან უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. პირველი თავის მეორე ქვეთავში აღნიშნულია, რომ ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ 1494 წელს თავისი ელჩობა დასავლეთ ევროპაში ლიტვის დიდი სამთავროსა და პოლონეთის გავლით გაგზავნა. ამის დოკუმენტურ დადასტურებას წარმოადგენს მის მიერ ესპანეთის დედოფალ იზაბელა I-თან გაგზავნილი				

წერილის ტექსტის შეტანა „ლიტვის მეტრიკაში“. ამ წერილში ქართველი მეფე დედოფალს სთავაზობდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. ლიტვა-პოლონეთში XVI-XVII სს-ში მოჭრილი ვერცხლის მონეტების განძები მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოში. XVIII-XIX სს-დან ამ ურთიერთობამ უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა. ბალტიისპირეთი აისახა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, კერძოდ, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, გაბრიელ გელოვანისა და სხვათა ნააზრევში. რუსეთის იმპერიის მიერ ბალტიისპირეთისა და კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ქართველი და ბალტიელი ხალხები ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. ამან ხელი შეუწყო მათ დაახლოებას. ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი სპეციალისტები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში, ხოლო ქართველები - ბალტიიპირეთში. ამის შედეგად, მათი დიასპორებიც შეიქმნა. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ესტონელთა დასახლებანი აფხაზეთში. ქართველი და ბალტიელი ხალხები თავდადებით იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და ერთდროულადაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა როგორც 1918, ასევე 1991 წელსაც.

5	აპოლონ თაბუაშვილი	ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.). ISBN 978-9941-8-1314-6	გამომცემლობა კოლორი	334 გვ.

ნაშრომში განხილულია ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა პროდუქტის, ნივთების, შენობა-ნაგებობების და ა.შ. ფასები. ნაჩვენებია როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ისე მიწის, ტანისამოსის, სამხედრო შეიარაღებისა და საქალაქო ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთების ღირებულება. მონოგრაფია ასევე ეხება გლეხების ღირებულებას, ე.წ. “სისხლის ფასებს”, თანამდებობის პირებისა და მუშა-ხელოსანთა ხელფასებს, ფეოდალების ქონებას, სახელმწიფო შემოსავლებს და სხვა საკითხებს.

6	დიმიტრი შველიძე	ქართველთა ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში. ISBN 978-974 1-9632-7-8	თბილისი. წიგნი-ერი	128 გვ.

პირველადაა მონოგრაფიული წესით შესწავლილი, საქართველოს სამეფოს მიერ ორგანიზებული ლაშქრობა სპარსეთსა და ხორასანში (დღევანდელი ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე). დღემდე ამ პრობლემის შესახებ არსებობდა მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო სტატია (ჯემალ სტეფნაძის, ვალერიან გაბაშვილის, დიმიტრი და ერეკლე შველიძეების). გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები და ვარაუდები. ჩვენი გამოკვლევის შედეგად დასაბუთდა შემდეგი გარემოებები: 1.აკად. ბუნიატოვის შრომებზე დაყრდნობით განხილულია აზერბაიჯანის საათაბაგოსა და ერაყის სელჩუკთა სასულტნოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომელნიც წინ უძღოდა ქართველთა ლაშქრობას. ჩვენს მიერ დასაბუთებულია მოსაზრება რომ აზერბაიჯანის საათაბაგო და ერაყის სასულტნო ფაქტობრივად წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულს, რომელშიც ილდეგიზიდების საათაბაგო გარკვეულ ავტონომიურ წარმონაქმნს წარმოადგენდა 2. XII ს-ის 80-90-იანი წლებიდან ახლო აღმოსავლეთში, სპარსულ ერაყსა და აზერბაიჯანის საათაბაგოზე გავლენის დასამყარებლად ბრძოლას იწყებს ხვარაზმის სახელმწიფო. ამავე რეგიონებში და განსაკუთრებით ადარბადაგანში ხვარაზმის ინტერესებს უპირისპირდება საქართველოს სამეფო, რომელიც ზედიზედ იკავებდა, ხარკავდა და იქვემდებარებდა ციხე-ქალაქებს, მხარეებს და ავიწროებდა ილდეგიზიდების საათაბაგოს. 3. 1205 წელს ათაბაგი აბუბაქრი იძულებული გახდა ეღიარებინა საქართველოს სიუზერენობა. 4. აბუბაქრის გარდაცვალება 1210 წელს იყო ერთ-ერთი მოზეზი ქართველთა ლაშქრობისა სპარსეთის აზერბაიჯანში და სპარსულ ერაყში. საქართველოს მიზანი იყო გავლენის შენარჩუნება საათაბაგოში. 5. ქართველთა გავლენას, ლაშქრობას და ციხე-ქალაქების დამორჩილებას (მარანდი, ჯუღა, თარიზი, მარაღა, უჩანი, არდებილი...) ადასტურებენ მუსლიმი და სხვა მემატიანეები; ალ-ჰუსაინი, ნასავი, გოში... 6. 1210 წლის ქართველთა ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო აგრეთვე ხვარაზმის მზარდი ჰეგემონისტური ინტერესების აღკვეთა რეგიონში. 7. განსხვავებით აზერბაიჯანისაგან, უცხოელი მემატიანეები არ ადასტუებენ ქართველთა ლაშქრობას ხორასანში ან სპარსული ერაყის რამდენიმე ქალაქში. ეს საფუზველს გვაძლევს დავადასტუროთ, რომ ამ რეგიონებში ქართველთა ლაშქრობას მიზნად ჰქონდა სამხედრო ძლიერების დემონსტრირება ხვარაზმის წინაშე, რასაც ახლდა ნადავლის მოპოვება. 8. საქართველო სპარსულ აზერბაიჯანში ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე გავლენას ინარჩუნებდა 1215-1217 წლებამდე. 1217 წელს ხვარაზმ-შაჰ მუჰამადის მიერ განზრახული

ლაშქრობა საქართველოზე იყო პასუხი საქართველო-ხვარაზმის 20-25 წლიანი ინტერესთა დაპირისპირებისა. ეს და სხვა რიგი დასაბუთებანი, მოსაზრებები დაფუძნებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებზე.				
7	ჯაბა სამუშია	გიორგი I	თბ. 2019, პალიტრა L	228 გვ.
მონოგრაფიაში მიმოხილულია გიორგი პირველის მოღვაწეობა და საქართველოს ისტორია მეთერთმეტე საუკუნის პირველ მესამედში.				
8	ჯაბა სამუშია	ძველი თბილისი, ისტორიული ნარკვევი, სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერია, ტ. X	თბ. 2019.	180 გვ.
წიგნში საუბარია ძველი თბილისის ისტორიასა და ღირშესანიშნაობებზე, ასევე, ძველი თბილისის უბნებზე და მათ ისტორიაზე.				
9	ჯაბა სამუშია	დავით ულუ	თბ. 2019. პალიტრა L	196 გვ.
წიგნში მიმოხილულია მეცამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, ხოლო მთავარი აქცენტები გაკეთებულია დავით VII ულუს მოღვაწეობაზე.				
10	მიხეილ ბახტაძე	დემეტრე თავდადებული	თბ. 2019. პალიტრა L	180 გვ.
წიგნში მიმოხილულია მეცამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, ხოლო მთავარი აქცენტები გაკეთებულია დემეტრე თავდადებულის მოღვაწეობაზე.				
11	პროფ. ნ. ასათიანი, პროფ. გ. ოთხმეზური, პროფ. მ. სამსონაძე, პროფ. გ. ჯამბურია რედაქტორები: გ.ოთხმეზური, მ. სამსონაძე	საქართველოს ისტორია,4 ტომეული, ტ.3, საქართველო 13 ს-დან 19 ს-მდე ISBN 978-9941-19-407-8	თბილისი პალიტრა L, 2019	528

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	აპოლონ თაბუაშვილი	ელდარ მამისთვალიშვილი – 80. ISBN 978-9941-8-1675-8	გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 125-137
სტატია გამოქვეყნდა ელდარ მამისთვალიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში. დაიბეჭდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ძალისხმევით.				
2	დიმიტრი შველიძე	„საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა“. სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი IV. ISBN 978-9941-10-991-1	თბილისი. „მერიდიანი“	
დასავლური პოლიტოლოგიური თეორიების გათვალისწინებით, შევეცადეთ დაგვედგინა პირველი ქართული რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკური ელიტისათვის დამახასიათებელი ნიშნები. დასაბუთებულია რომ ელიტას ახასიათებდა შემდეგი ნიშნები: იდეოლოგიურობა; პოლიტიკური გამოცდილება და მზარდი კომპეტენტურობა; დემოკრატიზმი და სოციალური ორიენტაცია; ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსტრუქციული თანამშრომლობა და ა. შ.				
3	ქეთევან ქუთათელაძე	წმიდა გრიგოლ ფერაძის პირველი საერთაშორისო კონფერენცია „საქარათველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, მოხსენებათა თეზისები ISBN 978-9941-8-1660-4	თბილისი	გვ. 50-51, 99-100

ძიებანი ქურმუხის ეტიმოლოგიისთვის

ქურმუხის წმ. გიორგი ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავია სამხრეთ კავკასიაში. ქურმუხის-წყლის ხეობა, რომელიც ისტორიულ ჰერეთში შედიოდა და ქართული სამეფოს შემადგენლობაში იყო, ამჯერად აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული. ქურმუხის მნიშვნელობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რომელიც ზოგჯერ სცდება მეცნიერების საზღვრებს, რომ თითქოს ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარს კავშირი არ აქვს ქართულ კულტურასთან და მენტალობასთან. ქურმუხის ეტიმოლოგიაზე გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. მას უკავშირებენ მუხის კულტს (ვ. კოტეტიშვილი, მ. ბარიხაშვილი); „ქურმუხი“ უდიურ ენაზე ახსნა ევგ. ჯეირანაშვილმა, როგორც „ქურ“ (თხრილი, ორმო, უფსკრული) და „მუხ“ მრავლობითობის სუფიქსი, რომლის საფუძველზეც „ქურმუხი“ გამოდის, როგორც „ქუაბნი“. ყოვლად მიუღებელია „ქურმუხის“ „ქურმუღად“ გამოცხადება და მისი ახსნა, როგორც „მუღალების მდინარე“/„მუღალების მტკვარი“ (ქურ-შმაგი, „გიჟი მტკვარი“ და მუღ - მუღალების ტომი). არ გამოვრიცხავთ, რომ სახელწოდება „ქურმუხი“ უკავშირდებოდეს ინგილოურ სიტყვა „ქურუხს“, რომელიც პირქუშს ნიშნავს („ქურ(მ)უხი-ქურუხი“) სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც „ქურუხა“ („ქურუსა“) წარბშეჭმუხვნილის აღმნიშვნელია. ფშავურ დიალექტზე კი „პირქუში“ არის „ავი სულების წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი ხატის“ სახელწოდება. მისი შესატყვისია, იმავე დიალექტზე, იგივე მნიშვნელობით, „პირცეცხლი“. ქურუხს შესაძლოა უდგებოდეს თუშურ დიალექტზე სიტყვა „ქორ“-ი, როგორც მეომრის ეპითეტი. პირქუში ქრისტიანულ ეპოქაში წმ. გიორგისთან გაიგივდა. პირქუშს, როგორც მჭედლების მფარველს, ხუცესები შემდეგნაირად მიმართავდნენ: "დიდება შენთვის, პირქუშის წმიდა გიორგიო, ახადის გორზე ბრძანებულო, რკინის მახვილთა, ჯაჭვთა, პერანგთა მკეთებელო, ურჯულოთ დასალევადა ხმლებისა და ხანჯლების მკეთებელო!" ჯვარ-ხატთა სადიდებლებში მოიხსენიება „ჭიჩოს პირცეცხლის

წმინდა გიორგი, ცეცხლით მოარული“.პირქუშის სალოცავი სოფ. ბაცალიგოშიცაა (ხევსურეთი). ჯვარ-ხატთა სადიდებლებში პირქუში მოიხსენიება, როგორც „ცეცხლის ალიანი“, „ცხრა ფესვ ცეცხლის მათრახიანი“, „ყაწიმმშვენიერი“, „ოსტატი ყაწიმიანი“, „ზინზილიანი“, „ლეკურთას მობურთალი“, „დევ-დედაბერთ ამომწყვეტი“ და სხვ. მას მოიხსენიებდნენ „სეფე სანთელზე“, ნაყოფიერებას, დოვლათს, ბარაქასა და წყალობას სთხოვდნენ წმ. გიორგის, მათ შორის ქურმუხის უძლიერესი სალოცავის, მსგავსად. „ქურმუხი“ „გერმუხის“ მსგავსი შედგენილობის სიტყვაა, რომელიც კონკრეტულ კვლევას მოითხოვს. საკითხთან მიმართებაში, საინტერესოა აგრეთვე, მჭედლების მთავარი საგნის გრდემლის საერთო ქართველური ძირებით ახსნა. სვანურად ქურმილ/ქურილ არის „გრდემლი“, ზანურად - ქულამურ/გურდამური (მისი ფონეტიკური ფორმა), ქართულად გრდემლ-ი/ქÂრდემლ-ი/ქვირდემლ-ი. ხევსურულ დიალექტზე შემოგვრჩა „ქურთემული“ ფორმა გრდემლის მნიშვნელობით. მ. ჩუხუა მას საერთო ქართველური ფუძე ენის დონეზე აღადგენს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგილოურ დიალექტზე „ქორუკ“ არის „საბერველი, ცეცხლის საღვივებელი, აქვთ სამჭედლოში, ხოლო „ქულბაÁ“ ნიშნავს „დიდი ქურა, ხულა ქურიანი“. პირქუშს მხნეს, ძლიერის მნიშვნელობით უნდა შეესატყვისებოდეს „ჯმუხი“. გურულ დიალექტზე არსებობს მეტად საინტერესო სიტყვა **„შეხმუხი“**- იხტიბარს რომ არ იტეხს, ფიცხი და სწრაფი. მეგრულში „ჯუმუხია არის ჯმუხი“, ხოლო „ჯუმუხური - პირქუშის აღმნიშვნელია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეგრული ლექსიკის მიხედვით, „ჯუმა - ნაყოფიერების, მწყემსთა და საქონლის მფარველი წარმართული ღვთაება“ არის (შდრ.„ჯომაგი“ რაჭულ დიალექტზე - „მოჯამაგება, ჭირნახულის ერთად შეგროვება“; „ჯუმა“ აჭარულად პარასკევი, ძველად უქმე დღე იყო). მის მიმართ აღვლენილ ლოცვას „ჯუმაში“ ჰქვია, მის დღეს კი „ჯუმაშხა“ (ოთხშაბათი, ჯუმას დღე). მისგან უნდა მომდინარეობდეს სიტყვები: „ჯუმიშია - მედუმლე, პირქუში“ და „ჯუმიკა - მედუმლე, სიტყვაძვირი, პირქუში, უხეში“. ამრიგად, ქურმუხი/ქურუხი პირქუშის ინგილოურ დიალექტში შემორჩენილი სახელწოდებაა, რომლის დედააზრი უნდა ყოფილიყო შეუვალი, მტკიცე, მაგარი, გაუტეხელი. ხალხის ცნობიერებით, მისი თაყვანისმცემი სოციუმისთვის ყოველთვის მებრძოლი ბოროტი ძალების, საშოშროების, ძალადობის წინააღმდეგ, რისგან გამომდინარე ეს კოლექტივი ღვთაებას მფარველობით ფუნქციას ანიჭებს, რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად წმ. გიორგისთან გაიგივებული. ის საშიშროება და მძიმე პოლიტიკური ხვედრი, რაც ამ მხარემ გადაიტანა, სავსებით ბუნებრივია, რომ ხალხს მტრის წინაარმდეგ მებრძოლ მფარველად ქურმუხის წმ. გიორგის სალოცავი გაეხადა, როგორც სიმბოლო ღვთაებრივი და ადამიანურის შერწყმისა.

4	ქეთევან ქუთათელაძე	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესის მასალები, მოხსენებათა თეზისები ISSN 978-9941-13-889-3	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 74-76, 183-185

ჯავახეთის ტოპონიმია, როგორც საისტორიო წყარო

ჯავახეთი, როგორც ისტორიული საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო მომიჯნავე მხარე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქართული სახელმწიფოებრიობის განსაზღვრაში. ეს ფუნქცია, როგორც სტრატეგიული, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ჰქონდა შენარჩუნებული საქართველოს ამ განუყოფელ სამხრეთ ფორფოსტს. ჯავახეთი ყოველთვის გამოირჩეოდა ბუნებრივი მრავალფეროვნებით, რაც აისახა კიდეც ამ მხარის ტოპონიმიაში. ამჯერად, მხარის ტოპონიმიას ვუდგებით, როგორც ისტორიული კვლევის ობიექტს და განვიხილავთ წყაროთმცოდნეობითი ასპექტით, როგორც უტყუარ საბუთს ამ მხარის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში ჩამოყალიბებისა. ძირითადად შემოვიფარგლებით ისტორიული წყაროთმცოდნეობითი ბაზით, რომელიც მოიცავს „ქართლის ცხოვრებასა“ (ძველი და ახალი ციკლი) და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ჯავახეთის ტოპონიმებს. ასევე უმნიშვნელოვანეს წყაროდ მივიჩნევთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, სადაც თურქულ წყაროში, ზედმიწევნით არის შენარჩუნებული ჯავახეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ პუნქტთა ქართული სახელწოდებები. ძალზედ საინტერესო იქნება ქართულ წყაროებსა და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ შემორჩენილი ჯავახეთის ტოპონიმების ფორმების შედარებითი ანალიზი. ჯავახეთში სიმბიოზურად იყო

განვითარებული მეცხოველეობა და მემინდვრეობა. მისი ნოყიერი საძოვრებიდან გამომდინარე, ზაფხულობით აქ ძოვდა აღმოსავლეთ საქართველოს ცხვარ-ძროხა. ჯავახეთის მინდვრები მარცვლეულის უხვ მოსავალს იძლეოდა, რომლის ბზეს საქონლის საკვებადაც იყენებდნენ. სახელწოდება „ჯავახეთს“ მეცნიერთა უმრავლესობა ურარტულ წარწერაში მოხსენიებულ „ზაბახას“ უკავშირებს. თუმცა, შესაძლოა სხვა მოსაზრებებიც გამოითქვას. გადაჭრით ვერ ვიტყვით, თუმცა შესაძლებელია სახელწოდება ჯავახეთი სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ თიბვისა და მარცვლეული კულტურების მკის პროცესს დავუკავშიროთ, რისი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ქართული ენის დიალექტური მასალა გვაძლევს. ოკრიბულ დიალექტზე **„ჯა“** „მონათიბის ერთ ხაზს, რიგს“ ნიშნავს, რომელიც უნდა მიგველო **ბჯას** გამარტივების შედეგად, რაც ჯავახურ დიალექტზე ნიშნავს „ნათესი ხორბლეულის (ქერის, დიკის, დოლის) განათიბი, ძნა“. მისგან მომდინარეობს **ბჯაური/ჯაურა** - თივის მცირე ზვინი, რომელსაც ფერდობ ადგილებზე დგამდნენ. ბჯა ქართლურ და მესხურ დიალექტებზეც ძნის ზვინს, ან ძნას ნიშნავს, ასევე, „ყანის დადგომა გასალეწად“. ჯავახურ ლექსიკაში გვაქვს **„ბჯის ურემი“,** რომელიც არის დიდი ბჯის ურემი, საძნე ურემი. მას მეორენაირად **„ჯავახულა“** ჰქვია. „ასე ეძახიან ხიზაბავრელები ძნის ურემს, რომლითაც მინდვრიდან ბჯასა და თივას ეზიდებიან“. ასევე გვაქვს ტერმინი **„ბჯის გაშლა“**, როდესაც კალოზე გასალეწავად ბჯას შლიან. ჯა ფუძესთან მიმართებაში ძალზედ საინტერესოა სიტყვა **„ჯავა“-Á** მოხევურ დიალექტზე, რომელიც ლეწვის დროს დარჩენილ გამოუსადეგარ ბზეს ნიშნავს (სემანტიკურად მას შეიძლება დავუკავშიროთ **„ძავრი“** (ქსნის ხეობა) – „მსვილად დაფქული პური და ფქვილი წყალში გახსნილი“). „ჯა“ სეგმენტით მნიშვნელოვანია აგრეთვე **„ნამჯა“** რაჭულ, ფშავურ, ქართლურ და კახურ დიალექტებზე მომკილ ყანაში დარჩენილი ჩალის ან პურის ღეროები, ან „მომკილი პური თავთავიანად, პურის ღერო ძირიდან თავთავამდე“. მოხევურ დიალექტზე მას შეესაბამება **„ნამჯავ“-ი.** ქიზიყურ დიალექტზე გვაქვს **„ნამჯობი** - ნაყანევი ადგილი, ახალგატეხილი ყამირი, რომელზედაც ყანა ეთესა, მოიმკო და ახლა შიგ ყანის ნარჩენია. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ჯავახეთის, იგივე წუნდის საერისთავო მოიცავდა ჯავახეთს, კოლა-არტაანსა და ერუშეთს. „ჯავახოსი“ მცხეთოსის ძეა და „ჯავახოსის წილხვედრი მხარე“ (მტკვრის სათავეებიდან ფარავნის ტბამდე) ექვემდებარება მცხეთის სამთავრო სახლს, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ისტორიული ჯავახეთი ქართველ ტომთა უძველეს განსახლების არეალს წარმოადგენდა. წუნდა ჯავახეთის უძველესი ცენტრი იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჯავახეთი ორ ნაწილად - ზემო და ქვემო ჯავახეთად იყოფოდა. შუა საუკუნეებში ზემო ჯავახეთის ცენტრს ახალქალაქი წარმოადგენდა (XI ს.), ქვემო ჯავახეთის ცენტრს კი თმოგვი (X ს.). ჯავახეთის ჰიდრონიმებიდან მნიშვნელოვანია მტკვარი, ასევე, ჯავახეთის მტკვარი იგივე ფარავნის წყალი/მდინარე ფარავანი, ფარავნის ტბიდან გამომავალი, ხერთვისთან უერთდება ძირითად, დედა მდინარე მტკვარს. მას დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი „ჯავახეთის მდინარეს“ უწოდებს. ჯავახეთის მტკვრის შენაკადებს ისტორიკოსი მოიხსენიებს მდინარის, წყლის და ხევის სახელწოდებით. მაგ., „გოკიის მდინარე“, მურჯახეთის წყალი, „ოლდამის წყალი“, „წყალი ფოსოსი“, „ბარალეთის მდინარე“, „აზავრეთის ხევი“, „ბუშათის ხევი“, „მოდეგის ხევი“. ჯავახეთი ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოში ტბების სიმრავლით, რაც მისმა გეოლოგიურმა წარმოშობამ და გეოგრაფიულმა ლანდშაპტმაც განაპირობა. წყაროებში მოიხსენიებულ ჯავახეთის ტბებიდან აღსანიშნავია: ფარავნის, კარწახის (ხოზეფინი), საღამოს, ხავეთის ტბები, რომელსაც ვახუშტი ასევე გოლის ტბასაც უწოდებს. ჯავახეთის ზეგანზე მდებარეობს „ტბისყურ/ტაბის ყურად“ წოდებული ტაბაწყურის ტბა, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების საზღვარზეა. წყალთან დაკავშირებული ტოპონიმებიდან ასევე მნიშვნელოვანია ავაზანა, წყაროსთავი, ღვინისწყარო. ჯავახეთი მცირე კავკასიონის მთათა სისტემით არის შემოსაზღვრული. ჯავახეთის ქედს კეჩუტის ქედიც ჰქვია. ჯავახეთში, როგორც სტრატეგიულად და ეკონომიკურად ძალზედ მნიშვნელოვან მხარეში ადრიდანვე ჩამოყალიბდა სხვადასხვა ციხე-სიმაგრე და მცირე ქალაქები. აქვე იყო ასევე, ქართველ მეფეთა სადგომები. ესენია: ხერთვისი, წუნდა, თმოგვი, ბოჟანო, გოკია, ბარალეთი, ახალქალაქი, ნაქალაქევი, არტანი, კოლა, ნიჯგორი, ღრტილა, დლივი. როგორც საქართველოს უძველესი მხარე, ჯავახეთი ისტორიული ძეგლებითაც მდიდარია, როგორიცაა წყაროსთავი, კუმურდო, ამირანის გორა, ერუშეთის ეკლესია და სხვ. რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმებიდან მნიშვნელოვანია ბეთლემი, გიორგიწმინდა, ხიდჯვარი, მონასტერი, შვიდ ეკლესია, ზაქარწმინდა და სხვ. ჯავახეთის ტოპონიმიაში გვხვდება ასევე ზოონიმები და ფიტონიმები, რომლებიც

ინახავენ ინფორმაციას ჯავახეთში გავრცელებულ და მეურნეობაში გამოყენებულ ზოგიერთ ცხოველთა და მცენარეული საფარის შესახებ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მგელციხე, აზავრეთი, ხარიანი, საბადური, გომი, ძველგომი, ასკილვანა, ვაშლობი, მუხრაშენი, იფნეთი, სარო, ვარდციხე და სხვ.				
5	ნათია ფიფია	საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, გამოწვევები და ტენდენციები“ 25-27 ოქტომბერი, 2018 წელი. 2019. // კარიკატურა, როგორც საისტორიო წყარო საქართველოს შესახებ ბრიტანული კარიკატურების მაგალითზე ISBN 978-9941-8-0995-8	თბილისი	გვ. 125-129
კარიკატურა თანამედროვე ისტორიის კვლევისთვის უაღრესად საინტერესო ვიზუალურ წყაროს წარმოადგენს. კარიკატურებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქმნიდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით აქტუალური გახდა მათი შექმნა არა მხოლოდ დასავლეთში, მაგალითისთვის საკმარისია ცნობილი ბრიტანული გამოცემის ‘Punch’-ის დასახელება. კარიკატურები საქართველოშიც იქმნებოდა, კერძოდ, ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ ქვეყნდებოდა საკმაოდ საინტერესო კარიკატურები. მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, როგორც ცნობილია, გამოდიოდა ცნობილი იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ და მასში ქვეყნდებოდა საინტერესო კარიკატურები, მათ შორის, ანდრო კანდელაკის მიერ შესრულებული პოლიტიკური შინაარსის კარიკატურები. კარიკატურების, როგორც საისტორიო წყაროს კვლევა შედარებით ახალია და ნაკლები მეცნიერი დაინტერესებულა ამ საკითხით. მსოფლიო ისტორიოგრაფიაშიც მცირე ნაშრომი არსებობს ამ კუთხით. მეთოდური ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია, ჰ.ჯ. ჩაპინის Anger and Wit: The Political Cartoon (1996), უ. შაკენბერგის Developing multiperspectivity through cartoon analysis: strategies for analysing different views of three watersheds in modern German history (2010), ა. მატოსის Utilizing the Political Cartoon in the Classroom (1972), ტ. მ. კემნიცის The Cartoon as a Historical Source (1973). ასევე არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტული ისტორიული მოვლენების შესწავლაზე კარიკატურების მიხედვით, ან კონკრეტული ავტორის შესწავლაზე. ჩვენი მოხსენება ძირითადად სამ მიზანს ისახავდა: ➢ გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომების წარმოჩენას, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ კარიკატურა ისტორიის კვლევის პროცესში. მიმოვიხილეთ, რა განსხვავებული ღირებულება გააჩნია მას, როგორც წყაროს და რა ნაკლი მისი ფორმატიდან გამომდინარე. ➢ ისტორიის სწავლების პროცესში კარიკატურების გამოყენების თავისებურებების შესწავლას და წარმოჩენას, კერძოდ, იმის მიმოხილვას, თუ რა შეკითხვებით უნდა მივმართოთ კარიკატურას, როგორც წყაროს, ასევე საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ერთი საკითხის სხვადასხვა პერსპექტივით წარმოჩენისთვის, რა როლს ასრულებს კარიკატურა და როგორ უნდა გამოვიყენოთ ის ეფექტურად კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებისთვის ➢ საქართველოს შესახებ ბრიტანული კარიკატურების, რომლებიც დაცულია სპეციალურ ელექტრონულ კატალოგში (https://archive.cartoons.ac.uk), მაგალითზე კარიკატურის, როგორც წყაროს, მნიშვნელობის შესწავლას და წარმოჩენას. ამ კატალოგში დაცული მასალები მიზანმიმართულად შეირჩა ჩვენი მოხსენებისთვის, რადგან თავისთავად ჯერ შეუსწავლელი მასალაა, და შესაბამისად, გარდა მეთოდოლოგიური სიახლეებისა, შინაარსობრივი თვალსაზრისითაც სიახლეს წარმოადგენდა. მოკლედ მიმოვიხილავთ ჩვენი მოხსენების ძირითად დასკვნებსაც:				

ძირითადი ღირებულება, რაც ამ ტიპის წყაროს გააჩნია, შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად კონკრეტული კარიკატურის შექმნის მიზნიდან გამომდინარე:

- ✓ კარიკატურა მოკლედ, ლაკონურად გამოხატავს სათქმელს, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების დამოკიდებულებას გარკვეული საკითხისადმი.
- ✓ თუ კარიკატურა პროპაგანდისტული მიზნებით იქმნება, მაშინ იგი ხშირად გამოხატავს მმართველი ელიტის დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხისადმი.

თუ კარიკატურა იქმნება უცხო ქვეყანაში, მაგ. საქართველოს შესახებ დიდ ბრიტანეთში, კარიკატურა შესაძლოა ასახავდეს ბრიტანული საზოგადოების მეტ-ნაკლებად ობიექტურ დამოკიდებულებას, აქაც აუცილებლად კონტექსტია გასათვალისწინებელი: ცივი ომის ეპოქის ბრიტანული კარიკატურების მთავარ სათქმელზე, შესაძლოა, გავლენას ბრიტანული მთავრობის დამოკიდებულება ახდენდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, კარიკატურა ლაკონურად გამოხატავს საზოგადოების ამა თუ იმ წარმომადგენლების სათქმელს.

6	ბონდო კუპატაძე	ისტორიანი 978-9941-487-35-4	არტანუჯი	475-503

სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან

(ყველის ციხე)

ყველის ციხის ნაშთები მდებარეობს თურქეთის რესპუბლიკის არდაჰანის ილის ფოსოფის ილჩეს ადმინისტრაციულ ცენტრ ფოსოფიდან 24 კმ-ში, სოფელ აშიკზულალის (ისტორიული სახელი – წურწყაბი) დასავლეთით, 2 კმ-ზე მდებარე 80-კომლიანი სოფლის ქოლქოის (ისტორიული სახელი – ყველი) მიდამოებში, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხენა ნაპირზე აღმართულ გორაზე. ყველის ციხე (ზ. დ. 1840 მ; N-41°26’29.90” E- 42°37’18.10”; ციხის ზომა: 63 მ. X 9/16 მ. ფართობი: 700 კვ. მ.) E/W წაგრძელების გორის ცენტრში ნავისებური ფორმის კონცხზეა ნაგები. ყველის ციხე შუა საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს საფორტიფიკაციო სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ის იყო ფოცხოვის პოლიტიკური ცენტრი, ყუელის ერისთავთა რეზიდენცია IX_XII სს-ში, აკონტროლებდა ყველის ხეობაში გამავალ მთავარ გზას. მასზე გადიოდა სხვადასხვა პროვინციებს (საერისთავოებს) შორის დამაკავშირებელი სამხედრო გზები და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველის ციხე ერთდროულად აკონტროლებდა 4 მხრიდან (აჭარიდან, შავშეთიდან, ერუშეთიდან, სამცხიდან) შემომავალ გზებს. შავშეთსა და აჭარაში გადასვლის წინ ყველა ეს გზა თავს იყრიდა ყველის ყურის სანახებში. ყველისციხე სამცხე (ფოცხოვის ხეობა)_შავშეთ_კლარჯეთ_ტაოს დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობდა. ქართლიდან შავშეთში უმოკლესი გადასასვლელი სწორედ “ყუელის ქვეყანაზე” გადიოდა. ნარატიულ წყაროებში ამ გზების გამოყენების არაერთგზის მაგალითი გვხვდება. შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში საკმაოდ ხშირად იხსენიება “ყველის ქვეყანასთან” დაკავშირებული ტოპონიმები: “ყუელის ყური”, “ყველის ციხე”, “ყველის ხევი”, “ყუელის მთა”, “ყუელის თავი”, “ყველის წვერი”, რაც ნათლად მიუთითებს ამ მხარის და საფორტიფიკაციო ნაგებობის უაღრესად მნიშვნელოვან როლზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ყველის ციხე მრავალგზის იხსენიება ნარატიულ წყაროში: პირველად, 914 წელს ამირა აბულ-კასიმ აბულ-საჯის ძის შემოსევისას, ალფ-არსლანის შემოსევისას, 1080 წელს ყველისციხესთან დაამარცხა ამირა აჰმადმა საქართველოს მეფე გიორგი II. ყველის ციხე უკვე “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში” დანგრეული ჩანს, რასაც ადასტურებს მოგვიანებით ვახუშტიც და ციხეს “ოხერს” უწოდებს. მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობის მარშრუტში ყველის ციხე არ ფიგურირებს, სამაგიეროდ აქტიურად ჩანს 1576-1578 წლებში მესხეთში მიმდინარე ფეოდალური ომების დროს. ჩვენი აზრით ციხის დანგრევა სწორედ ამ შინაომს უნდა დავუკავშიროთ. შემდგომში ციხის განახლება თუ ფუნქციური აღდგენა აღარ მომხდარა. ეს აიხსნება 2 ფაქტორით: 1. ქართული ფეოდალიზმის პირობებში ყველისციხის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო, მაგრამ “ოსმალობის” პირობებში ფუნქცია დაკარგა და გახდა “ოხერი”; 2. მაგისტრალური გზების გადანაცვლების გამო ფოცხოვის ხეობის ადმინისტრაციული ცენტრმაც განაპირა ყველიდან გადაინაცვლა ახალციხე-არტაანის ცენტრალურ გზაზე მდებარე დიღვირსა და მერეს ციხეზე.

7	ჯაბა სამუშია	კრ. მეისტორიე, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი პროფესორ გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი	თბილისი	

თორთუმის ციხე. რეზიუმე. სტატიაში მიმოხილულია თორთუმის ციხის ისტორია. აღწერილია და მიმოხილულია ამ ისტორიული ძეგლის გეოგრაფიული გარემო და შემორჩენილი ციხე-სიმაგრის ნაშთები.				
8	ჯაბა სამუშია	ელდარ მამისთვალიშვილი – 80. ISBN 978-9941-8-1675-8	გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ფანასკერტის ციხე-ქალაქი. რეზიუმე. სტატიაში მიმოხილულია ციხე-ქალაქი ფანასკერტის ისტორია. აღწერილია და მიმოხილულია ამ ისტორიული ძეგლის გეოგრაფიული გარემო და შემორჩენილი ციხე-სიმაგრის ნაშთები.				
9	ჯაბა სამუშია	კრ. ისტორიანი. მიძღვნილი რ. მეტრეველის 80 წლის იუბილისადმი. 978-9941-487-35-4	თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“	
თბილისის განაშენიანება ვახტანგ გორგასლისა და დაჩის დროს (ნარკვევი ქალაქის ტოპოგრაფიიდან). რეზიუმე. სტატიაში საუბარია თბილისის განაშენიანებაზე ვახტანგ გორგასლისა და დაჩის პერიოდში. შესწავლილია ნარკვევი ქალაქი თბილისის ტოპოგრაფიის საკითხები.				
10	ჯაბა სამუშია	კრ. ისტორიანი. მიძღვნილი რ. მეტრეველის 80 წლის იუბილისადმი	თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“	
როინ მეტრეველი (ცხოვრება და მოღვაწეობა). რეზიუმე. სტატიაში საუბარია აკადემიკოს როინ მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან დეტალებზე.				
11	მ.ჩხარტიშვილი „ჰიეროტოპიული პროექტი ‘მცხეთა ახალი– იერუსალიმი“ ქართული იდენტობის ისტორიის კონტექსტში“	ელდარ მამისთვალიშვილი –80 978–9941–8–1675–8	გორი, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019	17 გვ.
ნაშრომი შეეხება მცხეთის, როგორც ქრისტიანული საკრალური ცენტრის, კონცეპტუალიზების ისტორიას და ამ პროცესის კორელაციას ქართული იდენტობის წრთობის პროცესთან. კვლევისათვის გამოყენებულია უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ კერძოდ, მისი არქეტიპული რედაქცია, რომელიც შეიქმნა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ მოკლე ხანში, დაახლოებით მეოთხე საუკუნის შუა ხანებში და, აგრეთვე, თანამედრვე პოლიტიკური დისკურსის ამსახველი ზოგი ტექსტი, რომელიც ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში ამ ტემის აქტუალიზებას ესწრაფვის. გამოკვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ორი მიგნება: ა)კოლექტიური კულტურული იდენტობებისათვის (იქნება ეს ეთნიკური თუ ნაციონალური) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობის ტერიტორიის საკრალიზებას. ამიტომაა „წმინდა მიწის“ კონცეპტი ეთნიკური და ნაციონალური ნარატივების განუყოფელი ნაწილი. ეს მიგნება უკავშირდება ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას, რომლის ერთ–ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე.დ. სმითი; ბ)სივრცის საკრალური სეგმენტები, რომლებიც მიიჩნეოდა, რომ ღვთაებრივი ინტერვენციის (ჰიეროფანიის) შედეგად მოინიშნებოდა პროფანულ სივრცეში, და ამდენად დამოუკიდებელი იყო ადამიანის ნებისაგან, ექვემდებარებოდა ადამიანის მიერ გარკვეული წესით ამ სივრცის ორგანიზებას ანუ ჰიეროტოპიას. ჰიეროტოპიის კონცეპტი უკავშირდება რუსი მეცნიერის ა.ლიდოვის კონცეფციას. უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობა არის ის ბირთვი იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო მეოთხე საუკუნეში შექმნილ ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას, ეს იდეოლოგია წარმოადგენდა პასუხს გამოწვევებზე, რომელთა პირისპირ აღმოჩნდა				

ქართველობა მშობლიური კულტის ანუ არმაზული რელიგიის კოსმოპოლიტური რელიგიური სისტემიით ანუ ქრისტიანობით ჩანაცვლების შედეგად. ერთ–ერთი მოტივაცია იყო ქრისტიანულ ოიკუმენაში საკუთარი განსაკუთღებული ადგილის დამკვიდრების სურვილი და ეროვნული მისიის დასაბუთება, რაც აუცლებელია ინტენსიური ეთნიკური კონსოლიდაციისათვის. ნაშრომში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი ტექსტის დეტალური ანალიზით რეპრეზენტირებული იქნება ეს იდეოლოგიია, ნაჩვენები იქნება თუ მენტალური ხატებით როგორც ცდილობს ძველი ავტორი სამეფო რეზიდენციის ბაღი მცხეთაში მიამსგაავსოს ზეციურ იერუსალიმს და გზით საფუძველი შეუქმნას მცხეთის კონცეპტუალიზებას ზეციური იერუსალიმის ხატად. ძველი ავტორი არაორაზროვნად მიგვნიშნებს, რომ კაცობრიული ისტორიის აღსრულების შემდგომ სწორედ მცხეთა გახდება ადგილი , სადაც დამყარდება უფლის სასუფეველი ანუ ჩამოვა ზეციური იერუსალიმი. წმინდა პროტოტიპის სივრცულ–ლანდშაფტური ასლის გადმოღება და სიწმინდის ამ გზით ახალ ადგილას გადატანა წინამოდერნის ეპოქის ქრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ქართველი ავტორი ამ ზოგადი კანონზომიერების ჩარჩოებში ახერხებს ძალიან ორიგინალური დისკურსის შექმნას, რაც ქართული ინტელექტუალური ისტორიის საინტერესო ფაქტად აქცევს ამ იდეოლოგიას.

12.	გ. ოთხმეზური, “დორეთკარის ეკლესია”	„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ ISBN 978-9941-13-905-5	თბილისი, თსუ გამომცემლობა (გადაცემულია დასაბეჭდად)	5 გვერდი

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Apolon Tabuashvili	The Issue of Georgian Captives in the Crimea in the 18th Century. DOI 10.24411/2219-8857-2018-00014	Materials in Archaeology and History of Ancient and Medieval Crimea. Archaeology, History, Numismatics, Sigillography and Epigraphy. No. 10.	Moscow, Tyumen, Nizhnevartovsk	გვ. 329-333.

XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში დაღესტნელი მთიელები აღმოსავლეთ საქართველოდან იტაცებდნენ მოსახლეობას. დაღესტნელ მთიელთა მიერ მოტაცებული მოსახლეობის ნაწილი თურქი ვაჭრების საშუალებით ოსმალეთში მიჰყავდათ, ხოლო ნაწილს ჩრდილოეთ კავკასიასა და, უფრო მეტად, ყირიმში გზავნიდნენ. დროთა განმავლობაში ყირიმში მყოფი ქართველი ტყვების რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ცნობით XVIII საუკუნის 70-იან წლებში მათი რიცხვი 32 ათასი ყოფილა. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის შედეგად ქართველმა ტყვეებმა თავისუფლება მოიპოვეს. 1771 წლის მიწურულს ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა გაგზავნა. ელჩების გაგზავნის ერთ-ერთი მიზანი ყირიმში გათავისუფლებული ქართველი ტყვეების საკითხის გადაწყვეტა იყო. მეფე ერეკლე II-ის და ქართველი დიპლომატების ჩარევით ქართველი ტყვეების სოლიდურმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. მათი ნაწილი კი რუსეთში

დარჩა, რაც რუსეთის სახლმწიფოს ინტერესებში შედიოდა. ყირიმიდან სამშობლოში დაბრუნებული ტყვეების შესახებ ცნობები ასახულია ქართულ ისტორიულ საბუთებში.

2	ბონდო კუპატაძე	საარჩევნო სისტემის განვითარება და პოლიტიკური პარტიები საქართველოში (1917-1920 წწ.) https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/erovnuli-arkivis-saertashoriso-konferentsiis-krebuli-2018-1	ეროვნული არქივის III საერთაშორისო კონფერენციის კრებული.	იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი. თბილისი. 2019	გვ. 322-334

საარჩევნო სისტემის განვითარება და პოლიტიკური პარტიები საქართველოში
(1917-1920 წწ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესწავლისას საკვანძო მნიშვნელობისაა 1917-1920 წლებში მიმდინარე საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის პროცესის გააზრება, რაც ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების არჩევითი ორგანოების (ეროვნული საბჭო-დამფუძნებელი კრება, საქალაქო და სამაზრო ერობები) ფორმირების და ხელისუფლების დანაწილების, სოციალ-პოლიტიკური რეფორმების საფუძვლად იქცა.1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მთელი ყოფილი რუსეთის იმპერიის, მათ შორის ამიერკავკასიის მასშტაბით მოიტანა საარჩევნო სისტემის სრულყოფა, მისი დემოკრატიულ რელსებზე გადასვლა. გაუქმდა არჩევნების მრავალსაფეხურიანობა და თვეობით გაგრძელებადობა, საარჩევნო ცენზები (ქონებრივი, სოციალური, გენდერული), საარჩევნო კურიები.1917-1920 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა 4 არჩევნები. მათ შორის 2 არჩევნებს კურირებდა რუსეთის დროებითი მთავრობა და მისი წარმომადგენლობა კავკასიაში „ოზაკომი“, ხოლო მომდევნო 2 არჩევნები გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ეგიდით და ქართული საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე. ეს არჩევნებია: 1. რუსეთის 1917 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები (1917 წ. 12-19 ნოემბერი); 2. 1917 წლის აგვისტო-სექტემბრის საქალაქო არჩევნები; 3. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (1919 წლის 14-16 თებერვალი; 1919 წლის სექტემბერი; 1920 წლის მაისი). 4. საქალაქო და საერობო თვითმმართველობის არჩევნები 1919 წელს. სტატიაში ვეხებით ცენტრალური მმართველობის არჩევითი ორგანოების ფორმირების და არჩევნების ისტორიას.

1	M. Chkhartishvili	Literary Fiction and Representation of History: Theorizing the Topic Through Georgian Case Study(„მხატვრული ლიტერატურა და ისტორიის რეპრეზენტაცია. საკითხის თეორეტიზების ცდა ქართული მაგალითით“ *DOI-https://doi.org/10.20319/pijss.2019.53.598609*	*PEOPLE: International Journal of Social Sciences ISSN 2454-5899 Volume 5 Issue 3*	https://grdspublishing.org/index.php/people/article/view/2230	12 გვ.

ისტორიული კვლევაში მეთოდთან ერთად სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს წყაროს. წარსულის რეპრეზენტაცია მით უფრო ადეკვატურია, რაც უფრო მეტი და ავთენტური წყაროა ისტორიკოსის განკარგულებაში. წყაროთა ბაზა კი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული ძიებებისათვის, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ისტორიის საგნის გაგება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. წინამოდერნის ეპოქაში ისტორიკოსის მოვალეობად ადამიანთა საზოგადოებაში ღვთაებრივი ინტერვენციის ფაქტების და პოლიტიკური ელიტების აქტივობის,

სამეფო ოჯახების ცხოვრების ასახვა ითვლებოდა. სწორედ ამის შესაბამისი იყო წყაროთა არჩევანიც. თუმც ამ დროს ისტორიკოსებს თავიანთი „ტერიტორია“ (ე.რ. ლადიურის ცნობილი მონოგრაფიის *Le Territoire de l'historien* სათაურის მიხედცით) ანუ საგანი მკაცრად გამიჯნული არ ჰქონდათ ჰუმანიტარული ცოდნის სხვა სფეროებისაგან. შესაბამისად, რეპრეზენტაციისათვის გამოსადეგი წყაროების მკაცრი შერჩევა არ ხდებოდა, ისინი ტიპობრივად მრავალფეროვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. აღნიშნული ვითარება კარდინალურად შეიცვალა მეცხრამეტე საუკუნეში. ეს საუკუნე იყო ისტორიის პროფესიონალიზაციის ხანა, რომელიც ხასიათდებოდა იმით, რომ ხდებოდა ისტორიის ექსკლუზიური განვითარება. დისციპლინის „დამფუძნებელი მამები“ ცდილობდნენ სასაზღვრო კონტურები ისტორიასა და სხვა დისციპლინებს შორის გაეხადათ თვალსაჩინო და ისტორიული კვლევების ფოკუსი რაც შეიძლება მკვეთრი ყოფილიყო. ისტორიკოსთა ინტერესი იფარგლებოდა პოლიტიკური ისტორიის ფაქტებით. ანუ მეცნიერული ისტორიის განვითარების საწყის სტადიაზე ისტორიკოსები საგულდაგულოდ მიჯნავდნენ სხვა დისციპლინებისაგან თავიანთ „ტერიტორიას“ და ინტერდისციპლინურ კავშირებს პრინციპულად უარყოფდნენ. ამგვარი ხედვის გამოძახილი გახლდათ მათ მიერ საარქივო დოკუმენტების, როგორც უმთავრეს და სანდო წყაროთა, არჩევანი და რწმენაც იმისა, რომ კეთილსინდისიერ მეცნიერებს შეეძლოთ აღედგინათ წარსული ისე „როგორც ის იყო სინამდვილეში“ ”(“wie es eigentlich gewesen”) – ემპირიცისტული პარადიგმის ფუძემდებლის რანკეს ფორმულა. მაგრამ მეოცე საუკუნეში დაიწყეს ისტორიის საგნის ახლებური გააზრება. „ახალმა ისტორიამ“ ინტერდისციპლინურობა შემოიტანა ისტორიაში. ისტორიკოსთა „ტერიტორია“ გაფართოვდა. ახალი თაობის ისტორიკოსები ინტერესდებოდნენს ისეთი საკითხებით, რომელთა კვლევა ადრე არასერიოზულ საქმიანობად ჩაითვლებდა. ეს იყო ინტერესი არა მარტო მოვლენებისადმი, არამედ აქტორთა მოტივაციებისადმიც, მარგინალური ჯგუფებისადმი, საერთოდ ჯგუფებისადმი და არა მარტო გამორჩეული ინდივიდებისა და კულტურული უნიკუმებისადმი. „კულტურა“ უფრო ყოვლის მომცველი ცნება გახდა. ის შეეხებოდა არა მარტო ხელოვნებას, არამედ ცხოვრების სტილს, მათ შორის, დაბალი სოციალური ფენებისაც და მარგინალური ჯგუფების აქტივობის ფორმებსაც. ისტორიკოსის „ტერიტორიის“ ამგვარმა გაფართოებამ მოიტანა ახალი წყაროების ძიების საჭიროება. ახალმა ფოკუსმა კი თვალსაჩინო გახადა ის ფაქტი, რომ წყაროები, რომელსაც ადრე სკეპტიკუად ეკიდებოდნენ ისტორიკოსები, თავიანთი რელევანტურობით უპირველესნი იყვნენ. ინტერდისციპლინურობის ძიების კონტექსტში და კოლექტიური იდენტობების კვლევის მიზეზით გაჩნდა მოთხოვნილება ლიტერატურულ წყაროებზეც. პოლიტიკური ისტორიით გატაცებული რანკეანელი ისტორიკოსები უნდობლად ეკიდებოდნენ ამგვარ ტექსტებს, მიაჩნდათ რა ისინი დიდწილად სუბიექტურ ნარატივებად. „ახალი ისტორიის“ ფარგლებში წამოჭრილი კითხვებზე პასუხები კი შესაძლებელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ამ ტიპის წყაროებზე დაყრდნობით იყო. ის გარემოება, რომ აღნიშნული საჭიროება დროში დაემთხვა ჰუმანიტარიის ერთ–ერთ უმთავრეს დისპუტს ლიტერატურის ისტორიულობის შესახებ (ახალი ისტორიციზმი) ხელს უწყობდა ისტორიული რეკონსტრუქციისთვის მხატვრული ლიტერატურის ინფორმატიული ღირსებების წარმოჩენას. ეს დისპუტი პრინციპში წინა მოდერნის ეპოქაში დაიწყო არისტოტელეს ცნობილი მსჯელობით პოეტური და ისტორიული რეპრეზენტაციების შეპირისპირების თაობაზე, მაგრამ ახალ დროში მან სრულიად ახალი განზომილება შეიძინა მიშელ ფუკოსა, ჰაიდენ უაიტის, სტივენ გრინბლანტის და სხვათა გავლენით. ამ თეორიულ დისპუტში, ცხადია, ისტორიკოსებიც იყვნენ სხვა ჰუმანიტარ მეცნიერებთან ერთად ჩართულნი. მაგრამ მაინც შედარებით ნაკლებად. პრაქტიკოსი ისტორიკოსები განაგრძობდნენ საქმიანობას ტრადიციული ანუ რანკესეული პარადგმის სულისკვეთებით. ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში, ვითარება საქართველოში, ასეთი არის დღესაც. ნაშრომები, რომლებიც წარსულის რეპრეზენტაციასს ლიტერატურულ წყაროებს იყენებს, მცირეა. მითუმეტეს, მცირეა შემთხვევები (თუ საერთოდაც არის) საკითხის თეორიული ჭრილში განხილვისა. ქართველ ისტორიკოსთა მიერ დარგის თეორეტიზების და ისტორიული კატეგორიების პერიოდული რეკონცეპტუალიზაციის საკითხი იშვიათად ისმის. ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდაა. ავტორი განხილავს ისტორიული რეპრეზენტაციისას ქართული ლიტერატურის გამოყენების რამდენიმე მაგალითს. ნაწილი მაგალითებისა მას ადრე აქვს შესწავლილი და ცალკეული სტატიების სახით გამოქვეყნებულიც (მაგალითად, ერთ–ერთი ასეთია სტატია M.Chkhartishvili. Reflection of Social Prejudices in Georgian Literary Fiction. In: Dynamics and Policies of Prejudice from the XVIII to the XXI century (edited by Giuseppe Motta), Cambridge Scholars Publishing , pp. 25-33), ნაწილი პირველად გამოქვეყნდება. მოხსენება ამ მასალის განზოგადების და ერთიან აზრობრივ სისტემაში

მოქცევას მცდელობაა.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა	ტრანსკავკასიური გზის შესახებ. 1987–9970	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები/XV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 9-20
გვიანანტიკურ ხანაში მაინც ძირითადი ტრანსირანული ტრანზიტი იყო. სასანურმა „რევოლუციამ“ კი საერთოდ მოშალა „ტრანსკავკასიური“ ვაჭრობის პერსპექტივები. წითელი ზღვის სანაოსნო ტრასამ ვერ მოიპოვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ბაზების უქონლობის გამო, ამიტომ V-VI საუკუნეებში ბიზანტიური დიპლომატია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს. რაც შეეხება რომაელთა ჰეგემონიის დაფუძნებას პალმირასა და პეტრაზე, მისი მიზანი არაბული საშუამავლო ვაჭრობის მოგების წილის შემცირება იყო.					
2	Tedo Dundua, Emil Avdaliani	Abkhazians and Ossetians in Georgia. Short History *(handout for the politicians),* 1987–9970	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები/XV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 432-436
მოცემულია აფხაზებისა და ოსების საქართველოში ცხოვრების მოკლე ისტორია.					
3	ლერი თავაძე	მიჰრანიანთა დინასტიის განშტოება – ვარაზმანიანთა სახლი და საქართველო, 1987–9970	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XV.	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 91-127
შესწავლილია ვარაზმანიანთა სახლის საქართველოს მმართველ ელიტასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი დეტალები.					
4	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917 წელი), ISSN 1512-3154	თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახა-ლი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტომი 1 (23)	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 34-38

პირველ სტატიაში გამოქვეყნებულია 1917 წლის 1 მაისით დათარიღებული დოკუმენტი, რომლიდანაც ნათელი ხდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომელიც I მსოფლიო ომის პერიოდში სახელმწიფოებრიობის აღდგენას ცდილობდა გერმანიის იმპერიის მხარდაჭერით (რაც 1918 წლის 26 მაისს რეალობად იქცა), სამხედრო წარჩინების ნიშნით (მომავალში - „თამარ მეფის ორდენი“) დაუჯილდოებია გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944). ეს პიროვნება I მსოფლიო ომის დაწყებამდე თბილისში გერმანიის იმპერიის კონსულის თანამდებობაზე მსახურობდა. ამ დოკუმენტის საფუძველზე, დგინდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ჩვენი სამშობლოს მომავალ სახელმწიფო დროშად წარმოედგინათ ალამი - წითელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონტული ზოლებით. ასეთი სახის დროშა კი უდავოდ ეხმიანება შოთა რუსთაველის პოემაში “ვეფხისტყაოსანი” დაცულ შემდეგ ცნობას: „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“.

5	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	საქართველოს სამსახურში ოსთა და ჩერქეზთა ყოფნის ისტორიიდან (XVIII საუკუნის მიწურული - XIX საუკუნის დასაწყისი)	მასალების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2019 წლის 13-15 ოქტომბერს იმავე უნივერსიტეტში ორგანიზებული V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თემაზე: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები”, მიძღვნილი მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნისადმი	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 125-126

სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი (მათ შორის - ოსი და ჩერქეზი) ხალხების ურთიერთობის ისტორია სათავეს უძველესი დროიდან იღებს. მათ შორის განსაკუთრებით ინტენსიური იყო სამხედრო თანამშრომლობა. ჩრდილოკავკასიელები საუკუნეთა განმავლობაში იდგნენ საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში, რის სანაცვლოდაც მათ უხვად აჯილდოებდნენ ქართველი მეფენი. XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ზემოთ აღნიშნული ვითარება თანდათან შეიცვალა. ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულმა რუსეთის იმპერიამ ადგილობრივი მთიელი ხალხების გარკვეული ნაწილი და მათ შორის ყაბარდოელები (იგივე ჩერქეზები) და ოსები საკუთარი გა-

ვლენის ქვეშ მოაქცია. მათი მოხელეების აქტიური ჩარევით, ჩრდილოკავკასიელთა ტრადიციულ თანამშრომლობას ქართულ სახელმწიფოსთან თანდათან ბზარი გაუჩნდა. ამ თანამშრომლობის გაგრძელებას XIX საუკუნის დასაწყისიდან ხელი კიდევ უფრო შეუშალა რუსეთის იმპერიის შემოსვლამ და დამკვიდრებამ სამხრეთ კავკასიაში, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება.					
6	აპოლონ თაბუაშვილი, თორნიკე მარუაშვილი	რუსეთის არმიის დეზერტირები XVIII საუკუნის საქართველოში. ISSN 1987-9970	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, # XV	თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვ. 292-303
XVIII საუკუნის განმავლობაში რუსეთის ჯარის ნაწილები საქართველოში 1769-1772, 1783-1787 და 1796-1797 წლებში იმყოფებოდა. 1770 წლისათვის საქართველოში შემოსული რუსი სამხედროების რაოდენობა დაახლოვებით 4000 კაცით განისაზღვრებოდა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში სამხედრო დანაყოფებიდან ჯარისკაცები მასობრივად გარბოდნენ. ეს ფაქტი კი, ძირითადად, გამოწვეული იყო სამხედრო დანაყოფებში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და დისციპლინის მოშლით. საქართველოდან ჯარების გაწვევის მომენტში მთლიანი კორპუსის რიცხოვნობა შეადგენდა 2000 კაცს. ამდენად, აღნიშნული კამპანიის დროს საქართველოში რუსულმა კორპუსმა თითმის 2000 ჯარისკაცი დაკარგა. მათი ნაწილი საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა, ნაწილი ციებით ან სხვა დაავადებით გარდაიცვალა. საკმაოდ დიდი ნაწილის კი გაიქცა. არ არის გამორიცხული, რომ რომ რუსი დეზერტირების ნაწილი საქართველოდან სხვა ქვეყანებში წასულიყო. მათი სოლიდური ნაწილი კი საქართველოში უნდა დარჩენილიყო. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში დარჩენილი რუსი დეზერტირების რაოდენობა რამდენიმე ასეულ ადამიანს შეადგენდა. საქართველოში რუსეთის არმიის დეზერტირების ახალი ნაკადს ვხვდებით 1796-1797 წლებში. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი რუსული ჯარიდან ჯარისკაცების გაქცევა დადასტურებულია დოკუმენტური მასალით. ამჯერადაც, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი უნდა გაქცეულიყო სამხედრო დანაყოფებიდან. რუსეთის არმიიდან გაქცეულ ჯარისკაცებს მფარველობას ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II უწევდა. ეს კი გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში დაარსდა საველე არტილერია. საველე არტილერიის შესაქმნელად ერეკლე II-მ დიდი ძალისხმავა გასწია. გარდა ფინანსებისა, საარტილერიო კორპუსის შექმნა მოითხოვდა სათანადო კადრებს. ამისათვის მეფე იწვევდა რუსეთში მყოფ შესაბამის დარგის მცოდნე ქართველებს, სასწავლებლადაც გზავნიდა ადგილობრივ ახალგაზდრებს, თუმცა კადრების სიმცირე აშკარა იყო. რუსი დეზერტირების საშუალებით კი აღნიშნული პრობლემის მარტივად გადაჭრა იყო შესაძლებელი. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ რუსი დეზერტირები ქართულ საარტილერიო შენაერთში მართლაც მსახურობდნენ. ისევე როგორც ადგილობრივი სამხედროები, ისინიც იღებდნენ ჯამაგირს. სახელმწიფო მათ სურსათ-სანოვაგით, ტანისამოსითა და საცხოვრებელითაც უზრუნველყოფდა. ცხადია, ერეკლე II-ს ქმედება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. შესაბამისად, სხვადასხვა დროს ქართველ მეფეს რუსი მოხელეები და თავად იმპერატორიც მოუწოდებდნენ დეზერტირების მფარველობაზე ხელის აღებისაკენ და მათ რუსეთში გაგზავნას ითხოვდნენ. ამის მიუხედავად, ერეკლე II მუდმივად ცდილობდა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას და საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.					

7	აპოლონ თაბუაშვილი	კიდევ ერთხელ წიგნის ღირებულების შესახებ (XI-XVIII სს.). ISSN 0234-7385	მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. # 26.	თბილისი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 332-349.
ფეოდალურ ეპოქაში ხელნაწერი წიგნი ძალიან ძვირი ღირდა. XI-XII საუკუნეებში წიგნის საშუალო ფასი იყო 20 დრაჰკანი, რაც ვერცხლზე გადაყვანით 700-780 გრამი ვერცხლს უდრიდა. აღნიშნულ ფასად შესაძლებელი იყო ერთი გლეხის ან 10 დღიურ ყანაზე მეტის (5 ჰექტარი მიწა) შეძენა. ზოგიერთი, მდიდრულად გაფორმებული წიგნის ფასი კი 2800-3000 გრამ ვერცხლს აღწევდა. XVII საუკუნის დასაწყისში სტამბოლში ქართველ ელჩებს ქართული წიგნი ძალიან ძვირად, 80 ფლურად, ანუ 4000 გრამ ვერცხლად უყიდიათ. XVIII საუკუნეში კი წიგნის საშუალო ფასი 2-3 თუმანს, ანუ 290-435 გრამ ვერცხლს უდრიდა. ამ პერიოდში წიგნის საშუალო ფასად, 2-3 თუმნად, შესაძლებელი იყო 2-3 ხარის ან 5-7 ძროხის, ანდაც 1000 კილოგრამზე მეტი ხორბლის შეძენა. ზოგიერთი წიგნი 1000 გრამ ვერცხლს აჭარბებდა, ხოლო ყველაზე იაფი წიგნების ფასი 17,5 გრამ ვერცხლს უდრიდა. ამ პერიოდში სტამბის წიგნი ხელნაწერ წიგნზე 2,5-ჯერ იაფად ფასობდა. სასულიერო წიგნების უმეტესობა 1000 ტირაჟით გამოიცემოდა. სტამბური წიგნების დიდი რაოდენობით ბეჭდვის პარალელურად ძალიან ბევრი ხელნაწერი წიგნი იქმნებოდა. ეს საქმე კვლავინდებურად მომგებიანად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში სახეზე გვაქვს წიგნის გაიაფების ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო საწერი მასალის – ქაღალდის გაიაფებითა და სტამბის დაარსებით, წიგნის ზოგადი ღირებულება მაინც მაღალი რჩებოდა.					
8	დიმიტრი შველიძე	პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913). ISSN 1987-9970	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XV.	თბილისი.თსუ.	გვ. 345-359.
მიკვლეული და გაანალიზებულია ანარქიზმის ცნობილი თეორეტიკოსის კროპოტკინის წერილები ქართველი ანარქისტის გოგელიასადმი. მიკვლეული 18 წერილიდან 5 წერილი გაგზავნილია გაზეთ „ხლებ ი ვოლიას“ რედაქციისადმი; სამიწერილი გოგელიას მეუღლის ლიდია იკონნიკოვასადმი და ათი წერილი გიორგი გოგელიასადმი. წერილებიდან კიდევ ერთხელ დასტურდება გიორგი გოგელიას დიდი როლი რუსეთის იმპერიის სივრცეში ანარქისტულ-რევოლუციური მოძრაობის პროცესში და ისტორიაში. ირკვევა რომ გოგელიას მიერ გამოცემულმა რუსულენოვანმა გაზეთმა განაპირობა დაქსაქსული ანარქისტული ჯგუფების კონსოლიდირება. წერილებიდან გაირკვა რიგი დეტალები და ეპიზოდები გოგელიას, ჩერქეზიშვილისა და სხვა მოღვაწეების საქმიანოს შესახებ.					
9	ნათია ფიფია	Perception of Medea According to Greco-Roman Visual Sources (Vases and Sarcophagus)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის	თბილისი	გვ. 437-443

			შრომები. 2019. XV. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.		
მედეას პერცეფცია ბერძნულ-რომაულ სამყაროში მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლხებისა და კოლხეთის პერცეფციასთან. ბერძნები და რომაელები მედეას, აიეტს და სხვა მითოლოგიურ კოლხ პერსონაჟებს ისე წარმოსახავდნენ, როგორც ზოგადად კოლხები წარმოედგინათ. ნარატიული წყაროები გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუმცა, ვიზუალური წყაროები ავსებენ მათ ხარვეზს. არგონავტებისა და მედეას შესახებ ვიზუალური წყაროები ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი, შესაბამისად, ჩვენს მიზანს პირველ რიგში, წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად სასარგებლო წყაროს წარმოადგენენ, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე ისტორიის რეკონსტრუქციას შევეცდებით. გარდა ამისა, ჩვენი დაინტერესება გამოწვეულია იმითაც, რომ არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხს ეძღვნება. მედეას სახე საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან მეტამორფოზას დაექვემდებარა. ბერძნებისა და რომაელებისთვის ის ბარბაროსია, თვით შვილების მკვლელიც, შუა საუკუნეებსა და ადრეული რენესანსის ეპოქაში, მაგ. ჩოსერისთვის, ის იაზონის მიერ მოტყუებული და შეცდენილი საბრალო ქალია, განვითარებული რენესანსის ხანაში ის ისევ მზაკვარი ქალია, XVI საუკუნეში, კუდიანებზე ნადირობის ეპოქაში, მედეა ჯადოქარია. ერთი საკითხია, როგორ გამოსახავდნენ მედეას სხვადასხვა ავტორები, მეორე, თუ როგორი წარმოუდგენიათ კოლხები და კოლხეთი არგონავტების და მედეას შესახებ ბერძნულ-რომაული ვიზუალური (ლარნაკები,სარკოფაგი) წყაროების მიხედვით. ჩვენი სტატია სწორე ლარნაკებზე და ერთ სარკოფაგზე გამოსახულ მედეას ეძღვნება.					
10	Aleksandre Boshishvili	Demographic Policy of Iranian Shahs In Kartli Kingdom/Georgia and Its Results (16th - 18th cc.).	Proceedings of International Conference on Social Science and Humanities (ICSSH). 13th-14th August, 2019	Brussels, Belgium	გვ. 11
კრებული წარმოადგენს კონფერენციის მასალებს, სადაც დაბეჭდილია კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები, მოხსენებაში განხილულია ირანის შაჰების პოლიტიკა და მათი მოქმედებები ქართლში დემოგრაფიული სურათის შეცვლის კუთხით. მოხსენებაში საუბარია სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული სხვადასხვა მომთაბარე ტომის შესახებ, შემდეგ მათი ქართულ სახელმწიფოს სამსახურში გადასვლის შესახებ და სხვ. საბოლოოდ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ირანის შაჰებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, და სამტროდ ჩამოსახლებული განსხვავებული ცხოვრების წესის მქონდე უცხოტომელები ქართულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებული არ აღმოჩნდნენ.					
11	ბონდო კუპატაძე	1804 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აჯანყების ისტორიოგრაფია **ISSN 1987-6998**	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XVIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია.	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი-2018/2019	გვ. 216-229.
1804 წლის ანტიცარისტული აჯანყება საისტორიო მეცნიერების დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. განსხვავებული დოზით არაერთი მკვლევარი შეეხო ამ თემას და საკითხისადმი მათმა დამოკიდებულებამ აჩვენა ძალიან საინტერესო ტრანსფორმაცია, რაც განიცადა საისტორიო აზროვნებამ განსხვავებული ეპოქების კონიუნქტურის გავლენით. უმთავრესი განსხვავება შეეხება აჯანყების შეფასებას, ხასიათსა და მნიშვნელობას. აგრეთვე აჯანყების წინამძღოლი ძალის ვინაობას. განსხვავება არსებობს აჯანყების სახელწოდებასთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, საკითხის ისტორიოგრაფიაში შეგვიძლია გამოვყოთ 4 ეტაპი: 1. ცარიზმის პერიოდის რუსული ისტორიოგრაფია					

(დუბროვინი, ბერჟე, არქეოგრაფიული კომისიის აქტები); 2. ცარიზმის პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია (დავით ბაგრატიონი, ალ. ფრონელი, ივ. ჯავახიშვილი); 3. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია (გ. ხაჭაპურიძე, ვ. ტოგონიძე, ნ. ბერძენიშვილი, აკ. სურგულაძე, ა. ბენდიანიშვილი); 4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია (ი. მჭედლიშვილი, ა. ბენდიანიშვილი, ე. ორჯონიკიძე). შეხედულებათა მრავალფეროვნება უკავშირდება თავად აჯანყების სახელწოდებას. ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) შესანიშნავი წიგნის გამო ტრადიციულ ტერმინად დამკვიდრდა „მთიულეთის აჯანყება“, რაც დღემდე პოპულარული რჩება. თუმცა ეს ზუსტად არ ასახავს აჯანყების საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს, რომელიც არა მხოლოდ მთიულეთს, არამედ სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებსაც (ხანდო, თრუსო, ჭართალი, ხევი, ერწო, თიანეთი, ქსნის ხეობა...) მოიცავდა. ამდენად, უფრო მართებულია მას ეწოდოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აჯანყება. ეს ტერმინი პირველად შემოიტანა ვარ. ტოგონიძემ. სამეცნიერო მიმოქცევაში კი დაამკვიდრეს ნ. ბერძენიშვილმა, ა. სურგულაძემ და ალ. ბენდიანიშვილმა.

12	მიხეილ ბახტაძე	ერთიანი საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურისთვის XI საუკუნეში	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომები 2019 წელი, №17-1	გორი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი გამომცემლობა	
13	მიხეილ ბახტაძე	გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. 1987–9970	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები/XV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 377-409
14	მიხეილ ბახტაძე	რამდენიმე მოსაზრება დიდგორის ომის მიმდინარეობის შესახებ 1987-7285	საისტორიო კრებული. 7	თბილისი. გამომცემლობა „მხედარი“	გვ. 25-44
15	მარიამ ჩხარტიშვილი	ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასეული ნარატივი *რეპრეზენტაცია და კომენტარები* ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	10გვ.

სტატიაში განხილულია ეროვნული ნარატივი, რომელიც შექმნა მეოცე საუკუნის ცნობილმა პოლიტიკოსმა და კულტურულმა მოღვაწემ ზვიად გამსახურდიამ. საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან ქართველი ერის განთავისუფლება მან სწორედ იმით დაიწყო, რომ ქართველთა ცნობიერებიდან ქართველობის არსის საბჭოური გააზრების აღმოფხვრას შეეცადა. ის განმარტავდა ნაციონალიზმის ფენომენს, კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში, ეროვნული ერთიანობის საკრალიზების აუცილებლობას; წარმოადგენდა ქართველთა კოლექტიური წარსულის და საქართველოს მსოფლიო ისტორიულ მისიის ხედვას, მიუთითებდა ენობრივი და რელიგიური მარკერების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქართული იდენტობისათვის და სხვ. ზ.გამსახურდია მოუწოდებდა ქართველებს ევლოთ „ილიას გზით“. ამგვარად, ის მიანიშნებდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი ქართველი ერის იდეა ემთხვეოდა ილიასეულს. სინამდვილეში მეოცე საუკუნის საქართველოს დისიდენტური მოძრაობის წიაღში შობილი დისკურსი ძველის სახელით შემოტანილი

ინოვაცია იყო: როგორც საკითხების დაყენების, ისე პასუხების თვალსაზრისით ის განსხვავდება მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი ქართველი ერის იდეისაგან. შეცვლილი პოლიტიკურ გარემო და ახალ გამოწვევები ზ. გამსახურდიასაგან ზოგი, უკვე იდენტიფიცირებული, თემის გადააზრებას და ახალი საკითხების გამოკვეთას მოითხოვდა. სწორედ ტრადიციას დამყნობილი ინოვაციურობა იყო იმის მიზეზი, რომ ზ.გამსახურდიას ნააზრევმა ღრმად გამსჭვალა იმდროინდელი ქართული საზოგადოება და მისი იმპულსი საგრძნობია დღესაც. ეროვნულ ნარატივებს აქვთ პოლიტიკური ფუნქცია, თუმც არსობრივ ისინი კულტურული ფენომენებია. ამიტომ გამსახურდიასეული დისკურსი განხილულ უნდა იქნას როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ჭრილში. ამგვარი მიდგომა გვეხმარება მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით განვსაზღვროთ ზვიად გამსახურდიას ადგილი ქართული იდენტობის ისტორიაში.					
16	მარიამ ჩხარტიშვილი	ქართველი ერი X IX საუკუნეში ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვით ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	4 გვ.
ერები ადამიანთა დიდი ჯგუფებია და მათი რაობის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი თეორიული ინსტრუმენტარიუმის მოშველიებით. ერების ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტურ მიდგომა ერთ–ერთი ფართოდ გავრცელებული თეორიაა, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი ბრიტანელი მეცნიერი ენტონი დ. სმითი გახლავთ. ე.დ.სმითის მიხედვით ნაციები მოდერნული ფენომენებია და მათ შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკისრება საზიარო კულტურას, მეხსიერებას, ღირებულებებს, რომელთა შემუშავებასაც და კულტივირებას ახდენენ ინტელექტუალური ელიტები. ელიტები მოქმედებენ წინა მოდერნული ეთნიკური მოცემულობის ფარგლებში. ნაციონალური კონსოლიდაცია კულტურული მობილიზაციის პროცესია, რომლის არსი მდგომარეობს წარსული მემკვიდრეობის სელექციურ რეინტერპრეტაციაში. ამგვარად, ე.სმითისეული ერი, ერთის მხრივ, მოდერნული ფენომენია, რადგან ერების კონსოლიდება მოხდა მოდერნულ დროში, მაგრამ, მეორეს მხრივ, პრემოდერნულიც იმ აზრით, რომ ეთნიკური ბირთვი ანუ უცვლელი ნაწილი მასში ძველიდან არის მომდინარე. ე.დ.სმითის შეხედულებით, სწორედ ეს – ანუ ნაციონალური იდენტობის კონსტრუირებისას გარკვეული კულტურული მოცემულობის არსებობა – აძლევს ნაციონალიზმის იდეოლოგიას არაჩვეულებრივ ძალას, გამსჭვალოს მასები და შექმნას ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობები. პოსტმოდერნულ ეპოქაში უკიდურესი კონსტრუქციონისტების მხრიდან ე.დ.სმითის იდეების კრიტიკა გაისმა. ისინი ეთნოსიმბოლიზმს არათანმიმდევრულ კონსტრუქციონიზმში, მეტიც, ესენციალიზმში სდებენ ბრალს. ესენციალიზმად კი მათ ესახებათ ე.დ.სმითის მიერ ნაციების ქმნადობის პროცესში უცვლელი ეთნიკური ბირთვის არსებობის შესახებ აზრი. ამ კრიტიკის მიუხედავად, ე.სმითის იდეები ინსპირაციის წყაროდ რჩება ბევრი მკვლევრისათვის მთელ მსოფლიოში. ქართულ სინამდვილეში ე.დ. სმითის იდეები საკმაოდ პოპულარულია. ეთნოსიმბოლისტური შეხედულებების საქართველოში გავრცელებაში ამ მოხსენების ავტორსაც მიუძღვის წვლილი. კერძოდ, მან თარგმნა პირველად ქართულ ენაზე ე.დ.სმითის ერთ-ერთი მონოგრაფია და მანვე პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენა ეთნოსიმბოლისტური თეორია კონკრეტული ისტორიული რეპრეზენტაციებისათვის. სტატია ავტორის სწორედ ამ გამოცდილების კომპაქტურად ამსახველი ტექსტია. მასში ეთნოსიმბოლისტური თეორიის საფუძველზე აღწერილია მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარე ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი და ნაჩვენებია როგორც ქართული ეროვნული იდეის უნივერსალური მატრიცა, ისე მისი თავისებურებანი.					
17	Mariam Chkhartishvili	Concepts of “West” and “East” and Symbolic Geography of Georgian Identity Narrative ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	27 გვ.

სტატიის მიზანია თვალი მიადევნოს „ევროპის“, „დასავლეთის“, „აღმოსავლეთის“, „აზიის“ კონცეპტუალიზების დინამიკას ქართულ იდენტობრივ ნარატივში. გამოკვლევაის შედეგად დგინდება, რომ ქართული ერთობის ისტორიის მთელ მანძილზე , დაწყებული ეთნიკური სახელმწიფოებიდან თანამედროვე ერ–სახელმწიფომდე, ეს კონცეპტები ფართოდ გამოიყენებდა ქართველთა თვითცნობიერების ჩამოყალიბებისა და ქართული თვითობის რეპრეზენტაციისათვის. „დასავლეთის“ და „აღმოსავლეთის“, „ევროპისა“ და „ აზიის“ დიქოტომიას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული იდენტობისათვის. ამ დიქოტომიის ფარგლებში ყოველთვის აქტუალური იყო კითხვა თუ ვინ ვართ. პასუხი ამ კითხვაზე იყო განსხვავეული ეპოქებისა და პოლიტიკურ–კულტურული კონტექსტების მიხედვით, თუმც ყოველთვის ეს პასუხები ჩართული იყო ეთნიკური და ნაციონალური რჩეულობის მითებში. . ეს იდეები გენერირდებოდა ინტელექტუალთა წრეებში და მერე შესაბამისი მედიის გზით ცირკულირებდა მასებში და მოდიფიცირდებოდა სახალხო დონეზე. სტატიისათვის გამოყენებულია მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა და მრავალფეროვანი წყაროები დაწყებული შუა საუკუნეების ქრონიკებიდან დამთავრებულ თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომებით და პოლიტიკოსთა სიტყვებით.					
18	მარიამ ჩხარტიშვილი	შენიშვნა მურვან ყრუს იდენტიფიკაციის შესახებ ახალ თვალსაზრისთან დაკავშირებით ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	2 გვ.
ნაშრომი წარმოადგენს მოკლე კომენტარს დ.ჩიქოვანის თვალსაზრისზე, რომელიც ეხება ქართულ წყაროში მოხსენიებული სარდლის მურვან ყრუს იდენტიფიკაციას საკითხს. დ.ჩიქოვანის აზრით, გადასასიჯჯია სპეციალურ ლიტერატურაში არსებული გაბატონებული თვალსაზრისი მურვან ყრუს მურვან მეორესთან იდენტოფიცირების შესახებ. მისი აზრით, მურვან ყრუ ეს იგივე ხალიფა აბდალ აზიზია, რაშიც მას არ ეთანხმება მ.ჩხარტიშვილი, რომელიც აჩვენებს, რომ ესაა მუჰამედ იბნ მურვანი ანუ მურვან იბნ მუჰამედის მამა.					
19	მარიამ ჩხარტიშვილი	შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	5 გვ.
სტატია წარმოადგენს ინფორმაციას შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის სესახებ. კონფერენცია მიეძღვნა ლ.დავლიანიძე–ტატიშვილის ხსოვნას. მოხსენებით გამოვიდა 9 მეცნიერი. მოგონებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები.					
20	მარიამ ჩხარტიშვილი, ზურაბ თარგამაძე	ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XIX-XX გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია ISSN 1987-9563	ქართული წყაროთმცოდნეობა, #21	თბილისი, უნივერსალი	7 გვ.

სტატია წარმოადგენს ვრცელ ინფორმაცია ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XIX-XX ტომების პრეზენტაციის შესახებ. პრეზენტაციას დაესწრო მრავალი მეცნიერი, სტუდენტი. სიტყვებით გამოვიდნენ ჟურნალის რედკოლეგიის წევრები, ავტორები, დამსწრე საზოგადოება.					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ketevan Nadiradze	Tedo Zhordania – a Researcher of the History of Georgia ISBN :978-1-53614-868-8	New York Nova. Science publishers 2019	172 გვ.
ნაშრომში ისტორიკოს თედო ჟორდანიას მეცნიერული მემკვიდრეობა შესწავლილია კვლევის კომპარატივისტული მეთოდის გამოყენებით. გათვალისწინებულია თუ რა დახვდა მას ამა თუ იმ საკითხის კვლევის თვალსაზრისით, რა გააკეთა თავად და როგორია შემდგომი ხანის ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვარი. მისი მოღვაწეობის ფონზე წარმოჩენილია თუ როგორ ვითარდებოდა ქართული ისტორიული მეცნიერება მე-19 ს. მეორე ნახევარსა და მე-20 ს. მიჯნაზე, როდესაც რუსული კოლონიური რეჟიმის პირობებში ახალ საფუძველზე მიმდინარეობდა ქართველი ერის კონსოლიდაცია. ამ პერიოდში ისტორიული წარსულის აქტუალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა , ხოლო ამ პროცესის სრული სურათის წარმოდგენისთვის თ.ჟორდანიას საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის გათვალისწინება აუცილებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული იდენტობის ისტორიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ქართველი ისტორიკოსის სახე. შესავალი: წარმოდგენილია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრების მოკლე ისტორიული ექსკურსი. თავი პირველი: თედო ჟორდანიას ცხოვრება და მოღვაწეობა. თ. ჟორდანიას პირადი ფონდის მასალებზე დაყრდნობით რომელიც კ.კეკელიძის ხელნაწერთა ინსტ. ინახება, ქუთაისის სახელმწიფო არქივისა და მე-19 ს. პერიოდული პრესის საფუძველზე აღდგენილია მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც გადმოცემულია იმდროინდელი ეპოქის მიმდინარე მოვლენების ფონზე. თავი მეორე: თედო ჟორდანია - როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. გადმოცემულია თ.ჟორდანის დამსახურება ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზისშექმნაში. გარკვეულია მისიკვლევის მეთოდები, განსაზღვრულია მისი როლი ამ დარგის განვითარებაში. შესწავლილია მეცნიერისღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლაში. მისი ნააზრევი განხილულია „ქართლის ცხოვრების“შესახებ არსებული ლიტერატურის ფონზე. თავი მესამე: თედო ჟორდანია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. მეცნიერმა შექმნა როგორც წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ასევე საყურადღებო ნაშრომები ავტოკეფალიისა და აფხაზთა კათალიკოსების შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს ჯრუჭის, მღვიმევის, კაცხის, მარტვილის, შიომღვიმის მონატრების; გელათის, ხონის ქვათახევის ცაიშის საცავების, სიწმინდეების აღწერილობები. მან საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ქართლის გაქრისტიანების, ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობისა და ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ. ყველა ეს საკითხი შესწავლილი და გახილულია ამ საკითხების შესახებ დღემე არსებული სამეცნიერო ლიტერტურის ფონზე. თავი მეოთხე: მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწეები თედო ჟორდანიას შემოქმედებაში. თ. ჟორდანია იყო პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ქართველი მოღვაწეების: ანტონ პირველის, დავით გურამიშვილისა და იოსებ სამებელის ცხოვრება და მოღვაწეობა. სწორედ ეს საკითხებია განხილული აღნიშნულ თავში.				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	The issue of admission of Georgia and the Baltic States to the League of Nations (1920) *[ერთა ლიგაში საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მიღების საკითხი (1920)]* ISBN 978-9934-8719-4-8	25-26 April 2019, Riga, Latvia, Proceedings of an International Scientific Conference: ”The 2030 United nations sustainable development goals in Latvia”,	Riga, Latvia „Rigas Stradina Universitate”	გვ. 42-44

სტატიაში აღნიშნულია, რომ ერთა ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა 1920 წელს ერთდროულად განიხილეს აღნიშნულ ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის - ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიღების საკითხი. იმ პერიოდში არცერთი ეს რესპუბლიკა არ იქნა მიღებული ერთა ლიგაში, ვინაიდან ხმების საჭირო რაოდენობა ვერცერთმა მათგანმა ვერ შეაგროვა, თუმცა საქართველომ ბალტიის სამივე რესპუბლიკაზე მეტი ხმები მიიღო. ყოველივე ეს განაპირობა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების - დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფითმა პოზიციამ. მათ არ სურდათ პასუხისმგებლობის აღება ხსენებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაზე საგარეო საფრთხისაგან. ამის მიუხედავად, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა უფრო მყიფე აღმოჩნდა, ვიდრე ბალტიის ქვეყნებისა.					
2	მიხეილ ბახტაძე	An Attempt of Establishing Soviet Power in Georgia in 1920 and the War between Poland and Bolsheviks	Polish-Geoorgian Historians' Commission. Collected Works. Volume I.	Warshawa. 2019.	
3	Mariam Chkhartishvili	Literary Fiction and Representation of History: Case Study *DOI-https://doi.org/10.20319/pijss.2019.53.598609*	*Journal of Social Sciences ISSN 2454-5899* *Volume 5 Issue 3*	https://grdspublishing.org/index.php/people/article/view/2230	12 გვ
ისტორიული კვლევაში მეთოდთან ერთად სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს წყაროს. წარსულის რეპრეზენტაცია მით უფრო ადეკვატურია, რაც უფრო მეტი და ავთენტური წყაროა ისტორიკოსის განკარგულებაში. წყაროთა ბაზა კი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული ძიებებისათვის, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ისტორიის საგნის გაგება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. წინამოდერნის ეპოქაში ისტორიკოსის მოვალეობად ადამიანთა საზოგადოებაში ღვთაებრივი ინტერვენციის ფაქტების და პოლიტიკური ელიტების აქტივობის, სამეფო ოჯახების ცხოვრების ასახვა ითვლებოდა. სწორედ ამის შესაბამისი იყო წყაროთა არჩევანიც. თუმც ამ დროს ისტორიკოსებს თავიანთი „ტერიტორია" (ე.რ. ლადიურის ცნობილი მონოგრაფიის *Le Territoire de l'historien* სათაურის მიხედცით) ანუ საგანი მკაცრად გამიჯნული არ ჰქონდათ ჰუმანიტარული ცოდნის სხვა სფეროებისაგან. შესაბამისად, რეპრეზენტაციისათვის გამოსადეგი წყაროების მკაცრი შერჩევა არ ხდებოდა, ისინი ტიპობრივად მრავალფეროვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. აღნიშნული ვითარება კარდინალურად შეიცვალა მეცხრამეტე საუკუნეში. ეს საუკუნე იყო ისტორიის პროფესიონალიზაციის ხანა, რომელიც ხასიათდებოდა იმით, რომ ხდებოდა ისტორიის ექსკლუზიური განვითარება. დისციპლინის „დამფუძნებელი მამები" ცდილობდნენ სასაზღვრო კონტურები ისტორიასა და სხვა დისციპლინებს შორის გაეხადათ თვალსაჩინო და ისტორიული კვლევების ფოკუსი რაც შეიძლება მკვეთრი ყოფილიყო. ისტორიკოსთა ინტერესი იფარგლებოდა პოლიტიკური ისტორიის ფაქტებით. ანუ მეცნიერული ისტორიის განვითარების					

საწყის სტადიაზე ისტორიკოსები საგულდაგულოდ მიჯნავდნენ სხვა დისციპლინებისაგან თავიანთ „ტერიტორიას“ და ინტერდისციპლინურ კავშირებს პრინციპულად უარყოფდნენ. ამგვარი ხედვის გამომახილი გახლდათ მათ მიერ საარქივო დოკუმენტების, როგორც უმთავრეს და სანდო წყაროთა, არჩევანი და რწმენაც იმისა, რომ კეთილსინდისიერ მეცნიერებს შეეძლოთ აღედგინათ წარსული ისე „როგორც ის იყო სინამდვილეში“”(“wie es eigentlich gewesen”) – ემპირიცისტული პარადიგმის ფუძემდებლის რანკეს ფორმულა. მაგრამ მეოცე საუკუნეში დაიწყეს ისტორიის საგნის ახლებური გააზრება. „ახალმა ისტორიამ“ ინტერდისციპლინურობა შემოიტანა ისტორიაში. ისტორიკოსთა „ტერიტორია“ გაფართოვდა. ახალი თაობის ისტორიკოსები ინტერესდებოდნენს ისეთი საკითხებით, რომელთა კვლევა ადრე არასერიოზულ საქმიანობად ჩაითვლებდა. ეს იყო ინტერესი არა მარტო მოვლენებისადმი, არამედ აქტორთა მოტივაციებისადმიც, მარგინალური ჯგუფებისადმი, საერთოდ ჯგუფებისადმი და არა მარტო გამორჩეული ინდივიდებისა და კულტურული უნიკუმებისადმი. „კულტურა“ უფრო ყოვლის მომცველი ცნება გახდა. ის შეეხებოდა არა მარტო ხელოვნებას, არამედ ცხოვრების სტილს, მათ შორის, დაბალი სოციალური ფენებისაც და მარგინალური ჯგუფების აქტივობის ფორმებსაც. ისტორიკოსის „ტერიტორიის“ ამგვარმა გაფართოებამ მოიტანა ახალი წყაროების ძიების საჭიროება. ახალმა ფოკუსმა კი თვალსაჩინო გახადა ის ფაქტი, რომ წყაროები, რომელსაც ადრე სკეპტიკუად ეკიდებოდნენ ისტორიკოსები, თავიანთი რელევანტურობით უპირველესნი იყვნენ. ინტერდისციპლინურობის ძიების კონტექსტში და კოლექტიური იდენტობების კვლევის მიზეზით გაჩნდა მოთხოვნილება ლიტერატურულ წყაროებზეც. პოლიტიკური ისტორიით გატაცებული რანკეანელი ისტორიკოსები უნდობლად ეკიდებოდნენ ამგვარ ტექსტებს, მიაჩნდათ რა ისინი დიდწილად სუბიექტურ ნარატივებად. „ახალი ისტორიის“ ფარგლებში წამოჭრილი კითხვებზე პასუხები კი შესაძლებელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ამ ტიპის წყაროებზე დაყრდნობით იყო. ის გარემოება, რომ აღნიშნული საჭიროება დროში დაემთხვა ჰუმანიტარიის ერთ–ერთ უმთავრეს დისპუტს ლიტერატურის ისტორიულობის შესახებ (ახალი ისტორიციზმი) ხელს უწყობდა ისტორიული რეკონსტრუქციისთვის მხატვრული ლიტერატურის ინფორმატიული ღირსებების წარმოჩენას. ეს დისპუტი პრინციპში წინა მოდერნის ეპოქაში დაიწყო არისტოტელეს ცნობილი მსჯელობით პოეტური და ისტორიული რეპრეზენტაციების შეპირისპირების თაობაზე, მაგრამ ახალ დროში მან სრულიად ახალი განზომილება შეიძინა მიშელ ფუკოსა, ჰაიდენ უაიტის, სტივენ გრინბლანტის და სხვათა გავლენით. ამ თეორიულ დისპუტში, ცხადია, ისტორიკოსებიც იყვნენ სხვა ჰუმანიტარ მეცნიერებთან ერთად ჩართულნი. მაგრამ მაინც შედარებით ნაკლებად. პრაქტიკოსი ისტორიკოსები განაგრძობდნენ საქმიანობას ტრადიციული ანუ რანკესეული პარადგმის სულისკვეთებით. ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში, ვითარება საქართველოში, ასეთი არის დღესაც. ნაშრომები, რომლებიც წარსულის რეპრეზენტაციასას ლიტერატურულ წყაროებს იყენებს, მცირეა. მითუმეტეს, მცირეა შემთხვევები (თუ საერთოდაც არის) საკითხის თეორიული ჭრილში განხილვისა. ქართველ ისტორიკოსთა მიერ დარგის თეორეტიზების და ისტორიული კატეგორიების პერიოდული რეკონცეპტუალიზაციის საკითხი იშვიათად ისმის. ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდაა. ავტორი განხილავს ისტორიული რეპრეზენტაციისას ქართული ლიტერატურის გამოყენების რამდენიმე მაგალითს. ნაწილი მაგალითებისა მას ადრე აქვს შესწავლილი და ცალკეული სტატიების სახით გამოქვეყნებულიც (მაგალითად, ერთ–ერთი ასეთია სტატია M.Chkhartishvili. Reflection of Social Prejudices in Georgian Literary Fiction. In: Dynamics and Policies of Prejudice from the XVIII to the XXI century (edited by Giuseppe Motta), Cambridge Scholars Publishing , pp. 25-33), ნაწილი პირველად გამოქვეყნდება. მოხსენება ამ მასალის განზოგადების და ერთიან აზრობრივ სისტემაში მოქცევას მცდელობაა.					
3	Mariam Chkhartishvili	Byzantine-Georgian Interrelations in Late Antiquity: forth-fifth centuries	XVIII Conference on Byzantine Studies	https://maryjahariscenter.org/blog/xviii-jornadas-de-bizancio	2 გვ.
მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართლის სამეფოში ქრისტიანობა აღიარებულ იქნა ოფიციალურ სარწმუნოებად. წყაროების მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს მოხდა ბიზანტიის ხელშეწყობით: აღმოსავლეთ რომის (//ბიზანტიის) იმპერატორი კონსტანტინე დიდი, ისევე როგორც მისი დედა ელენე, ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ქართლში ქრისტიანიზაციის					

პროცესის განვითარებისადმი. რომაელები და ქართველები გახდნენ ერთი და იმავე იდეოლოგიური სივრცის ნაწილნი. ამ ფაქტმა მათ საუკუნოვან ურთიერთობას შესძინა ახალი აზრი. უძველესი დროიდან ქართული კულტურა ბერძნულ–რომაული და სპარსული ცივილიზაციების, რომლებიც განასახიერებდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, თითქმის თანაბარ გავლენას განიცდიდა. ქრისტიანობის, როგორც ქართლის სახელმწიფო რელიგიის მიღებამ გააცხადა, რომ ქართველებმა არჩევანი დასავლეთზე გააკეთეს. ეს კარგად ესმოდათ უკვე მაშინ. ძველი ქართველი ისტორიკოსის მიხედვით ქრისტიანობა იყო „რომთა სჯული“. მირიანი გახლდათ ქართლის პირველი მეფე, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და ეს რწმენა გაავრცელა მის ქვეშევრდომთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოშობით ირანელი უფლისწული იყო, მან გააცნობიერა, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის, და ამ ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა კი იყო ქრისტიანობის მიღება. სწორედ ამიტომ მან უარყო როგორც ქართული წარმართული კერპების თაყვანისცემა, ისე თავისი მამული სარწმუნოება ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა და ქრისტიანი გახდა. მირიანი იყო ახალი ქართული დინასტიის, ხოსროვანთა დინასტიის, დამფუძნებელი . ეს დინასტია ქართლის სათავეში იყო მეოთხე–მეხუთე საუკუნეებში. მირიანი, ისევე როგორც ამ დინასტიის სხვა მეფეები და სამეფო ოჯახის რიგითი წევრებიც ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი ბიზანტიის პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობაში. ხშირად ხდებოდა, რომ იმპერიის ცენტრში აღმოცენებული კულტურული თუ პოლიტიკური იმპულსები მყისიერ ექოს პოულობდა ქართლში. ამასთან ქართლი ინარჩუნებდა საკუთარ კულტურულ პროფილს და საკუთარ პოლიტიკურ პრეფერენციებსაც. პრეზენტაცია მიზნად ისახავს აღნიშნული სამეფო ოჯახის წევრების პორტრეტების წარმოდგენას, პირველ რიგში, თავად მირიანის ანუ დინასტიის დამფუძნებლის. შემდეგია ბაკური, მირიანის შვილთაშვილი(მისი შვილიშვლის თრდატის ძე), რომელიც დაახლოებით მეხუთე საუკუნის ათიან წლებში ზეობდა. ეს სწორედ ის ბაკურია, რომელსაც მოიხსენიებს რუფინუსი და რომელიც იყო მისი ინფორმატორი ქართლის მოქცევის ისტორიასთან დაკავშირებით. დეტალურად იქნება განხილული მეფე არჩილის ზეობა (დაახლოებით მეხუთე საუკუნის ოცი–ოცდაათიანი წლები). არჩილის დროს ქართლის დედაქალაქ მცხეთაში აგებულ იქნა წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესია. ეს არის პირველმოწამის ერთ–ერთი ყველაზე უადრესი ტაძარი, რომელიც ფრაგმენტულად დღემდეა შემორჩენილი. დიდი ქრისტიანი ასკეტის, წარმოშობით ქართველი პეტრე იბერის ბიოგრაფიის ზოგი დეტალიც წარმოჩენილი იქნება ამავე კონტექსტში, რამდენადაც პეტრე იყო ქართველი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის წევრი, ის ამ დინასტიას უკავშირდებოდა დედის ხაზით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თემა არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი, მაგრამ მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება როგორც ამ ეპოქის არსებითად ახალი ზოგადი სურათი, ასევე ახლად დადგენილი დეტალები.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თედო დუნდუა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების XV ტომის პრეზენტაცია	20 დეკემბერი, 2019. თბილისი
მოხსენებაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების XV ტომის პრეზენტაცია.			
2	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	საქართველოს სამსახურში ოსთა და ჩერქეზთა ყოფნის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

		ისტორიიდან (XVIII საუკუნის მიწურული - XIX საუკუნის დასაწყისი)	სიტეტის ქართულ- ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2019 წლის 13-15 ოქტომბერს იმავე უნივერსიტეტში ორგანიზებული V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები", მიძღვნილი მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნისადმი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
3	აპოლონ თაბუაშვილი, ვლადიმერ კეკელია	სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცოდნა საქართველოში: საარტილერიო საქმე ხელნაწერ მემკვიდრეობასა და არტეფაქტებში (თეორია და რეკონსტრუქცია)	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგიური ცოდნა ხელნაწერებსა და არტეფაქტებში, სემინარი/ Natural sciences and technologies in manuscripts and artefacts. Workshop. 27. VI. 2019. ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
4	აპოლონ თაბუაშვილი, ვლადიმერ კეკელია	რამდენიმე დოკუმენტი რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან	საქართველოს ეროვნული არქივის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები". თბილისი, ვაჟა-ფშაველას # 1, ეროვნული არქივი. **იბეჭდება**
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
5	აპოლონ თაბუაშვილი	ოშკის ტაძრის აგებისათვის გაწეული დანახარჯები სააღმშენებლო წარწერის მიხედვით	პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში გრანდიოზულ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯების დასადგენად, ძალიან საინტერესოა ოშკის უნიკალური სააღმშენებლო წარწერა, რომელშიც ტაძრის			

აგებისათვის გაწეული ყოველწლიური დანახარჯებია მოცემული. როგორც წარწერიდან ირკვევა, ტაძრის მშენებლობაზე ყოველწლიურად იხარჯებოდა 20 000 დრამა, 5000 ფისოსი ღვინო, 250 გრივი ხორბალი და 50 ლიტრა რკინა. თანამდეროვე მეტრული მონაცემებით ერთი წლის განმავლობაში მშენებლობაზე, 20 000 დრამასთან ერთად, იხარჯებოდა დაახლ. 25 000 კგ. ხორბალი, 20 000 ლიტრი ღვინო და 20 კგ. რკინა. მშენებლობაზე დასაქმებულად კი უნდა ჩაითვალოს 70 ხელოსანი, მათი დამხმარეები და მეურმეები, სულ 230-250 ადამიანი. მშენებლობისათვის, ასევე, იყენებდნენ 150 ტვირთისმზიდავ შინაურ ცხოველს. აღნიშნული პროდუქციის იმდროინდელი ღირებულება უდრიდა დაახლ. 5000 დრამას. ამდენად, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე წელიწადში იხარჯებოდა სულ დაახლ. 25000 დრამა. დასახელებული თანხა და საკვები პროდუქტები გათვალისწინებული იყო ოსტატ-ხელოსნებისათვის, ხოლო მათი დამხმარე მუშები და ტვირთის მზიდავთა გამყოლნი ე.წ. “ბეგრის მუშებს” წარმოადგენდნენ, რომლებსაც არც ანაზღაურება ეძლეოდათ და არც კვებით იყვნენ უზრუნველყოფილნი. თუ მათ კვებასა და ანაზღაურებასაც გავითვალისწინებთ, ტაძრის მშენებლობისათვის ერთი წლის განმავლობაში, სულ მცირე, 50 000 დრამის საქმიანობა სრულდებოდა. ვინაიდან ტაძრის ინტენსიური მშენებლობა დაახლ. 15 წელი მიმდინარეობდა, მშენებლობისათვის, სულ მცირე, 750 000 დრამის საქმიანობა შესრულებულა. 750 000 დრამა კი დაახლ. 60 000 ოქროს დრაჰკანის ტოლფასი იყო. ხოლო ტაძრის აგების შემდგომ მისი “შემკობისათვის”, ანუ მოხატვისათვის, ასევე სასულიერო ლიტერატურის, ხატებისა და სხვა ნივთების შესაძენად გაღებული თანხების გათვალისწინებით ოშკის ტაძრის მშენებლობის ხარჯები დაახლ. 800000-900000 დრამით უნდა განისაზღვროს. როგორც ჩანს, ისეთი დიდი ტაძრების აგებისა და კეთილმოწყობისათვის, როგორიც იყო ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი და სვეტიცხოველი, საჭირო იყო თითქმის, 1 მილიონამდე დრამა. 1 მილიონი დრამა, თავის მხრივ, ვახტანგ VI-ის ეპოქის 8000 თუმნის, ხოლო ერეკლე II-ის დროინდელ 20 000 თუმნის ტოლფასი იყო.			
6	აპოლონ თაბუაშვილი	ტახტის მემკვიდრეობის საკითხი XVIII საუკუნის I მესამედის კახეთის სამეფოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. 20 დეკემბერი, 2019 წ.; თბილისი, ჭავჭავაძის #1, თსუ I კორპუსი, 201 აუდიტორია
XVIII საუკუნის I მესამედის კახეთის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით. საქმე ის იყო, რომ სხვა ქართული სამეფოებისაგან განსხვავებით, კახეთის სამეფოში მეფეთა გაცემული სიგელების მიხედვით ერეკლე პირველი ნაზარალიხანის შვილების მეფობის დროს ტახტის მემკვიდრეებად დასახელებულნი არიან არა მეფის შვილები, არამედ – მათი ძმები. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება მოხსენება, რომელშიც მიმოხილულია მსგავსი ცნობების შემცველი წყაროები.			
7	დიმიტრი შველიძე	დეკლარაცია „გარდამავალი პერიოდის“ შესახებ - რაციონალური არჩევანი.	ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 2019. 10-12 აპრილი.
1990 წლის ნოემბერში ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა ე. წ. „გარდამავალი პერიოდის“ გადაწყვეტილება. ეს ნიშნავდა რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება თავს იკავებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან და მას გააკეთებდა მხოლოდ ორ-სამწლიანი დროის სემდეგ, მას შემდეგ რაც			

მოამზადებდა სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველს საამისოდ. ეროვნული ხელისუფლების ეს ნაბიჯი მიჩნეულია, როგორც გონივრული და რეალისტური ნაბიჯი და რაციონალიზმის დამადასტურებელი მოვლენა.			
8	დიმიტრი შველიძე	პეტრე კროპოტკინის წერილები ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი.	„ვარლამ ჩერქეზიშვილი გახსენება“. სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 2019. 7 დეკემბერი.
ეს წერილები დიდი ხანია რაც ცნობილია რუსული ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ დღემდე არ მომხდარა მისი ანალიზი. კროპოტკინის წერილები ჩვენ დავყავით, შინაარსის მიხედვით, სამ ნაწილად. პირველ ნაწილში იგულისხმება - მიმდინარე საქმიანი პროცესების ამსახველი წერილები; მეორე ნაწილი ეხება ჩერქეზიშვილისა და კროპოტკინის სანაცნობო წრეს, მესამე პირების შესახებ მიმოწერას, რომელთა შორის უმეტესად იყვნენ საერთაშორისო სოცმოძრაობის ლიდერები. მესამე ნაწილი წერილების შინაარსი ამზეურებს თვით ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ნაკლებად ცნობილ დეტალებს, მისი და კროპოტკინის ოჯახების ახლობლურ ურთიერთობას და ა. შ. ეს ყველაფერი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებადაა ცნობილი ან სიახლეა.			
9	დიმიტრი შველიძე	საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მიზანი და გარემოებები	საქართველოს პარლამენტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 2019.
.დამფუძნებელი კრების მოწვევის რამდენიმე გარემოებაა ხაზგასმული და დასაბუთებული, კერძოდ ის რომ კრების მოწვევას საფუძვლად დაედო ნოე ჟორდანიას მიერ წამოყენებული კონცეფცია, რასაც ადრე არ მიქცევია ყურადღება. I. დავასკვნით რომ ამ კონცეფციის მიხედვით საქართველოს მოსახლების სოციალური შემადგენლობა იყო - დემოკრატიული, რადგან ძირითადად შედგებოდა სამი დემოკრატიული ელემენტისაგან: გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, მუშათა კლასი. II. ჟორდანია უარყოფდა პარლამენტარული რესპუბლიკის იდეას, რადგან ამ სისტემის პირობებში - პარლამენტი ხდებოდა ერთი ფენის - ბურჟუაზიის ბატონობის იარაღი და ხალხი ვერ იღებდა ქეეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას. III. პარლამენტარული რესპუბლიკისაგან „პრინციპიალურად“ განსხვავდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ უკანასკნელის დროს ძლიერი იყო ხალხის თვითმმართველობითი ორგანოები. ხალხი ირჩევდა არამარტო დეპუტატებს, არამედ „კანონების აღმასრულებლებსაც“, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და ა. შ. IV. თვით დამფუძნებელი კრების უფლება-მოსილება, ისევე როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა, შეზღუდული უნდა ყოფილიყო; რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ხალხის მიერ, რეფერენდუმის გზით და სხვა ნორმებით. დამფუძნებელი კრება მონაწილეობას იღებდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში და აკონტროლებდა მას და ა. შ.			
10	ქეთევან ქუთთელაძე	.რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით	2019.28.06 - XIII საფაკულტეტო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

1941 წელს სახელოვანმა მეცნიერმა სერგი ჯიქიამ გამოსცა მნიშვნელოვანი თურქული წყარო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ფასდაუდებელ მასალას შეიცავს ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული პუნქტების სახელწოდებების შესახებ.

რელიგიური მნიშვნელობის ტოპონიმებში ძირითადად გვხვდება ქრისტიან წმინდანთა სახელები. კერძოდ, _ „მიქელწმინდა, ელიაწმინდა, მარიამწმინდა, ივლიტა, კვირიკე/კვირიკეწმინდა/საკვირიკე, გიორგიწმინდა, ანდრიაწმინდა, სტეფანწმინდა, მამაწმინდა. ასევე, ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა „თევდორეთუბანი, ელიასუბანი, გორგეთუბანი, კიმოტისმანი“ (კიმოთესუბანი/ტიმოთესუბანი), ზდევანწმინდა. აღნიშნული წყარო შეიცავს საეკლესიო ნაგებობათა, ნივთთა, სამონასტრო კომპლექსთა და ღვთისმსახურთა სახელწოდებებს, როგორიცაა: „ტაძარი, ტაძრისი, მონასტერი, ყველის მონასტერი, ვანის ქვაბი, უდაბნო, საზარე, ეკლეზისკარი, ნახუცარათუბანი“. მნიშვნელოვანია ისეთი სახელები, როგორიცაა „კამაროანი, ეშმაკთუბანი, ქაშვეთი, გომი, ძველგომი, მახარო, შვიდ ეკლესია, ორმოცი“ (ორმოცმოწამეთა?), რომელთაგან ზოგიერთ მათგანში შეიძლება შემორჩენილი იყოს წინარექრისტიანული მენტალობის შემცველი შტრიხები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯვრის სეგმენტის ტოპონიმები, რომლებიც მრავლად არის შემორჩენილი ხსენებულ წყაროში, კერძოდ როგორიცაა: ქვაბიჯვარი, გორჯვარი, გორაჯვარი, კარჯვარი, წყუთაჯვარი, ხიდჯვარი. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციას, რომლის მიხედვით, „ჯვარი“ და „ხატი“ სალოცავ წმინდა ადგილს ნიშნავსდა იგი ღვთაების საკრალური სივრცეა, არ არის გამორიცხული, რომ აქაც მსგავს შემთხვევასთან გვქონდეს საქმე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ახალციხის რნ-ში აღმოჩნდა ტოპონიმი „ბეთლემი“, რომელიც, როგორც მაცხოვრის დაბადების ადგილის სახელწოდება, ასევე უტყუარი საბუთია ქრისტიანობის მტკიცე ფესვების არსებობისა საქართველოს ამ უძველეს რეგიონში.			
11	ქეთევან ქუთთელაძე	ძიებანი ქურმუხის ეტიმოლოგიისთვის	2019.11-13.09 - წმიდა გრიგოლ ფერაძის პირველი საერთაშორისო კონფერენცია„საქარათველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, მიძღვნილი წმინდანის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი, თბილისი-ბაკურციხე, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო ინივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია იხ. ზემოთ			
12	ქეთევან ქუთთელაძე	ჭალა-ტყეებისა და ველ-მინდვრების სახელწოდებები ქართლის ცხოვრების მიხედვით	2019.28-29.09 - რესპუბლიკური ონომასტიკურიკონფერენცია – „თანამედროვეონომასტიკურიპრობლემები“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჭალა-ტყეებისა და ველ-მინდვრების სახელწოდებები ქართლის ცხოვრების მიხედვით ეტიმოლოგიური კუთხით განხილული გვაქვს შემდეგი სახელწოდებები: **ჭალები:** ნავთლუხის ჭალა/ნავთლუხი, სხერტის ჭალა, ნარეკუავის ჭალა, საფურცლის ჭალა, საგლონის ჭალა, სათიჭალა/სართი ჭალა, ყურყუთა ჭალა, სასირეთის ჭალა, ყარაღაჯ-საჯოგის ჭალა **ველ-მინდვრები:** აღაიანის მინდორი, დიდუბის მინდორი, დიდი დიღმის ველი, დოესის მინდორი, , დისვლის მინდორი, დღეისის მინდორი, აშურიანის მინდორი, საბურთალოს ველი, წილკნის მინდორი, დაღალულა მინდორი, ისნის ველი, ყარაიას ველი.			
13	ქეთევან ქუთთელაძე	ჯავახეთის ტოპონიმია, როგორც საისტორიო წყარო	2019.4-6.11 - კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი, ივ.

			ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიისსასწავლო/სამეც ნიერო ინსტიტუტი
ანოტაცია იხ. ზემოთ			
14	ქეთევან ქუთთელაძე	მაწნაბერდის მთავარი კვირიკე III კვირიკიან-ბაგრატუნი	2019.27.12 - ლიანა დავლიანიძისა მიძღვნილი კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო ინივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, შუა სს-ის ისტორიის და წყაროთმცოდნეობის განყოფილება
მაწნაბერდის მთავარი კვირიკე III კვირიკიან-ბაგრატუნი სომხური წყაროები, დავით დემეტრეს ძის მომხრეთა შორის ასახელებენ კვირიკე მეფეს, დავით ბაგრატუნის ძეს. იგი იყო შვილიშვილი ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკე II-სი, რომელსაც ბაგრატ IV სამშვილდის ციხე წაართვა. ამის შემდეგ კვირიკიან-ბაგრატუნებმა რეზიდენციად ლორე გაიხადეს, რომელიც შემდგომ სელჩუკთა მიერ იქნა დაპყრობილი. კვირიკეს შვილები დავითი და აბასი მაწნაბერდის ციხეში გაიქცნენ. სწორედ ამ დავითის შვილია მაწნაბერდის მთავარი კვირიკე III. მხითარ გოშის თქმით დავით დემეტრეს ძე კვირიკე III-ს დაჰპირდა, რომ დაუბრუნებდა მის სამკვიდრებელს, რომელიც მისი წინაპრებისთვის ჩამოურთმევიათ. ამ ფაქტს ორბელთა გვარის შეშფოთება გამოუწვევია, რაც გახდა მიზეზი მათი მონაწილეობისა დავითის მკვლელობაში. ორბელები სამშვილდესა და ლორეს მფლობელები გახდნენ, ფაქტიურად ისინი ყოფილი ტაშირ-ძორაგეტის სამეფო რეზიდენციებს ფლობდნენ. მათი დამხობით დავით დემეტრეს ძე ცდილობს კვირიკიანთა ძალაუფლების რეაბილიტაციას ქვემო ქართლში ერთგული დასაყრდენის შექმნის მიზნით. კვირიკე III კი სწორედ ამ სამეფოს მმართველი დინასტიის პირდაპირი შთამომავალი იყო. კვირიკიანების სამკვიდრებლის აღდგენა ქვემო ქართლში ფაქტიურად ორბელების უმამულოდ დატოვებას ნიშნავდა, რაც გახდა საბაბი იმისა, რომ ისინი დავითის მოწინააღმდეგეთა ბანაკში დამდგარიყვნენ. კონფლიქტის თავიდან აცილებისა და საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ორბელები კვირიკიანებს უმოყვრდებიან. ივანე ორბელი ცოლად ირთვას კვირიკე III-ის ასულ რუსუდანს. ამ ქორწინებით ორბელებს სურდათ, თავიანთი ძალაუფლება ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე პოლიტიკურად გაემართლებინათ. კვირიკე III მოიხსენიება ახპატისა და სანაინის წარწერებში, იგი გარდაიცვალა 1170 წელს და დაკრძალულია ახპატში, საგვარეულო განსასვენებელში. იგი ცნობილი იყო თავის მრავალრიცხოვანი ოჯახით, ჰყავდა 5 ასული (მარიამი, რუსუდანი, ბორენა, მამქანი, ვანენი) და ვაჟი აბასი, რომელსაც ცოლად შერთეს სარგის მხარგრძელის ასული ვანენი. ეს ოჯახი მოიხსენიება ქობერის 1171 წლის წარწერაში, სადაც კვირიკე III მოიხსენიება, როგორც „კვირიკე მეფე, ტომისაგან ბაგრატონიანთა“.			
15	ნათია ფიფია	პოლიტიკური და სოციალური შინაარსის კარიკატურებზე მუშაობისას მეთოდოლოგიური განსხვავების საკითხისათვის	2019 თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი
მოხსენება იბეჭდება			

16	ნათია ფიფია	პოლიტიკური შარჟის საკითხისათვის ზვიად გამსახურდიაზე შექმნილი კარიკატურების მიხედვით	აპრილი, 2019, თბილისი, თსუ
მოხსენება იბეჭდება			
17	ნათია ფიფია	ლაზთა მეფე ბაკური	20 დეკემბერი, 2019, თბილისი, თსუ
მოხსენება იბეჭდება			
18	ჯაბა სამუშია	საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გიორგი I-ს დროს	II საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო-ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი, თბ. 2019.
საუბარია საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობაზე საქართველოს მეფე გიორგი პირველის პერიოდში. მიმოხილულია ორი ქვეყნის ურთიერთობა მეთერთმეტე საუკუნის პირველ მესამედში.			
19	მიხეილ ბახტაძე, პაველ ლიბერა	ახალი დოკუმენტები სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებული პოლონური სამხედრო შენაერთების შესახებ (1917-1918 წლები)	წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია. საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია. მიძღვნილი წმ. გრიგოლ ფერაძის დაბადების 120 წლისთავისადმი. თბილისი-ბაკურციხე. 2019 წლის 11-13 სექტემბერი
20	მიხეილ ბახტაძე	რამდენიმე შენიშვნა ერთიანი საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურის შესახებ	თსუ ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. თსუ. 2019 წლის 13-14 ივნისი.
21	მიხეილ ბახტაძე	დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ელიტის ბედი საბჭოთა საქართველოში	კომუნისტური რეპრესიები საქართველოსა და პოლონეთში. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წელი 7-8 მაისი
22	მარიამ ჩხარტიშვილი	ქართული ანბანის წარმოშობა: წყაროები და ინტერპრეტაციები	„საისტორიო საუბრები“ თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი 2019 წლის 5 აპრილი
მოხსენების დასაწყისში მომხსენებელმა ისაუბრა ანბანის შექმნის მნიშნელობაზე ადამიანთა საზოგადოებისათვის. კერძოდ, მან განმარტა, რომ თავიდან ანბანური დამწერლობის გაჩენის მიზეზი იყო პრაქტიკული საჭიროება, შემდგომში ანბანის შექმნის მოტივაციად იქცევა კოლექტივის თვითიდენტიფიკაციის სურვილი. ანბანი დაკავშირებულია კოლექტური კულტურული იდენტობის ისეთ			

ფუნდამენტურ მარკერთან, როგორიც არის ენა. ამგვარად, ანბანის კვლევა სენსიტიური თემაა და განსხვავდება ამ თვალსაზრისით ბევრი სხვა ისტორიული საკითხისაგან. ქართულ სინამდვილეში ამ თემის სენსიტიურობას აძლიერებს რამდენიმე გარემოება: ა) ქართველებს ახასიათებს გამოკვეთილი ლინგვისტური ნაციონალიზმი; ბ)ქართული წყაროების მიხედვით ქართული ანბანი შეიქმნა იმ დროს, როცა ძალიან ბევრ თანამედროვე ერს არ ჰქონდა ანბანი და, ამგვარად , ქართული ანბანი ქართველთა წარმოსახვაში უკავშირდება იდენტობრივი თვალსაზრისით ასევე განსაკუთღებული მნიშვნელობის ფაქტს– გამორჩეულობისა და უნიკალურობის განცდას; გ)სომხური წყაროების უმეტესობის მიხედვით ქართული ანბანის წარმოშობა უკავშირდება სომეხ საეკლესიო მოღვაწეს მესროპ მაშთოცს. სომხები ქართველთათვის წარმოადგენენ ე.წ.“ მნიშვნელიოვან სხვას“ ანუ ერს, რომლის პირისპირ პერმანენტულად იკვეთება ქართველთა თვითობა. ეს ფაქტორიც ზრდის საკითხის სენსიტიურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ საკითხის კვლევაში შემოდის მეტამეცნიერული იმპულსები. ეს იმპულსები რამდენიმე შედეგს იწვევს: ნარატიულ წყაროთა ცნობების სრულად იგნორირებას; ნარატიულ წყაროთა ცნობების ნაწილობრივ იგნორირებას. ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია საკითხზე არსებული ლიტერატურის კრიტიკული გააზრებისათვის. აუცილებელია აგრეთვე იმ წნეხის გათვალისწინებაც, რომელიც არსებობდა საბჭოურ მეცნიერებაზე ისეთ ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ეთნოკონფლიქტებისათვის. შემდეგ მომხსენებელმა ისაუბრა ქართული ანბანის შესწავლის ისტორიაზე. მიუთითა, რომ ძირითადი ყურადღება ექცეოდა თავად ქართული ანბანის ანალიზს. და ეს ხდებოდა არსებითად წერილობით წყაროთა იგნორირების ფონზე. ქართველ მკვლევართა უმეტესობა უგულებელყოფს როგორც ქართული, ისე უმეტესობა სომხური წყაროს მონაცემებს მიაჩნიათ რა, რომ უფრო მეტი სანდოობა აქვს თავად ანბანს, როგორც წყაროს. მომხსენებლის აზრით, ამგვარი მიდგომა ინსპირირებულია მეტამეცნიერული მოტივაციებით და პრინციპულად არ არის სწორი უარყო წერილობითი წყაროების პირდაპირი ჩვენებანი. თავად ანბანის ანალიზს შეუძლია, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოცემა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ვერ ხერხდება სიზუსტის დაცვა ან ობიექტურად (ერთი და იგივე ფაქტი მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა) ან სუბიექტურად (მკვლევარი ვერ ახერხებს სათანადო დონეზე კვლევის ჩატარებას). ანუ ანბანის ანალიზით მიღებულ ფაქტებს არ შეიძლება რაიმე უპირატესობა ჰქონდეთ ნარატიულ წყაროთა ინტერპრეტაციით მიღებულ ფაქტებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე მომხსენებელმა თავისი კვლევის ფოკუსად აქცია არსებულ წერილობით წყაროთა ინტერპრეტაცია. მისი დასკვნა ისაა, რომ ლეონტი მროველი და კორიუნი, ორივენი ქართული ანბანის ისტორიის შესახებ გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: ლეონტი გვამცნობს ქართული ანბანის შექმნის დროს და მის ავტორს (მეფე ფარნავაზი, ძვ.წ.IV-III საუკუნეთა მიჯნა), ხოლო კორიუნი – მეხუთე საუკუნის სომეხი საკლესიო მოღვაწის მეროპ მაშთოცის მცდელობას შეეცვალა წარმართული ქართული ანბანი ახალი ქრისტიანული ანბანით. მესროპის ეს მცდელობა რომ წარმატებული არ შეიძლება ყოფილიყო ამას გვაფიქრებინებს კონტექსტი: სომეხმა მოღვაწემ ქართული არ იცოდა. ამის გარეშე კი ის ანბანს ვერ შექმნიდა. თუ რამდენი შრომა შეალია სომხური ანბანის შექმნას, ეს კარგად ჩანს წყაროდან. ასე რომ წყაროს ინტერპრეტაციის ეს ლოგიკა სწორია. ამას ადასტურებს აგრეთვე თავად შემორჩენილი ქართული ასომთავრული: მასში ვლინდება წარმართული მსოფლხედვა. ამასთან ჩვენ გვაქვს მესამე საუკუნის უცხოური ავთენტური წერილობითი წყაროს პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ რომ ქართველებს მესროპამდე ჰქონდათ ანბანი. მესროპ მაშთოცის ამ, ერთი შეხედვით, უცნაური გადაწყვეტილების – ჩაენაცვლებინა ქართული ანბანი ახლით – გაგება შესაძლებელია ვრცელი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით . ჩანს, რომ მესროპის აქტივობა უკავშირდებოდა ბიზანტიურ პოლიტიკურ პროექტს რომელიც მიზნად ისახავდა ბიზანტიური კულტურული წრის ფორმირებას. თუმც, შესაძლოა, კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტის არსებობაზეც ვიფიქროთ და მასში ირანის ინტერესების კვალიც დავინახოთ: ანუ, შესაძლოა, ორად გაყოფილი ქვეყნის ანუ სომხეთის მესვეურთა ორმხრივ „თამაშთანაც“ (ორივე იმპერიასთან ურთიერთობის დალაგების სურვილთან) გვქონდეს საქმე. ნებისმიერ შემთხვევაში კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელია. წარმოდგენილი თვალსაზრისის უპირატესობა არსებულ თვალსაზრისებთა მიმართებით იმაშია, რომ ის არ უგულვებელყოფს შემორჩენილი წყაროების მონაცემებს. პირიქით, მათ სვამს ისტორიულ რეპრეზენტაციაში. ამასთან განუხრელად იცავს ისტორიული კვლევისათის

ისეთ უმთავრეს პრინციპს, როგორიცაა „წყაროს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპი“.			
23	მარიამ ჩხარტიშვილი	ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის განხილვა ქართული იდენტობის ისტორიის კონტექსტში	ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული, ინსტიტუთაშორისი კონფერენცია თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წლის 10–12 აპრილი
იდენტობა შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული ნიშნების საფუძველზე ინდივიდის მიერ მოცემულ კოლექტივთან თავის გაიგივების ცნობიერება. ამ დეფინიციით ჩანს, რომ იდენტობა უკავშირდება ნარატივს. ეროვნული ნარატივი არის დისკურსი, რომელიც შეიცავს პასუხებს ერის რაობასთან დაკავშირებულ კითხვებზე. მათ შორის სამი უმთავრესია: „ვინ ვიყავით“? „ვინ ვართ“? „როგორია ჩვენი მომავალი“? ზოგი სოციალური თეორიის მიხედვით სწორედ ეროვნული ნარატივი თამაშობს გადამწყვეტ როლს ერების კონსოლიდებაში. ის იცვლება ეროვნული ერთობის (//კოლექტივის//ჩვენ – ჯგუფის) წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში ცვლილება არ ნიშნავს ძველი დისკურსის ახლით ჩანაცვლებას, არამედ უკვე დასმული საკითხების ახლებურ კონცეპტუალიზებას. მოხსენებაში განხილული იყო ეროვნული ნარატივი, რომელიც შექმნა მეოცე საუკუნის ცნობილმა პოლიტიკოსმა და კულტურულმა მოღვაწემ ზვიად გამსახურდიამ. საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან ქართველი ერის განთავისუფლება მან სწორედ იმით დაიწყო, რომ ქართველთა ცნობიერებიდან ქართველობის არსის საბჭოური გააზრების აღმოფხვრას შეეცადა. ის განმარტავდა ნაციონალიზმის ფენომენს, კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში, ეროვნული ერთიანობის საკრალიზების აუცილებლობას; წარმოადგენდა ქართველთა კოლექტიური წარსულის და საქართველოს მსოფლიო ისტორიულ მისიის ხედვას, მიუთითებდა ენობრივი და რელიგიური მარკერების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქართული იდენტობისათვის და სხვ. ზ.გამსახურდია მოუწოდებდა ქართველებს ევლოთ „ილიას გზით“. ამგვარად, ის მიანიშნებდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი ქართველი ერის იდეა ემთხვეოდა ილიასეულს. სინამდვილეში მეოცე საუკუნის საქართველოს დისიდენტური მოძრაობის წიაღში შობილი დისკურსი ძველის სახელით შემოტანილი ინოვაცია იყო: როგორც საკითხების დაყენების, ისე პასუხების თვალსაზრისით ის განსხვავდება მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი ქართველი ერის იდეისაგან. შეცვლილი პოლიტიკურ გარემო და ახალ გამოწვევები ზ. გამსახურდიასაგან ზოგი, უკვე იდენტიფიცირებული, თემის გადააზრებას და ახალი საკითხების გამოკვეთას მოითხოვდა. სწორედ ტრადიციას დამყნობილი ინოვაციურობა იყო იმის მიზეზი, რომ ზ.გამსახურდიას ნააზრევმა ღრმად გამსჭვალა იმდროინდელი ქართული საზოგადოება და მისი იმპულსი საგრძნობია დღესაც.ეროვნულ ნარატივებს აქვთ პოლიტიკური ფუნქცია, თუმც არსობრივ ისინი კულტურული ფენომენებია. ამიტომ გამსახურდიასეული დისკურსი განხილულ უნდა იქნას როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ჭრილში. ამგვარი მიდგომა გვეხმარება მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით განვსაზღვროთ ზვიად გამსახურდიას ადგილი ქართული იდენტობის ისტორიაში.			
24	მარიამ ჩხარტიშვილი	მცხეთის, როგორც წმინდა ქალაქის, კონცეპტუალიზება ქართულ იდენტობრივ ნარატივში	იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ ორგანიზებული მცხეთის ისტორიული ძეგლების კონსერვაციისა და მათი მდგრადი გამოყენებისათვის, მათი ცოცხალი და რელიგიური და საკრალური მნიშვნელობის მსოფლიო მემკვიდრეობის ისტორიულ ურბანულ კონტექსტში“ განხილვასთან

			დაკავშირებულ ექსპერტთა საერთაშორისო შეხვედრა თბილისი,საკონფერენციო დარბაზი „რესპუბლიკა“ 2019 წლის 13–14 მაისი
მოხსენება შეეხება მცხეთის, როგორც ქრისტიანული საკრალური ცენტრის, კონცეპტუალიზების ისტორიას და ამ პროცესის კორელაციას ქართული იდენტობის წრთობის პროცესთან. კვლევისათვის გამოყენებულია უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ კერძოდ, მისი არქეტიპული რედაქცია, რომელიც შეიქმნა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ მოკლე ხანში, დაახლოებით მეოთხე საუკუნის შუა ხანებში და, აგრეთვე, თანამედრვე პოლიტიკური დისკურსის ამსახველი ზოგი ტექსტი, რომელიც ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში ამ ტემის აქტუალიზებას ესწრაფვის. გამოკვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ორი მიგნება: ა)კოლექტიური კულტურული იდენტობებისათვის (იქნება ეს ეთნიკური თუ ნაციონალური) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობის ტერიტორიის საკრალიზებას. ამიტომაა „წმინდა მიწის“ კონცეპტი ეთნიკური და ნაციონალური ნარატივების განუყოფელი ნაწილი. ეს მიგნება უკავშირდება ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას, რომლის ერთ–ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე.დ. სმითი; ბ)სივრცის საკრალური სეგმენტები, რომლებიც მიიჩნეოდა, რომ ღვთაებრივი ინტერვენციის (ჰიეროფანიის) შედეგად მოინიშნებოდა პროფანულ სივრცეში, და ამდენად დამოუკიდებელი იყო ადამიანის ნებისაგან, ექვემდებარებოდა ადამიანის მიერ გარკვეული წესით ამ სივრცის ორგანიზებას ანუ ჰიეროტოპიას. ჰიეროტოპიის კონცეპტი უკავშირდება რუსი მეცნიერის ა.ლიდოვის კონცეფციას. უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობა არის ის ბირთვი იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო მეოთხე საუკუნეში შექმნილ ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას, ეს იდეოლოგია წარმოადგენდა პასუხს გამოწვევებზე, რომელთა პირისპირ აღმოჩნდა ქართველობა მშობლიური კულტის ანუ არმაზული რელიგიის კოსმოპოლიტური რელიგიური სისტემიით ანუ ქრისტიანობით ჩანაცვლების შედეგად. ერთ–ერთი მოტივაცია იყო ქრისტიანულ ოიკუმენაში საკუთარი განსაკუთღებული ადგილის დამკვიდრების სურვილი და ეროვნული მისიის დასაბუთება, რაც აუცლებელია ინტენსიური ეთნიკური კონსოლიდაციისათვის. მოხსენებაში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი ტექსტის დეტალური ანალიზით რეპრეზენტირებული იქნება ეს იდეოლოგიია, ნაჩვენები იქნება თუ მენტალური ხატებით როგორც ცდილობს ძველი ავტორი სამეფო რეზიდენციის ბაღი მცხეთაში მიამსგაავსოს ზეციურ იერუსალიმს და გზით საფუძველი შეუქმნას მცხეთის კონცეპტუალიზებას ზეციური იერუსალიმის ხატად. ძველი ავტორი არაორაზროვნად მიგვნიშნებს, რომ კაცობრიული ისტორიის აღსრულების შემდგომ სწორედ მცხეთა გახდება ადგილი , სადაც დამყარდება უფლის სასუფეველი ანუ ჩამოვა ზეციური იერუსალიმი. წმინდა პროტოტიპის სივრცულ–ლანდშაფტური ასლის გადმოღება და სიწმინდის ამ გზით ახალ ადგილას გადატანა წინამოდერნის ეპოქის ქრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ქართველი ავტორი ამ ზოგადი კანონზომიერების ჩარჩოებში ახერხებს ძალიან ორიგინალური დისკურსის შექმნას, რაც ქართული ინტელექტუალური ისტორიის საინტერესო ფაქტად აქცევს ამ იდეოლოგიას.			
26	მარიამ ჩხარტიშვილი	ქართული იდენტობა XIX საუკუნეში	ეროვნული, ინსტიტუტთაშორისი ინტერდისციპლინური„ლადო მინაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია: ‘ XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა’“ თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

			2019 წლის 28 ივნისი

ერები ადამიანთა დიდი ჯგუფებია და მათი რაობის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი თეორიული ინსტრუმენტარიუმის მოშველიებით. ერების ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტურ მიდგომა ერთ–ერთი ფართოდ გავრცელებული თეორიაა, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი ბრიტანელი მეცნიერი ენტონი დ. სმითი გახლავთ. ე.დ.სმითის მიხედვით ნაციები მოდერნული ფენომენებია და მათ შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკისრება საზიარო კულტურას, მეხსიერებას, ღირებულებებს, რომელთა შემუშავებასაც და კულტივირებას ახდენენ ინტელექტუალური ელიტები. ელიტები მოქმედებენ წინა მოდერნული ეთნიკური მოცემულობის ფარგლებში. ნაციონალური კონსოლიდაცია კულტურული მობილიზაციის პროცესია, რომლის არსი მდგომარეობს წარსული მემკვიდრეობის სელექციურ რეინტერპრეტაციაში. ამგვარად, ე.სმითისეული ერი, ერთის მხრივ, მოდერნული ფენომენია, რადგან ერების კონსოლიდება მოხდა მოდერნულ დროში, მაგრამ, მეორეს მხრივ, პრემოდერნულიც იმ აზრით, რომ ეთნიკური ბირთვი ანუ უცვლელი ნაწილი მასში ძველიდან არის მომდინარე. ე.დ.სმითის შეხედულებით, სწორედ ეს – ანუ ნაციონალური იდენტობის კონსტრუირებისას გარკვეული კულტურული მოცემულობის არსებობა – აძლევს ნაციონალიზმის იდეოლოგიას არაჩვეულებრივ ძალას, გამსჭვალოს მასები და შექმნას ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობები. პოსტმოდერნულ ეპოქაში უკიდურესი კონსტრუქციონისტების მხრიდან ე.დ.სმითის იდეების კრიტიკა გაისმა. ისინი ეთნოსიმბოლიზმს არათანმიმდევრულ კონსტრუქციონიზმში, მეტიც, ესენციალიზმში სდებენ ბრალს. ესენციალიზმად კი მათ ესახებათ ე.დ.სმითის მიერ ნაციების ქმნადობის პროცესში უცვლელი ეთნიკური ბირთვის არსებობის შესახებ აზრი. ამ კრიტიკის მიუხედავად, ე.სმითის იდეები ინსპირაციის წყაროდ რჩება ბევრი მკვლევრისათვის მთელ მსოფლიოში. ქართულ სინამდვილეში ე.დ. სმითის იდეები საკმაოდ პოპულარულია. ეთნოსიმბოლისტური შეხედულებების საქართველოში გავრცელებაში ამ მოხსენების ავტორსაც მიუძღვის წვლილი. კერძოდ, მან თარგმნა პირველად ქართულ ენაზე ე.დ.სმითის ერთ-ერთი მონოგრაფია და მანვე პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენა ეთნოსიმბოლისტური თეორია კონკრეტული ისტორიული რეპრეზენტაციებისათვის. მოხსენება ავტორის სწორედ ამ გამოცდილების კომპაქტურად ამსახველი ტექსტია. მასში ეთნოსიმბოლისტური თეორიის საფუძველზე აღწერილია მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარე ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი და ნაჩვენებია როგორც ქართული ეროვნული იდეის უნივერსალური მატრიცა, ისე მისი თავისებურებანი.

27	მარიამ ჩხარტიშვილი	ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევისათვის რელევანტური თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი	2019 წლის 26–28 სექტემბერი თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი

იდენტობა ლათინური წარმომავლობის სიტყვაა, ქართულად ის იგივეობას ნიშნავს. სოციალური ჯგუფებთან მიმართებაში ამ ტერმინის აზრი კონკრეტდება როგორც ჩვენ-ჯგუფის წევრობის ცნობიერება. ამგვარი ცნობიერება ეფუძნება გარკვეულ მსაზღვრელ მოცემულობებს (მარკერებს), რომელთა გაზიარება ინდივიდების მიერ ქმნის სწორედ კოლექტივს ანუ რაიმე ნიშნებით მარკირებულ ჩვენ-ჯგუფს. როგორც მართებულად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, იდენტობა გულისხმობს ნარატივის არსებობას. კულტურული ელიტების მიერ ამ ნარატივის შექმნა და მისით ჩვენ-ჯგუფის დანარჩენ წევრთა ინსპირირება არის ერთობის წარმოშობის საფუძველი. იდენტობრივი მარკერები შეიძლება მრავალგვარი იყოს; შესაბამისად, მრავალგვარია იდენტობანი და ერთობები, რომლებიც მათ საფუძველზე იქმნება. იდენტობის ერთ–ერთი სახეობაა კოლექტიური კულტურული იდენტობა. სწორედ ამ სახეობას განეკუთვნება ეროვნული (ნაციონალური) იდენტობა. ეროვნული იდენტობა ქმნის ისეთ დიდ ჩვენ-ჯგუფებს, როგორებიც არიან ერები. იდენტობრივი ნარატივები ისტორიული ფენომენებია. ეს ნიშნავს, რომ ისინი ცვალებადნი არიან დროში. შესაბამისად, იცვლებიან ერთობებიც, რომელთა იდენტობის საფუძველს ეს ნარატივები წარმოადგენენ. ამ ცვლილების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ჯგუფის წევრების მიერ შიდა სოციალური ბმების რაობის ახლებური გააზრება. სწორედ ამის მიხედვით განასხვავებენ კოლექტიურ–კულტურული იდენტობის განვითარების ორ უმთავრეს ეტაპს: ეთნიკურს, რომელიც ძირითადად წინა მოდერნისათვის არის დამახასიათებელი და ეროვნულს (ნაციონალურს), რომელიც მოდერნულ ეპოქაში ჩნდება. ამ ეტაპებს შორის სხვაობა აისახება სოციალური შეჭიდულობის (კოჰეზიის)

ხარისხში. ამ უკანასკნელს კი განაპირობებს ერთობის სოციალური სტრუქტურა: წინა მოდერნის ეპოქაში საზოგადოება სტრატიფიცირებულია, იდენტობრივ ნარატივს (ისევე როგორც კულტურას მთლიანად) ქმნის გაბატონებული სოციალური ფენა და მისი ცირკულირებაც ძირითადად სწორედ ამ ფენაში ხდება; დაბალ სოციალურ ფენებს კი ძნელად აღწევს სოლიდარობის იდეოლოგიები. შესაბამისად, წინამოდერნულ დროში ერთობის კონსოლიდების ხარისხიც დაბალია. კოლექტიური კულტურული იდენტობის განვითარების ნაციონალურ ეტაპზე ჩვენ-ჯგუფი სოციალურად ჰომოგენურია: ერები ხომ მოქალაქეთა ერთობებია. აქედან გამომდინარე იდენტობრივი ნარატივები თანაბრად მსჭვალავს ერთობის ყველა წევრს: განათლების უნიფიცირებული სისტემა და კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები ქმნის იმის საშუალებას, რომ ყველა ეროვნული იდეის თანაბრად მიმღები იყოს. ამიტომ სავსებით მართებულია მტკიცებულება, რომ ერები კულტურის ფორმებია და წინამოდერნული ეთნიკური ერთობებისაგან ისინი განსხვავდება სწორედ ერთობაში კულტურის ცირკულირების ხასიათით. ერების შემთხვევაში კულტურა საჯაროა. იმისათვის, რომ ვიკვლიოთ ეროვნული იდენტობა და ერად კონსოლიდების პროცესი, მკაფიო წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმის შესახებ თუ რა არის „ერი“. ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი თეორიით ხელმძღვანელობს მკვლევარი. საბჭოთა კავშირში ლეგიტიმაცია ჰქონდა „ერის“ სტალინურ განსაზღვრას. ეს დეფინიცია ეფუძნება სოციალური ჯგუფის ესენციალისტურ გაგებას. ესენციალიზმი გულისხმობს ჩვენ-ჯგუფის სუბსტანციურობის მქონე არსად გააზრებას ანუ ეროვნული იდენტობის მარკერთა არსებობას ერთობის წევრთა ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ამგვარი მიდგომისას იდენტობის კვლევა შეუძლებელია. ამიტომაც ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იდენტობრივი კვლევები ფაქტობრივად არ არსებობდა. ისინი ქართულ სინამდვილეში გაჩნდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ქართველი მეცნიერებისათვის შესაძლებელი გახდა ერის შესახებ დასავლური თეორიების გაცნობა და გამოყენება. ერების რაობის განსაზღვრისას ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დასავლური თეორია ეთნოსიმბოლიზმი გახლავთ. ამ მიდგომის მთავარი წარმომადგენელი ბრიტანელი მეცნიერი ე.დ.სმითია, რომლის მიხედვით ნაციები მოდერნული ფენომენებია და მათ შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკისრება საზიარო კულტურას, მეხსიერებას, ღირებულებებს, რომელთა შემუშავებასაც და კულტივირებას ახდენენ ინტელექტუალური ელიტები. ელიტები მოქმედებენ წინა მოდერნული ეთნიკური მოცემულობის ფარგლებში. ნაციონალური კონსოლიდაცია კულტურული მობილიზაციის პროცესია; მისი არსი წარსული მემკვიდრეობის სელექციურ რეინტერპრეტაციაა. ეთნოსიმბოლიზმი, როგორც სოციალური თეორია, გვამარაგებს ინტელექტუალური ინსტრუმენტარიუმით, რომელიც საშუალებას იძლევა ადეკვატურად აღიწეროს ქართული ეროვნული იდენტობის ისტორია.			
28	მარიამ ჩხარტიშვილი	„დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ დიქოტომიის გააზრება და ქართული იდენტობის წრთობა IV-XV საუკუნეებში	ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ინტერდისციპლინური

			კონფერენცია „ბიზანტიოლოგია საქართველოში – 5: შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“ საქართველო, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წლის 11–13 ოქტომბერი
„დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთს“, „ევროპასა“ და „აზიას“ შორის კოლიზიის სახით კაცობრიობის ისტორიის რეპრეზენტირებას აქვს ღრმა ფესვები. ჰეროდოტეს „ბერძენ–სპარსელთა ომები“ და სამუელ ჰანგთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ ანტიკურობიდან დღემდე ამ ტრადიციის განგრძობადობის თვალსაჩინო მოწმობაა. ეს ბინარული ოპოზიცია იყენებს გეოგრაფიულ ტერმინებს. მაგრამ გეოგრაფია ამ შემთხვევაში სიმბოლურია, ტერმინები მიუთითებს არა ადგილზე, არამედ იდეებზე. ისინი თავისებურად არეკლავს რეალობას. მაგრამ რა რეალობას არეკლავს ისინი? ცხადია, ესაა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი. ძველი ქართველები თავიანთ თავს განიხილავდნენ ოიკუმენას აღმოსავლეთ ნაწილად, ამ ოიკუმენაში დასავლელების ანუ ბერძნების მყოფობაც იგულისხმებოდა. „ნამდვილი“ აღმოსავლეთი კი სპარსეთად ჰყავდათ წარმოდგენილი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული სახელმწიფოს „აღმოსავლური“ იდენტობა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მეოთხე საუკუნეში ქართველი ჰაგიოგრაფისათვის წინარე ქრისტიანული ქართლი „ჩრდილოეთი“ იყო, იმიტომ, რომ მას ნამდვილი რწმენის მზე აკლდა. თუმც მალე სიტუაცია კვლავ შეიცვალა. იდეოლოგია, რომელიც ქართველთა გაქრისტიანებიდან უახლოეს ხანებში შეიქმნა ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ, ქართველებს უფლის რჩეულ ხალხად წარმოაჩენდა, რამდენადაც ქართველები ცხოვრობდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. შესაბამისად, იმდროინდელი წარმოდგენებით, მეორედ მოსვლის ჟამს, სწორედ იქ უნდა დამკვიდრებულიყო „ახალი იერუსალიმი“. ამგვარად, ქართული მესიანიზმის ადრექრისტიანული ვერსია გულისხმობდა, რომ ჯვარცმის შემდგომ მსოფლიოს საკრალური ცენტრი იერუსალიმიდან საქართველოში გადმოინაცვლებდა. ეს ცენტრი კი, ამ იდეოლოგიის მიხედვით, გაიაზრებოდა როგორც „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ შეყრის ადგილი: პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი სპარსელი უფლისწული გახლდათ, ხოლო დედოფალი ნანა – ბერძენი პრინცესსა. ამგვარად, ქართული სამეფო ოჯახი წარმოდგენილი იყო როგორც ორი დაპირისპირებული ცივილიზაციის პერსონიფიკაცია და ქართლის სამეფო კი ამ ცივილიზაციათა შეყრის ადგილი. მოხსენება მიზნად ისახავს თვალი გაადევნოს ქართულ სინამდვილეში „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ დიქოტომიის კონცეპტუალიზების დინამიკას ამ დროიდან ანუ ქართლში ქრისტიანობის სახლმწიფო რელიგიად მიღებიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე პერიოდში. კვლევა აჩვენებს, რომ ქართველები საკუთარ თავს განიხილავდნენ სწორედ „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ დიქოტომიის გათვალისწინებით და სამშობლოს ადგილმდებარეობას მათ წარმოსახვებში ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, იმდენად დიდი, რომ ხშირად ის ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიის ნაწილადაც კი გვევლინება. მოხსენება ეფუძნება მრავალფეროვან მასალას, როგორც ნარატიულს, ასევე დოკუმენტურ წყაროებს. გამოკვლევაში გათვალისწინებული თეორიული კვლევების ქვაკუთხედს კი წარმოადგენს აზრი იმის თაობაზე, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმირებისათვის გადამწყვეტი როლი აქვს საზოგადოების შეხედულებებს, იდეებს, ღირებულებებს.			
29	მარიამ ჩხარტიშვილი	ჰიეროტოპიული პროექტი ‘მცხეთა ახალი– იერუსალიმი“ ქართული იდენტობის ისტორიის კონტექსტში	პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული, ინსტიტუტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია საქართველო, გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო

			უნივერსიტეტი 2019 წლის 25 ოქტომბერი
ნაშრომი შეეხება მცხეთის, როგორც ქრისტიანული საკრალური ცენტრის, კონცეპტუალიზების ისტორიას და ამ პროცესის კორელაციას ქართული იდენტობის წრთობის პროცესთან. კვლევისათვის გამოყენებულია უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ კერძოდ, მისი არქეტიპული რედაქცია, რომელიც შეიქმნა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ მოკლე ხანში, დაახლოებით მეოთხე საუკუნის შუა ხანებში და, აგრეთვე, თანამედრვე პოლიტიკური დისკურსის ამსახველი ზოგი ტექსტი, რომელიც ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში ამ ტემის აქტუალიზებას ესწრაფვის. გამოკვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ორი მიგნება: ა)კოლექტიური კულტურული იდენტობებისათვის (იქნება ეს ეთნიკური თუ ნაციონალური) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობის ტერიტორიის საკრალიზებას. ამიტომაა „წმინდა მიწის“ კონცეპტი ეთნიკური და ნაციონალური ნარატივების განუყოფელი ნაწილი. ეს მიგნება უკავშირდება ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას, რომლის ერთ–ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე.დ. სმითი; ბ)სივრცის საკრალური სეგმენტები, რომლებიც მიიჩნეოდა, რომ ღვთაებრივი ინტერვენციის (ჰიეროფანიის) შედეგად მოინიშნებოდა პროფანულ სივრცეში, და ამდენად დამოუკიდებელი იყო ადამიანის ნებისაგან, ექვემდებარებოდა ადამიანის მიერ გარკვეული წესით ამ სივრცის ორგანიზებას ანუ ჰიეროტოპიას. ჰიეროტოპიის კონცეპტი უკავშირდება რუსი მეცნიერის ა.ლიდოვის კონცეფციას. უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობა არის ის ბირთვი იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო მეოთხე საუკუნეში შექმნილ ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას, ეს იდეოლოგია წარმოადგენდა პასუხს გამოწვევებზე, რომელთა პირისპირ აღმოჩნდა ქართველობა მშობლიური კულტის ანუ არმაზული რელიგიის კოსმოპოლიტური რელიგიური სისტემიით ანუ ქრისტიანობით ჩანაცვლების შედეგად. ერთ–ერთი მოტივაცია იყო ქრისტიანულ ოიკუმენაში საკუთარი განსაკუთღებული ადგილის დამკვიდრების სურვილი და ეროვნული მისიის დასაბუთება, რაც აუცლებელია ინტენსიური ეთნიკური კონსოლიდაციისათვის. ნაშრომში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი ტექსტის დეტალური ანალიზით რეპრეზენტირებული იქნება ეს იდეოლოგიია, ნაჩვენები იქნება თუ მენტალური ხატებით როგორც ცდილობს ძველი ავტორი სამეფო რეზიდენციის ბაღი მცხეთაში მიამსგაავსოს ზეციურ იერუსალიმს და გზით საფუძველი შეუქმნას მცხეთის კონცეპტუალიზებას ზეციური იერუსალიმის ხატად. ძველი ავტორი არაორაზროვნად მიგვნიშნებს, რომ კაცობრიული ისტორიის აღსრულების შემდგომ სწორედ მცხეთა გახდება ადგილი , სადაც დამყარდება უფლის სასუფეველი ანუ ჩამოვა ზეციური იერუსალიმი. წმინდა პროტოტიპის სივრცულ–ლანდშაფტური ასლის გადმოღება და სიწმინდის ამ გზით ახალ ადგილას გადატანა წინამოდერნის ეპოქის ქრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ქართველი ავტორი ამ ზოგადი კანონზომიერების ჩარჩოებში ახერხებს ძალიან ორიგინალური დისკურსის შექმნას, რაც ქართული ინტელექტუალური ისტორიის საინტერესო ფაქტად აქცევს ამ იდეოლოგიას.			
30	მარიამ ჩხარტიშვილი	წმიდა ასურელ მამათა ჰაგიობიოგრაფიების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისათვის	შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილის ხსოვნისადმი საქართველო, თბილისი, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის

			ინსტიტუტი 2019 წლის 27 დეკემბერი
მოხსენებაში განხილულია წმიდა ასურელ მამათა ღვაწლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლი, დადგენილია პროტოძეგლი და წარმოდგენილია ციკლის ისტორია. მიღებული შედეგები ხელშ შეუწყობს ისტორიულ რეპრეზენტაციას, ასევე ლიტერატურული პროცესების უკეთ დანახვას წინამოდერნის ხანის საქართველოში.მეექვსე საუკუნის შუა ხანებში საქარტველოში მოვიდა სამეტი ასურელი ბერი. მათ ხელმძღვანელობდა ცნობილი ასკეთი იოანე, შემდგომში წმ. იოანე . ასურელმა მისიონერებმა გადამწყვეტი როლი შესარულეს წარმართობის აღმოფხვრაში და ქრისტიანობის განმტკიცებაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში მათ მიერ დაფუძნებული მონასტრები წარმოადგენდნენ ქართული კულტურის და სულიერების. კერებს. ამიტომაც გასაკვირი სულაც არაა, რომ რომ მეცნიერებს ამ საკითხისადმი გაუჩნდათ ცხოველი ინტერესი და ეს ინტერესი დღემდე არ გამქრალა. შესაბამისად არსებობს ძალიან ბევრი გამოკვლევა, რომელიც საკითხს სწავლობს ისტორიული, ფილოლოგიური, კულტურულ ანთროპოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი, გილოსოფიური, თეოლოგიური კუთხით. მიუხედავად ამისა, ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, მათ შორისაა ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორიცაა წმინდა მამების ქართლში მოსვლის თარიღი, მათ რწმენის საკითხი, მოწაფეთა სიაც კი არაა ბოლომდე დაზუსტებული. ამის მიზეზი საძიებელია წყაროებში. ვგულისხმობთ არა წყაროების არსებობას, არამედ სწორედ მათ სიმრავლეს, რის გამო იდენტიფიცირება ავთენტური ტექსტის ძნელდება. მოსენებაში წყაროთმცოდნეობითი კვლევაა წარმოდგენილი. ავტორი ავლენს ციკლის ცალკეული რგოლების ინფორმაციულ შესაძლებლობებს და წარმოადგენს ციკლის სრულ ისტორიას. როგორც ირკვევა, თავდაპირველი ტექსტები დაწერილი იყო იოანე მარტვირის მიერ,რომელიც იყო წმ. იოანე ზედაზნელი პირველი მოწაფე. მისი სახელი მოცემულია წმ..შიო მღიმელის მეტაფრასულ „ცხოვრების“ სათაურში. მეათე საუკუნეში მარტვირისეული ტექსტები თავისებურად გადაამუშავა კათალიკოსმა არსენმა. მიღებული შედეგები საინტერესოა ისტორიკოსისათვის, რამდენადაც ცხადი ხდება ავთენტური ტექსტის რაობა. ამასთან ფილოლოგებსაც შეუძლიათ ამ შედეგებით ისარგებლონ, რადგან კვლევის შედეგად წარმოჩინდება ლიტერატურული პროცესის თავისებურებანი წინა მოდერნულ საქართველოში.			
31.	გ.ოთხმეზური	დორეთკარის ეკლესია (პროგრამა და თეზისები)	13-15 ოქტომბერი 2019 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი V საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	The issue of admission of Georgia and the Baltic States to the League of Nations (1920)	25-26 April 2019, Riga, Latvia, ”The 2030 United nations sustainable development goals in Latvia”, Proceedings of an International Scientific Conference, pp. 42-44
მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ერთა ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა 1920 წელს ერთდროულად განიხილეს			

აღნიშნულ ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის - ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიღების საკითხი. იმ პერიოდში არცერთი ეს რესპუბლიკა არ იქნა მიღებული ერთა ლიგაში, ვინაიდან ხმების საჭირო რაოდენობა ვერცერთმა მათგანმა ვერ შეაგროვა, თუმცა საქართველომ ბალტიის სამივე რესპუბლიკაზე მეტი ხმები მიიღო. ყოველივე ეს განაპირობა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების - დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფითმა პოზიციამ. მათ არ სურდათ პასუხისმგებლობის აღება ხსენებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაზე საგარეო საფრთხისაგან. ამის მიუხედავად, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა უფრო მყიფე აღმოჩნდა, ვიდრე ბალტიის ქვეყნებისა.			
2	Aleksandre Boshishvili	Demographic Policy of Iranian Shahs In Kartli Kingdom/Georgia and Its Results (16th -18th cc.).	13th-14th August, 2019. Brussels, Belgium
მასალა გამოქვეყნებულია			
3	მიხეილ ბახტაძე, პაველ ლიბერა	პოლონური სამხედრო შენაერთები სამხრეთ კავკასიაში (1917-1918 წლები)	პოლონეთი. დენბლინი. სამხედრო საჰაერო აკადემიისა და ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის ერთობლივი კონფერენცია - „საზოგადოება ჯარში, ჯარი საზოგადოებაში XIX-XX საუკუნეები“. 13-15 ნოემბერი
მასალა გამოქვეყნებულია			
4	Mariam Chkhartishvili	ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები გვიან ანტიკურ ხანაში: IV-V საუკუნეები (Byzantine-Georgian Interrelations in Late Antiquity: forth-fifth centuries	ესპანეთის ბიზანტინისტიკის ასოციაციis მიერ ორგანიზებული ბიზანტიური კვლევების XVIII საერთაშორისო კონფერენცია - XVIII Conference on Byzantine ესპანეთი, ბარსელონა, ბარსელონას უნივერსიტეტი 2019 წლის 30 იანვარი –2 თებერვალი
მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართლის სამეფოში ქრისტიანობა აღიარებულ იქნა ოფიციალურ სარწმუნოებად. წყაროების მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს მოხდა ბიზანტიის ხელშეწყობით: აღმოსავლეთ რომის (//ბიზანტიის) იმპერატორი კონსტანტინე დიდი, ისევე როგორც მისი დედა ელენე, ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ქართლში ქრისტიანიზაციის პროცესის განვითარებისადმი. რომაელები და ქართველები გახდნენ ერთი და იმავე იდეოლოგიური სივრცის ნაწილნი. ამ ფაქტმა მათ საუკუნოვან ურთიერთობას შესძინა ახალი აზრი. უძველესი დროიდან ქართული კულტურა ბერძნულ–რომაული და სპარსული ცივილიზაციების, რომლებიც განასახიერებდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, თითქმის თანაბარ გავლენას განიცდიდა. ქრისტიანობის, როგორც ქართლის სახელმწიფო რელიგიის მიღებამ გააცხადა, რომ ქართველებმა არჩევანი დასავლეთზე გააკეთეს. ეს კარგად ესმოდათ უკვე მაშინ. ძველი ქართველი ისტორიკოსის მიხედვით ქრისტიანობა იყო „რომთა სჯული“. მირიანი გახლდათ ქართლის პირველი მეფე, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და ეს რწმენა გაავრცელა მის ქვეშევრდომთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოშობით ირანელი უფლისწული იყო, მან გააცნობიერა, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის, და ამ ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა კი იყო ქრისტიანობის მიღება. სწორედ ამიტომ მან უარყო როგორც ქართული წარმართული კერპების თაყვანისცემა, ისე თავისი მამული სარწმუნოება ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა და ქრისტიანი გახდა. მირიანი იყო ახალი ქართული დინასტიის, ხოსროვანთა დინასტიის, დამფუძნებელი . ეს დინასტია ქართლის სათავეში იყო მეოთხე–მეხუთე საუკუნეებში. მირიანი, ისევე როგორც ამ დინასტიის სხვა მეფეები		

და სამეფო ოჯახის რიგითი წევრებიც ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი ბიზანტიის პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობაში. ხშირად ხდებოდა, რომ იმპერიის ცენტრში აღმოცენებული კულტურული თუ პოლიტიკური იმპულსები მყისიერ ექოს პოულობდა ქართლში. ამასთან ქართლი ინარჩუნებდა საკუთარ კულტურულ პროფილს და საკუთარ პოლიტიკურ პრეფერენციებსაც. პრეზენტაცია მიზნად ისახავს აღნიშნული სამეფო ოჯახის წევრების პორტრეტების წარმოდგენას, პირველ რიგში, თავად მირიანის ანუ დინასტიის დამფუძნებლის. შემდეგია ბაკური, მირიანის შვილთაშვილი(მისი შვილიშვლის თრდატის ძე), რომელიც დაახლოებით მეხუთე საუკუნის ათიან წლებში ზეობდა. ეს სწორედ ის ბაკურია, რომელსაც მოიხსენიებს რუფინუსი და რომელიც იყო მისი ინფორმატორი ქართლის მოქცევის ისტორიასთან დაკავშირებით. დეტალურად იქნება განხილული მეფე არჩილის ზეობა (დაახლოებით მეხუთე საუკუნის ოცი–ოცდაათიანი წლები). არჩილის დროს ქართლის დედაქალაქ მცხეთაში აგებულ იქნა წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესია. ეს არის პირველმოწამის ერთ–ერთი ყველაზე უადრესი ტაძარი, რომელიც ფრაგმენტულად დღემდეა შემორჩენილი. დიდი ქრისტიანი ასკეტის, წარმოშობით ქართველი პეტრე იბერის ბიოგრაფიის ზოგი დეტალიც წარმოჩენილი იქნება ამავე კონტექსტში, რამდენადაც პეტრე იყო ქართველი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის წევრი, ის ამ დინასტიას უკავშირდებოდა დედის ხაზით.ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თემა არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი, მაგრამ მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება როგორც ამ ეპოქის არსებითად ახალი ზოგადი სურათი, ასევე ახლად დადგენილი დეტალები.

5	Mariam Chkhartishvili	მხატვრული ლიტერატურა და ისტორიის რეპრეზენტაცია. საკითხის თეორეტიზების ცდა ქართული მაგალითით“(Literary Fiction and Representation of History. Theorizing the Topic through Georgian Case).	სოციალური მეცნიერებების და ჰუმანიტარული კვლევის ასოციაციის(Social Science and Humanities Research Association – SSHRA) მიერ ორგანიზებული „პრაღის მეორე კონფერენცია პოლიტიკურ მეცნიერებებში და ჰუმანიტარიაში“(2nd Prague – International Conference on Social Science & Humanities (ICSSH), ჩეხეთი, პრაღა, ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი პრაღაში, მასარიკის კოლეჯი(Czech Technical University in Prague (České vysoké učení technické v Praze), Masarykova Kolej, Prague, Czech Republic). 2019 წლის 15–16 ოქტომბერი

ისტორიული კვლევაში მეთოდთან ერთად სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს წყაროს. წარსულის რეპრეზენტაცია მით უფრო ადეკვატურია, რაც უფრო მეტი და ავთენტური წყაროა ისტორიკოსის განკარგულებაში. წყაროთა ბაზა კი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული ძიებებისათვის, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია ისტორიის საგნის გაგება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. წინამოდერნის ეპოქაში ისტორიკოსის მოვალეობად ადამიანთა საზოგადოებაში ღვთაებრივი ინტერვენციის ფაქტების და პოლიტიკური ელიტების აქტივობის, სამეფო ოჯახების ცხოვრების ასახვა ითვლებოდა. სწორედ ამის შესაბამისი იყო წყაროთა არჩევანიც. თუმც ამ დროს ისტორიკოსებს თავიანთი „ტერიტორია“ (ე.რ. ლადიურის ცნობილი მონოგრაფიის *Le Territoire de l'historien* სათაურის მიხედცით) ანუ საგანი მკაცრად გამიჯნული არ ჰქონდათ ჰუმანიტარული ცოდნის სხვა სფეროებისაგან. შესაბამისად, რეპრეზენტაციისათვის გამოსადეგი წყაროების მკაცრი შერჩევა არ ხდებოდა, ისინი ტიპობრივად მრავალფეროვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. აღნიშნული ვითარება კარდინალურად შეიცვალა მეცხრამეტე

საუკუნეში. ეს საუკუნე იყო ისტორიის პროფესიონალიზაციის ხანა, რომელიც ხასიათდებოდა იმით, რომ ხდებოდა ისტორიის ექსკლუზიური განვითარება. დისციპლინის „დამფუძნებელი მამები“ ცდილობდნენ სასაზღვრო კონტურები ისტორიასა და სხვა დისციპლინებს შორის გაეხადათ თვალსაჩინო და ისტორიული კვლევების ფოკუსი რაც შეიძლება მკვეთრი ყოფილიყო. ისტორიკოსთა ინტერესი იფარგლებოდა პოლიტიკური ისტორიის ფაქტებით. ანუ მეცნიერული ისტორიის განვითარების საწყის სტადიაზე ისტორიკოსები საგულდაგულოდ მიჯნავდნენ სხვა დისციპლინებისაგან თავიანთ „ტერიტორიას“ და ინტერდისციპლინურ კავშირებს პრინციპულად უარყოფდნენ. ამგვარი ხედვის გამოძახილი გახლდათ მათ მიერ საარქივო დოკუმენტების, როგორც უმთავრეს და სანდო წყაროთა, არჩევანი და რწმენაც იმისა, რომ კეთილსინდისიერ მეცნიერებს შეეძლოთ აღედგინათ წარსული ისე „როგორც ის იყო სინამდვილეში“ ”(“wie es eigentlich gewesen”) – ემპირიცისტული პარადიგმის ფუძემდებლის რანკეს ფორმულა. მაგრამ მეოცე საუკუნეში დაიწყეს ისტორიის საგნის ახლებური გააზრება. „ახალმა ისტორიამ“ ინტერდისციპლინურობა შემოიტანა ისტორიაში. ისტორიკოსთა „ტერიტორია“ გაფართოვდა. ახალი თაობის ისტორიკოსები ინტერესდებოდნენს ისეთი საკითხებით, რომელთა კვლევა ადრე არასერიოზულ საქმიანობად ჩაითვლებდა. ეს იყო ინტერესი არა მარტო მოვლენებისადმი, არამედ აქტორთა მოტივაციებისადმიც, მარგინალური ჯგუფებისადმი, საერთოდ ჯგუფებისადმი და არა მარტო გამორჩეული ინდივიდებისა და კულტურული უნიკუმებისადმი. „კულტურა“ უფრო ყოვლის მომცველი ცნება გახდა. ის შეეხებოდა არა მარტო ხელოვნებას, არამედ ცხოვრების სტილს, მათ შორის, დაბალი სოციალური ფენებისაც და მარგინალური ჯგუფების აქტივობის ფორმებსაც. ისტორიკოსის „ტერიტორიის“ ამგვარმა გაფართოებამ მოიტანა ახალი წყაროების ძიების საჭიროება. ახალმა ფოკუსმა კი თვალსაჩინო გახადა ის ფაქტი, რომ წყაროები, რომელსაც ადრე სკეპტიკუად ეკიდებოდნენ ისტორიკოსები, თავიანთი რელევანტურობით უპირველესნი იყვნენ. ინტერდისციპლინურობის ძიების კონტექსტში და კოლექტიური იდენტობების კვლევის მიზეზით გაჩნდა მოთხოვნილება ლიტერატურულ წყაროებზეც. პოლიტიკური ისტორიით გატაცებული რანკეანელი ისტორიკოსები უნდობლად ეკიდებოდნენ ამგვარ ტექსტებს, მიაჩნდათ რა ისინი დიდწილად სუბიექტურ ნარატივებად. „ახალი ისტორიის“ ფარგლებში წამოჭრილი კითხვებზე პასუხები კი შესაძლებელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ამ ტიპის წყაროებზე დაყრდნობით იყო. ის გარემოება, რომ აღნიშნული საჭიროება დროში დაემთხვა ჰუმანიტარიის ერთ–ერთ უმთავრეს დისპუტს ლიტერატურის ისტორიულობის შესახებ (ახალი ისტორიციზმი) ხელს უწყობდა ისტორიული რეკონსტრუქციისთვის მხატვრული ლიტერატურის ინფორმატიული ღირსებების წარმოჩენას. ეს დისპუტი პრინციპში წინა მოდერნის ეპოქაში დაიწყო არისტოტელეს ცნობილი მსჯელობით პოეტური და ისტორიული რეპრეზენტაციების შეპირისპირების თაობაზე, მაგრამ ახალ დროში მან სრულიად ახალი განზომილება შეიძინა მიშელ ფუკოსა, ჰაიდენ უაიტის, სტივენ გრინბლანტის და სხვათა გავლენით. ამ თეორიულ დისპუტში, ცხადია, ისტორიკოსებიც იყვნენ სხვა ჰუმანიტარ მეცნიერებთან ერთად ჩართულნი. მაგრამ მაინც შედარებით ნაკლებად. პრაქტიკოსი ისტორიკოსები განაგრძობდნენ საქმიანობას ტრადიციული ანუ რანკესეული პარადგმის სულისკვეთებით. ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში, ვითარება საქართველოში, ასეთი არის დღესაც. ნაშრომები, რომლებიც წარსულის რეპრეზენტაციისას ლიტერატურულ წყაროებს იყენებს, მცირეა. მითუმეტეს, მცირეა შემთხვევები (თუ საერთოდაც არის) საკითხის თეორიული ჭრილში განხილვისა. ქართველ ისტორიკოსთა მიერ დარგის თეორეტიზების და ისტორიული კატეგორიების პერიოდული რეკონცეპტუალიზაციის საკითხი იშვიათად ისმის. მოხსენება აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდაა. ავტორი განხილავს ისტორიული რეპრეზენტაციისას ქართული ლიტერატურის გამოყენების რამდენიმე მაგალითს. ნაწილი მაგალითებისა მას ადრე აქვს შესწავლილი და ცალკეული სტატიების სახით გამოქვეყნებულიც (მაგალითად, ერთ–ერთი ასეთია სტატია M.Chkhartishvili. Reflection of Social Prejudices in Georgian Literary Fiction. In: Dynamics and Policies of Prejudice from the XVIII to the XXI century (edited by Giuseppe Motta), Cambridge Scholars Publishing , pp. 25-33), ნაწილი პირველად გამოქვეყნდება. მოხსენება ამ მასალის განზოგადების და ერთიან აზრობრივ სისტემაში მოქცევას მცდელობაა.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით “არშეფასდა”.

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ.ჯავახიშვილის სახ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორები - დავით გოცირიძე (ხელმძღვნელი), მარიამ ფილინა, ასოცირებული პროფესორები ნატალია ბასილაია, მარინე ალექსიძე, მაია თუხრელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	დავით გოცირიძე (ენობრივი მიმართულების ხელმძღვანელი), მარიამ ფილინა (ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელი ნატალია ბასილაია, მარინე ალექსიძე, მაია თუხრელი - მკვლევრები
1	გერმნია იენის უნივერსიტეტი	2010- 2022	გრძელდება

	2		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ამ პერიოდისთვის მიმდინარეობს პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურული პროცესებისა და ქართული კომუნიკაციური ეთნოსტილის თავისებურებების კვლევა,რომელიც შეპირისპირებულია გერმანულ მასალასთან.ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბდა განსხვავებული აქსიოლოგია და საკომუნიკაციო ნორმები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად,თუ რა როლს თამაშობს სოციო-კულტურული პარადიგმის ტრანსფორმაცია ლიტერატურული და ენობრივი პროცესების დინამიკაზე.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	მარიამ ფილინა დანუტა ოსოვსკა	„Losy Polaków na Kaukazie. Część II”. მარიამ ფილინა, დანუტა	ოლშტინის უნივერსიტეტი, პოლონეთი	320 გვ

2	მარიამ ფილინა დანუტა ოსოვსკა	ოსოვსკა პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი II(320 გვ.) ი. ნაწილი I ISBN 978-9941-22-767-7	ოლშტინის უნივერსიტეტი, პოლონეთი	310 გვ.
3.	დალი კანდელაკი	უცნობი კავკასია (მე-19 საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით) ISBN 978-9941-13-843-0	უნივერსიტეტის გამომცემლობა,	114 გვ. http://eprints.tsu.ge/1588/1/Dali-Kandelaki-Unknown-Caucasus.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

3. დალი კანდელაკის წიგნის **უცნობი კავკასია (მე-19 საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით)**

ანოტაცია

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიის კვლევა წინა საუკუნეებიდან დღემდე მეტად აქტუალურია. კავკასია დღესაც კონფლიქტურ ზონას წარმოადგენს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები კვლავ ინტერესით აკვირდებიან რეგიონში მიმდინარე პროცესებს და დაინტერესებული არიან მისი ისტორიით.

რატომ იყო კავკასია XIX საუკუნეში ჯერ კიდევ უცნობი გარე სამყაროსათვის? როგორ გაგრძელდა წინა საუკუნეებიდან უკვე მიზანმიმართულად დაწყებული რუსეთის კავკასიური პოლიტიკა? რა ნაბიჯებს დგამდა მეზობელ ქვეყნებში დასამკვიდრებლად რუსეთის იმპერია? როგორ ყალიბდებოდა ურთიერთობები დამპყრობლებსა და დაპყრობილებს შორის? როგორ ახასიათებდნენ თანამედროვეები კავკასიელ ხალხს? ეს არის კითხვები, რომელსაც შევეცადეთ წინამდებარე ნაშრომში გაგვეცა პასუხი იმ პერიოდის რუსულ და გერმანულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით.

კავკასიაში XIX საუკუნეში საკმაოდ გაიზარდა ევროპელთა რაოდენობა. განსხვავებული იყო მათი მისია და მოღვაწეობის სფერო რეგიონში - მოგზაურობდნენ, ემსახურებოდნენ რუსეთის იმპერიასა თუ სხვა ქვეყნების სახელმწიფოებს, აწარმოებდნენ სამეცნიერო კვლევებს და ა.შ.

მრავალმა უცხოელმა მიიღო მონაწილეობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კავკასიაში მოწყობილ ექსპედიციებში. მეცნიერთა გარდა ამ ექსპედიციებში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მხატვრები, თარჯიმნები, გამცილებლები და სხვა. მათ მიერ შექმნილ ნაშრომებში, რომლებიც მეტად მრავალფეროვანია - საგაზეთო კორესპონდენციები, სამეცნიერო, საცნობარო თუ ლიტერატურულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, მონოგრაფიები და ჩანახატები - აშკარად იკვეთება ევროპული სახელმწიფოების დაინტერესება კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ხალხის ყოფა-ცხოვრებით, ბუნების მრავალფეროვნებით და სხვა. ევროპელი სამხედრო პირების, მოგზაურთა თუ მეცნიერთა ნაშრომებში საინტერესო ცნობებია შემორჩენილი კავკასიის მთავარმართებლებისა და მეფისნაცვლების შესახებ, რომლებიც XIX საუკუნეში კავკასიის რეგიონში

რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ კურსს ატარებდნენ. ავტორები აღწერენ ბრძოლების ისტორიებს, რუსი ოფიცრებისა თუ ჯარისკაცების ყოფის ამსახველ ეპიზოდებს, მათ ურთიერთობებს როგორც ერთმანეთთან, ასევე მკვიდრ მოსახლეობასთან, რუსული სამხედრო დასახლებებში მომხდარ მოვლენებსა თუ ფაქტებს და სხვ. ამ მასალებიდან როგორც ევროპელი, ასევე რუსი საზოგადოება ეცნობოდა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რუსეთის ინტერესებს კავკასიის მიმართ, მოსახლეობის თავგანწირულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ და სხვ. ეს ნაშრომები გვაძლევს საშუალებას უკეთ გავერკვეთ კავკასიის მიმართ რუსეთის წარმოებული დაპყრობების არსში და დღესდღეობით ამ ქვეყნების ურთიერთობებში არსებული პრობლემების საფუძვლებში. მათ დაგვიტოვეს უმნიშვნელოვანესი მასალები, რომელთა გარკვეული ნაწილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობია.

უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კავკასიის თემას ასევე აღნიშნული პერიოდის რუსულ წყაროებში. ეს ნაწარმოებები, ისევე როგორც ევროპელთა შრომები, არც ჟანრობრივად და არც თემატურად არაა ერთგვაროვანი - მოთხრობები, ჩანაწერები, დღიურები, ესეები, ეთნოგრაფიული და ისტორიული ნარკვევები. ისინი რეგიონის კვლევისათვის საინტერესო წყაროთმცოდნეობით მასალას წარმოადგენს. მათში ასახული მოვლენები დიდ ზეგავლენას ახდენდა იმდროინდელ რუსულ საზოგადოებაზე და მეტ-ნაკლებად პასუხობდა მათ კითხვებს: რატომ აწარმოებდა რუსეთი ომს კავკასიაში, როგორ აგვარებდა ურთიერთობებს აქ მცხოვრებ ხალხთან და ა.შ. ჩანაწერების უმრავლესობა შეიქმნა მათში აღწერილი მოვლენების გარკვეული დროის შემდეგ ადრე შექმნილი დღიურების, პირადი არქივებისა თუ სხვა პირთა მონათხრობის საფუძველზე. ავტორები ასევე იყენებდნენ სამხედრო დოკუმენტაციას, შესაბამისად, ხშირად იკვეთება მათი სუბიექტური მიდგომა წარსულში მომხდარი მოვლენების მიმართ და დამახინჯებულია ფაქტობრივი მასალა. რუსი მეცნიერები ცდილობდნენ სხვადასხვა უცხოურ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, შეესწავლათ რეგიონში მცხოვრები ხალხის ისტორია. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია გზავნიდა სამეცნიერო ექსპედიციებს, რომლებიც კვლევების შედეგად გამოსცემდნენ შრომებს, წარადგენდნენ ანგარიშებს; ასევე გეოგრაფიული საზოგადოება და მისი კავკასიის განყოფილება კრებდა ეთნოგრაფიულ მასალებს. მათი ძალისხმევით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობითაც, რუსულ ცნობიერებაში იჭრებოდა წარმოდგენები კავკასიელ ხალხზე.

ნაშრომში განხილული გვაქვს ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული ომების მონაწილე სამხედრო პირების - მ. ვორონჩენკოვის და ე. ბასინის - წერილები, გერმანულიდან თარგმნილი ნარკვევი და ნ. პელტის სტატია; ასევე, ჟურნალში „კავკაზსკი სბორნიკში“ დაბეჭდილი რუსი სამხედროების ე. ლაჩინოვის და ჟურნალ „რუსსკაია სტარინაში“ გამოცემული ი. დუბეცკის სტატიები.

წიგნში ასევე მიმოვიხილავთ კავკასიაში სხვადასხვა მისიით ჩამოსული ორი გერმანელის ცნობებს: XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჩრდილო კავკასიელი ხალხის წინააღმდეგ და რუსეთის იმპერიის ჯარში მებრძოლი, გერმანელი მხატვრის თეოდორ ჰორშელტის და ამავე საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს სამოგზაუროდ ჩამოსული მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, ზოოლოგის, ერნსტ ჰეკელის ჩანაწერებს. მათი შემოქმედება - ჩანაწერები და ნახატები - რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას ნათელ წარმოდგენას უქმნის XIX საუკუნის კავკასიის შესახებ.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები სრაოდენობა
1				

2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსა თაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები სრაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ნ.ბასილაია	К особенностям языка и стиля русских писателей (Встречи с русской литературой в Армении). Сборник научных статей. ISBN 978-9941-26-442-9	Ереван, 2019 Универсал	182 с.
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) **ნ. ბასილაია – რუსი მწერლების ენისა და სტილის თავისებურებები** ამ წიგნში მოცემულია ავტორის სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვ. ი. ბრიუსოვის სახელობის ენებისა და სოციალური მეცნიერებების ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლიდან 2018 წლამდე ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების მასალების 13 კრებულში. კონფერენციები, რომელსაც აერთიანებდა თემა: ”რუსული კლასიკა: რუსული და ეროვნული ლიტერატურები”, ეძღვნებოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში იუბილეს მქონე გამოჩენილი რუსი მწერლების - ნ. ვ. გოგოლის, ლ.ნ. ტოლსტოის, ა. პ. ჩეხოვის, მ. ი. ლერმონტოვის, ნ. ა. ნეკრასოვის, ა. ს. პუშკინის, ი. ს. ტურგენევის, ა. ნ. ოსტროვსკის, მ. ე. სალტიკოვ - შჩედრინის, ა. ს. გრიბოედოვის, ნ. მ. კარამზინის, მ. ა. ბულგაკოვის, ა. ი. სოლჟენიცინის - ფართო სპექტრის ნამუშევრებსა და აღსანიშნავ თარიღებს.			

გამოჩენილი რუსი მწერლების ენისა და სტილის მახასიათებლების შესწავლისადმი მიძღვნილ მოხსენებები გამოხატავს ავტორის სურვილს დაინახოს მხატვრული რეალობის შექმნის ღრმა მექანიზმები დიად ნაწარმოებებში ასახული უნივერსალური სემანტიკური პროცესების პრიზმის საშუალებით. ასე, კერძოდ, განიხილება წინადადებების დეფინიციური სემანტიკის მნიშვნელობის პრობლემა; ხატოვანი დეფინიციების სემანტიკა, როგორც გმირის ხატის გადაცემის ფენომენი ა. პ. ჩეხოვისა და მ. ა. ბულგაკოვის დრამატურგიაში. რადგანაც "ადამიანთა ენის არცერთი ნაირსახეობა, მათ შორის პოეტური ტექსტი, არ შეიძლება გაგებული იქნას "დისკურსის სამყაროსთან" მიმართვის გარეშე" (რ. იაკობსონი), ერევნის კონფერენციებზე გაკეთებული იყო მოხსენებები მ. ი. ლერმონტოვის, ნ. ა. ნეკრასოვის, ნ. მ. კარამზინის პოეტურ დისკურსში მხატვრული ხერხების და აგრეთვე მასმედიურ დისკურსში ა. ს. პუშკინის პოეტური ნაწარმოებების სიტყვებისა და ფრაზების სემანტიკის ცვლილების შესახებ. დისკურსის თანამედროვე თეორია ყალიბდება ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა ტიპების "გზაჯვარედინზე": ეს არის ტრადიციული ფილოლოგიის (ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა) ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, სემიოტიკასთან, კულტუროლოგიასთან და სხვა დისციპლინებთან ნაყოფიერი ურთიერთქმედების სფერო. ბევრ მოხსენებაში ზუსტად ამ თვალსაზრისით არის შესწავლილი მხატვრული ლიტერატურის დისკურსის ტექსტების სემანტიკა, ტარდებს მხატვრული სიტყვის ოსტატების ი. ს. ტურგენევისა და ა. ს. გრიბოედოვის ნაწარმოებების სოციოლინგვისტური ანალიზი. ერევნის კონფერენციებზე მოხსენებებში ტარდებოდა დიდი მწერლების მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის - რომანი, ლექსი, პიესა, რომანი, ზღაპარი, ლექსი - ენისა და სტილის კვლევა. ამ სტრიქონების ავტორის ყურადღება აგრეთვე მიიპყრო რუსული მეტყველების კულტურის ეტიკეტის ფორმების გამოყენების თავისებურებებმა ისეთი დიადი მწერლების წერილებში, როგორიცაა . სიტყვები, როგორიცაა ნ. ვ. გოგოლი და ლ.ნ. ტოლსტოი.

ამ წიგნის ავტორის ინტერესი რუსული ლიტერატურის კორიფეების ნაწარმოებების ენობრივი და სტილისტური თავისებურებების გაშუქების სხვადასხვა ასპექტებისადმი იძლევა იმის საფუძველს, რომ ერევნის კონფერენციების მასალების პერიოდულ კრებულებში მოხსენებების დალაგება მოხდეს არა მათი წარმოდგენის დროის მიხედვით, არამედ სისტემურად, თემატური პრინციპის მიხედვით.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ბასილაია	Дефиниции понятий, связанных с писательской деятельностью, в эпоху глобализации//	Материалы XIV Конгресса МАПРЯЛ «Русское слово в ногоязычном мире“	29 апреля - 4 мая 2019 г.; Астана (Казахстан).	5

2	ნ.ბასილაია	Стилистическое своеобразие прозы Анны Ахматовой	Международная научно-практическая конференция «Анна Ахматова: русская и национальные литературы	Київ – 2019 Вид-во НПУ імені М. П. Драгоманова	12
3	ნ.ბასილაია	Языковая семантика грузинских топонимов в произведениях Булата Окуджава как отражение национальной этнокультуры	МАТЕРІАЛИ IV Міжнародної наукової конференції “СВІТ МОВИ – СВІТ У МОВІ” 24–25 жовтня 2019 року	Київ – 2019 Вид-во НПУ імені М. П. Драгоманова	4

4.	დალი კანდელაკი	„უცნობი ავტორის ცნობები საქართველოს შესახებ“ („Сведения неизвестного автора о Грузии“). ISSN 2308-8079	საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი «Studia Humanitatis», №2, 2019	მოსკოვი, ონლაინ გამომცემლობა	
5.	დალი კანდელაკი	„საქართველო XVIII საუკუნის ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში“ ISBN 978-4-905726-36-4	მსოფლიო მე-2 კონგრესის - „აღმოსავლეთი-დასავლეთი: კულტურების გადაკვეთა“ მასალები; ტ. II	იაპონია, გამომცემლობა "Tanaka Print“	გვ. 98-102

6.	დალი კანდელაკი	ოქტომბრის რევოლუცია და მზადება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. (Октябрьская революция и подготовка к государственной независимости Грузии).	1917: რუსეთი რევოლუციის პერიოდში. ისტორია, კულტურა და მეხსიერება. 1917: Россия в период революции. История, культура и память.	მოსკოვი. გამომცემლობა „ლენანდი“	გვ. 324-334.
7.	დ. კანდელაკი, მ. აჭაიძე	ევროპელი ინტელიგენციის მოღვაწეობა საქართველოში (XIX საუკუნის II ნახევარი). Деятельность европейской интеллигенции в Грузии (II пол. XIX века). ISBN 978-953-8278-11-2	ინტერდისციპლინური კვლევები ევროპული ინტელიგენციის შესახებ XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე «Междисциплинарные исследования о европейской интеллигенции на рубеже XIX – XX вв.».	ხორვატია, იურაია დობრილას სახ. პულას უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 58-65.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ნ.ბასილაია

გლობალიზაციის ხანაში მწერლობასთან დაკავშირებული ცნებების დეფინიციები

გლობალიზაციის ეპოქაში ტრადიციულ ხელოვნებასა და ახალ ლიტერატურულ ჟანრებს შორის არჩევანის აუცილებლობა დინა რუბინას ნაწარმოებში ”სინდიკატი” გადაწყვეტილია მხატვრული თხრობის ახალი ფორმის - გროტესკული, ფარსული რომან - კომიქსის შექმნით. მრავალმხრივი, ბევრი შრისგან, ფრაგმენტისა და თემისგან შემდგარი ტექსტი ჰეტეროგენული სტილით და ჟანრით, კომედიისა და ტრაგედიის ორგანული შერწყმით, განსხვავებული ემოციური ინტენსივობით, ხან იუმორისტულად და ხან ტრაგიკულად შეფერილი, ქმნის სხვებისგან განსხვავებულ ავტორის თხრობას. რომან -კომიქსში „სინდიკატი“ მრავალფეროვანია ლექსიკურ - ფრაზეოლოგიოლოგიური საშუალებები, კერძოდ, დეფინიციური კონსტრუქციები, რომლებიც მწერლის შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ცნებების ნომინაციებით მოულოდნელი ლექსიკური შევსებით ხასიათდება. სტატიაში განხილულია ორი პერსონაჟის - მწერლების დინას და მარინას ცნებების "მწერალი", "შემოქმედება", "მსოფლმხედველობა" დეფინიციები, რომელიც მწერალ დინა რუბინას სხვადასხვა სახეს წარმოადგენს.

ნ.ბასილაია

ანა ახმატოვას პროზის სტილისტური თავისებურება

ახმატოვის პროზაული ტექსტის ფენომენი არის შეუდარებელი ინდივიდუალური მხატვრული სისტემა, რომელიც ჟანრული ორიგინალურობით, გარკვეული დაუსრულებლობით, ფრაგმენტაციით, სხვადასხვა მოვლენების გაშუქების პუბლიცისტური ხერხებისა და ღრმა ლიტერატურული მეცნიერული ანალიზის ერთობლიობით ხასიათდება. სტატიაში განხილულია ანა ახმატოვას ორი ესე - ”სიტყვა პუშკინის შესახებ” (ახმატოვა 1977, გვ. 551-552), რომლის ნაწარმოებების შესწავლას ახმატოვამ 20 წელი მიუძღვნა და "მას ყველაფერი ემორჩილებოდა" (ახმატოვა 1977, გვ. 553-554), ლერმონტოვთან დაკავშირებით, რომლის ნიჭსაც იგი ეთაყვანებოდა, რაც სათაურიდანაც ჩანს. ეს მცირე, ორგვერდიანი ნამუშევრები ანა ახმატოვას პუბლიცისტური პროზის მაგალითებია, რომელიც განმსჭვალულია ისტორიული და ლიტერატურული ალუზიებით, პოეტური ასოციაციებით - ე.წ. "ვერტიკალური კონტექსტით", რომლის საშუალებითაც პოეტური ტექსტი იღებს მეორე განზომილებას და ჩართულია განხილულ ესეებში, რომელიც ასევე შეიცავს პუშკინისა და ლერმონტოვის პოეტური ტექსტებიდან ნაწყვეტების პირდაპირ ციტირებას.

ნ.ბასილაია

ქართული ტოპონიმების ენობრივი სემანტიკა ბულატ ოკუჯავას ნაწარმოებებში, როგორც ეროვნული ეთნოკულტურის ანარეკლი

მსოფლიოს ენობრივი სურათების ეთნოკულტურული თავისებურება ნათლად გამოიხატება პოეტურ დისკურსში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური გარდაქმნების უნარით პოეტის, რომანისტის, სცენარისტის, მთარგმნელის, დრამატურგის, კომპოზიტორისა და საკუთარი სიმღერების შემსრულებელი (ხშირ შემთხვევაში არბატის მეხოტბედ პოზიციონირებული) ბულატ ოკუჯავას ნაწარმოებების განხილვისას. მსოფლიოს ორი ენობრივი სურათის შერწყმა, შეთავსება და ურთიერთგამჭოლობა, რომელიც სხვადასხვა ეთნოკულტურის გამოვლენას წარმოადგენს, არის ბულატ ოკუჯავას მოღვაწეობის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომლის ნამუშევრებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი რუსული და ქართული ტოპონიმური ნომინაციები - ერთი მხრივ, მოსკოვი და მისი „მიმდებარე ქუჩები“: ბარაბანნი შესახვევი, მალაია ბრონაია, ნეგლინაია, ვოლხონკა და, რა თქმა უნდა, არბატი, და, მეორე მხრივ, საქართველო, მისი რეგიონები, ქალაქები და დასახლებები.

საქართველოს დედაქალაქის მრავალმხრივი, სემანტიკურად რთული, ექსპრესიული ენერგიით დატვირთულია ტოპონიმი ბულატ ოკუჯავას ორ ლექსში - "თბილისი დილით თავს აწევს..." (1965) და "ჩემი ქალაქი იძინებს ..." (1967) გაღვიძების და დაძინების პროცესების ბინაროზას ავლენს.

კონტექსტიდან გამომდინარე, მოცემული ტოპონიმის ძირითადი მნიშვნელობის ყოველი მრავალი ნიშანთაგან კონოტაციური აურით არის გარშემორტყმული.

დ. კანდელაკი

„უცნობი ავტორის ცნობები საქართველოს შესახებ“

მე-19 საუკუნის რუსულ პერიოდულ გამოცემებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ჟურნალს „ვესტნიკ ევროპი“, რომლის პირველი რედაქტორი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი კარამზინი იყო. რუსეთში პირველად ამ გამოცემაში გაჩნდა სპეციალური რუბრიკა სათაურით - „პოლიტიკა“, რომელმაც მას გასაოცარი წარმატება მოუტანა. ამიტომ ნ. კარამზინის ჟურნალი გახდა გამორჩეული და უნიკალური მოვლენა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ ჟურნალისტიკაში.

ჟურნალის საინფორმაციო პოლიტიკის მიზანს კომპეტენტური მკითხველის აღზრდა წარმოადგენდა.

ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ძირითადად პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე ხდებოდა, ნ. კარამზინმა გამოცემის ფურცლებზე საინტერესო კორესპონდენციების, კომენტარების, სტატიების, წერილების, მიმოხილვების, მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევებისა და ფელეტონების გამოქვეყნება დაიწყო. ჟურნალი თვეში ორჯერ გამოდიოდა. მისი პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ თავდაპირველი ტირაჟი 600 ეგზემპლარი, სულ ცოტა ხანში 1200-მდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანი ადგილი „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე ისტორიულ პრობლემატიკას ეთმობოდა. ჟურნალში ქვეყნდებოდა მასალები როგორც კავკასიის სხვადასხვა კუთხეების, ასევე საქართველოს შესახებაც. რუს მკითხველს ეძლეოდა შესაძლებლობა გასცნობოდა მისთვის ჯერ ისევ უცნობ მხარეებს მოგზაურთა ჩანაწერებიდან, უცხოური ჟურნალებში გამოქვეყნებული მასალებიდან და სხვ.

საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულია წერილები და ასევე, ანალიტიკური შრომები. 1805 წელს, ჟურნალის მე-19 ნომერში, დაიბეჭდა მცირე მოცულობის ნარკვევი „საქართველო ალექსანდრე I-ის სკიპტრის ქვეშ“, რომელიც გერმანულიდან თარგმანს წარმოადგენს. უცნობი ავტორის ძირითად მიზანს არა ისტორიული მოვლენების შესახებ ინფორმაციის, არამედ ფაქტების მისეული შეფასებების მოწოდება წარმოადგენდა. სტატიიდან აშკარად იკვეთება ავტორის პრორუსული ორიენტაცია. ის საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას დადებით მოვლენად თვლის.

დ. კანდელაკი

„საქართველო XVIII საუკუნის ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში“

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა მრავალ პრობლემას უყენებს ქართველ მკვლევრებს ქართულენოვანი წერილობითი წყაროების სიმცირის გამო. ამ პერიოდის საისტორიო წყაროებს, ისევე როგორც წინა ეპოქისას, არ ასცდა განადგურება. შესაბამისად, აუცილებელია, ქართული წყაროების გარდა, საქართველოს შესახებ ცნობები მოიძებნოს უცხოენოვან მასალებშიც, რითაც მდიდარია ევროპის ქვეყნების არქივები და ბიბლიოთეკები. საქართველოს შესახებ XVIII საუკუნის ევროპული წერილობითი წყაროების, კერძოდ, საისტორიო ლიტერატურის, შესწავლა ამ ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისა და მკვლევრებისათვის დღესდღეობითაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ევროპელები, ისევე როგორც დღეს, საუკუნეების წინაც დაინტერესებული იყვნენ კავკასიით და რეგიონში მიმდინარე პროცესებით.

XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველო სულ უფრო იპყრობდა ევროპული საზოგადოების ყურადღებას და აქ მიმდინარე მოვლენები სათანადოთაც აისახა ევროპულ პრესაში, მეცნიერთა, პოლიტიკოსთა თუ მოგზაურთა შრომებში. ქართული ისტორიული თემატიკა შეიჭრა გერმანულ დრამატურგიაშიც; გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის დრამა “მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება” ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლის საერთაშორისო პოპულარობის დამამტკიცებელი დოკუმენტია. ლესინგის დრამა პირველად 1767 წელს დაიდგა; პიესა ნათლად მოწმობს, რაოდენ პოპულარული ყოფილა ევროპაში ერეკლე II პიროვნება.

ევროპელი მწერლები, ისტორიული შინაარსის ნაშრომებში, მკითხველის ყურადღებას ძირითადად ამახვილებდნენ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე გარე სამყაროსთან მიმართებაში; იმ მდიდარ ტრადიციებზე, რომლებიც ხშირად მეზობელი ქვეყნების ისტორიული და კულტურული განვითარების მაგალითს წარმოადგენდა. ისტორიულ ლიტერატურაში ასევე აისახებოდა ქართველების ყოველდღიური ცხოვრება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები; მოყვანილია ინფორმაცია ქართული ლიტერატურის, არქიტექტურის, ყოფითი კულტურის და სხვა სფეროების შესახებ. საკვლევი პერიოდის ისტორიული თხზულებების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც აშკარად მეტყველებს საქართველოს მიმართ ევროპის ქვეყნების მზარდ ინტერესზე, ვიდრე წინა საუკუნეებში. ევროპელმა მწერლებმა და მეცნიერებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი სამხრეთ რუსეთის, თურქეთის, სპარსეთის, კავკასიის შესახებ და თითქმის არცერთი ავტორი ამ ქვეყნებისა და რეგიონების აღწერისას, გვერდს არ უვლის საქართველოს. ამ ნაწარმოებებში წარსული და მიმდინარე პერიოდის მოვლენები ხშირად არაობიექტურად, ტენდენციურად იყო შეფასებული, გადმოცემული ცნობები უფრო მეტად ავტორების ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა; შესაბამისად, თითოეულ წყაროს შესწავლისას კრიტიკულად უნდა მივუდგეთ.

სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოგვაქვს რუსულ ენაზე, მსოფლიოს რუსულენოვანი მკითხველისათვის უცნობი, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის

გერმანელი მწერლის გეორგ აუგუსტ ფონ ბაიტენბაუხის ის ნაშრომები, რომლებშიც აღწერს მისთვის უცნობ ქვეყანას.

რამ განაპირობა გეორგ აუგუსტ ფონ ბრაიტენბაუხის ინტერესი შორეული ქვეყნის მიმართ? როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, გერმანელ ავტორს საქართველოში და არც მის მეზობელ ქვეყნებში არ უმოგზაურია. მას ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. ბავშვობიდანვე საუკეთესო პედაგოგები ასწავლიდნენ, რომლებმაც საკმაო ცოდნა შესძინეს ლიტერატურასა და ისტორიაში. 1749-1753 წლებში ის სწავლობდა იენის უნივერსიტეტში. მას ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ცნობილ პიროვნებებთან - გ.ე.ლესინგთან, ი.რ. ფორსტერთან, ი.ფაბრისთან და სხვ. ის გატაცებული იყო როგორც პოეზიით, ასევე სხვადასხვა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიით. 1765 წლიდან დაიწყო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და სტატისტიკის შესწავლა. ის აღწერდა იმ ქვეყნების ისტორიას, რომელთა შესახებაც მოგზაურთა მიერ შეკრებილი ცნობები მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა, ხოლო საზოგადოებას დიდ ინტერესს აღუძრავდა; მკითხველს მოუთხრობდა უცნობი ქვეყნების ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხების შესახებ; კრებდა მოგზაურთა ჩანაწერებს, სხვადასხვა ცნობებსა და წყაროებს. თავის 14 ნაშრომში საქართველოს უძღვნის დიდ თუ მცირე მონაკვეთებს.

პირველი ნაშრომი, რომელშიც საქართველოსაც ეხება გამოცემულია 1783 წელს - „აზიისა და აფრიკის ისტორიის დამატებები“; საქართველოს ეძღვნება 43 გვერდი. მიმოხილულია ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან 1781 წლამდე. მნიშვნელოვანია გ.ა. ფონ ბრაიტენბაუხის ნაშრომი „წარმოდგენა მსოფლიოს უკეთილშობილეს ხალხთა შესახებ მათი წარმომავლობის, საცხოვრებელი ადგილის და ენების მიხედვით“, რომელიც გამოცემულია 1786 წელს. ცნობები საქართველოს შესახებ მოყვანილი აქვს თავში „აზია“ და ასევე გაფანტულია სხვადასხვა ქვეთავებში, რომლებიც სპარსელების, ჩერქეზების, სომხების და სხვა მეზობელი ხალხების ისტორიას ეხება. ავტორი საუბრობს ქართველების წარმოშობაზე და ენაზე, მათ ადგილსაცხოვრისზე, ასევე, შაჰ აბას I-ის მიერ ქართველების ირანში გადასახლებაზე. ის უთითებს იმ წყაროსაც, რომელზე დაყრდნობით მოიყვანა აღნიშნული ცნობები. განსაკუთრებულ კვლევას იმსახურებს 1788 წელს ქალაქ მემინგემში გამოცემული წიგნი „საქართველოს სახელმწიფოთა ისტორია“. ნაშრომი კომპილაციურია, შედგება 116 მცირე მოცულობის გვერდისგან. აღსანიშნავია, რომ გერმანელი ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებიც. იგი კონკრეტულად ეხება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატსაც. ავტორი მოკლედ, მაგრამ სწორად გადმოსცემს ხელშეკრულების შინაარსს; ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ტრაქტატის ტექსტი მალევე გაეგზავნა ევროპის სახელწიფოებს, გამოქვეყნდა პრესაში და შესაბამისად, ხელმისაწვდომი იყო ამ ქვეყნების ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის. საინტერესოა გერმანელი ავტორის ნაშრომი „გეოგრაფიული და ისტორიული ნარკვევები სკოლის მასწავლებლებისათვის“, რომელიც გამოცემულია 1793 წელს. გ.ა. ფონ ბრაიტენბაუხი მოკლე მონაკვეთს საქართველოსაც უთმობს. ნაშრომში ასახელებს იმ ძირითად წყაროებს, რომლებშიც განთავსებულია ცნობები ამ ქვეყნის შესახებ, თუმცა მკითხველს მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის რამდენიმე ისტორიულ მოვლენას აცნობს. ნარკვევებით სავარაუდოდ ბევრი გერმანელი მასწავლებელი პირველად ეცნობოდა საქართველოს.

მიუხედავად გერმანელი ავტორის მიერ ნაშრომებში მოყვანილი არასწორი ფაქტებისა, ამ საისტორიო ლიტერატურის გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი წარმოადგენენ საქართველოსადმი ევროპელთა ინტერესის დადასტურებას.

აღნიშნულ პერიოდში ევროპაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ძირითადად პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე ხდებოდა, შესაბამისად, თემაში ასევე მიმოვიხილავთ, გერმანული პერიოდული პრესის ფურცლებზე - „იენის მეცნიერთა გაზეთები“ და „ახალი ლაიპციგის მეცნიერთა გაზეთები“ - გამოქვეყნებულ რეცენზიებს გეორგ აუგუსტ ფონ ბაიტენბაუხის ნაშრომების შესახებ. მნიშვნელოვანია კრიტიკოსების შეფასებები საქართველოს შესახებ, საიდანაც აშკარად იკვეთება ევროპელთა ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი.

დ. კანდელაკი

„ოქტომბრის რევოლუცია და მზადება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“

ოქტომბრის რევოლუცია XX საუკუნის ერთ-ერთი საკვანძო მოვლენა იყო, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია კავკასიის, კერძოდ, საქართველოს განვითარებაზე.

განვითარების როგორი გზა აირჩია რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიაში შემავალმა ამიერკავკასიის ქვეყნებმა? როგორი იყო ამ პერიოდში საზოგადოებრივი აზრი საქართველოში და რას წერდა ქართული პრესა ოქტომბრის რევოლუციის შესახებ? რა გავლენა მოახდინა რევოლუციამ ეროვნულ კულტურისა და განათლების სისტემაზე? როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს საბჭოთა რუსეთის მიმართ? რა გზა განვლო საქართველომ ამ უმოკლეს პერიოდში: 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციიდან 1918 წლის 26 მაისამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე? ეს არის კითხვები, რომელსაც უნდა ვუპასუხოთ საკვლევ თემაში.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში დაბნეულობა გამეფდა. 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატმა. ამიერკავკასიის მთავრობის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს სურდათ, წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო - ხელისუფლების ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შეიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - ამიერკავკასიის სეიმი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება. შექმნილ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტირება ძნელი იყო. ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა თვლიდა, რომ რუსეთში საბჭოთა წყობილება მალე დაემხობოდა. ქართული პოლიტიკური ელიტა მომავლის ძიებაში იყო. 1917 წლის 19 ნოემბერს ჩატარებულ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩიასაქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. ყრილობაზე შემუშავებული რეზოლუციის პროექტი პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის ნათელი გამოხატულება იყო, რომელიც მწვავედ გააკრიტიკეს ეროვნულ-დემოკრატებმა და მოითხოვეს დასავლეთევროპული პოლიტიკური ორიენტაციის აღიარება.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება - ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება - უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა იყო. შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ამიერკავკასიის დემაუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციის შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა; თუმცა შექმნის დღიდან გადაუჭრელი პრობლემას საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენდა. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის დემ. ფედ. რესპ. დაშლილად გამოცხადდა. იმავე დღეს შეიქმნა დამოუკიდებლი სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თავისუფალი და მრავალფეროვანი გახდა ქართული პრესა. ის გათავისუფლდა იმპერიული ცენზურისგან და საშუალება მიეცა ეღვაწა ეროვნული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ინტერესებისათვის. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა არაერთი შემოქმედებითი კავშირი, მათ შორის დაარსდა ქართველ მწერალთა კავშირი. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის შექმნა.

დ. კანდელაკი, მ. აჭაიძე

„ევროპელი ინტელიგენციის მოღვაწეობა საქართველოში (XIX საუკუნის II ნახევარი)“

ევროპელი და ქართველი ხალხის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. საქართველო ევროპელთა ყურადღების ცენტრში ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქიდან მოექცა. ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქრისტიანულმა სამყარომ კავშირი დაამყარა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან. საქართველოსადმი ინტერესი მას შემდეგ უფრო გაღვივდა, როცა ოსმალეთმა კონსტანტინოპოლის აღების

შემდეგ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ევროპაში და მას გზა გადაუღობა აზიის სახელმწიფოებისაკენ. XVII საუკუნიდან სულ უფრო იზრდება კავკასიის რეგიონის როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა.Gგზა, რომელიც ევროპელებს უნდა გაევლოთ აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, საქართველოზე გადიოდა. მომდევნო საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველო სულ უფრო იპყრობდა ევროპული საზოგადოების ყურადღებას და აქ მიმდინარე მოვლენები სათანადოთაც აისახა უცხოურ პრესაში, მეცნიერთა, პოლიტიკოსთა თუ მოგზაურთა შრომებში.

სტატიაში ძირითადად განხილულია რამდენიმე ევროპელის მოღვაწეობას, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდაში: არტურ ლაისტი, კარლ ლემან-ჰაუპტი, და-ძმა მარჯორი (1869-1909) და ოლივერ (1864-1948)უორდროპები, ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერები. მათ შექმნეს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი და შთამომავლობას დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვეს. მათი თხზულებები საინტერესო ცნობებს შეიცავს ისტორიულ პირებზე, საზოგადო მოღვაწეებზე, ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე, ქალაქების შესახებ და სხვ. დიდი ადგილი ეთმობა მათ შემოქმედებაში ცნობებს ქართველ მწერლებთან საქმიან ურთიერთობებზე. მათ უდიდესი დამსახურება მიუძღვით საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. მათ ევროპულ სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართეს ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. თავისი მოღვაწეობით მათ სამუდამოდ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.ალექსიძე	Актуальные вопросы обучения чтению на русском языке в вузах Грузии	ფილოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური ფორუმი.2019 წლის 8-12 ოქტომბერი, თბილისი
2	მ.ალექსიძე	ემოტური გამონათქვამები რუსულ და ქართულ ენებში.	მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“2019 წლის 25-26-27 ოქტომბერი, თელავი
3	მ.თუხარელი	კომიკური პოემა – ჟანრის ევოლუცია რუსულ ლიტერატურაში XVIII-XIX სს-ის დასაწყისი/	XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი

			26–28.06. 2019
4.	მ.ფილინა	**მ.ფილინა** "ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში"მიხეილ თუმანიშვილი და თადეუშ ლადა-ზაბლოცკი	(პოეტთა.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, ქუთაისი, 1-2 ნოემბერი, 2019
5.	მ.ფილინა	John Paul II`s visit to Georgia and Georgian “Polonia”	საერთაშორისო კონფერენცია „იოანე პავლე მეორე და საქართველო “ ეძღვნება რომის პაპის, იოანე პავლე მეორის საქართველოში ვიზიტის 20 წლისთავს (1999).
6.	მ.ფილინა	რუსული ლიტერატურა საქართველოში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში (საზოგადოებრივი როლი და სწავლება).	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „1980-1990-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“.თბილისი, თსუ. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
7	ნ.ბასილაია	ტერმინ ესეს დაზუსტებისათვის სამეცნიერო ტერმინოლოგია VI. კონფერენცია ეძღვნება დამანა მელიქიშვილის 80 წლის იუბილეს17-19.VI.2019. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	სამეცნიერო ტერმინოლოგია VI. კონფერენცია ეძღვნება დამანა მელიქიშვილის 80 წლის იუბილეს17-19.VI.2019. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
8	დ.გოცირიძე	კულტურა და კომუნიკაციური ეთნოსტილი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

			„ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ქუთაისი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წ. 1-2 ნოემბერი
9.	დ. კანდელაკი	ნ.პელტის ნაშრომი საქართველოს შესახებ	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციია 26.06 -27.06.2018; თსუ.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ.გოცირიძე	ენა, როგორც ეთნოსოციალური ურთიერთობის ჰარმონიზაციის ფაქტორი	მაპრიალის XIV კონგრესი ყაზახეთი, ქ. ნურ-სულთანის ევრაზიული უნივერსიტეტი 29აპრილი-3 მაისი, 2019.
2	დ.გოცირიძე	კულტურათშორისი კომუნიკაცია ჩაკეტილ პოლიკულტურულ სივრცეში	მე-2 მსოფლიო კონგრესი რეალურ და ვირტუალურ რეჟიმში (აღმოსავლეთი და დასავლეთი: კულტურათა გადაკვეთა)იაპონია, ქ. კიოტოს სანგიოს უნივერსიტეტი 2-6 ოქტომბერი
3.	დ.გოცირიძე	უფლება პლაგიატზე	სამეტყველო აქტივობის თეორია: თანამედროვე გამოწვევები რუსეთი, ქ. მოსკოვი, რუსეთის მეცნიერებათა

			აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2019, 6-8 ივნისი
4.	დ.გოცირიძე	კულტურათშორისი კომუნიკაცია მხატვრული ტექსტის პოლიკულტურულ სივრცეში	რუსული ენა და ლიტერატურა თარგმანის სარკეში საბერძნეთი, ქ. სალონიკი 2019, 10-14 აპრილი
5	მ.ფილინა	„პოლონელი კავკასიელის სახე“,	VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია-წარსულის გამოცდილება- მომავლის პერსპექტივები"კავკასია 2019 წლის 10-12 ოქტომბერი. ჟეშოვის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტი (პოლონეთი)
6.	მ.ფილინა	ალექსანდრე პოტიომკინის რომანი “Solo Mono”	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ალექსანდრე პოტიომკინის შემოქმედება“. ესპანეთი, მალაგა,03-08.11
7.	ნ.ბასილია, მ.ალექსიძე	Дефиниции понятий, связанных с писательской деятельностью, в эпоху глобализации	მაპრიალის XIV კონგრესი ყაზახეთი, ქ. ნურ-სულთანის ევრაზიული უნივერსიტეტი 29აპრილი-3 მაისი, 2019.
8.	ნ.ბასილაია	Стилистическое своеобразие прозы Анны Ахматовой	Международная научно-практическая конференция «Анна Ахматова: русская и

			национальные литературы». Ереван, 2019.
9.	ნ.ბასილაია	იდეოლოგიური ზეწოლა, დროის დიქტატი თუ არასწორად შერჩეული მეთოდოლოგიური საფუძველი? გერმანულენოვან ტოპონიმთა რუსული და ქართული ეკვივალენტების ისტორიულ-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით)	INTERNATIONAL CONFERENCE DEDICATED TO RASMUS RASK IDEOLOGY AND LINGUISTIC IDEAS SEPTEMBER 12-14, 2019 Program and Abstracts. Tbilisi 2019 . 21-23; 20-23.
10	ნ.ბასილაია	Языковая семантика грузинских топонимов в произведениях Булата Окуджава как отражение национальной этнокультуры	V Международная научная конференция « **Мир языка – мир в языке» .**24.10-25.10 2019 Киев (Украина
11	მ.ალექსიძე,ნ.ბასილაია (იხ.№7)	Дефиниции понятий, связанных с писательской деятельностью в эпоху глобализации	XIV Конгресс МАПРЯЛ «Русское слово в многоязычном мире» г. Нур-Султан, азахстан,Евразийскийнациональный университет им.Л.Н.Гумилева. 29 აპრილი-3 მაისი 2019
12	დ. კანდელაკი	საქართველო XVIII საუკუნის ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში	02.10-06.10.2019 იაპონია, კიოტო; მსოფლიო მე-2 კონგრესი - „აღმოსავლეთი-დასავლეთი: კულტურების გადაკვეთა“;
13	დ. კანდელაკი, მ. აჭაიძე	ევროპელი ინტელიგენციის მოღვაწეობა საქართველოში (XIX საუკუნის II ნახევარი)	03.06-06.06.2019 პულა, ხორვატია; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ევროპული ინტელიგენცია XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე“. იურაია დომბრილას სახ.

			პულას უნივერსიტეტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.დ.გოცირიძე.ენა, როგორც ეთნოსოციალური ურთიერთობის ჰარმონიზაციის ფაქტორი.სტატიაში განხილულია ქვეყანაში მაცხოვრებელ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მიმართება სახელმწიფო ენისადმი. ქართულ ენობრივ სამყაროში შეინიშნება როგორც ცენტრისკენული, ასევე ცენტრიდანული ტენდენციები. სტატიაში მოცემულია მათი დარეგულირების გზები.

2.დ.გოცირიძე კულტურათშორისი კომუნიკაცია ჩაკეტილ პოლიკულტურულ სივრცეში -სტატიაში განხილულია ინტერნაციონალური ეკიპაჟების, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ურთიერთობის ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები, რაც კომუნიკაციური ეთნოსტილების
განსხვავებით არის განპირობებული.

3.დ.გოცირიძე .უფლება პლაგიატზე სტატია განიხილავს კონცეფტს „პლაგიატი“ პოსტმოდერნისტულ და ინფორმოლოგიურ ჭრილში, რაც მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს. პოსტმოდერნისტების მიხედვით, ნებისმიერი ფრაზა უკვე პლაგიატია, ინფორმოლოგები კი ფორმალიზებულ კრიტერიუმს იყენებენ და პლაგიატს ფორმისა და შინაარსის დამთხვევით განსაზღვრავენ.

4.დ.გოცირიძე კულტურათშორისი კომუნიკაცია მხატვრული ტექსტის პოლიკულტურულ სივრცეში. სტატიაში განხილულია მხატვრული ტექსტის უაღრესად დადებითი ფუნქცია და მნიშვნელობა, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის საფუძვლისა პოლიკულტურულ სივრცეში, მისი მეშვეობით პოლიტიკური საზღვრების წაშლა.

5.მ.ფილინა „პოლონელი კავკასიელის სახე“,

მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების შედუღაბება დრამატიზმით არის აღსავსე. სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების ყველაზე ნათელი პერიოდი დაკავშირებულია 1830-იან წლებში ახალგაზრდა, განათლებული პოლონელების მასობრივად გადასახლების ტალღასთან. მეფის მთავრობის მიზანი იყო დაესაჯა `პოლიტიკური დამნაშავენი~, შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა _ სულიერი კავშირი გაიბა გადასახლებულთა და ქართულ ინტე¬ლიგენციას შორის. უაღრესად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთი¬ერთობათა მთელი სისტემა _ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის, კერძოდ კი, საქა¬რთველოს შესწავლა იმ გაჩაღებული კავკასიური ომის დროს. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა ერთგვარი `ფილიალი~ _ პოლონელ `კავკასიელთა~ ჯგუფის პოეტები. გადა¬¬სახლებულმა პოლონელებმა თავიანთ თანამემამულეებს კარგად დაანახვეს კავკასია. 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკურად რომანტიკული აღმაფრენის მხარე. იგი უკვე სერიოზულად აინტერესებდათ მკითხველ პოლონელებს.

6. მ.ფილინა. ალექსანდრე პოტიომკინის რომანი “Solo Mono” განიხილვს პოსტმოდერნისტული ეპოქის უღრესად საინტერესო წარმომადგენლის ალექსანდრე ქუთათელაძის (პოტიომკინის) რომანს,რომელშიც ასახულია უახლოესი ტენდენციები მხატვრული სიტყვის სფეროში.სიახლეს წარმოადგენს როგორც ჰიპერტექსტული თხრობის მანერა(როდესაც ერთი კომპოზიციური მთლიანობის ფარგლებში ხდება განსხვავებული სემიოფაქტურული ფრაგმენტების გადაბმა,ასევე ლინგვოპერსონოლოგიური მიდგომა,რომელიც საშუალებას აძლევს მწერალს მოქმედი პერსონაჟები რეალურ კომუნიკაციურ სივრცეში მოათავსოს და შესაბამისი ზეგავლენა მოახდინოს მკითხველის ცნობიერებაზე.

7.ნ..ბასილია. გლობალიზაციის ხანაში მწერლობასთან დაკავშირებული ცნებების დეფინიციები

გლობალიზაციის ეპოქაში ტრადიციულ ხელოვნებასა და ახალ ლიტერატურულ ჟანრებს შორის არჩევანის აუცილებლობა დინა რუბინას ნაწარმოებში ”სინდიკატი” გადაწყვეტილია მხატვრული თხრობის ახალი ფორმის - გროტესკული, ფარსული რომან - კომიქსის შექმნით. მრავალმხრივი, ბევრი შრისგან, ფრაგმენტისა და თემისგან შემდგარი ტექსტი ჰეტეროგენული სტილით და ჟანრით, კომედიისა და ტრაგედიის ორგანული შერწყმით, განსხვავებული ემოციური ინტენსივობით, ხან იუმორისტულად და ხან ტრაგიკულად შეფერილი, ქმნის სხვებისგან განსხვავებულ ავტორის თხრობას. რომან -კომიქსში „სინდიკატი“ მრავალფეროვანია ლექსიკურ - ფრაზეოლოგიოლოგიური საშუალებები, კერძოდ, დეფინიციური კონსტრუქციები, რომლებიც მწერლის შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ცნებების ნომინაციებით მოულოდნელი ლექსიკური შევსებით ხასიათდება. სტატიაში განხილულია ორი პერსონაჟის - მწერლების დინას და მარინას ცნებების "მწერალი", "შემოქმედება", "მსოფლმხედველობა" დეფინიციები, რომელიც მწერალ დინა რუბინას სხვადასხვა სახეს წარმოადგენს.

8.ნ.ბასილაია. ანა ახმატოვას პროზის სტილისტური თავისებურება

ახმატოვის პროზაული ტექსტის ფენომენი არის შეუდარებელი ინდივიდუალური მხატვრული სისტემა, რომელიც ჟანრული ორიგინალურობით, გარკვეული დაუსრულებლობით, ფრაგმენტაციით, სხვადასხვა მოვლენების გაშუქების პუბლიცისტური ხერხებისა და ღრმა ლიტერატურული მეცნიერული ანალიზის ერთობლიობით ხასიათდება. სტატიაში განხილულია ანა ახმატოვას ორი ესე - ”სიტყვა პუშკინის შესახებ” (ახმატოვა 1977, გვ. 551-552), რომლის ნაწარმოებების შესწავლას ახმატოვამ 20 წელი მიუძღვნა და "მას ყველაფერი ემორჩილებოდა" (ახმატოვა 1977, გვ. 553-554), ლერმონტოვთან დაკავშირებით, რომლის ნიჭსაც იგი ეთაყვანებოდა, რაც სათაურიდანაც ჩანს. ეს მცირე, ორგვერდიანი ნამუშევრები ანა ახმატოვას პუბლიცისტური პროზის მაგალითებია, რომელიც განმსჭვალულია ისტორიული და ლიტერატურული ალუზიებით, პოეტური ასოციაციებით - ე.წ. "ვერტიკალური კონტექსტით", რომლის საშუალებითაც პოეტური ტექსტი იღებს მეორე განზომილებას და ჩართულია განხილულ ესეებში, რომელიც ასევე შეიცავს პუშკინისა და ლერმონტოვის პოეტური ტექსტებიდან ნაწყვეტების პირდაპირ ციტირებას.

9. ნ. ბასილაია . იდეოლოგიის ზეწოლა, დროის დიქტატი თუ არასწორად შერჩეული მეთოდოლოგიური საფუძველი? (გერმანულენოვან ტოპონიმთა რუსული და ქართული ეკვივალენტების ისტორიულ-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით)

გერმანულენოვან არატრანსლირებად საკუთარ სახელთა შემოსვლა ქართულში რუსულის გავლით (ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებში) საუკუნეებს ითვლის. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში უზუსად ითვლებოდა, ნებისმიერი ენდონიმის ქართული ვერსია შეძლებისდაგვარად მიგვესადაგებინა რუსულის, როგორც შუალედური ენის, ნორმისადმი. ამ პროცესში ყურადღების მიღმა

რჩებოდა ამოსავალი ენის ონიმური ერთეული, არასრულყოფილად რეალიზდებოდა ქართულის, როგორც სამიზნე ენის ფონოლოგიური შესაძლებლობები, ირღვეოდა ტრანსლიტერაციის მეთოდოლოგიური საფუძველი – ამოსავალი და სამიზნე ენების ფონოტაქტიკურ და გრაფოტაქტიკურ კანონზომიერებათა კონტრასტულ ანალიზზე დაყრდნობის პრინციპი. შედეგად ვიღებდით არასწორად ტრანსფერირებულ ენდონიმს ან ასევე დამახინჯებულ, ხშირად ნახევრად თარგმნილ (აპელატიური კომპონენტების შემცველობის შემთხვევაში) ინტერრეგიონალურ ალონიმს, ერთი სახელის რამდენიმე ვარიანტს; საგულისხმოა, რომ ეგზონიმთა არსებობის ფაქტები ქართულში არ დაფიქსირებულა. ეს პროცესები, ისევე როგორც მცდარ ფორმათა აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები, საგანგებოდ გვაქვს აღწერილი ქართულ- და გერმანულენოვან პუბლიკაციებში (მ. ანდრაზაშვილი).

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე წინამდებარე გამოკვლევის ავტორები ერთდროულად ამოდიან სლავისტიკისა და გერმანისტიკის პოზიციიდან და აქცენტის გადატანით ფენომენის ისტორიიდან მის გამომწვევ მიზეზზე, მიზნად ისახავენ იმსჯელონ, იყო ეს მოვლენები შედეგი საბჭოთა პირობებში ფეხმოკიდებული იდეოლოგიური ზეწოლისა, არსებული „კარჩაკეტილობის“ ფონზე მედიალური ენების ავტორიტეტის უნებლიე ზრდისა, თუ პირველ რიგში კარნახი დროის/მოდის დიქტატისა, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ტრანსლიტერაციის იმდროინდელ ტრადიციებს, და რომელსაც უპირველესად გვერდი ვერ აუარა სლავური ჯგუფის ენებმა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად (გერმანულ ონომასტიკურ სკოლაზე დაყრდნობით: ციფონუნი, კოსი, ნიუბლინგი) არჩევანი შევაჩერეთ საკუთრივ *ტოპონიმებზე* – ონიმური სუბკლასის ყველაზე რეპრეზენტაბელურ ქვეჯგუფზე (საგულისხმოა, რომ რუსული სკოლა: იარცევა, პოდოლსკაია, სუპერანსკაია და სხვ. საკუთარ სახელთა სუბკლასში მოიაზრებს გაცილებით მეტ თემატურ ქვეჯგუფს); შევისწავლეთ ისინი, ერთი მხრივ, სლავური ჯგუფის ენებზე შესრულებულ უახლეს ინტერნეტსაიტებზე, მეორე მხრივ კი, ბოლო ხანებში ქართულად შედგენილ გერმანიის რუკებზე დაყრდნობით (*პალიტრა-L*-ისა და *ელფის*, ასევე ინტერნეტსაიტზე htt://ka.wikipedia.org/wiki/გერმანია განთავსებული პოლიტიკური და ფიზიკური რუკები).

ჩვენს ხელთ არსებული აქტუალური მასალის ანალიზმა გამოკვეთა გერმანულ ტოპონიმთა ტრანსფერირების ორი ტენდენცია:

1. სლავური ენების მხრიდან ტრადიციის დარღვევა და ორიენტაციის აღება ამჯერად უკვე ამოსავალი ენის ენდონიმზე, რასაც დიფტონგის კორიგირების ქვემომოტანილი ნიმუშებიც მოწმობს: Лайпциг ← Лейпциг / Мангайм ← Мангейм / Нойшванштайн ← Нейшванштейн / Нойбах ← Нейбах და ა.შ. (http://bg.toponavi.com/48778; https://uk.wikipedia.org/wiki/Мангайм; https://uk.wikipedia.org/wiki/Нойшванштайн; https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1067188); საგულისხმოა, რომ აღწერილი ტენდენცია რუსულში უფრო სუსტად არის გამოხატული სხვა სლავურ ენებთან შედარებით, მაშინ როცა ის ქართულში უკვე გასული საუკუნის სამოციან წლებში ფიქსირდება.
2. გერმანულ ტოპონიმთა შემოსვლა ქართულში ახლა უკვე ინგლისურის გავლით, რასაც ინგლისურის გავლენის ქვეშ მოქცეული გერმანიის თანამედროვე ქართულენოვანი რუკებიც მოწმობს; ამას თავიდან მოჰყვა შედეგად გერმანული ენდონიმების ხელოვნური დამახინჯება, მაშინ როცა შეცდომისადმი წინაღდგომის პოტენციალი ქართულს უდავოდ გააჩნდა: *ბასუმი ← Büsum → ბიუზუმი / *სილტი ← Sylt → ზიულტი / *კოლოგნე ← Köln → კიოლნი და ა.შ.

დასახელებულ ფაქტებზე დაყრდნობით ავტორები ცდილობენ, თანამიმდევრული მსჯელობით შუქი მოფინონ სათაურში გამოკვეთილ პრობლემას და არ დატოვონ ის მხოლოდ რიტორიკული შეკითხვის დონეზე.

10.ნ. ბასილაია .ქართული ტოპონიმების ენობრივი სემანტიკა ბულატ ოკუჯავას ნაწარმოებებში, როგორც ეროვნული ეთნოკულტურის ანარეკლი

მსოფლიოს ორი ენობრივი სურათის შერწყმა, შეთავსება და ურთიერთგამჭოლობა, რომელიც სხვადასხვა ეთნოკულტურის გამოვლენას წარმოადგენს, არის ბულატ ოკუჯავას მოღვაწეობის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომლის ნამუშევრებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი რუსული და ქართული ტოპონიმური ნომინაციები - ერთი მხრივ, მოსკოვი და მისი „მიმდებარე ქუჩები“: ბარაბანნი შესახვევი, მალაია ბრონაია, ნეგლინაია, ვოლხონკა და, რა თქმა უნდა, არბატი, და, მეორე მხრივ, საქართველო, მისი რეგიონები, ქალაქები და დასახლებები. არაერთი გამოკვლევა დაიწერა ბულატ ოკუჯავას ლექსებში რუსული ტოპონიმების შესახებ, ხოლო მისი პოეზიის ქართული კომპონენტი ფაქტობრივად არ არის გაშუქებული, თუმც პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ნაწარმოებებს საქართველოს შესახებ, რომელიც ტოპონიმიკური ლექსიკით არის გაჯერებული. ესენია ორიგინალური ლექსები და იოსებ ნონეშვილის, ხუტა ბერულავას, ოთარ ჭელიძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მიხეილ ქვლივიძის ლექსებისა და მიხეილ ჯავახიშვილის პროზის თარგმანები. თარგმანებსა და საქართველოსადმი მიძღვნილ ბულატ ოკუჯავას ლექსებში წინა პლანზე მისი ნამდვილი სამშობლოს აღიარება იწევს, რომელსაც მან გულისამაჩუყებელი სიტყვები მიუძღვნა: "*Но когда за грань покоя приступлю я налегке, крикни что-нибудь такое на грузинском языке. Крикни громче, сделай милость, чтоб на миг поверил я, будто это лишь приснилось – жизнь моя и смерть моя*". ბულატ ოკუჯავას პოეტურ დისკურსში ეროვნული ეთნოკულტურის ამსახველი ქართული ტოპონიმების სხვადასხვა სემანტიკური გარდაქმნის შესაძლებლობა, ინფორმაციით მათი აბსოლუტური გაჯერება ნათლად მჟღავნდება.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ხელმძღვანელი;

დემურ ჯალაღონია პროფესორი

სამეცნიერო ერთეულის სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობა:

ფილოსოფიის ისტორიის კათედრა

1.ლელა ალექსიძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
2.მამუკა სურმავა – ასოცირებული პროფესორი

თეორიული ფილოსოფიის კათედრა

3. ვალერიან რამიშვილი-პროფესორი (კათედრისხელმძღვანელი)
4.ნაპო კვარაცხელია – ასოცირებული პროფესორი

5. ნინო თომაშვილი – ასოცირებული პროფესორი

პოლიტიკური ფილოსოფიის კათედრა

6. დემური ჯალაღონია-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

7. მამუკა დოლიძე – ასოცირებული პროფესორი

ესთეტიკის და კულტურის ფილოსოფიის კათედრა

8.აკაკი ყულიჯანიშვილი-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

9.ნანა გულიაშვილი-ასისტენტ.პროფესორი

ეთიკის და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა

10.ირაკლი ბრაჭული – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

11.ანასტასია ზაქარიაძე – ასოცირებული პროფესორი

ანთიმოზ ივარიელის სახელობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სამეცნიერო კვლევის ცენტრი, ხელმძღ. ასოც.პროფ. ა. ზაქარიაძე

- **შემდგომში, აღნიშნული რიცხვითი ნუმერაციით ნაჩვენები იქნება პროფესორების აქტივობები**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული			

შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლელა ალექსიძე	ნეოპლატონიზმი თავისუფლებისა და ნამდვილი *მე*-ს ძიებაში 9789941468629	თბილისი, თსუ, ლოგოსი	421
2	ნაპო კვარაცხელია	შემეცნების თეორია	შპს გამომცემლობა კარპე დიემ	204 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.წიგნის ძირითადი მიზანი ანტიკური ნეოპლატონიზმის (III-VI საუკუნეები) ფარგლებში თავისუფლების და ნამდვილი "მე"-ს გაგების კვლევაა. ეს არის პირველი ვრცელი მონოგრაფია ნეოპლატონიზმის შესახებ ქართულ ენაზე. ძირითადი ფილოსოფოსები, რომლეთა შემოქმედებაშიც თავისუფლებისა და ნამდვილი 'მე'-ს საკითხებია წიგნში გამოკვლეული, არიან პლოტინი, პორფირიოსი, იამბლიქოსი, პროკლე და დამასკიოსი. წიგნის შედარებით მცირე მონაკვეთი ეძღვნება სიმპლიკიოსსაც. საკვლევი პრობლემებიდან გამომდინარე, წიგნი მოიცავს მეტაფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიკისა და ეთიკის სფეროებს. წიგნი სამი ნაწილისგან შედგება. მათგან პირველი ნაწილი ძირითადია, სწორედ ის ეძღვნება ანტიკურ ნეოპლატონიზმს. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია თავისუფლებისა და მე-ს თემას შუა საუკუნეებისა ქართულ ფილოსოფიაში (პეტრიწი) და ბიზანტიურ ჰუმანიზმში (პეტრიწი). წიგნის მესამე ნაწილში შესწავლილია ამავე თემების გამოძახილი მეოცე საუკუნის აზროვნებაში (რილკე, გაბრიელ მარსელი, პოლ რიკიორი). წიგნს ერთვის ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე. წიგნის ავტორის მიზანი, ანტიკური ნეოპლატონიზმის ხსენებული საკითხების აკადემიურ კვლევასთან ერთად, მათი პერმანენტული აქტუალობის ჩვენებაც იყო, რამაც წიგნის აღნიშნული სტრუქტურა და მისი მეორე და მესამე ნაწილების შინაარსი განაპირობა

2. შემეცნების თეორია, რომელიც გამიზნულ-გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ. მასში განხილულია შემეცნების თეორიის განვითარების სამი ეტაპი-შემობრუნება: სოკრატეს ანთროპოლოგია, დეკარტეს კოგიტო-დებულების ჩამოყალიბება და კანტის მიერ მოხდენილი კოპერნიკული შემობრუნება შემეცნების გაგებაში.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლელა ალექსიძე	ნეოპლატონიზმი თავისუფლებისა და ნამდვილი მე-ს ძიებაში 9789941468629	თბილისი, თსუ, ლოგოსი	421
2	აკაკი ყულიჯანიშვილი	შემოქმედების	თსუ ელ. ვერსია	230

		ფენომენოლოგია		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.წიგნის ძირითადი მიზანი ანტიკური ნეოპლატონიზმის (III-VI საუკუნეები) ფარგლებში თავისუფლების და ნამდვილი “მე”-ს გაგების კვლევაა. ეს არის პირველი ვრცელი მონოგრაფია ნეოპლატონიზმის შესახებ ქართულ ენაზე. ძირითადი ფილოსოფოსები, რომლეთა შემოქმედებაშიც თავისუფლებისა და ნამდვილი ‘მე’-ს საკითხებია წიგნში გამოკვლეული, არიან პლოტინი, პორფირიოსი, იამბლიქოსი, პროკლე და დამასკიოსი. წიგნის შედარებით მცირე მონაკვეთი ეძღვნება სიმპლიკიოსსაც. საკვლევი პრობლემებიდან გამომდინარე, წიგნი მოიცავს მეტაფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიკისა და ეთიკის სფეროებს. წიგნი სამი ნაწილისგან შედგება. მათგან პირველი ნაწილი ძირითადია, სწორედ ის ეძღვნება ანტიკურ ნეოპლატონიზმს. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია თავისუფლებისა და მე-ს თემას შუა საუკუნეებისა ქართულ ფილოსოფიაში (პეტრიწი) და ბიზანტიურ ჰუმანიზმში (პეტრიწი). წიგნის მესამე ნაწილში შესწავლილია ამავე თემების გამოძახილი მეოცე საუკუნის აზროვნებაში (რილკე, გაბრიელ მარსელი, პოლ რიკიორი). წიგნს ერთვის ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე. წიგნის ავტორის მიზანი, ანტიკური ნეოპლატონიზმის ხსენებული საკითხების აკადემიურ კვლევასთან ერთად, მათი პერმანენტული აქტუალობის ჩვენებაც იყო, რამაც წიგნის აღნიშნული სტრუქტურა და მისი მეორე და მესამე ნაწილების შინაარსი განაპირობა. სახელმძღვანელოში განხილულია შემოქმედების რთული და მრავალმხრივი ფენომენი.
2. შემოქმედების ბუნება გარკვეულია ადამიანის სხვა ფორმებთან მიმართებაში. შემოქმედებით იქმნება პრაქტიკული სამყაროს ლოგოსი. პოზიტიურ ნაწილთან ერთად ვრცელი მიმოხილვაა საკითხის ფილოსოფიურ ისტორიული თვალსაზრისით.

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აკაკი ყულიჯანიშვილი	ბათუმის უნივერსი-ტეტის შრომები სტატიის სახელწო-დება ქსელური კულტურა - ცოდნა და ძალაუფლება	ქ. ბათუმი	8
2	აკაკი ყულიჯანიშვი-ლი, თარგმნა და კომენტარები დოქტორანტ არჩილ ხატიაშვილთან ერთად	ვ. ჩერქეზიშვილის 150 წ. კრებული ვ. ჩერქეზიშვილის ერთი უცნობი სტატიის შესახებ	თსუ	28
3	აკაკი ყულიჯანიშვი-ლი ნინო მშვენიერაძე	კანტის ანთროპოლო-გიური კონცეფცია. რედაქტორის წინასიტყვაობა	მერიდიანი	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.საჯარო კომუნიკაციების ინფორმაციული სიჭარბისა და გამჭვირვალობის ეპოქაში ყალიბდება ე.წ. ანონიმური საზოგადოების ქსელური კულტურა. არსებულ საზოგადოებაში ცოდნა წყვეტს

თვითმიზნურ ხასიათს და იქცევა ძალაუფლების ინსტრუმენტად.

2.ვარლამ ჩერქეზიშვილის აქამდე უცნობი სტატია, გერმანულ ენაზე რომელიც გამოიცა გერმანიაში 1909 წელს და ეხება რუსეთის პირველ რევოლუციას. მისი სახელწოდებაა ,,კრიზისი რუსეთში“. მოხდა მისი თარგმნა დოქტორანტ ა. ხატიაშვილთან ერთად კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ა. ყულიჯანიშვილმა. სადაც აღნიშნულია გამოჩენილი ქართველი ანარქისტის მსოფლმხედველობის ანალიზი.

3.რედაქტორის წინასიტყვაობაში ხაზგასმულია კანტის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ. გატარებულია აზრი, რომ კანტის დოგმატური და კრიტიკული

პერიოდების ნაშრომებს შორის არც ისეთი სადემარკაციო ხაზია გავლებული, როგორც ეს

აქამდე მიიჩნეოდა ფილოსოფიის ისტორიკოსების მიერ. კანტის ანთროპოლოგიურ ჩანაწერებში შესაძლებელია აღმოვაჩინოთ ყველა ის იდეა რომელიც კრიტიკულ პერიოდში განავითარა მან.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დემურ ჯალაღონია	შალვა ნუცუბიძის ფენომენი ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 9	თსუ გამომცემლობა	11-17
2	დემურ ჯალაღონია	ლიბერალიზმი და ამერიკული ცხოვრების წესი ISSN 1512-1585	ამერიკის შესწავლის საკითხები # 7	თსუ გამომცემლობა	2006-2014
3	დემურ ჯალაღონია	ორგანოტროპული თეორია: ქართული სულის მეტაფიზიკური გააზრება	ქართველოლოგია		
4	ირაკლი	შალვა ნუცუბიძე: ალეთოელოგიური	ფილოსოფიურ-	თსუ გამომცემლობა	

	ბრაჭული	რედუქცია და უსასრულო დასკვნა ISSN 2233-3568	თეოლოგიური მიმომხილველი# 9		17-21
5.	ირაკლი ბრაჭული	ფრანსუა ზურაბიშვილი, სიმრავლე: სხვაობა და განმეორება, ფრანგულიდან თარგმანი და კომენტარები ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 9	თსუ გამომცემლობა	128-134
6	ირაკლი ბრაჭული	ცვლილებები ამერიკული თავისუფლების ფილოსოფიაში: კრეაციონიზმისა და ევოლუციონიზმის მოდელები ISSN 1512-1585	ამერიკის შესწავლის საკითხები # 7	თსუ გამომცემლობა	289-301
7.	ანასტასია ზაქარიაძე	დეკონსტრუქციის ამერიკული ვერსია ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 9	თსუ გამომცემლობა	182-201
8.	ანასტასია ზაქარიაძე	ფრედრიკ ჯეიმის-ონი “პოსტმოდე-რნიზმი და მომხმ-არებელთა საზოგა-დოება“ ინგლისუ-რიდან თარგმანი და კომენტარები ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 9	თსუ გამომცემლობა	209-212
9	ანასტასია ზაქარიაძე	სამყაროს ამერიკული ვერსია -რიჩარდ	ამერიკის შესწავლის საკითხები # 7	თსუ გამომცემლობა	304-313

		რორტი ISSN 1512-1585			
10	ანასტასია ზაქარიაძე	გლობალიზაცია და ბიოეთიკური გამოწვევები	ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში	ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	49-50
11	მამუკა დოლიძე	ქართული რენესანსი და ფენომენოლო გია ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ – თეოლოგიური მიმომხილველი #9 2019	თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 44 - 51
12	ნაპო კვარაცხელია	აზროვნების პოლიფონიურობა და პლურალიზმი (პლატონი და კარლ პოპერი) ISSN 2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 9	თსუ გამომცემლობა	78-83
13	ნანა გულიაშვილი	მოდერნული იდეები ფრანც კაფკას შემოქმედებაში	ფილოსოფიური ძიებანი ტ.XXIII	ქ. თბილისი ,,უნივერსალი“2019წ	
14	ნანა გულიაშვილი	ესთეტიზმი და ესთეტიკა ანტიკურობის კლასიკურ პერიოდში.	კრებული სერგი დანელია 125	ქ.ზუგდიდი ჩაშვებულია დასაბეჭდად	
15	ნანა გულიაშვილი	ფრ. შლეგელი ანტიკური და რომანტიზმის ესთეტიკის შესახებ	ფილოსოფიური ძიებანი ტ.XXIV	ქ. თბილისი ,,უნივერსალი“ ჩაშვებულია დასაბეჭდად	გვ.111-138
	ვალერიან	ყოფიერების მიღმა	ფილოსოფიურ-		

16	რამიშვილი	ISSN 2233-3568	თეოლოგიური მიმომხილველი#9	თსუ გამომცემლობა, თბილისი	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.გასული საუკუნის 20-იან წლებში შალვა ნუცუბიძემ განაცხადა: ,,დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დავძლევთ დასავლეთის აზროვნებას; უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთებიც არსებობს", ამის თქმას დიდი გამბედაობა და მასშტაბური გონება სჭირდებოდა. მან დასახული მისია ზედმიწევნით განახორციელა.

ეს ის დროა, როდესაც საქართველოში მოაზროვნეების, პროფესორების, ინტელექტუალების, ხელოვანების გაუჩინარების ეპოქა იწყებოდა.

შალვა ნუცუბიძემ ყველაფერი იწვნია. მან ფილოსოფოსობის ისეთი გზა განვლო, რის დაძლევას დიდ მოაზროვნეთა შორის რჩეულნი თუ მოახერხებდნენ. იგი არაერთხელ შეურაცხყვეს სიცოცხლეში – დევნა და გარიყვა არ აცდა სიმართლის გზაზე მავალს. საბჭოთა იმპერია ფიზიკურად შეეხო, მაგრამ გონება და სული კი ვერ დაუთრგუნა ჭეშმარიტების მაძიებელს.

შალვა ნუცუბიძემ შეძლო მსოფლიოს ელაპარაკა მის მიერ ორ დიდ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენაზე. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების ავტორია მე-5 საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. ხოლო აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით კი, მან საკაცობრიო აზროვნებასა და კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა; აღმოსავლური რენესანსი საუკუნეებით უსწრებს დასავლეთისას.

მან შექმნა ქართული ფილოსოფიური სკოლა.

შალვა ნუცუბიძე თავის ნაშრომის, „ფილოსოფიის შესავლის" წინასიტყვაობას ასე ასრულებს: ,,მშობლიურ ნიადაგზე მეცნიერების აღორძინებამ ფრთები შეასხა არაერთ ოცნებას. წინამდებარე წიგნი ნაწილია ამ ოცნებათა განხორციელების რიჟრაჟისა. მასში ბევრი ნაკლია, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების დღეს მოესწრება, გვაპატიებს იმ ბურუსს, რომელიც განთიადის თანმხლებია". შალვა ნუცუბიძემ ყველაფერი გააკეთა ამ ბურუსის გასაფანტად.

მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართული მათემატიკური, ფიზოლოგიური, ფსიქოლოგიური სკოლების გვერდით ქართული ფილოსოფიური სკოლაც არსებობს და დღევანდელი სწავლულნი დასავლეთში მსჯელობენ ნუცუბიძისეულ აღმოსავლური რენენსასის თეორიაზე თუ არეოპაგელის ავტორ პეტრე იბერზე.

რაც უფრო უღრმავდებოდა იგი საკუთარ სულს და აზროვნების ფენომენს მით უფრო ძლიერი ხდებოდა. ის რჩეული იყო, რადგან განსაკუთრებული მისია დააკისრა განგებამ. მისთვის ,,ადამიანი უსაზღვროდ მეტია ადამიანზე"... და ეს ,,მეტა" ანუ თავისთავად არსებული იყო მისი კვლევის საგანი.

ჯერ-ჯერობით მისი სულიერება დაფარულია და შემოქმედება სრულყოფილად არ არის გააზრებული.

2.1936 წ. საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კომპანიის დროს ერთ-ერთმა კანდიდატმა ალფრედ ლენდონმა წამოაყენა ლოზუნგი: "გადავარჩინოთ ამერიკული ცხოვრების წესი". ეს ლოზუნგი მიმართული იყო რუზველტის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ უარყოფდა მას თავისი ახალი პროგრამით.

ეს გამოთქმა თითქოს საიდუმლოების მომცველი იყო, მაგრამ იგი რაიმე ახალს არ წარმოადგენდა, არამედ წარმოადგენს შემცველ სიტყვას – ევფემიზმს. "ეს სიტყვაა – კაპიტალიზმი".

ამერიკელი დიპლომატი ერიკ ჯონსონი აღნიშნავს: ჩვენ გვეშინია ყველა საგანს ვუწოდოთ თავისი სახელი. ჩვენ ვფრთხილობთ იმიტომ, რომ სიტყვა კაპიტალიზმი არ არის პოპულარული. ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ "თავისუფალ მეწარმეთა სისტემაზე" და ეროვნული დროშით ვინიღბებით, როცა ვმსჯელობთ "ამერიკული ცხოვრების წესზე". (2)

დღესაც, როდესაც ცივი ომი დასრულდა, დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, სოციალურმა და ინტელექტუალურმა ცვლილებებმა ამერიკული თვითშეგნების მართებულობის და ვარგისიანობის საკითხი წამოსწია წინა პლანზე.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ჰატინგტონი აღნიშნავს დაისვა დიდი კითხვა: რას ნიშნავს და რაღა აზრი აქვს ამერიკელობას და რა მოუვა ამერიკელთა ეროვნულ ინტერესებს.

ეროვნული ინტერესები საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ის ერთი მხრივ უსაფრთხოების და მატერიალურის, მეორე მხრივ კი მორალურ და ეთიკურ საზრუნავს მოიცავს.

როგორც სწავლულები აღნიშნავენ, იწყება ახალი ეტაპი: ახალი მიზნების ძიება, რომელიც ამერიკას ისეთივე როლს დაუბრუნებს დღევანდელ მსოფლიოში, როგორიც ცივი ომის დრო გააჩნდა. რადგან დღეს ამერიკის ზესახელმწიფოებრიობაზე ქვეყნები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. რეაგირება არღვევს (ყოველ შემთხვევაში ზიანს აყენებს) სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც მიმართულია მსოფლიო წესრიგისაკენ. ყოველივე ეს მომავალში ახალი ალიანსებს წარმოქმნის და მოხდება ანტაგონიზმის ახალი სახით ფორმირება.

ამერიკული ცხოვრების განსაკუთრებულობის შესახებ გაბატონებული შეხედულებების მიმართ ზოგიერთ ამერიკელში თანდათან ჩნდება ეჭვი. უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ათიოდე წლის წინ ორი ძალზედ გახმაურებული წიგნის და სტატიის გამოქვეყნება. პირველი გახლავთ ფრანსის ფუკუიამას - "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", რომლის მთავარი აზრი ისაა, რომ დემოკრატია გაიმარჯვებს და მსოფლიოში კონფლიქტები აღმოიფხვრება. მეორეა – ჰანტიგტონის "ცივილიზაციათა შეჯახება", სადაც ის დაუპირისპირდა "ისტორიის დასასრულს". მისი აზრით ცივი ომის შემდეგ კონფლიქტები სახეს იცვლიან. ხოლო მომავალი კონფლიქტების წყარო იქნება კულტურული და ცივილიზაციური განსხვავებები. (3, 4.)

"ცივი ომის" დასრულებამ დააჩქარა მრავალპოლუსიანი სისტემის შექმნა. მეორე ინაუგურაციის დროს კლინტონმა განაცხადა "დღეს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს". "ნიუ-იორკ თაიმსის" მონაცემებით, დღეისათვის 3.1 მილიარდი ადამიანი დემოკრატიულ სახელმწიფოებში ცხოვრობს, 2,66 მილიარდი კი – არადემოკრატიულში.

3. ქართული საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპი ჩვენ წინაშე აყენებს კარდინალური და ფუნდამენტური ხასიათის არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას. ქართულმა საზოგადოებამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი უნდა შეინარჩუნოს და გახდეს თანამედროვე კაცობრიობის და მასში მიმდინარე პროცესების სრულყოფილი წევრი. ამისთვის აუცილებელია გაანალიზდეს ქართული ყოფიერების წესი, ეროვნული ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის სპეციფიკა.

ეროვნული სულის, ეროვნული ენერგიის და ეროვნული ხასიათის ფილოსოფიურ-სოციოლოგიურმა გააზრებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თანამედროვე სწრაფცვალებად სამყაროში, გლობალიზაციის პროცესში.

4. ალეთეოლოგიური რედუქცია წარმოადგენს შალვა ნუცუბიძის ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფციის ცენტრალურ, მეთოდურ ელემენტს. ავტორი ცდილობს ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქციისა და ეიდეტური რედუქციის მეთოდების მოდელირებას „არსებულზე წარმატებულისა" და „ჭეშმარიტება თავისთავადის" სფეროებში. აქ ხდება არა

მიღმური, ტრანსცენდენტური, იდეალური ნიმუშების არქეტიპული მოდელების ინტენციონალური დაფიქსირება, არამედ ხდომილებათა ურთიერთრეზონირება. ამ პუნქტში შეიძლება შალვა ნუცუბიძის თეორია შეხების წერტილში მოვიდეს სავლე წერეთლის ორიგინალურ კონცეპციასთან, რომელსაც ავტორმა „უსასრულო დასკვნის თეორია“ უწოდა. თავის თავში თვითმაფუძნებელი უსასრულო ხდომილება ამავე დროს შეიძლება განხილული იყოს, როგორც ჭეშმარიტების სფეროთა რეზონირება.

5.ფრანსუა ზურაბიშვილის ფილოსოფიური შემოქმედება სრულიად უცნობია საქართველოში, მაშინ როცა ის ყველაზე ცნობილია დასავლურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. განსაკუთრებით პოსტმოდერნულ მიმდინარეობაში. ზურაბიშვილის კონცეფცია წარმოადგენს ჟილ დელეზის ფილოსოფიურ გააზრებასთა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ორიგინალურ და ღრმა ინტერპრეტაციას, რომელიც იდენტობების ნაცვლად აქცენს აკეთებს განსხვავებულობებზე, გამეორებებსა და რიზომატულ გასხლტომებზე. პირველად პუბლიკაციაში წარმოდგენილია ფრანსუა ზურაბიშვილის ფილოსოფიური ტექსტის ქართული თარგმანი და შესაბამისი კომენტარი, რაც ასევე ერთ-ერთი პირველია ქართული პოსტმოდერნული ფილოსოფიური ლიტერატურის არტიკულაციის საქმეში. არსებული პუბლიკაცია პირველია და ფაქტობრივად საფუძველს უყრის ქართული წარმოავლობის ემიგრანტული ფილოსოფიური ლიტერატურის კვლევას, რომელიც შესრულებულია არაქართულ ენებზე. ზურაბიშვილის შემოქმედება ფრანგულ ენაზეა, ხოლო გივი მარგველაშვილისა გერმანულ ენაზე. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია ქართულ ენაზე თარგმნილი თარგმნილი.

6.პოსტმოდერნულ ფილოსოფიაში დეკონსტუქტივიზმის ტენდენციები, რომელიც ფრანგული ფილოსოფიიდან წამოვიდა, საკმაოდ აქტუალურ რეზონირებას პოულობს უახლოესი პერიოდის ამერიკულ ფილოსოფიაში, რომელის ცენტრალური თემა იდენტობხის პრობლემაა. იდენტობის ძველი მონისტური კონცეფცია თანდათან იცვლება პოლიიდენტობის კომპლექსური სქემით, სადაც ყოფილი, მეორადი იდენტობები ხშირად ექცევიან და ფარავენ იდენტობათა ყოფილ ფუნდამენტურ ფორმებს, თუმცა ისინი ვერ ახშობენ და სრულიად ვერ აქრობენ იმ ტრადიციულ ფუნდამენტურ იდენტობებს, რომელიც მათ ზურგს უკან განაგრძობენ ფარულ ფუნქციონირებას. მათ შეუძლიათ სათანადო სიტუაციაში იდენტობათა თავისუფალი თამაშის ველზე კვლავ მოახდინონ ვითარებხის ახალი კოდირება და კოდირებულის ხელახალი კოდირება.

7. დეკონსტრუქციის პროცესი იელის სკოლაში წარმოდგება, როგორც უკვე დემონტირებულის დემონსტრირება, და არა ტექსტის სტრუქტურის დემონაჟი. იელელი ნეოკრიტიკული ტრადიციის პირდაპირი გამგრძელებლები არიან. შესაბამისად, ისინი ინარჩუნებენ რედუქციის ნეოკრიტიკულ პრინციპს, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას მათ ფრჩხილების გარეთ გამოაქვთ ყველა გარეგანი გავლენა, ყველაფერი რაც არა ლიტერატურულია და არა ენობრივი. ამასთან უერთდებიან რა პოსტსტრუქტურალისტულ მიდგომას ტექსტის ინტერპრეტაციაში ჩართეს პიროვნება და მკითხველი (ანუ საკუთარი თავი, კრიტიკოსი). ამით მივიღეთ ახალი მიდგომა, სადაც გამოიკვეთა საინტერესო და ორიგინალური „ლიტერატურული უნივერსუმი“. იელის ნეოპრაგმატიკოსებთან სხვა ნეოკრიტიკული პრინციპებსაც ვხვდებით. მაგალითად, ნაწარმოები განიხილება როგორც ესთეტიკური ობიექტი; ფორმა და შინაარსი - როგორც ორგანული განუყოფელი ერთობა, რომელშიც შინაარსი იძენს ფორმალურ ნიშნებს, ფორმა-შინაარსობრივს, ნაწარმოები განიხილება როგორც სტრუქტურა რომელიც, რაღაცა დონეზე, დამოუკიდებელია პიროვნებისა და ადამიანი-ავტორი კონტექსტისაგან. ანალიზისა და კრიტიკის პრიზმაში გატარებული ყველა ეს პრინციპი, სახეცვლილ სახით, ინარჩუნებს ძირითად ნეოკრიტიკულ

მეთოდოლოგიურ მიდგომებს. მაგრამ პოსტსტრუქტურალიზმის მეთოდების გამოყენება (დეკონსტრუქცია, ობიექტის სტრუქტურაში სუბიექტის აქტიური შთანერგვით სუბიექტ-ობიექტური ოპოზიციის მოხსნა, ინტერტექსტუალურობის გაგება) წაკითხვას ნეოკრიტიკულ „ფენომენოლოგიურ“ პრინციპებსა და მეთოდებთან ერთად საინტერესო თეორიების აგების საშუალებას აძლევს იელელებს. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვის “მეთოდი“ გამოყენება ისეთი ცნებების გვერდით როგორიცაა “დეკონსტრუქცია“, „ინტერტექსტუალობა“ იელის სკოლისთვის სრულიად მისაღებია. იგი მეთოდოლოგიურ მნიშვნელობის იძენს. მათ მიაჩნიათ, რომ შესაძლებელი ხდება, გარე რეფერენციალური ფაქტორების გარეშე, თავად ენობრივი სტრუქტურის შიგნით მოქცეული ინტერპრეტაციული სირთულეების მიზეზების გამოვლენა. სტატიაში გაანალიზებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც იელის სკოლა ხელმძღვანელობს ტექტსთან მისასვლელად ასევე ამ სკოლის თვალოსაჩინო წარმომადგენელის ფრედრიკ ჯეიმისონის ფილოსოფიური კონცეფცია.

8.XX და XXI საუკუნეთა გასაყარზე ფილოსოფიის კრიზისის თემა თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში კვლავ ფართო დისკუსიის საგნად იქცა. ამ თემას ბუნებრივია ვერც ამერიკული პოსტმოდერმული ფილოსოფიის ცენტრალურმა ფიგურამ, რიჩარდ რორტმა, აუარა გვერდი. მისი ბოლო წლების ნაშრომებში მოცემულია დასავლური ფილოსოფიის რადიკალურად ნეგატიური შეფასება; ფილოსოფიის“რეკონსტრუქციის”ორგინალური პროექტი, რომელიც გულისხმობს ეპისტემოლოგიის ლიტერატურული კრიტიკით ჩანაცვლებას. წარმოდგენილ კვლევაში ჩვენი ინტერესის საგანია რორტის ეპატაჟური ხასიათის უტოპიური წინასწარმეტყველები. თავად ავტორის აღიარებით მისი პოზიცია უმალ “თერაპევტული” ხასიათის მატარებელია, ვიდრე “სისტემურ-კონსტრუქციულისა”. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ რორტის პოსტმოდერნული დეკოსტრუქტივისტური სტრატეგია წინააღმდეგობრივია. ის ვერსია, რომელსაც იგი გვთავაზობს, ემპირიულად სტატიკურია. ნეოპოზიტივისტებისა და ანალიზური ფილოსოფიის საფუძვლიან კრიტიკას, რორტიმ გადააყოლა მათი ხედვის პოზიტიური მარცვლებიც. რორტი მსჯელობს უკიდურესობებით: ან-ან-ის პრინციპით, ან მკაცრი ემპირიზმი და სციენტიზმი, ან მეტაფორიზმის გარდა არაფერია მისაღები ემპირიზმისა და სციენტიზმისაგან. გონების გნოსეოლოგიურ შესაძლებლობებში იმედგაცრუებამ რორტში გამოიწვია ემპირიზმისა და ვერიფიკაციის სრული მიუღებლობა. მიგვაჩნია, რომ რორტისეული უტოპიური ანტიპოდელთა პლანეტის ვერსია მეტაფორაა. იგი საინტერესოა და ყურადსაღებია, როგორც გაფრთხილება სციენტიზმისკენ მიბრუნების მსურველთათვის.

9.რა ვალდებულებები აკისრია ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ელიტებს ადამიანის მიმართ თანამედროვე მკვეთრად ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში? სტატიაში დასაბუთებულია, რომ გლობალიზაციის მიერ გენერალიზირებული საფრთხეები და ცვალებადობანი მოითხოვს ერთის მხრივ ელიტების პრივილეგირებული უფლებების გადააზრებას და ასევე ინტერნაციონალიზებური ქცევისათვის ახალი ეთიკური პრინციპების დივერსიფიცირებას. ნაჩვენებია მორალის ფილოსოფოსების მიერ პრაქტიკულ ეთიკურ პრინციპების ძიების მცდელობები ბიოეთიკური დისკურსის სინელეებით აღსავსე ველზე. ინტეგრაციული ძალები ჩვენგან მოითხოვენ გაზრდილ პასუხისმგებლობას გლობალური გადაწყვეტილებების მიღების კონტროლის მიმართულებით და მორალური ღირებულებების მისაღები ზოგადი გაგების ძიებას. გლობალიზაციის მორალური გამოწვევები თავს იჩენს ღირებულებების-ფუნდამენტურ ცვლილებაში, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანური ღირსებიაზე,

10. სტატიაში ნაჩვენებია, რომ პლატონი არა-მხოლოდ ტოტალიტარულ საზოგადოების თეორიის შემქმნელია, როგორც ეს პოპერს მიაჩნია, არამედ თავისი დიალოგებიტ თანამედროვეობის

პლურალისტურ-პოლიფონიური აზროვნების თეორიული საფუძვლების შემქმნელიცაა.

11. მოდერნიზმი, როგორც მიმდინარეობა ხელოვნების ყველა დარგში განსაკუთრებულად გამოვლინდა. რა იყო ძირითადი მახასიათებლები? მოდერნისტული მწერლობის და ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულებამ თავის ერთ-ერთ დანიშნულებად გონების წინააღმდეგ შეტევა დაისახა. ამდენად, თუ ჩვენ გვინდა საერთო საფუძველი მოვუძებნოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ერთი ძირითადი ნიშანი არის ანტიინტელექტუალიზმი - ინტელექტის გაუფასურება.

მოდერნიზმი უპირისპირდება რეალიზმს და წარმოადგენს ავანგარდულ სახელოვნებო მიმდინარეობას. მის მიერ შექმნილი სამყარო საშინელებით, ტრაგიზმით სავსე სიზმარეული სამყაროა, რომელშიც ადამიანები ცივ საშინელ კონსტრუქციებად არის გადაქცეული. მოდერნიზმის თეორეტიკოსები აღიარებენ იმას, რომ ფროიდიზმმა მოახდინა უდიდესი გავლენა მთლიანად დასავლეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ფროიდიზმს უკავშირებენ ექსპრესიონიზმს , სიურეალიზმს, ეგზისტენციალიზმს, ,,ახალ რომანს.“

12. მშვენიერების ამ მარადიულ ნიმუშებზე ფილოსოფიური რეფლექსია ანტიკური კულტურის მონაპოვარია. რაც თავის მხრივ იქცა საფუძვლად შემდგომი ეპოქების ესთეტიკური აზრის განმსაზღვრელ პრინციპად.

ესთეტიკურ მიმართებას ბუნებისადმი, ანუ მშვენიერების აღქმა ანტიკური საბერძნეთის ხელოვნებაში უფრო დიდი მოვლენა იყო ისტორიულად, ვიდრე ბუნებისადმი რელიგიური დამოკიდებულება, რომელსაც აღმოსავლური კულტურა განიცდიდა. რაც შეეხება ბერძნულ კულტურას იგი ესთეტიზმით ხასიათდებოდა. ამიტომ ბერძნული ანტიკური კულტურა მშვენიერების აღქმის საფუძველიც იყო. სოკრატემ და პლატონმა პირველმა გააცნობიერეს, რომ გრძნობადი შემეცნების გარეშე ფილოსოფია არ შეიძლება იყოს სრულყოფილი. სოკრატემ და პლატონმა სინამდვილისადმი ესთეტიკური მიმართება ფილოსოფიური რეფლექსიის საგნად აქციეს.

13. ფრ. შლეგელი თავის ძმასთან ვილჰელმთან ერთად, ახალი რომანტიკული ესთეტიკისათვის ბრძოლას აწარმოებს ფიხტეს სუბიექტური ფილოსოფიის ნიადაგზე. მისი შეხედულების ძირითად წინამძღვრად ფიხტეს იდეალისტური ფილოსოფია წარმოდგება, კონკრეტულად კი ფიხტეს ნაშრომი ,,მოძღვრება მეცნიერების შესახებ.“

იენის რომანტიზმის ესთეტიკა ეყრდნობა სწორედ გერმანული კლასიკური იდეალიზმის მონაცემებს. ეს ჩანს ხელოვნების ბუნების, ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულების, ხელოვნებისა და იდეოლოგიის სხვა დარგებს შორის დამოკიდებულების გაგებაში. ესთეტიკის ამ ძირითადი საკითხების გარკვევისას რომანტიკოსები დგანან იდეალიზმის ნიადაგზე, და გადაჭრით ილაშქრებენ რეალისტური ესთეტიკის პრინციპების წინააღმდეგ.

ფრ. შლეგელი სუბიექტურ იდეალისტურ პოზიციაზე დგას, როდესაც ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულებას არკვევს. ხელოვნება, რომელსაც შლეგელები რომანტიკულს უწოდებენ, განსხვავდება კლასიკური, განმანათლებლური ხელოვნებისაგან არა მხოლოდ იმით, რომ უარყოფს ხელოვნების განმსაზღვრელ გარეგან ფაქტორებს, არამედ იმითაც, რომ არის უნივერსალური, მრავალი ჟანრის, ადამიანის სულიერი შემოქმედების მრავალი ფორმის შემცველი და გამაერთიანებელი.

,,რომანტიკული პოეზია“ - წერს ფრ. შლეგელი არის პროგრესული, უნივერსალური პოეზია;

მისი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ხელახლა გააერთიანოს პოეზიის ყველა განცალკევებული სახე, მოიყვანოს პოეზია ფილოსოფიასა და რიტორიკასთან შეხებაში.

რეზიუმე

16. როგორ გავიაზროთ და გამოვთქვათ ყოფიერების მიღმა. “ყოფიერების მიღმა”, როგორია ამ კითხვის სტატუსი, რამდენად ლეგიტიმურია ეს შეკითხვა და რას გულისხმობს იგი. მას შეიძლება ქონდეს შეკითხვის საზრისი: არის კი რაიმე არსებულთა მთლიანობის, ყოფიერების მიღმა? ან შეკითხვას შეიძლება ქონდეს ვითარების კონსტატირების მნიშვნელობა: ყოფიერების მიღმა გასვლის. კითხვის მიზანი შეიძლება იყოს სიცხადის მიღწევა იმის თაობაზე, რომ მიღწეულია თუ არა განაზრების საწყისი წერტილი, რადგან ფილოსოფია არის აზროვნება პირველი მიზეზების და უკანასკნელი მიზნების შესახებ. ამ შეკითხვაში საწყისი და უკანასკნელი მიზანი ერთიანდება, რადგან აზროვნების უკანასკნელი მიზანი არის საწყისის გაგების მიღწევა. იქნებ “ყოფიერების მიღმა” არის გამოხატულება გონების მოუსვენრობისა, ანდა რწმენის არქონისა, რომ საწყისი, საფუძველი, პირველმიზეზი მიღწეულია. იქნებ ეს არის ადამიანის გონების ზღვარის ძიება, ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის გონება სასრულოა, მაგრამ სად არის მისი შესაძლებლობის ზღვარი, ან იქნებ ეს არის ღმერთის, ყოფიერების მიუწვდომლობის გამოთქმა? მცდელობა გახვიდე, გაიაზრო „ყოფიერების მიღმა” სრულიად ცვლის აზროვნების ინტერესის მიმართულებას, ნაცვლად გააზრებისა თუ რა არის ყოფიერება, რატომ არის ყოფიერება და ყოფიერება არის აქტუალური ხდება შემდეგი საკითხების გარკვევა: რა არის ყოფიერების მიღმა, როგორ გავიდეთ ყოფიერების მიღმა და როგორ გავიაზროთ და გამოვთქვათ ყოფიერების მიღმა. ყოფიერების მიღმა გასვლის პრობლემა შეიძლება გავიგოთ როგორც ყოფიერების კონცეპტუალიზაციის თუ ონტოლოგიზაციის პრობლემა, ანუ როგორია ყოფიერების მიღმა, ზეყოფიერების ყოფნის წესი, ანუ როგორი შეიძლება იყოს ყოფიერების მიღმა ყოფნის წესი, რომლის მიმართ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არსებობს, ანდა როგორ უნდა მოვახდინოთ ამ ყოფიერების მიღმა ზეყოფიერების პრედიკაცია, ანუ როგორი უნდა იყოს ყოფიერების მიღმას გააზრების წესი, გვაქვს კი ჩვენ შესაბამისი ენა. ყოფიერების მიღმა არის ენის პრობლემა როგორც დერიდა თვლის, თუ ეს აზროვნების პრობლემაა. პოსტ ჰაიდეგერისეული აზროვნების თემაა Eრეიგნის-ის მიღმა გასვლა. ყოფიერების მიღმა არ არის არსებულთა მთლიანობის მიღმა გასვლა, არამედ ყოფიერების მყოფობის საფუძვლის დადგენა. ეს არის მცდელობა ახსნან სრულიად განსხვავებულის, როგორც სრული ტრანსცენდენტის, ზეყოფიერების მოცემულობა ამ სამყაროში, თუ ამ სრულიად განსხვავებული ყოფნის წესის დადგენა მის ზეყოფიერებაში. პლატონი ჰაიდეგერი და დერიდა სამივე მოაზროვნე ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას მათ შემოაქვთ ახალი კონცეპტები: კჰორა, Eრეიგნის, დიფფერანცე (ხორა, ხდომილება, ნაკვალევი). ყოფიერებას, სრულიად განსხვავებულს, სრულ ტრანსცენდენტს ადგილი აქვს, მოცემულია (ეს გიბტ) როგორც საჩუქარი, როგორც ნაკვალევი, როგორც ხორა. ჰაიდეგერის Eრეიგნის-ი არის მცდელობა ახსნას ამ ეს გიბტ-ის შესაძლებლობა, ანუ სრულიად განსხვავებულის, ტრანსცენდენტის მოცემულობა ამ სამყაროში. ხორა Eრეიგნის-ი და ნაკვალევი შეხვედრის ადგილია სრულიად განსხვავებულს, ტრანსცენდენტს და ამქვეყნიურობას შორის.

“ყოფიერების მიღმა” ონტოლოგიურად ნიშნავს ყოფიერების მიღმა ყოფნას, ხოლო როგორც სპეციფიკური აზროვნების წესი, ნიშნავს არა მარტო აზროვნების ახალი დონის გაცნობიერებას, არამედ ასევე ყოფიერების შენარჩუნებას ყოველგვარი დადებითი პრედიკაციის მიღმა, ნებისმიერი უარყოფის და თვით ყოფიერების, როგორც ასეთის, მიღმა. დერიდა აქცენტირებას აკეთებს დიფფერანცე-ს ნაკვალევის სრულ მიღმურობას და სრულ განსხვავებულობას, ჰაიდეგერი კი აქცენტირებას აკეთებს ამ სრულიად განსხვავებულის ადამიანისთვის მოცემულობის შესაძლებლობის ახსნაზე. მისი უპირველესი მიზანია ხდომილების გააზრება, რომ პარმენიდედან მომდინარე შეცდომა არ გაიმეოროს და ითვალისწინებს ქრისტიანობის გამოცდილების, ქრისტეს პარადიგმას.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამიშვილი ვალერიანი	Conference Proceedings ISBN 978-966-937-825-5	Yaroslav Mudryi National Law University, Kharkiv Ukraine	გვ. 98-103 (კრებული შედგება 404 გვერდისგან)
2	რამიშვილი ვალერიანი	Conference Proceedings ISBN 9789984844053	Riga, Latvia University of Latvia	გვ.38

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ადამიანი როგორც ფუნდამენტური ონტოლოგიური ხდომილება

სანამ ადამიანი არ გაიაზრებს რომ ის არის ფუნდამენტური ხდომილება და არა არსებულთა ბატონი,მანამ იგი ვერ გაიაზრებს რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა და აქედან გამომდინარე ადამიანად ყოფნის სწავლებას. ვინ უნდა ვიყოთ და ვინ ვართ. ვინ ვართ ჩვენ-დღეს ამას ქმნის ძალაუფლება “ტექნიკურად”, მედიით, რეკლამით, პოლიტიკური რაციონალობით და დღეს ადამიანის არსი არ დგინდება ადამიანის ადგილით კოსმოსში, ღმერთზე აზროვნებით, ყოფიერებასთან მიმართებით. ვინ ვართ როგორც პოსტმოდერნული, მომხმარებლური თუ გლობალური ინფორმაციული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. “ადამიანად ყოფნა” რომ ისწავლო უნდა იცოდე რა არის ადამიანი. ამრიგად

ადამიანის წინაშე რამდენიმე პრობლემა დგას: უნდა იცოდე რა არის ადამიანი და მეორე-უნდა "ისწავლო" ადამიანად ყოფნა, ანუ შეგიძლია არ იცოდე, ან არ იყო ადამიანი, მაგრამ ისწავლო "ადამიანად ყოფნა", აქ მთავარი აქცენტი გადატანილია სწორედ ამ "ისწავლო"-ზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი თანამედროვე სამყაროში. რას ნიშნავს "ისწავლე ადამიანად ყოფნა": ადამიანმა არ იცის რა არის ადამიანი და უნდა ისწავლოს ადამიანად ყოფნა თუ ადამიანმა იცის რა არის ადამიანი, მაგრამ არ ცხოვრობს ადამიანურად, ამიტომ უნდა ისწვლოს ადამიანად ყოფნა. რომ ისწავლო ადამიანად ყოფნა ჯერ უნდა იცოდე რა არის ადამიანი, და მეორე რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა და მესამე როგორ ვისწავლოთ ადამიანად ყოფნა? იყო ადამიანი, ისწავლო ადამიანად ყოფნა ერთეული ადამიანის პირადი არჩევანი და გადაწყვეტილებაა. მისი თავისუფლება ამაში უნდა მდგომარეობდეს. ისწავლო ადამიანად ყოფნა ნიშნავს ისწავლო თავისუფლად, ღირსეულად თუ მოაზროვნედ ყოფნა? რითი უნდა დავიწყოთ?

"კანტი განმანთლებლობის "გაბედე იაზროვნო" მიიჩნევს როგორც ხდომილებას, რომელიც ახლა მიმდინარეობს და ასევე როგორც მოვალეობას და როგორც ამოცანას. ჰაიდეგერმა ასე შეაჯამა კანტის ეს მცდელობა: ადამიანი აღარ აზროვნებს, ანუ კანტის მოწოდება უშედეგო აღმოჩნდა, ადამიანმა ეს მოწოდება გაიგო როგორც ბუნებისმეცნიერული შემეცნების განვითარების ასპექტით და უარი ფილოსოფიურ აზროვნებაზე და ისევ არასრულწლოვანებაში დარჩა. მაგრამ რამდენად სწორი იყო გონების მხოლოდ ტექნიკურ, ფორმალურ და ბუნებისმეცნიერული შემეცნებით გატაცება? რამაც ადამიანი მიიყვანა სულიერ და პოლიტიკურ კატაკლიზმებთან. ჰაიდეგერის აზრით, ადამიანმა უარი თქვა ყოფიერების აზროვნებაზე. კანტმა კონკრეტულად ვერ განსაზღვრა თუ რას გულისხმობდა გონების ფილოსოფიურ გამოყენებაში. კანტი ლაპარაკობს გონების განსხვავებულ მოხმარებაზე. როდესაც ადამიანი ფიქრობს თავის კერძო საქმეზე, მიზანზე და როდესაც ადამიანი როგორც ასეთი გონებას იყენებს და ფიქრობს ზოგად საკაცობრიო პრობლემაზე. ჰაიდეგერი კი გულისხმობს კონკრეტულად ყოფიერებაზე აზროვნებას. ფუკო კითხულობს: "არსებობს კი დღეს სულიერი და ინსტიტუციონალური ანდა ეთიკურ-პოლიტიკური პირობები ზრდასრული აზროვნებისათვის." მოწოდება "გაბედე იაზროვნო" დღესაც მოწოდებად რჩება და განუხორციელებელია. ადამიანი გაურბის ასეთ აზროვნებას, რაც მისი უპირველესი საქმეა. ფუკოს აზრით ამისათვის პოლიტიკა არავითარ პირობებს არ ქმნის, პირიქით. რატომ არ აზროვნებს, ეშინია, რთულია? საპასუხისმგებლოა? თუ რატომ? ფუკოც თვლის, რომ დღესაც აქტუალურია ეს მოწოდება და ადამიანი დღესაც არ ახორციელებს ამ მოწოდებას. აზროვნებამ დაივიწყა ყოფიერება. რას ნიშნავს ყოფიერებაზე აზროვნება. ეს ნიშნავს პასუხი გასცე კითხვას: "რატომ არის საერთოდ რაიმე და არა პირიქით არარა". სწორედ ამ "რატომ"-ზე პასუხის გაცემა არის ადამიანის ღირსების და პასუხისმგებლობის საფუძველი,რაც ადამიანის მეტაფიზიკურ ადგილს განსაზღვრავს და არის ადამიანის მიერ ამ ადგილის ცნობიერება. ეს არის პასუხისმგებლობა ბუნებაზე, დედამიწაზე, სხვა ადამიანზე. ისწავლო ადამიანად ყოფნა ნიშნავს სწორედ ამას და არა ვოლუნტარისტულ რაციონალობას. ეს არის ონტოლოგიური პასუხისმგებლობა ყველა არსებულის მიმართ და მოიცავს ეკოლოგიურ, ინტელექტუალურ, მორალურ პასუხისმგებლობას. ამ კითხვზე პასუხის გაუცემლობამ ადამიანი აქცია ნებად ძალაუფლებისაკენ, მომხმარებლად, ბატონად არსებულად. რატომ არის ტექნიკა ხიფათი-ადამიანზე გაბატონების მცდელობები ყოველთვის წარუმატებელი იყო. ასეთი იყო კოსმოსი, ღმერთი, გონება, ნება. ადამიანი იღლებოდა მათგან. ტექნიკამ შებოჭა ადამიანის მოქმედება. იგი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მის თავზე. ადამიანმა ისწავლა შიშთან ერთად ცხოვრება, ოღონდ ეს არ არის ღმერთის წინაშე შიში, არამედ შიში საკუთარი თავის წინაშე, მეორე ადამიანის წინაშე. კითხვა" რატომ" უდრის კითხვას რა საზრისი აქვს ჩემს არსებობას, ამიტომ პასუხი კითხვაზე რატომ არის ყოფიერების საზრისის ძიება.

ბედნიერების და ღირსების ანალიზი ჰაიდეგერის ექსისტენციალურ ანალიტიკაში

სოკრატეს კითხვა: "როგორც უნდა განვლო შენი სიცოცხლე" არის ბედნიერების ფენომენის ანალიზის ამოსავალი წერტილი.ეს იყო ბერძნული აზროვნების ფუნდამენტალური საკითხი, რომელზეც შესაძლებელია ორი პასუხი: ბედნიერება და ღირსება და ადამიანი დღესაც დგას ამ არჩევანის წინაშე.

პლატონისთვის ევდემონია არის მეტაფიზიკური, ხოლო არისტოტელესთან კი ის არის ყოველდღიურობის ფენომენი. პლატონი და არისტოტელე ბედნიერების აუცილებელლ პირობად მიიჩნევდნენ ღირსებას და ცდილობდნენ ადამიანის ყოფიერებაში მათ გაერთიანებას. ჩვენი მიზანია ბედნიერება წარმოვადგინოთ როგორც ექსისტენციალი(მ.ჰაიდეგერი) ბედნიერება არის ექსისტენციალი და ყოფიერების გაგების ფორმა.ბედნიერება არის ადამიანის ერთერთი ფუნდამენტალური განწყობა და ყოფიერების გაგების ფორმა. ამიტომ ბედნიერების ფენომენი უნდა გახდეს ფენომენოლოგიურ

ჰერმენევტიკული ანალიზნის საგანი.ბედნიერების ექსისტენციალი ისევე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის როგორც ძრწოლა, რომელშიც ადამიანის ყოფიერება და სამყარო განსხვავებულად გაიხსნება. ადამიანს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება ბედნიერებისკენ და ეს არის ბუნებრივი მეტაფიზიკა. ბედნიერება სამყაროს გახსნის როგორც ადგილს სადაც შესაძლებელია ადამიანის ბედნიერება, როგორც ადამიანის ყოფიერების წესი, როგორც ადამიანის სიკვდილის კომპენსაცია,რაც გაიხსნება ძრწოლის განწყობილებაში. ადამიანის ყოფიერების არსია შესაძლებლობა. ბედნიერება არ არის ზოგადი ნიშანი,არც ბედნიერების კონცეპტი, არს ცხოვრების სასურველი პირობები,არც ადამიანის ცნობიერების შინაარსი,არც სიყვარული და არც ადამიანის ცხოვრების ობიექტური პირობები, რომლის კომპონენტები შეიძლება განისაზღვროს და აღწერილი იქნეს ემპირიული დესკრიფციით.

არისტოტელე ლაპარაკობს ბედნიერების ელემენტებზე ხოლო ჰაიდეგერის ინტერესისი საგანია ბედნიერების ატომი. ჰაიდეგერიც შეუძლებლად მიიჩნევს ადამიანის ბედნიერებას ღირსების გარეშე. ბედნიერების კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია სიხარულის კონცეპტის მეშვეობით. ბედნიერება არის ადამიანის ყოფნის წესი, რომელიც იწვევს სიცოცხლის სიხარულს. ბედნიერების "ატომი" არის ღირსება, წარმატება და შინაგანი, თანდაყოლილი ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიხარული, კიუნციგე(მ.ჰაიდეგერი). შინაგანი, თანდაყოლილი ოპტიმიზმის გარეშე ბედნიერება შეუძლებელია.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Demur Jalaghonia	Challenge of the Millennium and Mankind Future/ ათასწლეულის გამოწვევა და ადამიანის მომავალი CNCS code: DOI(Digital Object Identifier): ISBN 978-606-28-1012-2	SOCIAL PROBLEMS AT THE BEGINNING OF THE MILLENNIUM /მილემიუმის დასაწყისის სოციალური პრობლემები	Editura UNIVERSITARA, București,Romania, ბუქარესტის უნივერსიტეტის გამ-ბა, რუმინეთი	29-37
2.	ლელა ალექსიძე	Eros as Soul's 'Eye' in Plotinus: What does it see and not see? ISBN 97811898910886	Platonism and its Legacy. Selected papers from the fifteenth annual conference of the International Society for Neoplatonic Studies. Edited by John F.Finamore and Tomas Nejeschleba	The Prometheus Trust in association with the International Society for Neoplatonic Studies, Lydney, UK	p.41-58
3	Irakli Brachuli		SOCIAL		

4.	Anastasia Zakariadze	THE CHALLENGES OF MILLENIUM AND GEORGIAN PHILOSOPHY/ მილენიუმის გამოწვევები და ქართული ფილოსოფია CNCS code: DOI(Digital Object Identifier): ISBN 978-606-28-1012-2	PROBLEMS AT THE BEGINNING OF THE MILLENNIUM /მილემიუმის დასაწყისის სოციალური პრობლემები	Editura UNIVERSITARA, București,Romania, ბუქარესტის უნივერსიტეტის გამ-ბა, რუმინეთი	19-28
5.	მამუკა დოლიძე	THE CHALLENGES OF MILLENIUM AND GEORGIAN PHILOSOPHY/ მილენიუმის გამოწვევები და ქართული ფილოსოფია CNCS code: DOI(Digital Object Identifier): ISBN 978-606-28-1012-2 ბედნიერების შესაძლებლობა თანამედროვე ჩოგბურთის ფენომენოლოგიაში	SOCIAL PROBLEMS AT THE BEGINNING OF THE MILLENNIUM /მილემიუმის დასაწყისის სოციალური ჟურნალი – ევდემონიის შესაძლებლობა თანამედროვე სამყაროში- ტომი 1, 2019	Editura UNIVERSITARA, București,Romania, ბუქარესტის უნივერსიტეტის გამ-ბა, რუმინეთი საბერძნეთი ათენის უნივერსიტეტი, საბერძნეთის ფილოსოფიური საზოგადოება	19-28 გვ. 54-55

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კაცობრიობა XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური გადატრიალების მოწმე გახდა. ,,თავბრუდამხვევი ისტორიული განვითარების პირობებში მრავალი ფაქტორი იკვეთება, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ ორი: ... ჯერ ერთი, ჩამოყალიბდა მსოფლიო საზოგადოება, რომელიც ცალკეული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურალური ძალა მტკიცედ არის ერთმანეთთან დაკავშირებული; სხვადასხვა სასიცოცხლო სივრცე კი ერთმანეთს გამსჭვალავს. მეორე, არნახული განვითარება განიცადა ადამიანურმა შესაძლებლობებმა, კეთებისა და განადგურების ძალაუფლებამ“. მას შემდეგ, რაც ადამიანმა გონივრული თვალით შეხედა ბუნებას, გარეგან სამყაროს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ცვლიდა ცვლის მას, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზემოქმედებით, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ტექნიკური პროგრესი აჩქარებს წონასწორობის დარღვევას ბუნებასა და ადამიანის ურთიერთობებში. ჰაერი, წყალი, ნიადაგი... იმდენად გაიფლანდა, გამოიფიტა და გაჭუჭყიანდა, რომ ადამიანის ოიკოსი, როგორადაც წარმოგვიდგებოდა ბუნება ოდითგან აღარ შეესაბამება მის დანიშნულებას, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას.

როგორც გენონი რენე მიუთითებს: ცივილიზაცია მუდმივად ვერ განაგრძობს ერთი

მიმართულებით სვლას. ერთ მშვენიე დღეს იგი შეიძლება მიადგეს ბოლო წერტილს, ან მთლიანად დაინთქას რაიმე კატაკლიზმში... შესაძლებელია დასასრულამდე კიდევ იყოს დროს.

ესაა "მღელვარე ეპოქა". როდესაც დარღვეულია საყრდენი. ამის ნათელსაყოფად აღვწერეთ გლობალიზაციის და სულიერებაში მოსალოდნელი და მიმდინარე კატაკლიზმები. ბუნებრივია თავს უშიშრად ვერავინ გრძნობს, ვეძებთ ხსნას, გზის სისწორეს. ესაა ადამიანური ცნობიერების მუდმივი საქმე. რომელია სწორი გზა?

ადამიანს არ შორდება "გაურკვევლობის განცდა". ამიტომ ის მუდმივ ძიებაშია. და ეს ძიება რელიგიურ – ფილოსოფიური საკითხთა წრეს განეკუთვნება.

XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა არის მსოფლიოს რელიგიურ და მეცნიერულ ხედვას შორის ურთიერთკავშირის აღდგენა. სანამ მათ შორის ასეთი დამოკიდებულება არ დამყარდება, რეალურად ერთიან მდგრად მსოფლიოზე, საზოგადოებაზე, ჭეშმარიტი ჰუმანურ მიღწევებზე ლაპარკი ზედმეტი იქნება. ქრისტიანობა უნდა იყოს ის საყრდენი, რომელიც არ დაუშვებს იმას, რომ ადამიანი სოციალურსა და ტექნიკურ ძალებს დაემონოს. არ დამონება ეს იქნება ადამიანის, საზოგადოების, კულტურის, ქვეყნების ჰუმანიზაცია. როგორც მაცხოვარი ბრძანებს: - "მე ვარ ნათელი ქვეყნის, ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი"

2.სტატია ეძღვნება პლოტინის მესამე -მეხუთე ენეადას (რიგით ორმოცდამეათეს), რომელიც პლატონის "ნადიმის" პლოტინისეული ინტერპრეტაციაა. სტატიის მიზანია, პლოტინის ხედვის თეორიაში გარკვევა. ხედვა უმნიშვნელოვანესი ცნებაა პლოტინისთვის, რადგან ის მოიცავს როგორც შემეცნებით, ასევე შემოქმედებით აქტივობას. ჭვრეტის უმაღლესი დონე ერთგვარი "უთვალო" ხედვაა, რომელიც ჭვრეტის საგანსა და მჭვრეტელის იდენტობას გულისხმობს. პლატონის "ნადიმის" პლოტინისეული ინტერპრეტაციის მთავარი თავისებურება და გამოცანა სწორედ ეროსის როგორც სიყვარულის "თვალის" განსაზღვრებაში მდგომარეობს. ამასთანავე, სიყვარული პლოტინისთვის არის აფროდიტე - სული. სულის სხვადასხვა სახეობა არსებობს, შესაბამისად, ეროსიც სხვადასხვაა და, აქედან გამომდინარე, ხედვისა და დანახვის უნარები და მიზნებიც სხვადასხვაა. სტატია წარმოადგენს მცდელობას, ხედვების ამ სახეობებში გარკვევისა. ეს მნიშვნელოვანია და საინტერესოა იმიტომაც, რომ ადამიანს, პლოტინის გაგებით, "ხედვის" უნარის ფართო დიაპაზონი გააჩნია, რაც მის სულს, ეროსის როგორც ხედვის ინსტრუმენტის - "თვალის" მეშვეობით გონისეულ სფერომდე და, შესაძლოა, მის მიღმაც კი ჭვრეტით ამაღლების შანსი აქვს.

3.კვლევის მთავარი ვექტორი მოიცავს მილენიუმის იმ გამოწვევებისა და დილემების ანალიზს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფია და ლიტერატურაშიეს დილემები და გამოწვევები შემდეგია: სწრაფი სისტემური ცვლილებები, საზოგადოების ფრაგმენტაცია, ღირებულებათა გადაფასება, კონფლიქტი იდენტობის ტრადიციულ და არა-ტრადიციულ ფორმებს შორის, სოციალური ცვლილებების ტექსტუალური არტიკულაციები ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. გაანალიზებულია დილემურ სიტუაციათა სპეციფიკური ფაქტორები. გამოყოფილია სამი მთავარი ფაქტორი: პირველის მიხედვით საქართველო ერთის მხრივ არის ანტიკური და ქრისტიანული ცივილიზაციების მემკვიდრე, დასავლეთის"ფორპოსტი" (არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 327 წელს). მეორეს მხრივ მას ამძიმებს აღმოსავლური დესპოტია ან რუსული კომუნიზმი (ოკუპირებული საქართველო 70 წელი იყო საბჭოთა კავშირის ერთერთი რესპუბლიკა); მეორე ფაქტორი-მოსახლეობის უმრავლესობა, თითქმის მესამედი, ეკონომიური შეჭირვების გამო იმყოფება ე.წ. "სამუშაო ემიგრაციაში", ისინი ევრო-ამერიკული ცხოვრების წესთან ადაპტაციის ურთულეს პროცესში იმყოფებიან, დგანან იმ გამოცდილების გამოწვევების წინაშე, რომელშიც იმყოფება პოსტმოდერნულ კონდიციაში მყოფი დასავლური საზოგადოება. ეს უპირველესად მორალურ დილემებს ეხება. კვლევაში ცალცალკეა განხილული ეს დილემები. მესამე: ახალი ფილოსოფიური და ლიტერატურული ტენდენციები სპეციფიკური ემიგრანტული გამოცდილების საფუძველზე იქმნება. ეს თავისებურებები ვლინდება როგორც ქართულ ენაზე შექმნილ ტექსტებში, ასევე ქართველი ავტორების ევროპულენოვან ნაშრომებში.

4.კვლევის მთავარი ვექტორი მოიცავს მილენიუმის იმ გამოწვევებისა და დილემების ანალიზს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფია და ლიტერატურაშიეს დილემები და გამოწვევები შემდეგია: სწრაფი სისტემური ცვლილებები, საზოგადოების ფრაგმენტაცია, ღირებულებათა გადაფასება, კონფლიქტი იდენტობის ტრადიციულ და არა-ტრადიციულ ფორმებს შორის, სოციალური ცვლილებების ტექსტუალური არტიკულაციები ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. გაანალიზებულია დილემურ სიტუაციათა სპეციფიკური ფაქტორები. გამოყოფილია სამი მთავარი ფაქტორი: პირველის მიხედვით საქართველო ერთის მხრივ არის ანტიკური და ქრისტიანული ცივილიზაციების მემკვიდრე, დასავლეთის"ფორპოსტი" (არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 327 წელს). მეორეს მხრივ მას ამძიმებს აღმოსავლური დესპოტია ან რუსული კომუნიზმი (ოკუპირებული საქართველო 70 წელი იყო საბჭოთა კავშირის ერთერთი რესპუბლიკა); მეორე ფაქტორი-მოსახლეობის უმრავლესობა, თითქმის მესამედი, ეკონომიური შეჭირვების გამო იმყოფება ე.წ. "სამუშაო ემიგრაციაში", ისინი ევრო-ამერიკული ცხოვრების წესთან ადაპტაციის ურთულეს პროცესში იმყოფებიან, დგანან იმ გამოცდილების გამოწვევების წინაშე, რომელშიც იმყოფება პოსტმოდერნულ კონდიციაში მყოფი დასავლური საზოგადოება. ეს უპირველესად მორალურ დილემებს ეხება. კვლევაში ცალცალკეა განხილული ეს დილემები. მესამე: ახალი ფილოსოფიური და ლიტერატურული ტენდენციები სპეციფიკური ემიგრანტული გამოცდილების საფუძველზე იქმნება. ეს თავისებურებები ვლინდება როგორც ქართულ ენაზე შექმნილ ტექსტებში, ასევე ქართველი ავტორების ევროპულენოვან ნაშრომებში.

5. ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს შეადგენს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის ხელოვნების იდეა.

ჩოგბურთის არცერთი სახელმძღვანელო არ ისახავს ასეთ მიზანს. სახელმძღვანელო იწერება გამარჯვებულისთვის და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მმატჩის მსვლელობაში ვლინდება ორი მონაწილე : გამარჯვებული და დამარცხებული.

დამარცხებულის როლი არცთუ უმნიშვნელოა თამაშის დრამატურგიაში. როდესაც მოთამაშე აგებს, მას ეძლევა შესაძლებლობა დაისახოს სულ სხვა ამოცანა - ნაკლები იფიქროს ანგარიშზე, დასძლიოს შიში და სირცხვილი წარუმატებელი მოქმედების გამო, ყურადღება გადაიტანოს თამაშის ეფექტზე და არა ბრძოლის შედეგზე, განთავისუფლდეს მოგებისკენ სწრაფვის დეტერმინიზმისგან და ითამაშოს ლაღად, თავისუფლად, მეტი შემოქმედებითი ძალისხმევით და არტისტული გარდასახვის განცდით.

არსებობს ორი გზა, რათა მოთამაშემ შეასრულოს ეფექტური მოძრაობა და დარტყმა.

ა / ფიზიკური ვარჯიში, რომ ბურთთან მისვლა და ჩოგანის მოქნევა ხდებოდეს ავტომატიურად და იმპულსურად.

ბ/ ძლიერი განწყობა და სურვილი ასეთი მოძრაობის შესასრულებლად.

ფენომენოლოგია ირჩევს მეორე გზას.

ეფექტური თამაშის სურვილი შეიძლება არ გაჩნდეს თავისთავად. სურვილის გამოწვევას სჭირდება განსაკუთრებული, სულიერი წვრთნა, რომელსაც ვერ წარმართავს ფსიქოლოგი განწყობის თეორიის ზოგადი პრინციპების მიხედვით. ეს არის პირადი გამოცდილება - სრულიად თავისუფალი, ინდივიდუალური, შემოქმედებითი და განუმეორებელი პროცესი, რომელიც არ ექვემდებარება განზოგადოებას .

მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს. ისევე, როგორც მსახიობს ამოძრავებს

მხატვრული სახე და მოქმედების იდეა, ასევე ჩოგბურთელიც, რომელიც უფრო თამაშობს, ვიდრე იბრძვის, საჩოგბურთო სცენაზე იდეალურ მოძრაობას ისახავს მიზნად, რომელიც მის ძალისხმევას ხელოვნებად გარდაქმნის. ის ებრძვის არა პარტნიორს, არამედ ეთამაშება საკუთარ თავს. ქულებს კი არ აგროვებს, არამედ თამაშობს თამაშის გულისთვის, გადადის ფიზიკური რეალობის საზღვარს და ემოციური კათარზისით აღწევს ერთგვარ მეტაფიზიკურ მდგომარეობას.
ჩოგბურთის საზღვრები ფართოვდება. ფიზიკური დაძაბულობის ნაცვლად მოდის ნების თავისუფლება, წარმოსახვის თამაში და ბედნიერების განცდა, რომელშიც ადამიანმა შეიძლება იპოვნოს საკუთარი ცხოვრების აზრი.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დემურ ჯალაღონია	განმანათლებლობის (ლოკი) პოლიტიკური ფილოსოფიის კონცეპტუალური ანალიზი და მისი გავლენა	ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-20 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.
2	დემურ ჯალაღონია	,,დამფუძნებელი მამების'' მსოფლმხედველობაზე კონსტანტინე კაპანელის ფენომენი	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ სერგი კაპანელი 130„ თსუ 25-29 ნოემბერი.
3	დემურ ჯალაღონია	პოლიტიკური აზროვნების წინარემოდერნულ გზაზე დაბრუნება (ჟან ჟაკ რუსო)	XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი
4	ლელა ალექსიძე	პეტრიწი და პლეთონი არისტოტელეს პლატონისგან განსხვავების შესახებ	საერთაშორისო კონფერენცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, “ნეოპლატონიზმი და არისტოტელიზმი აღმოსავლეთ და დასავლეთ

			ქრისტიანულ სამყაროში”, 17-18 ივნისი, 2019
5	აკაკი ყულიჯანიშვილი	ვ. ჩერქეზიშვილის ერთი უცნობი სტატიის შესახებ	თსუ 07.12.2019წ.
6	ირაკლი ბრაჭული	იდენტობის კონცეპტის ცვლილებები: ქართულ-ამერიკული პარალელები	ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-20 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.
7	ირაკლი ბრაჭლი	მოდელი და კოპიო	თურქული კულტურის დღეები საქართველოში, სიმპოზიუმი და ვორქშოფი, 28 აპლირი-6 მაისი
8	ირაკლი ბრაჭული	სიცოცხლის ფილოსოფია საქართველოში	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ სერგი კაპანელი 130„ თსუ 25-29 ნოემბერი.
9	ირაკლი ბრაჭული	რელიგიისა და მითის ფილოსოფია საქართველოში	XIII საფაკულტეტო-სამეცნიერო კონფერენცია, 26-28 ივნისი
10	ანასტასია ზაქარიაძე	„მოდერნიზმი“*versus* „პოსტმოდერნიზმი“ ფრედრიკ ჯეიმისონის ამერიკული რეფლექსიები	ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-20 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.
11	ანასტასია ზაქარიაძე	გლობალიზაცია და ბიოეთიკური გამოწვევები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ 1-2 ნოემბერი, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი

12.	ანასტასია ზაქარიაძე	ღმერთის არსებობის დამადასტურებელი დავიწყებული არგუმენტი	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ სერგი კაპანელი 130„ თსუ 25-29 ნოემბერი.
13	მამუკა დოლიძე	პოსტმოდერნული ტენდენციები თანამედროვე ამერიკულ კულტურაში	23- 25 მაისი 2019 თსუ, ამერიკათმცოდნეობის ინსტიტუტი
14	მამუკა დოლიძე	ჩოგბურთი, როგორც ნება და წარმოსახვა (თამაშის ფენომენოლოგია)	26-28 ივნისი, 2019 თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
15	მამუკა დოლიძე	მხატვრული განცდის სუბიექტურობა, ორგანოტროპიზმი და ფენომენოლოგიური ტენდენციები თანამედროვე პროზაში	21-22 ნოემბერი 2019 თსუ, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
16	ნინო თომაშვილი	ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში (იბეჭდება ჟურნალში ,,ფილოსოფიური ძიებანი“-2019)	XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 26-28 ივნისი, 2019, თსუ, II კ., აუდ. 206, თბილისი
17	ნინო თომაშვილი	ი. ვან ბენტემი დინამიური ლოგიკის თავისებურებათა შესახებ	იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი კ. კაპანელის 130 წლისთავისადმი. 21-22 ნოემბერი, 2019, თსუ, I კ., აუდ. 107., თბილისი
18		„ზნეობა, თავისუფლება და მორალური	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

	მამია სურმავა	არასრულყოფილება“	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, ივნისი 26-28.
19	მამია სურმავა	„სამართლიანობის ეგალიტარისტული გაგების საკითხი ჯ. როლზის პოლიტიკურ ლიბერალიზმში“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონსტანტინე კაპანელი - 130, 21-22 ნოემბერი, 2019.
20	მამია სურმავა	ფილოსოფიის ემანსიპატორული როლი თანამედროვე გამოწვევების პირისპირ	ქუთაისის აკაკი წერეთლის ხახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო მულტიდისციპლინარული კონფერენცია თემაზე „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, 1-2 ნოემბერი, 2019.
21	ნაპო კვარაცხელია	რეპლიკა კარლ პოპერს მისი წიგნის სათაურისა გამო: ,,ღია საზოგადოება (მისი მტრები)	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ სერგი კაპანელი 130„ თსუ

			25-29 ნოემბერი.
22	ნანა გულიაშვილი	ზოგიერთი პარალელი ა.ჯორჯაძე-კ. კაპანელი	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფოს კონსტანტინე კაპანელის 130 -ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. ქ.თბილისი თსუ 22.11.2019.
23	ნანა გულიაშვილი	მითი - ფილოსოფიურ კონცეფციებში	ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია 14.06.2019წ.
24	ვალერიან რამიშვილი	ტექნე და ხელოვნება როგორც ადამიანის ყოფნის წესი	საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, 1-2 ნოემბერი, ქუთაისი 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეა ბრიტანული განმანათლებლობის ტრადიციაში იბადება. ჯონ ლოკი არის მოაზროვნე, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი იდეები. რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს, სამოქალაქო საზოგადოების იდეას, სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობას.

   მისი გავლენა დიდია რესპუბლიკანიზმსა და ლიბერალურ თეორიაზე, რომელიც აისახა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. კერძოდ შეგვიძლია მიუთითოთ ინგლისელ ჯონ ლოკზე, ფრანგ მონტესკიეზე და დევიდ ჰიუმზე.

   ამ ავტორებმა უდავოდ მოახდინეს სერიოზული გავლენა მე-18 საუკუნის 80-იანი წლების ამერიკელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ როგორც ჟურნალი „ამერიკაში“ გამოქვეყნებულ ბრაუნის უნივერსიტეტის პროფესორი გორდონ ს. ვუდი აღნიშნავს, რომ ,,დამფუძნებელი მამები ხშირად მოიხმობდნენ თავიანთ გამოსვლებსა და სტატიებში ამა თუ იმ წიგნს, იმოწმებდნენ ამა თუ იმ ფილოსოფოსს. ისინი ახდენდნენ ყველა შესაძლო წყაროს ციტირებას, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა მე-18 საუკუნის ადამიანს'', მაგრამ ჩვენი აზრით ეს წყაროები იმდენი იყო და იმდენნაირი, რომ საჭირო იქნება განმანათლებლობის პერიოდის პოლიტიკური ფილოსოფიის კონცეპტუალური ანალიზი, რათა გავერკვეთ პრობლემის არსში და შემდგომ გავცეთ კითხვაზე პასუხი თუ როგორ წარმოიშვა ამერიკის კონსტიტუცია?

2. ადამიანის, პიროვნების თუ ერის მენტალიტეტების კვლევა პირველ რიგში მიმართულია კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში გაბატონებული მენტალური ტენდენციების გამოვლენაზე. მენტალიტეტების ჰერმენევტიკული და პერსონალისტური ანალიტიკა უდევს საფუძვლად საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების კვლევას.

   ექსისტენციებს, როგორიცაა – სამშობლო, ერი, ეროვნული სული, ეროვნული ცნობიერება, თანამედროვე მოაზროვნეები იხილავენ სოციოლოგიური (ან სოციალურ-ფსიქოლოგიური), მისტიური

(საიდუმლოს ეკლესიური, თეურგიკული სისტემა), თეოსოფიური (ეზოთერისტული) და მეტაფიზიკური (ფილოსოფიური) კუთხით.

სოციოლოგისტურ მიდგომას პრეტენზია აქვს, თავის თავში გააერთიანოს კვლევის მეცნიერული, მისტიურ-მითოსური და ფილოსოფიური დონეები.

არსებობს საპირისპირო თვალსაზრისი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ანალიზზე.

ეს თეზისები საკმაო რელიეფურობითაა გაშლილი XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების იმ ნაკადში, რომელიც სოციოლოგიზმის სახელითაა ცნობილი.

წარმომადგენლად შეიძლება მოვიაზროთ მიხაკო წერეთელი, კონსტანტინე კაპანელი, არჩილ ჯორჯაძე, სერგი დანელია და სხვები. მათ შრომებში ანალიზის საგანს წარმოადგენს სოციოლოგიური ფენომენები, როგორიცაა კაცობრობა, საზოგადოება, ხალხი, სამშობლო, სამართალი.

ქართულ სულს, ეროვნულ ხასიათს, ეროვნულ ცნობიერებას ტრადიციულად იკვლევდნენ იმ მიმართულებით, თუ როგორ აისახა ჩვენი ეროვნული ხასიათი მხატვრულ შემოქმედებაში (ფოლკლორსა და მწერლობაში), რა ცნობები დაგვიტოვეს მის შესახებ ჟამთააღმწერლებმა. უმთავრესი მიზანი უნდა იყოს კვლევა იმისა, თუ როგორ გამოვლინდა ეს „სული“, „ენერგია“, „ხასიათი“ ესთეტიკურად, როგორი მხატვრული ფორმები მიიღო მან ჩვენს მწერლობაში, მუსიკაში, ხუროთმოძღვრებაში, ქართულ ცეკვაში, ,,ხმლის მოქნევის საიდუმლოებაში“ და, საერთოდ, ჩვენს მეტყველებაში – ენაში, რადგან, როგორც ჰაიდეგერი ბრძანებს, ,,ენა არის ყოფიერების სახლი“.

რა არის ქართული სული, ეროვნული ენერგია, ხასიათი, თუ ქართული ტიპი? ასე ნაცნობი, ყოველდღიურ ხმარებაში გამჯდარი ექსისტენციების რაობაზე პასუხი ჭირს. თითქოს ყველამ ვიცით, ყველა გვეტყვის განსაზღვრებას, რომ ეს არის ქართული სული, რომ ეს არ არის ქართული ხასიათი, მაგრამ საბოლოოდ კითხვა მაინც კითხვად რჩება.

3. აზროვნების ისტორია იცნობს ადამიანებს, რომლებიც გამოთქვამენ ერთი შეხედვით მოულოდნელ უცნაურ, პარადოქსულ აზრებს და თითქოს უხვევენ გაკვალული გზიდან. მერე აღმოჩნდება, ხოლმე რომ მათ შეუმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ადრე შემჩნეული არ იყო და ჩვენს აზროვნებას აიძულებენ უფრო ღრმად, საფუძვლიანად და მრავალმხრივად იკვლიოს თავისი პრობლემები. XVIII საუკუნეში ასეთი გახლდათ ჟან ჟაკ რუსო. (თ. ბუაჩიძე)

რუსოთი იწყება მოდერნის მეორე ტალღა. თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოქმნა დიდი და რთული კონტრმოძრაობები, რომელიც მოდერნის სამყაროდან პოლიტიკური აზროვნება წინარემოდერნულ გზაზე დაბრუნებას გულისხმობდა.

რუსოს ,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ ეფუძნება ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების იდეას, ის იცავს განმანათლებლობის აზრს-ბუნებით არც ერთ ადამიანს არა აქვს მინიჭებული ძალაუფლების გავრცელება თავისივე მსგავსზე... იგი ავითარებს იმ მოსაზრებებს, რომ ადამიანები ნებაყოფილებით არიან გაერთიანებული სამოქალაქო საზოგადოებაში და შექმნილი აქვთ მმართველობა, რომელიც ხალხის სუვერენულ უფლებებზე იყო დამყარებული. რუსოს მიხედვით ,,ნებისმიერი კანონიერი ძალაუფლება ადამიანთა შორის შეთანხმებებს (Les contrats) ეფუძნება''. საზოგადოების სხვადასხვა წევრები ერთიანდებიან საერთო ინტერესების საფუძველზე, რომელთა მიზანსაც საერთო სიკეთე წარმოდგენს. საერთო სიკეთე მასთან ორ ძირითად ფენომენს ეფუძნება თავისუფლებას და თანასწორობას. ,,თავისუფლებას, რადგან ყოველგვარი დამოკიდებულება კერძო პირზე ამცირებს სახელმწიფოს ძალას და თანასწორობას იმიტომ, რომ თავისუფლება ვერ იარესებებს მის გარეშე“.

სამოქალაქო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თმობს თავის ზოგიერთ უპირატესობას, რაც მას ბუნებით აქვს მიღებული. სამაგიეროდ უფრო მეტს იღებს. რასაც ადამიანი საზოგადოებრივი ხელშეკრულებით კარგავს ,,არის მისი ბუნებრივი თავისუფლება და განუსაზღვრელი უფლება ყოველივეზე, რაც მას იზიდავს და რასაც შეიძლება დაეუფლოს; სარგებელი ის გახლავთ, რომ ადამიანი იღებს სამოქალაქო თავისუფლებას და საკუთრების უფლებას ყოველივეზე რაც მას აბადია“.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება საფრანგეთის რევოლუციის იაკობინელთა ბელადებმა რევოლუციის კოდექსად აქციეს. მას დაეფუძნა ადამიანის და სამოქალაქო უფლებათა

დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ გამოაცხადა.

4.მოხსენებაში გაანალიზირებულია თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსისა და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების, მათ შორის ემიგრანტული ლიტერატურის ტექსტებში გამოკვეთილი გარკვეული ტენდენციები. მათ შორის ფრანსუა ზურაბიშვილის, გივი მარგველაშვილისა და აგრეთვე მერაბ მამარდაშვილის შემოქმედებაში ინტერტექსტუალური და პოსტმოდერნული მოტივები. გამოკვეთილია იდენტობათ დინამიკური თამაშის ზოგიერთი პრინციპი

5.მოხსენებაში წარმოდგენილია მოდელისა და ასლის პლატონური კონცეფცის კრიტიკა, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა დელეზის, რორტის, დერიდას, ბოდრიარის და სხვა თანამედროვე ფილოსოფოსების თხზულებებში. მათში აღნიშნულია აღნიშნული სტატიკური მოდელის გარდაქმნა თანამედროვე კულტურის ინდუსტრიის კონტექსტში სიმულაკრების განზომილების ფორმირებაში. აგრეთვე მოხსენებაში განხილულია ხელოვნების ქმნილებათა ორიგინალისა და ასლის, კოპიოს მიმართება მათი მასიური რეპროდუქციის პირობებში. ჟილ დელეზის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნაკლებად ცნობილ ასპექტებზე დაყრდნობით მოცემულია ხელოვნების ევოლუციის ზოგიერთ თავისებურება ე.წ მეტაისტორიულ კონტექსტში. განხილულია მეტატექსტის თავისებურებანი მხატვრული შემოქმედების კოდირების ასპექტში.

6.კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიური მემკვიდრეობა - ორიგინალური კონცეფცია „ორგანოტროპიზმი“ -განხილულია როგორც სიცოცხლხის ფილოსოფიის ნიცშეს, ბერქსონისა და დილთაის თეორიების შემოქმედებითი სინთეზირება მარქსისა და დიურკჰემის სოციოლოგისტურ კონცეფციებთან. ნაჩვენებია ორგანოტროპიზმის თავისებურებანი გამომდინარე მისი ორიგინალური წყაროდან, ქართული ლიტერატურისა და „მსოფლგანცდის“ ისტორიული თავისებურებიდან.

7.მოხსენება წამოადგენს რელიგიისა და მითის, თეორიისა და პრაქტიკის იმ თავისებურებების არტიკულაციის მცდელობას, რომელსაც ადგილი აქვს XIX-XX საუკუნის ქართულ კულტურულ სინამდვილეში. თეორიული ბაზა ემყარება ნირჩა ელიადეს ჰიროფანიების კონცეფციას და იმ ღმა ეთნოლოგიურ გამოკვლევებს, რომელიც უკანასკნელ ხანს განხორციელდა საქართველოში. იგულისხმება ზურაბ კინკაძისა და სხვა ავტორთა მიერ მოპოვებული დიდი ეთნოლოგიურ-თეორიული მასალა.

8.მოხსენებაში გაანალიზირებულია თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსისა და თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ფრედრიკ ჯეიმისონის პოსტ-მოდერული კონცეფცია. ის დამსახურება რომელიც მას აქვს მოდერნისა და პოსტმოდერნის მთავარი განმასხვავებლების ნათლად წარმოჩენის მიმართულებით, დასაბუთებულია, რომ ჯეიმისონმა შესძლო დაეკავშირებინა ტერმინის ”პოსტმოდერნი” ეპოქის მდგომარეობასთან; მისი ავსება სოციალურ-ფილოსოფიური და კულტურული შინაარსით. პოსტმოდერნიზმი არც არჩევანი, არც მხატვრული აზროვნების სტილია; ესაა კულტურული დომინანტი, რომელიც შიგნიდან საჭიროებს მემარცხენე პოლიტიკის გადააზრებას. ჯეიმისონი ნათელს ხდის თუ რატომ არის შეუძლებელი იყო მოწინააღმდეგე ან მომხრე პოსტმოდერნიზმისა, მორალისტის პოზიციიდან იგი შეაფასო. პოსტმოდერნიზმი ნორმების მიღმა მდგარი ათავისუფლებს ჰეტეროგენულობას. ამერიკელი ფილოსოფოსის მყარი პოზიციაა, რომ თანამედროვეობაში არსებული ახალი სტილისტური მიმდინარეობების მიუხედავად, რომელზედაც მიუთითებენ პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები, პოსტმოდენიზმი კვლავ რჩება დომინანტ ისტორიული კატეგორიად. ვიდრე გვიანი კაპიტალიზმი “მუშაობს”, მისი კულტურული ლოგიკა-პოსტმოდერნიზმი ცოცხალია.

9.მოხსენებაში წარმოდგენილია ჩარლს სანდერს პირსის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნაკლებად ცნობილი მხარე, კერძოდ მისი მცდელობები რელიგიის ფილოსოფიასა და ქრისტიანული ეთიკაში. მკვლევარები ხშირად უწოდებენ პირსს ამერიკელ კანტს. მოხსენებაში დასაბუთებულია ამ შეფასების მართლზომიერება პირსის მიერ ღმერთის არსებობის დამასაბუთებელი არგუმენტის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. პირსი როგორც ჭეშმარიტი კანტიანელი, აღიარებს რომ ღმერთი რეალურია, მაგრამ არა არსებული. მოხსენებაში გაანალიზებულია ცნებების “რეალობა“ და „არსებობა“ პირსისეული ვერსიები. მისთვის ისინი განიმარტება არა ტრადიციულად, არა იმგვარად როგორც ეს კლასიკურ მეტაფიზიკურ ფილოსოფიაშია მიღებული. პირსისთვის „არსებობა“ ეს არის გარემოში სხვებთან სხვა საგნების მსგავსად რეაგირების უნარი. მას აქვს ღმერთის რწმენა. იგი თვლის, რომ ღმერთის რწმენა

განაპირობებს ადამიანის ქცევას. ღმერთი შეუმეცნებადია და მიუღწეველი დედუქციური ან ინდუქციური მტკიცებულებებით. რწმენა ინსტუქტურია და დაფუძნებულია გრძნობაზე და არა გონებაზე, იგი გულშია. პირსის მიზანია დაასაბუთოს, რომ მეტაფიზიკური სისტემა თავსებადია ქრისტიანობასთან. იგი ცდილობს გვიჩვენოს, რომ ევოლუცია, ისე როგორც ის მას ესმის, სრულ თანხმობაშია სახარებასთან და რომ ადამინებს აქვთ ემპირიული ცოდნა ღმერთის შესახებ. პირს გამოყავს საკუტარი ეთიკური პრინციპი ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით ადამიანის, როგორც ბოლოვადი არსების არსებობის ზღვრული გრძლივობა ლოგიკურად მოითხოვს მისი ინტერესების თანხვედრას მარადიულად არსებულ პიროვნებათა თემისა და საგნთა ინტერესებთან.პირსი ასაბუთებს ნების თავისუფლებასა და უკვდავებას.

10. (თამაშის ფენომენოლოგია), ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს შეადგენს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის ხელოვნების იდეა.

მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს. ისევე, როგორც მსახიობს ამოძრავებს მხატვრული სახე და მოქმედების იდეა, ასევე ჩოგბურთელიც, რომელიც უფრო თამაშობს, ვიდრე იბრძვის, საჩოგბურთო სცენაზე იდეალურ მოძრაობას ისახავს მიზნად, რომელიც მის ძალისხმევას ხელოვნებად გარდაქმნის. ის ებრძვის არა პარტნიორს, არამედ ეთამაშება საკუთარ თავს. ქულებს კი არ აგროვებს, არამედ თამაშობს თამაშის გულისთვის, გადადის ფიზიკური რეალობის საზღვარს და ემოციური კათარზისით აღწევს ერთგვარ მეტაფიზიკურ მდგომარეობას.

ჩოგბურთის საზღვრები ფართოვდება. ფიზიკური დაძაბულობის ნაცვლად მოდის ნების თავისუფლება, წარმოსახვის თამაში და ბედნიერების განცდა, რომელშიც ადამიანმა შეიძლება იპოვნოს საკუთარი ცხოვრების აზრი.

11.მხატვრული განცდის სუბიექტურობა, ორგანოტროპიზმი და ფენომენოლოგიური ტენდენციები თანამედროვე პროზაში

XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომელიც ძირითადად შემეცნების თეორიაზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით გამოირჩევა კონსტანტინე კაპანელის (კონსტანტინე ჭანტურაია) ფილოსოფია, რომელიც თავისი შემოქმედებითი ირაციონალიზმით სცილდება შემეცნებით პრობლემათა სფეროს.

ორგანოტროპიზმის თეორია, რომელსაც კაპანელი გვთავაზობს, სუბიექტურ-მხატვრული განცდის სოციალურ გაფართოებას ისახავს მიზნად. ორგანოტროპული გარდასახვა ხელოვნების ნაწარმოებს აქცევს სიცოცხლის ესთეტიკურ, ინტენციონალურ ფორმად და ანიჭებს მას ფენომენოლოგიურ მნიშვნელობას.

სამედიცინო ლათინური ტერმინი "ორგანოტროპიკა" კაპანელის ფილოსოფიის კონტექსტში შეიძლება ითარგმნოს როგორც " მიმართულება (მიდრეკილება) სიცოცხლისკენ."

კაპანელის სოციალური ესთეტიკის ასპექტში, ვფიქრობთ საინტერესოა თანამედროვე ფენომენოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნის, რობერტ სოკოლოვსკის (აშშ) თვალსაზრისი, გადმოცემული მის ახალ წიგნში "პიროვნების ფენომენოლოგია" (1). აქ იგი თავისებურად განავითარებს ჰუსერლის მოსაზრებას, რომ ადამიანის ინდივიდუალური თვითობა თავის თავში მოიცავს ეიდეტური ობიექტივაციის შესაძლებლობას.

აღნიშნულ ინტერპრეტაციაში ძირითადად ვემყარებით ორგანოტროპიზმის მეტად საიტერესო სახეობას, რომელსაც კაპანელის მკვლევარი, პროფესორი ირმა ბაგრატიონი " სოციალურ ორგანოტროპიზმს" უწოდებს. (2).

მხატვრული შემოქმედების სფეროში, ეს სახეობა წარმოადგენს " მე-სა და სხვის" კომუნიკაციას,

რომელიც თავისი უღრმესი ფესვებით, სოციალურ გარემოს, საზოგადოების სიცოცხლეს, ერის კულტურულ ფასეულობებს წვდება, რაც თავის მხრივ პიროვნების ბიო-ფიზიკურ მონაცემებს და უფრო მეტიც – ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს ითვალისწინებს.

ასეთი ურთულესი გადასვლა შემოქმედის ესთეტიკური განცდის სუბიექტურობიდან მის მასაზრდოებელ ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ ფაქტორებზე კაპანელის ესთეტიკური კონცეფციის უმთავრესი მიზანია.

ვფიქრობთ, საბჭოთა ფილოსოფიაში სწორედ ამ სიძნელის გამო გავრცელდა მცდარი თვალსაზრისი, რომ კაპანელი "ჩაიკეტა" სუბიექტურ იდეალიზმში და რომ მან ვერ მოახერხა განცდის სუბიექტურობიდან სიცოცხლის ობიექტურ-მატერიალურ პროცესებზე გადასვლა.

ამ პრობლემიდან გამოსავალს ვხედავთ ენის ფენომენში. მხედველობაში გვაქვს არა მეცნიერების ენა, არამედ ცოცხალი სამეტყველო ენა, რომელიც თავის თავში საგნისა და სიტყვის (საგნის დასახელების) ერთიანობის საიდუმლოს მოიცავს. ამ საიდუმლოშია დაუნჯებული ენის მთლიანი, თავისუფალი და თვითმყოფადი სული.

მსგავსი კომუნიკაციის საშუალებით იხსნება გზა "სოციალური ორგანოტროპიზმისკენ", რომელსაც კაპანელი წინასწარმეტყველურად სახავს ესთეტიკური შემოქმედების პერსპექტივაში. პიროვნების სუბიექტური განცდა მხატვრული ობიექტივაციისა და მკითხველთან კომუნიკაციის გზით იძენს სოციალურ სტატუსს და მშობლიური ენის პოეტურ-მეტაფორულ სფეროში პოულობს კავშირს განცდის სუბიექტურობასა და მის მასაზრდოებელ მატერიალურ ფაქტორებს შორის.

კონსტანტინე კაპანელის მოძღვრებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიასა და მწერლობაში. თავისი ნიცშეანური მოტივებით კაპანელი ერთი მხრივ კონსტანტინე გამსახურდიას და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ეხმიანება, მეორეს მხრივ კი ორგანოტროპიზმის ესთეტიკის საფუძველზე ქმნის წინამორბედ ფენომენოლოგიურ განწყობას ქართული "ცნობიერების ნაკადის" მწერლობისთვის. ქართული ფენომენოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად (კოტე ბაქრაძე, ანგია ბოჭორიშვილი, შემდგომ ზურაბ კაკაბაძე, თამაზ ბუაჩიძე, მერაბ მამარდაშვილი, გივი მარგველაშვილი, ნოდარ ნათაძე, ანზორ ბრეგაძე ...) კაპანელმა შეამზადა ის ნიადაგი, რაზედაც ასე ნაყოფიერად აღმოცენდა ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჩხეიძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის და სხვა თანამედროვე ავტორთა ინტელექტუალური პროზა.

12. ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში , ენის ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერთა მიერ ენის ფუნქციების კვლევა და შესწავლა თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში ინტენსიურად მიმდინარეობს და მუდმივი დახვეწისა და გაფართოების პროცესშია. ფილოსოფიური დისკურსი კომუნიკაციის ერთგვარი სახეობაა და გააჩნია სხვებისაგან განსხვავებული ლინგვისტური წესები და, შესაბამისად, ენა, რომელიც მოქმედების ყველა იმ ფუნქციით, რაც გააჩნია მეცნიერების ენას. თუმცა დომინანტი ევოკაციური (ევოკაცია - გამოწვევა, სტიმულირება) ფუნქციაა, რომელიც მიმართულია მსმენელში გარკვეული აზრების, შეფასებების, გარკვეული ქმედების განხორციელებისათვის განწყობის შესაქმნელად. ენის ამ უნარს შეუძლია ფილოსოფიურ დისკურსში მონაწილე სუბიექტებში აღძრას კითხვებზე პასუხების ძიების სურვილი.

13. ი. ვან ბენტემი დინამიური ლოგიკის თავისებურებათა შესახებ

დინამიური ლოგიკა ეპისტემიკური ლოგიკის გაფართოებას წარმოადგენს. დღეს იგი ლოგიკის ერთ-ერთი აქტუალურ დარგად მიიჩნევა და შეისწავლის ცვალებადი ცოდნის ლოგიკურ კანონებს.

ბენტემის აზრით, ლოგიკური გამოკვლევების განსაკუთრებულ ობიექტად უნდა იქცეს კომუნიკაციისა და ინფორმირებულობის ცნებები, რისთვისაც საჭიროა ამ მიმართულებით განხორციელდეს ერთგვარი ,,დინამიური შემობრუნება". ბენტემი მიიჩნევს, რომ თუ კლასიკური ლოგიკა სწავლობდა მსჯელობებს და მათ შორის არსებულ უცვლელ გამომდინარეობას, დღეს **გამომდინარეობა,** როგორც ასეთი, უნდა განვიხილოთ ერთგვარ მოღვაწეობად, სადაც პროპოზიციები მოძრაობაში განიხილება.

14. მოხსენებაში ნაცადია აღნიშნული ქიგნის სახელწოდებისა და შინაარსს შორის წინააღმდეგობის ჩვენება.

15. ა.ჯორჯაძის ,,საერთო ნიადაგის თეორიასა" და კ. კაპანელის ,,ორგანოტროპიზმში" ჩანს საზოგადოების სოციოკულტურული პროცესების ახსნის მსგავსება. ასევე მთელი რიგი პარალელები იძებნება მათ ესთეტიკურ შეხედულებებზე.

ჩვენი აზრით ეს პარალელები გამოწვეული იყო იმით რომ:
პირველი - ა.ჯორძაძე იდგა სიცოცხლის ფილოსოფიის პოზიციაზე, ხოლო კაპანელის ფილოსოფია კი სიცოცხლის ფილოსოფიის მოდიფიცირებას წარმოადგენს.
მეორე - ორივეს, თუმცა სხვადასხვა პერიოდში განათლება მიღებული ჰქონდათ საფრანგეთში და ნაზიარები იყვნენ ფრანგულ და ზოგადად ევროპულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზრს.
ისინი დასავლური ინსტრუმენტარიებით და მეთოდოლოგიით შეიარაღებულნი უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ქართულ კულტურულ პროცესში და მასზე უშუალო რეფლექსიის შედეგად აყალიბებდნენ თავიანთ პოზიტიურ თვალსაზრისს, ზოგადად კულტურისა და კერძოდ ქართული კულტურის შესახებ.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	დემურ ჯალაღონია	ათასწლეულის გამოწვევა და ადამიანის მომავალი	საერთაშორისო კონფერენცია“ მილენიუმის სოციალური პრობლემები - მავნე ჩვევები, თანმდევი რისკები, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები, განათლება, რჩევები“. 29 ნოემბერი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი.
2	დემურ ჯალაღონია	ადამიანი და ბუნება	მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმ-ვორკშოფი თურქეთის კულტურის დღეები 28-აპრილი- 4 მაისი
3	ლელა ალესიძე	პლატონური და არისტოტელური პეტრიწთან (პლეთონთან შედარების კონტექსტში) (ინგლისურ ენაზე)	პროფ. პიტერ ადამსონის სემინარი ფილოსოფიაში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან, მიუნჰენი, ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, გერმანია, 12 დეკემბერი, 2019

4.	ირაკლი ბრაჭული	მილენიუმის გამოწვევები და ქართული ფილოსოფია	საერთაშორისო კონფერენცია“ მილენიუმის სოციალური პრობლემები - მავნე ჩვევები, თანმდევი რისკები, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები, განათლება, რჩევები“. 29 ნოემბერი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი
6.	ანასტასია ზაქარიაძე	მილენიუმის გამოწვევები და ქართული ფილოსოფია	საერთაშორისო კონფერენცია“ მილენიუმის სოციალური პრობლემები - მავნე ჩვევები, თანმდევი რისკები, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები, განათლება, რჩევები“. 29 ნოემბერი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი
7	მამუკა დოლიძე	ბედნიერების შესაძლე-ბლობა თანამედროვე ჩოგბურთის ფენომენოლოგიაში	12 -15 ივლისი 2019 საბერძნეთი, ათენი, ვოლიამენი
8	მამუკა დოლიძე	ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა	10 -13 დეკემბერი, 2019 ლატვია, რიგის უნივერსიტეტი
9	ვალერიან რამიშვილი	*Virtue and happiness*	International conference “Possibility of Eudaimonia in the world today”12-15 July,Athens Greece 2019
10	ვალერიან რამიშვილი	*The Human as a fundamental*	„Problems of personal development in the modern

		ontological occurrence	society“ Yaroslav Mudryi National Law University, 14-15 November 2019, Kharkiv, Ukraine
11	ვალერიან რამიშვილი	Happiness and Dignity in the Heideggers's existential analytic	International Interdisciplinary Conference: „To Let Things Be! Edmund Husserl 160, Martin Heidegger 130“ Riga, University of Latvia, Litvia 10-12 December, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.მოხსენება წარმოადგენდა ორსაათიან ინტერაქტიურ პრეზენტაციას პროფ. პიტერ ადამსონის რეგულარულ სემინარზე, რომელიც ეძღვნება ბიზანტიური ჰუმანიზმის ცნობილი და უცნაური წარმომადგენლის, გეორგიოს გემისტოს პლეთონის ნაშრომის “არისტოტელეს პლატონისგან განსხვავებების შესახებ” კითხვასა და ანალიზს. სემინარზე წარმოდგენილ იქნა პლატონისა და არისტოტელეს, აგრეთვე პლატონიკოსებისა და არისტოტელიკოსების შედარების, პლატონისა და პლატონიკოსების “უპირატესობების”, აგრეთვე არისტოტელური ფილოსოფიია რეცეფციის იოანე პეტრიწისეული სქემა, რომელიც, მისი პრეზენტაციის პარალელურად და შემდეგ, შედარდა პლეთონის მიდგომას, გამოვლინდა მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები, აგრეთვე შეძლებისდაგვარად დასაბუთდა და განიმარტა, რა საფუძველი აქვს ამგვარ შედარებას და რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მიღებულ შედეგებს საერთო ევროპული ინტელექტუალური კულტურის შესწავლისთვის, განსაკუთრებით იტალიური რენესანსის ფილოსოფიის კონტექსტში.

2.ბედნიერების შესაძლებლობა თანამედროვე ჩოგბურთის ფენომენოლოგიაში. ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს შეადგენს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის ხელოვნების იდეა.

მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს. ისევე, როგორც მსახიობს ამოძრავებს მხატვრული სახე და მოქმედების იდეა, ასევე ჩოგბურთელიც, რომელიც უფრო თამაშობს, ვიდრე იბრძვის, საჩოგბურთო სცენაზე იდეალურ მოძრაობას ისახავს მიზნად, რომელიც მის ძალისხმევას ხელოვნებად გარდაქმნის. ის ებრძვის არა პარტნიორს, არამედ ეთამაშება საკუთარ თავს. ქულებს კი არ აგროვებს, არამედ თამაშობს თამაშის გულისთვის, გადადის ფიზიკური რეალობის საზღვარს და ემოციური კათარზისით აღწევს ერთგვარ მეტაფიზიკურ მდგომარეობას.

ჩოგბურთის საზღვრები ფართოვდება. ფიზიკური დაძაბულობის ნაცვლად მოდის ნების თავისუფლება, წარმოსახვის თამაში და ბედნიერების განცდა, რომელშიც ადამიანმა შეიძლება იპოვნოს საკუთარი ცხოვრების აზრი.

3.ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა

ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა ყოფიერების ორ განსხვავებულ, ერთმანეთის გამომრიცხავ სფეროს შეეხება. თუკი ფენომენოლოგია აღწერს ფენომენთა სამყაროს, რომელიც ღიაა ცნობიერების წინაშე, მეტაფიზიკის ობიექტია "ნივთი თავისთავად" - ის, რაც არ შემოდის ცნობიერების ველში და ვერასოდეს იქცევა ცოდნის ობიექტად. ჩვენი მოსაზრებით, ეს ტრადიციული წყალგამყოფი ფენომენთა სამყაროს და მეტაფიზიკურ სფეროს შორის შეიძლება კიდეც დაირღვეს ფენომენოლოგიის თანამედროვე მიღწევათა შუქზე. თუკი "ნივთი თავისთავად" სრულიად შეუმეცნებადია, როგორღა შეიძლება ვთქვათ, რომ ის არ შემოდის ცნობიერების ველში და ვერასოდეს იქცევა ცოდნის ობიექტად? ამის თქმა უკვე მის გარკვეულ დახასიათებას და მაშასადამე, გარკვეულ გაცნობიერებას ნიშნავს. იქნებ ასეთი საუბრისას მხედველობაში გვაქვს არა მეტაფიზიკური ობიექტი, არამედ მისი საზრისი, ანუ ის კვალი, რაც მისი ზეგავლენით აღიბეჭდება ცნობიერების ეკრანზე? მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მეტაფიზიკური ობიექტი და მისი საზრისი ორი განსხვავებული შინაარსია. ერთი განეკუთვნება არაცნობიერის სფეროს, მეორე კი ცნობიერების ველს. ასეთი გახლეჩვა რომ არ მოხდეს, შეიძლება მივმართოდ ენის დეკონსტრუქციის პრინციპს. ენა, როგორც აზროვნების ფორმა, მიისრაფვის გარკვეულობისკენ, სიცხადისკენ. გარკვეული შინაარსის წარმოჩენით ენა შორდება არაცნობიერის სფეროს და ფიქსირდება ცნობიერების ველში. ამდენად ენობრივი კონსტრუქცია კარგავს მეტაფიზიკური ობიექტის იდუმალებას.

იმისთვის, რომ გავიდეთ ცნობიერების გარეთ და გადავიდეთ საზრისიდან მეტაფიზიკურ ობიექტზე, საჭიროა მოვახდინოთ ენის დეკონსტრუქცია, ანუ დავარღვიოთ მისი შესაბამისობა ობიექტურ რეალობასთან და აღმოვაჩინოთ ის სტიქიური ელემენტი, რომელიც არ ობიექტივირდება და საგნობრივ კრისტალიზაციას არ განიცდის. ფაქტიურად ეს არის ენის, როგორც სუბიექტური ფენომენის ჩვენება, რაც მუდმივად ეწინააღმდეგება ცოდნის შინაარსთა ობიექტივაციის პრინციპს. ენის ამ სუბიექტურ სტიქიაში ისახება კავშირი ფენომენსა და ინტერფენომენს, ცნობიერსა და არაცნობიერს შორის რაც ფენომენოლოგიური სამყაროს ღიაობას ნიშნავს მეტაფიზიკის მიმართ.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით "არ შეფასდა".

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტი შედგება ორი კათედრისაგან:

ა) ქართველური ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ქურდაძე.

ბ) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი დარეჯან თვალთვაძე.

ინსტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი:

ა) ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“, ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

ბ) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი: ფილ. მეცნ. დოქტორი პატიკო ცხადაია.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი რამაზ ქურდაძე, ქართველური ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია,
ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე,
ასოცირებული პროფესორი სალომე ომიაძე,
ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი,
ასოცირებული პროფესორი მაია ლომია,
ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი,
ასოცირებული პროფესორი ნინო შარაშენიძე,

ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული,

ასოცირებული პროფესორი ლელა ციხელაშვილი,

აკადემიკოსი მზექალა შანიძე, ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი „ორიონი“-ს ხელმძღვანელი

მკვლევარი მარინე ოდიკაძე,

ფილ. მეცნ. დოქტორი პატიკო ცხადაია, ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი

უფროსი ლაბორანტი დოდო შონია,

პროფესორის ასისტენტი მაია მადუაშვილი,

ლაბორანტი სოფია შამუგია,

ლაბორანტი დოდო ქიტუაშვილი,

ლაბორანტი გიორგი ქიტოშვილი,

ლაბორანტი თინათინ ჯიქურაშვილი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 32 04 03) ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების „ირბახი“ ქვეპროგრამა); ხელშეკრულება № 07	01.01.2016 - 31.12.2020	ოძელი მარიკა(პროფ. - პროექტის ავტორი და კოორდინატორი) საბანაძე ტატიანა (პროგრამისტი) ლომაშვილი ქეთევან (დიზაინერი) დავითაშვილი ნატა (მენეჯერი) **რუსუდან ზექალაშვილი** (ექსპერტ-ლექსიკოგრაფი), ტეტელოშვილი თეა (შემსრულებელი) ერქომაიშვილი მანანა (შემსრულებელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) შევასრულე შემდეგი სამუშაოები:			

1.შევარჩიეთ ქართული ენის სასწავლო ლექსიკური მინიმუმი **C1** დონისთვის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხავი მასალების მიხედვით, დავაზუსტეთ ლექსიკონში შესატანი ახალი სიტყვები (შევუდარეთ A1, A2, A2+, B1, B2, B2 + დონეების სახელმძღვანელოებსა და სამუშაო რვეულებს).

2.შევადგინეთ ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი **C1** (C1.1., C1.2) (2.500 სიტყვა-სტატია), რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებისა („აღმართის“ სერიის შესაბამისი დონე) და საკითხავი წიგნების ლექსიკური მასალა. შეიქმნა ლექსიკური ერთეულების აუცილებელი ატრიბუტიკა ვებგვერდისთვის: http://geofl.ge (იხ. http://dictionary.geofl.ge/): სიტყვების განმარტებები, საილუსტრაციო მაგალითები, სალექსიკონო ერთეულების გრამატიკული აღწერილობა და თემატური დაჯგუფება; შეირჩა სინონიმები და ანტონიმები, განიმარტა საჭირო იდიომატური გამოთქმები; შეივსო სახელების, სახელზმნებისა და ზმნების გრამატიკული პარადიგმები;

3. ვებგვერდისთვის http://geofl.ge მოვამზადე დამხმარე სახელმძღვანელო ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის: ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი (ბრუნებისა და უღლების ტაბულებით), თბილისი, პროგრამა ლოგოსი, 242 გვ. ISBN 978-9941-468-45-2
http://geofl.ge/resource/researchText/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98.pdf

4. ვთარგმნე გერმანულიდან იენსი იეგერის წიგნი „ქართული ენა უცხოელის თვალით“. Georgian language as seen by a foreigner (Oh, dieses Georgisch! von Jens Jäger, erschienen 2015 im Conrad Stein Verlag, Welver) (ინგლისურად მთარგმნელი – ნათია ზოიძე, დიზაინერი – ქეთევან ლომიშვილი; რედაქტორი – ნატა დავითაშვილი), თბილისი, 2019, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, - გვ. 31 (პრეზენტაცია ჩატარდა 2019 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში).

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ქართული ენის დარგობრივი სახელმძღვანელო - „ბუღალტრული აღრიცხვა“	1.05-30.09.2018	**ინგა სანიკიძე _ ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი;** თაია ცხადაია _ ქართული ენის ექსპერტი, თანაავტორი; ნინო სანიკიძე _ თანაავტორი (მოსასმენი დიალოგებისა და პარატექსტების შემქმნელი); ანა ახვლედიანი _ დარგობრივი ექსპერტი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი, რომელიც განახორციელა სსიპ ზ. ჟვანიას ადმინისტრირების სკოლამ.
პროექტის დასახელება: „ბუღალტრული აღრიცხვა“ - ქართულის ენის დარგობრივი სახელმძღვანელო, საფეხური - ბ1+. პოექტის ვადა: 1.04.2018- 30.09.2018.

სახელმძღვანელოს მეთოდისტი და თანაავტორი - ინგა სანიკიძე.
სახელმძღვანელო გამოიცა 2019 წელს. მისი ელექტრონული ვერსია განთავსებულია სსიპ ზ. ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ვებ.გვერდზე.
რეზიუმე: ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებულია მუშაობა სახელმძღვანელოზე, რომელიც შესრულდა ავტორთა ჯგუფის მიერ. სახელმძღვანელოებს თან ერთვის სამუშაო რვეული, ეს უკანასკნელნი კი ჯამურად 200-მდე ენობრივ სავარჯიშოს მოიცავს. ყველა მათგანი შექმნილი, რედაქტირებული და გამოსაცემად გამზადებულია ჩემ მიერ. ამასთან, სახელმძღვანელოთა ნაწილში ჩემ მიერვე მოდელირებულია ზმნურ პარადიგმათა ცხრილები, გაკეთებულია შესაბამისი ლექსიკონები, სპეციალურ ვიზუალურ დაფებზე თვალსაჩინოებისათვის გამოტანილია ენობრივი [გრამატიკული] მასალა თავისი მაგალითებით, დამოუკიდებელი ადგილი აქვს დათმობილი სინონიმებისა და ანტონიმების წყვილთა დაფებსაც; სპეციალურ უჯრებში განთავსებულია მნიშვნელოვანი ფრაზები თუ წინადადებები, რომელთაც შესასწავლი მასალის გააქტიურების ფუნქცია აქვს დაკისრებული. სახელმძღვანელო აგებულია ოთხკომპონენტიანი სწავლების (ტექსტი, ტექსტის გააზრება, მოსმენა, წერა) ძირითად მოდელზე; გათვალისწინებულია ენის სწავლების საერთაშორისო სტანდარტი, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ენის შემსწავლელ მოსწავლესა თუ სტუდენტს. ამასთან, არაქართულენოვან მსურველს ხელს შეუწყობს დასაქმდეს შესაბამისი პროფილით.
შენიშვნა: პროექტით გათვალისწინებული სახელმძღვანელოს გამოცემაზე მუშაობა გაგრძელდა 2019 წლის 28 თებერვლამდე. წიგნის გამოცემა კი ითვალისწინებდა დაკაბადონებული ტექსტების რედაქტირება-კორექტირებას.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	"იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება" (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი FR17_170) სამეცნიერო მიმართულება: 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი ქვე-მიმართულება:	20.12.2017 – 20.12.2020	1. **დარეჯან თვალთვაძე** (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი); 2. სოფიო სარჯველაძე (პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი) 3. ელგუჯა გიუნაშვილი (ძირითადი შემსრულებელი);

	6.2. ენათმეცნიერება და ლიტერატურა		4. **თინათინ ჯიქურაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანს წარმოადგენს იოანეს სახარების ძველი ქართული რედაქციების აკადემიურად დადგენილი ტექსტების გამოსაცემად მომზადება, რაც გულისხმობს იოანეს სახარების ძველი ქართული (გიორგი მთაწმიდლის რედაქციამდელი ტექსტის შემცველი) თარგმანის ჩვენს ხელთ არსებული ყველა უძველესი, სრული და ფრაგმენტული ხელნაწერის (მათ შორის ლექციონარების) შესწავლას (40-მდე ხელნაწერი) და იოანეს სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის ტექსტის დადგენას XI-XIV საუკუნის ხელნაწერების მიხედვით.

პროექტის მე-3 საანგარიშო პერიოდში (20.12.18-20.06.2019) შესრულდა გეგმა-გრაფიკით (XIII-XVIII თვეები) გათვალისწინებული სამუშაოები: იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის წინარეათონური რედაქციის შემცველი ხელნაწერებიდან წინარეთონური რედაქციის კრიტიკული ტექსტის დასადგენად შეირჩა IX-XI საუკუნეების 10 უძველესი ხელნაწერი, კერძოდ: **C** - ადიში ოთხავი (897 წ.); **A^{d}** - ანბანდიდის სახარება (IX ს); **A** - ქსნის ოთხთავი (X ს); **L** - ტბეთის ოთხთავი (995 წ.); **M** - მარტვილის ოთხთავი S-391 (X ს.); **i - K 176 (X ს.); s** – S 405 (X .); **b** - A 1699, H 1887 (X ს.); **v** - K 363 (1013 წ.) და **h** - H 1240 (XIს.). აღნიშნული ხელნაწერების მიხედვით მოხდა იოანეს სახარების წინარეათონური რედაქციის კრიტიკული ტექსტის დადგენა და ვარიანტების აღნუსხვა.

მეოთხე პერიოდში (20.06.2019-20.12.2019) შესრულდა პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით XIX-XXIV თვეებში დაგეგმილი სამუშაოები: იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის წინარეთონური რედაქციის კრიტიკული ტექსტის დასადგენად შესწავლილი იქნა XI საუკუნეების 4 ხელნაწერი, კერძოდ: S - Sin-16 (X ს); c – S 962 + K 668 (1054 წ.) (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ფრაგმენტი (K 668) აღმოჩნდა ნაწილი ვრცელი ხელნაწერისა S-962, რომელიც შეიცავს იოანეს სახარების ი.4,46-5,1 მუხლებს); u- H 1792 (XI ს.); w – ვენური ოთხთავი, Vienna Georg.1 (XI ს.); **l** - ლიხაურის ოთხთავი, Q-645 (XI ს). მოხდა აღნიშნული ხელნაწერების ვარიანტული წაკითხვების აღნუსხვა. ასევე შესწავლილ იქნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულული სახარების ტექსტის შემცველი 38 ფრაგმენტული ხელნაწერი, კერძოდ: H-1890; H-1836a; H-1836b; H-1892; H-1409; H-1445; H-362; H-1059; H-1301; H-1351; H-1396; H-3181; H-3210; H-3240; H-3243; H-1792; H-1793; H-1794; H-2084; H -2085; H-2129; H-3098a; H-3098b; H-1326; H-1990f; H-1706; H-1707; S-4937; S-2855; S-1399; S-1401; Q- 637; Q-783; Q-22; Q-84; Q- 1054; Q – 1062; Q- 1126. იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის აპარატში აისახა ყველა იმ ფრაგმენტის განსხვავებული იკითხვისები, რომელიც იოანეს სახარების ხელნაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა.

2019 წლის 28-30 ნოემბერს პროექტის ძირითადი შემსრულებლები დარეჯან თვალთვაძე და სოფიო სარჯველაძე მივლინებით იმყოფებოდნენ ქუთაისში ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული სახარების ხელნაწერების შესასწავლად. აღნიშნულ მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი 33 მანუსკრიპტიდან საგრანტო პროექტის მიზნების და ამოცანების შესაბამისად ამ ეტაპზე შეირჩა და დამუშავდა X-XIII საუკუნეების შემდეგი ხელნაწერები: K 74, K 76, K 176, K 182, K 363 და K 688. ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე. კერძოდ, ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი K 74, რომელიც კატალოგის მიხედვით დათრიღებული იყო XV-XVI საუკუნეებით, აღმოჩნდა XI საუკუნის ნუსხა; K 688 ნომრით დაცული ხელნაწერის ფრაგმენტი კი თბილისში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული S 962 ხელნაწერის (1054წ.) ნაწილი, რომელიც იოანეს სახარების ი.4,50- 5, 2 მუხლებს მოიცავს. ასევე დაზუსტა XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერის K 176-ის შექმნის თარიღი, რომელიც მეათე საუკუნის ბოლოს უნდა იყოს გადაწერილი. მოხდა ზემოთ მითითებული ქუთაისური ხელნაწერების ტექსტის მონაცემების (ვარიანტული იკითხვისების) აღნუსხვა და მათზე დართული ანდერძების გადმოწერა, ასევე თითოეული ხელნაწერის

რამდენიმე გვერდის დიგიტალიზება. ქუთაისში მივლინების შედეგების შესახებ მომზადდა პრეზენტაცია „ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად“, რომლის წარდგენა მოხდა 2019 წლის 16 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტი ითვალისწინებს იოანეს სახარების ქართული თარგმანის ყველა რედაქციის აკადემიურად დადგენილი ტექსტის ლექციონარის საკითხავებთან ერთად განთავსებას სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე, http://ogg.tsu.ge/, ახალი აღთქმის ამ წიგნის კრიტიკული ტექსტის ბეჭდური გამოცემა კი, რედაქციების ურთიერთმიმართების, სათარგმნი დედნების, ტექსტოლოგიური, კოდიკოლოგიური და ენის საკითხების, ტექსტებში არსებული ლექსიკის შესახებ გამოკვლევებითურთ განხორციელდება პროექტის დასრულების შემდეგ.

2	„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები* FR17_388	2017-2020	**რამაზ ქურდაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი), **მაია ლომია** (კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი), ნინო ჭუმბურიძე (მეცნიერ-მკვლევარი – ძირითადი პერსონალი), თამარ ჩანქსელიანი (ახალგაზრდა მეცნიერი – ძირითადი პერსონალი), **ქეთევან მარგიანი** (ექსპერტ-სპეციალისტი-დამხმარე პერსონალი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2019 წლის ეტაპი აერთიანებს ორ – III და IV საანგარიშო პერიოდებს: იანვრიდან ივნისის ჩათვლით და ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. 2019 წელს ორივე საანგარიშო პერიოდში მიღწეული **ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:** გაგრძელდა ქართულ და უცხო ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება; გაგრძელდა ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური ემპირიული მასალის შერჩევა და დამუშავება; გაგრძელდა მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია – განისაზღვრა პრობლემური საკითხები და დაისახა მათი ანალიზის მეთოდოლოგიური გზები. მივლინება ქვეყნის შიგნით (ველზე მუშაობა) განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ ეკომიგრანტ სვანებთან და სამეგრელოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში ტექსტების ჩასაწერად, ჩაწერილის გადასამოწმებლად, აუდიო და ვიდეოფაილების შესავსებად. მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შემუშავებული კითხვარებისა და დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით; შეიქმნა მდიდარი აუდიო და ვიდეომასალა. ველზე მოპოვებული ემპირიული მასალა დამუშავდა და ჩაერთო კვლევაში. მივლინება ქვეყნის გარეთ (ველზე მუშაობა) განხორციელდა თურქეთის ლაზეთში (არქაბის რაიონში, ართვინის პროვინციაში) ლაზური ტექსტების ჩასაწერად, აუდიო და ვიდეომასალის ჩასაწერად. მივლინება ქვეყნის გარეთ – საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა განხორციელდა: **ა.** 27-29 ივნისს სტამბოლის მედიპოლ უნივერსიტეტში (თურქეთი); **ბ.** 22-27 ნოემბერს ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი იყო მოხსენებები: 1. *ქართველურ ენებში უარყოფითწარმოქმნის დერივაციულ სახელთა განვითარების დინამიკა* (მ. ლომია, ნ. ჭუმბურიძე): http://www.iclec.net/ ; 2. *უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული საშუალებები ქართველურ ენებში* (მ. ლომია, რ. ქურდაძე); 3. *უ- პრეფიქსიანი უარყოფითი არსებითი და ზედსართავი სახელები ქართველურ ენებში* (ნ. ჭუმბურიძე, რ. ქურდაძე): http://www.fb10.uni-bremen.de/nwlk2019/view_abstracts ; გრანტის წევრები მივლინების ფარგლებში შეხვდნენ აგრეთვე ბრემენის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროფილის პროფესურასა და სტუდენტებს, ოლდენბურგის უნივერსიტეტის ემეტიტუს-პროფესორს, ცნობილ

ქართველოლოგს ვინფრიდ ბოედერს კვლევაში თანამედროვე მეთოდოლოგიების აქტიურად გამოყენებისა და მომავალშიც თანამშრომლის გაგრძელების მიზნით.

სამეცნიერო პროექტის თემატიკის ფარგლებში მომზადდა სხვა მოხსენებებიც და პუბლიკაციებიც:

1. *უარყოფის გამოხატვის სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“* (რ. ქურდაძე, მ. ლომია), თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIII საფაკულტეტო კონფერენცია, ივნისი, 2019 წ. **2.** *ენობრივი კონტაქტების შედეგად გააქტიურებული ზოგი სახელური მოდელი ქართულში* (ნ. ჭუმბურიძე), მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25-27.10.2019 წელი. მოხსენება სრულად დაიბეჭდა ამავე სახელწოდების კრებულში, ტ. V, 2019, გვ. 624-628. **3.** თ. ჩანქსელიანი, *მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში,* ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 27-30.11.2019, პროგრამა და მოხსენებათა თეზისები (ქართულად და ინგლისურად) დაბეჭდილია: გვ.25, 61-62, 81-82.

4. ნ. ჭუმბურიძე, მ. ლომია, რ. ქურდაძე, *უქონლობა-უარყოფის სემანტიკის მქონე დერივაციული სახელები ქართველურ ენებში,* თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესია, მასალები, 24-26.12.2019:
https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/12/sesiis-masalebi_78.pdf

5. *რთული უარყოფითი სახელური ლექსემები ქართულ ენაში: სტრუქტურა და ფუნქციური განაწილების პრინციპები* (მ. ლომია, რ. ქურდაძე, ნ. ჭუმბურიძე, ქ. მარგიანი) ორენოვანი (ქართული და ინგლი-სური)სტატია ატვირთულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ რეცენ-ზირებად სამეცნიერო ბილინგვურ ჟურნალ „სპეკალში“,#13, 2019:
http://www.spekali.tsu.ge/indexphp/ge

3	პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები FR17_387	19/12/2017-19/06/2020	**გიული შაბაშვილი** - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი - პროექტის კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი ირაკლი სალია - ძირითადი პერსონალი **სოფიო შამუგია** - ძირითადი პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მესამე საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ემპირიული მასალის მოძიება. დამუშავდა საკვლევ საკითხთან (კერძოდ: პერფექტის სემანტიკა; გრამატიკული ასპექტი; მოქმედების სახე; ზმნური მოდალობა) დაკავშირებული როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. კერძოდ, დამუშავდა, საშუალი ქართული ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები, ახალი და უახლესი ლიტერატურული, პუბლიცისტური და სამეცნიერო ტექსტები, დიალექტური ტექსტები, დამუშავდა პრესისა და ტელეგადაცემების მონაცემები. გაგრძელდა თეორიული მასალის მოძიება როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურიდან.

დამუშავდა მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურა. წინასწარ შემუშავებული მეთოდებისა და პარამეტრების მიხედვით დამუშავდა, დახარისხდა და გაანალიზდა მოძიებული ემპირიული მასალა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საველე ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში (კერძოდ ქუთაისის მიმდებარე სოფლებში (სულ 5 სოფელი)) და აღმოსავლეთ საქართველოში (სიღნაღის რაიონში, სიღნაღსა და მის მიმდებარე სოფლებში (სულ 5 სოფელი)). საველე ექსპედიციის დროს გამოკითხულ იქნა 120 ადამიანი (60-60 რესპონდენტი თითო ექსპედიციის დროს). გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით. თითოეულ კითხვარში, რომელიც დაეფუძნა ოსტენ დალის მიერ შემუშავებულ მონაცემებს, წარმოდგენილი იყო 37 შეკითხვა. წინასწარ შემუშავებული კითხვების მიხედვით ცალკე ჩაწერილ იქნა ინტერვიუ სოფლის მაცხოვრებლებთან (სულ 10 ინტერვიუ).

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პროექტით გათვალისწინებული ამოცანის მიხედვით, სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი, ლაბორატორია LACITO-ს მკვლევარი პროფესორი ნიკოლას ტურნადრი. პროფ. ტურნადრმა ჩაატარა სემინარი თსუ პროფესორებისა და სტუდენტებისთვის თემაზე: „ევიდენციალობის კატეგორია“. ვიზიტის დროს პროექტის ძირითად პერსონალთან შედგა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა კვლევის მიმდინარე შედეგები, გაანალიზებულ იქნა მოძიებული ემპირიული მასალა და გადამოწმებულ იქნა ჩატარებული კვლევის მეთოდები, მათი მნიშვნელობა და ეფექტურობა. შეხვედრის დროს საუბარი იყო იმაზე, თუ რა საშუალებებით რეალიზდება პერფექტული სემანტიკა ქართულ ენაში, როგორ უკავშირდება ერთმანეთს პერფექტული და უნახაობის სემანტიკა, რა უნივერსალური ფაქტორები გამოიყოფა ამ თვალსაზრისით და რა სპეციფიკა მოქმედებს საკუთრივ ქართულ ენაში. გარდა ამისა, ვიზიტის დროს შედგა სამუშაო შეხვედრა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა პერფექტისა და უნახაობის კატეგორიებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები როგორც ქართულ ენაში, ისე სხვა ინდოევროპულ და აღმოსავლურ ენებში.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ *ჰუმანიტარული მეცნიერებები* FR217-300	2016-2019	**ქეთევან მარგიანი** (სამეცნიერო ხელმძღვანელი), **რამაზ ქურდაძე** (კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი), **მაია ლომია** (მეცნიერ-მკვლევარი, ძირითადი პერსონალი), **მაია მადუაშვილი** (ახალგაზრდა მეცნიერი, ძირითადი პერსონალ)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2019 წლის ეტაპი აერთიანებს ორ – V და VI საანგარიშო პერიოდებს: იანვრიდან ივნისის ჩათვლით და ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, თუმცა, ამავე დროს, გრანტის დამამთავრებელ ეტაპზე ერთფვარად ჯამდება ორი წლის მუშაობის შედეგები; კერძოდ, 2019 წელს მიღწეული **ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები ასეთია:** დასრულდა ქართულ და უცხო ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატ-ურის დამუშავება; დასრულდა ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური ემპირიული მასალის შერჩევა და დამუშავება; დასრულდა მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია და ჩამოყალიბდა მონოგრაფიის აგების კონცეტუალური მონაცემები. მივლინება ქვეყნის გარეთ (ველზე მუშაობა)

განხორციელდა თურქეთის ლაზეთში (არქაბის რაიონში, ართვინის პროვინციაში) ლაზური ტექსტების ჩასაწერად, რათა შედარებისას გათვალისწინებული იყოს სინქრონიული მონაცემები. მივლინება ქვეყნის გარეთ – საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა განხორციელდა: **ა.** 27-29 ივნისს სტამბოლის მედიპოლ უნივერსიტეტში (თურქეთი); **ბ.** 22-27 ნოემბერს ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი იყო მოხსენებები: **1.** *კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა ქართველურ ენებში* (რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი): http://www.iclec.net/ **2.** *ევიდენციალობის კატეგორია და გრამატიკული დრო ქართველურ ენებში* (ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე): http://www.fb10.uni-bremen.de/nwlk2019/view_abstracts ; გრანტის წევრები მივლინების ფარგლებში შეხვდნენ აგრეთვე ბრემენის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროფილის პროფესურასა და სტუდენტებს, ოლდენბურგის უნივერსიტეტის ემეტიტუს-პროფესორს, ცნობილ ქართველოლოგს ვინფრიდ ბოედერს კვლევაში თანამედროვე მეთოდოლოგიების აქტიურად გამოყენებისა და მომავალშიც თანამშრომლის გაგრძელების მიზნით. გრანტის ფარგლებში დამუშავდა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ელექტრონულ ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია: *რიტორიკული კითხვის შემცველი კონსტრუქცია ევიდენციალობის თვალსაზრისით (ქართული ენის ემპირიული მასალების მიხედვით)*(რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი). 2019 წლის ბოლოს გრანტის ფარგლებში დამუშავებული პრობლემური საკითხები გაერთიანდა და შეიქმნა მონოგრაფიის პირველადი ვერსია ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეთი. ნაშრომი მზად არის დასაბეჭდად.

2	კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში FR217848	2016-2019	იზა ჩანტლაძე (ხელმძღვანელი) **ქეთევან მარგიანი** (კოორდინატორი) ქეთევან მარგიანი-დადვანი (ძირითადი წევრი) რუსუდან იოსელიანი (ძირითადი წევრი) ნათია ფონიავა (ახალგაზრდა სპეციალისტი, ძირითადი წევრი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანი იყო **სვანური ენის სისტემაში კოდორული მეტყველების ადგილის გარკვევა, ანუ ამ მეტყველების სტატუსის დადგენა**, ვინაიდან საანალიზო მეტყველება გამორჩეულია მთელ სვანურ ენაში ინტერფერენციით, ის აწილობრივ ეკედლება ბზლსზემოურ დიალექტს, ნაწილობრივ კი ბბალსქვემოურს, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე შერეულად თანაცხოვრობდნენ ამ ორი დიალექტის წარმომადგენლები. ამასთან კოდორის ხეობის სვანური განიცდის სალიტერატურო ქართული ენის ძლიერ გავლენასაც, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ამ მეტყველების თავისებურებებს. შესაბამისად, კოდორულ სვანური მეტყველებაში ინტერფერენციული მოვლენები იმდენად შორს წავიდა, რომ ლოგიკურად დაისვა საკითხი: ხომ არ წარმოადგენს იგი უკვე დამოუკიდებელ დიალექტს?

ამ პრობლემის გადასაჭრელად დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

ა) ბალსქვემოური დიალექტის სპეციფიკური ლექსიკისა თუ ფონოლოგიურ-გრამატიკულ მონაცემთა გამოვლენა ისტორიულად ბალსზემოელ კოდორელთა მეტყველებაში; ასევე შებრუნებული ინტერფერენცირებული პროცესების დაფიქსირება და მათი სიხშირისა და სისტემურობის დადგენა.

ბ) დიგლოსიისა თუ ბილინგვიზმის შემთხვევების აღწერა (კოდორელთა ოჯახებში რძლად სხვა ეროვნების ან არასვანურ ატმოსფეროში აღზრდილი ქართველი ქალბატონების არსებობის საფუძველზე,

რომლებიც უკვე წლების მანძილზე ლაპარაკობენ სვანურ ენაზე. ცხადია, მათ მეტყველებაში აღარც ფარინგალური თანხმოვანი (â) ისმის და აღარც გრძელი თუ უმლაუტიანი ხმოვნები).

გ) სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უმწერლობო სვანური დღეს სახელმწიფო ენის ძლიერ გავლენას განიცდის. ეს უფრო აშკარაა კოდორის ხეობელთა მეტყველებაში. სწორედ ამის გამოა, რომ საოცრად შეიცვალა ქართველურ ენათაგან ყველაზე რთული ბრუნვათა სისტემა. **ამოცანა**: ორფუძიანი ტიპის ბრუნების თანდათანობით მოშლას და ე. წ. ქართველურ სისტემაზე გადასვლას მხოლოდ სახელობითი ბრუნვის მიხედვით დანარჩენ პარადიგმატულ ფორმათა გასწორების შედარებით ახალი პროცესი უწყობს ხელს თუ რომელიმე ექსტრალინგვისტური ფაქტორიც?

დ) **ხუთი ტიპის ბრუნება** როგორაა დღეს წარმოდგენილი საუკუნენახევრის წინ კოდორის ხეობაში ჩასახლებულ ბალსზემოელთა ან ბალსქვემოელთა მეტყველებაში – სად უფრო მეტია არქაიზმები, ინოვაციები? როგორია სხვადასხვა ასაკის მთქმელთა დამოკიდებულება ბრუნება-უღვლილების კატეგორიებთან მიმართების თვალსაზრისით?

ე) მეტად თავისებურია **უწყვეტლის** მწკრივის წარმოება ზოგადად სვანურშიც და კონკრეტულად კოდორის ხეობელთა მეტყველებაშიც. **ამოცანა**: აღნიშნული მწკრივის უამრავ მორფემათაგან რომელს ენიჭება უპირატესობა ფორმათა უნიფიკაციისა და დანარჩენ ქართველურ ენათა სისტემებთან დაახლოების თვალსაზრისით?

ვ) სვანურში ქართულისგან განსხვავებული, მეტად სპეციფიკური და ორიგინალურია ე. წ. „სხვათა სიტყვის“ (ყველა პირისათვის სავარაუდო მესამე პირისეული) კონსტრუქციები. არის თუ არა განსხვავება ამ თვალსაზრისით კოდორულ და თანამედროვე ზემოსვანურ მეტყველებას შორის, თუ არის _ რატომ?

ზ) „კოდორულ ქრონიკებში“ პუბლიცირებულ ლექსიკის, ასევე სამეცნიერო მივლინებებში ველზე მუშაობისას მოპოვებული მასალის წარმოდგენა სიტყვა-სტატიებად და ქართულ-გერმანული თარგმანის 48 ასოზე გაწყობა ლექსიკონის სახით.

შედეგები: სამწლიანმა კვლევამ პასუხი გასცა დასმულ ამოცანებს:

ა) დაფიქსირდა, რომ ინტერფერენცია ორმხრივია ისტორიულად ბალსზემოელ და ბალსქვემოელ კოდორელთა მეტყველებაში, თუმცა უფრო მაღალი ხარისხით ეს მოვლენა ფიქსირდება იმ მთქმელების მეტყველებაში, რომლებიც დიალექტების მიხედვით შერეული ოჯახებიდან არიან, ან წინაპარი ჰყავთ სხვა დიალექტის წარმომადგენელი.

ბ) დიგლოსია და ბილინგვიზმი, მართალია, მთქმელთა უმცირესობის მეტყველებაში დადასტურდა კოდორის ტერიტორიაზე, თუმცა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მონაცემები აღმოჩნდა.

გ) ორფუძიანი ბრუნების მოშლისა და გამარტივების მიზეზი პარადიგმის გასწორებასთან ერთად, ჩვენი აზრით, ძირძველი სვანურის მატერებელ მოსახლეობისგან იზოლირება და ქართულენოვან კოლექტივთან მჭიდრო კავშირი უნდა იყოს (ამას ადასტურებს ძველი და ახალი თაობის მთქმელთა მეტყველების შეპირისპირება).

დ) უწყვეტლის წარმოებაში უპირატესობა ენიჭება -დ□ს/-და მორფემას, რომელიც ძირითადად ბალსზემოური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი და ახლოს დგას ქართულისებურ წარმოებასთან.

3	**„მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“** **218000**	2016-2019	**ნინო შარაშენიძე - სამეცნიერო ხელმძღვანელი** მაია ადვაძე - სპეციალისტი, მკვლევარი თამარ მახარობლიძე - მკვლევარი მაგული ღამბაშიძე - ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორანტი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რუსთაველის ფონდის მიერ 2016 წელს დაფინანსებული იყო პროექტი „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“ 218000. 2019 წელი არის პროექტის დასრულების წელი. ამ წლის ამოცანები იყო 1. ქართული ენის

ეროვნული კორპუსის ბაზაზე მასალის მოძიება და კლასიფიკაცია. 2. სტატიისა და მოხსენების მომზადება. 3. საკონფერენციო მოხსენების მომზადება. სამივე აქტივობა შესრულებულია. გარდა ეროვნული კორპუსის მასალისა, დამუშავდა KAWAC კორპუსი, რომელმაც საინტერესო მასალები მოგვცა. დამუშავებული მასალები გაანალიზდა კოლექტიურ ნაშრომში, რომელიც გამოსაქვეყნებლად გადაეცა საქართველოს ეროვნული აკადემიის მოამბის რედაქციას. მომზადდა ნაშრომის როგორც ქართული, ასევე ინგლისური ვარიანტი. ნაშრომი წარადგინა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ, რეცენზენტები იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გოგოლაშვილი და ემერიტუს პროფესორი დამანა მელიქიშვილი. ნაშრომი გამოქვეყნდება „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში“, რომელიც მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალია. ნაშრომზე დაყრდნობით მომზადდა თეზისები, რომელიც მიღებულია CESS კონფერენციაზე. კონფერენცია გაიმართა 2019 წლის ოქტომბერში ვაშინგტონში. პერიოდში განსაზღვრული იყო ოთხი სამეცნიერო სტატიის დაწერა და გამოქვეყნება. მეექვსე პერიოდის ამოცანად განსაზღვრული იყო მონოგრაფიის ცალკეული ნაწილების გაერთიანება, რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონოგრაფიაზე მუშაობა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Prepare for Diversity and Develop Tolerance Among the Youth of Georgia (DTYG) – ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400213	2017-2020	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის ხელმძღვანელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა 2 აკადემიური კურსი ქართულ ენაში მომზადების პროგრამისა და ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამებისთვის, მომზადდა სილაბუსები და „რიდერები“ აღნიშნული კურსებისთვის. პილოტირების პროცესში ჩართულია 9 უმაღლესი სასწავლებელი.			
2	"ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა" (PITA)	2016-2020	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის ხელმძღვანელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა „თსუ ახალგზარდული ცენტრი“ არაქართულენოვანი სტუდენტების მხარდასაჭერად. ცენტრში განთავსდა საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, ყოველწლიურად ტარდება უმცირესობათა ინტეგრაციისკენ მიმართული სხვადასხვა აქტივობა (60-მდე ღონისძიება).			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	**GeoPal** -Georgische Palimpsesthandschriften (Fortsetzung) „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (გაგრძელება - ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მომზადება) გოეთეს სახელობის მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია) Volkswagen Stiftung (ფოლკსვაგენის ფონდი) Az. 84 408-1	30.06.2018 – 30.08. 2019	• იოსტ გიპერტი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი) • ბერნარ უტიე (ძირითადი შემსრულებელი) • მზექალა შანიძე (თსუ-ს სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი) • **დარეჯან თვალთვაძე** (თსუ-ს სამეცნიერო ჯგუფის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი) • ეკა კვირკველია (ძირითადი შემსრულებელი) • სოფიო სარჯველაძე (ძირითადი შემსრულებელი) • **თინათინ ჯიქურაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი) • ციცი გულედანი (ძირითადი შემსრულებელი) • გიორგი ლომსაძე (ძირითადი შემსრულებელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საერთაშორისო (გერმანულ-ფრანგულ-ქართული) სამეცნიერო პროექტი მიზანად ისახავს ათონის მთაზე, ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ხელნაწერი წიგნების დიგიტალიზაციას, ხელნაწერთა ანალიტიკური აღწერილობის გამოცემას 3 ენაზე (ბერძნული, ინგლისური, ქართული) და ამ კოლექციაში დაცული პალიმფსესტური ხელნაწერების ამოკითხვას და შესწავლას.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი. პროექტის განხორციელებაში ჩართული არიან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ათონური ხელნაწერების აღწერილობაზე და თსუ-ს მკვლევართა ჯგუფი (აკად. მზექალა შანიძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, დოქტორანტები სოფიო სარჯველაძე, ეკა კვირკველია, მაგისტრი ციცინო გულედანი და ბაკალავრიატის სტუდენტი გიორგი

ლომსაძე).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2019 წელს ჩემს მოვალეობებს წარმოადგენდა ა)ათონის ივერთა მონასტერის N47 და N59 ხელნაწერების აღწერილობის შესადგენად მულტისპექტრული ფოტოების საფუძველზე მონაცემების შეგროვება (პალიმფსესტური ტექსტის ამოკითხვა) ბ) ათონური კოლექციის 15 ხელნაწერის (NN 1-15) ანალიტიკური აღწერილობის შევსება-რედაქტირება, სამეცნიერო აპარატზე მუშაობა (ბიბლიოგრაფიის, ინდექსებისა და საძიებლების შედგენა) და გ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის კოორდინირება. ხელნაწერთა ციფრული მულტისპექტრული ფოტოების მიხედვით შესწავლილ იქნა ათონ. 47 (XII-XIII საუკუნეების ლიტურგიკული კრებული) და ათონ. 59 ხელნაწერი (მარხვანი), რომლებიც პალიმფსესტურ ეტრატზეა ნაწერი. პალიმსფესტების ქვედა ფენა, სავარაუდოდ, მეცხრე საუკუნის ლიტურგიკული ტექსტია, რომელიც დაზიანებულია და ფრაგმენტულად არის შემონახული.

2	ენა და განათლება აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის კონტექსტში. USAID–ის ფინანსური მხარდაჭერით. USAID–ის ფინანსური მხარდაჭერით. Aid-114-A-15-000012	2015-2019	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის ხელმძღვანელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა აფხაზური ენის კორპუსი, გრამატიკული ანალიზატორითურთ, რომელშიც 10 000 000-მდე ტოკენია გაერთიანებული. კორპუსში შესულია აფხაზ კლასიკოსთა ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, ფოლკლორი, პოლიტიკური დოკუმენტები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 3 კრებული: 1. კლასიკოს ქართველ და აფხაზ მწერალთა ანთოლოგია (ქართულ და აფხაზურ ენებზე); 2. თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების კრებული (ქართულ და აფხაზურ ენებზე); 3. სტუდენტური ესეები (ქართულ და აფხაზურ ენებზე).

3	დონეებად დაყოფილი აფხაზურენოვანი ტექსტების შექმნა წიგნიერების განვითარებისთვის აფხაზეთში" COBERM, ევროკომისია. UNDP, Grant # 154	2017-2019	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის კომპონენტის ხელმძღვანელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის დონეთა მიხედვით გაწყობილი საკითხავი ტექსტები (ელექტრონული პროტალი (ablingua.com). პორტალი მოიცავს 200-ზე მეტ საინფორმაციო და მხატვრულ ტექსტს, აგრეთვე საგაკვეთილო სცენარებს თითოეული დონისათვის.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**რამაზ ქურდაძე**	ქართული ენა 1, ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელებისათვის, ISBN:978-9941-13-810-2 მესამე გამოცემა	თბილისი, თსუ გამომცემლობა	154

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პრაქტიკული სახელმძღვანელო გრამატიკული მითითებებისა და სავარჯიშოთა კრებულია, რომელიც დამუშავდა საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს წაკითხული სალექციო კურსების შედეგად. ამ კრე¬ბულ¬ში შემავალი სავარჯიშოების ნაწილი შედგენილია 2008 წელს, როდესაც, ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში, ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტონი ბრუკში (ნიუ იორკის შტა-ტი, აშშ) ვასწავლიდი ქართულს პროფესორ ალისა ჰარისის მიწვევით. მოგვიანებით კურსი გამ¬თლი¬ა¬ნდა და ამ სახით ორჯერ იქნა წაკითხული, 2011 და 2013 წლებში, დარტმუთის კოლეჯში (ნიუ ჰამ¬ფში¬რის შტატი, აშშ), სადაც ,,ღია საზოგადოების ინსტიტუტის~ ფაკულტეტის განვითარების მხარ¬და¬ჭე¬რის პროგრამით ვიყავი მიწვეული ზამთრისა და გაზაფხულის სემესტრებში 2011-2013 წლებში, ხო¬ლო აღნიშნული კურსის წაკითხვა შემომთავაზა ჩემმა იქაურმა მასპინძელმა, ასოცირებულმა პრო¬ფე¬სორ¬მა იოანა ჩიტორანმა. სხვადასხვა დროს ეს კურსი ორჯერ წავიკითხე ლეიდენის უნივერსიტეტში, ნიდერლანდების სამეფოში, 2012 და 2016 წლებში, 2015 წელს კი – ბრემენის უნივერსიტეტში, გერ¬მა¬ნი-აში. აღნიშნული კურსი 2018 წელს ორჯერ გამოიცა სახელმძღვანელოდ. გამოცემისთანავე ყველა ეგზემ-პლარი გაიყიდა. ახლადგამოცემული სახელ¬მძღვანელოთი, იმავე წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ქარ¬თული ენის კურსი დამწყებთათვის წავიკითხე კვლავ ლეიდენის უნივერსიტეტში, ნიდერლანდების სა¬მეფოში, რაც ნაშრომის აპრობაციის კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა იყო.

პრაქტიკული კურსი შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი – თანამედროვე ქართული ანბანი და მისი მოკლე დახასიათება; მეორე ნაწილი – გაკვეთილები; მესამე ნაწილი – სავარჯიშოთა პასუხები და მეოთხე ნაწილი – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. ძირითად ნა¬წილში წარმოდგენილია გრამატიკული მითითებანი და სავარჯიშოები, სულ 65 სავარჯიშო. სავარ¬ჯი-შოები აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ მსმენელმა შეძლოს გარკვეული ლექსიკური მა¬სა¬ლის დაგროვებაც, ამიტომ სავარჯიშოთა უმეტესობას ახლავს ქართული სიტყვები ინგლისური თარ¬გმა¬ნით.

ძირითადი ნაწილი იწყება იაკობ გოგებაშვილის პრინციპების მიხედვით შედგენილი თა¬ნა¬მედ¬როვე ქართული ანბანის ინგლისური ვარიანტის შესწავლით, რასაც პირველი სამი გაკვეთილი ეთ¬მობა. ამავე გაკვეთილებში ქართული ასოები და სიტყვები წარმოდგენილია ტრანსლიტერაციით. რადგან ეს კურსი არა მხოლოდ ლინგვისტებისთვის, არამედ, ზოგადად, ქართულით დაინტერესებული ყველა სტუდენტისათვისაა გათვალისწინებული, ტრანსლი¬ტერა¬ციისათ¬ვის ვიყენებთ ქართული ანბანის რომანიზებულ სისტემას, რომელიც მიღებულია 2002 წელს ენათმეც¬ნიე¬რების ინსტიტუტისა და საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარ¬ტა¬მენ¬ტის მიერ.

პირველ და მეორე გაკვეთილში, ორ (მესამე და მეექვსე) სავარჯიშოში ქართული მასალა რომანიზებული სისტემით, ტრანსლიტერაციითაა მოცემული; ეს იმის გამო, რომ მსმენელთათვის ქართული

ანბანი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მიწოდებული. მეოთხე გაკვეთილიდან ტრანსლი-ტერაცია აღარ გვხვდება. ქართული ანბანის უკეთ გაცნობისა და ადვილად შესწავლის მიზნით, ანბანის ნაწილები შედარებით დიდი ფონტითაა წარმოდგენილი. სტუდენტებს მიეწოდებათ სახელის (არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთა) და ზმნის უმნიშვნელოვანესი საკითხები, კერძოდ: სახელთა ბრუნების (მათ შორის თანდებულიანი სახელის) და ზმნის (ყოფნა, ყოლა/ქონა და სხვ.) უღლების შესახებ. მესამე ნაწილში მოცემულია სავარჯიშოთა პასუხები, გარდა პირველი, მეოთხე და მეთხუთმეტე სავარჯიშოებისა, რადგან ისინი მხოლოდ საკითხავი სავარჯიშოებია. მეოთხე ნაწილი კი ინგლისურ-ქართული ლექსიკონია. რადგან ქართული სიტყვები სავარჯიშოებშივეა წარმოდგენილი ინგლისურ თარგმანთან ერთად, ამიტომ სალექსიკონო ნაწილი მხოლოდ ინგლისურ-ქართული ლექსიკონით განვსაზღვრეთ. ლექსიკონი სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულებისაა, ის მორგებულია მკითხველის მოთხოვნებზე. კერძოდ, მასში ძალზე იშვიათად, აუცილებელ შემთხვევაში, სალექსიკონო სიტყვას გრამატიკულ მახასიათებელს ვუწერთ, მაგ.: ნ., რაც ნიშნავს ნოუნ-ს, სახელს და ვ., რაც ნიშნავს ვერბ-ს, ზმნას. თანხმოვანზე დაბოლოებული სიტყვები, რომელთაც აწმყოში ყოფნა ზმნის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის შემოკლებული -ა (←არის) ფორმისა თუ -ც ნაწილაკის დართვისას გავრცობილი -ა- ხმოვნიანი ფორმა აქვთ, ლექსიკონში გავრცობილი ფორმით შეგვაქვს, სავრცობ ხმოვანს ფრჩხილებში ვუთითებთ: არავინ(ა) , ზეგ(ა) და სხვა. ზმნა მოგვყავს ინგლისურში ინფინიტივის, ხოლო ქართულში საწყისის ფორმით და ფრჩხილებში ვუთითებთ მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმას. ყოფნა ზმნის სამივე (აწმყო, მყოფადი, ნამყო) დროის ყველა ფორმაა შეტანილი ლექსიკონში. ზოგიერთი ზმნის მხოლოდ მესამე პირის ფორმა მოგვყავს, მაგ., უდრის.

გრამატიკული ფორმების თუ დაწერილობის თავისებურებათა გამო, ლექსიკონში მოცემულია ადამიანთა სახელები და ადგილსახელებიც.

2	**ინგა სანიკიძე,** თ. ცხადაია, ნ. სანიკიძე	ბუღალტრული აღრიცხვა (ქართული ენის დარგობრივი სახელმძღვანელო, საფეხური B1+); ISBN 978-9941-8-0881-4	„New and Grand“	158 გვ. შენიშვნა: სახელმძღვანელოს ახლავს სამუშო რვეული, რომლის გვერდთა რაოდენობაა 116.

ვრცელი ანოტაცია:

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებულია მუშაობა სახელმძღვანელოზე, რომელიც შესრულდა ავტორთა ჯგუფის მიერ. სახელმძღვანელოებს თან ერთვის სამუშაო რვეული, ეს უკანასკნელნი კი ჯამურად 200-მდე ენობრივ სავარჯიშოს მოიცავს. ყველა მათგანი შექმნილი, რედაქტირებული და გამოსაცემად გამზადებულია ჩემ მიერ. ამასთან, სახელმძღვანელოთა ნაწილში ჩემ მიერვე მოდელირებულია ზმნურ პარადიგმათა ცხრილები, გაკეთებულია შესაბამისი ლექსიკონები, სპეციალურ ვიზუალურ დაფებზე თვალსაჩინოებისათვის გამოტანილია ენობრივი [გრამატიკული] მასალა თავისი მაგალითებით, დამოუკიდებელი ადგილი აქვს დათმობილი სინონიმებისა და ანტონიმების წყვილთა დაფებსაც; სპეციალურ უჯრებში განთავსებულია მნიშვნელოვანი ფრაზები თუ წინადადებები, რომელთაც შესასწავლი მასალის გააქტიურების ფუნქცია აქვს დაკისრებული. სახელმძღვანელო აგებულია ოთხკომპონენტიანი სწავლების (ტექსტი, ტექსტის გააზრება, მოსმენა, წერა) ძირითად მოდელზე; გათვალისწინებულია ენის სწავლების საერთაშორისო სტანდარტი, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ენის შემსწავლელ მოსწავლესა თუ სტუდენტს. ამასთან, არაქართულენოვან მსურველს ხელს შეუწყობს დასაქმდეს შესაბამისი პროფილით.

3	ქეთევან ხუციშვილი **კახა გაბუნია**	მრავალფეროვნება და ტოლერანტობა; ISBN 978-9941-27-670-5	თბილისი, 2019. „საიმედო“	162

ანოტაცია სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტთა ფართო წრისთვის (საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის; არჩევითი კურსი) და ეხება მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის საკითხებს. გათვლილია 15 ლექციაზე.				
4	**კახა გაბუნია** თეა ქამუშაძე	ენისა და საგნის უინტეგრირებული სწავლება; ISBN 978-9941-27-667-5	თბილისი, 2019. „საიმედო“	187
ანოტაცია სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის და ეხება მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის საკითხებს. სახელმძღვანელო აგებულია CLIL-ის პრინციპებზე (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება. გათვლილია 15 ლექციაზე.				
5	**კახა გაბუნია** **გიული შაბაშვილი**	მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვურიგანათლების კონტექსტში, კონფერენციის მასალები, ISBN 978-9941-13-564-4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	140
ანოტაცია კრებულში გაერთიანებულია 2018 წლის 15-17 თებერვალს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებიც ეძღვნება მეორე ენის სწავლა-სწავლებას, თარგმანის თეორიისა და მულტილინგვური და მულტიკულტურული განათლების საკითხებს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 118-მა მეცნიერმა 17 ქვეყნიდან. კრებულში წარმოდგენილია მათი მოხსენებათა თეზისები.				
6	**კახა გაბუნია** **გიული შაბაშვილი**	მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვურიგანათლების კონტექსტში, სტატიების კრებული (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ISBN 978-9941-13-564-6	თბილისი, თსუ გამომცემლობა	387
ანოტაცია კრებულში გაერთიანებულია 2018 წლის 15-17 თებერვალს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა შერჩეული სტატიები, რომლებიც ეძღვნება მეორე ენის სწავლა-სწავლებას, თარგმანის თეორიისა და მულტილინგვური და მულტიკულტურული განათლების საკითხებს. კრებულში განთავსებულია 27 სტატია ქართულ და ინგლისურ ენებზე				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**რამაზ ქურდაძე, დარეჯან თვალთვაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, სალომე ომიაძე**	უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა, მეორე გამოცემა ISBN: 9789941138195	თსუ, თსუ გამომცემლობა	70

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებული ***„უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა“*** 2019 წელს მეორედ გამოიცა რედაქტორის (მზ. შანიძის) ქართულ-ინგლისური წინასიტყვაობით). ამ კრებულის პოპულარობა პირველ რიგში მასში შეტანილმა მასალამ განაპირობა. უნივერსიტეტის იდეის განხორციელებასთან მჭიდრო კავშირშია ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა. ქართველური ენები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსების დღიდან ისწავლებოდა. კრებულში მოცემულია: ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის სიტყვა უნივერსიტეტის გახსნის დღეს; ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებისა და თანამოაზრეების, უნივერსიტეტის პირველი პროფესურის წევრების აკაკი შანიძისა და იოსებ ყიფშიძის წერილები, პირველი ლექცია ქართულ ენის შესახებ თბილისის უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია, რომ კრებულის შედგენაში ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ „ქართველური ენათმეცნიერების“ პროგრამის დოქტორანტები და მაისტრანტები. კრებულში ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების საუნივერსიტეტო ისტორიასთან ერთად მოცემულია პერსპექტივები, ახლებური ხედვა მეთოდოლოგიების დასახვეწად და მაღალი სტანდარტის შედეგების მისაღწევად.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონს-ტრუქცია ევიდენციალო-ბის თვალსაზრისით ქართველური ენების ემ-პირიულ მასალებში DOI: *ijme.2019.13008*	INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION # 13	თბილისი, საქართველო	66-72

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ორი კომპონენტისაგან შედგება; მათგან პირობა დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული, რომლის პრედიკატი მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებად. პირობას ახლავს შედეგი, რომელიც საანალიზო კონსტრუქციაში მთავარ წინადადებაშია მოცემული და გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდება, თუ შესაბამისი პირობა იქნება შეს-რულებული. ამგვარი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ფონურ ცოდნას ემყარება, რადგან პირობით-შედეგობითი მოქმედებებით გადმოცემული შინაარსი ლოგიკურ ურთიერთობას გულისხმობს. ასეთ პირობებში ჩნდება კითხვები: **ა.** როგორია ეს კონსტრუქციები ევიდენციალობის თვალსაზრისით? **ბ.** მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტებს შორის ნებისმიერი სახის ლოგიკური ურთიერთობა აღიქმება თუ არა ინფორმაციის ისეთ წყაროდ, რომ შექმნას ევიდენციალობის საფუძველი? ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომლებშიც პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა ან ვარაუდი, რომელიც ემყარება მთქმელის ფონურ ცოდნას/გამოცდილებას (და არა პერცეფციულ ფაქტებს), ევიდენციალურია. ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომლებშიც პირობით-შედეგობით კილოთა ლოგიკური კავშირის

საფუძველზე არაა გამოხატული ზემოთქმული ნიაუნსები და მხოლოდ გარკვეული ფაქტი, შედეგი ან მოწოდებაა წარმოდგენილი, არაევიდენციალურია.					
2	**ქეთევან მარგიანი** თამარ ჩანქსელიანი	THE FUNCTIONAL-SEMANTIC ANALYSIS OF PARTICLES EXPRESSING SIMPLE NEGATION IN THE SVAN LANGUAGE მარტივი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი სვანურში DOI :*ijme.2019.14007*	INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, #14, 2019	თბილისი, საერთაშორისო ელ. ჟურნალი	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სვანურ ენაში უარყოფით ნაწილაკთა რაოდენობა, დანარჩენ ქართველურ ენებთან – ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან – შედარებით მეტია. ისინი სამ ძირითად სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან: მარტივი უარყოფა, შესაძლებლობის უარყოფა და აკრძალვა. სვანურ უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლეში განსაკუთრებით ბევრია მარტივი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები (**მ□, მ□მა, მამა, მ□დე, მადმა, მ□, მ□მა, მ□დე, მოდმა, დ□მა, დ□მამ, დ□სა, დ□სა, დ□მის, დ□მა, დემე(გ), დე, დეი**...), რომლებიც ერთმანეთის ალომორფებად ითვლებიან, თუმცა შესაძლებელია მათი დიფერენციაცია ორი ნიშნით: ფუნქციური და სემანტიკური.

ფუნქციური ნიშნით მათი დაყოფა თ. შარაძენიძეს ეკუთვის. მკვლევარმა დაადასტურა, რომ იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი მონაწილეობს ნაწილაკში (**□, ე** და **ო**), განსხვავებულია მათი გამოყენების სფერო წინადადებებში;

მეორე მხრივ კი იკვეთება, რომ ეს ნაწილაკები სემანტიკურადაც არ არიან იდენტურნი: ისინი განსხვავდებიან კატეგორიულობის ხარისხის მიხედვით: ნაწილაკთა ერთი რიგი (ნეიტრალური, არაკატეგორიული) ქართულ არ/არა'ს შეესაბამება, ხოლო მეორე მათგანში კი კატეგორიულობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ქართულად მისი ზედმიწევნით თარგმნა შეუძლებელია, ზეპირ მეტყველებაში კი, ალბათ, ინტონაცია ჩაანაცვლებს აღნიშნული ნაწილაკების ნიუანსს და ასე მიიღწევა საანალიზო სემატიკის გადმოცემა.სვანურშივე ნაკლებკატეგორიული, ნეიტრალური უარყოფითი ნაწილაკებით მათი ჩანაცვლება ტექსტში მოქმედების ან მოვლენისადმი დამოკიდებულების განსხვავებულ ინტერპრეტაციას განაპირობებს.

3	**ქეთევან მარგიანი**	Interference Occurrences in the Speech of the Kodorian Gorge's Svans; ინტერფერენციული მოვლენები სვანური ენის კოდორულ მეტყველებაში) *ijme.2019.13006*	INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, #13, 2019	თბილისი, საერთაშორისო ელ. ჟურნალი http://multilingualeducation.org/en/article/46	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კოდორის (resp. დალის) ხეობა საქართველოს ის ისტორიული ტერიტორიაა, რომლისკენაც მეცნიერთა თვალი ყოველთვის ინტერესით იყო მიპყრობილი და რომელსაც „როგორც ანტიკურ, ისე საშუალ საუკუნეთა ეპოქაში მივსიანეთი (Mivssianoi) ეწოდებოდა" (მ. ქალდანი).

ამ ხეობაში საუკუნე-ნახევრის წინ ზემო სვანეთიდან საცხოვრებლად გადასული ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტების წარმომადგენლები, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ოკუპაციამდე, სოფლების მიხედვით უმთავრესად ერთმანეთში იყვნენ შერეული, რამაც გამოიწვია მათ მეტყველებაში ერთი კილოს მიმსგავსება მეორის მიერ; ინტერფერენციამ ადსტრატის სახე მიიღო.

ეს მოვლენა კოდორის ხეობის (resp. დალის) ზემოსვანი მოსახლეობის მეტყველებაშიჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში შეამჩნია მ. ქალდანმა, რომელიც აღნიშნავდა: „კოდორის ხეობაში მცხოვრები დღევანდელი სვანები იგივე ზემო სვანებია; მათი მეტყველება სვანური ენის ერთ-ერთ ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბების პროცესშია“;მიუხედავად საკითხის დასმისა, მისი შესწავლა ქართველოლოგთა მიერ გასულ საუკუნეში თითქმის აღარ გაგრძელებულა. მხოლოდ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე განახლდა იგი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში იზა ჩანტლაძის ინიციატივით, მიუხედავად მნიშვნელოვანი დიდი სირთულეებისა (ცნობილი საომარი მოქმედებების შედეგად გარკვეულ პერიოდში კოდორის ხეობაში ჩასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, თუმცა საკითხით დაინტერესებული მეცნიერთა ჯგუფი ამას გარკვეულწილად მაინც ახერხებდა),შეგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა და გამოიცა 835-გვერდიანი პუბლიკაცია „კოდორული ქრონიკები“ გამოკვლევებითურთ“, სადაც კოდორული მეტყველების სპეციფიკა და თავისებურებებია განხილული. ლოგიკურად დაისვა საკითხი: დიალექტია თუ არა კოდორული მეტყველება? პრობლემის გადასაწყვეტად მუშაობის გაგრძელება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვეღარ მოხერხდაცნობილი საომარი ბატალიების მეორე ეტაპის გამო; საკითხის კვლევა კი კიდევ უფრო საშური გახდა, ვინაიდან საანალიზო მეტყველების მატარებელი მოსახლეობის არაკომპაქტური ცხოვრება (იქაური მოსახლეობა დევნილის სტატუსით მიმოიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში...) ახალ ცვლილებებს უქადდა მათ სამეტყველო კოდს. 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში წარდგენილი პროექტი: „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“ (ხელმძღვანელი ი. ჩანტლაძე), რამაც შესაძლებელი გახადა ლამის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომოფანტული კოდორელების მეტყველებაზე ხანგრძლივი დაკვირვება და კვლევის გაგრძელება ახალი და საბოლოო შედეგების წარმოსაჩენად.

ნაშრომში განხილულია კვლევის წინასწარი შედეგების ნაწილი: კოდორელ სვანთა მეტყველებაში ყველაზე გავრცელებული და ნიშანდობლივი რამდენიმე ინტერფერენციული მოვლენა ფონეტიკა-მორფოლოგიის მიმართულებით.

4	*Manana Rusieshvili, Izabella Petriashvili,* ***Kakha Gabunia***	*MULTILANGUAGE STRATEGIES IN TERTIARY EDUCATION (USING THE EXAMPLE OF GEORGIA) 10.22333/ijme*	International Journal of Multilingual Education; #11;	თბილისი, ონლაინ გამოცემა	6

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეხება ვრცელ კვლევას, რომელიც განხორციელდა თსუ, ილიაუნის, სამედიცინო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. სტატიაში მოცემულია კვლევის შედეგების განზოგადება და რეკომენდაციები.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**დარეჯან თვალთვაძე,** ეკა კვირკველია	სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერების ფრაგმენტები, ISSN 2346-8106	ქართველური ენათმეცნიერება, V	თბილისი თსუ გამომცემლობა	გვ. 41-55

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე მოღწეული თითოეული ხელნაწერის შესწავლასა და მასში დაცული ტექსტის მიმართებების დადგენას ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებთან. დღემდე მოღწეულ სახარება-ოთხთავის 300-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერთაგან ნაწილი გამოცემული და გამოკვლეულია, ნაწილი კი ამ დრომდე არ არის შესწავლილი.

ახალი აღთქმის ტექსტოლოგიური მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერები, რადგან ისინი კოდიკოლოგიური და ტექსტუალური თვალსაზრისით ძალიან საინტერესო სურათს იძლევა. ზოგიერთი მათგანი შესწავლილია, ნაწილი კი ამ დრომდე სამეცნიერო ინტერესს მიღმა დარჩა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ოთხთავის რამდენიმე ხელნაწერია დაცული, რომლებიც სახარება-ოთხთავის ტექსტს თითქმის სრულად შეიცავენ. მუზეუმში ასევე ინახება ოთხთავის ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი, კერძოდ: N3381 – XIII საუკუნით დათარიღებული სახარების ფრაგმენტი, რომელიც 76 ფურცელს შეიცავს, N8 – XII-XIII საუკუნეების ნუსხის 10 ფურცელი; N491 - ე. წ. ჩვაბიანის ოთხთავის 4 ფურცელი (XII ს.); N13[1] 1 პალიმფსესტური ფურცელი (XIV-XV სს.); N13[2] – 1 პალიმფსესტური ფურცელი (XII-XIV სს.). გარდა ოთხთავის ფრაგმენტებისა, მესტიის მუზეუმში ინახება სახარების საკითხავების 20-ფურცლიანი ფრაგმენტი _ N10, რომელიც XV-XVI საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს.

ჩვენი კვლევის ობიექტი სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი 6 ფრაგმენტია (N3381, N8, N491, N13[1], N13[2] და N10), რომელთაგან 5 ოთხთავის ხელნაწერის (N3381, N8; N491, N13[1], N13[2]) ნაწილს, ხოლო ერთი (N10) სახარების საკითხავების ფრაგმენტს წარმოადგენს, კვლევის მიზანი კი აღნიშნული ფრაგმენტული ხელნაწერების სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური ანალიზი და მათში დაცული ტექსტის რაობის დადგენაა.

სტატიაში წარმოდგენილია ხელნაწერთა ფრაგმენტების ვრცელი აღწერილობა, რომელიც ძირითადად იმ სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა, რომელიც სვანეთში დაცული სახარების ფრაგმენტული ხელნაწერებისა და პალიმფსესტების შესასწავლად 2016 წლის 4-10 აპრილს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის *„ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“* (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი N31/64) ფარგლებში სვანეთის მუზეუმში ჩატარდა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დღეს დაცული ფრაგმენტებიდან, რომლებიც თავის დროზე ოთხთავის ხელნაწერის ნაწილს წარმოდგენდნენ, ყველაზე ძველად მიჩნეულია მუზეუმის კატალოგში მე-8 ნომრით წარმოდგენილი ერთეული, რომელიც 10-ფურცლიანია. მასში დაცულია ფრაგმენტები იოანეს სახარებიდან. როგორც ხელნაწერში დაცული იოანეს სახარების ფრაგმენტული ტექსტის ტექსტოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, ის გიორგი მთაწმინდლის მიერ ნარედაქტირებ, ანუ ათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს. ფრაგმენტის სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ N8 ფრაგმეტული ხელნაწერი ნაწილია მესტიის მუზეუმშივე 3381-ე ნომრით დაცული ოთხთავის ხელნაწერისა, რომელიც თავ-ბოლო ნაკლულია და მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებს შეიცავს ნაკლული სახით. აღნიშნული ხელნაწერი (N3381) წარმოადგენს ქაღალდზე ნაწერ XIII საუკუნით დათარიღებულ 76-ფურცელიან მანუსკრიპტს, რომლის ტექსტის რაობის დასადგენად ჩვენ მიერ ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ N3381 ხელნაწერშიც ოთხთავის გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი.

გარდა იდენტური ტექსტისა, ორივე ხელნაწერში იდენტურია ნუსხური კალიგრაფია, საზედაო ასოები, რომლებიც ორივე მანუსკრიპტში ზოგი ყავისფერი მელნით არის დაწერილი, ზოგი – წითლით. ორივე ხელნაწერს აქვს მსგავსი ლინირების სისტემა. ყველაფერი ეს გვიმყარებს მოსაზრებას, რომ ფრაგმენტი N8 არის N3381 ხელნაწერის ნაწილი, კერძოდ, მისი ბოლო ფურცლები (ფფ.77-86), რომლებზეც იოანეს სახარების რამდენიმე თავის ნაკლული ტექსტია შემორჩენილი. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს გამოცემულ საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგში,

რომელიც სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების შესახებ ყველაზე ახალი ნაშრომია, N3381 და N8 ხელნაწერი ცალ-ცალკეა გატარებული და მათი ერთიანობის შესახებ მინიშნებული არ არის. NN8 –ის თარიღად XII- XIII საუკუნებია მითითებული, ხოლო N N3381 ხელნაწერი კი XIII საუკუნის ნუსხად არის მიჩნეული, ცხადია, ორივე ფრაგმენტი, რომელიც ერთი ხელნაწერის ნაწილია, ერთნაირად უნდა დათარიღდეს, სავარაუდოდ, XII-XIII საუკუნეებით.

სტატიაში განხილულია ოთხთავის კიდევ სამი სხვა ფრაგმეტი და დადგენილია, რომელი რედაქციის ტექსტია დაცული თოთოეულ მათგანში. კერძოდ, N491, ე. წ. ჩვაბიანის ოთხთავის 4-ფურცლიანი ფრაგმენტი, შეიცავს იოანეს სახარების რამდენიმე მუხლს. ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფრაგმენტში წარმოდგენილი ტექსტი მისდევს გიორგი მთაწმინდლისეულ რედაქციას.

N13[1] (1 ფურცელი), რომელიც XIV-XV საუკუნეებით თარიღდება და N13[2] (1 ფურცელი), რომელიც XIII-XIV საუკუნის ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს, პალიმფსესტურ ფურცლებზე დაწერილი ოთხთავის ფრაგმენტებს წარმოადგენენ და ამ ფრაგმენტებში დაცული სახარების ტექსტიც გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა.

გარდა ოთხთავის ფრაგმენტებისა, მესტიის მუზეუმში დაცულია ერთი ფრაგმენტი სახარების საკითხავებიდან – ხელნაწერი N10, რომელიც შეიცავს სულ 20 ფურცელს და XIV-XVI საუკუნეებით თარიღდება. დადგინდა, რომ ხელნაწერში დაცულია ფრაგმენტები მათეს, ლუკასა და იოანეს სახარების საკითხავებიდან. ამჟამად შემორჩენილია რვა საკითხავი, რომლებიც მოიცავს მათეს სახარების 28,2-15, ლუკას სახარების 24, 37-54 და იოანე სახარების 1,6-16, 20,1-31, და 21,1-20 მუხლებს. რაც შეეხება ამ ხელნაწერში დაცული სახარების ტექსტის რედაქციულ კუთვნილებას, ერთი შეხედვით, ის მიჰყვება ათონურ რედაქციას, თუმცა ზოგიერთ ადგილას გადამწერი გვაძლევს ისეთ თავისუფალ ინტერპრეტაციებს, რომელიც არ დასტურდება არც ადიშურ, არც ჯრუჭ-პარხლის და არც ათონურ რედაქციაში. დაზუსტებით იმის თქმა, თუ რომელი რედაქციის ტექსტი გვაქვს სახარების საკითხავის ამ ფრაგმენტში დაცული, მხოლოდ მისი გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

სტატიაში პირველად არის მოცემული სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერების ყველა ფრაგმენტის ვრცელი აღწერილობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნია აღნიშნულ მუზეუმში დაცული ხელნაწერების სრული აღწერილობის არარსებობის პირობებში.

2	**დარეჯან თვალთვაძე**	ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის ISSN 2346-8106	ქართველური ენათმეცნიერება, VI	თბილისი თსუ გამომცემლობა	12 გვერდი (იბეჭდება)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილია ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ნუსხა - 913 წელს ოპიზის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ათონის ივერთა მონასტერში ინახება (Ath.83) და ამიტომ ათონის ოთხთავის სახელითაცაა ცნობილი. მანუსკრიპტს 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს მიაკვლია ნ. მარმა. მანვე გამოაქვეყნა პირველი ცნობები ამ საინტერესო ძეგლის შესახებ, ხოლო ტექსტის პირველი პუბლიკაცია (მათეს და მარკოზის სახარებების) ტბეთის ოთხთავთან (995 წ.) ერთად ეკუთვნის ვლ. ბენეშევიჩს (1909-1911 წწ.). ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს (1932 წ.). ოპიზის ოთხთავში დაცული ტექსტის რაობისა და სხვა ხელნაწერებთან (ძირითადად, ჯრუჭის, პარხლის და ტბეთის ოთხთავებთან) მისი მიმართების შესახებ ყველაზე ვრცელ მსჯელობას აკაკი შანიძესთან ვხვდებით, რომელსაც ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის სამი შატბერდული ხელნაწერის (ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების) მიხედვით გამოცემულ სახარებათა ტექსტზე დართულ ვრცელ გამოკვლევაში (1945 წ.) ოთხთავის სხვა ძველ ნუსხებთან ერთად ოპიზის ოთხთავის ტექსტური მასალაც მოჰყვს საილუსტრაციოდ (ოპიზის ოთხთავი აღნიშნული აქვს A ლიტერით). ხელნაწერს და მასში დაცული ტექსტს შემდეგშიც არაერთი ქართველი მეცნიერი შეჰხებია, მაგრამ იმის გამო, რომ მანუსკრიპტის ადგილზე შესწავლა გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდებოდა, მისი კვლევა მხოლოდ ფოტოპირების (ხშირად არც თუ ისე კარგი ხარისხის ფოტოასლების) მიხედვით ხდებოდა.

ოპიზის ოთხთავი ბევრი თვალსაზრისით გამორჩეული და საინტერესო ხელნაწერია. ეტრატზე ასომთავრულით დაწერილი ეს მანუსკრიპტი სრულად შეიცავს მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, ხოლო მათეს სახარება თავნაკლულია (იწყება მთ. 4, 12-დან). ნუსხას ახლავს გადამწერის- გრიგოლ ოპიზელის ანდერძი (248v-249r), საიდანაც ხელნაწერის შექმნის თარიღთან ერთად (ქორონიკონი იყო რ˜ლგ =913 წ.), ვიგებთ, რომ „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლის მცემელისასა უპიზას დედისაგან უცთომელისა სიტყჳთ და ზანდუკით გამოწმედილისა“.

ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ოპიზის ოთხთავი ერთ-ერთი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელიც ე. წ. ჯრუჭ-პარხლის რედაქციის (პროტოვულგატას) ტექსტს შეიცავს, ამიტომაც ხშირად ტექსტის ამ ტიპს ოპიზურ რედაქციადაც მოიხსენიებენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისაგან, რომლებიც აკაკი შანიძის გამოცემით (1945 წ.) მკვლევართათვის ხელმისაწვდომია, ოპიზის ოთხთავის ტექსტი ცალკე გამოცემული არ არის და არც მისი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური თავისებურებანია გამოწვლილვით შესწავლილი. გერმანულ-ქართულ-ფარანგული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (GeoPal), რომელიც ივირონის მონასტერის წიგნთსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების ანალიტიკური აღწერილობის მომზადებას და იქ დაცული პალიმფსესტების შესწავლას გულისხმობს, გერმანელი ქართველოლოგის იოსტ გიპერტის მიერ მოწოდებული მულტისპექტრული, მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლების დამუშავების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ოპიზის ოთხთავის ტექსტზე დაკვირვებამ ბევრი ისეთი საყურადღებო ფაქტი გამოავლინა, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და რომელიც აღნიშნული ტექსტის გამოცემის, ან მისი სხვა ხელნაწერებთან შედარების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. ხელნაწერის ციფრულ ასლებზე კარგად ჩანს, რომ Ath.83-ის ეტრატის ფურცლები გაცრეცილია და მელანი ბევ ადგილას გადალეულია. მის აღდგენაზე უმუშავია გვიანდელ მწიგნობარს, რომელსაც ხელნაწერის ბევრი ფურცელი გაუცხოველებია (სრულად ან ნაწილობრივ). გამცხოველებელი შავი ფერის მელნით მუშაობს და ცდილობს ხელნაწერის გადამწერის, გრიგოლ ოპიზელის მიერ მუქი ყავისფერი მელნით გამოყვანილი ასომთავრული ასოების მოხაზულობა გაიმეოროს, რასაც ზოგჯერ კარგად, უფრო ხშირად კი ნაკლები ოსტატობით ახერხებს. გარდა გაცხოველებული ადგილებისა, ხელნაწერში აშკარად ჩანს ასევე გვიან შავი ფერის მელნით, ოღონდ ნუსხური ასოებით გასწორებული ადგილები, რაც ხელნაწერის თავდაპირველ ტექსტზე რედაქტორ-კორექტორის მუშაობას ადასტურებს (წაშლია ძველი და გადაწერილია ახალი, ამოფხეკილია სიტყვები, მარცვლები, ასოები ან ჩამატებულია სიტყვები, მარცვლები, ასოები და ა. შ.). ხელნაწერის კორექტირებული ადგილების შედარებამ ოთხთავის სხვა ხელნაწერებთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი (რომელიც აღნიშნული გვაქვს ლიტერით O) გასწორებულია გიორგი ათონელის რედაქციის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩარევის შედეგად მიღებული კორექტირებული ტექსტი (O^c) ზოგჯერ უმიშვნელოდ, მაგრამ მაინც სხვაობს გიორგისეული ტექსტისგან და წინაათონური რედაქციის სხვა ნუსხების წაკითხვას იმეორებს.

3	**ლელა ციხელაშვილი**	***ვალსაა*** ტიპის ფორმების შესახებ ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში ISSN 1987-7323	სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი **ენა და კულტურა**, #22	ქუთაისი 2019 წ., გამომცემლობა „მერიდიანი“	12 გვ. (გვ. 54-65).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში კითხვითობის მარკერად კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი (ძირითადად, -**ა**) გვევლინება, თუმცა იშვიათად დასტურდება მხოლოდ ინტონაციით (კითხვითი ტონით) მარკირებული წინადადებებიც.

სტატიაში განხილულია ძველი და საშუალი ქართული ენის ტექსტებში იშვიათად გამოვლენილი ***ვალსაა*** ტიპის ფორმები, რომლებშიც ერთი -**ა** კითხვით ნაწილაკს წარმოადგენს, ხოლო მეორის ფუნქცია გაურკვეველია. ამ ტიპის ფორმების არსებობას შეიძლება მოეძებნოს სამგვარი ახსნა: **1.** შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. **ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის** ნიმუშად; **2**. ჰქონდეთ **ფონეტიკური** საფუძველი ან **3**. არაა გამორიცხული, მივიჩნიოთ გადამწერის **მექანიკურ შეცდომადაც.**

4	**ანა ხარანაული**	1.1.8. Georgian Canon ISSN: 2468-3027	The Canonical History of the Deutero-Canonical	Leiden: E.J. Brill, 2019	5 გვ.

		ISBN 9004395512, 9789004395510	Texts, The Textual History of the Bible (THB), Vol. 2A: Deutero-Canonical Scriptures		

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კანონიკური წიგნების სია განსხვავებულია სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სტატიაში საუბარია ქართული კანონის შესახებ, მისი მიმოხილულია მისი ჩამოყალიბების ისტორია და განვითარების გზა. ასევე, ნაჩვენებია მიმართებები აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა კანონებთან.

5	**ანა ხარანაული**	2.1.8. Georgian translation of 1 Baruch ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB), Vol. 2B: Deutero-Canonical Scriptures	Leiden: E.J. Brill, 2019	4 გვერდი (გვ. 29-32)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბარუქის წიგნის ქართულ წყაროებს წარმოადგენს შემდეგ ხელნაწერებში დაცული ტექსტები: 1. ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath. 1, ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა); 2. იერუსალიმის ბიბლია (Jer. Gerog. 12, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა); 3. გელათის კატენებიანი ბიბლია (A 1108, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 4. პარიზის ლექციონარი (Geo. 3, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა); 5. საბას, იგივე მცხეთური ბიბლია (A-51, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 6. ბაქარის (მოსკოვის) ბიბლია.

ქართულ წყაროებში დაცული ბარუქის წიგნის ტექსტები განსხვავდება ერთმანეთისაგან სათაურით, ადგილმდებარეობით, ტექსტუალური ფორმებით და ა.შ. სტატიაში საუბარია თითოეული მათგანის შესახებ, გაანალიზებულია მათი მიმართებები ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან.

6	**ანა ხარანაული**	2.4.8. Georgian translation of Epstle of Jeremiah ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB), Vol. 2B: Deutero-Canonical Scriptures,	Leiden: E.J. Brill, 2019	5 გვერდი (გვ. 103-107)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იერემიას ეპისტოლეს ქართულ წყაროებს წარმოადგენს შემდეგ ხელნაწერებში დაცული ტექსტები: 1. ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath. 1, ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა); 2. იერუსალიმის ბიბლია (Jer. Gerog. 12, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა); 3. წინასწარმეტყველთა ნაბეჭდი კოდექსი (1710 წ., თბილისი); 5. საბას, იგივე მცხეთური ბიბლია (A-51, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 6. ბაქარის (მოსკოვის) ბიბლია.

სტატიაში საუბარია თითოეული მათგანის შესახებ, გაანალიზებულია მათი მიმართებები ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან. ასევე, დახასიათებულია თითოეული მათგანის ტექსტუალური ფორმა.

7	**ანა ხარანაული**	4.9. Georgian translation of Ecclesiasticus/Ben Sira ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB), Vol. 2B: Deutero-Canonical Scriptures	Leiden: E.J. Brill, 2019	5 გვერდი (გვ. 269-273)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართულ წყაროებში ზირაქის წიგნი სამი განსხვავებული თარგმანითაა წარმოდგენილი. პირველი თარგმანი წარმოდგენილია ოშკის, იგივე ათონის ბიბლიასა და ლექციონარებში (პარიზისა და სინას ლექციონარები); მეორე თარგმანს შეიცავს ლექციონარების ორი საკითხავი: ზირ. 24:3-12 (პარიზის ლექციონარი) და ზირ. 24.13-22 (პარიზის, სინას და ლატალის ლექციონარები); მესამე თარგმანს კი წარმოადგენს 1743 წელს მოსკოვში გამოცემული ბაქარის ბიბლიის ტექსტი. ქართულ ტრადიციაში არსებული ეს სამი თარგმანი არ არის დამოკიდებული ერთმანეთზე, მკვეთრად განსხვავებულია მათი ლექსიკა და სინტაქსი.

სტატიაში განხილულია სამივე თარგმანის ინდივიდუალური მახასიათებლები, ნაჩვენებია მათი სავარაუდო დედნები და განხილულია თითოეულის ტექსტის ისტორია. ასევე, ტექსტები დახასითებულია თარგმანის ტექნიკის მიხედვით.

8	**ანა ხარანაული**	7.1.7. Georgian translation of Ezdra 1 ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB), Vol. 2B: Deutero-Canonical Scriptures,	Leiden: E.J. Brill, 2019	6 გვერდი (გვ. 461-466)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

არსებული ქართული წყაროები მესამე ეზრას სამ თარგმანს გვთავაზობენ. მათგან უძველესი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში, რომელიც ხანმეტ პალიმფსესტურ ფრაგმენტს წარმოადგენს (Georgicus 2, ვენა, ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკა). მესამე ეზრას ტექსტი პალიმფსესტის ქვედა ფენაზეა მოთავსებული, ტექსტი საკმაოდ დაიზიანებულია და ჩვენამდე მოღწეული ისედაც მცირე ფრაგმენტის სრულად ამოკითხვა ჭირს; მეორე თარგმანი დაცულია 5 ხელნაწერში, მათგან ყველაზე ძველია ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath. 1, 978-979 წ.წ.), ამავე თარგმანს შეიცავენ იერუსალიმის ბიბლია (Jer 12), A-570 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), A-646 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), H-885 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და საბას, იგივე მცხეთის ბიბლია. მესამე თარგმანს გვთავაზობს ბაქარის ბიბლია, ეს თარგმანი, ც. ქურციკიძის მოსაზრებით, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშია შესრულებული (ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, 2, თბ. 1973, გვ. 67-96).

სტატიაში განხილულია სამივე თარგმანის ინდივიდუალური მახასიათებლები, ნაჩვენებია მათი წარმომავლობა და განხილულია თითოეულის ტექსტის ისტორია. ასევე, ტექსტები დახასითებულია თარგმანის ტექნიკის მიხედვით.

9	**ანა ხარანაული**	9.9. Georgian translation of Judith ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB) Armin Lange (Editor in Chief), Vol. 2C: Deutero-Canonical Scriptures,	Leiden: E.J. Brill, 2019	12 გვერდი (გვ. 93-104)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ივდითის წიგნი ქართულ წყაროებში დაცულია შემდეგ ხელნაწერებში, ფრაგმენტებსა და ბეჭდურ გამოცემებში: 1. ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath. 1, ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა); 2. A-570 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 3. A-646 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 4. H-885 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 5. საბას, იგივე მცხეთური ბიბლია (A-51, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 6. ფრაგმენტი № 1554 (ერევანი, მესროპ მაშტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი); 7. ბაქარის (მოსკოვის) ბიბლია.

სტატიაში საუბარია თითოეული მათგანის შესახებ, გაანალიზებულია მათი მიმართებები ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან. ასევე, დახასიათებულია თითოეული მათგანის ტექსტუალური ფორმა.

10	**ანა ხარანაული**	14.12. Georgian translation of Tobith	The Textual History of the Bible (THB)	Leiden: E.J. Brill, 2019	6 გვერდი (გვ. 451-456)

	ნათია დუნდუა	ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	Vol. 2C: Deutero-Canonical Scriptures, Deutero-Canonical Scriptures		

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტობის წიგნის ქართული ვერსიები დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: 1. ოშკის, იგივე ათონის ბიბლია (Ath. 1, 978-979 წ.წ.), 2. ფრაგმენტული ხელნაწერი №7125 (ერევანი, მესროპ მაშტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), 3. A-570 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), 4. A-646 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), 5. H-885 (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და 6. საბას, იგივე მცხეთის ბიბლია (A-51, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

სტატიაში საუბარია თითოეული მათგანის შესახებ, გაანალიზებულია მათი მიმართებები ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან. ასევე, დახასიათებულია თითოეული მათგანის ტექსტუალური ფორმა.

11	**ანა ხარანაული**	15.8. Georgian translation of Wisdom of Solomon ISSN: 2468-3027 ISBN 9004395512, 9789004395510	The Textual History of the Bible (THB), Vol. 2C: Deutero-Canonical Scriptures, Deutero-Canonical Scriptures	Leiden: E.J. Brill, 2019	7 გვერდი (გვ. 516-522)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოლომონის სიბრძნის ქართული ვერსიების შემცველ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველია შემდეგი ლექციონარები: 1. პალიმფსესტური ფრაგმენტი, ხანმეტი ლექციონარი (H-999, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); 2. კალას ლექციონარი (Q-1653, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), 3. ლატალის ლექციონარი (M-635, მესტიის მუზეუმი), 4. პარიზის ლექციონარი (Geo 3, პარიზი, BNF), 5. მატენადარანის ფრაგმენტები (ერევანი, მესროპ მაშტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). გვიანდელი ლიტურგიკული თუ ბიბლიური კრებულები განსხვავებულ ტექსტს შეიცავენ, თუმცა, ზოგ მონაკვეთში თითქმის სრულად მისდევენ ძველ ვერსიას.

სტატიაში საუბარია თითოეული მათგანის შესახებ, გაანალიზებულია მათი მიმართებები ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან. ასევე, დახასიათებულია თითოეული მათგანის ტექსტუალური ფორმა.

12	**რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი**	რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით (ქართული ენის მასალაზე) ISSN - 0132 - 1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტომი 13, # 3, 2019 http://science.org.ge/bnas/vol-13-3.html	საქ. ეროვნული მეც. აკად. გამომცემლობა	117-120

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ცნობილია, რომ ევიდენციალობა პირველ რიგში ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ამ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს შორის; სხვაგვარად: ეს კატეგორია გულისხმობს მთქმელის სუბიექტურ მიმართებას კონტექსტთან, ანუ ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია, თუ სხვა წყაროდან ("მეორე, სხვა ხელიდან") მიღებული. გამოყოფენ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებულ სამ წყაროს, რომელთა შესახებაც მთქმელი ამ ცნობს ან მიანიშნებს მსმენელს: მოვლენის პერცეფცია, ვერბალობა, ინფერენცია. მათგან ვერბალური (სხვისგან მიღებული) და ინფერენციული – ლოგიკურ დასკვნებზე დაფუძ ნებული ინფორმაციაა, რომელიც, ძირითადად, ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. ინფერენციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არის დასკვნა,

რომელსაც აკეთებს მთქმელი საკუთარი ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ევიდენციალურად უნდა ჩაითვალოს ე. წ. რიტორიკული შეკითხვა. კერძოდ: *„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!“* ***„მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!“ „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!“*** **და სხვ. ასეთი წინადადებები არ მოითხოვენ პასუხს, რადგან მათი პასუხები ისედაც ცნობილია მთქმელისათვის მისივე ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც აქვს რიტორიკულ შეკითხვას ინფერენციული ხასიათი, რის გამოც ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის კითხვითი წინადადებები ევიდენციალურია.**					
13	**მაია ლომია, რამაზ ქურდაძე,** ნინო ჭუმბურიძე, **ქეთევან მარგიანი**	რთული უარყოფითი სახელური ლექსემები ქართულ ენაში: სტრუქტურა და ფუნქციური განაწილების პრინციპები (ქართულ და ინგლისურ ენებზე) http://www.spekali.tsu.ge/indexphp/ge ISSN1987-8583	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული რეცენზირებადი სამეცნიერო ბილინგვური ჟურნალი „სპეკალი“, #13, 2019	თსუ, საქართველო თსუ გამომცემლობა	10-10 გვერდი (ქართულ-ინგლისური)
ანოტაცია (ქართულ ენაზე) ქართულ სალიტერატურო ენაში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დასტურდება უარყოფითი შინაარსის რთული სახელური ლექსემები, რომელთა ანალიზი მოითხოვს მათი **ა.** *სტრუქტურის*, **ბ.** *ქრონოლოგიის*, **გ.** *ფუნქციური განაწილების პრინციპების* გარკვევას. ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული რთული უარყოფითი სახელური ლექსემების სტრუქტურა ორკომპონენტიანია: (I) **არა-**ძალი, **არა-**ჟამი, **არა-**ღირსი, **არა-**სამართლიანი, **არ-**გაგონილი, **არ-**ნახული... ; (II) **ვაი-**მეცნიერი, **ვაი-**პატრიოტი, **ვაი-**კრიტიკოსი... , (III) **ცრუ-**გმირი, **ცრუ-**მეცნიერება ... ; (IV) **ანტი-**გმირი, **ანტი-**ანდაზა, **ანტი-**სახელმწიფოებრივი... . სახელური ლექსემების პირველი კომპონენტი წარმოშობით არის: უარყოფითი ნაწილაკი (*არა-/არ-*), შორისდებული (*ვაი-*), ზედსართავი სახელი (*ცრუ-*), პრეფიქსი (*ანტი-*). სიტყვაწარმოებითი მორფემის დანიშნულებით გამოყენებულ *არა-/არ-* ნაწილაკებს სამეცნიერო ლიტერატურაში **მორფემოიდი** ეწოდება. შესაძლოა ამგვარი კვალიფიკაცია მიეცეს მაწარმოებლებად ქცეულ სხვა ენობრივ მონაცემებსაც *(ვაი-, ცრუ-, ანტი-).* მაშასადამე, ზემოთ რამდენიმე ჯგუფით (I – IV) წარმოდგენილი რთული უარყოფითი სახელური ლექსემების შედგენილობა შესაძლებელია ერთ ენობრივ სტრუქტურამდე დავიყვანოთ: ***მორფემოიდი + სახელი.*** პირობითად გამოყოფილი ოთხი ჯგუფიდან სტატიაში განხილულია ყველაზე პროდუქტიული *არა-/არ-* უარყოფითნაწილაკიანი სახელები. ისინი დასტურდება ძველ ქართულში და თანდათან იფართოებენ გავრცელების არეს თანამედროვე ქართულში. *არა-/არ-* ნაწილაკები ქართულ სალიტერატურო ენაში ქმნიან ანტონიმურ წყვილებს, ტერმინოლოგიურ სისტემას, ხოლო ქართულ ცოცხალ მეტყველებაში – თავისებურ სახელურ ფორმებს. ამ ფორმათა ანალიზი წარმოაჩენს *არა-/არ-* ნაწილაკების ძირითად და ფაკულტატურ ფუნქციებს: ესაა უარყოფის კატეგორიული გამოხატვა და მისი აქტუალიზაცია (ხაზგასმა). *არა-/არ-* ნაწილაკებს ამ ორი მნიშვნელობის შეთავსება-გადმოცემა ერთდროულად შეუძლიათ, რაც კარგად ჩანს უქონლობის *უ-* პრეფიქსიან სახელებთან შედარებითაც.					
14	**რამაზ ქურდაძე**	ერთი არაბული სიტყვის შესახებ ქართულ გვარსახელებში, ISSN 2346-8106	თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველოლური ენათმეცნიერება, V	თსუ, თსუ გამომცემლობა	გვ. 90-94

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ქართული გვარები: **ხაბარაშვილი, ხაბარელი, ხაბარიძე, ხაბარაძე**. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს გვარები ანთროპონიმული წარმომავლობისანი არიან. მათში გამოყოფილია არაბული წარმოშობის სიტყვა **ხაბარი**, რომლის ძირითადი მნიშვნელობა *ამბავია*, თუმცა მოყვანილია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც ქართული კილოებიდან. დასახელებულია ამავე სიტყვის შემცველი ღელის სახელიც **ხაბაროულა.** აღნიშნული არაბული სიტყვის მსგავსი გავრცელების დასადასტურებლად ქართულის გარდა მოყვენილია მაგალითები სხვა ენიდანაც, კერძოდ, რუსულიდან: **ხაბაროვი** და **ხაბაროვსკი**.

15	**მაია ლომია**	მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრა-ლინგვისტური და ლინგვისტური მახა-სიათებლები ISSN 2346-8106 (იბეჭდება)	თსუ ჰუმანიტარ-ულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის სა-მეცნიერო შრო-მების კრებული *„ქართველური ენათმეცნიერება“*, ტ.VI, ეძღვნება აკა-დ. აკაკი შანიძის 130 წლის იუბილე-ს.	თბილისი, საქართველო *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*	6 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია **მეგრული გაშაირების ტექსტის** სამი ვერსია ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებით. ერთ-ერთი ვარიაციის მიხედვით გაშაირების სათაურია *ჯამუ დო კოკეიხემ ლერსი* „ჯამუ და კოკაიას ქალის (ასულის) ლექსი“. გაშაირების ექსტრალინგვისტური მონაცემები საინტერესოდ წარმოაჩენენ ტექსტის ჩაწერის ისტორიას, თემატურ მახასიათებლებს და სხვა. ცნობილია, რომ მეგრულში, ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყოფა აღმოსავლური, ცენტრალური და დასავლური არეალისთვის დამახასიათებელი დიალექტური მეტყველება. საანალიზო ტექსტის ვარიაციები სამ სხვადასხვა არეალშია ჩაწერილი, დროში მცირეოდენი სხვაობით. ამ შემთხვევაში ტექსტის ენობრივი მრავალფეროვნების განმსაზღვრელი არა ქრონოლოგიური, არამედ არაეალური სხვაობა უნდა იყოს, თუმცა, რამდენადაც გაშაირება ლექსად დაწერილი ფოლკლორული ნიმუშია, ტექსტში ყოველთვის არ არის ასახული დიალექტური სხვაობა. იგი ზოგჯერ ნიველირებულია ლექსთწყობის სპეციფიკის გათვალისწინებით. რითმისა და რიტმის საჭიროებისთვის შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ხელოვნური ფორმებიც, რომლებიც არცერთ არეალში არ დასტურდება.

16	**ქეთევან მარგიანი**	ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში ISSN 2346-8106	სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება V	(იბეჭდება)	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საკუთრივ ინფერენციული, საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი ნაწილაკები სვანურ ენაში რამდენიმეა. ეს მოდალური ლექსემები მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნურ ფორმებთან გამოიყენებიან და ანიჭებენ მათ ეპისტემიკურ მნიშვნელობას, რაც შეეხება სვანური ზმნის მოდალიზებულ ევიდენციალურ ფორმებს, რომლებიც აღნიშნულ სემანტიკას

ორგანულად გამოხატავენ, ისინი საანალიზო ნაწილაკებს ვერ ითავსებენ.

ჩვენი აზრით, ინფერენციულ, ეპისტემიკური მნიშვნელობის მწკრივებთან ამ ნაწილაკების შეუთავსებლობის საფუძველი ის არის, რომ აღნიშნულ მწკრივთა კილო პირობითია (შდრ. ქართულის ვითარება: -**მცა** ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას), ამ მწკრივთა ძირითადი ფუნქცია საეჭვოობა-სავარაუდოობის გამოხატვაა, რაც სპეციალურ მორფემას აკისრია. მაშასადამე, ენაში არსებობს მორფოლოგიური საშუალება საანალიზო სემანტიკის გამოსახატავად. შესაბამისად, დამხმარე ლექსემების პრეროგატივა საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებთან ერთად აღწერითად გადმოცემაა. ისინი მხოლოდ ინდიკატიურ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება. როგორც ჩანს, თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, ნაკლებ პრეტენზიულია დამხმარე, ლექსიკურ საშუალებებთან დაწყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მხრივ გარკვეულწილად შეზღუდულია.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (ზმნების თავისუფალი ჩანაცვლება) შესაძლოა სტილური ანომალიისა და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

17	**რუსუდან ზექალაშვილი**	ზმნის პირიან ფორმათა სემანტიკურ-სტილური თავისებურებები (ქართული ანდაზების მიხედვით). ISBN 978-9941-25-583-0	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა", შრომები	თბილისი: მერიდიანი	10 გვ. (გვ. 162- 172)

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ზმნის პირიან ფორმათა სემანტიკურ-სტილური თავისებურებები ქართული ანდაზების ენის მიხედვით გერმანულ, ინგლისურ და რუსულ პარემიებთან შეპირისპირებით. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული პირის განზოგადებულობისა და განუსაზღვრულობის გამოხატვის საშუალებებზე და, გარდა სპეციფიკური ნიშნებისა, გამოვლენილია საერთო ტიპოლოგიური მახასიათებლები; დადასტურებულია ქართული ენის განსხვავებული ნიშნები ევროპულ ენებთან შედარებით: მესამე პირის განუსაზღვრელი ნაცვალსახელის არარსებობა (დამახასიათებელი გერმანული ენისთვის), მრავლობითი რიცხვის მე-3 პირისა და მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმათა სიჭარბე. კვლევის შედეგად დადგინდა უნივერსალური თვისება, რომ ნებისმიერ პირიან ფორმას აქვს მეტ-ნაკლები განზოგადებულობის უნარი, შეიცავს მოდალურ სიტყვებს. მეორე პირის ფორმათა გავრცელებულობა განხილულ ენებში განპირობებულია იმით, რომ ეს ფორმა, გარდა განზოგადებულობისა, ანდაზებს ანიჭებს უშუალობას, დინამიკურობას, რაც ნიშანდობლივია სენტენციებისა და პარემიებისთვის.

18	**რუსუდან ზექალაშვილი**	ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა მეტყველების შესახებ. ISSN 2346-8106 http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/313566	სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება V, ეძღვნება თსუ 100 წლისთავს	თბილისი, თსუ გამომც.	13 გვ. (გვ. 29-40; გვ. 151-152)

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობების პერსონაჟთა მეტყველება და საუბრის წარმართვის მანერა, ეტიკეტით დადგენილი ენობრივი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. ილიას მოთხრობების რამდენიმე პერსონაჟის მაგალითზე დადგენილია, რომ მათს მეტყველებაში არეკლილია სოციალური

სტატუსი, განათლების დონე, ღირებულებები და პრიორიტეტები, დამოკიდებულება სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებთან, რაც დამატებითი შტრიხებით ავსებს მხატვრულ სახეებს.

დადგენილია, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია პერსონაჟთა სამეტყველო ქცევას მხატვრული სახეების ჩამოსაყალიბებლად. გაანალიზებულია რამდენიმე პერსონაჟის მეტყველება: ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, ლუარსაბ თათქარიძე, დარეჯანი, ელისაბედი, გაბრიელი, გლახა ჭრიაშვილი, რომელთა მეტყველებაში ასახულია განათლების დონე, დამოკიდებულება სოციალურ წრეებს შორის, ზოგჯერ - თვალთმაქცობა, სიცრუე, სიყალბე, თავაზიანობა, როგორც საფარი და შინაგანი სიცარიელის გამოხატულება. განსაკუთრებით ხაზგასმულია სამეტყველო ეტიკეტის ნორმების რღვევა („ტკბილი სიტყვის“ უგულებელყოფა), როგორც ოთარაანთ ქვრივის პროტესტი პირფერობის, სიცრუისა და უგულობის წინააღმდეგ ადამიანურ ურთიერთობებში.

გამოვლენილია მწერლის ოსტატობა პერსონაჟთა სახეების ხატვისას მათი სამეტყველო ქცევის ჩვენებით სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში: მიმართვა ერთმანეთისადმი, მისალმება ან დამშვიდობება, უცნობისა თუ ნაცნობის მოკითხვა, მადლობის გადახდა თუ ბოდიშის მოხდა, სამეტყველო ეტიკეტის წესების დაცვა თუ დარღვევა.

19	**რუსუდან ზექალაშვილი**	რეცენზია წიგნზე: ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ივეტა ვაშაკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი მეორე. ISSN 1512-0473	ენათმეცნიერების საკითხები, 2019	თბილისი, თსუ გამომცემლობა	იბეჭდება

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რეცენზიაში განხილულია ჟუჟუნა ფეიქრიშვილისა და ივეტა ვაშაკიძის ნაშრომი „მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის“ (მეორე წიგნი, რედაქტორები: პროფ. იასუჰირო კოჯიმა, პროფ. ჰარუნ ჩიმქე, თბილისი, უნივერსალი, 2018).

მოცემულია მოკლე ინფორმაცია ამ სერიის პირველ წიგნზე, რომელიც ეხება ევროპელ ქართველოლოგებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში. ავტორებმა წარმოაჩინეს თერთმეტ ქვეყანაში (იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ბელგია, აშშ) მოღვაწე ქართველოლოგების ღვაწლი და ქართველოლოგიის განვითარების გზა: ისტორია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით – უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე. წიგნი მოიცავს მონაცემებს 90-მდე მეცნიერის შესახებ, ამას გარდა, საუბარია სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

დახასიათებულია მეორე წიგნი, რომელშიც განხილულია ქართველოლოგიური კვლევის განვითარების გზა ორ ქვეყანაში: იაპონიასა და თურქეთში, სადაც მეცნიერული ქართველოლოგია შედარებით ახალგაზრდა დარგია და ამდენად, ნაკლებად შესწავლილი.

ყურადღება გამახვილებულია წიგნის ავტორების დამსახურებაზე, რომლებმაც შეძლეს, წარმოეჩინათ ბოლო 20-წლეულში ორმხრივი კულტურული ურთიერთობის ისტორია იაპონიასა და თურქეთთან. გამოყოფილია ის წინაპირობა, რომელმაც შეამზადა თურქი ახალგაზრდა მეცნიერების განსაკუთრებული დაინტერესება ქართველოლოგიით. თვალნათლივ არის ნაჩვენები სარეცენზიიო ნაშრომის მნიშვნელობა თურქეთელი ქართველების, ე. წ. მუჰაჯირებისა და მათი შთამომავლებისთვის.

ჟ. ფეიქრიშვილისა და ი. ვაშაკიძის წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება უცხოელი ქართველოლოგების – მიმო მორინას, როზმარი კიფერის, ბერნარ უტიეს, ლუიჯი მანტოვანის, ლუიჯი მაგაროტოს – ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მათ შესახებ ავტორებმა მოიძიეს ბევრი ახალი ინფორმაცია და თავი მოუყარეს არსებულს. წიგნში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი იტალიელი ქართველოლოგის, კათოლიკე მღვდლის, ლუიჯი მანტოვანის, დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე მის მიერ შექმნილი ქართული ენის გრამატიკებისა და ლექსიკონების სახით.

20	**რუსუდან ზექალაშვილი**	კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში. ISSN 2346-8106	ქართველური ენათმეცნიერება VI, ეძღვნება აკაკი შანიძეს	თბილისი, თსუ გამომცემლობა	იბეჭდება

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში შესწავლილია ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი – კოლოკაციათა დეფინიცია, სახეები და დანიშნულება. ხაზგასმულია, რომ კოლოკაციების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა კორპუსლინგვისტიკის განვითარების შემდეგ და აშკარა გახდა უცხო ენათა სწავლებაში მისი დანერგვის აუცილებლობა.

ნაშრომში განხილულია კოლოკაციის, როგორც ენათმეცნიერული ცნების, თეორიული პრობლემა, ლექსიკოლოგთა და ლექსიკოგრაფთა განსხვავებული შეხედულებები დეფინიციასთან და მათს დანიშნულებასთან დაკავშირებით ერთენოვან და თარგმნითს ლექსიკონებში ლექსიკურ ერთეულთა გრამატიკულ-სემანტიკური და სტილისტური დახასიათებისთვის.

გაანალიზებულია კოლოკაციათა განსხვავებული კლასიფიკაციები: ერთი მხრივ, ზმნური და სახელური; მეორე მხრივ, ზმნურ-სახელური, ატრიბუტული და ადვერბული; ასევე, კორპუსულ ლინგვისტიკაზე დამყარებული დაჯგუფება (ალ. გეიკენი): ფრაზისშიდა და ზეფრაზული რელაციები.

თეორიული შეხედულებების საილუსტრაციოდ დასახელებულია ავტორის მიერ შედგენილ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (2009; 2015) გამოყენებული კოლოკაციათა ტიპები, რომელთა ძირითადი კომპონენტია ლემა, მეორე კი – მასთან ხშირად გამოყენებული რომელიმე ლექსიკური ერთეული: ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი ან ზმნიზედა. დადგენილია განსხვავება ქართულ და გერმანულ კოლოკაციის ტიპებს შორის შედგენილობის მიხედვით, ასევე - ზოგიერთის გამოყენების სიხშირე ქართულ ნაწილში, რაც განპირობებულია კომპოზიტთა სიჭარბით გერმანულ ენაში.

აღნიშნულია ქართული ენის მასდარიანი კოლოკაციების შუალედური პოზიცია სახელურსა და ზმნურ კოლოკაციებს შორის, ნაზმნარ სახელებთან ქვემდებარისებრი და დამატებისებრი გენიტიური მსაზღვრელების დიდი რაოდენობა.

დადგენილია სემანტიკის შემავსებელი და დამაზუსტებელი კოლოკაციები, რომელთა მეშვეობით წარმოჩნდება სიტყვების სისტემური მიმართება და ტაქსონომიური დამოკიდებულება ჰიპონიმთა დასახელებით; საუბარია როგორც ცვლად-, ისე მუდმივკომპონენტიან კოლოკაციებზე.

21	**რუსუდან ზექალაშვილი**	მეტაფორიზაცია და მეტაფორული სამედიცინო ტერმინები. ISSN 1987-7633	ტერმინოლოგიის საკითხები IV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	იბეჭდება

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია მეტაფორიზაცია და მეტონიმია, როგორც სამედიცინო ტერმინთა ნომინაციისა და გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება. მიმოხილულია საკითხის შესწავლის თეორიული საფუძვლები, უცხოელ და ქართველ ლინგვისტთა შეხედულებები (ჯორჯ ლაკოფი, მარკ ჯონსონი, მ. ჩერნიავსკი, ს. გუსევი, ვ. თელია, ს. დუდეცკაია... რ. ცანავა, ც. ბარბაქაძე...). ხაზგასმულია სამედიცინო ტერმინთა უნიფიცირებულობა და ამ ტიპის ცნებათა ნომინაციის მეორეულობა. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სამედიცინო დარგის ინტერნაციონალიზაცია ხელს უშლის მეტაფორულ ტერმინთა სახელდებაში ცალკეული ენის (მათ შორის - ქართულის) სპეციფიკის გამოვლენას, ამდენად, განხილული ტერმინები უნიფიცირებულია და ნომინაციას საფუძვლად უდევს უნივერსალური მენტალურ-კონცეპტუალური პროცესები.

მეტაფორული სამედიცინო ტერმინები დახასიათებულია როგორც აგებულების, ისე სახელდების პრინციპების მიხედვით. გამოყოფილია მათი სტრუქტურული ტიპები: ერთსიტყვიანი, ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები (სიმპტომების, სინდრომების დასახელება და სხვ.), ახსნილია სახელდების პირველწყარო და მეტაფორის საფუძველი.

ხაზგასმულია სამედიცინო ტერმინთა მეტონიმია-მეტაფორიზაციის უნიფიცირებულობა და ნომინაციის მეორეულობა; დადგენილია ნომინაციის საყრდენი: გარეგნული ან ასოციაციური მსგავსება დენოტატსა და აღსანიშნს შორის; ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური მდგომარეობის, დაავადების სიმპტომთა დაკავშირება სხვა საგნის ან არსების გარეგნობასა და ქცევასთან.

სტატიაში მოცემულია მეტაფორულ სამედიცინო ტერმინთა კლასიფიკაცია ძირითად სიტყვათა თვალსაზრისით და გამოყოფილია ორი ძირითადი ჯგუფი: I. არაცოცხალი სამყაროსა და II. ცოცხალი არსებების სახელებთან დაკავშირებული; პირველში, თავის მხრივ, გაერთიანებულია ტერმინები, რომელთა ნომინაციისთვის გამოყენებულია სხვადასხვა სიტყვა: გეოგრაფიული სახელები; ადამიანის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და გარესამყაროს აღმნიშვნელი სიტყვები; მეორე ჯგუფის მეტონიმიურ-მეტაფორული ტერმინების აღსანიშნავად ვხვდებით ცხოველების, ფრინველების, მათი ქცევის თავისებურებს ამსახველ სიტყვებს; ადამიანების ხელობისა და საქმიანობის დასახელებას; ისტორიული პირების, მითოლოგიური, ბიბლიური, ზღაპრული და ლიტერატურული პერსონაჟების ან მათი დამახასიათებელი ქცევის აღმნიშვნელ სიტყვებს.

საინტერესოა დასკვნა, რომ ტერმინად ქცეული სიტყვა დროთა განმავლობაში კარგავს მეტაფორულობას, ხდება მონოსემანტიკური და ასრულებს ტერმინისთვის საჭირო ყველა ფუნქციას.

22	**სალომე ომიაძე**	„კაზმვა“ /„კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე ISSN 1987-6572	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVII	თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ გამომცემლობის სტამბა	6 გვ. (გვ. 127-132)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნორმატიულ-ლიტერატურული და დიალექტური ტექსტების ანალიზის საფუძველზე, სტატიაში ნაჩვენებია კაზმ-ძირის სემანტიკური სტრუქტურის ცვლილების გზა. დამოწმებულია ძველი ქართულის კონტექსტები, რომლებშიც კაზმ-ძირი, უცვლელი ბგერითი მიმდევრობით, სამი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება, ესენია: მორთვა / შემკობა, გამზადება და შეიარაღება; განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითები, რომლებშიც იგივე ძირი იმავე მნიშვნელობებითაა ნახმარი; გაანალიზებულია „დავითიანის“ ტექსტი, რომელშიც ერთმანეთის პარალელურად გამოყენებული კაზმ- და მისი ფონეტიკურად სახეცვლილი კმაზ-ძირიანი ფორმები ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ.

სტატიაში აღწერილია ენის განვითარების ის მონაკვეთი, როდესაც „კაზმვა“ სალიტერატურო ფორმაა, ხოლო მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი „კმაზვა“ – არანორმატიული, იქვე დამოწმებულია ამ მოვლენის ამსახველი ლექსიკოგრაფიული ცნობები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ცნობები თანამედროვე ვითარებას აღარ შეესაბამება, რადგან გასული საუკუნის ბოლო წლებიდან მასმედიის ენასა და მხატვრულ ტექსტებში დადასტურებული „კაზმ“- და „კმაზ“-ძირიანი ფორმები სემანტიკურად სხვაობენ და კონტექსტებს ინაწილებენ. „კმაზ“-ძირიანი ერთეულები მხოლოდ კულინარიული დისკურსის კუთვნილებაა („კმაზავს“ აღნიშნავს სანელებლით აზავებს კერძს), ხოლო „კაზმ“- ძირი კი 1. მორთვას; 2. ცხენისა სამგზავროდ მომზადებას (უნაგირის დადგმას, აღვირის გაკეთებას და მისთ.); 3. წიგნის აკინძვას, ყდაში ჩასმასა და 4. მარცვლეულის დარჩევას გამოხატავს.

სტატიის ბოლოს აღნიშნულია ისიც, რომ „შეკაზმავს“ – „შეკმაზავს“ ლექსემების „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში“ (2011 წ.) შეტანამდე, მათი განსხვავებული მნიშვნელობები სხვა ტიპის ლექსიკონებსა თუ საცნობარო ლიტერატურაში უნდა ყოფილიყო დადასტურებული.

23	**სალომე ომიაძე**	ცნობები გლუტონიმთა შესახებ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ISSN 2346-8106	„ქართველური ენათმეცნიერება“, V	თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ. (გვ. 72-79).

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ სახელთა ბრუნებაზე მსჯელობისას ბრუნების სამ ტიპს შორის განაწილებულ სახელებში გლუტონიმები ჭარბობს, სახელდობრ, გვხვდება **საკვები პროდუქტების, კერძებისა და მათი ინგრედიენტების სახელწოდებები:** ჭარხალი, ლობიო, ნიორი, პამიდორი, ტყემალი, რძე, მაწონი, ერბო, დო, ატამი, ჭერამი, მსხალი, ყურძენი, მაყვალი, ფორთოხალი, წვენი, წყალი, ჩაი, მაჭარი, ღვინო, ხინკალი და სხვ.; **გლუტონიასთან დაკავშირებული ქრონოტოპული ერთეულები:** ვახშამი, ბოსტანი, ბუხარი, თონე, ფურნე, მარანი, დუქანი, ბაზარი; **ჭურჭლეულობა და სამზარეულოს სხვა ნივთები:** ჭიქა, დანა, სამოვარი, ქოთანი, საცერი, კოკა, სურა, ლიტრა, კიდობანი, გოდორი; **გემოს მახასიათებლები:** მწარე, მლაშე, ცხარე და სხვ.

ცხადია, დასახელებული ერთეულები გრამატიკული თვალსაზრისით არის შერჩეულ-განხილული, კერძოდ, ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით თითოეული მოქცეულია ბრუნების ამა თუ იმ ტიპში. მაგრამ, თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის სასწავლებლად აკაკი შანიძე გლუტონიმებს უფრო ხშირად მიმართავს, ვიდრე სხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების ერთეულებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგად დისკურსში მათი გამოყენების სიხშირესა და, შესაბამისად, მათი, როგორც მაღალი კომუნიკაციური რელევანტურობის მქონე ლექსემების, საგანგებო კვლევის საჭიროებას.

სტატიაში განხილულია აკაკი შანიძის წიგნის სხვადასხვა პარაგრაფში გაბნეული ცნობები ზოგიერთ გლუტონიმთან („ხმიადი“, „ორაგული“, „კუჭმაჭი“, „პილპილი“; „ხაბაზი“, „ყასაბი“, „ბაყალი“; „ჩაიდანი“, „ყავადანი“; „ჩაიხანა“, „ყავახანა“; „ჭამა – მირთმევა“ ...) დაკავშირებით, რის საფუძველზეც მიღებულია დასკვნა, რომ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერას ეძღვნება, ამავე დროს, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ქართული გლუტონიური დისკურსის კომპონენტთა სტრუქტურის, სემანტიკისა და ფუნქციონირების შესახებ.

24	**სალომე ომიაძე**	„წმინდა პურისა“ და ნარევი პურის სახელმდებელ ლექსემათა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება ISBN 978-9941-13-849-2	არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXX, მასალები	თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ გამომცემლობის სტამბა	2 გვ. (გვ. 39-40)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პურის, როგორც უძველესი და უმთავრესი საკვები პროდუქტის, სახელმდებელ ლექსიკურ ერთეულებში უხვი და ნაირგვარი კულტურული ინფორმაციაა დაუნჯებული.

ორკომპონენტიანი სახელი **„წმინდა პური“** „შეურეველ პურს“ აღნიშნავს და ამით გვამცნობს „ნარევი პურების“ არსებობასაც. „წმინდა პური“ „ხორბლის პურის“ სახელია (ფშაურ დიალექტში **წმინდა** ხორბალს ნიშნავს, **წმინდის** პური – ხორბლის პურს). პური, თავის მხრივ, ქართულ დისკურსში ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ხორბლეულის ფქვილისგან გამომცხვარი საკვები და როგორც ერთწლოვანი მცენარე (ხორბალი), რომლის დაფქული მარცვლისგანაც მზადდება ეს საკვები. შესიტყვება „წმინდა პური“ ორივე მნიშვნელობით გამოიყენება: „წმინდა პური“ როგორც მხოლოდ ხორბლის ნათესი და „წმინდა პური“ როგორც მხოლოდ ხორბლის ფქვილით გამომცხვარი პური. ასევეა ნარევი პურის შემდეგი სახელებიც: **ქერდიკა** აღნიშნავს როგორც ქერსა და დიკას ერთმანეთში არეულსა და დათესილს, ასევე ქერისა და დიკის ნარევი ფქვილით გამომცხვარ პურს; **ქერსვილა** ქერნარევი ჭვავის ნათესსაც ჰქვია და ქერნარევი ჭვავის პურსაც; **ქერჭელა** იგივე **ქერჭრელი** ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალია, ცნობილია ამავე სახელის პურიც (შდრ. **ჭვავჭრელი** – ჰიბრიდული მცენარე, რომელიც ჭვავისა და ხორბლის ურთიერთდამტვერვით მიიღება).

რადგან ქერის ფქვილისაგან გამომცხვარ პურს გაფუების ნაკლები უნარი აქვს, მას ხშირად ურევდნენ ხორბლის ფქვილს, რაც აისახა კიდეც პურის სახელებში. ნარევი პურის ერთ-ერთი სახეობაა **მჭადპურაც**, რომელიც ხორბლისა და სიმინდის ან ხორბლისა და ფეტვის ფქვილის ნაზავისაგან გამომცხვარი პურია. ამ უკანასკნელის აღმნიშვნელ სახელს განსხვავებული სტრუქტურა აქვს იმით, რომ მისი პირველი კომპონენტი „მჭად“ უკვე გამომცხვარი პროდუქტის სახელის

ფუძეა. „მჭადი“ ძველად ფეტვის პურს ერქვა (გურულსა და ქვემო იმერულში მჭადი იგივეა, რაც ფეტვი), შემდეგ სიმინდის ფქვილის ნამცხვარს ეწოდა.

ზემოთ დასახელებულ ლექსემებში შენახულია შემდეგი მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული ინფორმაცია: ა) პურს აცხობდნენ მხოლოდ ხორბლის ფქვილისაგან (წმინდა პური, პური = ხორბალი); ბ) პურის გამოსაცხობად იყენებდნენ ნარევ ფქვილს; გ) პურის ცხობისას მოიხმარდნენ ხორბლის (პური = ხორბალი; დიკა – საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი), ქერის, სვილის (იმავე ჭვავის), ფეტვისა და სიმინდის ფქვილს.

„წმინდა პური“, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ ორი მნიშვნელობის გამომხატველია: ერთი ფქვილის მიღების ტექნოლოგიურ პროცესს – წვრილად დაფქვას – ასახავს (წმინდა პური წმინდა ანუ წვრილად დაფქული ფქვილისაგან გამომცხვარი პურია); მეორე – პურის საკრალურობასა და მის სარიტუალო ობიექტად სახელდებას გულისხმობს (თონეც წმინდა ადგილად იყო მიჩნეული).

25	**სალომე ომიაძე**	კონცეპტ „ქერის“ ენობრივი ობიექტივაცია დიალექტურ დისკურსში ISBN 978-9941-13-886-7	XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები	თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ გამომცემლობის სტამბა	2 გვ. (გვ. 63-64)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ქერი ოდითგანვე გამორჩეულ ადგილს იკავებდა მიწათმოქმედ ქართველთა ყოფაში. ჩვენმა წინაპრებმა ამ მცენარის არაერთი სიკეთე დაინახეს, მისი მრავალმხრივი გამოყენება კი ზედმიწევნით აისახა ენაში, რის ნათელყოფასაც ამჯერად დიალექტური მასალის საფუძველზე შევეცდებით.

მრავალრიცხოვანია ქერის სახელმდებელ ლექსემათა ჯგუფი. მათგან ორი – **ქრთილი** და **ქერი** – უძველეს ქართულ წერილობითს ძეგლებში დასტურდება (მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ ენათმეცნიერთა განსხვავებულ თვალსაზრისებზე ამ ერთეულების წარმოშობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით). ძველ ტექსტებში პირველის გამოყენება ჭარბობს, ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში კი საპირისპირო სურათია – ქართულ დიალექტურ კორპუსში არცერთი შემთხვევა არ იძებნება „ქრთილის“ გამოყენებისა, დიალექტთა ლექსიკონებშიც იგივე ვითარებაა, იგი მხოლოდ „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე) გვხვდება და იქ დამოწმებული კონტექსტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ აღნიშნული ერთეული „ძველი ლექსიკის“ კუთვნილებად ქცეულა: „ქერი ორნაირია, საშემოდგომოთ რომელიც ითესება, აქა **ქრთილს ეძახდენ**“.

ქერის აღმნიშვნელთა სიმრავლე შემდეგი ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული: ქერი ითესებოდა მთელ საქართველოში – მთაშიც და ბარშიც (**„მთური ქერი“** – **„ბარული ქერი“**); ქერი ითესებოდა ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე, შესაბამისად, არსებობს მისი საგაზაფხულო და საშემოდგომო ფორმები (**„ახალთესლი“** – **„ძველთესლი“**), რომლებიც, თავის მხრივ, სხვაობენ მორფოლოგიური ნიშნებით, სწორედ ეს ნიშნები გამხდარა უმეტესად ატრიბუტული სახელდების საფუძველი, რის შედეგადაც გაჩენილა მოტივირებულ მსაზღვრელთა ისეთი ოპოზიციური წყვილები, როგორიცაა: **„ორმწკრივა“** („ორრიგიანი“, „ორრიგა“, „მარტივი“) – **„მრავალმწკრივა“** („მრავალმწკრივიანი“, „მრავალმწკრივა“, „ოთხმწკრივა“, „ჩარადი“ / „ჩარათი“, „ექვსრიგა“); **„ბრტყელი“** („ფტყელი“; „ფიცარ[ა]ქერი“) – **„გირგუალი“** [მრგვალი]. ქერის სხვადასხვა ჯიშის სახელები უმეტესად მსაზღვრელ-საზღვრულით შექმნილი ერთ- ან ორკომპონენტიანი ლექსემებია, რომლებიც დიალექტურ დისკურსში ხან სრულად გამოიყენება, ხან საზღვრული („ქერი“) გაუჩინარებულია და გასუბსტანტივებულ ატრიბუტივს ეკისრება სახელდების ფუნქცია: „ძველათ ვიცოდით **კობერი ქერი**. მსხვილი მარცვალი ქონდა და კარგი საჭმელი იყო“ (ლეჩხუმური); „მთაში ქერი ითესებოდა სამნაირი: ორკუთხა ქერი და **ჩარათები“** (ფშაური). საბოლოოდ გასუბსტანტივებული ჩანს „ახალთესლი“ და „ძველთესლი“, რომლებთანაც საზღვრული „ქერი“ აღარ დასტურდება, თუ იმავე კონტექსტში ხორბალი არ არის ნახსენები, რომელსაც ასევე ესადაგება აღნიშნული მსაზღვრელები: „**ახალთესლსა** გურგლივ შაჲსდევს მარცოლი და ფხიანია, ფხა ყინჩადა აქვ შამომდგარი, **ძველთესლსა** კი ორ პირობათ შაჲსდევს მარცოლი“ (ქართლური).

ქერის მრავალმხრივმა გამოყენებამ სასოფლო-სამეურნეო, კვებისა თუ სამედიცინო სფეროებში გაზარდა „ქერის“ მონაწილეობით წარმოქმნილ სახელთა რიცხვი. სტატიაში, ქერის დერივატებთან ერთად, განხილულია ის დიალექტური კონტექსტები, რომლებშიც ქერის სიმბოლურ-ეტალონური და რიტუალური მნიშვნელობებია გამოვლენილი.

26	**სალომე ომიაძე**	„ნაყროვანების“ ენობრივი	თსუ არნ. ჩიქობავას	თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას	2 გვ. (გვ. 20-22)

		ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში ISBN 978-9941-13-906-2	სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესიის მასალები	სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ გამომცემლობის სტამბა	

ანოტაცია (ქართულ ენაზე):

სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდაბალ გრძნობებს განეკუთვნება. ქართულ დისკურსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მაკროკონცეპტ „სიხარბის“ აღსაწერად მნიშვნელოვანია მის შედგენილობაში მიკროკონცეპტ „ნაყროვანების“ გამოყოფა, რადგან საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც, ეს დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, „ნაყროვანების“ აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულთა რაოდენობას ზრდის.

განსახილველი მიკროკონცეპტის ნომინაციური ველის სახელად შეგვეძლო „გაუმაძღრობა“ აგვერჩია, თუმცა ქართული ლინგვოკულტურისათვის აღნიშნული ცნების საკვანძო სიტყვა-რეპრეზენტანტად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, რელიგიური დისკურსის ძველქართული ერთეული „ნაყროვანება“ უფრო შესაფერისად მივიჩნიეთ. ზედმეტი საკვების მიღების მავნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც „ნაყროვანების“ გამოხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა.

ქართულში მრავლად გვხვდება ხარბად ჭამის აღმნიშვნელი როგორც ზმნები, ასევე სახელები. ამჯერად იმ მსაზღვრელ სახელებს დავახასიათებთ, რომლებიც გაუმაძღრობაზე მიუთითებენ **(ნაყროვანი, გემოთმოყვარე, გემოდიდი, ხარბი, მსუნაგი, წუწკი, მსრიტი / ფსრიტი, ტუსლანგა, ციმფა / ციმფია, სურბუტა, ჭამპურა, ჭამაკუთილა, ლოქაფი, ქოქო, ღოკი, ჩოფრა, ჯამისძირა, ჯამიტვლეპია, კუჭია, ღორდათვა ...**). სტატიაში ცალ-ცალკეა განხილული შემდეგი ჯგუფები:

- **უარყოფითი მიმღეობები** (უმაძღარი, გაუმაძღარი, უძღები, უძღომელი, უძღომი, შეუჯერებელი);
- **სახელები, რომელთა ყალიბია – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანმოკვეცილი ფორმა + მიმღეობის თავისებურ ტიპად მიჩნეული *ჭამია / *ყლაპია** (ხარიჭამია, ზაქიჭამია, ბატკნიჭამია, ცხვარიჭამია; კანჭიყლაპია, ბელტიყლაპია);
- **სომატური ლექსიკის შემცველი ერთეულები** (კუჭია, მუცელა, ორმუცელა, ავმუცელა, მუცელღმერთა, მუცელყელჩამოკიდებული, ფაშვგამობერილი, ღიპგადმოგდებული);
- **ზოონიმები და მათი მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვები** (ღორი, ღორმუცელა, ღორდათვა, აღორებული; სვავი, სვავმუცელა (იდიომ. ყაჯირის მუცელი; ყაჯირი – სვავის მსგავსი ფრინველი); მგელი, გამგელებული).

საანალიზო ლექსემათა უმრავლესობა გასუბსტანტივებულია, საზღვრულის პირდაპირი ნომინაციის ნაცვლად გამოიყენება და ხშირად მეტსახელადაც არის ქცეული. ტოპონიმ „ცხვარიჭამიას“ წარმოშობის შესახებ ერთ-ერთი თქმულების თანახმად, სოფელი გაუშენებია მწყემსს, რომელსაც „**ჯერზე წლის თოხლი თურმე არა ჰკმაოდა**“ და სწორედ ამიტომ მისთვის **„ცხვარიჭამია მაუქვივნებიათ“**. ასეთივე მეტსახელისაგან უნდა იყოს წარმოქმნილი გვარები **ხარიჭამიაშვილი** და **ხარჭამაძე**. ამავე ყალიბისაა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, მეტსახელი **ზაქიჭამია**, ზღაპრის გმირის სახელი **ბელტიყლაპია**. აღნიშნული სტრუქტურული მოდელი ენაში განსხვავებული სემანტიკური კომპონენტის გამოსაკვეთადაც გამოიყენება – არა გადაძღომის, არამედ მოყვარულობის, მაგალითად, **ყველიჭამია, დოჭამია, ნივრიჭამია**; მუდმივი ნიშან-თვისების, ქცევითი მახასიათებლის გამომხატველია იგი ზოონიმებში: **კოკრიჭამია, ქერქიჭამია, ტყავიჭამია, ლეშიჭამია, ბაყაყიჭამია**.

27	**სალომე ომიაძე**	ტექსტის ორდონიანი სტრატიფიკაციისათვის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ISSN 2346-8106	„ქართველური ენათმეცნიერება“, VI	თბილისი, თსუ გამომცემლობა	7 გვ. (იბეჭდება)

ანოტაცია (ქართულ ენაზე):

აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (მორფოლოგია) გარდა ძირითადი რუბრიკაციისა, რაც თავების, ქვეთავებისა და პარაგრაფების გამოყოფას გულისხმობს, ტექსტის ორდონიან სტრატიფიკაციას მიმართავს და აქტიურად იყენებს **შენიშვნებს**, რომლებიც მთავარი სათქმელის გასაგებობას ემსახურება.

ჩვენ მიერ განსახილველი ნაშრომის ძირითადი ტექსტი ახალი ქართული ენის მორფოლოგიურ სტრუქტურას აღწერს, შენიშვნებში მოქცეული ზოგადლინგვისტური ინფორმაციის დიდი ნაწილი კი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებს ეხება. სტატიაში გაანალიზებულია შენიშვნებში განხილული ძველისა და საშუალი ქართულის მასალა, მონათესავე ენებისა თუ ცოცხალი კილოების მონაცემები, უცხო ენათა გავლენები, ლინგვოკულტურული ინფორმაცია, სინტაქსური ცნობები, რომლებსაც ავტორი კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის გასაშუქებლად იშველიებს.

კვლევამ ცხადყო, რომ აკაკი შანიძის შენიშვნები დიდად სხვაობს სხვა სამეცნიერო ტექსტებში ჩართული შენიშვნებისაგან, რომლებიც მართლაც მეორე რიგის ტექსტური ნიშნებია, რადგან დამატებით ცნობებს შეიცავს მანამდე თქმულთან დაკავშირებით. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ შენიშვნები კი მხოლოდ ვიზუალური, პოლიგრაფიული სტრატიფიკაციით თუ შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე დონის ტექსტებს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ ე. წ. ძირითადი ტექსტის ტოლფარდი ღირებულება აქვთ და მის სრულფასოვან ნაწილს წარმოადგენენ, რისი გათვალისწინებაც მართებთ როგორც სტუდენტებს, ასევე იმ ავტორ-შემდგენლებს, რომლებიც აკაკი შანიძის სამეცნიერო-დიდაქტიუკური ტექსტების კომპრესიის გზით ქმნიან ახალ სახელმძღვანელოებს.

28	**ინგა სანიკიძე**	ვაჟა-ფშაველა და „შავეთი“ – როგორც კვალი ქართული წარმართობისა ISBN: 9789941136757	სამეცნიერო შრომების კრებული: „ვაჟა-ფშაველა 155 - თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“	თსუ გამომცემლობა	გვ. 146-158

ანოტაცია (ქართულ ენაზე):

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში არაერთი მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეული თუ შესიტყვება შეიძლება შევნიშნოთ, რომლბიც პირდაპირ კავშირშია ქართველთა უძველეს წარმოდგენებთან და მათ ინტერპრეტაციებთან. უპირველესად ვიტყვით, რომ ისინი ფშაველთა წარმართული წარმოდგენის პროდუქტი იმთავითვე არ მოჩანს. ფშავი ამ შემთხვევაში ძველთაძველის შემნახავი უფროა, ვიდრე _ მისი დამზადებელი. ამის თქმის საშუალებას წითელი მზის, ანუ „მკვდრის მზის“, საერთოქართული, თუ არა უფრო შორსმიმავალი, იდეური მოვლენა გვაძლევს და ჯოჯოხეთური კუპრის მწერლისეული წარმოდგენაც. სამეცნიერო სტატია იმ მეტად საინტერესო მასალის ანალიზს მოიცავს, რომელიც ვაჟას ენაშია თავმოყრილი.

29	**ინგა სანიკიძე**	ილიას ენობრივი მსოფლხედვა და მისი ორატორული ტექსტის სტილისტიკა ISSN 2346-8106	თსუ ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომები, ტ. 5 2018	თსუ გამომცემლობა	9 გვერდი (გვ. 80-89)

ანოტაცია (ქართულ ენაზე):

ანტეცენტური და პოსტცედენტური ანაფორის შესახებ მსჯელობას ძირითადად ი. ჭავჭავაძის იმ რიტორულ სიტყვაზე ავაგებთ, რომელიც მან გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქვა. საზოგადოდ, იმისათვის, რომ მთლიანი ტექსტის, აზრობრივი მოზაიკის ერთიანობა შენარჩუნდეს, ის რაღაც მნიშვნელოვან საყრდენებზე დაფუძნებით უნდა აიგოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში აქტიურდება ანაფორა, როგორც სტილისტიკური ხერხი.

ილიას „სიტყვაში“ დომინანტური ანაფორა სინტაქსური სტრუქტურის ფორმით მოგვეწოდება, რომელიც თავისი მყარი ფუნდამენტით იმაგრებს „თაღოვან“, ე.წ. შუალედურ აზრებს, მათ შორის ლექსიკურ ანაფორებსა და ეპიფორებს. სტილისტურად მარკირებული სტრუქტურა ლინგვისტურად მოდელირებული ექსპრესიული კომპონენტია, რომელსაც

სტილისტიკური მბჯენის ფუნქცია ეკისრება. ის იბამს როგორც წინამავალ, ისე შემდგომ განვითარებულ წინადადებებს და იმავე სტრუქტურის ანაფორული გამეორების შემთხვევაში მსმენელს (//მკითხველს) აიძულებს საწყის პოზიციაში დაბრუნდეს. *„იგი იყო [„თვითმპყრობელი/ მეუფე/ მწერალი/ მთქმელი/ კაცი, რომელიც]“* - ეს სინტაქსური მოცემულობები შინაარსობრივად გრ. ორბელიანს მიემართება და ანაფორის ის მაგალითებია, რომლებიც „სიტყვის“ სტრუქტურაში *პოსტცედენტურ პოზიციაში* ჩნდება. აქცენტირებული სინტაქსური ფორმა ძირითადად რთულ წინადადებაში მოდელირდება, ხოლო შემდგომ თავად ქმნის დამოუკიდებელ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს *(მაგ., „იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა...“).* ილიასეულ „სიტყვაში“ ექსპრესიულად დატვირთული დადებითი სემანტიკური კონოტაციის მქონე ანაფორის სინტაქსურ სტრუქტურაში წინადადების წევრთა გადაადგილება ხშირი არ არის („იყო იგი“). პოსტცედენტური თუ ანტეცენდტური ანაფორების თვალსაზრისით არაერთი საინტერესო პარალელის დასახელება შეიძლება წინა პერიოდის ტექსტებიდან (მაგ., ერეკლე II-ის დაკრძალვაზე წარმოთქმული სოლომონ ლიონიძის ორატორული „სიტყვა“).

ვიტყვით იმასაც, რომ ანტეცედენტური ანაფორა ილიასეულ ტექსტში ერთ შემთხვევაში წინ უსწრებს პოსტცედენტურს და ექსპრესიული განწყობის კიბეზე ზევით მიმართული ვექტორისაკენ, ე.წ. კულმინაციური სიმაღლისაკენ, მიჰყავს მსმენელი; ხოლო მეორე შემთხვევაში მოსდევს პოსტცედენტურს, „შენ“ ნაცვალსახელზე ორიენტირდება და საფინალო აზრისაკენ ეშვება. მეორე ანტეცედენტურ ანაფორას ექსპრესიის დამართვის ფუნქციაცა აქვს მინიჭებული. ამ უკანასკნელში ერთ-ერთი სტილისტიკური ნიშანი წინადადების სინტაქსური აგების თავისებურებაში გამოიხატება. მარტივი თუ შერწყმული ფორმები ტექსტის ბოლოს ზერთული წინადადებით ისე სრულდება, რომ „შენ“ ნაცვალსახელი და ამავე ფუძით ნაწარმოები წინადადების წევრები, როგორც უმთავრესი ემოციურ სიგნალები, სინტაქსურ სტრუქტურებშია გაბნეული. ისინი ამთლიანებენ ორატორულ ტექსტს და აზრობრივ სამაგრებს ქმნიან.

ამრიგად, საერთო სახალხო ენასთან დაახლოებული სიტყვიერი ფაქტურა, ფსევდოარქაიზებაზე უარის თქმა, ახალი ენობრივი ეტაპის წამოწყება და ნამდვილი სინამდვილის გამოხატვა სრულიად არ უშლის ხელს ილიას ისეთი სტრიქონები შემოგვთავაზოს, რომელიც, როგორც ორატორული ტექნიკის ნაწილი, ღრმადაა ფესვგადგმული და ეთნოკულტურულ დონეზე ევოლუცირებული.

30	**ინგა** **სანიკიძე**	ანანურისა და წარმართული ღვთაების - „აჲნინას“ - დაკავშირებისათვის ISSN 1987-894X	„ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული“ (თსუ)	თსუ გამომცემლობა	(იბეჭდება)

ანოტაცია (ქართულ ენაზე):

უძველესი ქართული საისტორიო წყაროები ბუნდოვან ინფორმაციას გვაწვდის წინარექრისტიანული ქვეყნის რწმენა-წარმოდგენების შესახებ. სამწუხაროა, რომ ქართულმა მეცნიერებამ ფაქტობრივ არაფერი იცის ერთ-ერთი ასეთი კერპის - აჲნინას - შესახებ, რომლის მცხეთაში დამკვიდრება იბერიის მეფე საურმაგს (ძვ. წ. III ს-ის შუახანები) მიეწერება.

ჩვენი აზრით, **აინინა** ფორმაში „ნინ[ა]’ს“ დამოუკიდებელი ფუძეა, რადგან ამ კუთხით შუმერული კულტურა იქცევს ყურადღებას შუმერული „დედაღვთაება“ ასე ფორმულირდება: „**ნინ**ხურსანგა“. ცნობილია, რომ „ნინ“ („დედა“, „ქალბატონი“) უძველესი ქალი ღვთაებების სახელწოდებათა შემადგენელი იყო. ის, რომ, მაგალითად, გურულ დიალექტში „ნენა“ „დედა’ს“ რომ შეესატყვისება, ეს ენობრივი მოცემულობაა. თუ აჲნინას ამგვარი დანაწევრება მართებულია, მაშინ სხვა კითხვაც ჩნდება: რა არის აჲნინა’ს წინაპოზიციური სეგმენტი? ვფიქრობთ, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს მზის ამოსვლა-ჩასვლის ასტრალურ ფაქტებთან (თუ ღვთაებებთან _ არა), რომელთაც ქართულ ენაში **აი**-ს-ი [‹—*აჲ-ის’ი] და **და**-ის-ი ეწოდება. აგრეთვე ყურადღების მიღმა არ შეიძლება დარჩეს ლეგენდარული კოლხი მეფის, ჰელიოსის ვაჟის, ანთროპონიმი _ **აი**’ეტ-ი.

უკავშირდება თუ არა მცირეაზიური წარმართული კერპი აჲნინა რაიმე ფორმით ტოპონიმ ანანურს?! ჩვენი აზრით, „**ანან**-[ურ]“ იგივე აინან[ა]/აინინა’ა, რომელსაც ძვ. წ. III ს-დან მოყოლებული დღემდე ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია. უპირველესად, რთული ფუძის პირველ ნაწილში **აჲ** დიფთონგის გამარტივება, ანუ ჲოტას კუმშვა მოხდებოდა, შედარებით გვიან კი **აჲნინ**’ა ფუძეში სრული ასიმილაციის გავლენით **ნინა** სეგმენტი **ნანა**’თი შეიცვლებოდა: აჲნინ’ა —›

ანინ'ა —› **ანან**'ა —› ანან-ურ-ი. თუ სახელდების ასაკს გავითვალისწინებთ, ენობრივად ისეთიც არაფერი მომხდარა, მასში საფუძვლიანი ეჭვი რომ შევიტანოთ.

ენობრივი მასალაცა და ისტორიულ წყაროთა მონაცემებიც გვაფიქრებინებს, რომ წარმართული კერპის _ აჷნინას _ უძველესი სადგომი ანანურია, ჭართალელ მთიელთა სამკვიდრებელი. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით არქეოლოგიური მასალა არ მოგვეპოვება და ამჟამად მხოლოდ ქართული ენა და მასში დაცული ტოპონიმი _ ანანური _ რჩება ამ ისტორიული ფაქტის ღირსეული მოწმე.

31	**N. Sharashenidze,** M. Afvadze, M. Gambashidze	The Interaction of Modality and Negation in the Georgian Language **ISSN - 0132 – 1447** http://science.org.ge/bnas/vol-13-2.html	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	თბილისი	8 (გვ. 115-122)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უარყოფისა და მოდალობის კატეგორიები უნივერსალურ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და ყველა ენას ახასიათებს. ქართულ ენაში უარყოფის სისტემა სამწევრაა და ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთან ერთად **(არ)** ენაში არის შესაძლებლობის უარყოფისა **(ვერ)** და თხოვნა-აკრძალვის გამომხატველი **(ნუ)** ფორმები, რომელთა გამოყენება კილოს მიხედვით ნაწილდება: **არ** სამივე კილოს ფორმასთან გამოიყენება, **ვერ** თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებთან, ხოლო **ნუ** - ბრძანებითი კილოს ფორმებთან. ქართული ენის **ვერ** ნაწილაკი წარმოადგენს უარყოფისა და მოდალობის სემანტიკის ერთ ფორმაში ასახვის ნიმუშს. მოდალობის სემანტიკის გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში განსხვავებული იყო: გრამატიკალიზაციის მოვლენის შედეგად ჩამოყალიბდა მოდალურ ფორმათა ახალი სისტემა. თუმცა **ვერ** ნაწილაკი უარყოფისა დადინამიკური მოდალობის გამოხატვის უძველესი ნიმუშია და იგი ენაში უცვლელად ასრულებს თავის ფუნქციას. **ვერ** ნაწილაკის გამოყენებით იწარმოება ქართულში უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებსაც ასევე აქვთ შესაძლებლობის უარყოფის მოდალური სემანტიკა. **ვერ** ნაწილაკი არ გამოიყენება გრძნობა-აღქმის, მყოფობა-მქონებლობის და სტატიკურ ზმნებთან. იგი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას. ქართულისთვის დამახასიათებელია ორმაგი უარყოფა. **ვერ** ნაწილაკით გამოხატულ უარყოფას აძლიერებს ზღვრული უარყოფის „**ღა**“ და დამატებითობის „**ც**“ ნაწილაკით გართულებული ფორმები. ორმაგი უარყოფა ქართულში მოიცავს როგორც სახელურ, ასევე ზმნურ უარყოფას, ხოლო შესაძლებლობის უარყოფის სემანტიკას აფართოებს **ვერ** ნაწილაკით წარმოებული უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. **ვერ** ნაწილაკიანი კონტექსტების გაანალიზებისას გამოვლინდა ორმაგი მოდალობის შემცველი ფრაზები. ასეთ შემთხვევაში პირველი მოდალური ფორმის გავრცელების არეალი (scope) უფრო ფართოა, ვიდრე მომდევნო მოდალური ფორმისა.

32	**კახა გაბუნია**	მულტილინგვური განათლების მნიშვნელობა უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში: ISBN 978-9941-13-564-6	მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, საკონფერენციო მასალები (Proceedings)	თბილისი. თსუ გამომცემლობა	8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია მულტილინგვური (ბილინგვური) განათლების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მოცემულია ვრცელი ანალიზი იმ ხარვეზებისა და გადაცდომებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა 2005-2017 წლებში. მოცემულია რეკომენდაციები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დ. თვალთვაძე** ი. გველესიანი ე. მუმლაძე	Multilingual Education – A Step into the Better Future ISSN: 2256-0629	*SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION*. Proceedings of the International Scientific Conference. Volume III 2019	REZEKNE (Latvia) Rēzeknes Tehnoloģi juakadēmija	გვ.575-584
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

მულტილინგვური განათლება - ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ

ნაშრომში განხილულია უახლესი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოში მულტილინგვური განათლების დანერგვისკენ. ამასთანავე, წარმოდგენილია უცხო ენის სწავლების ინოვაციური სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობს:

- სწავლების ინოვაციური მეთოდების, მოდელებისა და მიდგომების გამოყენებას (CLIL მიდგომა, ჰეტეროგლოსური მიდგომა);
- წარმატებული გაკვეთილის მოდელის შექმნას;
- ინტენსიური ტრენინგ-კურსების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს ინტერკულტურული უნარების განვითარებას და ა.შ.

http://journals.rta.lv/index.php/SIE/issue/view/105

ინდექსირებულია მონაცემთა ბაზებში: CrossRef, SciLit, Google Scholar, OpenAire, WordCat

2	**რუსუდან ზექალაშვილი**	ქართული სამეტყველო ეტიკეტი და თარგმანის პრობლემები (Georgian Speech Etiquette and Translation Problems). ISBN 978-617-646-429-7	სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა: სამეცნიერო შრომების კრებული / ა.გ. გუდმანიანისა და ს.ი. სიდორენკოს საერთო რედაქციით. (ინგლისურ ენაზე).	კიევი: აგრარ-მედია გრუპ	8 გვ. (გვ. 116-123)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ქართული თავაზიანობის სისტემა და სამეტყველო ეტიკეტის რამდენიმე სპეციფიკური ნიშანი: ოფიციალური და ფამილარული მიმართვები, ზმნების თავაზიანი ფორმები, პირში მონაცვლე ზმნები და ფატიკური კომუნიკაციის ზოგიერთი ერთეული. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული სამეტყველო ეტიკეტის ერთეულთა თარგმნისას წამოჭრილ პრობლემებზე მხატვრულ ნაწარმოებში. თვალსაჩინოებისათვის განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე მონაკვეთის თარგმანი რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ხაზგასმულია თავაზიანობის სისტემის სპეციფიკის გათვალისწინების აუცილებლობა თარგმანში, განსკუთრებით კი - პატრონყმური ურთიერთობის ამსახველ პოემაში. სხვადასხვა ენაზე პოემის თარგმანთა შედარებამ ცხადყო, რამდენად ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ მხარეს მთარგმნელები, რითაც ბევრი აუცილებელი ნიუანსია დაკარგული.

დადგენილია, რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას მთარგმნელმა გაიაზროს არა მარტო ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზის შინაარსი, არამედ სამეტყველო ეტიკეტი. პერსონაჟთა დიალოგების გადმოცემისას საჭიროა ამ ერთეულთა სწორად გააზრება და სხვადასხვა საკომუნიკაციო რეგისტრის გამიჯვნა, ადეკვატური საშუალებების მოძიება, რაც ხელს შეუწყობს მხატვრული ნაწარმოების სტილის შენარჩუნებას, ავტორის მიზანდასახულების უკეთ გაგებას.

3	**რუსუდან ზექალაშვილი**	ნასესხები ზმნების ადაპტაციის სტრატეგიები ქართულ ენაში [Strategies of Loan Verbs Accommodation in the Georgian Language] ISBN 978-3-7329-0429-7 ISSN 1438-2636	ენათა და კულტურათა კავშირები: ლინგვისტიკა, თარგმანთმცოდნეობა და ინტერკულტურული კომუნიკაცია (რედ. გუნტარს დრეჯერს, აგნესა დუბოვა, იანის ვეცკრაცის), ტ. 104 (Guntars Dreijers, Agnese Dubova,	ბერლინი: ფრანკ& ტიმე [Berlin: Verlag Frank & Timme GmbH]	23 გვ. (გვ. 71-94)

		https://books.google.ge/books?id=VR2NDwAAQBAJ&printsec=frontcover#v=onepage& q&f=false	Jānis Veckrācis (eds), Bridging Languages and Cultures: Linguistics, Translation Studies and Intercultural Communication, Bd.104).		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომის მიზანია ნასესხები ზმნების ადაპტაციის სტრატეგიათა აღწერა ქართულ ენაში, შესაბამისი ზმნური მოდელების გამოყოფა და მიღებულ ფორმათა სემანტიკური თავისებურებების დადგენა. ემპირიული საანალიზო მასალა მოპოვებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში, მასმედიის ტექსტებსა და ინტერნეტგვერდებზე. საკითხის შესწავლის თეორიულ ბაზას წარმოადგენს ა. შანიძის, ბ. ჯორბენაძის, ნ. ამირიძისა და სხვ. შრომები ნასახელარ ზმნათა წარმოების შესახებ.

კვლევის შედეგად ქართულ ენაში გამოვლენილია ორი პროცესი ნასესხებ ზმნათა ადაპტაციის დროს: ერთი მხრივ, სწრაფვა ეკონომიურობისკენ, როცა ნასესხები ზმნის ფუძისაგან იწარმოება უღლებადი ზმნური ფორმა. ეს სტრატეგია ენაში კარგა ხანია მოქმედებს ინტერნაციონალური სიტყვების ადაპტირების პროცესში (აფიქსირებს, ასიმილირდა...). იგივე მოდელი გამოიყენა სასაუბრო ენამ ინგლისურიდან კომპიუტერული სლენგის ზმნების საწარმოებლად (გუგლავს - დაგუგლა, პოსტავს - დაპოსტა, სერჩავს - დასერჩა...). მეორე მხრივ, დადასტურებულია ანალიზური წარმოება: ნასესხებ სიტყვასთან ერთად გამოიყენება დამხმარე ზმნა-ვერბალიზატორი, რომელიც გამოხატავს ზმნურ კატეგორიებს: პირს, რიცხვს, დროს, კილოს, გვარს. დამხმარე ფუნქციის ზმნები (ახდენს - ხდება, აწარმოებს - წარმოებს, ახორციელებს- ხორციელდება...) დესემანტიზებულია და ქმნის ზმნურ-სახელად შესიტყვებებს.

ხაზგასმულია უცხოური ზმნების გამოყენების ინტენსიურობა თანამედროვე ქართულში, რაც უნივერსალური მოვლენა ჩანს. ნასესხებ ზმნათა ადაპტაციის სტრატეგიები ქართულ ენაში შედარებულია რუსულ და გერმანულ ენებში გამოყენებულ საშუალებებთან.

4	**სალომე ომიაძე**	Two Types of Problems Regarding the Translation of Gluttonic Vocabulary – ორი ტიპის პრობლემის შესახებ გლუტონიური ლექსიკის თარგმნისას ISBN 978-617-646-453-2	"General and Specialist Translation / Interpretation: Theory. Methods. Practice". XII International Conference Papers – „სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა" – XII საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული	Kyiv: Agrar Media Group (კიევი, აგრარმედიაჯგუფი)	5 გვ. (გვ. 241-245)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

გლუტონიური დისკურსი კომუნიკაციური პრაქტიკის ის სახეა, რომელშიც ინტენსიური და თვალსაჩინოა კულტურისა და ენის ურთიერთქმედება. კულტურული ინფორმაცია შენახულია გლუტონიმთა მნიშვნელობის

როგორც დენოტაციურ, ასევე კონოტაციურ ასპექტში. სწორედ ეს ქმნის თარგმნისას ორი განსხვავებული ტიპის პრობლემას.

ყველა ენაში მოიძებნება ისეთი გლუტონიმები, რომლებიც მოცემული კულტურისათვის სპეციფიკურ საგნებსა თუ მოვლენებს აღნიშნავენ, რაც, თავის მხრივ, მათი უეკვივალენტობის მიზეზი ხდება. ცხადია, უეკვივალენტო ენობრივი ერთეული უთარგმნელს არ ნიშნავს, მაგრამ მისი მოძებნა ლექსიკონში, თუ ეს უკანასკნელი საგანგებოდ კულინარიის დარგობრივ ლექსიკონს არ წარმოადგენს, უშედეგო იქნება. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთია ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიპცია, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება კერძების სახელების გადატანას ერთი ენიდან მეორეზე, თუმცა ყოველთვის ვერც ამ გზით მიიღწევა სასურველი შედეგი. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთია ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიპცია, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება კერძების სახელების გადატანას ერთი ენიდან მეორეზე, თუმცა ყოველთვის ვერც ამ გზით მიიღწევა სასურველი შედეგი. მაგალითად, ქართული **ხაჭაპური** (გამომცხვარი ცომი, რომელსაც გულად აქვს ყველი ან ხაჭო) ან **ჩურჩხელა** (ყურძნის წვენისგან დამზადებულ ტკბილ ფაფაში (თათარაში) ამოვლებული ძაფზე აცმული ნიგოზი ან თხილი) იმდენად ნაცნობი და საყვარელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებისათვის, რომ სხვადასხვა ენაზე ტრანსლიტერირებულ-ტრანსკრიბირებული მათი სახელების უკან უშეცდომოდ ხედავენ შესაბამის რეალიებს, მაგრამ ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი რეალიის სახელი, მხოლოდ ამ გზით გადატანილი, გაუგებარი დარჩება თარგმანის ენის მატარებლისათვის, რადგან ასოითი ან ბგერითი გარსის ერთგვარი კოპირება ვერ უზრუნველყოფს ამ ერთეულის შინაარსით შევსებას. ასეთ დროს გამოსავალია აღწერით-განმარტებითი თარგმანი. მართალია, აღნიშნული გზა არაეკონომიურია, მაგრამ ადეკვატურობის თვალსაზრისით საუკეთესოა. მენიუსა თუ რეცეპტის ტექსტებში შესაძლებელია ტრანსლიტერაციისა და დეფინიციის კომბინირება, ტრანსლიტერირებულ გლუტონიმს ფრჩხილებში მიეწერება აღწერა-დახასიათება, რაც შეეხება მხატვრულ ტექსტს, მთარგმნელზეა დამოკიდებული იქვე განმარტავს უცხო ერთეულს, სქოლიოში თუ ტექსტის ბოლოს დართულ კომენტარებში.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჩართული გლუტონიური დისკურსის თარგმნა გაცილებით დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგან მასში მონაწილე გლუტონიმები კოგნიტიურთან ერთად კონოტაციური მნიშვნელობით არიან გამოყენებული. ყოველ ხალხს აქვს სპეციფიკური ხატოვან-ასოციაციური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც საწყის, ამოსავალ მნიშვნელობათა გადააზრება და მეორეულ ნომინაციათა გაჩენა ხდება, სწორედ ეს ქმნის მეორე ტიპის პრობლემას მათი თარგმნისას.

სწორედ აქ მართებს მთარგმნელს მეტი შემოქმედებითობა, რომ ამოავსოს ლექსიკური ლაკუნები და შეავსოს „თეთრი ლაქები“ მშობლიური ენის „სემანტიკურ რუკაზე“ (სტეპანოვი 2013: 126; 2, 126).

მართალია, სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთობის წევრთა სამყაროს ენობრივი სურათები განსხვავებულია, მაგრამ თარგმნისას შეიძლება იმ ერთეულების დაძებნა, რომლებიც ზოგადადამიანური ხედვის შედეგია.

5	**Kakha Gabunia,** Shalva Tabatadze	Intercultural Content and Perspectives in School Textbooks in Georgia, 05.21446/ie	Intercultural Education, #121;	ონლაინ გამოცემა, აშშ	16

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია საჯარო სკოლებში გრიფირების პროცესის შედეგად გასული სახელმძღვანელოების ინტერკულტურული ასპექტები.

6	**Kakha Gabunia,** Ketevan Gochitashvili	LANGUAGE POLICY IN RELATION TO THE RUSSIAN LANGUAGE IN GEORGIA BEFORE AND AFTER DISSOLUTION OF THE SOVIET UNION	Russian as a Pluricentric La nguage: Politics and Policie; Issue 6/2019	ონლაინ გამოცემა, ფინეთი	9

მასალები გამოქვეყნებულია

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან თვალთვაძე** სოფო სარჯველაძე	ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად	17.12.2019 თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერები
და მათი მნიშვნელობა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად

იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის უძველესი ტექსტები(წინარეათონური, გიორგი მთაწმიდელის რეცენზიამდე არსებული რედაქციები) მოღწეულიაა V-XV საუკუნეების 40-მდე ხელნაწერით, გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტი კი XI-XIX საუკუნეების 250-მდე ხელნაწერშია წარმოდგენილი. თავად ოთხთავის ხელნაწერთა გარდა, სახარებათა ტექსტები დაცულია VIII-XI საუკუნეების ძველ ქართულ ლექციონარებშიც. ქუთაისის ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში აღრიცხულია ოთხთავის 33 ხელნაწერი. რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენს იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსცემად მომზადება (FR17_170) შესწავლილ იქნა ქუთაისის მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერები. კერძოდ, დამუშავდა X-XIII საუკუნეების შემდეგი ხელნაწერები: K 74, K 76, K 176, K 182, K 363 K 688. ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე სიახლე. კერძოდ: K 74 ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი, რომელიც კატალოგის მიხედვით დათრიღებული იყო XV-XVI საუკუნეებით, მის ანდერძში მოხსენიებული პირების მიხედვით, მე-11 საუკუნის შუა წლებით უნდა დათარიღდეს. ამ ხელნაწერში ყდის დამცავ ფურცლად გამოყენებულია ეტრატის ფურცელი, რომელზეც მათეს სახარების თავთა ჩამონათვალია შემორჩენილი.

სახარების ტექსტს, გარდა ოთხთავის ზემოთ მითითებული ხელნაწერებისა, შეიცავს ქუთაისში დაცული კიდევ რამდენიმე მანუსკრიპტი: K 176 (სახარება-სამოციქულო, X ს.), K 134 (სახარება-სამოციქულო, XVII ს), K 246 (ოთხთავის საკითხავები და კურთხევანი. XVIIს.), K 261 (სახარება-სამოციქულო XIII-XIV სს.), K 438 (სახარებათა საკითხავები XVI-XVII სს.), K 521 (საკითხავები ოთხთავიდან XV-XVI-XVIII სს. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა K 176 - კრებული, რომელიც შეიცავს სახარებას, მოციქულთა საქმეებს და პავლეს ეპისტოლეებს. აღწერილობაში იგი დათარიღებულია მე-11 საუკუნით, თუმცა პალეოგრაფიული მახასიათებლები მისი მე-10 საუკუნით დათარიღების საშუალებას იძლევა.

ქუთაისის მუზეუმში 688-ე ნომრით ინახება ეტრატის ერთფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც იოანეს სახარების ტექსტს შეიცავს. კერძოდ, მასში წარმოდგენილია ტექსტი იოანეს მე-4 თავის 46-ე მუხლიდან მე-5 თავის მე-2 მუხლამდე (ი.4.46. - 5, 2). K 688 აღმოჩნდა ნაწილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერისა S 962. კერძოდ, ეს არის ფურცელი, რომელიც უნდა ყოფილიყო S 962 ხელნწერის 213-ე და 214-ე ფურცლებს შორის (ძველი პაგინაციით 424-ე და 425-ე გვერდებს შორის)

XI საუკუნეში 1060 წელს ანტიოქიაში, შავ მთაზე, კერძოდ, კალიპოსის მონასტერში „სანახებსა ასურეთისასა, დიდებულისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისსა, მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კალიპოსისსა, სადიდებელად ყოვლად წმიდისა ღმრისმშობელისა, სამკვიდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავალით“ კალიპოსელ ბერს ბასილი თორელყოფილს

გადაუწერია ოთხთავი, რომელიც 1925 წელს ლეჩხუმში, თაბორის მონასტრის ნანგრევებში აღმოჩდა და ამჟამად ქუთაისშია დაცული 76-ე ნომრით. ოთხთავი 1060 წელს ე.ი. გიორგის სიცოცხლეშია, გადაწერილი და როგორც გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, გადაწერილია გიორგის თარგმნილი სახარებიდან. კალიპოსის მონასტერში, ბასილი თორელყოფილის მიერ გიორგის სიცოცხლეში გადაწერილმა ნუსხამ ალბათ დედანთან ყველაზე ახლოს მდგომი ტექსტი შემოგვინახა, რაც გიორგის ავტოგრაფული ნუსხის არქონის პირობებში აღნიშნული მანუსკრიპტის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის. K 76 გიორგისეული ტექსტის შემცველი უძველესი თარიღიანი ნუსხაა, ამიტომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგისეული რედაქციის კრიტიკული ტექსტის დასადგენად.			
2	**დარეჯან თვალთვაძე**	თსუ-ს პერიოდული სამეცნიერო გამოცემების ასწლოვანი ტრადიცია და „ქართველური ენათმეცნიერების“ V ნომრის პრეზენტაცია	მეცნირერებისა და ინოვაციების ფესტივალი -2019. 23.09.2019

თსუ-ს პერიოდული სამეცნიერო გამოცემების
ასწლოვანი ტრადიცია და „ქართველური ენათმეცნიერების“ V ნომრის პრეზენტაცია

უნივერსიტეტის პროფრესორთა საბჭოს 1919 წლის 9 აპრილის სხდომაზე მიღებული დადგენილებით: „გამოცემულ იქნეს უნივერსიტეტის ორგანო, რომელიც ჯერჯერობით საერთო იქნება ყველა ფაკულტეტისათვის“ 100 წლის წინ სათავე დაედო საუნივერსიტეტო პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებს. უნივერსიტეტის სახელით გამოცემული სამეცნიერო შრომების პირველი კრებულში „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ (ტუმ.) I, დაიბეჭდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორთა ი. ყიფშიძის, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, დ. უზნაძის, ა. შანიძე, ს. ავალიანის და ე. თაყაიშვილის შრომებ. აღსანიშნავია, რომ კრებულში სტატიები იბეჭდება მხოლოდ ქართულად და პირველი კრებული სულ178 გვერდს შეიცავდა. 1922 წელს დაბეჭდილი ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის მე-2 ნომერი (ტუმ.II) უკვე 426-გვერდიანია. 1919 წლიდან 2019 წლამდე თსუ-ს პერიოდული სამეცნიერო კრებულები გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებებით: კერძოდ: 1919-1930 წწ.- ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე; 1936 წლიდან - ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები; 1938- 1998 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (დარგების მიხედვით); 1998 წლიდან - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (დარგების მიხედვით).

ასწლოვანი ტრადიციის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანა თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრამ, რომელსაც აკაკი შანიძე ხელმძღვანელობდა. მისი ინიციატივით და რედაქტორობით 1944 წლიდან დაფუძნდა სერია - „ძველი ქართული ენის ძეგლები“, ხოლო 1955 წლიდან დაიწყო გამოსვლა პერიოდულმა სამეცნიერო ჟურნალმა „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები (სულ გამოვიდა 31 ნომერი). 2010 წლიდან გამოდის თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, „ქართველური ენათმეცნიერება“, რომლის V ნომერი უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის თავს მიეძღვნა. კრებულში შევიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო ნაშრომები (სულ 15 ნაშრომი). თითოეულ სტატიას ახლავს აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე. ქართული ენის ინსტიტუტი გეგმავს ძველი ქართული ენის კათედრის შრომების ყველა გამოსული ტომის გაციფრებას და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებას.

3	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე**	ეპისტემიკურ-ევიდენციალური სემანტიკის გამოხატვა ორ-განული და აღწერითი ფორ-მებით ქართველურ ენებში	17 აპრილი, 2019 თსუ, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

ვერბალური ან უშუალოდ კვალზე დამყარებული ინფერენციული ინფორმაციის წყაროს არსებობის შემთხვევაში მთქმელის მიერ ინფორმაციის სანდოობის შეფასება არ ხდება და მხოლოდ ე. წ. უნახაობას ესმება ხაზი, გამოცდილებასა თუ ფონურ ცოდნაზე დამყარებული ინფერენციული წყაროს შემთხვევაში კი, პირიქით, ინფორმაცია გადმოიცემა როგორც საეჭვო-სავარაუდო, ანუ შემოდის ეპისტემიკური მოდალობა. ყოველივე ეს აფართოებს ევიდენციალობის კატეგორიის საკვლევ არეალს და ენობრივად გამოკვეთს *მთქმელის მიმართებას გარეშე წყაროდან (ვერბალობა, ინფერენცია) მიღებულ ინფორმაციასთან;* შესაბამისად, ქართველური ენების მონაცემების მიხედვით ევიდენციალობის ორი ტიპი განიხილება: არამოდალიზებული ევიდენციალობა და მოდალიზებული (ეპისტემიკური). ეპისტემიკური ევიდენციალობა აღწერითად ყველა ქართველურ ენაში შეიძლება გადმოიცეს, ხოლო, რაც შეეხება ორგანულ წარმოებას, დასტურდება სვანურსა და მეგრულში. ორგანული წარმოების ეპისტემიკურ-ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სტრუქტურასა და სემანტიკაზე სვანურსა და მეგრულში სათანადო ინფორმაციაა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ამგვარი კვალიფიკაცია სიახლეა და საკითხის ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

4	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია**	უარყოფის გამოხატვის სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/gvax_progr.pdf	26-27 ივნისი, 2019 თსუ, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ ტექსტში ენის შესაძლებლობების რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული კოგნიტური პროცესები. პოემაში „**არა/არ**“ ნაწილაკების პოზიცია ზმნის წინ (**I.** NegV), რომელიც ძირითადი და ყველაზე გავრცელებულია, ჩვეულებრივ დასტურდება: (ა) მოშაირე **არა** (Neg) **ჰქვიან** (V), ვერას იტყვის ვინცა გრძელად (1974:11, #17, პროლოგი). რუსთაველის ენისთვის დამახასიათებელია უარყოფითი „**არა/არ**“ ნაწილაკების პოზიციური ცვლა, რის შედეგადაც გავრცელებულია შემდეგი სტრუქტურული მოდელები: **II.** Neg N/Adj/Prn(მორფემოიდი + სახელი, რომელიც ქმნის რთულ უარყოფით ლექსემას): (ბ) მაგრამ მეტი უარეა **არა-თქმა** (Neg N) და ჭირთა მალვა (1974:132, #418). (გ) ერთსა ვიაჯი, მიაჯეთ სააჯო **არ-საკრძალავი** (Neg Adj) (1974:385,#1066). **III.** Neg, N NegV (პირობითი ორმაგი უარყოფა, რომელიც გახლეჩილია სახელით): (დ) არ (Neg), უთქმელობა არ(Neg) ვარგა (V)... (1974: #388). **IV.** V.... NegN: (ე) ეთქვა თუ: ჟამად **გვაჩნია** (V) ჩვენ თქვენი **არ**(Neg)-**ორგულობა**(N)(1974: 139, #448). პოემაში უარყოფითი ნაწილაკები ძირითად ფუნქციასთან ერთად დამატებითი - სტილისტური ფუნქციითაცაა დატვირთული, რაც ქმნის პოეტური ნაწარმოებისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვან კონტექსტს.

5.	**რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი**	რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით /https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/gvax_progr.pdf	26-27 ივნისი, 2019 თსუ, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

ცნობილია, რომ ევიდენციალობა პირველ რიგში ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ამ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს შორის; სხვაგვარად: ეს კატეგორია გულისხმობს მთქმელის სუბიექტურ მიმართებას კონტექსტთან, ანუ ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია, თუ სხვა წყაროდან ("მეორე, სხვა ხელიდან") მიღებული. გამოყოფენ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებულ სამ წყაროს, რომელთა შესახებაც მთქმელი ამცნობს ან მიანიშნებს მსმენელს: მოვლენის პერცეფცია, ვერბალობა, ინფერენცია. მოხსენებაში განხილული იყო რიტორიკული შეკითხვა ევიდენციალობის თვალსაზრისით, კერძოდ: *„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!"* ***„მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!"„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!"*** **და სხვ. ასეთი წინადადებები არ მოითხოვენ პასუხს, რადგან მათი პასუხები ისედაც ცნობილია მთქმელისათვის მისივე ფონური ცოდნისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც აქვს რიტირიკულ შეკითხვას ინფერენციული ხასიათი, რის გამოც ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის კითხვითი წინადადებები ევიდენციალურია.**

6	**რამაზ ქურდაძე**	ონომასტიკა პოეტურ მეტყველებაში მანანა ჩიტიშვილის პოეზიის მიხედვით	28-29 სექტემბრი, 2019 ახალციხის უნივერსიტეტი, ახალციხე, საქართველო

მოხსენების ანოტაცია

ადამიანის, ქვეყნის, ქალაქის, სოფლის, მთის, მდინარისა და სხვა საკუთარ სახელებს, რაც ონომასტიკის შესწავლის სფეროში შედის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწერლისა თუ პოეტის შემოქმედებისათვის. თანამედროვე ქართველი პოეტის მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება განსაკუთრებით მდიდარია ონომასტიკური მასალის გამოყენებით. მოხსენებაში განხილულია ონომასტიკური მასალა მანანა ჩიტიშვილის პოეზიაში პოეტის ბოლო სამი კრებულის მიხედვით. ყურადღება გამახვილებულია იმ ონომასტიკურ ნიმუშებზე, რომელთაც ისტორიულ-პატრიოტული მნიშვნელობა აქვთ და რომელთა გამოყენებითაც პოეტი მაღალმხატვრულ, დაუვიწყარ სურათებს ქმნის.

7	**რამაზ ქურდაძე**	ერთი ნასესხები სიტყვის შესახებ დიალექტებსა და ქართულ პოეზიაში	15-16 ნოემბერი, 2019 შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტი, ზუგდიდი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია

დიალექტი ზოგჯერ ისეთ ნასესხებ სიტყვებს ან სიტყვათა ფორმებს ინახავს, როგორებიც დღეისათვის სალიტერატურო ენაში არ, ანდა აღარ გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ნასესხები სიტყვაა *მარმარი/მარმარა,* რომელსაც ქართლურ დიალექტში ზმნური და სახელური ვარიანტებით ვადასტურებთ: **ამარმარებს** - ასუფთავებს, აწკრიალებს; **მარმარი გააქ** - ძალიან სუფთაა, კარგად მოვლილია. *მარმარი/მარმარა* მარმარილოს აღნიშნავდა, თუმცა ქართლურში ეს სიტყვა ერთგვარად მნიშვნელობის გადაწევით გვხვდება. მოხსენებაში წარმოდგენილია მსჯელობა ამ სიტყვის წარმომავლობაზე, მის ვარიანტებზე ძველ, საშუალ ქართულსა და ქართულ დიალექტებში. განხილულია მისი მიმართება *მარმარილო/მარმარინო* ფორმებთან და მოცემულია საგანგებო მსჯელობა ამ სიტყვის გამოყენების შესახებ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. კერძოდ, წარმოდგენილია ნიმუშები ქართლიდან, ახალგორის ხეობიდან, გამოსული პოეტის – მანანა ჩიტიშვილის ლექსებიდან, რომლებშიც *მარმარი/მარმარა-ს* არც კი ემჩნევა დიალექტური ელფერი და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ჩვეულ ლექსემად წარმოგვიდგება.

8	**რამაზ ქურდაძე,** **მაია ლომია,**	უქონლობა-უარყოფის სემანტიკის მქონე დერივაციული სახელები	24-27 დეკემბერი, თბილისი

	ნინო ჭუმბურიძე,	ქართველურ ენებში	

მოხსენების ანოტაცია

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა და იგი ყველა ენაში დასტურდება. უარყოფა-უქონლობის შინაარსის გამოხატვის ფორმები და მათი განვითარების დინამიკა ზოგჯერ განსხვავდება არა მარტო არამონათესავე, არამედ მონათესავე ენებშიც. ქართველურ ენებში ამ სემანტიკის მქონე სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით მსგავსებაც შეინიშნება და განსხვავებაც. განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქართული სალიტერატურო-სამწერლობო ენაა, ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური უმწერლობო ენებია.

ქართულში უარყოფითი სემანტიკის სახელების წარმომქმნელია ძირითადად **უ-** პრეფიქსი, რომელიც დამოუკიდებლად დასტურდება სულ რამდენიმე სახელში (*უ-რიცხვ-ი, უ-სრულ-ი, უ-შიში*), დანარჩენ შემთხვევებში კი **ო, ურ / ულ, არ** სუფიქსებთან ერთად გამოიყენება (*უ-ქუდ-ო,უ-ლამაზ-ო, უ-გემ-ურ-ი...).* **უ-** მაწარმოებელი გვხვდება სხვადასხვა ზმნურ ფუძესთანაც *(უ-რჩ-ი, უ-ქმ-ი, უ-ძინ-არ-ი...).*

ქართული ენის გარდა, **უ-** პრეფიქსი უარყოფა-უქონლობის მაჩვენებელია სხვა ქართველურ ენებშიც - მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. იგი ამ ენებში საერთო წარმომავლობისაა (გამყრელიძე, მაჭავარიანი). მეგრულში გვაქვს **უ–ო**, **უ–ე**, **უ–ურ**, **უ–ოლ** კონფიქსები, ლაზურში - **უ-**, **უ–უ**, **უ–ე**, **უ-ურ**. სვანურშიც დასტურდება **უ-** პრეფიქსი და შემდეგი კონფიქსები: **უ-v**, **უ-ა**, ოღონდ ამ წარმოების სახელები მცირეა და ძირითადად ზმნურ ფუძეებთან, მიმღეობებში გვხვდება.

სვანურში უქონლობის მაწარმოებელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია **-ურ** სუფიქსი. მხოლოდ სუფიქსით გამოხატული უარყოფა სვანურის თავისებურებაა, თუმცა ეს მაწარმოებელიც, საერთო ქართველური წარმოშობისა უნდა იყოს (ვ. თოფურია).

უარყოფა ქართულ ენაში გადმოიცემა ასევე **არა/არ** ნაწილაკიანი რთული სახელებით (ნაწილაკი ამ შემთხვევაში მორფემოიდად გვევლინება): *არა-კაცი, არ-გაგონილი...*

არა/არ ნაწილაკებით წარმოქმნილი უარყოფითი სახელები ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება: ***არა-****განსწავლული,* ***არა-****დამცველი...*

ამ ტიპის სახელების გამოყენება დროთა განმავლობაში გახშირდა და ახალ ქართულში ფართო ნაირსახეობით წარმოგვიდგება: ა) გვხვდება უ-ო კონფიქსიანი უქონლობის სახელების პარალელურად და გვიჩვენებს მათთან სემანტიკურ განსხვავებას: *უ-კაც-ო – არაკაცი, უ-ღირსი –არა-ღირსი.* ბ) აქტიურად გამოიყენება ანტონიმური ლექსემების წარმოქმნაში: *გამტანი –* ***არ-****გამტანი, ქონა –****არ-****ქონა.* გ) გამოიყენება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში: *დრეკადი -* ***არა****-დრეკადი, ეკონომიური -* ***არა****-ეკონომიური.*

არა/არ ნაწილაკიანი სახელების გააქტიურებას ქართულ სალიტერატურო ენაში დიდად შეუწყო ხელი მეცნიერების განვითარებამ და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობამ. თავდაპირველად XI – XII საუკუნეებში ბევრი მეცნიერული ტერმინი ბერძნულის გავლენით შეიქმნა. ***არა*** ნაწილაკი ტიპოლოგიურად ძალიან უახლოვდება ბერძნულ **α-** პრეფიქსს.

შემდგომში თანამედროვე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში გარკვეული როლი შეასრულა რუსულ ენასთან კონტაქტმაც. მე-20 საუკუნეში, 90-იან წლებამდე, სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ტერმინოლოგიური ერთეულები, ქართულ ენაზე ძირითადად რუსულიდან ითარგმნებოდა. ქართული **არ/არა** ნაწილაკის სემანტიკური ფარდია რუსული **не**- თავსართი: ***არა****-ამხანაგური – **не**-товарищеский,* ***არა****-ბუნებრივი – **не**-естественны* და სხვ. სამეცნიერო ტერმინთა შექმნისას **არა/არ** ნაწილაკიანი სახელური მოდელის გააქტიურებას სწორედ რუსულთან მჭიდრო კავშირმა შეუწყო ხელი.

მეგრულში, ლაზურსა და სვანურში ქართული **არა/არ** ნაწილაკის სემანტიკური ფარდია **ვარ/ვა, მ□დ/მადე** ნაწილაკები, რომლებიც დაერთვის მიმღეობებს. ამ გზით მიღებული ზედსართავი სახელები რაოდენობრივად ძალზე მცირეა, სტატისტიკურად სამი-ოთხი ერთეულითაა წარმოდგენილი: ა. წყევლის ფორმულებში: მეგრ. ***ვა****-რდილი –****არ****-გასაზრდელი, სვან.* ***მ□დ****-ლე□დე / ბქ.* ***მადე****-ლე□დ-იაქ /* ***მადე****-ლე□დ-იაქ-□ლ -* ***არ****-მოსასვლელი.* ბ. უარყოფითი კონოტაციის მეტსახელებში: მეგრ. ***ვა****-ხაჩქელა „****არ****- მთოხნელი“, **ვა**-სქილია „კვერცხის* ***არ****-მდებელი“,* ლაზ. ***ვა*** *მთინი* ***არა****-მართალი.*

ამრიგად, ქართულში არა/არ ნაწილაკით წარმოქმნილი უქონლობა-უარყოფის სახელთა გააქტიურებას ხელს უწყობდა ჩვენი სამწერლობო-სამეცნიერო ტრადიციები, მეგრულში, სვანურსა და ლაზურში კი უარყოფითი ნაწილაკი ზმნურ ფუძეებს ერთვის და მიმღეობებში გვხვდება, თუმცა ამგვარ სიტყვაფორმათა მოხმარების არეალიც შეზღუდულია და სისტემურად ვერ ვითარდება.

9	**ქეთევან მარგიანი** **მაია ლომია**	ევიდენციალურ იმპერფექტულ ფორმათა სეგმენტაციისა და მარკირების საკითხი მეგრულსა და სვანურში	8 იანვარი, 2019 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია

ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმები, ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, დამატებითაა გაჩენილი მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. ლაზურში აღწერითი ფორმით დასტურდება და სეგმენტირებაც პირობითია, სპეციალური მარკერიც არ გამოიყოფა. სტატიაში გაანალიზებულია მეგრული და სვანური ემპირიული მასალა. ამგვარ ფორმათა სეგმენტირება-გლოსირება წარმოაჩენს ენის შინაგან შესაძლებლობებს, ასევე მიემართება საანალიზო კატეგორიის გენეზისს და მის ავთენტურობას ადასტურებს. მეგრულში ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა და იმპერფექტი II-ის, ხოლო სვანურში ევიდენციალური იმპერფექტი II-ის ზმნური ფორმები თავიდან აღწერითი იყო, ტრანსფორმაციის შედეგად ორგანულ ფორმებად ჩამოყალიბდნენ და სპეციალური მარკერიც მაშინ გაჩნდა, სტატიაში არგუმენტირებულადაა დასაბუთებული მეგრულსა და სვანურში ევიდენციალური მარკერის გამოყოფის უტყუარობა.

10	**ქეთევან მარგიანი**	საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში	თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2019 წლის 20-23 მაისი მასალები გამოქვეყნებულია: https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/05/XXX-Arn.-Chikobavas-Sakitxavebi-2019-1.pdf
11	**ქეთევან მარგიანი**	კვლავ კოდორული მეტყველების შესახებ	თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2019 წლის 24-27 დეკემბერი მასალები გამოქვეყნებულია: https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/12/sesiis-masalebi_78.pdf

12	**რუსუდან ზექალაშვილი**	ზმნის პირიან ფორმათა სემანტიკურ-სტილური თავისებურებები (ქართული ანდაზების მიხედვით): V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა"	2019, 31 აპრილი - 2 მაისი ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასალები გამოქვეყნებულია: https://drive.google.com/file/d/1n3S0Ovg65PdjdzIi0YvrH5xZ-JmUOVqL/view
13	**რუსუდან ზექალაშვილი**	იდეოლოგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ლექსიკოგრაფია: საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი რასმუს რასკისადმი „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“	2019, 12-14 სექტემბერი თბილისი, თსუ, მასალები გამოქვეყნებულია: https://drive.google.com/file/d/0BxXNnJ55RlVpOWtkdjN2ODg0bHVkMVJSUjZXUVNzeHRTUnJJ/view გვ. 37-39.
14	**რუსუდან ზექალაშვილი**	ერთი ზმნური ნაწილაკის სინტაქსური ძალის შესახებ: IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ დისციპლინებში „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“	2019, 18-20 ოქტომბერი ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასალები გამოქვეყნებულია: http://conferences.atsu.ge/Humanities2015/index.html გვ. 82-83.
15	**რუსუდან ზექალაშვილი**	აკაკი შანიძე გრამატიკული კატეგორიის შესახებ: აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა,	2019, 26 თებერვალი თბილისი, თსუ მასალები გამოქვეყნებულია: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_tezisebi.pdf გვ. 4.
16	**რუსუდან ზექალაშვილი**	წყვეტილის ფორმის ტრანსსემანტიზაციის ერთი შემთხვევა ქართულში: ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო	2019 წლის 17 აპრილი თბილისი, თსუ მასალები გამოქვეყნებულია:

		კონფერენციის „ქართველოლოგია – გუშინ, დღეს, ხვალ“	http://www.enadep.gov.ge/uploads/konferenciis_programa.pdf გვ. 12-13.
17	**რუსუდან ზექალაშვილი**	გერმანული ინფინიტივური კონსტრუქციების გადმოტანა ქართულ ენაში: XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი	2019 წლის 26-28 ივნისი თბილისი, თსუ მასალები გამოქვეყნებულია: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/2019tezis_gvaxaria.pdf გვ. 56-58.
18	**რუსუდან ზექალაშვილი**	მეტაფორიზაცია სამედიცინო ტერმინებში: კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“ VI, ეძღვნება დამანა მელიქიშვილის 80 წლის იუბილეს.	2019 წლის 17-18 ივნისი თბილისი, თსუ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოხსენებაში განხილულია მეტონიმიისა და მეტაფორიზაციის როლი სამედიცინო ტერმინოლოგიაში, როგორც მისი გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება. გაანალიზებულია მეტაფორულ ტერმინთა სტრუქტურული ტიპები (ერთსიტყვიანი მარტივფუძიანი და ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები).

ხაზგასმულია სამედიცინო ტერმინთა მეტონიმია-მეტაფორიზაციის უნიფიცირებული ხასიათი და ნომინაციის მეორეულობა. დადგენილია, რაა ამოსავალი სახელდების დროს: გარეგნული მსგავსება დენოტატის აღმნიშვნელ ნაცნობ სიტყვასა და შესაბამის ორგანოს შორის; ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის, ქცევის, დაავადების სიმპტომთა ასოციაციური დაკავშირება სხვა არსების გარეგნობასა და ქცევასთან. განსაკუთრებით გამოყოფილია ქცევითი დარღვევის, ფსიქიკური აშლილობის, ემოციებისა და გრძნობების პათოლოგიური გამოვლინების სახელდების ხერხები ისტორიული პიროვნების ან მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სახელის მიხედვით.

მოცემულია მეტაფორულ სამედიცინო ტერმინთა ახლებური კლასიფიკაცია საყრდენ სიტყვათა მიხედვით: I. არაცოცხალ სამყაროსთან დაკავშირებული (1. გეოგრაფიულ სახელებთან, 2. ადამიანის საყოფაცხოვრებო ნივთებთან; 3. გარესამყაროსთან); II. ცოცხალ არსებებთან დაკავშირებული (1. ცხოველებთან, ფრინველებთან; 2. ადამიანების ხელობასა და საქმიანობასთან; 3. ისტორიულ პირებთან; 4. მითოლოგიურ, ბიბლიურ, ზღაპრულ და ლიტერატურულ პერსონაჟებთან).

გამოტანილია დასკვნა, რომ ტერმინის მეტაფორულობა დროთა განმავლობაში იცვითება და იგი ემსგავსება მონოსემანტიკურ ცნებას, თუმცა თავიდან მსგავს ნომინაციას საფუძვლად უდევს რთული მენტალურ-კონცეპტუალური პროცესები.

19	**სალომე ომიაძე**	ცნობები გლუტონიმთა შესახებ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“	2019 წლის 26 თებერვალი, თბილისი, თსუ

მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

20	**სალომე ომიაძე**	„კაზმვა“ /„კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე	2019 წლის 17 აპრილი, თბილისი, თსუ
მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.			
21	**სალომე ომიაძე**	„წმინდა პურისა“ და ნარევი პურის სახელმდებელ ლექსემათა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება	2019 წლის 20-23 მაისი, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.			
22	**სალომე ომიაძე**	ჭამის აღმნიშვნელ ზმნათა დიფერენციული სემანტიკური კომპონენტები	2019 წლის 18-20 ივნისი, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ანოტაცია (ქართულ ენაზე): ჭამის აღნიშვნას ენაში სემიოტიკური სიმჭიდროვე ახასიათებს, რაც უნივერსალურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საკვების მიღებას, როგორც ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ერთ-ერთ მთავარ ქმედებას, კომუნიკაციური თვალსაზრისითაც მაღალი სიხშირული ინდექსი ენიჭება. მრავალფეროვანია ის დიფერენციული სემანტიკური კომპონენტებიც, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რისთვისაც დავემყარეთ ლექსიკოგრაფიულ თუ კორპუსულ ინფორმაციას, ასევე, სხვა წყაროთა კონტექსტურ ანალიზს. ჩვენთვის საინტერესო ჯგუფში მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მქონე ერთეულები. მეორე ჯგუფის ლექსემათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება პირველისას. ჭამის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკურ სტრუქტურებში გამოვლინდა შემდეგი დიფერენციული ნიშნები: ხარბად ჭამა (დიდი ლუკმებით, ბევრი საკვების); ულაზათოდ, ხმაურით ჭამა (ამ ჯგუფში ძირითადად ხმაბაძვითი ზმნები გაერთიანდა); მალულად ჭამა; საკვების რაგვარობის (მაგარი, თხიერი, სასურველი, არასასურველი...) აღნიშვნა და სხვ. განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა დიალექტური მასალა – მოტივირებულ ლექსიკურ ერთეულებში კვების სფეროსთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის არაერთი ცნობაა დაცული.			
23	**სალომე ომიაძე**	იაკობ გოგებაშვილის „ქერის თავგადასავალი“ და ლექსემა „ქერის“ პრაგმატიკული ველი	2019 წლის 28 ოქტომბერი, თბილისი, თსუ
მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.			
24	**სალომე ომიაძე**	კონცეპტ „ქერის“ ენობრივი ობიექტივაცია დიალექტურ დისკურსში	2019 წლის 15-16 ნოემბერი, ზუგდიდი, შოთა მესხიას სახ. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.			
25	**სალომე ომიაძე**	„ნაყროვანების“ ენობრივი ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში	2019 წლის 24-26 დეკემბერი, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.			

26	**ინგა სანიკიძე**	ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათის ქართულში	2019 წლის 8 იანვარი, თბილისი, თსუ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელურ ფუძეთა მორფოლოგიური აგებულება, კერძოდ კი, წარმომქმნელ აფიქსთა დიაქრონიული ძიება დღესაც რჩება ლინგვისტური კვლევების იმ მნიშვნელოვან სეგმენტად, რომელსაც უძველესი ქართულის თუ ქართველური ენების სტრუქტურის გააზრებასა და მრავალრიცხოვან მაწარმოებელთა ფუნქციურ მოდელირებებთან მივყავართ. როგორც ვ. თოფურია შენიშნავს: „ზოგიერთთ ჟამთა მსვლელობაში იმდენად დაჰკარგვიათ წარმოებითი უნარი და ისე მჭიდროდ შეხლართვიან ძირებს, რომ ოდესღაც აფიქსად გამოყენებული, დღეს ძირის განუკვეთელ ნაწილად გამოიყურება“ (თოფურია 1979: 63). და მართლაც, როცა საქმე უძველეს დერივანტებს შეეხება, მეტი სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ საანალიზოდ გამოტანილი თითოეული ერთეული სარწმუნო იყოს. ოდესღაც აქტიური, ძველი ქართული ენის დონეზეც კი წარმოების უნარდაკარგული ზოგიერთი ფორმანტი ფუძეებში ჩაკირული ის მორფოლოგიური ელემენტია, რომლის ფუნქციის ამოკითხვა არცთუ ისე იოლი მეცნიერული ამოცანაა. ვფიქრობთ, რომ მათ შორის უთუმცაოდ მოიაზრება **ლა-** პრეფიქსი და ქართულ ენაში ის იმგვარ სახელებში ამოიცნობა, როგორებიცაა: **ლა**-ხტ-ი, **ლა**-ხუ-არ-ი, **ლა**-ფ-ი [//**ლა**-ბ-ი], **ლა**-მბ-ი [‹— ***ლა**-ბმ-ი] და მისთანანი. ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ლა-**ს თავსართობა (**ნა**-ს პარალელურად) ქართველურ ენებში ჯერ კიდევ ნ. მარის მიერაა შემჩნეული, ხოლო შემდეგ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კონტექსტში გავრცობილია არნ. ჩიქობავას სკოლის მიერ.

საანალიზოდ გამოტანილი მაგალითებიდან რაც უტყუარად ჩანს, ეს **ლა**-‘ ს პრეფიქსობაა და ქართული ენა ამ თვალსაზრისით არცთუ ისე მცირეოდენ მასალას ინახავს. უპირველესად ვიტყვით იმას, რომ ზემოთ მოყვანილი ფუძეთა შემთხვევებში გაცილებით გაადვილდა ძირეული ელემენტების მოძიება, თუმცა ქართული ენის ლექსიკურ ბანკში იმავე **ლა**- თავსართით წარმოქმნილი სხვა ერთეულებიც იძებნება, რომელთა საყრდენები მაინცდამაინც გამჭვირვალე არ არის და სამომავლოდ მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

იმისათვის, რომ სარწმუნო იყოს ჩვენი მცდელობა, ქართულის დონეზე უძველეს ენაში **ლა**- პრეფიქსის გამოცალკევების შესახებ, მის მორფოლოგიურ ფუნქციას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ემპირიული ანალიზიდანვე იკვეთება, რომ ამ მოდელის ფორმები ძირითადად ნაზმნარი სახელებია, ანუ ისტორიული მასდარები და თავიანთი მნიშვნელობით ნამდვილად ვერ უტოლდება **ნა**- პრეფიქსიან დერივაციულ სახელზმნებს [ნა-ხატ-ი, ნა-ჭერ-ი და მისთ.] (ამგვარ მტკიცებას ჩვენ ვ. თოფურიას ზემოთ მითითებულ სამეცნიერო შრომებში ვხვდებით). **ლა**-ს ფუნქციას _ უჩვენოს ზმნით გამოხატული მოქმედების დანიშნულება _ მჭიდრო კავშირი რომ ჰქონდეს **ნა**- პრეფიქსთან, საქმე მათ შინაარსობრივ (/ფუნქციურ) გადაფარვასაც შეეხებოდა; ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას კი ზემოთ მოხმობილი მაგალითები ნამდვილად არ იძლევა. არის კი **ლა**- [ლა-ხტ-ი] **ნა**-ს [ნა-სკვ-ი] ფონეტიკური ვარიანტი, როცა დერივანტების ფუნქციები ღრმად დიფერენცირებული და ფაქტობრივ ბინარულად დაპირისპირებული მოჩანს? რამდენად მისცემდა მათ ერთი და იგივე წარმომავლობა იმის საშუალებას, რომ ამგვარად განყოფილიყვნენ და წინააღმდეგობრივ დერივაციულ ჯგუფებში განლაგებულიყვნენ? ვფიქრობთ, რომ „ფონეტიკური სახეცვლილება“ (ვ. თოფურია) ნაკლებად იგუებდა ასეთ პოლარიზებას და ქართული ენა განვითარების ვერცერთ ეტაპზე ვერ შეძლებდა იმას, რომ მორფემათა შინაარსები ფუნქციურად ასე დაეშორიშორებინა ერთმანეთისაგან. **ლა**-ს რომ **სა**- პრეფიქსის ფუნქცია აქვს, ეს არც ვ. თოფურიას მეცნიერულ ალღოს გამორჩენია. მართლაც, ფაქტობრივ, უეჭველია, რომ **ლა**-ხტ-ი, იგივე ***სა**-ხტ-ი-ა (ანუ სახტავი, სახტუნაო საშუალება) და არა ***ნა**-ხტ-ი; ან: **ლა**-მბ-ი მოსაბმელს აღნიშნავს და არა _ **ნა**-ბამ-ს; ან კიდევ: **ლა**-ჯ-ი სხეულის ის ანატომიური ნაწილია, რომლითაც ცხენზე გარდიგარდმო ჯდომისთვის იყენებდა ადამიანი და მის პირველწყაროდ არავითარ შემთხვევაში არ ივარაუდება (ფაქტობრივ გამოირიცხება) ნამყო მოქმედების რეზულტატის სახელური ჩვენება, ანუ ***ნა**-ჯ-ი / ნა-ჯდ-ომ-ი ტიპის წარმოება. ენობრივი ფაქტია, რომ *ნა-რწყ-ი [—› ნა-რწყ-ევ-ი] და *სა-რწყ-ი [—› სა-რწყ-ულ-ი] მორფოლოგიურ-ფუნქციური დაპირდაპირების მიზნით შექმნილი მასდარული წყვილია და ისინი

თავიანთი პრეფიქსული ბუნებით ქართული ენის გაცილებით ადრეულ ეტაპზე ითავსებდნენ დროის კატეგორიის გაგებასაც, ვიდრე ეს -**ულ** ან -**ილ** სუფიქსებიანი წარმოებების [აღ-მართ-**ულ**-ი, აღ-შენ-ებ-**ულ**-ი, და-წერ-**ილ**-ი, გან-კუეთ-**ილ**-ი...] შემთხვევებში უნდა მომხდარიყო.

ჩვენ მიერ საანალიზოდ გამოტანილი ლექსიკური ერთულების გარდა, **ლა**- პრეფიქსიანი წარმოებების რაოდენობა ქართული ენის დიალექტებისა ტოპონიმური მონაცემების ნიადაგზე შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამდიდრდეს, აღარაფერს ვამბობთ ქართველური ენების მასალის გათვალისწინებასაც, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ძირითადი სურათი მაინც სახეზეა. ისტორიული **ლა**- პრეფიქსი მასდარული მაწარმოებელი მოჩანს და **ნა**-ს პირდაპირი ეკვივალენტი არ არის. მეტიც, ფუნქციურად მნიშვნელოვნად დაშორიშორებულია მისგან, ფაქტობრივ დამოუკიდებელი მაწარმოებელია და, უკვე ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მიუხედევად თავისი არაპროდუქტიულობისა, საყურადღებო სადერივაციო ჯგუფს ქმნის; თავსართის ამგვარ სიძველეს კი, ვფიქრობთ, ფუძე ენის სიღრმისაკენ მივყავართ, რადგან ამ კუთხით სვანური და ზანური მასალა არანაკლებ საინტერესოა.

შენიშვნის სახით დავძენთ იმას, რომ ამ კვლევაში არ გვიცდია, *ლა*- პრეფიქსის მორფოლოგიური დანაწევრება თანხმოვან- და ხმოვანთავსართულ წარმოებებად (**ლ-; ა-**), რადგან ეს დამოუკიდებელი ძიების საგანი უნდა გახდეს და მხოლოდ მას შემდეგ გამოვიტანთ შესაძლებელ ღირებულ დასკვნას, რაც შეჯამდება ქართულ ენაში შემონახული უძველესი მაწარმოებლების — **ლ-ა**-[ლ-ა-ფ-ი, ლ-ა-ხტ-ი...], **ლ-ე**- [ლ-ე-რწამ-ი; ლ-ე-ღუ-ი—› ლ-ე-ღვ-ი...], **ლ-ი**- [ლ-ი-რბ-ი/ლ-ი-რფ-ი; ლ-ი-ქნ-ი...] — ფუნქციებიცა და ამგვარი ლექსიკის მორფოლოგიური სტატუსიც.

27	**ინგა სანიკიძე**	მე-18-მე-19 საუკუნეების ქართული ორატორული სიტყვის არქიტექტონიკა	2019 წლის 28 ივნისი, თბილისი, თსუ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ორატორული ტექსტი თავისი შინაგანი სტრუქტურითა და გარეგნული სახით (აქ უპირველესად ენობრივი ფორმები იგულისხმება) ექსპრესიული ზემოქმედებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომაც ის მკვეთრად სტილიზებულ ფორმაში მოგვეწოდება. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული სტილი, როგორც ენობრივი მოცემულობა, მეტყველების კულტურის კონტექსტში განიხილებოდა და დასაბუთების საშუალებებთან ერთად მას „სიტყვის ნაწილთა წესრიგით დალაგებაც“ ევალებოდა [არისტოტელე „რიტორიკა“]. ის, რომ ტექსტის სტილიზება ორატორისაგან ენობრივი კომპეტენციის მაღალ ხარისხსა და ტექსტის, ანუ „სიტყვის“, აგების სემანტიკური თუ გრამატიკული ვერსიულობის ღრმა ცოდნას მოითხოვს, ეს უდავო ფაქტია.

მოხსენების მთავარი მიზანი მომიჯნავე ეპოქების (XVIII — XIX ს.ს.) ორატორულ სიტყვათა კომპარატივისტული ანალიზია. ერთი მხრივ, საქმე ეხება სოლომონ ლიონიძის ორატორულ ტექსტს („სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე“), ხოლო, მეორე მხრივ, ილიას მიერ წარმოთქმულ სიტყვას გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე. ორივე ეს ტექსტი ქართული სახოტბო მჭერმეტყველების გამორჩეული ნიმუშია და, შეიძლება ითქვას, რომ ორატორული ტრადიციისა თუ ტექნიკის ყველა იმ მნიშვნელოვან საყრდენზეა აგებული, რომლებიც აზრის მწყობრი და ემოციურ-გამომსახველობითი დინებისათვის სასიცოცხლოდაა საჭირო.

ასეთად უპირველესად გამეორების მხატვრულ-სტილისტური საშუალება უნდა დასახელდეს, რომელიც თავის თავშივე მოიაზრებს ანაფორა-ეპიფორების მთელ ჯაჭვს, მათ კი (ანაფორებსა და ეპიფორებს) აზრის „უკან მიბრუნების“ ენობრივი ფუნქცია აქვს დაკისრებული. როგორც ს. ლიონიძის, ისე ილიას ექსპრესიულ ხაზს პოსტცედეტენტური და ანტეცედენტური ანაფორები წარმართავს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში კითხვითი წინადადებებითაა დისტრიბუცირებული („რად სტირი, სადავითოვ სახლო?“ ს. ლიონიძე]), ზოგჯერ კი — თხრობითით („იგი იყო თვითმპყრობელი“... [ილია]). აზრის მწყობრ და გრადაციულ სვლას მეტყველების (/ტექსტის) მოკაზმულობა მიუძღვის და სტილისტური ფიგურებით მოდელირდება. მიმართვის ფორმებითა თუ ორატორული კითხვებით გამართულ ტექსტებს ზოგ შემთხვევაში შერწყმული წინადადებები ერთვის სამკაულებად („განკრთი, განჭვირდი, **ს**ტიროდე, ცაო“.. [ს.ლიონიძე]), ზმნათა

შერწყმისას კი მუსიკალური ფორმაც (ხასიათით — პოეტური) იჩენს თავს. მოსასმენად მჟღერი, მუსიკალური რიტმულობა ისეთი ენობრივი საშუალებითაა მიღწეული, როგორიც პირის ნიშანთა უცილობელი აღნიშვნაა („სად დაჰხედ, მზეო“... [ს. ლიონიძე]). ევფონიის ეს ძალა, მისი გამომსახველობის სიკაშკაშე ორატორული ტექსტის ემოციურ ტონალობას კიდევ უფრო ამაღლებს. ამრიგად, დიაქრონიული და შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ორივე ორატორული ტექსტი ონტოლოგიურად მსგავსია, მისდევს ქართული მწიგნობრული ენის ტრადიციულ მაღალმხატვრულობას და არქიტექტურული (კომპონენტური) შედგენილობით ესთეტურია.

28	**ინგა სანიკიძე**	**ერთი სინონიმური წყვილის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში** („ბატონი“ და „უფალი“)	2019 წლის 28 ოქტომბერი, თბილისი, თსუ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უძველეს ღვთაებათა შესწავლის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა ქართულ ენაში დიდი ხნის დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები ***ბატონი*** და ***უფალი***, რომლებიც ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ სინონიმურ ცალებადაა გააზრებული და რომელთა მნიშვნელობები არც ძველ და არც ახალ ქართულში არსებით სხვაობას არ იძლევა, თუმცა, ჩვენი აზრით, მათი წარმომავლობა მაინცადამაინც ერთგვაროვანი არ უნდა იყოს. უპირველესად უნდა ითქვას ის, რომ საკუთარი ფორმითაც (ვგულისხმობთ ლექსიკურ ფორმას) და სემანტიკური შიგთავსითაც ორივე მათგანი მამაკაცის გაგებას უკავშირდება და არა — ქალისას, რაც, თავის მხრივ, „ქალღვთაებების“ უკან გადაწევისა და კაცის დაწინაურების ეპოქებს უნდა დავუკავშიროთ. გამომდინარე ნათქვამიდან, „ბატონისა“ და „უფლის“, როგორც ლექსიკური ერთეულების, ქრონოსს წარმართულ წარმოდგენებთან გადავყავართ.

დასაშვებად მიგვაჩნია, უძველეს ქართულ სინამდვილეში სემური ენების გავლენით „ბალ“ ფუძის (**ბაალ**ბილონი - ბაალთა კარიბჭე; ან: **ბელ**ზებელი ‹— „ბაალ ზებულ“ - „ჭექა-ქუხილისა და „საბრძოლო ერთობის„, „ლაშქრობის მფარველი“ კულტი) გავრცელება, რომელიც ყათ//გათ//გატის გვერდით თანაარსებობდა. უპირველესად ასეთ ლექსიკურ ერთეულად *ბათ —› ბატ —› ბატ-ონ-ი // *პატ —› პატ[რ]-ონ-ი გვესახება, რომელთა ფუძეებში უცილობლად იკითხება -ონ უძველესი ჭანური მაწარმოებელი (-ონ აფიქსის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს არნ.ჩიქობავა). საქმე ის არის, რომ ქართულ ფოლკლორულ მასალასა და ვაჟა-ფშაველას ენაშიც ჭანურმორფემიანი ლექსიკური ვარიანტი ხშირად სწორედ ღვთაებათა აღსანიშნავად გამოიყენება. პოემაში „ბახტრიონი“ [„ეგებ ინებოს ბატონმა..“; ან: „სდგანან... თავის ბატონის კარზედა“] ის წმ. გიორგის მიემართება; ხოლო „ალუდა ქეთელაურში“ [„უნდა აცნობონ ბატონსა“] — გუდანს.

საწყის ეტაპზე ღვთაების სახელად „ბატონის“ გამოყენება შესაძლებელია არც დავუშვათ. ის მთვარის კერპის სახელი უნდა ყოფილიყო, სქესით — მამრი და, სავარაუდოდ, გვიან უნდა შეეძინა მიწიერი კაცი „მეპატრონის, მფლობელის, გამგებელ-წარმართველის ან სოციალურად დაწინაურებული პირის“ შინაარსი. რაც შეეხება წინაპოზიციური **ბ** თანხმოვნის დაყრუების, ანუ **პ**’ში გადასვლის პროცესს, ის სამხრეთ-დასავლეთ (ისტორიულ ჭანურ) არეალში იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა უძველესი ქართველური ტომები („თუბალ-მოსოხები“, ხალიბები და სხვანი) დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს იკავებდნენ [ჰეროდოტე].

საგანგებო ყურადღების ღირსია ლექსიკური ერთეული „უფალი“, რომლის ძირეულ შინაარსს „ფლობის“ სემანტიკასთან მივყავართ და რომელსაც უფროობითი ხარისხის მარკერად სასხვისო ქცევის **უ-** მიუძღვის. დასახელებული სიტყვაერთეული, ჩვენი აზრით, ასევე პირდაპირ უკავშირდება, ერთი მხრივ, „ფ[ა]ლ ძირეული ფუძიდან მიღებულ ზმნურ ფორმებს („[შთა]-ჰ-ფლა“ // [და]-ფლ-ა...) და, მეორე მხრივ, სახელურ წარმოებებს („სა-ფლავ-ი“, „სა-საფლ-ა[ვ]-ო). იმას, რომ „უფალი“ საკუთარ სამემკვიდრეო მამულში (ტერიტორიაზე) იფლვება, ისტორიული მოცემულობაა და არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ საანალიზოდ გამოტანილი სინონიმური წყვილი — „ბატონი“ და „უფალი“ სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეებია. ამათგან, პირველი სემური ფუძე მოჩანს, ხოლო მეორე [„უფალი“] — ქართული. ორივე მათგანი საზოგადო სახელია და საგანგებოდ ფარავს კონკრეტული ღვთაებების სახელებს, რომელთა წარმოთქმა ან ტაბუირებული იყო, ან ღვთაების კრძალვა-რიდისა და ღვთისმოშიშების გამო ძალზე იშვიათად ხდებოდა.

29	**ნინო შარაშენიძე**	მოდალობისა და უარყოფის კატეგორიათა გადაკვეთა ქართულში, ნაწილაკი ვერ.	2019 წლის 27 ივნისი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია

უარყოფისა და მოდალობის კატეგორიები უნივერსალურ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და ყველა ენას ახასიათებს. ქართულ ენაში უარყოფის სისტემა სამწევრაა და ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთან ერთად **(არ)** ენაში არის შესაძლებლობის უარყოფისა **(ვერ)** და თხოვნა-აკრძალვის გამომხატველი **(ნუ)** ფორმები, რომელთა გამოყენება კილოს მიხედვით ნაწილდება: **არ** სამივე კილოს ფორმასთან გამოიყენება, **ვერ** თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებთან, ხოლო **ნუ** - ბრძანებითი კილოს ფორმებთან. ქართული ენის **ვერ** ნაწილაკი წარმოადგენს უარყოფისა და მოდალობის სემანტიკის ერთ ფორმაში ასახვის ნიმუშს. მოდალობის სემანტიკის გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში განსხვავებული იყო: გრამატიკალიზაციის მოვლენის შედეგად ჩამოყალიბდა მოდალურ ფორმათა ახალი სისტემა. თუმცა **ვერ** ნაწილაკი უარყოფისა დადინამიკური მოდალობის გამოხატვის უძველესი ნიმუშია და იგი ენაში უცვლელად ასრულებს თავის ფუნქციას. **ვერ** ნაწილაკის გამოყენებით იწარმოება ქართულში უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებსაც ასევე აქვთ შესაძლებლობის უარყოფის მოდალური სემანტიკა. **ვერ** ნაწილაკი არ გამოიყენება გრძნობა-აღქმის, მყოფობა-მქონებლობის და სტატიკურ ზმნებთან. იგი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას. ქართულისთვის დამახასიათებელია ორმაგი უარყოფაა. **ვერ** ნაწილაკით გამოხატულ უარყოფას აძლიერებს ზღვრული უარყოფის „**ღა**“ და დამატებითობის „**ც**“ ნაწილაკით გართულებული ფორმები. ორმაგი უარყოფა ქართულში მოიცავს როგორც სახელურ, ასევე ზმნურ უარყოფას, ხოლო შესაძლებლობის უარყოფის სემანტიკას აფართოებს **ვერ** ნაწილაკით წარმოებული უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. **ვერ** ნაწილაკიანი კონტექსტების გაანალიზებისას გამოვლინდა ორმაგი მოდალობის შემცველი ფრაზები. ასეთ შემთხვევაში პირველი მოდალური ფორმის გავრცელების არეალი (scope) უფრო ფართოა, ვიდრე მომდევნო მოდალური ფორმისა.

30	**კახა გაბუნია**	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების საფუძვლები	23-26 მარტი, ბაკურიანი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

31	**კახა გაბუნია**	CLIL მეთოდოლოგიის შემუშავება დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის	3-8 სექტემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

32	**კახა გაბუნია**	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება	16-18 სექტემბერი, ბაკურიანი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

33	**გიული შაბაშვილი** ქეთევან გოჩიტაშვილი	მეორე/უცხო ენაზე ლაპარაკის უნარის განმავითარებელი სტრატეგიები	2019 წლის 26-28 ივნისი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია

ენის შესწავლის პროცესში ოთხი ენობრივი უნარიდან (მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კითხვა) ერთ-ერთი ყველაზე რთულად დასაძლევი პრობლემაა ლაპარაკის უნარების განვითარება. მოხსენების მიზანია, ერთი მხრივ, ქართულის, როგორც მეორე ენის, ლაპარაკის სწავლების პროცესში არსებული სირთულეების გამოვლენა და ანალიზი, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გადაჭრის სტრატეგიების შეთავაზება. კვლევამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე არის სოციო-კულტურული კომპეტენციის განვითარება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, კოგნიტური და ფსიქოლოგიური ბარიერების არსებობა შემსწავლელებში და სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდების ხარვეზები. მოხსენებაში მოცემულია კონკრეტული გაკვეთილის გეგმა, რომელშიც შემოთავაზებულია ლაპარაკის ბარიერების გადალახვის მთავარი პრინციპი - მასალის დაზეპირების ნაცვლად ინტერაქციასა და ენის გამოყენებაზე ფოკუსირება. ამ მიზნის მისაღწევად კი ეფექტიანია ისეთი აქტივობები, როგორებიცაა 1. საუბარი. 2. კითხვა-პასუხი. 3. ახსნა; 4; დისკუსია; 5. პრეზენტაცია; 6. ინტერვიუ; 7. დიალოგი; 8. მაგალითები; 9. განაცხადისა და CV-ს წარდგენა. კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, მასწავლებლების გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ.

34	**გიული შაბაშვილი** ქეთევან გოჩიტაშვილი	ანგლიციზმები თბილისურ მეტყველებაში	2019 წლის 24-26 ოქტომბერი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ანგლიციზმების გავლენა თბილისის მეტყველებაზე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, განსაზღვროს ანგლიციზმების წყაროები, გავრცელების არეები და ახსნას მათი რაოდენობის ზრდის მიზეზები. ნაშრომი, აგრეთვე, მიზნად ისახავს, შეადაროს ის წინა პერიოდში ფართოდ გავრცელებული რუსიციზმების გამოყენებას.

ამ ტიპის ნასესხობები, უპირველეს ყოვლისა, აისახება დედაქალაქის მეტყველებაზე, რადგან უმრავლესობა იმ მოვლენებისა, რომლებიც განაპირობებს ამ პროცესს, თბილისში, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრშია ლოკალიზებული. ამ კუთხით თბილისური მეტყველება ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს.

კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ემპირიული, შედარებითი და კორპუსული მეთოდები.

კვლევის შეზღუდვები: მასალა მოპოვებულია მხოლოდ ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან, „ქართული ჟარგონის ლექსიკონიდან,“ ბარბარიზმების ლექსიკონიდან და შეზღუდული რაოდენობის სოციალური ჯგუფების ინფორმატორებისაგან.

კვლევის შედეგად გამოიყოფა ანგლიციზმების სესხების შემდეგი წყაროები:

1. პირდაპირი კავშირების ზრდა ინგლისურენოვან სამყაროს წარმომადგენლებთან (ტურიზმი, თბილისის ინგლისურენოვანი მაცხოვრებლები, ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამები...)
2. ტექნოლოგიების განვითარება და სოციალური მედია...
3. კულტურული კავშირები (ფილმები, ნათარგმნი ლიტერატურა, მუსიკა, შოუბიზნესი, სილამაზის ინდუსტრია, რეკლამა, მასმედია..)
4. გასტრონომია

პროცესს განაპირობებს ფაქტორები, რომლებიც უნივერსალურია ენების უმეტესობისათვის:

დედაქალაქის მეტყველება დაჯგუფებულია ასაკობრივი და სოციალური შემადგენლობის მიხედვით, რის მიხედვითაც ნაშრომში მოცემულია ანგლიციზმების გამოყენების სიხშირე. მაგალითად, კვლევამ

გვიჩვენა, რომ, ერთი მხრივ, ემოციურ ლექსიკასა და სლენგს ძირითადად იყენებენ 13-35 წლის ახალგაზრდები, ხოლო, მეორე მხრივ, ევფემისტურ სიტყვებს ახალგაზრდულ ჯგუფში ევფემისტური გაგება თითქმის დაკარგული აქვთ.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან თვალთვაძე,** ირინა გველესიანი	Multilingual Education – A Step into the Better Future	SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION Proceedings of the 13 th International Scientific Conference May 24th -25th, 2019. რეზეკნე (ლატვია)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია: https://conferences.rta.lv/index.php/SIE/SIE2019			
2	**ანა ხარანაული**	The Georgian Translations of the Deuterocanonical Books of the Old Testament: The Sources of the Known and Unknown Textual History	Society of Biblical Literature, SBL 2019 ANNUAL MEETING 11/23/2019-11/26/2019 სან დიეგო (აშშ, კალიფორნია)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) ბიბლიური ლიტერატურის ასოციაცია (Society of Biblical Literature, SBL) ფორუმის ნაწილები გამოქვეყნებულია https://www.sbl-site.org/meetings/Congresses_Abstracts.aspx?MeetingId=35			
3	**რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი**	კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობა ქართველურ ენებში *http://www.iclec.net/*	27-29. ივნისი, 2019 სტამბოლის მედიპოლ უნივერსიტეტი, თურქეთი

მოხსენების ანოტაცია

ქართველურ ენებში (ქართულში, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში) ვერბალური ევიდენ-ციალობასინტაქსის დონეზეკონსტრუქციით გადმოიცემა.კონსტრუქციაში ევიდენციალობის გაგება შეაქვს „სხვათა სიტყვას“,რომელიც ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი ნათქვამი ქართველურ ენებში ნაწილაკებითგამოიხატება, ირიბი ნათქვამი კი პირდაპირი ნათქვამის პერიფრაზია და ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა.იმისთვის, რომ გამონათქვამი ევიდენციალურად ჩაითვალოს. ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მთქმელისთვის ინფორმაციისმეორეულობა (არაპერცეფციულობა) და ძირითად წყაროზე მითითება. ამის გათვალისწინებით, მესამე პირის ნათქვამი,პირდაპირი თუ ირიბი, ყოველთვის ევიდენციალურია. პირველი და მეორე პირის ნათქვამის ევიდენციალურობაკონტექსტზეა დამოკიდებული და ცალკე მსჯელობის საგანია.ამჯერად ჩვენი მოხსენების მიზანია კონსტრუქციით გამოხატულ ვერბალურ ევიდენციალობაზე მსჯელობა მხოლოდ III პირის პირდაპირი ნათქვამის მიხედვით.

ქართველურ ენებში არსებული პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკები გამჭვირვალეეტიმოლოგიისაა და მეტყველებს ნაწილაკებით გამოხატული „სხვათა სიტყვის“ მეორეულობაზე, ხოლო კონსტრქცია, გარდა სვანურისა, ყველგან,სამივე პირში, პირველიპირისეულია, ანუ ვისიმე ნათქვამი მთქმელის მიერ სიტყვასიტყვითაა უცვლელად გამეორებული:

ქართული: (1) **მე** ვთქვი: მე თბილისში **ვიყავი**-მეთქი; (2) შენ თქვი: **მე** თბილისში **ვიყავიო**; (3) მან თქვა: **მე** თბილისში **ვიყავიო**. ქართულისებური ვითრებაა მეგრულსა და ლაზურში. სვანურში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პირის ნათქვამს გადმოგვცემს ინფორმაციის წყარო, ზმნა-შემასმენელიც და სუბიექტიც ყოველთვის მესამე პირშია, ანუ კონსტრუქცია ყოველთვის მესამეპირისეულია, ანუ მთქმელი სხვისი ნათქვამის აზრს გადმოგვცემს თავისი თვალსაზრისით (როგორც ეს ირიბ ნათქვამს ახასიათებს) და არა უცვლელად, მაგრამ ამავდროულად ურთავს „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკს, რომელიც მხოლოდ პირდაპირ ნათქვამის კუთვნილებაა.

ქართველურ ენებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება კარგად ჩანს ოთხივე ენის მიხედვით დამოწმებული მაგალითებიდან: (4) ქართული: პეტრემ თქვა: **მე**(ProN1) თბილისში **ვიყავი-ო** (=be.S1.SG-DSM3). (5) მეგრული: პერტექ თქუა: **მა** (ProN1) ქართის **ვორდი-ა** (=be.S1. SG-DSM3). (6) ლაზური: პეტრექთქუ: მა თბილისისვორტი-ა(=be.S1. SG-DSM3). (7) სვანური: პეტრედ რააქვ, **ჯა** (=თვითონ. RefxPron3) როქვ (=DSM3) თბილის ლუმარდ (= be.S3.SG.PST), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „პეტრემ თქვა, თვითონო თბილისში იყო“. ჩვენი აზრით, სვანურის ვითარება (ნაწილაკებით გაფორმებული ირიბი ნათქვამი) საკუთრივ სვანურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არც ძველ ქართულში და არც მონათესავე ენებში მსგავსი რამ არ ჩანს. მოხსენებაში სრულყოფილად იქნება ნაჩვენები ქართველურენათა ტიპოლოგია საანალიზო საკითხის მიხედვით.

4	**მაია ლომია,** **რამაზ ქურდაძე**	უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული საშუალებები ქართველურ ენებში http://www.fb10.uni-bremen.de/-nwlk2019/view_abstracts	23-24 ნოემბერი, 2019 ბრემენის უნივერსიტეტი გერმანია

მოხსენების ანოტაცია

ქართველურ ენებში უარყოფის გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური საშუალებაა *უარყოფითი ნაცვალსახელი,* რომელიც დასტურდება მხოლოდ სამ ქართველურ ენაში: ქართულში, სვანურსა და მეგრულში. უარყოფითი ნაცვალსახელი რთული აგებულებისაა. მისი ერთ-ერთი კომპონენტია უარყოფითი ნაწილაკი, რომელიც კლიტიკაა (პროკლიტიკა ან ენკლიტიკა); ეს შემთხვევა საერთოა ყველა ქართველური ენისთვის, რის შედეგადაც უარყოფის ნაწილაკი მხოლოდ თანდართულ ლექსემას უარყოფს. ქართველურ ენებში უარყოფით ნაცვალსახელთან ზმნა დადებითი ფორმითაა მოცემული. ეს წესი უგამონაკლისოდ ვრცელდება ძველ ქართულზე, სვანურსა და მეგრულზე, ახალ ქართულში კი სპორადულად/იშვიათად დასტურდება. ზმნის დადებითი ფორმის შედეგად უარყოფა **არააქტუალიზებულია,** ნაკლებად კატეგორიულია. ქართველურ ენებში უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული ვარიანტები დიფერენცირებულია სემანტიკურად, როგორც **არააქტუალიზებული** და **აქტუალიზებული** უარყოფის გამოხატვის საშუალებები. აქტუალიზებული უარყოფა კატეგორიულობის სემანტიკას შეიცავს. კატეგორიული უარყოფა გადმოიცემა: **ა.** უარყოფითი ნაცვალსახელის ალტერნატიული ვარიანტებით (მეგრულ-ლაზურსა და სვანურში). **ბ.** რთული უარყოფითი ნაწილაკითა და ზმნით (სვანურში). **გ.** „ორმაგი უარყოფით“ (ახალ ქართულ ენაში). აქტუალიზებულ, კატეგორიულ უარყოფას წინადადებაში განსაზღვრავს: **ა.** *უარყოფითი ნაწილაკის ადგილი ზმნის წინ* (ყველა ქართველური ენისთვის); **ბ.** *რთული უარყოფითი ნაწილაკი სახელთან* (სვანურში).

5	**ქეთევან მარგიანი,** **რამაზ ქურდაძე**	ევიდენციალობის კატეგორია და გრამატიკული დრო ქართველურ ენებში http://www.fb10.uni-bremen.de/-nwlk2019/view_abstracts	23-24 ნოემბერი, 2019 ბრემენის უნივერსიტეტი გერმანია

მოხსენების ანოტაცია

პერფექტული ევიდენციალური მწკრივები: *ევიდენციალური I* და *ევიდენციალური II* ოთხივე ქართველურ ენაში (ქართულში, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში) გვაქვს, იმპერფექტული კი - მხოლოდ არასალიტერატურო ენებში(სვანურში, მეგრულსა და ლაზურში).

ზოგადად, პერფექტული ზმნური ფორმებისთვის დამახასიათებელია სემანტიკაში ერთდროულად რამდენიმე დროის წარმოჩენა - დინამიკა წარსულში და მოქმედების სტატიკური შედეგი აწმყოში ან წარსულშივე; ასეა ქართველურ ენებშიც: ევიდენციალურ I-ში ერთდროულად წარმოჩენილია წარსულის დინამიკური მოქმედების სტატიკური შედეგი აწმყოში, ევიდენციალურ II-ში კი ორი სხვადასხვა წარსული დროის კომბინაციაა: ერთი უფრო შორეული, მეორე კი თქმის მომენტთან მიახლოებული.

პერფექტის ორგვარი ბუნება – მიმართება **აწმყოსა და წარსულთან** – ახსნილია მისი პრაგმატული დანიშნულებით. ქართველურ ენებში იგი უშუალო კავშირშია ამ ფორმათა გენეზისთან: პერფექტული მწკრივების მიერ განვლილი გზა ოთხივე ენაში ერთნაირია: სტატიკურობიდან დინამიკურობამდე, რეზულტატიურობიდან ევიდენციალობამდე. საანალიზო ფორმებში წარმოჩენილი დროთა კომბინაციები (წარსული - აწმყო, წარსული - წინარეწარსული) უშუალოდ უკავშირდება სწორედ იმ ამოსავალ ზმნებს, რომელთაგანაც მოხდა მათი რეინტერპრეტაცია: სტატიკურმა *აწმყომ* მოგვცა წარსულისა და *აწმყოს* კომბინაცია, სტატიკურმა *აორისტმა*, ვინაიდან თავად წარსული დროა, ორი *წარსულის* საფეხურებრივი შერწყმა.

არასალიტერატურო ქართველურ ენებში ევიდენციალური იმპერფექტული მწკრივებია ევიდენციალური III და ევიდენციალური IV. მეგრული და სვანური აწმყო-უწყვეტლის ფორმალური დაპირისპირებით გვიჩვენებენ დროულ სხვაობას წარსულში. ლაზურში კი საანალიზო ფორმა ცალადაა წარმოდგენილი უწყვეტლის მწკრივზე დაყრდნობით და წარსულში განგრძობით მოქმედებას გადმოსცემს ოპოზიციური ცალის გარეშე.

მეგრულში ევიდენციალური III (ევიდენციალური აწმყო): *„ნოხორუე „სახლობს თურმე“* სემანტიკურად ენაცვლება (თუ უტოლდება) ევიდენციალურ IV-ს (ევიდენციალურ უწყვეტელს): *ნოხორუედუ „სახლობდა თურმე“*.„თუ რომელი მწკრივის მნიშვნელობით არის გამოყენებული მოცემული ფორმა, ამას განსაზღვრავს წინადადებაში მეორე ზმნის ფორმა“ (ქობალავა2001).

სვანურ ენაში *ევიდენციალური III-ისა* და *ევიდენციალური IV-ის* სემანტიკურ განსხვავებას მხოლოდ ქცევა (ვერსია) განაპირობებს – პირველი მათგანი საზედაო ან სასხვისო ქცევას გამოხატავს, მეორე – საარვისოს, ორივე მწკრივის ერთადერთი ფუნქცია კი არის წარსულის განგრძობითი უნახავი მოქმედების გამოხატვა: უწყვეტელი + „თურმე“.

ამ ფორმების სემანტიკაში, პერფექტული ევიდენციალური მწკრივებისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი დროა წარმოდგენილი – **ევიდენციალური განგრძობითი წარსული,** თუმცა საყურადღებოა, რომ მეშველი ზმნა აწმყოს ფორმითაა, ოღონდ, მეგრულისგან განსხვავებით, ამ მწკრივს კონტექსტშიც და დამოუკიდებლადაც მხოლოდ ევიდენციალური უწყვეტლის მნიშვნელობა აქვს.

უდამწერლობო ქართველური ენების იმპერფექტული ევიდენციალური ზმნური ფორმების მსგავსი სემანტიკით და, ნაწილობრივ, აგებულებითაც დასტურდება ზმნები დასავლურ ქართულ დიალექტებში: ნა-წერ-ავ-ვარ, ნა-წერ-ავ-ხარ, ნა-წერ-ავ-ა.

ევიდენციალობის გრამატიკულად გადმოცემისაკენ ქართველურ ენათა განსაკუთრებული მიდრეკილების გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევიდენციალური სემანტიკის განვითარება პერფექტულ ფორმებში და სპეციალური იმპერფექტული ორგანული მწკრივების ჩამოყალიბება ამ ენათა შინაგანი ტენდენციით განპირობებული საერთოქართველური მოვლენაა. ამას სალიტერატურო, ნორმირებულმა ქართულმა ენამ თავი აარიდა, აღწერითად ამჯობინა ამ მნიშვნელობის გადმოცემა; არასალიტერატურო ენებსა და დიალექტებში კი ამის გადმოსაცემად ორგანული ფორმები ჩამოყალიბდნენ.

6	ნინო ჭუმბურიძე, **რამაზ ქურდაძე**	უ- პრეფიქსიანი უარყოფის სახელები ქართველურ ენებში http://www.fb10.uni-bremen.de/-nwlk2019/view_abstracts	23-24 ნოემბერი, 2019 ბრემენის უნივერსიტეტი გერმანია

მოხსენების ანოტაცია

ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფა-უქონლობის სახელთა წარმომქმნელი სხვადასხვა მოდელი არსებობს: პრეფიქს-სუფიქსიანი (**უ – ო, უ – ურ / უ – ულ, უ-არ**), პრეფიქსიანი (**უ-**) და ნაწილაკიანი (**არ, არა, ვერ, ვერა, ნუ, ნურა**).

ჩვენ ამჯერად განვიხილავთ აფიქსური წარმოების უარყოფა-უქონლობის სახელებს, კერძოდ კი - **უ-** პრეფიქსიანებს, მაგრამ მათთან დაკავშირებით შევეხებით **უ-ო** და **უ-ურ** კონფიქსიან სახელებსაც. კონფიქსებშიც უქონლობა-უარყოფის გამომხატველი არის **უ-** პრეფიქსი, ხოლო სუფიქსები ამ ფუნქციას პრეფიქსთან ერთად ასრულებენ. მათ თავდაპირველად სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, რაც დროთა განმავლობაში მიიჩქმალა.

უ-ო კონფიქსიანი მოდელი, როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, უქონლობის მაწარმოებელ მოდელთაგან ყველაზე გავრცელებულია. იგი შეიძლება დაერთოს ყოველგვარი სახელის ფუძეს, როგორც მარტივს, ისე წარმოქმნილს (*უ-სა-თა-ურ-ო, უ-თანა-სწორ-ო*), ასევე კავშირსა და თანდებულს (*უ-თუ-ო, უ-ებრ-ო*).

უ-ო კონფიქსიან მოდელთან შედარებით თანამედროვე ენაში ნაკლები სიხშირით გამოიყენება **უ-ურ** კონფიქსიანი მოდელი, რომელიც ერთმარცვლიან ფუძეებს დაერთვის და ნიშან-თვისების უქონლობას გამოხატავს. **უ-ურ/უ-ულ** ძირითადად არსებით სახელთა ფუძეებს ერთვის და მათგან ზედსართავებს წარმოქმნის (*უ-ბედ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უ-წვერ-ულ-ი*). რამდენიმე ფუძესთან გვხვდება **უ-არ** კონფიქსიანი მოდელიც (*უ-შიშ-არ-ი, უ-მეც-არ-ი, უ-წვიმ-არ-ი*).

თანამედროვე ქართულში **უ-** პრეფიქსიანი მოდელი მხოლოდ ორიოდე სახელში გვხვდება (*უ-რიცხვ-ი, უ-სრულ-ი, უ-შიშ-ი*). მათ შეიძლება დაემატოს ო-ხმოვანფუძიანი სახელებიც (*უ-ღვინო, უ-შნო, უ-სამშობლო, უ-სახელო*), რომლებიც ფორმით ემთხვევა **უ – ო** კონფიქსიან სახელებს და მხოლოდ **უ-** პრეფიქსიანად ამიტომ თითქოს აღარ აღიქმება, შდრ.: *უ-ბოლო-ო დაუსრულებელი.*

უ- პრეფიქსიანი მოდელი გვხვდება მიმღეობებშიც: *უ-რჩ-ი, უ-ქმ-ი, უ-წახავ-ი, უ-კვდავ-ი* და სხვ. ეს მოდელი უფრო ხშირად გამოიყენებოდა ძველ ქართულში: უ-ვალ-ი, უ-ვიც-ი, უ-რიდ-ი, უ-რჩ-ი, უ-სმ-ი, უ-ტყუ-ი, უ-ქმ-ი, უ-ღაღ-ი, უ-ღირს-ი, შემდგომში კი იგი კონფიქსურმა მოდელმა შეცვალა; შდრ.: *უ-შიშ-ი – უ-შიშ-არ-ი; უ-ჭმ-ი – უ-ჭმ-ელ-ი; უ-დრეკ-ი – უ-დრეკ-ელ-ი; უ-ვნებ-ი – უ-ვნებ-ელ-ი, უ-ლმობ-ი – უ-ლმობ-ელ-ი.*

როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში არის აგრეთვე ზოგი სახელი, რომლებიც შეიძლება **უ-** პრეფიქსიან სახელებად მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფუძის სემანტიკა არ არის ნათელი. რადგან ისინიც უარყოფა-უქონლობის შინაარსს გამოხატავენ, ადვილი შესაძლებელია, **უ** წარმომავლობით უქონლობის პრეფიქსი იყოს. გასარკვევია, ეს ფუძეები სახელურია თუ ზმნური. ესენია: *უ-ბირ-ი (უვიცი), უ-დიერ-ი (მოურიდებელი, მოძალადე), უ-კმეხ-ი (მოურიდებელი და უხეში), უ-ხეშ-ი (1. მოუქნელი, 2. თავხედი), უ-ხიაგ-ი (ახირებული), უ-ჯიათ-ი (ჯიუტი).*

ქართული ენის გარდა უ- პრეფიქსი უარყოფა-უქონლობის მაჩვენებელია სხვა ქართველურ - მეგრულ და ლაზურ - ენებში: მეგრულში გვაქვს უ–ო, უ–ე, უ–რ, უ–ოლ კონფიქსები, ლაზურში: უ–უ, უ–ე.

აშკარაა, რომ უარყოფის, უქონლობის შინაარსის გამოხატვა სახელებში დაკავშირებულია პირველ რიგში **უ-** პრეფიქსთან, რომელიც ამ სემანტიკის გამომხატველი უძველესი ფორმანტია, ხოლო სუფიქსებს თავდაპირველად სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, რაც დროთა განმავლობაში მიიჩქმალა.

7	**რამაზ ქურდაძე**	ქართველური ენების სწავლება თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში შედეგები და პერ-სპექტივები http://www.fb10.uni-bremen.de/-nwlk2019/view_abstracts	23-24 ნოემბერი, 2019 ბრემენის უნივერსიტეტი გერმანია

მოხსენების ანოტაცია

მოხსენება საინფორმაციო ხასიათისა იყო და მასში განხილული იყო ქართველური ენების კვლევისა და სწავლების საქმე პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 101 წლის წინ, 1918 წელს დაარსდა. ერთ-ერთი მთავარი მისია პირველი ქართული უნივერსიტეტისა იყო ქართველური ენების: ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის კვლევა და სწავლება. ამიტომ თბილისის უნივერსიტეტში დაარსებიდან ფუნქციონირებს ქართული ენის კათედრა, რომელიც 1945 წლიდან გაიყო ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის კათედრებად. დღეისათვის ამ კათედრების ბაზაზე მუშაობას აგრძელებს ქართული ენის ინსტიტუტი ორი კათედრით: ქართველური ენათმეცნიერების კათედრა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა. ამავე ინსტიტუტშია ქართველური ონომასტკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ორიონი“. თსუ ქართული ენის ინსტიტუტი გამოსცემს სამეცნიერო შრომების კრებულს „ქართველური ენათმეცნიერება“. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ზემოაღნიშნული ინსტიტუტის საკვლევი და სასწავლო საქმიანობის დღევანდელი ვითარება და სამომავლო პერსპექტივები.

8	**მაია ლომია,** ნინო ჭუმბურიძე	უარყოფითნაწილაკიან დერივაციულ სახელთა განვითარების დინამიკა ქართველურ ენებში *http://www.iclec.net/*	27-29. ივნისი, 2019 სტამბოლის მედიპოლ უნივერსიტეტი, თურქეთი

მოხსენების ანოტაცია

უარყოფითნაწილაკიან დერივაციულ სახელთა განვითარების დინამიკა ქართველურ ენებში საინტერესო სურათს იძლევა, რადგან ამ თვალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენა და სხვა ქართველური ენები განსხვავდებიან. უარყოფითი სემანტიკის რთული სახელები ქართველურ ენებში ძირითადად გამოხატავენ: **ა.** უქონლობას, **ბ.** კატეგორიულ უარყოფას. „არა“/„არ“ ნაწილაკებით წარმოქმნილი უარყოფითი დერივაციული სახელები ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება:***არა-****განსწავლული,* ***არა-****დამმალველი,* ***არა-****დამცველი.* უარყოფითი სემანტიკის რთული სახელები ახალ ქართულში ძველ ქართულთან შედარებით ფართო ნაირსახეობით წარმოგვიდგება: **ა.**უქონლობის სახელებთან სემანტიკური დიფერენციაციის შედეგად: ***უ-****კაც-****ო*** *–* ***არა****კაცი,* ***უ-****მსგავსი/****უ-****მსგავს-****ო*** *–* ***არა-****მსგავსი,* ***უ-****ღირსი –****არა-****ღირსი.* **ბ.** ანტონიმური ლექსემების წარმოქმნით: *გამტანი –* ***არ-****გამტანი, ქონა –****არ-****ქონა.* **გ.** სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნით: *დრეკადი -* ***არა****-დრეკადი, ეკონომიური -* ***არა****-ეკონომიური.* მოდელი **არა/არ ნაწილაკი + სახელი** დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც, განსაკუთრებით პროდუქტიულია ქართულ ცოცხალ მეტყველებაში. ამას განაპირობებს ნაწილაკის *თავკიდურა პოზიცია* და *სემანტიკა* – კატეგორიული აუცილებლობის გამოხატვა: *ეს მოიტანა* ***არა-****კომუნიკაციამ.* მეგრულსა და ლაზურში არა/არ ნაწილაკების სემანტიკური ფარდია **ვარ/ვა,** ხოლო სვანურში **მ□დ/მადე** ნაწილაკები, რომლებიც დაერთვიან არა არსებით სახელებს, არამედ მიმღეობებს. ამ გზით მიღებული ზედსართავი სახელები რაოდენობრივად ძალზე მცირეა, სტატისტიკურად სამი-ოთხი ერთეულითაა წარმოდგენილი: **ა.**წყევლის ფორმულებში, **ბ.** უარყოფითი კონოტაციის მეტსახელებში: **ა.**მეგრ. ***ვა****-რდილი –****არ****-გასაზრდელი, სვან.* ***მ□დ-****ლე□დე/ ბქ.* ***მადე-****ლე□დ-იაქ/****მადე-ლე□დ-იაქ-□ლ*** *-* ***არ****-მოსასვლელი.* **ბ.** მეგრ. ***ვა****-ხაჩქელა „****არ****- მთოხნელი“,* ***ვა****-სქილია „კვერცხის* ***არ-****მდებელი“,* ლაზ. ***ვა*** *მთინი* ***-არა****-მართალი.* ამრიგად, ქართულში ***ნაწილაკი + არსებითი სახელი*** მოდელის გააქტიურებას ხელი შეუწყო სამწერლობო-სამეცნიერო ტრადიციებმა, რაც იმავდროულად ცოცხალ მეტყველებაზეც აისახა.ქართულისაგან განსხვავებით, დანარჩენ ქართველურ ენებში – მეგრულში, სვანურსა და ლაზურშიუარყოფითნაწილაკიანი დერივაციული სახელების მოდელი ***ნაწილაკი + მიმღეობით*** დამკვიდრდა და ამგვარ სიტყვაფორმათა მოხმარების არეალი შეიზღუდა: წყევლის ფორმულებსა და უარყოფითი შინაარსის მეტსახელებში დასტურდება მხოლოდ. ამის გამო უარყოფითნაწილაკიანი დერივაციული სახელები მეგრულში, სვანურსა და ლაზურში სისტემურად ვერ განვითარდა.

9	**ინგა სანიკიძე**	ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ბინარული გამოხატვის სისტემა სლავურ და ქართველურ ენებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენები კულტურები, თარგმანი“, სალონიკი, საბერძნეთი, 2019

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გამომდინარე იქიდან, რომ ყოფიერება ყოველთვის ახდენს გავლენას ადამიანთა ჯგუფების სოციალური არსებობის წესსა და ენის განვითარებას განსაზღვრავს, საყურადღებოა ყველა ის პლასტი, რომელიც დიაქრონიაში მოჩანს და ჩვენს შემთხვევაში ქართულენოვან და სლავურ სამყაროში იკვეთება. ვფიქრობთ, რომ ეს ენობრივი მსოფლმხედველობის ნაწილია და მას წყვილადი, ანუ დუალური სოციალური ორგანიზაცია შეიძლება ეწოდოს. ის საწყისი, საბაზისო კონცეპტუალური მოდელი მოჩანს და ორ ურთიერთდაპირისპირებულ საყრდენზეა აგებული. მაგალითად, რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის ბინარული ოპოზიციის (მხოლობითი-მრავლობითი) შექმნა ენათა უმრავლესობაში ადამიანთა მიერ სამყაროს გააზრების ორწევროვან სისტემას ეფუძნება და ძირითადად მორფოლოგიურ დონეზეა გაფორმებული. ასეთივე მდგომარეობაა ლექსიკურ დონეზეც, როცა საქმე ენათა მიერ სელექცირებული სიტყვების ანტონიმებად დაწყვილებას შეეხება (შავი და თეთრი, ან: ცა და ხმელეთი და სხვ). ფაქტია, რომ ბინარულობას ჰეგემონია აქვს და დღემდე ენათა დიდ ნაწილში ლექსიკურ-გრამატიკულ დონეებზე პოზიციას არ თმობს. თუ გამოვალთ აქსიომატური თეზისიდან, რომ ნაწილი მთელის შემადგენელია, მაშინ ადვილად გასაგები ხდება ისიც, რომ უძველესი ქართველური ტომების ენობრივი აზროვნება წყვილად მოდელებს ემყარებოდა ისევე, როგორც ეს ტიპოლოგიურად განსხვავებულ ინდოევროპულ ენებშია შემჩნეული თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამგვარი ბინარიზმი უძველესი პერიოდიდანვე უნდა წარმართავდეს მორფოლოგიურ კატეგორიათა არქიტექტურას და მორფო-სემანტიკური ოპოზიციების ფუნდამენტურ პროტოკონცეპტს უნდა წარმოადგენდეს. წყვილადი დაპირისპირებისადმი ენათა რამდენადმე უნივერსალური მიდგომა ქართველური ენების ისეთ უძველეს მორფოლოგიურ კატეგორიაშიც იჩენს თავს, რომელსაც ასპექტი ეწოდება. V ს-დან მოყოლებული (ანუ მას შემდეგ, რაც ენის მდგომარეობა წერილობითი ძეგლებითაა დადასტურებული) ასპექტის ბინარული ოპოზიციის სისტემა უცვლელია და მისი წევრები უსრულობა-სრულობის გამოხატვის ფუნქციითაა დატვირთული; თუმცა ქართველ ენათმეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „დროის კატეგორია შექმნილია გაცილებით გვიან ასპექტის კატეგორიის ნიადაგზე. უღვლილება ასპექტების ცვლაში მდგომარეობდა... ენა მაშინ ცდილობდა არა იმდენად დრო, რამდენადაც განგრძობითობა“ [ჩიქობავა არნ. 1943: 92-93]. მართლაც, დიურატიულობას, რომელიც ზემნით აღნიშნული მოქმედების განგრძობით, პროცესურ მიმდინარეობას გულისხმობს, შეეძლო ლოგიკურად შეეთავსებინა სხვა ასპექტური შინაარსებიცა და, რაც მთავარია, აწმყო დროის შინაარსიც. ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო მომენტობრივი, ანუ შეწყვეტილი მოქმედების შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, წყვეტილ მოქმედებასთან ერთად უძველესი ქართული ენის ეტაპზე ის წარსულში ჩადენილი მოქმედების რაგვარობასაც გამოხატავდა.

დიურატიული შინაარსის უსრულ შინაარსამდე, ხოლო მომენტობრივიდან სრული ასპექტის მორფო-სემანტიკურ მოდელზე გადააზრიანების გრძელ ისტორიულ მონაკვეთში ქართულმა ენამ ასპექტის მორფოლოგიური ფორმობრივი გამოხატვის სფეროში თავისი ეტაპები გაიარა და საბოლოოდ (XII ს-დან) ოპოზიციური ცალები ზმნისწინიან დაპირისპირებამდე მივიდა (აკეთა — **გა**- აკეთა). მათ შორის უპრევერბო საოპოზიციო ცალი უსრული შინაარსის გამომხატველია, ხოლო პრევერბიანი _ სრულისა.

უსრული და სრული ასპექტების დაპირისპირება ძირითადია თანამედროვე ქართულშიც, სხვა ასპექტური შინაარსები (ერთჯერადობა-მრავალჯერადობა, რეზულტატურობა, სემელფაქტურობა და სხვ.) ასპექტურობის ზოგადი ცნების ქვეშ ერთიანდება და მორფოლოგიურად გაუფორმებელია. მათი გამოხატვა

ლექსიკურ დონეზე ხდება (მაგ., ვაკეთებ ხოლმე — იგივეა, რაც: ვაკეთებ არაერთხელ), ამიტომ ამგვარი შინაარსები სრული და სრული მოქმედებების თანმხლები სემანტიკური ნიუანსებია. ისინი ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიის წევრებს წარმოადგენენ და არა _ გრამატიკული კატეგორიისას. არიგად, თანამედროვე ქართულ ენაში ძირითადი მადიფერენცირებელი ხაზი სემანტიკური ნიშნებისათვის იქ გადის, სადაც, მთავრდება უსრული პროცესები და იწყება სრულობის შინაარსები, რომლებიც დროის კატეგორიასთან ერთად გამოხატავენ მოქმედების რაგვაროვნებას.

ასპექტურობა თავისი მრავალმხრივი სემანტიკური ჯგუფებით არაერთ ენას ახასიათებს. ერთ-ერთი ქართველი მეცნიერი წერს: „ჩვეულებრივ ასპექტის კლასიკურ ნიმუშებად ასახელებენ, ერთი მხრივ, ძველ ბერძნულს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პრეზენსი, აორისტი და იმპერფექტი, მეორე მხრით, სლავურ ენებს, სადაც გაირჩევა სრული (პეფექტული) და უსრული (იმპერფექტული) აპექტი [ჭუმბურიძე ზ. 1986: 8].

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო სლავური ენების ასექტის კატეგორია და მისი გამოხატვის სისტემაა, რომელიც თავისი ბინარიზმით ტიპოლოგიურად ძალიან ჰგავს ქართველური ენების ასპექტის კატეგორიის გამოხატვას. აბსოლუტური მსგავსებაა სემანტიკური თვალსაზრისითაც.

უნდა ითქვას, რომ ასპექტის კატეგორიას ინდოევროპულიდან მომდინარედ მიიჩნევს რუსი ენათმეცნიერი გ. ულიანოვი [Ульянов Г. 1985]. ამავე აზრს იზიარებს ანტ. მეიე. მეცნიერის აზრით, ასპექტი საერთოსლავური კატეგორია უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ სლავური ენების ასპექტს არ შემოუნახავს უძველესი ასპექტური განსხვავებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოევროპულ პრაენაში. თავისი მნიშვნელობით სლავური ზმნის სისტემა არ განსხვავდება ბერძნულისაგან, განსხვავება მხოლოდ ფორმაშიაო, _ წერს იგი [Мейе А. 1951: 228-230].

თანამედროვე ასპექტოლოგიაში უფრო პოპულარულია თეორია, რომელიც სლავური ენების ასპექტს ახალწარმოქმნილად თვლის. ამ თეორიის ფუძემდებელია ა.ა. პოტებნია. მისეული შენიშვნით: „ასპექტი საერთოდ არ იყო სლავურ ენებში ისევე, როგორც არა გვაქვს იგი თანამედროვე გერმანულში“ [Потебня А.А. 1941: 47]. პოლონურ ენაში, რომელიც სლავური ენების დასავლურ ჯგუფში შედის, ვითარება რამდენადმე განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ასპექტის ლოგიკური კატეგორია ამ ენაში ლექსიკური საშუალებებით გამოიხატება, რომელიც თავის შინაარსობრივ ფუნქციას კარგავს და ასპექტის გამოხატვის ფუნქციას იძენს. ამასთან, არ არსებობს არც ერთი შინაგანი კრიტერიუმი, რომელიც პოლონურის არმცოდნე ადამიანს ერთი შეხედვით გაარკვევინებს, სრულია თუ უსრული მოცემული ზმნა,_ წერს ე. კოშმიდერი [Кошмидер. Э. 1962: 113-114].

როგორც აღვნიშნეთ, რუსული ენის სინქრონული მდგომარეობა წინსართით აწარმოოს სრული ასპექტი, თავისი სისტემით ფაქტობრივ მსგავსია ქართული ენის ვითარებისა. ზმნური პროცესების გამომხატველი ბირთვი საოპოზიციო ცალებს შორის საერთოა. მასში დაფარულია ის სემანტიკური ნიშანი, რომელსაც ე.წ. ზოგადი მოქმედების დასრულება შეიძლება დაემატოს. ენა, რომელიც ადამიანთა სოციალური ჯგუფების ლოგიკური აზროვნების ცნობიერი პროდუქტია, ჩვეულებრივ ვერ კმაყოფილდება ხოლმე მხოლოდ განზოგადებული, დაუკონკრეტებელი შინაარსებით, მათ შორის ვერც ასპექტური თვალსაზრისით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი ენის სინქრონული მდგომარეობა დიაქრონიული და თანაც ევოლუციური პროცესების რეზულტატია, გაცილებით მეტ ღირებულებას იძენს ამ მოვლენათა ჯამი, რომელიც ყოველთვის მეტყველებს ენათა განვითარების ტენდენციებზე. ვიტყვით იმასაც, რომ, როცა ძლიერია ენების სემანტიკური განწყობა, აღსანიშნს (თავისი ფართო მნიშვნელობით, მაგ., მრავლობითობის შინაარსს) აღმნიშვნელის სახე მისცეს, მაშინ იგება გრამატიკული დონე. ჩვენი აზრით, სლავურ და ქართველურ ენათა მსგავსება ასპექტის მორფოლოგიური გამოხატვის თვალსაზრისით, მათი საერთო მექანიზმი, ანუ მარკირება (თავსართოვანი წარმოება), ენობრივი აზროვნების ზოგად, რამდენადმე უნივერსალურ მიდგომებს ასახავს. წინსართსაცა და პრევერბსაც კონკრეტული ზმნური მოქმედების გამოხატვა შეუძლია, აქედან გამომდინარე, ამავე მოქმედების სრული სახით წარმოდგენაც, მათ გარეშე კი ზმნური პროცესი ზოგადია, ანუ დაუსრულებელი (მაგ., ქართ. **გადა**- = რუს. **пере**- ; ამიტომ: ქართ. **გადა**-დგა = რუს. **пере**-ставил). ჩვენი აზრით, სწორედ ეს ნაწილია საინტერესო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ, ის, რომ სხადასხვა წარმომავლობის ენები გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებენ თავიანთი ბინარიზმით. ისინი ენობრივი ცნობიერების საერთო მოდელს მიჰყვებიან, თავსართოვანი მარკერებით ასრულებენ ზმნით გამოხატულ პროცესებს, აკონკრეტებენ მოქმედებას და ოდესღაც ლექსიკური

ერთეულებით (ვგულისხმოთ სლავური ენების წინსართებსა და ქართველური ენების ზმნისწინებს) მორფოლოგიური დაპირისპირების საფუძველნი ხდებიან.

10	**კახა გაბუნია**	უმცირესობათა ენობრივი განათლების პოლიტიკა საქართველოში	12.02.2019 კარდიფი, უელსი, დიდი ბრიტანეთი
ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია			
11	**კახა გაბუნია**	მულტილინგვური განათლების პროგრამების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში	11-14 მაისი, კიშინიოვი, მოლდოვა
ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია			
12	**კახა გაბუნია**	ორგანიზატორი	21-28 ოქტომბერი, ბოლცანო, იტალია
13	**გიული შაბაშვილი** ქეთევან გოჩიტაშვილი	ლაპარაკთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვის სტრატეგიები (ქართულის, როგორც მეორე ენის, მონაცემების მიხედვით)	17-18 ივნისი, კრაიოვას უნივერსიტეტი, რუმინეთი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე რთულად მისაღწევი ამოცანა არის ლაპარაკის უნარის განვითარება. ენის დაუფლების სხვადასხვა დონეზე შემსწავლელებს უხდებათ ენის სხვადასხვა რეგისტრის დაუფლება და გამოყენება. რეალურ ცხოვრებაში შემსწავლელს სამიზნე ენის გამოყენება უხდება როგორც დაგეგმილ ისე დაუგეგმავ, სპონტანურ საკომუნიკაციო სიტუაციებში, აკადემიურ და სამუშაო გარემოში, ყოფით დონეზე, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს მასწავლებლებსაც და შემსწავლელებსაც. ამ პრობლემების დასაძლევად მასწავლებლებს სჭირდებათ საგანგებო ინსტრუმენტები, სტრატეგიები და, რაც მთავარია, სიტუაციის ანალიზისა და მასზე ადეკვატურად, პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებული რეაგირების უნარი. ეფექტური შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ბალანსირებული, პერმანენტული ფიდბეკი, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ შეცდომების გამოვლენაზე, არამედ შემსწავლელის მოტივირებასა და წახალისებაზე. შესაბამისად, ამ უნარის განვითარებას და შემდგომ ეტაპებზე სრულყოფას რეცეფციული უნარების განვითარებასთან შედარებით ხანგრძლივი დრო სჭირდება. მასწავლებელს გადამწყვეტი როლი ეკისრება საგაკვეთილო პროცესში. ის მუდმივად უნდა ელაპარაკოს, მისცეს საშუალება, რომ ილაპარაკონ შემსწავლელებმაც სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა თემატიკის და სხვადასხვა სირთულის საკითხებზე.

ლაპარაკის პრობლემა ზოგადია და ნებისმიერი ენის შესწავლისას იჩენს თავს. ამავე დროს, საქართველოში სპეციფიკური სახის სირთულეებიც გვხვდება.

ნაშრომი მიზნად ისახავს, იდენტიფიცირება გაუკეთოს საქართველოში ქართულის, როგორც მეორე ენის, შემსწავლელთა წინაშე არსებულ გამოწვევებს და წარმოადგინოს მათი გადაჭრის რამდენიმე გზა. ნაშრომში გამოვლენილია ბარიერები, რომლებიც ქართული ენის, როგორც მეორე ენის, შემსწავლელ უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე დგას ლაპარაკის უნართან დაკავშირებით. მეორე მხრივ, წარმოდგენილია ის სირთულეები, რომელთა წინაშეც მასწავლებლები დგანან და შეთავაზებულია მათი აღმოფხვრის საშუალებები.

ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფატორად მეორე ენაზე საუბრისას გამოყოფენ შფოთვას. შიშისა და მეორე ენის შესწავლის კავშირი ბევრ ენაშია შესწავლილი. ტრადიციულ მიზეზებთან ერთად (პერსონალური თვისებები, საზოგადოების რეაქცია, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და ა. შ.) საინტერესოა Khan 2007 -ის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც რაც უფრო დაბალია სასწავლო გარემო და დიდი წნეხის (pressure) ქვეშ

იმყოფება სტუდენტი, მით უფრო წარუმატებელია ენის სწავლის პროცესი და პირიქით. დავამტებთ, რომ ეს ფაქტორები განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს პროდუცირების, კერძოდ კი, მეორე ენაზე ლაპარაკის პროცესზე, რომელიც ყველაზე უფრო სპონტანურია, არ იძლევა წინასწარი მომზადებისა და კორექტირების შესაძლობლობას, მოითხოვს უნარებისა და ცოდნის ისეთ დონეს, როდესაც თავისუფლად გადმოსცემს სათქმელს და ადვილად პოულობს გამოსავალს ლექსიკური სიმწირის გადასაფარად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელსაც სტუდენტები რთულად ლახავენ, არის „Student Reticence", რაც უკავშირდება სტუდენტის მოთხოვნილებას, სურვილს, ჩაიკეტოს თავში და არ დაამყაროს კომუნიკაცია. ეს მდგომარეობა ბუნებრივად უკავშირდება ზემოთ განხილულ ორ ფაქტორს - მოტივაციასა და შფოთვას. (Alhmadi, gv.49).

სამიზნე ჯგუფები, როგორც აღვნიშნეთ, რეალურად იზოლირებულად ცხოვრებენ. მათ განსხვავებული გეოგრაფიული, კლიმატური, ისტორიული, კულტურული, სოციალური და სოციალური გარემო აქვთ (მაგალითად, აზერბაიჯანელები მუსულმანურ თემს მიეკუთვნებიან და მათი საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა, ხოლო სომხები ქრისტიანები არიან და წვრილ ბიზნესსა და ვაჭრობაში არიან დასაქმებული. გარდა ამისა, ეთნიკური სომხების მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაო რუსეთის ფედერაციაში აქვს. ეს კიდევ ერთ-ერთი ფაქტორია, რის გამოც ქართულის შესწავლის მოტივაცია ნაკლებია.

ანალიზმა ცხადყო, რომ სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში შესაძლოა გამოიყოს ლაპარაკის დამაბრკოლებელი რამდენიმე ჯგუფი:

ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც მოიცავს:

ა) შესაძლო შეცდომების დაშვების შიში (0-დან 5-მდე, სადაც 5 მაქსიმუმია)

ბ) გარშემომყოფთა რეაქცია (0-დან 5-მდე, სადაც 5 მაქსიმუმია)

გ) შიში, რომ ვერ გაგიგებენ ან არასწორად გაგიგებენ (0-დან 5-მდე, სადაც 5 მაქსიმუმია)

დ) წარუმატებელი გამოცდილება (0-დან 5-მდე, სადაც 5 მაქსიმუმია)

ე) საკუთარ თავში დაურწმუნებლობა

ზ) თავის წარმოჩენასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ბარიერი (მათ შორის, ხალხმრავალ საზოგადოებაში ლაპარაკი)

კულტურული ბარიერი

ა) სხვა კულტურის ღირებულებებსა და ტრადიციებში/ნორმებში განსხვავება განაპირობებს დაბრკოლებას კომუნიკაციაში

ბ) დაბალი სოციო-კულტურული კომპეტენცია და სათანადო ცოდნის არქონა

გ) სხვა კულტურის მიმართ მიმღებლობის ნაკლებობა

დ) ბარიერები რელიგიური და მისგან გამომდინარე ღირებულებითი სხვაობის გამო

ენობრივი ბარიერი

გ) ენის სათანადოდ არცოდნა

ა) ქართული ენის სპეციფიკასთან დაკავშირებული პრობლემები (ფონეტიკური სისტემა, ბრუნვათა სისტემა და ა. შ.)

ბ) სალაპარაკო ენის არცოდნა

დ) მოსმენის უნარის ნაკლებობა, კერძოდ, დასმულ კითხვაზე პასუხის გაგების გაძნელება

ე) დისკომფორტი აქცენტის გამო

კოგნიტური ბარიერი

ა) აზროვნება მშობლიურ ენაზე და კომუნიკაციისათვის თარგმნის აუცილებლობა

ბ) მიღებული ინფორმაციის ფროსესინგის (დამუშავება) პრობლემა

გ) მეორე ენაზე ინფორმაციის ჭარბი ნაკადის/ენის ექსტენსიური გამოყენების დროს აღქმის შეფერხება

სოციალური ფაქტორები

ქართულენოვან თანატოლებთან საუბარი არ წარმოადგენს პრობლემას, ხოლო მასწავლებლებთან და უფროსი თაობის წარმომადგენლებთან რთულია

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ბარიერები

ლაპარაკის უნარების განვითარებას ნაკლები დრო ეთმობა

სწავლების პროცესში ორიენტირებულია გრამატიკასა და ლექსიკაზე და არ ითვალისწინებს სოციო-კულტურული კომპეტენციების განვითარებას დამახსოვრებაზე ორიენტირებული სწავლება და მისი პრაქტიკაში გადატანა არ ხდება. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული პრობლემები: ხელოვნური ტექსტები; პრაქტიკული საჭიროებისათვის გამოუსადეგარი ენობრივი ფორმები და სტრუქტურები/ფრაზები; კრიტიკული აზროვნების განვითარების უგულებელყოფა გადაჭარბებული აქცენტი შეცდომებზე და პოზიტიური ფიდბეკის ნაკლებობა.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობანი:

1. ანა ხარანაული

- ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის დირექტორი
- გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი
- 2019 იანვარი-აპრილი, Alexander von Humboldt Stiftung-ის სტიპენდიანტი
- მრჩეველთა საბჭოს წევრი “De Septuaginta Investigationes”, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht
- ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის ეგიდით გამართული სემინარების ციკლის ხელმძღვანელი
- ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია“ - ხელმძღვანელი
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (ქვედარგი ქართული ბიბლიის ფილოლოგია) თანახელმძღვანელი

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა

- The International Association of Patristic Studies (I.A.P.S)
- International Association of Byzantine Studies
- The International Organization for Septuagint and Cognate Studies (IOSCS)
- Society of Biblical Literature (SBL)

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა:

- სადოქტორო დისერტაცია: ნათია მიროტაძე, *პირველი მეფეთას საკითხავები ქართულ ლექციონარებში: მიმართება ბერძნულ წყაროებთან“*
- სამაგისტრო ნაშრომი: თამარ მაგრაქველიძე, *ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული თრგმანის წარმომავლობა და თარგმანის ხასიათი*
- სამაგისტრო ნაშრომი: ელენე ლურსმანაშვილი, *მიქიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის წარმომავლობა და თარგმანის ხასიათი*

2. რუსუდან ზექალაშვილი

	ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის (პასუხისმგებელი მდივანი)		
	სამეცნიერო შრომების კრებულის მომზადება დასაბეჭდად	ქართველური ენათმეცნიერება, V, ეძღვნება თსუ 100 წლისთავს ISSN 2346-8106	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2019, 170 გვ. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/268527/1/Kartveluri%20enatmecniereba-IV-2017.pdf
	საბავშვო უნივერსიტეტი		
	ლექცია ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში	ქართველი ემიგრანტები გერმანიაში (ნიკოლოზ ჯანელიძე – ჯანესი და მისი მოღვაწეობა გერმანიაში)	2019 წლის 4 ოქტომბერი
	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის ექსპერტი	**ქართული ენის ნორმალიზაციისა და ტერმინოლოგიის ქვეკომისია;** მართლწერა და ტერმინოლოგიის ქვეკომისია.	2018 წლიდან
	სამეცნიერო ასოციაციის წევრობა		
	საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრი		2017 წლიდან
	გამოცდების კომისიის წევრობა		
	მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე	თსუ	2019 წლის სექტემბერში
	სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადი წევრი		2019 წლის აგვისტოში
	საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადი წევრი		2019 წლის თებერვალში; ივლისში
	სადოქტორო სემინარებისა და კოლოკვიუმების ერთჯერადი კომისიის წევრი		2019 წლის თებერვალში; აგვისტოში
	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის კომისიის წევრი ქართულ ენასა და ლიტერატურაში		2019 წლის იანვარში
	ერთიანი ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი ქართ. ენასა და ლიტერატურაში; ქართულ ლიტერატურაში (არჩევითი საგანი)		2019 წლის ივლის-აგვისტო
	რედაქტირება		
	ფეიქრიშვილი ჟუჟუნა	**მასწავლებლის არქივში დაუნჯებული სულიერება ანუ ჩემი სიმდიდრე:** მოგონებები, წერილები	თბილისი: ლოგოსი. – გვ. 250
	ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, ივეტა ვაშაკიძე, ზაქარია ფურცხვანიძე	მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის	თბილისი: უნივერსალი (იბეჭდება)

		ისტორიისათვის, წიგნი მესამე (ეძღვნება ვინფრიდ ბოედერს)	
	მზია იობაშვილი, ტატიანა ლოლაძე, მარ. ამაშუკელი და სხვ. (შემდგ.)	ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონი	თბილისი (იბეჭდება)
	რეცენზენტობა		
	ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, ივეტა ვაშაკიძე	მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი მეორე (რედ. იასუჰირო კოჯიმა, ჰარუნ ჩიმქე)	თბილისი: უნივერსალი. – გვ. 179.
	ვაშაკიძე იამზე, ფუტკარაძე ტარიელ	ქართული ენის პრაქტიკული კურსი, დამხმარე სახელმძღვანელო აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის (რედაქტორი: პროფ. მერაბ ნაჭყებია),	თბილისი: გამომცემლობა ქართ. უნივერსიტეტი, 2019.- გვ. 475.
№	*სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა*		
	მაგისტრანტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	სამეცნიერო ხელმძღვანელი
1	ყუფუნია ზაია	რიცხვში შეთანხმების ისტორიისთვის დატიური კონსტრუქციის ზმნებში (თანახელმძღ.: ემერიტუს პროფ. დამანა მელიქიშვილი)	ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი
	საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა		
	სტუდენტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	სამეცნიერო ხელმძღვანელი
1	მეტრეველი თეონა	სალიტერატურო ქართული და ზოგიერთი დიაქრონიული ფონეტიკური პროცესი	თინათინ ჯიქურაშვილი – სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“, დოქტორანტი
	ჭალიძე ნათია	შედარების ენობრივი გამოხატვის საშუალებები მხატვრულ ტექსტებში	ასოც. პროფ. კახა გაბუნია
	უგრეხელიძე მაია	აუცილებლობისა და სურვილის გამოხატვა ქართულ ენაში (მასმედიის ენის მიხედვით)	ასოც. პროფ. კახა გაბუნია
	მაღრაძე მარიამ	მეტსახელთა ნომინაციის პრინციპები	ასოც. პროფ. კახა გაბუნია
	დოქტორანტების ხელმძღვანელობა		
	ნინო ცომაია	ახალგაზრდული მეტყველების ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი უახლეს ქართულ პროზაში	
	ელენა თამაზაშვილი	კალკირება თანამედროვე ქართულში	

	დოქტორანტის სემინარის რეცენზირება		
	კოშორიძე თამარ	აზროვნებისა და ფორმის ურთიერთმიმართება გრამატიკაში (პირის ნიშნების მაგალითზე)- 2019 წლის 28 თებერვალი	ემერიტ. პროფ. დამანა მელიქიშვილი)
	დოქტორანტის საკოლოკვიუმო ნაშრომის რეცენზირება		
	გაბიჩვაძე ზინაიდა	მეღვინეობის ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი - 2019 წლის 28 თებერვალი	ასოც. პროფ. კახა გაბუნია
	საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება		
	სტუდენტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	სამეცნიერო ხელმძღვანელი
1	ბაჭაძე მარიამ	კომპოზიტების უმართებულო დაწერილობის შემთხვევები თანამედროვე მედიატექსტებში	ასოც. პროფ. სალომე ომიაძე
	ბერიძე გიორგი	სიტყვათწარმომქმნელი მოდელები თანამედროვე პოეზიის ენაში	ასოც. პროფ. სალომე ომიაძე
	ათაბეგაშვილი ანანო	მსაზღვრელ-საზღვრულით შექმნილი კომპოზიტების დაწერილობისათვის თანამედროვე ბეჭდურსა და ელექტრონულ მედიაში	ასოც. პროფ. სალომე ომიაძე
	გოდელაშვილი თამარ	ადგილისა და მიმართულების გამომხატველი თანდებულები ქართული ენის მთის დიალექტებში	ასოც. პროფ. კახა გაბუნია
	კონფერენციათა სექციის თავმჯდომარეობა		
	ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის სექციის თავმჯდომარე,	თსუ	2019 წლის 17 აპრილი
	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "ენა და კულტურა"	ქუთაისი, აწსუ	2019 წლის 18 ივნისი
	ტერმინოლოგიის VI კონფერენცია	ენათმეცნიერების ინსტიტუტი	2019 წლის 27 ივნისი
	XIII საფაკულტეტო კონფერენციის სექციის თავმჯდომარე	თსუ	2019 წლის 26 ივნისი
	ქუთაისის საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, ქუთაისი, აწსუ		2019 წლის 18 ოქტომბერი
	მთარგმნელთა სემინარში მონაწილეობა		
	გოეთეს ინსტიტუტის თბილისის ფილიალში	პროფ. ალ. კარტოზია (მოდერატორი)	2019 წლის 2-6 დეკემბერი
	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა		
1	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება	2019 წლის ივლის-აგვისტო

2	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	ლექსიკოლოგიის განყოფილება	2019 წლის ნოემბერი

3. სალომე ომიძე

N	აქტივობის დასახელება
1	**სტუდენტთა ხელმძღვანელობა:** **ა) საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა:** 1. **ლევან ქიტესაშვილი,** ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიპცია ქართული მედიის ენაში; 2. **თამარ ონიანი,** პლეონაზმის შემთხვევები თანამედროვე ქართულ მედიადისკურსში; 3. **ანანო ათაბეგიშვილი,** მსაზღვრელ-საზღვრულით შექმნილი კომპოზიტების დაწერილობისათვის თანამედროვე ბეჭდურსა და ელექტრონულ მედიაში; 4. **სალომე ნიშაბერაშვილი,** პუნქტუაციური შეცდომები ბეჭდურსა და ელექტრონულ მედიასაშუალებებში; 5. **გიორგი ბერიძე,** სიტყვათწარმომქმნელი მოდელები თანამედროვე პოეზიის ენაში. **ბ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა:** **ანუკა ფუტკარაძე,** უცხო სიტყვები თანამედროვე ქართულ დისკურსში **გ) სტუდენტური პუბლიკაციის ხელმძღვანელობა:** **მ. ტურძილაძე, ა. კაცაძე,** არის თუ არა აქტი გრამატიკული კატეგორია.
2	**საბჭოების, კოლეგიებისა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა:** • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი საგამომცემლო კომისიის (მიმართულება: კავკასიური ენები, ქართველური ენები და ლიტერატურა) წევრი. • თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. • საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრი. • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების (ქართული ენის ინსტიტუტის) საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი. • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების (ქართული ენის ინსტიტუტის) სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი. •
3	**საგამოცდო კომისიათა მუშაობაში მონაწილეობა:** • ერთიანი ეროვნული გამოცდები: სააპელაციო კომისიის წევრი. • პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები: სააპელაციო კომისიის წევრი. • სამაგისტრო გამოცდები: სააპელაციო კომისიის წევრი.
4	**საკონკურსო ჟიურის წევრობა:** ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის წევრი (საკონკურსო კომისიის მდივანი).

ქართული ლიტერატურის ისტორიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ელგუჯა ხინთიბიძე (ხელმძღვანელი), ლელა ხაჩიძე, ნესტან სულავა, მაკა ელბაქიძე, ნანა გონჯილაშვილი, ვლადიმერ მინაშვილი, ეკა ვარდოშვილი, თამარ შარაბიძე, ინგა მილორავა, კახაბერ ლორია, თამარ პაიჭაძე, რუსუდან ნიშნიანიძე, ქეთევან სიხარულიძე, ელენე გოგიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„ქართული დრამატურგიის ქრესტომათია“. მიმართულება _ ახალი ქართული ლიტერატურა.	1. 2018- 2022 წწ.	1. თამარ შარაბიძე (ხელმძღვანელი);
2	„ქართული დრამატურგიის სახელმძღვანელო“. მიმართულება _ ახალი ქართული ლიტერატურა	2016- 2022 წწ	თამარ ციციშვილი (ძირითადი პერსონალი)
3	უახლესი ქართული ლიტერატურის ნარკვევები	2016-2023	ინგა მილორავა, 4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) **თამარ შარაბიძე** ვამზადებთ ორ პროექტს ერთდროულად. ეს პროექტებია: „ქართული დრამატურგიის ქრესტომათია“, რომელშიაც შევა თითოეული ავტორის შემოქმედებიდან ორი-სამი მნიშვნელოვანი პიესა და ავტორის ბიოგრაფია; გარდამავალი პროექტია „ქართული დრამატურგიის სახელმძღვანელო“, რომელზედაც პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა. მასში შედის ავტორთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები და ცალკეულ ნაწარმოებთა ანალიზი. 2020 წელს ვასრულებთ პირველი პროექტის ერთ ნაწილს _ „ქართული დრამატურგიის ქრესტომათია“ (მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე). სწორედ ამ მიზნით სხვადასხვა წყაროს გამოყენებით მოვამზადეთ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიები, დრამატურგიაზე ყურადღების გამახვილებით და მათი შემოქმედებიდან შევარჩიეთ პიესები დასაბეჭდად. ამ პიესებში შენარჩუნებულია დედნის ენა, ამოღებულია მხოლოდ ხმარებიდან გამოსული ასოები ან შეცვლილია ისინი მათი ეკვივალენტით. ასევე პიესები რედაქტირებულია სასვენი ნიშნების ხმარების იმ წესებით, რომლებიც არსებობს დღეს. ყველა პიესა წარმოდგენილია ერთნაირ ფორმაში. პროექტი გარდამავალია. ჯერჯერობით მომზადდა შემდეგი ავტორები: ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ივ. კერესელიძე, ბ. ჯორჯაძე. ამავე კრებულისათვის მზადდება რ. ერისთავის, ლავრენტი არდაზიანისა და გიორგი დვანაძის ბიოგრაფიები და პიესები. შემდეგი კრებულები მომზადდება ქრონოლოგიური პრინციპით.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1	ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის "მარხვანი"). 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.2 ენათმეცნიერება და ლიტერატურა, ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა. № FR17_127	20.12. 2017 - 20. 12. 2020	ლელა ხაჩიძე - პროექტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ. ეკა კვირკველია- პროექტის კოორდინატორი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ. მაია რაფავა - ძირითადი პერსონალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ლია ახობაძე - ძირითადი პერსონალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ნანა ჩიკვატია- ძირითადი პერსონალი. ფილოლოგიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
2	ინტერკულტურულისივრცე - რუსთაველიდანიზამი (ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6. 6-2) N FR17_109	2017-2020 წწ.	ვ.ამირხანაშვილი (ხელმღვანელი), ძირითადი შემსრულებლები - ი. რატიანი, მ. ელბაქიძე, ლ. კარიჭაშვილი, ო. ქაზუმოვი, ნ. გონჯილაშვილი.
3	ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი. N FR17_109	2017-2020 წწ.	ივანე ამირხანაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, ოქტაი ქაზუმოვი - ახალგაზრდა მეცნიერი, მაკა ელბაქიძე - ძირითადი შემსრულებელი ნანა გონჯილაშვილი - ძირითადი შემსრულებელი, ლია კარჭაშვილი - ძირითადი შემსრულებელი
4	საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, პროექტის სახელწოდება „ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე“, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - SP – 19 – 123	2019 წლის დეკემბერი - 2020 წლის მაისი	პროექტის ხელმძღვანელი: ხვთისო მამისიმედიშვილი პროექტის კოორდინატორი: ია გრიგალაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და			

პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლელა ხაჩიძე

პროექტით გათვალისწინებულია უნიკალური ჰიმნოგრაფიული კრებულის – გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება ყველა უძველესი (XI-XIII საუკუნეების) ქართული ხელნაწერის მიხედვით. გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და პირველად ამ პროექტით ხდება მისი აკადემიური გამოცემის მომზადება. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანის გამოცემას საფუძვლად ედება ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერი - Paris 5, რომლისტექსტი I და II საანგარიშო პერიოდებში უკვე გადმოწერეს პროექტის მონაწილეებმა.

III საანგარიშო პერიოდში იერუსალიმში, ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცული ორი იერუსალიმური (Jer.61, Jer.130) დაერთი A კოლექციის (A-568) ხელნაწერის ვარიანტული წაკითხვების გათვალისწინებით Paris 5-დან გადმოწერილ ტექსტს შევუდგინეთ კრიტიკული აპარატი. A-568 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, ხოლო ორი იერუსალიმური ხელნაწერის (Jer.61, Jer.130) ფოტოები ინტერნეტში შემდეგ ბმულზეა განთავსებული: https://www.loc.gov/search/?in=&q=jerusalem+microfilm+Georgian&new=true

IV პერიოდში პროექტის მონაწილეებმა იმუშავეს ათონური კოლექციის ხელნაწერებზე, კერძოდ, Ath.38-სადა Ath.59-ზე. Ath. 38-ისმ იხედვით ვარიანტული წაკითხვები მომზადდა. რაც შეეხება Ath. 59-ს, ამ ხელნაწერზე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ „მარხვანის“ უნიკალური, ვრცელი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის შედგენამდე, როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელმა შეადგინა მისი ე. წ. „თავდაპირველი რედაქცია“, რომელიც შემონახულია Ath. 59 ხელნაწერში. ეს გარემოება მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. აქედან გამომდინარე, გამოცემის სანდოობის თვალსაზრისით საჭირო გახდა მისი ცალკე პარალელურ ტექსტად გადმოწერა.

ნანა გონჯილაშვილი

საგრანტო პროექტი – **ინტერკულტურულისივრცე – რუსთაველიდანიზამი** - ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის *–ვეფხისტყაოსნის* – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობისკ ონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედებას თანმიმართებაში. საკვლევითემის მიზანია, წარმოაჩინოს ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედების ძირეული პრობლემატიკა, მათი თანხვედრის ტიპოლოგიური არსი, მეორემხრივ, ისისტორიულ–კულტურულითულიტერატურულ–ესთეტიკურიფაქტორები, რაც, განაპირობებსმათშორისგანსხვავებას. პროექტის პირველ საანგარიშო პერიოდში პროექტის ძირითადმა მონაწილეებმა მოიძიეს მასალა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ, თსუშოთარუსთაველისსახელობის ქართულილიტერატურისინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში. მასზე დაყრდნობით შეადგინეს ბიბლიოგრაფია. აზერბაიჯანელმა პარტნიორებმა კი, საგრანტო პროექტის კონსულტანტის, აკად. ისა ჰაბიბეილის ხელმძღვანელობით გამოგზავნეს აზერბაიჯანის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ინსტიტუტსა და აზერბაიჯანის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მოპოვებული მასალის მიხედვით შედგენილი ბიბლიოგრაფია.

პროექტის ძირითადი მონაწილეების მიერ განხორციელდა მოძიებული მასალის სისტემატიზება-კლასიფიკაცია შემდეგი თემატიკის მიხედვით: 1. რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური პრობლემატიკა (ოქტაიქაზუმოვი); 2. ეთიკური კონცეფცია (ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი); 3. ესთეტიკური კონცეფცია (ივანე ამირხანაშვილი, ირმა რატიანი); 4. კონვენციური მოტივები (მაკა ელბაქიძე); 5. სიყვარულის კონცეფცია (მაკა ელბაქიძე). მოპოვებული და დამუშავებული მასალა მიხედვით შედგა ბიბლიოგრაფია.

პირველ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ელექტრონული ბლოგი: „კულტურათაშორისი სივრცე - რუსთაველი და ნიზამი“, რომელზეც განლაგდა ძირითადი პერსონალის მიერ მოპოვებული მასალა და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მეორე საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის 28 სექტემბერს მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის კულტურის მუზეუმი და ცენტრში ჩატარდა მრგვალი მაგიდა - „ინტერკულტურული

სივრცე - ნიზამი და რუსთაველი“ - ქართველი და აზერბაიჯანელი მეცნიერების მონაწილეობით.

პროექტის ფარგლებში 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე თბილისში ვიზიტად იმყოფებოდა პროექტის უცხოელი კონსულტანტი აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ისა ჰაბიბეილი. ვიზიტის ფარგლებში შედგა გრანტის ძირითად მონაწილეებთან საკონსულტაციო შეხვედრა, ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელზეც წაკითხულ იქნა კონსულტანტის მიერ პროექტის ფარგლებში დაწერილი სამეცნიერო სტატია. გრანტის ძირითადმა შემსრულებლებმა და კონსულტანტმა იმსჯელეს მომდევნო საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი ამოცანების შესახებ.

2018 წლის 10-16 დეკემბერს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ივანე ამირხანაშვილი. ვიზიტის მიზანი იყო აზერბაიჯანელ კოლეგებთან (ნიზამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურის მუზეუმი, აზერბაიჯანის მეციერებათა აკადემია)საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება, აზერბაიჯანის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში პროექტის საკვლევი მასალის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა.

თბილისში პროექტის მონაწილეთა მიერ განხორციელდა ბაქოში მოპოვებული მასალის სისტემატიზება-კლასიფიკაცია და მასზე, ასევე ქართულ სამეცნიერო ცენტრებში მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა პროექტით გათვალისწინებული სამეცნიერო ნარკვევების შავი ვარიანტები.

რუსთაველისა და ნიზამის კოსმოლოგიური შეხედულებების შესწავლისათვის გასათვალისწინებელია გიორგი თევზაძის მონოგრაფია „რუსთაველის კოსმოლოგია“. გარდა ამისა, ვიკტორ ნოზაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გაიოზ იმედაშვილი, რევაზ თვარაძე, ევგენი ბერტელსი, ალექსანდრ კრიმსკი, არიფ გაჯიევი, ზ. ყული-ზადე და სხვათა შრომები. წლის პირველი ნახევრის შრომის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელიგეოცენტრისტები არიან. მათ შემოქმედებაში მზესა და მთვარეს ეძლევა უპირატესობა. მზიური სისტემა შემოფარგლულია ვარსკვლავური ცის სფეროთი, მის სფეროში უძრავად მდებარეობს დედამიწა. მზე, ორივეპოეტის აზრით, სამყაროს გონება და ზომიერებაა. რუსთაველთან ყოველი ციური ცხეული თავისი მატერიალური სფეროების შემწეობით დედამიწის გარშემო დღე-ღამეში ერთხელ აწარმოებს სრულშემობრუნებას. პლანეტების საკუთარი მოძრაობა მზის ძალის მოქმედებით ხდება.

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ეთიკური სისტემა რუსთველოლოგიის საწყის ეტაპზევე გახდა დაკვირვებისა და განხილვის ობიექტი. მიღებული თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური კრედო ეყრდნობა ერთი მხრივ ეროვნულ ზნეობას, რომელიც არსებითად განმსჭვალულია ქრისტიანული მორალით, ხოლო მეორე მხრივ, არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პოემის სიუჟეტის განვითარება, პერსონაჟთა მხატვრულ სახეები ცხადყოფს, რომ მათი წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე, ფუნდამენტურ ადამიანურ ღირებულებებზე თანხვდება ქრისტიანულ ეთიკას (თუმცა პოემის ზოგიერთი ეპიზოდი და გარემოებანი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს). პერსონაჟთა ზნეობა გარკვეულწილად განპირობებულია მათივე მსოფლმხედველობითა და სოციალური ნიშნულით (მაგალითად, რაინდობისა და მიჯნურობის კოდექსებით, რომლებიც კარგად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივ-ეთიკური სისტემები ჩანს, ვაჭართა საზოგადოების ცხოვრების წესითა და ფასეულობებით). ამავე დროს, ცხადია, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პერსონაჟთა ინდივიდუალური მახასიათებლები. ამდენად, ეთიკა რუსთაველისთვის, ისე, როგორც ზოგადად, მსოფლმხედველობრივი, სოციალური და პიროვნული ფენომენია.

საგანგებო ყურადღება მიექცა მეგობრობის ფენომენს. ლიტერატურული პარალელების მოძიება-შესწავლა ცხადყოფს არა მარტო რუსთაველის გმირთა მეგობრობის ზოგადსაკაცობრიო ხასიათს, არამედ წარმოაჩენს იმ თავისებურებებსა და სპეციფიკურ სახეს, რომლებიც რუსთაველის შემოქმედების, პოეტური აზრისა და გამომსახველობის ორიგინალობის, განუმეორებლობის მაჩვენებელია (როგორც პოემის სახისმეტყველებისა და მხატვრულ სახექმნადობათა შემთხვევებში). საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში მიმოხილულია რუსთველოლოგიაში არსებული მასალა. უპირველეს ყოვლისა, მსჯელობა ეხება რუსთაველის მიერ მეგობრობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების - „მოყვარე“, „მოყვასი“, „ამხანაგი“, „ძმა“, „ძმობილი“, „ძმადფიცი“, „ძმადნაფიცი“, „ძმად-შეფიცებული“, „და“, „დობილი“, „დად-ფიცნი“ - მოხმობას, მათ განსაზღვრას და გამოყენებას ტექსტის საფუძველზე. ამ მიზნით დაძებნილი და წარმოჩენილია მათი გამოყენების შემთხვევები და გააზრებანი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ნაშრომში წარმოდგენილია რუსთველური მოყვრობის ჩასახვისა და დამოყვრების საფუძველთა გააზრებანი, დეტალურადაა განხილული საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ცალკეული ნიმუშები. ცალკე საკითხადაა

წარმოდგენილი რუსთველური „მოყვრობის გამოჩენის“ სამი უცილობელი მახასიათებელი და რუსთველური მოყვრობის საფუძველთა გააზრება. ნაშრომის დასასრულს აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ზმობა“-„მოყვრობას“ შესაძლებელია, დაეძებნოს კავშირი ანტიკურ ფილოსოფიასთან, ბიბლიასთან, ტიპოლოგიური პარალელები აღმოსავლურ და რენესანსის ეპოქის მწერლობებთან. რუსთველურ მეგობრობაში სხვადასხვა მოძღვრებისა და მწერლობის გავლენა-მიმართებათა ძიება-დანახვა პოეტის მსოფლმხედველობის ტოლერანტობის მაჩვენებელია და იმაზე მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ზმობა“-„მოყვრობა“ ზოგადსაკაცობრიო იდეის განსახოვნებაა, რომელიც ყოველივეს ითავსებს და იმავდროულად თავისთავადობით, განუმეორებელი ქართული ნაკვთიანობით ყველა სახისაგან განირჩევა. პოემის შინაარსი, მისი იდეური მხარე და პოეტიკა ძმობამოყვრობისგანსახოვნებითაა განმსჭვალული.

ვეფხისტყაოსნის ეთიკის პრობლემატიკას 1712 წლიდან (მხედველობაში გვაქვს ვეფხისტყაოსნის „თარგმანი“ ვახტანგ მეექვსის მიერ, 1712 წლის გამოცემა) დღემდე მრავალი მკვლევარი შეეხო ცალკეულ საგაზეთო სტატიებსა თუ სამეცნიერო კრებულებში. ეთიკის საკითხები განხილულია აგრეთვე მონოგრაფიულ ნაშრომებში, ამ მიმართულებით მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ კორნელი კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გიორგი გვაზავა, გერონტი ქიქოძე, გიორგი ნადირაძე, ვიქტორ ნოზაძე და სხვები. თანამედროვე მკვლევართაგან რევაზ სირაძე, გრივერ გარულავა, ელგუჯა ხინთიბიძე, ნესტან სულავა, მაკა ელბაქიძე, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი ... .

ძალზე საინტერესოა რუსთაველის თანამედროვე დიდი შემოქმედის ნიზამი განჯელის ეთიკური სისტემის გამოვლენა და შესწავლა ვეფხისტყაოსნის შესაბამის პრობლემატიკასთან მიმართებით, მათი საერთო და განმასხვავებელი ასპექტების გამოკვეთა. ნიზამის შემოქმედების ეთიკურ პრობლემატიკას ეხება ა. ფადეევის, მ. რაფილის, ს. პაშაევის, ჯ. მუსტაფაევის, მ. მურადხანლის, ე. ლევკიევსკისა და სხვათა ნაშრომები. როგორც უშუალოდ თხზულებათა შედარებითი შესწავლა ამ მიმართულებით, ასევე აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-ანალიზი საყურადღებოა იმ უნივერსალიების გამოსაკვეთად, რომლებიც საერთოა ამ ორი დიდი შემოქმედის ნააზრევში და მათი ეპოქის ერთიან კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეს ქმნის.

მაკა ელბაქიძე

საგრანტო პროექტი – **ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი** - ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის – *ვეფხისტყაოსნის* – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. პროექტი, ერთი მხრივ, განაგრძობს იმ ტრადიციას, რომელიც სათავეს შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედების კვლევის ისტორიიდან იღებს, მეორე მხრივ, კვლევა მიდის ახალი გზით: პირველად ამ პროექტის ფარგლებში ერთმანეთის მხარდამხარ, ერთმანეთის პარალელურად მუშაობენ დარგის წამყვანი სპეციალისტები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან.

პროექტის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე ამოცანა: მოძიებული მასალების მიხედვით შეიქმნა ნარკვევი „რუსთაველისა და ნიზამის სიყვარულის კონცეფცია“; გარედაქტირდა შემდეგი ნარკვევები: 1. „რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური კონცეფცია“;2. „რუსთაველისა და ნიზამის ეთიკური კონცეფცია“; 3. „რუსთაველისა და ნიზამის ესთეტიკური კონცეფცია“. საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებლები, ირმა რატიანი და მაკა ელბაქიძე ჩავიდნენ ინგლისში და შეხვდნენ პროექტის უცხოელ კონსულტანტს, პროფესორ ჩარლზ მელვილს ლონდონსა და კემბრიჯში - ფირდოუსის კვლევით ცენტრში. გარდა ამისა, ოქსფორდის ბოდლეის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდში მოიპოვეს პროექტისთვის საჭირო მასალები.

ხვთისო მამისიმედიშვილი

პროექტი მიზნად ისახავს წიგნის გამოცემას.წიგნი ქართულ ენაზე ჩეჩნური და ინგუშური ნართული თქმულებების პირველ აკადემიურ გამოცემას წარმოადგენს. ნაშრომი რამდენიმე ნაწილისგან შედგება: იგი იწყება მონოგრაფიული გამოკვლევით, კერძოდ ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ქართული კულტურის

ელემენტებისა და ქრისტიანული სიმბოლოების განხილვით. მონოგრაფიას მოსდევს ქართულ ენაზე თარგმნილი ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები. წიგნის ბოლო ნაწილი ეთმობა შენიშვნებს, კომენტარებსა და საძიებლებს.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და ფოლკლორული შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა// ჰუმანიტარული მეცნიერებები	2019	ელგუჯა ხინთიბიძე - პროექტის ხელმძღვანელი თამარ მელიქიძე - კოორდინატორი ირმა მაკარაძე - ორგანიზატორი სოფო გულიაშვილი - ორგანიზატორი ზაზა ხინთიბიძე - მასწავლებელი
2.	ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა - 2019	2019	ელგუჯა ხინთიბიძე - ლექტორი/ პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი ზაზა ხინთიბიძე - პროექტის ხელმძღვანელი ირმა მაკარაძე - პროექტის კოორდინატორი თამარ მელიქიძე - პროექტის ორგანიზატორი სოფიო გულიაშვილი - პროექტის ორგანიზატორი
3	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე (1941–1956 წწ) N 217512	2016-2019	მაკა ელბაქიძე - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ გიორგაშვილი - ახალგაზრდა მეცნიერი, ადა ნემსაძე - ძირითადი შემსრულებელი მანანა შამილიშვილი - ძირითადი შემსრულებელი, ზოია ცხადაია - ძირითადი შემსრულებელი

			ნონა კუპრეიშვილი - ძირითადი შემსრულებელი მანანა კვატაია - ძირითადი შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ელგუჯა ხინთიბიძე

1. „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა 2019-ის" ძირითადი შედეგები პერსპექტიულია და ქართული კულტურის და მეცნიერების პროგრესში გამოვლინდება. კერძოდ, ქართული ეროვნული მეცნიერების – ქართველოლოგიის უცხოეთში დაწინაურებით და ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის ქართველოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან ინტეგრირებით. ეს შედეგები უკვე სახეზეა „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის" უწყვეტ ფუნქციონირებაში 1995 წლიდან.

უკანასკნელ ათწლეულში ქართველოლოგიური პრობლემატიკა საზღვარგარეთელი მედიევისტების, ლინგვისტების, არქეოლოგებისა და ლიტერატურათმცოდნეებისათვის აქტუალური გახდა და ეს აქტუალობა საკუთრივ ქართველოლოგიურ თემებზე უცხოეთსა და საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ფორუმებში საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის მიერ აღზრდილი საზღვარგარეთელი ახალგაზრდა მკვლევრების ინტენსიური ჩართულობით გამოიხატა. როგორც აღინიშნა, „სკოლის" მუშაობაში გასული წლების მანძილზე მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა უცხოელმა სტუდენტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა, რომლებიც დღეს ქმნიან საქართველოს კულტურით, მეცნიერებით და საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესებულ უცხოელ

კოლეგათა ჯგუფს. ზოგი მათგანი უცხოეთის უნივერსიტეტების პროფესორია და ლექციებს კითხულობს ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით (კერძოდ, ინგლისსა და იაპონიაში), ზოგიერთი ექსპერტია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც საქართველოს და კავკასიის საზოგადოებრივი ყოფით არიან დაინტერესებულნი (კერძოდ, აშშ-ში). „საზაფხულო სკოლა 2019-ის" უმნიშვნელოვანესი მოსალოდნელი შედეგი საქართველოს მომავალი კულტურული და მეცნიერული მოაღვაწეობისათვის ამგვარი კადრის აღზრდა და ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის მათთან ინტეგრაცია იქნება.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქართველოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებას უთუოდ სჭირდება ახალი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე სტანდარტებით მომზადებული კადრის ცვლა. ქართველოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციისა და ამ დარგით დაინტერესებული ახალგაზრდა კადრების მოზიდვას ემსახურება წინამდებარე პროექტიც, რომელიც გარდა ქართველი და საზღვარგარეთელი ლექტორებისა და სტუდენტების ერთობლივი მუშაობისა და ინფორმაციის ტრანსფერისა, ორიენტირებული იქნება მსმენელთა მეცნიერული უნარების ფორმირებაზე, მათი შესაძლებლობების ამაღლებაზე, ცოდნის გაღრმავებაზე, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობაზე, მაღალი რანგის სამეცნიერო წრეებთან ადაპტირებასა და ერთობლივი მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობების ინიცირებისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნაზე. და, რაც ასევე არსებითია, საზღვარგარეთელი სტუდენტი-ახალგაზრდობის საქართველოში მიმდინარე კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით და პრობლემებით დაინტერესებაზე.

ამდენად, „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა 2019-ის" მიზანი არ არის შემოსაზ- ღვრული მხოლოდ მომავალი მკვლევრების მეცნიერული ხედვის ჩამოყალიბების, ერუდიციის ამაღლებისა და სამეცნიერო ასპარეზზე მათი წარმატების წინაპირობის შექმნით; გრძელვადიან პერსპექტივაში, ქართველოლოგიისაკენ ახალგაზრდა ნიჭიერი კადრის ინტერესისა და პოტენციის ქართველოლოგიისკენ მიმართვით, ეს არის ინტელექტუალური ინვესტიცია, რომელიც გადაუდებელი ეროვნული ინტერესებისთვისაცაა გამიზნული.

2. უკანასკნელ ათწლეულში ქართველოლოგიური პრობლემატიკა საზღვარგარეთელი

მედიევისტების, არქეოლოგებისა და ლიტერატურათმცოდნეებისათვის აქტუალური გახდა და ეს აქტუალობა საკუთრივ ქართველოლოგიურ თემებზე უცხოეთში ჩატარებული საერთაშორისო ფორუმებით გამოიხატა. საკმარისია მივუთითოთ, რომ ევროპაში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე უკვე სამჯერ ჩატარდა შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (1991 წელს ჰელსინკიში; 2014 წელს ვარშავაში; 2017 წელს დუზჯეში).

თუმცა, ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზებას, საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული გამოცდილების მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს, პირველ რიგში, საქართველოში არსებულმა სამეცნიერო წრეებმა. სწორედ ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება „საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმები“, მასალების ქართულ და ევროპულ ენებზე პუბლიკაციით; გამოიცემა ქართველოლოგიური საერთაშორისო ორენოვანი ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალები („ქართველო- ლოგი“, „სპეკალი“); იგეგმება რიგით 25-ე საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა უცხოელთათავის; ხშირი გახდა ქართველოლოგიური სესიების ორგანიზება საზღვარგარეთ, მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო კონგრესებზე; ესაა სხვადასხვა დროს „ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის“ წილობრივი დაფინანსების მოტივიც. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქართველოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებას უთუოდ სჭირდება ახალი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე სტანდარტებით მომზადებული კადრის ცვლა. ქართველოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციისა და ამ დარგით დაინტერესებული ახალგაზრდა კადრების მოზიდვას ემსახურება წინამდებარე პროექტიც, რომელიც გარდა ქართველი და საზღვარგარეთელი ლექტორებისა და სტუდენტების ერთობლივი მუშაობისა და ინფორმაციის ტრანსფერისა, ორიენტირებული იქნება მსმენელთა მეცნიერული უნარების ფორმირებაზე, მათი შესაძლებლობების ამაღლებაზე, ცოდნის გაღრმავებაზე, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობასა და მაღალი რანგის სამეცნიერო წრეებთან ადაპტირებაზე, ერთობლივი მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობების ინიცირებისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნაზე.

„ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა“ მსმენელებს მისცემს უნიკალურ საშუალებას იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მოღვაწე წამყვან სპეციალისტებთან და ქართველოლოგიურ სამეცნიერო ცენტრებთან საზღვარგარეთ; ქართული ლიტერატურითა და კულტურით დაინტერესებულ უცხოელებს (მათ შორის ეროვნებით ქართველებს) ექნებათ ყველა პირობა იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირი დაამყარონ ქართველ სტუდენტებთან და სამეცნიერო წრეებთან; პროექტის ინტერდისციპლინური ხასიათი მონაწილეებს მისცემს საშუალებას, კომპლექსურად და სისტემურად აღიქვან დასმული საკითხები თუ პრობლემები, გააფართოვონ თვალსაწიერი, განსაზღვროს საკუთარი ადგილი და ინტერესები იმ პროცესებში, რომლებიც დღევანდელი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში ვითარდება.

ამდენად, „ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლის“ მიზანი არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ მომავალი მკვლევრების მეცნიერული ხედვის ჩამოყალიბების, ერუდიციის ამაღლებისა და სამეცნიერო ასპარეზზე მათი წარმატების წინაპირობის შექმნით; გრძელვადიან პერსპექტივაში, ქართველოლოგიისაკენ ახალგაზრდა ნიჭიერი კადრის ინტერესისა და პოტენციის ქართველოლოგიისკენ მიმართვით, ეს არის ინტელექტუალური ინვესტიცია, რომელიც ეროვნული ინტერესებისთვისაა გამიზნული.-

მაკა ელბაქიძე

პროექტი – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე (1941–1956 წწ)“ არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–1941 წწ)“ – ფარგლებში დაწყებული კვლევის გაგრძელება. წინამდებარე პროექტი არის პირველი მეთოდოლოგიური მცდელობა იმისა, რომ საქართველოს შსს არქივში დაცული უცნობი და ნაკლებად ცნობილი მასალებს კვლევის შედეგად სრულიად ახალ რაკურსში იქნას გააზრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად სპეციფიკური პერიოდი - 1941–1956 წლები. პროექტზე მუშაობისას პირველად გახდა შესაძლებელი ბოლშევიზმის ინტელექტუალური ტერორის სისტემური და დანაშაულებრივი მექანიზმის აღდგენა, ცალკეულ მწერალთან დაკავშირებული კონკრეტული

გარემოებების, მათი ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალების გამოვლენა, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი პერიოდის ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირებისა. ჩატარებული კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე (1941–1956 წწ) - რომელიც საშუალებას მისცემს როგორც აღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ისე ფართო მკითხველ აუდიტორიას, ახლებურ რაკურსში წაიკითხონ და გადაიაზრონ თავიანთი ქვეყნის უახლესი ისტორია. წარმოდგენილ პროექტს აქვს აგრეთვე პერსპექტივა, სამომავლოდ, დროითი ჩარჩოს კიდევ უფრო გაფართოების შედეგად, საფუძველი გახდეს ამავე საკითხზე ჩატარებული მოდევნო, უფრო მასშტაბური კვლევებისა, ასევე, ამ თვალსაზრისით საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები	2016-2019	ელენე გოგიაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) დარეჯან გარდავაძე (პროექტის კოორდინატორი) ნინო ქავთარაძე (პროექტის

	ჰუმანიტარული მეცნიერებები სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი/ფოლკლორისტიკა FR 217488		ძირითადი მონაწილე) ანდრო გოგოლაძე (პროექტის ძირითადი მონაწილე) თეა თათეშვილი (პროექტის ძირითადი მონაწილე)

დასრულებული კვლევითი პროექტის2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ელენე გოგიაშვილი

პროექტი „აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები“ განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტის ფარგლებში [FR217488]. პროექტის მიზანი იყო ინტერდისციპლინური პერსპექტივით შესწავლა (1) ზეპირსიტყვიერი ტექსტებისა, რომლებშიც ლიტერატურული გავლენის კვალი შეინიშნება და (2) წერილობითი წყაროებისა, რომლებშიც ფიქსირებული ან ინტერპრეტირებულია ხალხური წარმოშობის სიუჟეტები. პროექტი მომზადდა სხვადასხვა სფეროში მომუშავე (ფოლკლორისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია) მეცნიერთა ჯგუფის მიერ. ინტერდისციპლინური კვლევის შედეგად არაერთი სიახლე გამოვლინდა:

- ევროპისა და აღმოსავლეთის ასახვა ქართულ ზღაპრებში: სიუჟეტები, მოტივები, პერსონაჟები;
- ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების კვლევისას გამოჩნდა სიუჟეტის გავრცელების კონკრეტული გზები;
- დაზუსტდა ინფორმაცია იმ სოციალურ და კულტურული გარემოს შესახებ, სადაც ევროპული თუ აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები იყო მიმოქცევაში;
- გამოიკვეთა უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა ეროვნული თავისებურებები, თუ როგორ ხდება მათი რეცეფცია ნაციონალურ ნიადაგზე;
- ქართული ისტორიული ქრონიკების ანალიზის მიხედვით დადგინდა, ზღაპრების რომელი მოტივები იყო აქტუალური ისტორიული პირებისა თუ ფაქტების გადმოცემისას;
- გამოვლინდა ქართულ საისტორიო ქრონიკებში დაცული თხზულებების ჟანრული თავისებურებანი აღმოსავლური, ევროპული და ნაციონალური თხრობითი ტრადიციების გათვალისწინებით.

ფოლკლორული სიუჟეტის წარმოშობის საკითხი ყოველთვის ნათლად არ იკვეთება, კულტურული ფონის ცვალებადობა კი მუდამ შესამჩნევი და ინტერესის აღმძვრელია. წინამდებარე წიგნი შესაძლებელს ხდის, თვალი გავადევნოთ კულტურულ-ისტორიულ პროცესს, თუ როგორ იქცევა ზღაპრები მედიუმად ქვეყნებსა და ხალხებს შორის.

პროექტზე მუშაობის პერიოდში განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო მივლინება გერმანიაში, ეგვიპტესა და ლიბანში. მასალისა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოპოვების, ასევე კოლეგებთან აზრთა გაზიარებისა და კონსულტაციების მიზნით ვესტუმრეთ: ვოლფენბიუტელის ჰერცოგ აუგუსტის ბიბლიოთეკას, მაინცის ევროპის ისტორიის ინსტიტუტს, კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტს, ეგვიპტის ნაციონალურ საჯარო ბიბლიოთეკას, კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრს, ალექსანდრიის ბიბლიოთეკას, ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტს, ბეირუთის სენ ჟოზეფის ფრანგულ უნივერსიტეტს.

პროექტის მსვლელობისას კვლევის შედეგები მოხსენებების სახით წარდგენილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე საქართველოში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, სომხეთში.

პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატიები გამოქვეყნდა საერთაშორისო კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში, მათ შორის ისეთ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორებიცაა FOLKLORE (Taylor&Francis გამოცემა) და FABULA (Walter de Gruyter).

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ შარაბიძე	„ვაჟა-ფშაველა _ მოზაიკური სინთეზი“, 978-9941-13-871-3;	თსუ	გვ. 2-408
2	თამარ შარაბიძე	„ნიკოლოზ ბარათაშვილი _ 12 ბიოგრაფია“ , 978-9941-13-809-6.	თსუ	გვ. 2- 313.
3	ელენე გოგიაშვილი დარეჯან გარდავაძე ნინო ქავთარაძე ანდრო გოგოლაძე თეა თათეშვილი მთავარი რედაქტორი ელენე გოგიაშვილი	აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები სტამბაშია	თბილისი გამომცემლობა „კოლორი“	360

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

თამარ შარაბიძე

1. წიგნში წარმოჩენილია ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და მხატვრული აზროვნების საკითხები საღვთისმეტყველო აზროვნებასა და მითოლოგიასთან კავშირში; ნაჩვენებია, თუ როგორ მიჰყვება ვაჟა-ფშაველას პოეტური სახისმეტყველება ქრისტიანობას, როგორ ქმნის ქრისტიანულისა და მითოსურის ერთობა მწერლის მხატვრულ სტილს; კომპლექსურად შესწავლილია მოვლენების ვაჟასეული სატირულ-იუმორისტული ხედვა; ასევე წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სხვადასხვა რაკურსით ანალიზი მოზაიკური პრინციპით.
2. წიგნში წარმოჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული აზროვნების საკითხები; ნაჩვენებია, თუ როგორი ერთიანი და მთლიანია ბარათაშვილის პოეტური სახისმეტყველება, როგორ ერწყმის მწერლის ფილოსოფიური აზროვნება მის მხატვრულ სტილს; კომპლექსურად შესწავლილია ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ხელნაწერები, პუბლიკაციები, არმოღწეული თხზულებები, საზოგადოების დამოკიდებულება მწერლის მემკვიდრეობისადმი მისი სიკვდილის შემდგომ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართება რუსულ და დასავლურ რომანტიზმთან და სხვ. ერთი სიტყვით, წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა რაკურსით კვლევა.

ელენე გოგიაშვილი

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდად ყოფნა ქართულ კულტურას ბედისწერად გასდევს და ეს ხალხური ზღაპრის შესწავლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მდიდარი მწიგნობრული ტრადიციის მქონე ქვეყნის ასევე მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერება მუდმივად მიმზიდველი და აღმოჩენებით სავსეა მკვლევართათვის. ქართული ფოლკლორისადმი ინტერესი

არასოდეს განელებულა მეცნიერთა მხრიდან და უამრავი ღირებული ნაშრომი გამოქვეყნდა. რიგი საკითხებისა კი კვლევის გაგრძელებას მოითხოვს. ქართული ხალხური ზღაპრის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ასპექტს მოიცავდა: გენეზისს, თემატიკას, მორფოლოგიურ-სემანტიკურ ანალიზს, სოციალურ ფუნქციას, მითოლოგიური რელიქტების ძიებასა და სხვა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ხალხურ ტექსტებში ლიტერატურული გავლენის საკითხს. ხალხური ზღაპრის სიუჟეტებისა და მოტივების მითოლოგიასთან კავშირის გამო ზღაპარი უძველეს ფოლკლორულ ჟანრად არის მიჩნეული, მაგრამ ამავე დროს ის ლიტერატურის ძლიერ გავლენას განიცდის. ქართულ ფოლკლორში ამგვარ მოვლენას ხშირად ვაწყდებით ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიების სახით, რომლებიც სრულად ტრანსფორმირებული არიან ზეპირი თხრობის კანონების შესაბამისად. ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო ხალხური ზღაპრების ლიტერატურული წყაროების დადგენა და გავრცელების გზის კვლევა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში. წიგნის პირველი ნაწილი ეთმობა საისტორიო ქრონიკებს, რომლებშიც ასახულია მითოლოგიურ-ზღაპრული სიუჟეტები; ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს ქართული მატიანეების ფოლკლორული წყაროების შესახებ; ისტორიული პირების ზღაპრის პერსონაჟად ტრანსფორმაციას; აღმოსავლეთისა და დასავლეთის აღქმას შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში. წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, აღმოსავლური ზღაპრების თარგმნის, ადაპტაციებისა და კვლევის ისტორია. წიგნის მესამე ნაწილში განხილულია აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კონკრეტული ხალხური ტექსტების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და შედარებით-ისტორიული ანალიზის საფუძველზე. წიგნის მეოთხე ნაწილი ეხება ქართული და ევროპული ზღაპრების ურთიერთმიმართებას, ლიტერატურული და ხალხური სიუჟეტების ევროპულ გადამუშავებებს და მათ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ასპექტებს.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი ISBN 978-9941-8-0434-2	თბილისი: „კოლორი“	264 გვ.
2	მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი, ადა ნემსაძე, მანანა შამილიშვილი, ზოია ცხადაია, მანანა	ბოლშევიზმი და ქართული მწერლობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20	თბილისი: „მწიგნობარი“	400 გვ.

	კვატაია, ნონა კუპრეიშვილი, მარიამ გიორგაშვილი	ყრილობამდე (1941-1956 წწ).		
3	ლორია, კახაბერ	კავკასიიდან პოლარულ წრემდე: წერილები ლიტერატურაზე ISBN 978-9941-468-72-8	თბილისი, „ლოგოსი“, 2019 წ.	277 გვერდი

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

მაკა ელბაქიძე

1. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების მიმართ მკითხველთა ინტერესი დღემდე არ განელებულა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგი ქართველ კლასიკოსთა შორის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი მწერალია. საქართველოს სხვადასხვა არქივში ინახება მწერლის ბევრი გამოუქვეყნებელი თხზულება, კერძოდ, ორ ათეულამდე დაუმთავრებელი მოთხრობა, ამდენივე (თუ უფრო მეტი არა) დასრულებული და დაუსრულებელი პიესა, ლექსები, პირადი წერილები, პიესების გეგმები თუ უბის წიგნაკები, რომლებიც ელის თავის მკითხველს. გამოცემა მიზნად ისახავს ნაწილობრივ მაინც შეავსოს ალექსანდრე ყაზბეგის წინარე გამოცემებში არსებული ხარვეზი, ქართველ მკითხველს კი საშუალება მიეცეს, აქამდე გამოუქვეყნებელი, უნიკალური მასალის მეშვეობით ხელახლა აღმოაჩინოს ალექსანდრე ყაზბეგი. გამოცემას თან ერთვის კვალიფიციური შესავალი წერილი. წიგნი გაფორმებულია ილუსტრაციებით.
2. წიგნში ასახულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ)“ - გათვალისწინებული კვლევის შედეგები. წიგნში შეტანილია შემდეგი რუბრიკები: შესავალი წერილი; 1. პორტრეტები; 2. ლიტერატურის ინსტიტუტის რეპრესირებული თანამშრომლები 3. 1942 წლის შეთქმულება და სამანელთა საქმე; 4. მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები; 5. ლიტერატურული სალონი „ანათემა“; 6. ქართული ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნება ; 7. პარტორგანიზაცია - მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი 8. ლიტერატურა იდეოლოგიის ტყვეობაში. 9. ადამიანური ისტორიები 10. პუბლიკაციები; 11. დოკუმენტები.

კახაბერ ლორია

კრებულში შესულია წერილები ქართულ და ნორვეგიულ ლიტერატურაზე, აგრეთვე გამოკვლევები შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში. კრებულში იბეჭდება ჩემ (კახაბერ ლორია) მიერ უცხო ენებზე აქამდე გამოქვეყნებული და მკითხველისათვის, ვფიქრობ, საინტერესო თითქმის ყველა სტატია. მათ შორის, ცხრა გამოკვლევა ინგლისურადაა წარმოდგენილი, სამიკი - ნორვეგიულად. გარდა ამისა, კრებულში შესულია ოთხი პუბლიკაცია ქართულ ენაზე. ნორვეგიულ და ქართულ ტექსტებსთან ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმეები. კრებულში თავმოყრილი სტატიების უმეტესობა უახლოეს წარსულში გამოქვეყნებულია სხვადასხვა უცხოურ და საერთაშორისო გამოცემაში. წიგნი განკუთვნილია როგორც ქართული და სკანდინავიური ფილოლოგიის პროფილის სტუდენტებისათვის, ისე ლიტერატურათმცოდნეთა, ქართველოლოგთა და სკანდინავისტთა აკადემიური წრეებისათვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელგუჯა ხინთიბიძე	ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის თაობაზე	ქართველოლოგი, #13	თბილისი, ქართველოლოგი	5

2		„ვეფხისტყაოსნის“ გზა ევროპისკენ და ინგლისური საისტორიო წყაროები	ქართველოლოგი, #13	თბილისი, ქართველოლოგი	7
3	მაკა ელბაქიძე	„Viktor Nozadze, Rustaveli's The Knight in the Panther's Skin, and the Soviet Ideology“	Primerjalna Književnost. Vol, 42. N 1.	ლუბლიანა: Primerjalna Književnost.	Pp. 103-117.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ელგუჯა ხინთიბიძე

1. ისევ *ვეფხისტყაოსნის* ქაჯეთის თაობაზე

ნაშრომში განხილულია ქაჯეთის სამეფოს და ქაჯთა ხსენების სხვადასხვა შინაარსით მითითება „ვეფხისტყაოსანში“. *ქაჯი* „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა სემანტიკის შემცველია: 1. მიუთითებს ხალხში გავრცელებულ შეხედულებაზე უხორცო, ბოროტი სულიერ არსებებზე; 2. მიუთითებს „ვეფხისტყაოსანში“ ავტორისეული ფანტაზიით მოაზრებული ქაჯეთის სამეფოს მკვიდრებზე, რომელთაც ქაჯი (და ქაჯეთის სამეფო) იმიტომ ეწოდებათ, რომ ხალხურ წარმოდგენაში არსებულ უსულო არსებათა მსგავსად სასტიკი და დაუმარცხებელი ადამიანები არიან; 3. ზოგჯერ სიტყვა გრძნეულით პოემაში მითითებაა განსაკუთრებული ცოდნის მქონე ადამიანებზე, რომელიც ამის გამო ქაჯებთანაა მიმსგავსებული.

2. „ვეფხისტყაოსნის“ გზა ევროპისკენ და ინგლისური საისტორიო წყაროები

ნაშრომში შესწავლილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი ინგლისური საისტორიო პირველწყაროები, რომლებშიც საუბარია მე-16 საუკუნის დასასრულის შაჰ აბას პირველის ქართველ ქრისტიან ცოლებზე და მათი შვილების თავგადასავალზე. ეს დღემდე შეუსწავლელი წყაროები ადასტურებენ, რომ ქართველი პატარძლები ეხმარებოდნენ მე-16 საუკუნის ბოლოს ირანში ინგლისურ ექსპედიციას, რომლის მეშვეობითაც უნდა იყოს მიტანილი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ინგლისისი სამეფო კარის დრამატურგებთან.

4.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელგუჯა ხინთიბიძე	ვარაუდები რუსთველის პოემის დასასრულზე ISBN 9789994089192	ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, მასალები.	თბილისი, ქართველოლოგი	7

2	ელგუჯა ხინთიბიძე	კომენტარი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის თაობაზე (რუსთველისეული თუ ინტერპოლატორისა) ISBN 9789941138829	აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე - 90 (საიუბილეო კრებული)	თსუ გამომცემლობა, თბილისი	10
3	ელგუჯა ხინთიბიძე	უცნობი საისტორიო წყარო სპარსეთის სეფიანთა კარზე ქართული კვალის თაობაზე ISBN 978-9941-487-35-4	ისტორიანი	არტანუჯი თბილისი	17
4	ელგუჯა ხინთიბიძე	ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება „ვეფხისტყაოსანში“	რუსთველოლოგია	ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომც.	(იბეჭდება)
5	ნესტან სულავა	სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“	„გულანი“, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი. #22. 2019.	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.	გვ. 137-163
6	ნესტან სულავა	წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფია („ვის ნაჭარმაგევს მეფენი“...) და ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“	შრომათა კრებული, #17. 2019.	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი	გვ. 724-739.
7	ნესტან სულავა	თარგუმების მნიშვნელობა „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები. # 15. 2019.	გვ. 74-90.
8	ნესტან სულავა	განგების საღვთისმეტყველო არსი და გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“	ელდარ მამისთვალიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2019.	გვ. 496-517.

9	ნ.გონჯილაშვილი, ნ. სულავა	წმ. მარიამ მაგდალინელის სახის გააზრებისათვის XX-XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის- ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები,"XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები, მასალები (იბეჭდება).	თბილისი, თსუს გამომც.	
10	ნ.გონჯილაშვილი	მიწისა და ზეცის საგალობელი (ა. წერეთლის პოეზიის მიხედვით)	ძიებანი, 2019, XXXX (იბეჭდება).	თბილისი, თსუს გამომც.	
11	ნ.გონჯილაშვილი	გალაკტიონ ტაბიძის ლექსის - „პოემა ვეფხვისა“ - გააზრებისათვის	გულანი, 2019, 22.	ახალციხე	გვ. 29-49
12	ნ.გონჯილაშვილი	„ქვეყანა ზეცას, ზეცა ქვეყანას ეკავშირება…“ (აკაკი წერეთლის ლირიკის მიხედვით)	ენა და კულტურა, 2019, 21	ქუთაისი	გვ.80-86
13	მაკა ელბაქიძე	*მწვავე ლიტერატურული თემის აქტუალიზაცია ქართულ სცენაზე (ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“).* ISSN 1987-5363	მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმის „80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“ - მასალები.	თბილისი: თსუ გა მომცემლობა	გვ.255-264
14	მაკა ელბაქიძე	*The Chaucer Reception of Medea Myth* (“The Legend of Good Women”). ISBN 978-9941-468-56-8	Medea in World Artistic Culture, Proceedings of the International Conference.	თბილისი: LOGOS.	გვ.255-264
15	მარინა აროშიძე, დავით გოცირიძე, თამარ შარაბიძე	უფლება პლაგიატზე ISBN 978-5-91730-651-3	სამეტყველო აქტივობის თეორია: თანამედროვე გამოწვევები	რუსეთი, ქ. მოსკოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	10 გვ.
16	ეკა ვარდოშვილი	ლიტურგიული ცნობიერების ასახვისთვის ახალ	გელათის მეცნიერებათ აკადემიის ჟურნალი, Journal of Gelati Academy of	გამომცემლობა: „ინტელექტი“ ქუთაისი	გვ. 15-22

		ქართულ ლიტერატურაში, Liturgical consciousness in New Georgian Literature,	Sciences, N3-4 მარტი-აპრილი, 2019, ISSN 1512-1593,		
17	თამარ პაიჭაძე	სიმბოლო - ჩაუკეტავი მნიშვნელობანი და სემიოტიკური გზები	ჟურნალი „სემიოტიკა“ 2019		
18	ელენე გოგიაშვილი	ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე ISSN 1987-9970	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XV, 2019	თბილისი თსუ	გვ. 315-326.
19.	ვლადიმერ მინაშვილი	ალექსანდრე ყაზბეგი როგორც დრამატურგი (დრამების “არსენა” და “წამება ქეთევან დედოფლისა”-ს მაგალითზე)	ი.ჭავჭავაძის სახ. მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიურ ალმანახში “მწიგნობარი” 2019 წ.	თბილისი	
20	ვლადიმერ მინაშვილი	. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ზნეობრივი და მეცნიერული გმირობა.	იბეჭდება აკად.კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში;		

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ელგუჯა ხინთიბიძე

1. ვარაუდები რუსთველის პოემის დასასრულზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ე.წ. ეპილოგი, რომელშიც ავტორის მიერ პოემის დასრულებაზე, საკუთარ დამოკიდებულებაზე მეფე-პატრონებთან და ამ ტიპის სხვა ინფორმაციაზე იქნებოდა საუბარი, შეიძლება რომ საზოგადოდ არ ჰქონოდა. დღეისათვის პოემის ყველა ხელნაწერითა და ბეჭდური გამოცემით პოემის არსებული ეპილოგი სამართლიანადაა მიჩნეული არარუსთველურად.
შესაძლებელია, რომ პოემას ამ ტიპის ეპილოგი საერთოდ არ ჰქონოდა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი სპარსული ეპიკური თხზულებანი უპირატესად ეპილოგის გარეშე მთავრდება (მათ შორის, ისეთების, რომელთაც პროლოგი გააჩნიათ). ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილ გმირთა თავგადასავალი არ დასრულებულიყო. იგი შეიძლებოდა დასრულებულიყო მოქმედების თანმიმდევრული აღწერის გარეშე, მსგავსად ქართული ზღაპრის დასასრულისა. პოემაში მოთხრობილი ამბის დასრულების ტიპის სტროფები ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში იკითხება.

მაგალითად, „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეთ...“.

2. კომენტარი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის თაობაზე (რუსთველისეული თუ ინტერპოლატორისა)

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი (1247), რომელშიც *ქაჯნი* დახასიათებულია ხალხურ ფანტაზიაში არსებული წარმოდგენის მიხედვით (უხორცო არსებები). წინა სტროფში კი, *ქაჯნი* დახასიათებულნი არიან, როგორც მამაცი და საომარი საიდუმლო ხელოვნების მცოდნე ადამიანები. მოყვანილია არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ სტროფი 1247 შეიძლება პოემაში ჩართული იყოს ინტერპოლატორის მიერ.

3. უცნობი საისტორიო წყარო სპარსეთის სეფიანთა კარზე ქართული კვალის თაობაზე

ინგლისურ საისტორიო პირველწყაროებში, კერძოდ, მე-17 საუკუნის დასაწყისში სპარსეთის სამეფო კარზე მივლენილი ინგლისელი ატაშეს ტომას ჰერბერტის და მე-16 საუკუნის დასასრულს სპარსეთში ჩასული ინგლისელ დიპლომატთა ხელმძღვანელის ანტონი შერლის მიერ მე-17 საუკუნეში გამოქვეყნებულ წიგნებში აღნიშნულია, რომ ინგლისელ ინტელექტუალთა დელეგაციას ეხმარებოდა შაჰ აბასის ორი ქართველი ქრისტიანი ცოლი და ცნობებია მოცემული მათ, ასევე მათი შვილების შესახებ. ნაშრომში განხილული ეს საისტორიო პირველწყაროები არ იყო ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

4. ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება „ვეფხისტყაოსანში“

ჩემ მიერ ორიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომში დასაბუთებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფში დამოწმებულია ბერძნული მითოსის პერსონიფიცირებული სიყვარული - *ეროსი* პლატონის „ნადიმისეული“ დეფინიციით - ბრძენი დემონი. წინამდებარე სტატიაში რუსთველი სხვა სტროფში მოიხსენიებს სიყვარულს ბერძნულ მითოსში და პლატონის იმავე ტრაქტატ „ნადიმში“ დამოწმებული დეფინიციით - *კარგი დემონი.*

ნესტან სულავა

1. სამეცნიერო ლიტერატურაში „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ კვლევა სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური, საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი ასპექტების გამოსავლენად კარგა ხანია მიმდინარეობს. ჩემი სტატიის განხილვის საგანია „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ კიმენური რედაქციის რაობის, არსის, ღირებულების, ქართველი ერის ისტორიაში ასურელ მამათა ღვაწლის, დამსახურებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, სახისმეტყველებითი ასპექტების, ბიბლიური სიუჟეტებისა და ხატ-სახეების თხზულების პერსონაჟებთან მიმართებების არსობრივი განხილვა, მასში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენა, რათა დადგინდეს თხზულების, როგორც საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ნაწარმოების, ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რისთვისაც უნდა შევისწავლოთ თხზულების მიმართება ბიბლიასთან, ჰაგიოგრაფიულ და სხვა ლიტერატურულ თხზულებებთან, პერსონაჟის წარმოსახვის ჰაგიოგრაფიული ხატმეტყველება, ნაწარმოების მსგავსებები სხვა ასურელ მამათა შესახებ დაწერილ თხზულებებთან, რაც დაგვეხმარება „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-გამომსახველობითი, ესთეტიკური რაობა-რაგვარობის უკეთ გამოსავლენად და დასადგენად.

როგორია ასურეთიდან//სირიიდან წამოსული წმ. იოვანეს გზა, რაზე გადის იგი? როგორია ჰაგიოგრაფიული პერსონაჟი და რა თვისებებითაა აღჭურვილი? რთულია გზა, რომელიც წმ. იოვანემ აირჩია. იგი სულიერებით აღსავსე და განწმენდილი გონებით შეუდგა ქრისტეს გზაზე სვლას, რაც ქანაანისაკენ მიმავალი აბრაამის გზას მოგვაგონებს და ასეცაა გააზრებული თხზულებაში. წმ. იოვანე, „ვითარცა ვარსკულავი“, შუამდინარეთიდან გამობრწყინდა. სირიიდან ჩრდილოეთით, ქართლში წამოსვლა გადაწყვიტა. მისი ქართლს მოსვლა თხზულებაში ღვთის ნებითაა განსაზღვრული, რაც ძველი და ახალი აღთქმის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეებით არის ნაჩვენები. წმ. იოვანეს ქართლისაკენ წამოსვლა სახარებისეული ეპიზოდით, აღმოსავლეთით მოტყინარე ვარსკვლავისაკენ მოგვების სვლის ეპიზოდითაა შთაგონებული, რაც, აგრეთვე, სახისმეტყველებითად გასააზრებელია.

წმ. იოვანე ზედაზნელის მოძღვრება, რომლითაც მან მიმართა თავის მოწაფეებს და რომელიც, რევაზ სირაძის ვარაუდით, თვით წმ. იოვანე ზედაზნელის მიერ შექმნილი „სწავლანი“ უნდა იყოს, აღსავსეა საღვთო სიბრძნით, ზნეობრიობითა და ღმრთივსულიერობით. მის სიტყვებში გამოსჭვივის ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ღრმა ცოდნა, დიდი სულიერი გამოცდილება,

დამოკიდებულება ამქვეყნიურობისა და ზესთასოფლისადმი, ძველი და ახალი აღთქმის პრინციპების ბერმონაზვნურ ყოფაში გატარებისა და დოგმების დაცვის აუცილებლობა. წმ. იოვანეს მოძღვრებაში ახსნილია ანგელოზთა და კაცთა ბუნების, სოფლისა და ზესთასოფლის რაობა, ღვთისმეტყველების ღრმააზროვანი დებულებების საფუძველზე განმარტებულია, ვინ არის და რისთვის მოსულა ადამიანი; მან მოწაფეებს ადამის ცთომის, აკრძალული ნაყოფის გემოჲსხილვის ბიბლიური სიუჟეტიც გაახსენა, რათა უცთომლად სიარულს, ბერულ ღვაწლს მიჩვეოდნენ. მოწაფეები გააფრთხილა, რომ ღვთის მცნებებს არ გარდასულიყვნენ. წმ. იოვანე ზედაზნელმა აღასრულა სრბაჲ თვისი და დატოვა წმინდანის სახელი. მან და მისმა მოწაფეებმა უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ჩაუყარეს საფუძველი, ეს ლავრული ცხოვრება იყო, ხოლო სამონასტრო ცხოვრებას მოჰყვებოდა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეებიც, რადგან მონასტერი ის ადგილი//სივრცე იყო, სადაც იწერებოდა თხზულებები, სრულდებოდა თარგმანები უცხო ენებიდან, ვითარდებოდა ხატწერა, ფრესკული მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება, მონასტრებში არსებობდა სამგალობლო სკოლები, რომლებსაც ერის სულიერი აღმზრდელის როლი ეკისრებოდა, რადგან იგი, როგორც სიტყვისა და მელოსის ნაზავი, მსმენელზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ყოველივე ამის სათავეებთან წმ. იოვანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები დგანან. ასურელ მამათა მოღვაწეობამ ღრმა კვალი გაავლო ქართული ეკლესიის, ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათ განსაკუთრებული, მოციქულებრივი, კონცეპტუალური როლი შეასრულეს ქართველი ერის ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობის, დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრებაში, რაც ეპოქალური მოვლენა იყო.

2.წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“, დავით აღმაშენებლის „გალობანი“ და თამარის იამბიკოები მრავალმხრივ საყურადღებო ჰიმნოგრაფიული თხზულებებია, რომლებშიც უმთავრესად ღმერთისა და სამყაროს, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებათა საკითხებია დასმული, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახის სიმბოლური არსი და მნიშვნელობაა წარმოჩენილი. ღვთისმშობლის ხატ-სახე სამივე ჰიმნოგრაფ ავტორთან ქრისტიანული ღვთისმეტყველების სიმბოლური სახისმეტყველების კვალობაზეა ინტერპრეტირებული. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს საგალობლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და სხვადასხვა სიმბოლური სახელითაა წარმოდგენილი. სიმბოლურ სახელებს განმარტებულია საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, რომელთაგან საგანგებოდ უნდა დავასახელოთ წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის მეტაფრასული საკითხავები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“ ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონია და ოთხივეში ღმრთისმშობლისანად ერთი და იგივე ტროპარებია გამოყენებული, ე.ი. ოთხივე კანონში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მხოლოდ ცხრა ტროპარია, ღმრთისმშობლისანად მხოლოდ ცხრა ტროპარი გამოიყენება, ხოლო დავით აღმაშენებლის რვაგალობიან ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეძღვნება სულ რვა ტროპარი, რომლებიც ღმრთისმშობლისანად დაერთვის თითოეულ გალობას. ჩვეულებრივ, წმ. ანდრია კრიტელის, წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან მოყოლებული, საგალობელთა ავტორები ჰიმნოგრაფიულ კანონებს ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული ღმრთისმშობლისანებს ურთავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლისპირთა მსგავსად, ახალი ჰიმნოგრაფიული კანონების შექმნისას ცალკეული გალობისათვის ღმრთისმშობლისანებიც არ იქმნებოდა, არამედ უკვე შექმნილს იყენებდნენ. რასაკვირველია, იყო გამონაკლისები, როდესაც იქმნებოდა თვითძლისპირები, ანუ ჰიმნოგრაფი მზამზარეულ ძლისპირს კი არ იყენებდა, არამედ ძლისპირსაც თავად თხზავდა და ასევე ქმნიდა ღმრთისმშობლისანებსაც. ქართულ ჰიმნოგრაფიაში თვითძლისპირთა ნიმუშად შეიძლება იოვანე მინჩხის საგალობლებზე დართული ძლისპირები დასახელდეს, ხოლო ღმრთისმშობლისანების ნიმუშად კი შეიძლება წმ. გიორგი მთაწმინდელის „პარაკლიტონის“ თარგმნისა და ძლისპირ-ღმრთისმშობლისანთა შექმნის ისტორია გავითვალისწინოთ. კერძოდ, წმ. გიორგი მთაწმინდელი „პარაკლიტონის“ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში აღნიშნავდა, რომ ბერძნულ დედანს ღმრთისმშობლისანები აკლდა და „ასორმეოცი ღმრთისმშობლისანი მე შემიმატებიაო“, ე.ი. ამ ღმრთისმშობლისანთა ტროპარების ავტორი თავად წმ. გიორგი მთაწმინდელია. ცნობილია, რომ ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა ავტორები იყვნენ ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები წმ. ანდრია კრიტელი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. კოზმა იერუსალიმელი, წმ. იოსებ სტუდიელი, წმ. თეოფანე გრაპტოსი და სხვანი. ჩვენთვის საინტერესოა წმ. იოანე

დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის ჰიმნოგრაფიული საქმიანობა, რადგან მათი საგალობლები, მათ მიერ შექმნილი ძლისპირ-ღვთისმშობლისანები ადრევე ითარგმნა ქართულ ენაზე. მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საწელიწდო იადგარს წინ უძღვის ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა ტექსტები, რაც იმას ნიშნავს, რომ კრებულში შეტანილ სხვადასხვა ავტორის ჰიმნოგრაფიულ კანონებს სწორედ ეს ძლისპირ-ღვთისმშობლისანები დაერთვით. ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულთა, კერძოდ, საწელიწდო იადგართა უმეტესობა სწორედ ამ მეთოდითაა შედგენილი. იადგართა პარალელურად იქმნებოდა ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა კრებულები, რომელთა ზეპირად ცოდნა მოეთხოვებოდათ მგალობლებს. ამგვარ კრებულთა რიგს ეკუთვნის ე.წ. გოლგოთური ნევმირებულ ძლისპირთა კრებული, რომლის შემდგენელია იორდანე და იგი მისი სახელით მოიხსენიება კიდეც. ესაა ხელნაწერი A-603, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული. ამ საკითხზე მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ დავით აღმაშენებლის საგალობელში გამოყენებულია როგორც ძლისპირები, ისე ღვთისმშობლისანები, რომელთაგან ძლისპირებად ცნობილი ტროპარებია გამოყენებული და ძლისპირთა კრებულებში გვხვდება, ხოლო ღვთისმშობლისანთა წარმომავლობის გარკვევისას ლაურა გრიგოლაშვილმა აღნიშნა, რომ ისინი ცნობილ ღვთისმშობლისანთა ტექსტებში არ გვხვდება და დაასკვნა, რომ ისინი თვით დავითის მიერ შეთხზული ტროპარებია. ამიტომაც დავსვით საკითხი ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოსახვის შესახებ, მისი სიმბოლური გააზრების შესახებ წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, რომელსაც ავტორისეული ძლისპირ-ღვთისმშობლისანები ახლავს, დავით აღმაშენებლის „გალობანში“, რომლის ღვთისმშობლისანები თვით დავითის შექმნილია და თამარის ორივე იამბიკოში _ „ცასა ცათასა“, „ქალწულებრივთა სისხლთა“; ამიტომ განვიხილეთ საკითხი, თუ როგორი სახისმეტყველებით წარმოაჩენს თითოეული ავტორი ღვთისმშობლის ხატ-სახეს, რა აქვთ მათ ერთმანეთთან საერთო. ამ კუთხით ეს სამი საგალობელი ერთმანეთის პარალელურად განხილული აქამდე არ ყოფილა.

3.„წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, რომელიც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ურთულეს ეპოქას შეეხება და ასახავს; მასში წამოჭრილია ეპოქის არაერთი საჭირბოროტო საკითხი, მაგრამ ყველაზე მეტად ავტორის მიერ პერსონაჟის, ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი განვითარების ეტაპების, სულიერი ამაღლებულობის ჩვენება უნდა გამოვყოთ, რისთვისაც თხზულებაში თარგუმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების ადრეულ ხანებში „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ მაღალმხატვრულ ნაწარმოებად არ მიიჩნეოდა. მაგრამ შემდგომმა კვლევებმა ნათლად წარმოაჩინა მისი სახისმეტყველებითი და საღვთისმეტყველო ღირსებები. აღმოჩნდა, რომ იგი ესთეტიკურ ფენომენს მოკლებული არაა.„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ თარგუმებში გადმოცემული სიბრძნე ბიბლიურ-ევანგელური და პატრისტიკულია, რაც სხვა რელიგიებთან, იუდაიზმთან და წარმართობასთან (ცეცხლთაყვანისმცემლობა, ზოროასტრიზმი) შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად არის მოხმობილი. წმ. ევსტათიმ სპარსთა წინაშე სწორედ სამყაროს შექმნის ბიბლიურ-ევანგელური კონცეფციის გაცნობით შეძლო თავისი სულიერი სიძლიერის დამტკიცება, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატვა. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ თარგუმებს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მთავარი პერსონაჟი სხვა პერსონაჟთა სულიერ სამყაროზე გავლენის მოსახდენად იყენებს, მისი პოზიციაა საკუთარი რწმენის დაცვა და ამის საფუძველზე წარმართთა მოქცევა ქრისტიანობაზე. ამავე დროს, თარგუმი სულიერი სწავლებაა, რომელიც ჰაგიოგრაფიულ გმირს სულიერი აღმასვლის, ზეციური მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს.

თარგუმის, როგორც ტერმინის, შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა მიმოხილვის შემდეგ სტატიაში შესწავლილია მისი ადგილი „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“, რომელშიც თარგუმების სახით ვლინდება თხზულების მთავარი პერსონაჟის ცოდნა ბიბლიისა, რაც წმინდანის ქრისტიანულ ცნობიერებას დაედო საფუძვლად.

4.„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, როგორც საღვთისმეტყველო პრობლემატიკის ამსახველ ნაწარმოებში, განგების კონცეფციას წარმმართველი როლიეკისრება და მისი პერსონაჟები თავიანთ ქმედებებში ღვთისნებითობას ითვალისწინებენ, მას ემყარებიან, ეპიზოდებიც განგების აღსრულებას ასახავენ. ყოველი პერსონაჟი გიორგი მერჩულის თხზულებაში განგების კონცეფციის კვალობაზეა წარმოსახული და სტატიაშიც ამ თვალთახედვითაა განხილული გიორგი მერჩულის თხზულების ეპიზოდები, კერძოდ, წმ. გრიგოლის მღვდლად კურთხევა, კლარჯეთში წასვლა და სამონასტრო

მშენებლობის დაწყება, ხანცთის, შატბერდის მონასტერთა აგება და დაარსება, ტიპიკონისა და საწელიწდო იადგარის შედგენა, აშოტ კურაპალატისა და მისი შვილების პოლიტიკურ-იდეოლოგიური საქმიანობა, წმ. ეფრემისა და არსენის მონასტერში მიყვანა და აღზრდა, მათი სასულიერო მოღვაწეობის გზა, საბას მიერ იშხნის მონასტრის განახლება და ა.შ. ყოველივე ეს მოწმობს იმას, წმ. გრიგოლ ხანცთელი და მისი თანამოაზრე წმინდა მამები მხოლოდ ღვთის ნებით აღასრულებდნენ მათზე ღვთისგან დაკისრებულ სულიერ მისიას. ღმერთი ადამიანში თავის ნებას, წინასწარგანზრახულებას სულიწმიდის მეშვეობით ახორციელებს, თუ იგი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ გრძნობადით, ინტელექტუალურითა და ნებელობითით, ე. ი. სულიერი ცხოვრებით უერთდება ღმერთს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის ნება აღსრულდა. ყოველივე ამას, ცხადია, ქრისტიანული მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად. გიორგი მერჩულემ სწორედ ამ შეხედულებათა გათვალისწინებით ჩამოაყალიბა თავისი პრონოეტული კონცეფცია და თხზულების პერსონაჟები ღვთის განგების აღმსრულებელ პიროვნებებად დასახა.

ნანა გონჯილაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის - „პოემა ვეფხვისა“ - გააზრებისათვის

„პოემა ვეფხვისა“ სრულიად განსხვავდება გალაკტიონის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე შეთხზული ლექსების ციკლისაგან. იგი ცალსახად მოდერნისტულია; ერთდროულად ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის, ნაწილობრივ ეგზისტენციალიზმის, უმეტესწილად კი სიმბოლიზმის ნიშნებს ითავსებს. შესაბამისად, „პოემა ვეფხვისა“ მრავალპლანიანი აზრობრივი შრეების წვდომისაკენ მიმართავს მკითხველის ფიქრსა და წარმოსახვას, განსჯასა და ხედვას, რაც აზრის პლურალიზმის განმაპირობებელი და განმსაზღვრელია. ლექსში კონკრეტულთან და ამ კონკრეტულის მიმანიშნებლებთან ერთად, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ უკავშირდება, პოეტი ვიზიონერული მხატვრული სამყაროსა და აბსტრაქციის გზით, მკითხველის გულიყურს მასშტაბური ხედვა-ჭვრეტისაკენ წარმართავს. ეს იმგვარი, რაღაც არაცნობიერი და ღრმა იდუმალებით გამსჭვალული ფიქრი-წარმოსახვაა, რომელიც დრო-სივრცის საზღვრებს ერთგვარად მოხაზავს და იმავდროულად კიდეც შლის და არღვევს, სიახლოვე-სიშორის და უდროო-დროის განზომილებით წარმოდგება. „პოემა ვეფხვისა“ მოდერნიზმისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ამჟღავნებს; მასში მოდერნიზმის ესთეტიკა და პოეტი კავლინდება.
ლექსის სათაური „პოემა ვეფხვისა“ იმთავითვე „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიმართავს ფიქრს და მკითხველიც ამგვარი მზაობით აღჭურვილი მიჰყვება სტრიქონებს, თუმც კი გალაკტიონი, რუსთველისეული მეტაფორული აზროვნების დაკვალობაზე, ახალ, პირად-ინდივიდუალური გრძნობად-განცდებით გამსჭვალულ სივრცეებს მიგვაახლებს. ეს გალაკტიონის შეგრძნებათა, განწყობათა, ხედვათაწყებებია და, შესაბამისად, მკითხველი რუსთაველის ფიქრზე ნაფიქრს საფიქრალად იხდის და თავადაც (ცნობიერედ თუ უცნობლობით) ახალ ფიქრთა, მსჯელობათა და ხედვათა „დამბადი“ ხდება. ამდენად, გალაკტიონიერთგვარიმედიუმიარუსთაველსა და მკითხველს, შესაძლებელსა და შეუძლებელს, რეალურსა და მიღმურს, არსებულსა და სასურველს შორის. მკითხველი „ორგემაგე“ მეტაფორა-სიმბოლოების ამომცნობ-ამომხსნელის ურთულეს როლშია ღმოჩნდება და ეპოქათა დრო-სივრცით დახაზულ ლაბირინთში ვარაუდებითა და ალბათობებით გზის გამკვალავის ფუნქცია ენიჭება. გალაკტიონის ზმანებად ქცეულ ფიქრთა ხვეულებში „ვეფხისტყაოსნისეული“ პასაჟების გარდა თქმათა ჩართვა მკითხველს რუსთველის ნათქვამი საგანმოწყვეტის საშუალებას არაძლევს, თუმც კი დრო-სივრცული განზომილების +მასშტაბურობაამისკენუბიძგებს.
ლექსის სათაური – „პოემავეფხვისა“, რუსთაველის პოემის გალაკტიონისეულ ხედვასა და აღქმას ითავსებს, კერძოდ, ლექსის სახელდებაში არ ჩანს ვეფხვის ტყავის მატარებელი გმირი და მხოლოდ ნესტანის სახე-სიმბოლო, ვეფხვი, წარმოჩინდება. ვფიქრობთ, გალაკტიონის ლექსის სათაური, უფრო მეტად, მკითხველზეა ორიენტირებული, რათა იმთავითვე გაცხადდეს ლექსის თემატიკა, ჟანრის მითითება კი თვალნათლივ გამოკვეთს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებას (და, ალბათ, განასხვავებს მას ხალხური „ლექსივეფხისა და მოყმისაგან“). და მართლაც, „პოემავეფხვისა“ რეციპიენტისწარმოსახვაშიმხოლოდ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიემართება, რამეთუ ქართველი მკითხველი ვეფხვთან დაკავშირებულ სხვა პოემას არ იცნობს.

წმ.მარიამ მაგდალინელის სახის გააზრებისათვის XX-XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში

საზოგადოდ, ქართულ ლიტერატურაში, ჩვენდა გასაკვირად, წმ. მარიამ მაგდალინელს ერთეული ნაწარმოებები ეძღვნება. შეძლებისდაგვარად რად, მოვიძიეთ და განვიხილეთ საზოგადოებისთვის ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მწერლების აღნიშნულ თემატიკაზე შექმნილი ლექსები. ცალკე კვლევის საგანია, თუ რატომ არ იქცა წმ. მარიამ მაგდალინელის სახე ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყაროდ; სწორედ ამ გარემოების გამოჩვენთვის ყურადსაღებია ყველა ის მხატვრული ნაწარმოები და გააზრება, რაც მოციქულთა სწორის პიროვნებას უკავშირდება.

1.ქართულ ლიტერატურულტრადიციებში წმ. მარიამ მაგდალინელი იმთავითვე წმინდანის სახისმეტყველებით შემოდის და მისაბაძად ისახება. გრიგოლ რობაქიძემ გრაფინია გიტა [ბრიგიტა] შტრახვიტცი მისთვის ჟენევიდან მიწერილ პირად წერილში ახალგაზრდა ქალი წმ. მარიამ მაგდალინელს შეადარა და წმინდანის თვისებებით წარმოაჩინა. გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე არაა აღრეული სახარებისეულ მრუშ დედაკაცთან, იგი ის მარიამია, რომელიც მაცხოვარს მუდმივად თან ახლდა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, დაესწრო ჯვარცმას, დასაფლავებას, კვირას გამთენიისას, ჯერ კიდევ ბინდისას მივიდა საფლავთან და ცარიელი იხილა იგი, აღდგომის შემდეგ მას პირველს გამოეცხადა მაცხოვარი, ე. ი. ესაა წმ. მარიამ მაგდალინელი.

2. წმ. მარიამ მაგდალინელის სახე და მისი გადააზრების ცდა წარმოჩნდება ტიციან ტაბ ნოველაში „ყორანი“, რომელიც გვიამბობს დაღლილი მგზავრის მიერ უდაბნოს ქვიშაში ჩაფლ ცხოვრების წიგნის ფურცლებზე ამოკითხულ გოლგოთის მისტერიის ამბავს. ტიციანის წარმოსახ ევანგელური მონათხრობის კვალობაზე, წმ. მარიამ მაგდალინელი უფლის ტანჯვის თანამდგ ქრისტეს დიდი რწმენისა და სიყვარულის დამტევია, მისი ჯვარცმისას დაღვრილ უმანკო სისხლ მარიამ მაგდალინელის ცრემლები უერთდება და ადამიანთა ცოდვების დასამარხად მზრუნ ქალად წარმოგვიდგება. მწერლის მხატვრული ნააზრევი მხოლოდ ორიოდე მცირედი, უმნიშვნ ნიუანსით განსხვავდება წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ მართლმადიდებლურ ტრადიც დამკვიდრებული წარმოდგენებისგან.

3. ყურადღებას იქცევს ანა კალანდაძის ლექსი „ვარსკვლავების შარავანდით...“. ლექსში წმ. მა მაგდალინელის ხატ-სახემ წარმმართველი ადგილი დაიკავა იმ მენელსაცხებლე ქალთა შო რომელთაც მაცხოვრის საფლავი ცარიელი ნახეს. მართალია, აქ არაა მაცხოვრისა და წმ. მა მაგდალინელის ადრეულ ურთიერთობაზე საუბარი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი ნახსენებია კვ გამთენიისას მაცხოვრის საფლავთან მისული მენელსაცხებლე დედების კონტექსტში. ეს ლ მოწმობს, რომ ანა კალანდაძეს წმ. მარიამ მაგდალინელის ტრადიციული სახე აქვს წარმოდგენილ

ანა კალანდაძის უსათაურო ლექსის ეპიგრაფიდან – „მინაწერი ტიციანის სურათზე „მონ მარიამ მაგდალინელი“ – იმთავითვე ცხადი ხდება, თუ ვინაა მხატვრული სიტყვის ადრესატი კალანდაძის მხატვრულ ნააზრევში წმ. მარიამ მაგდალინელის სახე სახარების თხრობას ეყრდ მხოლოდ მისი ცოდვილიანობის აღნიშვნაში, მოციქულთა სწორის სულიერი ძვრები, შეხედულებები განსხვავდება ქრისტიანული სწავლებისაგან.

4. დ. კიკვაძე ლექსში„მარიამ მაგდალინელს“ წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნებას, ჩ აზრით, ცოდვანაზიარევ, კონკრეტულად, სხეულებრივი ცდუნების ცოდვით შეპყრობილ ქა წარმოსახავს, რომელიც სინანულის გზით და უფლისაგან ცოდვათა მიტევებით, ახალი ცხოვრ წესით მზერას მარადისობას უსწორებს. მაგრამ ფაქტია, რომ პოეტს წმ. მარიამ მაგდალინელის მცდარად, დასავლური ტრადიციის კვალობაზე აქვს გააზრებული და მას ცოდვილ, მრუშ დედაკა მიიჩნევს. ამიტომ ამ ლექსში გამოხატული თვალსაზრისი ღირებულებათა გადაფასების ნიმუ გვესახება.

5.ლექსო ზარდიაშვილის ლექსი – „იოანე ღვთისმეტყველი და მარიამ მაგდალინელი გოლგოთაზ მთლიანად შთაგონებული და წარმართული აევანგელური სახისმეტყველებით, რეცეფციითა ალუზიებით. ლექსის განხილვის შედეგად ჩანს, რომ ლ. ზარდიაშვილის ლექსში მა მაგდალინელის სახე, ძირითადად, მართლმადიდებლურ ტრადიციას მიჰყვება და მენელსაცხე დედის მრუშების ცოდვის კვალი არ ჩანს, პირიქით, მაგდალინელს უფალთან და უფ მაგდალინელთან მხოლოდ სულიერი სიყვარული აკავშირებთ. მიუხედავად ამისა, ლექსის ბ

ტაეპში წმ. მარიამ მაგდალინელის სახე ბოლომდე სახარებისეულად არაა გააზრებული და მ აღრეულია სახარებისეულ ორ ქალთან, რომელთაგან ერთმა მაცხოვრის ფეხები ცრემლებით გან ხოლო მეორემ, ლაზარეს დამ ზეთი სცხო მაცხოვარს და შემდეგ საკუთარი თმებით წარხოცა ფე საფიქრებელია, რომ ავტორს დააკლდა წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის მართლმადიდებლუ გააზრების ცოდნა.

მიწისა და ზეცის საგალობელი (ა. წერეთლის პოეზიის მიხედვით)

ა. წერეთლის ლირიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ პოეტი სამყაროს ჰარმონიულობის იდეას, მიწიერის ზეციერთან მიმართებას, არაერთგზის განასახოვნებს, რაც ოდენ ბუნების მომხიბვლელობისა და მშვენიერების გადმოცემა-აღწერას არ ისახავს მიზნად. აქ ბიბლიურ-ქრისტიანული, კონკრეტულად, ევანგელური აზროვნების წესია თავჩენილი, სიტყვით „ამუსიკებული“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გასაცნობიერებლად და საწვდომად სამყაროს იერარქიული წყობის პრინციპთა და ყოფიერების სახეობრივი კონცეფციის გათვალისწინება (ყველაფერი რაღაცის სახეა) გვმართებს. ამ მიზნით განხიულია დიონისე არეოპაგელისა და იოანე პეტრიწის სწავლება-შეხედულებანი.

მიწისა და ზეცის ურთიერთლტოლვა, ამქვეყნიურის ზეამყვანისკენ „გრძნობით სმენის“ წარმართვა-მიპყრობა და არაამქვეყნიურის განცდა წარმოჩინდება ლექსში „ერისთავის ასულს საპასუხოდ“. ამგვარივე თვალთახედვითაა გამსჭვალული ა. წერეთლის ლექსთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ლექსში „სოფიო ამირეჯიბის სახსოვრად (ჩახრუხაული)“. ლექსში სამყაროს ყოვლისმთლიანობის იდეა ქვეყნისა და ზეცის ურთიერთლტოლვას, „ტკბილი კავშირით“ ურთიერთგამსჭვალვას, „შეკავშირება“- „შეთანახმებას“ წარმოაჩენს. ცისა და მიწის სანეტარო და სიხარულით აღვსილი ურთიერთლტოლვა, ბუნების შვილთა შეხმატკბილებული მღერა, „ქებათ-ქების“ „აღტაცებულ საგალობლად“ რომ აღევლინება, მთელი სისავსითაა გადმოცემული პოემაში „ნათელა“. ამგვარად წარმოაჩენს აკაკი ქვეყნის მკვიდრთა საყოველთაო ლხენას, აღმაფრენის სანეტარო განცდათ, გამოხატულს ფრთოსანთა „ზარის წკარუნით“, „ტკბილი ჭიკჭიკითა“, ჩანგურისა და სალამურის საამური ხმების „შეზავება“-„თანახმიერობით“. აქ იხილვება ზენაარისადასამყაროსმიმართება, რაც იმავდროულად ხილული სამყაროს გზით უზენაესის მშვენიერების აღქმისათვის, „ზეშთაარსის“ წვდომისა და შემეცნებისთვისაა მოწოდებული.

აკაკის ლექსთა მოხმობილი ნაწყვეტებში არა მხოლოდ სამყაროს იერარქიული წყობა და მის შემადგენელ საფეხურთა „თანასწორობა“-„შეკავშირება“ ვლინდება, აქ ისმის „ქვეყნის მაყრული“. სამყაროს თითოეული წევრი, ღვთაებრივი ძალით გასულიერებულნი, ლხენითა და შვებით აღვსილნი, საკუთარი ბუნებისდა კვალობაზე (ყვავილები „ფშვენითა“ და „აღმაკმევით“, ბულბული „სტვენით“, ვარსკვლავნი „კაშკაშით“ და სხვ.) „ქებას ასხამენ“, უგალობენ და „ადიდებენ შემოქმედსა“. სამყაროს წევრთა (სულიერთა და უსულოთა) უფლის სადიდებელი შესხმა-გალობა თავად მათვე განაწმინდავებს, მათს სრულყოფილებისკენ ლტოლვას განასახოვნებს. ამგვარ გააზრებათ მიჰყვება აკაკის ზემოგანხილულ ლექსებში უნივერსუმის საგალობელი. აკაკის ზემოაღნიშნულ და სხვა არაერთ ლექსში სამყარო შემოქმედის ხელოვანების საუფლოა, „სარკეა“, რომელშიც „ძალითა მით ძლიერითა“ ზეციური „გამონაშუქი“ მშვენიერება, სიყვარული, სიკეთე „ჩაისახება“, აირეკლება და რომელიც იმავ „ძლიერებით“ აღივსება. აკაკის პოეზიაშიც ბუნების ამგვარი ჭვრეტა და სმენა, გრძნობა და გაცნობიერება ღვთის ხატის ხატს, ადამიანს, სიცოცხლეს სძენს, „ბუნების ქორწილის“ თანამონაწილედ აქცევს და ღვთაებრივი ძალით სავსეობას შეაგრძნობინებს, რაც, თავის მხრივ, პირველმიზეზთან თანაყოფნის განცდას ბადებს. აკაკის პოეზიაში იკვეთება აზრი, რომ ბუნების ჰარმონიულ წყობას, „ღვთისა ქმნილებათ“ „შეკავშირება“-„შეთანახმებას“, რომელიც სიამის, შვებისა და ლხენის მომტანია, ერთურთის სიყვარული ასაზრდოებს. ამგვარ შეხედულებას ბიბლიური სიბრძნე და

საღვთისმეტყველო სწავლებანი ესაძირკვლება. აკაკის ზემოგანხილულ ლექსებში აგრერიგად აქცენტირებული სამყაროს ჰარმონიულობის იდეა, მისი მშვენიერების „ყოვლით ყველგანა“ წარმოდგენა ერთ მიზანს ემსახურება – ეს ენითუთქმელი სიკეთე ადამინისთვისაა და სწორედ მას ჰმართებს მისი შეცნობა და შეგრძნება, მისით ტკბობა. ადამიანთან დაკავშირებით აკაკის პოეზიაში ბიბლიური სწავლებიდან კიდევ ერთი რამ იკვეთება, კერძოდ, ადამიანი არა მხოლოდ საკუთარ, პიროვნულ ხსნაზეა მიზანმიმართული, მას კოსმიური მისია აკისრია. მან მთელი სამყარო უზენაესისაკენ უნდა წარმართოს, მრავალს ერთისაკენ წარუძღვეს. ადამიანი შუამდგომელია ღმერთსა და ბუნებას შორის.ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია თქმა იმისა, რომ აკაკის „მთელი სამყარო“ კოსმიური განსახოვნების კვალობაზეა საწვდომ-ამოსაცნობი. ამ მიმართებით, მის პოეზიაში „კოსმოლოგიური ესთეტიკა“ იხილვება. აღნიშნულის გაცხადებაა აკაკის სიტყვები – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. ადამიანისთვის ღვთის ხატობის გასაცხადებელი ასპარეზი სწორედ ღვთისგან ქმნილი, მისი მშვენიერებისა და სახიერების წარმომჩენი სამშობლოა (რამეთუ არსებული არსს ავლენს), რომელშიც ყველაფერი ღვთიური სილამაზითაა განფენილი და რომელიც ადამიანს ღვთიურ მადლსა და წყალობას უძღვნის. ამდენადაა აკაკისათვის სამშობლო ხატი, ღვთის ქმნილება-განსახოვნება, რამეთუ ხილული მშვენიერება უხილავის, „უჩინოს“, ხატია. აკაკი თვლის, რომ ღმერთმა ადამიანს სამშობლო ხატად, სავედრებლად უბოძა და „ზრუნვის საგნად“ ჩააბარა, რომ სწორედ ადამიანია უფალი და განმგებელი მამულისა, უფლის ამქვეყნიური წიაღისა; ამავდროულად, პასუხისმგებელი „უთვალავი ფერით“ შემკული სამშობლოს ბედისა და უბედობისა (ადამიანი-ხატი მიემართება სამშობლო-ხატს). მისი ხსნა-გადარჩენა ადამიანის ხატობის შენარჩუნების, არგახუნების საწინდარია. ადამიანი თავის თავში მომკრები სამყაროს მთელი შემადგენლობისა, სახეა ქვეყნისა და პირუკუ, სამშობლო სახე და ხატია ადამიანის შინაგანი ბუნებისა. უნდა ითქვას, რომ აკაკისთვის „მთელი ქვეყანა“ „სამყაროს“ შინაარსითაა გასააზრებელი; „სახატე“ (გრამატიკულად, ნაწარმოებია დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსით: სა – ე) „ხატთა“ მომკრებ, გამაერთიანებელ სივრცეს გულისხმობს, რაც, შესაძლებელია, სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვით წარმოჩინდეს. ერთი გააზრებით, „მთელი ქვეყანა“-სამყარო სამშობლო-ხატთა გამაერთიანებელ სივრცულ გარემოდ წარმოდგება, მთლიანობითა და ჰარმონიით აღბეჭდილ სივრცედ, რომელიც ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების სახედ იქმნება (იგავ., 8. 22-31).სხვაგვარი წაკითხვით,შესაძლებელია, „სახატე“გულისხმობდესსამყაროს, რომელშიცყოველივეარსებული, უმდაბლესიდანუმაღლესამდე, წარმოდგებავითარცაღვთისხატი. ამდენად, ვფიქრობთ, აკაკი ცნობილ ფრაზაში – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, გულისხმობს შემდეგს – პოეტისათვის უფლის სახე-ხატია სამშობლო, ხოლო საუფლო, „სახატე“ – სამყარო, „მთელი ქვეყანა“.

„ქვეყანა ზეცას, ზეცა ქვეყანას ეკავშირება…“ (აკაკი წერეთლის ლირიკის მიხედვით)

მიწისა და ზეცის ურთიერთლტოლვა, ამქვეყნიურის ზეამყვანისკენ "გრძნობით სმენის" წარმართვა-მიპყრობა და არაამქვეყნიურის განცდა წარმოჩინდება ლექსში "ერისთავის ასულს საპასუხოდ". აკაკის ხედვა სავსებით მიჰყვება კოსმიური განსახოვნების პრინციპებს, ცისა და ქვეყნის ჰარმონიულ თანაყოფნას, "ტკბილ-მომღიმარე" მეგობრულ სიყვარული რომ ესაძირკვლება; ასევე _ ცისა და ქვეყნის ერთობაში შემოქმედის "დიადი ძალის" "თანასწორად" და "თანხმობით" შეგრძნება-აღიარებას. ლექსში სამყაროს ყოვლისმთლიანობის იდეა ქვეყნისა და ზეცის ურთიერთლტოლვას, "შეკავშირება"-"შეთანახმებას" წარმოაჩენს. ამგვარი ხილვა მიწიერ საზრუნავს მიჯაჭვული მკითხველის გულისყურს ღვთისაგან ქმნილი მშვენიერებისკენ მიაპყრობს, რამეთუ სწორედ ღვთის ხატადქმნილს ჰმართებს და ევალება მასზე არა მხოლოდ ზრუნვა, მისი მშვენიერების ჭვრეტა და ტკბობა; მით უფრო, რომ გარემომცველი სივრცე თავად "გრძნობს დიად ძალით აღვსებას" და შვებას, სიტკბოება-ლხენით "გამოფხიზლებას".

ბუნების ჰარმონიის სურათი მეტად შესაგრძნობია გაზაფხულის მოახლოვებისას, რაც აღდგომის ჟამს მოასწავებს და, სიმბოლურად, სამშობლოს ხსნასა და მკვდრეთით აღდგომის რწმენას უკავშირდება.

პოეტისათვის დღე-ღამის თვალწარმტაც სურათთა ერთიანი "სუნნელებით" აღვსება, მის მკვიდრთა სიყვარულით შეხმატკბილებული თანაყოფნა ბუნების "ნიჭი" როდია. იგი "ზენაართ სამყოფისგან"

მოფენილი მადლია, ბუნების თითოეულ წევრს ნეტარებას რომ განაცდევინებს. აქ "ბუნების ქების შესხმა" შემოქმედის ხოტბა-დიდებას მიემართება. ღვთაებრივი მადლის მიმღებლობის ძალით მიწიერ-ზეციერის "შეთანხმება", შემოქმედის ქება-დიდებად გამოვლენილი, პოეტისაგან "ამაჟრჟოლი ნეტარების" მომფენ სამოთხისეულ ნაყოფად აღიქმება, რაც პირველმიზეზთან თანაყოფნის განცდას ბადებს. ამგვარი ხილვის შეგრძნება განწმენდილი ცნობიერების ძალით მიიღწევა (ლექსი "მწუხრი").ყოფიერების სახეობრივი კონცეფციის კვალობაზე, სიყვარულით გაჯერებული სამყაროს იერარქიული წყობა იხილვება ლექსში "სულიკო". სამყაროს ჰარმონიული ერთიანობა ღვთაების "ერთიანობას" ავლენს და აღბეჭდავს. ხილული მშვენიერების ჰორიზონტალური ხაზი სიყვარულის ძალით ვერტიკალურს "ესისხლხორცება" და პირველმიზეზისაკენ ისწრაფვის. ყოველელივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია თქმა იმისა, რომ აკაკის "მთელი სამყარო" კოსმიური განსახოვნების კვალობაზეა საწვდომ-ამოსაცნობი. მოხმობილლექსებში სამყაროს იერარქიული წყობის ჰარმონიულობის განსახოვნებისას იკვეთება უმთავრესი _ ეს მშვენიერება ადამიანს ეძღვნება. ბუნების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მიიზიდოს ადამიანის "გული, ცნობა და გონება"; ახილვინოს, შეაგრძნობინოს და შეაცნობინოს "ზეშთაარსის" სახიერება და ამ გზით _ ღვთის ხატობის საზრისი (დანიშნულება და "საღმრთო ვალი"), რასაც კვლავაც ბიბლიურ სწავლებასთან მივყავართ _ ადამიანი, ხატი ღვთისა, ღვთიური შესაქმის უმაღლესი სახექმნადობაა და ღვთიური და მიწიერი არსის მთლიანობით, ამ სამყაროში ერთადერთია. მასში მთელი სამყაროს მრავალფეროვნება ირეკლება. ადამიანი არა მხოლოდ საკუთარ ხსნაზეა ორიენტირებული, მას კოსმიური მისია აკისრია _ მთელი სამყარო უზენაესისაკენ უნდა წარმართოს. აკაკის პოეზიაში სწორედ ამგვარი თვალთახედვა ვლინდება _ ადამიანის მიზეზით დაცემული ქვეყნიერება ადამიანისვე გათავისუფლების გზით "ხრწნილების მონობისაგან" თავდახსნას ელის. ლექსში "აღდგომა" სულიერისა და უსულოს სიხარული ქრისტეს აღდგომის რწმენას უკავშირდება.აკაკის ზემომოხმობილ ლექსებში თავჩენილი თემები და პრობლემატიკა მთელი სისრულითაა გამლილი ლექსში "ქებათა-ქება", რომელიც ზეცის, მიწისა და ადამიანის საგალობელია. აქ იკვეთება "ტკბილ ნეტარებით შეზავებული" დრო-სივრცე, ლირიკული გმირის სულში მიდამოს სიტურფე-მშვენიერებით "გამრავალკეცებული ნეტარება" და ამ გზით მისი ცნობიერების განწმენდა _ ბუნების საიდუმლოს "შეტყობინება", მისი გულის სამოთხისაკენ "უცნაურად" მიზიდულობა და ზეაღსვლა-აღმაფრენის შეგრძნება. ლექსში თვალნათლივაა გაცხადებული სამყაროს კოსმიური წყობის "შეხმატკბილების" პროცესი, რომელიც კრებულთა "საქორწილოდ სრულ" "მაყრულად" წარმოდგება, რაც შექმნილთა "პატარძლად" წარმოსახვისკენ გვიბიძგებს და შეუქმნელთან ("სიძესთან") შერთვის მოლოდინად აღიქმება. უზენაესთან "საქორწილო" მზაობით გამთლიანებული სამყარო ლირიკული გმირისკენ მიილტვის, რათა მათ უფლის წიაღისაკენ წარუძღვეს."ფრთებშესხმული"პოეტის "აღტაცებით სიმთა ჟღერა" ამ ქებათა-ქებას შეერთვის და "ეთანახმება". მისი თქმით, მხოლოდ ღვთიური ტრფიალებით აღვსილ პოეტს ძალუძს "უცნაურ ჰანგზე ჩახმატკბილება" და "საშვილიშვილო გალობის" თქმა. "ქებათა ქება" კიდევ ერთხელ გააცხადებს, რომ ყოფიერება სიბრძნეზე დაფუძნებული "ცისა და ქვეყნის შემკვრელი" სიკეთე და სიყვარულია, უმაღლეს მშვენიერებასთან ზიარებაა.

მაკა ელბაქიძე

1. ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“ შეუღამაზებლადაა გადმოცემული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგდროინდელი საქართველოს ყოფა. პიესის მხატვრული ქსოვილი ინტერჟანრობრივია - რეალურ ამბებს (აფხაზეთის ომის შემდგომი სტაგნაცია, უმძიმესი სოციალური ფონი, უშუქობა და ა.შ)ენაცვლება ფანტასტიკურ-ირეალური პასაჟები და სწორედ რეალისტურისა და პირობითობის ამ ნაზავის ფონზე იკვეთება ე.წ. „დაკარგული თაობის“ ტრაგედია. პიესაში სულ 8 პერსონაჟია (აქედან ოთხი - მთავარი), რომლებიც განასახიერებენ ნაომარი, ეკონომიკურად გაჩანაგებული და მორალურად დეგრადირებულ-გადაგვარებული მოსახლეობის სრულ სპექტრს. ესენია: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში პატრიოტული აღტკინებით წასული ბიჭები - ოდესღაც გამორჩეულნი ოჯახისშვილობით, განათლებით, ნიჭიერებით, ახლა კი გადაგვარებულნი, პასიურნი, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულნი, განარკომანებულ-გალოთებულნი (ბაჩა, გიო, კოსტა); შავი სამყაროს ქურდული ავტორიტეტები (გელა და მისი „მუნჯი“ თანმხლები); უიმედობის მორევში ჩაძირული ფსევდოინტელიგენცია (დევი); ბრმა ტყვიით ხეიბრად ქცეული მოზარდი

(თეა); პარალელური სამყაროდან („აწყობილი საქართველოდან“) დროებით „ჩვენს“ რეალობაში გადმოსული ნია. მათი დიალოგებიდან ჩანს, რომ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას, რომელსაც აღარ სურს „იდიოტური სიფხიზლე“, მხოლოდ პარალელური სამყაროდან მოვლენილთა დახმარების იმედიღა თუ შერჩა...

პიესა პირველად 1997 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში (რეჟ. რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე) და არნახული წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლის ფრთიან გამონათქვამებს მაშინ ხშირად გაიგონებდით ქალაქში. 90-იანების ნაცრისფერ თბილისში თითქმის არ არსებობდა ახალგაზრდა, ერთხელ მაინც რომ არ ჰქონოდა ნანახი „იასამანი“, თუმცა უფროსი თაობა ამტკიცებდა, რომ სპექტაკლი რყვნიდა ახალგაზრდობას და პოპულარიზაციას უწევდა ნარკომანიასა და ძალადობას.

რამ განაპირობა პიესის/სპექტაკლის იმდენად დიდი პოპულარობა, რომ 2002 წელს მისი სატელევიზიო ვარიანტიც შეიქმნა, 2016 წელს კი თავისუფალ თეატრშიც დაიდგა (რეჟ. გიორგი თოდაძე), სწორედ ამ საკითხის ანალიზს ეძღვნება აღნიშნული მოხსენება.

2. ჯეფრი ჩოსერის „სიზმრისეულ ხილვად“ სახელდებული პოემა „ლეგენდა სახელოვან ქალებზე“ მეთოთხმეტე საუკუნის 80-იან წლებშია დაწერილი (დაახლ. 1386 –1388 წწ). ამ პერიოდისთვის მის პირველი სერიოზული პოეტური მცდელობა *ტროილე და ქრისეიდა* უკვე პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა შორის, თუმცა მწერალს ჯერ არ შეექმნა თავისი ცხოვრების მთავარი წიგნი – *კენტერბერიული მოთხრობები.*

თხზულება ცხრა თავისაგან შედგება და ათი ქალის ამბავს შეიცავს (კლეოპატრა, თისბე, დიდო, ჰიპსიპილე, მედეა, ლუკრეცია, არიადნე, ფილომელა, ფილიდა და ჰიპერმნესტრა). ისევე როგორც ჩოსერის სხვა არაერთი ნაწარმოები (მათ შორის *კენტერბერიული მოთხრობებიც),* ეს პოემაც დაუმთავრებელი ჩანს. ზოგიერთი მკვლევარი მას, ზოგადად, ქალების წინააღმდეგ მიმართულ სატირად მიიჩნევს, ზოგიერთის აზრით კი, ჩოსერი ილაშქრებს იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც კლასიკურ ნარატივში ხელოვნურად შეჰქონდათ შუასაუკუნეების მორალურ-ეთიკური შეხედულებები.

თხზულების წყაროდ ჩოსერს გამოუყენებია გვიდო დე კოლუმნას *Historia destructionis Troiae (ტროას ისტორია),* ოვიდიუსის *მეტამორფოზები* და *ჰეროიდები.*

სიუჟეტური დეტალები (ვგულისხმობთ ჩოსერის თხზულებასა და წყაროებს) ყოველთვის არ არის მიმეტური. მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებანი ჩოსერის ეპოქის სპეციფიკური ტენდენციებითა და თავად ავტორის ინდივიდუალური ხედვით უნდა აიხსნას.

თამარ შარაბიძე

სტატია განიხილავს კონცეფტს „პლაგიატი“ პოსტმოდერნისტულ და ინფორმოლოგიურ ჭრილში, რაც მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს. პოსტმოდერნისტების მიხედვით, ნებისმიერი ფრაზა უკვე პლაგიატია, ინფორმოლოგები კი ფორმალიზებულ კრიტერიუმს იყენებენ და პლაგიატს ფორმისა და შინაარსის დამთხვევით განსაზღვრავენ.

ეკა ვარდოშვილი

ლიტურგიული ცნობიერების ასახვისათვის ახალ ქართულ ლიტერატურაში

მე-XIX ს. ქართულ პოეზიას ხშირად ფსალმუნური ნაკადი მსჭვალავს. დ. გურამიშვილს საერო ლირიკაში ფსალმუნურ - ჰიმნოგრაფიული ნაკადი შემოაქვს. 50-ე ფსალმუნის გავლენა შეინიშნება ნ. ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“, ა. წერეთლის ლექსში „მგოსანი“, ვაჟა-ფშაველას პოეტურ ქმნილებაში „გულო, არ გასტყდე“. ამ მხრივ საყურადღებოა, ასევე გრ. ორბელიანის ლექსი „ფსალმუნი“ და ი. ჭავჭავაძის „ლოცვები“: „მამაო ჩვენო“ და „ოდეს დემონი“. ლიტურგიულ ცნობიერებას ემყარება ასევე გრ. ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ლექსებში, რომლებსაც მსჭვალავს რელიგიური მოტივები ლირიკული სუბიექტი ემთხვევა პოეტის პიროვნებას. პოეტური „მე“ ხშირად ემყარება ლიტურგიულ ცნობიერებას და მომდინარეობს ფსალმიუნებიდან ან

ჰიმნოგრაფიიდან.

ელენე გოგიაშვილი

ზეპირ თხრობით ტრადიციას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურული წყარო აქვს: ანტიკური თხზულებები (ფლავიუს არიანე, კალისთენე, პლუტარქე, კვინტუს კურციუს რუფუსი, დიოდოროს სიცილიელი) და შუა საუკუნეების ევროპული და აღმოსავლური რომანები (ფსევდოკალისთენე, ფირდოუსი, ნიზამი, ამირ ხოსროვი, ჯამი, ალიშერ ნავოი და სხვ.).

IV-XVI საუკუნეებში ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ლეგენდათა მთელი ციკლი დამუშავდა, რომელიც ფსევდოკალისთენეს ალექსანდრეს რომანისა და მისი მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან იღებს სათავეს.

ალექსანდრეს მიმართ ინტერესი სარაინდო იდეალებსაც უკავშირდება. სავარაუდოდ, ევროპელი მენესტრელები ჯვაროსნულ ლაშქრობებში სხვადასხვა აღმოსავლურ ფოლკლორულ გადმოცემას უნდა გაცნობოდნენ ალექსანდრეზე. ამ გადმოცემების გავლენა აშკარად იგრძნობა შუასაუკუნეების ევროპულ თხზულებებზე, ისტორიულ თქმულებებზე, ლეგენდებზე, ზღაპრებზე, რომანტიკულ ისტორიებზე და ანეკდოტებზეც. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მოთხრობები ალექსანდრეს ლაშქრობების შესახებ მთლიანად ისტორიზმს ექვემდებარება და მორალურ-რელიგიური თვალსაზრისისაც არის შეფასებული, შემდგომ ეპოქებში კი თხრობა უფრო სათავგადასავლო ხასიათს იღებს და ბოლოს ხალხურ წიგნებში გადადის.

ალექსანდრეს როგორც რეფორმატორის ხსოვნა ფოლკლორში არ არის შემორჩენილი და მითუმეტეს, კავკასიურ ფოლკლორში არც შეიძლებოდა შემორჩენილიყო. აქ ალექსანდრე მაკედონელი მხატვრული სახეა, რომელიც ლიტერატურული გზით გადავიდა ზეპირ თხრობით ტრადიციაში. ლიტერატურული პერსონაჟიდან ალექსანდრე ზღაპრის გმირად გადაიქცა, ოღონდ ნოველისტური ზღაპრის გმირად.

ამქვეყნიური დიდების მოჩვენებითობა და ამაოება იმ უნივერსალურ რელიგიურ იდეათაგანია, რომელიც არსებობს ქრისტიანობაშიც, იუდაიზმსა და ისლამშიც. ადამიანი არ უნდა ისწრაფვოდეს დიდებისკენ, რამდენადაც მას მარადიული ნეტარება ელის სიკვდილის შემდგომ – ამ იდეით არის განმსჭვალული თითქმის ყველა ხალხური გადმოცემა ალექსანდრეზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ხალხურ თხრობით ტრადიციაში ალექსანდრე იდეალურ გმირად არ არის წარმოდგენილი. ალექსანდრეს პერსონაჟი იჩენს ტენდენციას, გახდეს იდეალური გმირი, მაგრამ ის მაინც ვერ ხდება იდეალური თავისი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო. ამის მიზეზიც ხალხურ თხრობით ჟანრთა სპეციფიკაა. ალექსანდრე მაკედონელის კონტრასტული სახე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი პორტრეტის ლიტერატურული და ფოლკლორული განვითარებისთვის ადამიანის ხასიათის სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე ჩასაფიქრებლად. ლიტერატურული ნაწარმოებები, ელინისტური და შუასაუკუნეების რომანები მეტად მიმზიდველად აღწერენ ბერძენ სარდალს. მოგზაურობა უცხო ქვეყნებში, ბრძოლები უდიდეს მტრებთან, გმირული ბუნება – ყოველივე ეს შუასაუკუნეების რომანს ზედმიწევნით შეესაბამება და ალექსანდრეს თემა ორგანულად ერწყმის მის იდეალებს. ხალხური გადმოცემები კი ალექსანდრე მაკედონელს დადებითზე მეტად უარყოფითი კუთხით ასახავენ. ქართულ ზღაპრებშიც ალექსანდრე ძლიერ მეფედ არის წარმოდგენილი, რომელსაც ცისა და მიწის დაპყრობა სურს, მაგრამ როგორც ყველა მოკვდავს თავისი სისუსტეები აქვს.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ეკა ვარდოშვილი	Отражение ценностей грузинского народа в произведении Александра Дюма „Кавказ“. Reflecting the Values of Georgian People in the work of Alexander Dumas “Caucasus”. RevitalizaceHodnot: Vmeni A literatura IV. Ústavslavistiky FF.MU. Céskáasociaceslavistú. TribunEU, s.r.o., 2019ISBN978-80-263-1476-9,ISBN978-80-263-1477-6 (CD-ROM).	(Оживление Ценностей:Искусство и Литература IV, сборник, Институт славистики философского факультета Масарикского Университета, Чешская Ассоциация славистов) Brno.	p. 169-177
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) **ეკა ვარდოშვილი** ქართველი ხალხის ფასეულობების ასახვა ა. დიუმას ნაწარმოებში „კავკასია“ საქართველო თავისი კულტურითა და ტრადიციებით ხშირად იპყრობდა ევროპელთა ყურადღებას. ცნობილი ფრანგი მწერალი ა. დიუმა (მამა) საქართველოში ცხოვრობდა 1858-1859 წლებში. თავის ნაწარმოებში „კავკასია“ იგი საუბრობს ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი იცნობს ევროპულ ლიტერატურულ-ისტორიულ წყაროებს, მოგზაურის შთაბეჭდილებების გადმოცემისას იგი არის უშუალო და უპირატესობას ანიჭებს საკუთარ ნააზრევს. წიგნში ა. დიუმა აღტაცებით საუბრობს ქართველებზე და მიაჩნია, რომ საჭროა მათი ფასეულობების საგანგებო შესწავლა.			

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ლელა ხაჩიძე	“ჴმეანი გალობა როგორც სასულიერო განათლების ნაწილი“.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, 2019	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	10 გვერდი იბეჭდება
2	ლელა ხაჩიძე	„აკათისტოს საკითხავი“ და მისი ძველი ქართული თარგმანები“. ISSN 2298-0342	საღვთისმეტყველო - სამეცნიერო შრომები“,X, თბ., 2019.	თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა.	35 გვერდი იბეჭდება
3	ლელა ხაჩიძე	„ისტორიული ჟანრის ერთი ბიზანტიური თხზულების ქართული თარგმანები“. ISSN 1512-1186	აკად. კ. კეკელიძის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, თბ., 2019.	თბილისი, თსუ - ს გამომცემლობა	18 გვერდი იბეჭდება
4	ლელა ხაჩიძე	“ჴმეანი გალობის ისტორიიდან“. ISBN 978-9941-25-607-3	თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2019.	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.	6 გვერდი
5	ნესტან სულავა	ГЕНЕЗИС МЕТАФОРЫ ТИГРА ЛЕОПАРДА БАРСА В ПОЭМЕ ШОТА РУСТАВЕЛИ В КАВКАЗСКОМ И ВСЕМИРНОМ КУЛЬТУРНОМ	International scientific conference on "Relations between states in the Caucasus: 100 years ago and contemporary period" dedicated to the 100 th anniversary of the **Azerbaijan Democratic Republic. May 23-24, may. 2018**	**Baku.**	стр.438-444.

		КОНТЕКСТЕ. (დაიბეჭდა 2019 წელს)			
6	ნესტან სულავა	«Рай Грузии» Михаила (Гоброна) Сабинина - история создания, назначение и место в современном литературоведении.	«Россия. Грузия. Христианский Восток. Духовные и культурные связи». ТРУДЫ ЦЕНТРАЛЬНОГО МУЗЕЯ ДРЕВНЕРУССКОЙ КУЛЬТУРЫ И ИСКУССТВА ИМЕНИ АНДРЕЯ РУБЛЕВА. ТОМ XVI. 2019.	Москва.	გვ. 125-132.
7	მაკა ელბაქიძე	„Viktor Nozadze, Rustaveli's The Knight in the Panther's Skin, and the Soviet Ideology" ISSN 2591-1805	Primerjalna Književnost. Vol, 42. N 1. 2019. Pp. 103-117.	ლუბლიანა, სლოვენია.	Pp. 103-117.
8	თამარ შარაბიძე	„ნახევრად უმეცარი" თუ განმანათლებელი?" ISBN 978-5-9906636-9-5	მაპრიალის XIV კონგრესის მასალები	ყაზახეთი, ქ. ნურ-სულთანი.	8
9	თამარ შარაბიძე	საქართველოში მოდერნიზმის დასაწყისი	International Conference on The Arts in Society https://cgscholar.com/cg_support/en/docs/64)ID: 73733	პორტუგალია, ლისაბონი	7.
10	თამარ შარაბიძე	ჯორჯ გორდონ ბაირონის „დონ ჟუანის" ქართული თარგმანი, ISBN978-5-19-011390-7	რუსული ენა და ლიტერატურა თარგმანის სარკეში; IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	საბერძნეთი, ქ. სალონიკი, დემოკრიტეს სახ. უნივერსიტეტი.	8.
11	ინგა		**დაბრუნება სოხუმის გრძნობიერ**	მე-14	10

	მილორავა		**ველში**(გურამ ოდიშარია, ,,სოხუმში დაბრუნება'')	საერთაშორისო სიმპოზიუმი, მასალები, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტეტრატურის ინსტიტუტი, 2019	
12	ინგა მილორავა		**ოთარ ჭილაძის მითოპოეტური სივრცე,**	ფოლკლორისტთა საერთაშორისო კონფერენცია, შოთა რუსთაველის სახლობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მასალები, თბ.,,2019	6
13	ინგა მილორავა		**კოლაუ ნადირაძის პოეზიის მხატყვრული სისტემა**	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ,,თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული მეცნიერება'', მასალები, ავ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2019	12
14	ინგა მილორავა		**ვაჟა-ფშაველა კიტა აბაშიძის ლიტერატურულ პრიზმაში**	, კრიტიკა, N 12-13, თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა,, 2019	10
15	ინგა მილორავა		1. **ვალერიან გაფრინდაშვილი-თავისუფალი ეპოქის პოეტი-თეორეტიკოსი**	2. მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელმწიფოებრივი	13

				სუვერენობის იდეა და მე-20 საუკუნის მწერლობა, მასალები, თბილისი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019	
16	ე.ვარდოშვილი	Leadership and poetry: common tendencies in works of Georgian and European Leader poets. Proceedings of the 4th International ISBN 978-94-6252-821-5, DOI https://doi.org/10.2991/icsbal-19.2019.13 https://www.atlantis-press.com/proceedings/icsbal-19/125921003.Google scholar.	conference on Social, Business, and Academic leadership (ICSBAL 2019), Publication Date October 2019,	Atlantis press. (Paris, France)	p. 65-69
17	ელენე გოგიაშვილი	Georgian Epic Heroes between Literary and Oral Narrative Traditions. ISSN (Online) 1613-0464, ISSN (Print) 0014-6242, DOI: https://doi.org/10.1515/fabula-2019-0018.	Fabula, Volume 60, Issue 3-4, 2019	გერმანია გამომცემლობა Walter de Gruyter	Pages 285–303

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1 **“ჰმეანი გალობა“ როგორც სასულიერო განათლებისნაწილი**

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს გალობის წესის შემოღებისა და დამკვიდრების განხილვას საქართველოში. ქრისტიანული გალობის განვითარების პირველ პერიოდში, V-VII სს-ში, ქართულ ენაზე ითარგმნა საგალობლების შემცველი უმთავრესი ლიტურგიკული კრებულები - „იერუსალიმის ლექციონარი“ და „უძველესი იადგარი“. VI ს-ში იღებს სათავეს ორიგინალური, ქართული ჰიმნოგრაფია. გალობის წესის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია VII-VIII სს-ების საბაწმიდურ სკოლასთან, კერძოდ, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მოღვაწეობასთან. ამ დროიდან საგალობლები რვა ხმათა სისტემაზეა გაწყობილი. ამავე პერიოდიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა საგალობელთა შექმნის ახალი წესი, რომელიც “ძლისპირ–დასდებლის“ შესატყვისობაზეა დამყარებული. საგალობელთა შექმნა და თარგმნა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც შეიქმნა ტერმინი -„გალობის მეცნიერება“.

საქართველოს ეკლესიის დიდი მოძღვრის - გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ მიხედვით, იმდროინდელ ქართლში არსებობდა სამგალობლო სკოლა, რომლის მიხედვითაც განისწავლა იგი. თავად გრიგოლ ხანძთელმა შემდგომში დიდი წვლილი შეიტანა ტაო-კლარჯეთის სამგალობლო სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც შეადგინა ვრცელი ნევმირებული ანუ “მეხური იადგარი“. მასში დაცული ანდერძები მოწმობს, რომ მიქაელ მოდრეკილი არის პროფესიონალი პოეტ -მელოდოსი, “გალობის მეცნიერების“ ზედმიწევნით მცოდნე. იგივე უნდა ითქვას ამ ვრცელ კრებულში დაცულ ბერძნულ საგალობელთა უცნობ ქართველ მთარგმნელებზე, აგრეთვე იმ პოეტ–მელოდოსებზე, რომლებიც ორიგინალური ქართულ საგალობლებს ქმნიდნენ.

საეკლესიო გალობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრებასა“ და შემოქმედებაში, აგრეთვე მის მიერ დატოვებულ ანდერძებში.

ლელა ხაჩიძე

1. **„აკათისტოს საკითხავი“ და მისი ძველი ქართული თარგმანები“.**
(თხზულების პირველი ქართული თარგმანი)

ისტორიული ჟანრის თხზულებები, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ისტორიას ასახავს, არცთუ მრავალრიცხოვანია ძველ ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში. ისტორიული ტიპის თხზულებათა თარგმნის სათავეებთან, დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, დგას სტეფანე სანანოჲსძე - ჭყონდიდელი. მან პირველმა შემოიტანა ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ისტორიული ნაწარმოები – “საკითხავი დაუჯდომელთაჲ.“ ამ თხზულებისადმი აქამდე სათანადო ყურადღება არ იყო დათმობილი და მოიაზრებოდა, როგორც თავად “აკათისტო“ და არა უშუალოდ საისტორიო თხზულება, რომელიც “აკათისტოს“ დადგინების მიზეზს გვამცნობს შესაბამისი ისტორიული ცნობებით კონსტანტინოპოლის 626 წლის ცნობილი ალყის შესახებ.

626 კონსტანტინოპოლის ალყა პირველად აღწერა თეოდორე სვინგელოსმა, რომელიც წარმოთქმულია ქადაგების სახით. თეოდორე იყო ჰერაკლე კეისრის თამედროვე და საბრძოლო მოქმედებების დროს უშუალო მონაწილე იმ ელჩობისა, რომელიც მოლაპარაკების მიზნით გაიგზავნა კონსტანტინოპოლიდან სკვითების მთავარ ხაღანთან.

იგივე ისტორიული მოვლენა აღწერილია ანონიმი ავტორის “პასქალურ ქრონიკაში“. ქრონიკის გაცნობიდან ირკვევა, რომ ავტორი ჰერაკლე კეისრის თანამედროვეა.

626 კონსტანტინოპოლის ალყისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ისტორიკოსი და პოეტი გიორგი პისიდიელი. ეს ავტორიც აგრეთვე თანამედროვეა ჰერაკლე კეისრისა.. გიორგი პისიდიელი თავად იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში .

დასახელებული სამი თხზულება წაროადგენს მთავარ წყაროს 626 წლის ალყის შესახებ. რაც შეეხება X საუკუნემდელ სხვა ავტორებს, ესენია: გიორგი ამარტოლი კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკიფორე I და თეოფანე ჟამთააღმწერელი.

“საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ ქართულად სამგზისაა თარგმნილი. პირველად სტეფანე

სანანოჲსძე-ჭყონდიდელის მიერ, რასაც გვამცნობს ეფრემ მცირის თხზულება – "მოსაჴსენებელი მცირე სჯმეონისათჳს ლოღოთეტისა...".

ბერძნულ - ქართული ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ სტეფანეს თარგმანი ზედმიწევნით მიყვება ორიგინალს და გვთავაზობს არაერთ ტერმინოლოგიურ სიახლეს.

კვლევამ ნათელყო რომ საქმე გვაქვს ე.წ. კომპილაციურ ნაწარმოებთან და ბერძნული ტექსტის ავტორი არ შეიძლება იყოს გიორგი პისიდიელი, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში.

2. „ისტორიული ჟანრის ერთი ბიზანტიური თხზულების ქართული თარგმანები". („აკათისტოს საკითხავის" გიორგი მთაწმინდელისეული და გვიანდროინდელი ქართული თარგმანები)

ბიზანტიურ საეკლესიო ტრადიციაში სხვადასხვა საისტორიო თხზულებებიდან შეიქმნა "საკითხავი დაუჯდომელთაჲ." ამის მიზანი იყო ღვთისმსახურების შესაბამის დროს მისი წაკითხვა, რითაც საცნაური ხდებოდა ის დიდი სასწაულები, რომლებიც ღვთისმშობელმა მოახდინა კონსტანტინოპოლის გადასარჩენად. სწორედ ესაა მიზეზი იმ უშუალო კავშირისა, რომელიც არსებობს "დაუჯდომელსა" და „საკითხავი დაუჯდომელთაჲს" შორის.

"საკითხავი დაუჯდომელთაჲ" ქართულად სამგზისაა თარგმნილი. - პირველად სტეფანე სანანოჲსძე-ჭყონდიდელის მიერ. მეორე თარგმანი ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის და ქართული კულტურის უდიდეს წარმომადგენელს - გიორგი მთაწმინდელს.

ესაა ვრცელი თარგმანი, რომელიც კონსტანტინოპოლის 626 წლის ალყასთან ერთად, დეტალურად აღწერს არაბთა შემდგომდროინდელ შემოსევებს 678 და 717 – 718 წლებში. გიორგი მთაწმინდელი ეყრდნობა სხვადასხვა საისტორიო თხზულებებს და გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს ბიზანტიის ისტორიის შესახებ.

ეს ნაწარმოები XI საუკუნიდან დღემდე ლიტურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

პირველი ლიტურგიკული მითითება "საკითხავის" შესახებ გვხვდება ხელნაწერ Sin. 5-ში (1052 წ.) იქ, სადაც „აკათისტოს განგებაა" მოცემული. ამ ხელნაწერის შედგენასთან გიორგი მთაწმინდელი დაკავშირებული არ არის. აქედან გამომდინარე, ამ კრებულშიშესული უნდა ყოფილიყოამ ნაწარმოების პიეველი ქართული თარგმანი, რომელიც სტეფანე სანანოჲსძეს ეკუთვნის.

მნიშვნელოვანი ცნობა „დაუჯდომლის საკითხავის" შესახებ დაცულია გიორგი მთაწმინდელის "დიდ სჯნაქსარში", სადაც შესულია „აკათისტოს განგება". გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ თარგმანს უნდა გულისხმობდეს „შიომღვიმის ტიპიკონი".

ქართულ ხელნაწერებში გამოვლინდა ამ თხზულების მესამე თარგმანი. მთარგმნელის ვინაობა უცნობია. ესაა უმოკლესი რედაქცია ამ თხზულებისა და შედგენილია XIV საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსის – ნიკიფორე კალისტეს მიერ.

ანტონ I-ისდროინდელი რედაქციის „მარხვანშიც", რომელიც დღევანდელ საღვთისმსახურო პრაქტიკაშია დანერგილი, "დაუჯდომლის საკითხავი", მსგავსად ადრეული ტიპიკონებისა, განწესებულია მეხუთე შვიდეულის შაბათს, თუმცა ამ შემთხვევაში დაცულია "საკითხავის" უმოკლესი რედაქცია.

3. "ჴმეანი გალობის ისტორიიდან"

4.

საეკლესიო გალობის შესწავლის თვალსაზრისით გამორჩეულია X საუკუნეში მოღვაწე „მეხელთა"სახელით ცნობილი ჰიმნოგრაფები. ისინი თვითონ ქმნიდნენ ან თარგმნიდნენ საგალობელთა ტექსტებსაც და მათ მელოდიებსაც. დღეისათვის გარკვეულია, რომ ტერმინი „მეხელი" ნიშნავს „ნევმირებულს" ე. ი. მაშინდელი სანოტო ნიშნებით შემკულ საგალობელს.

საეკლესიო გალობის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს„მიქაელ მოდრეკილის „იადგარი". კრებულთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ შესასწავლია. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა ამ უნიკალური კრებულის ტექსტის აკადემიური გამოცემა.

გალობის თეორიის მკვლევართათვის საინტერესოა კრებულში დაცული მიქაელ მოდრეკილის ანდერძები. ამ ანდერძების თანახმად, მიქაელ მოდრეკილის „ნევმირებული იადგარი" გალობის სახელმძღვანელო წიგნი ყოფილა.

მელოდიის ანუ „კილოს" „სისწორით" დაცვა მხოლოდ პროფესიონალ მუსიკოსს შეეძლო. სწორედ

ასეთებად მიიჩნევს „მეხელებს“ საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენელი - გიორგი მთაწმინდელი. მისი „ცხოვრების“ და „სექტემბრის თვენზე“ დართული ანდერძების შესწავლა მოწმობს გიორგი მთაწმინდელის შემოქმედებით პრინციპს - ძველად ქართული საგალობლების ტექსტების შემდგომ დაახლოებას ბერძნულ ორიგინალებთან.

ნესტან სულავა

Towards the Genesis of Tiger's Metaphor Rustaveli's Poem "The Knight in the Tiger's Skin" in Kaukasian and world culture

The symbolism of "The Knight in the Tiger's Skin" – Nestan-darejhan's image as a tiger, Tariel as a knight in the tiger's skin, main characters connection with tiger's skin is a literary transformation of an ancient mythology and its roots are to be found in the remote past. Tiger is a diverse symbol, metaphor, enigma, allusion which was broken in the prism of Christian ideology and aesthetics. It saved notes remained in ancient rituals, cult habits, mythos, folklore according to which a tiger is characterized by contradictory features. But the most important is the fact that within the mythos thinking space it social symbol apart from the pure mythos-religious aspect. Tiger's skin is considered as the hypostasis of goddesses of nature and symbol of fertility and its fur represents is a symbol of activity of fertility forces. Consequently, using tiger's//panter's//leopard's hairy skin as a garment reflects the common cultural level.

The main aspect of our work is the symbol of tiger in Caucasian area and the meaning of tiger's symbols in Caucasian tradition. In comparison of pre-literary tradition Shota Rustaveli's "The Knight in the Tiger's Skin" related to different cultural world, but the main object of the poem spread between characters is the wisdom and aesthetic of Christianity.

All animals under which the tiger is considered were seldom and Caucasian area. In Folklore tiger is connected with the mountain. Tiger is the epithet of hunters, heroes and emphasizes braveness and hero and the example of this is the "poetry of Tiger and Hero" well known ballade in Georgian Folklore.

Because of its strong, flexible, gracious and attractive nature tiger//panter//leopard represents womenly beauty, strength on the one hand and a symbol of cruelty on the other. It has a mythos-sacred tradition. Tiger's//leopard's garment and headgear indicated that they were a symbol that their owner was considered as a chosen one by goddesses which takes a special artistic function while defining the title of the poem. Garment and headgear of a leopard's//tiger's skin is historically king's accessory. According to the ancient beliefs in the language of ancient cultures "The Knight in the Tiger's Skin" is a king, who is connected with the goddess and the skin is contextualized with the sacred symbol of a fertility idea. All this must be taken into account while defining the poem's title, Tariel's personality as that of a knight in the panter's skin.

The title of Shota Rustaveli's poem is a key to perceive Rustaveli's artistic world, expressive means and language-stylistic phenomenon, but its correct perception needs to read different information hidden in different levels of syncronic and diacronic aspects, to deeply perceive micro and macro-contexts of the poem. Tariel as a knight in the panter's skin is an important, diverse artistic image in which different dimensions of the author's artistic conception is represented. It is true, that the title of the poem implicates Tariel and his beloved Nestan-Darejhan but a knight in the tiger's skin as a person's life, as a tragic expression of his existence, as his spiritual indulgence, a symbol, allegory, enigma, allusion to divine life-is essential for every character. These issues are represented in the paper.

2. **Mikheil (Gobron) Sabinini's Georgian Paradise _ history of Creation, Meaning and Place in modern Literary studies**

'Georgian Paradise" _ so called by Mikheil Sabinini the book published in 1882 by Peter Burg. Talking about the publication must be thought several items: the goal of the publication, content, scientific and practical need, importance and value especially in the modern period, sources of the book, the meaning of the name of the book, to define the notes and comments made by Mikheil Sabinini. About the construction of the book notes is given by the author. There are ancient Georgian writings in chronological order, also some published homily and historical stories. The main valuable part is the author's foreword, which is the part of the book and there are the notes what the Georgian and others were thinking about the author. This book has great importance regarding the study of ancient Georgian literature. Actually, it was the first full collection of ancient Georgian literature and the sample of this was not published before and Georgian society has no other publication. Even the author knew the great meaning of the book.

მაკა ელბაქიძე

ვიკტორ ნოზაძის შემოქმედებითი სიმწიფის ხანა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ახალმა საქართველომ, რომელსაც 1921 წლიდან კომუნისტური ერქვა, გზა გადაუკეტა ყველას, ვინც ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს წითელ ფერებში ვერ ხედავდა. მისი დრამატული ცხოვრების გზა საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალს მოიცავს - საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ბრაზილია, ესპანეთი და ბოლოს, ისევ საფრანგეთი...ამ ოცდაათწლიანი „ხეტიალისას“ მარტოდმარტომ, ყოველგვარი მატერიალური ხელშეწყობის გარეშე, უდიდესი ნიჭისა და ნებისყოფის წყალობით შექმნა ექვსი მონუმენტური ტომი, რომლებიც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრეს პრობლემატიკას ეხება. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა, ანუ ვიკტორ ნოზაძის სიტყვებით რომ ვთქვათ „ჩხრეკა“, მან თავისი ცხოვრების ბერლინურ ხანაში, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს დაიწყო. როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავდა, მისი მიზანი იყო რუსთაველის მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების კვლევით „ვეფხისტყაოსნის“ საკვლევი პრობლემატიკის სისტემაში მოყვანა, მისი მსოფლიო კულტურასთან დაკავშირება, რაც გაუადვილებდა მეცნიერთა მომდევნო თაობებს მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში ქართული მწერლობის ადგილის გარკვევას. ნაშრომში ნაჩვენებია ის იდეოლოგიური მექანიზმები, რომელთა შედეგად გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე ქართველი მეცნიერებისთვის უცნობი და მიუწვდომელი იყო ვიკტორ ნოზაძის ნააზრევი; იმ მიზეზთა კვლევა, თუ რატომ იყო მიუღებელი და დაუშვებელი „პერესტროიკის“ დადგომამდე მისი, როგორც ავტორის, დამოწმება და რა პირობებში მოხდა ვიკტორ ნოზაძის, როგორც მოქალაქისა და მეცნიერის, რეაბილიტაცია.

თამარ შარაბიძე

1. ნაშრომში შეფასებულია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობა საქართველოში, ის შედეგები, რომლებიც მის მმართველობას მოჰყვა. გაანალიზებულია ვორონცოვის მმმართველობისადმი ქართველ მკვლევართა ორგვარი დამოკიდებულების მიზეზები.
2. სტატიაში „საქართველოში მოდერნიზმის დასაწყისი“ გაანალიზებულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ის ნაკადი, რომელიც არ ეტევა რეალიზმის ჩარჩოებში და მოდერნისტულ ტენდენციებს ამჟღავნებს.
3. სტატიაში განხილულია პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ ქართულად თარგმნილი ბაირონის „დონ ჟუანი“; წარმოდგენილია ამ ნაწარმოების თარგმანის ისტორია და გაანალიზებულია ქართველთა ინტერესის მიზეზები ამ ნაწარმოებისადმი; შეფასებულია პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანი.

ინგა მილორავა

1.წერილში განხილულია თანამედროვე ქართველი მწერლის, გურამ ოდიშარიას წიგნის, ,,სოხუმში დაბრუნების'' თემატური რკალები. გამოყოფილია ორი ძირიტადო ქრონოტოპი: გზა და ქალაქი, რომელსაც თავისი აზრობრივ-ესთეტიკური მიზანდასახულობა გააჩნია და გამოხატავს მწერლის პირად გამოცდილებასა და რეფლექსიას რეალურ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც მის მხატვრულ ტექსტში ახალ სახეობრივ სისტემადაა ტრანსფორმირებული. გულრამ ოდიშარიას წიგნი ზუსტად ასახავს საზოგადოების იმ მდგომარეობას, რომელჯიიც ბუნებრივი შედეგია ომის, სოციუმის გახლეჩისა და დაპირისპირების, ადამიანების მორალური ფასეულობებისა და მათი შინაგანი მთლიანობის რღვევის გარე სივრცის დაშლასთან ერთად. წერილში სწორედ ამ ტვალსაზრისითაა გაანალიზებული ის მოვლენები, რომლებიც ორ დროულ ლოკალს - ომამდე და ომის შემდეგ და სამ სივრცულ მოდელს - სოხუმი, დევნილთა უღელტეხილი და თბილისი - მოიცავს, შედეგად გამოყოფილია ის მთავარი ცვლილებები და ახალი მოდუსები, რომელთა ესთეტიკური სახეც წარმოადგინა მწერალმა მხატვრულ ტექსტში

2. წერილში წარმოდგენილია ოთარ ჭილაძის რომანების მრავალპლანიანობის გამაპირობებელი მიზეზები და მათი შედეგები და ერთმერთი უნთავრესი თავისებურება - მისი მხატვრული სივრცის ორმაგი პლანი - ეს სივრცე რეალურთან ერთად უმეტესწილად მითოპოეტურია. ამ ყთვალსაზრისით ოთარ ჭილაძის რომანები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. წერილში გაანალიზებულია სამივე ძირიტადი ჯგუფი, რომელშიც შეიმჩნევა სივრცის მითოპოეტური ნიშნები. უმთავრესი, ბუნებრივია, არის რომანები, რომლებიც უშუალოდ მითის ქარგაზე იგება. მაგრამ სტატიის მიზანდასახულობიდან გამომდიანარე - ეჰჩვენებინა არა მხოლოდ ხილული და აშკარა მითოსური მოდელები, არამედ მათი

უფრო ფარული არსებობა და მოქმედება ტექსტში, წერილი მოიცავს იმ რომეანების ანალიზსაც, რომლებშიც მითოპოეტური სივრცე მითის მხოლოდ ელემენტები, სრულიად ახლებურად გააზრებული საშუალებით იგება და იმ ჯგუფსაც, რომელშიც ახალი მკთის ქმნადობა

3. წერილში მოცემული კოლაუ ნადირაძის პოეზიის ყველა ასპექტის დაწვრილებითი ანალიზი. წარმოჩენილია მწერლის ადრერული პოეზიის მხატვრული სამყაროს არსი, ღირებულება, მთავარი სახეები და კონცეფტუალური მხარე, მისი კავშირი აიმბოლიზმის ესთეტიკასთან. ასევე გაანალიზებულია ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია კოლაუ ნადირაძის პოეტური ხედვის ცვლილება. ამ თვალსაზრისით წერილი შეიცავს ახალ მოსაზრებებს, განსხვავებულს ადრე გამოთქმულისგან, გაანალიზებულია მისი გვიანი პოეზიაც და წარმოჩენილია მათი საზოგადოებრივ-მხატვრული მნიშვნელობა

4. სტატია ეძღვნება კიტა აბაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მისეულ კონცეფციას და ამ კომცეფციისადმი ქართული ლიტერატურათმცოდნებოის დამოკიდებულებას. კიტა აბაშიძე ვაჟა-ფშაველას პირველ სმბოლისტად მიიჩნევდა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება ლიტერატურათმცოდნეთა ნაწილი. წერილში ნაჩვენებია, თუ რა საფუძველი ჰქონდა კიტა აბაშიძის ამ მოსაზრებას, რა მოვლენებსა და სახეებს დაეყრდნო იგი, როცა ასეტ დასკვნას აკეთებდა. ასევე ეს წერილი არის მცდელობა, აჩვენოს, რამდენად, რა დოზით შეიძლება იყოს ვაჟა-ფშაველასტან სიმბოლისტური აზროვნებისა და ესთეტიკის ელემენტები, მიუხედავად იმისა, რომ იგი იდეურად და კონცეფტუალაურად ნამდვილად 60-იანელთა რელისტურ სამყაროს ეკუთვნის

5. წერილში გაანალიზებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ესეიტიკა და მისი ლიტერატურული წერილები, ვალერიან გაფრინდაშვილი ცისგერყანწელთა თეორიული საყრდენის შემქმნელთაგანია, ამიტომ მის შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სკოლის პოეზიის და მისი განვითარების გზების შესწავლისათვის. წერილში ნაჩვენებია ის ფილოსოფიური, ეთეტიკური და სახეობრივი სისტემები, რომლებიც თავის წერილებში გადმოსცა ვალერიან გაფრონდაშვილმა, ასევე წ2არმოჩენილია მისი, როგორც ლექსის თეორეტიკოსის შეხედულებანი და ვერსიფიკაციული ძიებების საფუძვლები, რომლებიც მის წერილებსა და ესეებში არგუმენტირებულად აისახა

ეკა ვარდოშვილი

ლიდეროზა და პოეზია: საერთო ტენდენციები ქართველ და ევროპელ ლიდერ პოეტთა შემოქმედებაში

ქართულ-ევროპული ურთიერთობების პირველი ცდები საუკუნეებს ითვლის. XIX ს. ქართველი კლასიკოსები თარგმნიდნენ და საზოგადოებას აცნობდნენ ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებს. ევროპელი ლიტერატურული - სააზროვნო ტრადიციები და სახისმეტყველების ფორმები მათ შემოქმედებაში ჰპოვებდა ასახვას. ევროპიდან შემოდიოდა ის დემოკრატიული ღირებულეები, რაც დაკავშირეული იყო სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან. ნ. ბარათაშვილის პოეზია ქართული რომანტიზმის განივთთარების ახალი ეტაპია. თავისი პოეტური ხედვითა და შემოქმედების არსით იგი დგას ევროპელ მწერალთა გვერდით. საზოგადოდ, საერთო ტენდენციები შეიძლება აისახოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ. მსგავსი ტენდენციები ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში თავს იჩენს მხოლოდ ლიდერ პოეტთა შემოქმედებაში.

ელენე გოგიაშვილი

ქართული ეპოსის გმირები ლიტერატურულ და ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს შორის

ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში გახალხურებული ვერსიების სახით ვხვდებით როგორც ნაციონალური მწერლობის, ისე ნათარგმნი ლიტერატურულ ნაწარმოებების ადაპტაციებს. ლიტერატურულ-წერილობითი ფიქსაციისა და ხალხური გადმოცემების ურთიერთგავლენის განსაზღვრა ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ურთულეს ამოცანებს განეკუთვნება. ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართებისას ხალხური ზღაპრები ინტერდისციპლინურად უნდა იქნას შესწავლილი, ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალური ასპექტების გათვალისწინებაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თქმულებები როსტომზე, ქართულ

ფოლკლორში გავრცელებულ თქმულებათა ციკლი, რომელიც ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართულად ნათარგმნი ვერსიების საფუძველზე შეიქმნა. ეს არის ამბავი გმირისა, რომელიც ბრძოლაში თავისივე შვილს კლავს. მამა და ვაჟი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც უცნობები. ბრძოლა ტრაგიკულად მთავრდება. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში უამრავი ლიტერატურული და ფოლკლორული ვერსია არსებობს თქმულებისა, თუ როგორ ეძებს სხვაგან დაბადებული შვილი თავის მამას და მერე მისივე ხელით კვდება. ამ სიუჟეტს იცნობს კავკასიის ყველა ხალხი.

მამა-შვილის ორთაბრძოლის მოტივი ერთ-ერთი საერთაშორისო გავრცელების მოტივია ქართულ ფოლკლორში, რომელსაც პირობითად „მუდმივად ამოცნობადი სიუჟეტები“ შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ როსტომის ინტერტექსტუალური კავშირები კიდევ უფრო შორს მიდის. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში როსტომი, როგორც პერსონაჟი, სხვადასხვა ჟანრში მონაცვლეობს: თქმულებებში, მითოლოგიურ გადმოცემებში, ჯადოსნურ ზღაპრებში, დიდაქტიკურ ნოველებში და ყველაფერთან ერთად, მას მიეწერება ფილოსოფიური აფორიზმების მთელი რიგი. ამ აფორიზმთაგან ზოგიერთი ლიტერატურული წარმოშობისაა, ზოგი კი ხალხურია.

მეთოდოლოგიური საფუძვლების განმარტებისთვის ხაზი უნდა გაესვას ფოლკლორის ინტერტექსტუალურ ბუნებას. თხრობით ტრადიციაში ყოველი ზღაპარი წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს სხვა სხვა უამრავ ვერსიასთან. ვლადიმერ პროპის ცნობილი სქემაც თავისთავად ატარებს ინტერტექსტუალობის კონცეპტს. ფოლკლორულ ტექსტებში შესამჩნევია ინტერტექსტუალობის ნიშნები, თუმცა ეს საკითხი მხოლოდ ახლახანს დაისვა. უახლესი კვლევები ფოლკლორისტიკაში ადასტურებს, რომ ფოლკლორშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტერტექსტუალობის ცნება. ინტერტექსტუალობად მოაზრებულია ტექსტის სირთულე, რომელსაც ქმნიან მეორადი ტექსტუალური ელემენტები. ისინი ჩართული არიან ტექსტში, ოღონდ ისე, რომ არ აბრკოლებენ ტექსტის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ დამოუკიდებლობას და ქმნიან ძლიერ ეფექტს მრავალშრიანობისა და აზრის მრავალფეროვნებისა.

ინტერტექსტუალობის ცნების გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მისი შეთანხმება ფოლკლორულ მოტივებთან და სიუჟეტურ ტიპებთან.

ხალხური ზღაპრის ინტერტექსტუალური კვლევისთვის მეთოდოლოგიურ საფუძველს უპირველეს ყოვლისა სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო კატალოგი წარმოადგენს. 2004 წელს ჰანს-იორგ უთერის მიერ გამოცემული ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგი The Types of International Folktales (2004). ერთი სიუჟეტური ტიპის, როგორც დასრულებული მოქმედების ან ერთი სიუჟეტური მოტივის, როგორც უმცირესი თხრობითი ერთეულის განსაზღვრება შეიძლება ყოველთვის ზუსტი არ იყოს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ კატალოგი საინტეგრაციო ბაზის ქმნის სხვადასხვა ეთნიკური, დროითი და ჟანრობრივი ჯგუფების ფუნქციონალურად და ფორმალურად განსხვავებული მოთხრობებისა.

მოტივს საფუძვლად უდევს დინამიკა, რადგან ის სხვა მოტივთა ელემენტებთან კომბინირებადია. აქედან გამომდინარე, მოტივები ელემენტარულ საშენ მასალას ქმნიან მოთხრობისათვის. მკვეთრი საზღვარი მოტივსა და ტიპს შორის არ არსებობს: საზღვარი გარდამავალია. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ შინაარსებსა და თემებს შორის მოხდეს დიფერენციაცია, მეორე მხრივ კი გათვალისწინებულ იქნეს ფორმა და ფუნქცია, როგორც არსებითი ელემენტი ჟანრის კონსტრუქციისათვის.

ჟანრთა დაწვრილებითი განმარტებები შესაძლებლობას იძლევა მსგავსი თემები და სიუჟეტები საბოლოოდ იქნას აღწერილი. თუმცა მათ შეიძლება განსხვავებული ფუნქციები ჰქონდეთ თავისი წარმოშობისა და არსებობის ისტორიის მანძილზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით მულტიკულტურული ჰომოგენურობა დადგინდეს.

სტატიაში განხილულია საარქივო მასალები, რომლებშიც ასახულია შუა საუკუნეების ეპოსის ფოლკლორული ვერსიები, ჩაწერილი XIX-XX საუკუნეებში: გამოუქვეყნებელი ტექსტები ინახება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

ამ ტექსტებში ლიტერატურულ წარმომავლობასთან ერთად ზეპირ ტრადიციაში გავრცელებული საზღაპრო მოტივებიც გვხვდება, რომლებიც სტით თომპსონის საერთაშორისო მოტივთა საძიებელში შემდეგ ნომრებს შეესაბამება: Mot.F531.1.0.1.1 [ლამაზი გოლიათი ქალი], Mot.F302.4 [კაცი იმორჩილებს ფერიას], Mot.F531.6.8.3.3 [გოლიათების შერკინება], Mot.F531 [უზარმაზარი ადამიანი] და სხვა.

ეპიკური თქმულებების გაზღაპრებული ვერსიების მთხრობელებმა კარგად იციან „ვეფხისტყაოსანიცა“ და „შაჰნამეც“, და, სრულიად შესაძლებელია, არა მხოლოდ ხალხური, არამედ ლიტერატურული წყაროებიდანაც. ეპიკური გმირების გაზღაპრებული ამბები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზღაპრის ჟანრში გადასული ეპიკური ისტორიები თავისთავად ინტერტექსტუალური ნიშნებით ხასიათდება. ჩვენ

ხელთ გვაქვს გადმოცემები, რომელთა მიზანიც ძირითადად დიდაქტიკას ემსახურება. მთხრობელი იყენებს სხვადასხვა წყაროს: შუა საუკუნეების ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ეპიზოდებს როგორც ქართული, ისე ნათარგმნი თხზულებებიდან. ეს წყაროები მხოლოდ თხრობითი მასალა კი არ არის, არამედ მინიშნებები ტექსტის იდეურ მხარეზე.
ეს უკვე ინტერტექსტუალური სისტემაა, რომელშიც ახალი ტექსტი ადრინდელ ტექსტუალურ ელემენტებსა და ახალ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირით იქმნება.

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული პოეზია	ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა (21-28 თებერვალი, მისაქციელი)
2	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვარლაამ და იოასაფის“ პრობლემატიკა თანამედროვე ევროპულ მეცნიერებაში	ბიზანტინისტთა V საერთაშორისო კონგრესი (11 ოქტომბერი, ბათუმი)
3	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსნის“ გზა ინგლისურ დრამატურგიამდე (უცნობი საისტორიო წყაროები)	ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში
4	ლელა ხაჩიძე	„ათონური კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერის (Ath. 38) შესახებ“.	27.09. 2019 თსუ გადაცემულია დასაბეჭდადმეცნიერების კვირეულის ფარგლებში ჩატარებული მესამე კონფერენციის - „ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში“ - მასალებში, თბ., 2019. (ანოტაცია იხ. ქვემოთ) 1.05. 2019

5	ლელა ხაჩიძე	„ისტორიული ჟანრის ერთი ბიზანტიური თხზულების ქართული თარგმანები“.	კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გადაცემულია დასაბეჭდად აკად. კ. კეკელიძის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში, თბ., 2019 (ანოტაცია იხ. ზემოთ
6	ლელა ხაჩიძე	„საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ და მისი ქართული თარგმანი.	14. 05. 2019 თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია გადაცემულია დასაბეჭდად „საღვთისმეტყველო - სამეცნიერო შრომების“ X ტომში, თბ., 2019. (ანოტაცია იხ. ზემოთ)
7	ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა	კავკასია ქართულ ჰაგიოგრაფიაში	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი _ საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 4-5. 10. 2019.
8	ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა	წმ. მარიამ მაგდალინელის პოსტმოდერნული გააზრებისათვის XX-XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში.	ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო სიმპოზიუმი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2019. 25 სექტ.
9	ნესტან სულავა	ბაძვა, ზიარება, განღმრთობა, როგორც სულიერი განვითარების საფეხურები წმ. ანდრია კრიტელის "დიდ კანონსა" და დავით აღმაშენებლის "გალობანი	საერთაშორისო კონფერენცია "ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5". რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019. 11-13 ოქტომბერი

		სინანულისანში".	
10	ნესტან სულავა	X-XIX საუკუნეების წყაროები ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ	მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში". შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019, 27 სექტემბერი.
11	ნესტან სულავა	წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების "ცხოვრების" ერთი ეპიზოდის გააზრების შესახებ, I საერთაშორისო კონფერენცია: „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“	გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ვარშავის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. 11-13 სექტემბერი, 2019.
12	ნესტან სულავა	პრონოეტული კონცეფცია არეოპაგიტულ მოძღვრებაში, საერთაშორისო კონფერენცია.	აკად.კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2019. 18-20 ივნისი.
13	ნესტან სულავა	ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახე წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, დავით აღმაშენებლის „გალობანსა“ და თამარის იამბიკოებში.	დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. 22.02.2019
14	ნესტან სულავა	წყაროთმცოდნეობითი კვლევა წმ. გიორგი შეყენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.	კორნელი კეკელიძე - 140. საიუბილეო სამეცნიერო სესია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30.04-1.05. 2019.

15	ნესტან სულავა	პერსონაჟის სულიერი განვითარების პროცესის ასახვა თარგუმების საღვთისმეტყველო საზრისის კონტექსტში „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“	ჯემალ აჯიაშვილისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019. 21-22.03.
16	ნ.გონჯილაშვილი	რამდენიმე ასპექტი „სულიკოს“ გააზრებისათვის.	ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, 26-27 სექტემბერი, თბილისი, თსუ.
17	ნ.გონჯილაშვილი	ლ.გრიგოლაშვილის მონოგრაფიის -ლიტერატურული კონცეპტები და სხვა- წარდგინება-რეცენზია (იბეჭდება).	კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 140 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, 01.05, თსუ.
18	ნ.გონჯილაშვილი, ნ.სულავა	კავკასია ქართულ ჰაგიოგრაფიაში.	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი, 4-6. 11 თსუ
19	ნ.გონჯილაშვილი, ნ.სულავა	წმ. მარიამ მაგდალინელის ს გააზრებისათვის XX საუკუნეების ქარ ლიტერატურაში	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი- ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები,"XX საუკუნის 80-90-იანიწლებისპოლიტიკურიმოვლე ნები დალიტერატურულიდისკურსი", 25-27.09,
20	ნ.გონჯილაშვილი	რამდენიმე ასპექტი „სულიკოს“ გააზრებისათვის	ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში,ლ იტერატურის ინსტიტუტი.
21	მაკა ელბაქიძე	“მწვავე ლიტერატურული თემის აქტუალიზაცია ქართულ სცენაზე (ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“)”.	25-27.09. 2019 თბილისი, საქართველო.

22	მაკა ელბაქიძე	შუასაუკუნეების ესთეტიკური მოდელები.	18-20. 10.2019. ქუთაისი.
23	ვლადიმერ მინაშვილი	1.ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი (დრამა არსენას მაგალითზე)	2019 წლის 26 სექტემბერიანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტი
24	ვლადიმერ მინაშვილი	აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მეცნიერული და ზნეობრივი გმირობა”	პროფ. ლადო მინაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ,, XIX საუკუნე _ეპოქათა მიჯნა“ 2019 წ. 29 ივნისი თსუ I კორპ
25	თამარ შარაბიძე	1.ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯორჯ გორდონ ბაირონთან ტიპოლოგიური მიმართებისთვის	თსუ
26	თამარ შარაბიძე	ოქტაი ქაზუმოვის მიერ გონჩა ბეიმის ლექსების აზერბაიჯანულიდან ქართულად თარგმანის მნიშვნელობა	თსუ
27	თამარ შარაბიძე	ნიკო ნიკოლაძის ერთი კრიტიკული წერილის _ „ჩვენი მწერლობა“ _ მნიშვნელობის შესახებ	თსუ
28	თამარ შარაბიძე	ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი	თსუ
29	ინგა მილორავა	**დაბრუნება სოხუმის გრძნობიერ ველში**(გურამ ოდიშარია, ,,სოხუმში დაბრუნება”)	მე-14 საერთაშორისო სიმპოზიუმი, მასალები, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019

30	ინგა მილორავა	**ოთარ ჭილაძის მითოპოეტური სივრცე**,	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ,,თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული მეცნიერება'', მასალები, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2019
31	ინგა მილორავა	**კოლაუ ნადირაძის პოეზიის მხატყვრული სისტემა**	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ,,თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული მეცნიერება'', მასალები, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2019
32	ინგა მილორავა	**ვალერიან გაფრინდაშვილი-თავისუფალი ეპოქის პოეტი-თეორეტიკოსი**	მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა და მე-20 საუკუნის მწერლობა, მასალები, თბილისი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019
33	ე. ვარდოშვილი	William Faulkner about Eternal Art	20th International Annual Conference on American Studies Dedicated to the 50th Anniversary of the First Moon landing by American Astronauts Neil Armstrong and Buzz Aldine. Institute of American Sadies, at TSU and Georgian Association for American Studies, May 23-25, 2019. Program.
34	ე. ვარდოშვილი	ინოვაციური ხედვები ქართულ და ევრპულ პოეზიაში.	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის მიერ 2019 წლის 26-27 სექტემბერს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო

			ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია: ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, III, პროგრამა, თბილისი, 2019, 26-27, IX
35	ე. ვარდოშვილი	ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხები	პროფესორ ლ. მინაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, 28 ივნისი, 2019 წელი, თბილისი, პროგრამა.
36	კახაბერ ლორია	მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე ოთარ ჩხეიძის ტრილოგიის („არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“) მიხედვით	XIII საერთაშორისოსიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდეობისთანამედროვეპრობლემები: 1980-90 - იანიწლებისპოლიტიკურიმოვლენებიდალიტერატურულიდისკურსი. თსუ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 25 – 27სექტემბერი, 2019 წ.
37	კახაბერ ლორია	გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ კონტექსტში	პროფესოროთარბაქანიძისდაბადებიდან 90 წლისიუბილესადმიმიძღვნილის ამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-უკრაინულილიტერატურულ-კულტურულიდიალოგი", თსუ, 26 მარტი, 2019 წ.

38	რუსუდან ნიშნიანიძე	,,ვაჟა ფშაველა სამანს იქით...“	პროფ. ლადო მინაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ,, XIX საუკუნე _ეპოქათა მიჯნა“, 2019 წლის 28 ივნისი, თსუ პირველი კორპუსი
39	თამარ პაიჭაძე	სიმბოლო - ჩაუკეტავი მნიშვნელობანი და სემიოტიკური გზები	სემიოტიკის სართაშორისო კონფერენცია 8-9. 11.2019 საგურამო ილიას სახლ-მუზეუმი საქართველო
40	თამარ პაიჭაძე	ქართული ლიტერატურული ნარატივი იმპრესიონისტული ინტერტექსტით	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია,,კულტურათაშორისი დიალოგები“ 25-27.10 2019 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
41	ქ. სიხარულიძე	რობერტ ბერნსი - პოეტი და ფოლკლორისტი	თსუ XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, ივნისი, 2019
42	ქ. სიხარულიძე	ფოლკლორული პერსონაჟები სკანდინავურ ბალადებში	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორისტთა 53-ე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, ივნისი, 2019
43	ქ. სიხარულიძე	ქართული და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი, თბილისი, ნოემბერი, 2019

44	ელენე გოგიაშვილი	ზღაპრები ბედისწერაზე აღმოსავლურ და ევროპულ თხრობით ტრადიციებში ქართული ფოლკლორული მასალის მიხედვით	ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათა დიალოგი გრძელდება". 21-22 მარტი, 2019.
45	ელენე გოგიაშვილი თანაავტორები: დარეჯან გარდავაძე და თეა შურღაია	ერთი ქართული ნარატივი „ათას ერთი ღამის" XVIII-XIX საუკუნის ევროპულ ადაპტაციებში	თსუ XIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი. 26-28 ივნისი, 2019
46	ელენე გოგიაშვილი	კავკასიური ზღაპრების შესწავლის ისტორიიდან	კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი 6-7.11.2019 თბილისი
47	ელენე გოგიაშვილი	ტრადიციული თხრობა როგორც რომანტიკული სცენის კომპონენტი პოპულარულ ტელესერიალებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში", 20-21.10.2019 ბათუმი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ელგუჯა ხინთიბიძე

1. „ვეფხისტყაოსანი" და ქართული პოეზია

მოხსენებაში გაანალიზებული იყო „ვეფხისტყაოსნის" ლირიკის ორი სპეციფიკური მახასიათებელი და მათი გაგრძელება შემდგომი საუკუნეების ქართულ პოეზიაში. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას პოემებში, ერთი მხრივ, და მე-20 საუკუნის ლირიკაში. იყო დეკლამირებული ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის" პირველი თავი გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „ ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი", „შერიგება", ანა კალანდაძის „მაგნოლია", ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები" და სხვა.

2. „ვარლაამ და იოასაფის" პრობლემატიკა თანამედროვე ევროპულ მეცნიერებაში

მოხსენებაში განხილულია ქართული აგიოგრაფიული თხზულების „სიბრძნე ბალავარისას" საფუძველზე ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი რენესანსის ეპოქის ევროპულ მწერლობაში უაღრესად პოპულარული თხზულება - „ვარლაამ და იოასაფის ისტორია. უახლესი, 21-ე საუკუნის ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში ძალზე პოპულარულია ამ თხზულების ავტორად ეფთვიმე ათონელის მიჩნევის თეორია. ევროპელ მეცნიერთა, გერმანელ, იტალიელ და პორტუგალიელ ბიზანტინისტთა ნაშრომებში ამ თვალსაზრისის დასაბუთება თანხვედრაშია მე-20 საუკუნის დასასრულს ქართველ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულ თვალსაზრისებთან. მოხსენებაში საუბარი იყო ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების შემდგომ პერსპექტივაზე.

ლელა ხაჩიძე

„ათონური კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერის (Ath. 38) შესახებ“.

ანოტაცია

ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებს შორის ყურადღებას იმსახურებს 38-ე ნომრით შესული ხელნაწერი. ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, იგი XI საუკუნით თარიღდება. Ath. 38 ვრცელი (700 გვერდზე მეტი) ლიტურგიკულ - ჰიმნოგრაფიული კრებულია და შეიცავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“.

Ath. 38-ში წარმოდგენილიასაგალობლები დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის - მოსამზადებელი კვირიაკეებით დაწყებული დიდი შაბათის ჩათვლით. ამავე დროს, ხელნაწერი შეიცავს აღდგომის დღესასწაულის განგების ნაწილსაც.

„მარხვანის“ სახელით ცნობილი კრებულები ხშირად დასაწყისის (მოსამზადებელი პერიოდის) გარეშეა ჩვენამდე მოღწეული. Ath. 38 ამ ვრცელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის აღდგენის საშუალებას იძლევა.

Ath. 38 ერთ-ერთი ძირითადი ხელაწერია Paris. Georg. 5-თან ერთად, რომელიც უნიკალური ლიტურგიკულ - ჰიმნოგრაფიული კრებულის - გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“აღგენის საშუალებას იძლევა.

Ath. 38 დაცულია ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართული თარგმანები.ეს ავტორებია: იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი, რამანოზ მელოდოსი, ანდრია კრიტელი, თეოფანე აღმსარებელი, თეოდორე სტუდიელი, სტეფანე საბაწმინდელი, იოსებ მგალობელი - ფაქტობრივად, VI – XI საუკუნეების ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საგანძური. ქართველ ავტორთაგან ხელნაწერში მხოლოდ იოანე მინჩხის მრავალრიცხოვანი საგალობლებია შესული.

ჩვენს მიერ შესწავლილია ძველ ქართულ მწერლობაში აქამე უცნობი ტერმინი - „ყურსალი“. ანდერძის თანახმად, სწორედ მათგან შეუძენიათ (გამოუსყიდიათ) ეს ხელნაწერი.ეს უნდა იყოს თურქული წარმოშობის ხალხის ერთ-ერთი შტოს აღმნიშვნელი ტერმინი და მისი ეტიმოლოგია უკავშირდება მუსლიმთა წმინდანის - ალის სახელს („ალის სოფელი“).

ნესტან სულავა

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიისა და პირველმოღვაწეთა ცხოვრების შესახებ მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროებია შემონახული ქართულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. რაობის თვალსაზრისით გვაქვს ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ისტორიულ-დოკუმენტური თხზულებები და საბუთები, აღაპები, წარწერები, ხატები, ფრესკები. ესენია:

1. უპირველესი წყაროა ათონის კრებულის სახელით ცნობილი ხელნაწერი Ath.558, რომელიც რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულებებს მოიცავს და „სამახსოვრო წიგნად იყო მოაზრებული. ესენია: ათონის მონასტერში შექმნილი „მოსაჴსენებელი“, რომლის ავტორია ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი (კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ე. გაბიძაშვილი); ბასილისავე საგალობლები, რომლებიც ეძღვნება წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელებს; წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ცალკე უნდა დასახელდეს, რადგან ყველაზე სრულყოფილად სწორედ ის მოგვითხრობს ათონის ქართული მონასტრის დაარსების ისტორიას და მისი დაარსების მიზანდასახულობას.

2. წმ. გიორგი მთაწმინდელის (1009-1065 წწ.) ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა, რომელიც 1042_1044 წლებში შეიქმნა;

3. ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“, რომელიც 1066_1068 წლებში გიორგი მცირემ გიორგი შეყენებულისა და იოვანე ჭყონდიდელის დაკვეთით დაწერა; აქვე უნდა დავასახელოთ წმ. გიორგი შეყენებულის საგალობლები, რომლებიც გიორგი მცირის თხზულების დაწერის შემდეგ შეიქმნა და მიეძღვნა წმ. გიორგი მთაწმინდელს;

4. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ივირონის დაარსებისა და ქართული მონასტრების აშენების შესახებ მოგვითხრობს XVIII საუკუნის I ნახევარში ბერძნულად დაწერილი თხზულება წმ. იოვანეს, წმ. ეფთვიმესა და გიორგი მაშენებლის ათონზე მოღვაწეობის შესახებ. იგი ჩვენამდე მოღწეულია XVIII ს-ის I ნახ-ის 2 ხელნაწერით. თხზულება ქართულად თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო მანანა

მაჩხანელმა (მაჩხანელი, 1982);
5. ათონის ივერიის მონასტრის ისტორიის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული „ათონის ივერიის მონასტრის სააღაპე წიგნში“, რომელშიც X საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, იოვანე-თორნიკეს გარდაცვალებიდან, ე. ი. 985 წლიდან მოყოლებული, XVII საუკუნემდე კალენდარული წლის მიხედვით განლაგებული 167 მოსახსენებელია შეტანილი;
6. უნდა დავასახელოთ ათონზე დაცული ქართული და ბერძნული ხელნაწერები, ისტორიული ღირებულების მქონე ისტორიული დოკუმენტები, რომელთა კოლოფონები საკმაოდ მდიდარ და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ათონის ქართული მონასტრის ისტორიის, ქონებრივი ვითარების, საზოგადოდ, მდგომარეობისა და იქაურ ბერ-მონაზონთა ცხოვრების შესახებ;
7. ივირონის მონასტრის ისტორიის აღსადგენად ერთ-ერთი ძირითადი წყარო სავანის საცავებში დაცული ძველი ბერძნული აქტებია, რომელთა შორისაა ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (946 და 957/8), რომანოზ II-ის (960), ბასილი II ბულგართმმუსვრელის (979/980), XI ს. იმპერატორების, კონსტანტინეპოლის პატრიარქების, ბიზანტიელი სასულიერო და სხვა საერო მოღვაწეთა მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელთა უმეტესობა დედნის სახითაა შემონახული. მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია პარიზში გამოცემული ივირონის აქტების ოთხტომეული, რომელიც ფრანგი და ქართველი მეცნიერების მიერ მომზადდა. გამოცემას ერთვის ცნობილი ფრანგი ბიზანტინისტის ჟაკ ლეფორის ნარკვევი. 2008 წელს თბილისში ივირონის აქტების ქართული თარგმანის ოთხტომეული გამოიცა (ივირონის აქტები ოთხ ტომად, 2008);
8. ივირონის მონასტრის X_XI საუკუნეებისა და უფრო მოგვიანო ისტორიის შესახებ ცნობები შემონახულია ათონის სხვა მონასტრების დოკუმენტებში, კერძოდ, წმ. ათანასე მთაწმინდელთან დაკავშირებულ მასალებში, აგრეთვე, რამდენიმე ბიზანტიურ და ქართულ ქრონიკაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“, გიორგი კედრენეს საისტორიო თხზულებაში, იოანე სკილიცას „ქრონოგრაფიაში“ და სხვ.
9. 1511_1674 წლებით თარიღდება ბერძნულად დაწერილი თხზულება „თხრობა ივერთა უმშვენიერესი მონასტრის შესახებ, რომელიც ყველა მონაზონმა აუცილებლად უნდა იცოდეს“, ე. ი. ქრონიკა, რომელიც XVIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა და შეივსო. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილის ავტორად მითითებულია ვინმე იერომონაზონი თევდოსი. კ. კეკელიძის აზრით, შესაძლოა იგი ქართველი ყოფილიყო, მასში 1259_1264 წლების ივირონის მონასტრის მოვლენები მოკლედაა აღწერილი; მეორე ნაწილის თხრობა პირველ პირშია წარმართული და ავტორი კონსტანტინეპოლიდან გამოსული ნეოქორიონის მკვიდრი ბერძენი იერემიაა, იგი 1592_1626 წლების ამბებს ასახავს; მესამე ნაწილის ავტორიც ბერძენია და აღწერს 1659_1674 წლების ამბებს. XIX ს. ბოლოს „ქრონიკა“ გამოაქვეყნა ბერძენმა ისტორიკოსმა მ. გედეონმა, 1947_1955 წლებში შეისწავლა და გამოსცა კ. კეკელიძემ, რომელმაც ივირონის მონასტრის წინამძღვართა სია XVII ს-მდე სწორედ ამ წყაროს საფუძველზე შეადგინა (კეკელიძე);
10. XVIII_XIX საუკუნეების მოღვაწეების, გრიგოროვიჩ-ბარსკის, ტიმოთე გაბაშვილის, იონა გედევანიშვილისა და სხვათა სამოგზაურო ჟანრის თხზულებები. ცალკე უნდა აღინიშნოს არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკის ნაშრომი, რომელიც 1845 წელს ივირონის მონასტერში ყოფნის შედეგად შეიქმნა (უსპენსკი); XIX საუკუნის ბოლოს ათონზე იმყოფებოდა პეტრე კონჭოშვილი, რომლის ნაშრომიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის (კონჭოშვილი).
დასახელებულ პირველწყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ათონის ივერთა და სხვა ეროვნების ხალხთა მონასტრების ისტორიის, არამედ საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური პოლიტიკური, სამწერლო-ლიტერატურული ურთიერთობების, შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური სამყაროს სამონასტრო ცხოვრებისა და წესდებების შესასწავლად, ივერთა მონასტრის ისტორიის, განსაკუთრებით, მისი ადრეული პერიოდის საკვლევად.

ეკა ვარდოშვილი

1. უილიამ ფოლკნერი მარადიული ხელოვნების შესახებ

უილიამ ფოლკნერის „საუბრები“ ქართულ ენაზე 1984 წ. ითარგმნა. „საუბრებში“ იგი განიხილავს ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებს. მოგვითხრობს საკუთარი შემოქმედების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მისი აზრით, მწერალს სამი რამ, სჭირდება: გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა. ფოლკნერი აღიარებს ხელოვნების მარადიულობას და აღნიშნავს: „თვითეული ხელოვანის მიზანია დაიჭიროს მოძრაობა, ანუ სიცოცხლე მხატვრული საშუალებებით და ისე აღბეჭდოს, რომ ასეული წლების შემდგომ უცხომ რომ იხილოს, კვლავ ცოცხალივით მოძრაობდეს“ (ფოლკნერი).

2. ინოვაციური ხედვები ქართულ და ევროპულ პოეზიაში

სამეცნიერო კვლევისას აღმოჩნდა, რომ უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის ლექსი „მერანი“ დიდ მსგავსებას ავლენს ნ. ბარათაშვილის ლექსთან „მერანი“. თავისი მსოფლმხედველობით, ლიტერატურაში ახალი იდეების შემოტანით, მებრძოლი სულისკვეთებით ეს ორი ავტორი ძლიან ჰგავს ერთმანეთს. ასევე ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს პოეტურ ქმნილებათა დაწერის თარიღებიც. ორივე მწერლისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედევრებს. ორივე ლექსი გამოხატავს ადამიანის გონების სწრაფვას უსაზღვროებისაკენ.

კახაბერ ლორია

გურამ გეგეშიძე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს განეკუთვნება. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია რომანი „ცოდვილი“, რომელიც 1966 წელს დაიწერა. რომანმა იმთავითვე გამოიწვია ლიტერატურული კრიტიკის ინტერესი. სხვა გარემოებებთან ერთად გარკვეული ყურადღება დაეთმო ნაწარმოების „სკანდინავიურ“ ხასიათს, განსაკუთრებით კი მის მიმართებას კნუტ ჰამსუნის „მისტერიებთან“. ჩემი (კახაბერ ლორია) აზრით, გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“ არის სრულიად ორიგინალური ნაწარმოები, რომელსაც საკუთარი შინაგანი ლოგიკა და თვითკმარი ლიტერატურული ღირებულება გააჩნია. ამ მხრივ ვერც მწერალი და ვერც მისი ეს კონკრეტული ნაწარმოები დავალებულად ვერავისგან ჩაითვლება. როგორც ცნობილია, მთელი საბჭოეთის მასშტაბით 1960-იანი წლებიდან პოლიტიკური პროცესების გარკვეული ლიბერალიზაცია მიმდინარეობს, რაც საქართველოში, ჩემი (კ.ლ.) შეხედულებით, გარკვეულწილად განაპირობებს ლიტერატურული მოდერნიზმის განახლებული ტალღის წარმოშობასაც. ეს ტალღა, ჩემი (კ.ლ.) აზრით, ითვალისწინებს არაერთი იმ სამწერლობო ტენდენციის გაღვივებასა და გაღრმავებას, რომელიც ხელოვნურად იქნა ჩახშობილი ან/და „მოთვინიერებული“ სტალინური ტოტალიტარიზმის მიერ, და რომელმაც კვლავ იჩინა თავი სრული ესთეტიკური სიცხადით, როგორც კი ხელოვნებაზე იდეოლოგიური წნეხი ოდნავ მაინც შემსუბუქდა. სწორედაც რომ ამ ტალღის ერთ-ერთ უაღრესად წარმატებულ გამოვლინებას წარმოადგენს გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“, ხოლო თუ ქართველი მწერალი გარკვეული ხასიათის ინსპირაციას იღებდა მსოფლიო მოდერნიზმის კლასიკად ქცეულ ამა თუ იმ ნაწარმოებიდან, ეს კიდევ უფრო საინტერესოსა და თვალსაჩინოს ხდის იმ ცოცხალ და შემოქმედებით დამოკიდებულებას, რომელიც ქართულ ლიტერატურას საბჭოთა წლებშიც კი გააჩნდა მოწინავე დასავლურ ლიტერატურულ სკოლებთან და პროცესებთან.

ქეთევან სიხარულიძე

მოხსენებაში საუბარია შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ბალადებსა და ფოლკლორისტულ მოღვაწეობაზე. რ. ბერნსმა ბავშვობიდანვე შეითვისა შოტლანდიური ბალადების წყობა, რიტმი, მხატვრული ელემენტები. იგი თავადაც კრებდა ხალხურ სიმღერებსა და ბალადებს. წლების განმავლობაში მონაწილეობდა მრავალტომეულის -„მუსიკალური მუზეუმის“ შექმნაში. ზეპირი ვარიანტებიდან აღადგენდა ტექსტებს და თუ ტექსტი დაკარგული ან დამახინჯებული იყო ვულგარული ფრაზებით, ქმნიდა ახალ სიმღერებს ძველ მელოდიებზე. ამგვარად გახდა ფოლკლორის ამაღორძინებელი რ. ბერნსი შოტლანდიის საუკეთესო პოეტი და ხალხის ყოფისა და თქმულებების საუკეთესო მცოდნე მეცნიერი. მის ნაწარმოებთა უმრავლესობა ძველი სიმღერების ღრმად ორიგინალური გადამუშავებაა. ბერნსი იყენებდა ძველი სიმღერების სიუჟეტს, მელოდიას, რიტმს, საზომს. სუსტი, ნახევრად მივიწყებული ძველი სტროფები მისი კალმის ძალით იძენდნენ თანამედროვე ელფერს და ივსებოდნენ ახალი შინაარსით.

2. მოხსენებაში საუბარია იმ სკანდინავიურ ბალადებზე, რომელთა სიუჟეტები აგებულია ზღაპრულ მოტივებზე. მათში მოქმედებენ ზებუნებრივი არსებები ან აღწერილია ზებუნებრივი მოვლენები, რომელთა რეალურობა ხალხს სჯეროდა. გვხვდება მითოლოგიური სიუჟეტები და უნივერსალური მოტივები. ამ

ბალადების დასასრული უმეტესად ტრაგიკულია. გვხვდება მოტივები და ეპიზოდები, რომლებიც სიახლოვეს ამჟღავნებენ ქართული ფოლკლორის პერსონაჟებთან.

ზღაპრულ ბალადებში ასევე საუბარია ბოროტ დედინაცვალზე, რომელმაც გერი გადააქცია ირმად, მგლად, შევარდენად ან სხვა რამედ და შემდეგ პერსონაჟმა დაიბრუნა თავისი სახე, ლეგენდარულ ბალადებში კი შეინიშნება კათოლიკურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ხშირად მათში პერსონაჟად გვევლინება წმინდანი. პოპულარულია ბალადა წმინდა ოლავზე. რომელმაც უფლის სახელით დაამარცხა ტროლები და გააქვავა ისინი. ყველა ამ მოტივსა და ელემენტს აღარ აქვს მითოლოგიური ფუნქცია, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დრამატიზმის გამძაფრებაში და მოქცეულია ბალადის ჟანრის კანონზომიერებაში. მიუხედავად ამისა, ისინი შეიცავენ გარკვეულ ინფორმაციას სკანდინაველთა წარმოდგენების შესახებ.

3. თეზისები დაბეჭდილია კონგრესის მასალებში

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენები სსათაური	ფორუმის ჩატარების დროდაადგილი
1	ნ.გონჯილაშვილი	Translation of “Life of St. Nino” by EkvtimeTakaishvili	IX international scientific conference “Russian Language and Culture in the Mirror of Translation, 2019(სალონიკი),
2	მაკა ელბაქიძე, მირანდა ტყეშელაშვილი	Dressing Etiquette in Medieval Chivalry Romance	25-27.11.2019 სტამბული, თურქეთი
3	მაკა ელბაქიძე	*Person and Occupatipon. Factors of Dependence.*	15-17.04.2019. ბულგარეთი, სოფია.
4	თამარ შარაბიძე	ჯორჯ გორდონ ბაირონის „დონ ჟუანის“ ქართული თარგმანი	საბერძნეთი, ქ. სალონიკი,დემოკრიტეს სახ. უნივერსიტეტი, 2019, 10-14; esti.msu.ru; info@esti.msu.ru
5	თამარ შარაბიძე	ქართულ ლიტერატურაში მოდერნიზმის დასაწყისი“	პორტუგალია, ქ. ლისაბონი . International Conference on The Arts in Society, Lisbon, Portugal, 19–21 June 2019. (https://cgscholar.com/cg_support/en/docs/64ID: 73733
6	თამარ შარაბიძე	„ნახევრად უმეცარი“ თუ განმანათლებელი?	ყაზახეთი, ქ. ნურ-სულთანი. . მაპრიალის XIV კონგრესი, 29აპრილი-3 მაისი, 2019.
7	ე. ვარდოშვილი	Leaders of Georgian Romanticism in European Literary-social thinking	VI International Conference on Social, economic and academic leadership (ICSEAL2019). Prague

			Institute for Qualification Enhancement (Prague, Creech Republic), Atlantis Press (Paris, France). 13-14 December, 2019. Certificate No10/Dated 14Th
8	ე. ვარდოშვილი	Tendencies of Aspiration of Georgia Towards Europe in Post –Soviet space	The Post-Soviet Space three decades later. Time of Troubles or Triumph? Warsaw East European Conference, June 28-30, 2019. University of Warsaw, Warsaw, Poland, 2019//Sixteenth Annual Session. Programme.December 2019, Prague.
9	ლორია, კახაბერ	Hamsuns *I Æventyrland* sett i et "grenselandsperspektiv" (ჰამსუნის *ზღაპრულ ქვეყანაში* დანახული „მოსაზღვრე/გადამკვეთ პერსპექტივაში", ნორვეგიულ ენაზე)	კნუტ ჰამსუნისადმი მიძღვნილი მე-7 საერთაშორისო კონფერენცია: ჰამსუნი და საზღვრები, ტრომსოს (ნორვეგია) უნივერსიტეტი, 18-20 სექტემბერი, 2019 წ.
10	თამარ პაიჭაძე	მოდერნიზმი კავკასიაში სისტემური გააზრებისათვის/Modernism in the Caucasus– Systematic Comprehension	International conference "Arts in Society" lisboa 22-24. 06. 2019
11	ქ. სიხარულიძე	ამირანის მითო-ეპიკური სახის ჩამოყალიბება	მსოფლიოს ხალხთა ეპოსების V მსოფლიო ფესტივალი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ბიშკეკი ივნისი, 2019
12	ელენე გოგიაშვილი	The motif of the faithful sister: Georgian and Armenian variations of international folktale types	ერევანი International conference "Bridging East and West: Hovhannes Toumanian and the Art of Fairy Tale Translating". 11–13 ოქტომბერი, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მაკა ელბაქიძე

ტანსაცმლის ტარებისა და საკვების მიღების ეტიკეტს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შუასაუკუნეები, რომელსაც პირობითად "რიტუალიზირებული ეპოქა" შეიძლება ვუწოდოთ. ტანისამოსს, "სოციალური ცხოვრების ამ სიმბოლურ ჟესტს" (ლე გოფი), ფასეულობათა სისტემაში

უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ტანსაცმელი არა მარტო ათბობდა ან ამშვენებდა შუასაუკუნეების ადამიანს, არამედ მიჩეული იყო პიროვნების სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ უმთავრეს კრიტერიუმად.

ტანსაცმლის ტარების ეტიკეტის როლის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორც სოციალურ პრაქტიკაში, ვინაიდან ლიტერატურულ ძეგლებში ამ ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მარტო პერსონაჟთა საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ ხდებოდა გარკვეული სიუჟეტური სვლების სიმბოლიზირება და ნარატივის მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირება.

ევროპულ რაინდულ რომანში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ტანისამოსს აქვს როგორც სოციოკულტურული და სოციოპროფესიონალური, ისე რიტუალურ-სიმბოლური ფუნქცია. შესაბამისად: ა) მისი საშუალებით ხდება პიროვნების (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) იდენტიფიცირება საზოგადოებაში, მისი სოციალური სტატუსისა და როლის ხაზგასმა; ბ) ის (ძვირფასეულობასთან ერთად) გვევლინება ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – ჩუქება-ბოძების – უცილობელ ატრიბუტად; გ) სიმბოლურად ასახავს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ თუ საწესჩვეულებო ნორმებს; დ) მთელ რიგ შემთხვევებში ტანსაცმლის სიმბოლიკას აქვს არა იმდენად წმინდა ეთნოგრაფიულ-რიტუალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა.

შუასაუკუნეების რაინდულ რომანს კურტუაზიულთან ერთად ავანტიურულსაც უწოდებენ, ვინაიდან ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილი საკარო ცივილიზაციისგან მოშორებით, ე.წ. "სხვის სივრცეში" (ველური ტყე, ზღვა და ა.შ) ვითარდება. ნარატივში ავანტურული ელემენტის შემოტანასთან ერთად სამოსის ტარების კოდექსი მინიმალურ როლს ასრულებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მოქმედება აქ ვითარდება ტყეში, ე.წ. ველურ გარემოში, სადაც რაინდს ელის ნამდვილი განსაცდელი, სადაც არ არსებობს საჭიროება სამოსის ტარების წესების დაცვისა და ძვირფასი ტანისამოსის დემონსტრირებისა. ტყეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს მეომრის/მონადირის სამოსელი.

ხეტიალი/ძიების მოტივის ამოწურვის შემდგომ მოქმედება უბრუნდება საწყის წერტილს (სენიორის კარი), რომელიც პროტაგონისტისთვის ფამილიარულთან ერთად კომფორტულ (ცივილიზებულ) გარემოში დაბრუნებას მოასწავებს. შესაბამისად, ნარატივის ამ მონაკვეთში საპარადო სამოსის დემონსტრირებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩუქება-ბოძების მოტივთანაა გადაჯაჭვული, მოსდევს ე.წ. გასტრონომიული აპოთეოზი, თავისებური დეკლარირება საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფუფუნებისა.

ეკა ვარდოშვილი

ქართული რომანტიზმის ლიდერები ევროპულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში

ევროპულ და ქართულ რომანტიზმს საერთო თეორიული საფუძვლები გააჩნიათ. გოეთესა და შელის ლიტერატურული ღირებულებები დაედო საფუძვლად არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ქართულ რომანტიზმსაც. ევროპულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში პირველად არტურ ლაისტმა მოგვცა სამი ქართველი ლიდერი რომანტიკოსის ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზი. თავის წერილებში ლაისტი ასევე განიხილავს საქართველოში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკური ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს.

ქეთევან სიხარულიძე

ამირანის თქმულებათა ციკლი ეპიკურ ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ რადგანაც არქაული ეპოსი ყალიბდება

მითების ბაზაზე, ამიტომ აქაც აღინიშნება მითიური სიუჟეტებისა და მოტივების კვალი. არქაული ეპიკური გმირის მოღვაწეობის მოტივები თანხვდება საზოგადოების ინტერესებს, რომელშიც მყარი ადგილი უკავია სამყაროს გათავისუფლებას ხთონური და დემონური ძალებისგან, სოციალური ინსტიტუტების ორგანიზებას. ამ საერთო მოტივებიდან ამირანის ეპოსში გვხვდება ბრძოლები ურჩხულებთან, მაგრამ მისი წამყვანი თემა ღმერთმებრძოლობაა, რომლის წყარო დაპირისპირებულთა ბრძოლის მითოლოგემაა. ქართულ თქმულებაში თხრობის დინამიკა ამ მიმართულებით მიდის, თუმცა ეპოსში მითოლოგიური მოტივი კარგავს თავის არსებით ნიშანს და ძლიერ ფოლკლორიზაციას განიცდის.
დაპირისპირებულთა ბრძოლის მითმა, თავის მხრივ, სათავე დაუდო ღმერთმებრძოლობის ფოლკლორულ მოტივს. იგი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში.

ამირანის დაბადებისა და მიჯაჭვის ეპიზოდების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ მასში არქაული კავკასიური ტიტანომახიის მონაწილე კოსმოგონიური ღვთაება, რომელმაც ეპოსში გადასვლისას მიიღო ტრადიციული ეპიკური ნიშნები და ჩამოყალიბდა ბინარულ გმირად.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ხელოვნების ისტორიის და თეორიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ზაზა სხირტლაძე
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირინე კოშორიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირინე მირიჯანაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო სილაგაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია ციციშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ- პროფესორი თეო ჯალაღანია

---

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.	**”ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა,** (HE 15-022) ხელოვნებათმცოდნეობა, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი	2015-2019	პროექტის ხელმძღვანელი: ზ. სხირტლაძე პროექტის მონაწილე: თ. ჯალაღანია
2.	**ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი ტ. I (დმანისის რაიონი)** შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (FR/466/1-10/14) წამყვანი ორგანიზაცია: თსუ	2015-2019	პროექტის მონაწილე: ი. მირიჯანაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) **1.პროექტი „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“** პროექტი – ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა (HE 15–022 ხორციელდებოდა 2016–2019 წლებში. ამ ხნის განმავლობაში მომზადდა ორტომეული (საერთო მოცულობა – დაახლ. 1200 გვ.), რომლის დასტამბვა დაგეგმილია 2020 წლის მარტში. 2017 წლის ნოემბერში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „ანისი გზაჯვარედინზე“, რომლის მასალები უკვე გამოიცა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 270 გვ.). პროექტზე მუშაობის პროცესში გამოვლენილ და შესწავლილ მასალებს შორის უნდა აღინიშნოს: • ყარსის მუზეუმის ფონდებში დაცული, შვიდ ათეულზე მეტი მონეტა, რომლებიც ანისისა და ისტორიული შირაკის საქართველოს სახელმწიფოს არეალში მოქცევას უკავშირდება. • ას ორმოცამდე ქართული ფრესკული წარწერა ანისის წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მოხატულობიდან. ამ წარწერების უმეტესობა უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობილები კი მხოლოდ ნაწილობრივ ან ხარვეზებით ამოკითხული. შესრულდა ყველა წარწერის გრაფიკული მონახაზი; შესაბამისად გაიშიფრა და დადგინდა ფრესკული ტექსტების უმეტესობა. • საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ფოტოთეკაში დაცული XIX საუკუნის მიწურულს ალექსანდრე როინაშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ას ოცზე მეტი უნიკალური ფოტონეგატივი, რომლებიც ასახავენ ანისის ნაქალაქარის არქიტექტურის თუ ეპიგრაფიკის იმხანად ჯერ კიდევ			

შემორჩენილ ძეგლებს.

- თბილისისა და სანკტ-პეტერბურგის სიძველეთსაცავებში დაცული XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო მასალები ანისის ქართული სიძველეების თაობაზე.

ამასთანავე, შეძლებისდაგვარად სრულად იქნა თავმოყრილი ქართული, სომხური, არაბული, სპარსული, სირიული და ოსმალური ნარატიული წყაროები, აგრეთვე ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ასახავს ანისსა და ისტორიულ შირაკში მიმდინარე, ქართული მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ, პოლიტიკურ, აღმსარებლობით, კულტურულ პროცესებს; შესრულდა გამოკვლევა ანისის პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე; საგანგებო კვლევები მიეძღვნა ანისის საქალაქო ცხოვრებას საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობის პერიოდში, ქართული სახელმწიფორ დომინაციის ეპოქის აღმშენებლობასთან დაკავშირებულ საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ანისში შემორჩენილ კედლის მხატვრობის ძეგლებს.

კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებულ ძეგლთა შორის გამორჩეულად გამოიყოფა წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მხატვრობა, შექმნილი და ნაწილობრივ გახლებულ-შევსებული XIII საუკუნის განმავლობაში. მოხატულობა ათწლეულების მანძილზე გაუნელებელ ინტერესს იწვევდა სამეცნიერო წრეებში. მისი შექმნის დროისა და შემსრულებლების წარმომავლობის, ისევე როგორც ფერწერული ანსამბლის იკონოგრაფიულ პროგრამაში აღბეჭდილი ეთნოკონფესიური მიმართებებისა და მიზანდასახულობების თაობაზე ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა.

მხატვრობის კვლევამ (რომლის დროსაც შესრულდა ფრესკულ გამოსახულებათა ას ორმოცამდე დეტალური გრაფიკული სქემა) ახალი კუთხით გააშუქა მის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. ფერწერული ანსამბლის პროგრამაში ჩართულ წმ. გრიგოლ პართეველის ციკლთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებით ცხადი გახდა კავკასიის ისტორიის განსაზღვრულ ეტაპზე, სომეხთა განმანათლებლის მიერ კავკასიის სხვა ერების მოქცევის შესახებ არსებული თეორიის უსაფუძვლობა. გაირკვა, რომ წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობისა და, კერძოდ, სომეხთა მომაქცევლის ცხოვრების იქ წარმოდგენილი ციკლის საზრისის წანამძღვრები სხვა, ბევრად უფრო მომცველ წინაპირობებთან მიმართებითაა საძიებელი. ეს წინაპირობები, გარკვეული ისტორიული ეტაპისთვის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის მიზანდასახულობასთან იყო დაკავშირებული.

ამას გარდა, პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა მხატვარ ნიკოლოზ სიჩევის საარქივო მასალები ანისის მოხატულობების შესახებ, კერძოდ 1911 წელს შესრულებული საველე დღიურები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2019 წ., 210 გვ.).

2. პროექტი: ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი ტ. I (დმანისის რაიონი)

კროექტის მიზანია ძეგლების აღწერა, ფიქსაცია, ახალი მასალების მოგროვება, ექსპედიციებში მონაწილეობა, მასალების დამუშავება. მოკლე ხელოვნებათმცოდნეური ანალიზის საფუძველზე ძეგლების დათარიღება და დამუშავებული მასალების მონოგრაფიად გამოცემა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
	დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი, 16.000. 29.41 ხელოვნებათმცოდნეობა, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი	2016-2019	პროექტის მონაწილე: თ. ჯალაღანია

1	2	3	4
დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი,
პროექტის მიზანია დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაცია. დუშეთის საცხოვრებელი არქიტექტურა მნიშვნელოვანია არა მარტო თავისთავად, როგორც ხუროთმოძღვრული და ისტორიული კომპლექსი, ან როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადი ნაწილი, არამედ იგი საშუალებას გვაძლევს გავავლოთ საინტერესო პარალელები ქართლისა და კახეთის სხვა ქალაქების საცხოვრებელ არქიტექტურასთან, გამოვავლინოთ ყოველი მათგანის მხატვრული და კონსტრუქციული თავისებურებანი და დავადგინოთ მათი გადაწყვეტის მსგავსება-განსხვავებანი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებისთვის.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ნათია დემურიშვილი, მარინა დგებუაძე, **ირინე კოშორიძე,** ნინო სიმონიშვილი	„ჩინური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში „ ISBN 978-9941-8-2003-8	თბილისი, კოლორი,2019	170 გვ
2	**ირინე კოშორიძე,** ლიკა მამაცაშვილი, გრიგოლ ბერაძე	დიმიტრი ერმაკოვი ირანში ISBN 978-9941-8-1756-4	თბილისი, კოლორი,2019	157 გვ
3	ნონა ხარატიშვილი, ნანა გოგელია, **ირინა კოშორიძე**	შალვა ამირანაშვილი-გზა მეცნიერისა ISBN 978-9586-9-4	თბილისი, კოლორი,2019	152 გვ
4	**ზაზა სხირტლაძე**	ლექსად თქმული წმინდა გიორგის ცხოვრება	თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, 2019 წ.	360 გვ.
5	**ზაზა სხირტლაძე, ნიკოლაი სმირნოვი, ირაკლი თეზელაშვილი**	მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესწავლისთვის	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	210 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩინური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

პუბლიკაცია ეძღვნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 70 წლისთავის იუბილეს. მასში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ჩინური კულტურის ამსახველი ექსპონატები.

დიმიტრი ერმაკოვი ირანში

პუბლიკაცია წარმოადგენს პირველ კვლევას რომლეშიც წარმოდგენილია ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის მოგზაურობის ამსაველი ფოტომასალა, დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქარტველოს მუზეუმში. პუბლიკაცია ეძღვნება საქართველოს მუზეუმის დაარსების 100 წლისთვს.

შალვა ამირანაშვილი-გზა მეცნიერისა

პუბლიკაციაში მოთხრობილია აკად. შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო გზა ადრეული პერიოდიდან დასასრულამდე. განსაკუთრებული ყურადღება პუბლიკაციაში გამახვილებულია შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის დირექტორობის პერიოდში მის ღვაწლს სამუზეუმო კოლექციების მოვლის, შესწავლისა და შევსების მიმართულებით.

ლექსად თქმული წმინდა გიორგის ცხოვრება

მომზადდა XVII საუკუნის შუახანებში დათუნა ქვარიანის მიერ შექმნილი „წმ. გიორგის ლექსად თქმული ცხოვრების“ ილუსტრირებული ნუსხის ფოტოტიპიური გამოცემა. ხელნაწერი XVII საუკუნის მიწურულისაა. ერთვის „ხალხური“ ნაკადის რიგის მინიატიურები. იგინ დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. გამოცემას მომზადდა თანამედროვე არქეოგრაფიულოი პრინცპების მიხედვი. გამოცემას ერთვის ნარკვევი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესწავლისთვის

გამოიცა 1911 წელს ცნობილი მკვლევარისა და რესტავრატორის, ნიკოლაი სიჩოვის მიერ თავმოყრილი მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესახებ. მასალები დაცულია სანკტ–პეტერბურგის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო არქივში. პუბლიკაციას ერთვის

ნიკოლაი სიჩოვის მიერ 1911 წელს გადაღებული ფოტოები.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ზაზა სხირტლაძე – რედაქტორი**	**Ani on the Crossroads, Proceedings of the International Conference**	თსუ გამომცემლობა	270 გვ.
2	**ზაზა სხირტლაძე – რედაქტორი**	**შალვა ამირანაშვილი, ნარკვევები ქართული ხელოვნების ისტორიიდან**	თსუ გამომცემლობა	372 გვ.
3	**თ. ჯალაღანია** ე. ისტმონდი, ე.თუნო, ი. გივიაშვილი ს.პ. ქავი. პ. დონაბედიანი, ნ. ჩაკვეტაძე, ნ. სიხარულიძე, პ. ბლესინგი, ჯ. ჩხვიმიანი	**დაცვა და გამშვენიერება: ანისის საფორტიფიკაციო ნაგებობები** (კრებულში *ანისი: გზაჯვარედინზე,* საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 209-229
4	**ნ. სილაგაძე**	ტავრიდის ხერსონესისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლის შესახებ (კონფერენციის მასალები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“	ბათუმი, 2019	გვ. 11-14
5	**ნ. ჯაბუა**	**ტრადიციული ფორმებისა და მიდგომების ინტერპრეტაციის შესახებ საბჭოთა პერიოდის**	ბათუმი, 2019,	გვ 75-79

		საქართველოს ხუროთმოძღვრებაში, (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები),		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Ani on the Crossroads, Proceedings of the International Conference

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში 2017 წლის ნოემბერში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია *„ანისი გზაჯვარედინზე“*, რომელშიც, ქართველი სპეციალისტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, დარგის ცნობილმა მკვლევრებმა. კრებულში შევიდა კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა ნაწილი. გამოცემა შესრულებულია ინგლისურ ენაზე, მოკლე ქართული რეზიუმეებით. დაბეჭდა სტამბა „სეზანში“

შალვა ამირანაშვილი,

ნარკვევები ქართული ხელოვნების ისტორიიდან

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 120–ე წლისთავთან დკავშირებით ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა მისი ნარკვევების კრებული. კრებულში შესულია შალვა ამირანაშვილის მიერ მრავალი ათწლეულის განმვლობაში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ასახავს მკვლევარის მრავალმხრივ ინტერესებს.

დაცვა და გამშვენიერება: ანისის საფორტიფიკაციო ნაგებობები

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქთა შორის ანისი გამორჩეული იყო თავისი მასშტაბებითა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით, ეროვნული და აღმსარებლობითი მრავლისმომცველობით, ეკონომიკური სიძლიერითა და შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და მხატვრული დონით. ძალზე მნიშვნელოვანია ანისის, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლის, აუთენტურობის განსაკუთრებული ხარისხი. მან ფაქტოვრივად სრულად შეინარჩუნა პირვანდელი სახე; ეს კი ნაქალაქარის სამეცნიერო კვლევისთვის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს იძლევა.

გარდა ამისა, ანისი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ვითარების წყალობით, გახდა სომხური, ქართული და ისლამური კულტურული ტრადიციების თავმოყრის ადგილი. ქალაქის მულტიკულტურული ხასიათის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი აბრეშუმის დიდ გზაზე იყო განლაგებული და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. ანისის, როგორც კულტურათა გზაჯვარედინის ფუნქცია, სადაც ერთმანეთს შეერწყა სომხური, ქართული და თურქული კულტურებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ნათლად წარმოგვიჩენს უაღრესად საინტერესო კულტურათაშორის კავშირებსა და ურთიერთგავლენებს. განსაკუთრებით ფართო და მასშტაბური სამუშაოები ტარდებოდა ქალაქის უმაღლესი აყვავებისა და გაძლიერების ჟამს – XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მესამედში, მხარგრძელთა მმართველობის ხანაში, როდესაც ანისი ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა.

ტავრიდის ხერსონესისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლის შესახებ

მოხსენება შეეხება ტავრიდის ხერხონესის (VI ს-დან – ხერსონი) შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ პარალელებს პოვებს ქართულ საკულტო მონუმენტურ ხუროთმოღვრებაში. არქიტექტურული ევოლუციის მსგავსად, ხერსონესისა და ქართული ეკლესიების ისტორიაშიც იკვეთება საინტერესო საერთო ეპიზოდები.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1					
2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ციციშვილი	ცნობილი მხატვრის უცნობი კოლექცია (ვ.სიდამონ-ერისთავი) ISSN 2346-8165	კულტურა პლიუს, 1(II)2019	თბილისი, შპს „ფავორიტი სტილი“	12
2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ცნობილი მხატვრის უცნობი კოლექცია (ვ.სიდამონ-ერისთავი)

სტატია ეხება ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს-ფერმწერს, გრაფიკოსს, კარიკატურისტს, თეატრისა და კინოს მხატვარს ვალერიან სიდამონ-ერისთავს. XX ს-ის 10-იან წლებში მოღვაწე სხვა ქართველი მხატვრების მსგავსად, ვ. სიდამონ-ერისთავის უმთავრეს ამოცანასაც ეროვნული ფორმის ძიება წარმოადგენდა. ამ მიზეზით, მან გარკვეული უპირატესობა ისტორიულ თემას უკვე 1910-იანი წლების დასაწყისშივე მიანიჭა. ვ. სიდამონ-ერისთავის შემოქმედება, ამ თვალსაზრისით, თანადროულ ქართულ მხატვრულ გარემოში გამონაკლისს წარმოადგენს და მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის პირველი ათწლეულების რუსულ მხატვრობასთან. შემოქმედების საწყის ეტაპზე სიდამონ-ერისთავის ნაწარმოებები ზოგიერთი ნიშნით ყველაზე მეტად აბრამცევოს წრის მხატვრებისა და ნ. რერიხის შემოქმედებას ეხმიანება, ბატალური თემისთვის უპირატესობის მინიჭებით კი იგი, პირიქით, ემიჯნება რუსული ისტორიული ფერწერის წარმომადგენლებს.1910-20 წლებში ვ. სიდამონ-ერისთავი, ისტორიული თემის გარდა, ქმნის პორტრეტებსა და ყოველდღიური მოვლენების ამსახველ ტილოებს, სადაც მხატვრის დამოკიდებულება თითქოს რამდენადმე განსხვავებულია. ვ. სიდამონ-ერისთავის მთელი შემოქმედება მაჩვენებელია იმისა, რომ მხატვრისთვის უმნიშვნელო თემა თუ მოვლენა არ არსებობს. ერთი შეხედვით, ნაკლებად თვალშისაცემი მხატვრული ხერხებით იგი ჩვეულებრივ მოვლენას მნიშვნელოვნად აქცევს, იქნება ეს ფორმის განზოგადება, ასახულის არსის „დაჭერა“, წაგრძელებული ფორმის, თავისუფალი მონასმებით დაწერილი სიბრტყობრივი გარემო, სურათის არაჩვეულებრივად დახვეწილი, თამამი მახვილებით გამნიშვნელოვნებული, ნაკლებად მკვეთრი კოლორიტი, მსუბუქი იუმორი, სინამდვილეში მძაფრი, მაგრამ შეპარული გროტესკი თუ სხვა.

ვალერიან სიდამონ-ერისთავის უკვე 1920-იანი წლების ნაწარმოებებში აშკარად აისახა ექსპრესიონისტული ხელოვნების ნიშნები. ამ პერიოდში შექმნილ რამდენიმე ნამუშევარში („წითელი მთესველები“, „წითელ ცხენოსანთა შეტევა“, „ბავშვები ბაღში“) ყველაზე ზუსტად გამოიხატა ამ მიმდინარეობის განწყობა, რომელიც გარდამავალი სიტუაციისა და სპეციფიკური სოციალური კლიმატის პირობებში, საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპის არაერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი იყო. არაა გასაკვირი, რომ გამოკვეთილად პატრიოტი მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ექსპრესიონისტი გამხდარიყო. არისტოკრატიული წარმომავლობის მხატვრისთვის ბოლშევიზმი არა მხოლოდ მისი სამშობლოს დაპყრობას ნიშნავდა, არამედ იმასაც, რომ ამ დრომდე შემორჩენილ ქართულ არისტოკრატიას განადგურება ელოდა.

ვალერიან სიდამონ-ერისთავმა 1922 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართულ თეატრსა და კინოში.

თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან. 1922 წელს რუსთაველის თეატრში გააფორმა სპექტაკლები „ცხვრის წყარო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“. 1923 წელს იყო ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ პირველი დადგმის მხატვარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1924 წელს კი – არაყიშვილის ოპერისა „შოთა რუსთაველი“. 1925-1943 წწ-ში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1938 წ-დან). გააფორმა საქართველოს პავილიონი ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე (1938). მუშაობდა კინოს მხატვრად (1922-1935). არის მხატვარი დაახლოებით 35 ფილმისა (რეჟ. ა. ბეკნაზაროვი– „მამის მკვლელი“ (1923); რეჟ. კ. მარჯანიშვილი – „კრაზანა“ (1928), `კომუნარის ჩიბუხი“ (1929); რეჟ. კ. მიქაბერიძე – „ჩემი ბებია“ (ი. გამრეკელთან ერთად, 1929); რეჟ. მ. ჭიაურელი – `უკანასკნელი მასკარადი“ (1934) და სხვ.).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**M.Tsitsishvili**	**The Tbilisi Portraiture**	Warsaw, 2019	210 გვ
2	**M.Tsitsishvili**	**Shalva Kikodze**	Warsaw, 2019	180 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ტფილისური პორტრეტული სკოლა

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თავადაზნაურული პორტრეტი ე. წ. „ტფილისური სკოლა“ ქართული ხელოვნების ისტორიის ღირშესანიშნავ, ისტორიული მნიშვნელობით, თვითმყოფადოფითა და მაღალი ღირსებით გამორჩეულ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც ქართული ეროვნული ხასიათი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა. საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილმა ფეოდალურმა წესწყობილებამ მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხელოვნების ძლიერი ტრადიციით, განსაკუთრებით კი, გამუდმებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, შეაფერხა ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება. ამ მიზეზით დაზგური მხატვრობის განვითარებაც უფრო თავისებურად, დასავლეთის სამყაროს ქვეყნებისგან განსხვავებული გზით წარიმართა.

ქართულ ხელოვნებაზე მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ამა თუ იმ მხატვრულ სტილთა ჩამოყალიბებისას ზემოქმედებას ახდენდა განსხვავებულ კულტურულ სამყაროთა გავლენა. „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ წანამძღვართაგან, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია თავად ქართული საწყისი - საქართველოს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში არსებული „საერო“ ქტიტორული პორტრეტის ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც ამ სკოლის ფორმირების ჟამს ერთ-ერთი წარმმართველი კომპონენტი იყო. მეორე, ასევე უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ კარგად ცნობილი ირანული მხატვრობის ტრადიცია. ამ სკოლის სტილისტური სახის დამკვიდრებაში, უდავოდ, მნიშვნელოვანი როლი იქონია ევროპული პარადული პორტრეტის არსებითი ზეგავლენით შექმნილმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პარადულმა პორტრეტებმაც.

2. შალვა ქიქოძე

ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთმა თვითმყოფადმა წარმომადგენელმა და გამორჩეული ნიჭის მხატვარმა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებაში. სრულიად ახალგაზრდა შალვა ქიქოძის ფერწერულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი შექმნილია პარიზში ცხოვრების პერიოდში წელიწად-ნახევრის განმავლობაში. შალვა ქიქოძეს საკმაოდ ადრე, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ყრმობის წლებში

ჩამოუყალიბდა ინდივიდუალური, საკმაოდ მძაფრი, იუმორით გაჯერებული, მახვილი ხედვა. იგი ჯერ კიდევ მოსკოვის.ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში სწავლისას აქვეყნებდა მოსკოვურ თეატრალურ ჟურნალებში რუსი თეატრალების შარჟებსა და კარიკატურებს. შალვა ქიქოძეს ქართულ იუმორისტულ და სათეატრო ჟურნალებთანაც ჰქონდა ამგვარი თანამშრომლობა. 1918 წ-ს სამშობლოში დაბრუნებული
მხატვარი დ. შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში ჩაერთო (1916). იგი აირჩიეს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად. მონაწილეობდა პირველ სამხატვრო-სამეცნიერო ექსპედიციაში ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობის პირების გადმოსაღებად. საქართველოში შ. ქიქოძე მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟურნალებთან. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში „ლახტი“ და „ეშმაკის მათრახი“, თეატრალურ ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „თეატრი და მუსიკა“, რუსულენოვან გამოცემაში `ხელოვნება“). მხატვარი, რეჟისორ გ. ჯაბადარის მიწვევით, მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებული სტუდიის სპექტაკლების გაფორმებაზეც (1918). 1919 წ-ს შ. ქიქოძე მონაწილეობდა თბილისში „დიდების ტაძარში“ გამართულ მასშტაბურ გამოფენაში. 1920 წლის 13 იანვარს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ დანიშნული სტიპენდიით არტისტი სხვა მხატვრებთან ერთად სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა, სადაც იფინებოდა არაერთ გალერეაში, კერძოდ, „ლა ლიკორნსა“ და „დამოუკიდებელთა სალონში“. 1920 წლის დასაწყისში ევროპული კულტურის ცენტრში მოხვედრილ 26 წლის შალვა ქიქოძეს თავისი ორი მეგობრისგან – დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილისაგან განსხვავებით, თანადროული პარიზის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ საშინელი იმედგაცრუება დაეუფლა. მისი ფიქრები და განცდები, გარდა მისი მხატვრობისა, ახლობლებისადმი მიწერილ უაღრესად ცოცხალ და საინტერესო წერილებშიც აისახა. საბოლოოდ სწორედ პარიზში შექმნილ ნაწარმოებებში გამოაშკარავდა და ჩამოყალიბდა შალვა ქიქოძის მხატვრობისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ექსპრესიონისტული დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისადმი. ალბათ ამიტომაც მიუწევდა გული გერმანიისაკენ. პარიზში შალვა ქიქოძემ რამდენიმე თემას მიმართა, რომლებსაც თავისი განწყობის მიხედვით, შესატყვისი მხატვრული ფორმა მოუძებნა.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ჯაბუა	ტრადიციული ფორმებისა და მიდგომების ინტერპრეტაციის შესახებ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ხუროთმოძღვრებაში,	19-20. 11.2019 , ბათუმი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“
2	ნ. ჯაბუა	ეკლექტურობის გაგება მე-19 საუკუნის თბილისში	2019.15-16.10, თბილისი, შალვა ამირანაშვილის დაბადების 120 წლისტავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია -”ქართული ხელოვნება ეპოქები და ტენდენციები”
3	ნ. სილაგაძე	ტავრიდის ხერსონესისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლის შესახებ.	19-20. 11.2019 , ბათუმი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“
4.	თ. ჯალაღანია	Aesthetic image of the city and environment	8 თებერვალი, თსუ, საერთაშორისო ვორქშოპი *How ancient cities can get smart too*
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ი. კოშორიძე**	*Qajar Art Collections in Georgian Museums*	13 მარტი, 2019. ISLAMIC ART CIRCLE at SOAS, London UK

2	**ი. კოშორიძე,**	From the Archives of Georgian State Museums of Folk and Applied Arts	24-30 June, Hali Symposium, National Gallery London UK

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.მოხსენებაში წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული ყაჯართა ეპოქის ძეგლები, კერძოდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების მასალები, ასევე ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცული მუშტაიდის სასახლის დეკორი და სხვა არქიტექტრული ძეგლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც ირანული ხელოვნების გავლენით იქმნებოდა იმ პერიოდშიც კი, როდესაც საქართველო უკვე რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და უკვე სრულიად გაწყვეტილი იყო როგორც პოლიტიკური , ასევე კულტურული გავლენები ირანიდან.

2. მოხსენებაში წარმოდგენლი იყო ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის არქივში დაცულ უნიკალურ მასალებზე, რომლებიც კავკასიური ხალიჩის კვლევისატვის ფასდაუდებელ მასალას იძლევა.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით "არ შეფასდა".

შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ხელმძღვანელი: **პროფ. მანანა გელაშვილი**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	„შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ (ლიტერატურულ, თეატრალურ და სოციო-პოლიტიკურ ჭრილში); შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2018 წლის გრანტი; ჰუმანტარული მეცნიერებები; **OUGSP-2018-052**	**21.01.2019 - 21.01.2020**	**დავით მაზიაშვილი პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი და შემსრულებელი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში

შედეგები

1. სამეცნიერო სტატია „შექსპირის იულიუს კეისარი ქართულ სცენა“ (გამოქვეყნდება რეცენზირებად სამეცნიერო ბილინგულ ჟურნალის „სპეკალი“ 14-ე ნომერში);
2. სამეცნიერო სტატია „შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ“ („ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა“) (საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალში „არილი“ ნოემბერი 2019);
3. ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპების კოლექციაში შექსპირის შესახებ დაცული უნიკალური მასალის შესწავლა-დამუშავება-ფოტოასლების გადაღება და გამოფენა;
4. დამუშავებული და შესწავლილია შექსპირის შესახებ არსებული 100-მდე უახლესი მხატვრული ან/და თეორიული სამეცნიერო ლიტერატურა;
5. კვლევის შედეგად გამოსაქვეყნებლად ვამზადებ მონოგრაფიული ნაშრომს შექსპირის რეცეფციის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში, დრამატურგიაში და თეატრში; (გამოქვეყნების სავარაუდო პერიოდი: 2020 წლის ბოლო 2021 წლის დასაწყისი);
6. რუსთაველის თეატრის „რიჩარდ მესამის“ ლონდონური გასტროლის შესახებ თელმა ჰოლტთან იშვიათი ვიდეოინტერვიუს ჩაწერა.
7. 1980 წელს რუსთაველის თეატრის „რიჩარდ მესამის“ ლონდონში გასტროლის შესახებ მოკლე დოკუმენტური ფილმის შექმნა.
8. 2020 წლის 21 იანვარის კონფერენციაზე „შექსპირის საქართველოში“ (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება ქორეოგრაფთან ერთად) დოკუმენტური ვიდეოს ჩვენება-პრემიერა.

პროექტის კვლევითი მიზნების ფარგლებში, მოეწყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრაქტიკული ღონისძიებები/აქტივობები.ქართული შექსპირიანას გარშემო ორგანიზება გავუწიე, მონაწილეობა მივიღე და

ჩავატარე სამი სამეცნიერო სემინარი, სამი ვიდეოჩვენება და ერთი სამეცნიერო კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტში:

- დოკუმენტური ფილმის „რობერტ სტურუას იულიუს კეისარი ფრაგმენტები სადადგმო რეპეტიციებიდან ჩვენება-განხილვა ფილმის ავტორის მონაწილეობით; (წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- სამეცნიერო სემინარი „შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში" (ორგანიზატორი: დავით მაზიაშვილი; მომხსენებელი: პროფ. მანანა გელაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- სამეცნიერო სემინარი „შექსპირის ტირანების და ანტიტირანების ტრანსფორმაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში და მსოფლიოში (მომხსენებლები: პროფ. მარკ ბარნეტი, ბელფასტის ქუინსის უნივერსიტეტის პროფესორი და პროფ. დავით მაზიაშვილი); წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- რუსთაველის თეატრის ლეგენდარული სპექტაკლის „რიჩარდ მესამის" ვიდეოჩვენება შესავალის სიტყვით. (მომხსენებელი პროფ. დავით მაზიაშვილი); (ერტეგუნის სახლი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
- 2020 წლის 21 იანვარს ოქსფორდი უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაგეგმილია კონფერენცია „შექსპირის საქართველოში" (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება ქორეგრაფთან ერთად); გამოფენილი იქნება შექსპირის შესახებ უორდროპების კოლექციაში დაცული უნიკალური ხელნაწერები, წერილები და წიგნები. აგრეთვე გამოიფინება საქართველოში გამოცემული ალბომები, წიგნები, ლიტერატურული ჟურნალები, სამეცნიერო კრებულები, რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური აფიშები და ფოტო მასალა, რომელიც ქართული შექსპირიანას თარგმნის, შესწავლისა და სცენური ინტერპრეტაციის წარსულსა და აწმყოს ასახავს. იდეა და კონცეფცია: დავით მაზიაშვილი; ორგანიზატორები: პროფ. დან ჰილი, დოქ. ჯილიან ივისონი და პროფ. დავით მაზიაშვილი. სპეციალურად მოწვეული სტუმრები და გამომსვლელები: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე კეთრიონა ქენონი, საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში თამარ ბერჩაშვილი და გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე. სასემინარო ნაწილის მომხსენებელი: დავით მაზიაშვილი.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში. წმ. ენტონის კოლეჯის გრანტი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო	23-25.10.2019	მანანა გელაშვილი - მომხსენებელი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) **შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში.** ოქსფორდის უნივერსიტეტის გრანტი, რომელმაც დაფარა ჩემი მგზავრობა და დაბინავება, მიზნად ისახავდა ჩემს მონაწილეობას სამეცნიერო სემინარში, სადაც გავაკეთე მოხსენება სათაურით: ,,შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში''. მოხსენებაში წარმოსგენილია შექსპირის თარგმნის ისტორია პირველი თრგმანებიდან მოყოლებული (არდაზიანი, ყიფიანი და სხვ.), რომლებიც ძირითადად ორგინალურიდან არ იყო შესრულებული და დაბალი მხტვრული დონით ხასიათდებოდა, ილიასა და მაჩაბლის ,,მეფე ლირისა'' და მაჩაბლის გენიალური თარგმანების გავლით თანმედროვე თარგმანებით დამთავრებული (კერძოდ მანანა ანთაძის გასულ წელს გამოსული შექსპირის სამი ტრაგედიის თარგმანი). მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა ეტაპისათვის დამახისიათებელი მთარგმნელობითი პრონციპები და შედარებული ერთი და იგივე ნაწარმოების სხვადასხვა თარგმანი.			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით მაზიაშვილი	შექსირის „იულიუს კეისარი“ ქართულ სცენაზე ISSN 1987-8583	სამეცნიერო რეცენზირებადი ბილინგვური ელექტორნული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“ გამოქვეყნდება N14/2020	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15 გვერდი
2	დავით მაზიაშვილი	შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ ISSN 2298-0954	საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“ 2019/ნოემბერი 7 (285)	თბილისი, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია „არილი“	8 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

შექსპირის „იულიუს კეისარი“ ქართულ სცენაზე

შექსპირის „იულიუს კეისრის“ სტურუასეული ინტერპრეტაცია პოსტმოდერნისტულ მხატვრულ და იდეურ ჭრილშია გააზრებული. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია თემები და პრობლემები, რომელიც შექსპირის პიესის და სტურუას სპექტაკლის მთავარი იდეაა. სპექტაკლში შექსპირის მეტაფორა „მთელი მსოფლიო სცენაა“ გამოხატავს არა მხოლოდ თანამედროვე სინამდვილეს, არამედ ბიბლიურ, ფიქციურ და თეატრალურ რეალობას, რომელიც ინტერტექსტუალობისა და მეტა-თეატრის მხატვრული ტექნიკითაა წარმოდგენილი.

შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ

სტატიაში „შექსპირი პრექსიტის წინააღმდეგ“ შესწავლილია უილიამ შექსპირის ორი პიესა „ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „ცხოვრება და სიკვდილი მეფე რიჩარდ მეორისა“. პიესების პარალელურად განხილულია ლონდონის ნაციონალურ თეატრში 2018 წელს რეჟისორ საიმონ გოდვინის მიერ დადგმული სპექტაკლი „ანტონიოსი და კლეოპატრა“ და იმავე წელს რეჟისორ ჯო-ჰილ გიბინსის მიერ ლონდონის თეატრში „ალმეიდა“ დადგმული სპექტაკლი „ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა“. სტატიაში პიესები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციები შესწავლილია ლიტერატურული, შექსპირის ეპოქისა და თანამედროვეობის სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია, რომ დიდი ბარდის პიესებში წამოჭრილი იდეური, შინაარსობრივი, მითოლოგიური თემატიკა და ელიზაბეთის ეპოქის ინგლისის სოციო-პოლიტიკური ისტორიული რეალობა თანამედროვე სცენური ინტერპრეტაციების კონტექსტში პირდაპირ ეხმაურება თანამედროვე ინგლისსა და ევროპაში მიმდინარე ბრექსიტის პროცესებს. სტატიის შედეგები დასკვნაშია შეჯამებული. შექსპირი, მთელი მისი ჰუმანისტური სულისკვეთებით წარმოდგენელია დასავლელად, რომელიც იმთავითვე ევროპელობას ნიშნავდა, რადგან ყოველივე დასავლურის წყარო ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული სამყაროა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
